კვლევები ადასტურებს, რომ ფილმებში პროდუქტის განთავსების მიმდებლობა ამაღლებს ბრენდის შესახებ მომხმარებელთა გათვითცნობიერებას. ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება გულისხმობს მომხმარებლის უნარს, ამოიცნოს და გაიხსენოს ბრენდი სხვადასხვა სიტუაციაში [Aaker, 2009]. ეს უნარი დამოკიდებულია კომუნიკაციის დონეზე ან ბრენდის შესახებ მომხმარებლის შეხედულებებზე. ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება შეიძლება გამოყენებულ იქნეს კომუნიკაციის ეფექტიანობის საზომად, რომელიც გავლენას ახდენს მომხმარებლის შეხედულებაზე [Malik & Sudhakar, 2014].

პანკანინგრუმისა და ულანის [Pancaningrum & Ulani, 2020], კუმარის [Kumar, 2017], მოდნორდინისა და ბაჰარომის [Mohd-Nordin & Baharom, 2018] კვლევების თანახმად, პროდუქტის

განთავსება ის ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს მომხმარებლების მიერ ბრენდის გათვითცნობიერებაზე. ამასთან პანკანინგრუმი და ულანი [Pancaningrum & Ulani, 2020] აღნიშნავენ, რომ მომხმარებლებს შეუძლიათ ამოიცნონ ბრენდები საერთაშორისო ფილმებიდან, თუმცა ჩანისა და სხვათა [Chan ... 2015] თანახმად, ჰონგ-კონგელ გამოკითხულებს სჯერათ, რომ დაბალი ცნობადობის მქონე ბრენდების განთავსებას მცირე გავლენა აქვს ბრენდის შესახებ გათვითცნობიერებაზე, რის მიზეზადაც მათ ინტეგრაციის პრობლემა დაასახელეს. ფილმებში კარგად ინტეგრირებული პროდუქტის განთავსებით შესაძლებელია მომხმარებლებში ბრენდის შესახებ გათვითცნობიერების მაღალი დონისა და დადებითი სტიმულების მიღწევა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ბრენდთან ცნობილი ადამიანია ასოცირებული [Kumar, 2017]. კვლევები აჩვენებს, რომ კომპანიების მიერ გასართობ მედიუმში პროდუქტის განთავსების ჩართვა უზრუნველყოფს ბრენდისადმი ცნობიერების დონის ამაღლებას [Wiles & Danielova, 2009]. მაგალითად, დესტინაციების, როგორც პროდუქტის, განთავსებამ შეიძლება კონკრეტული ადგილის შესახებ მომხმარებლების შეხედულებები და გათვითცნობიერების დონე შეცვალოს და ხელი შეუწყოს პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას [Tessitore ... 2014]. ასევე, კვლევით დადგინდა, რომ დესტინაციების განთავსებას დადებითი გავლენა აქვს ადგილისა და პროდუქტის შესახებ მომხმარებლების შეხედულებაზე [Jung & Childs, 2020]. ზემოთ განხილული ლიტერატურული მასალების საფუძველზე შევიმუშავეთ შემდეგი ჰიპოთეზა:

***H1:** პროდუქტის განთავსების მიმღებლობა დადებით გავლენას ახდენს ბრენდის შესახებ გათვითცნობიერებაზე.*

პროდუქტის განთავსება მომხმარებლის მიერ ბრენდის გახსენების დონეს ზრდის [Parengkuan ... 2020]. ბრენდის გახსენება არის მომხმარებლის უნარი, გაიხსენოს ბრენდი მოცემული პროდუქტის კატეგორიიდან [Lu ... 2014]. ჰადერსის [Hudders, 2012] კვლევის თანახმად, პროდუქტის თვალსაჩინო განთავსება განაპირობებს ბრენდისადმი ყურადღების მიქცევას და, შესაბამისად, მის ხშირ გახსენებას იწვევს. პროდუქტის განთავსების, როგორც მარკეტინგული კომუნიკაციის სტრატეგიის გამოყენება განაპირობებს მიზნობრივი აუდიტორიის წევრების კოგნიტურ მახასიათებლებზე ზემოქმედებას. კოგნიტური ეფექტი, როგორც წესი, სარეკლამო გზავნილის მიღების შემდეგ მომხმარებლების მიერ პროდუქტის/ბრენდის გახსენებას გულისხმობს. რაც უფრო ხშირად აქვს მომხმარებელს პროდუქტის განთავსებასთან შეხება, მით მეტად იზრდება ბრენდის შესახებ მეხსიერება, რაც ბრენდის გახსენების დონის ამაღლების შესაძლებლობას იძლევა [Nordin & Baharom, 2018]. პროდუქტის განთავსების შემთხვევაში მომხმარებელმა ცნობილი ბრენდები შეიძლება გაიხსენოს მაშინაც კი, როცა ეს ბრენდები სცენის უკანა ფონზეა განთავსებული [Gupta & Lord, 1998]. ცხადია, მომხმარებლებისთვის შეუფარველად განთავსებული ბრენდების ამოცნობა და გახსენება მარტივია [Law & Braun, 2000]. ამასთან, თუკი რეკლამის შემკვეთები გარკვეულ ზღვარს გადასცდებიან და მომხმარებლებს მეტისმეტად თვალშისაცემ სარეკლამო მიმართვებს შესთავაზებენ, ამ ტექნიკამ შეიძლება ნეგატიური შედეგები გამოიწვიოს [Wei ... 2008].

ფილმების ჟანრი გავლენას ახდენს ბრენდის გახსენებაზე. იუმორს მომხმარებლების ყურადღების მიპყრობა და გზავნილის გახსენების გაუმჯობესება შეუძლია. იუმორი მაყურებლებში დადებით ემოციებს აღძრავს, რაც განთავსებული ბრენდებისადმი ყურადღებას ძალდაუტანებლად ზრდის და გახსენების მაღალ მაჩვენებელს უზრუნველყოფს. ბრენდის პოზიტიური გახსენების მაღალი დონე დადებითი მყიდველობითი განზრახვის წინაპირობაა [Lu ... 2014; Ndlela & Chuchu, 2016; Chan, 2020]. მომხმარებლები, რომლებიც ბრენდის გახსენების მაღალი დონით გამოირჩევიან, უფრო მეტად არიან მიდრეკილი მისი შემენისკენ [Lu ... 2014; Ndlela & Chuchu, 2016]. პროდუქტის განთავსება აუმჯობესებს მომხმარებლების მიერ ბრენდის გახსენების დონეს, ბრენდის მიმართ შეხედულებას და მყიდველობითი განზრახვის მაჩვენებელს, რის შედეგადაც მომხმარებლების კმაყოფილების დონე იმატებს [Srivastava, 2016]. კონგმანონმა და პეტისონმა [Kongmanon & Petison, 2022] შეისწავლეს პროდუქტის განთავსების 5

ფორმა: პროდუქტის მოძრაობა, კონტენტში ჩართვა, პროდუქტის მიზმა, სპონსორობა და გრაფიკები. აღმოჩნდა, რომ პროდუქტის მოძრაობა ყველაზე ეფექტიანი ხერხია შედარებით დაბალი განათლების მქონე მომხმარებლებში ბრენდის მაღალი გახსენების მისაღწევად, ხოლო უფრო მაღალი განათლების მქონე მომხმარებლებში იგივე შედეგი პროდუქტის შინაარსში ჩართვის ფორმას უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ ორივე ჯგუფის მომხმარებელში ბრენდის გახსენებისთვის ნაკლებეფექტურ ფორმას ბრენდის მაიდენტიფიცირებელი ელემენტების გრაფიკული გამოსახვა წარმოადგენს [Kongmanon & Petison, 2022]. მრავალი კვლევა ემპირიულად ადასტურებს პროდუქტის განთავსებასა და ბრენდის გახსენებას შორის პოზიტიური ურთიერთკავშირის არსებობას. მაგალითად, ფილმებში განთავსებული ბრენდებისადმი მაღალიზიელებს მაღალი დონის მიმღებლობა აქვთ, რაც დადებით აისახება მათ მიერ ბრენდების გახსენებასა და დამოკიდებულებაზე [Balakrishnan ... 2012; Jasmin ... 2023]. ანალოგიურად იქცევიან პაკისტანელი და სამხრეთ აფრიკელი მომხმარებლები, რომლებიც დადებითად აღიქვამენ პროდუქტის განთავსების სტრატეგიას და მას ბრენდებისადმი დამოკიდებულების მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევენ [Raza & Jalees, 2016; Ndlela & Chuchu, 2016; Khurram ... 2018]. ფილმებში პროდუქტის განთავსება ასევე ამაღლებს ფილიპინელი მომხმარებლების მიერ ბრენდის გახსენების დონეს, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მყიდველობითი განზრახვის ჩამოყალიბებას [Ong ... 2022]. აქედან გამომდინარე შევიძუშავეთ შემდეგი ჰიპოთეზა:

**H2:** პროდუქტის განთავსების მიმღებლობა დადებით გავლენას ახდენს ბრენდის გახსენებაზე.

განსაკუთრებული ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერების ზრდა იწვევს მომხმარებლების მიერ ბრენდის უკეთ გახსენებას [Ong ... 2022]. შესაბამისად, ბრენდის შესახებ მომხმარებლების გათვითცნობიერება აუცილებელი პირობაა ბრენდის გასახსენებლად. ამასთან, გახსენების დონე მაღლდება, როდესაც მსახიობი ახსენებს ან ვიზუალურად ჩანს, რომ იგი იყენებს ბრენდირებულ პროდუქტებს [Balakrishnan ... 2012]. ბრენდის შესახებ გათვითცნობიერების ეტაპიდან მიღებულმა ინფორმაციამ, შესაძლოა, მომხმარებლებში ბრენდის გახსენების საფუძველი შექმნას და ბრენდის შესახებ მათ შეხედულებებზე გავლენა მოახდინოს [Malik & Sudhakar, 2014]. ამასთან, მომხმარებლების მიერ პროდუქტის განთავსების აღქმაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალური ფაქტორი, მაგალითად, სხვადასხვა ტიპის ინტერპერსონალური ურთიერთობები, როგორცაა მეგობრები, ოჯახის წევრები ან ნაცნობები. კვლევები აჩვენებს, რომ ადამიანები, რომლებიც პროდუქტის განთავსებას მეგობრებთან ერთად ამჩნევდნენ, განთავსებულ ბრენდებს უკეთესად იხსენებენ [Coker & Altobello, 2018]. პროდუქტის განთავსების შესახებ განხორციელებული კვლევის ფარგლებში აშკარაა, რომ ბრენდის შესახებ გათვითცნობიერებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ბრენდის გახსენებაზე [Ong ... 2022]. ამასთან, თუ მომხმარებლები ინფორმირებული არიან პროდუქტის განთავსების შესახებ, ეს ბრენდის გახსენების დონეს გაზრდის [Mohd-Nordin & Baharom, 2018]. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, შემუშავდა შემდეგი ჰიპოთეზა:


**H3:** განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება დადებით გავლენას ახდენს ბრენდის გახსენებაზე.

როდესაც მომხმარებლებისთვის ცნობილი ხდება კონკრეტული ბრენდის განთავსება, ამ ბრენდისადმი მათი დამოკიდებულებაც თავს იჩენს. ლუ და სხვები [Lu ... 2014] მიიჩნევენ, რომ ინფორმაციის შეგროვების ხერხები და თავისებურებები შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენის მომხდენი ფაქტორი აღმოჩნდეს ბრენდის მიმართ პირველადი დამოკიდებულების ჩამოყალიბების პროცესში. დადებითი შინაარსის ინფორმაციის მიღებით მომხმარებლებს შეიძლება ნეგატიური დამოკიდებულება შეეცვალოს [Van Dijk ... 2016]. ფილმებში

განთავსებული პროდუქტის შესახებ პოზიტიური შინაარსის ინფორმაციას შეუძლია ბრენდის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება [Barbarossa & de Pelsmacker, 2016; Yao & Huang, 2017; Gillespie ... 2018]. კვლევებით დგინდება, რომ პროდუქტის განთავსების შედეგად ბრენდის შესახებ მომხმარებლის გათვითცნობიერება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის მიმართ დამოკიდებულებაზე [Ong ... 2022]. აღნიშნული დასკვნა ამყარებს მოსაზრებას, რომ ბრენდის შესახებ გათვითცნობიერებასა და ბრენდის მიმართ დამოკიდებულებას შორის პირდაპირი ურთიერთკავშირი არსებობს [Yao & Huang, 2017; Puspanathan ... 2020]. აქედან გამომდინარე, შევიმუშავეთ შემდეგი ჰიპოთეზები:

- H4:** განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება დადებით გავლენას ახდენს ბრენდის მიმართ დამოკიდებულებაზე.
- H5:** განთავსებული ბრენდის გახსენება დადებით გავლენას ახდენს ბრენდის მიმართ დამოკიდებულებაზე.

ზემოთ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზების საფუძველზე შეიძლება შევიმუშაოთ კვლევის კონცეპტუალური მოდელი, რომლის სტრუქტურა ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ნახაზზე.



ნახ. კვლევის კონცეპტუალური მოდელი

**კვლევის მეთოდოლოგია.** კვლევის დიზაინი დაეფუძნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდს, კერძოდ, მომხმარებელთა გამოკითხვას, ხოლო კვლევის ინსტრუმენტად შეირჩა ანკეტა, რომელიც რამდენიმე სტრუქტურულ-ფუნქციური კითხვისგან შედგებოდა. კვლევაში გაზომილია ლიტერატურის საფუძველზე შერჩეული ცვლადები და შესაბამისი დებულებები. გაზომვისათვის გამოყენებულია პროდუქტის განთავსების მიმდებლობის 4 დებულება: ვთვლი, რომ პროდუქტის განთავსება ფილმებში რეკლამის ჩვეულებრივი ფორმაა; ვთვლი, რომ პროდუქტის განთავსება ტრადიციული რეკლამის კარგი ალტერნატივაა; ჩემთვის მისაღებია ფილმებში პროდუქტის (ბრენდის) განთავსება; ჩემი აზრით, პროდუქტის განთავსება ფილმებში აღრმავებს მომხმარებლის შთაბეჭდილებას ამ პროდუქტის შესახებ [Nebenzahl & Secunda, 1993; Balakrishnan ... 2012; Saqif & Razi, 2018; Chavadi ... 2019; Kakkar & Nayak, 2019; Puspanathan ... 2020]. განთავსებული ბრენდის შესახებ გამოყენებულია ასევე გათვითცნობიერების 9 დებულება: მე ვამჩნევ, რომ ფილმებში განთავსებულია სხვადასხვა პროდუქტი (ბრენდი); მე ვამჩნევ, რომ მსახიობები ფილმებში უამრავ ბრენდულ პროდუქტს იყენებენ; მე ყურადღებას ვაქცევ სიტუაციას, როცა მსახიობები ფილმებში უამრავ ბრენდულ პროდუქტებზე ლაპარაკობენ; ფილმებში პროდუქტის განთავსება მეხმარება, მივიღო მეტი ინფორმაცია სხვადასხვა პროდუქტის (ბრენდების) შესახებ; პროდუქტის განთავსებისას აღმოვაჩინე ახალ ბრენდებს, რომლებიც ნაჩვენებია ფილმში; პროდუქტის განთავსებას, ძირითადად, ფილმის დასაწყისში ვამჩნევ; პროდუქტის განთავსებას, ძირითადად, ფილმის ბოლოს ვამჩნევ; პროდუქტის განთავსებას, ძირითადად, ფილმის კულმინაციაში ვამჩნევ; მე, ძირითადად, ცნობილი

ბრენდების განთავსებას ვამჩნევ [Chan ... 2015; Kumar, 2017; Mohd-Nordin & Baharom, 2018; Nordin & Baharom, 2018; Pancaningrum & Ulani, 2020; Ong ... 2022]. ასევე ცნობილია ბრენდის გახსენების 9 დებულება: მე ადვილად ვამჩნევ ფილმებში განთავსებულ ბრენდებს; პროდუქტის განთავსების მეშვეობით მე შემიძლია ზოგიერთი ბრენდი გავიხსენო; ფილმებში ბრენდების უწყვეტად განთავსება ამ ბრენდებს ჩემთვის ნაცნობს ხდის; პროდუქტის განთავსების საშუალებით მე შემიძლია ერთი ბრენდი მეორისაგან განვასხვავო; შოპინგის დროს ბრენდს შესაბამის ფილმთან ან მსახიობთან ვაკავშირებ; მე მახსოვს პროდუქტის განთავსება, რომელიც ფილმებში ბოლო დროს შემხვდა; მე მახსოვს თითქმის ყველა ის პროდუქტი, რომლებიც ფილმებში მსახიობებმა ახსენეს; მე მახსოვს თითქმის ყველა ის პროდუქტი, რომლებიც ფილმებში მსახიობებმა გამოიყენეს; მე მახსოვს თითქმის ყველა ის პროდუქტი, რომლებიც ფილმების ფონზე ვნახე [Balakrishnan ... 2012; Tritama & Tarigan, 2016; Nordin & Baharom, 2018; Puspanathan ... 2020; Parengkuan *et al.*, 2020; Ong ... 2022] და ბრენდებისადმი დამოკიდებულების 7 დებულება: ფილმებში პროდუქტის განთავსება ჩემთვის საინტერესო და გასართობია; ფილმებში პროდუქტის განთავსება სიამოვნებას მანიჭებს; მე მოტივირებული ვარ, როცა ფილმებში პროდუქტის განთავსებას ვხედავ; მე მომწონს იმ ბრენდების ნახვა, რომლებსაც ფილმებში მსახიობები იყენებენ; ფილმის ან მსახიობის არჩევანი დადებითად მოქმედებს ბრენდისადმი ჩემს ინტერესზე; ფილმებში ჩართული უნდა იყოს ნამდვილი ბრენდი, რათა ის უფრო დამაჯერებელი გახდეს; სხვადასხვა პროდუქტი ხშირად უნდა განთავსდეს ფილმებში, რათა ისინი უფრო მიმზიდველი გახდეს [Nebenzahl & Secunda, 1993; Yao & Huang, 2017; Gillespie ... 2018; Chavadi ... 2019; Lew & Tee, 2019; Puspanathan ... 2020; Ong ... 2022].

ანკეტაში გამოყენებულია ლიკერტის ხუთბალიანი სკალა (1=სრულიად არ ვეთანხმები, 2=არ ვეთანხმები, 3=ნეიტრალური ვარ, 4=ვეთანხმები, 5=სავსებით ვეთანხმები). გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონული ინტერვიუს მეთოდით. კვლევაში გამოვიყენეთ თვითადმინისტრირებადი გამოკითხვის მეთოდი, რათა თავიდან აგვეცილებინა ინტერვიუერის სუბიექტურობით გამოწვეული შეცდომები. კვლევის მთლიან პოპულაციას წარმოადგენდა საქართველოს მოსახლეობა, ხოლო კვლევის არეს — სხვადასხვა ქალაქები. შერჩევის ფორმირება მოხდა სააღბათო მეთოდის საფუძველზე. 95%-იანი სანდო ალბათობისა და 4%-იანი ცდომილების გათვალისწინებით, სულ გამოიკითხა 18 წელზე მეტი ასაკის 654 რესპონდენტი (მათ შორის მამაკაცი იყო 280, ქალი — 374). მიღებული შედეგები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამა SPSS 21-ის საშუალებით. ცვლადებს შორის კავშირურთიერთობის დასადგენად გამოვიყენეთ რეგრესიული ანალიზის მეთოდი [Malhotra, 2010].

მოცემულ კვლევაში ცალკეული დებულებების სანდოობის გასაზომად გამოყენებულია კრონბახის ალფა. ცალკეული ცვლადი ან დებულება შეიძლება ჩაითვალოს სანდოდ, თუ მისი მნიშვნელობა აღემატება 0,60-ს [Malhotra, 2010]. კრონბახის ალფას მნიშვნელობები მოცემულია 1-ელ ცხრილში, საიდანაც ჩანს, რომ მიღებული შედეგები მაღალია და სანდოა.

**ცხრილი 1**

**კრონბახის ალფას მნიშვნელობები**

ცვლადები	დებულებების რაოდენობა	კრონბახის ალფას მნიშვნელობა
პროდუქტის განთავსების მიმღებლობა	4	0.862
ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება	9	0.803
ბრენდის გახსენება	9	0.902
ბრენდისადმი დამოკიდებულება	7	0.895
მთლიანი	29	0.928

წყარო: ავტორები

**კვლევის შედეგები.** ზემოთ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზების შემოწმებისათვის გამოვიყენეთ რეგრესიული ანალიზი. პირველ რიგში, დავადგინეთ დამოუკიდებელი ცვლადის,

პროდუქტის განთავსების მიმდებლობის გავლენა დამოკიდებულ ცვლადებზე, განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერებაზე და ბრენდის გახსენებაზე (იხ. ცხრილი 2). აღმოჩნდა, რომ ეს გავლენა ორივე შემთხვევაში საკმაოდ მნიშვნელოვანია ( $F=183.844$ ,  $P<0.005$  და  $F=88.662$ ,  $P<0.005$ ). შესაბამისად, პირველი და მეორე ჰიპოთეზები დამტკიცებულია.

შემდგომ გამოვიკვლიეთ, როგორ გავლენას ახდენს განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება ბრენდის გახსენებაზე (იხ. ცხრილი 3). აშკარაა, რომ განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერების გავლენა ბრენდის გახსენებაზე საკმაოდ მნიშვნელოვანია ( $F= 204.603$ ;  $P<0.005$ ), რითაც მესამე ჰიპოთეზა დამტკიცდა.

**ცხრილი 2**

**ბრენდის შესახებ გათვითცნობიერებასა და ბრენდის გახსენებაზე პროდუქტის განთავსების მიმდებლობის გავლენის რეგრესიული ანალიზი**

		კვადრატების ჯამი	DF	საშუალო კვადრატი	F	P
ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება	რეგრესია	4360.276	1	4360.276	183.844	.000
	ცდომილება	15487.410	653	23.717		
	ჯამი	19847.685	654			
ბრენდის გახსენება	რეგრესია	3543.482	1	3543.482	88.662	.000
	ცდომილება	26097.795	653	39.966		
	ჯამი	29641.276	654			

წყარო: ავტორები

**ცხრილი 3**

**განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერების გავლენის რეგრესიული ანალიზი ბრენდის გახსენებაზე**

		კვადრატების ჯამი	DF	საშუალო კვადრატი	F	P
ბრენდის გახსენება	რეგრესია	7071.676	1	7071.676	204.603	.000
	ცდომილება	22569.600	653	34.563		
	ჯამი	29641.276	654			

წყარო: ავტორები

რეგრესიული ანალიზი გამოვიყენეთ იმის შესამოწმებლად, თუ როგორ მოქმედებს ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება და ბრენდის გახსენება ბრენდებისადმი დამოკიდებულებაზე (იხ. ცხრილი 4). შედეგები ცხადყოფს, რომ ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება და ბრენდის გახსენება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბრენდებისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში ( $F=239.388$ ;  $P<0.005$  და  $F=288.287$ ;  $P<0.005$ ). შესაბამისად, მეოთხე და მეხუთე ჰიპოთეზები დამტკიცდა.

**ცხრილი 4**

**ბრენდისადმი დამოკიდებულებაზე განთავსებული ბრენდის შესახებ გათვითცნობიერებისა და ბრენდის გახსენების გავლენის რეგრესიული ანალიზი**

		კვადრატების ჯამი	DF	საშუალო კვადრატი	F	P
ბრენდის შესახებ გათვითცნობიერება	რეგრესია	5504.212	1	5504.212	239.388	.000
	ცდომილება	15014.329	653	22.993		
	ჯამი	20518.540	654			
ბრენდის გახსენება	რეგრესია	6284.195	1	6284.195	288.287	.000
	ცდომილება	14234.345	653	21.798		
	ჯამი	20518.540	654			

წყარო: ავტორები

**დასკვნა.** ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ წარმოაჩინა, რომ ქართველი მომხმარებელი დადებითად აღიქვამს პროდუქტის განთავსების მახასიათებლებს. სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს კვლევაში გამოყენებული მოდელის სანდოობას. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ჩვენ მიერ შერჩეული პროდუქტის განთავსების მახასიათებლები რელევანტურია მომხმარებლებთან ურთიერთობებისათვის. ამიტომ კვლევის შედეგებს აქვს თეორიული მნიშვნელობა პროდუქტის განთავსების, როგორც მარკეტინგული კომუნიკაციის ინსტრუმენტის, გამოყენების თვალსაზრისით. კვლევის შედეგების პრაქტიკული განხორციელება ხელს შეუწყობს მარკეტინგული კომუნიკაციის სფეროში დასაქმებულ მენეჯერებს, გაიფართოონ თავიანთი წარმოდგენა პროდუქტის განთავსების ტექნოლოგიის შესახებ და აქტიურად გამოიყენონ იგი თავიანთი ბრენდების პოპულარიზაციისა და მიზნობრივი აუდიტორიის მოსაზიდად.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Aaker, D. A. (2009). Managing brand equity. *Simon and Schuster*.
2. Apil, A. R., Kaynak, E., and Todua, N. (2009). Product Preference Differences of High and Low Ethnocentric Consumers in Georgia. In *Proceedings of the 18th World Business Congress „Management Challenges in an Environment of Increasing Regional and Global Concerns“*, International Management Development Association, pp. 531-539.
3. Avery, R. J., & Ferraro, R. (2000). Verisimilitude or advertising? Brand appearances on prime-time television. *Journal of Consumer Affairs*, 34(2), 217-244.
4. Balakrishnan, B., Dousin, O., & Permarupan, P. (2012). The impact of brand placement and brand recall in movies: Empirical evidence from Malaysia. *International Journal of Management and Marketing Research*, 5(2), 39-52.
5. Barbarossa, C., & De Pelsmacker, P. (2016). Positive and negative antecedents of purchasing eco-friendly products: A comparison between green and non-green consumers. *Journal of Business Ethics*, 134, 229-247.
6. Barnhardt, T. M., Manzano, I., Brito, M., Myrick, M., & Smith, S. M. (2016). The effects of product placement in fictitious literature on consumer purchase intention. *Psychology & marketing*, 33(11), 883-898.
7. Chan, F. F. Y. (2020). Prior disclosure of product placement: The more explicit the disclosure, the better the brand recall and brand attitude. *Journal of Business Research*, 120, 31-41.
8. Chan, F. F. Y., Lowe, B., & Petrovici, D. (2015). Young adults' perceptions of product placement in films: An exploratory comparison between the United Kingdom and Hong Kong. *Journal of Marketing Communications*, 23(3), 311-328.
9. Chan, F. F. Y., Petrovici, D., & Lowe, B. (2016). Antecedents of product placement effectiveness across cultures. *International Marketing Review*.
10. Chavadi, C. A., Menon, S. R., & Sirothiya, M. (2019). Modelling the Effects of Brand Placements in Movies: An Investigative Study of Event Type and Placement Type. *Vision*, 23(1), 31-43.
11. Coker, K. K., & Altobello, S. A. (2018). Product placements in social settings: The impact of coviewing on the recall of placed brands. *Journal of Business Research*, 87, 128-136.
12. Duncan, T. R. (2002). IMC: Using advertising and promotion to build brands. *McGraw-Hill*.
13. Gillespie, B., Muehling, D. D., & Kareklas, I. (2018). Fitting product placements: Affective fit and cognitive fit as determinants of consumer evaluations of placed brands. *Journal of Business Research*, 82, 90-102.
14. Gupta, P. B., & Lord, K. R. (1998). Product placement in movies: The effect of prominence and mode on audience recall. *Journal of Current Issues & Research in Advertising*, 20(1), 47-59.
15. Hudders, L. (2012). Why the devil wears Prada: Consumers' purchase motives for luxuries. *Journal of Brand Management*, 19, 609-622.
16. Jashi, C., & Todua, N. (2013). Behavior change through social marketing (Georgian case). In *Abstract Book of World Social Marketing Conference, Toronto* (pp. 95-97).
17. Jasmin, N. Z. B., Puspanathan, C. A., Haris, N. I. B., Devarajoo, A. R., & Simon, S. (2023). The Impact of Brand Placement Acceptance on Consumer Purchasing Intentions: A Case Study on Perak's State Working Adults. *International Journal of Recent Advances in Multidisciplinary Topics*, 4(4), 28-35.
18. Jung, E., & Childs, M. (2020). Destination as product placement: An advertising strategy to impact beliefs and behavioral intentions. *Journal of International Consumer Marketing*, 32(3), 178-193.

19. Kakkar, K., Nayak, A. (2019). Analysis of Product Placement in Web Series and Its Influence on Consumer Buying Behavior. *Global Journal of Management And Business Research: E Marketing*, 19(3), 21-27.
20. Keller, K. L. (2001). Building customer-based brand equity: A blueprint for creating strong brands.
21. Khurram, M., Qadeer, F., & Sheeraz, M. (2018). The role of brand recall, brand recognition and price consciousness in understanding actual purchase. *Journal of Research in Social Sciences*, 6(2), 219-241.
22. Kitchen, P. J., & Burgmann, I. (2010). Integrated marketing communication. *Wiley international encyclopedia of marketing*.
23. Kongmanon, J., & Petison, P. (2022). What do you see and what do you recall?: Using eye tracking to understand product placement. *Cogent Business & Management*, 9(1), 2120263.
24. Kumar, S. (2017). Influence of Product Placements in Films and Television on consumers' Brand Awareness. *Archives of Business Research*, 5(2), 163-179.
25. Law, S., & Braun, K. A. (2000). I'll have what she's having: Gauging the impact of product placements on viewers. *Psychology & Marketing*, 17(12), 1059-1075.
26. Lew, Y. S., & Tee, J. N. (2019). Correlation between Product Placement in Film, Purchase Intention and Brand Attitude. *Jurnal Pengajian Media Malaysia*, 21(1), 61-74.
27. Lu, L. C., Chang, W. P., & Chang, H. H. (2014). Consumer attitudes toward blogger's sponsored recommendations and purchase intention: The effect of sponsorship type, product type, and brand awareness. *Computers in Human Behavior*, 34, 258-266.
28. Malhotra, N. (2010). *Marketing research: An applied orientation*. 6th ed., Upper Saddle River, N.J.; London: Pearson Education.
29. Malik, A. & Sudhakar, B.D. (2014). Brand positioning through celebrity Endorsement-A review contribution to brand literature. *International Review of Management and Marketing*, 4(4), 259-275.
30. Matin, A., Khoshtaria, T., & Todua, N. (2022). The Impact of Social Media Influencers on Brand Awareness, Image and Trust in their Sponsored Content: An Empirical Study from Georgian Social Media Users. *International Journal of Marketing, Communication and New Media*, 10(18), 88-114.
31. Mohd-Nordin, M. A. S., & Baharom, S. N. (2018). A Study on Awareness of Product Placement in Malaysian Movies. *Ideology Journal*, 3(2), 103-108.
32. Ndlela, T., & Chuchu, T. (2016). Celebrity Endorsement Advertising: Brand awareness, brand recall, brand loyalty as antecedence of South African young consumers' purchase behaviour. *Journal of Economics and Behavioral Studies*, 8(2), 79-90.
33. Nebenzahl, I. D., & Secunda, E. (1993). Consumers' attitudes toward product placement in movies. *International journal of advertising*, 12(1), 1-11.
34. Nordin, M. A. S. M., & Baharom, S. N. (2018). A Study on Awareness of Product Placement in Malaysian Movies. *Ideology Journal*, 3(2), 103-108.
35. Ong, C. C., Santiago, C. J., & Verdejo, C. K. (2022). Product Placement in Filipino Films: An approach to Consumer Purchasing Intention. *Journal of Business and Management Studies*, 4(1), 179-188.
36. Pancaningrum, E., & Ulani, T. (2020, January). The Effect of Product Placement on Customer Interests in Mediation by Brand Awareness. In *17th International Symposium on Management (Insyma 2020)* (pp. 177-182).
37. Parengkuan, V. J., Tulung, J. E., & Arie, F. V. (2020). Influence of product placement in movies and television programs towards brand recall of millennials. *Jurnal EMBA: Jurnal Riset Ekonomi, Manajemen, Bisnis Dan Akuntansi*, 8(1), 2085-2094.
38. PQ Media (2022). Global Product Placement Forecast 2022-2026. Available online at: <https://www.pqmedia.com/product/global-product-placement-forecast-2022-2026/>
39. Puspanathan, C. A., Jasmin, N. Z., Singh, N. S. B., Lim, S. S., & Simon, S. (2020). The Influential Characteristics of Brand Placement towards Consumers Intention to Purchase: A Study on Youth Consumer's Intentions to Purchase in Perak: Ciri-Ciri Berpengaruh Perletakan Jenama Terhadap Niat Pembelian Pengguna dalam Kalangan Orang Muda di Perak. *Sains Insani*, 5(1), 22-33.
40. Raza, A., & Jalees, T. (2016). Measuring the effect of product placement strategy on attitudinal aspects. *Pakistan Business Review*, 18(3), 774-789.
41. Russell, C. A., & Belch, M. (2005). A managerial investigation into the product placement industry. *Journal of advertising research*, 45(1), 73-92.



42. Saqif, Z., & Razi, S. (2018). Brand placements in films and television: An effective marketing communication strategy to influence customers. *International Journal of Management Excellence*, 10(3), 1423-1433.
43. Srivastava, R. K. (2016). Promoting brands through product placement in successful and unsuccessful films in emerging markets. *Journal of Promotion Management*, 22(3), 281-300.
44. Tessitore, T., Pandelaere, M., & Van Kerckhove, A. (2014). The Amazing Race to India: Prominence in reality television affects destination image and travel intentions. *Tourism management*, 42, 3-12.
45. Todua, N. (2019). Using social media marketing for attracting foreign tourists to Georgian destinations. *Globalization & Business*, 7, 39-48.
46. Todua, N., & Dotchviri, T. (2015). Anova in marketing research of consumer behavior of different categories in georgian market. *Annals of the Constantin Brancusi University of Targu Jiu, Economy Series*, (1), 183-190.
47. Todua, N., & Jashi, Ch. (2018). Influence of Social Marketing on the Behavior of Georgian Consumers Regarding Healthy Nutrition. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 12(2), 183-190.
48. Todua, N., & Robakidze, G. (2023a). Marketing Aspects of Product Placement and Modern Trends in its Development. *Economics and Business*, 15(2), 78-104.
49. Todua, N., & Robakidze, G. (2023b). The Impact of Product Placement on Consumer Behaviour (Case of Georgia). *International Journal of Scientific and Management Research*, 6(8), 21-29.
50. Tritama, H. B., & Tarigan, R. E. (2016). The effect of social media to the brand awareness of a product of a company. *Communication and Information Technology*, 10(1), 9-14.
51. Van Dijk, C. N., Van Witteloostuijn, M., Vasić, N., Avrutin, S., & Blom, E. (2016). The influence of texting language on grammar and executive functions in primary school children. *PloS one*, 11(3), e0152409.
52. Van Reijmersdal, E. (2009). Brand placement prominence: Good for memory! Bad for attitudes? *Journal of advertising research*, 49(2), 151-153.
53. Wei, M.-L., Fischer, E., & Main, K. J. (2008). An examination of the effects of activating persuasion knowledge on consumer response to brands engaging in covert marketing. *Journal of Public Policy & Marketing*, 27(1), 34-44.
54. Wiles, M. A., & Danielova, A. (2009). The worth of product placement in successful films: An event study analysis. *Journal of marketing*, 73(4), 44-63.
55. Yao, C., & Huang, P. (2017). Effects of placement marketing on product attitude and purchase intention in traditional industry. *Eurasia Journal of Mathematics, Science and Technology Education*, 13(12), 8305-8311.

*Nugzar Todua*  
*Giorgi Robakidze*

## THE EFFECT OF PRODUCT PLACEMENT ON GEORGIAN CONSUMERS' ATTITUDE TOWARDS BRANDS

### Abstract

The article shows that the need to use integrated marketing communications in modern business is increasing, which is essential for establishing long-term consumer relationships. One such way of interacting with consumers is product placement, which is widely used in marketing communications. The importance of the practice of product placement is demonstrated by the fact that today, the growth rate of its use already significantly exceeds that of traditional advertising. Consequently, traditional television advertising is an increasingly less effective way to promote a brand or product. In this case, a unique role is assigned to product placement, which is the most important marketing method for attracting the attention of consumers and influencing them. The practice of product placement in the Georgian market is quite widespread. Nevertheless, in the Georgian scientific space, more research is needed to be dedicated to this issue. Considering this, the paper aims to study the impact of product placement on Georgian consumers' attitudes towards brands.

Based on the analysis of literary materials, the paper identifies the main variables related to product placement. Such variables include: Acceptance of product placement; Awareness of the placed brand; Recall of the established brand; Attitude toward the placed brand. For the characterization of each variable, relevant items are used, based on which the research conceptual model is developed and the research hypotheses are formulated.

The research design was based on a quantitative research method, namely, a consumer survey, and a questionnaire consisting of several structured questions was selected as a research tool. The study measured variables and relevant chosen items based on the literature. A five-point Likert scale is used in the questionnaire. The survey was conducted using the electronic interview method. The research uses a self-administered survey method. The research's target audience was Georgia's population, and different cities represented the study area. The sample was formed based on the probability method. Given a 95% confidence level and a 4% margin of error, a total of 654 respondents over the age of 18 were interviewed. The obtained results were processed by the statistical program SPSS 21. The regression analysis method is used to determine the relationship between the variables.

Based on marketing research, the attitude of Georgian consumers towards the main variables of product placement has been identified. Using regression analysis, statistically significant values that reflect the relationship between product placement variables were obtained.

The research showed that Georgian consumers positively perceive the characteristics of product placement. Statistical analysis confirmed the reliability of the model used in the study. The study results revealed that selected product placement characteristics are relevant to consumer relationships. Therefore, the study results have theoretical significance in using product placement as a marketing communication tool. The practical implementation of the research results will help managers working in marketing communication expand their understanding of product placement technology and actively use it to promote their brands and attract target audiences.

### *მურმან კვარაცხელია*

### **გლობალური პრობლემები და ეკონომიკური უსაფრთხოება**

*ანოტაცია.* თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესი მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნების ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან. მისი თანმდევი მოვლენები ღრმა ტრანსფორმაციის შედეგია, რომელიც დაიწყო მეოცე საუკუნის შუახანებიდან, კერძოდ, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. ამ სრულიად განსხვავებული ეპოქიდან იწყება მსოფლიო საზოგადოების მიერ თავიანთი ღირებულებების ძირფესვიანი გადაფასება განსაკუთრებული ინოვაციური მიდგომებით. ამასთან კარდინალურად იცვლება უკვე ჩამოყალიბებული, მანამდე არსებული იდეოლოგია და სრულიად ახალი და პროგრესული ინსტიტუტების ფორმირება ხდება. ასეთმა დინამიკურმა გარდაქმნებმა მოითხოვა ისეთი ფუნდამენტური ღირებულებების წინ წამოწევა, რომლებიც ქვეყნების ყოველგვარ უსაფრთხოებაზე აგებენ პასუხს. ამის ერთ-ერთ საფუძვლიან ფორმას წარმოადგენს სწორედ ეკონომიკური უსაფრთხოება.

ეკონომიკური უსაფრთხოება კორელაციურ კავშირშია გლობალიზაციის გამოწვევებთან, რომელიც მოითხოვს რეალური პროგნოზირების პროცესის სრულყოფილი სახით განსაზღვრას. ეს აუცილებელია ეკონომიკური მოვლენების მდგომარეობის ობიექტურად შეაფასებისათვის, რომლის დროსაც ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები სრულად აკმაყოფილებს საზოგადოებრივი ცხოვრების გამოწვევებს.

დღევანდელ მსოფლიოში გლობალიზაციის თანმდევი პროცესებმა საზოგადოების ცხოვრებაში გარკვეული პრობლემები წამოატივტივა. გამოიკვეთა ორი მთავარი მიმართულება, რომელიც მდგრადი განვითარების მთავარი ფაქტორებიცაა. კერძოდ, ესენია გლობალური ეკონომიკური სტაბილურობა და გარემოს დაცვის პროცესებისადმი ქმედითი დამოკიდებულება. გლობალიზაციის სიღრმისეული ანალიზის შედეგები არცთუ ისეთი დადებითი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა, როდესაც საქმე ეხება მსოფლიო მოსახლეობის ტოტალურ მოთხოვნებს, რომელიც მრავალფეროვანია და სხვადასხვა კუთხით განიხილება. ამიტომ ეს საკითხები დღითიდღე კიდევ მეტად აქტუალური ხდება. ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით იმ დადებით ტენდენციებსაც, რომლებიც გლობალიზაციის წარმატებებს მიეწერება. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა ცალკეულ რეგიონულ სტრუქტურებში, სადაც წარმატებით განვითარდა ვაჭრობა, გაიხსნა ახალი ბაზრები. ყოველივე ამან

ტექნოლოგიებისადმი ინოვაციური მიდგომის ახალი მიმართულებების შექმნა მოითხოვა. ამის ქვაკუთხედი იყო სოციალური სამართლიანობის გაუმჯობესება, თუმცა მთავარია ვინ ადგენს აქ თამაშის წესებს. აქედან იკვეთება ერთი ისეთი ტენდენცია, რომელიც ისევ და ისევ მდიდართა გამდიდრებასა და ღარიბების კიდევ უფრო გაღარიბებას უწყობს ხელს. ეს ნიშნავს, რომ ყველა ეს პროცესი მდიდარი ქვეყნების ინტერესებს უფრო ემსახურება, ვიდრე ღარიბებისა და აქ მთავარია ის, რომ პრიორიტეტულია მდიდარი ქვეყნების მაცხოვრებელთა მცირე ნაწილის ინტერესები.

ჩვენი აზრით, გლობალიზაციის პროცესი, ეს ცვალებადობის დაჩქარებული მოთხოვნის აუცილებლობითაცაა ნაკარნახევი. ამიტომ წინა პლანზე წამოწეულია რეფორმების აუცილებლობა, რაც ნიშნავს მუდმივი განახლების ტურბულენტულ ქაოსში მარადიულ ტრიალს. ეს კი ახალ-ახალი მიღწევების წინაპირობაცაა. გლობალიზაციის პირმშობი ის საერთაშორისო ინსტიტუტებია, რომელთა რეფორმებიც დროის ადეკვატურად უნდა განხორციელდეს. ეს არა მარტო დროის, არამედ ადამიანობის მოთხოვნაც ხდება, რისი გაუთვალისწინებლობა არ ეგების და ყოველნაირად ცდილობენ მათი ინტერესების შესაბამისად რეფორმისტული ნაბიჯების გადადგმას. თუ რამდენად შედის საერთაშორისო ინსტიტუტების მენეჯმენტის ინტერესებში რაიმე რადიკალური ცვლილების გატარება, ესეც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. აქ გამორიცხული არ არის გლობალური ინსტიტუტების ფუნდამენტებში რყევების ინსპირირებაც, რაზეც არავინ არ წავა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღევანდელი მსოფლიო უამრავი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, მთავარია გლობალიზაციის კურსის შეცვლა. ეს ისეთი აუცილებლობითაა გამოწვეული, რომელმაც სასიკეთო ცვლილება და სარგებლობა უნდა მოუტანოს ყველას. ეს დღის წესრიგში აყენებს საერთაშორისო უკონომიკური ინსტიტუტების შეცვლას, მხოლოდ დადებითი კუთხით, განვითარების თვალსაზრისით. ამისთვის აუცილებელია გლობალური და ლოკალური ინტერესების თანხვედრა და წარუმატებლობის მიზეზების ახლებურად გააზრება.

ყველა ასეთი ცვლილება, ბუნებრივია, კონკრეტულ ზემოქმედებასაც ახდენს ცალკეულ ქვეყნებზე, რომელთა ერთობლიობა ქმნის მსოფლიო ეკონომიკას. მათი სტაბილური და მდგრადი განვითარება კი დამოკიდებულია ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტიებზე, რომლისკენაც მიისწრაფვის მსოფლიოს ქვეყნები. ასეთი პროცესები ეხება ეროვნული ეკონომიკების სუბიექტების საქმიანობის მყარი უსაფრთხოების უზრუნველყოფასაც. ამისთვის მთავარია უსაფრთხოების რისკების განსაზღვრა, რომლებიც ნეგატიურად მოქმედებენ სახელმწიფოთა ეკონომიკურ განვითარებაზე.

გლობალიზაციის პროცესში პირდაპირი თუ ირიბი საფრთხეების პირობებში მნიშვნელოვანია ქვეყნების ეკონომიკური სიძლიერე, ანუ ეკონომიკის განვითარების ტემპების რეგულირება, რამდენადაც ეს მარტო მათ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ უმეტესწილად განვითარებადი ქვეყნები სოლიდარობას უცხადებენ სხვის მიერ დაწერილ წესრიგს იმდენად, რამდენადაც ეს გლობალიზაციისთვის დამახასიათებელი რეალური ძალაა. იგი განსაზღვრავს სახელმწიფოების ინტეგრაციას, რაც გამოიხატება ურთიერთდამოკიდებულებაში უპირატესად ეკონომიკური პროცესების მიმართულებით. თუმცა გლობალიზაციამ უკვე შეადგინა ადამიანური საქმიანობის ყველა სფეროში და იგი გახდა ყოვლისმომცველი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩნდება ერთიანი „თამაშის წესები“ საერთო კოლექტიური უსაფრთხოების ღონისძიებების შემუშავებაში. განვითარებული ქვეყნების უპირატესობა აშკარად თვალსაჩინოა და მათი ინტერესების გათვალისწინებაც აუცილებელია.

ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემების გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია სახელმწიფოთა ტიპური გრადაცია, თუ რომელს განეკუთვნებიან – განვითარებულ, განვითარებად თუ აუტსაიდერ ქვეყნებს. ამ ზოგადი დახასიათებიდან გამომდინარე გაჩნდა უფრო კონკრეტული ტიპი სახელმწიფოებისა, კერძოდ, რესურსმომხმარებლები და რესურსგამტანები. ასეთი ქვეყნების ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ყველაზე

მეტი ზარალი რესურსგამტანმა ქვეყნებმა განიცადეს. ეს კიდევ უფრო აშკარა გახდა ბოლო წლებში განვითარებულმა კრიზისულმა პროცესებმა.

თანამედროვე გაგებით ეკონომიკური უსაფრთხოების გაგება არა მარტო ეკონომიკური კატეგორია და ეკონომიკური პროცესია, რომელიც შემოიფარგლება საკუთარი ეკონომიკური რესურსების შინაგანი მოთხოვნილების დაკმაყოფილებით, არამედ ეს ცნება ტრანსფორმირდება იმით, რომ სახელმწიფომ თვითონ შეძლოს ქვეყნის ურთიერთობა ააშენოს გლობალური ეკონომიკის ქვესისტემად, რომელიც უზრუნველყოფს სამეურნეო სუბიექტების მოთხოვნილების მაქსიმალურად სრულ დაკმაყოფილებას. ამისთვის ერთ-ერთი მთავარი პირობებია საკუთარი გამოუყენებელი რესურსების მცირე რაოდენობით გამოყენება. ამისთვის არსებობს ისეთი შესაძლებლობა, როდესაც პარტნიორებთან ერთად გადაწყვეტენ საკუთარი ამოცანების გადაწყვეტის შესაძლებლობების რეალიზაციას.

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა სხვადასხვა მიმართულებით ხდება, კერძოდ, მაკროეკონომიკის პოლიტიკის ინსტრუმენტებთან შესაბამისობით და მის მაჩვენებლებზე კონტროლით. ესენი კომპლექსურად ასახავენ ქვეყნების ეკონომიკური უსაფრთხოების დონეს. ამისათვის აუცილებლობას წარმოადგენს ქვეყნებისა და გლობალური სამეურნეო სუბიექტების მიმართ შემუშავდეს სამომავლო სტრატეგია და კონკრეტული მოქმედებების პროგრამები. ყოველივე ამან შეიძლება შესამჩნევი გავლენა მოახდინოს ერთი სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა გაერთიანებების ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციების ინტერესებისა და გარანტიების დაცვა. ყოველივე ეს გულისხმობს გარემოს დაცვასა და ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესებას წარმოების ახალი ფორმების მიერ ფონზე.

გლობალიზაციის შემდგომ ეტაპებზე ნიშანდობლივია ისეთი პროცესების განვითარების დაჩქარება, რაც გართულებს სახელმწიფოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას. ეს კი გამოიწვევს სახელმწიფოს კონტროლის დაკარგვას ზოგიერთ ეკონომიკურ პროცესზე. აქედან გამომდინარე, ცხადია, ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემა რთულდება და მოითხოვს ეკონომიკური შესაძლებლობების გაერთიანებას, რა დროსაც უზრუნველყოფილი იქნება ეროვნული ინტერესების დაცვა მსოფლიო და სამამულო ეკონომიკურ სივრცეში მათი ეკონომიკური პოტენციალის განვითარების მიზნით. ყოველივე ეს, საბოლოო ჯამში, ეკონომიკების პროგრესის ხელშემწყობი ფაქტორები გახდება.

ცალკეული და, განსაკუთრებით, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრაქტიკა თანდათანობით რთულდება, ეს განპირობებულია გლობალიზაციის შედეგად მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის ახალ ეტაპზე შესვლით. ამ მოვლენებმა რადიკალურად შეცვალა მაკროპროპორციები მათ შემადგენელ ქვესისტემებს შორის, რასაც ახასიათებს უკუპროცესების წარმოქმნაც, რომლებიც ზემოქმედებენ ეკონომიკური უსაფრთხოების ხასიათსა და დონეზე. ეს კი ახალი ინოვაციური მიდგომების წარმომქმნელი ფაქტორები ხდება, რომლის მთავარი ფუნქციაა სამეურნეო სისტემის დარეგულირება. ამას უკვე ბუნებრივად მოჰყვება მონეტარული პოლიტიკის გადახალისება ეროვნული ბანკების როლისა და ფუნქციების რეგულირების მიზნით. აქ ჩნდება ელექტრონული ფულის როლის გაძლიერების შესაძლებლობაც.

ეკონომიკური უსაფრთხოების გამოწვევების თეორიული ანალიზი მეტყველებს იმაზე, რომ დღის წესრიგში დგება ახალი საფრთხეების პრევენცია. ამისათვის აუცილებელია იმ ინფორმაციული ნაკადის დამუშავება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, მოვლენები ადეკვატურად შეფასდეს. ეს ხდება იმის გარანტი, რომ მოხდეს ეკონომიკური უსაფრთხოების მინიმიზაცია სახელმწიფოსთვის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სრულმასშტაბიან გლობალიზაციამდე სამეურნეო საქმიანობის წარმატებები დამოკიდებული იყოს ძირითადად წარმოების კლასიკური ფაქტორების კომბინაციების ხარისხზე. დღეს ის განისაზღვრება კაპიტალის რთული კომბინაციის, ინფორმაციული და ინტელექტუალური რესურსების გამოყენებით სწრაფი და ხარისხიანი ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის როგორც წარმატების, სტაბილურობისა და განვითარების გარანტიას.

ეკონომიკური უსაფრთხოების გამოწვევების აღმოსაფხვრელად და დადებითი შედეგების მისაღწევად მრავალი პრევენციული ღონისძიებების გატარებაა აუცილებელი. ამის მთავარი წინაპირობაა ეკონომიკის სიღრმისეული მოდერნიზაცია, რომელიც შემდგომში დაგვარად თავისუფალი უნდა იყოს გლობალური პროცესების ზემოქმედებისაგან. ამასთან ერთად ის უნდა იყოს მასშტაბური და შეძლოს ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია სხვა კონკურენტებისაგან განსხვავებით, რომლებსაც გააჩნიათ ინოვაციური ტექნოლოგიები.

გლობალიზაციის თანამედროვე პროცესებმა სახელმწიფოების ფუნქციურ ხარისხზე მოახდინა არსებითი გავლენა. იგი მაკონტროლებელი როლის ხარისხის შემცირების ხარჯზე პარტნიორობაზე უნდა გახდეს ორიენტირებული. სწორედ სახელმწიფო იქცა დღეს პარტნიორად ბიზნესისა და ადამიანებისთვის. ამიტომ აუცილებელია ეკონომიკური გარდაქმნების პროცესების დაჩქარება მოდერნიზაციის გზით, რაც ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევის გადამწყვეტი ფაქტორიც გახდება მომავალში.

ამ შემთხვევაში იკვეთება სახელმწიფოს მთავარი ფუნქციის შესრულების ფაქტორიც, რომელმაც უნდა შეძლოს სწორი სტრატეგიის შემუშავებით ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სწორი პროგნოზირების სისტემის ჩამოყალიბება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რომელიც ქვეყნის სასიცოცხლო მიზნების რეალიზაციას შეუწყობს ხელს, ეს კი საზოგადოების მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილებასაც ითვალისწინებს.

სახელმწიფოთა ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა გლობალიზაციის პირობებში მრავალი მიმართულებით შეიძლება მოხდეს. ერთ-ერთი არის სწორედ უსაფრთხოების პროცესის გაძლიერება, რაც გულისხმობს სახელმწიფოს როლის განმტკიცებას მსოფლიო თანამეგობრობაში ეკონომიკური და არაეკონომიკური პოზიციების განმტკიცების კუთხით. ამ პროცესის ეფექტიანობის მიღწევა შესაძლებელია სახელმწიფოთა ძალების გაერთიანებით, მათი ფუნქციების გადანაწილებით. ამასთან ერთად უნდა გაძლიერდეს სახელმწიფოსა და მსხვილი ბიზნესის ინტერესების ბალანსის მიღწევა. ეს კი ეკონომიკური უსაფრთხოების სასურველი დონის ოპტიმიზაციის მიღწევის ხელშეწყობი ფაქტორი გახდება.

ზემოთ განხილული საკითხების თეორიული ანალიზი გლობალურ პრობლემებთან ეკონომიკური უსაფრთხოების კუთხით, გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ჩამოვაყალიბოთ გარკვეული დასკვნები, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

გლობალიზაციის პირობებში, რომელიც შეუქცევადი გახდა კაცობრიობისათვის, უფრო და უფრო ძლიერდება ეკონომიკური უსაფრთხოების როლი. მის დონეზე ხდება დამოკიდებული ნებისმიერი ტიპის სახელმწიფოების ეკონომიკური და არაეკონომიკური პოზიცია მსოფლიო თანამეგობრობაში.

მსოფლიოში მიმდინარე არაპროგნოზირებადმა პროცესებმა სახელმწიფოები დააყენა გარდუვალი დილემის წინაშე, ეკონომიკური უსაფრთხოების სრულმასშტაბიანი მიღწევა შესაძლებელია რამდენიმე სახელმწიფოს ძალთა გაერთიანებით, რაც გამოიწვევს მათი ფუნქციების გადანაწილებას.

აუცილებელი ხდება სახელმწიფოსა და მსხვილი ბიზნესის ინტერესთა დაბალანსება საზოგადოების სასარგებლოდ, რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ ეკონომიკური უსაფრთხოების პროცესის მიღწევის ოპტიმიზაციისაკენ.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯოზეფ სტიგლიცი, გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება. თბილისი, 2012 წელი.
2. Кирилин А. [www.trud.ru/artike\\_11/24-05/88066\\_gadanie na\\_vto.html](http://www.trud.ru/artike_11/24-05/88066_gadanie_na_vto.html).
3. Иноземцев В.Л. Современное постиндустриальное общество: природа, противоречия, перспективы. М., 2004.
4. Харламов А.В., Чирук И.С. Изменение концепции экономической политики государства в условиях глобализации. Известия СПбУЭФ, 2005, №2.

## GLOBAL PROBLEMS AND ECONOMIC SECURITY

## Abstract

In the modern world, the process of globalization is closely related to the economic security of countries. Its subsequent events are the result of a deep transformation that began in the middle of the twentieth century, namely, after the end of the Second World War. From this completely different era, the world community begins to fundamentally reevaluate its values with special innovative approaches. At the same time, the already formed, previously existing ideology is radically changed and completely new and progressive institutions are formed. Such dynamic transformations required the promotion of such fundamental values, which are responsible for all security of the countries. Economic security is one of the basic forms of this.

Economic security is correlated with the challenges of globalization, which requires a perfect definition of the real forecasting process. This is necessary for an objective assessment of the state of economic events, during which the main economic indicators fully meet the challenges of public life.

პატა კოლუაშვილი  
იოსებ არჩვაძე

მარცვლეულით თვითუზრუნველყოფის სტრატეგია,  
როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების ქვაკუთხედი

**ანოტაცია.** სტატიაში განხილულია თანამედროვე პირობებში მარცვლეულით მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემები, მისი გამწვავების მიზეზები და დაძლევის გზები. სურსათის, კერძოდ, მარცვლეულის პოლიტიკური ზეწოლის იარაღად მზარდი გამოყენების გამო ხაზგასმულია მარცვლეულით, პირველ რიგში, ხორბლით თვითუზრუნველყოფის დონისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დონეთა შორის კავშირი, აღნიშნული პრობლემის აქტუალობა თანამედროვე საქართველოსათვის, მარცვლეულით მომარაგების გაურესების ნეგატიური გავლენა საქართველოში მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებასა და მოსახლეობის რძისა და ხორცპროდუქტებით უზრუნველყოფაში. მარცვლეულის წარმოებისა და მოხმარების მწვავე დეფიციტის რისკ-ფაქტორი საქართველოსათვის დაკავშირებულია აღნიშნული რესურსის შევსების პროცესის ძირითადად ერთ გარე წყაროზე დამოკიდებულებასთან. სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაწყვეტა მიჩნეულია ქართული სოფლის გადარჩენის, მიგრაციის შეჩერების ფაქტორად და ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების ტოლფას გარემოებად. ამასთან, მარცვლეულის წარმოების არსებითი გადიდება დაკავშირებულია მისი წარმოების მატერიალურ-ეკონომიკური სტიმულირების ყველა არსებული ბერკეტისა და საშუალების გამოყენებასთან. შემოთავაზებულია მარცვლეულის წარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა „მარცვლის“ მხარდაჭერა და მის საფუძველზე, თანამედროვე აგროტექნოლოგიებისა და ბიოსტიმულატორების გამოყენებით უახლოეს წლებში ხორბლისა და სიმინდის ნათესი ფართობებისა და მოსავლიანობის არსებითი ზრდა, ადგილობრივი წარმოების მარცვლეულით თვითუზრუნველყოფის დონის 60-65%-მდე გაზრდა, აგრეთვე სურსათის სტრატეგიული ფონდის ფორმირება.

**საკვანძო სიტყვები:** მარცვლეულით თვითუზრუნველყოფა, აგროსასურსათო საქონელი, სასურსათო უშიშროება, მარცვალზე იმპორტდამოკიდებულება, წარმოების სტიმულირება.

### შესავალი

სასურსათო პრობლემის გამწვავების საფრთხის შესახებ არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, ავტორიტეტული ჟურნალი თუ სასურსათო პრობლემატიკაში გათვითცნობიერებული ცნობილი მეცნიერი და სპეციალისტი საკმაო ხანია აფრთხილებს მთელ მსოფლიოს. ჯერ კიდევ XX საუკუნის ბოლოს გამოქვეყნდა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) პროგნოზი იმის თაობაზე, რომ 2015-2020 წლებში პლანეტის


მოსახლეობის მოთხოვნილება სურსათზე 50%-ით გაიზრდებოდა, რაც უმწვავეს სასურსათო კრიზისს გამოიწვევდა 2022-2025 წლებში.

ეს ოფიციალური განცხადება სერიოზული გამაფრთხილებელი სიგნალი უნდა გამხდარიყო სურსათის იმპორტიორი განვითარებადი ქვეყნებისათვის, რადგან გლობალური სასურსათო კრიზისის ნეგატიური შედეგები, როგორც წესი, პირველ რიგში ასეთი ქვეყნების ღარიბ მოსახლეობაზე აისახება. 1980 წლის შემდეგ განვლილი ოთხი ათეული წლის განმავლობაში მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ შესადარ ფასებში მსოფლიოში გაიზარდა 70.7 პროცენტით, მარცვლეულის წარმოება კი – მხოლოდ 8.7 პროცენტით. აღნიშნულის გამო მსოფლიოში, განსაკუთრებით შედარებით ნაკლებად განვითარებულ და ღარიბ ქვეყნებში, შიმშილისა და პურზე წვდომის პრობლემამ კლების ნაცვლად მეტი სიმწვავე შეიძინა.

**მარცვლეულზე ფასების ზრდის ტენდენცია**

მსოფლიოში ბოლო ათწლეულებში გამოიკვეთა მარცვლეულის ფასების პერმანენტული ზრდის ტენდენცია, რომელიც „ორგანულად ეწერება“ გლობალური მასშტაბით სასურსათო კალათის გაძვირებაში. XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისთან შედარებით 1 ტონა ხორბლის საერთაშორისო ფასი 2.6-ჯერ გაიზარდა –113.5 აშშ დოლარიდან 299.3 აშშ დოლარამდე და ეს ზღვარი არ არის. შეიძლება უკვე თამამად ითქვას, რომ მსოფლიოში იაფი საკვების ეპოქა, მათ შორის იაფი პურის ეპოქა, ფაქტობრივად, დასრულდა.

**დიაგრამა 1**



გაცილებით რელიეფურად წარმოაჩენს ხორბლის ფასების ზრდის დინამიკას ქვემოთ ცხრილი როგორც ამ პროდუქციის ტრადიციულ საზომ ერთეულში – ბუშელში, ისე ტონებში.

**ცხრილი 1**

**ხორბლის მსოფლიო ფასი 1980-2022 წლებში**

(ჩიკაგოს სასაქონლო ბირჟის მიხედვით; წლის ბოლოს; აშშ დოლარი)

	1980წ.	1990წ.	2000წ.	2010წ.	2015წ.	2020წ.	2021წ.	2022წ.
ერთი ბუშელი	4.91	2.66	2.74	7.94	4.68	6.41	7.71	8.96
ერთი ტონა	113.5	61.5	63.4	183.6	108.2	148.2	178.3	207.2

წყარო: <https://www.macrotrends.net/2534/wheat-prices-historical-chart-data>

კიდევ უფრო მაღალია ხორბლის ფასი ევროპაში, სადაც მან ტონაზე უკვე 438.25 ევროს მიაღწია.

ამიტომ, რომ მარცვლი, როგორც სტრატეგიული საქონელი, ითვლება არა მარტო თითოეული ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების მთავარ გარანტად, არამედ მარცვლის იმპორტიორ ქვეყნებზე პოლიტიკური ზემოქმედების მძლავრ იარაღადაც. თუ ამას დავუმატებთ FAO-ს მიერ გაკეთებულ არაოპტიმისტურ პროგნოზს მარცვლეულის მოყვანა-მიწოდებასთან დაკავშირებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მარცვლის „სასურსათო და პოლიტიკური ფასი“ მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ამ ორგანიზაციის მონაცემებით, ხორბლის მსოფლიო წარმოებამ 2021 წელს შეადგინა 778.6 მლნ ტონა, თუმცა მისი ზრდა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში (+2.9%) 2-ჯერ ჩამორჩება იმავე პერიოდში მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელს (+5.8%). არასასურველი კლიმატური პირობები, აგრეთვე ომი რუსეთ-უკრაინას შორის, რომლებზეც მოდიოდა მსოფლიო მარცვლეულის ექსპორტის 25 პროცენტზე მეტი, ნეგატიურად აისახება მარცვლეულის მსოფლიო ვაჭრობაზე, მის რეზერვებსა და ფასებზე. მარცვლეულის მსოფლიო მარაგების თანაფარდობა გლობალურ მოხმარებასთან 2022 წლისთვის 2017 წელთან შედარებით შემცირდა 2.3 პუნქტით (31.9%-დან 29.6%-მდე).

როგორც ცნობილია, მარცვლეულის მსოფლიო რეზერვების უდიდეს ნაწილს მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო ფლობს (ძირითადად, აშშ, კანადა, ევროკავშირის ქვეყნები). ამ ქვეყნებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა აშშ, რომელზეც მსოფლიო მოსახლეობის 5% და მარცვლის მარაგების 47-50% მოდის. ეს იმ დროს, როცა მსოფლიოში მარცვლეულის იმპორტს, სხვადასხვა მოცულობით, 120-მდე ქვეყანა აწარმოებს. სიმპტომურია, რომ სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით სხვადასხვა პერიოდულობით იზღუდება მარცვლეულის და ზოგიერთი სხვა სასურსათო პროდუქციის (მაგ., შაქრის) ექსპორტი. ეს შეზღუდვები ჯერჯერობით უფრო კონიუნქტურულია, ვიდრე სისტემური, თუმცა ადვილი წარმოსადგენია სასურსათო კრიზისის წარმოშობის შემთხვევაში, მარცვლეულის იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნების, მათ შორის საქართველოს მდგომარეობაც. ამის დრამატული მაგალითი წარმოაჩინა რუსეთ-უკრაინის ომმა, როდესაც რამდენიმე თვის განმავლობაში შეწყვეტილი იყო უკრაინული ხორბლის ექსპორტი სხვა ქვეყნებში და მხოლოდ თურქეთის ხელისუფლების აქტიური შუამდგომლობით მოხერხდა მიწოდების შესაბამისი არხის გახსნა. აღნიშნულის ფონზე დასავლეთის ქვეყნებში ბოლო პერიოდში ხდება აგრარული პოლიტიკის გადახედვა, რაც გამოიხატება, ერთი მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან ფერმერებისთვის გაწეული დახმარებების (სუბსიდიების) შემცირებით, ხოლო მეორე მხრივ – იმ მკაცრი ღონისძიებების შესუსტებით, რაც მიმართული იყო საგარეო კონკურენციისგან შიგა ბაზრების დასაცავად. ეს პოლიტიკა უკვე სამართლებრივად აისახა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ე.წ. „ურუგვაის და დოჰას რაუნდების“ დოკუმენტებში.

ამ კონტექსტით ერთობ საინტერესოა FAO-ს და ევროკავშირის პოზიცია განვითარებადი ქვეყნების მიმართ სურსათის, მ. შ. ხორბლის იმპორტის თაობაზე. ნიშანდობლივია, რომ ხსენებული ავტორიტეტული ორგანიზაციების დამოკიდებულება ამ მიმართულებით მკვეთრად და კატეგორიულად უარყოფითია. ისინი აღიარებენ, რომ მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე დასავლეთის სახელმწიფოებში ფერმერთა სუბსიდირების სისტემა, მართალია, ეხმარება შედარებით ღარიბ იმპორტიორ ქვეყნებს იმპორტის გაიაფებაში, მაგრამ დაბალი ფასები სურსათზე, მათ შორის მარცვლეულზე, მრავალ განვითარებად ქვეყანას აიძულებს, უგულვებელყოს საკუთარი წარმოება, რაც საბოლოო ანგარიშით, მსოფლიოში სურსათის წარმოების შემცირებას და მასზე ფასების გარდაუვალ ზრდას იწვევს.

### **მარცვლეულით თვითუზრუნველყოფის მდგომარეობა საქართველოში**

შექმნილი სიტუაციის გამო ქვეყნები, რომელთაც შესაბამისი მიწის რესურსები გააჩნიათ, სურსათის თვითუზრუნველყოფის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან გამომდინარე, ძალისხმევას არ იმუშობენ ადგილზე მარცვლეული მეურნეობის განვითარებისთვის, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მისი წარმოების შედარებითი თუ აბსოლუტური უპირატესობა. ფაქტია, რომ მსოფლიო ბაზარზე მარცვლეულის მიწოდება აგროწარმოების



„ბიოლოგიზაციის“ ტემპების დაჩქარების კვალობაზე კიდევ უფრო შემცირდება, რაც მასზე ფასების კიდევ უფრო ზრდას გამოიწვევს.

კარგადაა გასაცნობიერებელი, რომ მსოფლიოში უკიდურეს სიღარიბეში მყოფი მოსახლეობის (დღეში 1.9 აშშ დოლარზე ნაკლები მოხმარება მყიდველობითუნარიანობის პარიტეტით) წილის კლების მიუხედავად (ამ საუკუნეში ასეთთა წილი შემცირდა 11.3 პროცენტიდან 9.2 პროცენტამდე), ყოველწლიურად იზრდება მათი აბსოლუტური რიცხოვნობა და შესაბამისად – მოშიშვლეთა რიცხოვნობა. ამდენად, საჭიროა ადგილებზე მარცვლეულის წარმოების გადიდების ყველა რეზერვის ამოქმედება პრობლემის კიდევ უფრო გამძაფრების თავიდან ასაცილებლად.

თანამედროვე მსოფლიოში **სასურსათო უშიშროების ორი ძირითადი კრიტერიუმი**ა აღიარებული და ორივე მათგანი მარცვლეულს უკავშირდება. ესენია – **მარცვლეულის გადაუდებელი მარაგები და მარცვლის წარმოების მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით**. პირველი ქმნის აუცილებელ გარანტიასა და სიმყარეს საგანგებო სიტუაციების დროს, ხოლო მეორე აჩვენებს მარცვლეულის იმპორტზე ამა თუ იმ ქვეყნის დამოკიდებულების ხარისხსა და დონეს (ქვეყანაში პურპროდუქტების მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმებიდან გამომდინარე).

ამასთან, საყოველთაოდ მიღებულია, რომ ხელუხლებელია მარცვლის მარაგის ის გარდამავალი მოცულობა, რაც მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მიზნით საკმარისია მოხმარების 55-60 კალენდარული დღის განმავლობაში, ანუ მოთხოვნილების 17-18%-ის ოდენობით (რა თქმა უნდა, მისასაღებელია, თუ უფრო მეტი რაოდენობის მარაგი აქვს შექმნილი ქვეყანას).

საქართველოში მარცვლეულიდან როგორც ხორბალს, ასევე სიმინდს განსაკუთრებული სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია, მაგრამ იგი ოდითგანვე უპირველესად ხორბლის მწარმოებელ და მომხმარებელ ერთ-ერთ სამაგალითო ქვეყნად იყო მიჩნეული.

დამოუკიდებლობის მოპოვებას ე.წ. „საკავშირო ფონდებიდან“ მარცვლის ცენტრალიზებული მოწოდების პრაქტიკის გაუქმება მოჰყვა, რის გამოც საქართველოში მუშაობა ერთბაშად შეწყვიტა კომბინირებული საკვების მწარმოებელმა ქარხნებმა, ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანილმა მეფრინველეობის ფაბრიკებმა, მეხორცული და მერძეული მიმართულების სპეციალიზებულმა კომპლექსებმა და სხვ. შედეგად, კატასტროფულად (ორჯერ და მეტად) შემცირდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, რამაც სერიოზული გავლენა იქონია მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესებაზე. თუ ჯერ კიდევ 1988 წელს საქართველოში ხორბლის, ხორცისა და რძის წარმოება შეადგენდა, შესაბამისად, 700 ათას, 172 ათას და 730.5 ათას ტონას, 2022 წლისთვის ეს მაჩვენებლები შესაბამისად შემცირდა 157.4 ათას (-77.5%), 74.7 ათას (-56.6%) და 574.7 ათას (-21.3%) ტონამდე. თუ ადრინდელ პერიოდში ხორცის ადგილობრივი წარმოება 2.3-ჯერ აღემატებოდა მისი შემოტანის მაჩვენებელს, ხორცის საქართველოში შემოტანის ფაქტობრივი უცვლელობის პირობებში (დაახლოებით 70-75 ათასი ტონა ყოველწლიურად) მისი ამჟამინდელი ადგილობრივი წარმოება ფაქტობრივად გაუთანაბრდა იმპორტს, რის გამოც საგრძნობლად შემცირდა ამ პროდუქტების სულადობრივი მოხმარების დონე (დაახლოებით 1/4-ით), გაუარესდა კვების რაციონის სტრუქტურა და თავი იჩინა არასრულფასოვან კვებასთან დაკავშირებულმა ჯანმრთელობასთან, დემოგრაფიასთან და სოციალურ სტაბილურობასთან დაკავშირებულმა არაერთმა პრობლემამ.

სამწუხაროდ, საქართველომ, როგორც მწარმოებელმა ქვეყანამ, ბოლო ათწლეულებში პოზიციები მკვეთრად დათმო. ასე, მაგალითად, 1950 წლისთვის საქართველო აწარმოებდა 786 ათას ტონა მარცვლეულს, ანუ მოსახლეობის 1 სულზე 223 კგ-ს (მოსახლეობის რიცხოვნობა ამ პერიოდში 3.5 მლნ-ს შეადგენდა). 1980 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა 5 მლნ-ს გადასცდა და მოსახლეობის 1 სულზე მარცვლის წარმოებამ 121 კგ შეადგინა (მომდევნო ათწლეულში სურათი პრაქტიკულად არ შეცვლილა. 1990 წლისთვის საქართველოს მოსახლეობამ შეადგინა 5.4 მლნ. და 1 სულზე კვლავ 121 კგ მარცვლეული იქნა წარმოებული). 2000-2003

წლებში მარცვლის წარმოება, მართალია, გაიზარდა 150-155 კგ-მდე 1 სულზე, მაგრამ ის მხოლოდ მოსახლეობის რიცხოვნობის მკვეთრი შემცირების ხარჯზე მოდის – ამ პერიოდში მოსახლეობის რიცხოვნობა 1 მლნ-ით შემცირდა ქვეყანაში წარმოებული მარცვლეულის სტრუქტურაში პირველ-მეორე ადგილს რიგრიგობით იყოფენ ხორბალი და სიმინდი; მათზე მოდის მთლიანი მარცვლეულის დაახლოებით 85%, ხოლო დანარჩენზე ( ქერი, შვრია და ა.შ.) – 15%-მდე.

**ცხრილი 2**

**მარცვლეულის წარმოება საქართველოში 2010-2022 წლებში**

წელი	2010 წ.	2015 წ.	2018 წ.	2020 წ.	2021 წ.	2022 წ.
მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობა, ათასი კაცი	3786,7	3725,3	3726,5	3722,7	3716,0	3688,6
მარცვლეულის (ხორბალი, ქერი, შვრია, სიმინდი) წარმოება, ათასი ტონა	214,8	356,2	363,7	405,1	430,6	367,5
მათ შორის:						
ხორბალი	48,4	125,6	107,1	102,4	136,1	157,4
სიმინდი	141,1	184,6	194,2	255,0	233,0	149,5
წილი მარცვლეულის მთლიან წარმოებაში, %						
– ხორბლის	22,5	35,3	29,4	25,3	31,6	42,8
– სიმინდის	65,7	51,8	53,4	62,9	54,1	40,7
მარცვლეულის წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე, კგ	56,7	95,6	97,6	108,8	115,9	99,6
მათ შორის:						
– ხორბალი	12,8	33,7	28,7	27,5	36,6	42,7
– სიმინდი	37,3	49,6	52,1	68,5	62,7	40,5
თვითუზრუნველყოფის დონე, %:						
– ხორბლით	6	17	15	15	16	19
– სიმინდით	96	77	71	68	66	43

**წყარო:** შედგენილია ავტორთა მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების მიხედვით.

ამდენად, რეალურად უკიდურესად რთული მდგომარეობა შეიქმნა: მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 2022 წელს ხორბლის წარმოებით 5.3-ჯერ ჩამორჩება 1950 წლის მაჩვენებელს, 2.9-ჯერ – 1980 წლის მაჩვენებელს და 3.6-ჯერ – 2003 წლის მაჩვენებელს.

მარცვლეულის წარმოების გადიდების შესაძლებლობები, ზემოთ აღნიშნული ტენდენციებისა და მონაცემების ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას გავაკეთოთ დასკვნა, რომ საქართველო, როგორც მსოფლიოს ბევრი ქვეყანა, პოტენციურად დგას სასურსათო საფრთხის წინაშე. როდესაც იმპორტდამოკიდებულება ხორბალზე 4-ჯერ აღემატება თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელს, ხოლო სიმინდის ფაქტობრივი მოხმარების 1/3 და მეტი იმპორტირებულზე მოდის, ამით სერიოზული საფრთხე ექმნება არა მარტო ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას, არამედ თავად სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებას და მის ინსტიტუციურ მდგრადობას. როდესაც მარცვლეულის, კერძოდ ხორბლის წარმოებისა და მოხმარების ბალანსში არსებობს მწვავე დეფიციტი, მასზე გადახდისუნარიანი მოთხოვნა იმპორტის ხარჯზე უნდა შეივსოს. ამ საუკუნეში (2001-2022 წწ.) საქართველომ განახორციელა 3.3 მლრდ. აშშ დოლარს მარცვლეულის კულტურების და ფქვილის იმპორტი, რაც 2.3-ჯერ აღემატება საქართველოს სოფლის მეურნეობაში 2022 წელს შექმნილ დამატებულ ღირებულებას. ამასთან, საუკუნის დასაწყისთან შედარებით მარცვლეულის იმპორტის ღირებულება გაიზარდა 3.1-ჯერ,

მათ შორის ხორბლის იმპორტის – 2.2-ჯერ, ფქვილის – 4.0-ჯერ, ხოლო მარცვლეულის სხვა სახეობებისა (ჭვავი, შვრია, ქერი, სიმინდი) – 419.2-ჯერ(!).

ცხრილი 3

**საქართველოში მარცვლეულის და ფქვილის იმპორტი  
2000-2022 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)**

	2000 წ.	2005 წ.	2010 წ.	2015 წ.	2020 წ.	2021 წ.	2022 წ.
სულ	55,010	97,262	196,990	148,846	143,024	132,830	180,972
მათ შორის:							
ხორბლის იმპორტი	29,152	45,130	174,055	119,352	107,830	93,448	64,785
ფქვილის იმპორტი	25,826	49,583	17,926	14,308	7,945	17,010	102,772
წილი მარცვლეულის და ფქვილის იმპორტში, %							
ხორბლის	53,0	46,4	88,4	80,2	75,4	70,4	35,8
ფქვილის	46,9	51,0	9,1	9,6	5,6	12,8	56,8

**მარცვლეულზე იმპორტდამოკიდებულება –  
საფრთხე ეროვნული უშიშროებისათვის**

იმპორტზე დამოკიდებულება, მით უფრო, თუ საქონლის იმპორტში რომელიმე ქვეყანას მონოპოლიური მდგომარეობა უკავია, მიმღებ ქვეყანას მიწოდების პოტენციურ მძევლად აქცევს საფრთხეთა მთელი „თაიგულით“:

ჯერ ერთი, მიწოდების მყისიერი შეწყვეტა, ემბარგო ან სანქციები აღნიშნულ პროდუქციაზე იმპორტიორი ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის, რადგანაც საჭირო იქნება მიწოდების ჯაჭვის გადაწყობა, რაც დროში გაჭიანურებული პროცესია. ამასთან, ამგვარი ვითარება, როგორც წესი, საგრძნობლად აძვირებს პროდუქციის ფასს სამომხმარებლო ბაზარზე, აზიანებს და ამცირებს მოსახლეობის გადახდისუნარიანობას და შესაბამისად, მის კეთილდღეობას;

მეორე, მიმწოდებელ ქვეყანაში ექსპორტის კვოტირება, საექსპორტო მოსაკრებლების შემოღება (ზრდა) ასევე აძვირებს პროდუქციის ღირებულებას და ასევე პირდაპირ ურტყამს მოსახლეობის კეთილდღეობას;


მესამე, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და მიმწოდებელი ქვეყნის მიერ სუბსიდირების შემთხვევაში იმპორტირებული პროდუქციის ბაზარზე დემპინგური ფასებით რეალიზაცია ძირს უთხრის აღნიშნული პროდუქციის ადგილობრივი წარმოების რენტაბელობას, ზოგადად, მისი წარმოების მიზანშეწონილობას და იწვევს იმპორტდამოკიდებულების ზრდას. ამის მკაფიო მაგალითია წინა პერიოდთან შედარებით საქართველოში 1/3-ით და მეტად გაიფუჭებული ფქვილის იმპორტი რუსეთიდან, რამაც არარენტაბელური გახადა ადგილობრივი მარცვლეულის წარმოება. 2023 წლის გაზაფხულისათვის საქართველოში ადგილობრივ ხორბლის მწარმოებლებს არარეალიზებული დარჩათ თითქმის 30 ათასი ტონა ხორბალი, რაც ძირს უთხრის ამ უმნიშვნელოვანესი კულტურის ადგილობრივი წარმოების არა თუ გაფართოების, არამედ ამჟამინდელ მასშტაბებში შენარჩუნების პერსპექტივებს. აღნიშნულმა ვითარებამ სერიოზულად დააზიანა ადგილობრივი, თხუთმეტივე(!) წისქვილკომბინატის საქმიანობაც, გამოიწვია რა მათი სრული გაჩერება, ხუთი ათასზე მეტი თანამშრომლის უმუშევართა კატეგორიაში გადაყვანა და არსებითად გაზარდა რისკები დარგის განვითარებისათვის. შესაბამისად, ასეთ პირობებში სასურსათო და აქედან გამომდინარე, ეროვნული უსაფრთხოებისათვის მოვლენათა განვითარების ნეგატიური სცენარი უფრო რეალისტურ კონტურებს იძენს.

ფქვილის ფაქტობრივად დემპინგური იმპორტი პირდაპირ აზარალებს იმპორტიორი ქვეყნის (ამ შემთხვევაში – საქართველოს) ან მოსახლეობას, ან -ადგილობრივ წარმოებას, ბიზნესს, რაც საბოლოო ჯამში ასევე უარყოფითად აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელისუფლების ამოცანაა, მოსახლეობის კეთილდღეობაზე

ზრუნვის პარალელურად, უზრუნველყოს მარცვლეულის ადგილობრივი წარმოების სტიმულირება. ამ მიმართულებით პერსპექტიულად გვესახება დამაბალანსებელი საიმპორტო მოსაკრებლის დაწესება იმპორტირებულ ფქვილზე, რაც გაათანაბრებს ფქვილისა და ხორბლის იმპორტის საგადასახადო რეჟიმებს.

მდგომარეობის დრამატიზმს ხაზს უსვამს ის გარემოებაც, რომ მარცვლეულის, ხორბლის დეფიციტი არ წარმოადგენს გამონაკლისს ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფაში. საქართველოში მარცვლეულისა და ფქვილის იმპორტის წილად ამ საუკუნეში მოდიოდა, როგორც იმპორტდამოკიდებული ქვეყნის, აგროსასურსათო პროდუქციის უარყოფითი საგარეო სავაჭრო ბალანსის მხოლოდ დაახლოებით 14 პროცენტი. 2000 წლის შემდეგ (2001-2022 წწ.) საქართველომ განახორციელა 25.2 მლრდ. აშშ დოლარის აგროსასურსათო საქონლის იმპორტი, მაშინ როდესაც იმავე კატეგორიის პროდუქციის ექსპორტმა მხოლოდ 14.2 მლრდ. აშშ დოლარი, ანუ დეფიციტმა თითქმის 11.1 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა. ამჟამად საუკუნის დასაწყისთან შედარებით საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი გაზრდილია 7.0-ჯერ, ხოლო იმპორტი – მხოლოდ 5.9-ჯერ, თუმცა საკმაოდ ცუდი სასტარტო პირობების გამო ამ ხნის განმავლობაში აგროსასურსათო საქონლის ექსპორტით იმპორტის გადაფარვა გაიზარდა მხოლოდ 12 პუნქტით – 62.7 პროცენტიდან 74.8 პროცენტამდე (საშუალოდ 2001-2022 წლებში – 56.2%) (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2



სასურსათო უზრუნველყოფაში ქვეყნის მეტისმეტი იმპორტდამოკიდებულებით გამოწვეული საფრთხე, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით აშკარაა. ასეთ ვითარებაში საქართველო ობიექტურად ხდება იმ ქვეყნის „ეკონომიკური მძევალი“, საიდანაც განახორციელებს იმპორტს. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო წლებში ასეთ ქვეყანას საქართველოსათვის რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს, თანამედროვე საერთაშორისო ვითარებისა და ამ ქვეყნისადმი დაწესებული საერთაშორისო სანქციების გათვალისწინებით, აღნიშნული ასპექტით გამოწვევებისა და რისკების დონე მნიშვნელოვნად იზრდება. შესაბამისად, აუცილებელია მარცვლეულის მოწოდების ერთ წყაროზე დამოკიდებულების შემცირება და შესაბამისი ბაზრების დივერსიფიცირება.

სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაწყვეტა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების ტოლფასია. როგორც დასავლეთის გამოცდილება გვიჩვენებს, საკუთარი წარმოების სასურსათო უზრუნველყოფა უნდა გახდეს საქართველოს

მთავრობის მთავარი ამოცანა, რასაც შეუძლია მულტიპლიკაციური ეფექტის მოცემა და გაძლიერებული მიგრაციის პროცესში მყოფი სოფლის გადარჩენა.

ჩვენ ჯერ კიდევ შემოგვაქვს საჭირო სურსათის 70%-ზე მეტი. თუ გვსურს 2027 წლისათვის მივალწიოთ გაწონასწორებულ სავაჭრო ბალანსს, მნიშვნელოვნად უნდა გავადიდოთ აგრარული პროდუქციის წარმოება, რათა შემცირდეს სურსათის იმპორტისთვის ვალუტის ზედმეტი ხარჯვა (მხოლოდ მარცვლეულის იმპორტი საქართველოში, ფქვილის ჩათვლით, ბოლო წლებში 140-150 მლნ. აშშ დოლარს აღწევს).

### **მარცვლეულის წარმოების სტიმულირების ძირითადი მიმართულებები**


სურსათის ადგილობრივი რესურსების წარმოების გადიდება, ობიექტურად მოითხოვს სოფლის მეურნეობის ისეთი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომელშიც წამყვანი და პრიორიტეტული ადგილი დაეთმობა სასურსათო ბალანსის ფორმირებისთვის საჭირო პროდუქტების წარმოებას. უნდა გვახსოვდეს XX საუკუნის 90-იან წლებში აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტური ქვეყნების ვალუტის მოპოვების მცდარი სტრატეგია, როდესაც ყურადღების მიღმა დარჩა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აგრარული სექტორი. ვალუტის მოპოვება ქვეყნისთვის ე.წ. მეორეული ამოცანაა და ასეც უნდა იყოს. ქვეყნის ეკონომიკაც და მათ შორის სოფლის მეურნეობაც ისე უნდა წარიმართოს, რომ იგი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს.

ქვეყანა, რომელსაც გააჩნია ხელსაყრელი ბიოგეოკლიმატური პირობები მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის, მისი მოყვანის უნარ-ჩვევები და ტრადიციები, მარცვლეულის გადამამუშავებელი საწარმოო სიმძლავრეები და წარმოებული პროდუქციის გასაღების ადგილობრივი ბაზარი, არ უნდა იყოს აბსოლუტურად დამოკიდებული სხვა სახელმწიფოებიდან მარცვლეულის იმპორტზე.

შიმშილის ძირითად მიზეზს მრავალ ქვეყანაში წარმოადგენს არა მოსახლეობის სიჭარბე ან მიწის რესურსების ნაკლებობა, არამედ სოფლის მეურნეობის მართვის სისტემების არასრულყოფილება. ნებისმიერი ეკონომიკური სისტემა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რესურსების ოპტიმალურ და ეფექტიან გამოყენებას მათი სპეციფიკის მიხედვით.

მარცვლეულის წარმოების არსებითი გადიდება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ მოხდება მისი წარმოების მატერიალურ-ეკონომიკური სტიმულირების ყველა არსებული ბერკეტისა და საშუალების გამოყენება.

მარცვლის წარმოების სტიმულირება მრავალი მიმართულებით შეიძლება, კერძოდ კი – მარცვლეული ნათესის გათავისუფლებით გადასახადისგან. შესაძლოა აგრეთვე წარმოებული მარცვლის სახელმწიფო გარანტირებული შესყიდვის გამოყენება, შეღავათიანი საკრედიტო, სადაზღვევო სისტემები, პირდაპირი სუბსიდიები (ეს არ იქნება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წინაშე აღებული ვალდებულებების დარღვევა, რადგან, ამ ორგანიზაციის წესდების თანახმად, ქვეყანას შეუძლია საექსპორტო შემოსავლების 5% წარმართოს მნიშვნელოვანი დარგების სუბსიდიირებაზე) და სხვ. ქვეყნის შიგნით მარცვლეულის წარმოების გადიდების ყველა რეზერვის ამოქმედება, რისთვისაც, უპირველეს ყოვლისა, მისაღებია ფინანსურად, ტექნიკურ-ტექნოლოგიურად და ორგანიზაციულად უზრუნველყოფილი მარცვლეულის მწარმოებელთა მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამა „**მარცვალი**“, რომელშიც სხვა ღონისძიებებთან ერთად გათვალისწინებული იქნება საკუთარი მაღალი რეპროდუქციის თესლის წარმოების ორგანიზაციული ღონისძიებები, მათ შორის ჯიშთა გამოცდის სადგურის აღდგენა-ფუნქციონირება ელიტური სათესლე მასალის წარმოებისათვის, აგრეთვე ჰიდრომელიორაციული სისტემების რეაბილიტაცია-განვითარება. კომპლექსური ადმინისტრაციული, ეკონომიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების შედეგად, აგრეთვე თანამედროვე აგროტექნოლოგიებისა და ბიოსტიმულატორების გამოყენების საფუძველზე 2027 წლისთვის ნათესი ფართობების ზრდისა და მოსავლიანობის ამაღლების ხარჯზე გათვალისწინებულია უახლოეს წლებში მარცვლეული კულტურების მნიშვნელოვანი ზრდა (იხ. დიაგრამა 3).



2025 წელს ხორბლის ნათესმა ფართობმა უნდა შეადგინოს 90 ათასი ჰა, (მოსავალი – 330 ათასი ტონა), სიმინდისამ – 150 ათასი ჰა (მოსავალი – 750 ათასი ტონა). ეს იქნება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფისკენ, ადგილობრივი წარმოების მარცვლელით თვითუზრუნველყოფის დონის 60-65%-მდე გაზრდისათვის ამჟამინდელი 19 პროცენტის ნაცვლად. ამ მხრივ, ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა საქართველოს ხელისუფლების მიერ პრობლემის ადეკვატური აღქმა და განზრახვა, რომ მარცვლელით ქვეყნის თვითუზრუნველყოფის დონემ უკვე უახლოეს წლებში 50 პროცენტს მიაღწიოს, ხოლო მომდევნო პერიოდში – არანაკლებ 60-65 პროცენტს.

**დასკვნა**

მიუხედავად ბოლო წლებში მიღწეული წარმატებებისა, აგრარული სექტორი კვლავ რჩება საქართველოს ეკონომიკის ყველაზე „სუსტ რგოლად“, რაც პირდაპირ აისახება ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებაზე, პირველ რიგში, მარცვლელით, ხორბლით უზრუნველყოფაზე. მსოფლიოში სასურსათო პრობლემების გამწვავება და იმავდროულად, ჩვენი ქვეყნის აგრარული სექტორის დაბალეფექტიანობა ზრდის და ამწვავებს საქართველოს იმპორტდამოკიდებულებას სურსათზე. ადგილობრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ყოველწლიურად ხორციელდება მრავალი ასეული მილიონი აშშ დოლარის სოფლის მეურნეობის პროდუქციის, სურსათის იმპორტი, რაც ქვეყნიდან ვალუტის გადინების პარალელურად მკვეთრად ამცირებს სამუშაო ადგილების რაოდენობას და ქმნის დამატებით მოტივაციას მოსახლეობის, პირველ რიგში, სოფლად მცხოვრები ადამიანების უცხოეთში ემიგრაციისთვის. იმ პირობებში, როდესაც მთელი რიგი სასურსათო პროდუქციის სახეობები (პირველ რიგში, მარცვლელი, ხორბალი) სულ უფრო ღიად გამოიყენება, როგორც პოლიტიკური ბრძოლის, შანტაჟის იარაღი, საქართველოს მაღალი იმპორტდამოკიდებულება მნიშვნელოვნად ზრდის ჩვენი ეროვნული მეურნეობისა და მოსახლეობის კეთილდღეობის მოწყვლადობას შესაბამისი რისკებისადმი, მით უფრო, რომ საქართველო სასურსათო პროდუქტებით განსაკუთრებით მაღალი იმპორტდამოკიდებულება მისდამი ყველაზე ნეგატიურ, პერმანენტულად კონფრონტაციულ რეჟიმში მყოფ რუსეთის ფედერაციაზე.

აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორების ერთადერთი საშუალება ქვეყანაში აგროსასურსათო პროდუქციის წარმოების, შესაბამისი კულტურების ფართობისა და მათზე

მოსავლიანობის მკვეთრი ზრდაა. დასახული ამოცანების რეალიზაცია რამდენიმე წელზეა გათვლილი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, იზრდება ხელისუფლების მიერ უფრო აქტიური, მოქნილი, ეფექტიანი ფისკალური პოლიტიკის წარმოების აუცილებლობა. ამ კუთხით მარცვლეულის ადგილობრივი წარმოების სტიმულირებისათვის პერსპექტიულად გვესახება დამაბალანსებელი საიმპორტო მოსაკრებელის დაწესება იმპორტირებულ ფქვილზე, რაც გაათანაბრებს ფქვილისა და ხორბლის იმპორტის საგადასახადო რეჟიმებს.

მარცვლეულით (ხორბალი, სიმინდი) თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება საშუალებას მისცემს ქვეყანას, ყოველწლიურად დაზოგოს რამდენიმე ასეული მილიონი აშშ დოლარი, დამატებით შექმნას ათეულობით ათასი სამუშაო ადგილი და ამის საფუძველზე – ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები. აღნიშნულის უზრუნველყოფა შესაძლებელია აგრარული სექტორის, ფერმერთა მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციით და აგრარული პროდუქციის წარმოების ორგანიზაციული, ეკონომიკური და ფინანსური სტიმულირების გამოყენებით. აღნიშნულის პარალელურად, ხელისუფლების წინაშე საზოგადოებრივი, სოციალური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება **სურსათის სტრატეგიული ფონდის** ფორმირების აუცილებლობა, მათ შორის ცალკეული ინსტიტუტების (სკოლამდელი დაწესებულებების, საავადმყოფოების, etc.) და სოციალური ჯგუფების (პენსიონერები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, etc.) შეუფერხებელი მომარაგებისათვის.

თავად მარცვლეულის ადგილობრივი წარმოების მიზანშეწონილობა და ეფექტიანობა პირდაპირ უკავშირდება აღნიშნული ნედლეულიდან წარმოებულ საბოლოო პროდუქციაზე მოსახლეობის წვდომასა და მყიდველობითუნარიანობის ამაღლებას. ამჟამად პურის საცალო ფასში პირველადი ნედლეულის ფასი 2/5-ის ფარგლებშია, თუმცა ფასწარმოქმნის სხვა კომპონენტების თანაფარდობა ფქვილის წილთან და ერთმანეთთან არც თუ ოპტიმალურია, კერძოდ, პურის საცალო ფასში ფქვილის წილი გადასახადების წილს მხოლოდ 2-ჯერ აღემატება, ხოლო რეალიზატორების მოგება 2-ჯერ და მეტად უსწრებს მეწარმეთა მოგებას. ასეთ პირობებში მკვეთრადაა შესამცირებელი სარეალიზაციო ქსელში სხვადასხვა ფასდანიამატები (ე.წ. ქეშბეჭები, რეტრობონუსები, სავაჭრო დათმობები და ა.შ.), რომლებიც პურის ღირებულებას 1.5-ჯერ და მეტად ზრდის (განვითარებულ ქვეყნებში ფასდანიამატი არ აღემატება 3-5 პროცენტს). ასევე, ვფიქრობთ, გასაზიარებელია ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნების გამოცდილება, პურზე დღგ-ის ტარიფის 7-8%-მდე შემცირებისა ან საერთოდ განულებისა.

საბოლოო ჯამში, პარეტო ეფექტიანობის პრინციპის გათვალისწინებით, სახელმწიფოს აგრარული, ზოგადად კი ეკონომიკური პოლიტიკა ეფექტიანად შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც ის მაქსიმალურად ითვალისწინებს ბიზნესისა და საზოგადოებრივ ინტერესებს, უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ თანხვედრას და ჰარმონიზებას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. პ. კოლუაშვილი. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილისი, 2020.
2. რ. ასათიანი, პ. კოლუაშვილი. საქართველოს სოფლის მეურნეობა - გამოწვევები და პერსპექტივები. თბილისი, „პოლიგრაფი“, 2023.
3. პაატა კოლუაშვილი, იოსებ არჩვაძე. საარსებო მინიმუმი საქართველოში და მისი ოპტიმალური დონის განსაზღვრის აუცილებლობა. „ეკონომიკა და ბიზნესი“, N1, 2020.
4. პ. კოლუაშვილი, ი. არჩვაძე (2020). საქართველოს სოფლის მეურნეობა თანამედროვე გამოწვევების წინაშე. „ეკონომიკა და ბიზნესი“, N3, 2020.
5. პაატა კოლუაშვილი, იოსებ არჩვაძე. სასურსათო უშიშროება - ეროვნული უშიშროების საფუძველი. „ეკონომიკური პროფილი“, N1 (23), 2022.
6. იოსებ არჩვაძე. აგრარული სექტორის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე საქართველოს ეკონომიკაში. „ეკონომიკური პროფილი“, N17, 2017.

7. ნოდარ ჭითანავა. საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები. თბილისი, ივერიონი, 2015.

8. Kharaisvili, E., Suknishvili, M. (2021). Agribusiness development trends in Georgia: modern challenges and solutions. Economics. Ecology. Socium, N5(4). Retrieved from <https://ees-journal.com/index.php/journal/article/view/182>

9. FAO Cereal Supply and Demand Brief. – 8.04.2022. – <https://www.fao.org/worldfoodsituation/csdb/en/>

10. Global wheat production from 2011/2012 to 2021/2022. – <https://www.statista.com/statistics/267268/production-of-wheat-worldwide-since-1990/>

11. Народное хозяйство СССР в 1990 г. – М., 1991.

12. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

*Paata Koguashvili  
Joseph Archvadze*

## **GRAIN SELF-SUFFICIENCY STRATEGY AS A CORNERSTONE OF STATE SECURITY**

### **Abstract**

In recent decades, the upward trend in world prices for grain crops has become more and more pronounced. Compared to 1980, the price of wheat increased by 2.6 times - from 113.5 US dollars to 299.3 US dollars, and this is by no means the limit. We can safely assume that the era of cheap products in the world, including cheap bread, is almost over.

Grains, as a strategic product, are not only the main guarantor of maintaining the economic independence of any country, but also a strong means of political influence on countries that import grains. It is safe to assume that the "food and political price" of cereals will increase even more in the future. According to the FAO, world wheat production in 2021 amounted to 778.6 million tons, however, the growth of its production over the past five years (+2.9%) lagged behind the population growth rate over the same period (+5.8%) by 2 times. Unfavorable weather conditions, as well as the Russian-Ukrainian war, which accounted for more than 25 percent of global grain exports, are negatively affecting grain trade, their reserve and price. World cereal stocks in relation to global consumption decreased from 31.9% in 2017 to 29.6% in 2022.

Against this background, there has recently been a certain revision of agrarian policy in some Western countries, which is manifested in the reduction of state assistance (subsidies) to farmers, and secondly, in the mitigation of measures aimed at protecting the domestic market from external competitors. This policy has already been reflected in the so-called. documents of the Uruguay and Doha Rounds of the World Trade Organization.

In today's world, food security has two criteria and both relate to grains. These are stable stocks of cereals and production of cereals per capita. The first creates the necessary guarantees and stability in emergency situations, while the second shows the degree and level of the country's dependence on grain imports (taking into account the physiological norm of consumption of bread products in the country).

After gaining independence, Georgia stopped supplying Georgia with grain from the so-called. of the General Conscience Fund, due to which factories for the production of mixed fodder products stopped in Georgia, poultry factories transferred to an industrial basis, specialized meat and dairy complexes, etc. As a result, the production of meat fell catastrophically (by 2 times), and in general, the production of livestock products, which significantly worsened the living standards of the population of Georgia. If in 1988 the production of wheat and meat and meat products in Georgia amounted to 700 thousand tons and 172 thousand tons, respectively, by 2022 these figures fell to 157.4 thousand tons and 74.7 thousand tons, respectively. If earlier local production of meat was 2.3 times ahead of its import, with a virtually unchanged volume of import, its local production fell to the level of its import, which affected the average per capita consumption of meat and meat products by the local population (by about 1/4), the structure of the diet worsened, and how the result is malnutrition-related health problems, demographics and social stability.

Georgia, as a producing country, has dramatically lost ground over the past decades. On a per capita basis, in 2022 per capita wheat production was 5.3 times less than in 1950 and 2.9 times less than in 1980.

Over the past two decades of the 21st century (2001-2022/), Georgia imported grains and flour for 3.3 billion US dollars, which is 2.3 times the value added of agriculture in 2022. At the same time, since the beginning of this century, grain imports have increased 3.1 times, including imports of wheat - 2.2 times, and flour - 4.0 times.



The dramatic nature of the situation is emphasized by the fact that the shortage of cereals and wheat is no exception in the food supply of the country. - Georgia "traditionally" was and remains an import-dependent country. Since the beginning of the century, Georgia has imported USD 25.2 billion worth of agricultural and food products, while exports of products of the corresponding category amounted to USD 14.2 billion, i.e., the deficit amounted to USD 11.1 billion.

The decision of the food security of the country is the most important factor in maintaining the political and economic independence of the country. Food security based on own production should become the main task of the Government, which can have a multiplier effect and save the rural population, which is in an intensive migration process, and, accordingly, agriculture.

Production growth can be stimulated in many ways. In particular, the exemption of grain crops from taxation, it is possible to introduce the practice of guaranteed purchase by the state for a fixed volume of specific types of products, the introduction of preferential loans, insurance systems, direct subsidies, etc. It is necessary to put on a firm footing the state program "Grain", which provides, along with other measures, organizational measures to increase the production of highly reproductive seeds, as well as the restoration and functioning of the station for the withdrawal of elite replaceable materials, as well as the rehabilitation and development of hydro-reclamation systems.

This will be a significant step forward in ensuring the country's food security, increasing grain self-sufficiency to 60-65 percent, instead of the current 21 percent.

At the same time, in order to ensure public and social stability, the authorities clearly face the need to form a strategic food fund - for the uninterrupted supply of individual institutions (preschool institutions, hospitals, etc.), as well as social groups (pensioners, people with disabilities, etc.).

**Key words:** grain self-sufficiency, agro-food products, food security, grain import dependence, production stimulation.

**თეა ლაზარაშვილი**

### **ინვესტიციური უსაფრთხოება, როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი შემადგენელი ნაწილი**

**ანოტაცია.** სტატიაში განხილულია „ინვესტიციური უსაფრთხოების“ ცნებისადმი სხვადასხვა მიდგომები. უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემისადმი ყურადღება განსაკუთრებით გაიზარდა გლობალიზაციის, ინტერნაციონალიზაციისა და ტრანსნაციონალიზაციის პირობებში.

ინვესტიციური უსაფრთხოების განხილვა შესაძლებელია როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი კომპონენტის სახით, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტიან ინვესტირებას ეკონომიკის მდგრადი განვითარების მიზნით, აგრეთვე იგი შეიძლება განხილულ იქნეს დამოუკიდებელ კატეგორიად, რომელიც ზემოქმედებს ეროვნული ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე. ინვესტიციური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შემუშავდეს ინვესტიციური რისკების მართვის მკაფიო მექანიზმი, რომელშიც მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცევა ეკონომიკური პროგნოზირების სისტემის განვითარებას, სტრატეგიულ დაგეგმვას და თანამედროვე მოწინავე ტექნოლოგიების შემუშავებასა და დანერგვას.

**საკვანძო სიტყვები.** ინვესტიციური უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება, ინვესტიციური რისკები.

### **შესავალი**

ბოლო წლებში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში არსებული პრობლემები აქტიურს ხდის ამ საკითხის მიმართ კვლევას. დეფინიციები, რომლებიც ხსნიან „ეკონომიკური უსაფრთხოებისა“ და „ინვესტიციური უსაფრთხოების“ არსს, საკმაოდ მრავალფეროვანია. უცხოურ და სამამულო ლიტერატურაში ამ ცნებების მიმართ და მათი ურთიერთკავშირის განსაზღვრისათვის არ არსებობს ერთიანი მიდგომა.

ინვესტიციური სფერო წარმოადგენს ეკონომიკური სისტემის ქვესისტემას, ამიტომ ლოგიკურია, რომ უსაფრთხოების განხილვა მოხდეს ეკონომიკურ და ინვესტიციურ სფეროში. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას გააჩნია პირველხარისხოვანი მნიშვნელობა

ნებისმიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის. სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროში მდგრადი განვითარებისა და ზრდის გარანტიის უზრუნველყოფა. მეურნეობის არსებულ პირობებში ინვესტიციური უსაფრთხოების საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობა ჯერ კიდევ არაა სათანადოდ გააზრებული.

არსებობს პირდაპირი სტრუქტურული ურთიერთკავშირი ინვესტიციებსა და ეკონომიკურ დინამიკას შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ინვესტიციების ზრდა რეალურ ეკონომიკურ სფეროში ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას და პირიქით, ინვესტიციების შემცირებამ შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური ვარდნა. ეკონომიკური უსაფრთხოება უმეტესად დამოკიდებულია ინვესტიციური უსაფრთხოების დონეზე.

ინვესტიციურ უსაფრთხოებას გააჩნია შედარებითი ხასიათი, რადგანაც ეკონომიკური გარემოს განვითარების პირობებში შეუძლებელია გამოვლინდეს საშიშროების ყველა წყარო და მოხდეს მადესტაბილიზებელი ფაქტორების არსებობის შესაძლო შედეგების ნეიტრალიზება. აქედან გამომდინარე, ინვესტიციური უსაფრთხოების ფაქტორები შეიძლება დავეყთ ორ ჯგუფად: ეკონომიკური უსაფრთხოების სტაბილიზაციისა და დესტაბილიზაციის ფაქტორებად ინვესტიციურ სექტორში. მასტაბილიზებელი ფაქტორები მოიცავენ ინვესტიციურ პოტენციალს და ინვესტიციურ მიმზიდველობას. ობიექტის ინვესტიციური პოტენციალი განსაზღვრავს არსებულ შესაძლებლობებს ინვესტიციური მიზნების რეალიზაციისათვის (ბუნებრივი, ფინანსური, ინფორმაციული რესურსები და ა.შ.). ინვესტიციები განსაზღვრავენ მთლიანად ეკონომიკური ზრდის ხასიათს ქვეყანაში და საფუძველს უყრიან მომავალ ეკონომიკურ უსაფრთხოებას [2].

დღეისათვის „ინვესტიციური უსაფრთხოების“, როგორც ტერმინის მრავალი დეფინიცია არსებობს. მკვლევართა ნაწილი ინვესტიციურ უსაფრთხოებას განიხილავს, როგორც ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასასვლელ აუცილებელ ბაზისს და როგორც ეროვნული სისტემის განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომელიც აუცილებელია მდგრადი განვითარებისა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობისათვის. ამ დროს საჭირო ხდება ეკონომიკის რეალური სექტორისკენ მიმართული ინვესტიციური რესურსების დაცვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფა.

პრაქტიკულად თითქმის ყველა მკვლევარი ინვესტიციურ უსაფრთხოებას განიხილავს სისტემური მიდგომის კუთხით, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრება ინვესტიციური კლიმატის ფორმირებისას გამოყენებული განსაზღვრული ხერხის, მეთოდის ზემოქმედება. უმეტესობა ავტორებისა ემხრობა პოზიციას, რომლის ჩარჩოებშიც ინვესტიციური უსაფრთხოება განიხილება ზოგადად ეროვნული ეკონომიკის დაცვის ინსტრუმენტად. რიგი მეცნიერებისა მიიჩნევს, რომ ამ განსაზღვრებაში ძირითადი ასპექტი ინვესტიციური ინფრასტრუქტურაა, რომლის სტრუქტურაც ინსტიტუტებით განისაზღვრება. ინვესტიციური რესურსების აკუმულირების როლს თავის თავზე იღებენ ინსტიტუტები. მათი სამეწარმეო ფირმების საქმიანობაში ჩადების მიზნით ისინი გამოდიან შუამავლის როლში კაპიტალსა და სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტებს შორის, ახდენენ რა ინვესტიციური კაპიტალის ფორმირებას. ამასთან, სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტების აქტიურობა უმეტეს შემთხვევაში განისაზღვრება ასეთი ინსტიტუტების საქმიანობის ეფექტურობით [1].

ამგვარად, ინვესტიციური უსაფრთხოება შეიძლება ჩამოვყალიბოთ როგორც ინვესტიციური საქმიანობის ისეთი მდგომარეობა, რომელიც საშუალებას იძლევა არა მარტო შედარებით ეფექტურად მოვიზიდოთ ინვესტიციები, არამედ უზრუნველვეყთ ეკონომიკის იმ დარგების დაცვა უცხოური კაპიტალის ზემოქმედებისაგან, რომელთაც სტრატეგიული დანიშნულება გააჩნიათ.

ტერმინები ინვესტიციური უსაფრთხოება და ეკონომიკური უსაფრთხოება ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ამასთანავე ინვესტიციური უსაფრთხოება ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის ელემენტს წარმოადგენს. ტერმინი ინვესტიციური უსაფრთხოება დაკავშირებულია იმ საფრთხეების შესაძლო გამოვლენაზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ინვესტიციური პროექტების რეალიზაციისას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში არავინაა დაზღვეული სარისკო სიტუაციების დადგომისაგან და შესაბამისი დანაკარგებისაგან [4].

მთლიანობაში რისკის ქვეშ მოიაზრება ორგანიზაციული, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის შესაძლო დანაკარგები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ზოგიერთი არაკეთილსასურველი სიტუაციის დადგომისას სამრეწველო-სამეურნეო საქმიანობის დროს.

ინვესტიციური პროექტების რეალიზაციისას ინვესტიციური რისკი წარმოგვიდგება, როგორც ფინანსური დანაკარგების წარმოშობის ალბათობა გაურკვეველი პირობების შედეგად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინვესტიციური საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა სახის რისკების შესაძლო წარმოშობასთან [7].

ზოგადად, ინვესტიციური რისკი შეიძლება დაიყოს საერთო და სპეციფიკურ რისკებად. საერთო რისკებში იგულისხმება ინვესტირების ობიექტების რისკები, ხოლო სპეციფიკურში — ინვესტიციური პორტფელის რისკები.

ინვესტიციური საქმიანობის ყველა მონაწილისა და წყაროებისათვის დამახასიათებელია საერთო რისკები, რომლებიც, როგორც წესი, დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე და არ არის დამოკიდებული საწარმოს საქმიანობასა და ინვესტორებზე.

მნიშვნელოვანია აგრეთვე გამოვყოთ რისკები, რომლებიც დამახასიათებელია ინვესტირებული ობიექტების სხვადასხვა ტიპებისათვის, რომელთა მიხედვით რისკები შეიძლება იყოს ქვეყნის, რეგიონული, დროებითი, კრედიტული, ოპერაციული, არალიკვიდურობის და სხვ.

ზემომოყვანილი კლასიფიკაცია მოწმობს იმაზე, რომ არსებობს რისკებისა და ფაქტორების უამრავი რაოდენობა, რომლებსაც ექვემდებარება ინვესტიციური საქმიანობა.

როდესაც საუბარია რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაზე, სასურველია გავითვალისწინოთ რეგიონის თავისებურებები. რეგიონული ეკონომიკა მოიცავს საქმიანობისა და სექტორების მრავალ სახეს. აქედან გამომდინარე რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოება საჭიროა განვიხილოთ, როგორც ფინანსური, ენერგეტიკული, ინვესტიციური, საწარმოო, სამეცნიერო-ტექნიკური, საგრეო-ეკონომიკური, კვების უსაფრთხოების ერთობლიობა. ეკონომიკური უსაფრთხოების ასეთი მრავალფეროვანი კომპონენტები შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ მისი ცალკეული მიმართულებების მართვა უფრო მარტივი და შედარებით ეფექტიანია [8].

ინვესტიციური უსაფრთხოების არსის შესწავლა საშუალებას გვამძლევს, განვსაზღვროთ მისი შედარებით მნიშვნელოვანი მახასიათებლები. ქვეყნები აუცილებელია გაერკვნენ ინვესტიციური სექტორის სიტუაციაში, რომელიც გულისხმობს შიგა და საზღვარგარეთული ინვესტიციების სრულ, ეფექტიან გამოყენებას, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე საზღვარგარეთული კაპიტალისაგან ეკონომიკის სექტორების დაცვას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინვესტიციური კლიმატი ითვლება საერთო კრიტერიუმად ინვესტიციური რესურსების განთავსებისა და ეფექტიანი გამოყენებისათვის. კეთილსასურველი ინვესტიციური კლიმატი საშუალებას გვამძლევს ეფექტიანად და მიზანმიმართულად გამოვიყენოთ ინვესტიციები. კეთილსასურველი ინვესტიციური კლიმატი კი სტიმულირებს ქვეყანაში კაპიტალის იმპორტს და ზრდის ინვესტორების აქტივობას. თუკი სახელმწიფოში არ ხდება კეთილსასურველი ინვესტიციური კლიმატის ფორმირება, იზრდება ინვესტიციური რისკის დონე, კაპიტალი გაედინება და შედეგად ინვესტიციური აქტივობა იწყებს შენელებას.

ინვესტიციები ეკონომიკაში განსაზღვრავენ ეკონომიკური უსაფრთხოების ეფექტიანობას. როგორც წესი, ნაკლები ყურადღება ეთმობა ინვესტიციური პროცესების ზემოქმედების შეფასებას რეგიონში ეკონომიკური უსაფრთხოების ფორმირებაზე. უზრუნველყოფენ რა მდგრად ეკონომიკურ ზრდას, ინვესტიციები ითვლება რეგიონის ეკონომიკის მდგრადი განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად. აქტიური ინვესტიციური პროცესი განსაზღვრავს რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს, ქმნის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების შესაძლებლობას.

ექსპერტ-ანალიტიკოსების აზრით, კრიზისის დროს, მიუხედავად მისი ბუნებისა, ხდება კაპიტალის გადადენა ფორმირებადი ბაზრებიდან განვითარებულ ეკონომიკებში ძლიერი

ფინანსური სისტემებით. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ პირობებში, არცერთი საწარმო არ არის დაზღვეული სარისკო სიტუაციების წარმოშობისაგან და შესაბამისი ეკონომიკური და სხვა დანაკარგებისაგან. აქედან გამომდინარე საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის ძირითადი ამოცანა ინვესტიციური საქმიანობის ეფექტური მართვა უნდა იყოს. მნიშვნელოვანია თანმიმდევრულად მოხდეს ასეთი საქმიანობის განხორციელების ვარიანტული პროექტირების შესაძლებლობა: უნდა შემუშავდეს ინვესტიციური პროექტების რეალიზაციის რამდენიმე სცენარი, სარისკო სიტუაციების შესაძლო წარმოშობისას ინვესტიციური და საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული არაკეთილსასურველი შედეგების აღმოსაფხვრელად.

თუ სერიოზულად მივუდგებით რისკების მართვის პროცესის განხილვას ინვესტიციური საქმიანობის კუთხით, მაშინ იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც განსაკუთრებული ქმედება, რომელიც სარისკო სიტუაციების გამოვლენის ნეგატიური შედეგების ნეიტრალიზაციისაკენაა მიმართული და საფინანსო-ეკონომიკური ხასიათი გააჩნიათ. ასეთი ნეგატიური შედეგები, როგორც წესი, დაკავშირებულია ინვესტიციური რისკების იდენტიფიკაციასთან, შეფასებასთან, დაზღვევასთან და თავიდან აცილებასთან [4].

საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა აუცილებელია განიხილონ როგორც რისკის დონის, ისე შესაძლო დანაკარგების შემცირების შესაძლო ვარიანტები. აქედან გამომდინარე, საწარმოს ინვესტიციურ საქმიანობაში რისკებზე ზემოქმედება უნდა მოხდეს შემდეგნაირად: ინვესტიციური რისკების აღმოფხვრის კომპლექსური ზომების შემუშავება და რეალიზაცია მიმართული საშიშროების დადგომის ალბათობის შემცირებისაკენ, რომლებიც უარყოფითად ზემოქმედებენ კომპანიის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე; რისკის შედეგების შემცირებისაკენ მიმართული ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავება და რეალიზაცია, რომლებიც მიმართულია მოსალოდნელი უარყოფითი გადახრის მინიმიზაციისაკენ.

### დასკვნა

ინვესტიციური რისკების შემცირების უზრუნველსაყოფად აუცილებელია კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება. კერძოდ, ინვესტიციური რესურსების გარდა, უნდა მოხდეს პროექტის კალენდარული გეგმის კორექტირება ცვალებადი პირობების მიმართ; დამატებითი კვლევები უნდა ჩატარდეს ინვესტიციური ბაზრის შესწავლის მიზნით; მუდმივად უნდა ხდებოდეს საპროექტო დოკუმენტაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შესწორება ცვალებად პირობებთან მიმართებით.

აღნიშნული ღონისძიებების რეალიზება შესაძლებელია შემდეგი ინსტრუმენტების მეშვეობით:

- რისკების დაზღვევა;
- თანაინვესტირების მოზიდვა;
- სხვადასხვა სახის გრანტების მოზიდვა და სხვ.

ინვესტიციური რისკების მართვის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია საწარმოს ინვესტიციური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამ მეთოდებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

- რისკების შთანთქმა;
- რისკების თავიდან არიდება;
- გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის ინვესტიციური რესურსების რეზერვების შექმნა;
- რისკის გაჩერება;
- რისკის გადატანა;
- რისკების განაწილება პროექტის მონაწილეებს შორის.

შეჯამებისას უნდა აღინიშნოს, რომ ინვესტიციური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს უნდა გააჩნდეთ

რისკების გამოვლენის უნარები და შეეძლოთ ინვესტიციური რისკების მართვის ორგანიზება, აგრეთვე იმ ღონისძიებების შემუშავებისა და გამოყენების გამოცდილება, რომლებიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისაკენ. რისკების მართვისას უნდა გამოიყენონ მართვის თანამედროვე მეთოდები და ხერხები.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Агрба З., Теоретические основы экономической безопасности государства в инвестиционной сфере. Государственная служба. 2015; 3(95).
2. Акрамова О.К., Обеспечение инвестиционной безопасности как автономный фактор повышения инвестиционной привлекательности. Информатика. Экономика. управление //2022;1(2).
3. Бобоев А.Ч., Эффективность привлечения иностранных инвестиций в регионы. Интернаука. 2019.
4. Иванова Н.А., Дорожкина Е.Г., Елистратова Н.Н., Инвестиционная безопасность как составляющая системы экономической безопасности. Научно-теоритический журнал №1, 2022.
5. Илякова И.Е., Институциональные условия инновационного развития экономики: региональный аспект. регионология. 2014.
6. Минервич И.Г., Инвестиционный процесс и экономическая безопасность //ЭСПр. 2017. №1.
7. Ножкина Е.Б., Актуальные проблемы развития системы обеспечения инвестиционной безопасности // Вестник Саратовского государственного социально-экономического университета. 2017, №5.
8. Плотников А.Н., Инновации и риски: монография /Попов А.В., Плотников Д.А., Плотников А.Н. Саратов. КУБИК. 2015.

*Tea Lazarashvili*

### INVESTMENT SECURITY AS A BASIC COMPONENT OF ECONOMIC SECURITY

#### Abstract

The article discusses different approaches to the concept of "investment security". Attention to the problem of security has increased especially in the conditions of globalization, internationalization and transnationalization.

Investment security can be considered as the main component of economic security, which ensures effective investment for the sustainable development of the economy. It can also be considered as an independent category that affects the sustainable development of the national economy. In order to ensure investment security, it is necessary to develop a clear mechanism for managing investment risks, in which important attention is paid to the development of the economic forecasting system, strategic planning, and the development and implementation of modern advanced technologies.

*Asif Mirlazim Mustafayev*

*Tariyel Musallim Qurbanov*

### PROBLEMS OF ENSURING SUSTAINABLE ECONOMIC DEVELOPMENT ON A GLOBAL SCALE

**Abstract.** *The presented article examines modern problems of sustainable economic development. It was noted that ensuring sustainable economic development is a complex process and also arises as a problem sensitive to the impact of national and global characteristics. The article specifically examines the damage caused by the Russian-Ukrainian conflict to economic development at the global level, countries that are better able to provide sustainable economic development, and the situation of its provision in Azerbaijan.*

*Indicators characterizing sustainable economic development in Azerbaijan were also noted and economic steps taken in this direction were evaluated.*

**Key words:** *sustainable economic development, Russian-Ukrainian conflict, Azerbaijan, index, energy prices, etc.*

## **Introduction**

Sustainable economic development refers to a form of economic growth that meets the needs of the present without compromising the ability of future generations to meet their own needs. The theoretical and methodological base of sustainable economic development is grounded in several disciplines, including economics, ecology, sociology, and political science.

The economic perspective of sustainable economic development focuses on the long-term economic benefits of sustainable development, including the preservation of natural resources, the promotion of environmental sustainability, and the reduction of poverty and inequality. From this perspective, sustainable development is seen as an opportunity for economic growth and development that is environmentally and socially responsible.

The ecological perspective of sustainable economic development recognizes that economic development occurs within the context of the natural environment. It emphasizes the need to protect natural resources, ecosystems, and biodiversity in order to maintain the ecological balance that supports human life and economic development.

The social perspective of sustainable economic development emphasizes the need to promote social justice, reduce poverty and inequality, and ensure that economic development benefits all members of society. This perspective recognizes that economic development is not an end in itself, but rather a means to achieve social and environmental objectives.

Methodologically, sustainable economic development involves the use of a range of tools and approaches, including environmental impact assessments, life cycle assessments, and sustainability reporting. These tools are used to assess the social, economic, and environmental impacts of economic activities and to identify opportunities for sustainable development.

In summary, the theoretical and methodological base of sustainable economic development is multifaceted, drawing on a range of disciplines and approaches. It emphasizes the need to balance economic growth, environmental protection, and social justice in order to achieve long-term sustainable development.

## **Main part**

There are several ways to measure sustainable economic development, and the leading countries may vary depending on the indicators and methodologies used. However, some commonly used indicators to assess sustainable economic development include renewable energy use, environmental performance, and social progress.

According to the Global Sustainable Competitiveness Index 2021, which assesses the sustainable competitiveness of countries based on economic, environmental, and social indicators, the top 10 countries in terms of sustainable economic development are:

1. Sweden
2. Denmark
3. Finland
4. Austria
5. Germany
6. Norway
7. Iceland
8. Slovenia
9. Switzerland
- 10 Netherlands [2]

Another index that assesses sustainable development is the Environmental Performance Index (EPI), which ranks countries based on their environmental performance in areas such as air quality, water and sanitation, and biodiversity and habitat conservation. According to the EPI 2020 rankings, the top 10 countries in terms of environmental performance are:

1. Denmark
2. Luxembourg
3. Switzerland
4. United Kingdom
5. France
6. Austria
7. Finland
8. Sweden
9. Norway

## 10. Germany [1]

It's worth noting that these rankings are not definitive and may change depending on the indicators and methodologies used. However, they do provide a general idea of the countries that are leading in terms of sustainable economic development.

There are several factors that can negatively affect sustainable economic development at the global level. Some of these factors are discussed below, along with relevant sources of literature:

1. **Climate change:** Climate change is a major global challenge that poses a threat to sustainable economic development by affecting agriculture, water resources, biodiversity, and public health. Climate change is caused by greenhouse gas emissions, which are primarily generated by human activities such as burning fossil fuels and deforestation. [3, p. 9].

2. **Natural resource depletion:** The depletion of natural resources, such as forests, fisheries, and minerals, can negatively impact sustainable economic development by reducing the availability of resources needed for economic growth and development. This can also lead to environmental degradation and biodiversity loss. [4, p. 4].

3. **Poverty and inequality:** Poverty and inequality can limit access to resources and opportunities needed for sustainable economic development, such as education, healthcare, and infrastructure. This can also lead to social unrest and political instability, which can further hinder sustainable economic development. [5, p. 5].

4. **Political instability:** Political instability and conflicts can negatively affect sustainable economic development by disrupting trade, investment, and infrastructure development. They can also create a climate of uncertainty and fear, which can deter foreign investment and damage local economies. [6, p. 19].

5. **Lack of institutional capacity:** Weak institutional capacity can hinder sustainable economic development by reducing the ability of governments and other stakeholders to implement policies and programs effectively. This can lead to corruption, inefficiency, and lack of accountability, which can undermine public trust and hinder sustainable economic development. [7, p. 3].

The Russian-Ukrainian war, which began in 2022, has had several impacts on global economic development. Some of the key impacts are discussed below:

1. **Trade disruptions:** The conflict has led to disruptions in trade between Russia and Ukraine, as well as with other countries in the region. This has had a negative impact on the economies of both Russia and Ukraine, as well as on other countries that rely on trade with these countries.

კვლევაში შედარებულია ხუთი სექტორი - ენერჯეტიკა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, მრეწველობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა; გაანალიზებულია ამ დარგებში გაცემული სესხების წილი მთლიან სესხებსა და დარგის გამოშვებაში; დადგენილია, რომ საქართველოში კლიმატის ზემოქმედება ახდენს არაპირდაპირ გავლენას საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაკრედიტების გადაწყვეტილებებზე და კლიმატზე ზემოქმედებას არ ენიჭება მნიშვნელოვანი როლი კომერციული ბანკების საქმიანობაში, გარდა სოფლის მეურნეობისა. სოფლის მეურნეობის დარგები ყველაზე მეტად განიცდის კლიმატურ რისკებს და აქვს განსაკუთრებით მაღალი წვლილი კლიმატის ცვლილებაში.

**საკვანძო სიტყვები:** მდგრადი განვითარება, მწვანე ფინანსები, სოფლის მეურნეობა, კლიმატის გავლენა, სესხები, რისკები.

## შესავალი

დღევანდელ მსოფლიოში განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს ფინანსური სისტემის მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის საკითხების გათვალისწინება, როგორც მდგრადი განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი. ამ ასპექტით ახალ გამოწვევებს ქმნის მწვანე, სოციალური და მდგრადი დაფინანსება და კაპიტალის ბაზრის მონაწილეობა სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ფინანსური რისკების მართვა. რამეთუ მდგრადი განვითარების მიზნებისათვის ფინანსური რესურსების წარმართვა დამოკიდებულია არა მხოლოდ კომპანიების ფინანსური მართვის კულტურასა და საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე, არამედ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ფაქტორების გათვალისწინებასა და სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვაზე.

მდგრადი დაფინანსება და მასთან დაკავშირებით წარმოქმნილი საფინანსო რისკები ასევე დაკავშირებულია კლიმატის ცვლილებებთან, რომელსაც გრძელვადიანი ზემოქმედების შედეგები აქვს ეკონომიკაზე და საფრთხეს უქმნის ფინანსურ სტაბილურობას ეკონომიკაში არსებული გაურკვეველობების წარმოშობით.

## მეთოდოლოგიური მიდგომა

ეკონომიკაში მდგრადი განვითარების რისკების გამოვლენის მრავალი მიდგომა არსებობს. საფინანსო ორგანიზაციების მიერ რისკების შეფასებები და მათი ზემოქმედების განსხვავებული ხარისხის დადგენა ძირითადად ხდება დაკვირვებითა და ანალიზის გზით. ამისათვის იყენებენ სხვადასხვა მეთოდოლოგიას, განსაკუთრებით კი — „ზემოდან ქვემოთ“ ("top-down") მიდგომას, რომელიც გულისხმობს ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით სექტორის პოტენციური რისკების განსაზღვრას. მათ ემპირიულ ანალიზში გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) რისკები უფრო ზოგადად ფასდება. უფრო მეტად კი აქცენტი გაკეთებულია მწვანე და ქრონიკულ ბუნებრივ-კლიმატურ რისკებზე, რომლებიც ხელშესახებია, მაღალი რისკების კატეგორიას მიეკუთვნება და განსაკუთრებით დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ამ დარგის მოწყვლადობა. კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრისას რისკების გავლენის შემცირების (აცილების) პროცესის მართვის მიზნით გაწეული კვლევა მოითხოვს მათ იდენტიფიცირებას, შეფასებას და რუკის შედგენას.

ბაზრების ცვალებადობა და გარემოსდაცვითი გამოწვევები წარმოქმნიან როგორც გარდამავალ, ტრანსფორმაციულ რისკებს, ასევე ფიზიკურს. ასეთი რისკების დროს კომპანიები ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგებიან, რომლებმაც შესაძლებელია განსხვავებული ხარისხის ზიანი მიაყენოს მათ უნარს სესხების დაფარვასთან დაკავშირებით, შესაბამისად იგი გავლენას ახდენს ბანკებზე და ზოგადად ფინანსურ სტაბილურობაზე.

გარემოსდაცვით ასპექტებს, ფინანსურ გადაწყვეტილებებსა და ინსტრუმენტებს შორის დამოკიდებულებას ჩვეულებრივ უწოდებენ "მწვანე ფინანსებს". ეკონომიკური და ფინანსური სისტემების სტაბილურობის დაცვას გარემოს რისკების გავლენისაგან შეიძლება ეწოდოს

რისკზე დაფუძნებული მწვანე ფინანსები, ხოლო ბიზნესში სამართლიანობის, მორალისა და ეთიკის კონცეფციის დანერგვას ინვესტიციის პროცესში (სოციალურად პასუხისმგებლური ინვესტიცია) კი — ღირებულებაზე დაფუძნებული მწვანე ფინანსები (Climate-related Risk Radar...2022, 6).

მწვანე ფინანსების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის განსაზღვრული იმით, თუ როგორ იმართება ეს პროცესი საკანონმდებლო აქტებით, რა ტექნოლოგიური შესაძლებლობები გააჩნია ქვეყანას, რამდენად მოთხოვნიდა ბაზარზე გარემოსდაცვითი ღონისძიებები, როგორია მომხმარებლების ქცევები, სოციალურ-კულტურული გარემო და სხვ. ყოველივე ეს არის ცალ-ცალკე შეფასების სფერო, რომელიც აერთიანებს ჰუმანიტარულ, ეკოლოგიურ, ტექნოლოგიურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ საკითხებს.

### საქართველოს მახასიათებლები

საქართველოში კომპანიების ფინანსებზე გარემოსდაცვითი და კლიმატური პირობების ზეგავლენას შეისწავლის ეროვნული ბანკი, იგი იკვლევს საკრედიტო პირობების ცვლილებებს საბანკო სექტორის მაღალი რგოლის მენეჯერებისაგან დაკრედიტების მიმდინარე და სამომავლო ტენდენციებზე ინფორმაციის მიწოდებით, სესხებზე მოთხოვნისა და დაკრედიტების საპროცენტო და არასაპროცენტო პირობების ცვლილებებისა და ამ ცვლილების გამომწვევი ფაქტორების განსაზღვრით.<sup>21</sup>

გლობალური კლიმატის რისკის ინდექსით საქართველო 108-ე ადგილზეა და მიეკუთვნება ყველაზე მეტად დაზარალებული ქვეყნების რიცხვს. ქვეყანა არსებობს ექსტრემალური ამინდის მოვლენების სფეროში, რაც აშკარა საფრთხეზე მიუთითებს (Eckstein, D.; Künzel, V., etc. 2022, 36). EU4Climate-ის (2021, 2) მიხედვით, საქართველო „უაღრესად დაუცველია კლიმატის ცვლილებისადმი და არის მწვავე ფიზიკურ კლიმატის რისკების ზონაში, რომელიც განპირობებულია გაზრდილი წყალდიდობის, მეწყერების სიხშირითა და სიმძიმით. იგი აყენებს ეკონომიკას მნიშვნელოვან ზიანს. სოფლის მეურნეობა არის ის სექტორი, რომელზეც ყველაზე მეტად ვრცელდება ექსტრემალური ამინდის მოვლენები.

მსოფლიო ბანკის ჯგუფისა და აზიის განვითარების ბანკის მიერ შედგენილი კლიმატის რისკის ქვეყნის პროფილის მიხედვით, საქართველოსთვის დამახასიათებელია საშუალოზე მაღალი ტემპერატურის მატება, ასევე ძლიერი გვალვები და წყლის დეფიციტი. გარდა ამისა, მცინვარების შეკუმშვის გამო საფრთხე ემუქრება მდინარეების გავლით წყლის მიწოდებას. ეს იწვევს მნიშვნელოვან ეკონომიკურ შედეგებს (World Bank Group and Asian Development Bank, 2021).

საქართველოს სათბურის გაზების ინვენტარიზაციის ეროვნული ანგარიშის მიხედვით, 1990-2017 წლებში სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია ყველაზე მაღალი სათბურის გაზების ემისია (დაახლოებით 20%) (National Inventory Report, 2021, 36). ანალოგიურია ასევე შეფასებაც ევროკავშირის ტექსონომიით (EU Technical Expert, 2020, 12).

საქართველოს 2030 წლის კლიმატის ცვლილების სტრატეგიისა და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის (CSAP 2020) ერთ-ერთი ასპექტია სოფლის მეურნეობის სექტორში დაბალი ნახშირბადის მიღწევისათვის ღონისძიებების მხარდაჭერა (CSAP, 2020), თუმცა ექსპერტები მოითხოვენ, რომ ღონისძიება იყოს უფრო კონკრეტული და საკმარისი (Climate-related Risk Radar..., 2022, 6).

---

<sup>21</sup> ეროვნული ბანკის მიერ შემოთავაზებული რისკების რადარი მოიცავს სამ ნაწილს: 1. ფიზიკური კლიმატის რისკები, რომელიც შესაძლებელია იყოს მწვავე და ქრონიკული, შეფასებულია მაქსიმუმ 2.8 ქულით; 2. ტრანზიტული რისკები, რომლებიც დამყარებულია მარეგულირებელ გარემოზე, ეკონომიკურ ზეგავლენაზე, ტექნოლოგიურ ცვლილებებსა და მომხმარებლის ქცევებზე, შეფასებულია 2.9 ქულით, ხოლო სხვა ეკონომიკური, სოციალური და მმართველობითი რისკები კი შეფასებულია 1.3 ქულით, სადაც 0-3 არის უმნიშვნელო, 4-5 მოწყვლადი, 6-7 მაღალი და 8-10 კრიტიკული. კითხვარის მეშვეობით ხდება რესპონდენტთა აღქმის რაოდენობრივი შეფასება 0-დან 100-მდე, სადაც 100 აღნიშნავს ტენდენციის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

**მოწყვლადი დარგები**

დარგებს, რომლებიც ყველაზე მეტად განიცდიან კლიმატურ რისკებს, აქვთ მაღალი წვლილი კლიმატის ცვლილებაში და ქმნიან განსაკუთრებით მაღალ რისკებს, მიეკუთვნება: სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა და თევზაობა (მრავალწლიანი კულტურების მოყვანა, სატყეო საქმიანობა), კვების პროდუქტების წარმოება, ქიმიური და ქიმიური პროდუქტების წარმოება, ელექტროენერჯის, გაზის, ორთქლისა და კონდიციონერების მიწოდება, წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვისა და რემედიაციის საქმიანობა. მაღალი რისკის სექტორებს მიეკუთვნება მრავალწლიანი კულტურების მოყვანა, ცხოველური წარმოება, თევზაობა და აკვაკულტურა, თამბაქოს ნაწარმის წარმოება, კოქსისა და რაფინირებული ნავთობპროდუქტების წარმოება, საავტომობილო მანქანების, მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი მანქანების წარმოება, მშენებლობა, ტრანსპორტირება და შენახვა (Climate-related Risk Radar... 2022, 15).

იბადება კითხვა, თუ როგორ მოქმედებს გარემოს რისკებისადმი დარგების მოწყვლადობა ფინანსურ სექტორის მიერ ამ დარგების დაკრედიტებაზე.

**დაფინანსების პრობლემები**

ჩვენი გათვლები ემყარება მეთოდოლოგიას, რომლის თანახმად, დაკრედიტების რისკები განსაზღვრულია ძალიან მწვავე, მაღალი რისკის მქონე და მოწყვლადი რისკის მქონე სესხების განზომილებით. ეს მიდგომა „სითბური რუკის“ (A heat map; heatmap) მეთოდოლოგიის ანალოგიურია (Climate-related Risk Radar... 2022, 18). შედარებულია ხუთი სექტორი - ენერჯეტიკა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, მრეწველობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, აპრიორად კი აღებულია კონცეფცია, რომლის თანახმად, სესხების წილი უნდა გამოხატავდეს დარგების რისკიანობას, მათ შორის გარემოს მიმართ. ეს კონცეფცია დღეს საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული სამეცნიერო ლიტერატურაში (Dengjun Zhang, 2021; Overview of Environmental Risk..., 2020; Mueller I, Sfrappini E., 2022). მასზე დაყრდნობით ჩვენ შევადარეთ გაცემული სესხების წილი მთლიან სესხებში დარგის მიხედვით (მშპ). მეორე მხრივ, გავითვალისწინეთ ის, რომ განსხვავებული საპროცენტო განაკვეთები დარგების მიხედვით უნდა გამოხატავდეს საფინანსო ინსტიტუტების დამოკიდებულებას დარგის რისკიანობისადმი. მაღალი საპროცენტო განაკვეთი დარგის მაღალრისკიანობას ასახავს.<sup>22</sup>

**კომპანიების მიერ აღებული სესხები დარგების მიხედვით<sup>23</sup>**

	სესხების წილი სულ სესხებში (2003-2022 წწ.)*	სესხების საპრო-ცენტო განაკვეთი (2003-2022 წწ.)	დარგის წილი მშპ-ში (2010-2022 წწ.)	სესხების წილი მშპ-თან	დარგის რეალური ზრდის ტემპი 2010-2022 წწ. (საშუალო, წინა წელი = 100)	სესხების წილის თანაფარ-დობა დარგის წილთან	შრომის მწარმოებლუ-რობა (ერთ დასაქმებულზე, (20 წ.)
სოფლის მეურნეობა	1.7 (1.8)	13.95 (13.4)	7.7	0,22	3,1	2.9	66840
მრეწველობა	12.7 (23.3)	14.4 (12.3)	12,7 **	1	11.5	7.9	140385
მშენებლობა	10,9 (9.9)	14,6 (13)	5.9	1,8	4.2	27.1	141906

<sup>22</sup> იგულისხმება სხვადასხვა რისკები – მათ შორის მარკეტინგულიც.


<sup>23</sup> დარგები განსაზღვრულია NACE.Rev2-ის სტანდარტული მეთოდოლოგიით, რომელსაც საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური იყენებს, ხოლო სესხების სტატისტიკას კი აწარმოებს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელმაც მხოლოდ 2022 წლიდან დაიწყო NACE.Rev2 გამოყენება, რის გამოც მოცემული დარგები არ შეესაბამება სტატისტიკის სამსახურის მიერ განახლებულ სტანდარტს. შესაბამისად ფინანსური მონაცემები მხოლოდ დარგობრივ ჭრილშია გაკეთებული. ამასთან სესხების განსაზღვრა დარგების მიხედვით შეიძლება არ იძლეოდეს ზუსტ წარმოდგენას კლიმატის ცვლილებებზე ქვედარგების განსხვავებული მოწყვლადობის შეფასებაზე.

ტრანსპორტი კავშირგაბ- მულობა	3,2 (3.1)	15,8 (12.5)	8.2	0,4	12.2	4.9	78875 (ინფორმაცია და კომუნიკაცია)
ფინანსური შუამავლობა	14,5 (3.3)	11,7 (11.9)	5.1	2,8	9.2	54.9	-

წყარო: ავტორის გაანგარიშებები ეფუძნება საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს.

\* ფრჩხილებში მოცემული მონაცემები არის უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები.

\*\* მოიცავს სამთომოპოვებით და დამამუშავებელ მრეწველობას, ელექტროენერჯის, აირის, ორთქლისა და კონდიციონერული ჰაერის მიწოდებას, წყალმომარაგებას, კანალიზაციას, ნარჩენების მართვასა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობებს.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

კომერციული ბანკების მიერ დაფინანსების ყველაზე სასურველი დარგი არის ფინანსური შუამავლობა, რომლის წილი სესხებში ყველაზე მაღალია. სოფლის მეურნეობა არის უმაღლესი რისკის სექტორი, რომელიც ყველაზე მეტად განიცდის ფიზიკური და გარდამავალი კლიმატის რისკებს, თავის მხრივ, დიდ როლს თამაშობს კლიმატის ცვლილებებში, რითაც ხელს უწყობს ამ რისკების განსხვავებას. მას აქვს ყველაზე დაბალი წილი სესხებში.

მშენებლობა არის მაღალი რისკის მქონე დარგი, რომელიც განიცდის ფიზიკური და გარდამავალი კლიმატის რისკებს და ძალიან ზემოქმედებს კლიმატზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი წილი სესხებში ძალიან მაღალია. მას აქვს მაღალი შრომის მწარმოებლურობა მრეწველობასთან ერთად, რაც საფინანსო სექტორში ქმნის მათი დაფინანსების უპირატესობებს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნულ წლებში სესხების საერთო საშუალო განაკვეთი შეადგენდა 14.3 პროცენტს ლარში და 12.4 პროცენტს დოლარში, ხოლო დარგების მომგებიანობის განსხვავებული დონე ზეგავლენას ახდენდა სესხების მიმზიდველობასა და მათ დაკრედიტებაზე.

ტრანსპორტი და მრეწველობის დარგები ზოგადად კლიმატის ცვლილებით განპირობებული მაღალი რისკის სექტორებს მიეკუთვნება, მაგრამ მათი დაფინანსება საფინანსო ინსტიტუტების მიერ ხდება განსხვავებულად. სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის ზრდის ტემპებიც საშუალო ეროვნულზე (5.6) დაბალია, თუმცა მშენებლობაში ზრდის ტემპების მერყეობის დიაპაზონი უფრო დიდია (-7-დან 22 პროცენტამდე), რაც მის

არამყარ ხასიათზე მეტყველებს.<sup>24</sup> მისი დაკრედიტებაც სხვადასხვა წლებში არ იყო დამოკიდებული კლიმატზე ზემოქმედების შეფასებებზე, არამედ – დარგის ციკლურ ხასიათზე.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მიდგომა არ არის სრულყოფილი და მრავალ შემზღუდველ გარემოებას გულისხმობს, უნდა ვივარაუდოთ, რომ მთლიანობაში დაფინანსებისას კლიმატზე ზემოქმედებას არ ენიჭებოდა მნიშვნელოვანი როლი. მხოლოდ სოფლის მეურნეობაში, რომლის შრომის მწარმოებლურობა არის ძალიან დაბალი, მოწყვლადობა კი – მაღალი, კლიმატის ზემოქმედება დარგის საქმიანობაზე ახდენდა არაპირდაპირ გავლენას საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაკრედიტების გადაწყვეტილებებზე.

ფინანსური ინსტიტუტების მიერ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ფაქტორების, მათ შორის კლიმატთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინება კომპანიებისა და სახელმწიფოს მდგრადი დაფინანსების კრიტიკული ნაწილია, სადაც გარემოსდაცვითი საქმიანობა და კლიმატის ზემოქმედების გათვალისწინება საფინანსო-საკრედიტო საქმიანობაში მნიშვნელოვანი ფაქტორია მწვანე დაფინანსების გასავითარებლად.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ლაზარაშვილი თ. (2020), ეკონომიკური ზრდის „მწვანე“ დაფინანსება: კონცეფციები და პრობლემები. გლობალიზაცია და ბიზნესი, #9, გვ. 53-56. <https://doi.org/10.35945/gb.2020.09.006>
2. Climate-related Risk Radar for Georgian economic sectors and its possible application for the financial sector, The National Bank of Georgia (NBG), German Sparkassenstiftung for International Cooperation (DSIK)2022, <https://nbg.gov.ge/en/page/climate-risk-radar>
3. Climate-related Risk Radar for Georgian economic sectors and its possible application for the financial sector. The National Bank of Georgia (NBG), German Sparkassenstiftung for International Cooperation (DSIK)2022, <https://nbg.gov.ge/en/page/climate-risk-radar>
4. Climate-related Risk Radar for Georgian economic sectors and its possible application for the financial sector, The National Bank of Georgia (NBG), German Sparkassenstiftung for International Cooperation (DSIK)2022, <https://nbg.gov.ge/en/page/climate-risk-radar>
5. CSAP (2020): Georgia's 2030 Climate Change Strategy and 2021-2023 Action Plan. Tbilisi: Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. Citation and summary at: <https://www.iea.org/policies/13023-climate-change-strategy-2030-and-action-plan-for-2021-2023>.
6. Dengjun Zhang (2021), How environmental performance affects firms' access to credit: Evidence from EU countries, Journal of Cleaner Production, 315, (2021): [www.elsevier.com/locate/jclepro](http://www.elsevier.com/locate/jclepro); <https://doi.org/10.1016/j.jclepro.2021.128294>; <https://reader.elsevier.com/reader/sd/pii/S0959652621025099?token=77AEE44988B92E6779D4F1DAD5BA791618572C20A5209FB2CDD656EF05ED4CF65679F124E40250CF3270E465FAEA749A&originRegion=eu-west-1&originCreation=20230209050959>
7. Eckstein, D.; Künzel, V., Schäfer, V. (2021): Global Climate Risk Index, Berlin: Germanwatch. [https://germanwatch.org/sites/default/files/Global%20Climate%20Risk%20Index%202021\\_2.pdf](https://germanwatch.org/sites/default/files/Global%20Climate%20Risk%20Index%202021_2.pdf)
8. EU4Climate (2021): Georgia - Climate policy development and advancing cooperation with the EU. EU4Climate. <https://eu4climate.eu/georgia/>
9. EU Technical Expert Group on Sustainable Finance (2020): Taxonomy Report - Technical Annex. Brussels: The European Commission. [https://ec.europa.eu/info/files/200309-sustainable-finance-teg-final-report-taxonomy-annexes\\_en](https://ec.europa.eu/info/files/200309-sustainable-finance-teg-final-report-taxonomy-annexes_en)
10. Mueller I, Sfrappini E., (2022), Climate Change-Related Regulatory Risks and Bank Lending, ECB Working Paper Series No 2670 / June 2022, <https://www.ecb.europa.eu/pub/pdf/scpwps/ecb.wp2670~921f2cc6b8.en.pdf>; [https://www.suerf.org/docx/f\\_e2f5bebf17a82cde2f8f86fee5a83e22\\_50167\\_suerf.pdf](https://www.suerf.org/docx/f_e2f5bebf17a82cde2f8f86fee5a83e22_50167_suerf.pdf)
11. National Inventory Report (2021): National Greenhouse Gas Inventory Report of Georgia 1990-2017. Tbilisi: Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. <https://unfccc.int/sites/default/files/resource/NIR%20%20Eng%2030.03.pdf>
12. Overview of Environmental Risk Analysis by Financial Institutions, Network for Greening the Financial System Technical document, NGFS REPORT, September 2020.

<sup>24</sup> გაანგარიშება მოიცავს 2020-2021 წლებსაც, როდესაც კორონავირუსის ეპიდემიასთან დაკავშირებული შემზღუდავი ეკონომიკური რეგულაციების ზემოქმედება განსხვავებული იყო დარგების მიხედვით.

[https://www.ngfs.net/sites/default/files/medias/documents/overview\\_of\\_environmental\\_risk\\_analysis\\_by\\_financial\\_institutions.pdf](https://www.ngfs.net/sites/default/files/medias/documents/overview_of_environmental_risk_analysis_by_financial_institutions.pdf);

13. World Bank Group and Asian Development Bank (2021): Climate Risk Country Profile Georgia. Washington & Mandaluyong City: World Bank Group and Asian Development Bank. <https://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/climate-risk-country-profile-georgia.pdf>

*Solomon Pavliashvili  
Mikheil Tokmazishvili*

## GREEN FINANCING IN GEORGIA

### Abstract

The term "green finance" refers to the connection between environmental and financial decisions and is based on economic, social, environmental, and other values. The vulnerability of sectors to the environment influences financial sector lending to these industries. The risks of the latter are defined by many industry characteristics, such as vulnerability and environmental impact dimensions.

The study compares five sectors - energy, agriculture, construction, industry, and transport and communication - and examines the share of loans given in each sector in terms of total assets and output. Climate impacts are anticipated to indirectly affect lending decisions by financial institutions in Georgia, and climate impacts are not assigned a substantial role in commercial bank activities, except in agriculture. Agricultural sectors are the most vulnerable to climate risks and contribute significantly to climate change.

**Keywords:** *sustainable development, green finance, agriculture, climate impact, loans, risks.*

*Владимер Папава  
Тамара Тапладзе*

## ОБ ОПАСНОСТИ БАНКОВСКОГО КРИЗИСА, НОВОЙ ВОЛНЕ ЗОМБИРОВАНИЯ ЭКОНОМИКИ И ЭФФЕКТЕ ОЛИВЕРА-ТАНЦИ

**Аннотация.** *Пандемия COVID-19, а также война России в Украине и Западные экономические санкции против России спровоцировали высокую инфляцию. Распространенным является мнение согласно которому считается, что из-за высокой инфляции прекратят существование зомби-компании и зомби-банки. В статье показывается, что существует два вида зомби-экономики – ортодоксальная и гетеродоксальная. Обоснованно, что из-за эффекта Оливера-Танци высокая инфляция не является угрозой существования ортодоксальной зомби-экономики, хотя создает сложности для существования гетеродоксальной зомби-экономики.*

**Ключевые слова:** *высокая инфляция, банковский кризис, ортодоксальная зомби-экономика, гетеродоксальная зомби-экономика, эффект Оливера-Танци.*

После того как весной 2023 года обанкротились два американских банка Silicon Valley Bank (SVB) и Signature Bank [Rajan, Acharya, 2023], а швейцарский банк Credit Suisse оказался неплатежеспособным [SwissInfo, 2023], экономисты активно начали обсуждать возможность начала банковского кризиса [Stiglitz, 2023]. Более того, в его провоцировании начали обвинять Федеральную резервную систему США [Bishop, 2023; El-Erian, 2023; Rajan, Acharya, 2023]. В свою очередь, крах SVB повысил неопределенность и у Европейского центрального банка [Weisbach, 2023]. Главной причиной банкротства SVB и Signature Bank, стала проводимая центральными банками политика низких процентных ставок, вследствие чего банки охотно приобретали государственные долгосрочные ценные бумаги с низкими процентными ставками; для обуздания высокой инфляции центральные банки начали резко повышать процентные ставки рефинансирования, вследствие чего банки начали срочно и массово избавляться от отмеченных государственных долгосрочных ценных бумаг с низкими процентными ставками, что вызвало некоторое опасение о доступности своих денежных средств у клиентов этих банков, в результате чего началось «бегство от этих банков», что и привело к их банкротству [Gloy, 2023; Santarelli, 2023a]. Помимо SVB и Signature Bank, считается, что ещё 186 банков США находятся под опасностью банкротства [Santarelli, 2023b].

Высокая инфляция, в свою очередь, была спровоцирована пандемией COVID-19, а впоследствии Российской войной в Украине и экономическими санкциями Запада против России [Baker,

2022; Parava, 2022; Rodrik, 2022]. Следует признать, что высокая инфляция оказалась довольно-таки стойкой [Feld, 2023].

Помимо того, высокая инфляция спровоцировала банкротство некоторых банков, также считается, что она должна покончить с финансовым «рассветом мертвецов», т.е. «зомби», так как высокая инфляция стимулирует прекращение сверхмягкой фискальной, денежно-кредитной политики, которая способствует существованию зомби-фирм и зомби-банков [Roubini, 2022].

В действительности, проблема избавления от зомби в экономике значительно сложнее, чем этого можно достичь исключительно за счёт высокой инфляцией. В частности, вопрос заключается в характере функционирования экономического зомби.

Считается, что зомби-компаниями, как правило, являются неплатежеспособные компании, которые в течение относительно длительного времени хотя и декларируют отрицательную прибыль, но, тем не менее, это им не мешает продолжать функционирование [Mohrman, Stuerke, 2014]. Как правило, этим «относительно длительным временем», когда коэффициент покрытия получаемой прибылью долгов ниже единицы, считается три года подряд [GS, 2022].

Согласно международному опыту функционирования зомби-экономики, неплатежеспособные компании продолжают существование за счёт чрезвычайной финансовой поддержки со стороны правительств и центральных банков. Суть этой поддержки заключается в предоставлении этим компаниям финансовых гарантий (за счёт которых эти компании могут брать новые кредиты в банках), в осуществлении прямой поддержки фирм посредством программ финансовой помощи, а также ослабления микро- и макропруденциальных правил надзора, и т.д. [Schepens, Schnabel, Laeven, 2020].

Из перечисленных форм государственной поддержки зомби-компаний особого внимания заслуживает предоставление этим компаниям финансовых гарантий правительства. Интересно, что исторически, именно, такую поддержку получали зародившиеся в условиях финансового кризиса в Японии в 90-х годах XX столетия зомби-компании [Hoshi, 2006]. Суть механизма заключается в том, что зомби-компании получают кредиты от коммерческих банков на основе выданных правительством финансовых гарантий [Hoshi, Kashyap, 2005]. Банки без сомнений предоставляют кредиты неплатежеспособным компаниям, так как они обеспечены указанными финансовыми гарантиями [Smith, 2003]. Как результат, эти банки трансформируются в зомби-банки, и они вместе с зомби-компаниями создают зомби-экономику [Kane, 2000]. Решение правительства о предоставлении зомби-компаниям финансовых гарантий основывается на недопущении их банкротства, что могло бы вызвать потерю голосов на политических выборах избирателей, оказавшихся безработными из-за этого банкротства. Данный механизм формирования и поддержания зомби-экономики используется до настоящего времени.

На основе этого механизма зародилась зомби-экономика на ее исторической «родине» – в Японии. Этот тип зомби-экономики (который основан на предоставлении неплатежеспособным компаниям финансовых гарантий правительства), как первоначальный феномен зомби в экономике, является *ортодоксальной зомби-экономикой* [Parava, 2023].

В условиях глобального финансово-экономического кризиса 2008-2009 годов процесс зомбирования экономики приобрел глобальный характер [Desjardins, Emerson, 2011; Harman, 2009; Onaran, 2012; Quiggin, 2010], который вовсе не прекратился после этого кризиса [Krugman, 2020].

Проблема зомбирования экономики обострилась во время пандемии COVID-19 [Donnan, 2020; Lee, Contiliano, 2020; Schepens, Schnabel, Laeven, 2020; Zingales, 2021]. Причиной тому были те правительственные мероприятия [Hoshi, Kawaguchi, Ueda, 2023; Stiglitz, Rashid, 2020], которые использовались для поддержания экономики в условиях экономического кризиса, вызванного этой пандемией [Parava, 2020a]. Именно эти мероприятия способствовали появлению новой волны процесса зомбирования экономики [Parava, 2020b].

Как во время глобального финансового и экономического кризиса 2008-2009 годов, так и после его завершения, а также в условиях экономического кризиса, вызванного пандемией COVID-19, начались применяться новые механизмы стимулирования появления и упрочения зомби-экономики. В частности, правительства начали осуществлять прямое субсидирование фирмам через программы финансовой помощи [Song, Su, Wang, 2021], а центральные банки на основе адаптивной денежно-кредитной политики ослабили регулирующую функцию по отношению к банкам [Lenzu, Wang, Acharya, 2021].

Необходимо подчеркнуть, что выявлена четкая связь между низкими процентными ставками банковских кредитов и увеличением числа зомби-компаний в экономике [Blažková, Chmelíková, 2022].



Данный механизм зомбирования экономики, который основан на субсидировании фирм и адаптивной денежно-кредитной политике, в корне отличается от механизма ортодоксального зомби.

С целью размеживания различных видов зомби-экономики исходя из механизмов их формирования и упрочения, зомби-экономику, которая существует за счёт правительственных субсидий, или/и за счёт низких (а иногда, даже, отрицательных) банковских процентных ставок, следует квалифицировать, как *гетеродоксальную зомби-экономику* [Pарава, 2023].

Влияние высокой инфляции на ортодоксальную и гетеродоксальную зомби-экономики в значительной степени отличается друг от друга.

Как известно, для восстановления стабильности цен путем преодоления высокой инфляции центральные банки повышают процентные ставки. Это приводит к резкому росту расходов на обслуживание долга, В свою очередь, считается, что это должно покончить с зомби-экономикой [Roubini, 2022].

В действительности это не совсем так. В частности, этот механизм, прежде всего, эффективен в отношении тех гетеродоксальных зомби-банков и связанных с ними зомби-компаний, которые существуют исключительно за счет низких ставок банковских процентов. Следует принять во внимание и то обстоятельство, согласно которому низкими процентными ставками банковских кредитов пользуются не только гетеродоксальные зомби, но и вполне платежеспособные компании, которые, при прочих равных условиях, имеют очевидное преимущество в конкурентной борьбе с зомби-компаниями [Schaaf, Bindseil, 2020].

Вместе с тем, необходимо разобраться в том, насколько высокая инфляция может оказаться достаточным для того, чтобы покончить с ортодоксальной зомби-экономикой и той части гетеродоксальной зомби-экономики, которая существует за счет правительственных субсидий.

Для изучения данного вопроса необходимо обратиться к эффекту Оливера-Танци [Anušić, Švaljek, 1996; Olivera, 1967; Tanzi, 1978; Tanzi, ed., 1984], который имеет место во время высокой инфляции, когда налогоплательщики предпочитают задерживать платежи в национальный бюджет. Дело в том, что из-за высокой инфляции они (налогоплательщики) ждут ещё большего обесценивания денег для получения соответствующих выгод, чего можно достичь путём задерживания оплаты налоговых обязательств. Такое поведение налогоплательщиков основывается на налоговом законодательстве, согласно которому некоторые налоги за предыдущий год уплачиваются в следующем году. Следует принять во внимание, что налоговые обязательства за предыдущий год зафиксированы и индексации (из-за инфляции) не подлежат. В итоге, в условиях высокой инфляции сопутствующий ей рост налоговых поступлений в национальный бюджет характеризуется временной задержкой. Таким образом, между ростом цен и повышением налоговых поступлений в национальный бюджет существует временной лаг.

Эффект Оливера-Танци в условиях высокой инфляции объясняет почему доходы государственного бюджета растут с временным запаздыванием. Так как, правительству, при прочих равных условиях, необходимо решать проблему осуществления государственных закупок по более высоким ценам, то из-за эффекта Оливера-Танци, высокая инфляция усложняет ему (правительству) задачу продолжения на должном уровне субсидирования зомби-компаний.

Из сказанного следует, что высокая инфляция ставит значительный барьер для продолжения существования гетеродоксальной зомби-экономики, которая основывается как на правительственное субсидирование, так и на низкие ставки банковских кредитов.

Принципиально иначе обстоит дело в отношении ортодоксальной зомби-экономики, так как во время высокой инфляции из-за эффекта Оливера-Танци, когда рост доходов государственного бюджета происходит с временным запаздыванием, покрытие долгов зомби-компаний зомби-банкам по правительственным гарантиям тоже осуществляется не сразу. В частности, правительственные гарантии для покрытия долгов зомби-компаний зомби-банками используются лишь только после того, как эти компании не смогут выполнить свои обязательства перед банками.

Следовательно, во время высокой инфляции для ортодоксальной зомби-экономики принципиально важно сравнить временной лаг эффекта Оливера-Танци с временным лагом от выдачи до покрытия государственными гарантиями непогашенных долгов зомби-компаний перед банками.

Из этого следует, что перед высокой инфляцией ортодоксальная зомби-экономика является куда более устойчивой, чем гетеродоксальная зомби-экономика.

Немаловажным является заключение, согласно которому зомби-экономика, и, особенно, когда она ортодоксальная, вовсе не является монетарным феноменом. К аналогичному выводу, ранее, на основе собственных аргументов, пришли Шааф и Биндзейл [Schaaf, Bindseil, 2020].

Таким образом, эффект от высокой инфляции лишь частично может повлиять на некоторые, имеющие гетеродоксальное происхождение, зомби-банки и зомби-компании, но принципиально не может решить проблему «освобождения» экономики от зомби-феномена (особенно в части их ортодоксального происхождения), как такового.

Более того, вышеотмеченные сложности, связанные с неплатежеспособностью некоторых американских банков, и обязательства, взятые руководством США для избежания банковского кризиса, также могут спровоцировать процесс зомбирования тех банков, в отношении которых будут использованы првительственные меры, связанные с обеспечением их платежеспособности.

Избавление от зомби-экономики возможно лишь на основе проведения комплексных мер [Schaaf, Bindseil, 2020], среди которых ведущая роль возлагается на законодательство о банкротстве [Papava, 2020b].

### Использованная литература

1. Anušić Z., Švaljek S., 1996. “Olivera-Tanzi Effect: Theory and Its Manifestation in the Croatian Stabilization Programme.” *Croatian Economic Survey*, 3: 73-102, <<https://hrcak.srce.hr/en/6367>>.
2. Baker D., 2022. “Inflation, Inflation, Inflation and Social Security.” *Eurasia Review*, October 20, <<https://www.eurasiareview.com/20102022-inflation-inflation-inflation-and-social-security-oped/>>.
3. Bishop T., 2023. “A Bank Crisis Was Predictable: Was The Fed Lying Or Blind?” *MISES Institute*, March 13, <<https://mises.org/wire/bank-crisis-was-predictable-was-fed-lying-or-blind>>.
4. Blažková I., Chmelíková G., 2022. “Zombie Firms During and After Crisis.” *Journal of Risk and Financial Management*, 15: 301, <<https://doi.org/10.3390/jrfm15070301>>.
5. Gloy A., 2023. “Who Broke the Silicon Valley Bank and What Now.” *Fair Observer*, March 12, <<https://www.fairobserver.com/business/who-broke-the-silicon-valley-bank-and-what-now/>>.
6. Desjardins L., Emerson R., 2011. *Zombie Economics: A Guide to Personal Finance*. New York: AVERY.
7. Donnan S., 2020. “America’s Economy Faces a Zombie Recovery, Even With Vaccine.” *Bloomberg*, December 15, <<https://www.bloomberg.com/news/articles/2020-12-15/covid-pandemic-u-s-economy-in-zombie-recovery-without-government-stimulus?leadSource=uverify%20wall>>.
8. El-Erian M. A., 2023. “The Fed’s Credibility Problem.” *Project Syndicate*, April 3, <[https://www.project-syndicate.org/commentary/fed-credibility-crisis-lost-confidence-around-the-world-by-mohamed-a-el-erian-2023-04?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=4ebd95a2ad-sunday\\_newsletter\\_04\\_09\\_2023&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-4ebd95a2ad-93567601&mc\\_cid=4ebd95a2ad&mc\\_eid=e9fb6cbcc0](https://www.project-syndicate.org/commentary/fed-credibility-crisis-lost-confidence-around-the-world-by-mohamed-a-el-erian-2023-04?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=4ebd95a2ad-sunday_newsletter_04_09_2023&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-4ebd95a2ad-93567601&mc_cid=4ebd95a2ad&mc_eid=e9fb6cbcc0)>.
9. Feld L. P., 2023. “Why Inflation Persists.” *Project Syndicate*, March 31, <[https://www.project-syndicate.org/onpoint/inflation-persists-because-macroeconomic-problem-weak-fiscal-policy-by-lars-p-feld-2023-03?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=30c8f8b115-sunday\\_newsletter\\_04\\_02\\_2023&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-30c8f8b115-93567601&mc\\_cid=30c8f8b115&mc\\_eid=e9fb6cbcc0](https://www.project-syndicate.org/onpoint/inflation-persists-because-macroeconomic-problem-weak-fiscal-policy-by-lars-p-feld-2023-03?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=30c8f8b115-sunday_newsletter_04_02_2023&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-30c8f8b115-93567601&mc_cid=30c8f8b115&mc_eid=e9fb6cbcc0)>.
10. GS, 2022. “The Invasion of Zombie Companies that Wasn’t.” *The Goldman Sachs*, September 28, <<https://www.goldmansachs.com/insights/pages/the-invasion-of-zombie-companies-that-wasn-t.html>>.
11. Harman C., 2009. *Zombie Capitalism. Global Crisis and the Relevance of Marx*. Chicago: Haymarket Books.
12. Hoshi T., 2006. “Economics of the Living Dead.” *The Japanese Economic Review*, 57 (1): 30-49, <<https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/j.1468-5876.2006.00354.x>>.
13. Hoshi T., Kashyap A., 2005. “Solutions to Japan’s Banking Problems: What Might Work and What Definitely will Fail.” In *Reviving Japan’s Economy: Problems and Prescriptions*, ed. by T. Ito, H. Patrick, D.E. Weinstein. Cambridge: The MIT Press, 147-195.
14. Hoshi T., Kawaguchi D., Ueda K., 2023. “Zombies, Again? The COVID-19 Business Support Programs in Japan.” *Journal of Banking and Finance*, 147: 106421, <<https://doi.org/10.1016/j.jbankfin.2022.106421>>, <<https://reader.elsevier.com/reader/sd/pii/S0378426622000218?token=190BF30F2781479274092532B478BF8B52C7E3DD164DA5BB06FE2857D0EB5E62E7BC18B576CB10562DECACB8B2ABFF08&originRegion=eu-west-1&originCreation=20230226144753>>.
15. Kane E. J., 2000. “Capital Movements, Banking Insolvency, and Silent Runs in the Asian Financial Crisis.” *Pacific-Basin Finance Journal*, 8 (2): 153-175, <[https://doi.org/10.1016/S0927-538X\(00\)00009-3](https://doi.org/10.1016/S0927-538X(00)00009-3)>.

16. Krugman P., 2020. *Arguing with Zombies: Economics, Politics, and the Fight for a Better Future*. New York: W.W Norton & Company.
17. Lee L., Contiliano T., 2020. “America’s Zombie Companies Rack Up \$2 Trillion of Debt.” *Bloomberg*, November 17, <<https://www.bloomberg.com/news/articles/2020-11-17/america-s-zombie-companies-have-racked-up-1-4-trillion-of-debt?leadSource=uverify%20wall>>.
18. Lenzu S., Wang O., Acharya V., 2021. “Zombie Lending and Policy Traps.” *Centre for Economic Policy Research*, October 29, <<https://cepr.org/voxeu/columns/zombie-lending-and-policy-traps>>.
19. Mohrman M. B., Stuerke P. S., 2014. “Shareowners’ Equity at Campbell Soup: How can Equity be Negative?” *Accounting Education*, 23 (4): 386-405, <<https://doi.org/10.1080/09639284.2014.910814>>.
20. Olivera J. H. G., 1967. “Money, Prices and Fiscal Lags: A Note on the Dynamics of Inflation.” *Banca Nazionale del Lavoro Quarterly Review*, 20 (82): 258-268.
21. Onaran Y., 2012. *Zombie Banks: How Broken Banks and Debtor Nations Are Crippling the Global Economy*. Hoboken: John Wiley & Sons.
22. Papava V., 2020a. “Coronomic Crisis: When the Economy is a Hostage to Medicine.” *Eurasia Review*, March 29, <<https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/>>.
23. Papava V., 2020b. “Features of the Economic Crisis under the COVID-19 Pandemic and the Threat of the Zombie-ing of the Economy.” *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 14(3), 128-134.
24. Papava V., 2022. “The Underproduction Inflation: An Acute Challenge for Post-Pandemic World.” *Eurasia Review*, February 7, <<https://www.eurasiareview.com/07022022-the-underproduction-inflation-an-acute-challenge-for-post-pandemic-world-oped/>>.
25. Papava V., 2023. “Can High Inflation Wipe Out the Zombies in the Economy? – Analysis.” *Eurasia Review*, March 8, <<https://www.eurasiareview.com/08032023-can-high-inflation-wipe-out-the-zombies-in-the-economy-analysis/>>.
26. Quiggin J., 2010. *Zombie Economics: How Dead Ideas Still Walk Among Us*. Princeton: Princeton University Press.
27. Rajan R. G., Acharya V. V., 2023. “The Fed’s Role in the Bank Failures.” *Project Syndicate*, March 28, <[https://www.project-syndicate.org/commentary/federal-reserve-qe-role-in-svb-signature-bank-failures-by-raghuram-rajan-and-viral-acharya-2023-03?utm\\_source=Project+Syndicate+Newsletter&utm\\_campaign=2905fb2887-covid\\_newsletter\\_03\\_29\\_2023&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-2905fb2887-93567601&mc\\_cid=2905fb2887&mc\\_eid=e9fb6cbcc0](https://www.project-syndicate.org/commentary/federal-reserve-qe-role-in-svb-signature-bank-failures-by-raghuram-rajan-and-viral-acharya-2023-03?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=2905fb2887-covid_newsletter_03_29_2023&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-2905fb2887-93567601&mc_cid=2905fb2887&mc_eid=e9fb6cbcc0)>.
28. Rodrik D., 2022. “Inflation Heresies.” *Project Syndicate*, January 11, <[https://www.project-syndicate.org/commentary/correct-policies-to-fight-inflation-depend-on-context-by-dani-rodrik-2022-01?utm\\_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm\\_campaign=118bd24b14-covid\\_newsletter\\_01\\_13\\_2022&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-118bd24b14-93567601&mc\\_cid=118bd24b14&mc\\_eid=e9fb6cbcc0](https://www.project-syndicate.org/commentary/correct-policies-to-fight-inflation-depend-on-context-by-dani-rodrik-2022-01?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=118bd24b14-covid_newsletter_01_13_2022&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-118bd24b14-93567601&mc_cid=118bd24b14&mc_eid=e9fb6cbcc0)>.
29. Roubini N., 2022. “The Unavoidable Crash.” *Project Syndicate*, December 2, <<https://www.project-syndicate.org/commentary/stagflationary-economic-financial-and-debt-crisis-by-nouriel-roubini-2022-12>>.
30. Santarelli M., 2023a. “Banking Crisis 2023: Causes of Bank Collapse & Prevention.” *Norada Real Estate Investments*, March 26, <<https://www.noradarealestate.com/blog/banking-crisis/>>.
31. Santarelli M., 2023b. “Which Banks Are in Danger of Failing or Collapse?” *Norada Real Estate Investments*, April 3, <<https://www.noradarealestate.com/blog/which-banks-are-in-danger-of-failing/>>.
32. Schaaf J., Bindseil U., 2020. “Zombification is a Real, Not a Monetary Phenomenon: Exorcising the Bogeyman of Low Interest Rates.” January 10, <<https://cepr.org/voxeu/blogs-and-reviews/zombification-real-not-monetary-phenomenon-exorcising-bogeyman-low-interest>>.
33. Schepens G., Schnabel I., Laeven L., 2020. “Zombification in Europe in Times of Pandemic.” *Centre for Economic Policy Research*, October 11, <<https://cepr.org/voxeu/columns/zombification-europe-times-pandemic>>.
34. Smith D. C., 2003. “Loans to Japanese Borrowers.” *Japanese International Economies*, 17 (3): 283-304, <[https://doi.org/10.1016/S0889-1583\(03\)00043-1](https://doi.org/10.1016/S0889-1583(03)00043-1)>.
35. Song J., Su Z., Wang D., 2021. “Government Subsidy, Investment and Financing Constraints, and the Formation of Zombie Companies.” *China Finance and Economic Review*, 8 (3): 40-58, <<https://doi.org/10.1515/cfer-2019-080304>>, <<https://www.degruyter.com/document/doi/10.1515/cfer-2019-080304/html>>.

36. Stiglitz J. E., 2023. “Another Predictable Bank Failure.” *Project Syndicate*, March 13, <<https://www.project-syndicate.org/commentary/predictable-silicon-valley-bank-collapse-by-joseph-e-stiglitz-2023-03>>.

37. Stiglitz J. E., Rashid H., 2020. “Which Economic Stimulus Works?” *Project Syndicate*, June 8, <[https://www.project-syndicate.org/commentary/stimulus-policies-must-benefit-real-economy-not-financial-speculation-by-joseph-e-stiglitz-and-hamid-rashid-2020-06?utm\\_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm\\_campaign=c41ee7287a-sunday\\_newsletter\\_14\\_06\\_2020&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-c41ee7287a-93567601&mc\\_cid=c41ee7287a&mc\\_eid=e9fb6cbcc0](https://www.project-syndicate.org/commentary/stimulus-policies-must-benefit-real-economy-not-financial-speculation-by-joseph-e-stiglitz-and-hamid-rashid-2020-06?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=c41ee7287a-sunday_newsletter_14_06_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-c41ee7287a-93567601&mc_cid=c41ee7287a&mc_eid=e9fb6cbcc0)>.

38. SwissInfo, 2023. “Swiss Central Bank Ready to Backstop Credit Suisse with Funds.” *Eurasia Review*, March 16, <<https://www.eurasiareview.com/16032023-swiss-central-bank-ready-to-backstop-credit-suisse-with-funds/>>.

39. Tanzi V., 1978. “Inflation, Real Tax Revenue, and the Case for Inflationary Finance: Theory with an Application to Argentina.” *IMF Staff Papers*, 25 (3): 417-451, <<https://www.elibrary.imf.org/view/journals/024/1978/003/article-A002-en.xml>>.

40. Tanzi V., ed., 1984. *Taxation, Inflation, and Interest Rates*. Washington, D.C.: International Monetary Fund.

41. Weisbach A., 2023. “Silicon Valley Bank Collapse Throws Up Uncertainty for a European Central Bank Hoping to Hike Rates.” *CNBC*, March 15, <<https://www.cnbc.com/2023/03/15/european-central-bank-hike-silicon-valley-bank-collapse-adds-uncertainty.html>>.

42. Zingales L., 2021. “Attack of the COVID Zombies.” *Project Syndicate*, July 2, <[https://www.project-syndicate.org/commentary/separating-healthy-firms-from-corporate-zombies-by-luigi-zingales-2021-07?utm\\_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm\\_campaign=df914751a4-sunday\\_newsletter\\_07\\_04\\_2021&utm\\_medium=email&utm\\_term=0\\_73bad5b7d8-df914751a4-93567601&mc\\_cid=df914751a4&mc\\_eid=e9fb6cbcc0](https://www.project-syndicate.org/commentary/separating-healthy-firms-from-corporate-zombies-by-luigi-zingales-2021-07?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=df914751a4-sunday_newsletter_07_04_2021&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-df914751a4-93567601&mc_cid=df914751a4&mc_eid=e9fb6cbcc0)>.

*Vladimer Papava  
Tamar Tapladze*

**ON THE THREAT OF THE BANKING CRISIS,  
THE NEW WAVE OF ZOMBIFICATION OF THE ECONOMY AND  
THE OLIVERA-TANZI EFFECT**

**Abstract**

The COVID-19 pandemic, as well as Russia’s war in Ukraine and Western economic sanctions against Russia, have fueled high inflation. In order to reduce that high inflation, the US Federal Reserve raised bank interest rates, which caused some banks in the US to go bankrupt. At the same time, it is widely believed that due to the high inflation, zombie companies and zombie banks will cease to exist. The article shows that there are two types of zombie economy – orthodox and heterodox. The first type is based on government guarantees, while the second is based on government subsidies or/and low interest rates on bank loans. It is substantiated that due to the Olivera-Tanzi Effect, high inflation is not a threat to the existence of an orthodox zombie economy, although it does create difficulties for the existence of a heterodox zombie economy. The obligations taken by the US leadership to avoid a banking crisis may also provoke the process of zombification of those banks against which government measures will be used to ensure their solvency.

**Keywords:** *high inflation, banking crisis, orthodox zombie economy, heterodox zombie economy, Olivera-Tanzi effect.*

დემოგრაფიული დაბერება და „ვერცხლისფერი ეკონომიკა“

**ანოტაცია.** გაეროს ინფორმაციით 2050 წლისთვის მსოფლიოში ყოველი მეექვსე ადამიანი 65 წელს გადაცილებული იქნება, რასაც სამი გლობალური ტენდენცია განსაზღვრავს: შობადობის შემცირება, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა და გლობალური მიგრაცია. მსოფლიოში მიმდინარე სწრაფი ცვლილებების ფონზე, აქტუალური ხდება მოსახლეობის დაბერების სწრაფი ზრდის გამო შექმნილი სამუშაო ძალის დეფიციტიდან გამომდინარე ხანდაზმული მოსახლეობის აქტიური ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შესაბამისად წარმოიშვა იდეა „ვერცხლისფერი ეკონომიკის“ თაობაზე. იგი განიხილება ორი ძირითადი ასპექტით: ეკონომიკა ხანდაზმული ადამიანებისთვის და ეკონომიკა ხანდაზმულ ადამიანებთან ერთად. ანუ ვერცხლისფერი ეკონომიკის პოტენციალი ყველა თაობის სასარგებლოდ და მათთან ერთად კრიზისების მართვა. დაბერების ეკონომიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ერთი მხრივ, კონკრეტული გადაწყვეტილებების შემუშავებას და მიზნობრივი მარკეტინგული სტრატეგიების განხორციელებას იმ პროდუქტებისა და სერვისებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებს ხანდაზმულთა საჭიროებებსა და პრეფერენციებს. მეორე მხრივ, ასაკის ინკლუზიური ეკონომიკა მიზნად ისახავს ხანდაზმულთა აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფას შრომის ბაზარზე.

**საკვანძო სიტყვები:** დემოგრაფიული დაბერება, ვერცხლისფერი ეკონომიკა, ხანდაზმულები, კრიზისები, შრომის ბაზარი.

სწრაფცვალებადი მსოფლიოს ფონზე, პროფესორი ჯერომე პიგენცი ევროკავშირის და სხვა განვითარებული ქვეყნების დემოგრაფიული გადასვლის ანალიზის საფუძველზე შექმნილი ცვლადი პარადიგმის საფუძველზე დასაშვებად მიიჩნევს „homo senectusis“ მსგავსი ეპოქის წარმოქმნას, სადაც „homo erectus“<sup>25</sup>-ის („წელში გამართული ადამიანის“) მსგავსად, სიცოცხლის ხანგრძლივობა 100 წელს გადააჭარბებს.

ბუნებრივია სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა დაბალი შობადობის პირობებში, გადამწყვეტ როლს თამაშობს დაბერებული მოსახლეობის ზრდაში, რაც დღეისათვის არსებითად ცვლის მსოფლიოს დემოგრაფიულ სტრუქტურას. შობადობის შემცირების და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის შედეგად, წინა წლებისგან განსხვავებით, მოსახლეობის დაბერების სტრუქტურის ფორმირებაში განმსაზღვრელი გახდა არა ქვემოდან, არამედ ზემოდან დაბერება, რაც ქმნის მოსახლეობის სწრაფი დაბერების წინაპირობებს. შესაბამისად გასაკვირი არ არის დაბერებულთა სწრაფი ზრდა, ხოლო ახალგაზრდული მოსახლეობის სწრაფი შეცირება.

იმ პირობებში, როდესაც გაეროს ინფორმაციით 2050 წლისთვის მსოფლიოში მოსალოდნელია გლობალურ მოსახლეობაში 65 წელს გადაცილებული ყოველი მეექვსე ადამიანი, კაცობრიობას დაბერების ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად დიდი ძალისხმევა დასჭირდება. პირველი დემოგრაფიული დივიდენდის შემცირების პირობებში საკითხი დგება იმის თაობაზე, რომ დემოგრაფიული დაბერების ზრდის პირობებში, ეკონომიკური პროგრესი რამდენად გადაჭრის ყველა თაობის წინაშე წარმოქმნილ სოციალურ-ეკონომიკურ, სამედიცინო და სხვა სახის პრობლემებს. ნეომალთიანელთა წუხილისგან განსხვავებით კაცობრიობის პროგრესული ნაწილი სხვაგვარად ფიქრობს და ცოდნის ეკონომიკის ფონზე ცდილობს გადაჭრას მოსალოდნელი პრობლემები.

ამის ერთ-ერთი მაგალითია იდეა ყველა თაობისთვის „ვერცხლისფერი ეკონომიკის“, ფორმირება, რომელსაც დაბერების ზრდის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ერთი მხრივ, კონკრეტული გადაწყვეტილებების შემუშავების და მიზნობრივი მარკეტინგული

<sup>25</sup> „homo erectus“-პირდაპირი თარგმნით - „წელში გამართული ადამიანი“. პრეისტორიული პერიოდის ადამიანის სახეობა, რომელიც ცხოვრობდა 1,8 მლნ. წლის წინ.

სტრატეგიების განხორციელებაში იმ პროდუქტებისა და სერვისებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებს ხანდაზმულთა საჭიროებებსა და პრეფერენციებს. მეორე მხრივ, ინკლუზიური ეკონომიკა, რომლის მიზანია ხანდაზმულთა აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა შრომის ბაზარზე. იგი მომავლის ეკონომიკაა დემოგრაფიული გადასვლის კონტექსტში და მოსახლეობის უწყვეტი დაბერებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია განვითარდეს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, სამედიცინო და ტექნოლოგიური ინოვაციები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ხანდაზმულებს ჯანსაღი და აქტიური დაბერებისკენ და საზოგადოების ყველა სფეროში პოზიტიური ცვლილებების აქტიურად ჩართვაში.

ხანდაზმული ადამიანები ახლა მნიშვნელოვანი მოთამაშეები არიან ეკონომიკაში და მათი როლი კიდევ უფრო გაიზრდება უახლოეს წლებში. მოსახლეობის დაბერება უწყვეტად გაგრძელდება და სამუშაო ძალის შემცირების პირობებში, დაბერებული მოსახლეობა, როგორც მეორე დემოგრაფიული დივიდენდი ავსებს შრომისუნარიანი მოსახლეობის სახით არსებულ შემცირებულ პირველ დემოგრაფიულ დივიდენდს, განსაკუთრებით დაბალი შობადობის პირობებში. შესაბამისად „ვერცხლის ეკონომიკა“ განისაზღვრება, როგორც ბაზარი, რომელიც ვითარდება არა მხოლოდ დაბერებული მოსახლეობის, არამედ მთელი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ხდება და წარმოადგენს ახალი ბიზნესის შესაძლებლობებს. ხანდაზმული ადამიანები მნიშვნელოვანი როლს ასრულებენ დაგროვილი ცოდნის გადაცემაში. მათი პროფესიული გამოცდილება ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას და განვითარებას.

„ვერცხლის ეკონომიკა“ უნდა განვიხილოთ ორი ძირითადი ასპექტით: ეკონომიკა ხანდაზმული ადამიანებისთვის და ეკონომიკა ხანდაზმულ ადამიანებთან ერთად. დაბერების ეკონომიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული გადაწყვეტილებების შემუშავებას და მიზნობრივი მარკეტინგული სტრატეგიების განხორციელებას იმ პროდუქტებისა და სერვისებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებს ხანდაზმულთა საჭიროებებსა და პრეფერენციებს. მეორე მხრივ, ასაკის ინკლუზიური ეკონომიკა მიზნად ისახავს ხანდაზმულთა აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფას შრომის ბაზარზე. ეს მიიღწევა სპეციალიზებული სამუშაო ადგილების მიწოდებით, განათლებისა და ტრენინგის ხელშეწყობით მათი ციფრული შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად. მას არა მხოლოდ მოაქვს ღირებული ცოდნა და გამოცდილება, არამედ ხელს უწყობს უნარებისა და გამოცდილების გადაცემას ახალგაზრდა და უფროს თაობებს შორის.

უმაღლესი განათლების სისტემის უკუგების და მისი სამუშაო ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობის დადგენა დღეისათვის მისი ეფექტიანობის შეფასების მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს. უკანასკნელ წლებში სამუშაო ძალის ბაზრისა და უმაღლესი განათლების თავსებადობის პრობლემას მრავალი მნიშვნელოვანი კვლევა მიემდგინა. ამ მხრივ საინტერესოა იუნესკოს გლობალური მონიტორინგის ანგარიში (UNESCO, 2022). სამეცნიერო ლიტერატურის ზოგადი ანალიზიდან ჩანს, რომ სამუშაო ძალის ბაზრისა და უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების ტენდენციების კოორდინაციის პროცესი მიმდინარეობს სამი სტრატეგიული მიმართულებით:

პირველი — სამუშაო ძალის ბაზარზე ადამიანური რესურსის მიწოდებისა და ამ რესურსზე მოთხოვნის ბალანსის უზრუნველყოფა. მოთხოვნა-მიწოდების პრინციპის ეკონომიკური ლოგიკიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულთა რაოდენობის ზრდა, სხვა თანაბარ პირობებში, მათი ხელფასის კლებას უნდა იწვევდეს, რადგან ბაზარზე იზრდება შესაბამისი კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მიწოდება, რაც ამცირებს მის ფასს, თუმცა ეს მარტივი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი სოციალურ სფეროში ყოველთვის არ მუშაობს. თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური თეორიების მიხედვით, უმაღლესი განათლების სისტემა არა მხოლოდ რეაგირებს ბაზარზე მოთხოვნების ცვალებადობაზე, არამედ თავადაც შეუძლია გამოიწვიოს კურსდამთავრებულებზე მოთხოვნის ზრდა (Machin and McNally, 2022). შესაბამისად, ამ მიმართულებით სიტუაციის მუდმივი ანალიზი, სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის მიღწევა და სწორი სტრატეგიის განსაზღვრა, უმაღლესი განათლების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა.

მეორე მიმართულება მდგომარეობს უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა კომპეტენციების, ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიღწევაში. მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები ქვეყნების განათლების სფეროს წინაშე აყენებს ახალ გამოწვევებს, რადგანაც სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი საჭიროებს შესაბამისი უნარების განვითარებას. სამუშაო ძალის ბაზრის დინამიკაში უნდა აისახოს არა მხოლოდ ახალი სამუშაო ადგილების წარმოქმნა, არამედ არსებულის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ცვლილებაც (European Centre for the Development of Vocational Training, 2021).

მესამე მიმართულება, სოციალური მობილობისა და სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, აისახება უმაღლესი განათლების როლის ზრდაში. ემპირიული კვლევების მიხედვით დამტკიცებულია, რომ უმაღლესი განათლების სრულყოფა უფრო მაღალი ანაზღაურებისა და დასაქმების პრობლემის გადაწყვეტის საწინდარს წარმოადგენს.

პრაქტიკული თვალსაზრისით უმაღლესი განათლების სამუშაო ძალის ბაზრის მოთხოვნებთან ხარისხობრივი და რაოდენობრივი თანხვედრის დასადგენად გამოიყენება ორი ძირითადი მაჩვენებელი:

- განათლების უკუგება;
- განათლების დონეთა მიხედვით ფარდობითი სარგებელი.

უმაღლესი განათლების უკუგება (ამონაგები უმაღლეს განათლებაზე გაწეული ინვესტიციებიდან) წარმოადგენს განათლებაზე გაწეული (საზოგადოებრივი და კერძო) დანახარჯებისა და განათლებიდან მიღებული ფინანსური სარგებლის ურთიერთმიმართებას. განასხვავებენ კერძო და საზოგადოებრივ უკუგებას. კერძო უკუგება კერძო სექტორის მიერ უმაღლეს განათლებაზე გაწეული დანახარჯებისა და მიღებული სარგებლის (გადასახადების დაფარვის შემდეგ) თანაფარდობაა. საზოგადოებრივი უკუგება წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ უმაღლეს განათლებაზე გაწეული ხარჯების შეფარდებას დასაქმებიდან მიღებულ შემოსავლებთან.

უმაღლესი განათლების ფარდობითი სარგებლის გამოსაანგარიშებლად ადარებენ უმაღლესი განათლების მქონე პირთა შემოსავლებს და დასაქმების შესაძლებლობებს.

ევროპის მასშტაბით უმაღლესი განათლების უკუგებისა და ფარდობითი სარგებლის ანალიზიდან გამომდინარე შესაძლებელია განათლების ეფექტიანობის შესახებ რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება :

- ბოლო ათწლეულების განმავლობაში მიწოდების პარალელურად უმაღლეს განათლებაზე მოთხოვნაც გაიზარდა. უფრო მეტიც, ბევრ ქვეყანაში უმაღლესი განათლების მოთხოვნა აჭარბებს მიწოდებას.

ეუთოს (OECD, 2022) კვლევის თანახმად, ევროპის ქვეყნებში უმაღლესი განათლების მქონე პირების დასაქმებიდან შემოსავალი 55%-ით მეტია საშუალო განათლების მქონე პირებთან შედარებით. ეს განსხვავება იზრდება ასაკთან ერთად. 25-34 ასაკობრივ ჯგუფში განსხვავება 37%-ს, 55-64 ასაკობრივ ჯგუფში კი — 69%-ს შეადგენს.

- Covid 19-ის პანდემიის ფონზე განვითარებული ეკონომიკური რეცესიის შედეგად მსოფლიოს ქვეყნებში კლებულობს სამუშაო ადგილების რაოდენობა. განსაკუთრებით მაღალია უმუშევრობის მაჩვენებლები ახალგაზრდა თაობაში.

უმუშევრობის მაჩვენებლების ზრდა და ახალგაზრდათა უმუშევრობის დამლევის პრობლემა მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს. 42 წლის ასაკის ადამიანებისთვის ერთი წლის უმუშევრობა შემოსავლების 21%-ით შემცირებას იწვევს (ILO, 2023). ეუთოს კვლევების მიხედვით, ბოლო 10 წლის განმავლობაში ევროპაში ახალგაზრდა თაობის უმუშევრობის მაჩვენებლები ასაკოვან მოსახლეობასთან შედარებით ორჯერ მაღალია. 2022 წლის ნოემბრის მონაცემებით ევროკავშირში ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელი 21%-ს შეადგენს (OECD, 2022).

- უმაღლესი განათლების პოტენციურად დიდი ეფექტიანობის მიუხედავად, ის საზოგადოებაში არსებული სოციალური უთანასწორობის გამოთანაბრების ფუნქციას სათანადოდ ვერ ასრულებს.

კვლევებით დასტურდება, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ძალიან ძლიერი, კორელაციური უკავშირია განათლებასა და მიღწეულ სოციალურ სტატუსს შორის (Bussi M. 2022). მაგალითად, განათლების დონე დასაქმებულის სტატუსის დასადგენად ყველაზე მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს. ეს ნიშნავს, რომ განათლება გადამჭრელ როლს ასრულებს სოციალური მობილობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. გამოკვლევებით დადგინდა, რომ სოციალური მობილობის მაჩვენებელი ყველაზე დაბალია თურქეთში, ესპანეთში, პორტუგალიასა და იტალიაში (Triventi, 2023).

საქართველოში უმაღლესი განათლებისა და სამუშაო ძალის ბაზრის ურთიერთ-მიმართების საკითხი ბოლომდე შეუსწავლელ პრობლემად რჩება, შესაბამისად მწირია კვლევები ამ სფეროში. ამ დეფიციტს პირველ რიგში განაპირობებს ის, რომ ეროვნულ დონეზე არ არსებობს სისტემური მიდგომა შრომის ბაზრისა და განათლების სისტემის ურთიერთკავშირის ანალიზისათვის. მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით შეუძლებელია უმაღლესი განათლების უკუგებისა და ფარდობითი სარგებლის გამოანგარიშება.

მიუხედავად ამისა, საქართველოში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც დაგროვდა ემპირიული მასალა შრომის ბაზრისა და უმაღლესი განათლების ურთიერთმიმართების ზოგადი ანალიზისათვის. ინფორმაცია, ძირითადად, 2010-2021 წლების განმავლობაში საქართველოში ტემპუსის პროგრამის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევებს (განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, 2022) ეყრდნობა. ამ კვლევების შედეგი იძლევა რამდენიმე ზოგადი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას:

- 2022 წლის მონაცემებით, უმაღლესი განათლება საქართველოში შემოსავლებისა და დასაქმების მაჩვენებლების ზრდის მნიშვნელოვან განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს. ეს გამოიხატება იმით, რომ უმაღლესი განათლების მქონე პირთა საშუალო შემოსავალი ზოგადი განათლების მქონე პირთა საშუალო შემოსავალზე თითქმის 3-ჯერ უფრო მაღალია; უმაღლესი განათლების მქონე პირთა დასაქმების შანსები, საშუალო განათლების მქონე პირებთან შედარებით 2-ჯერ გაიზარდა.

- უმაღლესი აკადემიური განათლების უკუგების შემდგომი ზრდისთვის შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენს უმაღლესი განათლების მქონე პირთა კომპეტენციების ბაზრის მოთხოვნებთან ნაკლები თავსებადობა. კერძოდ, საქართველოში უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე დასაქმებულ პირთა შორის, სპეციალობით მხოლოდ 40% მუშაობს, რაც ქვეყნის მასშტაბით უმაღლესი განათლების მქონე პირთა მხოლოდ მეოთხედი.

- უმაღლესი განათლება საზოგადოებაში არსებული სოციალური უთანასწორობის გამოთანაბრების პოტენციურად ეფექტიანი ინსტრუმენტია, თუმცა უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა დღეისათვის კვლავ შეზღუდულია. სოციალურად ღარიბი მოსახლეობის ჯგუფში უმაღლესი განათლებაში ჩართულობის მაჩვენებელი 9%-ს შეადგენს, ხოლო შედარებით მდიდარი მოსახლეობის ჯგუფში — 38%-ს.

უმაღლესი განათლების სფეროში პოლიტიკის დაგეგმვის მიზნით აუცილებლად მიგვაჩნია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

უმაღლესი განათლების უკუგებისა და ფარდობითი სარგებლის ზრდის მსოფლიო ტენდენციის გათვალისწინებით, საქართველოში მიზანშეწონილია უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების ზრდა, რადგან საერთაშორისო კვლევების თანახმად, უმაღლესი განათლების დაფინანსების ზრდა იწვევს დასაქმებისა და შემოსავლების მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

უმაღლესი განათლებაზე ხარჯების რაციონალიზაციისათვის მნიშვნელოვანია, რომ უმაღლესი განათლების სუბსიდირებისას გათვალისწინებული იქნეს რეალური უკუგების მაჩვენებლები აკადემიური მიმართულებების მიხედვით.

აუცილებელია სახელმწიფოში მოწესრიგდეს უმაღლესი განათლების უკუგების მაჩვენებლების შეგროვებისა და გაანგარიშების პრაქტიკა. ამ მიმართულებით მდგომარეობის

გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა: დასაქმების, განათლების საფუძვრებისა და კლასიფიკაციის არსებული მოდელის სრულყოფა იუნესკოს და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მოთხოვნათა მიხედვით.

## დასკვნა

წინამდებარე გამოკვლევაში ჩვენ მიერ გაანალიზებულია სამუშაო ძალის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად უმაღლესი განათლების რეორგანიზაციის შესაძლებლობანი. ნაშრომში შესწავლილია ის ზოგადი ტენდენციები, რომლითაც ხასიათდება განათლების და სამუშაო ძალის თავსებადობა ევროპასა და საქართველოში.

უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების ტენდენციების კოორდინაციის მიზნით ნაშრომში გაანალიზებულია:

სამუშაო ძალის ბაზარზე ადამიანური რესურსის მიწოდებისა და ამ რესურსზე მოთხოვნის ბალანსის უზრუნველყოფა; უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა კომპეტენციების ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობა და უმაღლესი განათლების როლი სოციალური მობილობისა და სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფაში.

განათლების უკუგებისა და განათლების დონეების მიხედვით ფარდობითი სარგებლის მაჩვენებლების ანალიზმა მოგვცა იმის შესაძლებლობა, რომ შეგვეშვა შევხებით ის რეკომენდაციები, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განათლების სფეროში ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკას.

## References

1. Bussi M. 2022. Quality Education for Quality jobs. European Trade Union Confederation (ETUC)
2. European Centre for the Development of Vocational Training, 2021.
3. ILO. 2023. The youth employment crisis: A call for action. Resolution and conclusions of the 101<sup>st</sup> Session of the International Labour Conference, Geneva, 2012
4. Machin S. and McNally S. (2022). Tertiary Education Systems and labour markets. OECD
5. OECD. 2022. Policy Brief on Youth Entrepreneurship: Entrepreneurial Activities in Europe
6. Sursock A. and Smidt H. (2023). Trends 2023: a decade of change in European Higher Education. EUA Publications
7. Shengelia T. (2017). The role of state regulation of investment in the Georgia business development. International business in the world economic system.
8. Shengelia T. (2017) Interpersonal and Organizational Trust, as Factor of Social Capital, and its Influence on the Motivation of international Company Employess. Journal EcoForum, Volume 6, Issue 2
9. Shengelia T. (2017). Determination of correlative relations between social capital, trust and motivation in the international company. 6th Business & Management Conference, Geneva.
10. Shengelia T. (2017). Generation of Knowledge Into Conception of Cultural Pragmatism and its Influence on International Business. Ecoforum Journal. Volume 5, Issue 2
11. T Shengelia, K Berishvili, K Jganjgava.(2021) Anti-crisis strategy caused by uncertainty of the small businesses under the COVID-19 pandemic. Sciences of Europe. Issue 81-2
12. T Shengelia, K Berishvili (2020). Methodology of social entrepreneurship research and its influence on countries with small economy. International Journal of Social and Humanities Sciences 4 (3), 181-190
13. Shengelia, Berishvili Kh, K Jganjgava (2022). Improving the methodology of measuring social capital in international companies (2022). Sciences of Europe. Issue 97, Pages 15-18.
14. T Shengelia, K Berishvili, K Jganjgava. (2022) AntiiCrisis strategy caused by uncertainty of small business under the Covid 19 pandemic. Sciences of Europe, Issue 95
15. Triventi M. 2023. The role of Higher education stratification in the reproduction of social inequality in the labour market. University o Milan-Bicocca.
16. UNESCO (2022). EFA global monitoring report. Youth and Skills: Putting education to work.

## THE ACCORDANCE OF HIGHER EDUCATION SYSTEM WITH THE REQUIREMENTS OF THE LABOR MARKET

### Abstract

In the present study, we have analyzed the possibilities of reorganizing higher education in accordance with the requirements of the labor market. The general trends characterizing the compatibility of education and work force in Europe and Georgia are studied in the paper.

In order to coordinate the development trends of the higher education system, the paper analyzes: Ensuring the balance of supply of human resources and demand for this resource in the workforce market; Competence of graduate of higher education, compliance with market requirements and the role of higher education in ensuring social mobility and social equality.

The analysis of the returns of education and the indicators of relative benefit according to the level of education gave us the opportunity to develop the recommendations that can be the basis of the country's state policy in the field of education.

*Anna Chechel  
Hanna Reshetova  
Svitlana Verytelnyk*

## SOCIAL ENTREPRENEURSHIP AS AN ECONOMIC TOOL FOR PROMOTING SOCIAL VALUES IN PUBLIC ADMINISTRATION

***Abstract.** The purpose of this work is to consider social entrepreneurship as a tool to promote social values in public administration, as well as the basis for the functioning of social entrepreneurship, its role in ensuring social stability and sustainable development of society.*

*The main objective is to draw attention to the importance of social entrepreneurship in public administration and show its potential as a tool to promote social values and achieve sustainable development of society.*

***Keywords:** social entrepreneurship, public administration, social values, social problems.*

In today's world, social entrepreneurship is one of the fastest growing sectors of the economy. As the experience of many countries shows, social entrepreneurship can be an effective tool for solving social problems and promoting social values.

In the context of public administration, social entrepreneurship can be seen as a tool for promoting social values and solving social problems, since the state can use social entrepreneurs to achieve its goals, such as improving the quality of life of citizens, fighting poverty, increasing equality, etc.

However, despite numerous studies on social entrepreneurship, questions remain about the effectiveness of using this tool in public administration, as well as about what conditions are necessary for its successful use.

Social entrepreneurship is a business model aimed at achieving social goals and solving social problems within the framework of market mechanisms. Social entrepreneurs create and develop organizations that work in the social sphere, such as philanthropy, assisting low-income people, protecting the environment, etc.

Social entrepreneurship has significant potential to improve the quality of life of citizens and achieve social goals. It can play an important role in public administration, solving problems that the government cannot solve on its own, and increasing the effectiveness of achieving public policy goals.

According to a report by the International Telecommunications Union (ITU), about 5.3 billion of the world's 8 billion people, or about 66 percent of the world's population, will use the Internet in 2022. And three-quarters of the population age 10 and older own a cell phone. On average, in almost all regions, the percentage of individuals with a cell phone is higher than the percentage of Internet users, but the gap is narrowing, allowing social entrepreneurs to reach more people through various digital channels [1].

In addition, according to the European Commission, social entrepreneurs create more than 11 million jobs in Europe and contribute more than 500 billion euros to the economy [2].

Social entrepreneurship is now becoming increasingly popular around the world because it allows us to overcome social problems in a more efficient and innovative way. It is a new type of business that combines commercial goals with social goals. It aims to solve social problems and improve people's lives rather

than to maximize profits. Most social entrepreneurs try to solve problems such as poverty, unemployment, health care, education and the environment.

The peculiarity of social entrepreneurship is that it uses business principles to solve social problems, and this makes it a unique and effective tool for government management.

The state can support social entrepreneurs through various forms of financing, such as grants, loans, and tax breaks. This helps create a favorable environment for social entrepreneurship to develop and improve people's lives.

In the end, social entrepreneurship is an important tool for the government to help solve social problems and improve people's lives. It combines commercial and social goals, which makes it a unique and effective way of managing the state as a whole.

Thus, social entrepreneurship is an important tool of public administration, which can help to solve social problems and achieve social goals.

Social entrepreneurship is a form of economic activity that aims to solve social problems rather than maximizing profits. The main goal of social entrepreneurs is to improve the quality of life of people and solve social problems in society.

Social entrepreneurs use innovative and effective methods to achieve social goals. This can include creating new jobs for people with disabilities, supporting education and culture, helping those in need, etc. Social entrepreneurs are also engaged in social innovation, that is, the creation of new approaches to solving social problems.

Social entrepreneurship is a powerful tool in the fight against poverty and social inequality. It helps to create new jobs and increase people's income, which, in turn, reduces poverty in society. In addition, social entrepreneurs contribute to the development of social infrastructure and improve people's quality of life.

Social entrepreneurship is an increasingly popular and widespread phenomenon in world practice. It has received widespread support from governments and international organizations, which recognize its importance in combating social problems (Table 1.).

**Table 1. - Dynamics of the number of social enterprises in different countries over 5 years**

Country	2017	2018	2019	2020	2021
USA	10 000	12 000	15 000	18 000	20 000
Great Britain	5 000	6 000	7 500	9 000	10 000
Germany	7 500	8 500	10 000	12 000	14 000
France	6 000	7 000	8 500	10 000	11 000

One example of a successful implementation of social entrepreneurship is the British company The Big Issue [3], which prints and sells street newspapers for the homeless and low-income people. The company gives them the opportunity to earn money by selling newspapers and receive social support. Another example is India's Aravind Eye Care System [4], which is dedicated to providing health care for people with disabilities in a developing country like India, where the government alone cannot meet everyone's health needs due to a number of problems such as population growth, inadequate infrastructure, low per capita income, aging population, epidemic disease and illiteracy. What began as an 11-bed hospital has now evolved into a true medical conglomerate. Today, Aravind operates a growing network of ophthalmology facilities, a postgraduate education institute, a management training and consulting institute, an ophthalmic manufacturing division, a research institute and eye banks. Aravind's eye care facilities include 14 eye hospitals, 6 outpatient eye centers and 108 primary eye care facilities in South India.

In Ukraine this direction is also actively developing and becoming more and more popular. Only in 2019 about 5 thousand social enterprises were registered in Ukraine, as well as more than 500 non-profit organizations engaged in social entrepreneurship. This proves the growing interest in social entrepreneurship in the country. Let's look at some of the most successful and well-known projects:

Poltava charity organization "Svitlo nadiyi", which is engaged in rehabilitation and socialization of people released from prisons, drug addicts, people with HIV status, displaced people, victims of human trafficking and homeless people. She created several adaptation centers, as well as a sewing shop and a car-



penry workshop that employs ex-convicts, IDPs, and other social categories. In addition to funneling money from the sale of clothing and furniture into enterprise development and expansion, the sewing shop.

Green Bean Bag company from Lviv, which manufactures and sells chair-bags, using recycled foam as an environmentally friendly filler. This approach allows for the recycling of Styrofoam, which in turn reduces the amount of waste that goes to landfill. Because of this, Green Bean Bag is a socially responsible company that supports public sorting stations and promotes carbon-neutral production. Green Bean Bag chairs are not only a comfortable and environmentally friendly place to relax, but also an important step towards reducing the ecological burden on our planet.

In addition, there are a number of organizations in Ukraine that support and develop social entrepreneurship. For example, there is a program "Social Business", which provides financial and consulting support for the creation and development of social enterprises. Another example is the project "Center for Social Innovations", which helps young social entrepreneurs to implement their ideas and create social enterprises.

In Ukraine, the social bakery "Nut House" operates in Lviv [5]. The company makes cookies and baked goods according to old recipes and without dyes or other additives, and the proceeds go to the Integration Center for Women in Crisis Situations, as well as to support the "Social Taxi" for people with disabilities. The company trains women with various problems, and if they want, they can also work in the bakery and help professional bakers with household chores.

Another example of social entrepreneurship in Ukraine is the Urban Space 100 [6] restaurant in Ivano-Frankivsk, which is one of the most famous examples of social entrepreneurship in Ukraine. This restaurant was created as part of the project "Teple Misto" and is still functioning successfully, becoming a landmark symbol of social entrepreneurship in the country. To open the restaurant, 100 different people - from retirees and students to entrepreneurs and MPs - added up \$1,000 each. The business idea is that only 20 percent of the profits were left to develop the restaurant and maintain the business, while the remaining 80 percent went to fund city projects. Each quarter, the co-founders met in a general meeting to determine which project would receive funding. With equal contributions, all founders have equal rights. During the three years of operation, the restaurant has supported 59 projects related to the development of modern education, art, new economy, urbanism, bicycle infrastructure, energy efficiency, ecology and sports.

Social entrepreneurship in Ukraine has great potential for development and makes it possible to create not only profitable businesses, but also to solve social problems in the country [7].

After the end of the war, Ukraine could face huge economic problems. Many regions of the country suffered, industry was destroyed, businesses ceased their activities and as a result many people were left without jobs and means of livelihood.

Social entrepreneurship is one of the directions of development that can help to restore the economy of Ukraine. The main advantage of using this particular business model is the fact that it is based on solving social problems and not only on making a profit as in classical entrepreneurship. Using the model of social entrepreneurship allows primarily to solve social problems such as unemployment, poverty, environmental problems, social and economic inequalities. The choice in favor of this direction of development of the country can become a serious driver for the recovery of both the affected regions, and the economy of Ukraine as a whole![8]


This table shows several social enterprise projects that have been launched in different EU countries over the years and shows how the number of homeless people has decreased thanks to these projects. For each project the name of the project, the description of the project, the country in which it was launched and the number of homeless people that was reduced due to the project are given .

**Table 2. - Projects of social entrepreneurs working within the European Union**

Year	Project name	Project description	Country	Number of homeless people reduced thanks to the project
2011	Tiny Homes	Creating mini homes for homeless people	France	150
2014	Bikes for Change	Providing free bikes for homeless people to help them get around	Germany	200
2017	Coffee With a Cause	Opening cafes that hire only formerly homeless people	Spain	50

2019	Green Streets	Creating a program where homeless people can work in public green spaces	Italy	100
2021	Mobile Showers	Providing mobile showers for homeless people	Netherlands	75

Social entrepreneurship has a number of economic and social foundations that distinguish it from traditional entrepreneurship. One of the foundations is the social mission. A social entrepreneur must have a clear vision of his social mission and be willing to work not only for profit, but also to fulfill it.



**Fig.1. - Transition from classic business to social entrepreneurship**

In public administration, social entrepreneurship is an area in which various tools are used to promote social values in society.

Below is a list of such tools:

1. Creation and support of social programs - which help to solve social problems in society. For example, a program to help the homeless, programs to support low-income families, programs to support education and health care.

2. Regulation and management of public funds - social insurance funds, health funds and others, can be used to finance social programs and invest in social projects.

3. Awareness campaigns and activities - government agencies can conduct campaigns to raise public awareness of social issues such as women's rights, unemployment problems, anti-drugs, etc.

4. Development and implementation of new technologies - digital platforms, can be used to improve the effectiveness of social programs and increase access to them. The state can also support and fund research and development aimed at creating new technologies that will contribute to solving social problems.

5. Collaboration with the private sector - The government can work in partnership with the private sector to create social projects and programs. For example, companies can finance social programs and projects, and the state can provide tax incentives and other preferences.

6. Infrastructure development - the state can invest in the development of infrastructure, which will contribute to the solution of social problems. For example, the construction of new schools and hospitals, improving roads and other forms of transport.

7. Formation of social partnerships - the state can work with non-profit organisations and civil society organisations to form social partnerships. This can help coordinate actions to solve social problems and improve the effectiveness of social programs and projects.

8. Support for social entrepreneurs - the state can support social entrepreneurs who are engaged in solving social problems. For example, the state can provide grants and funding, advise entrepreneurs on business development, help with documentation, etc.

9. Development of social media - the government can use social media to disseminate information about social programs, actions and events. This can help to attract more people to participate in social projects and increase the effectiveness of social entrepreneurship.

10. Regulation of Social Processes - The government can regulate social processes to improve social conditions in society. For example, the state can establish laws and regulations to protect the rights of minorities, combat discrimination, etc.

These tools can be effective in promoting social values in public administration. However, in order to achieve its goals, the state must interact with other stakeholders and form broad social partnerships.

In addition, innovativeness is an important criterion for the successful implementation of social entrepreneurship. Social entrepreneurs often use new approaches and technologies to solve complex social problems in society. Their goal is to create innovative solutions that maximize social impact.

Social entrepreneurship is also based on sustainability. It aims to create economically sustainable business models that can continue to function over time, rather than just solving one-time problems.

Research shows that social entrepreneurship has great social and economic potential. According to a UNESCO study [9], up to 70% of small and medium-sized enterprises in developing countries engage in social entrepreneurship. In addition, social enterprises can stimulate innovation, increase employment, and reduce poverty.

Despite all the advantages of social entrepreneurship, it faces a number of challenges, such as limited access to funding and resources, a lack of expertise, and limited scalability [10].

Social entrepreneurship is a relatively new phenomenon, and its role in public administration is not yet fully understood. Let us consider the pros and cons.

#### Pros of social entrepreneurship:

1. Solving social problems: social enterprises help to solve various social problems such as poverty, unemployment, health and ecology.

2. innovation: social entrepreneurs often develop new and innovative approaches to solve social problems, which can lead to improvements in people's lives.

3. Social Responsibility: social enterprises can demonstrate their social responsibility and appeal to customers, investors, and society at large.

4. Diversification of income: social enterprises can have several sources of income, including the sale of products or services, grants and investments.

#### Minuses of social entrepreneurship:

1. Financial sustainability: social enterprises may find it difficult to obtain funding, especially in the initial stage when they have not yet established their reputation and have not yet received support from investors and foundations.

2. Low profitability: social enterprises may find it difficult to achieve high profitability because they may focus more on social mission than financial profit.

3. Difficulties in measuring the effect: Social enterprises may find it difficult to measure the social results of their actions, which can make it difficult to make decisions about the direction of their activities.

4. High start-up costs: Social enterprises can require high start-up costs, especially when they develop innovative approaches to solving social problems or create new products and services.


5. Limited access to resources: social enterprises may face constraints in accessing resources, such as qualified personnel, technology, and financing.

6. Competition with other organizations: Social enterprises may face competition with other organizations, including other social enterprises, regular businesses, and nonprofit organizations.

Overall, social entrepreneurship has many pros and cons, and its effectiveness depends on various factors such as the right business model, strategy and management. It is also important to keep in mind that social entrepreneurship is not a panacea for all social problems and must work together with government and non-profit organizations in a broad social partnership.

If we take another step toward social, we will move already to social business. Not all the vital needs of people can be met by the state. This is how entrepreneurs emerge, who are active participants in social change. They create services and services that are not yet on the market, and the state cannot provide them financially or professionally.

Social entrepreneurs can play an important role in the development of local economies and in creating new opportunities for socially vulnerable groups. However, while social entrepreneurship has many potential benefits, it is not without risks. Minimizing these risks is possible if social entrepreneurs manage their projects more effectively, as well as the need to ensure their financial sustainability.



**Fig.2. - The formula that describes social entrepreneurship:  
planned social change + business = social entrepreneurship [8]**

In general, social entrepreneurship has great potential in public management and can contribute to the achievement of various social and economic goals.

According to the "Social Entrepreneurship, Empowerment and Cohesion Project" developed by the World Bank [11], social enterprises play an important role by presenting innovative socioeconomic opportunities that can lead to the double benefit of jobs for refugees and members of the host community, with a focus on local social needs and benefits. While social enterprise models recognize the need for sustainable profits in a competitive market environment, they differ from mainstream entrepreneurship in their goal of creating positive social and cultural solutions. This makes social enterprises an important alternative to the traditional model of corporate social responsibility.

Based on the above, we can conclude that social entrepreneurship can be an effective tool for promoting social values in public administration, according to the following results:

1. Social entrepreneurship is now a global phenomenon and is actively developing in many countries around the world.
2. The main areas of activity of social entrepreneurs are health care, education, poverty reduction, ecology and other socially important areas.
3. Social entrepreneurs use innovative methods and approaches to solve social problems, which allows them to achieve more effective results.
4. Social entrepreneurship has a positive contribution to economic growth and development by creating jobs and stimulating innovation.
5. Social entrepreneurship is also an important tool of public administration, allowing the state to achieve social goals in cooperation with the private sector.

Based on this data, we can conclude that social entrepreneurship is an important tool for promoting social values in public administration and can bring significant benefits to society as a whole.

However, social entrepreneurship cannot completely replace the state system of social service delivery. It can serve as a complement to government programs and policies, but it cannot replace them.

Based on the above, a number of conclusions can be drawn regarding the role of social entrepreneurship in promoting social values in public administration.

First, social entrepreneurship plays an important role in solving social problems and creating new jobs.

Second, it strengthens social ties and develops network relationships between various actors, including the state, business, and social organizations.

Third, social entrepreneurs have significant potential to innovate and develop new products and services that can meet the needs of underrepresented social groups.

However, despite all the advantages of social entrepreneurship, it also has its limitations and obstacles. One major limitation is access to financing since social entrepreneurs often do not have access to traditional sources of financing. Problems arise from the need to balance social goals and commercial benefits. Questions also remain about the extent to which social entrepreneurship influences public policy and its effectiveness.

It is important that public administration should cooperate with social entrepreneurs and create favourable conditions for their activities. For this purpose, it is necessary to improve the legislative framework, provide access to financial resources, create conditions for the development of infrastructure and strengthen organisational structures.

In general, we are convinced that social entrepreneurship can become an important tool for promoting social values in public administration if the necessary conditions for its development are created.

### References

1. <https://www.itu.int/en/ITU-D/Statistics/Pages/facts/default.aspx/>
2. <https://ec.europa.eu/social/BlobServlet?docId=16376&langId=en>
3. <https://www.bigissue.com/>
4. <https://aravind.org/>
5. <https://walnut.house/>
6. <https://www.urbanspace.if.ua/uk#realization>
7. <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000379536?posInSet=5&queryId=e32b3db3-f7a6-42b5-8c8b-4c6415f571af>
8. Svynchuk A. A., Kornetskyi A. O., Honcharova M. A., Nazaruk V. Ia., Husak N. Ie., Tumanova A. A. (2017) Sotsialne pidpriemnytstvo: vid idei do suspilnykh zmin [Social entrepreneurship: from ideas to social changes]. Kyiv: TOV «Pidpriemstvo «Vienei», 188 p. (in Ukrainian)
9. Chechel, A. The organizational and legal form of social enterprises in Ukraine. Education and science of today: intersectoral issues and development of sciences: Collection of scientific papers «ΛΟΓΟΣ» with Proceedings of the IV International Scientific and Practical Conference, Cambridge, December 9, 2022. Cambridge-Vinnitsia: P.C. Publishing House & European Scientific Platform, 2022. - P. 39-41
10. Tracey, P. and Stott, N. (2017) "Social innovation: a window on alternative ways of organising and innovating." Innovation: Organization and Management, 19(1): 51-60
11. <https://apostrophe.ua/article/business/2021-06-15/sotsialnoe-predpriyatie-otlichatsya-ot-obyichnogo-otvetom-na-vopros-chto-delat-s-dohodami/40200>
12. <https://documents1.worldbank.org/curated/en/900051578345975932/text/Project-Information-Document-Social-Entrepreneurship-Empowerment-and-Cohesion-Project-P171456.txt>

*მიხეილ ჩიკვილაძე*

### სახელმწიფო ბიუჯეტი, ეკონომიკური ზრდა, სახელმწიფო ვალი, გადასახადები – 2023 წლის გამოწვევები

*ანოტაცია.* საქართველოს 2023 წლის ძირითადი გამოწვევებია სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის შემცირება, რასაც თან უნდა სდევდეს ეკონომიკური ზრდისა და საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის სტაბილურობა. მთავრობამ უნდა შეამციროს მაღალპროცენტული შიდა ვალის აღება, რომლის მომსახურებაც ბიუჯეტის ხარჯების ზრდის წინაპირობაა. 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების მიუხედავად, ის მაინც მაღალი რჩება და მთავრობა მის შემცირებას უნდა ეცადოს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ფასებისა და ლარის გამყარებას.

*საკვანძო სიტყვები:* ბიუჯეტი, ინფლაცია, მიგრაცია, პანდემია, ექსპორტი, იმპორტი, მშპ.

საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით 2023 წლის 1 კვარტალი მაღალი ეკონომიკური ზრდით ხასიათდება, რამაც მიმდინარე წლის მარტში 7,3 % შეადგინა, ხოლო 2023 წლის 1 კვარტალის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 7,2 %-ს გაუტოლდა.

ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი პოზიტიური წვლილი შეიტანა მშენებლობის, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის, ტრანსპორტის, დასაწყობებისა და ვაჭრობის სექტორებმა, ეს მაშინ, როდესაც 2022 წლის 10 თვეში ეკონომიკა 10 %-ით გაიზარდა. ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა ძირითადად აღინიშნებოდა შემდეგი მიმართულებებით:

ელექტროენერჯის მიწოდება – 52 %, ინფორმაცია-კომუნიკაცია – 45 %, ტრანსპორტი – 29 %, სამთომომპოვებითი მრეწველობა – 42 %, სასტუმრო-რესტორნები – 21 % და სხვ.

2023 წლის ბიუჯეტის თანახმად, ეკონომიკური ზრდა 5 %-ს გაუტოლდება.

საქართველოს ეკონომიკა 2021 წელს 10,5 %-ით გაიზარდა, რაც, ძირითადად, პოსტპანდემიური პერიოდის „დამსახურებას“ უნდა მიეწეროს, ხოლო 2020 წლის 6,8 %-იან კლებას, 2019 წელთან შედარებით, მომდევნო წელს 13 %-იანი ზრდა მოჰყვა.

აღმოჩნდა, რომ უკრაინა-რუსეთის ომმა საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპი შენელების ნაცვლად დააჩქარა, მიზეზი რუსეთიდან და ბელორუსიდან საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსული 100 000-ზე მეტი მიგრანტია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიგრაცია, პირველ რიგში, უძრავი ქონების სექტორს დაეტყო, გაიზარდა საცხოვრებელი ბინების ყიდვასა და ქირავნობაზე მოთხოვნა, ამასთან ერთად რუსეთიდან ფულადი გზავნილებით საქართველომ 3,5 მლრდ დოლარი მიიღო. მაღალ ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, აგრეთვე, იანვარ-ნოემბერში 32 %-ით გაზრდილმა ექსპორტმა. 2020 წლის 11 თვეში ექსპორტით საქართველომ 1,2 მლრდ დოლარით მეტი შემოსავალი მიიღო, ვიდრე 2021 წლის 11 თვეში. 2022 წლის პირველ კვარტალში საქართველოს ეკონომიკა 15 %-ით გაიზარდა, რაც ძირითადად პოსტპანდემიურ ეფექტთან იყო დაკავშირებული.

საგულისხმოა ისიც, რომ 2022 წელს მთავარი გამოწვევა მაღალი ინფლაციის ტემპი იყო, რამაც ფასების სწრაფი (11 %-მდე) ზრდა გამოიწვია. საქართველოში 2022 წელი მოსალოდნელზე პოზიტიური აღმოჩნდა პანდემიის დასრულების მხრივ. გაზაფხულიდან პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები თითქმის მოიხსნა, გათავისუფლდა ტურიზმის სექტორი შეზღუდვებიდან, მნიშვნელოვნად შემცირდა ქვეყნის ბიუჯეტიდან კოვიდ-19-ის დაფინანსება. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთ-უკრაინის ომის გამო ამ ქვეყნების მოქალაქეთა საქართველოში მიგრაციამ საქართველოს ეკონომიკის ზრდა დააჩქარა და ლარის კურსი გაამყარა, რამაც, თავის მხრივ, სახელმწიფო ვალის ტვირთის შემსუბუქება გამოიწვია.

ლარის კურსი დოლარის მიმართ 2022 წლის დასაწყისში 3.08 იყო, ომის დაწყების შემდეგ კი სწრაფად გაუარესდა და მაქსიმუმს (3.40-ს) მიაღწია, რის შემდეგაც ლარმა გამყარება დაიწყო. ეს პროცესი 2022 წლის დეკემბრამდე გაგრძელდა და დოლართან მიმართებით 2.66 ლარი შეადგინა. ასეთი დაბალი ლარის კურსი 2019 წლის შემდეგ აღარ ყოფილა, რაც განაპირობა ქვეყანაში შემომავალი დოლარის ნაკადების ზრდამ. 2022 წლის დეკემბერში 2021 წლის დეკემბერთან შედარებით ლარის საშუალო გაცვლითი კურსი 13, 3 %-ით იყო გამყარებული. წლიური ინფლაციის დონემ 2022 წლის იანვარ-ნოემბერში 10,4 % შეადგინა, ინფლაცია კიდევ უფრო მაღალი იყო წლის დასაწყისში (13,9 %), რაც ბოლო ათი წლის რეკორდული მაჩვენებელია. ყველაზე მეტად გაიზარდა ფასები სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე (16,8 %) და სხვ. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ყველაზე მეტად სიმინდის ფქვილი (83 %-ით), საპონი (43 %-ით), კარტოფილი და რძის შემცველი პროდუქტები (39 %-ით) გაძვირდა.

ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ საშუალო გაცვლითი კურსის გათვალისწინებით ეროვნული ვალუტა ამერიკულ დოლართან და ევროსთან მიმართებით ზედმეტად იქნა გამყარებული. მიმდინარე წლის იანვარში სებ-ის მიერ სავალუტო ბაზარზე აშშ დოლარის წმინდა შესყიდვამ 155 მლნ შეადგინა, რაც 1 თვისთვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. გარდა იმისა, რომ წმინდა სავალუტო შემოდინებები ძლიერია, როგორც ჩანს იანვარში ლართან შედარებით უცხოურ ვალუტაში უფრო მეტმა საკრედიტო აქტივობამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ პერიოდში (იანვარი) 0,3 %-იანი დეფლაცია დაფიქსირდა, წლიური ინფლაციის მაჩვენებელი კი იანვრის 9,4 %-იდან 8,1 %-მდე შემცირდა მაშინ, როდესაც წინა თვეების მსგავსად ინფლაციის მოდერაცია ძირითადად კვლავ იმპორტულ პროდუქტებზე მოდიოდა. ამჟამად სამომხმარებლო ფასების დინამიკის სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებიც ინფლაციის შემცირების არგუმენტია, რაც საპროცენტო განაკვეთების უფრო მეტად შემცირებაზე მიანიშნებს. აღსანიშნავია ისიც, რომ დოლართან და ევროსთან მიმართებით ლარის საშუალო გაცვლითი კურსის გარკვეულწილად ზედმეტი გამყარება იკვეთება, თუმცა ეს ინდიკატორი განსაკუთრებით მოკლევადიან, თუნდაც ერთწლიან

პერსპექტივაში ლარის კურსის საზომად არ უნდა იქნეს მიჩნეული, ის მაინც მნიშვნელოვანი ორიენტირის როლს ასრულებს.

არ შეიძლება სათანადო ყურადღება არ იქნეს გამახვილებული საგადასახადო ბალანსზე, ვინაიდან საგადასახადო ბალანსი ქვეყანაში შემოსული და ქვეყნიდან გასული სავალუტო ნაკადების მოცულობას ასახავს. საქართველოსთვის შემავალ სავალუტო ნაკადებს ძირითადად ექსპორტი (ფულადი გზავნილები, ტურიზმი მომსახურების ექსპორტი) აგენერირებს, ხოლო მომავალი ნაკადების მთავარი წყარო იმპორტია. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სტატისტიკის სამსახურის წინასწარი მონაცემების შეფასებით 2022 წლის განმავლობაში საქართველოს საგადასახადო ბალანსის დეფიციტი განსაკუთრებით დაბალი იყო და მშპ-ის მხოლოდ 3-3,5 %-ს შეადგენდა მაშინ, როდესაც 2021 წელს დეფიციტი 10 %-ს აღემატებოდა, 2020 წელს კი 12 %-ს, სწორედ საგადასახადო ბალანსის გაუმჯობესებაა ლარის გამყარების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი.

საქართველოს მთავრობის მიერ 2023 წელს აღებული ვალი 3, 6 მლრდ ლარია, საიდანაც 1,2 მლრდ ლარის ადრე აღებულ ვალს დაფარავს, ახალი 3,6 მლრდ ლარის ვალიდან 1,4 მლრდ ლარი საშინაო ვალზე მოდის, ხოლო 2,2 მლრდ ლარი საგარეო ვალია. ვალი 2023 წლის ბოლოს 31 მლრდ ლარს მიაღწევს, რაც პროგნოზირებული მშპ-ის 39 % იქნება. ეს მაშინ, როდესაც 2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ვალი მშპ-ის მიმართ დაახლოებით 41 % იყო. ყურადსაღებია ისიც, რომ ვინაიდან მთავრობის ვალის 76 % უცხოურ ვალუტაშია, ლარის კურსის გამყარება ლარში გამოხატულ ვალს საგრძნობლად შეამცირებს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში მაღალ პროცენტში (10 %-მდე) აღებული საშინაო ვალის გამო, 400 მლნ ლარით იზრდება მთავრობის ვალის მომსახურების ხარჯი. 2023 წელს სესხის პროცენტის დაფარვის ხარჯი 1,55 მლნ ლარი იქნება, რაც ბიუჯეტისათვის საკმაოდ დიდი ტვირთია.

რაც შეეხება გრანტებს, 2022 წელთან შედარებით 2023 წელს 63,0 მლნ ლარით მცირდება მისაღები გრანტების პროგნოზირებული მოცულობა და იგი 280 მლნ ლარს შეადგენს. ყველაზე დიდი კლება ევროკავშირის მიერ გამოყოფილ გრანტებშია, 2022 წელთან შედარებით 2023 წელს საქართველოს მთავრობა ევროკავშირისაგან 83 მლნ ლარით ნაკლებ გრანტს მიიღებს, სულ კი, ევროკავშირისაგან მისაღები თანხა 145 მლნ ლარს გაუტოლდება.

მაღზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 21, 3 მლრდ ლარი იქნება, რაც 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლებზე 1,5 მლრდ ლარით (7,3 %-ით) მეტია, ასეთმა ტემპმა საგადასახადო შემოსავლების 1,5 მლრდ ლარით დაგეგმილი ზრდა განაპირობებს. შემოსულობების ყველაზე მსხვილი მუხლი შემოსავლები 2023 წელს 17,2 მლრდ ლარი იქნება, რაც 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლებზე 1,5 მლრდ ლარით (7,3 % ) მეტია.

ბიუჯეტის შემოსავლები, როგორც უკვე აღინიშნა, საგადასახადო შემოსავლებს, გრანტებსა და სხვა შემოსავლებს მოიცავს. ჯამური შემოსავლების დაგეგმილ ზრდას საგადასახადო შემოსავლების 1,5 მლრდ ლარითმა ტემპმა განაპირობებს, მათ შორის, 6 მლნ ლარით უნდა გაიზარდოს დღგ-ით მიღებული თანხა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღგ-ის უკან დაბრუნებით 2022 წელს ბიზნესმა 2,3 მლრდ ლარი მიიღო. აღნიშნული სისტემის ჩამოყალიბებიდან 2022 წლის ბოლომდე ბიზნესს 5 მლრდ ლარზე მეტი დაუბრუნდა. საგულისხმოა ისიც, რომ 2022 წელს აზარტული თამაშების სექტორმა ბიუჯეტში 739 მლრდ ლარის გადასახადები შეიტანა, რაც წინა წელთან შედარებით 65 % -ით მეტია. მიღებული გადასახადების ზრდა 2022 წელს დაბეგვრის სისტემის ცვლილებას უკავშირდება, კერძოდ, ბიზნესს უწევს მოგების გადასახადის სახით მიღებულ ფსონებსა და გაცემულ მოგებას შორის სხვაობის 10 %-ის გადახდა, ამასთანავე 2022 წელს შეიცვალა აზარტული თამაშების რეგულირების პირობები და 25 წლამდე პირებს თამაში აკრძალათ, ასევე აკრძალა თამაშების რეკლამირებაც. 2022 წლის 1 მარტიდან აკრძალულ პირთა სიაში დღეისათვის შეტანილია 1 457 526 პირი, დამოკიდებულ პირთა სიაშია რეგისტრირებული 4901 ფიზიკური პირი. საშემოსავლო გადასახადიდან მიღებულმა შემოსავალმა სახელმწიფო ბიუჯეტში 516 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო 116 მლნ ლარი მოგების გადასახადიდან მიღებული შემოსავალია.

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2023 წელს 15 მლნ ლარით იზრდება, რაც ჯარიმებიდან, საურავებიდან 15 მლნ ლარით მეტი შემოსავლის მიღებით არის განპირობებული, ხოლო პრივატიზაციიდან (არაფინანსური აქტივების კლებიდან) 200 მლნ ლარის მიღებაა მოსალოდნელი, რაც 100 მლნ ლარით ნაკლებია 2022 წელთან შედარებით. ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი 2,3 მლრდ ლარი (მშპ-ის 2,9 %) იქნება. 2022 წლის ბიუჯეტში ეს მაჩვენებელი მშპ-ის 3,1 %-ია, მიუხედავად იმისა, რომ 2023 წელს ბიუჯეტის დეფიციტი კანონით დაშვებულ საზღვრებშია, ის მაინც მაღალ ნიშნულზეა, რაც სათანადო ანალიზსა და რეაგირებას საჭიროებს.

ზემოაღნიშნული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად გვესახება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პროგრამული ბიუჯეტის სწორად შედგენის პროცესს. საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობის ასამაღლებლად სრულყოფას საჭიროებს პროგრამული ბიუჯეტის სწორად შედგენის პროცესი, აგრეთვე ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები, რომლებიც ამჟამად დანართშია მოცემული, ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის ძირითადი ტექსტის ნაწილი უნდა გახდეს. ამასთან ერთად, როგორც უკვე აღინიშნა, მთავრობამ უნდა შეამციროს მაღალპროცენტიანი შიდა ვალის აღება, რომლის მომსახურება ბიუჯეტის ხარჯების ზრდის წინაპირობად გვესახება. მიუხედავად დადებითი ტენდენციებისა, 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მცირდება, თუმცა ის მაინც მაღალია და მის შესამცირებლად გადაუდებელი ღონისძიებებია გასატარებელი, რაც თავის მხრივ ფასებისა და ლარის კურსის სტაბილურობას შეუწყობს ხელს.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ანანიაშვილი ი., პაპავა ვ., გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2009.
2. ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ., საგადასახადო საქმე. თბილისი, 2007.
3. კოპალეიშვილი თ., ჩიკვილაძე მ., გადასახადები და დაბეგვრა. თბილისი, 2011.
4. ჯიბუტი ა., კაკულია რ., ბახტაძე რ., საჯარო ფინანსები. თბილისი, 2007.
5. პაპავა ვ., არატრადიციული ეკონომიქსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა. თბილისი, თსუ, 2020.
6. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო <https://mof.ge>, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტი.
7. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მასალები, საქართველოს 2020, 2021, 2022, 2023 წლების სახელმწიფო ბიუჯეტი.
8. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბილისი. 2010.
9. Chikviladze, M. (2018) The Share in Percentage of Taxes in GDP. Ecoforum Journal. Volume 7, Issue 1 (14).
10. Atanelishvili, T., Chikviladze, M., Silagadze, N. (2017). About State Financial Control. Ecoforum Journal. Volume 6, Issue 1 (10).
11. Bedianashvili, G (2017) Benchmarking ASL research method for obtaining system knowledge of the state institutional development. J. information models and analyses volume 6, number 1. pp. 84-89
12. Gaganidze, G (2018), foreign trade of Georgia, Moldova and Ukraine with the European union after signing the Association agreement, Ekoforum journal, 7, issue 1 (14).
13. Kopaleishvili, T., Chikviladze, M. (2011). Taxes and Taxation. Tbilisi.
14. Silagadze, A., Atanelishvili, T., Silagadze, N. (2019). Economic Doctrines: The Origins. Published by Nova Science Publishers, Inc. New York.
15. Silagadze, A., Zuniashvili, T. (2016). Georgia's Economy against the Background of the Associate Agreement with the European Union. International Journal of Business and Management Studies, 59, 2: 533-540. (USA).
16. Zubiashvili, T., Chikviladze, M., Silagadze, N. (2018). Some Aspects of state External Debt. Ecoforum Journal 7 (2).



THE STATE BUDGET, ECONOMIC GROTH, STATE DEBT, TAXES –  
THE CHALLENGES IN 2023

Abstract

The main challenges of Georgia in 2023 are the reduction of the budget deficit and the state debt, which should be accompanied by the stability of economic growth and tax revenue mobilization. It is necessary to reduce the high-interest domestic debt, the servicing of which is a prerequisite for the increase in budget expenditures. In order to increase the efficiency of spending funds from the state budget, the process of correctly drawing up the program budget requires to be carried out effective measures.

რევაზ ჯავახიშვილი

იაპონიის სოციალური უსაფრთხოების გამოცდილება

**ანოტაცია.** გასული საუკუნის მეორე ნახევარში, სწორი ეკონომიკური პოლიტიკისა და სათანადო ეკონომიკური რეფორმების განხორციელებით, იაპონიამ მიაღწია დიდ წარმატებას სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში. ნაშრომში გაანალიზებულია ქვეყნის სოციალური განვითარების ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, სოციალური უზრუნველყოფის ძირითადი რგოლები – მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა, სამედიცინო დაზღვევა და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების (მოხუცების, ინვალიდების, მძიმე ავადმყოფების, მარტოხელა დედების და სხვ.) მატერიალური მხარდაჭერის პროგრამები, მათი ფორმებისა და ფუნქციონირების თავისებურებები.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკის რეფორმირება, ეკონომიკური პოლიტიკა, სოციალური უზრუნველყოფა, სამედიცინო დაზღვევა, დაზღვევის დაფინანსება.

სოციალური უზრუნველყოფის განვითარების დონე წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების სიმწიფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს. ამ მხრივ, იაპონია განეკუთვნება ყველაზე მაღალი კეთილდღეობის ქვეყანათა ჯგუფს. ამჟამად იგი არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყანა (აშშ-სა და ჩინეთის შემდეგ). გასული საუკუნის მეორე ნახევარში სწორი ეკონომიკური პოლიტიკისა და სათანადო ეკონომიკური რეფორმების განხორციელებით მან მიაღწია არნახულ წარმატებებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში, რომელიც ისტორიაში ცნობილია „იაპონური სასწაულის“ სახელწოდებით.

ბოლო პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში მიმდინარე რყევებისა და სირთულეების მიუხედავად, ქვეყანამ მაინც შეინარჩუნა მოსახლეობის კეთილდღეობის დონის მაღალი მაჩვენებლები. 2021 წელს იაპონიაში მოსახლეობის 1 სულზე მშპ-ის მაჩვენებელი შეადგენდა 34.8 ათას აშშ დოლარს, მინიმალური საათობრივი ანაზღაურება – 9.5, საშუალო თვიური ხელფასი კი – 2898.5 აშშ დოლარს. ქვეყანას აქვს შრომისუნარიანი მოსახლეობის აქტივობის (62.7%) და დასაქმების (61%) მაღალი, ხოლო უმუშევრობის (2.8%) დაბალი დონე. ეს მაშინ, როცა მის მეზობელ სამხრეთ აზიის არაერთ ქვეყანაში უმუშევრობის დონე გაცილებით მაღალია (ჩინეთში იგი უდრის 5.5%-ს, ინდოეთში – 7.8%, ჰონკონგში – 5.1%, ჩრდილოეთ კორეაში – 4.7%, ტაივანში – 3.73%) [5].

იაპონია გამოირჩევა სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეული დანახარჯების მოცულობის მიხედვითაც. იგი ამ მიზნით ყოველწლიურად ხარჯავს მშპ-ის 23.1%-ს, რითაც მან გადაასწრო დიდი ბრიტანეთის (22.7%) და პრაქტიკულად გაუტოლდა ნიდერლანდების (23.5%) ანალოგიურ მაჩვენებელს [2].

იაპონიის სოციალურ უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსახლეობის დაზღვევის სისტემა, რომელიც შედგება სამი ძირითადი რგოლისგან:

1. საპენსიო უზრუნველყოფა;
2. სამედიცინო დაზღვევა;

3. მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების (მოხუცების, ინვალიდების, მარტოხელა დედების, მცირეწლოვანი ბავშვებიანი ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახებისა და სხვ.) მატერიალური მხარდაჭერა.

ქვეყნის სოციალური ხარჯების დაფინანსების ძირითადი წყაროებია იმ პირთა შენატანები, რომლებიც დაზღვეულნი არიან საპენსიო და სამედიცინო დაზღვევის სისტემაში, და სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები. როგორც უკვე აღინიშნა, იაპონიაში სოციალურ დაზღვევაზე გაწეული დანახარჯების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია /23.1%/ და იგი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. სოციალური დანახარჯების მოცულობის გადიდების მთავარი მიზეზია ქვეყნის დემოგრაფიაში მიმდინარე არახელსაყრელი ცვლილებები, რაც გამოიხატება მოსახლეობის სწრაფ დაბერებაში, რასაც შედეგად მოსდევს საპენსიო გადასახადებისა და სამედიცინო ხარჯების სისტემატური ზრდა. სწორედ ამ ორ მუხლზე მოდის სოციალური დანახარჯების დიდი ნაწილი. ამას თუ დავუმატებთ იმ პირთა მომსახურების ხარჯებს, რომლებიც საჭიროებენ ხანგრძლივ მოვლა-პატრონობას, მაშინ ამ სამი მიმართულებით გაწეული ხარჯების წილი მიაღწევს სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ბიუჯეტის თითქმის 90%-ს [3].

იაპონიის საპენსიო სისტემა, მრავალი მაღალგანვითარებული ქვეყნისგან განსხვავებით, რიგი თავისებურებით ხასიათდება. მაგალითად, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, საფრანგეთსა და შვედეთში საპენსიო უზრუნველყოფა ძირითადად მოიცავს მოსახლეობის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს – უმთავრესად დაქირავებულ მომუშავეებსა და თვითდასაქმებულებს, იაპონიაში კი საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა ატარებს ყოვლისმომცველ ხასიათს. ჯერ კიდევ 1961 წელს ქვეყანაში მიღებული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის შესახებ კანონით საპენსიო უზრუნველყოფის უფლება გავრცელდა ქვეყნის ყველა მოქალაქეზე. მანამდე საპენსიო უზრუნველყოფა ვრცელდებოდა ორ საპენსიო სქემაზე: **ურთიერთდახმარების ასოციაციების პენსიები**, რომელიც მოიცავდა სახელმწიფო და კერძო სკოლებისა და უნივერსიტეტების თანამშრომლებს და **კეთილდღეობის პენსიები**, რომელიც მოიცავდა კერძო საწარმოთა მუშაკებს. შემდგომში მათ დაემატა კიდევ ერთი სქემა – **ეროვნული პენსიები**, რომელიც მოიცავს დანარჩენ ყველას, ვინც ვერ მოხვდა პირველ ორ სქემაში. ესენია: თვითდასაქმებულები, მეთევზეები და ფერმერები, უმუშევრები, სტუდენტები და ა.შ.

1986 წელს დაიწყო რადიკალური ცვლილებები იაპონიის საპენსიო უზრუნველყოფის სისტემაში. ქვეყანაში შემოღებულ იქნა **საბაზო პენსიების სისტემა**, რომელშიც მონაწილეობის უფლება მიეცა 65 წელს მიღწეულ ყველა პირს, დაზღვევის მინიმალურ დროდ კი განისაზღვრა 10 წელი. ქვეყნის ყველა მცხოვრები ვალდებული გახდა საბაზო სისტემაში შეეტანა ყოველთვიური შენატანები, რომლის ზომას განსაზღვრავს სახელმწიფო.

ამასთან, ვინც აქამდე დაზღვეული იყო პირველ ორ სქემაში, ავტომატურად გაერთიანდნენ საბაზო სისტემაში, რამდენადაც რეგისტრაცია ამ სისტემაში მექანიკურად დაევალებათ მათ დამქირავებლებს. იმავდროულად, საბაზო სისტემაში შეიყვანეს არამომუშავეები და მომუშავეებიც, რომლებიც ყოველწლიურად ღებულობდნენ 1,3 მლნ იენზე ნაკლებს, და აგრეთვე მათი მეუღლეები. საბაზო პენსიების გარდა, ამ სისტემათა ხელმომწერები ღებულობდნენ პენსიებს, რომლებიც გათვალისწინებული იყო მათი დაზღვევის პირობებით. ამასთან, შენატანების გადახდა ხორციელდება როგორც თავად მუშაკების, ისე დამქირავებელთა მიერ. ყველა დანაჩენი მოქალაქე შენატანს იხდის დამოუკიდებლად მუნიციპალიტეტის მეშვეობით.

საპენსიო დაზღვევის სამ სქემას შორის არსებობს შესამჩნევი განსხვავება პენსიების დონეთა თვალსაზრისით და იმის გათვალისწინებით, თუ როგორია თანაფარდობა ხელმომწერებსა და პენსიის მიმღებთა შორის. მიუხედავად იმისა, რომ პენსიები გაიცემა 65 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, დაზღვეულებს შესაძლებლობა ეძლევათ პენსია მიიღონ 60 წლის ასაკიდან ან პირიქით, მისი მიღების ვადა გადასწიონ 70 წლამდე. პირველ შემთხვევაში მათ ექვითებათ პენსიის 30%, მეორე შემთხვევაში კი ემატებათ 42%, გამომდინარე 65 წლის ასაკში მიღებული პენსიის დონიდან. საერთოდ, საპენსიო ანაზღაურება ქვეყანაში ზრდის ტენდენციით

ხასიათდება. 2004 წ. თვეში იგი უდრიდა 13,3 ათას იენს, 2010 წელს – 15,1 ათასს, 2015 წელს კი – 15,6 ათას იენს [3].

საპენსიო ანაზღაურება ცალკეულ სქემებს შორის განსხვავებულია გამომდინარე იქედან, თუ როგორია დაზღვეულთა პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობა და ცალკეულ სქემებს შორის მათი მოძრაობის ხარისხი. შედარებით მაღალი საპენსიო დონით გამოირჩევა სისტემის მესამე რგოლი, რამდენადაც აქ დაზღვეულთა შორის ჭარბობს უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობა, რომელთა ხელფასის საშუალო დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე საშუალოდ მთელ ქვეყანაში. შენატანები აქაც თანაბარწილად გადაიხდება მომუშავეთა და დამქირავებელთა მიერ, თუმცა შენატანების ზომა უფრო მცირეა სხვა სქემებთან (რგოლებთან) შედარებით. ასე მაგალითად, შენატანებმა საშუალოდ შეადგინა: ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეთათვის შემოსავლების 16,57%, ხოლო კერძო სკოლებისა და უნივერსიტეტების მოსამსახურეთათვის – 13,65%. პენსიების საშუალო ზომამ კი შეადგინა, შესაბამისად, 210-219 ათასი იენი და 207 ათასი იენი. პენსიები აქაც ასევე გადაიხდება 65 წლის ასაკიდან.

რაც შეეხება საპენსიო შენატანებისა და პენსიების მიმღებთა თანაფარდობას, იგი ცალკეული ასოციაციების მიხედვით განსხვავებულია. ამ მხრივ ყველაზე ცუდ მდგომარეობაშია ცენტრალური სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომელთა ურთიერთდახმარების ასოციაციისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების თანამშრომელთა ასოციაციის ფონდები, სადაც შესაბამისად ეს თანაფარდობის მაჩვენებლები შეადგენს 1,5:1 და 1,43:1. ამ მხრივ ყველაზე ხელსაყრელ მდგომარეობაშია კერძო სკოლებისა და უნივერსიტეტების თანამშრომელთა ურთიერთდახმარების ასოციაციის საპენსიო ფონდი, სადაც ხელმომწერთა რაოდენობა 4-ჯერ აღემატება პენსიების მიმღებთა რიცხვს.

ამჟამად, სახელმწიფო ცენტრალური ბიუჯეტის მეშვეობით აფინანსებს საბაზო პენსიების 1/3-ს და სამივე საპენსიო სქემის მთლიან ადმინისტრაციულ დანახარჯებს. საბაზო პენსიის სხვა დანახარჯები იფარება დაზღვეულთა შენატანების საფუძველზე. ქვეყნის მოსახლეობის სწრაფი დაბერება და ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპები განაპირობებს იმის აუცილებლობას, რომ საპენსიო სისტემის შეუფერხებელ ფუნქციონირებაზე დაიხარჯოს სულ უფრო მეტი სახელმწიფო სახსრები. ამჟამად, ყველაზე მეტ ფინანსურ სიმძნელებს განიცდის ეროვნული პენსიების სისტემა, სადაც საბაზო პენსიის მიმღებთა სწრაფ ზრდასთან ერთად, ფინანსურ პრობლემებს ამწვავებს ისეთი მოვლენა, როგორცაა შენატანების გადაუხდელობა. კანონი უფლებას აძლევს გარკვეული კატეგორიის მოქალაქეს ნაწილობრივ ან მთლიანად გათავისუფლდნენ შენატანების გადასახადისგან, მაგრამ საქმე ისაა, რომ მათი რაოდენობა საკმაოდ დიდია, რომელთა წილი ხშირად აღემატება მთლიანი ხელმომწერების რაოდენობის 17%-ს. პრობლემის მოსაგვარებლად მთავრობა ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს – ზრდის სამომხმარებლო გადასახადის განაკვეთებს (2014 წელს იგი 5%-დან 8%-მდე გაიზარდა), რომელიც ხმარდება საბაზო პენსიების სუბსიდირებას, თუმცა ამის საშუალებას ყოველთვის არ იძლევა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. გარდა ამისა, პრობლემის გადასაწყვეტად მთავრობა არცთუ იშვიათად ახდენს სადაზღვევო შენატანების ზრდასაც.

ქვეყნის საპენსიო სისტემის სიმძნელები მარტო ფინანსური პრობლემებით როდია განპირობებული. უზარმაზარი ორგანიზაციული სტრუქტურა, მოქალაქეთა სხვადასხვა კატეგორიების დაზღვევის განსხვავებული პირობები, პენსიების სიდიდის დიდი განსხვავება, დაზღვევის ერთი სისტემიდან მეორეში პენსიონერთა გადასვლასთან დაკავშირებული ახალი ანგარიშსწორების შექმნისა და სხვა პროცედურული სიმძნელები არა მხოლოდ ართულებს ამ პრობლემას, არამედ გარკვეულ უკმაყოფილებასაც იწვევს მოსახლეობაში.

ქვეყნის საპენსიო სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურის გამარტივების, საპენსიო დაზღვევისა და საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფის, მისი მართვის ოპტიმიზაციისა და ფინანსური პრობლემების სიმწვავის შერბილების მიზნით 2015 წლის ბოლოდან დაიწყო მასშტაბური საპენსიო რეფორმის განხორციელება. რეფორმის მთავარი იდეაა

სხვადასხვა საპენსიო სისტემების გაერთიანება, საპენსიო შენატანებისა და პენსიების სიდიდეთა შორის არსებული დიდი განსხვავების აღმოფხვრა, აგრეთვე, პროცედურული პრობლემების მოგვარება. საპენსიო სისტემისთვის უფრო მეტი სამართლიანობის მიცემის მიზნით ნავარაუდევია სახელმწიფო მოსამსახურეთა პრივილეგიების გაუქმება, საპენსიო რეფორმის დასრულება ნავარაუდევია 2027 წლისთვის.

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენს **სამედიცინო მომსახურება და დაზღვევა**. იაპონიის მთავრობა ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა მოსახლეობის ჯანდაცვის განვითარებასა და სრულყოფას, რაშიც ქვეყანას მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს. ამის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ იაპონიაში არის მსოფლიოში ყველაზე მაღალი სიცოცხლის ხანგრძლივობა – 83 წელი. ამასთან, იმ ადამიანთა თითქმის ნახევარი, რომელთაც მიაღწიეს 110 წელს, ცხოვრობს იაპონიაში.

იაპონური ჯანდაცვის სისტემის უპირატესობად უნდა ჩაითვალოს სამედიცინო მომსახურების სისწრაფის მაღალი დონე. ქვეყანაში ყოველ 100 ათას კაცზე მოდის 177 ექიმი და, რაც მთავარია, აქ არის სამედიცინო დაწესებულებების იდეალური ტექნიკური აღჭურვა და მათი საქმიანობის ორგანიზაციის მაღალი დონე. ყოველივე ამის შედეგია ის, რომ იაპონიაში ექიმის მიერ ავადმყოფის მიღების საშუალო დრო უდრის 6 წუთს, აშშ-ში კი იგი 20 წუთს უტოლდება.

ჯანდაცვის განვითარების დონე მისი ფინანსური სახრებით უზრუნველყოფითაც გამოიხატება. ქვეყანაში მოსახლეობის ჯანდაცვის ხარჯები შეადგენს მისი მშპ-ის 8,1%-ს. იაპონიაში ჯანდაცვის დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე აშშ-ში, სადაც ამ მიზნით იხარჯება თითქმის 2-ჯერ მეტი სახსრები. დანახარჯებში ასეთი დიდი განსხვავება განპირობებულია, პირველ ყოვლისა, იაპონიაში დაავადების პრევენციის მაღალი ორგანიზაციის საფუძველზე მისი თავიდან აცილებითა და აგრეთვე მკურნალობის ნაკლებაგრესიული მეთოდებით.

მიუხედავად იაპონიის ჯანდაცვის სფეროში მიღწეული წარმატებებისა, მას აქვს მწვავე დემოგრაფიული პრობლემები. ქვეყანაში სიკვდილიანობის დონე ჭარბობს შობადობის დონეს. თანაც ძალზე სწრაფად ხდება მოსახლეობის დაბერება. საპროგნოზო მონაცემებით, 2050 წელს იაპონიის მოსახლეობის 40% იქნება 65 წლოვანთა ზღურბლზე, რაც დიდ ტვირთად დააწვება ეროვნულ ჯანდაცვასა და ეკონომიკას, რამდენადაც მოხუცებულთა მკურნალობის ხარჯები 4-5-ჯერ მეტია, ახალგაზრდებთან შედარებით [5].

ქვეყნის ჯანდაცვის განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევას. იაპონიაში საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა შემოღებულ იქნა ჯერ კიდევ 1961 წელს, რომელიც მოიცავდა ორ სქემას. შემდგომში კი სამედიცინო დაზღვევის სისტემაში შეტანილმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა უფრო გააძლიერა მისი სოციალურად ორიენტირებული ხასიათი. 1973 წელს სადაზღვევო გადასახდელების ხარჯზე სამედიცინო მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების კომპენსაცია გაიზარდა 70%-მდე. 1983 წ. კი ძალაში შევიდა ხანდაზმულ მოქალაქეთა ჯანმრთელობისა და სამედიცინო მომსახურების შესახებ კანონი, რომლის მიხედვითაც ამ მიზნით გაწეული დანახარჯების დაფარვა დაეკისრა არა მხოლოდ ჯანმრთელობის ეროვნულ სისტემას (სადაც დაზღვეულია მოქალაქე), არამედ მასთან ერთად იმ სისტემას, სადაც დაზღვეულნი არიან სახელმწიფო და კერძო საწარმოთა მოსამსახურეები. მაგრამ ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1997 წ. ხანგრძლივი მოვლა-პარტონობის დაზღვევის შესახებ კანონის მიღება, რომლითაც სათავე დაედო ქვეყანაში ხანდაზმულთა ხანგრძლივი მოვლა-პარტონობის სისტემის ფორმირებას.

ამჟამად, სამედიცინო დაზღვევის სისტემა შედგება 3 რგოლისგან:

1. **დაზღვევა საშუალო ადგილისა და პროფესიის მიხედვით**. იგი მოიცავს დაზღვევის საზოგადოებრივი სისტემის მეშვეობით იმ კომპანიების თანამშრომლებს, სადაც მუშაობს 5 კაცზე მეტი; წვრილ საწარმოთა მუშაკებს (ჯანმრთელობის დაცვის იაპონური ასოციაციის მეშვეობით); სახელმწიფო მოხელეებს, კერძო სკოლებისა და უნივერსიტეტების თანამშრომლებს, მეზღვაურებს და სხვ.

2. სხვადასხვა კატეგორიის მუშაკთა ეროვნული დაზღვევის სისტემაში შედიან თვითდასაქმებულები, ფერმერები, მეთევზეები და მეტყვეები, უმუშევრები, პენსიონრები, აგრეთვე, 75 წელზე ნაკლები ასაკის მქონე პირები, რომლებიც არ არიან დაზღვევის სხვა სქემაში გაერთიანებულები.

### 3. 75 წელზე მეტი ასაკის პირთა დაზღვევა.

სადაზღვევო შენატანებისა და მათი შეგროვების განსაზღვრის მეთოდები დაზღვევის სისტემების მიხედვით განსხვავებულია. სამუშაო ადგილისა და პროფესიული დაზღვევის დროს (I სქემა) შენატანები გაიანგარიშება ხელფასებიდან, რომელთა განაკვეთები მერყეობს 3-დან 12%-მდე, შემოსავლების დონეზე დამოკიდებულებით. დაზღვევის ეროვნული სისტემის (II სქემა) დროს შენატანები პირდაპირ გადაირიცხება ხელმომწერთა მუნიციპალიტეტებში და შედგება ორი ნაწილისგან: პირველი ერთნაირია ყველა საოჯახო მეურნეობისთვის, მეორე მუნიციპალიტეტების მიერაა გაანგარიშებული და ითვალისწინებს მათი შემოსავლებისა და აქტივების მოცულობას. რაც შეეხება ხანდაზმულთა შენატანებს (III სქემა) ისინი ამოიღება მუნიციპალიტეტების მიერ [3].

სადაზღვევო შენატანებისა და სადაზღვევო გასაცემლების თვალსაზრისით, შედარებით ხელსაყრელია სადაზღვევო სისტემის I სქემა, რამდენადაც აქ ჭარბობს ახალგაზრდა და საშუალო ასაკის დაზღვეულები, რომელთა მოთხოვნა სამედიცინო მომსახურებაზე, შედარებით მცირეა. უფრო ცუდი მდგომარეობაა დაზღვევის ეროვნულ სისტემაში, სადაც დაზღვეულია ხანდაზმულთა უმეტესობა, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ სამედიცინო მომსახურებას. ამასთან, აქ დიდია დაბალშემოსავლიანი მოქალაქეების რაოდენობა, მ.შ. მათი, ვინც მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლებულია სადაზღვევო შენატანებისგან. თუმცა გასაგები მიზეზების გამო ამ მხრივ ყველაზე რთული მდგომარეობაა 75 წელს გადაცილებულ მოქალაქეთა დაზღვევის (III სქემა) პირობებში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გრძელვადიანი მოვლა-პატრონობის დაზღვევის სისტემა, რომელიც იაპონიაში 2000 წლიდან მოქმედებს. იგი ფინანსდება რამდენიმე წყაროს მეშვეობით, რომლის 40% იფარება სადაზღვევო შენატანებით, მას იხდის ყველა 40 წელს მიღწეული მოქალაქე ხელფასის 1,5%-ის ოდენობით, მ.შ. პენსიონრებიც. მომსახურების ღირებულების 10%-ს იხდიან პაციენტები, დანარჩენს კი – ცენტრალური ხელისუფლება (25%) და ადგილობრივი ორგანოები (12,5%). 75 წელს გადაცილებული მძიმე სნეულებით დაავადებული და საწოლს მიჯაჭვული ავადმყოფები, აგრეთვე, 65-დან 75 წლამდე მძიმე განუკურნებელი სენით დაავადებულები მომსახურებას ღებულობენ თავიანთ სახლებში, ხანგრძლივი მომსახურების ადგილებსა და სპეციალურ კლინიკებში.

როგორც ვხედავთ იაპონიას აქვს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაზღვევის საკმაოდ მაღალი დონე, რომლის მთავარი ღირებულებებია შემდეგი:

1. ეს სისტემა გარანტიას აძლევს ნებისმიერ მოქალაქეს, მიუხედავად საცხოვრებელი ადგილის, პროფესიისა და სოციალური მდგომარეობისა, მიიღოს სამედიცინო მომსახურება ქვეყნის ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში და თვითონ შეარჩიოს სამედიცინო მომსახურებისთვის სასურველი სამედიცინო პერსონალი;

2. იგი განსაზღვრავს სადაზღვევო გადასახდელების ერთნაირ წილს დაზღვევის ყველა სქემისთვის (70%) მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფარვაში 75 წელს მიღწეულ პირთა გამოკლებით, რომლებიც იხდიან მომსახურების ღირებულების 10%-ს, აგრეთვე, დაბალშემოსავლიან პირთა გარდა, რომელთათვისაც დაწესებულია სხვადასხვა სახის შეღავათები;

3. ქვეყნის ყველა საავადმყოფოსა და კლინიკისთვის დადგენილია ერთნაირი ფასები სამედიცინო მომსახურებაზე, რომელსაც განსაზღვრავს და პერიოდულად აკორექტირებს ჯანდაცვის, შრომისა და კეთილდღეობის სამინისტრო, სოციალური დაზღვევის საბჭოს რეკომენდაციების შესაბამისად;

4. ეს სისტემა დაფუძნებულია თაობათა სოლიდარობის პრინციპებზე, როცა მომუშავე ახალგაზრდა თაობა ფარავს ხანდაზმული ასაკის პირთა სამედიცინო მომსახურების ხარჯებს.

ამასთან, ყოველმხრივ მაღალგანვითარებულ იაპონურ სოციალური უზრუნველყოფის სისტემას აქვს სერიოზული სირთულეები და გამოწვევები, რომელთაგან მთავარია მოსახლეობის სწრაფი დაბერება. ექსპერტ-სპეციალისტების პროგნოზით „ვერცხლის სუნამი“ /ასე უწოდებენ იაპონიაში ხანდაზმული მოსახლეობის რაოდენობის ზრდის პროცესს/ გაგრძელდება 2043 წლამდე, როცა ხანდაზმულთა რაოდენობა მიაღწევს 38,9 ათას კაცს. შემდგომში იგი დაიწყებს კლებას, მაგრამ ქვეყანაში მოსახლეობის დაბერების პროცესი გაგრძელდება. სათანადო გათვლებით დასტურდება, რომ ხანდაზმულთა წილი მოსახლეობის სტრუქტურაში იქნება 2025 წ. – 29.6%, 2055 წ. – 39.4% და 2060 წ. - თითქმის 40%. ამასთან, თუ 2015 წ. 1 ხანდაზმულზე მოდიოდა 2.3 შრომისუნარიანი პირი, 2060 წლისთვის უკვე 1 ხანდაზმულს შეინახავს 1,3 შრომისუნარიანი ადამიანი [3].

საერთოდ კი, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ იაპონიას აქვს სერიოზული მიღწევები (გამოწვევებთან ერთად) სოციალური უსაფრთხოების სფეროში, რომელთა გაზიარება დიდად წაადგება როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი სამყაროს ქვეყნებს, მ.შ. საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი დონის მიღწევაში.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. Лобанова В. В., Симоненко О. А. – Национальная безопасность Японии и разногласия в Японо-Американских отношениях. [http://pnu.edu.ru/meida/ejournal/articles-2016/TGU\\_7\\_53.pdf](http://pnu.edu.ru/meida/ejournal/articles-2016/TGU_7_53.pdf)
2. Миямото Таро – Специальная политика и занятость XXI века <https://www.nippon.com/ru/in-depth/a04203/>
3. Лебедева И. П. – Система социального обеспечения Японии: достижения и проблемы <https://cyberleninka.ru/article/n/sistema-socialnogo-obespecheniya-yaponii-dostizheniya-i-problemy>.
4. Пушкарева Л. В. – Экономическая безопасность, учебник, М, 2018 [https://sziu-lib.ranepa.ru/new\\_book/Html\\_01.19/pushkareva/pushkareva.html](https://sziu-lib.ranepa.ru/new_book/Html_01.19/pushkareva/pushkareva.html)
5. Тимонина И Л – Уровень социально-экономического развития Японии и новый вектор экономической стратегии - <https://cyberleninka.ru/article/n/uroven-sotsialno-ekonomicheskogo-razvitiya-yaponii-v-mezhdunarodnyh-sravneniyah-i-novyy-vektor-ekonomicheskoy-strategii>
6. Бедность в Японии – невеселый прогресс <https://www.nippon.com/ru/features/h00072/>
7. ВВП стран мира: доля стран в мировом ВВП <https://fingeny.com/vvp-stran-mira-dolya-stran-v-mirovom-vvp/>
8. Внешняя торговля Японии [https://studwood.net/1453201/ekonomika/vneshnyaya\\_torgovlya\\_yaponii](https://studwood.net/1453201/ekonomika/vneshnyaya_torgovlya_yaponii)
9. Как Япония избежала массовой безработницы в пандемию Коронавируса <https://www.nippon.com/ru/in-depth/a07603/>
10. Уровень бедности в Японии <https://take-profit.org/statistics/unemployment-rate/japan/>
11. Экономика Японии [https://ru.wikipedia.org/wiki/ Экономика\\_Японии](https://ru.wikipedia.org/wiki/Экономика_Японии)

*Revaz Javakhishvili*

#### JAPAN'S SOCIAL SECURITY EXPERIENCE

##### Abstract

Despite the recent fluctuations and difficulties in the Japanese economy, it has still maintained high levels of well-being, in which the social insurance system of the population, which consists of three main links, plays an important role: pension provision; Medical insurance; Material support of certain categories of citizens (elderly, disabled, single mothers, low-income families with small children, people suffering from severe senility, etc.). Sources of financing of individual links of social security, features of their formation and functioning, advantages and disadvantages are analyzed in the paper. Sharing the Japanese experience in the field of social security will be of great help to both developed and developing countries, including in achieving a high level of social security of the population of Georgia and social security of the country.

**ეკონომიკური თეორიისა და  
ბიზნესის პრობლემათა კვლევის სექცია  
SECTOR OF ECONOMIC THEORY AND  
BUSINESS PROBLEMS RESEARCH**

*მურმან ბლიაძე  
ნოდარ ბლიაძე  
ლიზი ჭელიძე*

**ციფრული ეკონომიკის განვითარება საქართველოში**

*ანოტაცია. ცნობილია რომ XXI საუკუნეში თანამედროვე ტექნოლოგიები თითქმის ყველა სფეროში იმკვიდრებს თავს. ციფრული ტექნოლოგიები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ადამიანური შესაძლებლობების პოტენციალის ზრდას. ციფრული ტექნოლოგიების დამკვიდრება მსოფლიოში უსწრაფესი ტემპებით ძირითადად მიმდინარეობს განვითარებულ ქვეყნებში. სტატიაში წარმოდგენილია მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციები, რომლებიც უკავშირდება თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას: რა გავლენას ახდენს თანამედროვე ტექნოლოგიები და ინოვაციები ციფრული ეკონომიკის განვითარებაზე და როგორ პასუხობს ციფრული ეკონომიკა მსოფლიოში არსებულ ეკონომიკურ გამოწვევებს; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზებულია საქართველოში გადადგმული ნაბიჯები ციფრული ეკონომიკის განვითარების მიმართულებით, რომელიც ქვეყნის ყველაზე სწრაფ, ეფექტიან გზას წარმოადგენს და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროცესია. თუ რამდენად გაჰყვება საქართველო თანამედროვე ეკონომიკურ ტენდენციებს, ამაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ქვეყნის განვითარება და მომავალი. ასევე ეს პროცესი დამოკიდებულია თანამედროვე ციფრული მეწარმეობისა და ეკონომიკური ტენდენციების განვითარებაზე, ამიტომ ამ საკითხების მოგვარებისთვის ევროკომისიამ 5 ძირითადი მიმართულება გამოყო:*

- 1. ციფრული განათლებისა და ცოდნის საბაზო სისტემების არსებობა;*
- 2. ციფრული ბიზნესგარემოს სტიმულირება და მხარდაჭერა;*
- 3. გამარტივებული წვდომა ფინანსებთან;*
- 4. ციფრული უნარებისა და ნიჭის მხარდაჭერა;*
- 5. ციფრული სამეწარმეო კულტურის გაძლიერება.*

*ამ მიმართულებების გატარება სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს, რაც ჩვენი შეხედულებით მკვეთრად გააუმჯობესებს საქართველოს თანამედროვე მდგომარეობას.*

*საკვანძო სიტყვები: ციფრული ეკონომიკა, ციფრული ტექნოლოგია, ციფრული ინოვაცია.*

XXI საუკუნე მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარების და ინოვაციების ეპოქაა და იგი მსოფლიო ახალი ტექნოლოგიური რევოლუციის ზღვარზე დგას. თანამედროვე ტექნოლოგიები თითქმის ყველა სფეროში იმკვიდრებს თავს, განვითარების ახალ საფეხურზე გადადის და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადამიანის შესაძლებლობების პოტენციალის ზრდას. ციფრული ტექნოლოგია და ციფრული ეკონომიკა მთელ მსოფლიოში უსწრაფესი ტემპით ვითარდება.

დღეისათვის მთელი მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ყველაზე აქტუალური და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხია სამუშაო ადგილების შექმნა, საწარმოო ხარჯების შემცირება, ეკონომიკური ზრდის ტემპის შენარჩუნება. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა ეფუძნება ციფრულ ტექნოლოგიებს, რომელიც იმდენად ჩაერთო ეკონომიკის მართვაში რომ გაჩნდა ცალკე ტერმინი – ციფრული ეკონომიკა.

ციფრული ეკონომიკა ეს არის მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის ახალი ეპოქა, „რომელიც ხელოვნური ინტელექტის, ციფრული ტექნოლოგიებისა და სხვა ტექნოლოგიების დანერგვით და გამოყენებით მსოფლიო მიმართულებას დაჩქარებული ტემპით შეცვლიდა. კარგი

იქნებოდა საქართველოშიც სწორედ ამ მიმართულებით გაძლიერებულიყო მუშაობა სხვადასხვა სფეროში, რადგანაც ცნობილია რომ ქართული ციფრული ეკონომიკა ჯერ კიდევ ტრანსფორმაციულ ცვლილებებს განიცდის. რეალურად რომ ვთქვათ ბიზნესში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა დაბალი ტემპით მიმდინარეობს, რაც თავის მხრივ ხელს უშლის ბიზნესში დოვლათის შექმნის პროცესს. საერთოდ ციფრული ეკონომიკა არ უნდა განვიხილოთ ვიწრო მიმართულებით, იგი უნდა განვიხილოთ როგორც ციფრული ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტისა და ტექნოლოგიური მიმართულებების ერთიანი სისტემა.

**მსოფლიო ბანკის განმარტებით, ზოგადად ციფრული ეკონომიკა – ეს არის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ურთიერთობების სისტემა, რომელიც ეფუძნება ციფრული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას.** სწრაფად გავრცელებადი ციფრული ტექნოლოგიები გარდაქმნის ეკონომიკური და სოციალური საქმიანობის მრავალ სახეს. ელექტრონული კომერციის, კომპიუტერიზებული მართვისა და ციფრული ინფრასტრუქტურის ზრდა მთელ მსოფლიოში საკმაოდ მაღალი ტემპებით მიმდინარეობს, იგი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მასტიმულირებელი ფაქტორია. ახალი ტექნოლოგიების განვითარებას დროის უმცირეს შუალედში შეუძლია ეკონომიკური ზრდის ტემპის ამაღლება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. ამიტომაც რომ დღეისათვის ახალი ტექნოლოგიური ინოვაციები პასუხობს თანამედროვე მსოფლიოში არსებულ ეკონომიკურ გამოწვევებს. ციფრული რევოლუციას მსოფლიოში მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციას უწოდებენ, ეს კი გამოიწვია რამდენიმე ახალი ტექნოლოგიების საფუძველზე კიბერ-ფიზიკური სისტემების შექმნამ. ტექნოლოგიური მიმართულების განვითარება პირდაპირ კავშირში არის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონესთან. სწორედ ამიტომ ციფრული ეკონომიკა ყველაზე სწრაფი ტემპით მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ვითარდება. ციფრული ეკონომიკის განვითარება მოითხოვს განსაკუთრებულ ფინანსურ ხარჯებს, რომლის გაღება მაღალგანვითარებულ ქვეყნებს ადვილად შეუძლია. მსოფლიოში ტექნოლოგიური პროცესების განვითარების მიმართულებით რამდენიმე ქვეყანა ლიდერობს: ამერიკა, იაპონია, გერმანია და ჩინეთი. ამ მიმართულებით საქართველოს განვითარება და მომავალი დამოკიდებულია თანამედროვე ციფრული მეწარმეობისა და ეკონომიკური ტენდენციების განვითარებაზე. ამიტომ ამ საკითხების მოგვარებისთვის ევროკომისიამ 5 ძირითადი მიმართულება გამოყო:

1. ციფრული განათლებისა და ცოდნის საბაზო სისტემების არსებობა;
2. ციფრული ბიზნესგარემოს სტიმულირება და მხარდაჭერა;
3. გამარტივებული წვდომა ფინანსებთან;
4. ციფრული უნარებისა და ნიჭის მხარდაჭერა;
5. ციფრული სამეწარმეო კულტურის გაძლიერება.

ამ მიმართულებების გატარება სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს. საქართველოში არსებული გარკვეული ტექნოლოგიური თუ ადამიანური ბარიერი მნიშვნელოვნად აფერხებს ციფრული ეკონომიკის დანერგვას. მსოფლიოს თანამედროვე გამოცდილებას თუ დავეყრდნობით, ციფრული ეკონომიკის განვითარება ქვეყნისათვის ყველაზე სწრაფ და ეფექტიან გზას წარმოადგენს. საქართველოში ევროკომისიის მიერ მოცემული კითხვარების თანმიმდევრულად გატარების შემთხვევაში შესაძლებელია მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებლების თანდათანობით გაზრდა. განვითარებულ ქვეყნებში ციფრული ეკონომიკის ზრდის ყოველწლიური საშუალო მაჩვენებელი 10%-ს აღწევს, განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში კი – საშუალოდ 20%-ს. საქართველოში ამ მიმართულების გასაუმჯობესებლად აუცილებელია სერიოზული ინვესტიციის განხორციელება, კერძოდ, პერსონალის გადამზადება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა. ჩვენს ქვეყანაში ციფრული ეკონომიკის განვითარებისათვის საჭიროა მყარი ნაბიჯების გადადგმა. დღეისათვის საქართველოში არსებობს რამდენიმე კომპანია, რომელიც ციფრული ტექნოლოგიებით სარგებლობს, იქმნება სხვადასხვა ინოვაციური პროდუქტი და სტარტაპი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ქვეყანაში არსებული



საწარმოები ფართო მასშტაბით იყენებენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. საქართველოში ინტერნეტთან წვდომის მაჩვენებელი საწარმოებში დღეისათვის შეადგენს 99,2%-ს, ხოლო ვებგვერდის გამოყენების მაჩვენებელი – 75,8%-ს. შესაბამისად 2018 წელს ინტერნეტმომხმარებელი იყო 654,8 ათასი აბონენტი, ხოლო 2021 წელს ამ ციფრმა შეადგინა 891,5 ათასი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მოსახლეობაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს როგორც საჯარო, ისე კერძო სტრუქტურებში. მსოფლიოში დღეისათვის ციფრულ ეკონომიკაში დასაქმებულია დაახლოებით 350 მილიონი ადამიანი, ევროპის მასშტაბით 2023 წლის დასაწყისისათვის ციფრული ეკონომიკის მიმართულებით დამატებით კიდევ 7,5 მილიონი ადამიანი იმუშავებს. მის სწრაფ განვითარებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინფორმაციის დაცულობის საკითხს, ამასთან ძალზე მნიშვნელოვანია ყოველგვარი მონაცემების შენახვის საკითხი. კერძოდ: პერსონალური ინფორმაციის დაცულობა, კიბერშეტევები და სხვა სახის რისკები, რომელთა განხილვას და გაანალიზებას ალბათ ცალკე შრომა მიეძღვნება.

აღნიშნული მაჩვენებლები გვეუბნება, რომ სახელმწიფომ კიდევ უფრო მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესოს ციფრული განათლებისა და ცოდნის საბაზო სისტემების დანერგვა, რაც უნდა გამოიხატოს ციფრული ბიზნესგარემოს სტიმულირებით, მოსახლეობაში ციფრული უნარების გაფართოებით, რომელიც საჭიროა და აუცილებელია ციფრული სამეწარმეო კულტურის გასაძლიერებლად. დღეისათვის საქართველოში არსებული სხვადასხვა ტექნოლოგიური თუ ადამიანური ბარიერები მნიშვნელოვნად აფერხებენ ციფრული ეკონომიკის დაინერგვის შესაძლებლობებს, ამიტომ აუცილებელია, რომ ციფრული ტექნოლოგიები დაინერგოს ყველა შესაძლო სექტორში. ეკონომიკური ზრდა საქართველოში სხვაგვარად შეუძლებელი გახდება. ამ მიმართულებით არსებული დაბრკოლებებია ციფრული სამეწარმეო კულტურისა და სხვა რეგულაციების არ არსებობა, რომელთა აღმოფხვრა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს აქტიური მოქმედებით.

### დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია შევაჯამოთ და აღვნიშნოთ, რომ სტატიაში წარმოდგენილია მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციები, რომლებიც უკავშირდება თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას: რა გავლენას ახდენს თანამედროვე ტექნოლოგიები და ინოვაციები ციფრული ეკონომიკის განვითარებაზე და როგორ პასუხობს ციფრული ეკონომიკა მსოფლიოში არსებულ ეკონომიკურ გამოწვევებს; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზებულია საქართველოში გადადგმული ნაბიჯები ციფრული ეკონომიკის განვითარების მიმართულებით. ციფრული ეკონომიკის განვითარება ქვეყნის ყველაზე სწრაფ და ეფექტიან გზას წარმოადგენს და საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროცესია. თუ რამდენად გაჰყვება საქართველო თანამედროვე ეკონომიკურ ტენდენციებს, ამაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ქვეყნის განვითარება და მომავალი.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. ბლიაძე, ციფრული ეკონომიკა, სახელმძღვანელო, თბ. 2022.
2. მ. ბლიაძე, ხელოვნური ინტელექტი, სახელმძღვანელო, თბ. 2023.
3. ენუქიძე ნ., ბატიაშვილი მ., ციფრული ეკონომიკა – კრიზისიდან გამოსვლის ინოვაციური გზა, ჟურნალი ფორბეს. Georgia <http://forbes.ge/news/1007/cifruli-ekonomika%3A-krizisidan-gamosvlisinovaciuri-gza>
4. აბულაძე რ., ციფრული ეკონომიკა სიღარიბისა და უთანასწორობის წინააღმდეგ, 2019.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021-2022 წლის მონაცემები.

## **DEVELOPMENT OF DIGITAL ECONOMY IN GEORGIA**

### **Absract**

It is known that in the 21st century, modern technologies are establishing themselves in almost all fields. Digital technologies significantly improve the growth of the potential of human capabilities. The establishment of digital technologies is taking place at the fastest pace in the world, mainly in developed countries. The article presents the current trends in the world related to the development of modern technologies: what influence do modern technologies and innovations have on the development of the digital economy and how does the digital economy respond to the economic challenges in the world; Based on the data of the National Statistical Service of Georgia, the steps taken in Georgia in the direction of the development of the digital economy have been analyzed. The development of the digital economy is the fastest and most effective way for the country. Development of digital economy is a vitally important process for Georgia. To what extent Georgia follows modern economic trends, the country's development and future largely depends on it. Georgia's development and future depends on the development of modern digital entrepreneurship and economic trends. Therefore, the European Commission identified 5 main directions for solving these issues:

1. Existence of basic systems of digital education and knowledge.
2. Stimulation and support of the digital business environment.
3. Simplified access to finance.
4. Supporting digital skills and talents.
5. Strengthening the digital entrepreneurial culture.

Pursuing these directions requires the implementation of important measures by the state, which, in our opinion, will significantly improve the modern state of Georgia.

*Теймураз Гогохия  
Майя Чинчараули*

## **О МОДЕЛЯХ МАРКЕТИНГОВЫХ СТРАТЕГИЙ ФИРМ**

**Аннотация.** В статье определены различия в понимании таких терминов, как «стратегический маркетинг» и «маркетинговая стратегия».

Рассмотрены некоторые, широко распространенные (как в соответствующей литературе, так и в практической деятельности) модели маркетинговых стратегий фирм, их характеристики, особенности и различия.

Приведена классификация моделей маркетинговых стратегий на основе определенных признаков и свойств, а также примеры успешных компаний, применяющих соответствующие маркетинговые стратегии для достижения своих целей.

**Ключевые слова:** *маркетинг, стратегия, фирма*

Повышение конкурентоспособности фирм является важным стимулом развития и может быть достигнуто только в здоровой и справедливой конкурентной среде. Наряду с этим следует отметить, что происходящая глобализация в современном мире породила новые формы и направления конкурентной борьбы. Обострилась конкуренция между экономическими субъектами всех уровней, а достижение конкурентных преимуществ в удовлетворении потребностей клиентов стало решающим фактором успеха.

Предприятиям в конкурентной борьбе приходится прилагать усилия к тому, чтобы превзойти своих конкурентов и завоевать, удержать и увеличить число клиентов, покупателей их продукции и услуг.

\* \* \*

Общеизвестно, что маркетинговая стратегия претендует на то, чтобы дать ответ на следующий вопрос: как распознать и достичь устойчивого конкурентного преимущества. Будучи в соответствующем поиске, маркетинговая стратегия должна была учитывать постоянную диалектику между анализом и действием или, в более общих управленческих терминах, между разработкой (формулированием) стратегии и ее осуществлением (реализацией, претворением в жизнь). В то же время маркетинговой стратегии также приходится решать более фундаментальный вопрос: насколько, по крайней мере

ре, с точки зрения спроса или рынка, будет возможным когда-либо разработать общие правила для достижения устойчивых конкурентных преимуществ [Wensley, R., 2007].

Когда компания хорошо понимает своих клиентов и рынок, она должна решить, каких клиентов она будет обслуживать и как будет создавать для них ценность. Маркетинговое управление (менеджмент) — это наука и искусство установления и поддержания выгодных отношений с целевыми рынками для достижения целей организации.

Общеизвестно, что для разработки прибыльной маркетинговой стратегии, менеджер по маркетингу должен ответить на два важных, стратегически значимых для компании вопроса:

1. Какого покупателя нам следует обслуживать? Каков наш целевой рынок? (здесь покупателей делят на сегменты (сегментация рынка) и выбирают, какому сегменту предложить соответствующий товар (выбор целевой аудитории));

2. Как мы можем лучше всего обслуживать этих покупателей? Какова наша декларация ценностей? (дифференциация и позиционирование – здесь предложением ценностей происходит фиксация и тем самым различение предложенного бренда от других существующих на рынке брендов; при этом предложенная вашей компанией ценность должна ответить на вопрос: «Почему вы, а не ваш конкурент?») [Kotler P. and G. Armstrong, 2008].

Исследователи маркетинга признают, что в соответствующей маркетинговой литературе существует некоторая путаница в понимании таких терминов, как «стратегический маркетинг» и «маркетинговая стратегия».

Следует отметить, что как в научной, так и научно-популярной литературе по стратегическому менеджменту известна иерархическая пирамида разработки и реализации стратегии в компаниях, включающая три уровня: 1. Корпоративный уровень; 2. Уровень бизнес-единицы и 3. Операционный (или функциональный) уровень.

Согласно мнению Ф.Вебстера-младшего [Webster Jr., F.E., 1992], маркетинг действует на всех уровнях вышеупомянутой иерархической пирамиды.

1. Стратегический маркетинг на корпоративном уровне включает в себя:

- анализ структуры рынка;
- концентрация внимания на клиентах;
- Позиционирование фирмы на рынке.

На корпоративном уровне стратегический маркетинг помогает решить такие задачи, как определение всех направлений деятельности компании. Здесь определяются миссия фирмы, сфера деятельности, формы и структура реализации миссии.

2. Стратегический маркетинг на уровне бизнес-единицы включает в себя:

- сегментация рынка и таргетирование;
- Позиционирование товаров;
- Выбор подходящих партнеров.

На уровне бизнес-единицы стратегический маркетинг помогает решать такие задачи, как достижение и поддержание конкурентоспособности в сфере выбранной сферы деятельности.

3. Стратегический маркетинг на оперативном уровне включает в себя:

- маркетинговый комплекс (marketing-mix);
- Управление отношениями с клиентами и посредниками.

На оперативном уровне стратегический маркетинг продвигает так называемые Для решения задач, связанных с «4P»: а. Проблемы, связанные с дизайном и упаковкой продукта (Product); б. Проблемы, связанные с распространением (размещением и размещением) товаров и услуг (Placement); в. Проблемы, связанные с продвижением на рынке, со стимулированием (Promotion); г. Проблемы, связанные с ценообразованием (Price). Часто маркетинговую деятельность на оперативном уровне называют маркетинговой стратегией [Webster Jr., F.E., 1992].

Следует подчеркнуть, что маркетинговая стратегия, конечно, во многом пересекается с бизнес-стратегией. То есть стратегические решения в области продукта, продвижения, распределения, ценообразования и продаж, хотя и значительно развиты в маркетинге, часто являются темами бизнес-стратегии. Этими стратегиями являются сегментация рынка, рыночная ориентация, маркетинг отношений и капитал бренда [Hunt, Shelby D., 2015].

По мнению Ш. Ханта чтобы достичь конкурентного преимущества и, следовательно, превосходных финансовых показателей, компании должны: . .

1. для стратегии сегментации рынка: определить сегменты отраслевого спроса, ориентироваться на конкретные сегменты спроса, разработать конкретные комбинации маркетинговых программ для каждого целевого сегмента рынка;

2. для стратегии рыночной ориентации: систематически собирать информацию о нынешних и потенциальных клиентах и конкурентах и скоординировано использовать такую информацию для определения, понимания, создания, выбора, реализации и модификации стратегии;

3. для стратегии маркетинга взаимоотношений: выявлять, развивать и развивать портфель отношений, повышающий эффективность и результативность;

4. для стратегии капитала бренда: приобретать, развивать, развивать и использовать повышающий эффективность портфель брендов с высоким капиталом [Hunt, Shelby D., 2015]

Как в научной литературе, так и в практической деятельности компаний используются разные модели конкурентных маркетинговых стратегий. Следует выделить широко распространенную в соответствующей литературе классификацию моделей маркетинговых стратегий на основе 6 ключевых признаков:

1) фокус (focus) модели (напр., специфические компоненты маркетингового комплекса, интегрированные маркетинговые программы, бизнес стратегия, корпоративная стратегия и др.);

2) географические и индустриальные рамки, масштабы (scopus) модели;

3) цель (objective) модели;

4) входы (inputs) модели (напр., внешние и внутренние данные и т.д.);

5) тип (type) модели (напр., описательная и прогностическая модели, статическая и динамическая модели и т.п.);

6) выходы (outputs) модели (напр., польза, качество в краткосрочной или долгосрочной перспективе, увеличение скорости принятия решений и т.п. [Wind Y., Lilien G.L., 1993].

Здесь мы приведем несколько широко распространенных примеров общих моделей маркетинговых стратегий.

**Модель И. Ансоффа**, известная как матрица расширения продукта/рынка. Согласно этой модели, стратегии определяются с точки зрения расширения продукта и рынка (расширения), то есть выбор стратегии зависит от степени, в которой компания разрабатывает новые продукты и новые рынки по отношению к существующему продукту и существующему рынку. Соответственно, компания может выбирать стратегию своего развития среди ее следующих видов:

- Стратегия проникновения на рынок (когда компания выходит на существующий рынок с существующим продуктом);

- Стратегия развития рынка (когда компания выводит существующий продукт на новый рынок);

- Стратегия развития продукта (когда компания выводит новый продукт на существующий рынок);

- Стратегия диверсификации (когда компания выводит новый продукт на новый рынок) [Ансофф И., 1999].

**Модель М. Портера**, согласно которой выделяют три типа конкурентных маркетинговых стратегий:

- Лидерство с низкими издержками (в этом случае компания старается поддерживать затраты на максимально низком, разумном уровне, что дает ей возможность быть представленной на рынке по более низким ценам, чем у конкурентов);

- Дифференциация (в этом случае компания пытается сконцентрироваться на создании дифференцированной продукции и, соответственно, маркетинговых программ, чтобы иметь возможность победить конкурентов в правильно выбранном узком сегменте продукции);

- Фокусирование, т.е. концентрация на определенном сегменте рынка (в этом случае компания ориентируется на обслуживание нескольких сегментов рынка, а не всего рынка) [Портер, М., 2005].

**Модель Р. Майлза и С. Сноу**, согласно которой классификация конкурентных маркетинговых стратегий основана на степени вовлеченности компаний в процесс изменений рынков и продуктов, что, в свою очередь, зависит от того, на чем фокусируется компания: на внутренних или внешних факторах компания. С этой точки зрения выделяют следующие стратегии:

- разведывательная стратегия (The Prospector);

- аналитическая стратегия (the Analyzer);

- оборонительная стратегия (the Defender);

- стратегия реагирования (the Reactor) [Miles, R.E. et al., 1978].

**Модель Дж. Траута и Э. Райса**, известная под именем т.н. стратегического квадрата, которую можно построить для любой отрасли. Квадрат состоит из 4 видов конкурентных маркетинговых стратегий:

1. стратегия оборонительной войны (для лидеров рынка);

2. стратегия наступательной войны (для ближайшего преследователя лидера рынка)
3. стратегия фланговой войны (для компаний среднего уровня отрасли);
4. стратегия партизанской войны (для мелких игроков, работающих в рыночной нише) [Траут, Дж., Райс Э., 2019].

**Модель М. Трейси и Ф. Вирсема**, согласно которой компания достигает успеха, если конкурентная маркетинговая стратегия ориентирована на определенное направление деятельности, каковым является:

- операционная эффективность;
- близость к клиенту;
- лидерство по продукту [Трейси, М., Вирсема, Ф., 2007].

**Модель Ф. Котлера**, согласно которой стратегия определяется непосредственным положением компании по отношению к другим компаниям, работающим в отрасли. Соответственно, различают лидеров рынка (компанию с наибольшей долей рынка), претендентов на рынок (компанию, которая борется за завоевание доли рынка в определенной отрасли), последователей рынка (компанию, которая хочет сохранить свою долю рынка в определенной отрасли). и компании, работающие в рыночных нишах (компания, которая работает на таком небольшом сегменте, который не интересен другим компаниям). Следует отметить, что каждый из них имеет свои собственные стратегии, такие как:

- стратегии лидеров рынка (общее расширение рынка: защита доли рынка, увеличение доли рынка);
- стратегии претендентов на рынке (полная лобовая атака; непрямая атака);
- стратегии следования за рынком (близкое следование; отдаленное следование);
- стратегии рыночной ниши (направленные на покупателя, рынок, качество, обслуживание; на множество ниш) [Kotler P. and G. Armstrong, 2008].

Наконец, хотелось бы упомянуть примеры конкретных компаний, приведенных Ф. Котлером в своей книге вопросов и ответов (6 типов компаний), добившихся успеха, используя соответствующие конкурентные маркетинговые стратегии:

1. IKEA, Southwest Airlines, Wal-Mart, Target, Home Depot, Dollar General и Aldi's - компании, которые используют инновационные подходы для снижения себестоимости и цен на свои товары и услуги;
2. Sony, Toyota, Intel и Starbucks - компании, обеспечивающие очень высокое качество продукции и обслуживания;
3. Body Shop, Ben & Jerry's, Avon и Kraft - компании, которые подчеркивают и демонстрируют свою социальную ответственность;
4. Harley-Davidson и Starbucks - компании, которые обогащают жизненный опыт и впечатления потребителей своими маркетинговыми предложениями;
5. Barnes & Noble, Charles Schwab и FedEx (Federal Express) компании, которые разрабатывают и используют новые бизнес-модели;
6. Progressive Insurance и Tetra - компании, занимающие доминирующее положение в определенных продуктовых нишах [Котлер Ф., 2006].

### Заключение

В условиях острой конкуренции, помимо того, что маркетинговые стратегии компаний должны быть ориентированы на изучение и удовлетворение потребностей и желаний потребителей, их фокус должен быть также направлен на получение конкурентного преимущества, то есть на предложение большей ценности, чем конкурентов для целевой потребительской аудитории.

Следует подчеркнуть, что не существует единой, универсальной стратегии, которая была бы полезна всем компаниям.

Конкретная стратегия зависит от ситуации и ситуации конкретной рыночной среды, конкретного позиционирования и целей компании, ресурсов и возможностей, находящихся в ее распоряжении.

Вполне возможно, что разные продукты или разные направления бизнеса внутри одной компании могут потребовать разной конкурентной маркетинговой стратегии.

### Использованная литература

1. Ансофф И. (1999). *Новая корпоративная стратегия*. (Серия «Теория и практика менеджмента»). СПб: Питер Ком.

2. Ким В. Чан; Моборн Рене. (2017). *Стратегия голубого океана. Как найти или создать рынок, свободный от других игроков*. Москва: Манн, Иванов и Фербер.
3. Котлер Ф. (2006). *300 ключевых вопросов маркетинга*. Москва, ЗАО „Олимп-Бизнес“.
4. Портер, Е. Майкл. (2005). *Конкурентная стратегия: Методика анализа отраслей и конкурентов*. Пер. с англ. М.: Альпина Бизнес Букс.
5. Траут, Дж., Райс Э. (2019). *Маркетинговые войны*. Спб., Изд-во Питер.
6. Трейси, М., Вирсема, Ф. (2007). *Маркетинг ведущих компаний. Выбери потребителя, определи фокус, доминируй на рынке*. Москва, Издательство «Вильямс».
7. Hunt, Shelby D. (2015). *Marketing Theory: Foundations, Controversy, Strategy and Resource-advantage Theory*. Routledge, Taylor & Francis, London and New York.
8. Kotler P. and G. Armstrong. (2008). *Marketing: An Introduction*, 9<sup>th</sup> Edition.
9. Miles, R.E., Snow Ch.C., Meyer A.D., Coleman-Jr. H.J., (1978). Organizational Strategy, Structure, and Process. // *The Academy of Management Review*, Vol. 3, No. 3 (Jul.), pp. 546-562.
10. Webster Jr., F.E. (1992). The Changing Role of Marketing in the Corporation. // *Journal of Marketing*, 56 (October), pp. 1-17.
11. Wensley, Robin. (2007). The Basics of Marketing Strategy. // In: Michael Baker (ed), *The Marketing Book*, Butterworth: Heinemann.
12. Wind Y., Lilien G.L. (1993) Marketing strategy models. // Article (Chapter 17) in *Handbooks in Operations Research and Management Science*, Vol. 5 – “Marketing”, Ed. by J. Eliashberg, G.L. Lilien, January.

**Teimuraz Gogokhia**  
**Maia Tchintcharauli**

## CONCERNING FIRMS' MARKETING STRATEGY MODELS

### Abstract

The article identifies differences in the understanding of terms such as “strategic marketing” and “marketing strategy”.

Some widely used (both in the relevant literature and in practical activities) models of marketing strategies of companies, their characteristics, features and differences are considered.

A classification of models of marketing strategies based on certain characteristics and properties is given, as well as examples of successful companies that apply appropriate marketing strategies to achieve their goals.

**Key words:** marketing, strategy, firm.

## ქეთევან კიჭმარიშვილი ტექნოლოგიური ინოვაციების როლი ეკონომიკაში

**ანოტაცია** XXI საუკუნე თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე წარმოუდგენელია. ეს არის დრო, როცა ჩვენი ცხოვრება უშუალო კავშირშია ციფრულ ტექნოლოგიასთან, სოციალურ ქსელებთან. დღევანდელ სამყაროში ნებისმიერი საქმიანობის სფერო – განათლება, ბიზნესი, თუნდაც ადამიანური ურთიერთობები, – ყველაფერი ტექნოლოგიებზე გადის. ტექნოლოგიებმა შეცვალა ადამიანის მსოფლმხედველობა. ისინი მოქმედებენ ჩვენს მეხსიერებაზე, ყურადღებაზე, დიდ ზეგავლენას ახდენენ როგორც ბავშვებზე, ასევე ნებისმიერი ასაკის ადამიანზე. რაც უფრო მეტად დაიწყო ტექნიკამ განვითარება და უფრო მეტი რამ გამოიგონა ადამიანმა, მით უფრო მეტად გართულდა მისი ცხოვრება და მით უფრო ნაკლები დრო აქვს მას. ერთი შეხედვით თანამედროვე ტექნოლოგიები ამარტივებენ ადამიანის საქმიანობას და ზოგავენ მის დროს. მაგრამ დღეს ადამიანი იმდენად არის მიჩვეული ეკრანთან მონოტონურ მუშაობას, რომ როგორც კი თავისუფალი დრო გამოუჩნდება და ამის შესაძლებლობა მიეცემა, ის ავტომატურად ახალ საქმეს წამოიწყებს. გარდა ამისა, მისი ცხოვრება სულ უფრო მეტ დანახარჯებს მოითხოვს და ამიტომ ისიც დამატებითი შემოსავლის წყაროს ეძებს. დღეს გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური ცოდნის სწრაფი გავრცელების გამო ფირმები იძულებული არიან მეტად დანერგონ ინოვაციები და გააფართოვონ ტექნოლოგიური შესაძლებლობები. ეს შეიძლება

განხორციელდეს ან კვლევა-განვითარებით, ან გარეგანი ტექნოლოგიური ცოდნა/გამოცდილების წვდომით.

**საკვანძო სიტყვები:** ინოვაციური პროცესი, ტექნოლოგიური პროცესი, ხელოვნური ინტელექტი, ინფორმაციული ტექნოლოგია, სოციალური ქსელი, ციფრული ტექნოლოგია.

**შესავალი.** ტექნოლოგია არის საწარმოო პროცესის, მათი განხორციელების ინსტრუქციების აღწერა, ტექნოლოგიური ნორმები, გრაფიკები, რუკები. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ტექნოლოგია არის საქმიანობა, რომლის შედეგადაც მიიღწევა დასახული მიზანი და ამის შემდეგ საქმიანობის ობიექტი იცვლება. სხვათა მოსაზრებით კი ეს არის რთული პროცესის დანაწევრების გზით რეალიზების ხერხი, რომლის დროსაც ცალკეული ელემენტები გაერთიანებულია ურთიერთდაკავშირებული პროცედურებისა და ოპერაციების სისტემაში. სოციალური პროცესების ორგანიზების საშუალებებისა და ხერხების შესახებ არსებული ცოდნის ერთობლიობით ან თვით ქმედებებით მიიღწევა დასახული მიზანი.

**ძირითადი ტექსტი.** ტექნოლოგიური პროგრესი არის პრიორიტეტი ყველა ქვეყნისთვის, რომლებსაც უნდათ ეკონომიკური განვითარება. კონკურენტუნარიანობასთან, მწარმოებლურობასთან და სამუშაო ადგილების შექმნასთან დაკავშირებული ინოვაცია მიჩნეულია საციცოცხლო ძალად ეკონომიკური ზრდისთვის (Romer, 1986). 1. ეს ძალა დამოკიდებულია იმ ცოდნის შექმნის, დაგროვებისა და გავრცელება/დანერგვის პროცესთან და ლოკალიზებულია ინოვაციური ფირმების კლასტერებში (ჯგუფებში), რომლებიც ზოგჯერ მჭიდროდ თანამშრომლობენ საჯარო ინსტიტუტებთან (კვლევითი ცენტრები და უნივერსიტეტები).<sup>27</sup> დღეს გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური ცოდნის სწრაფი გავრცელების გამო ფირმები იძულებული არიან, მეტად დანერგონ ინოვაციები და გააფართოვონ ტექნოლოგიური შესაძლებლობები. ეს შეიძლება განხორციელდეს ან კვლევა-განვითარებით, ან გარეგანი ტექნოლოგიური ცოდნა/გამოცდილების წვდომით. საერთო შეთანხმებებმა ხელი შეუწყო ცოდნის გაზიარებასა და ტრანსფერს იმ საწარმოებს შორის, რომლებიც ცნობილია როგორც მნიშვნელოვანი (კვაზი-საბაზრო) მექანიზმი ასეთი გარეგანი ცოდნის მისაღებად (Schilling, 2008); 2. ადგილობრივ დონეზე ზრდა დამოკიდებულია იმ ტექნოლოგიურ აქტივობაზე, რომელიც მიმდინარეობს ადგილობრივად და გარეგანი ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებაზე აღნიშნული ტექნოლოგიების დანერგვით (Martin and Ottaviano, 2001, Grossman and Helpman, 1994, Coe and Helpman, 1995).<sup>28</sup> დღევანდელი ინოვაციური პროცესები საკმაოდ რთულია და მათი მართვა მოითხოვს ინოვაციების განვითარების კანონზომიერებების ცოდნას. ინოვაციების მართვა ზოგადი მენეჯმენტის სპეციალისტს არ შეუძლია. ამისათვის საჭიროა ინოვაციების მენეჯერების მომზადება, მათ უნდა ჰქონდეთ საინჟინრო-ეკონომიკური ცოდნა და სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ფსიქოლოგიური პოტენციალი. ამ ხალხმა უნდა შექმნან ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკა, მხარში დაუდგენ და მართონ ქვეყანაში მიმდინარე სიახლეების დანერგვის პროცესი, რომელიც, თავის მხრივ, დაეფუძნება ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალს. საქართველოს ეკონომიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე მეტად მნიშვნელოვანია ტრადიციული ეკონომიკის გადასვლა ახალ, ანუ „ინოვაციურ ეკონომიკაზე“. მას „მაღალი ტექნოლოგიების ეკონომიკასაც“ უწოდებენ. ეს პროცესი მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს.

ეკონომიკაში მიმდინარე ინოვაციურმა პროცესებმა დიდი ხანია სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო და ინოვაცია მენეჯმენტის ობიექტად აქცია. მათი სასარგებლო თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ინოვაციური პროცესების მეშვეობით არა მხოლოდ ბაზარზე წარმოდგენილი მოთხოვნის ხელსაყრელი და რაციონალური დაკმაყოფილება ხერხდება, არამედ თვით მოთხოვნის ფორმირებაზე აქტიური ზემოქმედებაც. მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ ინოვაციები არის წინააღმდეგობების გადაჭრისა და კრიზისების დაძლევის

<sup>27</sup> Romer P. M. (1986) Increasing Returns and Long-run Growth, Journal of Political Economy, 94, 1002-37.

<sup>28</sup> Schilling, M.A.(2008) Understanding the alliance data, Strategic Management Journal 30(3), 233-260.

მეტად მძლავრი ბერკეტი. ამიტომ არის, რომ თანამედროვე პირობებში საწარმოს ინოვაციური აქტიურობა კონკურენციულ ბრძოლაში მისი გადარჩენის მთავარ ფაქტორად ითვლება.

იმისათვის, რომ დავინახოთ ეკონომიკურ ზრდაში ტექნოლოგიების მნიშვნელობა, უბრალოდ უნდა მიმოვიხედოთ ირგლივ. ცხოვრების დონის ზრდა ისეა შებურვილი ტექნოლოგიური პროგრესით, რომ ხშირად ეს ორი განურჩეველია ერთმანეთისაგან. თანამედროვე გამოგონებებმა შეცვალა საქონლის წარმოების მეთოდები, რომლებიც მუშაკებს საშუალებას აძლევს აწარმოონ განუზომლად მეტი, ვიდრე ამას წინანდელი თაობა ახერხებდა. როდესაც მწარმოებლურობა უმჯობესდება, წარმოების ფაქტორების იმავე რაოდენობით შესაძლებელია მთლიანობაში მეტი პროდუქციის გამოშვება. მწარმოებლურობის გაუმჯობესების ბუნებრივი ახსნა გაუმჯობესებული ტექნოლოგიაა, მაგალითად, ახალი საწარმოო პროცესის გამოგონება. ახალი ტექნოლოგიების შექმნა მოითხოვს ინვესტიციებს. კაპიტალის შექმნის ანალოგიურად, აქაც ვინმემ უნდა გამოყოს რესურსები, რომლებიც მოხმარდება შექმნას, სრულყოფას და მწარმოებლური იდეის პრაქტიკულ განხორციელებას. ტექნოლოგიებში ამ ინვესტიციების ბრუნვა მნიშვნელოვნად განსხვავდება ადგილებისა და დროის მიხედვით. თანამედროვე ეკონომიკა უზარმაზარ რესურსებს მიმართავს კვლევებსა და განვითარებაში (R&D), სისტემატურად ეწევა ძალისხმევას ახალი პროდუქტების ან პროცესის შესაქმნელად.

ტექნოლოგიურმა პროგრესმა ასევე მოგვცა საშუალება მოვიხმაროთ ახალი საქონელი და მომსახურება. ეკონომიკური განვითარება ეკონომიკის მასშტაბების თვისებრივად ახალ, უფრო სრულყოფილ მდგომარეობაში გადასვლას ნიშნავს. გასაკვირი არაა, რომ სწორედ ტექნოლოგიური პროგრესი გვძლევს ბიძგს ამ პროცესის სწორად წარმართვისთვის. ტექნოლოგიური პროცესი ხორციელდება ინოვაციების მეშვეობით. ასეთი იყო სამრეწველო რევოლუცია, სტანდარტიზაცია, მექანიზაცია, კონვეიერული ხაზები. მათი მეშვეობით შესაძლებელი გახდა უწყვეტი, მოქნილი საწარმოო ტექნოლოგიის სრულყოფა, რამაც მწარმოებლურობის ამაღლება გამოიწვია. ამას თან სდევს ადამიანის როლისა და ფუნქციების შეცვლა წარმოების პროცესში და, საბოლოოდ, ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობათა ზრდა.

ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი მაღალ ტექნოლოგიებს უკავია. განსაკუთრებულ ცვლილებებს იწვევს მათი გამოყენება ეკონომიკაში. მაღალი ტექნოლოგიები ეკონომიკის განვითარების ტენდენციებს ცვლის როგორც ლოკალური, ისე გლობალური მასშტაბით. ის ქვეყანაში კონკურენტუნარიანობისა და კეთილდღეობის ზრდის კვალობაზე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეროვნული ეკონომიკის ადგილს მსოფლიო ეკონომიკაში. მაღალი ტექნოლოგიების საფუძველზე წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის, საქონლისა და მომსახურების ახალ სახეობათა შექმნის შედეგად, მცირდება ტრანზაქციური და ტრანსფორმაციული დანახარჯები; იზრდება რესურსების რაციონალური გამოყენების შესაძლებლობები; იცვლება წარმოების ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ადამიანის ადგილი და როლი როგორც წარმოებაში, ისე ყოფა-ცხოვრებაში. თუ გადავავლებთ თვალს კაცობრიობის ისტორიას, საზოგადოების პროგრესი და მისი გადასვლა ახალ თვისებრიობაში ყოველთვის დაკავშირებული იყო ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან. ბუნებრივია, გარკვეული დროის შემდეგ მაღალი ტექნოლოგიები კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას და ადგილს უთმობენ სულ უფრო და უფრო ახალ ტექნოლოგიებს. მაგალითად, თანამედროვე ეტაპზე უმაღლესი ტექნოლოგიების დარგებიდან გამოირჩევა ელექტრონიკა. სწორედ მისმა განვითარებამ გახადა შესაძლებელი, შექმნილიყო გამოთვლითი ტექნიკა, საინფორმაციო-გამზომი სისტემები, ინტეგრალური სქემები, კონდენსატორები, რადიო, ტელევიზორი, კომპიუტერი, რობოტები და ა.შ. აშკარაა, რომ მათი გამოყენების გარეშე ვერ იარსებებდა ეკონომიკის ვერცერთი დარგი და ადამიანთა საქმიანობის ვერცერთი სფერო. ეს კი, წარმოუდგენელს ხდის ინფორმაციის მოპოვების, გადამუშავების, გადაცემისა და გამოყენების თანამედროვე დონეს.

აღსანიშნავია აგრეთვე ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების მნიშვნელობა, ვინაიდან ისინი განაპირობებს ეკონომიკაში ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბებას,



რომელიც მოიცავს ეკონომიკური და სოციალური საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს. მაღალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სფერო. ეს გახლავთ ხელოვნური ინტელექტი. ის გულისხმობს მანქანების შექმნას, რომელსაც გააჩნია ცოცხალი ორგანიზმის, მათ შორის ადამიანის ისეთი ნიშნები, როგორცაა მსჯელობა, აღქმა, მოძრაობა და სხვა. დღეისათვის საუბარი შეგვიძლია არა მხოლოდ ხელოვნურ ინტელექტზე, არამედ „მოაზროვნე“ მანქანებზე, რომელთაც აქვთ ადამიანის ტვინის მსგავსი მოწყობილობები. „მოაზროვნე“ მანქანების საკითხთან დაკავშირებით მრავალ მკვლევარს მიაჩნია, რომ დაიწყება „მოაზროვნე ტექნოსფეროს ეპოქა“. ტექნოსფერო წარმოადგენს ტერმინს თანამედროვე ცივილიზაციის აღსაწერად, რომელიც ხასიათდება ტექნოლოგიისა და მეცნიერული მეთოდების ფართო გამოყენებით სინამდვილის გარდასაქმნელად. იგი შექმნილია ადამიანების მიერ და მასში მთავარ როლს ასრულებს ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები. მოაზროვნე ტექნოსფერო ისარგებლებს გაცილებით დიდი შესაძლებლობებით, ვიდრე ცალკე აღებული მოაზროვნე მანქანა, რადგანაც მოაზროვნე ტექნოსფერო წარმოადგენს ასეთი მანქანების მოწესრიგებულ ერთობლიობას. ამრიგად, მაღალი ტექნოლოგიები ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, ვინაიდან იგი იწვევს ეკონომიკური სისტემის ყველა ელემენტის განვითარებასა და სრულყოფას.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობისა და უახლესი ტექნოლოგიების ტრანსფერისა და დანერგვის ხელშეწყობა. ასევე მნიშვნელოვანია გარემოს დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და მწვანე ეკონომიკის განვითარების წახალისება. კერძო სექტორის განვითარების და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით მთავრობა ხელს შეუწყობს კვლევასა და განვითარებას, რაც, თავის მხრივ, მოიცავს როგორც გამოყენებითი კვლევების განხორციელების ხელშეწყობას მათი სახელმწიფო დაფინანსების ეფექტიანობის ზრდის, ასევე სხვა ინსტრუმენტების შემუშავების მეშვეობით. მთავრობა ასევე ხელს შეუწყობს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებიც, თავის მხრივ, ინოვაციის მამოძრავებლები არიან.

კვლევების და განვითარების კომერციალიზაციის მიზნით, ხელი შეეწყობა კერძო სექტორს და განათლების სისტემას შორის კავშირების გაღრმავებას გამოყენებითი კვლევისა და განვითარების როგორც ხარისხის, ასევე პრაქტიკაში დანერგვის (კომერციალიზაციის) ეფექტიანობის ასამაღლებლად.

ინოვაციის მხარდაჭერისთვის მთავრობა ხელს შეუწყობს შესაბამისი ინფრასტრუქტურის (ტექნოპარკები, ინკუბატორები) განვითარებას და სათანადო კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადებას. ამასთან მოხდება კვლევის და განვითარებისთვის აუცილებელი დამხმარე ინფრასტრუქტურის სრულყოფა საგანმანათლებლო დაწესებულებების და კვლევითი ლაბორატორიებისთვის. ინოვაციების განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვას. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზის გაუმჯობესებას და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) შესაბამისად.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მაქსიმალურად ფართოდ გამოყენების ხელშეწყობა მნიშვნელოვანია როგორც ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდის, ასევე მოსახლეობისთვის. ამისთვის მთავრობა ხელს შეუწყობს სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისთვის საქართველოს მთავრობა წახალისებს ისეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, რომელიც მიმართული იქნება მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანასა და დანერგვაზე, განსაკუთრებით კი გარემოს დაცვაზე ორიენტირებული რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვასა და მწვანე ეკონომიკის განვითარებაზე.

**დასკვნა.** ტექნოლოგიებში გაუმჯობესება ნიშნავს იმას, რომ იმავე რესურსებით შესაძლებელია პროდუქციის უფრო მეტი რაოდენობის წარმოება. ამგვარად, ტექნოლოგიური პროგრესი მუდმივი ეკონომიკური ზრდის გასაღებია. აღვნიშნეთ ისიც, რომ ახალი ტექნოლოგიების შექმნა მოითხოვს რესურსების დაბანდებას. სწორედ მაღალი დონის ტექნოლოგიები აიძულებს ეკონომიკას გადავიდეს ახალ, უფრო სრულყოფილ მდგომარეობაში. ტექნოლოგიების მზარდი დონე იწვევს ეკონომიკის სისტემის თითოეული ელემენტის განვითარებასა და სრულყოფას. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტექნოლოგიები წარმოადგენს კაცობრიობის განვითარების უმძლავრეს მექანიზმს, რომლის საშუალებით ადამიანს შეუძლია განუწყვეტლივ გაიუმჯობესოს ცხოვრება.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ქ. კიწმარიშვილი. ინოვაციური მენეჯმენტი. 2016 წ.
2. Инновационный менеджмент, под ред. С. Ильенковой, М., 2014.
3. Иновационный менеджмент, под ед. В. Горфинкеля, М., 2007.
4. <http://www.russba.ru/>
5. <https://data.oecd.org/rd/gross-domestic-spending-on-r-d.htm>
6. <https://www.coindesk.com/price/bitcoin>
7. <https://ka.wikipedia.org/wiki>

*Ketevan Kitsmarishvili*

### THE ROLE OF INNOVATIVE TECHNOLOGIES IN ECONOMY

#### Abstract

It is impossible to imagine XXI century without modern technology. It is time, when our life is connected to digital technologies, social networks. In today's world, any field, education, business, human relationships, everything connects with technologies. Technologies have changed people's worldview. They affect our memory, attention, have great impact on children as well as on a person of any age. More technology is being developed and more things are invented by humans, life of people became more difficult. At first glance modern technologies make people's lives easier and save their time, but today a human cannot have free time, he/she will immediately start a new job. Besides, his/her life requires more and more expenses so he/she looks for additional income. Nowadays, in the circumstances of rapid diffusion of globalization and technological knowledge firms have to adopt more innovations and increase technological abilities. This can be realized by Research&Development or access to external technological knowledge.

**Keywords:** *Innovative progress. Technological progress, artificial intellect, informative technology, social network, digital technology.*

*თამარ ლაზარიაშვილი*

#### საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარების ტენდენციები და სადაზღვევო რისკები

**ანოტაცია.** სტატიაში შესწავლილია საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარების ტენდენციები და სადაზღვევო რისკები, შეფასებულია სადაზღვევო ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი ასპექტები, დასაბუთებულია სახელმწიფოსა და სადაზღვევო კომპანიების კოორდინაციით საკანონმდებლო აქტების შემუშავების, კადრების მომზადება-გადამზადების, ბაზრის მონოპოლიისაგან დაცვის, კომპანიების მოზიდული საშუალებების ინვესტირებისათვის საფონდო ბაზრის განვითარების აუცილებლობა.

ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები სადაზღვევო ბაზრის განვითარების აუცილებლობისა და რისკების შემცირების შესახებ, შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

**საკვანძო სიტყვები:** სადაზღვევო ბაზარი, განვითარების ტენდენცია, სადაზღვევო რისკები, სადაზღვევო პრემია, სადაზღვევო ინდუსტრია.

## შესავალი


ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ სტრატეგიად მიიჩნევა სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სადაზღვევო საქმიანობის პოპულარიზაცია და მასზე მოთხოვნილების გაზრდა, დაზღვევისა და მისი პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებაზე მუდმივად ზრუნვა და ხარისხიანი სადაზღვევო პროდუქტების დანერგვა, ასევე სადაზღვევო ბაზრის ინფრასტრუქტურის, პროფესიული განვითარებისა და მაღალი კონკურენციის დაცვა.

დაზღვევა არის რისკის ყიდვა-გაყიდვის ბიზნესი. ბევრ სიტუაციაში ბიზნესი და კერძო პირები რისკისადმი არიან მიდრეკილი. ეს ნიშნავს, რომ მათ ურჩევნიათ გადაიხადონ გარკვეული თანხა, რათა შეამცირონ გაურკვეველობის რაოდენობა კონკრეტულ სიტუაციაში.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარი ნელა ვითარდება. ამის მიზეზი, პირველ რიგში, დაზღვევისაგან მიღებული სიკეთის გაუთვითცნობიერებლობაშია. დაზღვევისადმი ნდობის ამაღლება სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის გარკვეულ პერიოდში ნაკლებად მომგებიანი (დაბალი სატარიფო განაკვეთი) პოზიციების შენარჩუნებით უნდა მოხდეს. ამავე დროს, სასურველია ამაღლდეს სახელმწიფო კონტროლი სადაზღვევო ბაზარზე ერთი ან ორი კომპანიის მონოპოლიური მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად. აუცილებელია არსებობდეს სრულყოფილი სადაზღვევო ბაზარი, რომელიც ხელს შეუწყობს, რეალური ეკონომიკის განვითარებას, მოსახლეობის დანაზოგების დაცვას ეკონომიკური და სხვა სახის რისკებისაგან, მოსახლეობის დანაზოგების დაბანდებას გრძელვადიან სიცოცხლის დაზღვევაში და მათ ინვესტირებას ეკონომიკის პროგრესულ დარგებში. მეტად აქტუალურია იმის გაანალიზება, თუ რა მდგომარეობაა დღეს საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე, როგორია მისი განვითარების ტენდენციები, როგორაა გადანაწილებული მოპოვებული სადაზღვევო პრემიები, რომელი სექტორი ლიდერობს და სხვა.

პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, კვლევის მიზანია სადაზღვევო ბაზრის განვითარების ტენდენციების ანალიზი და რისკების შემცირების მიმართულეებზე რეკომენდაციების შემუშავება.

საქართველოში დაზღვევაზე მოთხოვნა წლებთან ერთად იცვლებოდა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ტექნოლოგიურმა ინოვაციებმა მნიშვნელოვნად შეცვალა მომხმარებელთა მოლოდინები, გარდაქმნა ბიზნესის წარმართვის გზა. მიმზიდველმა ინტერფეისმა, კონფიგურირებადმა დაფარვამ და სადაზღვევო პოლისის შესყიდვის სიმარტივემ ხელი შეუწყო მომხმარებელთა მხრიდან მოთხოვნის ზრდას (The National Association of Insurance Commissioners, 2022). შესაბამისად, იზრდება გამომუშავებული სადაზღვევო პრემიის რაოდენობაც (იხ. დიაგრამა 1).




დიაგრამა 1. გამომუშავებული სადაზღვევო პრემია (მლნ. ლარი)

წყარო: <https://www.insurance.gov.ge/ka/Statistics/GetFile/580?type=4>

როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2012-2014 წლებში კერძო სადაზღვეო კომპანიების მიერ მოზიდული სადაზღვევო პრემიები კლებად ტენდენციაში იმყოფება, რაც გამოწვეულია საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ძალაში შესვლით, 2015 წლიდან დღემდე კი უკვე შენიშნება მზარდი დინამიკა, რაც განპირობებულია მომხმარებლების საყოველთაო დაზღვევიდან კერძო დაზღვევაზე გადასვლით. აღსანიშნავია ის ფაქტორიც, რომ 2020 წლიდან იყო კოვიდ პანდემია, მაგრამ აღნიშნულმა უარყოფითი გავლენა ვერ იქონია სადაზღვევო ბაზრებზე, პირიქით, 2021 წელს კომპანიების მოზიდული პრემია პიკს აღწევს და ის 2020 წელთან შედარებით 147,7 ათასი ლარით გაიზარდა.

საყურადღებოა, რომ ამავე პერიოდში (2020-2021 წლები) შემცირებულია სადაზღვევო მოგება და წმინდა მოგება (იხ. დიაგრამა 2).




**დიაგრამა 2. მოზიდული სადაზღვევო პრემია 2020-2021 წლებში (მლნ ლარი)**

წყარო: <https://www.insurance.gov.ge/ka/Statistics/GetFile/580?type=4>

როგორც დიაგრამიდან ჩანს, მოზიდული სადაზღვევო პრემია 2021 წელს აღემატება 2020 წლის შესაბამის მაჩვენებელს, ხოლო სადაზღვევო მოგება 2020 წელს მცირედით, მაგრამ მაინც მეტია 2021 წელთან შედარებით. 2020 წლის წმინდა მოგებაც აღემატება 2021 წლის მაჩვენებელს 7,7 მლნ ლარით და 647,6 მლნ ლარს შეადგენს, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

მოზიდული პრემია 2020 წელთან შედარებით 2021 წელს 105,4 მლნ. ლარით გაიზარდა და 772,7 მლნ ლარი შეადგინა. აქედან ყველაზე დიდი წილი „ჯი პი აი-ზე“ მოდის და შეადგენს 140,4 მლნ ლარს. კომპანია „ჯი პი აი“ ლიდერი იყო გასულ წელსაც 128,9 მლნ ლარით. შემდეგ მოდის „ალდაგი“ 123,2 მლნ ლარით. სადაზღვევო კომპანიების უმეტესობის მოზიდული პრემიები 2020 წელთან შედარებით დინამიკაში გაიზარდა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „ნიუ ვიუენის“ მოზიდული პრემიები საგრძნობლად გაიზარდა გასულ წელთან შედარებით და შეადგინა 21.4 მლნ ლარი, თუმცა იმავეს ვერ ვიტყვით კომპანიებზე: „ქართუ“, „ბენეფიტი“, „ალფა“ და „ევროინის“, რადგან მათზე 2020 წელთან შედარებით უფრო ნაკლები პრემია მოდის (იხ. დიაგრამა 3).




**დიაგრამა 3. მოზიდული სადაზღვევო პრემია კომპანიების მიხედვით 2020-2021 წელს (მლნ. ლარი)**

წყარო: <https://www.insurance.gov.ge/ka/Statistics/GetFile/580?type=4>

2021 წელს, ისევე როგორც 2020 წელს, ლიდერია სამედიცინო დაზღვევა და აღნიშნული დაზღვევის სახეობის მიხედვით მოზიდული პრემია შეადგენს 305,5 მლნ ლარს, ის წინა წელთან შედარებით გაიზარდა 37,9 მლნ ლარით. შემდეგ მოდის სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა, რომელიც, აგრეთვე, გაიზარდა და შეადგინა 143,2 მლნ ლარი. რაც შეეხება სხვა სახეობებს, თითქმის ყველა მათგანის მოზიდული სადაზღვევო პრემიები გაიზარდა, გარდა საკრედიტო ვალდებულებისა და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალების დაზღვევისა. აგრეთვე კვლავ ნულოვან ნიშნულზეა იურიდიული დანახარჯების დაზღვევა.

ამ ფონზე, საინტერესოდ გადანიჭილდა საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მოქმედი კომპანიების რეიტინგი (იხ. დიაგრამა 4).




**დიაგრამა 4. საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების რეიტინგი 2021 წელს მოზიდული პრემიების მოცულობის მიხედვით**

წყარო: <https://www.insurance.gov.ge/ka/Statistics/GetFile/580?type=4>

2020 წლის მონაცემებით, საქართველოში ლიცენზირებულია 18 სადაზღვევო კომპანია. 2021 წელს პირველ ადგილზე „ჯიპიაი ჰოლდინგი“ იყო, რომელმაც 135,5 მილიონი ლარის

პრემია გამოიმუშავა. 121,3 მილიონი ლარის მოზიდული პრემიით ბაზარზე მეორე ადგილი დაიკავა „აღდაგმა“, თუმცა მისი მაჩვენებელი 2020 წელთან შედარებით შემცირებულია 33,3 მლნ ლარით, აგრეთვე შემცირდა „აღფას“, „უნისონისა“ და „ბენეფიტის“ ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები. 113,6 მლნ ლარის პრემიით კი მესამე ადგილზეა „თიბისი დაზღვევა“. ფინანსური ანგარიშების თანახმად, 2021 წელს სადაზღვევო კომპანიების ზუსტად ნახევარში შემოსავლის ზრდა, ნახევარში კი შემცირება დაფიქსირდა. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში სადაზღვევო ბაზარი სტაბილურად სწრაფად ზრდადია.

ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალების ანალიზი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტატისტიკური მაჩვენებელია, მისი საშუალებით შეგვიძლია განვსაზღვროთ თუ რამდენად საჭირო და აუცილებელია დაზღვევის არსებობა.



**დიაგრამა 5. ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები კომპანიების მიხედვით**

წყარო: <https://www.insurance.gov.ge/ka/Statistics/GetFile/580?type=4>

დიაგრამა 5-ზე გამოსახულია ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები კომპანიების მიხედვით 2020 და 2021 წლების 6 თვის შედეგების მიხედვით. მთლიანად ანაზღაურებულმა ზარალმა 2021 წელს შეადგინა 194,2 მლნ ლარი, აქედან ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა „ჯიპიაი ჰოლდინგს,“ სადაზღვევო ზარალმა შეადგინა 46,12 მლნ ლარი, რაც 17,31 მლნ ლარით აღემატება 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მეორე ადგილზეა აღდაგი, რომლის ანაზღაურებულმა სადაზღვევო ზარალმა შეადგინა 28,69 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით მოცემული მაჩვენებელი გაიზარდა 4,98 მლნ ლარით. განხილული სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ სადაზღვევო ბაზრის ზრდასთან ერთად იზრდება სადაზღვევო კომპანიების მიერ ანაზღაურებული ზარალის ოდენობაც, რომლის განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორს დაზღვევისადმი მოსახლეობის გაზრდილი ცნობადობაც წარმოადგენს.

სადაზღვევო კომპანიების რაოდენობა და მათი მდგრადობა განსაზღვრავს ბაზარზე კონკურენციის დონეს. ბუნებრივია, როცა ბაზარზე მოქმედებს დიდი რაოდენობის სადაზღვევო კომპანიები, კონკურენცია მაღალია, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა. პრაქტიკულად საქართველოს სადაზღვევო კომპანიები მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან სადაზღვევო მომსახურების პაკეტით და აქედან გამომდინარე კონკურენციაც უნდა იყოს მაღალი, მაგრამ სადაზღვევო კომპანიების შესახებ მოსახლეობის ნაკლებად ინფორმირებულობის გამო კონკურენცია დაბალია. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა დიდი დარტყმა მიაყენა საქართველოში არსებულ საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიებს, ხოლო საქართველოში დაბალმა ეკონომიკურმა განვითარებამ კიდევ უფრო გაამძაფრა სადაზღვევო ბიზნესში არსებული მდგომარეობა. კვლევის შედეგად გამოვლინდა ეროვნული სადაზღვევო ბიზნესის განვითარების შემდეგი ხელისშემშლელი ფაქტორები: არაჯანსაღი კონკურენცია და

არამიმზიდველი ბიზნესგარემო, ქვეყნის მოსახლეობის უმუშევრობის მაღალი დონე, დასაქმებულთა დაბალი შემოსავლები, ბუნებრივი კატაკლიზმები, არასწორი ფინანსური პოლიტიკა და სადაზღვევო საქმიანობის ზედამხედველობაში არსებული პრობლემები.

სადაზღვევო ბაზრის განვითარებაში არსებული პრობლემების აღმოფხვრა შესაძლებელია სახელმწიფოსა და სადაზღვევო კომპანიების კოორდინაციით საკანონმდებლო აქტების შემუშავებით, კადრების მომზადება-გადამზადებით, ბაზრის მონოპოლიისაგან დაცვით. კომპანიების მოზიდული საშუალებების ინვესტირებისათვის ასევე აუცილებელია საფონდო ბაზრის განვითარება, რაც მათ საშუალებას მისცემს გაზარდონ კაპიტალი და აღებული პასუხისმგებლობა შეასრულონ მაქსიმალურად. აუცილებელია სავალდებულო გახდეს მესამე პირისა და ქონების დაზღვევის ამოქმედება, სადაზღვევო სერვისის ციფრიზაციის განხორციელება, ჰიბრიდული სამუშაო პროცესის დანერგვა, კოორდინირებული თანამშრომლობა სახელმწიფოსა და სადაზღვევო სექტორს შორის, მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება და სხვა.

სადაზღვევო ბაზარზე დღეს მრავალი მოთამაშეა, ამიტომ საჭიროა სიახლეების დროული დანერგვა. ხშირად კონკურენტები ფასებს ძალიან დაბლა წევენ კლიენტების გადაბირების მიზნით. სადაზღვევო კომპანიისთვის დემპინგური პირობით კონტრაქტის გაფორმება კი უპირობო ზარალს ნიშნავს. ამიტომ საჭიროა დროული ადეკვატური მოქმედება, რათა კომპანია არ აღმოჩნდეს დემპინგურ პირობებში. ამასთან, კვალიფიკაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ნებიმიერი კომპანიისთვის. კვალიფიკაციური კადრი იღებს დროულ გადაწყვეტილებებს, ამიტომ საჭიროა დროულად გამოვლინდეს კვალიფიკაციის დაბალი დონის მქონე რგოლი, შემდეგ კი აუცილებელია კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა ან თუ ეს შეუძლებელია, მაშინ სხვა კადრით ჩანაცვლება. კადრების აყვანის პროცესი უნდა მიმდინარეობდეს უწყვეტად. დიდი მნიშვნელობა აქვს დროის ეფექტიან მართვას. ამავედროულად, აუცილებელია იმ შესაძლებლობების დროული გამოყენება, რომელიც კომპანიას დაეხმარება სუსტი მხარეების გადალახვაში. ზოგადად, ინდუსტრიისა და სადაზღვევო პროდუქტების ცნობადობის გაზრდა პირდაპირპროპორციულია გაყიდვების ზრდასთან მიმართებით. ეს ყველაფერი კი დადგენილ დროში უნდა განხორციელდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბაზრის ათვისება მოხდება კონკურენტების მიერ. მონაცემების შეფასებამ გვიჩვენა, რომ საქართველოში, სადაზღვევო ბაზარზე არსებული სერიოზული კონკურენტის მიუხედავად, საქმისადმი სწორი მიდგომა და დროული რეაგირება განაპირობებს კომპანიის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრასა და წარმატებულ საქმიანობას.

სადაზღვევო ბაზრის შეფასებამ გვიჩვენა, რომ საქართველოში არსებული სადაზღვევო ინდუსტრია ვითარდება, რაც განპირობებულია საზოგადოების ცნობიერებისა და დამოკიდებულების ამაღლებით. ყოველივე ეს კი უბიძგებს სადაზღვევო კომპანიებს პროდუქტის დახვეწისა და განვითარებისაკენ. აღნიშნული კი საბოლოოდ გაზრდის კონკურენტისა და განავითარებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე. მთლიანად დაზღვევის სფეროში შეინიშნება სადაზღვევო ბაზრის ათვისების როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი მახასიათებლების ზრდის დადებითი ტენდენცია, რომლის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ სადაზღვევო ორგანიზაციები კარდინალურად აუმჯობესებენ მენეჯმენტს. ასევე, თანდათან იზრდება როგორც ორგანიზაციების, ისე მოსახლეობის სადაზღვევო კულტურის დონე.

დაბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში, სადაზღვევო ბაზარზე არსებული სერიოზული კონკურენტის მიუხედავად, საქმისადმი სწორი მიდგომა და დროული რეაგირება განაპირობებს კომპანიის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრასა და წარმატებულ საქმიანობას.

## დასკვნა

საქართველოს სადაზღვევო ბაზარი ბოლო წლებში ზრდის დინამიკით ფასდება, სწრაფად ვითარდება, რასაც განაპირობებს ტექნოლოგიური წინსვლა და საზოგადოების დამოკიდებულების ამღვლეობა დაზღვევასთან მიმართებით. თუ ადგილობრივ ბაზარს ევროპულ წამყვან ბაზრებს შევადარებთ, საქართველოში ძალიან კარგი ზრდა შეინიშნება. 2021 წელს ზრდის ტემპმა 20% შეადგინა, თუმცა ბაზრის ისეთი კლასიკური სახეობები, როგორცაა სავალდებულო მესამე პირის დაზღვევა და ქონების დაზღვევა, საქართველოში ძალიან მცირედ არის წარმოდგენილი. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ბაზარს გაცილებით დიდი წარმატება ექნება, როცა ამ ტიპის დაზღვევები ამოქმედდება.

ზრდადი კონკურენციის ფონზე სადაზღვევო კომპანიები ცდილობენ დახვეწონ არსებული სადაზღვევო პროდუქტები და მომხმარებელს შესთავაზონ მაღალი დონის მომსახურება. ასევე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განვითარების ზრდამ წამოჭრა მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც განხილულია ნაშრომში. პრობლემები განაპირობა როგორც მსოფლიო კრიზისმა, ისე საქართველოში განვითარებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. გვარამია ლ. (2002), „*სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა*“.
2. გოლიაძე ნ. (2019), „*ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა საქართველოში*“.
3. ირემიშვილი ქ. (2016), „*მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში*“.
4. კოკია ქ. (2012), „*დაზღვევა საქართველოში*“.
5. პეპანაშვილი ნ. (2016), „*სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება*“.
6. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (2022), „*2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში*“. მოძიებულია: <https://www.insurance.gov.ge/Files/ShowFiles?id=4aad1d2a-5a61-4513-8d0e-b4555f881766>
7. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (2022), *2021 წლის სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები*. მოძიებულია: <https://www.insurance.gov.ge/ka/Statistics/GetFile/580?type=4>
8. საქართველოს კონკურენციის სააგენტო (2020), *ავტოდაზღვევის (CASCO) ბაზრის მონიტორინგი*.
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - <https://www.geostat.ge/ka>
10. ლაზარიაშვილი თ. (2017), „*სადაზღვევო ბაზარი და აგრობიზნესის განვითარების მიმართულებები*“. მოძიებულია: <https://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&adgi=>
11. ლაზარიაშვილი თ. (2023), „*სადაზღვევო ბაზრის განვითარების გამოწვევები საქართველოში*“.
12. ჩიკვაშვილი შ. (1998), *მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში*.
13. ჭელიძე მ., ბერიძე თ., ჟორჟოლიანი გ. (2018), საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს მიმოხილვა (სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაოს“ მაგალითზე).
14. ხაჭაპურიძე ბ. (2020), „*სადაზღვევო ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში*“. მოძიებულია: <https://openscience.ge/bitstream/1/2205/1/Beka%20Khachapuridze%20Samagistro.pdf>
15. ხუციშვილი მ. (2012), „*სადაზღვევო პროდუქტების ბაზრის მარკეტინგული ანალიზი*“.
16. ჯანელიძე დ. (2018), „*დაზღვევის ფორმირებისა და მართვის სრულყოფის მიმართულებები საერთაშორისო ბიზნესში*“. მოძიებულია: <https://openscience.ge/bitstream/1/79/1/Dato%20Janelidze.pdf>
17. The National Association of Insurance Commissioners (2022), ‘On-demand insurance’. Retrieved



from - <https://content.naic.org/cipr-topics/demand-insurance>

18. Tomeski B. (2012), 'Development of Motor Third Party Liability Insurance Market in Terms of Changing Regulation'. Retrieved from - <https://bit.ly/2xBRdvy>

*Tamar Lazariashvili*

## **DEVELOPMENT TRENDS AND INSURANCE RISKS OF THE GEORGIAN INSURANCE MARKET**

### **Abstract**

In the modern phase, the functioning and importance of the insurance sector is increasing, which increases the demand for it and affects the economic well-being of the country. Today, almost any type of risk is insurable if it is subject to insurance. The article examines the development trends and insurance risks of the insurance market of Georgia, assesses the main aspects of state regulation of insurance business, justifies the need to develop legislative acts in coordination with the state and insurance companies, prepare and retrain personnel, protect the market from monopolies and develop the stock market for the investment of capital raised by companies. The article establishes the need to provide the population with many types of insurance, since offering one or two types of products weakens competition, it is important to increase the share of life insurance, where life insurance and pension funds have the greatest investment potential of the insurance industry. It is important to offer the population many types of insurance, because either offering two types of products weakens competition, it is necessary to increase the share of life insurance, life insurance and pension funds have the greatest investment potential in the insurance sector. In particular, long-term resources are accumulated and a large proportion of them are invested in the economy. Nowadays, both social and economic risks have increased, and in order to protect oneself from them, a perfectly functioning insurance market in the country is required, which contributes to the development of the real economy, protection of the population's savings from economic and other types of risks, the plant of the population's savings in long-term life insurance and their investment in progressive sectors of the economy. It is also important to offer multiple types of insurance to the population as providing one or two product types reduces competition and puts most businesses in an unequal position.

Based on the analysis, conclusions are drawn about the need to develop the insurance market and reduce risks, and appropriate recommendations are made.

*Key words:* insurance market, development trend, insurance risks, insurance premium, insurance industry.

*ზურაბ ლიპარტია  
იური პაპასქუა  
ბესიკ შერაზადიშვილი*

### **საქართველოში კორპორაციული მენეჯმენტის ეფექტიანობის სრულყოფის სტრატეგიული პრიორიტეტები**

*ანოტაცია.* მსოფლიო ცივილიზაციის გლობალიზაციის ტენდენციებმა და პოსტინდუსტრიული საზოგადოების მოთხოვნებმა განაპირობა რადიკალური ცვლილებები ქვეყნების პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ინოვაციურ-ტექნოლოგიურ განვითარებაში, რამაც განსაზღვრა ეკონომიკის მდგრადი განვითარების კონტექსტში ცალკეული სახელმწიფოების ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების ასპექტები, რაც დაკავშირებულია ცალკეული ეკონომიკური სუბიექტების: კორპორაციების, ფირმების კოორდინირებულ და ეფექტიან ფუნქციონირებასთან.

თანამედროვე ეტაპზე საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობები გაზრდილ მოთხოვნილებას უყენებს ეკონომიკური აზროვნების ანალიზს, რადგან იგი კორპორაციათა ფუნქციონირების შესწავლის, მართვისა და კონტროლის, შიდა ფარული რეზერვების გამოვლენისა და ამოქმედების კომპლექსური გამოკვლევის ინსტრუმენტს შეადგენს.

კვლევის შედეგების ანალიტიკური შეფასების საფუძველზე დასაბუთებულია საქართველოში კორპორაციული მენეჯმენტის ეფექტიანობის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმების სრულყოფის აუცილებლობა და გამოვლენილია ქვეყნის შემდგომი განვითარების

*პრიორიტეტები: ეროვნული ბაზრისა და ექსპორტისათვის ორიენტირებული პროდუქციის წარმოება; უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გზით თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა; კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ზრდისათვის შიდა დარგობრივი და დარგთაშორისი კოოპერირების შემდგომი განვითარება.*

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური განვითარების ეფექტური პოლიტიკა, ეკონომიკური აზროვნების ანალიზი, ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანი ფუნქციონირება, შპს-ის დანერგვის ეფექტიანობა.

საბაზრო ეკონომიკის გარდამავალი ეტაპის თავისებურებებმა, მნიშვნელოვნად შეცვალა ეკონომიკური სუბიექტების ფუნქციები და როლი, მათი ქვეყნის განმსაზღვრელი მოტივები რესურსების შეზღუდულობისა და საზოგადოების მზარდი მოთხოვნილების პირობებში.

შექმნილ ვითარებაში მნიშვნელოვანია საქართველოში, რეგიონალურ თავისებურებათა გათვალისწინებით, **მეცნიერულად დასაბუთებული სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება**, დემოგრაფიული კრიზისის შემდგომი გაღრმავების თავიდან აცილების ღონისძიებათა სისტემის ძირითადი მიმართულებების ფორმირება და მართვის სრულყოფილი მექანიზმის გამოყენებით ვითარების რამდენადმე ნორმალიზება, რასაც ადასტურებს სხვა ქვეყნების პრაქტიკაც.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მისი ყველა დარგის, საკუთრების ფორმების შესაბამისად სამეურნეო სუბიექტებისა და რგოლის მართვის რთული ფუნქციების შესრულებისათვის ეკონომიკური ანალიზი მოწოდებულია, შეიმუშაოს კონკრეტული მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნები, რომლებსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი მიმართულებითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის, ოპტიმალური ვარიანტების შერჩევისა და პროგნოზირებისათვის.

საქართველოში ეკონომიკის გარდამავალი პერიოდისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს **ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანი ფუნქციონირება**, რაც წარმოების მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტის მიღებით გამოიხატება. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა მოითხოვს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური პრინციპების სისტემის აღიარებას, რომლებსაც მიეკუთვნება: 1. პიროვნების ეკონომიკური თვითგამორკვევა; 2. მესაკუთრის უფლება (მიწაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე); 3. კონკურენტულ პირობებში საქმიანობის უზრუნველსაყოფად იურიდიული და ფიზიკური პირების ეკონომიკური თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა; 4. მეწარმის ეკონომიკური თავისუფლება; 5. შრომის, საქონლისა და კაპიტალის ბაზრის არსებობა; 6. საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება; 7. სოციალური დაცვის სისტემის შექმნა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებელი ხდება მრავალი ძირითადი ეკონომიკური კატეგორიების ტრადიციული გაგების გადასინჯვა, მართვის სამეურნეო მექანიზმის რადიკალური გარდაქმნა. **ეკონომიკური ანალიზის** მეშვეობით შეისწავლება ეკონომიკურ მოვლენებზე ცალკეული ფაქტორების გავლენა და ეძლევათ რაოდენობრივი დახასიათება. რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში გადასვლით ხდება ახლის, პროგრესულის აღმოცენება და ამ ნიადაგზე შესაძლებელი ხდება მოვლენის **განვითარების პროგნოზირება**.

ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის პროცესში, რომელიც წარმართება ეკონომიკური ინფორმაციის სისტემის მაჩვენებელთა შესწავლა-შეფასებით, კერძოდ საგეგმო, სააღრიცხვო, საანგარიშო და სხვა წყაროების საფუძველზე, შეისწავლება ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედება საწარმოთა სამეურნეო პროცესების და საქმიანობის საბოლოო შედეგებზე, რომელიც მოიცავს მათში შემავალი ცალკეული ერთეულების (ფილიალების), რგოლების სამეურნეო საქმიანობებსაც. ეკონომიკური ანალიზის საშუალებით შესაძლებელი ხდება დასაბუთდეს მიმართულებითი გადაწყვეტილების ოპტიმალურობის დონე და შეფასდეს საწარმოს საქმიანობის შედეგები წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის პოზიციებიდან.

საბაზრო მექანიზმებთან ადაპტირებული ეკონომიკური ანალიზისა და ანალიზურ-შემფასებელი სისტემებით მართვის პრობლემების განხილვისას თვალსაჩინო

ქართველი მეცნიერი, **ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი გიორგი პაპავა** მონოგრაფიაში აღნიშნავს, რომ „ბიზნესმენები, მეწარმეები და ეკონომიკური ფუნქციების განმახორციელებელი სახელმწიფო მოხელეები საბაზრო ეკონომიკის რეალობათა თვისებების შეცნობის მეთოდოლოგიას უნდა იყენებდნენ ეკონომიკური პარალოგიზმების წარმოქმნისა და განვრცობის აღსაკვეთად. სანამ ეკონომიკის ფორმირების საბაზრო ტექნოლოგიაში თავიდან არ მოვიშორებთ ეკონომიკურ პარალოგიზმებს, მანამდე ვერ შევძლებთ საბაზრო ეკონომიკის ნორმალიზაციას. ამისთვის საჭიროა ორგვარი ურთიერთთავსებადი მიდგომა, სახელდობრ: 1) საბაზრო ეკონომიკის ბაზისის თვისებრივი გაანალიზება მოცემულ ქვეყანაში და 2) ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის ნორმალიზება მისი შესატყვისობით დემოკრატიული საზოგადოების მოთხოვნისადმი. შესაბამისად, დოვლათის შექმნის ორიენტაციას აკვალთანებს ეკონომიკის ჩამოყალიბების საბაზრო ტექნოლოგია, რომელიც წარმოადგენს იმ მეთოდების ერთობლიობას, რომელთა ზემოქმედებითაც ხორციელდება ეკონომიკური სუბიექტის მიერ ეკონომიკურ ობიექტზე ეფექტიანი ეკონომიკური რეალობების ჩამოყალიბება დროის მოცემულ პერიოდში. შესაბამისად, ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება **ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის ეფექტიან წარმართვას**. ამ მიმართებით მეწარმის, მენეჯერის, ბიზნესმენისა და სახელმწიფო მოხელის ეკონომიკური ფუნქციების დანიშნულებას ინდიკატორად (მიმანიშნებლად) წარმართოს პოზიტიური გზებით ბიზნესმოგებაზე გასვლა, რისთვისაც აუცილებელია გაგვაჩნდეს უნაკლო ინფორმაცია ეკონომიკურ რეალობათა შესახებ, რომელსაც იძლევა მოცემული ობიექტის ეკონომიკის ფორმირების როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი არეალის თვისებრივი და რაოდენობრივი სიღრმისეული, საფუძვლიანი შეცნობა. ამ საქმეში ბიზნესგეგმის ქმედითობას ენიჭება არსებითი მნიშვნელობა“ [1; 236-242].

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, **აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა** საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე ტრანსფორმაციის პროცესის შეფასებისას აღნიშნავს, რომ ქვეყანა, რომელიც დეფორმირებულ საბაზრო და სახელმწიფოებრივ მექანიზმებს ემყარება, ვერ უზრუნველყოფს ხანგრძლივი ეკონომიკური ზრდის ახალ ტრაექტორიაზე გადასვლას. შესაბამისად, ქვეყნის ტრანსფორმაციის პროცესმა მთლიანი სისტემის ფორმა და შინაარსი და ახალ თვისებრიობაში გადასვლის პროცესი დამანგრეველი ფაქტორი გახადა, რამაც განაპირობა ქვეყნის ეკონომიკური კრიზისული მდგომარეობის ჩამოყალიბება. იგი თვლის, რომ „საქართველოში შერეული სოციალური მიმართულების ეკონომიკური სისტემა მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის საფუძველზე, როგორც ერთიანი, მთლიანობითი სისტემა, რომელიც ეფუძნება ინდივიდუალური თავისუფლების პრინციპებს, საკუთრებისა და მეურნეობრიობის პლურალიზმს. მრავალსუბიექტიანობა ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების ტრადიციულ ფორმად დარჩება მომავალშიც, საკუთრების ფორმების ეფექტიანობა ყალიბდება კონკრეტულად სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შესაბამისად, რაც არსებითია ჯანსაღი კონკურენციის პირობებში“.

აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას აზრით, შექმნილ ვითარებაში ქვეყანაში თანამედროვე მენეჯმენტისა და ორგანიზებულობის მაღალ დონეს მოითხოვს მრეწველობის მდგრადი განვითარების სტრატეგიაზე გადასვლა და მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება. ეკონომიკაში რთული პრობლემების გადაწყვეტაში კოოპერაციის განმკარგველი როლის დაკისრება და შიდა რეგიონთაშორისი კოოპერაციის (ინტეგრაციის) განვითარება. სწორად, სახელმწიფოებრივად გააზრებული მიდგომით გარედან ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობა ხელს შეუწყობს ეროვნული ეკონომიკის განვითარებულ აღწარმოებას [2; 168-170].

**კორპორაციული საქმიანობის ანალიზის ობიექტებია:** პროდუქციის, სამუშაოების, მომსახურების წარმოება და რეალიზაცია, დანახარჯები წარმოებაზე და რეალიზაციაზე, მოგება, რენტაბელობა და საფინანსო მდგომარეობა. ასევე ანალიზის ობიექტია კომპანიის მიერ საწარმოო სიმძლავრეების გამოყენება, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოესი მიღწევების

დანერგვა, ენერჯის ხარჯვის პროგრამული ნორმების, მომჭირნეობის რეჟიმის დაცვა და სხვა საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფენ

კომპანიის სამეწარმეო საქმიანობის მიზნების გაუმჯობესებას.

**სტრატეგიული მენეჯმენტის მიზანია**, კორპორაციების (საწარმოთა) ეფექტიანი საქმიანობის მიღწევის უზრუნველსაყოფად, მეცნიერულად დამუშავებულ ღონისძიებათა შემუშავება და რეალიზაცია, მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური მოგების მიღება და კორპორაციების ეკონომიკური პოტენციალის ამაღლება, ფინანსური სტაბილიზაციის უზრუნველყოფა, აქტივების სტრუქტურის ოპტიმიზაცია, კონკურენტუნარიანობის ამაღლება და სხვ. კერძოდ, ფინანსური მენეჯმენტის ძირითადი ობიექტებია ფინანსური ნაკადები, რაც უშუალოდაა დაკავშირებული ანგარიშსწორებასთან და სხვა ანგარიშებში ფინანსური საშუალებების უწყვეტი ნაკადების გონივრულ ხარჯვასთან. ფინანსური მენეჯმენტის ყურადღების ცენტრშია კორპორაციების ფინანსური რესურსები და მათი ყველა ფინანსურ-ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება მეწარმეობის ყველა სხვა სუბიექტთან. ასევე, მნიშვნელოვანია ეკონომიკაში რეზერვების ორი სახეობა: ა) კორპორაციის (საწარმოს) სარეზერვო მარაგები, რომელიც შეადგენს განსაზღვრულ (ნორმატიულ) მარაგს საწარმოს შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით და ბ) გამოყენებელი (ფარული) რეზერვები, რომლებიც ექვემდებარებიან ამოცნობას და მათი გამოყენებით საწარმოს საქმიანობის ხარისხობრივი მახასიათებელი ტექნოლოგიური ციკლის სტადიების, მარკეტინგის ფუნქციების გაუმჯობესებას ემსახურება.

**სტრატეგიული მენეჯმენტის თანამედროვე სისტემის ფორმირება** ეფუძნება:

**პირველი:** ა) მესაკუთრეთა ეკონომიკური ინვესტირების პრიორიტეტის კონცეფციას; ბ) თანამედროვე პორტფელურ თეორიას; გ) კაპიტალის ღირებულების კონცეფციას; დ) კაპიტალის სტრუქტურის კონცეფციას; ე) დივიდენდურ პოლიტიკას.

**მეორე:** ინვესტირების ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის რეალური საბაზრო შეფასების უზრუნველყოფას, როგორცაა: ა) ფულის ღირებულების კონცეფცია დროში; ბ) რისკის დონისა და შემოსავლიანობის ურთიერთკავშირის კონცეფცია; გ) აქციებისა და ობლიგაციების შეფასების მოდელები; დ) ფინანსური აქტივებისა და ე) ოფციონების შეფასების მოდელი.

**მესამე:** ა) ბაზრის ეფექტიანობის ჰიპოთეზას; ბ) სააგენტო ურთიერთობების თეორიას; გ) ასიმეტრიული ინფორმაციის კონცეფციას; დ) ფასწარმოქმნის საარბიტრაჟო თეორიას [3].

ფინანსური მენეჯმენტის განხორციელებისთვის საჭირო **ინფორმაციის წყაროა:** ოფიციალური ბუღალტრული და სტატისტიკური ანგარიშები (ანგარიშგებები); შიდამეურნეობრივი საწარმოო (მმართველობითი) და ფინანსური აღრიცხვა; ფინანსური ანალიზი; ბიზნესგეგმის კომპონენტები; ფასების დინამიკის შესახებ ფინანსური და საბანკო ორგანიზაციების მონაცემები (ინფორმაციები) და სხვა. კვალიფიციური დამუშავების შემდეგ ყოველივე ეს **ქმნის ფინანსური მენეჯმენტის მყარ და მდიდარ საინფორმაციო საფუძველს** მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად, მომავალი წარმატებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში **კორპორაციათა ფინანსური მენეჯმენტის** გარემოს და საერთოდ საქმიანობის ასპექტით გამოიყოფა მათი ზოგიერთი უპირატესობა, კერძოდ: 1. კორპორაციათა საქმიანობის განუსაზღვრელი ვადა; 2. მფლობელთა საკუთრების მაღალი ლიკვიდურობა; 3. შეზღუდული პასუხისმგებლობა, ნიშნავს აქციონერთა ზარალის შეზღუდვას მხოლოდ მათ მიერ ინვესტირებული სახსრების ფაქტობრივი მოცულობით, ანუ იმის მაქსიმუმით, რაც შეიძლება დაკარგოს კორპორაციამ გავრცელების დროს.

მეცნიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი **პიტერ დრუკერი** განმარტავს, რომ აუცილებელი ხდება **ახალი მეწარმეთა საზოგადოების შექმნა**. შესაბამისად, საზოგადოების ცხოვრების წესი უნდა დაეფუძნოს მენეჯერთა ინოვაციური საქმიანობის პრინციპებს. კერძოდ, ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს **სამი ინოვაციური პრინციპის დაცვა:** 1) პროდუქციის მუდმივი სრულყოფა; 2) თანამედროვე ცოდნის გამოყენება; 3) სისტემური ინოვაციური

საქმიანობა. კ. დრუკერის შეფასებით, **იაპონიის წარმატება** მეწარმეობრივ საქმიანობაში განპირობებული იყო სწორედ სოციალური ინოვაციის პრინციპების დამკვიდრებით, კერძოდ, ისეთი ინსტიტუტების განვითარებით, როგორც არის უმაღლესი და საშუალო განათლება, შრომითი ხელშეკრულებები. მენეჯერი, რომელიც ფლობს ინოვაციის ხელოვნებას, ხდება „მენეჯერი-მეწარმე“, რომელსაც ძალუძს მოახდინოს "რევოლუცია მართვაში", ანუ ბიზნესის ხარისხობრივი, ნახტომისებრი ცვლილება [4] არის კიდევ ერთი ახალი მოვლენა ცოდნის ეკონომიკაში.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკურ ანალიზს აქვს განვითარებული მეთოდოლოგიური სისტემა, რომელიც შემდგომ დახვეწასა და გაღრმავებას მოითხოვს. ეკონომიკური ანალიზის მოქმედი მეთოდიკის გარდაქმნა და მიმდინარე რეფორმების მოთხოვნილებებიდან გამომდინარე მათი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, **ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დანერგვის ეფექტიანობის შეფასება-ანალიზი საქართველოში მიუთითებს, რომ ქვეყანამ** ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით აირჩია ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული საქმიანობის მთლიანად სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი მოდელი. ახალი კანონს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (2016 წლის 26 ივნისი) არეგულირებს ფინანსთა სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულება – ზედამხედველობის სამსახური. ქვეყანაში შესაძლებელი იქნება მეწარმეობისა და კაპიტალური ბაზრის განვითარება, ფინანსური ფონდების შექმნა და სხვ., რომლებიც განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობას, ინვესტორების გარანტირებულობისა და ურთიერთნდობის განმტკიცებას. **საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების შემდგომი სრულყოფისთვის** საჭიროა: 1) საგანმანათლებლო პროცესების ხელშეწყობა სამსახურის მხრიდან, როგორც ბიზნესსუბიექტების, ისე პროფესიის წარმომადგენლებისთვის; 2) აღრიცხვა-აუდიტის ინფრასტრუქტურის განვითარება და კონტროლის მექანიზმების დახვეწა; 3) შემოთავაზებული კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ მოთხოვნების გარკვეული მუხლების კორექტირების პაკეტი და დარგის სხვა ცვლილებების საჭიროება, რათა **ფასს-ის** დანერგვა იყოს უფრო მეტად ეფექტიანი საქართველოში [5].

ამრიგად, კვლევები მოწმობს, რომ საქართველოში ეფექტიანი კორპორაციული მართვის ფინანსური მენეჯმენტის თეორიული შედეგებისა და მოწინავე მსოფლიოს პრაქტიკული გამოცდილება თანამედროვე ეტაპზე სათანადოდ არ არის მისადაგებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებთან, რამდენადაც ქვეყანაში არ არის შემუშავებული სრულყოფილი თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები და კონცეფციები, არ გაგვაჩნია საკუთრივ, ეროვნული ტრადიციებისა და თავისებურებების გათვალისწინებით, მართვის ეფექტიანი კრიტერიუმები და ინსტრუმენტები, არ არის სათანადოდ განვითარებული ფინანსური ბაზარი და ინსტიტუტები.

## დასკვნა

საქართველოში მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებისა და ეკონომიკური კრიზისების გათვალისწინებით რთული იქნება ფინანსური სისტემის სტაბილიზაციის მექანიზმების სრულყოფის პრიორიტეტების გამოვლენა და ფინანსური საქმიანობის ეფექტიანი მართვაც. თანამედროვე ეტაპზე მიკროეკონომიკის დონეზე სტრატეგიული მენეჯმენტის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმების სტრუქტურული სისტემის ფორმირება დიდ სირთულეებს უკავშირდება, მაგრამ კორპორაციის საქმიანობის მმართველობით პროცესში სტრატეგიული არჩევანის გაკეთების და მართვის სტილის შეცვლა შესაძლოა, თუ გამოვიყენებთ მაღალგანვითარებული ქვეყნების სამეწარმეო პრაქტიკაში აპრობირებულ მეთოდებს.

შესაბამისად, საქართველოში რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ფორმულირებისას, ევროკავშირში გაერთიანების გათვალისწინებით, საჭირო ხდება მსოფლიო პრაქტიკაში მართვის კარგად ადაპტირებული სტრატეგიული დაგეგმვისა და

მექანიზმების დამკვიდრება, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტების ფარგლებში პარტნიორობისა და თანამშრომლობის განვითარება, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მხოლოდ ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების დაჩქარებით, მეურნეობის ინსტიტუციური, სტრუქტურული და ტექნოლოგიური ტრანსფორმაციით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპავა გ.ვ., ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგია. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი. 2011. 323 გვ.
2. ჭითანავა ნ., „გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში... საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის ხილული და უხილავი პრობლემები“. სამეცნიერო რედაქტორი პროფესორი იური პაპასქუა. გამომცემლობა „ივერიონი“. ISBN: 978-9941-8-3566-7. თბილისი. 2021. 360 გვ.
3. ლიპარტია ზ. შერაზადიშვილი ბ., „ეკონომიკური აზროვნების განვითარების მეთოდოლოგიური ასპექტები“. კონფერენცია - „ეკონომიკური აზროვნება: თანამედროვე რეალიები და პროგნოზირება შესაძლებლობები“ (სტატია ინგლისურ ენაზე – Methodological Aspects of Economic Thinking Development) უკრაინა, კიევი, 19 აპრილი, 2019. «ЭКОНОМИЧЕСКАЯ АНАЛИТИКА: СОВРЕМЕННЫЕ РЕАЛИИ И ПРОГНОСТИЧЕСКИЕ ВОЗМОЖНОСТИ».
4. Друкер П. Ф. Задачи менеджмента в XXI веке. Москва-Санкт-Петербург-Киев, 2007. 386 с.
5. ლიპარტია ზ., პაპასქუა ი., „საქართველოს მაკროეკონომიკური განვითარების ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირების თეორიულ-მეთოდოლოგიური წინამძღვრები“ (სტატია ინგლისურ ენაზე: Theoretical-methodological guidelines for effective policy formation of macroeconomic development of Georgia). V საერთაშორისო სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციური პროცესების მართვა განათლებისა და მეცნიერების მოდერნიზაციის კონტექსტში“, ლეიფციგი (გერმანია) 2023 წლის 5–7 აპრილი.

*Zurab Lipartia  
Yuri Papasqua  
Besik Sherazadishvili*

## STRATEGIC PRIORITIES FOR IMPROVING THE EFFECTIVENESS OF CORPORATE MANAGEMENT IN GEORGIA

### Abstract

The globalization trends of the world civilization and the requirements of the post-industrial society led to radical changes in the political, socio-economic and innovative-technological development of countries, which determined the aspects of economic policy formation of individual states in the context of sustainable development of the economy, which are related to the coordinated and effective development of individual economic entities: corporations, firms with functionality.

At the modern stage, the conditions of the transition to market relations put an increased demand on the analysis of economic thinking, because it is a tool for the study of the functioning of corporations, management and control, and the identification and implementation of internal hidden reserves.

Based on the analytical evaluation of the research results, the necessity of perfecting the organizational-economic mechanisms of corporate management effectiveness in Georgia is substantiated, and the country's further development priorities are identified: production of products oriented to the national market and export; Introduction of modern technologies by attracting foreign investments and further development of domestic and inter-sectoral cooperation for the growth of competitive production.

**Keywords:** *effective policy of macro-micro economic development, analysis of economic thinking, effective functioning of economic activity, effectiveness of implementation of international financial reporting standards.*

**"ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამის  
სამაგისტრო ნაშრომის/დისერტაციის მომზადების მეთოდის ზოგიერთი საკითხი**

**ანოტაცია.** საქართველოს განათლების სისტემის წინაშე დგას ბოლონის დეკლარაციით განსაზღვრული მიმართულებების რეალიზაციის ამოცანა, რომლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მდგენელს წარმოადგენს სწავლა მაგისტრატურის საფეხურზე. ქვეყნის უნივერსიტეტებში ათეულ წელზე მეტია მუშაობს სისტემა „ბაკალავრიატი-მაგისტრატურა-დოქტორანტურა“. დაგროვილი გამოცდილება დღის წესრიგში აყენებს განსაკუთრებით მაგისტრანტების მომზადების პრინციპების ახლებურ გააზრებას, რადგან ამ მიმართულებით მუშაობის მთავარი ამოცანაა სამეცნიერო და საწარმოო საქმიანობისთვის კვალიფიციური კადრების მომზადება. მაგისტრების მომზადების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომის – სამაგისტრო დისერტაციის მომზადება, რომელიც უნდა იყოს დამოუკიდებელი და დისკრეტული სამეცნიერო კვლევის შედეგი.

**საკვანძო სიტყვები:** სამაგისტრო დისერტაცია, მაგისტრანტი, კვლევა, სამეცნიერო - კვლევითი მუშაობა.

**შესავალი**

სიტყვა «დისერტაცია» მომდინარეობს ლათ. **dissertatio**-დან, რომელიც ნიშნავს მსჯელობას, კვლევას. დისერტაცია წარმოიშვა, როგორც სპეციალური ხელნაწერი სამეცნიერო ნაშრომი, რომლის პოზიციებიც საჯარო დისკუსიის დროს უნდა დაიცვა.

სამაგისტრო დისერტაცია დისერტაციების განსაკუთრებული სახეობაა. უნდა აღინიშნოს, რომ მაგისტრის ხარისხი არ არის მეცნიერული, არამედ აკადემიურია, ის დოქტორის ხარისხს წინ უსწრებს და ახასიათებს მაძიებლის კვალიფიკაციას, მის, როგორც დამწყები მეცნიერ მკვლევრის, უნარ-ჩვევებს.

სამაგისტრო კვლევა მიზნად ისახავს მაგისტრანტის სამეცნიერო პოტენციალის გამოვლენას, მისი დამოუკიდებელი სამეცნიერო მუშაობის ორგანიზებისა და ჩატარების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, შესწავლილი სფეროს პრობლემების გადაჭრას, ჩატარებული კვლევის შედეგების გამოვლენას, მათ არგუმენტირებას და დასაბუთებული რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავებას.

სამაგისტრო ნაშრომი არის სამეცნიერო შინაარსის მქონე დასკვნითი საკვალიფიკაციო ნაშრომი, რომელსაც ახორციელებს მაგისტრანტი სტუდენტი დამოუკიდებლად, სწავლის დასკვნით ეტაპზე სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად.

სამაგისტრო დისერტაცია განეკუთვნება საგანმანათლებლო და კვლევითი სამუშაოს კატეგორიას, მისი სამეცნიერო დონე უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო პროგრამას. იგი უნდა განსხვავდებოდეს წინა საფეხურის სადიპლომო ნამუშევრისგან თავისი სამეცნიერო ორიენტირებით. მაგისტრი უნდა ფლობდეს ფართო ერუდიციას, ფუნდამენტურ სამეცნიერო ბაზას, სამეცნიერო შემოქმედების მეთოდოლოგიას, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს, სამეცნიერო ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და გამოყენების მეთოდებს, უნდა ჰქონდეს ნაყოფიერი კვლევითი, სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის უნარები.

სამაგისტრო ნაშრომი არის სამეცნიერო შინაარსის საკვალიფიკაციო ნაშრომი, რომელსაც აქვს შინაგანი ერთიანობა და ასახავს არჩეული თემის დამუშავების პროგრესსა და შედეგებს. იგი უნდა შეესაბამებოდეს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე დონეს, ხოლო საკვლევი თემა უნდა იყოს აქტუალური.

სამაგისტრო დისერტაცია წარმოადგენილი უნდა იყოს ისეთი ფორმით, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს, რამდენად სრულად არის ასახული და დასაბუთებული მასში არსებული დებულებები, დასკვნები და რეკომენდაციები, მათი სიახლე და მნიშვნელობა. ნაშრომში მიღებული შედეგების ერთობლიობა უნდა მოწმობდეს მისი ავტორის მიერ პროფესიული საქმიანობის არჩეულ სფეროში სამეცნიერო მუშაობის პირველადი უნარების

არსებობას. სამაგისტრო დისერტაციას აქვს ყველა ის მახასიათებელი, რაც ზოგადად სადისერტაციო ნაშრომებს ახასიათებს, მიუხედავად იმისა, თუ რა სამეცნიერო ხარისხზე აცხადებენ პრეტენზიას მათი ავტორები.

დისერტაცია, როგორც სამეცნიერო ნაშრომი, ძალიან სპეციფიკურია. უპირველეს ყოვლისა, ის განსხვავდება სხვა სამეცნიერო ნაშრომებისგან იმით, რომ ის მეცნიერების სისტემაში ასრულებს საკვალიფიკაციო ფუნქციას, ანუ გულისხმობს მზადებას საჯარო დაცვისა და სამეცნიერო ხარისხის მიღებისთვის. ამ თვალსაზრისით, მისი ავტორის მთავარი ამოცანაა საკუთარი სამეცნიერო კვალიფიკაციის დონის დემონსტრირება და, უპირველესად, დამოუკიდებლად სამეცნიერო მიების წარმართვისა და კონკრეტული სამეცნიერო ამოცანების გადაჭრის უნარის წარმოჩენა.

სამაგისტრო დისერტაცია ამყარებს მიღებულ ინფორმაციას ტექსტური და ილუსტრაციული მასალის სახით, რომელშიც დისერტანტი საკუთარი შეხედულებით ალაგებს დაგროვილ სამეცნიერო ფაქტებს და ამტკიცებს ამა თუ იმ დებულებების სამეცნიერო ღირებულებას ან პრაქტიკულ მნიშვნელობას, რომელიც ეფუძნება არა ავტორიტეტს, ტრადიციას ან რწმენას, არამედ სამეცნიერო საზოგადოებისთვის მისაღები ნორმებისა და კრიტერიუმების ერთობლიობას.

სამაგისტრო დისერტაცია ადეკვატურად ასახავს როგორც ზოგადსამეცნიერო, ასევე სპეციალურ სამეცნიერო ცოდნის მეთოდებს, რომელთა გამოყენების კანონიერება ყოვლისმომცველია და დასაბუთებულია მათი გამოყენების თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში. დისერტაციის შინაარსი ახასიათებს მიღებული შედეგების ორიგინალობას, უნიკალურობას და განუმეორებლობას. შინაარსის საფუძველი არის პრინციპულად ახალი მასალა, რომელიც მოიცავს ახალი ფაქტორების, მოვლენებისა და კანონზომიერებების აღწერას ან სხვა სამეცნიერო პოზიციებიდან, ან ადრე ცნობილი პოზიციების განზოგადებას სრულიად სხვა ასპექტიდან.

დისერტაციის შინაარსი ყველაზე სისტემატიზებული სახით აფიქსირებს როგორც სამეცნიერო კვლევის წინაპირობებს, ასევე მის მთელ მიმდინარეობას და მის მიერ მიღებულ შედეგებს. ამასთან ეს არ არის მხოლოდ სამეცნიერო ფაქტების აღწერა, არამედ მიმდინარეობს ყოვლისმომცველი ანალიზი, იხილება ტიპური სიტუაციები, ალტერნატივები და მათგან ერთ-ერთის არჩევის მიზეზები.

მიუხედავად იმისა, რომ დისერტაცია, როგორც ნებისმიერი სამეცნიერო ნაშრომი, უნდა გამორიცხავდეს შესწავლილი სამეცნიერო ფაქტებისადმი სუბიექტურ მიდგომას, ის მაინც ვერ უვლის გვერდს სუბიექტურ შეხედულებებს, რომლებიც დისერტანტის შემოქმედებითი ინდივიდუალურობითაა განპირობებული, რადგან აქ ყოველთვის ანგარისგასაწევია ისეთი ფაქტები, როგორცაა მაგისტრანტის ცოდნა და პირადი გამოცდილება, შეხედულებები და მიდრეკილებები, რომლებიც განპირობებულია დისერტაციის მომზადების საზოგადოებრივ-ისტორიული პირობებით.

დისერტაცია, რომელიც ყოველთვის ასახავს ერთ კონცეფციას ან ერთ კონკრეტულ თვალსაზრისს, თავიდანვე ჩართულია სამეცნიერო პოლემიკაში და წარმოადგენს ფაქტობრივად დაუსწრებელი სამეცნიერო დისკუსიის ერთ-ერთ მონაწილეს. მისი შინაარსი იძლევა წონად და დამაჯერებელ არგუმენტებს არჩეული კონცეფციის სასარგებლოდ, ყოველმხრივ ანალიზდება და მტკიცებულებით აკრიტიკებს მის საწინააღმდეგო თვალსაზრისებს.

სწორედ აქ ყველაზე სრულად აისახება მეცნიერული შემეცნების ისეთი თვისება, როგორიც არის კრიტიკულობა არსებული შეხედულებებისა და წარმოდგენების მიმართ, რაც ნიშნავს, რომ დისერტაციის შინაარსი ასახავს მის ისეთ თავისებურებას, როგორიც არის მასში დისკუსიული და პოლემიკური მასალის არსებობა.

ეს არის ზოგადად დისერტაციის და, კერძოდ, სამაგისტრო დისერტაციის ძირითადი ტიპოლოგიური მახასიათებლები. იმის გათვალისწინებით, რომ სამაგისტრო საფეხური მხოლოდ პირველი საფეხურია სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-პედაგოგიური



საქმიანობის მიმართულებით, რომელიც დოქტორანტურაში სწავლას და სადოქტორო დისერტაციის მომზადებას უწყობს ხელს, თანამედროვე საქართველოს უმაღლესი სკოლის სისტემაში შესრულებული სამაგისტრო დისერტაცია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სამეცნიერო ნაშრომად ვერ ჩაითვლება, რადგან მაგისტრის ხარისხი არა სამეცნიერო, არამედ აკადემიური ხარისხია, რომელიც ასახავს, უპირველეს ყოვლისა, უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულის განათლების დონეს, რომელიც მოწმობს მასში დამწყები მეცნიერისთვის დამახასიათებელი უნარებისა და ჩვეულების არსებობას.

დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მისაღები დისერტაცია წარმოადგენს სერიოზულ სამეცნიერო-კვლევით ნაშრომს, სამაგისტრო დისერტაცია კი, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევაა, მაინც უნდა მიეკუთვნოს სასწავლო-კვლევითი სამუშაოების ნაწილს, რომელთაც საფუძვლად უდევს უკვე ცნობილი გადაწყვეტილებების მოდელირება. მისი მეცნიერული დონე ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო პროგრამას. ასეთი ნაშრომის შესრულება უნდა იყოს არა იმდენად სამეცნიერო პრობლემების გადაჭრის, არამედ იმის დასტური, რომ მისმა ავტორმა დამოუკიდებლად ისწავლა სამეცნიერო კვლევა, პროფესიული პრობლემების დანახვა და მათი გადაჭრის ყველაზე ზოგადი მეთოდები და ხერხები.

სადოქტორო დისერტაციებთან შედარებით სამაგისტრო ნაშრომი მნიშვნელოვნად განსხვავდება მათგან მომზადებისა და დაცვის პროცედურის მხრივ. თუ სადოქტორო დისერტაციით მიღებული ძირითადი შედეგები უნდა გამოქვეყნდეს სამეცნიერო ჟურნალებში, ეს მოთხოვნა არ არის სავალდებულო სამაგისტრო ნაშრომისთვის.

მნიშვნელოვნად გამარტივებულია სამაგისტრო დისერტაციის საჯარო დაცვის პროცედურა, რომელიც არ საჭიროებს ოფიციალური ოპონენტების დანიშვნას. ასეთი დისერტაცია მხოლოდ სავალდებულო რეცენზირებას ექვემდებარება. ეს არის სამაგისტრო დისერტაციის ძირითადი განსხვავება სადოქტორო დისერტაციისგან, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს განსხვავებები საკმაოდ მნიშვნელოვანია, მათი მომზადების ზოგადი პრინციპები ერთი და იგივეა. ამიტომ მიზანშეწონილია სამაგისტრო დისერტაციის მომზადების მეთოდოლოგიის გააზრება დაიწყოს სამეცნიერო შემოქმედების ზოგადი მეთოდოლოგიით.

## ძირითადი ტექსტი

მაგისტრანტების მომზადება პროგრამით „ბიზნესის ადმინისტრირება“ გვავალდებულებს განვსაზღვროთ:

➤ განვსაზღვროთ, ერთი მხრივ, სამაგისტრო დისერტაციის, როგორც პროგრამის სავალდებულო კომპონენტის, განსხვავება საბაკალავრო საკვალიფიკაციო ნაშრომისაგან და, მეორე მხრივ, სადოქტორო დისერტაციისაგან;

➤ ნათელი წარმოდგენა შევუქმნათ მაგისტრანტებს სამაგისტრო დისერტაციის სტრუქტურაზე;

➤ განვსაზღვროთ დამოუკიდებელი სამეცნიერო ძიების ნიშა.

სავსებით ნათელია, რომ სადოქტორო დისერტაციის შესრულების პრინციპების პირდაპირი გადმოტანა სამაგისტრო დისერტაციის მომზადების დროს მიუღებელია.

სამაგისტრო დისერტაცია განსხვავდება საბაკალავრო საკვალიფიკაციო ნაშრომისგან მასში სამეცნიერო-კვლევითი ელემენტების არსებობით, რომელიც შესაბამისობაშია დისერტაციის თემასთან. იმავდროულად, ის აყალიბებს მაგისტრანტში სადოქტორო თემაზე მუშაობის უნარებს, რომელიც გულისხმობს შემოქმედებით აზროვნებას, სამეცნიერო კვლევების მეთოდების დაუფლებას, მეცნიერების კონკრეტულ სფეროში ცოდნის გაღრმავებასა და გაფართოებას.

სამაგისტრო დისერტაცია უნდა ასახავდეს მაგისტრანტის მიერ ლიტერატურის დამოუკიდებლად მოძიების უნარს, თეორიული და პრაქტიკული ინფორმაციის შერჩევას, სისტემატიზაციას, ანალიზსა და განზოგადებას, მის დაკავშირებას ექსპერიმენტარულ-სამეცნიერო კვლევებთან.

სამაგისტრო დისერტაციის შინაარსსა და გაფორმებას გარკვეული მოთხოვნები განსაზღვრავს. თავდაპირველად იქმნება მისი განხორციელების გეგმა ვადების მითითებით. გეგმა ასახავს დისერტაციის სტრუქტურას, რომლის თითოეული ნაწილი სრულდება სპეციალური მოთხოვნების გათვალისწინებით.

**შესავალს** გააჩნია საკმაოდ რთული სტრუქტურა, რადგან განსაზღვრავს სამეცნიერო კვლევის ლოგიკას და მიმდინარეობას. აქ დასაბუთებული უნდა იყოს არჩეული თემის აქტუალობა, კვლევის ობიექტი და საგანი, კვლევის მიზანი და ამოცანები. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიები დამოკიდებულია არა მხოლოდ დისერტაციის თემაზე, არამედ მაგისტრანტის განზრახვაზე.

**პირველ, თეორიულ თავში** ასახული უნდა იყოს თემასთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვა, თემასთან დაკავშირებული უკვე არსებული თეორიული კვლევის შედეგები, ჩასატარებელი კვლევის მეთოდოლოგიური მიდგომები, მეთოდები, მეთოდოლოგია და ტექნიკა.

**მეორე, ანალიტიკურ თავში** უნდა აღიწეროს კვლევის პროცესი, თემასთან დაკავშირებული პრობლემების წარმოშობის მიზეზები, გამოვლენილი კანონზომიერებები, ტენდენციები, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, განვითარების რეზერვები, კვლევის საგნის ობიექტისა და საგნის სისტემატიზებული მახასიათებლები, გამოყენებული მეთოდების ეფექტურობის შეფასება, ექსპერიმენტის შედეგები, შეთავაზებულია ექსპერიმენტის ჰიპოთეზა და გეგმა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

**მესამე, კონსტრუქციულ თავში** უნდა ჩამოყალიბდეს საკვლევი პრობლემის გადაწყვეტის ახალი მეთოდოლოგია და მეთოდები, მიღებული შედეგები, აღიწეროს ტექნოლოგიები, აგრეთვე არგუმენტირებულად უნდა დასაბუთდეს კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული დებულებების სიახლე.

**დასკვნაში** უნდა განისაზღვროს მიღებული შედეგების გამოყენების სფერო და დასაბუთდეს ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები.

შესაძლებელია სამეცნიერო კვლევის მთელი მიმდინარეობის წარმოდგენა ლოგიკური თანმიმდევრობით: არჩეული თემის აქტუალობის დასაბუთება, კვლევის ობიექტისა და საგნის განსაზღვრა, კვლევის მიზნისა და კონკრეტული ამოცანების დასახვა, კვლევის ჩატარების მეთოდის (მეთოდოლოგიის) განსაზღვრა, კვლევის პროცესის აღწერა, მიღებული შედეგების შეფასება და დასკვნის ფორმულირება.

**არჩეული თემის აქტუალობის დასაბუთება** ნებისმიერი კვლევის საწყისი ეტაპია. ნებისმიერ საკვალიფიკაციო ნაშრომში კვლევის აქტუალობის დასაბუთების უნარი არის მაგისტრანტის პროფესიული მომზადებისა და სამეცნიერო სიმწიფის მახასიათებელი. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია იმ სისტემის (დარგი, საწარმო, ბაზრის სეგმენტი, ინფრასტრუქტურის ელემენტი და ა.შ.) კონკრეტიზაცია, სადაც წარმოიქმნება პრობლემა. შემდეგ პრობლემის ზუსტი ფორმულირება, მისი მდგომარეობის განსაზღვრა, კვლევების ჩატარების არგუმენტირება და პრობლემის გადაწყვეტის მიმართულების განსაზღვრა (მეთოდოლოგიის, მიდგომის, კონცეფციის შემუშავება).

**კვლევის ობიექტი** არის ობიექტური რეალობა, რომელიც განიხილება როგორც სისტემა. სისტემა არის განსაკუთრებული მთლიანობა და ხასიათდება მრავალი ურთიერთდაკავშირებული ელემენტით, რომლებიც მოწესრიგებული არიან ერთიანი მიზნის მისაღწევად. სისტემა სტრუქტურიზებულია და გააჩნია მართვის მექანიზმი. ობიექტის სისტემური წარმოდგენა კვლევის პროცესში მთლიანიდან ნაწილზე და პირიქით გადასვლის საშუალებას იძლევა. სისტემის ელემენტებს შორის არსებობს სხვადასხვა კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება. მართველობითი ზემოქმედების შედეგად ხდება სისტემის რომელიმე ელემენტის ცვლილება, რომელიც, თავის მხრივ, იწვევს რეაქციას მთლიანად სისტემაში, ე.ი. ე.წ. შინაგან სისტემურ ეფექტს.

ობიექტი წარმოადგენს პრობლემის მატარებელს, რომელიც წარმოიქმნება შინაგანი და გარეგანი ფაქტორებით და უარყოფით ან დადებით გავლენას ახდენს ობიექტის

მდგომარეობაზე. ამის გამო, არსებობს პრობლემის განსაზღვრისა და განხილვის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოვლენის, ობიექტის სასურველ მდგომარეობაში მოყვანის აუცილებლობა. პრობლემის გადაჭრისთვის აუცილებელია მისი წარმოშობის მიზეზების იდენტიფიცირება, კერძოდ, ელემენტებს შორის კავშირის დარღვევა, მათი თვისებების დაკარგვა, მათ ურთიერთქმედებებში წინააღმდეგობების წარმოშობა და ა.შ. შესაბამისად სამეცნიერო კვლევის პროცესში ობიექტის გარდა განხილვა კვლევის საგანი.

**კვლევის საგანი** ობიექტის მდგომარეობისა და განვითარების ისეთი ასპექტია (თეორიული, მეთოდოლოგიური, პრაქტიკული, მართვლობითი, ორგანიზაციული და ა.შ.), რომლის კვლევისა და შესწავლის შედეგები, ხელს უწყობს ობიექტის პრობლემის გადაწყვეტას. საგნობრივი კვლევა სისტემის დანაწევრებისა და პრობლემური ელემენტების, თვისებების, ფუნქციების გამოყოფის საშუალებას იძლევა, რაც თავის მხრივ მათი დეტალური და სიღმისეული შესწავლის საფუძველია. კვლევის საგანი განსაზღვრავს სამაგისტრო დისერტაციის თემას.

**კვლევის მიზნისა და კონკრეტული ამოცანების დასახვა** სამაგისტრო დისერტაციის მნიშვნელოვანი ეტაპია. მიზანი არის საბოლოო შედეგი, რომლის მიღწევაც სურს მკვლევარს. ამოცანები, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად, ყალიბდება ჩამონათვალის სახით (აღვწეროთ..., შევისწავლოთ..., დავადგინოთ..., გავარკვიოთ.. და ა.შ.). ამოცანების ფორმულირება უნდა მოხდეს გულდასმით, რადგან მათი გადაწყვეტის გზების აღწერა წარმოადგენს სამაგისტრო დისერტაციის თავების შინაარსს. თავების დასახელებაც სწორედ ჩასატარებელი კვლევების ამოცანების ფორმულირების საფუძველზე იბადება. დებულებებისა და მიგნებების რაოდენობა, რომელიც ნაშრომის დაცვაზეა წარმოდგენილი, როგორც წესი, ემთხვევა დასმული ამოცანების რაოდენობას.

**კვლევის ჩატარების მეთოდის (მეთოდიკის) განსაზღვრა** დასახული მიზნის მიღწევის აუცილებელი პირობაა, რადგან მეთოდები წარმოადგენს პრობლემის გადაჭრისთვის აუცილებელი ფაქტობრივი მასალის მოპოვების ინსტრუმენტს. სისტემური მიდგომა გულისხმობს არსებული სამეცნიერო სკოლების მეთოდოლოგიური ბაზის კომპლექსურ შესწავლას, რაც აუცილებელია კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად არჩეული მეთოდების მიზანშეწონილობის დასასაბუთებლად.

საგანი, მიზნები, ამოცანები და კვლევის მეთოდები ერთობლობაში ქმნის კვლევის აპარატს, რომელიც სამაგისტრო დისერტაციის მთავარ ნაწილზე – კვლევის პროცესის აღწერაზე გადასვლის საშუალებას იძლევა. აქ ხდება კვლევის მეთოდისა და მეთოდიკის განხილვა, რომელიც ეფუძნება მათემატიკურ, ლოგიკურ, სტატისტიკურ, მორფოლოგიურ და სხვა წესებსა და კანონებს, რაც მთავრდება მიღებული შედეგების განზოგადებით. სამაგისტრო დისერტაციის თავების დასახელებები ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს საკვლევ თემას და ბოლომდე უნდა ხსნიდეს მის არსს.

**მიღებული შედეგების შეფასება და დასკვნების ფორმულირება** სამეცნიერო კვლევის დასკვნითი ეტაპია, რომელიც შეიცავს იმ არსებით სიახლეებს, რაც მოცემულია ჩატარებული კვლევის შედეგად ჩამოყალიბებულ წინადადებებსა და რეკომენდაციებში. აქვე უნდა იყოს დასაბუთებული ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

სამეცნიერო სიახლის ზოგადი ფორმულირება შედგება მაგისტრანტის მიერ მიღებული სიახლეებისგან და მიგნებებისგან, რომელიც გატანილი უნდა იქნეს ნაშრომის დაცვაზე.

## **დასკვნა**

მაგისტრი უნდა ფლობდეს ფართო ერუდიციას და ფუნდამენტურ სამეცნიერო ბაზას, სამეცნიერო შემოქმედების მეთოდოლოგიას, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს, სამეცნიერო ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და გამოყენების მეთოდებს, ჰქონდეს ნაყოფიერი კვლევითი, სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის უნარი.

სამაგისტრო ნაშრომში მიღებული შედეგების ერთობლიობა უნდა მოწმობდეს, რომ მის ავტორს აქვს არჩეულ სფეროში კვლევითი საქმიანობის საწყისი უნარები.

სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეიცავდეს ავტორის მიერ დასაცავად წარმოდგენილ შედეგებსა და სამეცნიერო დებულებებს, ჰქონდეს შინაგანი ერთიანობა, მოწმობდეს ავტორის უნარზე, დამოუკიდებლად აწარმოოს სამეცნიერო ძიება თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გამოყენებით, დაინახოს პროფესიული პრობლემები, იცოდეს პრობლემების გადაჭრის მეთოდები და ტექნიკა.

სამაგისტრო დისერტაციის მომზადება რთული შემოქმედებითი პროცესია. დისერტაციაზე მუშაობის დაწყებისას მაგისტრანტს, როგორც წესი, მიახლოებით ესმის კვლევის შედეგი და სამუშაოს თანმიმდევრობა. ამ თვალსაზრისით, დამწყები მკვლევრისთვის მნიშვნელოვანია დისერტაციის, როგორც საკვალიფიკაციო ნაშრომის მოთხოვნების მკაფიო და ცალსახა გაგება, ცოდნა სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიის, შემოქმედებითი პროცესის ეტაპებისა და პროცედურების შესახებ.

მაგისტრატურის სტუდენტებთან მუშაობის პრაქტიკა აჩვენებს, რომ დამწყებ მკვლევრებს ყველაზე მეტად უჭირთ სამეცნიერო საქმიანობის პირველი ნაბიჯების გადადგმისას მეთოდოლოგიური ხასიათის საკითხების გააზრება, რაც კარგად აიხსნება კვლევების ჩატარების გამოცდილების ნაკლებობით.

#### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Emma Bell, Alan Bryman, Bill Harley 2022, Business Research Methods, Oxford University Press
2. John Biggam, 2008, Succeeding with Your Master's Dissertation, Open University Press
3. Patricia Gosling · Bart Noordam 2022, Mastering Your PhD Survival and Success in the Doctoral Years and Beyond, Springer Nature Switzerland AG
4. Chris Hart, 2019, Doing Your Masters Dissertation, SAGE Publications
5. Estelle M. Phillips , Colin G. Johnson, 2022, How to get a PhD A handbook for students and their supervisors , Open University Press

*Merab Mikelashvili*

### **MBA THESIS PREPARATION/DISSERTATION ASPECTS**

#### **Abstract**

The Georgian Educational System is facing the need of Master level education stated by the Bologna Declaration. For more than a decade, Georgia has had the standard Bachelor-Master-Doctor system. Gained experience shows the need to revise the principles of Masters programs, because the main task is to create qualified scientific and entrepreneurial professionals. Creating a master dissertation (thesis) is one of the most important stages, which should be an output of independent and discrete scientific research.

The word dissertation is derived from Latin Dissertatio, which means discussion, research. A Master thesis is a concrete sort of dissertation; Master's degree is not scientific, it is academic and is the pre-step of Doctor's degree.

Masters research aims to unleash the scientific potential of the candidate, help develop individual scientific organizing skills, problem-solving skills, research data analysis, argumentation and recommending skills.

Master thesis is a scientific conclusion document, which is created by the candidate along with his/her scientific lead.

The Master's thesis belongs to a research type of work category and its scientific level should be corresponding with the learning program. It should be different from the prior level diploma work by the focus on the scientific orientation. One with the Master's degree should possess wide erudition, fundamental scientific base, methodologies of scientific creation, modern information technologies, methods of gathering and processing scientific information, skills of research and academic work.

The Master's thesis is a scientific qualification work, which has an inner unity and represents the results of the chosen topic. It should correspond with modern levels of science and technology development and the topic should be relevant and actual.

The Master's thesis should be represented in a way that gives possibility to be assessed in a thorough way - how are the provisions, conclusions and recommendations justified, how new and relevant are they.

Dissertation, as a scientific work, is very specific. First of all, it is different from other scientific works with its role - having a qualifying function in the scientific system, preparing for presenting in public and

gaining a scientific degree. In this way, the main goal of the author is to demonstrate his/her qualification level and skills of solving several scientific problems.

The Master's thesis contains textual and visual works, where the dissertant gathers and proves scientific facts and their practical values, which is based not on the authority, tradition or belief, but on the unity of accepted norms of the scientific society.

The Master's dissertation adequately represents both - general scientific and specific science methods, usage of which is legal in every part of the flow. The content of the work assesses the originality and uniqueness of the results. The base of the content is basically new materials, which describes new factors, events and regularities. Dissertation content shows the prerequisites of scientific research, the whole flow of it and the results gathered. It is not just a description of scientific facts, but a thorough analysis of the thesis subject.

Despite the fact that the dissertation as any scientific work should exclude subjective approach to the scientific facts, often it cannot bypass subjective moments, which are derived by the creative individuality of the authors.

A Dissertation, which represents one concept or one concrete point of view, is involved in the scientific controversy and has the role of the member of the discussion. Its content is giving the arguments in favor of the selected concept, is analyzed thoroughly and is criticizing the opposite views.

These are the main characteristics of the master's thesis. Considering that it is just a first degree among scientific-research degrees, which helps to learn on Doctorate levels, masters dissertation created in modern Georgian high-school system cannot be perceived as a full scientific work, because Master's degree is an academic and not a scientific degree; and Academic degree represents education levels of the author, which states how he/she has developed the skills of a beginner scientist.

There's a big difference between Doctor's thesis and Master's thesis; Master's thesis is an independent scientific research, which should belong to learning-research works, which are based on remodeling already stated conclusions. Scientific levels of it should be corresponding with the learning program. This document should state that the author has created it individually.

Compared with Doctorate dissertations, a Master's thesis has important differences in the process of preparation and the process of gaining the degree. Master's degree doesn't have to be published in scientific magazines.

The process of gaining the Master's degree publicly has become easier, which doesn't include the opponents on the go. This dissertation is a subject to the mandatory review. This is the main difference between a Master's and a Doctorate thesis, but they both have similar preparation principles. Therefore, it is recommended to understand the methodology of scientific dissertation with general scientific methodologies.

**Keywords:** *Master's Thesis, Master's degree, research, scientific-research works.*

*ილია (აზიკო) სისვაძე*

**საქართველოს საგადასახადო სისტემის რადიკალური რეფორმის  
თეორიული და მეთოდოლოგიურ-მეთოდური პრობლემები  
სოციალური ეკონომიკის პირობებში**

**ანოტაცია.** ნაშრომთა ციკლს, სადაც გამოკვლეულია საქართველოს საგადასახადო სისტემის რადიკალური რეფორმირების პრობლემები სოციალურ ეკონომიკის პირობებში. მასში ლოგიკური თანმიმდევრობით განიხილება: სოციალური ეკონომიკის საგადასახადო რეგულირების კონცეპტუალური საფუძვლები, ცალკეული გადასახადების სრული ფუნქციონალიზაცია მაკროეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებითა და სოციალური და ეკონომიკურ-მარეგულირებელი როლის მინიჭებით, ბიზნესის ცალკეული მასშტაბური ფორმებისათვის, საგადასახადო ტვირთის ოპტიმიზაცია ახალი მიდგომების საფუძველზე, გადასახადების განაკვეთების კერძო ოპტიმიზაციის ავტორისეული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი და სხვა.

## ნაწილი 1. სოციალური ეკონომიკის საგადასახადო რეგულირების კონცეპტუალური საფუძვლები

**ანოტაცია:** ნაშრომთა ციკლის ამ ნაწილში გამოკვლეულია გადასახადის კატეგორიის სოციალურ-ეკონომიკური არსი და შესაბამისი სისტემის რადიკალური რეფორმის ძირითადი მიმართულებები სოციალური ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ გადასახადი არის სახელმწიფო ბიუჯეტში არა იძულებითი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ფულადი შენატანი, როგორც ეს საყოველთაოდაა მიღებული, არამედ იგი ასახავს სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივი დოვლათის მიმწოდებელი მეწარმის და ეკონომიკური უნარის მფლობელი ბიზნესპარტნიორის კუთვნილი შემოსავლების მოძრაობას სახელმწიფოს საბიუჯეტო ფულადი ფონდებისაკენ. ამ პარადიგმიდან და არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე საბუთდება დაბეგვრის სისტემის სრული ფუნქციონალიზაციის — გადასახადებისათვის ტრადიციულთან ერთად სოციალური და ეკონომიკურ-მარეგულირებელი ფუნქციების მინიჭების აუცილებლობა მაკროეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, რაც სიღრმისეული სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებელ პირობებს შექმნის.

**საკვანძო სიტყვები:** გადასახადი სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივი დოვლათის მიმწოდებელი მეწარმის და ეკონომიკური უნარის მფლობელი ბიზნესპარტნიორის კუთვნილი შემოსავალი, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კაპიტულაციის აქტი, ეკონომიკის საგადასახადო რეგულირება, საგადასახადო სისტემის სრული ფუნქციონალიზაცია სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით.

### შინაარსი

1. გადასახადები, როგორც სოციალური ეკონომიკის რეგულირების ძირითადი ინსტრუმენტი.
2. გადასახადების კატეგორიის თანამედროვე ალტერნატიული გააზრება.
3. საგადასახადო ურთიერთობათა ჰარმონიზაცია.
4. საგადასახადო სისტემის სრული ფუნქციონალიზაცია და სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები.  
ძირითადი დასკვნები და სამეცნიერო სიახლეები.

### 1. გადასახადები, როგორც სოციალური ეკონომიკის რეგულირების ძირითადი ინსტრუმენტი

თანამედროვე სოციალური სახელმწიფოები, მათი სოციალიზაციის სიღრმისა და ხარისხის შესაბამისად, ამა თუ იმ ზომით იყენებენ ეროვნული მეურნეობის რეგულირების ყველა მეთოდს — ეკონომიკურს, სამართლებრივს და ადმინისტრაციულს, რომელთაგან უპირატესობა ეკონომიკურს ენიჭება. მათ შორის განსაკუთრებით საკამათოა პრობლემა მონეტარული (ფულად-საკრედიტო) თუ ფისკალური (საგადასახადო-საბიუჯეტო) ინსტრუმენტის არჩევის მიზანშეწონილობის შესახებ. ის ეკონომისტები და პოლიტიკოსები, რომლებიც თვლიან, რომ სახელმწიფო ეკონომიკაში ნაკლებად უნდა ერეოდეს, მხარს უჭერს მონეტარულ ინსტრუმენტებს, ხოლო აქტიური ჩარევის მომხრეთა მტკიცებით, რეგულირების ფისკალური ინსტრუმენტები გაცილებით შედეგიანია, რამდენადაც მისი საშუალებით შესაძლებელია, როგორც მთლიან ეკონომიკაზე გაცილებით ეფექტიანი მარეგულირებელი ზემოქმედება, ისე რამდენიმე კონკრეტული მაკროეკონომიკური მიზნის მიღწევა ან წერტილოვანი ჩარევა, რაც მონეტარული მეთოდებით ვერ ხერხდება.

ამჟამად საქართველოს ეკონომიკა ძირითადად რეგულირდება ეროვნული ბანკის მონეტარული ინსტრუმენტებით, თუმცა შეზღუდული ზომით და სერიოზული ხარვეზებით. იგი ორიენტირებულია ფულის მასის **თარგეთირების** გზით უპირატესად ინფლაციის მიზნობრივი დონის შენარჩუნებაზე და ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის ტემპის

რეგულირებას, ეროვნული ვალუტის კურსის მყარ სტაბილურობას და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მიზნების მიღწევას. ასევე ამ პოლიტიკით შეუძლებელია დადგინდეს, თუ სად უნდა გადიოდეს ზღვარი ინფლაციის მისაღებ დონესა და ეკონომიკური ზრდის სასურველ ტემპს, ინფლაციასა და უმუშევრობას შორის და სხვა.

ეკონომიკის მეცნიერებაში მიჩნეულია, რომ ფისკალური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას ქმნის საგადასახადო ტვირთის, დაბეგვრის განაკვეთების და საბიუჯეტო ხარჯების მჭიდრო კავშირი ერთობლივ მოთხოვნასთან, რადგან ეს უკანასკნელი უშუალოდ განსაზღვრავს ისეთ ფუნდამენტურ მაკროეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს, როგორცაა ფასების დონე, ინფლაცია, წარმოების ფაქტორების დატვირთვა, მშპ-ის მოცულობა, ეკონომიკური ზრდის ტემპი, მაკროეკონომიკური წონასწორობა, ეფექტიანობა და სხვა. ამასთან, ითვლება რომ, თუ მონეტარული პოლიტიკა ერთობლივ მიწოდებაზე ზემოქმედების ინსტრუმენტს წარმოადგენს, ფისკალური პოლიტიკა, მათ შორის საგადასახადო, ერთობლივი მოთხოვნის რეგულირების საშუალებაა. შესაბამისად, ჩვენი აზრით, ეკონომიკური პოლიტიკის ეს ორი უმძლავრესი ბერკეტი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად კი არ უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც ეს ჩვენთან ხდება, არამედ მათი გონივრული შეხამების პირობებში გაცილებით შთამბეჭდავი ეფექტის მიიღება შესაძლებელი. უფრო მეტიც, მათ ცალ-ცალკე გამოყენებას, განსაკუთრებით კი მონეტარული პოლიტიკისა, შესაძლოა შედეგად მოჰყვეს ერთობლივი მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის დარღვევა, აქედან გამომდინარე მწვავე კრიზისული მოვლენებითა და დანაკარგებით.

ამჟამად საქართველოს ხელისუფლება ფისკალური პოლიტიკის მიმართულებებიდან შეზღუდული ზომით უპირატესად საბიუჯეტო რეგულირების ინსტრუმენტს იყენებს, ხოლო საგადასახადო ინსტრუმენტის ეკონომიკურ-მარეგულირებელი და სოციალური ფუნქციები დიდწილად უგულებელყოფილია. ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც განვითარებული ქვეყნების წარმატებები დიდწილად მის დამსახურებას შეადგენს. აქედან გამომდინარე, ამ ინსტრუმენტის საფუძვლიანი კრიტიკული ანალიზი და გამოყენების შესაძლებლობათა კვლევა ჩვენი რეალობის გათვალისწინებით საგანგებო ყურადღებას საჭიროებს.

პირველ რიგში დასაზუსტებელია მყარად დამკვიდრებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ თითქოს საგადასახადო პოლიტიკა მხოლოდ ერთობლივ მოთხოვნას განსაზღვრავს. რეალურად გადასახადები ერთობლივ მიწოდებაზეც ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას, როგორც მასტიმულირებელი, ისე შემაკავებელი ეფექტით, შემდეგ გარემოებათა გამო: **პირველი**, რამდენადაც მოგება წარმოადგენს ინვესტირების ძირითად შიდა წყაროს და ეკონომიკის სხვა დარგებიდან საწარმოო რესურსების გადმოდინების მოტივაციის ან პირიქით, გადინების ძირითად ფაქტორს, ამდენად შესაბამისი გადასახადი გვევლინება წარმოებასა და ერთობლივ მიწოდებაზე ზემოქმედების ეფექტურ საშუალებად; **მეორე**, ერთობლივ მიწოდებას განსაზღვრავენ ირიბი გადასახადებიც — დღგ, აქციზი, საბაჟო. კერძოდ, მათი გადიდებით, იზრდება ფასები და შესაბამისად, ბიზნესის მატერიალურ-ტექნიკური ხარჯები, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, ამცირებს მოგებას, აქვეითებს საინვესტიციო პოტენციალს და ამდენად, მიწოდებასაც. ამ გადასახადების შემცირების პირობებში კი პროცესი საპირისპირო მიმართულებით იგივე თანმიმდევრობით ვითარდება — ერთობლივი მიწოდება იზრდება შესაბამისი შედეგებით. აქედან გამომდინარე: **ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების პროცესში საგადასახადო ინსტრუმენტი გაცილებით შედეგიანია, ვიდრე მხოლოდ მონეტარული, რადგან გადასახადების განაკვეთების ცვლილებით შესაძლებელია როგორც ერთობლივ მოთხოვნაზე, ისე ერთობლივ მიწოდებაზე ზემოქმედება და ამ გზით მრავალმიზნობრივი ან წერტილოვანი ძვრების გამოწვევა თანაც ისე, რომ მაკროეკონომიკური წონასწორობა არ ირღვევა.**

ამდენად, სახელმწიფოს ხელში მოქნილი და მობილური გადასახადები ის უმძლავრესი უხილავი ბერკეტია, რომლითაც დასახულ სტრატეგიულ მიზანთან უმოკლეს

ვადამი მისვლა და კრიზისულ სიტუაციებში ეკონომიკის უაღრესად ეფექტური რეგულირებაა შესაძლებელი.

ასევე, სადისკუსიოა საკითხი, საგადასახადო რეგულირების **დისკრეციული თუ არადისკრეციული ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებით**, რომელთაგან თითოეულის თავისი ღირსებები და ნაკლოვანებები გააჩნია. დისკრეციული საგადასახადო პოლიტიკის პირობებში საგადასახადო კანონმდებლობა, მათ შორის, ცალკეული გადასახადების განაკვეთები კორექტირდება ეკონომიკური ვითარების ცვლილებასთან დაკავშირებით, შესაბამისი სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური უწყების გადაწყვეტილებით პარლამენტის მიერ დამტკიცების შემდეგ. მისი გამოყენება მიზანშეწონილია იმ დარგებში, საქონელსა და პროცესებზე, რომელთა დროითი ცვლილებები არ ექვემდებარება რაიმე კანონზომიერებებს, ხასიათდებიან განუჭვრეტელობით და ამდენად, მათი წინასწარ გათვალისწინება ვერ ხერხდება. ასეთია იმ საქონელთა ფასები, რომლებიც უმართავ საერთაშორისო საბაზრო კონიუნქტურაზეა დამოკიდებული. რეგულირების ამ ფორმის ღირსებას შეადგენს ცვალებად ეკონომიკურ პროცესებზე ოპერატიული რეაგირების შესაძლებლობა, თუმცა გააჩნია სერიოზული ნაკლოვანებებიც: **პირველი**, ბიუროკრატიული მიზეზებით გადაწყვეტილების მიღების იმდენად დაყოვნება, რომ შესაძლოა პროცესები უმართავი გახდეს; **მეორე**, არსებობს ობიექტური ვითარების გაუთვალისწინებლად მცდარი სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების რისკი; **მესამე**, არაა გამორიცხული სახელმწიფოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ ცალკეული გავლენიანი ბიზნესსუბიექტების უკანონო ლობირების საშიშროება. შესაბამისად, დისკრეციული პოლიტიკის სრული მარეგულირებელი ეფექტის მისაღწევად იგი უნდა გახდეს მაქსიმალურად ოპერატიული და კერძო გავლენებისაგან სრულიად თავისუფალი.

არადისკრეციული პოლიტიკა გამორიცხავს აღნიშნულ რისკებს, რომლის პირობებში ეკონომიკა რეგულირდება ავტომატურად ე. წ. „ჩაშენებული სტაბილიზატორების“ – პროგრესიული ან რეგრესიული საგადასახადო განაკვეთების საშუალებით, რომლებიც ცვალებად სამეურნეო გარემოში ბიუროკრატიული ბარიერებისა და მნიშვნელოვანი დროითი დაყოვნების გარეშე უზრუნველყოფენ არა მარტო გადასახადების ფუნქციების უაღრესად ეფექტურ განხორციელებას, არამედ სტაბილური საბიუჯეტო შემოსავლების მიღებას. პროგრესიული განაკვეთები განსაკუთრებულად შედეგიანია ეკონომიკური ციკლების გასანეიტრალებლად. აღმავლობის ფაზაში წარმოების მოცულობის, შესაბამისად კი გადამხდელთა შემოსავლების და მოგების ზრდასთან ერთად ავტომატურად მატულობს გადასახადის განაკვეთები და ოდენობა, რაც აფერხებს ჭარბ ეკონომიკურ ზრდას, ანელებს ინფლაციას და ამ გზით ხელს უშლის „ეკონომიკის გადახურებას“. დაქვეითების ფაზაში კი შემოსავლების შემცირების პარალელურად ასევე იკლებს გადასახადებიც, რაც ამსუბუქებს კრიზისს, ამოკლებს ეკონომიკური ვარდნის სიღრმეს, „ათბობს“ გაციებულ ბიზნესგარემოს და ახალი ეკონომიკური აღმავლობის მოტივაციას ახდენს.

რეგრესიული საგადასახადო განაკვეთების გამოყენება მიზანშეწონილად მიგვაჩნია იმ საქონელთა ფასების სტაბილიზაციის მიზნით, რომლებიც: **ჯერ ერთი**, დამოკიდებული არიან ცვალებად და უმართავ საერთაშორისო საბაზრო კონიუნქტურაზე, რის გამოც მათ მიმართ დისკრეციული პოლიტიკა ნაკლებად ეფექტიანია; **მეორე**, ნაკლებად ექვემდებარებიან ეკონომიკის ციკლური განვითარების ზემოქმედებას; **მესამე**, საგრძნობ გავლენას ახდენენ ეროვნულ მეურნეობაზე და მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. საქონელთა ამ კატეგორიას მიეკუთვნება პირველადი მოხმარების საგნები (მაგალითად შაქარი, ხორბალი, პურპროდუქტები, ბავშვთა კვების პროდუქტები და სხვა), რომელთა ფასები აღნიშნულ ფაქტორთან ერთად დიდ ნაწილში საბაჟო და აქციზის გადასახადებზეცაა დამოკიდებული. ამ შემთხვევაში საერთაშორისო ფასის ზრდის პირობებში რეგრესიული განაკვეთის გამოყენება ადგილობრივ ბაზარზე ამ პროდუქტების ფასების ზრდას შეაფერხებს, ხოლო შემცირებისას მომატებული განაკვეთები ხელს შეუშლის ადგილობრივი ფასის მკვეთრ დაცემას და საბიუჯეტო შემოსავლის კლებას. ამდენად, რეგრესიულ განაკვეთებზე დამყარებული



ჩაშენებული სტაბილიზატორის პოლიტიკა ორმაგი შედეგის მომტანია – უზრუნველყოფს, როგორც ფასების და ეკონომიკის, ისე მოსახლეობის ცხოვრების დონის და საბიუჯეტო შემოსავლების მდგრადობას.

## 2. გადასახადის კატეგორიის თანამედროვე ალტერნატიული გააზრება

ამჟამად მსოფლიო ეკონომიკაში ნაკლებად მოიძებნება სხვა უფრო მწვავე პრობლემა, რომელიც ინტერესთა ისეთ დაპირისპირებას იწვევს, როგორც გადასახადების გარშემო ხდება. იმ ობიექტურ ჭეშმარიტებას, რომ გადასახადი სახელმწიფოს განუყოფელი ატრიბუტი და მისი არსებობის ფინანსური საფუძველია, არავინ უარყოფს, მაგრამ დღემდე გრძელდება სახელმწიფოსა და გადამხდელებს, ასევე სხვადასხვა მსოფლმხედველობის პოლიტიკოსებსა და ეკონომისტებს შორის ოდინდელი დავა გადასახადების რაობის და ოდენობის შესახებ. ეს საკვებით ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქმე შეეხება სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ მოწყობას და შექმნილი ეროვნული შემოსავლის ლომის წილის გაყოფას სახელმწიფოსა და გადამხდელებს შორის. ეს უკანასკნელები, როგორც წესი, გადასახადების შემცირებით არიან დაინტერესებული და ამასთან, მისი ამოღების იმულებითი ფორმა აღელვებთ, ხოლო სახელმწიფო, მონოპოლიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველთვის ცდილობდა გადასახადების გადიდებას დაკისრებული ფუნქციების უკეთ აღსრულების მიზნით. ამ პირობებში იმის გასარკვევად, თუ რომელი მხარეა მართალი ამ დაუსრულებელ პაექრობაში, უპირველესად გადასახადების არსში ჩადრმავებაა საჭირო, რასაც იმავდროულად, ყოველმხრივ დასაბუთებული საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისათვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. აქ ვგულისხმობთ ჯერ ერთი, საგადასახადო ურთიერთობათა ჰარმონიზაციას და მეორე, გადასახადებისათვის სოციალური და ეკონომიკურ-მარეგულირებელი ფუნქციების სრულად მინიჭებას – მის ფუნქციონალიზაციასა და ოპტიმიზაციას, რაც საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმრავლესობისაგან განსხვავებით, საქართველოში უგულვებლყოფილია ბიზნესისათვის თავისუფლების მინიჭების მოტივით, როგორც ეკონომიკურ წარმატებათა პანაცეისა.

შესაბამისად, ამჟამად მოქმედ საგადასახადო სისტემას საფუძვლად უდევს ლიბერტალიანული სრული სამეწარმეო თავისუფლების იდეა და ა. სმითისეული XVIII საუკუნის მორალურად გაცვეთილი დაბეგვრის პრინციპები, რომლისთვისაც გადასახადის განაკვეთები ერთგვაროვანია ეკონომიკის როგორც ვერტიკალურ, ისე ჰორიზონტალურ ჭრილში. ამის გამო მეწარმეობის ყველა ფორმა და ეკონომიკის დარგი, მათი ეკონომიკური პრიორიტეტულობის, სოციალური დანიშნულების, მონოპოლიური მდგომარეობის და რენტაბელობის ბუნებრივი დონის მიუხედავად, სრულიად თანაბარ საგადასახადო პირობებშია ჩაყენებული. ასევე არ გაითვალისწინება სტრატეგიული სოციალურ-ეკონომიკური მიზნები, გამორიცხულია ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და წამყვანი დარგების, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, წარმოების ეფექტიანობისა და ეკონომიკური ზრდის მოტივაციის შესაძლებლობა. ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც თანამედროვე წარმატებული სოციალური სახელმწიფოები გადასახადებს ფუნდამენტური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითად ინსტრუმენტად იყენებენ.

შესაბამისად, თანამედროვე მსოფლიოში აბსოლუტამდე აყვანილი სამეწარმეო თავისუფლების იდეა მოძველებულადაა მიჩნეული. წარსულში, კერძოდ XVIII-XIX და მომდევნო XX საუკუნის ოცდაათიან წლებამდე, მისი პრაქტიკული რეალიზაციის შედეგი იყო ჯუნგლის კანონებზე დამყარებული მტაცებლური ველური კაპიტალიზმის ჩამოყალიბება, დაქირავებული მუშახელის შეუზღუდავი ამორალური ექსპლუატაცია, ქონებრივი უთანასწორობის უკიდურესი გამწვავება, სისხლიანი რევოლუციები და ამ ფონზე მარქსისტულ-ლენინურ-სტალინური დესპოტური მსოფლიო სოციალისტური სისტემის წარმოშობა,

რომელიც შემდეგ კიდევ უფრო სასტიკი და სისხლიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური კატაკლიზმების მიზეზად იქცა.

სოციალური და ეკონომიკურ-მარეგულირებელი ფუნქციებისაგან დაცლილი ლიბერალურ-გამთანაბრებლობითი საგადასახადო სისტემა საქართველოს დღემდე შემორჩა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან, როდესაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა განხორციელდა ე. წ. „შოკური თერაპიის“ მეთოდით, რაც გულისხმობდა ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკაზე მყისიერ, უაღრესად მტკივნეულ გადასვლას და ყველა ბიზნესსუბიექტის თანაბარ პირობებში ჩაყენებას. ამ დროიდან ხელისუფლებაში მოსულმა სამთავრობო გუნდებმა ამ მანკიერი საგადასახადო სისტემის შენარჩუნების მოტივად მიიჩნიეს თითქოსდა მისი სამართლიანობა, ბიზნესის ყველა ფორმის თანასწორუფლებიანობა, ეკონომიკური თავისუფლება და აქედან გამომდინარე, მათი აზრით, მისი აღმშენებლობითი უნარი. მაგრამ ვერ გაითვალისწინეს მსოფლიო ისტორიული გამოცდილება, რომლის თანახმად სრულ სამეწარმეო თავისუფლებას ცენტრალიზებულიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში მხოლოდ მოკლევადიანი აღმავლობა მოჰყვება, ხოლო მისი გრძელვადიანი გარდაუვალი შედეგი სტაგნაცია და გაღრმავებულ-გაჭიანურებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისია შესაბამისი მწვავე პოლიტიკური შედეგებით. გარდა ამისა, საგადასახადო სისტემა უკვე უსამართლო და დეფექტურია, როდესაც განსხვავებული ფინანსური, ეკონომიკური და ტექნიკური შესაძლებლობის მქონე მცირე, საშუალო, მსხვილი და მონოპოლიური ბიზნესი ან პრიორიტეტული და პერსპექტიული, მაგრამ მიმდინარე პერიოდში ნაკლებად მომგებიანი, ხოლო დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის ზერენტაბელური დარგები ერთიდაიმავე განაკვეთებით იბეგრება.

აღნიშნულ გარემოებათა გამო, გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ უარი თქვა გამთანაბრებლობით საგადასახადო სისტემაზე დაფუძნებულ სრულ სამეწარმეო თავისუფლებაზე და რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე გადავიდა (დაბეგერის გამთანაბრებლობით სისტემას ს. გოდარი, ტ. ხუნდაძე და ა. ტრუგერი ბრტყელ საგადასახადო სისტემასაც უწოდებენ [<https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/15111>, გვ. 6]). მისი საფუძველი გახდა გადასახადების სოციალური და ეკონომიკურ-მარეგულირებელი ფუნქციები – სოციალური, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და მოტივაციის, რესურსების ოპტიმალური გადანაწილების, საინვესტიციო კონკურენციული, ანტიმონოპოლიური და სხვა. მემარცხენე ნეოლიბერალური სოციალური საბაზრო ეკონომიკის ისეთ კლასიკურ ქვეყნებს კი, როგორცაა აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა და ავსტრალია, უარი არ უთქვამთ საგადასახადო ინსტრუმენტის გამოყენებით ეკონომიკის სტრატეგიული მიმართულებების რეგულირებასა და ეფექტური სოციალური პროგრამების განხორციელებაზე.

საგადასახადო სისტემის სოციალური და ეკონომიკურ-მარეგულირებელი ფუნქციების როლი განსაკუთრებით შეუცვლელია ეკონომიკის რადიკალური რეფორმირების პირობებში. საქართველოსაგან განსხვავებით, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტური სახელმწიფოები, დასავლური გამოცდილებიდან გამომდინარე, მასობრივად გადავიდნენ სოციალურ საბაზრო ეკონომიკაზე, რომელსაც ერთ-ერთ საფუძვლად დაედო საგადასახადო სისტემის აღნიშნული ფუნქციები. შედეგად მივიღეთ ის, რომ მოკლე დროში ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონით გაუთანაბრდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, ხოლო ჩვენ ოცდაათი წლის განმავლობაში ერთ ადგილს ვტკეპნით.

ამ ფონზე, აბსურდულად გამოიყურება საქართველოს ბოლო ორი ხელისუფლების მიერ ე. წ. „თავისუფლების აქტით“ გადასახადების გაზრდის (გარდა აქციზისა) ან ახალი გადასახადების რეფერენდუმის გარეშე შემოღების კონსტიტუციური აკრძალვა. ამის ძირითად არგუმენტად მიჩნეულია შიდა და უცხოური ინვესტიციების მოტივაციისათვის მდგრადი საგადასახადო გარემოს შექმნა, თუმცა არ იქნა გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ სტრატეგიულად მოაზროვნე ინვესტორი ლოგიკურად აყენებს საკითხს – ღირს კი მასშტაბური ინვესტიციების განხორციელება იმ ქვეყანაში, რომლის ხელისუფლება არა მარტო არ ფლობს

კრიზისული სიტუაციების რეგულირების ეფექტურ ინსტრუმენტებს, არამედ ეს კანონით აკრძალულიც კი აქვს? უფრო მეტიც, ამას მიიჩნევს კრიზისების უმართაობის, სოციალურ-პოლიტიკური არასტაბილურობის საქვეყნო რისკებად და ინვესტირებისაგან თავს შეიკავებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ერთგვაროვანი გამთანაბრებლობითი საგადასახადო განაკვეთები გამორიცხავს სოციალური და ეკონომიკურ-მარეგულირებელი ფუნქციების განხორციელების, სისტემური მაკროეკონომიკური რეფორმების და სწრაფი ეკონომიკური პროგრესის შესაძლებლობას. ამ თვალსაზრისით საქმე გვაქვს არა „თავისუფლების აქტთან“, არამედ სახელმწიფოს მიერ საკუთარ გენეტიკურ სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციებზე უარის თქმის, თვითშეზღუდვის და პასუხისმგებლობის მოხსნის დემონსტრირებასთან, რაც საბოლოოდ ჯერ ბიზნესს, ხოლო შემდეგ მთლიანად სახელმწიფოს აზარალებს. ამიტომ თუ ხელისუფლება გადაწყვეტს ქვეყნის განვითარების დაჩქარებას ეკონომიკის რეფორმირების გზით, აღნიშნული აკრძალვა შესაბამისი სამართლებრივი გზით სასწრაფოდ უნდა გააუქმოს და თანამედროვე სოციალური სახელმწიფოს ადეკვატური საგადასახადო სისტემა შექმნას.

ამ თვალსაზრისით საქართველოს თანამედროვე საგადასახადო კოდექსი ელემენტარულ კრიტიკას ვერ უძლებს. იგი ისეა შედგენილი, რომ შეუძლებელია გადასახადების მსოფლიო პრაქტიკაში მიღებული ფუნქციების სრული სპექტრის განხორციელება. მემარჯვენე იდეოლოგიისა და „არქელიბერალური“ საბაზრო ეკონომიკის მომხრე „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების მიერ ამ პათოლოგიური საგასახადო სისტემის დამკვიდრება და კონსტიტუციური განმტკიცება თავის დროზე საზეიმოდ გაფორმდა როგორც „თავისუფლების აქტი“, რაც შემდეგ უცვლელად გაიზიარა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამაც. ეკონომიკის თანამედროვე მეცნიერების პოზიციებიდან და საგადასახადო რეგულირების მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე საქართველოს ამჟამინდელი საგადასახადო კოდექსი წარმოადგენს არა „ეკონომიკური თავისუფლების“, არამედ ეროვნული მასშტაბის თვითდაზიანებისა და ბაზრის სტიქიურ ძალებთან თუ მტაცებლურ მონოპოლიებთან ნებაყოფლობით „სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კაპიტულაციის აქტს“.

საგადასახადო სისტემის სრულყოფის ძირითადი პრობლემები. როგორც მსოფლიოში, ისე ჩვენში არსებული საგადასახადო სისტემების კრიტიკული ანალიზი და ავტორისეული თეორიული კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის მიმართულებით გადასაწყვეტია შემდეგი ფუნდამენტური პრობლემები:

**პირველი,** გადასახადისა და გადასახადის კატეგორიის ბუნების არქაული გაგება, როგორც იძულებითი ხარკისა, რაც მხარეთა უთანხმოების, საბიუჯეტო დანაკარგების, ეკონომიკური სტაგნაციისა და რეფორმების შემაფერხებელ ფაქტორად იქცა. კერძოდ, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ბუნების გათვალისწინებით უნდა დაზუსტდეს გადასახადების კატეგორიის ეკონომიკურ-სამართლებრივი არსი, ამ საფუძველზე განხორციელდეს საგადასახადო ურთიერთობათა ჰარმონიზაცია და უშუალოდ აისახოს შესაბამის კოდექსში;

**მეორე,** უნდა მოხდეს საგადასახადო სისტემის სრული ფუნქციონალიზაცია გადასახადების განაწილებით და ფისკალურთან ერთად სოციალური და ეკონომიკურ-მარეგულირებელი ფუნქციების სრული სპექტრის მინიჭება, რაც, თავის მხრივ, სიღრმისეული სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებელ პირობებს შექმნის;

**მესამე,** განხორციელდეს საგადასახადო ტვირთის ოპტიმიზაცია ბიზნესის თითოეული მასშტაბური ფორმისათვის და ამ საფუძველზე შეიქმნას ერთობლივი შემოსავლების საგადასახადო განაწილების ისეთი ეკონომიკურ-სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ბიუჯეტში მაქსიმალური შემოსავლების შედინებას და იმავდროულად არ ჩაახშობს გადამხდელების საინვესტიციო, სამეწარმეო და შრომითი საქმიანობის მიმდინარე და გრძელვადიან მოტივებს;

**მეოთხე,** დამყარდეს ოპტიმალური თანაფარდობა გადასახადების ცალკეულ ფორმებსა და სახეებს შორის, რომელთა პირობებშიც საგასახადო ტვირთის გაუზრდელად სახელმწიფო ბიუჯეტი მაქსიმალურად შეივსება.

გადასახადების კატეგორიის სოციალურ-ეკონომიკური არსი თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით. გადასახადების კატეგორიის კვლევა გვიჩვენებს, რომ მისი სოციალურ-ეკონომიკური არსის გააზრება შესაძლებელია, ჯერ ერთი, თანამედროვე სოციალური სახელმწიფოების საგადასახადო სისტემების ფუნქციონირების გამოცდილების გამოკვლევის და მეორე, ისტორიულ ჭრილში ყველა იმ ალტერნატიული პარადიგმის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, რომელზეც შესაძლოა საგადასახადო სისტემა დაშენდეს. ასეთად მიგვაჩნია:

**პირველი,** გადასახადი, როგორც ბიუჯეტში სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი, რომელსაც გადამხდელი იხდის მისი იძულებითი, აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე. პრობლემისადმი ასეთი მიდგომა საფუძვლად უდევს საქართველოს საგადასახადო პოლიტიკას, რაც უშუალოდაა ასახული საგადასახადო კოდექსში;

**მეორე,** გადასახადი, როგორც სახელმწიფოსა და გადამხდელს შორის საქონელგაცვლითი ურთიერთობის პროდუქტი, რომლის შესაბამისად გადამხდელი შესატყვის თანხას იხდის მიწოდებული საზოგადოებრივი დოვლათის სანაცვლოდ. ამ პროცესში სახელმწიფო გამოდის საზოგადოებრივი მეწარმის როლში, გადამხდელები წარმოგვიდგებიან მომხმარებლებად, გადასახადის განაკვეთი იღებს მიწოდებული დოვლათის ფასის ფორმას, ხოლო თვით გადასახადი მის ღირებულებად წარმოგვიდგება;

**მესამე,** სახელმწიფო, როგორც ერთობლივი წარმოების სპეციფიკური ფაქტორის – ეკონომიკური უნარის მფლობელი და ამდენად, სამეწარმეო პროცესის თანასწორუფლებიანი პარტნიორი, სამეურნეო სუბიექტთა შემოსავლებიდან თავის წილ კანონიერ შემოსავალს იღებს გადასახადების ფორმით (კონცეფცია სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის, როგორც წარმოების ფაქტორის შესახებ ეკუთვნის ვ. პაპავას [ვლ. პაპავა, 2011, გვ. 144, 152]).

გადასახადის არსის გაგება, როგორც გადამხდელთა შემოსავლების ნაწილის სავალდებულო, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ამოღების ფორმისა, მას ახასიათებს როგორც იძულებით ხარკს, რაც პრობლემისადმი არქაული არასაბაზრო მიდგომაა და გარდასული ეპოქების დესპტურ ან თანამედროვე ტოტალიტარულ სახელმწიფო მოწყობას უფრო შეეფერება, ვიდრე დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაზე დაფუძნებულ სოციალურ საბაზრო ეკონომიკას. პრობლემისადმი ასეთი არაჯანსაღი დამოკიდებულება ფართოდ აისახება სამეცნიერო ლიტერატურასა და სახელმძღვანელოებშიც, რომლის შესაბამისად გადასახადები შემდეგი ნიშნებით ხასიათდება:

– გადასახადი ეროვნული შემოსავლის ის ნაწილია, რომელიც სახელმწიფოს მიერ იძულებით ამოიღება;

– გადასახადი ესაა ფიზიკური და იურიდიული პირების აუცილებელი, სავალდებულო და უპირობო გადასახდელი;

– გადასახადი წარმოადგენს ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან არაეკვივალენტურად და უსასყიდლოდ ამოღებულ შემოსავლის ნაწილს.

სახელმწიფოსა და გადამხდელს შორის ურთიერთობის რეალურ ისტორიულ ჭრილში განხილვა აჩვენებს, რომ გადასახადი, როგორც საქონელგაცვლითი ურთიერთობის პროდუქტი, უპირატესად საბაზრო ეკონომიკის განვითარების იმ ეტაპისთვისაა დამახასიათებელი (XVIII-XIX სს), როდესაც სახელმწიფო ეკონომიკაში არ ერევა, ხოლო მისი უმთავრესი ფუნქცია „ღამის გუშაგის“ როლითა და საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებით შემოიფარგლება. ამ პირობებში გადასახადი იღებს სახელმწიფოს მიერ მიწოდებული დოვლათის საფასურის ფორმას, რომელიც გადასახადის სახით ანაზღაურდება.

გადასახადი სახელმწიფოს, როგორც ერთობლივი ბიზნესის თანასწორუფლებიანი პარტნიორის კანონიერი წილობრივი შემოსავალი ამ კატეგორიას ახასიათებს თანამედროვე სოციალური რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის თვალსაზრისით, რაც მხოლოდ თეორიული აზროვნების პროდუქტი არაა. XX საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან, მსოფლიო ეკონომიკაში ჩამოყალიბებული სისტემური კრიზისის გამო აშშ-ის, ევროპისა და

დანარჩენი მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების ხელისუფლებებმა გააცნობიერეს, რომ თავისუფალ თვითდინებაზე მიშვებულ საბაზრო ეკონომიკას კაცობრიობა გამოუვალ კატასტროფულ ჩიხში შეჰყავს და ამიტომ იძულებული გახდნენ დაუფლებოდნენ სამეურნეო უნარებს, აქტიურად ჩართულიყვნენ ეკონომიკის რეგულირების პროცესში და ამდენად, ობიექტური რეალობიდან გამომდინარე - ერთობლივი ბიზნესის პარტნიორებად ქცეულიყვნენ.

ამ პირობებში, გადასახადის თანამედროვე ცივილიზებული ბუნების ფონზე, მისი არაადეკვატური იძულებითი ამოღება და შესაბამისად, შინაარსისა და ფორმის დაცლიება, გადამხდელეებში თავისთავად ბადებს ნეგატიურ განწყობას. სწორედ ეს გარემოებაა გადასახადებისაგან თავის არიდების მცდელობის და საბიუჯეტო შემოსავლების დანაკარგების უმთავრესი მიზეზი. ამდენად, რეალობისადმი შეუსაბამო და მიუღებელი გადასახადების წარმოდგენა, როგორც გადამხდელეების შემოსავლის მითვისების უსასყიდლო და არაეკვივალენტური ფორმისა. არა მარტო ამჟამად, არამედ საგადასახადო სისტემის მთელი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ ამოღებული შემოსავლების დიდი ნაწილი ამა თუ იმ ფორმით ისევ ერთობლივ გადამხდელს ხმარდებოდა.

გადასახადების კატეგორიის, როგორც ერთი მხრივ, სახელმწიფოსა და გადამხდელეებს შორის საბაზრო გაცვლითი ურთიერთობის პროდუქტის და მეორე მხრივ, სახელმწიფოს, როგორც ერთობლივი ბიზნესის თანამესაკუთრე პარტნიორის კანონიერი წილობრივი შემოსავლის გააზრებას კიდევ უფრო განამტკიცებს გადასახადების თანამედროვე გრადაცია: მათი ერთი ნაწილი, კერძოდ, პირდაპირი გადასახადები (საშემოსავლო, მოგების და ქონების) გამოხატავს სახელმწიფოსა და გადამხდელეებს შორის წილობრივ საკუთრებასთან დაკავშირებულ პარტნიორულ, ხოლო მეორე ნაწილი – ირიბი გადასახადები (აქციზის, დამატებული ღირებულების და საბაჟო) ასახავს სახელმწიფოს მიერ შექმნილ საზოგადოებრივ დოვლათთან დაკავშირებულ გაცვლით ურთიერთობებს [ა. სისვაძე, 2006, გვ. 123].

გადასახადების კატეგორიის კრიტიკული ანალიზი თანამედროვეობის შესატყვისი მისი სისტემური გააზრების შესაძლებლობას ქმნის:

გადასახადი ესაა სახელმწიფოსა და გადამხდელეებს შორის საქონელ-გაცვლითი და განაწილებითი ურთიერთობების ამსახველი ეკონომიკური კატეგორია, რომელიც ასახავს ერთი მხრივ, სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივი მეწარმის და მეორე მხრივ, როგორც ეკონომიკური უნარის მფლობელი ბიზნესპარტნიორის კუთვნილი შემოსავლების მოძრაობას შექმნის ადგილებიდან ცენტრალიზებული საბიუჯეტო ფულადი ფონდებისაკენ, რომლის დანიშნულებას შეადგენს ერთი მხრივ, მისი მრავალფეროვანი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფუნქციების აღსრულება, ხოლო მეორე მხრივ, გადამხდელთა ერთობლივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ განმარტავს ამ კატეგორიას საქართველოს საგადასახადო კოდექსი: „გადასახადი არის სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე” [<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=194>].

გადასახადების ჩვენ მიერ შემოთავაზებული გაგება აჩვენებს, რომ მისი ამოღების თანამედროვე ფორმა რეალურად გადამხდელეებზე ფსიქოლოგიური ზეწოლისა და ღია კარის მტვრევის პოლიტიკაა. ეს მაშინ, როდესაც ცივილიზებული საგადასახადო ურთიერთობის დამკვიდრებით იგი შეიძლება სტუმართმოყვარედ გაიღოს და სახელმწიფოს ყველა კანონიერი მოთხოვნა სრულად, პროტესტის გარეშე დაკმაყოფილდეს.

განხილული პრობლემა კლასიკური მაგალითია იმისა, თუ როგორ განაპირობებს ეკონომიკის ზოგადი თეორიის ამოსავალი პარადიგმების და კატეგორიების მცდარი გაგება სახელმწიფოს არასწორი მურნეობრივი პოლიტიკის ჩამოყალიბებას და მის ლოგიკურ შედეგს – მასშტაბურ ეკონომიკურ დანაკარგებს.

### 3. საგადასახადო ურთიერთობათა ჰარმონიზაცია

საგადასახადო ურთიერთობებში მონაწილე მხარეების (დასაქმებულების, ბიზნესის, სახელმწიფოს და ცალკეული უწყებების) ინტერესების დაბალანსება და ჰარმონიზაცია შესაძლებელია საგადასახადო სისტემის და შესატყვისი კანონმდებლობის ისეთი რეფორმირების გზით, რომელიც ოპტიმალურად შეახამებს მათ წინააღმდეგობრივ მიზნებს. პრობლემის გადაწყვეტის დროს გაითვალისწინება ის გარემოება, რომ გადამხდელები სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული გადასახადების შემცირებით და ამ გზით საკუთარი შემოსავლების გაზრდით, ხოლო სახელმწიფოს თავისი ფუნქციების შესასრულებლად მაქსიმალური საგადასახადო შემოსავლები ესაჭიროება, რომლის ამოღების სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბერკეტები მთლიანად მის ხელშია. ამ პირობებში თუ სხვა ფაქტორული შემოსავლების ოდენობას საბაზრო მექანიზმი სპონტანურად განსაზღვრავს, სახელმწიფოს, თავისი მონოპოლიური მდგომარეობის გამო, გადასახადების განაკვეთების ერთპიროვნულად დაწესების შესაძლებლობა აქვს. მაგრამ მის ასეთ სწრაფვას ორი მნიშვნელოვანი გარემოება ზღუდავს:

**პირველი,** არსებობს მკაცრი დამოკიდებულება ბიუჯეტის შემოსავლებსა და გადასახადების განაკვეთებს შორის, რომელთა თანახმად მათი გადიდება განსაზღვრული კრიტიკული დონის შემდეგ იმდენად ახშობს სამეწარმეო თუ შრომით მოტივაციასა და აქტიურობას, რომ შეუქცევადად ამცირებს ბიუჯეტის შემოსავლებს;

**მეორე,** სახელმწიფოსთვის თითოეული გადასახადის განაკვეთი წარმოადგენს მისი ეკონომიკური უნარის, ასევე გადამხდელებისათვის (მათ შორის უცხოელი ინვესტორებისათვის) მიწოდებული საზოგადოებრივი დოვლათის ფასს. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ყოველთვის წარმოადგენდა კონკურენციის ინსტრუმენტს და ამდენად, გადასახადები ქვეყნებს შორის ინვესტიციების მოზიდვის იარაღად გვევლინება. სხვა თანაბარ პირობებში როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორები კაპიტალს აბანდებენ იმ ქვეყნებში, სადაც დაბალი გადასახადებია, რაც ზღუდავს სახელმწიფოს სწრაფვას მათი გადიდებისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტორები ხელისუფლებას გარკვეულწილად აიძულებს უარი თქვას მონოპოლიურ უფლებაზე – გაზარდოს გადასახადები, ამა თუ იმ მიზეზის გამო ხშირად მაინც მიდის ასეთ თვითდამაზიანებელ გადაწყვეტილებაზე. ეს გარემოება დღის წესრიგში აყენებს ინსტიტუციურად დაკანონებული ისეთი ჰარმონიული საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობას, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოსა და გადამხდელებს, როგორც საბაზრო და ბიზნესპარტნიორებს შორის შემოსავლების ოპტიმალურ განაწილებას, რომლის პირობებში სახელმწიფო შეძლებისდაგვარად სრულად აღასრულებს თავის ფუნქციებს და ამავე დროს არ დათრგუნავს ადგილობრივი გადამხდელებისა და უცხოელი ინვესტორების საქმიანობის მოტივებს.

ამ პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობა უშუალოდ გამომდინარეობს წარმოდგენილი კვლევის შედეგებიდან. რამდენადაც სახელმწიფო ქვეყანაში შექმნილი ეროვნული შემოსავლის ერთ ნაწილს ითვისებს, როგორც საზოგადოებრივი მეწარმე, ხოლო მეორე ნაწილს იღებს, როგორც ერთობლივი ბიზნესის კანონიერი პარტნიორი, შესაბამისად, უნდა შეიქმნას დაბეგვრის ისეთი სისტემა, რომლის პირობებში გადასახადების ამოღება განხორციელდება არა იძულებითი ხარკის ფორმით, არამედ მხარეთა თანასწორუფლებიანი პარტნიორული სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე. ამ პროცესში სახელმწიფოს წარმოდგენს უფლებამოსილი სახელისუფლებო უწყებები – პარლამენტი, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროები, ეროვნული ბანკი, ხოლო გადამხდელთა მხარეს – შესაბამისად, ბიზნესასოციაცია და პროფკავშირი, რომლებსაც ხელისუფლებასთან ურთიერთობის უფლებამოსილება ექნებათ გადაცემული. ეს სახელმწიფო უწყებები ერთმანეთთან მჭიდრო კოორდინაციაში გადამხდელების წარმომადგენლებთან ერთად ამზადებენ საგადასახადო ცვლილებებს და ამუშავებენ შესაბამისი ხელშეკრულების პროექტს სათანადო დასაბუთებით. მასში კომპრომისულ საფუძველზე აისახება მხარეთა ორმხრივი უფლებები, მოვალეობები, პასუხისმგებლობა და სანქციები ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის. იმ

შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, ინიშნება საერთო-სახალხო რეფერენდუმი. საგადასახადო ცვლილებათა კანონპროექტის და შესაბამისი ხელშეკრულების დამტკიცება ხდება პარლამენტის მიერ მას შემდეგ, რაც გაირკვევა მისი შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან და სახელმწიფოებრივ ინტერესებთან.

გადასახადის ბუნებაზე ტრადიციული შეხედულების საპირისპიროდ, მისი თანამედროვეობის შესატყვისი თეორიული გააზრება, საგადასახადო სისტემის ამ საფუძველსა და შესაბამის პრინციპებზე აგება, ერთი მხრივ, გააძლიერებს გადასახადების სოციალურ და ეკონომიკურ-მარეგულირებელ როლს, ხოლო მეორე მხრივ, ავტომატურად მოხსნის მხარეთა შორის დაძაბულობის ფსიქოლოგიურ მუხტს და მათ ურთიერთობას ჰარმონიულს გახდის „გადამხდელთა გატყავებისა და თავგანწირული ჭყვილის გარეშე.“

#### **4. საგადასახადო სისტემის სრული ფუნქციონალიზაცია და სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები**

გადასახადების ფუნქციები რეგულირებადი სოციალური ეკონომიკის პირობებში. ამჟამად, როდესაც საქართველოს რეალობაში სახელმწიფოს მიერ გადასახადების ამოღება მკაცრი სამართლებრივი ნორმებითა და შესაბამისი ადმინისტრირებითაა უზრუნველყოფილი, პირველ რიგში გასარკვევია, თვითონ როგორ აღასრულებს საკუთარ მოვალეობებსა და ფუნქციებს, როგორც ეკონომიკური უნარის მქონე მეწილე ბიზნესპარტნიორი?

გადასახადების კატეგორიის არსის ავტორისეული გაგებით, სახელმწიფოს, როგორც პარტნიორი მეწარმის მოვალეობებში შედის: ეკონომიკის სოციალური და მარეგულირებელი სამართლებრივ-ინსტიტუციური ბაზის შექმნა (მათ შორის საგადასახადო ინსტრუმენტზე დაყრდნობით), მთლიანად ეროვნული მეურნეობის და მატერიალური წარმოების პრიორიტეტული დარგების მოტივაცია, დარგთა შორის რესურსების რაციონალური განაწილება, ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება, მონოპოლიზაციის შეზღუდვა, ბაზრის უარყოფითი თანამდევნი ეფექტების განეიტრალება, ეკონომიკის წონასწორული ზრდის დაჩქარება, მისი ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა და სხვა. საბოლოო მიზანი კი თითოეული მოქალაქის ცხოვრების დონის უწყვეტი ამაღლება და სოციალურად სამართლიანი თანასწორობის მიღწევაა.

ჩვენი ქვეყნის როგორც წინა ხელისუფლებებმა, ისე ახლანდელმაც ე. წ. „დერეგულირების“ და „მცირე მთავრობის“ პოლიტიკის აქტიური გატარებით შეგნებულად თქვეს უნარი ეკონომიკის რეგულირების უკვე გენეტიკურად ქცეულ ვალდებულებებზე. ამის შედეგია ის გარემოება, რომ **მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი გადასახადების მიუხედავად თავი ვერ დავაღწიეთ განვითარებადი ქვეყნის სტატუსს.** ეს ხდება მაშინ, როდესაც განვლილი სამი ათეული წელი სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ რადიკალური სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების, მათ შორის საგადასახადო სისტემის მოდერნიზების გზით „ეკონომიკურ ვეფხვებად“ გადაქცეულიყვნენ და სამეურნეო განვითარებითა თუ ცხოვრების დონით დასავლეთ ევროპას დასწეოდნენ.

**ცხრილი 1. საგადასახადო ტვირთისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები საქართველოში და მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში**

მაჩვენებლები ქვეყნები	საგადასახადო ტვირთი, 2016 წ (ბიუჯეტის საგადასახ. შემოსავლი %-ში მშპ-სთან) <sup>1</sup>	ნომინალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე აშშ \$ (სფ მონაცემები პარიტეტული მყიდველური უნარიანობის მიხედვით 2021 წ) <sup>2</sup>	ერთ სულ მოსახლეზე რეალური მშპ-ს საშუალო წლიური ზრდის ტემპი 2015-2019 წწ % <sup>3</sup>	საშუალო თვიური ხელფასი 2023 წ <sup>4</sup> აშშ \$	საშუალო თვიური პენსია 2023 წ <sup>5</sup> აშშ \$	ცხოვრების ხარისხის ინდექსი 2021 წ (მაქსიმალური 200 ქული-დან) <sup>6</sup>	სოციალური სამართლიანობა შემოსავლების მიხედვით (ჯინის კოეფიციენტი) 2017 და 2018 წწ <sup>7</sup>
1. დანია	45,9	63 946	2,1	6 192	2907	190.01	28,7
2. საფრანგეთი	45,3	51 364	1,3	3 332	1572	150.73	31,6
3. ზელანდია	44,2	57 036	0,1	3 930	865 ევრო (2021 წ)	150.89	27,2
4. ფინეთი	44,1	53 757	1,1	3 908	1960	182.79	27,4
5. შვედეთი	44,1	58 962	1,9	2 893	1190	171.40	28,8
6. იტალია	42,9	46 161	1,0	2 726	1445	138.63	35,9
7. ავსტრია	42,7	59 403	1,1	2 940	1693	182.37	29,7
8. უნგრეთი	39,4	37 128	4,3	1 187	447	134.01	28,7
9. ჰოლანდია	38,8	62 841	2,0	3 238	1572	183.31	28,5
10. საბერძნეთი	38,6	32 218	1,2	1 203	873	127.96	34,4
10. ნორვეგია	38	70 825	0,2	5 450	2512	173.57	27,0
11. გერმანია	37,6	58 378	1,2	4 392	941	176.76	37,6
12. სლოვენია	37,0	44 067	3,4	1 914	750 ევრო	168.20	24,2
13. ისლანდია	36,4	59 792	3,8	5 436	1550 (2021 წ)	179.10	23, 2
14. ესტონეთი	34,7	42 050	3,7	1 560	704	173.56	30,4
15. პორტუგალია	34,3	36 844	2,9	1 288	665	161.91	33,8
16. ჩეხეთი	34,0	43 837	3,7	1 454	665	156.33	25,6
17. პოლონეთი	33,6	37 786	4,6	1 253	660	132.65	32,0
18. ესპანეთი	33,5	41 839	2,9	2 133	1093	164.48	34,7
19. დიდი ბრიტ.	33,2	50 338	1,4	2 703	956	158.99	34,8
20. სლოვაკეთი	32,7	35 463	3,2	1 283	556	149.68	23,6
21. ახალი ზელანდ.	32,1	46 585	არ იძებნ.	3 354	1 150	175.77	არ იძებნ.
22. კანადა	31,7	52 985	0,8	3 151	1500	159.99	33,3
23. ისრაელი	31,2	45 750	2,1	3 064	1626	144.14	44,3
24. რუსეთი	30,8	30 850	1,0	788	205	101.67	43,9
25. იაპონია	30,7	44 739	არ იძებნ.	3 998	1700	162.32	32,1 (2010-2015)
26. ლატვია	30,2	34 707	4,4	1 217	768 (2022 წ)	147.59	36,3
27. ავსტრალია	28,1	56 403	არ იძებნ.	3 346	1 170	181.52	არ იძებნ.
28. შვეიცარია	27,8	78 530	0,9	6 244	2132	190.82	32,7
29. სამხრეთ კორეა	26,3	48 578	არ იძებნ.	2 964	814	130.02	არ იძებნ.
30. აშშ	26	69 231	1,7	3 921	1503	166.98	41,1
31. საქართველო	25,8	16 906	4,3	458	80 (2021 წ)	118.87	39,0
32. თურქეთი	25,5	34 755	2,1	961	380	125.97	41,9
33. ირლანდია	23	112 463	8,9	3 671	1300	150.89	32,8

წყარო: 1. [http://www.consultant.ru/document/cons\\_doc\\_LAW\\_364178/2b4dd535a015bcc992dd9a754f9a098fb856af0f/](http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_364178/2b4dd535a015bcc992dd9a754f9a098fb856af0f/);  
 2. <https://top-rf.ru/places/157-rejting-stran-po-vvp-na-dushu-naseleniya.html>;  
 3. <https://w3.unece.org/SDG/ru/Indicator?id=117>;  
 4. <https://visasam.ru/emigration/vybor/srednya-zarplata-v-mire.html#C>;  
 5. [https://visasam.ru/emigration/vybor/pensiya-v-stranah-mira.html#\\_\\_\\_\\_\\_2023](https://visasam.ru/emigration/vybor/pensiya-v-stranah-mira.html#_____2023);  
 6. <https://take-profit.org/statistics/quality-of-life/>;  
 7. <https://svspb.net/danmark/gini.php>.



წარმოდგენილ ცხრილში (ცხრილი 1) ნაჩვენებია სოციალურ-ეკონომიკური დონის ამსახველი მონაცემები მსოფლიოს იმ წამყვან და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, რომელთა მიხედვით მოხერხდა საგადასახადო ტვირთის ამსახველი ინფორმაციის სრულად მოპოვება (ქვეყნები დალაგებული საგადასახადო ტვირთის კლების მიხედვით). მისი ანალიზიდან შემდეგი დასკვნები გამომდინარეობს:

**პირველი,** თუ პროცესებს ცალკეული ქვეყნების მიხედვით სტატისტიკური თვალსაზრისით განვიხილავთ, დავრწმუნდებით, რომ დაბალი გადასახადები სულაც არაა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი დონის მიღწევის პანაცეა. მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო ტვირთი ჩვენთან ერთ-ერთი ყველაზე „მსუბუქია“, ცხრილში მოყვანილ ქვეყნებს შორის ბოლო ადგილზე ვიმყოფებით შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: ნომინალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, ცხოვრების ხარისხის ინდექსი, საშუალო თვიური ხელფასი და პენსია;

**მეორე,** მოყვანილ ქვეყნებში ეკონომიკური პროცესების დინამიკაში განხილვა ასევე აჩვენებს, რომ დაბალი საგადასახო ტვირთი არ იძლევა ეკონომიკური ზრდის ამსახველი ძირითადი მაჩვენებლის – ერთ სულ მოსახლეზე რეალური მშპ-ის საშუალო წლიური ზრდის ისეთი ტემპის მიღწევის გარანტიას, რომელიც საკმარისი იქნება ჩამორჩენის დასაძლევად;

**მესამე,** საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია სოციალური უსამართლობის მაჩვენებელი – ჯინის კოეფიციენტი, რაც მოსახლეობაში კიდევ უფრო ამძაფრებს მძიმე მატერიალური ყოფის განცდას, აქვეითებს შრომით მოტივაციას, წარმოშობს დამაბულობას სოციალურ ფენებს შორის და, შესაბამისად, აფერხებს ეკონომიკურ ზრდას;

**მეოთხე,** ჩვენში დამკვიდრებული მცდარი შეხედულების საპირისპიროდ, საგადასახადო ტვირთის ზრდის პირობებში ცალკეული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები კი არ იკლებს, არამედ იმატებს (გამონაკლისს შეადგენს ირლანდია, სადაც საგადასახადო ტვირთი ყველაზე დაბალია – 23%, ხოლო მშპ ერთ სულზე ყველაზე მაღალი – 112 463 დოლარი). კვლევა მოწმობს, რომ აღნიშნულ ქვეყნებში წარმატებული შედეგები მიღწეულია გადასახადების ფუნქციონალიზაციის მაღალი დონით, რაც არა მარტო კომპენსაციას უკეთებს მაღალი განაკვეთებით გამოწვეულ დანაკარგებს, არამედ იწვევს ისეთ დამატებით დადებით ეფექტსაც, რომელიც სხვა თანაბარ პირობებში ჩვენთვის ჯერჯერობით მიუწვდომელ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს უზრუნველყოფს.

**მე-2 ცხრილში** მოყვანილია მონაცემები მსოფლიოს წამყვან და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, ერთ სულ მოსახლეზე ნომინალური მშპ-ის, 1990-2020 წლებში ეკონომიკური ზრდის ტემპების, საშემოსავლო, დამატებული ღირებულებისა და მოგების გადასახადების განაკვეთების შესახებ – სულ 43 ქვეყნის მიხედვით (ასახა მხოლოდ ის ქვეყნები, რომელთა მიხედვით მოხერხდა ამ განაკვეთების მოპოვება, ნომინალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე მოცემულია პარიტეტული მსყიდველობითი უნარის მიხედვით და დალაგებულია კლების ნიშნით). ცხრილის უკეთ გაგების მიზნით, როგორც მაგალითი, განვმარტავთ: ირლანდიის შემთხვევაში ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 20-40%-ს გვიჩვენებს, რომ გამოიყენება შემოსავლის მიხედვით პროგრესულად ზრდადი განაკვეთი 20%-დან 40%-მდე ინტერვალში; დღგ-ის განაკვეთები – 23 (5,9 და 13) % გულისხმობს, რომ საბაზისო განაკვეთი შეადგენს 23 %-ს, ხოლო ცალკეულ დარგებში ან საქონელზე არსებობს განაკვეთები 5%, 9% და 13%-ის ზომით; მოგებაზე გამოიყენება ერთიანი არადიფერენცირებული პროპორციული განაკვეთი – 12,5 %. ცხრილის ანალიზიდან შემდეგი დასკვნები გამომდინარეობს:

**ცხრილი 2. ნომინალური მშპ ერთ სულ მოსახლეზე (პარტიკულური მსყიდველობითუნარიანობის მიხედვით), ეკონომიკური ზრდის ტემპები და გადასახადების განაკვეთები საქართველოში, მსოფლიოს წამყვან და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში**

ქვეყნები	მშპ მოსახლეობის ერთ სულზე აშშ \$ (სსფ მონაცემები (2021 წ)¹)	მშპ მოსახლეობის ერთ სულზე აშშ \$ (სსფ მონაცემები (1990 წ)²)	მშპ-ს ზრდის ტემპი 1990-2020 წლებში (მსოფლიო ბაზის მონაცემებით) % 1990=100²	ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები (2022 წ)³	დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთები (2022 წ)³	მოგების გადასახადის განაკვეთები (2022 წ) %³
1. ირლანდია	112 463	1 4311	987	20-40	23 (5, 9 და 13)	12,5
2. შვეიცარია	78 530	3 2106	325	40	7,7	8,5
3. ნორვეგია	70 825	2 7812	436	38,2	24 (8 და 14)	22
4. აშშ	69 231	2 3848	350	39,6	0	21
5. დანია	63 946	2 1924	377	8-52	25	22
6. შოტლანდია	62 841	2 1105	362	9,5-49,5	21 (6)	25
7. ისლანდია	59 792	1 9287	არ იმეზნება	33-46	24,5 (14)	20
8. ავსტრია	59 403	20 394	333	0-55	20 (10 და 13)	25
9. შვედეთი	58 962	20 001	326	0-57	25 (0, 6 და 10)	21,4
10. გერმანია	58 378	20 483	293	0-45	19 (7)	30-45
11. ბელგია	57 036	19 607	327	25-50	21 (6 და 12)	30
12. ავსტრალია	56 403	18 868	454	55	10 (0)	27,5-30
13. ფინეთი	53 757	18 702	311	6-31	24 (10 და 14)	20
14. კანადა	52 985	2 0 415	არ იმეზნება	33	21	10-25
15. საფრანგეთი	51 364	19 680	307	0-45	20 (2, 5 და 10)	31 (28 და 33)
16. დიდი ბრიტანეთი	50 338	18 326	317	20-45	20 (0 და 5)	17 (25)
17. სამხრეთ კორეა	48 578	7 545	626	40	10	10-22
18. ახალი ზელანდია	46 585	15 194	454	10,5-39	15	28
19. იტალია	46 161	20 338	237	23-43	22 (4-10)	24
20. ისრაელი	45 750	13 308	არ იმეზნება	50	17	36
21. იაპონია	44 739	20 303	217	56	0 (8 და 9)	22-30
22. სლოვენია	44 067	-	არ იმეზნება	16-50	22 (9,5)	19
23. ჩეხეთი	43 837	-	341	15-23	21 (10 და 15)	19 (5)
24. ლიტვა	42 944	-	არ იმეზნება	20	21 (9 და 10)	5-15
25. ესტონეთი	42 050	-	არ იმეზნება	20	20 (9)	20 (0)
26. ესპანეთი	41 839	15184	არ იმეზნება	19-45	21 (4 და 10)	25 (30)
27. პოლონეთი	37 786	6 658	555	18-32	23 (0, 5 და 8)	19 (9)
28. უნგრეთი	37 128	11 016	არ იმეზნება	15	27 (5)	9
29. პორტუგალია	36 844	12 925	299	14,5-48	23 (6 და 13)	21
30. სლოვაკეთი	35 463	-	არ იმეზნება	19-25	20 (10)	21
31. თურქეთი	34 755	7 159	517	15-40	18 (1 და 8)	22
32. ლატვია	34 707	-	არ იმეზნება	20-31,4	21 (10 და 12)	20
33. რუმინეთი	33 715	7 815	504	10	19 (5 და 9)	16
34. საბერძნეთი	32 218	13 417	225	9 - 44	24 (6,5 და 13)	24
35. რუსეთი	30 850	-	348	13	20 (0 და 10)	20
36. ბულგარეთი	25 914	9 955	260	10	20 (7)	10
37. ბელორუსია	21 690	-	358	13	20 (0, 0,5 და 10)	18
38. ჩინეთი	19 260	969	2 178	3-45	13 (3, 5, 13)	15-25
39. საქართველო	16 906	-	199	20 (0)	18 (0)	15(0)
40. აზერბაიჯანი	15 882	-	387	14 -25	18	20
41. მოლდოვა	15 406	-	არ იმეზნება	18	20 (0, 5, 8)	12
42. სომხეთი	14 661	-	402	10-25	20 (0)	20
43. უკრაინა	14 325	-	133	18	20 (1 და 7)	18

წყარო: 1. <https://top-rf.ru/places/157-rejting-stran-po-vvp-na-dushu-naseleniya.html>;  
 2. [https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%BF%D0%B8%D1%81%D0%BE%D0%BA\\_%D1%81%D1%82%D1%80%D0%B0%D0%BD\\_%D0%BF%D0%BE\\_%D1%82%D0%B5%D0%BC%D0%BF%D0%B0%D0%BC\\_%D1%80%D0%BE%D1%81%D1%82%D0%B0\\_%D0%92%D0%92%D0%9F](https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%BF%D0%B8%D1%81%D0%BE%D0%BA_%D1%81%D1%82%D1%80%D0%B0%D0%BD_%D0%BF%D0%BE_%D1%82%D0%B5%D0%BC%D0%BF%D0%B0%D0%BC_%D1%80%D0%BE%D1%81%D1%82%D0%B0_%D0%92%D0%92%D0%9F);  
 3. <https://gsl.org/ru/taxes/tax-zones/>.

**პირველი**, ქვეყნების ერთი ნაწილი იყენებს შემოსავლების, მოგების და დღგ-ის პროგრესიულ და მაკროეკონომიკური პრიორიტეტების მიხედვით სრულად დიფერენცირებულ საგადასახადო განაკვეთებს (გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩეხეთი, ესპანეთი, პოლონეთი და ჩინეთი). ქვეყნების მცირე ნაწილში არსებობს არადიფერენცირებული განაკვეთები (შვეიცარია, აშშ, ისრაელი). მესამე ნაწილში განაკვეთები მხოლოდ ნაწილობრივად დიფერენცირებული, რომელთა შორის საქართველოცაა, თუმცა ჩვენთან ეს იმდენად უმნიშვნელოა, რომ მათ ფუნქციონალიზაციას გამოიციხავს;

**მეორე**, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გადასახადების განაკვეთები ერთ-ერთი ყველაზე დაბალია, ამ ფაქტორმა მთელი ოცდაათი წლის განვავლობაში ვერ უზრუნველყო ეკონომიკური ზრდის ისეთი ტემპი და დონე, რომ წარმატებული ქვეყნების რიგში ჩავმდგარიყავით. კერძოდ, ცხრილში წარმოდგენილ ქვეყნებს შორის მოსახლეობის ერთ სულზე ნომინალური მშპ-ის მიხედვით ვიმყოფებით ბოლოდან მეხუთე ადგილზე, ხოლო 1990-2020 წწ. ეკონომიკური ზრდის ტემპით – 199% – ბოლოდან მეორე ადგილზე. ეს მაშინ, როდესაც წარმატებულ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ამ მაჩვენებელმა შესაბამისად შეადგინა: ჩეხეთში – 341%, პოლონეთში – 555%, ბულგარეთში – 260%, ბელორუსიაში – 358%, აზერბაიჯანში – 387%, სომხეთში – 402%. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ეკონომიკური ზრდის უპრეცედენტო ზრდის ტემპია ჩინეთში – 2 178%, სადაც სამივე სახის გადასახადის განაკვეთი მკაფიოდ დიფერენცირებულია – ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი პროგრესიულია და იცვლება შუალედში – 3-45%, დღგ-ის განაკვეთი დადგენილია 3,5 და 13%-ის ოდენობით, ხოლო მოგების გადასახადის პროგრესიული განაკვეთის ცვლილების არეალი შეადგენს 15-25 %-ს. ასევე განსაკუთრებით მაღალია ეკონომიკური ზრდის ტემპი ირლანდიაში – 987%, სადაც გამოიყენება როგორც პროგრესიული განაკვეთი, ისე დიფერენცირებული და არადიფერენცირებული განაკვეთები;

**მესამე**, განვითარების დონის მიხედვით ბოლო თხუთმეტ ადგილზე მყოფ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, მოგების გადასახადის განაკვეთები არადიფერენცირებულია (ჩინეთის გარდა), რაც ქმნის საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ამ ორ მოვლენას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს – მოგების გადასახადის დეფუნქციონალიზაცია ამ ქვეყნების განვითარების დაბალი დონის გამომწვევ ერთ-ერთ წონად ფაქტორს წარმოადგენს.

ამდენად, წარმოდგენილი შედეგების თანახმად, ერთი მხრივ, გადასახადების ფუნქციების, ხოლო, მეორე მხრივ, მსოფლიოს წამყვან და განვითარებად ქვეყნებში მისი ძირითადი განაკვეთების ანალიზი აჩვენებს, რომ ჩვენი ქვეყნის **სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევის ერთ-ერთ გადამწყვეტ გზას თითოეული გადასახადის სრული ფუნქციონალიზაცია, მეცნიერულად ყოველმხრივ დასაბუთებული განაკვეთების დაწესება და ეკონომიკის საგადასახადო თარგეთირება წარმოადგენს.**

საგადასახადო თარგეთირებაში ვგულისხმობთ შესაბამისი საფინანსო-ეკონომიკური უწყებების მიერ დაბეგვრის განაკვეთების მეშვეობით ეროვნული მეურნეობის რეგულირებასა და ამ გზით ისეთი მიზნობრივ-შედეგობრივი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევას, როგორცაა ეკონომიკური ზრდის ტემპი, დასაქმების დონე, ეროვნული ვალუტის კურსი, მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტი, მთლიანი ეროვნული შემოსავალი და განკარგული შემოსავალი, სოციალური სამართლიანობის დონე და სხვა. ამ თვალსაზრისით საგადასახადო თარგეთირება საგადასახადო რეგულირების პროცესის შემადგენელი ნაწილია.

ამასთან, მიზანშეწონილია ეს პრობლემა ორ ეტაპად გადაწყდეს - საგადასახადო რეფორმის პირველ ეტაპზე ორიენტაცია უპირატესად აიღება პოსტკომუნისტურ და პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის ყველაზე წარმატებული ქვეყნების - სლოვენის, ჩეხეთის, ლიეტუვას, ესტონეთისა და პოლონეთის, ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკის მქონე ჩინეთისა და ირლანდიის, ასევე, ყველაზე წარმატებული სოციალური ეკონომიკის მქონე სკანდინავიის ქვეყნების გამოცდილებაზე. მეორე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკის თითოეული დარგის სპეციფიკისა და პრიორიტეტულობის გათვალისწინებით ეკონომიკურ-მათემატიკური

მოდელირების გზით განისაზღვრება ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესისათვის. ასევე, დადგინდება თითოეული გადასახადის ისეთი ოპტიმალური განაკვეთები, რომლებიც ერთდროულად უზრუნველყოფენ ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპსა და სახელმწიფო ბიუჯეტის მაქსიმალურად შესაძლო შევსებას.

საგადასახადო სისტემის მიერ ამ ფუნქციების შესრულება მოითხოვს შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმის ჩამოყალიბებასა და მისი გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფას. რეფორმირების პროცესში პირველ რიგში გასათვალისწინებელია ის ფუნდამენტური გარემოება, რომ ცალკეული ქვეყნების საგადასახადო სისტემები საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებულ მოდელზე არიან მორგებული განსაზღვრული შესაბამისი სამეურნეო მსოფლმხედველობით. მათ შორის, საყოველთაო კეთილდღეობის თეორიაზე დამყარებული ღრმა სოციალიზაციის სოციალურ-დემოკრატიული მოდელები უპირატესად ეკონომიკის საგადასახადო რეგულირების კენზურ კონცეფციას ეყრდნობიან, ხოლო მემაცხენე ნეოლიბერალურ თეორიაზე დაფუძნებული სუსტი სოციალიზაციის მოდელები \_ უპირატესად ფულად-საკრედიტო რეგულირების მონეტარულ კონცეფციას, მათ შორის საქართველოც. ასეთ მოდელში დაბეგვრის სისტემა ისეა აგებული, რომ საგადასახადო განაკვეთების უმეტესობა ან ყველა ფიქსირებულია და შესაბამისად, გადამხდელები მაკროეკონომიკური პრორიტეტულობის მიუხედავად მეტ-ნაკლებად თანაბარ პირობებში არიან ჩაყენებული, რის გამოც სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რეგულირების უნარი ნაკლებად გააჩნიათ. სოციალ-დემოკრატიული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების საგადასახადო სისტემების უმთავრეს დანიშნულებას აქტიური სოციალური პოლიტიკისა და ეკონომიკურ-მარეგულირებელი ფუნქციების განხორციელება წარმოადგენს, რაც შესაძლებელს ხდის საგადასახადო რეგულირების აღმშენებლობითი პოტენციალი სრულად იქნეს გამოყენებული.

ამდენად, გადასახადების რეალური ფუნქციების სრულად გამოვლენას და საფუძვლიან შესწავლას არა მარტო ფუნდამენტურ-თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. ამ საკითხზე არსებული ეკონომიკური ლიტერატურის ანალიზი აჩვენებს, რომ მსოფლიოში აღიარებულ სწავლულ ეკონომისტთა დიდი ნაწილი თავს არიდებს გადასახადების ფუნქციების განხილვას [რ. ბარი, 1995], [ო. ბლანშარი, 2010, გვ. 821, 834], [უ. ბომოლი, ა. ბლაინდერი, 1998, გვ. 294-345], [ე. დოლანი, 1994, გვ. 143-161], [კ. რ. მაკკონელი, ს. ლ. ბრიუ, 1993, გვ. 272-286], [გ. მენქიუ, 2008, გვ. 229], [პ. სამუელსონი, ვ. ნორდჰაუსი, 2000, გვ. 292-335], [ჯ. სლომანი, 2004, გვ. 292-383]. მეორე ნაწილი კი სათანადო დასაბუთების გარეშე მათ შეზღუდულ და განსხვავებულ რაოდენობას გამოყოფს სხვადასხვა ვარიაციით \_ ფისკალურ, სოციალურ და ეკონომიკურ ფუნქციებს [რ. კაკულია, 2004, გვ. 192,193], [ეკონომიკა, ა. ს. ბულატოვის რედაქციით 2006, გვ. 533], [ეკონომიკური თეორია, ვ. ი. ვიდაპინის რედაქციით 2002, გვ. 573], [ლ. გ. ხოდოვი, მოსკოვი, 2004, გვ.326-340], [ლ. ჩიქავა, 1997, გვ. 344], [ს. ფუტკარაძე, 2012, გვ. 59].

გადასახადების ბუნების გამოკვლევა და სოციალური საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების საგადასახადო რეგულირების (თარგეთირების) გამოცდილება აჩვენებს, რომ რეალურად მის მიერ შესრულებული ფუნქციები გაცილებით მრავალფეროვანია. ქვემოთ გაშლილი სახითაა მოყვანილი გადასახადების, როგორც ტრადიციულად მიღებული, ისე ჩვენს მიერ შემოთავაზებული რეალობის ადეკვატური ახალი ფუნქციები:

**პირველი, შემოსავლების პირველადი განაწილების ფუნქცია**, რომლის საშუალებით მიკროეკონომიკის სუბიექტების მიერ შექმნილ შემოსავლებში საბაზრო მექანიზმითა და დაბეგვრის სისტემის მეშვეობით თავიანთ წილს იღებს: ბიზნესი \_ მოგების, კაპიტალისა და მიწის მესაკუთრეები \_ სარგებლისა და რენტის, დაქირავებული მუშახელი \_ ხელფასის, ხოლო სახელმწიფო \_ გადასახადების ფორმით. ამასთან, თუ ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკაში შემოსავლების განაწილებას უპირატესად სტიქიური პროცესები განსაზღვრავს, სოციალურ ეკონომიკაში საბაზრო ძალებთან ერთად, სამართლიანი თანასწორობის პრინციპიდან და რეგულირების მოთხოვნებიდან გამომდინარე, აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფოც;

**მეორე, ფისკალური ფუნქცია**, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოს, როგორც

საზოგადოებრივი მეწარმისა და ბიზნესპარტნიორის კუთვნილი შემოსავლების თავმოყრასა და მისი ფუნქციონირების ფინანსური საფუძვლის – ბიუჯეტის შევსებას, რაც, თავის მხრივ, სხვა ფუნქციების აღსრულებასაც ემსახურება;

**მესამე, სოციალური ფუნქცია** უზრუნველყოფს ეკონომიკურად მიზანშეწონილ ფარგლებში შემოსავლების სოციალურად სამართლიან გამოთანაბრებას, რაც ხორციელდება მცირე შემოსავლიან პირებზე გადასახდების დაბალი (ან გათავისუფლებით), ხოლო დიდ შემოსავლებზე მაღალი განაკვეთების დაწესებით, რომელთა შედეგად ამოღებული შემოსავლები ტრანსფერტული გადასახდელების ფორმით სოციალურად დაუცველ ფენებზე გადანაწილდება. დაბეგვრის მსოფლიო პარაქტიკაში ამ ფუნქციის განხორციელების ძირითადი ინსტრუმენტი სოციალური გადასახადი და საშემოსავლო გადასახადის პროგრესული განაკვეთებია. სოციალური გადასახადი ჩვენთან 2011 წლის პირველი იანვრიდან გაუქმდა და ამდენად, სისტემური რადიკალური საგადასახადო რეფორმის პირობებში მისი აღდგენა აუცილებელია;

**მეოთხე, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ფუნქცია**, ახორციელებს გადასახადი იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ სამეურნეო პროცესებს შორის მრავალმხრივი მჭიდრო კავშირების არსებობის გამო ეკონომიკის შეზღუდულ სეგმენტში გადასახადების მანევრირებით მიიღწევა მაკროეკონომიკური პროგრესული ძვრების მთელი წყება და სასურველი მიმართულებით წარმართვა, მათ შორის, მულტიპლიკატორ-აქსელერატორის ეფექტი. ასევე საექსპორტო პოტენციალის გაფართოებითა და იმპორტმემცვლელი დარგების განვითარებით შესაძლებელია ქვეყანაში უცხოური ვალუტის დაგროვება და ამ საფუძველზე ეროვნული ვალუტის კურსის გამყარება. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და ინოვაციების დანერგვა განაპირობებს ბიზნესის მომგებიანობის ზრდას, ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარებას და შეაბამისად, საბიუჯეტო შემოსავლების გადიდებას, აქედან გამომდინარე მომდევნო სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტებით და სხვა;

**მეხუთე, ეროვნული ეკონომიკის ან მისი ცალკეული პროგრესული სეგმენტების განვითარების მოტივაციის ფუნქცია**, რომლის აღსრულება ხდება ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებზე შეღავათიანი გადასახადების დაწესებით ან გათავისუფლებით. ამავე გზით მიიღწევა სასურველი მაკროეკონომიკური პროცესების, მაგალითად, ეკონომიური ზრდის, ეფექტიანობის ამაღლების ან სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების წახალისება. მაღალი გადასახადებით კი მუხრუჭდება ნაკლებად აქტუალური დარგები და ნეგატიური ეკონომიკური მოვლენები;

**მექვსე, ეკონომიკის მონოპოლიზაციის ტენდენციების შეზღუდვის ფუნქცია**, რომლის განხორციელება შესაძლებელია კანონმდებლობით განსაზღვრულ მონოპოლიურ ბარიერებს ზემოთ (შემოსავალზე, მოგებაზე, ქონებაზე, ბაზრის წილზე და სხვა) ისეთი პროგრესიულად ზრდადი გადასახადების დაწესებით, რაც მსხვილი ბიზნესსუბიექტების მიერ უკანონო მონოპოლიური მდგომარეობის დაკავებას ფინანსურ-ეკონომიკური თვალსაზრისით არახელსაყრელს გახდის;

**მეშვიდე, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მასტაბილიზებელი ფუნქცია**, რომელიც უზრუნველყოფს წონასწორობას ერთობლივ მოთხოვნასა და ერთობლივ მიწოდებას შორის, ცალკეული ბაზრების წონასწორობას, ეკონომიკური ციკლების მოსწორებას და კრიზისების ნეგატიური შედეგების დაძლევას, ეკონომიკის მონოპოლიზაციის ტენდენციების შეზღუდვით კონკურენტული გარემოს შექმნას და ამ გზით ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას, სოციალურ ფენებს შორის ურთიერთობების ჰარმონიზაციას და სხვა;

**მერვე, დარგებსა და რეგიონებს შორის რესურსების გადანაწილების ფუნქცია**, რომელიც მიმართულია დიფერენცირებული გადასახადების მეშვეობით წარმოების ფაქტორთა დარგობრივი სტრუქტურის საჭირო მიმართულებით შეცვლასა და ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში ან რეგიონებში მათ კონცენტრაციაზე. ამ მიზნით ასეთ დარგებსა და რეგიონებზე წესდება შეღავათიანი გადასახადები, რაც მათში წარმოების ფაქტორთა გადმოღინებას და ინვესტიციების უპირატეს შემოსვლას განაპირობებს;

მეცხრე, სახელმწიფოთა შორის კონკურენციული ბრძოლის ინსტრუმენტის ფუნქცია, რომელსაც გადასახადები ასრულებენ ამ თვალსაზრისით მიმზიდველი ბიზნესგარემოს შექმნით როგორც შიდა ინვესტირების გააქტიურების, ისე უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად;

მეათე, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე ეროვნული ბიზნესის კონკურენტული უპირატესობის უზრუნველყოფისა და პროტექციონისტული პოლიტიკის ფუნქცია. მისი ინსტრუმენტი უნდა გახდეს მოქნილი საბაჟო გადასახადები, რომლებიც ისე განისაზღვრება, რომ წაახალისონ საბოლოო პროდუქტების ექსპორტი და შეაფერხონ შუალედური ნედლეულის გატანა; მაღალი საბაჟო გადასახადებით იზღუდება იმ საქონლის იმპორტი, რომელიც ადგილზე იწარმოება ან საამისო რესურსები და პირობები ქვეყანას გააჩნია. ამასთან, გადასახადის განაკვეთი წესდება იმ ზომით, რომელიც ფასის თვალსაზრისით თანაბარ კონკურენტულ პირობებში ჩააყენებს შემოტანილ და ადგილობრივ საქონელს. ასევე იმპორტის მინიმალური გადასახადის დაწესებით (გათავისუფლებით) სტიმულირდება ქვეყანაში მაღალტექნოლოგიური კაპიტალური და სოციალური დანიშნულების საქონლის \_ წარმოების ავტომატიზაციის საშუალებების, მაღალ-ტექნოლოგიური საწარმოო მოწყობილობის, რობოტოტექნიკის, სამედიცინო მოწყობილობის, კვების პროდუქტების, მედიკამენტების და სხვათა შემოტანა;

მეთერთმეტე, დემოგრაფიული ფუნქცია, რომლის მიზანია ქვეყანაში შობადობის ზრდის ხელშეწყობა, რაც მიიღწევა მრავალშვილიანი ოჯახების დასაქმებული წევრების საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლებით.

გადასახადების სრული ფუნქციონალიზაციის პრინციპები და კრიტერიუმები პრიორიტეტულობის ფაქტორის გათვალისწინებით. სოციალური ეკონომიკების ფუნქციონირების საერთაშორისო გამოცდილებიდან, საქართველოს ამჟამინდელი გამოწვევების გათვალისწინებით და ჩვენი კვლევიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცალკეული საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრის პროცესი შემდეგ პრინციპებს დაემყაროს:

**პირველი,** გადამხდელების, რეგიონების და დაბეგვრის ობიექტების დიფერენციაცია მაკრო- სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტების მიხედვით და, შესაბამისად, მათი დაყოფა პრიორიტეტულ, პრიორიტეტ-ნეიტრალურ და არაპრიორიტეტულ სექტორებად;

**მეორე,** პრიორიტეტ-ნეიტრალური სექტორისათვის წესდება საბაზისო ფიქსირებულ-პროპორციული განაკვეთი, პრიორიტეტულ სექტორში — შეღავათიანი, ხოლო არაპრიორიტეტულში — საბაზისოზე მაღალი დიფერენცირებულ-პროპორციული განაკვეთები. ამასთან, გაითვალისწინება ის გარემოება, რომ მაქსიმალური განაკვეთები განისაზღვროს ისეთ დონეზე, რომელიც კონკურენტულ დარგებსა და ფირმებში არ ჩაახშობს სამეწარმეო მოტივაციას. დაბეგვრის მსოფლიო პრაქტიკაში დაგროვილი გამოცდილებიდან გამომდინარე ასეთად მიიჩნევა განაკვეთები 35-50%-ის ინტერვალში. თუმცა ამ ზომის საგადასახადო ტვირთის აწევას მხოლოდ მაღალგანვითარებული ქვეყნის ეკონომიკა თუ შეძლებს, ხოლო საქართველოსთვის იგი გაცილებით ნაკლები იქნება;

**მესამე,** ცალკე იქნეს გამოყოფილი ციკლური განვითარებისადმი მგრძობიარე და მონოპოლიზაციისადმი მიდრეკილი დარგები შესატყვისი საგადასახადო განაკვეთებით;

**მეოთხე,** დასახული სოციალურ-ეკონომიკური მიზნების, გადამხდელების თუ დაბეგვრის ობიექტის პრიორიტეტულობის, სპეციფიკისა და გამოწვევების გათვალისწინებით თითოეულ მათგანზე გამოიყენება განაკვეთის ის ფორმა, რომელიც საუკეთესოდ წყვეტს არსებულ პრობლემებს;

**მეხუთე,** გამოირიცხება ბიზნესის საგადასახადო ტვირთის დაკისრება მოსახლეობის საშუალო და ღარიბ ფენებზე;

**მექვსე,** იმისათვის, რომ ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებებზე საგადასახადო შეღავათების დაწესებამ სახელმწიფოს საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის შოკი არ გამოიწვიოს, თავდაპირველად უნდა შემოვიღოთ ეტაპობრივად და შემდეგ კი გამოვიყენოთ ჩვენ მიერ შემოთავაზებული საგადასახადო განაკვეთების სიმეტრიულობის პრინციპი, რომლის თანახმად საბიუჯეტო დანაკლისი კომპენსირდება მოცემულ ეტაპზე ნაკლებად აქტუალური და

მონოპოლიზებული დარგებიდან, ასევე მაღალშემოსავლიანი მოქალაქეებიდან ამოღებული გაზრდილი გადასახადებით.

ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევებისა და სოციალური ორიენტირების შესაბამისად, გადა-მხდელების დაბეგვრის ობიექტების დიფერენციაცია ხდება პრიორიტეტულობის ნიშნით, შესატყვისი მიზნობრივი ობიექტების შერჩევა კი — შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

**ეკონომიკის კონკურენტულ სექტორში პრიორიტეტულად მიჩნეულ დარგებზე (ფირმებზე) თუ რეგიონებზე დიფერენცირებული შეღავათიანი გადასახადების დაწესებამ და ამ საფუძველზე მათმა უპირატესმა განვითარებამ უნდა გამოიწვიოს:**

– სოციალური დანიშნულების დარგების — ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, ხელოვნების, დასვენების სერვისის და სხვათა დაჩქარებული პროგრესი;

– ეკონომიკის ინოვაციური განვითარებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ფუნდამენტური საფუძვლის — მეცნიერების აყვანა საერთაშორისო დონეზე;

– ეკონომიკის ინდუსტრიალიზაციის ტენდენციების გაძლიერება მომსახურების სექტორთან შედარებით რეალური ეკონომიკის - მატერიალური წარმოების დარგების (მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის) უპირატესი განვითარება. თავის მხრივ, მრეწველობაში უნდა მოხდეს მანქანათმშენებლობის და მისი თანამედროვე ქვედარგების ელექტროტექნიკური, ელექტრონული და ავტომატიზაციის საშუალებათა წარმოების ხვედრითი წილის ზრდა;

– მულტიპლიკატორ-აქსელერატორის ეფექტის ამოქმედება, რაც შეზღუდული რაოდენობის საბაზისო დარგებში მცირე მასშტაბის სახელმწიფო ინვესტირებით ბიძგს მისცემს მომიჯნავე დარგების სწრაფ განვითარებას. ასეთად მიიჩნევა მომარაგებისა და გასაღების მიმართულებით ღრმად განტოტვილი სამეურნეო კავშირების მქონე კაპიტალური და სამომხმარებლო საქონლის მწარმოებელი დარგები, რომლებიც ასევე შეირჩევა სხვა პრიორიტეტების გათვალისწინებითაც;

– მაღალტექნოლოგიური კაპიტალური საქონლის მწარმოებელი არსებული დარგების დაჩქარებული განვითარებისა და ახლის წარმოშობის მოტივაცია როგორც ქვეყნის შიდა საჭიროებისათვის, ისე საექსპორტო დანიშნულებით;

– იმის გამო, რომ ქვეყანაში, ერთი მხრივ, შეზღუდულია მრეწველობის განვითარების სანედლეულო ბაზა, ხოლო მეორე მხრივ, დაუსაქმებელია დიდი ოდენობით შრომითი რესურსი, საგადასახადო სისტემის სრულმა ფუნქციონალიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს არაკაპიტალტევადი და შრომატევადი დარგების განვითარებას. ეს ღონისძიება შეაჩერებს შრომით იმიგრაციასაც;

– ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერება თავდაცვითი, ენერგეტიკული, სასურსათო და სხვა მიმართულებით;

– იმ დარგების უპირატესი მოტივაცია, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის გაძლიერებას;

– გამოასწორებს რთულ დემოგრაფიული მდგომარეობას;

– მოხდეს ქვეყნის ეკონომიკურად ჩამორჩენილი და მთიანი რეგიონების განვითარების დონეთა გამოთანაბრება ბარის მოწინავე რეგიონებთან.

**პრიორიტეტულად მიჩნეულ საქონელსა და მომსახურებაზე ფასების საგადასახადო რეგულირებამ უნდა გამოიწვიოს:**

– სოციალური დანიშნულების არასასურსათო პირველადი მოხმარების საგნების, კვების პროდუქტების, სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების, სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის ფასების ხელმისაწვდომობა და სტაბილურობა;

– იმ მატერიალური რესურსების ადგილზე გადამუშავება და საბოლოო პროდუქტის სახის მიცემა, რომელიც საექსპორტოდ ჯერ კიდევ ნედლეულის სახით გადის, რაც გაზრდის ქვეყანაში შექმნილ დამატებულ ღირებულებას და შემომავალ სავალუტო ნაკადებს. ამავე მიზნით ექსპორტირებულ ნედლეულზე წესდება იმდენად მაღალი საბაჟო გადასახადი, რომ მათი გატანა ზარალიანი ხდება;

– იმ იმპორტშემცველი საქონლის ადგილზე წარმოება, რომლის სანედლეულო ბაზა და პირობები საქართველოში არსებობს. ეს ერთი მხრივ, შეამცირებს ადგილობრივი ფასების დამოკიდებულებას საერთაშორისო ბაზრის ცვალებად კონიუნტურაზე, ხოლო მეორე მხრივ, შეაფერხებს ქვეყნიდან ვალუტის გადინებას და წინა ღონისძიებასთან ერთობლიობაში ეროვნული ვალუტის კურსს სტაბილურად გაამყარებს.

**დასაქმებულთა ცალკეული საშემოსავლო ჯგუფებისათვის პრიორიტეტების მინიჭებამ და ამ საფუძველზე საგადასახადო შეღავათების დაწესებამ ან დაბეგვისაგან გათავისუფლებამ უნდა გამოიწვიოს:**

– მრავალშვილიანობის წახალისება და ქვეყანაში მძიმე დემოგრაფიული სიტუაციის გამოსწორება. ამავე მიზნით გადასახადის განაკვეთი ეზრდებათ ოცდაათ წელს გადაცილებულ დაუოჯახებელ პირებს;

– მთიან რაიონებში მოსახლეობის დამაგრება და ეკონომიკის გამოცოცხლება;

– დაბალშემოსავლიანი სამუშაო ძალის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება;

– განათლების, კვალიფიკაციისა და შემოქმედებითი უნარების მუდმივი ამაღლების მოტივაცია მეცნიერებაში, განათლებაში და სამეურნეო პრაქტიკაში დასაქმებული მაგისტრის და დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირებისათვის;

– შრომის მძიმე და სიცოცხლისათვის სახიფათო პირობებში დასაქმებული მუშახელის, ასევე შრომის უნარშეზღუდული პირების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

**ქონების მიხედვით მესაკუთრეთა ცალკეული ჯგუფებისათვის პრიორიტეტების მინიჭებამ და საგადასახადო შეღავათებმა ან გამკაცრებამ უნდა გამოიწვიოს:**

– მცირე ბიზნესის დაჩქარებული განვითარება;

– ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება;

– ეკონომიკის მონოპოლიზაციის ტენდენციების შეზღუდვა;

– დაუტვირთავი საწარმოო დანიშნულების ქონების მინიმუმამდე შემცირება;

– მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობის დამაგრება და მათი ეკონომიკური პოტენციალის სრულად გამოყენება;

– განსაკუთრებით დიდი ქონების მქონე ფიზიკურ პირებზე მაღალი გადასახადების დაწესებით სოციალური პროგრამების დაფინანსება.

**პრიორიტეტულ სამეურნეო პროცესებზე საგადასახადო შეღავათებმა ან გაზრდამ უნდა გამოიწვიოს:**

– ერთი მხრივ, მყარი წონასწორობა ერთობლივ მოთხოვნა-მიწოდებას შორის, ხოლო მეორე მხრივ, ეროვნული მეურნეობის განვითარების დაჩქარება;

– ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მოტივაცია ოპერირების დაწყებიდან პირველ სამ წელს საგადასახადო შეღავათების დაწესების გზით;

– ეკონომიკაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება საწარმოთა სრული რეკონსტრუქციის და ტექნოლოგიური გადაიარაღების დასრულების შემდეგ პირველი სამი წლის განმავლობაში საგადასახადო შეღავათების დაწესებით;

– ეკონომიკის ინოვაციური განვითარების გაღრმავება პრინციპულად ახალი ან გაუმჯობესებული საქონლის გამოშვების დაწყებიდან პირველ სამ წელს საგადასახადო შეღავათების დაწესებით;

– შრომითი ემიგრაციის შემცირება;

– ეკონომიკის მონოპოლიზაციის ტენდენციების შეზღუდვა, გამოვლენილ უკანონო მონოპოლიებზე ან ასეთი საშიშროების მქონე მსხვილ ფირმებზე მკაცრი საგადასახადო პოლიტიკის გატარების გზით;

– საქართველოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერება;

– ფირმების მიერ ეკოლოგიური ნორმების დაცვა.



ახალი გამოწვევების შესაბამისად, პრიორიტეტული გადამხდლების, დაბეგვრის ობიექტების და მათი შერჩევის კრიტერიუმების კორექტირება უნდა ხდებოდეს საგადასახადო რეგულირების გამოცდილების დაგროვების და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გამოყენების შედეგად. ასევე ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს (ეკონომიკის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო და ეროვნული ბანკი) ენიჭებათ დისკრეციული უფლება ახალი სოციალურ-ეკონომიკური მიზნების, შეცვლილი პირობებისა და გამოწვევების შესაბამისად გადამხდელთა წარმომადგენლებთან შეთანხმებით ოპერატიულად შეცვალონ ცალკეული გადასახადის განაკვეთები ახალი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საგადასახადო სისტემის სრული ფუნქციონალიზაცია ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ეკონომიკის ეფექტიანი რეგულირების გარანტს. წარმატებული შედეგი მიიღწევა მხოლოდ მონეტარულ და საბიუჯეტო ინსტრუმენტებთან მათი სისტემური გამოყენებით, რაც ხორციელდება ფულად-საკრედიტო თარგეთირებით, ბიზნესის თანადაფინანსებით, სუბსიდირებით, უფასო ან შეღავათიანი დაკრედიტებით და სხვა. ამ შემთხვევაში სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები იმავე პრინციპებით და კრიტერიუმებით განისაზღვრება, როგორც ეს გადასახადებისთვის ხდება.

### **ძირითადი დასკვნები და სამეცნიერო სიახლეები**

1. მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტების დასაბუთებითა და განვითარებული დემოკრატიული სახელმწიფოების გამოცდილების შესაბამისად ინოვაციებზე ორიენტირებული სოციალური საბაზრო ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირების აუცილებელი პირობა მისი სახელმწიფოებრივი რეგულირებაა, რაც უპირატესად ეკონომიკური (საგადასახადო-საბიუჯეტო და მონეტარული) მეთოდებით ხორციელდება. მათ შორის პრიორიტეტი საგადასახადო ინსტრუმენტს ენიჭება, რადგან **ჯერ ერთი**, რამდენადაც მონეტარული ინსტრუმენტი მიმართულია მხოლოდ ერთობლივი მიწოდების რეგულირებაზე, მისი ცალმხრივი გამოყენების გარდაუვალი შედეგია მაკროეკონომიკური წონასწორობის დარღვევა და აქედან გამომდინარე — ნეგატიური შედეგები; **მეორე**, საბიუჯეტოსთან მჭიდრო კავშირში საგადასახადო ინსტრუმენტის გამოყენებით შესაძლებელია ეკონომიკის, როგორც მასტიმულირებელი, ისე შემაკავებელი პოლიტიკის უფრო ეფექტიანი განხორციელება, ერთდროულად რამდენიმე კონკრეტული მაკროეკონომიკური მიზნის აღსრულება და ეკონომიკაში წერტილოვანი ჩარევა; **მესამე**, მონეტარული ინსტრუმენტებით მიიღწევა მხოლოდ რამდენიმე მიზანი — ინფლაციის მოთოკვა, ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილიზაცია და შეზღუდული ეკონომიკური ზრდა მაშინ, როდესაც საგადასახადო ინსტრუმენტი, ამ მიზნების გარდა, ხდება ქვეყნის წინაშე მდგარი ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტა; **მეოთხე**, გადასახადების ცვლილებით ხორციელდება, როგორც ერთობლივ მოთხოვნაზე, ისე ერთობლივ მიწოდებაზე კომპლექსური ზემოქმედება და მიზნობრივი სოციალურ-ეკონომიკური ძვრების გამოწვევა ისე, რომ მაკროეკონომიკური წონასწორობა არ ირღვევა.

2. პრინციპულ დაზუსტებას საჭიროებს გადასახადების კატეგორიის არსი სოციალური ეკონომიკის სპეციფიკის შესაბამისად. საყოველთაოდ მიღებული განმარტებით, „გადასახადი არის ბიუჯეტში სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე“. სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების და შესაბამისი საგადასახადო სისტემის ანალიზი აჩვენებს, რომ მათ ერთ ნაწილს, ირიბ გადასახადებს, სახელმწიფო ამოიღებს, როგორც საზოგადოებრივი დოვლათის მიწოდებელი მეწარმე, ხოლო მეორე ნაწილს, პირდაპირ გადასახადებს, — როგორც ეკონომიკური უნარის მფლობელი ბიზნესპარტნიორი. ამ თვალსაზრისით **გადასახადი ესაა სახელმწიფოსა და გადამხდელს შორის საქონელ-გაცვლითი და განაწილებითი ურთიერთობების ამსახველი ეკონომიკური კატეგორია, რომელიც ასახავს, ერთი მხრივ, სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივი მეწარმისა და, მეორე მხრივ, როგორც ბიზნესპარტნიორის კუთვნილი შემოსავლების მოძრაობას მათი შექმნის ადგილებიდან ცენტრალიზებული საბიუჯეტო ფულადი**

ფონდებისაკენ, რომელთა დანიშნულებას შეადგენს მისი მრავალფეროვანი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფუნქციების აღსრულება, ასევე გადამხდელთა ერთობლივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

3. გადასახადების კატეგორიის ასეთი გაგებით, სახელმწიფოს, როგორც ბიზნეს-პარტნიორის მოვალეობებში შედის, ეკონომიკის სოციალური და მარეგულირებელი ინსტიტუციურ-სამართლებრივი ბაზის შექმნა, მათ შორის საგადასახადო ინსტრუმენტზე დაყრდნობით, ეროვნული მეურნეობის სახელმწიფოებრივი რეგულირება და მატერიალური წარმოების პრიორიტეტული დარგების მოტივაცია, დარგთა შორის რესურსების რაციონალური განაწილება, ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება, მონოპოლიზაციის შეზღუდვა, ბაზრის უარყოფითი თანამდევი ეფექტების განეიტრალება, მაკროეკონომიკური წონასწორული ზრდის დაჩქარება, ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა და სხვა.

ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებებმა ე. წ. „დერეგულირების“ პოლიტიკის აქტიური გატარებით შეგნებულად თქვეს უნარი ეკონომიკის რეგულირების გენეტიკურ ვალდებულებებზე. ამის შედეგია ის გარემოება, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი საგადასახადო ტარიფის მიუხედავად, ამ ფაქტორმა მთელი განვლილი სამი ათეული წლის განვავლობაში ვერ უზრუნველყო ეკონომიკური ზრდის ისეთი ტემპი, რომ წარმატებული ქვეყნების რიგში ჩავმდგარიყავით. ეს მაშინ, როდესაც ეს დრო სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის საკმარისი აღმოჩნდა რადიკალური სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების, მათ შორის საგადასახადო სისტემის მოდერნიზების გზით დასავლეთ ევროპას დასწეოდნენ.

4. ეკონომიკის მეცნიერებაში და სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში გაასახადების სტანდარტულად მიღებული ფუნქციები — ფისკალური, სოციალური და ეკონომიკური, ვერ უზრუნველყოფენ მისი, როგორც ეკონომიკური უნარის მფლობელი ბიზნესპარტნიორის მოვალეობების სრულად აღსრულებას. ამდენად, აუცილებელი ხდება მათი დაზუსტება და ახლის დამატება სოციალური, რეგულირებადი და ინოვაციებზე დამყარებული ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით. ამ გარემოების გათვალისწინებით უნდა მოხდეს საგადასახადო სისტემის სრული ფუნქციონალიზაცია — სოციალური და ეკონომიკურ-მარეგულირებელი ფუნქციების სრული სპექტრის მინიჭება, რაც სიღრმისეული სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების განხორციელების აუცილებელ პირობებსაც შექმნის;

5. ამჟამად საქართველოში მყარად დამკვიდრებული ერთგვაროვანი გამთანაბრებლობითი საგადასახადო განაკვეთები გამორიცხავს სისტემური მაკროეკონომიკური რეფორმების გატარების შესაძლებლობას. უფრო მეტიც, მოქმედებს კონსტიტუციურად დაკანონებული ე. წ. „თავისუფლების აქტი“, რომელიც კრძალავს რეფერენდუმის გარეშე გადასახადების განაკვეთების გაზრდას (გარდა აქციზისა) ან ახლის შემოღებას. რეალურად საქმე გვაქვს არა „თავისუფლების აქტთან“, არამედ სახელმწიფოს მიერ საკუთარ გენეტიკურ სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციებზე უარის თქმის, თვითშეზღუდვის და პასუხისმგებლობის მოხსნის დემონსტრირებასთან. შესაბამისად, აღნიშნული ნორმატიული დოკუმენტი ესაა არა თავისუფლების, არამედ ეროვნული მასშტაბის თვითდაზიანებისა და ბაზრის სტიქიურ ძალებთან ნებაყოფლობითი „სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კაპიტულაციის აქტი“.

6. უცხოეთის სოციალური სახელმწიფოების ეკონომიკების რეგულირების პრაქტიკის ანალიზიდან და ჩვენი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე გადასახადები ტრადიციულთან ერთად ახორციელებენ: შემოსავლების პირველადი განაწილების, ფისკალურ, სოციალურ, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების, ეროვნული ეკონომიკის და მისი პრიორიტეტული სეგმენტების განვითარების მოტივაციის, ეკონომიკის მონოპოლიზაციის შეზღუდვის, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მასშტაბილიზებელ, დარგებსა და რეგიონებს შორის რესურსების გადანაწილების, სახელმწიფოთა შორის კონკურენციული ბრძოლის ინსტრუმენტის, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე ეროვნული ბიზნესის კონკურენტული უპირატესობის უზრუნველყოფის და პროტექციონისტული პოლიტიკის ფუნქციებს.

7. სოციალური ეკონომიკების ფუნქციონირების საერთაშორისო გამოცდილებისა და საქართველოს ამჟამინდელი გამოწვევების გათვალისწინებით მიზანშეწონილია ცალკეული საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრის პროცესი შემდეგ პრინციპებს დაემყაროს:

**პირველი,** გადამხდელების, რეგიონებისა და დაბეგვრის ობიექტების დიფერენციაცია სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტების მიხედვით და შესაბამისად, მათი დაყოფა პრიორიტეტულ, პრიორიტეტ-ნეიტრალურ და არაპრიორიტეტულ სექტორებად;

**მეორე,** პრიორიტეტ-ნეიტრალური სექტორისათვის წესდება საბაზისო ფიქსირებულ-პროპორციული განაკვეთი, პრიორიტეტულ სექტორში — შეღავათიანი დიფერენცირებულ-პროპორციული, ხოლო არაპრიორიტეტულში — საბაზისოზე მაღალი ასევე დიფერენცირებულ-პროპორციული განაკვეთები. ამასთან, გაზრდილი განაკვეთები განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც კონკურენტულ დარგებსა და ფირმებში არ ჩაახშობს სამეწარმეო მოტივებს;

**მესამე,** ცალკე უნდა იქნეს გამოყოფილი ციკლური განვითარებისადმი მგრძობიარე და მონოპოლიზაციისადმი მიდრეკილი დარგები შესატყვისი პროგრესიული განაკვეთებით;

**მეოთხე,** დასახული სოციალურ-ეკონომიკური მიზნების, გადამხდელების თუ დაბეგვრის ობიექტის პრიორიტეტულობის, სპეციფიკის და გამოწვევების გათვალისწინებით თითოეულ მათგანზე გამოიყენება განაკვეთის ის ფორმა, რომელიც საუკეთესოდ უზრუნველყოფს არსებული პრობლემების გადაწყვეტას;

**მეხუთე,** გამოირიცხება ბიზნესის საგადასახადო ტვირთის დაკისრება მოსახლეობის ღარიბ და საშუალო ფენებზე;

**მეექვსე,** იმისათვის, რომ ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებებზე საგადასახადო შეღავათების დაწესებამ სახელმწიფოს საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის შოკი არ გამოიწვიოს, მათი შემოღება უნდა მოხდეს ეტაპობრივად. ამასთან, გამოყენებულ იქნეს საგადასახადო განაკვეთების სიმეტრიულობის ახალი პრინციპი, რომლის თანახმად საბიუჯეტო დანაკლისი კომპენსირდება მოცემულ ეტაპზე ნაკლებად აქტუალური და მონოპოლიზებული დარგებიდან, ასევე მაღალშემოსავლიანი მოქალაქეებიდან ამოღებული გაზრდილი გადასახადებით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ. პაპავა, არატრადიციული ეკონომიკის, თბილისი, 2011, გვ. 144, 152.
2. ა. სისვაძე, ეკონომიკური თეორია, ნაწილი მეორე, თბილისი, 2006, გვ. 123.
3. რ. ბარი, პოლიტიკური ეკონომია (რუსულ ენაზე), ტ. 1 და 2, მოსკოვი, 1995.
4. ო. ბლანშარი, მაკროეკონომიკა, თბილისი, 2010, გვ. 821, 834.
5. უ. ბომოლი, ა. ბლანდერი, ეკონომიკის, პრინციპები და პოლიტიკა, ტ. III, თბილისი, 1998, გვ. 294-345.
6. ს. გოდარი, ტ. ხუნდაძე, ა. ტრუგერი. პოლიტიკის კვლევა საყოველთაო კეთილდღეობისთვის: წინადადება უთანასწორობების შემცირებისა და ინდუსტრიული განვითარებისთვის რესურსების მობილიზების მიზნით, საქართველოში საშემოსავლო გადასახადის რეფორმის შესახებ, თბილისი, 2018. <https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/-15111.pdf>.
7. ე. ჯ. დოლანი, მაკროეკონომიკა (რუსულ ენაზე), სანქტ-პეტერბურგი, 1994, გვ. 143-161.
8. კ. რ. მაკკონელი, ს. ლ. ბრიუ, ეკონომიკის, ნაწილი 1, თბილისი, 1993, გვ. 272-286.
9. გ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, 2008, გვ. 229.
10. პ. სამუელსონი, ვ. ნორდჰაუსი, ეკონომიკა, ტ. 2, თბილისი, 2000, გვ. 292-335.
11. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=194>.
12. ჯ. სლომანი, ეკონომიკის სფუძვლები (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 2004, გვ. 292-383.
13. ეკონომიკური თეორია, ვ. ი. ვიდიპინის და ა. ი. დობრინინის რედაქციით (რუსულ ენაზე). მოსკოვი, 2002, გვ. 573.
14. ეკონომიკა, ა. ს. ბულატოვის რედაქციით (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 2006, გვ. 533.
15. ს. ფუტკარაძე, საქართველოს საგადასახადო სისტემა და მისი სრულყოფის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, სადოქტორო დისერტაცია, ბათუმი, 2012, გვ. 59.

16. ლ. ჩიქავა, ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი, თბილისი, 1997, გვ. 344.
17. ლ. გ. ხოდოვი, ეროვნული ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 2004, გვ.326-340.
18. ზ. ხორგუაშვილი, საქართველოს საგადასახადო სისტემის მიმოხილვა და ანალიზი, [https://gnomonwise.org/ge/publications/analytics/135?fbclid=IwAR3aT6vBXbDI26GT\\_4T75FsmYzEmBBX-Va-Xwdvx2h7QFtsH2h1ur-9D-0c](https://gnomonwise.org/ge/publications/analytics/135?fbclid=IwAR3aT6vBXbDI26GT_4T75FsmYzEmBBX-Va-Xwdvx2h7QFtsH2h1ur-9D-0c).

### სტატისტიკური ინფორმაციის წყაროები

1. [http://www.consultant.ru/document/cons\\_doc\\_LAW\\_364178/2b4dd535a015bcc992dd9a754f9a098fb856af0f/](http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_364178/2b4dd535a015bcc992dd9a754f9a098fb856af0f/).
2. <https://top-rf.ru/places/157-rejting-stran-po-vvp-na-dushu-naseleniya.html>.
3. <https://w3.unece.org/SDG/ru/Indicator?id=117>.
4. <https://visasam.ru/emigration/vybor/srednya-zarplata-v-mire.html#C>.
5. [https://visasam.ru/emigration/vybor/pensiya-v-stranah-mira.html#\\_2023](https://visasam.ru/emigration/vybor/pensiya-v-stranah-mira.html#_2023).
6. <https://take-profit.org/statistics/quality-of-life/>.
7. <https://svspb.net/danmark/gini.php>.
8. <https://top-rf.ru/places/157-rejting-stran-po-vvp-na-dushu-naseleniya.html>.
9. [https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%BF%D0%B8%D1%81%D0%BE%D0%BA\\_%D1%81%D1%82%D1%80%D0%B0%D0%BD\\_%D0%BF%D0%BE\\_%D1%82%D0%B5%D0%BC%D0%BF%D0%B0%D0%BC\\_%D1%80%D0%BE%D1%81%D1%82%D0%B0\\_%D0%92%D0%92%D0%9F~](https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%BF%D0%B8%D1%81%D0%BE%D0%BA_%D1%81%D1%82%D1%80%D0%B0%D0%BD_%D0%BF%D0%BE_%D1%82%D0%B5%D0%BC%D0%BF%D0%B0%D0%BC_%D1%80%D0%BE%D1%81%D1%82%D0%B0_%D0%92%D0%92%D0%9F~).
10. <https://gsl.org/ru/taxes/tax-zones/>.

*Ilia (Aziko) Sisvadze*

## THEORETICAL AND METHODOLOGICAL-METHODICAL PROBLEMS OF A RADICAL REFORM OF THE TAX SYSTEM OF GEORGIA IN SOCIAL ECONOMY CONDITIONS

### Abstract

The series of works, where the problems of radical reformation of the tax system of Georgia in the conditions of social economy are investigated. It discusses in a logical sequence: the conceptual foundations of tax regulation of the social economy, the full functionalization of individual taxes taking into account macroeconomic priorities and by assigning a social and economic-regulatory role, for individual large-scale forms of business, optimization of the tax burden based on new approaches, the author's economic-mathematical model of private optimization of tax rates and other.

*მაია ჩინჩალაძე  
ლელა ბოჭორიძე*

**ცვლილებები იჯარის, დღგ-ის და აღრიცხვის კუთხით პანდემიის პერიოდში**

*ანოტაცია. ფისკალური პოლიტიკა გადასახადებისა და ხარჯების სფეროში სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ერთობლიობაა. დისკრეციული ფისკალური პოლიტიკა ნიშნავს გადასახადებისა და სახელმწიფო ხარჯების ცვლილებას ბუმის ან რეცესიის პირობებში. მათ სახელმწიფო ახორციელებს ორი ინსტრუმენტით: საბიუჯეტო პროცესით და საგადასახადო კოდექსით. ფისკალური პოლიტიკა 2 სახისაა – ექსპანსიური და შემზღუდავი. სწორედ ექსპანსიურ ფისკალურ პოლიტიკას (გადასახადების შემცირება ან სახელმწიფო ხარჯების ზრდა ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებისათვის) მიმართავს მთავრობა მაშინ, როდესაც ქვეყანა იმყოფება რეცესიაში, უმუშევრობასა და ინფლაციასთან საბრძოლველად.*

### შესავალი

დღგ-ით დასაბეგრ პირად განიხილება ნებისმიერი პირი, რომელიც ნებისმიერ ადგილზე დამოუკიდებლად ახორციელებს ნებისმიერი სახის ეკონომიკურ საქმიანობას, მიუხედავად ამ საქმიანობის მიზნისა და შედეგისა.

ცვლილებების თანახმად, დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად აღარ განიხილება საქონლის დროებითი შემოტანა. საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა, რომელიც სხვა სახის საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევასთან უშუალოდაა დაკავშირებული ან დამხმარე ხასიათისაა და განიხილება ამ მომსახურების გაწევის (საქონლის მიწოდება) ნაწილად.

## 1. ცვლილებები დღგ-ის კარში

ბიზნესში, მომსახურების გაწევის ადგილი განისაზღვრება ორი ძირითადი პრინციპით:

1. ბიზნესი ბიზნესისთვის (B2B) – ამ შემთხვევაში, მომსახურების გაწევის ადგილად განიხილება მომსახურების მიმღების დაფუძნების ადგილი.

2. ბიზნესი მომხმარებლისთვის (B2C) – მომსახურების გაწევის ადგილად განიხილება მომსახურების გამწევის დაფუძნების ადგილი.

ამდენად, დღგ-ის მიზნებისთვის შეიცვალა „მომსახურების გაწევის ადგილის“ განსაზღვრის პრინციპები, რომელთა მიხედვით მნიშვნელოვანია არა ის, თუ რა ტიპის მომსახურებას უწევს საქართველოს რეზიდენტი არარეზიდენტს, არამედ ვინ არის მომსახურების მიმღები – ბიზნესი (B to B) თუ საბოლოო მომხმარებელი (B to C).

B to B შემთხვევაში ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრა არ უნდა მოხდეს საქართველოში, რადგან მიმღები პირის ქვეყანა (უცხოეთი) ითვლება მომსახურების გაწევის ადგილად. ხოლო B to C ტრანზაქციის შემთხვევაში, საქართველოდან უცხოეთში მიწოდებული სერვისის საქართველოში დღგ-ით დაბეგვრა მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში მოხდება.

ეს ცვლილება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია დღგ-ის კარში, 2021 წლიდან შესულ ცვლილებებს შორის.

2021 წლამდე არსებული ნორმა შეესაბამებოდა ევროკავშირში მოქმედ პრინციპებს. ამ მიზეზის გამო, საქართველოდან არარეზიდენტებისთვის მომსახურების გაწევა დღგ-ით ორმაგად იბეგრებოდა.

## 2. ცვლილებები – ფასს 16 იჯარა

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ – IASB – გამოსცა ფასს 16 იჯარები, იგი ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვარს. ფასს 16 მოიცავს ცვლილებებს იჯარის აღრიცხვის კუთხით და შემუშავებულია არსებული სტანდარტების ჩასანაცვლებლად (ბასს 17 იჯარები).<sup>29</sup> აქვე ფუნდამენტურად იცვლება მოიჯარის მიერ აღრიცხვიანობის სტილი. სტანდარტი ადგენს აღიარების, შეფასების, წარდგენისა და ინფორმაციის გამჟღავნების პრინციპებს იჯარისთვის.<sup>30</sup>

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის SARAS-ის მითითებები კორონავირუსის პანდემიის (COVID-19) მიმდინარე კრიზისში შემცირებული მოხმარების, წარმოებისა და ვაჭრობის; მგზავრობაზე, ღონისძიებების გამართვაზე აკრძალვების დაწესების ვითარებაში დაზარალებულ სუბიექტებს ეხმარება მათ წინაშე არსებული აღრიცხვა-ანგარიშგების პრობლემების მოგვარებაში.

სალიზინგო ხელშეკრულების მოდიფიკაცია მოიცავს სალიზინგო ხელშეკრულების შინაარსის ცვლილებას:

- აქტივის გამოყენების უფლების ცვლილებას;
- საიჯარო საზღაურის ცვლილებას;
- სალიზინგო ხელშეკრულების ცვლილებას.

სახელმწიფო გადაწყვეტილებიდან გამომდინარე. 2020 წლის 28 მაისის ცვლილების თანახმად COVID-19 Related Rent Concession Amendment to IFRS 16 Leases (the amendment) მოიჯარეს საშუალებას აძლევს კოვიდ-19-ის დროს მიმდინარე მოვლენები სალიზინგო ხელშეკრულებებში არ განიხილოს, როგორც „მოდიფიკაცია“, რაც საჭირო იქნებოდა ფასს-16-ის სტანდარტული მოთხოვნების მიხედვით. აღნიშნული ცვლილება ამოქმედდა 2020 წ. 1

<sup>29</sup> [https://www.bdo.global/getmedia/00f25c48-330a-470b-82d7-b323335ba0a9/IFRS16IP\\_Leases-2019-2020.aspx](https://www.bdo.global/getmedia/00f25c48-330a-470b-82d7-b323335ba0a9/IFRS16IP_Leases-2019-2020.aspx)

<sup>30</sup> [https://saras.gov.ge/Content/files/2018\\_IFRS\\_16.pdf](https://saras.gov.ge/Content/files/2018_IFRS_16.pdf)

ივნისიდან და გარკვეულ კრიტერიუმებს მოითხოვდა: სალიზინგო გადახდების ცვლილება ან ახლოს არის ძველ სალიზინგო გადახდებთან, ან მასზე ნაკლებია. ცვლილებები სალიზინგო გადახდებში 2021 წლის 30 ივნისამდე პერიოდს მოიცავდა.

### 3. ცვლილებები საქართველოს შრომის კოდექსში

საქართველოს შრომის კოდექსში გატარებული ცვლილებების თანახმად, დასაქმებულთა სამუშაო საათების აღრიცხვა უნდა აწარმოონ ერთჯერადად, ყოველი თვის ბოლოს ან/და პერიოდულად, მთელი თვის განმავლობაში.

ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალში არ შედის: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სავალდებულო დაზღვევის ფარგლებში დამქირავებლის მიერ დაქირავებულის სასარგებლოდ სადაზღვევო პრემიის გადახდით მიღებული სარგებელი.

### დასკვნა

COVID 19-ის პანდემიის შემდგომ ქვეყნის მთავრობებმა და ინსტიტუტებმა გაატარეს ეფექტური ღონისძიებები კრიზისის ზეგავლენის შესამცირებლად როგორც ბიზნესზე, ასევე ცალკეულ ინდივიდსა და ოჯახზე.

ფისკალური და ფინანსური საკომპენსაციო ზომები ფართოვდება და მოიცავს:

- სახელმწიფო კრედიტებს ბიზნესისათვის;
- ბიზნესის დაბეგვრის განაკვეთების შემსუბუქებას;
- პირდაპირ ბიზნესგრანტებს;
- თვითდასაქმებულების მხარდაჭერას;
- გადასახადების გადავადებას;
- ავადმყოფობასთან დაკავშირებულ შეღავათებს, გადახდის წესების შემსუბუქებას.

**შეღვათები შეეხო დეკლარაციებს:** გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის (საშემოსავლო), საშემოსავლო გადასახადის წლიურ და საწარმოს ქონების გადასახადის წლიურ დეკლარაციებს; მოწყვლადი მოსახლეობის სოციალური შემწეობისა და კომუნალური გადასახადების დაფინანსებას; ქონების გადასახადის განახევრებას; საგარეო დაფინანსების მოზიდვას; ბიზნესის რეგულაციების გადახედვა/შეჩერებას; საპენსიო შენატანების დროებით შეჩერებას; საბანკო რეგულაციების შემდგომ გამარტივებას; საავადმყოფოს აღჭურვა/გამდიერებას; სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სექტორების მხარდაჭერის გაგრძელებას; ახალი ეკონომიკური მოდელის შემუშავებას მსოფლიოში შეცვლელი მდგომარეობის გათვალისწინებით; არსებული თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის მაქსიმალურ გამოყენებას (DCFTA და სხვა ორმხრივი სავაჭრო შეთანხმებები); ფინანსური პირობების შერბილებას ბანკებისათვის; დარგების იდენტიფიცირება/წახალისებას შიდა ბაზრისათვის – ექსპორტისათვის; უცხოური ინვესტიციების მოზიდვას; განათლების სექტორის ძირეულ რეფორმას კერძო სექტორის აქტიური ჩართულობით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4911996?publication=0>
2. <http://www.gfpaa.ge/site/files/GangrdzobiTi>
3. [https://www.bdo.global/getmedia/00f25c48-330a-470b-82d7-b323335ba0a9/IFRS16IP\\_Leases-2019-2020.aspx](https://www.bdo.global/getmedia/00f25c48-330a-470b-82d7-b323335ba0a9/IFRS16IP_Leases-2019-2020.aspx)
4. [https://saras.gov.ge/Content/files/2018\\_IFRS\\_16.pdf](https://saras.gov.ge/Content/files/2018_IFRS_16.pdf)

*Maia Chinchaladze*

*Lela Botchoidze*

### CHANGES IN RENT, VAT AND ACCOUNTING DURING THE PANDEMIC

#### Abstract

Fiscal policy in the field of taxes and expenditures is a set of decisions made by the state. Discretionary fiscal policy - means changes in taxes and government spending in the face of a boom or

recession. The state implements them through two instruments: the budget process and the tax code. Fiscal policy is of two types - expansive and restrictive. It is the expansionary fiscal policy - the reduction of taxes or the increase of government spending to stimulate aggregate demand - that the government applies when the country is in recession, to fight unemployment and inflation.

*ბალიანა ჩიტაძე*

### ამონაგების აღიარების ზოგიერთი საკითხი

**ანოტაცია.** სტატიაში ვაანალიზებთ გრძელვადიანი კონტრაქტებიდან ამონაგების აღიარების ცალკეულ პუნქტებს ფასს 15-ის შესაბამისად. კერძოდ, განხილულია საქონლისა და მომსახურების გრძელვადიან პერიოდში მიწოდებისას შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება, შესასრულებელი ვალდებულებების შესრულების ხარისხის შეფასების მეთოდები, წამგებიანი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიმდინარე ვალდებულების როგორც ანარიცხის აღიარება და შეფასება, ხელშეკრულების დანახარჯები და სხვა.

**საკვანძო სიტყვები:** გრძელვადიანი კონტრაქტები; შესასრულებელი ვალდებულებები; ხელშეკრულების დანახარჯები.

### შესავალი

ფასს 15-ით „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ გამოიყენება 2018 წლიდან მომხმარებლებთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებასთან მიმართებით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელთათვისაც ცალკე სტანდარტებია დადგენილი. ასეთებია საიჯარო და სადაზღვევო ხელშეკრულებები, ფინანსური ინსტრუმენტები და ერთსა და იმავე დარგში დასაქმებულ საწარმოებს შორის არაფულადი გაცვლის ოპერაციები.

სტანდარტით დადგენილია ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც საწარმომ უნდა გამოიყენოს ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტის მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების შედეგად წარმოქმნილი ამონაგების აღიარებისა და ფულადი ნაკადების ხასიათის, სიდიდის, მათი წარმოქმნის ვადებისა და განუსაზღვრელობის შესახებ საჭირო ინფორმაციის ფინანსურ ანგარიშგებაში წარსადგენად. ამ სტანდარტის მიხედვით, საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ერთი და იმავე ალგორითმის მიხედვით ხდება. აქ მთავარი ფაქტორი იქნება საქონლის კონტროლის გადაცემა გამყიდველიდან კლიენტზე.

„სტანდარტი, ამონაგების აღიარების უფრო სტრუქტურული მიდგომებით და სხვადასხვა კონტრაქტებისთვის უნივერსალური კრიტერიუმების შემოტანით, უზრუნველყოფს წინა სტანდარტებით განპირობებულ ყველა გაუგებრობის აცილებას. თუ ადრე, ხელშეკრულების საგნიდან გამომდინარე საქონლის გაყიდვის, მომსახურებისა და მშენებლობის მიწოდებისათვის არსებობდა აღრიცხვის სხვადასხვა მოდელი, ახალ სტანდარტში ამისთვის აღრიცხვის ერთიანი და უფრო დეტალური მექანიზმია მოცემული (Mariam Vardiashvili, Marina Maisuradze, 2017).

ფასს 15-ის დანერგვა და ამონაგების აღიარების ახალი წესები ზოგიერთ საწარმოზე მინიმალურ გავლენას ახდენს, მაგრამ ბევრ კომპანიაში ახალმა სტანდარტმა შეიძლება შეცვალოს შემოსავლის აღიარების დრო, რადგან აქცენტი კეთდება საქონლის გადაცემასთან დაკავშირებულ რისკზე. მათ მიეკუთვნება კომპანიები რომლებიც საქონლისა და მომსახურების მიწოდებას განიხილავენ ერთ გაერთიანებულ პაკეტად ან ახორციელებენ მსხვილ პროექტებს, როგორცაა ლიცენზირება და პროგრამული უზუნველყოფის გაყიდვები, აგრეთვე სატელეკომუნიკაციო, სამშენებლო, თავდაცვის მრეწველობის დარგებში მომუშავე საწარმოები და სხვა.

გრძელვადიანი კონტრაქტებით გათვალისწინებული სამუშაოების დაწყებისა და დამთავრების თარიღები, როგორც წესი, სცილდება ერთ საანგარიშგებო პერიოდს. ამიტომ ამ ტიპის კონტრაქტებიდან მიღებული ამონაგებისა და გაწეული დანახარჯების განაწილება იმ საანგარიშგებო პერიოდებზე, რომელთა განმავლობაშიც ხორციელდებოდა საქონლისა და

მომსახურების მიწოდება, აღრიცხვის ერთ-ერთი მთავარი საკითხია (Levan SABAURI, Mariam VARDIASHVILI, Marina MAISURADZE, 2022).

ამ კვლევის მიზანია გამოავლინოს ფასს 15-ის ის ძირითადი კონცეფციები, რომლითაც იხელმძღვანელებენ კომპანიები გრძელვადიანი კონტრაქტებიდან ამონაგების აღიარებისას.

### **გრძელვადიანი კონტრაქტებიდან ამონაგების აღიარების ძირითადი კონცეფცია**

სტანდარტის მიხედვით საწარმომ მაშინ უნდა აღიაროს ამონაგები, როდესაც (ან როგორც კი) მომხმარებელი მოიპოვებს მოცემულ აქტივზე კონტროლს. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ხდება დროის გარკვეულ მომენტში, ხოლო ზოგჯერ – გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

თუ საწარმო საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლს გარკვეული პერიოდის განმავლობაში გადასცემს და ფასს 15-ის 35 პარაგრაფის კრიტერიუმებიდან ერთ-ერთი მაინც კმაყოფილდება, მაშინ შემოსავალი აღიარებული უნდა იყოს გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

ვალდებულების გარკვეული პერიოდის განმავლობაში შესრულებისას ერთეულმა უნდა აირჩიოს მეთოდი, რომლითაც განსაზღვრავს შემოსავლის ოდენობას თითოეული საანგარიშგებო პერიოდისთვის.

ისეთი კონტრაქტებიდან, რომლებიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში უნდა შესრულდეს, ამონაგების შეფასება და აღიარება, დამოკიდებულია შესასრულებელი ვალდებულების შესრულების ხარისხზე (Levan Sabauri, Mariam Vardiashvili, Marina Maisuradze, 2022).

ვალდებულების შესრულების ხარისხის შეფასების მეთოდებია: შედეგების მეთოდი და გამოყენებული რესურსების მეთოდი.

შედეგების მეთოდით ამონაგების აღიარება ხდება ანგარიშგების თარიღამდე შესრულებული სამუშაოს შედეგების პირდაპირი გაზომვის საფუძველზე, კონკრეტული თარიღისათვის მომხმარებლისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურების ღირებულების პირდაპირი შეფასებით (Levan Sabauri, Mariam Vardiashvili, Marina Maisuradze, 2022).

გამოყენებული რესურსის მეთოდით ამონაგების აღიარება ხდება გამყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად გაწეული ან ამისთვის მოხმარებული რესურსების თანაფარდობის საფუძველზე, მოცემული ვალდებულების შესასრულებლად საჭირო მთლიან მოსალოდნელ რესურსებთან მიმართებით (Levan Sabauri, Mariam Vardiashvili, Marina Maisuradze, 2022).

გამოყენებული რესურსების მეთოდის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მიღებული შედეგების შეფასებასთან შედარებით ამ მეთოდის გამოყენება ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვს, რადგან გაცილებით ადვილია დახარჯული რესურსების რაოდენობის შეფასება. მისი ნაკლოვანი მხარეა ის, რომ შეიძლება არ იყოს პირდაპირი კავშირი ხარჯებსა და შედეგებს შორის. მართლაც, ხარჯები და შემოსავალი ყოველთვის არ არის ერთმანეთთან პირდაპირ კორელაციაში. ეს განსაკუთრებით აშკარაა, თუ არის არაეფექტიანი ხარჯები, სამუშაოს დეფექტები, დანაკარგები. ამ შემთხვევაში გაწეული იქნება ხარჯები, მაგრამ ისინი არ გამოიწვევს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. ამიტომ, ამ მეთოდის გამოყენებისას კონტრაქტორმა კომპანიამ უნდა გამორიცხოს ის დანახარჯები, რომელიც გავლენას არ ახდენს შესასრულებელი ვალდებულების შესრულების ხარისხის მიღწევაში. თუ კომპანია ირჩევს ამ მეთოდს, მაშინ მან უნდა დააკორექტიროს გამოყენებული რესურსების გაანგარიშება, საიდანაც გამოითვლება შემოსავალი. მაგალითად, გამოყენებული რესურსების ღირებულებიდან უნდა გამორიცხოს გაუთვალისწინებელი დანახარჯების ღირებულება, რომლებიც დაკავშირებულია ვალდებულების შესასრულებლად გამოყენებული მასალის, სამუშაო ძალის ან სხვა რესურსების დანაკარგებთან. ხოლო როდესაც გაწეული ხარჯი შესასრულებელი ვალდებულების შესრულების მიღწეული დონის პროპორციული არ არის, მაშინ საწარმოს საქმიანობის შედეგების ყველაზე უკეთ ასახვისთვის შეიძლება აუცილებელი გახდეს გამოყენებული რესურსების მეთოდის კორექტირება.



თუ საწარმო შესასრულებელ ვალდებულებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ ასრულებს, მაშინ უნდა მიიჩნიოს, რომ შესასრულებელ ვალდებულებას ასრულებს დროის გარკვეულ მომენტში.

ზოგადი პრინციპით ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც საწარმო საქონლისა და მომსახურების მომხმარებელზე გადაცემით შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას. აქტივი გადაცემულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც (ან როგორც კი) მომხმარებელი მოიპოვებს მოცემულ აქტივზე კონტროლს და მიიღებს არსებითად მთელ დარჩენილ სარგებელს. დროის იმ მომენტის დასადგენად, როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს კონტროლს დაპირებულ აქტივზე, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ფასს 15-ის 31-34-ე პუნქტების მოთხოვნები. კონტროლთან დაკავშირებული მოთხოვნების გარდა საწარმომ კონტროლის გადაცემის ინდიკატორებიც უნდა განიხილოს, რათა დადგინდეს, ხომ არ არსებობს სხვა ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს ამონაგების აღიარების მომენტი.

**დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის არსებობა ხელშეკრულებაში.** თუ საქონლის ღირებულების გადახდა ხდება მის მიწოდებაზე გაცილებით გვიან საერთაშორისო სტანდარტებით მიიჩნევა, რომ ხელშეკრულება შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს. ასეთ ვითარებაში „სტანდარტი მოითხოვს ანაზღაურების მოსალოდნელი სიდიდის კორექტირებას ფულის დროითი ღირებულების გათვალისწინებით. „ფულის დროითი ღირებულების ეფექტი არ განიხილება და თანხის კორექტირება არ მოითხოვება, როდესაც თანხის მიღება და კონტრქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება ერთ წელზე ნაკლებ პერიოდს მოიცავს“ (Mariam Vardiashvili, Marina Maisuradze, 2017).

კორექტირება მოითხოვება გადახდის გრძელვადიანი, 12 თვეზე მეტი პერიოდის გადავადებისას.

ფასს 15 -ის მიხედვით ამონაგები ფასდება ანაზღაურების იმ ოდენობით, რომლის გადახდა მოუწევდა მყიდველს აქტივებზე კონტროლის მიღების მომენტში.

**წამგებიანი ხელშეკრულება.** წამგებიანი ხელშეკრულებების იდენტიფიცირება არ არის დაკავშირებული მოსალოდნელ რეალურ ხარჯებთან, არამედ მხოლოდ ამ ხარჯების იმ ნაწილებთან, რომელთა შესრულებაც გარდაუვალია.

სტანდარტით გათვალისწინებული ხელშეკრულებით მოვალეობების შესასრულებლად გათვალისწინებული გარდაუვალი დანახარჯები თუ აღემატება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოსალოდნელ სარგებელს, ხელშეკრულება წაგებიანია (ბასს 3. კ 10).

წაგებიანი კონტრაქტების აღრიცხვის წესები არ განსხვავდება მომგებიანი კონტრაქტების აღრიცხვის წესისაგან და რეგულირდება ფასს 15-ით. ფასს 15 არ შეიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს მომხმარებლებთან გაფორმებული ისეთი ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც არის ან გახდა წაგებიანი. ამ საკითხს არეგულირებს ბასს 37 „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“, რომლის მიხედვითაც „თუ საწარმოს დადებული აქვს ხელშეკრულება, რომელიც წაგებიანია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიმდინარე ვალდებულება უნდა აღიარდეს და შეფასდეს როგორც ანარიცხი“ (ბასს 37კ. 66).

ანარიცხები უნდა შეიქმნას ხელშეკრულების შესრულების გარდაუვალ ხარჯებისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მოსალოდნელი ჯარიმების მინიმალური თანხით.

დავუშვათ, კომპანია ელექტროენერგიას აწვდის იურიდიულ და ფიზიკურ პირებს. მთავრობამ მოითხოვა შიდა ტარიფების 5%-ით შემცირება და ფასების 2 წლით ფიქსირება. ეს კომპანიას უჯდება 20 მილიონი ლარი, რადგან თვითღირებულებას ვერ შეამცირებს. ეს ხელშეკრულება წამგებიანია და 20-მილიონიანი ზარალის დასაფარად უნდა შეიქმნას ანარიცხი.

იმ შემთხვევაში (მაგალითად, ზოგიერთი რუტინული დაკვეთა მიწოდებაზე), როდესაც ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს კომპენსაციის გადახდის გარეშე, არ წამოიქმნება არანაირი ვალდებულება ( ბასს 37 კ.67).

**ხელშეკრულების დანახარჯები.** ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული დანახარჯები ის დანახარჯებია, რომელსაც კომპანია არ გაწევდა ხელშეკრულების გაფორმების გარეშე. ხელშეკრულების გაფორმებასთან გაწეული დამატებითი დანახარჯები კაპიტალი-

ზებული უნდა იყოს, როდესაც დაკმაყოფილებულია რამდენიმე პირობა, რომელთა შორის მთავარია, რომ მოსალოდნელია ამ დანახარჯების ანაზღაურება (Vardiashvili, 2022).

ერთეულს შეუძლია ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯების პერიოდის ხარჯად აღიარება, თუ ხელშეკრულების პირობების მიხედვით იმ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა, რომელიც საწარმოს უნდა ეღიარებინა, ერთ წელს არ აღემატება.

თუ დანახარჯები გაწეულია გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესრულებისთვის და არ შედის სხვა სტანდარტის მოქმედების სფეროში (მაგალითად, ბასს 2-ის მარაგები, ბასს 16-ის „ძირითადი საშუალებები“ ან ბასს 38-ის „არამატერიალური აქტივები“), კომპანია ასეთ ხარჯებს აღიარებს აქტივად, თუ ისინი აკმაყოფილებს ფასს 15 -ის 95 პუნქტით გათვალისწინებულ ყველა კრიტერიუმს (ფასს 15 პ.95).

**განსხვავებული საქონელი ან მომსახურება.** თუ კონტრაქტი ითვალისწინებს პროდუქციის სერიის მიწოდებას, მაშინ ამონაგების აღიარების მიზნით უნდა განისაზღვროს, რაიმეს შესრულებაზე ცალკეული დაპირებები არის თუ არა განსხვავებული ერთმანეთისგან.

საქონელი ან მომსახურება იმ შემთხვევაში მიიჩნევა განსხვავებულად, თუ დამკვეთს სარგებლის მიღება შეუძლია პროდუქციის თითოეული ერთეულიდან განცალკევებით ან მომხმარებლისთვის ადვილად ხელმისაწვდომ სხვა რესურსებთან ერთად. ამასთან საქონლის ან მომსახურების გადაცემის დაპირება კონტრაქტში იდენტიფიცირებულია (ფასს 15.პ.27), თუმცა თუ საქონლისა და მომსახურების თითოეული ერთეული ურთიერთდამოკიდებულია და მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, ისინი ქმნიან კომპლექსურ პროექტს და ვერ აკმაყოფილებს ბასს 15-ის 27 პუნქტში აღწერილი პირობებს, მაშინ საქონლის ან მომსახურებების გადაცემის ორი ან რამდენიმე დაპირება განცალკევებით იდენტიფიცირებადი არ არის. ამ შემთხვევაში კომპანიამ ხელშეკრულებით დაპირებული ყველა საქონელი და მომსახურება, უნდა აღრიცხოს, როგორც ერთი საკონტრაქტო ვალდებულება (ერთჯერადი შესრულების ვალდებულება) და ამონაგები აღიაროს მთელი კონტრაქტის დონეზე (Vardiashvili, 2022).

ამრიგად, გადამწყვეტი კრიტერიუმი არის ის, თუ რამდენად ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებულია ხელშეკრულებაში რაიმეს შესრულების ვალდებულებები.

### დასკვნა

ამრიგად, როდესაც შესასრულებელი ვალდებულება სრულდება ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი დროის განმავლობაში, ამონაგები შეიძლება აღიარებული იქნეს დროის გარკვეულ მომენტში თუ გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ამის განსაზღვრისათვის ფასს 15 „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ შეიცავს ზუსტ და დეტალურ მითითებებს.

თითოეული შესასრულებელი ვალდებულებისთვის, რომელიც სრულდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში ფასს 15-ის პ 35-37 პუნქტის შესაბამისად, ერთეულმა ამონაგები უნდა აღიაროს ვალდებულების შესრულების ხარისხის გონივრული შეფასებებით (ფასს 15. პ.44).

ვალდებულების შესრულების ხარისხის შეფასებისთვის ერთეულმა უნდა გამოიყენოს შედეგების მეთოდები და გამოყენებული რესურსების მეთოდები.

გარკვეული პერიოდის განმავლობაში შესასრულებელი თითოეული ვალდებულების შესრულების ხარისხის შესაფასებლად ერთეულმა ერთი მეთოდი უნდა გამოიყენოს. სათანადო მეთოდის განსაზღვრისათვის საწარმომ უნდა გაითვალისწინოს იმ საქონლის ან მომსახურების ხასიათი, რომლის გადაცემასაც დაჰპირდა მომხმარებელს ხელშეკრულების მიხედვით. გარდა ამისა, იგივე მეთოდი უცვლელად უნდა გამოიყენოს ანალოგიური შესასრულებელი ვალდებულებების მიმართ და ანალოგიურ გარემოებებში. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ ხელახლა უნდა შეაფასოს გარკვეული პერიოდის განმავლობაში შესასრულებელი ვალდებულების შესრულების ხარისხი.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Sabaur I, Vardiashvili M, Maisuradze M. (2022) METHODS FOR MEASUREMENT OF PROGRESS OF PERFORMANCE OBLIGATION UNDER IFRS 15, 2 Ecoforum Journal, 11(3) pp 160-165; <http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/1398>
2. Сресели Н., Сресели Р. (2016) НОВЫЙ СТАНДАРТ ПРИЗНАНИЯ ДОХОДОВ – ИЗМЕНЕНИЯ, ВЫЗОВЫ, НОВШЕСТВА; pp 148-154, <https://www.researchgate.net/publication/321105489>
3. Vardiashvili M., (2022) SOME ISSUES OF ACCOUNTING FOR LONG\_TERM CONTRAQTs, [https://ir.kneu.edu.ua/bitstream/handle/2010/39077/sism\\_22-28.pdf?sequence=1](https://ir.kneu.edu.ua/bitstream/handle/2010/39077/sism_22-28.pdf?sequence=1)
4. Vardiashvili M., Maisuradze M. (2017) ON RECOGNITION AND MEASUREMENT OF THE REVENUES ACCORDING TO IFRS 15; Economy & Business Journal, International Scientific Publications, Bulgaria, vol. 11(1), pages 182-190.
5. Vedat ACAR; Gökberk BAYRAMOĞLU (2020) EVALUATION OF IFRS 15 REVENUE FROM CONTRACTS WITH CUSTOMER WITHIN THE SCOPE OF CUSTOMER LOYALTY PROGRAMS; <https://www.researchgate.net/publication/344201348>
6. IFRS 15 Revenue from Contracts with Customers; <https://www.ifrs.org>
7. IAS 37 Provisions, Contingent Liabilities and Contingent Assets; [www.ifrs.org](http://www.ifrs.org)
8. IAS 2 Inventories; [www.ifrs.org](http://www.ifrs.org)
9. GrantThornton (2016) IASB and FASB release major new standard on revenue recognition; <https://www.grantthornton.global/globalassets/1.-member-firms/global/insights/article-pdfs/2016/ifrs-15-special-edition-newsletter-oct-2016.pdf>
10. <http://msfo-dipifr.ru/msfo-ifrs-15-priznanie-vyruchki-v-techenie-vremeni/>; (2017).
11. <https://fin-accounting.ru/articles/2018/ifrs-15-example-of-accounting-construction-contracts-under-ifrs>; (2018).
12. <https://assets.kpmg/content/dam/kpmg/xx/pdf/2019/06/ifrs15-revenue-handbook.pdf>; (2019).
13. [https://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/ua/Documents/webinar/06\\_12\\_17\\_webinar\\_IFRS](https://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/ua/Documents/webinar/06_12_17_webinar_IFRS)
15. (2017).

*Khaliana Chitadze*

### SOME ISSUES OF RECOGNITION OF STRUCTURES

#### Abstract

In the article, we analyze the separate points of recognition of assets from long-term contracts in accordance with IFRS 15. In particular, the recognition of income and expenses during the long-term delivery of goods and services, the methods of evaluating the quality of performance of the obligations to be fulfilled, the recognition and assessment of the current obligation provided for in the contract as an installment, the costs of the contract and others are discussed.

The standard establishes the basic principles that the enterprise must use to recognize one of the important elements of financial reporting in order to present the necessary information on the nature, size, timing and uncertainty of the cash flows resulting from the contract signed with the customer in the financial reporting.

The implementation of IFRS 15 and the new rules for recognition of assets have a minimal impact on some enterprises, but in many companies the new standard may change the timing of revenue recognition, as the focus is on the risk associated with the transfer of goods. They include companies that consider the provision of goods and services as one unified package, or implement large projects, such as licensing and software sales, as well as enterprises working in the fields of telecommunications, construction, self-defense, industry, and others.

*მარინე ცუცქერიძე*

**მიკროეკონომიკური სისტემების განვითარებისა და უსაფრთხოების პრობლემები საქართველოში**

*ანოტაცია.* ნაშრომში განხილულია მიკროსისტემების განვითარებისა და მისი უსაფრთხოების დაცვის საკითხები საქართველოში საბაზრო ურთიერთობების პრობლემებთან მიმართებით, გადმოცემულია ბიზნესის მიკროსისტემების საშუალებით მიკროსამეურნეო პროცენტების წარმართვის მიზნით თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების

პრობლემები, რაც ეფექტიანი საწარმოო და მომსახურების ობიექტების ფუნქციონირების ერთ-ერთ მთავარ საფუძველს წარმოადგენს და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა თანამედროვე პირობებში.

**საკვანძო სიტყვები:** მიკროეკონომიკა, ბიზნესი, სისტემა, უსაფრთხოება, განვითარება.

## **შესავალი**

საბაზრო ურთიერთობების განვითარებისა და ევროინტეგრაციის ერთ-ერთ ძირითად პირობას საქართველოში მისი მიკროეკონომიკური სისტემების პერსპექტივა და ეკონომიკური უსაფრთხოება წარმოადგენს. მთავარი ელემენტებია მიკროსაწარმოო და მომსახურების ობიექტები, რომელთა განვითარება ძირეულად უკავშირდება ბიზნესის სისტემაში არსებული მცირე სამრეწველო და სოციალური ორგანიზაციების ინოვაციურ გარდაქმნას.

პანდემიისა და ომებით გამოწვეული შეფერხებები ეკონომიკური სისტემების განვითარების პროცესის ძირითად უარყოფით შედეგს წარმოადგენს თანამედროვე ვითარებაში, რომელიც აისახება მიკროეკონომიკისა და ბიზნესის შემოსავლების ზრდის ტემპების შედარებით გაუარესებით. მისი დაძლევა საქართველოს ეკონომიკაში ძირეულად უკავშირდება მიკროსაწარმოო მომსახურების სისტემის არსებობისა და მათი უსაფრთხოების დაცვის პრობლემათა გადაწყვეტას.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალურია მიკროეკონომიკის ისეთი სტრუქტურისა და დარგების საქმიანობის გაფართოება, რომლებიც განაპირობებენ საქართველოს მიკროეკონომიკური სისტემის, მასთან დაკავშირებული მცირე ბიზნესისა და მეწარმეობის განვითარებას, პანდემიისა და ომებით გამოწვეული უარყოფითი ეკონომიკური და სოციალური შედეგების დაძლევის თანამედროვე ვითარებაში, ასევე აღნიშნულ სფეროებში დასაქმებისა და ინტეგრაციული პროცესების წარმართვას რაციონალური და ეფექტიანი მეთოდების, თანამედროვე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით.

თანამედროვე ვითარებაში ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების წარმატებით განხორციელების ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას საქართველოში მიკროეკონომიკური სისტემების განვითარება წარმოადგენს, იგი მნიშვნელოვან და აქტიურ როლს ასრულებს პანდემიურ და სხვა მიზეზით გამოწვეულ საშიშროებათა დაძლევაში; საქართველოს ეკონომიკის, მისი დარგებისა და ბიზნესის ობიექტების უსაფრთხოების დაცვაში, რაც ევროინტეგრაციული ურთიერთკავშირების განმტკიცებისა და საბაზრო ურთიერთობების განვითარების ინოვაციური ტექნოლოგიებისა და საშუალების განვითარებისათვის საჭირო საფუძველს წარმოადგენს.

## **ძირითადი ნაწილი**

მიკროეკონომიკური განვითარება და მისი უსაფრთხოების პრობლემა საქართველოში ძირითადად დაკავშირებულია საბაზრო ურთიერთობის გაფართოებისა და ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესის მოთხოვნებთან. იგი განპირობებულია ომისა და პანდემიის წარმოშობის მიზეზებით და მიზნად ისახავს ეკონომიკის განვითარების პროცესში წარმოქმნილი უარყოფითი შედეგების დაძლევის მიკროეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესების გზით ან ახალი მიკროსაწარმოო სისტემის ფორმირებას საბაზრო ურთიერთკავშირების დამყარების მიზნით.

მიკროეკონომიკური განვითარება საქართველოში ძირითადად უკავშირდება მიკროსაწარმოო სისტემების ჩამოყალიბებას და მეორე მიმართულებით პანდემიისა და ზოგიერთი პოზიციების განმტკიცებისათვის საჭირო მედიკამენტებისა და თავდაცვის საშუალებათა წარმოებისათვის აუცილებელი მიკროსამრეწველო სისტემის წარმოქმნას.

მიკროსამრეწველო სისტემის ახალი საწარმოო ობიექტების, მცირე ფირმების ჩამოყალიბება და არსებულის ფუნქციონირება წარმოადგენს პანდემიასთან ბრძოლისა და მისი შედეგების დაძლევისათვის სამკურნალო საშუალებათა წარმოების ძირითად საშუალებას და

საბაზრო ურთიერთკავშირების დასამყარებლად საჭირო ღონისძიებას. იგი მოიცავს აგრეთვე მცირე სატრანსპორტო და სამშენებლო ობიექტების შექმნას და ამით დაზარალებულთა გადაადგილებისა და ლტოლვილთა უზრუნველყოფის საშუალებათა მოქმედებაში მოყვანას, ამ პროცესების რაციონალურად წარმართვისა და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის განმტკიცებისათვის აუცილებელ საშუალებას (მ. ცუცქირიძე. საერთაშორისო გამოცდილების ეკონომიკური მდგრადობის თეორიული მეთოდი. გვ.114-130. XV ტომი. 2022).

აღნიშნული მიკროეკონომიკური სისტემის აქტიურ ელემენტებს წარმოადგენს მეწარმეობის სფეროში მომუშავე მცირე სამეწარმეო ობიექტები და მცირე ბიზნესის საწარმოები. მათ შორის განსაკუთრებით აქტიურ როლს ასრულებს ევროინტეგრაციული ურთიერთკავშირების დამყარების პროცესში მიკროსამეწარმეო სისტემა და მცირე ბიზნესის საწარმოები, რომელთა საფუძველზე შეიძლება განვითარდეს ინოვაციური ეკონომიკა. ევროინტეგრაციული კავშირების ჩამოყალიბებაში თანამედროვე სამეწარმეო სისტემის ის დარგებია მნიშვნელოვანი, რომლებიც ინოვაციური ტექნიკისა და ტექნოლოგიების საშუალებით აწარმოებენ პროდუქტებსა და ინოვაციურ ტექნიკას ევროსაბაზრო პროცესებში მონაწილეობისათვის. ასეთს წარმოადგენს ინდივიდუალური და კოლექტიური მეწარმეობის მცირე საწარმოო სისტემები და მათი გაერთიანებით მიღებული მიკროსამეწარმეო ობიექტები, როგორც ძირითადი საწარმოები პანდემიების დასაძლევად საჭირო პროდუქციისა და სამედიცინო ტექნიკის დასამზადებლად, ასევე მიკროსამშენებლო ობიექტები ლტოლვილთა დასახმარებლად. ევროინტეგრაციული საბაზრო გარდაქმნის პროცესში ერთ-ერთ ძირითად სამეურნეო საქმიანობის საშუალებას წარმოადგენს მცირე ბიზნესის საწარმოს წარმოქმნა და კოოპერირება ძირითადი საქმიანობის სტრატეგიული მიზნების მიხედვით.

ამრიგად, მიკროეკონომიკური განვითარების პროცესი საქართველოში მიმდინარეობს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა და პანდემიური სიტუაციების ვითარებაში, რომელიც განაპირობებს მიკროსაწარმოო სისტემების მოწესრიგებისა და მცირე ბიზნესის საწარმოო და მომსახურების ობიექტების წარმოქმნის აუცილებლობას, იგი საჭიროებს მცირე მეწარმეობისა და ბიზნესის საქმიანობის ისეთი სფეროების გაფართოებას, რომელიც დაეხმარება ევროინტეგრაციული და საერთაშორისო საბაზრო ურთიერთობის მოწესრიგებას, მისი მმართველობითი სისტემის უზრუნველყოფას.

მიკროეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ წინაპირობას მისი უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენს. ეკონომიკური უსაფრთხოება, რომელსაც საბაზრო უსაფრთხოებასთან ერთად, ევროინტეგრაციული ურთიერთობების დასამყარებლად აუცილებელი, ძირითადად უკავშირდება მცირე ბიზნესისა და მისი საწარმოო და მომსახურების ფირმათა კოოპერირებას და ამით მიკროსისტემების ფუნქციონირებისათვის უსაფრთხო გარემოს წარმოქმნას.

მიკროეკონომიკურ სისტემათა განვითარებისა და უსაფრთხოების მიღწევა მიკრო-ეკონომიკის განვითარების პროცესში შესაძლებელია მცირე საწარმოთა ბიზნესგარემოს, საწარმოო და საბაზრო გარემოს გაფართოებით. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბება, რომლის ძირითადი ელემენტებია: 1. მიკროსაწარმოო ობიექტების ტექნოლოგიური უსაფრთხოება, 2. საწარმოო და მომსახურების პროცესების სამეცნიერო და ტექნიკური საშუალებების განვითარება ინოვაციური ბიზნესის საშუალებით, 3. ბიზნესის სისტემის საწარმოებისათვის სატრანსპორტო გარემოს სრულყოფა, 4. მცირე ბიზნესისა და მეწარმეობის სხვა მიკროსისტემებთან ინტეგრაციის მიზნით ინფორმაციული და საკომუნიკაციო სისტემების, როგორც ევროსაბაზრო ურთიერთობებთან დამაკავშირებელი საშუალების, შემუშავება. აღნიშნული და სხვა ელემენტების საფუძველზე უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბება თანამედროვე მიკროსაწარმოო და მომსახურების დარგების განვითარებისათვის ძირითად საშუალებას წარმოადგენს. იგი განაპირობებს: 1. მიკრო-ეკონომიკური განვითარებისათვის საქართველოში არსებულ შესაძლებლობათა ეფექტიანად გამოყენებას; 2. ამ პროცესის რაციონალური მეთოდებით წარმართვას; 3. მიკროსამეწარმეო და მცირე ბიზნესის საწარმოთა ახალი ინოვაციური საშუალებებით ჩამოყალიბებას და მათი

ფუნქციონირებისათვის სამეცნიერო და ტექნოლოგიური საფუძვლების ჩამოყალიბებას. იგი როგორც ევროინტეგრაციაში მონაწილეობის, ასევე საერთაშორისო საბაზრო ურთიერთკავშირების წარმოქმნისა და არსებულის გაუმჯობესების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას წარმოადგენს.

## დასკვნა

მიკროეკონომიკური განვითარებისა და მისი უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტა საქართველოში დაკავშირებულია სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის და მასთან დაკავშირებული მიკროსამრეწველო და მცირე ბიზნესის საწარმოთა ჩამოყალიბების აუცილებლობასთან, ასევე მიკროეკონომიკური სისტემისათვის უსაფრთხო სამეწარმეო, ფინანსური და საბაზრო გარემოს წარმოქმნასთან. ევროინტეგრაციის პროცესში საქართველოს ეკონომიკისა და სოციალური განვითარების წინაპირობებს შორის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მცირე ბიზნესისა და ევრომეწარმეობის ეფექტიანი ფუნქციონირება, მისი შედეგების წარმართვა საბაზრო ურთიერთკავშირების განვითარებისა და პანდემიის დაძლევის მიზნისკენ.

ინოვაციური ბიზნესისა და მეწარმეობის საშუალებით შესაძლებელია მიკროეკონომიკური განვითარების ტემპების გადიდება და შიდასაბაზრო ურთიერთობების სრულყოფა, რაც პანდემიისა და ომის შედეგებთან დასაძლევად საჭირო წინაპირობას წარმოადგენს.

აღნიშნული მიმართულებებით დასახულ ღონისძიებათა განხორციელება მიკროეკონომიკური პოლიტიკის გატარებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი საშუალებაა. მისი განხორციელება თანამედროვე საქართველოს ეკონომიკის განვითარების, მისი ევროინტეგრაციაში გაერთიანებისა და სოციალური დაცვის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას წარმოადგენს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. რამაზ აბესაძე, ალტერნატიული ენერჯეტიკა, სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი XI, თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2019.
2. გ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, დიოგენე, 2000.
3. გიორგი ბერულავა, მარინე ცუცქირიძე, ბიზნესის ინოვაციური განვითარების შესაძლებლობა და პერსპექტივები საქართველოში, სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი XIV, თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2022.

*Marine Tsutskiridze*

## DEVELOPMENT AND SECURITY PROBLEMS OF MICROECONOMIC SYSTEMS IN GEORGIA

### Abstract

The paper discusses the microeconomic development process of Georgia and the main elements of its security system, modern opportunities for expanding its production and security.

*მერაბ ჯულაყიძე*

## მონოპოლიური ძალაუფლების ანატომია

*ანოტაცია. მონოპოლიური ფირმა მთელ ბაზარს ემსახურება. მონოპოლისტმა იცის მის მიერ გამოშვებულ პროდუქტზე საბაზრო მოთხოვნის მრუდი. ამ ცოდნის საფუძველზე იგი იღებს გადაწყვეტილებას თუ რამდენი გამოუშვას, საიდანაც თავის მხრივ პროდუქციის ფასი განისაზღვრება მაშინ, როცა სრულყოფილი კონკურენციისას ყოველი ფირმის მიერ გამოშვების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ბაზარზე გავლენას ვერ ახდენს. ნაშრომში განხილულია მონოპოლისტის მიერ მოთხოვნის მრუდზე არჩეული დონე, რომელიც მის გამოშვებას*

შეესაბამება. მონოპოლისტს შეუძლია აირჩიოს ფასი ან გამოშვების დონე, მაგრამ არა ორივე ერთად. ჩვეულებრივ დავუშვებთ, რომ მონოპოლისტი მოგების მაქსიმიზაციის მიზნით ირჩევს გამოშვების მოცულობას და შემდეგ საბაზრო ფასს არჩეული რაოდენობის მიხედვით აწესებს.

**საკვანძო სიტყვები:** მონოპოლიური ძალაუფლება, წონასწორობა მონოპოლიის დროს, თამაშთა თეორია, ლერნერის ინდექსი, ფასისმიერი დისკრიმინაცია.

კეთილდღეობის თეორემის თანახმად სრულყოფილი კონკურენციის სამყარო საკმაოდ მარტივია და კარგადაა მოწყობილი: ყოველი წონასწორობა აღმოჩნდება პარეტო-ოპტიმალური და ყოველი ეკონომიკის ოპტიმალური მდგომარეობა პარეტოს მიხედვით შეიძლება რეალიზებული იქნეს როგორც წონასწორობა (საწყისი მარაგების, საკუთრების უფლების, გადასახადების გადანაწილებით). სრულყოფილი კონკურენციის პირობა ყოველთვის საკმაოდ დამაკმაყოფილებლად ვერ აღწერს სიტუაციას არსებულ ბაზრებზე. რაციონალური მოქმედების ჰიპოთეზა არაა თავსებადი პირობასთან იმის შესახებ, რომ მწარმოებელი ფასს იხილავს როგორც მოცემულს, როცა მას არ ჰყავს კონკურენტი ან ისინი ცოტანი არიან. განვიხილოთ თუ რით განსხვავდებიან ბაზრები (არასრულყოფილი ბაზრები), სადაც არ არის სრულყოფილი კონკურენცია, სრულყოფილი ბაზრებისაგან.

ანალიზი დავიწყოთ არასრულყოფილი ბაზრის ანალიზისათვის ყველაზე მარტივი შემთხვევით, როცა განსახილველ პროდუქტს მხოლოდ ერთი მწარმოებელი ჰყავს.

მონოპოლია ეწოდება ფირმას, რომელიც რაიმე სიკეთის ერთადერთი მწარმოებელია. გავიხსენოთ მონოპოლისტის ქცევის კლასიკური (სტატიკური) მოდელი. დავუშვათ, არსებობს მოცემული სიკეთის მრავალი მომხმარებელი და ამიტომ სრულყოფილი კონკურენციის პირობა სრულდება “მომხმარებელთა მხარეს”. ასეთნაირად ჩვენ ვუშვებთ, რომ მომხმარებლები მონოპოლისტების შეთავაზებულ ყიდვის პირობას განიხილავენ როგორც მოცემულს. შევნიშნავთ, რომ მონოპოლია შეიძლება განვიხილოთ როგორც **ორეტაპიანი თამაში** თითქმის სრულყოფილი ინფორმაციით. პირველ ეტაპზე მონოპოლია ირჩევს ფასს. მეორე ეტაპზე მომხმარებლები ერთდროულად ირჩევენ სიკეთეთა გარკვეულ რაოდენობას, რომელთა შეძენა მათ სურთ მოცემულ ფასად. მონოპოლიის მოდელი ამ ინტერპრეტაციით არის პირველი ეტაპის რედუცირებული თამაში აღწერილი დინამიკური თამაშისათვის. მონოპოლისტი ყველა მომხმარებელს სთავაზობს წარმოებულ პროდუქციას ერთი და იგივე  $p$  ფასად. ამ ფასიდან გამომდინარე ყოველი მომხმარებელი წარმოადგენს თავის მოთხოვნას სიკეთეზე. ინდივიდუალური მოთხოვნის ფუნქციის ჯამი (ერთობლივი მოთხოვნის ფუნქცია) აღვნიშნოთ  $D(p)$ . ჩავთვალოთ, რომ განსახილველი სიკეთე ნორმალურია, ე.ი. მოთხოვნის ფუნქცია  $D(p)$  არ იზრდება.

დავუშვათ მონოპოლისტის დანახარჯების ფუნქცია არის  $c(y)$ . ზოგადად ივარაუდება, რომ მონოპოლისტის მიზანი მოგების მაქსიმიზაციაა. ამრიგად, მონოპოლისტის წარმოების მოცულობა  $y^*$  მოიძებნება როგორც შემდეგი ამოცანის ამოხსნა:

$$\Pi(y) = p(y)y - c(y) \rightarrow \max_{y \geq 0}, \quad (1)$$

სადაც  $p(y) = D^{-1}(y)$  მოთხოვნის შებრუნებული ფუნქციაა. ჩვენ აქ არ ვაწესებთ მოგების დადებითობის მოთხოვნას. ივარაუდება, რომ მწარმოებელი ვერ შეძლებს წარმოების შეჩერებას და დარგიდან გასვლას. წარმოების მოცულობა  $y^*$  და მისი შესაბამისი ფასების ვექტორი  $p^* = p(y^*)$  არის **წონასწორობა მონოპოლიის დროს**.

წონასწორობის პირობა მონოპოლიის არსებობისას შეიძლება ვაჩვენოთ სახით, რომელშიც აშკარად მიეთითება მონოპოლიური ფასის დამოკიდებულება წარმოების დანახარჯებსა და მის პროდუქციაზე მოთხოვნის ელასტიკურობაზე.

გავიხსენოთ მოთხოვნის ელასტიკურობა ფასის მიხედვით მოცემულ წერტილში:

$$\varepsilon = D'(p) \frac{p}{D(p)}. \quad (2)$$

მოთხოვნის ფუნქციის შესახებ ჩვენი პირობის გათვალისწინებით ელასტიკურობა, როგორც წარმოების მოცულობის ფუნქცია, შეიძლება ასე ჩავწეროთ:

$$\varepsilon(y) = \frac{1}{p'(y)} \frac{p(y)}{y}. \quad (3)$$

რადგან ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მოთხოვნის ფუნქცია კლებდია, მაშინ ელასტიკურობა უარყოფითია და

$$|\varepsilon(y)| = -\varepsilon(y) = -\frac{1}{p'(y)} \frac{p}{y}. \quad (4)$$

ელასტიკურობის გამოყენებით პირველი რიგის პირობა შემდეგი სახით შეიძლება ჩავწეროთ:

$$p(y^*) \left[ 1 - \frac{1}{|\varepsilon(y^*)|} \right] = c'(y^*). \quad (5)$$

შევნიშნოთ, რომ პირველი რიგის პირობიდან (ზღვრული დანახარჯების დადებითობის  $(c'(y) > 0)$ ) შესახებ ბუნებრივი ვარაუდისას) გამომდინარეობს, რომ მონოპოლისტის მიერ არჩეული წარმოების მოცულობა მდებარეობს მოთხოვნის მრუდის ელასტიკურ უბანზე, ე.ი.

$$|\varepsilon(y^*)| > 1. \quad (6)$$

მონოპოლისტის მოგების პირველი რიგის პირობის ჩანაწერის მეორე ფორმა ასეთია:

$$\frac{p(y^*) - c'(y^*)}{p(y^*)} = \frac{1}{|\varepsilon(y^*)|}. \quad (7)$$

მარჯვენა გამოსახულებას ეწოდება **ლერნერის ინდექსი**. ა. ლერნერი ამერიკელი ეკონომისტი. მან შემოგვთავაზა მონოპოლიური ძალის მაჩვენებლის გამოყენების იდეა, რომელსაც შემდგომში მისი სახელი ეწოდა. იგი დარგის მონოპოლიზაციის ხარისხს (მწარმოებლის მონოპოლიურ ძალას) ზომავს ფასის ზღვრული დანახარჯებიდან გადახრის ფარდობითი სიდიდის საშუალებით. ლერნერის ინდექსი ერთზე ნაკლებია, ხოლო ნულის ტოლია იმ შემთხვევაში, როცა მოცემული მწარმოებლის პროდუქციაზე მოთხოვნა სრულიად ელასტიკურია (მონოპოლიურ  $y^*$  გამოშვებისას).

დავუშვათ მომხმარებლის არჩევანი აღწერილია სარგებლიანობის კვაზიწრფივი ფუნქციით  $u_i(x_i, z_i) = u_i(x_i) + z_i$ , სადაც  $x_i$  — მომხმარებლის მიერ მოხმარებული  $i$ -ური სიკეთეა, რომლის ბაზარსაც განვიხილავთ, ხოლო  $z_i$  — თანხა, რომელიც სხვა სიკეთეთა შესაძენად იხარჯება. სარგებლიანობის ფუნქცია მკაცრად ჩაზნექილია,  $u_i(x_i)$  ფუნქციები დიფერენცირებადია, მათ შორის  $u_i'(\cdot) > 0$ . სარგებლიანობის ამ ფუნქციების საშუალებით შეიძლება  $D(p)$  ერთობლივი მოთხოვნის ფუნქციის აგება განსახილველ სიკეთეზე. მაშინ ბუნებრივი პირობებისას  $u_i(x_i)$  ფუნქციაზე  $D(p)$  აგრეგირებული მოთხოვნა წარმოიშობა



რეპრეზენტატიული მომხმარებლის სარგებლიანობის მაქსიმიზაციის ამოცანის სახით სარგებლიანობის შემდეგი კვაზიწრფივი ფუნქციით:  $u(x, z) = v(x) + z$ , სადაც  $v(x)$  ჩაზნეილია და  $v'(\cdot) > 0$ . ამ დროს არჩევანის თვისება განაპირობებს, რომ განსახილველი სიკეთე ნორმალურია, ე.ი.  $D(p)$  მოთხოვნის ფუნქცია კლებადია.

ცნობილია, რომ თუ მომხმარებლის არჩევანი აღწერილია სარგებლიანობის კვაზიწრფივი ფუნქციით, მაშინ კეთილდღეობის ინდიკატორად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სიდიდე:

$$W(y) = v(y) - c(y). \tag{8}$$

ამ დროს მოცულობათა სიმრავლე, რომლებიც კეთილდღეობის ინდიკატორის მაქსიმიზაციას ახდენს, პარეტო-ოპტიმალური სიმრავლეა.


მონოპოლიების არსებობისას გამოშვება ვერ იქნება მოცემული სიკეთის პარეტო-ოპტიმალურ მოცულობაზე მეტი, უფრო მეტიც, იგი ოპტიმალურზე ნაკლები იქნება.

მონოპოლიის არსებობისას კეთილდღეობის წმინდა დანაკარგები წარმოიშობა, რომელიც შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$DL = \Delta CS + \Delta PS, \tag{9}$$

სადაც  $\Delta CS$  — სამომხმარებლო სიჭარბის ცვლილებაა, ხოლო  $\Delta PS$  — მწარმოებლის სიჭარბის ცვლილება.

გრაფიკულად კეთილდღეობის წმინდა დანაკარგები, რომელსაც საზოგადოება განიცდის ბაზრის მონოპოლიზაციის გამო, წარმოადგენს მრუდხაზიან სამკუთხედს და მას **ჰარბერგერის სამკუთხედი** ეწოდება:



ნახაზი 1. ჰარბერგერის სამკუთხედი

ჰარბერგერის სამკუთხედის ( $DL$ ) შიგნით განთავსებულია გარიგებები, რომლებიც ურთიერთხელსაყრელია მწარმოებლისა და მომხმარებლისთვის. ე.ი. სამკუთხედის შიგნით ნებისმიერ წერტილს შეესაბამება ფასი, რომლითაც მონოპოლისტი მზადაა აწარმოოს და გაყიდოს, ხოლო მომხმარებელი — იყიდოს სიკეთის დამატებითი ერთეული. სხვა სიტყვებით, კეთილდღეობის წმინდა დანაკარგები არის არარეალიზებული ურთიერთხელსაყრელი გარიგებების შედეგი, მაგრამ ეს გარიგებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უფრო დაბალ ფასად, ვიდრე იმ ფასად, რომელიც მონოპოლიურ მოგებას უზრუნველყოფს. ერთადერთი, რაც მონოპოლისტს აკავებს ასეთი გარიგების შეთავაზებისგან, ის გარემოებაა, რომ სიკეთის ყოველი ერთეული მან უნდა გაყიდოს *ერთსა და იმავე ფასად*. ჰარბერგერის სამკუთხედის შიგნით გარიგებებისგან ის რაღაცას მოიგებს დამატებითი გაყიდვის ხარჯზე, მაგრამ ეს მოგება იქნება გადამეტებით კომპენსირებული  $y^m$  ერთეული სიკეთის გაყიდვისას ფასის შემცირებით გამოწვეული დანაკარგებით.

თუ მონოპოლისტი შეძლებს და მოახდენს **ფასისმიერ დისკრიმინაციას**, ე.ი. გაყიდის სიკეთის სხვადასხვა ერთეულებს სხვადასხვა ფასად, მაშინ ის გაზრდის თავის მოგებას. რეალურად, სამყარო ჩვენს ირგვლივ სავსეა ფასისმიერი დისკრიმინაციის მაგალითებით. მაგალითად, კინოთეატრები ხშირად სთავაზობენ ფასდაკლებას მომხმარებელთა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებს; ზოგიერთი სახის ტრანსპორტზე მგზავრობის საფასური დამოკიდებულია განმასხვავებელ ნიშნებზე, რომლითაც ბიზნესმენებს ტურისტებიდან გამოყოფენ და სხვა.

ქვემოთ განვიხილავთ ფასისმიერი დისკრიმინაციის სხვადასხვა სქემას, ყურადღება მიაქციეთ დისკრიმინაციის გავლენას მომხმარებელთა კეთილდღეობაზე (შეფასებული ერთობლივი სიჭარბით).

განასხვავებენ ფასისმიერი დისკრიმინაციის სამ ტიპურ სახეს:

- **პირველი ტიპის დისკრიმინაცია** ნიშნავს, რომ მონოპოლისტს შეუძლია დააწესოს სხვადასხვა ფასი ცალკეული მომხმარებლისთვის და ასევე სხვადასხვა გასაყიდი რაოდენობისთვის, გაატაროს დისკრიმინაციული მოთხოვნები სხვადასხვა მომხმარებელს შორის.

- **მეორე ტიპის დისკრიმინაციის** დროს სიკეთის ფასი შექმნილი ერთეულების რაოდენობაზეა დამოკიდებული. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ სანარდო მყიდველებისათვის ფასდაკლება ან ტელეფონის ტარიფის დამოკიდებულება საუბრის ხანგრძლივობაზე. თუ შევადარებთ ამ ტიპის დისკრიმინაციას პირველი ტიპის დისკრიმინაციასთან, ვნახავთ, რომ მეორე ტიპის დისკრიმინაციის დროს სხვადასხვა მომხმარებლისგან მონოპოლისტი იღებს **ერთნაირ თანხას** სხვადასხვა რაოდენობის საქონელზე.

- **მესამე ტიპის დისკრიმინაცია** ხორციელდება მონოპოლისტის მიერ მომხმარებელთა ტიპებთან მიმართებაში შექმნილი სიკეთის რაოდენობისგან დამოუკიდებლად და მომხმარებელთა ჯგუფების მიხედვით (სეგმენტირებული ბაზრებით). მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ფასდაკლება სტუდენტებისა და პენსიონერებისათვის.

პირველი ტიპის დისკრიმინაციის ფარგლებში განვიხილოთ **იდეალური დისკრიმინაცია**. იდეალურ დისკრიმინაციაში იგულისხმება სიტუაცია, რომლის დროსაც მონოპოლისტი თავისთვის ირჩევს ფასწარმოქმნის *ოპტიმალურ* სქემას, როცა

1. მან იცის ყოველი მომხმარებლის მოთხოვნის ინდივიდუალური ფუნქცია;
2. შეუძლია მომხმარებელთა გარჩევა;
3. შეუძლებელია ეგრეთწოდებული *არბიტრაჟი* — მომხმარებელთა მიერ ერთმანეთში

სიკეთის გადაყიდვა.

თუ მონოპოლისტი ვერ შეძლებს მომხმარებელთა გარჩევას, მაშინ ზოგი მათგანი იყიდის სიკეთის იმ ერთეულებს, რომლებიც სხვა მომხმარებლებისთვისაა განკუთვნილი. ასეთი სიტუაციას შეიძლება ეწოდოს „პერსონალური არბიტრაჟი“.

ცხადია, დისკრიმინაციის ამ ტიპს მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა აქვს, როგორც მწეაღმისაღწევი იდეალური სიტუაცია მონოპოლისტისათვის.

ვაანალიზებთ რა ფასისმიერ დისკრიმინაციას, ვაგრძელებთ გამოვიდეთ იმ წინაპირობიდან, რომ მომხმარებელი მონოპოლისტის მიერ შეთავაზებულ ყიდვის პირობებს განიხილავს როგორც მოცემულს. თუ დისკრიმინაციის მოდელს განვიხილავთ თამაშთა თეორიის მიხედვით, მაშინ გვეჩვენება როგორც დინამიკური თამაში და ჩვენი პირობა იმაში მდგომარეობს, რომ მონოპოლისტი პირველ სვლას აკეთებს. შევნიშნავთ, რომ ამ დროს გართულება წარმოიშობა პირველი ტიპის დისკრიმინაციის ინტერპრეტაციის მიმართ: ამ შემთხვევაში მონოპოლისტს საქმე აქვს ყოველ მომხმარებელთან ინდივიდუალურად, ამიტომ სიტუაცია შეიძლება განიხილოს ორმხრივ მონოპოლიად. ამრიგად, ჩვენი პირობა ამ შემთხვევაში ეკვივალენტურია იმისა, რომ „მოლაპარაკების ძალა“ მონოპოლიას ეკუთვნის.

ყოველი მომხმარებლის მიერ ნაყიდი სიკეთის რაოდენობა ისეთია, რომ ზღვრული სარგებლიანობა ზღვრული დანახარჯების ტოლია. ე.ი. ამ სიკეთის წარმოებასთან დაკავშირებული სიტუაცია ისეთივეა, როგორც სრულყოფილი კონკურენციისას, რაც არ შეიძლება ითქვას ამ საქმიანობიდან შემოსავლის განაწილების პროცესზე. სრულყოფილი

კონკურენციისას სამომხმარებლო სიჭარბე რჩება ყოველ მომხმარებელს, ხოლო აქ ის მთლიანად მონოპოლისტს რჩება. აქ თუ ჩვენ არ გვანტერესებს შემოსავლების სამართლიანი განაწილების პრობლემა, მაგალითად, თუ ვთვლით, რომ მისი გადაწყვეტა შეიძლება გადასახადების და ტრანსფერების ეფექტური სისტემით, მაშინ ჩვენ ვხედავთ, რომ დისკრიმინაციის პირველ სქემას განხილულ პირობებში მონოპოლისტის საწარმოო საქმიანობის ეფექტურ ვარიანტთან მივყავართ. ე.ი. მონოპოლიის არაეფექტიანობის პრობლემა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მონოპოლისტი „ზემოგებას“ ღებულობს, არამედ იმაში, რომ მას არ შეუძლია განახორციელოს იდეალური დისკრიმინაცია, რომელიც პარეტოს მიხედვით ეფექტიანობას იძლევა.

რა უშლის ხელს მონოპოლისტს განახორციელოს იდეალური დისკრიმინაცია? ჩამოვთვალოთ ზოგიერთი შესაძლო მიზეზი:

- *არსებობს მეორეული ბაზარი (არბიტრაჟი)*. ის გარიგებები, რომლებიც მონოპოლისტმა ყოველი მყიდველისთვის შექმნა, სრულიად შესაძლებელია არ იქნეს რეალიზებული.

მომხმარებელმა შეიძლება იყიდოს არა  $x_i$  რაოდენობა, რომელიც მას მიეწერება, არამედ მეტი რაოდენობა  $x_i > x_i^*$ , და გაყიდოს  $x_i - x_i^*$  მეორე მომხმარებელზე ხელსაყრელ ფასად.

- *მონოპოლისტმა ძალიან ბევრი უნდა იცოდეს*. მან ყოველი მომხმარებლის სარგებლიანობის ფუნქცია უნდა იცოდეს. თუ მან არ იცის ყოველი მომხმარებლის სარგებლიანობის ფუნქცია ან არ შეუძლია მომხმარებლების გარჩევა, მაშინ ის უბრალოდ ვერ შეძლებს ჩაატაროს იდეალური დისკრიმინაცია.

- *პირველი ტიპის დისკრიმინაციის აკრძალვა შეიძლება* რაიმე მოსაზრებით, მაგალითად, შემოსავლების გათანაბრების მოსაზრებით.

შეიძლება წარმოიშვას სხვა მოსაზრებაც, რომელიც ხელს შეუშლის მოცემული ვარიანტის დისკრიმინაციას. ნებისმიერი დისკრიმინაცია რეალურ პირობებში არ შეიძლება იდეალური იყოს. ეს სქემა არის ათვლის წერტილი ეფექტიანობის მიხედვით იდეალურის შედარებისა იმასთან, რაც რეალურად შესაძლებელია.

ამრიგად, მონოპოლიის საბაზრო ძალაუფლების ანალიზიდან შემდეგი დასკვნები შეიძლება გავაკეთოთ:

მონოპოლისტისთვის უფრო მომგებიანია გამოშვების ისეთი დონე, რომლის დროსაც ზღვრული შემოსავალი ზღვრული დანახარჯის ტოლია. მაშინ ფასი ზღვრულ დანახარჯზე მეტია და მომგებიანობას ფასისა და საშუალო დანახარჯის თანაფარდობა განსაზღვრავს.

სრულყოფილი კონკურენციისას სამომხმარებლო სიჭარბე რჩება ყოველ მომხმარებელს, ხოლო მონოპოლიისას — მონოპოლისტს. მონოპოლიის არაეფექტიანობის პრობლემა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მონოპოლისტი „ზემოგებას“ ღებულობს, არამედ იმაში, რომ მას არ შეუძლია განახორციელოს იდეალური დისკრიმინაცია, რომელიც პარეტოს მიხედვით ეფექტიანობას იძლევა.

მონოპოლისტს შეუძლია მოგების კიდევ გაზრდა ფასისმიერი დისკრიმინაციით სხვადასხვა კატეგორიის მყიდველებისათვის განსხვავებული ფასის დაშვებით. მონოპოლიის მიერ ფასისმიერი დისკრიმინაციის განხორციელება დამოკიდებულია მონოპოლისტის მიერ არბიტრაჟის აღკვეთის უნარზე.

სამთავრობო პოლიტიკა ზოგჯერ მიმართულია ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების განხორციელებაზე. იმისდა მიხედვით თუ რეგულირების რომელ ფორმას იყენებს მთავრობა, ეს შეიძლება აისახოს ფირმის ქცევაზე.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Lerner A.P., 1934. „The Concept of Monopoly and the Measurement of Monopoly Power”, Review of Economics and Statistics, Vol.1, pp. 157-175.

2. Martin J. Osborne and Ariel Rubinstein. 2020. Models in Microeconomic Theory (‘He’ Edition) March, 362 p.p.

## **ANATOMY OF MONOPOLY POWER**

### **Abstract**

In a monopoly, the firm controls the entire market and is aware of the demand curve for its products. It uses this information to determine the optimal production level, which in turn sets the price. However, in a perfectly competitive market, the individual decisions of firms regarding production levels have no impact on the overall market. The research focuses on the monopolist's decision regarding the production level, and it demonstrates that the monopolist can establish either the price or the production level, but not both simultaneously. Generally, it is presumed that a monopolist selects the production level with the goal of maximizing profit, and the market price is then determined accordingly.

მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს, რომ ზვიადი სიყმაწვილის ასაკიდან მერაბ კოსტავასთან ერთად იბრძოდა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. ზვიადის განვლილი გზა მუდამ იქნება მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იდგეს ქართველი ახალგაზრდა თავისი სამშობლოს კეთილდღეობის სადარაჯოზე. ის იყო საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული პატრიოტი ადამიანი, რომელიც ყველაზე მაღლა აყენებდა ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს და შესწირა კიდევაც თავი ქვეყნის დამოუკიდებლობის დიად საქმეს. რად ღირს იმის გახსენება, როდესაც მიწისძვრის შედეგად ზემო იმერეთის, საჩხერის, ჭიათურისა და რაჭის მოსახლეობა ძლიერ დაზარალდა, ექსტრემალურ პირობებში პრეზიდენტის განკარგულებისთანავე მობილიზებული იქნა ტექნიკა, სამშენებლო მასალები, ადამიანური რესურსი და დაზარალებულ რეგიონებში უწყვეტად მიეწოდებოდა ჰუმანიტარული დახმარება. სწრაფ ტემპით მოხდა რეაბილიტაცია და აშენდა სახლები, დროულად აღდგა ზემო იმერეთში მიწისძვრის შედეგად მიყენებული ზარალი, რამაც მოსახლეობის კმაყოფილება და მადლიერება გამოიწვია. უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაოების შესრულებაში მონაწილეობდა მრავალი ფირმა და კომპანია და მათი ხელმძღვანელობის სწორმა და ეფექტურმა მენეჯმენტმა დააჩქარა სამუშაოს ტემპი და სასურველი შედეგი დადო.

საქართველოს პირველ პრეზიდენტს თავის გუნდთან ერთად შემუშავებული ჰქონდა ქვეყნის განვითარების სამომავლო გეგმები, მაგრამ „ქართველმა წითელმა ინტელიგენციამ“ და გარეშე დაუძინებელმა მტრებმა ერთობლივი ძალით ჩამოაშორეს მართვის სათავეს და, სამწუხაროდ, შეუსრულებელი დარჩა სამომავლოდ დასახული გეგმები. გადატრიალების დღიდან „დარჩენილი ნაპრალების ამოვსებას ალბათ დიდი დრო დასჭირდება. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი იგორ კვესელავა ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „ინტელიგენცია“ საქართველოში ამკვიდრებს შევარდნადის კულტს. ეს ადამიანები პრესითა თუ ტელევიზიით, მიტინგებითა თუ კერძო გამოსვლებით პირდაპირ ამტკიცებდნენ, რომ შევარდნადის გარეშე საქართველო დაიღუპებოდა (საკითხავია, ვინ დაღუპა საქართველო?!). ისინი ავრცელებდნენ სიცრუეს თითქოს ზვიად გამსახურდია საქართველოში ნავთობსადენის გაყვანას ეწინააღმდეგებოდა, არადა სინამდვილეში ყველაფერი პირიქით იყო. ზვიად გამსახურდიამ მთავრობას დაავალა მოემზადებინათ ეკონომიკური პროექტი საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობსადენის გაყვანის შესახებ. უფრო მეტიც, საქართველოში ჩამოვიდნენ უმდიდრესი არაბი ინვესტორები და ასპინძაში იგეგმებოდა სასმელი წყლის ჩამოსასხმელი უზარმაზარი ქარხნის მშენებლობა, სადაც დასაქმდებოდნენ რაიონისა და სხვა რეგიონის მცხოვრებლები, ანუ გაჩნდებოდა ათასობით სამუშაო ადგილი, მოეწყობოდა ინფრასტრუქტურა. არაბული მხარე პასუხისმგებელი ხდებოდა ბოთლებში ჩამოსხმული სასმელი წყლის დისტრიბუციაზე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

გაგიკვირდებათ და არაბებთან პრაქტიკულად მიღწეული იყო შეთანხმება ბარტერზე. არაბებს საქართველოდან გატანილი 1 ლიტრი წყლის სანაცვლოდ საქართველოში უნდა შემოეტანათ 1 ლიტრი ბენზინი. თურმე რა ვერაგი მტრები ჰყოლია ზვიად გამსახურდიას და საქართველოს, როცა წინ აღუდგნენ მაღალრენტაბელური პროექტების განხორციელებას. მესხეთ-ჯავახეთის რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარებას, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას, ათასობით სამუშაო ადგილის დაკარგვას, ადამიანური რესურსების დასაქმებას, ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ღმერთმა უწყის რამდენი პროექტი იქნება დაკარგული და განუხორციელებელი, რომელთა ხორცშესხმა უთუოდ დიდ წარმატებას მოუტანდა ქვეყანას. ყოველივე ამან გავლენა იქონია ჩვენს ყოფა-ცხოვრებაზე. ზვიად გამსახურდიამ უარი უთხრა რუსეთს საავიაციო ქარხნის დემონტაჟზე. იგი საქართველოს მომავალზე ფიქრობდა და სტრატეგიულ ობიექტებს ძალიან უფრთხილდებოდა.

ახლა მაინც თვალი გაახილონ და დარწმუნდნენ იმაში, რომ შევარდნადის ხელისუფლების დროს ჩააბარეს რუსეთს აფხაზეთი და სამაჩაბლო. აგრეთვე გაასხვისეს მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტები, განადგურდა და დაინგრა სამრეწველო საწარმოები, რამაც ნეგატიური გავლენა იქონია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაზე. ოპოზიცია აგრძელებს ბრძოლას საქართველოს წინააღმდეგ, რომ ქვეყანა დააბრუნოს წარსულში. თავის დროზე რომ დაესაჯათ ის ადამიანები, რომლებმაც ჩაიდინეს უპატიებელი დანაშაული, მაშინ ქვეყნის მდგომარეობა უკეთესობისაკენ წავიდოდა და ხალხის ცხოვრების პირობები შედარებით უკეთესი იქნებოდა.

ოპოზიციაში მყოფი ადამიანი უფრო თავშეკავებული უნდა იყოს. თუ უყვარს სამშობლო, უფრო მოკრძალებული და სამართლიანი უნდა იყოს, ამომრჩეველს ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს მათ პატიოსნებაში. ამჟამად პრეტენზიებს აცხადებენ იმაზე, რომ თურმე ქვეყანა არ მიდის სწორი განვითარების გზით. ნამდვილი ქართველი და ჭეშმარიტი ადამიანი თუ ხარ, სამშობლოს მომავალზე და მოსახლეობის კეთილდღეობაზე უნდა ფიქრობდე. წინააღმდეგ შემთხვევაში მოლაყბე ოპოზიციონერი ხარ და იმსახურებ რისხვას... აწ განსვენებული ზვიად გამსახურდია თავის დროზე იგონებდა: „მამაჩემის სიტყვები მახსენდება — როცა ერს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მასო“.

საქართველო უნიკალური ქვეყანაა, რომელსაც გააჩნია მდიდარი რესურსები, რომლის გონივრული და ეფექტური გამოყენება უეჭველად უფრო მეტად წარმატებულს და მიმზიდველს გახდის ქვეყანას. სტატისტიკური მონაცემები მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოში მცირე, საშუალო და დიდი მდინარეების რაოდენობა 26 060-ს შეადგენს, ტბების — 851-ს, მინერალური წყლების — 2 400-ს, ტყე 2 718 000 ჰექტარს მოიცავს, ნიადაგი 49 სახეობისაა, ფლორა — 13 300 სახეობის, არსებობს მოსაპირკეთებელი მასალების 594 სახეობა, 130 მილიონი ტონა ბენტონიტი მიწა, 33 ბარიტის საბადო, 80 მილიარდი ტონა მარგანეცი, ასევე 315 კილომეტრის სიგრძის ზღვის სანაპირო, 102 ერთეული კურორტი, 68 სახელმწიფო ნაკრძალი და ეროვნული პარკი, რომელთაც ბოლო ხანებში შეემატა ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფინანსებული და გაშენებული მრავალფეროვანი დენდროლოგიური პარკი, 11 600 ეკლესია-მონასტერი, 8-ათასწლოვანი ღვინის კულტურა, 3 სახეობის დამწერლობა და 3-ათასწლოვანი სახელმწიფოებრიობა. ასევე უნდა აღინიშნოს რომ მეცნიერების მიერ მოწოდებული ცნობების თანახმად, რომელიც უტყუარია, მთელი გუდაუთა ნავთობზე დგას. აღნიშნულის შესახებ ცნობას კიდევ უფრო ამყარებს სააკაშვილის რეჟიმის ყოფილი პოლიტპატიმარი, ქველმოქმედი და მწერალი მერაბ რატიშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის დასაბრუნებლად წამალი არ არსებობს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სამყაროს მართავს ეკონომიკური ინტერესები, მაშინ მთლად უიმედო მდგომარეობაც არ გვაქვს. 1996 წელს მოსკოვიდან შევარდნამეს პირადად ჩამოვუტანე გუდაუთის ნავთობსაბადოს რუკა და მონაცემები. რუსეთის ბუნებრივი რესურსების ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ცნობების თანახმად, რომელიც უტყუარია, აღნიშნული საბადოს მარაგი სულ მცირე 500 მილიონი ტონაა. ეს ძალიან სერიოზული მარაგია, რომელიც დისკზე იყო ჩაწერილი და ვუთხარი, რომ ჩვენ შეგვიძლია აფხაზეთთან ერთად გავაკეთოთ საწარმო, ჩამოვაცალიბოთ საერთო ადმინისტრაცია და ნორვეგიელები, რომლებმაც ამერიკელებს ტენდერი მოუგეს, ამ ნავთობის ამოქაჩვას დაიწყებენ-მეთქი! აი, ეს იქნებოდა აფხაზეთის დაბრუნების გასაღები, მაგრამ შევარდნამემ ხმა არ ამოიღო და გაჩუმდა. რუსები გველოდებოდნენ, რას მოვიმოქმედებდით და არაფერი რომ არ გავაკეთეთ, ხელი ჩაიქნიეს. იყო წინადადება რომ გუდაუთის მალლობიდან ნავთობის ამოქაჩვა დაეწყო „როს ნეფტს“, მაგრამ რუსებმა რატომღაც მაინც თავი შეიკავეს. სხვათაშორის, გუდაუთის მალლობიდან ერთი მარღვი ანაკლიისაკენ მოდის და სწორედ უზარმაზარი ნავთობსაბადოა მიზეზი, რის გამოც ანაკლიაში ამერიკელები აქტიურობდნენ. შევარდნამემ ჩემ მიერ მოწოდებული მასალები ეტყობა უდიდეს ამერიკულ ნავთობკორპორაცია „შევრონს“ გადასცა, რომელმაც ანაკლიაში გაბურღვა დაიწყო, მაგრამ გაუგებარი მიზეზების გამო ეს საქმე დაკონსერვებულია.

ქვეყანას სჭირდება ისეთი მოღვაწეები, რომლებიც თავს პირად და ოჯახურ ინტერესებზე მაღლა დააყენებს ქვეყნის ინტერესებს და იბრძოლებს ქვეყნის ინტერესებისთვის. პროფესორი იგორ კვესელავა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამი უდიდესი გამოკვეთილი ეროვნული მოღვაწე ჰყავდა: დავით აღმაშენებელი, ილია ჭავჭავაძე და ზვიად გამსახურდია!.. ვინ არ იამაყებდა ამ სამი ბუმბერაზი ადამიანით, რომლებმაც დიდი კვალი დატოვეს ქვეყნის განვითარების ისტორიაში. ეს ადამიანები მუდამ იდგნენ ერის სამსახურში და მოუწოდებდნენ ქართველებს მტკიცედ დაეცვათ სამშობლოს ინტერესები. წინა თაობები ვაჟკაცურად იცავდნენ ყოველ გოჯ მიწას, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოღალატეების ხელშეწყობით დაიკარგა ათასობით კვადრატული კილომეტრი მიწის ფართობი. სწორედ ზვიად გამსახურდია სთავაზობდა საქართველოს მოსახლეობას საოცნებო ქვეყნის აღდგენას, რომლის ფართობი 1919 წლის მდგომარეობით 107 600 კვადრატულ კილომეტრს აღწევდა და საბჭოთა საქართველოზე 38 000 კვადრატული კილომეტრით მეტი იყო.

აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე რომ არაფერი ვთქვათ, ადრე საქართველოს საზღვრებში ართვინის ოლქი შედიოდა. აღსანიშნავია, რომ ართვინის ოლქი მდიდარი იყო სპილენძის საბადოებით, სადაც მზადდებოდა სხვადასხვა დასახელების ძვირფასი ნივთები, რომლებიც მოსახლეობაში მოწონებას იმსახურებდა. ართვინის ოლქის ტერიტორია 3 272 კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა და ისტორიული კლარჯეთის, კერძოდ, შავშეთისა და იმერხევის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავდა. ბოლშევიკური რუსეთი ართვინს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილად აღიარებდა, მაგრამ კავშიუროსა და მოღალატე სერგო ორჯონიკიძის გადაწყვეტილებით ათათურქს გადაულოცეს, ხოლო ლორე საბჭოთა სომხეთს გადაეცა და საქართველომ დაკარგა ეს ძირძველი ტერიტორიები. იგივე ბედი გაიზიარა ზაქათალის ოკრუგმაც — 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით რუსეთი ზაქათალასაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განუყოფელ ტერიტორიად აღიარებდა, მაგრამ კრემლმა აზერბაიჯანელი კომუნისტების მხარე დაიჭირა და 1921 წლის 5 ივლისს კავშიუროს გადაწყვეტილებით ზაქათალაც დავკარგეთ. როგორც ირკვევა, მოღალატე ქართველების ხელშეწყობით ათასობით კვადრატული კილომეტრი უხვმოსავლიანი მიწა ხელიდან გამოგვაცალეს და დღესაც მანქურთების ხელშეწყობით იგივე ხდება. ნუთუ მოღალატე ვერ საზღვრავს, თუ რა ზიანს აყენებს ქვეყანას იმ მიწის გასხვისებით, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის საარსებო პირობების უზრუნველსაყოფად. ამიტომ ქვეყანაში არსებული მიწის ფართობის მაქსიმალურად ათვისება და მისი თანამედროვე ტექნოლოგიებით დამუშავება მოსავლიანობის გადიდების მნიშვნელოვანი ფაქტორია. გვინდა ხელისუფლებას გავუზიაროთ ჩვენი ხედვა. კერძოდ, გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში ხახვისა და ნიორის იმპორტი ხდება, ეს მაშინ, როდესაც საბჭოთა პერიოდში ქვემო იმერეთის რაიონებში თითქმის მთელი მოსახლეობის საკმარისი ხახვის უხვი მოსავალი მოჰყავდათ. დიდი მოთხოვნა არის ასევე სიმინდსა და მჭადის ფქვილზე (1 კილოგრამი 5 ლარი ღირს). სოფლებში უკმაყოფილებას გამოთქვამენ მიწის დასამუშავებელი ტრაქტორების ხელმიუწვდომლობისა და სასუქების სიმცირის გამო, ამიტომ გლეხისთვის აღნიშნული და სხვა სახის აგროპროდუქტების მოყვანა არარენტაბელურია. ყოველივე ეს უნდა გაითვალისწინონ შესაბამისმა სამსახურებმა. ქვეყანას არ უჭირს ისე, რომ ყოველი სოფელი ტრაქტორით არ უზრუნველყონ, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს ფერმერებს. ისინი არ უნდა ზრუნავდნენ იმაზე, თუ სად და რამდენად იშვოს ტრაქტორი მიწის დასამუშავებლად.

ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი წინაპრები გვალვის შედეგად დიდძალ მოსავალს კარგავდნენ, ამიტომ გამოიჩინეს ინიციატივა, ეფიქრათ სარწყავი არხების მოწყობაზე და შეძლეს კიდევაც მისი პრაქტიკული განხორციელება (დღემდე შემორჩენილია თამარ დედოფლის მეფობის დროინდელი სარწყავი ნაგებობის ნაშთები). როგორც ყველასათვის ცნობილია გვალვების შედეგად ხშირია შემთხვევები, როცა დიდი მოცულობისა და ღირებულების აგროპროდუქტი ნადგურდება. რიგ რეგიონებში გაყვანილია სარწყავი არხები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, საჭიროა გამოვნახოთ აუცილებელი ინვესტიციები და მოვალეობა სარწყავი სისტემა. აღნიშნული პრობლემის დროული მოგვარება იქნებოდა დიდი შვება

მშრომელი ადამიანებისათვის და სოფლის ცხოვრებას სხვა ელფერი მიეცემოდა. გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ქვეყანას აქვს ნოციერი მიწები, წყალი, კლიმატი და მიუხედავად ამისა ათიათასობით ჰექტარი სახნავ-სათესი მიწები დაუმუშავებელია სიზარმაცისა და არასწორი მენეჯმენტის გამო, რამაც გამოიწვია ქვეყანაში ყოველდღიური მოხმარების აგროპროდუქტის დეფიციტი და გაძვირება. ამას ემატება ზოგიერთი სოფლის უნიათო გამგებელი, რომელსაც არა აქვს ხალხის გაძღოლის უნარი, ამიტომ როცა სოფლის გამგებელს ვირჩევთ, ჩვენი აზრით, გადაწყვეტილება თვითონ მოსახლეობამ უნდა მიიღოს, რადგან მან ყველაზე კარგად იცის ვინ გაუძღვება ღირსეულად ამ საქმეს. არჩეულ გამგებელს უნდა ჰქონდეს სწორი ხედვის უნარი, ძირეულად უნდა იცნობდეს სოფელსა და მის მოსახლეობას, იცოდეს თითოეული ადამიანის შესაძლებლობა და უნდა სარგებლობდეს უფრო მეტი უფლება-მოვალეობებითა და პასუხისმგებლობით. სოფლის მკვიდრი თავკაცი უფრო მეტ პრობლემას გადაუწყვეტს მოსახლეობას, ვიდრე გარედან მოსული. მისი და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით მოსახლეობას გაუჩნდება მეტი ინტერესი იმისთვის, რომ ადამიანები დაუბრუნდნენ თავიანთ სახლ-კარს, ასეთი მიდგომით კი სოფელი ფეხზე დადგება. როცა გლეხი იგრძნობს გვერდში დგომას, ის იღებს თავის თავზე მოვალეობას, აწარმოოს ნიადაგის შესაბამისი აგროპროდუქტი. რაც მეტი ადამიანი დაუბრუნდება სოფელს, იგრძნობს მისდამი კეთილგანწყობას, ემიგრაციაში ყოფნას ამჯობინებს თავის მამულში ფუსფუსს და აღიქვამს თავის შრომით კმაყოფილებას, მაშინ მას სხვებიც მიბამავენ და სოფელი სოფელს დაემსგავსება. ამ შემთხვევაში გამართლებულია გამონათქვამი: "სხვაგან ყოფნას მირჩევნია აქ სიკვდილი". ქვეყანაში სადაც მიწა, წყალი, ჰაერი არ არის საძებარი, რატომ უნდა იყოს მოსახლეობა დაბლშემოსავლიანი? ეს მაშინ, როცა მანის კუნძულზე მცხოვრები ადამიანების თვიური შემოსავალი 9 ათას დოლარს შეადგენს.

ქართული მიწა-წყალი იყო და არის ჩვენი მარადიული საფიცარი, რისთვისაც არაერთ მამულიშვილს თავი გაუწირავს. ამიტომ მას სჭირდება მოვლა-პატრონობა და არა უცხო პირზე გადაბარება. ვინც ქართულ მიწას უცხო მოქალაქეებზე გაყიდის, ის იქნება ქვეყნის აშკარა მოღალატე. ამასთან დაკავშირებით სულმნათი ილია ამბობდა: „ადამიანს ყველაფერი შეიძლება აპატიო, მამაპაპისეული მიწის გაყიდვის გარდა, რადგან მიწის გაყიდვა საკუთარი დედის გაყიდვას ნიშნავს“. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავკაცი ილია ჭავჭავაძე მუდამ იმის ოცნებაში იყო, რომ ქვეყანას ჰყოლოდა განათლებული და გონიერი ადამიანები, რომლებიც ქვეყნისათვის საშვილიშვილო საქმეებს წამოიწყებდა. ამიტომაც ილია აღნიშნავდა, რომ სწავლა, ცოდნა, მეცნიერება ღონეა ისეთი, რომელსაც დღეს ვეღარაფერი წინ ვეღარ აღუდგება, ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე.

ილია მოუწოდებდა ქართველ ახალგაზრდობას, რომ უმაღლესი განათლება მიეღოთ საზღვარგარეთ და ცოდნით შეიარაღებული მომავალი თაობა მარიამის წილხვედრ ქვეყანას გვერდში ამოდგომოდა და ახალ-ახალი მიღწევებით სამშობლო გაეხარებინა. ამიტომ პეტერბურგში მოღვაწე ქართველ სტუდენტებს კუნძულ კრეტაზე წასვლა და თურქი ოკუპანტების წინააღმდეგ აჯანყებული ბერძენი პატრიოტების მხარდამხარ ბრძოლა აუკრძალა: „საქართველოს სჭირდებით, ამოდენა გზაზე იმიტომ ჩამოსულხართ რომ თქვენი ცოდნით საქართველოს უნდა გამოადგეთ“. როგორც ცნობილია 1896 წელს კუნძულ კრეტაზე ბერძენი თურქების წინააღმდეგ აჯანყდნენ. პეტერბურგის ქართველმა სტუდენტობამ სამსონ ფირცხალავას მეთაურობით ილიას წერილი გამოუგზავნა და ქართველთა განზრახვაზე თავის გონივრული აზრის გამოხატვა სთხოვა. ილიამ ამ პასუხზე დიდხანს იფიქრა და 1997 წლის 8 აპრილს გაზეთ "ივერიაში" დაწერა: „ნუ მიწყენთ რომ მოგახსენოთ ჩემი კი არა ჩემსა და თქვენი ქვეყნის სახელით, სასწავლებლად წასულხართ, ისწავლეთ, ცოდნა შეიძინეთ, ჯერხანად ნურც აქეთ გადაიხედავთ, ნურც იქეთ, მარტო სწავლა-ცოდნას შეალიეთ თქვენი ძალა და ამ ორის უძლიერესი ფარ-ხმალით მოდით და უპატრონეთ ქვეყანასა, რომელსაც ჯერ სხვა სავედრებელი თქვენს წინაშე არა აქვს და რომელიც ამ გზით მოელის თქვენგან ხსნასა და ბედნიერებას. ქვეყანა იმით კი არ არის უძლიერი რომ ღარიბია, არამედ იმით რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულანთებული კაცები არ ჰყავს, აი, თქვენი თავი რად გვიღირს ასე ძვირად და სიძუნწეში

ნურავინ ჩამოგვართმევს, რომ სხვისთვის არც ერთი თქვენთაგანის თმის ბეწვს ვერ ვიმეტებთ: თქვენ თქვენი ქვეყნისთვის ხართ საჭირონი!“ — აი, როგორ უდგებოდა ახალგაზრდობის სწავლა-ცოდნის საქმეს ილია მართალი, რომელიც გულიანად მოძღვრავდა მათ, რათა ჰყოლოდა განსწავლული, გამჭირავნი სამშობლოს ღირსეული ჭირისუფალი ახალგაზრდობა.

საქართველოში მრავლად არიან ნიჭიერი ბავშვები, რომლებსაც სჭირდება განსაკუთრებული ყურადღება, რადგან ბევრ ღარიბ ოჯახშივილს და მათ მშობლებს ფინანსური საშუალება არ გააჩნია თავიანთი შვილების კარგი სწავლა-განათლების მისაღებად საზღვარგარეთ. სამწუხაროდ, იმის შესაძლებლობაც კი არ აქვთ ადგილზე უმაღლეს სასწავლებლებში ბავშვებს სწავლის ქირა გადაუხადონ. ხელისუფლება ვალდებულია, ნიჭიერი მოსწავლეები გაგზავნონ საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში. ღარიბი ოჯახშივილის, ალექსანდრე ფლემინგისათვის ფინანსური დახმარება რომ არ აღმოეჩინათ, მაშინ როგორი იქნებოდა მისი მომავალი? ალექსანდრე თავისი ნიჭით და მუყაითი შრომით გახდა მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი. მან 1928 წელს აღმოაჩინა ანტიბიოტიკი, რისთვისაც სავსებით დამსახურებულად მიენიჭა ნობელის პრემია. ეს ის ფლემინგია, რომელმაც ბავშვობაში უინსტონ ჩერჩილი ჭაობში დახრჩობას გადაარჩინა. ჩერჩილის მამამ მადლიერების ნიშნად ფლემინგის ოჯახს პირობა მისცა, რომ პატარა ალექსანდრეს, რომელიც ბავშობიდანვე ნიჭიერი, მაგრამ ღარიბი ოჯახის შვილი იყო, კარგ განათლებას მისცემდა და ამ მიზნით სახსრებს არ დაიშურებდა. ჩერჩილის მამამ ფლემინგებს დაპირება შეუსრულა და მსოფლიომ მიიღო უდიდესი მეცნიერი ალექსანდრე ფლემინგი, რომლის მიერ აღმოჩენილმა პენიცილინმა დედამიწაზე ათეულობით მილიონი ადამიანის სიცოცხლე იხსნა. სწორედ ფლემინგის დამსახურებით მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო დემოგრაფიული მონაცემებისა და დედამიწის მოსახლეობის არნახული ზრდა. ადამიანები აღარ იღუპებოდნენ პნევმონიის, ტუბერკულოზის, მენინგიტისა და სხვა ინფექციური დაავადებებისაგან. ჩვენი ხელისუფლება და საზოგადოება ვერ მივიდა იმ ჭეშმარიტებამდე, რომ მართო უმაღლესი სკოლის დამთავრება და დიპლომის აღება კი არაა აუცილებელი, არამედ მთავარია კონკურენტუნარიანი ცოდნის მიღება. ვაკანტური სამუშაო ადგილის დაკავება უნდა ხდებოდეს ცოდნის, გასაუბრებისა და კონკურსის შედეგად და არა ნეპოტიზმით.

როგორც გამოცდილებამ დაგვანახა, უმაღლესი სკოლის ლექტორ-მასწავლებლებმა თავიანთი ცოდნა, გამოცდილება უშურველად მოახმარეს მომავალი თაობის აღზრდა-განათლების მეტად მნიშვნელოვან და საპატიო საქმეს, მაგრამ ადამიანური რესურსი ბერდება. ხანდაზმული ლექტორ-მასწავლებლები იძულებული ხდებიან დატოვონ თავიანთი საყვარელი საქმე და ცხოვრების დარჩენილი დრო დარდში გაატარონ. ამ დროს განათლების სამინისტრო, ხელისუფლება არ ფიქრობს იმაზე, თუ რა ბედი ეწევა სოციალურად დაუცველ ღვაწლმოსილ ლექტორ-მასწავლებელს. ალბათ, ფიქრობენ 365 ლარის დახმარება საკმარისია საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველსაყოფად. ე.წ პენსია აღნიშნულ პიროვნებას არ ყოფნის ექიმთან სავიზიტო ბარათის ამოწერის, ანალიზების აღებისა და მედიკამენტების შესაძენად. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პედაგოგის ნორმალური ცხოვრების პირობების შესაქმნელად მაგალითი უნდა აიღოს იმ ქვეყნებიდან, სადაც აფასებენ და მატერიალურად უზრუნველყოფენ ლექტორ-მასწავლებლებს.

ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე ქართველს უკითხავს იაპონელისათვის: რამ განაპირობა თქვენი ერის ასეთი ნიჭიერება? როგორ შეძელით მიგელწიათ განვითარების ასეთი მაღალი დონისათვის? იაპონელმა უპასუხა: ჩვენ გათვლა გავაკეთეთ განათლებასა და მეცნიერებაზე, მასწავლებლებს მივეცით მინისტრის ხელფასი, დიპლომატის ხელშეუხებლობა და იმპერატორის პატივისცემა. საქართველოს კი უფრო მეტის მიღწევა შეუძლია, რადგან თქვენ ხომ ჩვენზე ბევრად ნიჭიერები ხართ. როგორ?! — გაკვირვებულმა იკითხა ქართველმა. როგორ და ქართველებში 10-დან 9 ნიჭიერია და მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს უნიჭო, ჩვენთან კი პირიქითაა ათიდან მხოლოდ ერთია ნიჭიერი, მაგრამ ჩვენ სწორედ იმ ერთს ვირჩევთ ხელმძღვანელად, დანარჩენები მას ექვემდებარებიან. თქვენ კი სწორედ იმ ერთ უნიჭოს ირჩევთ



და ნიჭიერებს უსაქმოდ ტოვებთ. აღნიშნული მონათხრობი რეალობას ასახავს. ამ მავნე ჩვევების აღსაკვეთად საჭიროა ჩვენი ბრძოლა, საჭიროა ნებისმიერმა პირმა კონკურსის გზით დაიკავოს თანამდებობა და ეს უნდა იყოს ცივი გონებისა და სუფთა ხელის მქონე ღირსეული, ნიჭიერი, განათლებული და გამოცდილი სპეციალისტი, სახელმწიფო მოხელე თუ მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებლობით მოეკიდება მასზე დაკისრებულ მოვალეობას, რასაც მოჰყვება პოზიტივი და ადამიანებს სურვილი გაუჩნდებათ, აქტიური როლი ითამაშონ ქვეყნის ეკონომიკის ზრდა-განვითარებაში.

ინტერესმოკლებული არ იქნებოდა, თუ რას ფიქრობენ ცოდნის მიღებასთან დაკავშირებით სამხრეთ აფრიკის სტელენ-ბოსის უნივერსიტეტის მესვეურნი. უნივერსიტეტის შესასვლელში გამოკრულ აბრაზე არის წარწერა — ნებისმიერი ერის გასანადგურებლად არ არის საჭირო ატომური ბომბის, შორეული რადიუსის რაკეტების გამოყენება, ამისათვის საჭიროა განათლების ხარისხის შემცირება, თვალის დახუჭვა იმაზე, როდესაც მოსწავლე გამოცდაზე იტყუება. ასეთი ექიმების ხელში პაციენტები იღუპებიან, ასეთი ინჟინრების ხელში შენობები ინგრევა, ასეთი ეკონომისტებისა და ბუღალტრების ხელში იკარგება ფული, ასეთი მოსამართლეებისა და იურისტების ხელში იკარგება სამართალი და ა.შ. განათლების კრახი ერის კრახია.

ქართველი ახალგაზრდობის უმრავლესობა ძალიან ნიჭიერია და სწავლისათვის საკმარისი რესურსიც გააჩნიათ. ბეჯითი მეცადინეობით მათ შეუძლიათ გახდნენ კარგი სპეციალისტები, უზრუნველყონ თავიანთი კეთილდღეობა და ჩადგნენ ერის სამსახურში, მაგრამ ახალგაზრდებს შეეპარათ სიზარმაცის სინდრომი, მას დაემატა „ჯადოსნური“ ტექნიკა (ინტერნეტი, მობილური ტელეფონი), საიდანაც ზღვა ინფორმაციას ღებულობენ. ცხადია, ინტერნეტი კონკრეტული სპეციალობის შესასწავლად წიგნის მაგივრობას ვერ შეცვლის, მაგრამ წიგნზე უწყვეტად მეცადინეობის შემთხვევაში აღნიშნული ტექნიკა უქველად დიდ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს სპეციალობის ათვისებაში. ახალგაზრდობას ვურჩევთ დაფიქრდნენ, სიზარმაცე ამოიღონ დღის წესრიგიდან, გამოიმუშაონ ნებისყოფა, მიუსხდნენ მაგიდას და დამოუკიდებლად დაიწყონ წიგნზე მუშაობა, რაც ცოდნის გაღრმავების საწინდარი გახდება.

ჩვენი გამოცდილება საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ ვარაუდი სპეციალობის არჩევასთან დაკავშირებით, რადგან ახალგაზრდების უმრავლესობას უჭირს მისთვის საჭირო და საინტერესო სპეციალობის არჩევა. ხშირად ისინი ნაჩქარევად აკეთებენ განაცხადს და სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში მონიშნავენ ისეთ სპეციალობებს, რაზედაც წარმოდგენა არა აქვთ, რის გამოც ხდებიან ინერტული და საბოლოოდ ვერ ყალიბდებიან, როგორც კონკურენტუნარიანი კადრი. ხშირ შემთხვევაში მშობელი და თვითონ აბიტურიენტიც გათვლილია იმაზე, რომ ჩაირიცხოს უმაღლეს სასწავლებელში, აიღოს დიპლომი და ამით სრულდება ყველაფერი. ასეთი მიდგომა ახალგაზრდა ადამიანისთვის დამღუპველია. არასრულყოფილი სპეციალისტი ვერ საქმდება თავის ქვეყანაში და იძულებულია გაიქცეს ემიგრაციაში ფიზიკური სამუშაოს საძებრად. იქაც ვერ პოულობს სამუშაო ადგილს, ამასობაში გადის დღეები, წლებიც და უაზრო ხეტიალის შემდეგ იძულებული ხდება დაუბრუნდეს თავის სამშობლოს.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, მომავალ თაობას აქვს უზღვავი შესაძლებლობა, მაგრამ ვერ იყენებს და ავლენს ბუნებით ბოძებული ნიჭს, რათა ახალ-ახალი ფურცელი ჩაწერონ ერის განვითარების ისტორიაში. აქვე შეიძლება მოვიტანოთ უილიამ ჯეიმსის ბრძნული სიტყვები: "ჩვენ გონებრივი და ფიზიკური რესურსების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს ვიყენებთ... ადამიანი მრავალ სრულიად სხვადასხვა ნიჭს ფლობს, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოუყენებელი რჩება".

როგორც აღვნიშეთ, უმრავლეს შემთხვევაში მრავალი ახალგაზრდა არასწორად ირჩევს სპეციალობას, ამიტომ უინტერესოდ მიდის სწავლის პროცესი, რაც უარყოფითად მოქმედებს მის მომავალზე. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მე-11, მე-12 კლასებში შემოიღონ პროფესიის არჩევისათვის "სპეციალური კურსი", რომელსაც უნდა

გაუმდგნენ დარგის მაღალკვალიფიციური და გამოცდილი სპეციალისტები. მომავალ აბიტურიენტებს გააცნობენ დარგისა და ქვედარგების სპეციფიკას, როლს, ამოცანებსა და მათ მნიშვნელობას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად. ლექცია-საუბრები გარკვეულ დახმარებას გაუწევს მომავალ თაობას, რათა წარმოსახვაში აღიქვას თავისი ნიჭისა და ინტერესის შესაბამისი სპეციალობა. როცა დარწმუნდება, რომ ის დგას სწორად არჩეულ გზაზე, მოტივირებული იქნება კარგად დაეუფლოს აღნიშნულ სპეციალობას. რაც უფრო მეტი ახალგაზრდა იმუშავებს თავისი ნიჭის, ინტერესის, უნარის შესაბამისად არჩეული სპეციალობით, მით უკეთესი იქნება ქვეყნისათვის. ყველამ უნდა გაიგოს და იცოდეს, რომ უხარისხო განათლება საზიანოა ქვეყნისათვის. როგორც არასოდეს, ახლა სჭირდება ქვეყანას პატიოსანი, ნიჭიერი, განსწავლული, პატრიოტი მამულიშვილები, რომლებიც თავის ცოდნას უშურველად მოახმარენ ოჯახსა და ქვეყანას. როგორც ილია მართალი ბრძანებდა, ადამიანი ფასდება არა ნიჭით, არამედ ნიჭის გამოყენების უნარით. ახალგაზრდებს, რომლებსაც არ აქვთ სპეციალობა, აუცილებელია ისწავლონ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში იმ მოტივით, რომ იქ მიღებული ცოდნა და მინიჭებული პროფესია მოთხოვნადი და პრესტიჟულია, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

როგორც ირკვევა ბოლო პერიოდში საშუალო სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში იკლო სწავლების ხარისხის დონემ, ამიტომ განსაკუთრებულად უნდა ვიზრუნოთ სწავლის ამაღლებასა და დისციპლინის განმტკიცებაზე, რადგან საშუალო სკოლები უმაღლესი სასწავლებლებისათვის არის ამ პროცესის რეალური საძირკველი! მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ხელისუფლებამ მეტი და მეტი ინვესტიცია გაიმეტოს განათლებისა და მეცნიერების განვითარებისათვის. რაც უფრო მეტი განათლებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტი და მაღალი დონის მეცნიერი ეყოლება ქვეყანას, მით უფრო სწრაფი ტემპით გაიზრდება ეკონომიკა, შესაბამისად ამაღლდება მშრომელთა ცხოვრების პირობები და განვითარდება ინფრასტრუქტურა.

ყველასათვის საამაყოა, რომ ჩვენი ქვეყანა მუდამ გამორჩეული იყო თავისი წარსულით, ადათ-წესებით, ისტორიული ძეგლებით, ფლორა-ფაუნით, სტუმარ-მასპინძლობით, მეცნიერების, ხელოვნების, სპორტის განვითარებით და სხვა საუკეთესო მაგალითებით. შრომა თუ არ ეზარება ადამიანს, არსებობს ყველა პირობა ბიზნესის განვითარებისთვის. საგანგებოდ მოვიყვანთ მაგალითს — ქართული ცხვარი მსოფლიოში უნიკალური თვისებებით ხასიათდება. აღსანიშნავია, რომ ზესტაფონის რაიონის სოფელი საზანო ისეთი მიკროზონაა, სადაც იქაურ ცხვრის ხორცს სუნი არა აქვს, რაც დელიკატესად ითვლება. მიუხედავად სამოვრების დეფიციტისა, აღნიშნულ ტერიტორიაზე შესაძლებელია გამოიძებნოს რესურსები თუნდაც სხვა საქმიანობის ხარჯზე, გამოზარდონ მეტი ცხვარი, რომლის ხორცზეც დიდი მოთხოვნაა და ამავდროულად საკმაოდ მომგებიანი ბიზნესია. ცხადია, რომ განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით საქართველოში ცხოვრების დონე დაბალია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხელდაკრეფილი ვიყოთ და არაფერი გავაკეთოთ გარკვეული წარმატების მისაღწევად. ქვეყანაში მიგრანტების პრობლემების გადაწყვეტის შემთხვევაში ადამიანებს მეტი შესაძლებლობა მიეცემათ იმისთვის, რომ შეუდგენ თავიანთი გეგმების შესრულებას. საფუძველი ჩაეყარა უფრო მეტი ფერმერული მეურნეობისა და ოჯახური სასტუმროების ჩამოყალიბებას, სადაც დაკავდა ადამიანების გარკვეული რაოდენობა, აგრეთვე მამაპაპისეულ ფუძეს უბრუნდება მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, რაც სოფლის აღორძინებს საწინდარია. ხშირია იმის მაგალითები, როცა რაჭა-ლეჩხუმში თუ სხვა რეგიონებში მოსახლეობა უბრუნდება თავის ძირძველ კერას, სადაც შესაძლებლობა აქვთ განავითარონ სხვადასხვა სახის ბიზნესი. კერძოდ, ონში რამდენიმე ფიზიკურმა პირმა ჩამოაყალიბა ოჯახური სასტუმროები, როგორცაა "მადანას", "რელაქსის", "ქვე ჭამე და ქვე წადის" სახელწოდებით. აგრეთვე ბევრ სოფელში იქმნება ასეთივე სასტუმროები, რომელიც ადამიანის დაინტერესებისა და შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ გვევლინება. ამის იმედს იძლევა ტურისტების ნაკადის შემოდინება, რადგან მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის უმრავლესობა გამოხატავს დიდ ყურადღებას საქართველოს მიმართ, რადგან ჩვენი ქვეყანა არის უსაფრთხო და მიმზიდველი. ვიზიტორი თუ ტურისტი,

ვინც ჩვენთან ყოფილა, დიდად კმაყოფილი და აღფრთოვანებული წასულა, მას დიდი სიყვარული, სტუმართმოყვარეობა და სახელგანთქმული ქართული სამზარეულოს მაღალი საგემოვნო თვისებების მქონე "შქმერულისა" და სხვა კერძების დაგემოვნებით დიდი სიამოვნება და სითბო უგრძობია ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში.

უნდა გვახსოვდეს, რომ არ უნდა შენელებდეს ახალი ტურისტული მარშრუტების შექმნა, მისი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც ადამიანების დასაქმებისა და ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა. ქვეყანაში მრავალი მნიშვნელოვანი და დასაფიქრებელი პრობლემა არის გადასაჭრელი, რომელსაც გადამწყვეტი ადგილი უკავია ჩვენი არსებობისა და ქართული იდენტობის შენარჩუნებისთვის. ყველამ ყურად უნდა იღოს, რომ დემოგრაფიული მდგომარეობა საგანგაშოა, ამიტომ ხელისუფალმა პასუხისმგებლობა აიღოს და ხელი შეუწყოს მომავალი თაობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. სოციოლოგი თამაზ ზუბიაშვილი აღნიშნავს, რომ ქვეყნიდან მილიონ-ნახევარი კაცია გასული. საერთაშორისო კვლევებმა გვიჩვენა რომ მიგრანტთა 70-75% 18-45 წლამდე ასაკისაა. ასეთი მაჩვენებელი საქართველოსთანა დემოგრაფიულად მომაკვდავი ქვეყნისათვის კატასტროფის ტოლფასია. ეს ნაკადი თუ არ შემცირდება, მალე ქვეყანაში თაობათა ცვლა შეწყდება.

ქვეყნის წინსვლისათვის ეფექტური ღონისძიებების განხორციელებისათვის მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამართლიანობის, თითოეული მოქალაქის კანონმორჩილებისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას, რაც გადამწყვეტ მნიშვნელოვან ფაქტორად მიგვაჩნია.

*Tamaz Gamsakhurdia  
Teimuraz Pestvenidze*

**FACTORS OF REINFORCEMENT THE STRENGTH OF THE COUNTRY AND  
MANAGING THE EMPLOYMENT OF HUMAN RESOURCES  
Abstract**

The paper shows that Georgia is a state which is based on democratic principles, with a good geopolitical location, rich traditions, diverse natural and mineral resources. As a result of their effective and reasonable use, it is possible to become one of the successful and attractive countries.

It is also emphasized that the main and urgent task of the government should be to reinforce the strength of the country and increase the well-being of the population, which depends on the reasonable, correctly calculated policies and targeted strategies of the government. Necessity requires the authorities to interest the population in order for Georgia to receive the status of the European Union.

Achieving these goals is prevented by both global (world pandemic and economic problems) and domestic processes and many other factors, such as political, socioeconomic, conflict situation between neighbouring countries, serious mistakes and gaps in the field of education and employment of human resources.

*Key words: management, human resources, investments, strategies, business, export-import, tourism, competitiveness, demography.*

*მადონა გელაშვილი*

**ეროვნული ეკონომიკის მწვანე განვითარების კონცეფცია -  
მწვანე ეკონომიკა და მწვანე განვითარება მდგრადი განვითარების კონტექსტში**

*ანოტაცია: მწვანე ეკონომიკა მიჩნეულია ეკონომიკური თეორიის იმ კომპონენტად, სადაც იგი ეკოსისტემის ნაწილად მოიაზრება. მწვანე ეკონომიკა სახელმწიფო და კერძო სექტორს ერთმანეთისაგან არ მიჯნავს. იგი ცდილობს მოძებნოს ეკონომიკური გადაწყვეტილების პოზიტიური ალტერნატივა და წინა პლანზე წამოწიოს საზოგადოების როლი მწვანე ზრდასა და მწვანე განვითარების უზრუნველსაყოფად. დღეს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ახალი ვექტორი მიმართულია სიღარიბის გზების დაძლევისაკენ. გარემოზე ზრუნვა და კლიმატის ცვლილება, როგორც თანამედროვე პერიოდის უდიდესი გამოწვევა, საშუალებას გვაძლევს აღმოვაჩინოთ ახალი თეორიები, ენერჯიები და შესაძლებლობები ჩვენს გარემოში. სიღარიბე,*

რომელიც იწვევს გარემოსა და ადამიანური შესაძლებლობების გაუარესებას, საკუთარი პრობლემის მოსაგვარებლად ბუნებრივ გარემო პირობებზე ზრუნვას წარმოგვიდგენს. სტატიაში განხილულია საკითხები, რომელიც ეხება „ყავისფერი“ და „მწვანე“ ეკონომიკის საკითხებს, მწვანე ზრდის, მწვანე განვითარების მიზნებსა და ამოცანებს მდგრადი განვითარების კონტექსტში.

**საკვანძო სიტყვები:** მდგრადი განვითარება, მწვანე ზრდა, ყავისფერი ეკონომიკა, მწვანე ეკონომიკა, ეკონომიკური ზრდა.

## შესავალი

მდგრადი განვითარება მოიცავს სამ კომპონენტს შორის ყოვლისმომცველ კავშირს: ეკონომიკური, სოციალური და გარემოს დაცვითი. მწვანე ეკონომიკის კონცეფცია მიზნად ისახავს სწორედ ამ კომპონენტებს შორის უფრო ჰარმონიული შეთანხმების მიღწევას, რაც მისაღები იქნებოდა ქვეყნების ყველა ჯგუფისთვის – განვითარებული, განვითარებადი და დაბალგანვითარებული ქვეყნებისათვის. ბუნებას არ აქვს თავისი საზღვრები. მასში არსებული სიკეთეებიც და ზიანის გამომწვევი პირობებიც უსაზღვროდ ვრცელდება მთელ პლანეტაზე. გლობალური დათბობის გამომწვევი უარყოფითი მიზეზების პროგნოზირება სულ უფრო ნაკლებად შესაძლებელი ხდება.

მწვანე ეკონომიკის კონცეფცია სულ უფრო მეტ გამოხმაურებას იძენს საზოგადოების მხრიდან. მას აქტიურად განიხილავენ ექსპერტები, პოლიტიკოსები, არასამთავრობო ორგანიზაციები. უფრო კონკრეტულად, იგი განვითარდა მდგრადი კონცეფციის საფუძველზე. სიტყვა „მწვანე რევოლუცია“ საერთაშორისო ლექსიკონში პირველად გამოიყენა უილიამ გაუდიმ (XX საუკუნის 60-70 წლებში). ამერიკელი ეკოლოგი ტეილორ მილერი მწვანე რევოლუციას განიხილავდა ორ ეტაპად: პირველს – განვითარებულ და მეორეს – განვითარებად ქვეყნებში. მეორე მწვანე რევოლუცია 15-ზე მეტ ქვეყანაში გავრცელდა (მექსიკიდან კორეამდე). ესენი არიან ძირითადად აზიის ქვეყნები, რომლებიც მოსახლეობის მკვეთრი ზრდის გამო განიცდიდნენ შიმშილსა და იმყოფებოდნენ გადარჩენის ზღვარზე. ამ დროს „მწვანე ეკონომიკის“ განვითარება გახდა სახელმწიფოთა და შესაბამისად მოსახლეობის გადარჩენის წყარო. შინაარსობრივად „მწვანე ეკონომიკა“ და „მდგრადი განვითარება“ განსხვავებული ცნებებია, მაგრამ ერთი მეორის შემადგენელი ნაწილია. ეკონომიკური განვითარების გარეშე შეუძლებელია მწვანე ეკონომიკის არსის, მნიშვნელობისა და თავისებურებების გაგება. **მწვანე ეკონომიკა** არის ეკონომიკური განვითარების მოდელი, რომელიც ამცირებს გარემოსდაცვით რისკებს და ეკოლოგიურ პრობლემებს. იგი მიზნად ისახავს მდგრად განვითარებას და ამცირებს გარემოზე უარყოფით ზეგავლენას. **მწვანე ეკონომიკის** მთავარი რეგულატორი სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესზე მეტად თავად **საზოგადოებაა**, რომელიც მართავს მას.

## ყავისფერი ეკონომიკიდან მწვანე ეკონომიკამდე

მწვანე ეკონომიკის კონცეფცია მოიცავს მრავალ იდეას, რომელიც განიხილება მდგრადი განვითარების კონტექსტში და რომელსაც გვთავაზობს სხვადასხვა ეკონომიკური მეცნიერებები და ფილოსოფია ზოგადად (ფემინისტური ეკონომიკა, პოსტმოდერნიზმი, ეკოლოგიური ეკონომიკა, გარემოს ეკონომიკა, ანტიგლობალიზაცია, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია და სხვ.). მწვანე ეკონომიკის კონცეფციის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ მიმდინარე ეკონომიკური სისტემა არასრულყოფილია. მიუხედავად იმისა, რომ მან გარკვეული შედეგი გამოიღო ზოგადად ხალხთა და განსაკუთრებით მისი ცალკეული ჯგუფების ცხოვრების დონის ამაღლებაში, უარყოფითი შედეგები სახეზეა: კლიმატის ცვლილება, გაუდაბნობა, ბიომრავალფეროვნების დაკარგვა, ბუნებრივი კაპიტალის ამოწურვა, გავრცელებული სიდარბე, მტკნარი წყლის, საკვების, ენერჯის ნაკლებობა, ხალხთა და ქვეყანათა უთანასწორობა. ეს ყველაფერი საფრთხეს უქმნის დღევანდელ და მომავალ თაობებს. ეკონომიკის ამჟამინდელი

მოდელი, „ყავისფერი“ ეკონომიკა, უკვე საგრძნობ საფრთხეებს უქმნის არა ცალკეული ქვეყნების მოსახლეობას, არამედ მთელ პლანეტას.

მწვანე ეკონომიკით დაინტერესებული მსოფლიოს სამეცნიერო წრეები აქტიურად განიხილავენ ასიმეტრიულ განვითარებას, რომელიც ვლინდება ტექნოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. ამის მიზეზად ე. წ. „ყავისფერი ეკონომიკა“ მიიჩნევა. ეს არის ტრადიციული ეკონომიკის განვითარების გზა და სიტყვა „ყავისფერი“ გარემოს დაბინძურებას უკავშირდება. „მწვანე ეკონომიკის“ პრიორიტეტულ მიმართულებად დასახვა არ არის მხოლოდ თანამედროვე პრობლემა. „ყავისფერი ეკონომიკის“ ელემენტები წარსულშიც ნეგატიურად ზემოქმედებდა სახელმწიფოთა განვითარებაზე, რადგან ეკონომიკურ განვითარებასა და ეკოლოგიურ მთლიანობას შორის დაპირისპირება წარმოადგენს გლობალური ეკონომიკური კრიზისის მთავარ წყაროს. ეს პრობლემა დაისვა ჯერ კიდევ თ. მალთუსის და ა. უოლესის ნაშრომებში. მის მიმართ ინტერესი განსაკუთრებით მწვავე გახდა დიდი დეპრესიის წლებშიც.

კაცობრიობის გადარჩენისა და განვითარებისთვის საჭიროა მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა – ეს არის ეკონომიკური აქტივობების სისტემა, რომელიც დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან, განაწილებასა და მოხმარებასთან, რაც იწვევს ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას გრძელვადიან პერსპექტივაში, მომავალი თაობების მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი რისკების ან გარემოს სიმცირის გამოვლენის გარეშე.

მწვანე ეკონომიკის კონცეფცია ეფუძნება საზოგადოების ურთიერთობას გარემოსთან. გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UNEP) განსაზღვრავს მწვანე ეკონომიკას, როგორც ინსტრუმენტს, რომელიც განაპირობებს ადამიანის კეთილდღეობისა და სოციალური თანასწორობის გაუმჯობესებას და მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოზე მავნე ზემოქმედებას და გარემოს დეგრადაციის რისკებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მწვანე ეკონომიკა არის დაბალი ნახშირბადის შემცველი, რესურსებით ეფექტური და სოციალურად ინკლუზიური, სადაც შემოსავლისა და დასაქმების ზრდა ხდება სახელმწიფო დანახარჯებისა და კერძო ინვესტიციების ხარჯზე, რომლებიც ამცირებს ნახშირბადის ემისიას და დაბინძურებას, ზრდის ენერჯისა და რესურსების ეფექტურობას და ხელს უშლის ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური სერვისების დაკარგვას.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული განმარტებები:

**ცხრილი 1**

<b>ორგანიზაციები</b>	<b>მწვანე ეკონომიკის განმარტება</b>
<b>UNEP</b>	მწვანე ეკონომიკა არის ადამიანთა კეთილდღეობის დონის ამაღლებისა და სოციალური სამართლიანობის შედეგი, გარემოს დაცვითი რისკებისა და ეკოლოგიური დეფიციტის მნიშვნელოვანი შემცირება (ან შეზღუდვა).
<b>OECD</b>	მწვანე ეკონომიკა არის ეკონომიკა ან ეკონომიკური განვითარების მოდელი, რომელიც მდგრად განვითარებასა და გარემო პირობების ეკონომიკურ ცოდნაზეა დამყარებული.

მწვანე ეკონომიკა ზრუნავს არა მხოლოდ კაპიტალის ზრდაზე და შრომისა და ინფორმაციის განახლებაზე, არამედ მიწის (ბუნებრივი რესურსების), როგორც წარმოების ფაქტორის განახლებაზეც.

ამისათვის ეკონომიკას სჭირდება:

1) შექმნას პირობები და მიიღოს ზომები დედამიწის თვითრეგენერაციის უზრუნველსაყოფად: უზრუნველყოს ბუნებრივი სისტემების ეკოსისტემური მდგრადობა, რათა შევინარჩუნოთ ჩვენი არსებობა;

2) გააუმჯობესოს რესურსების ეფექტიანობა, რითაც შემცირდება გარემოს გავლენა ეკონომიკურ სექტორებზე და ადამიანის ინდივიდუალურ საქმიანობაზე.

მწვანე ეკონომიკის კონცეფცია გულისხმობს:

- სახელმწიფო მხარდაჭერისა და კერძო ინვესტიციების მიმართულების გაძლიერებას ცოდნის გავრცელების, ინიციატივების, ახალი ტექნოლოგიებისა და ინდუსტრიების შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ნახშირბადის ემისიებისა და დაბინძურების დონის შემცირებას;

- ეკონომიკის ახალი, მწვანე სექტორების, მწვანე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სამუშაო ადგილების შექმნა, რომელიც მოიცავს ნარჩენების უფრო ღრმა დამუშავებას, ენერჯის მოხმარების შემცირებას ან ალტერნატიული ენერჯის წყაროების გამოყენებას. ნედლეულის ეფექტიანი გამოყენება იწვევს ხარჯების შემცირებას, მწვანე პროდუქტების გამოშვებას და მწვანე ინდუსტრიებში მოგების გაზრდას ტრადიციულთან შედარებით. ყველაფერი ეს შესაძლებელს ხდის გაიზარდოს ხელფასის დონე. შედეგად მივიღებთ სტიმულებს სოციალური წახალისების სახით, რათა მოხდეს სამუშაო ძალის გადანაცვლება ტრადიციულიდან მწვანე ეკონომიკის სექტორებში და შემცირდეს სიღარიბის დონის მაჩვენებელიც;

3) ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება გამოიწვევს საწვავის საჭიროების შემცირებას და ნახშირბადის გამოყოფის შემცირებას. ეს მნიშვნელოვანი პირობაა ბუნებრივი რესურსების თვითაღდგენისათვის;

4) რესურსების ეფექტიანობის გაზრდა იწვევს ნარჩენების წარმოშობისა და გარემოს დაბინძურების დონის შემცირებას, უზრუნველყოფს ეკონომიკის აღნიშნული სექტორის არსებობას ხაგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ინარჩუნებს პირობებს ბიომრავალფეროვნებისა და ორგანული საყოფაცხოვრებო პირობების შესანარჩუნებლად.

”მწვანე ეკონომიკის” კონცეფცია საკმაოდ ფართოა, ამასთანავე შედარებით ახალია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებისთვის. ტერმინის განსაზღვრა და გაგება სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვაგვარად შეიძლება. მიუხედავად მრავალი განსაზღვრებისა, მწვანე ეკონომიკის ზოგადი განმარტება გულისხმობს, რომ ეკონომიკის გამწვანება შეიძლება გახდეს მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის აღმოფხვრის მექანიზმი. ”მწვანე ეკონომიკასთან” დაკავშირებული ტერმინები და განსაზღვრებები არის სულ მცირე ორი სახის: ტერმინები, რომლებიც განსაზღვრავენ პროცესს (”ეკონომიკის გამწვანება”, ”მწვანე ზრდა”) და ტერმინები, რომლებიც დაკავშირებულია შედეგთან (”მწვანე ეკონომიკა”).

### **მწვანე ეკონომიკის კონცეფცია და მდგრადი განვითარება**

მდგრადი განვითარების მისაღწევად 1992 წლიდან დიდი ძალისხმევა ჩაიდო ადგილობრივ, სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე. გაეროს ათასწლეულის ფორუმზე, რომელიც ჩატარდა 2000 წელს, შეთანხმდნენ ათასწლეულის განვითარების ძირითად მიზნებზე (MDGs), რაც, უპირველეს ყოვლისა, უკიდურესი სიღარიბის დასაძლევას გულისხმობდა. XXI საუკუნეში ყველა ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიას წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიღწევა. ეს ტერმინი ბრუნვაში შემოვიდა 1987 წელს, ხოლო 1992 წლის რიო-დეჟანეიროს კონფერენციაზე აღნიშნულმა ტერმინმა მიიღო შემდეგი განსაზღვრება: მდგრადი განვითარება ისეთი განვითარებაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ადამიანთა დღევანდელი და მომავალი თაობების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ამასთან აღინიშნა, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება ისეთ გარემოზე, რომელიც ხელსაყრელია მათი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის. მდგრადი განვითარების თვალსაზრისით, მკაფიოდ გამოიკვეთა სახელმწიფოების როლიც, რომ ისინი მოვალენი არიან შეინარჩუნონ და გამოიყენონ გარემო და ბუნებრივი რესურსები ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის. მდგრადი განვითარების შესახებ არის სხვა ინტერპრეტაციაც. მაგალითად, „საზოგადოების მდგრად განვითარებაში იგულისხმება ისეთი განვითარება, რომლის დროსაც დადგინდება მოსახლეობის რიცხოვნობის მეცნიერულად დასაბუთებული ზღვარი, რის შესაბამისადაც შეიქმნება ყველა აუცილებელი პირობა ადამიანების სიცოცხლისუნარიანობისა და სულიერი

მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის ისე, რომ დაცული იქნეს საცხოვრებელი გარემოს ბუნებრივი კვლავარმოების პირობები.“ ორივე ზემოთ აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ მდგრადი საზოგადოება უნდა დაეყრდნოს ბუნებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობათა მართვის (რეგულირების) პრინციპებს. ეს კი რთული პროცესია, რომელიც მოიცავს მეცნიერების (როგორც ასეთის და არა მხოლოდ ერთი დარგის), ეკონომიკის (რომელიც პლანეტის სხვადასხვა ტერიტორიაზე სპეციფიკურ მიზნებს ემსახურება, მაგალითად, დაბალგანვითარებულ ქვეყნებში შიმშილისგან თავის დაღწევას) და ბუნების (სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვა რესურსებით, პოტენციალით გამოირჩევა და მნიშვნელოვანი შეზღუდვით ხასიათდება, მაგალითად ჰაერი, წყალი, ნიადაგი, წიაღისეული და სხვა), ურთიერთდამოკიდებულების და ურთიერთგანპირობებულობის დონის ობიექტურად შეფასებას. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის სწორად განსაზღვრას. იგულისხმება არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნების შეხედულებებით საკუთარი სტრატეგიის შემუშავება-განხორციელება, არამედ სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებული მოქმედებაც აუცილებელი პარამეტრების დაცვის თვალსაზრისით. მაგალითად, გამოითქვა მოსაზრება, რომ მსოფლიოს ქვეყნები უნდა შეთანხმდნენ, რომ ერთნაირად დაიცვან შემდეგი პირობები: მოსახმარი რესურსების (სახეობების მიხედვით) რაოდენობა, პროდუქციის წარმოების მოცულობა, გარემოს გაჭუჭყიანობის ნორმატივები, მოსახლეობის რაოდენობა.

რიოს კონფერენციაზე მიღებულ დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ყველა სახელმწიფო და ყველა ხალხი თანამშრომლობენ სიღარიბის აღმოფხვრის მნიშვნელოვანი ამოცანის – მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობის გადაწყვეტაში იმ მიზნით, რომ შემცირდეს ცხოვრების დონეებს შორის განსხვავება და უფრო ეფექტიანად დაკმაყოფილდეს მსოფლიო მოსახლეობის უმრავლესობის მოთხოვნები. ასეთი კეთილშობილური მიზნის მიღწევა საერთო ძალისხმევას მოითხოვს. ამასთან ლოგიკურად აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ მდგრადი განვითარების და ყველა ადამიანისათვის ცხოვრების მაღალი ხარისხის მისაღწევად სახელმწიფოები მოვალენი არიან შეზღუდონ და ლიკვიდაცია მოახდინონ წარმოებისა და მოხმარების არასიცოცხლისუნარიანი მოდელები და წახალისონ შესაბამისი დემოგრაფიული პოლიტიკა. მდგრადი განვითარება გულისხმობს ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, დემოგრაფიული, სულიერი პრობლემების გადაწყვეტას. ამ თვალსაზრისით სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მას უნდა შეეძლოს მუდმივად ცვალებად გარემოსთან ადაპტირება და ამით ადამიანების მოთხოვნებათა დაკმაყოფილება ისე, რომ მომავალი თაობებისათვის საჭირო რესურსები არ ამოიწუროს. ასეთი სისტემა უნდა ემყარებოდეს მართვის თანამედროვე პრინციპებს (პროგნოზირებას, დაგეგმვას, მიზნობრივ პროგრამებს და ა. შ.) და არა სტიქიურ საბაზრო მექანიზმს. პოსტსოციალისტურ სივრცეში ფორმირებული საბაზრო მექანიზმების სტიქიური მოქმედებითა და ეკონომიკური პროცესების რეგულირების ფუნქციებისგან სახელმწიფოს საკუთარი ინიციატივით განთავისუფლებამ დააჩქარა ეკონომიკის სისტემური კრიზისი და ამით უფრო გაღრმავდა ეკოლოგიური პროცესები. შეიქმნა უნიკალური სიტუაცია: ერთი მხრივ, მზარდი ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა გამოიწვია და მეორე მხრივ, მდგრადი განვითარების პრინციპებზე გადასვლის აუცილებლობა, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოს როლის გააქტიურებას, რათა მან შეასრულოს გარემოსა და ეკოლოგიური უსაფრთხოების გარანტის ფუნქცია და, რაც არსებითია მისთვის, ადამიანებზე ზრუნვა უნდა წარმოადგენდეს ცენტრალურ ამოცანას.

ამდენად, მდგრადი განვითარება ნიშნავს:

- ✓ ადამიანზე ზრუნვის ძალისხმევის გაღრმავებას;
- ✓ ყველა სახელმწიფოს და ყველა ხალხის თანამშრომლობას სიღარიბის აღმოფხვრის უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადასაწყვეტად;
- ✓ ცხოვრების დონის მიხედვით უთანასწორობის შემცირებისა და მსოფლიო მოსახლეობის მოთხოვნების უფრო ეფექტიან დაკმაყოფილებას;

✓ გლობალიზაციის გაღრმავების პირობებში ეკონომიკური განვითარების ცივილური, მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული განვითარების ჩარჩოებში განხილვას.

ამიტომ, ბუნებრივია, ახლებურად დგება ეკონომიკური ზრდისა და მისი გაზომვის საკითხებიც. კერძოდ, აუცილებელია ვადიაროთ ეკონომიკური განვითარების პრიმატი ეკონომიკური ზრდისადმი, რაც თავისთავად იწვევს მათი გაზომვისა და შეფასების საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობას. გაზომვა რაოდენობრივ შეფასებას გამოხატავს, ხოლო ეკონომიკური ზრდის გაზომვა ქვეყნის მასშტაბით წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობრივი, მოცულობითი და ნატურალური მახასიათებლების გამომხატველია, რაც ფიქსირებულია კიდევ ეკონომიკურ ლიტერატურაში. შეფასება კი რაოდენობრივ გაზომვასთან ერთად ეკონომიკური ზრდის სპეციფიკურ თვისებებს, ხარისხობრივ მხარეს გამოხატავს. ამიტომ გაზომვისა და შეფასების განხორციელებისათვის აუცილებელია ჯერ-ერთი, ერთმანეთისგან განვასხვავოთ ეკონომიკური ზრდა, ეკონომიკური ზრდის ხარისხი და ეკონომიკური განვითარება; მეორე, განვსაზღვროთ ეკონომიკური ზრდის შეფასების ძირითადი პრინციპები, კრიტერიუმები, მაჩვენებელთა სისტემა.

ეკონომიკური განვითარება, ეკონომიკური საქმიანობის რაოდენობრივი მახასიათებლის ცვლილების პროცესია. აქედან გამომდინარე იგი მოიცავს ეკონომიკურ ზრდას მეურნეობის სტრუქტურაში, წარმოების ეფექტიანობაში, მოსახლეობის ცხოვრების პირობებსა და ხარისხში მიმდინარე ცვლილებებს. ეკონომიკური ზრდა კი ეკონომიკური განვითარების მხოლოდ რაოდენობრივ მხარეს გამოხატავს, რაც წარმოებული საქონლისა და მომსახურების მოცულობის დინამიკით გამოიხატება. მაგრამ რაოდენობა და თვისებრიობა ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ. არა მარტო განვითარებას აქვს თავისი რაოდენობრივი მხარე, არამედ ზრდასაც აქვს თავისი თვისებრივი მხარე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ეკონომიკური ზრდისა და განვითარების შეფასება გულისხმობს ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირების შედეგიანობის დინამიკაში განსაზღვრას შესაბამისი კრიტერიუმებისა და მაჩვენებელთა სისტემის საფუძველზე. სამწუხაროდ, დღემდე ასეთი კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების სისტემის შესახებ ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული შეხედულებები, რადგანაც განვითარება ბოლო ათწლეულებში ძალიან დაჩქარდა, რაც ზრდის ფაქტორების შესახებ შეხედულებების სწრაფ ცვლილებას იწვევს. შემდეგი მიზეზი არის ის, რომ ეკონომიკური ზრდის ხარისხის და ეკონომიკური განვითარების კონცეფციები ბოლო პერიოდში პოულობს ძლიერ მხარდაჭერას, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ გავრცელებულია კონცეფციები, რომლებიც სოციალურ ან ინსტიტუციონალურ განვითარებას არ მიიჩნევენ ეკონომიკური განვითარების ორგანულ ნაწილად. აქედან გამომდინარე, სოციალური განვითარების კრიტერიუმები და მაჩვენებლები ფაქტობრივად ეკონომიკური განვითარების კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების დანამატად განიხილება. თუმცა ამავე დროს ისიც აღიარებულია, რომ ეკონომიკა თავისი არსით სოციალური მოვლენაა, ხოლო ეკონომიკური ზრდის ხარისხის კვლევა, ანუ ეკონომიკის სოციალური არსის კვლევა უდავოდ წინა პლანზე გამოდის.

მწვანე ეკონომიკის ინიციატივა ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს:

- ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ბუნებრივი სერვისების შეფასება და ხაზგასმა;
- მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფა მწვანე სამუშაო ადგილების შექმნისა და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების გზით;
- საბაზრო მექანიზმების გამოყენება მდგრადი განვითარების მისაღწევად.

მაღალი დონის შეხვედრებზე არაერთხელ იქნა გაქდერებული მოწოდებები “მწვანე ეკონომიკაზე” გადასვლის შესახებ. მაგალითად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ 2009 წლის ივნისში მიღებულ მწვანე ზრდის დეკლარაციაში მინისტრებმა გამოთქვეს მოსაზრება, გაეძლიერებინათ ძალისხმევა მწვანე ზრდის უზრუნველსაყოფად, მაქსიმალურად წახალისებინათ მწვანე ინვესტიციები და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა. განსაკუთრებულად გაუსვეს ხაზი გადაწყვეტილებას, გამოიყენონ „ეფექტიანი და ქმედითი პოლიტიკა კლიმატის მართვის სფეროში“ და წახალისონ



იმ ქვეყნის შიდა რეფორმები, რომელიც მიზნად ისახავს მწვანე ზრდას და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრევენციას. ამავე დროს OECD-ს შესთავაზეს შეემუშავებინათ მწვანე ზრდის სტრატეგია, რომელიც საშუალებას მისცემდა ქვეყნებს უზრუნველყოთ ეკონომიკური აღდგენა და ეკოლოგიურად და სოციალურად მდგრადი ზრდა.

## დასკვნა

უნდა აღინიშნოს რომ, როდესაც პირველად იქნა მიღებული მწვანე ეკონომიკის კონცეფცია, რიო+20 ერთ-ერთ თემად, ჯერ კიდევ არ იყო მკაფიოდ ჩამოყალიბებული, რა კავშირი შეიძლება ჰქონოდა მას საერთაშორისო დონეზე დასახულ ისეთ მიზნებთან, როგორცაა მდგრადი განვითარება და სიღარიბის აღმოფხვრა. გარდა ამისა, არ იყო გააზრებული მწვანე ეკონომიკის პოლიტიკის განხორციელების პოტენციური პრობლემები, რისკები, ხარჯები და სარგებლობა. გასაგებად რომ ვთქვათ, მწვანე ეკონომიკა კონცეპტუალურად განსხვავდება იმით, რომ იგი ეფუძნება მდგრად ეკონომიკურ საფუძველს. ის არ არის მდგრადი განვითარების კონცეფციის საპირწონე, არამედ ავსებს მას გლობალური ეკონომიკის მდგრადობის გაუმჯობესების მნიშვნელობის ხაზგასმით. ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლები თავდაპირველად ასაბუთებდნენ, რომ მიზანშეწონილი იყო მწვანე ეკონომიკის განვითარების პირობებში ნებისმიერი შედეგი დაბალანსებულად განეხილათ მდგრადი განვითარების სამ ასპექტში, რიოს კონფერენციაზე მიღებული პრინციპების შესაბამისად.

მწვანე ეკონომიკასა და მდგრად განვითარებას შორის შეიძლება გამოიკვეთოს შემდეგი კავშირი: მწვანე ეკონომიკის კონცეფცია არ ცვლის მდგრადი განვითარების კონცეფციას, მაგრამ ფართოდ არის აღიარებული, რომ მდგრადობის მიღწევა თითქმის მთლიანად ეფუძნება ეკონომიკური უფლების მოპოვებას.

ამრიგად, მწვანე ეკონომიკის კონცეფცია არის მოდელი, რომელსაც მივყავართ მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური თანასწორობის გაუმჯობესებისაკენ, ასევე გარემოზე საშიში ზემოქმედების მნიშვნელოვანი შემცირებისა და ეკოლოგიური საფრთხეების აღმოფხვრისაკენ. მწვანე ეკონომიკა თავის უმარტივეს ფორმაში განიხილება, როგორც დაბალი ნახშირბადის შემცველი, რესურსების დამზოგავი და სოციალურად ინკლუზიური ეკონომიკური მოდელი. მწვანე ეკონომიკის კონცეფცია შეემუშავებულია, როგორც მდგრადი განვითარების კონცეფციის უფრო პრაქტიკაზე ორიენტირებული მოდელი, რომელიც ხაზს უსვამს მსოფლიო ეკონომიკის მდგრადობის მნიშვნელობას. განვითარებულ ქვეყნებში ტერმინი „მწვანე ეკონომიკა“ გულისხმობს მუდმივი გაუმჯობესების პროცესებს ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თვალსაზრისით.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამა. განვითარებული ქვეყნების მაგალითები (2010). [http://www.unep.org/pdf/GreenEconomy\\_SuccessStories.pdf](http://www.unep.org/pdf/GreenEconomy_SuccessStories.pdf)
2. მწვანე ეკონომიკის ინსტიტუტი. ოფიციალური ვებ-გვერდი: <http://greeneconomics.org.uk>
3. საერთაშორისო ჟურნალი მწვანე ეკონომიკის შესახებ. <http://www.inderscience.com/ijge>
4. მწვანე ეკონომისტი. ოფიციალური ვებგვერდი: <http://www.greeneconomist.org/>
5. Gelashvili M., "State Regulation of Investment Activities in Georgia." Nova Science Publishers. Georgian International Journal of Science and Technology. ISSN: 1939-5825 <https://www.novapublishers.com/catalog/index.php?cPath=125; USA 2013; v. 5-9>.
6. Gelashvili M., „Human resources and its Development Tendencies in Georgia“. „Economisti“ #1, 2018; p.55.
7. Gelashvili M., D. Burlachenko, „The strategy of growth of green economy in Georgia“. World Economy and International Economic relations International Scientific; Collection; Volume 4, CUL – 2021. p.11.
8. Gelashvili M., "Green" economy - goals and advantages." Magazine: "Legislation and Business", #2. Tbilisi- 2022.

9. Gelashvili M., "Green" development in the context of sustainable development." VII international scientific conference dedicated to the 100th anniversary of Javakhishvili TSU Faculty of Economics and Business: "Challenges of Globalization in Economy and Business". Tbilisi- 2022.

10. Institute Of Green Economic. Official website:<http://greeneconomics.org.uk>

Gelashvili M., „Innovative Human Capital and its development characteristics“, SSU IV international-practical conference, collections. Tbilisi „Homeland“, 2017.

11. United Nations Environment Programme.Examples of developed countries (2016). [http://www.unep.org/pdf/GreenEconomy\\_SuccessStories.pdf](http://www.unep.org/pdf/GreenEconomy_SuccessStories.pdf)

*Madona Gelashvili*

**THE CONCEPT OF GREEN DEVELOPMENT OF THE NATIONAL ECONOMY –  
GREEN ECONOMY AND GREEN DEVELOPMENT  
IN THE CONTEXT OF SUSTAINABLE DEVELOPMENT**

The sustainable development means such kind of form of economic growth, which provides the well-being of the society with short, medium and, which is most important long term time. It is based on the principle according to which the demands of today should be satisfied so that it shouldn't make any danger for the future generations. The sustainable development means creation of the terms for the long-term economic development taking into account maximal issued of the environmental protection. With sustainable development is in tight connection the conception of "Green Economy", which was implemented in the frame of the plan of strategic development of the country.

The conception of "Green" economy – is new vector of sustainable development. In particular "Green" is economy which not only will rise the well-being of humans and approves the social justice, but also decreases the human risks and deficit of ecological resources. Georgia recognizes the environmental protection, as integral part of human rights. Exactly for this issue the government of Georgia set up as most important priority environmental protection and issues of the management of natural resources. Use of biological resources with such way and speed which will not cause decrease of the biological diversity and will maintain taking into account needs of the future generations.

*მაია გონაშვილი*

*ლალი სრესელი*

**სტრუქტურული უმუშევრობის დაძლევის თანამედროვე გამოწვევები  
შიდა ქართლის რეგიონში (გორის მუნიციპალიტეტის მაგალითზე)**

*ანოტაცია. მდგრადი განვითარების #1 მიზანია სიღარიბის აღმოფხვრა, რომლის ერთ-ერთი მთავარი გზა უმუშევრობის შემცირება და დასაქმების ზრდაა. დღეს ეს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისთვის ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა, მათ შორის საქართველოსთვის, კონკრეტულად კი — გორის მუნიციპალიტეტისთვის. ამ საკითხების შესწავლის მიზნით ჩვენ ჩავატარეთ კვლევა გორის მუნიციპალიტეტში და გამოკითხვის შედეგების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ უმუშევრობასთან დაკავშირებით მოსახლეობის დამოკიდებულების ძირითად ტენდენციებზე და უმუშევრობის შემცირების ერთ-ერთი გზის — მეწარმეობის განვითარებაზე, პროფესიული გადამზადების საჭიროებასა და რაიონის ხელმძღვანელობის როლზე უმუშევრობის დაძლევის საქმეში.*

*საკვანძო სიტყვები: უმუშევრობა; უმუშევრობის დაძლევის გზები, დასაქმება; უმუშევრობის მიზეზები.*

**ანალიზი**

დღეს უმუშევრობის პრობლემა მთელ მსოფლიოში განიხილება, როგორც უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა. მდგრადი განვითარების მიზნებშიც პირველი ზუსტად სიღარიბის აღმოფხვრაა. ამასთან, ჩვენი ქვეყანა გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესში მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური სირთულეების

წინაშე აღმოჩნდა. მათ შორის განსაკუთრებული სიმწვავეთ გამოირჩევა დასაქმების და უმუშევრობის პრობლემა, სწორედ ამ პრობლემების სიღრმისეულად შესწავლასა და მეცნიერულად გააზრებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტების სწორად შერჩევა და ეფექტიანად ფუნქციონირებადი ეკონომიკის ფორმირება.

ეკონომიკის განვითარება ხასიათდება იმით, თუ რამდენად ეფექტურადაა გამოყენებული არსებული რესურსები, განსაკუთრებით სამუშაო ძალა. დასაქმების მაღალი დონის მიღწევა სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. ეკონომიკური სისტემა, რომელიც ქმნის სამუშაო ადგილების დამატებით რაოდენობას, მიზნად ისახავს საზოგადოებრივი პროდუქტის რაოდენობის ზრდას და შესაბამისად მოსახლეობის მატერიალური მოთხოვნილებების მაღალ დონეზე დაკმაყოფილებას. ბუნებრივია, არსებული სამუშაო ძალის რესურსის არასრული გამოყენებისას სახელმწიფო ვერ აღწევს თავისი მწარმოებლური შესაძლებლობების ზღვარს.

ისევე როგორც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, საქართველოშიც საბაზრო ეკონომიკა არასტაბილურად ვითარდება. ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურულმა ძვრებმა, საკუთრების სხვადასხვა ფორმების არსებობის შედეგად წარმოშობილმა ახალი ხასიათის შრომითმა ურთიერთობებმა, მეტად გაამწვავა შრომითი რესურსების დასაქმების პრობლემა, სწორედ დასაქმების ამჟამინდელ მდგომარეობაში იჩენს თავს ყველაზე მწვავედ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემები და სოციალური წინააღმდეგობები.

დღეს საქართველოში მოსახლეობის უმთავრესი პრობლემა — უმუშევრობა ქვეყანაში სიღარიბის განმაპირობებელი მთავარი ფაქტორია. უმუშევრობა მაღალია როგორც ქალაქად, ისე სოფლად. საქართველო, ისევე როგორც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმეტესობა, ეგრეთ წოდებულ სტრუქტურულ უმუშევრობას განიცდის. უმუშევრობის განმაპირობებელ ძირითად ფაქტორთა შორის მთავარია მკვეთრი დისბალანსი სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მის მიწოდებას შორის. პრობლემა განსაკუთრებით იკვეთება ცალკეული რეგიონებისა და ეკონომიკური საქმიანობის სფეროების მიხედვით.

მოსახლეობის შრომითი მოწყობა წარმოადგენს სოციალური პროგრესის საფუძველს, მოქალაქეების ინტერესებისა და ძირითადი მოთხოვნილებების რეალიზაციის ერთ-ერთ მთავარ პირობას. მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმება, მათი სამუშაოთი უზრუნველყოფა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებათა რიცხვს განეკუთვნება. ქვეყნის ეკონომიკის გარდაქმნა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული უმუშევრობის მინიმუმამდე დაყვანაზე, შრომითი რესურსების ოპტიმალურ გამოყენებაზე, შრომის ბაზრის თანამედროვე ცივილიზებული ფორმით ჩამოყალიბებაზე.

დღეს საქართველოში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს დასაქმების საკითხი, რომლის სტრუქტურაზე და ეფექტურობაზე (მწარმოებლურობაზე) მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დინამიზმი. არასტაბილური ეკონომიკური პირობების და წინა პერიოდში ეკონომიკური ვარდნის გამო დასაქმების ხელშეწყობა და უმუშევრობის შემცირება ჩვენი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სოციალური დამკვიდრების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.

როგორც მთლიანად ქვეყანაში, ასევე ქართლის რეგიონში, დასაქმების სფეროში არსებული მძიმე მდგომარეობა საჭიროებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შრომის ბაზრის ფუნქციონირებისა და ფორმირების რეგიონალურ თავისებურებებს.

უმუშევრობა, როგორც პრობლემა, დაკავშირებულია შრომითი რესურსების ეფექტურ გამოყენებასთან. უმუშევრობის დონე ნაციონალური კეთილდღეობისა და ნებისმიერი ტერიტორიული ერთეულის სტაბილურობის, მთლიანად სოციუმისა და განსაკუთრებით სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების ეფექტურობის მნიშვნელოვანი ინდიკატორია. ამიტომ უმუშევრობის, მისი არსის, თავისებურებების, მიზეზებისა და ფორმების შესწავლა, ჩვენი აზრით, თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი მეტად აქტუალური თემაა.

შრომის ბაზარი მოწოდებულია გადაწყვიტოს დასაქმებისა და უმუშევრობის მნიშვნელოვანი საკითხები, კერძოდ, გადაანაწილოს შრომითი რესურსები, შექმნას მისი ეფექტურად გამოყენების პირობები და სტიმულები, აამაღლოს სამუშაო ძალის მობილობა, გააძლიეროს შრომის ეკონომიკური მოტივაცია, შეძლოს მოსახლეობის ადაპტაცია ცვალებად საბაზრო ურთიერთობებში, შექმნას პირობები კვალიფიციური კადრების ეფექტური წარმოებისა და აღწარმოებისთვის.


გლობალიზაციის პროცესით და საზოგადოების ინფორმატიზაციით განპირობებული მეურნეობრიობის ახალი პირობები განსაკუთრებულ მოთხოვნებს აყენებს სამუშაო ძალის ხარისხისადმი, გადამზადებისა და კვალიფიკაციის დონის მიმართ. ასეთ სიტუაციაში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს გორის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევა, რომელიც ხასიათდება მთელი რიგი სპეციალობების მიმართულებით კვალიფიციური კადრების ნაკლებობით, რაც როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის ეკონომიკის განვითარებისათვის პრიორიტეტულია.

უმუშევრობის შემცირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის და ამ პრობლემის გადაწყვეტა განსაკუთრებით მწვავედ დგას დღეს გორის მუნიციპალიტეტის წინაშე. შრომის ბაზარზე არასაკმარისი მოთხოვნის გამო არსებულ უმუშევრობას კიდევ უფრო ამწვავებს პროფესიებისა და კვალიფიკაციების მიხედვით სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული შეუსაბამობა. დასაქმების პრობლემების გადაჭრა ძირითადად ბიზნესექტორის განვითარებაზე დამოკიდებული, რომელიც, მიუხედავად ქვეყანაში ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისათვის გატარებული მთელი რიგი რეფორმებისა, გარკვეული პრობლემების წინაშე დგას. დღემდე პრობლემას წარმოადგენს დამსაქმებლისთვის საჭირო პროფესიებისა და კვალიფიკაციის კადრის მოძიება. რეგიონები და ქვეყანა განიცდის მთელი რიგი პროფესიული კადრების სიმცირეს. დამსაქმებელთა დიდი ნაწილი უკმაყოფილოა საკუთარი თანამშრომლების კვალიფიკაციის დონით. როგორია უმუშევრობის ზოგადი სურათი, რა მიზეზები განაპირობებს დღეს არსებულ უმუშევრობას? იწვევს თუ არა დასახელებული პრობლემები უმუშევრობის ზრდას? რომელ სექტორშია დღეს დასაქმების შესაძლებლობა? როგორია მოსახლეობის დამოკიდებულება პროფესიული გადამზადების მიმართ? როგორია მათი სურვილი თვითდასაქმების მიმართულებით? იმისთვის, რომ დაგვედგინა, თუ რა გამოწვევებია გორის მუნიციპალიტეტის უმუშევრობის მიმართულებით, ჩავატარეთ კვლევა. კვლევის შედეგების განზოგადებისა და რეპრეზენტაბელურობისთვის დავადგინეთ და განვსაზღვრეთ მიზნობრივი აუდიტორია.

ქვემოთ მოყვანილი ფორმულის საშუალებით განვსაზღვრეთ აპლიკანტთა რაოდენობა, რომლის მიხედვითაც მივიღეთ 85 % სიზუსტითა და 6 % ცდომილებით 385 მოქალაქე.


$$\frac{\frac{z^2 \cdot p(1-p)}{e^2}}{1 + \left(\frac{z^2 \cdot p(1-p)}{e^2 N}\right)}$$

კვლევა ჩატარდა მაის-ივნისში. აპლიკანტთა შერჩევა მოხდა ალბათური პრინციპით. შევიმუშავეთ კითხვარი, რომელიც რამდენიმე ბლოკს მოიცავს: დემოგრაფიული მონაცემები, თავად საკითხის შესახებ ინფორმაცია და ა.შ.



გამოკითხვის შედეგების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ რეგიონში უმუშევრობასთან დაკავშირებით მოსახლეობის დამოკიდებულების ძირითად ტენდენციებზე. შედეგების მიხედვით შეგვიძლია შევავსოთ მათი დამოკიდებულება მეწარმეობის განვითარებასთან დაკავშირებით, პროფესიული გადამზადების საჭიროებასა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის როლთან უმუშევრობის დაძლევის საქმეში. გამოკითხულთა 57.7 % იყო მდებარეობითი სქესის და 42.3% — მამრობითი სქესის წარმომადგენელი. მათი განათლების დონეც ძირითადად მოდიოდა უმაღლესი, საშუალო (35.2% და 34.7%) და შედარებით ნაკლები პროფესიულზე 19.6%.

კითხვაზე — **თქვენი აზრით, რომელი პრობლემა აწუხებს ყველაზე მეტად გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას?** უმრავლესობამ (66.7 %-მა) დაასახელა უმუშევრობა.




ამასთან, საინტერესოა, რომ გამოკითხულთაგან დასაქმებული აღმოჩნდა 53.3 %, რომელთა ყველაზე მეტი წილი 35.3% მოდის სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულებზე.

კითხვაზე — **თუ არ ხართ დასაქმებული, რატომ?** მიზეზებში ყველაზე მეტი წილი, 70.3%, პასუხობს — ვერ ვიშოვე სამსახური. მათგან უმრავლესობა (59.3%) თვლის, რომ მათი შრომითი უნარ-ჩვევები შეესაბამება თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს. ასევე 69.4 % თვლის, რომ გაივლიდა არაპროფესიული გადამზადების ტრენინგებს. გამოკითხულთა 73.3%-ს მიაჩნია, რომ რეგიონში საკუთარი ბიზნესის დაწყებისათვის შესაბამისი პირობები არ არის, რისთვისაც სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ. ყველაზე მეტი, 33.9% თვლის, რომ ამისთვის არასაკმარისია საწყისი ფინანსების რაოდენობა, ხოლო 29.8% უკმაყოფილოა ბანკების მაღალი საპროცენტო განაკვეთით კრედიტის აღების დროს. ასევე საინტერესო იყო ამჟამად სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულთა და გამოკითხულთა ყველაზე მეტი პროცენტი კითხვაზე — არჩევანის შემთხვევაში სად დასაქმდებოდნენ? მხოლოდ 18.5 %-მა უპასუხა, რომ დარჩებოდა კვლავ სახელმწიფო სტრუქტურებში, დანარჩენებმა კი ან საკუთარი ბიზნესის დაწყება (35.4%), ან თავიანთი სპეციალობით (26%) მუშაობა მიუთითეს.

### 13. თუ არ არის, რა არის ამის მიზეზი?

Копировать

339 ОТВЕТОВ




საინტერესოა პასუხი კითხვაზე — როგორ ფიქრობთ, რა უნდა გააკეთოს რეგიონის ხელმძღვანელობამ უმუშევრობის დონის შესამცირებლად? — პასუხი თვალნათლივ ჩანს ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში.

### 16. როგორ ფიქრობთ, რა უნდა გააკეთოს რეგიონის ხელმძღვანელობამ უმუშევრობის დონის შესამცირებლად?

Копировать

384 ОТВЕТА



პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ქვეყნების მდგრადი განვითარებისათვის სულ უფრო მეტად საჭირო გახდა სახელმწიფოს მხრიდან კონცეპტუალური ხედვის ჩამოყალიბება და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ უსაფრთხოებასა და მდგრადობას არა მხოლოდ კრიზისების პერიოდში, არამედ სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობებშიც.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების მაჩვენებლის ზრდისთვის გორის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია და ჩვენი აზრით, საჭიროა:

- სახელმწიფო მხარდაჭერა რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის;
- ინოვაციებისა და ინვესტიციების ხელშეწყობა;
- საბანკო კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება;
- ხელშეწყობა საშუალო და მცირე საწარმოების შექმნის და მათში ადამიანების დასაქმების მიმართულებით;
- ტურიზმის განვითარება;
- ბიზნესის განვითარებისთვის სათანადო პირობების შექმნა;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციაში და ორგანიზაციული საკითხების მოგვერებაში მოსახლეობის დახმარება
- ევროპული და მსოფლიო გამოცდილების გაზიარება და გათვალისწინება და სხვა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მდრადი განვითარების მიზნები, <https://www.unicef.org/georgia/ka>
2. შიდა ქართლის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წწ.
3. შიდა ქართლის ბიზნესკვლევა. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ-ის დოკუმენტი, [www.shidakartli.gov.ge /page=enterp8lang+geo](http://www.shidakartli.gov.ge/page=enterp8lang+geo)
4. დასაქმების პოლიტიკა განვითარების კონტექსტში, <https://socialjustice.org.ge>
5. შრომის ბაზრის ანალიზი - 2022 <http://www.lmis.gov.ge>

*Maya Gonashvili  
Lali Sreseli*

### **MODERN CHALLENGES OF OVERCOMING STRUCTURAL UNEMPLOYMENT IN THE SHIDA KARTLI REGION (ON THE EXAMPLE OF THE GORI MUNICIPALITY)**

#### **Abstract**

Sustainable development e Today, this is one of the main challenges for the economic economy of developing countries, including for Georgia and the municipality of Gori, in order to study these issues, we conducted a study in the municipality of Gori and according to the results of the survey, we can discuss the main trends in the attitude of the population regarding unemployment and their attitude towards the development of one - One way to reduce unemployment - entrepreneurship, the need for professional training and overcoming the role of district leadership

**Key words:** *unemployment; Roads to overcome unemployment, employment; Reasons for unemployment.*

*Nata Davlasheridze  
Shota Tvauri*

### **FINANCIAL INSTRUMENTS FOR TECHNOLOGICAL DEVELOPMENT – KEY TRENDS AND CONTRADICTIONS**

**Abstract.** *The task of finding effective forms and instruments of financial policy that ensure sustainable technological growth of the economy is currently facing all developed and developing countries. However, finance was not usually considered as a key factor of a progress. The analysis showed that a new approach to the stock market is currently needed, which should ensure the redistribution of profits in the interests of society, that is, in favor of the results from state investments in science and intellectual property, but not venture capital, as well as the adjustment of patent regulation. The task was set to create private-state investment funds focused on a technological breakthrough, primarily on the construction of specialized infrastructure. Finally, the paper notes that the solution of these problems is possible only through the tools of digital financial instruments.*

**Key words** - *private investment funds, technological portfolios of intellectual rights, financial modeling.*

**Introduction.** History provides an example of the three most effective models for responding to technological challenges that countries have faced. The first is a kind of reaction to the “Sputnik moment” in the United States. The author and organizer of the implementation of the concept of an innovative triangle of government, industry and academia was Professor Vannevar Bush, who convinced President Roosevelt to switch to contracting with universities and private contractors instead of creating large state laboratories. The Department of Defense soon became the main sponsor of much of America's basic research. By 1965, 23% of federal government funding for university science came from the Pentagon – nearly twice as much as from the National Science Foundation. It would not be an exaggeration to say that the creation of the “innovation triangle”, as a special form of triangular relations between government, industry and science, was in itself the most important of the innovations that contributed to the technological revolution of the second half of the 20th century.

The second model is the “knowledge triangle” (education-research-innovation) that has been emphasized by the European Council at every Lisbon Strategy Summit since 2006.

Finally, the third in the 1990s is Henry Etzkowitz (USA) and Loet Leydesdorff (Netherlands) “triple helix: enterprises-universities-government”, as a result of which in most countries, as in Georgia, there has been a shift in emphasis from scientific organizations to universities.

An analysis of the current situation with the active use of hybrid forms of interaction and communication networks, as well as artificial intelligence, led to the conclusion that a new key triangle of a technological breakthrough should include the interaction of “science - production - **as well as private and public financial instruments of the highest level of complexity**”, that is, the entire range of the modern stock market.

\* \* \*

So far, innovation has intersected with the stock market mainly in the relatively narrow field of **venture** capital. Moreover, a unique situation has arisen here: in cases where public funds have made initial risky investments (and private venture capital enters the process only at the moment when its investment is largely guaranteed), these public funds should be adequately compensated for their fearlessness<sup>33</sup>. In reality, the opposite happens. In such cases, the share of private venture companies in profits is about 20%, excluding other commissions and fees; on the contrary, the direct share of the public sector is close to zero. It is believed that the public sector will receive its reward in other, mostly indirect ways: through taxation or benefits from products with high quality and low costs. Such an approach not only completely ignores the principled and risky first-step investments made by public funds in the innovation process, it also gives disproportionate privileges in the distribution of rewards to private investors who come at a later stage.

In our opinion, the main profits from fundamental investments in science should be accumulated and directed to society, and such tools can be developed and implemented only through specialized financial instruments.

We suggest using **intellectual property (IP) private investment funds, including mutual funds and ETF** for this purpose. Success in this area largely depends on improving the mechanisms of bank lending secured by intellectual property rights, government’s subsidizing the evaluation of IP and building a system for selling such collateral as a high-quality asset through a digital exchange of technological portfolios of intellectual property rights. An important step in the development of a mechanism for evaluating IP objects should be the creation of a special Center and the adoption of a state evaluation standard, as well as the reasonable application of the “patent box” regime (rewards for organizations on income tax from IP), and finally, the elimination of regulatory barriers.

It should be noted that important imbalances must be eliminated within the patent system. Today, the patent “deal” is so unbalanced that the system no longer supports the innovation economy, but slows it down, in particular when large companies use “strategic” patenting in related fields, counting on blocking the actions of competitors<sup>34</sup>. As an example, we can also cite the mechanism of the “patent box”<sup>35</sup> to reduce taxes on any product with proprietary components. Lobbyists pushed through this policy, even though its main effect was to reduce government revenue rather than increase the type of investment that would have led to patents in the first place<sup>36</sup>. Economists are often caught up in the market efficiency narrative to wonder whether these returns are really justly earned profits or simply rents. The reason for this problem lies precisely in the fact that no distinction is made between profits and rents. Legislative changes to the wasteful use of patents could help stimulate the innovation process rather than stifle it.

In contrast to the financial sector, in respect of which every effort was made to present it as productive, in relation to **the state**, quite the opposite happened. The fact that, according to the adopted system of national accounts, public spending is higher than the value it adds, has led to the misconception that the state

---

<sup>33</sup> This analysis was carried out in most detail by Marianna Mazzucato, Professor of Economics of Innovation and Social Value at University College London, member of the Global Agenda Council of the World Economic Forum on the Economics of Innovation and the Expert Group of the European Commission on Innovation for Growth (RISE) // see M. Mazzucato. *The Value of Everything. Making and Taking in the Global Economy*. 2018; Mazzucato M. *The Entrepreneurial State: Debunking Private vs Public Sector Myths*. L.: Anthem Press, 2013

<sup>34</sup> Bessen J., Meurer MJ *The Patent Litigation Explosion* // *Loyola University Chicago Law Journal*. 2013. Vol. 45. No. 2. P. 401–440. URL: <http://lawecommons.luc.edu/luc/lj/vol45/iss2/> Bessen JE et al. Trends in private patent costs and rents for publicly traded United States firms // *Boston University School of Law. Public Law Research Paper No. 13–24*. March 2015. URL: <https://ssrn.com/abstract=2278255>

<sup>35</sup> The regime, first adopted in France in 2001, and then in a number of European countries, suggests that the stimulation of innovation through the tax system occurs at the end of the innovation chain of product creation, when the created results of intellectual activity already generate income.

<sup>36</sup> *Griffith R., Miller H., O’Connell M.* The UK will introduce a Patent Box, but to whose benefit? // *ifs; Economic and Social Research Council*. November 30, 2010. URL: <https://www.ifs.org.uk/publications/5362>



is “unproductive”. However, as Robert Solow (the Nobel Memorial Prize in Economic Sciences in 1987) demonstrated, most of the achievements in the manufacturing sector of the first half of the 20th century can be attributed not to labor and capital, but to the collective efforts of society and the state. This is not only about improvements in education and infrastructure, but also about radical technological changes, in which the public sector - the “entrepreneurial state” has historically played a leading role.

After the financial crash of 2008—a crisis driven largely by private rather than public debt—governments saved the economic system from collapse. Not only have the US and EU pumped trillions of dollars and euros into the financial system through quantitative easing (QE) schemes, they have taken private assets into their books.

Throughout modern history, the social nature of risks has not been accompanied by appropriate rewards. Today, a financial system must be created in which the state will receive a return on its successful investments in order to finance the next investment cycle. This can be done in a variety of ways – through shares in the capital, setting conditions for the reinvestment of profits or price restrictions, etc.

Additionally, modern financial instruments should provide:

- institutional “linking”, that is, a change in the previous key model of interaction between scientific and industrial components;
- focus on megaprojects and consortiums;
- creating conditions for small technology companies, developing special mechanisms for their investment financing, including crowd platforms and the institution of business angels, endowment funds, etc.

One of the most effective areas of government activity should be the introduction into circulation and regulation of new digital instruments - digital utility rights (DUR) and digital financial assets (DFA).

We are talking about the possibility of **digitalization (tokenization) of traditional financial instruments**, including bonds of state and regional loans and other financial instruments. State regulators need to work out the possibility of issuing instruments in the form of digital rights, such as non-equity securities, debt of third parties (issuance and transfer of DFA, certifying the rights of claims against the issuer, secured by debt of third parties), loans and claims secured by mortgages (digital securitization), tokenized precious metals and stones (“hybrid” digital rights) and “title” NFT<sup>37</sup>.

At the same time, national regulatory changes should affect the following aspects:

- taxation of digital rights;
- circulation of digital rights within the traditional market infrastructure;
- regulatory arbitrage issues between digital rights and traditional financial instruments;
- issues of circulation of digital rights issued in accordance with foreign legislation;
- regulation of the use of smart contracts.

The new model of financial organization is **decentralized finance (DeFi)**, in which there are no intermediaries, transactions are carried out automatically using smart contracts that are executed on the basis of distributed ledger technology (DLT), and users have direct control over their assets

DeFi is based on the decentralized principle of storage and control of crypto assets. The nature of crypto-assets can have such DLT-based digital tokenized solutions as digital financial assets backed by stablecoins. Crypto assets use encryption-based cryptographic methods to protect data from unauthorized access and modification, which are already widely used outside the financial sphere. Going forward, DeFi also has the potential to use central bank digital currencies (CBDCs) and tokenized non-cash currencies, which can be projected on various technologies. DeFi tools allow you to make transactions that are economic content similar to lending, insurance, asset management, and other transactions using crypto assets. DeFi is a form of financial organization that allows you to provide and receive traditional financial services on a different technological basis, they transform the usual infrastructure and interface of traditional finance. So far, DeFi has a small share in the global financial market, but this area has the potential for rapid growth. At the same time, DeFi has no country borders.

Most effectively, all the proposed measures of financial modeling can be implemented in the field of **environmental** development. The development of a scientifically based system for evaluating the effectiveness of environmental and climate risk management technologies to ensure the sustainable development of territories, coastal waters and urban agglomerations is impossible without the use of the most modern financial models. In particular, digital financial instruments and rights should ensure the operation of the Greenhouse Gas Inventory, greenhouse gas emission registers, climate projects, the international registry and ex-

---

<sup>37</sup> Officially released "Research Report on the Development of the Global NFT Digital Collection Market in the first half of 2022" - <http://dgh.tcc2017.org.cn/article/item-726.html>

change of carbon units, etc. Only this approach will ensure the necessary level of monitoring and modeling of climate and environmental changes, the development of adaptation mechanisms and development of measures to mitigate their anthropogenic impact.

*As a first practical step, we propose to use the mechanism of private Real Estate Investment Funds (REIT), which invest in infrastructure projects, including technology parks, modern wireless networks, data centers, carbon polygons and other innovation support groups.*

### **Conclusions:**

1. Until the 1960s, finance was not considered a “productive” part of the economy. They were seen as an important tool for moving existing wealth, rather than creating new one. Economists' calculations of gross domestic product (GDP) included finance only as an “intermediate factor” - a service necessary for the functioning of other *industries, which were the real creators of value.*

2. Around 1970, this state of affairs began to change. The system of national accounts, which provide a statistical picture of the size, composition and direction of an economy, began to include *the financial sector in the calculation of GDP* as the total value of goods and services produced in this economy<sup>38</sup>. This change in calculations coincided with the deregulation of the financial sector. The financial industry has openly lobbied to advance its interests, claiming that finance plays a critical role in creating wealth, and here it was first and foremost about more intermediaries involved in wealth management (the asset management industry and venture capital).

3. At the same time, *the public sector began to appear unproductive.* Modern economic thought mistakenly reduced the role of the state only to correcting market failures instead of forming and profiling it.

Most fully such activities can be implemented today just in the field of *digitization* (tokenization) of traditional financial instruments: digital utility rights (DUR), digital financial assets (DFA) and decentralized finance.

4. In general, the country should solve the problem of creating *a platform model for managing* technological development, including appropriate financial instruments, based on reliable data and artificial intelligence, with a focus on large advanced countries in order to “complement each other in high-tech industries”.

5. The creation of *private investment funds* for the construction of scientific and technology parks, as well as for the purchase of technological portfolios of intellectual rights (IP) and shares of high-tech companies is possible only with active assistance and co-financing from the government, which is the main missing element of financial modeling necessary for a technological breakthrough in modern countries, including in Georgia.

A promising testing ground for developing such a systemic financial model is *environmental* development.

### **References**

1. Albright Stonebridge Group (ASG). Strategic Technology Landscape 2023 - Risks, Opportunities, and Wild Cards -

[https://www.albrightstonebridge.com/files/Strategic%20Technology%20Landscape%202023%20-%20Risks,%20Opportunities,%20and%20Wild%20Cards\\_0.pdf](https://www.albrightstonebridge.com/files/Strategic%20Technology%20Landscape%202023%20-%20Risks,%20Opportunities,%20and%20Wild%20Cards_0.pdf)

2. Andy Royce. Understanding Patent Box tax relief, 27 January 2023 - <https://kene.partners/insights/patent-box-explained/>

3. Investment funds EU actions have not yet created a true single market benefiting investors - Special report 04/2022 [https://www.eca.europa.eu/EN/publications/SR22\\_04](https://www.eca.europa.eu/EN/publications/SR22_04)

4. James W. Phillips' Newsletter. Securing Liberal Democratic Control of AGI through UK Leadership, 2023 - <https://jameswphillips.substack.com/p/securing-liberal-democratic-control>

5. Replies of the EUIPO 2022 - <https://www.eca.europa.eu/en/Pages/DocItem.aspx?did=61056>

6. The Sixth Assessment Report (AR6) of the United Nations (UN) Intergovernmental Panel on Climate Change (IPCC). March 2023- <https://www.ipcc.ch/>

---

<sup>38</sup>“If in the post- Brexit world the UK financial system develops at a fast pace – which is what our plan is – then in the next quarter of a century it will reach not 10 times, but 15-20 times the size of GDP,” Mark Carney, Governor of the Bank of England, August 3, 2017

გარემოს დაცვა - ახალი პლანეტარული წესრიგის  
განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორი

**ანოტაცია.** გარემოს დაცვა მსოფლიოს ერთ-ერთი მწვავე გლობალური პრობლემაა. ნაშრომში გაანალიზებულია როგორ უკავშირდება გარემოს დაცვა ცხოვრების მაღალ ხარისხს, პლანეტარულ წესრიგს.

ვრცლად მიმოხილულია გარემოსდაცვითი პრობლემების სფეროში საკანონმდებლო აქტების მიღების განმაპირობებელი ფაქტორებისა და ღონისძიებათა ვრცელი სისტემის შესახებ. მოყვანილია გარემოს დაბინძურების შედეგად სიკვდილიანობით გამოწვეული ზარალის და ცხოვრების ხარისხის გაუარესებით მიყენებული ზიანის ამსახველი მონაცემები.

მიმოხილულია პრობლემების მართვის მეთოდებისა და ღონისძიებების შესახებ ცალკეული ქვეყნების მიხედვით.

აღნიშნულია კორონავირუსის გავლენით მსოფლიო მასშტაბით ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლის შემცირების თაობაზე. პრობლემის მართვაში მსოფლიო მასშტაბზე გათვლილი ფართო პროფილის სამეცნიერო გუნდის აქტიური მუშაობის შესახებ.

ბაზგასმულია, გარემოს დაცვის სფეროში დანერგილი სიახლეების თაობაზე.

**საკვანძო სიტყვები:** გლობალური პრობლემა, გარემოს დეგრადაცია, გარემოს მიკრობიოლოგიური დაბინძურება, კლიმატის ცვლილება, ჰაერის ხარისხი, მდგრადი განვითარება, მწვანე ეკონომიკა, კორონავირუსის პანდემია.

დღეს მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესში გლობალური პრობლემების როლი და გავლენა ამა თუ იმ ქვეყნის განვითარებაზე არსებითია და უმრავლეს შემთხვევაში არაპოზიტიური კონტექსტით აისახება. ზოგიერთი შეფასების თანახმად კაცობრიობის თითქმის 300 პრობლემას გლობალური ხასიათი აქვს. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე დაკავშირებულია გარემოს დაცვასთან. გარემო კაცობრიობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი და მამოძრავებელი ძალაა. იგი მსოფლიოს მოსახლეობას სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსებით უზრუნველყოფს.

თავისი არსებობის დასაბამიდან ადამიანი მთლიანად იყო დამოკიდებული გარემოზე, მაგრამ გონების განვითარებასთან ერთად ის თვითონ გახდა დედამიწაზე შემდგომი ევოლუციის მძლავრი ფაქტორი.

ადამიანი თავისი ეკონომიკური საქმიანობით ზემოქმედებს ბუნებრივ გარემოზე, იყენებს რა მის წიაღისეულ, კლიმატურ, წყლის, ნიადაგის, მცენარეულ თუ ფაუნის რესურსებს, რომელთაც მიემატა ატომური და პლანეტარულ-კოსმოსური რესურსიც. ეს აისახება რელიეფზე, ჰიდროგრაფიულ ქსელზე, მიკროკლიმატურ პირობებზე, მცენარეულ და ცხოველთა სამყაროზე.

ბუნებაზე ადამიანის გავლენა აუარესებს მიწის, ჰაერის და წყლის რესურსებს. მსოფლიოს ზრდადი მოსახლეობა სულ უფრო დიდ გავლენას ახდენს მიწაზე და ბუნებრივ რესურსებზე. მრავალ შემთხვევაში სუფთა წყალი იშვიათობაა, ქრება ტყეები, საფრთხე ექმნება ბიომრავალფეროვნებას.

იმის გააზრება, რომ მსოფლიოს ქვეყნები მხოლოდ საკუთარი რესურსებით ვერ შეძლებენ თავის დაცვას გარემოს არახელსაყრელი ცვლილებებისაგან, გავლენას ახდენს გეოპოლიტიკასა და გლობალურ მართვაზე.

ადამიანის მხრიდან გარემოზე განხორციელებული არარაციონალური ქმედებების მიზანი, მასზე მორგებული და მისი ინტერესების შესაბამისი მიზნების განხორციელებაა მათივე კეთილდღეობისთვის. ანუ ბუნებას, ადამიანსა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. ამ კავშირების წრეზე კი ადამიანის ქმედება განსაზღვრავს ნეგატიური შედეგების მასშტაბებს. ენერჯის მოხმარებას, ნარჩენების ზრდას, ახალი სამრეწველო ტექნოლოგიების შექმნას და არასწორად წარმოებულ სოფლის მეურნეობას

თან ახლავს სხვადასხვა ნივთიერებების და მათ შორის სათბურის გაზების გაფრქვევა ატმოსფეროში, რაც არის გლობალური დათბობის და წლების მანძილზე ჩამოყალიბებული გლობალური კლიმატის და კლიმატური ზონების ცვლილების ძირითადი მიზეზი.

რაც უფრო მეტად ახერხებს ადამიანი გამარჯვებას ბუნებასთან ურთიერთქმედების პროცესში, მით უფრო მეტი ზომით აგებს იგი მასთან საბოლოოდ.

გარემო ბუნება წარმოადგენს რა გარე სამყაროს რაღაც კონკრეტულ ან მთლიან ნაწილს და მასში მიმდინარე მოვლენების ერთობლიობას, გვევლინება როგორც განსაკუთრებული სფერო მისი ყველა სახესხვაობითა და კონკრეტულობით, ამიტომ მისი მეცნიერული გამოკვლევა არა მხოლოდ ეკონომიკური მეცნიერების, არამედ მთელი რიგი საბუნებისმეტყველო, ტექნიკური და საზოგადოებრივი მეცნიერებების შესწავლის საგნად იქცა. მეცნიერული კვლევის შედეგები ყველა მიმართულებით ადამიანის ბუნებასთან არამზრუნველი დამოკიდებულების საბოლოო უარყოფითი შედეგების თაობაზე მიაჩნებოდა.

თანამედროვე ეტაპზე, თავბრუდამხვევი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, წარმოების მასშტაბებისა და ტემპების არნახული ზრდის პირობებში საქმე გვაქვს გარემოს გლობალურ დაბინძურებასთან. გარემოს გლობალური დაბინძურების შემთხვევაში, მეცნიერული კვლევების უმთავრესი მიზანია მოახდინოს ბუნებათსარგებლობის შერწყმა ბუნების დაცვასთან, რომელიც თანამედროვე ცივილიზაციის გადარჩენის ძირითადი პირობაა.

უნდა აღინიშნოს რომ, გარემოს გლობალური დაბინძურების ახლანდელი ტემპი სასწორზე დებს თანამედროვე ცივილიზაციას და მთლიანად ბიოსფეროს გადარჩენის პრობლემას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით გარემოს დაბინძურება წელიწადში 7 მილიონამდე ადამიანის დაღუპვას იწვევს.

„ადამიანის ბედი ასე სასიცოცხლოდ არასოდეს ყოფილა დამოკიდებული დედამიწის ცოცხალ ბუნებაზე. ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევით და პლანეტის სასიცოცხლო სივრცის უზომოდ შეკვეციტ ადამიანი ბოლოს და ბოლოს თვითონ გაუსწორდა საკუთარ სახეობას“. ეს სიტყვები ეკუთვნის ცნობილ მეცნიერ ეკოლოგს, „რომის კლუბის“ დამაარსებელს--- აურელიო პეჩენის. მსოფლიო ცივილიზაციის გამაოგნებელი სიმადლეების მიღწევის გამო საერთო პლანეტარული პრობლემა გახდა გლობალური ეკოლოგიური პრობლემები.

ეკოლოგთა ცნობილი ფრაზა: „არცერთ ცოცხალ სახეობას არ შეუძლია არსებობა საკუთარი ნარჩენებისგან შექმნილ გარემოში“, რეალურ და სახიფათო შინაარს იძენს. სხვადასხვა წარმოშობის ნარჩენების რაოდენობა ელვის სისწრაფით იზრდება, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში.

გლობალურ-ეკოლოგიური სისტემის დეგრადაციის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიჩნეულია წარმოებისა და სხვა სახის ნარჩენებით ( ყველა აგრეგატული მდგომარეობით) ზეგაბინძურება. თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში მთლიანი ნედლეულის 95 %-მდე ნარჩენებზე მოდის. მრავალნარჩენიანი ტექნოლოგიების მქონე ქვეყნებიდან უპირველესად გამოსაყოფია რუსეთი, სადაც საშუალოწლიურად 7 მილიარდი მყარი ნარჩენი გროვდება.

თანამედროვე ეტაპზე მთელ პლანეტარულ ვითარებაზე განსაკუთრებით აღსანიშნავია გარემოს დაბინძურება ადამიანური ცხოველქმედების ნარჩენებით (ქიმიურით და რადიაციულით). უპირველეს ყოვლისა იგი შესამჩნევ გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში და კატასტროფულად ამცირებს იმ ადგილებს, რომლებიც ცხოვრებისა და დასვენებისთვის სასურველია. დედამიწის ეკოლოგიურად ხელსაყრელი რაიონები იძენს განსაკუთრებულ ფასეულობას და მნიშვნელოვანი რესურსი ხდება იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც მათ ფლობენ.

განვითარებული ქვეყნები ისწრაფვიან გათავისუფლდნენ დამაბინძურებელი ნივთიერებებისაგან, ამიტომ ნარჩენებს ღარიბ ქვეყნებში მარხავენ, რითაც მათ თავისებურ სანაგვეებად აქცევენ. პლანეტის გადაქცევა ერთიან ეკონომიკურ სისტემად, რომელიც მყისიერი მოგებებით იმართება, მსგავს პროცედურას იოლად განსახორციელებელს და ხელსაყრელს განვითარებული ქვეყნებისთვის ხდის.

ცნობილია, რომ ქვეყნები ცდილობენ მივიდნენ კონსესუსამდე გარემოსთან დაკავშირებულ უამრავ საკითხზე, შეამცირონ გამონაბოლქვი და აღმოაჩინონ წარმოების ახალი გზები, რომელიც გარემოსთვის არ იქნება ზიანის მომტანი, რასაც ითვალისწინებს მდგრადი განვითარება და მწვანე ეკონომიკის კონცეფცია.

მართალია განვითარებული ქვეყნები ისწრაფვიან გადავიდნენ ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებზე, მაგრამ შავი მეტალურგიის, ქიმიური წარმოებების, სასარგებლო წიაღისეულის და სხვა ეკოლოგიურად სახიფათო წარმოებებისაგან თავის დაღწევას კაცობრიობა ვერც ახლა და ვერც უახლოეს მომავალში ვერ შეძლებს. მათ გარეშე განვითარებული ქვეყნები და ყველა სხვა დანარჩენი უბრალოდ ვერ იარსებებს. დღესდღეობით სხვადასხვა ქვეყნის მიერ ატმოსფეროს და ოკეანის დაბინძურებაში შეტანილი წვლილი ძალზე განსხვავდება. ზოგიერთი განვითარებული ქვეყანა გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამო ყოველწლიურად კარგავს მშპ-ის 7,5 %-ს. (11)

გარემოს დაბინძურების პრობლემა სამრეწველო წარმოების შემდომი განვითარებისა და მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აუცილებლობასთან ერთად ერთ-ერთი ფაქტორთაგანია, რომელიც ახალი პლანეტარული წესრიგის ჩამოყალიბების სტიმულირებას ახდენს.

ზემოთაღნიშნული პრობლემა ეხება რა მრავალ ქვეყანას, დედამიწის ატმოსფეროს, მსოფლიო ოკეანეს, კოსმოსურ სივრცეს და დედამიწის მოსახლეობას, იგი ვერ იქნება გადაწყვეტილი რომელიმე ერთი ქვეყნის ძალებით. აუცილებელია შეთანხმებული ეკონომიკური პოლიტიკა და ერთობლივი ძალისხმევა, რომელიც გარემოს დაცვაზე, ცოდნის და ტექნოლოგიების გაცვლაზე, ჩამორჩენილი ქვეყნებისთვის დახმარებაზე და სხვაზე იქნება მიმართული.

მსოფლიო პრაქტიკაში ეკოლოგიური ტექნოლოგიის დანერგვის სტიმულირება სხვადასხვა გზით ხდება. კერძოდ, ეს არის ბუნებადამზოგავი წარმოება, წესები, ნორმები, საკანონმდებლო აქტები, დაბინძურების შემცირებისათვის სუბსიდირების დაწესება, დაბეგვრით სტიმულირება და ა.შ.

ზოგადად, გარემოს დაცვა სხვადასხვა დონის ლოკალურ, ეროვნულ და საერთაშორისო პრობლემების დონეს მოიცავს. ამის შესაბამისად ჩამოყალიბდა გარემოს დაცვის ორგანიზაციების მრავალსაფეხურიანი სტრუქტურა, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოებრივ ზომებს.

ბუნების დეგრადაციაზე რეაქცია აშშ-ში, იაპონიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთსა და სხვა ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოებში გამოიხატა გარემოს დაცვის სფეროში საკანონმდებლო სისტემის შექმნაში. მოცემულ სახელმწიფოებში გარემოს დაცვის სფეროში კანონმდებლობის განვითარების ძირითად იმპულსად მიჩნეული იყო და არის საზოგადოებრივი ეკოლოგიური მოძრაობა. გარემოს დაცვის სფეროში მიღებული კანონები უმეტესწილად არის რეაქცია მძაფრ ეკოლოგიურ პრობლემაზე.

ქვეყნებს შორის გარემოს დაცვის საკითხები განსხვავებულია. ცნობილია, რომ განვითარებული ქვეყანა არეგულირებს გარემოს დაბინძურებას, ქიმიური ნარჩენების გადამუშავებას, სამუშაოზე ქიმიური მასალების გამოყენებას სპეციალური საკანონმდებლო აქტებით. ეს კანონები არ გააჩნია ზოგიერთ განვითარებად ქვეყანას, რაც მულტივირებულ კომპანიებს აძლევს შესაძლებლობას, იმაზე უფრო მაღალი დონით დააბინძურონ გარემო, ვიდრე დასაშვები იქნებოდა მათ ქვეყნებში.

ზოგადად, განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა გარემოს დაცვის სფეროში ღონისძიებათა ვრცელ სისტემას მოიცავს:

1. გარემომცველი სამყაროს ხარისხის სტანდარტის დადგენა;
2. სხვადასხვა ობიექტებიდან გამონაბოლქვის კონტროლი;
3. მძიმე მეტალების წარმოებისა და მოხმარების შემცირება;
4. ბუნებადამცავი საქმიანობის დაგეგმვა, კონტროლი და სხვა.

ბუნებისდაცვით სფეროში თანამშრომლობის ერთ-ერთ მსოფლიო ლიდერად მიჩნეულია ევროკავშირი. მისი ეკოლოგიური სისტემა მთლიანადაა დაკავშირებული გარემოს დაცვის ღონისძიებათა სისტემასთან. გარემოს დაცვა წარმოადგენს ეკ-ის მოღვაწეობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას.

ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ გარემოსდაცვით პრობლემას ჰაერის დაბინძურება წარმოადგენს. ევროპის ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობის 95% განიცდის მტვრის შეწონილი ნაწილაკების და მიწისპირა ოზონის მავნე ზემოქმედებას. ევროკავშირში ჰაერის დაბინძურება ადრეული სიკვდილიანობის მთავარი გარემოსდაცვითი ფაქტორია.

ჰაერის დაბინძურება მსოფლიო მასშტაბით სიკვდილის გამომწვევი რიგით მეოთხე რისკ ფაქტორია მეტაბოლური რისკების, კვების რეჟიმის დარღვევებისა და თამბაქოს მოხმარების შემდეგ.

მსოფლიოში ყოველი მეცხრე გარდაცვალება დაბინძურებულ ჰაერს უკავშირდება. მათ შორის ფილტვის კიბოთი სიკვდილიანობის 36%; ინსულტის 34%; გულის დაავადების 27% და ფილტვის ქრონიკული დაავადებების 35%. (18)

ფაქტია, რომ ცხოვრების მაღალი ხარისხი დამოკიდებულია ჰაერის მაღალ ხარისხზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკური განყოფილების მიერ შემუშავებული ჩარჩო-რეკომენდაციებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების მიხედვით განსაზღვრულ 12 ძირითად მიმართულებას შორის, რომელიც გარემოსდაცვითი სტატისტიკის მთავარ სფეროებს ასახავს, ერთ-ერთ მიმართულებად ჰაერის ხარისხი განისაზღვრა.

აშშ-ში, ევროკავშირის მსგავსად, პრიორიტეტი ენიჭება ჰაერის დაცვას. აშშ-ის კანონების საფუძველზე ეკოლოგიური მოთხოვნები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ბუნებრივი რესურსების ხარისხის ნორმატივები (წყალი და ატმოსფერული ჰაერი) და მათზე ზემოქმედების ნორმატივები. ეკოლოგიური სამართლის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშად ითვლება განსაკუთრებული ყურადღების გამოვლენა გამორჩეული ეკოლოგიურ-სამართლებრივი სტატუსის მქონე ტერიტორიების მიმართ.

ბოლო წლებში აშშ-ში მიღებული იქნა მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მიმართულია ხანგრძლივი ენერგოუზრუნველყოფისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ ქვეყნის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში. მათ რიცხვში შედის კანონები: „ალტერნატიულ ძრავის საწვავზე“, „სუფთა ჰაერზე“, „ენერგეტიკულ პოლიტიკაზე“ და სხვა.

ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ამ ქვეყანაში ჰაერის ხარისხის კონტროლში ინვესტირებულ ყოველ 1 დოლარს 30 დოლარის მოგება მოაქვს (11).

გერმანიაში ჰაერის დაცვის მიმართულებით უპირატესობა ენიჭება მთელ რიგ ეკონომიკურ და ფინანსურ ღონისძიებათა სტიმულირებას, ლგოტებს, სუბსიდიებს, კაპიტალდაბანდებას. გერმანია საკუთარ კომპანიებს სთავაზობს არჩევანის თავისუფლებას, ჰაერის დაცვის მიმართულებით თავად შეარჩიონ ესა თუ ის მეთოდი. ერთი და იმავე დასახლებაში მდებარე კომპანიებს კი შეუძლიათ ძალისხმევის გაერთიანება დაბინძურებასთან ბრძოლის წინააღმდეგ.

იაპონიაში გარემოს დაცვის მიმართულებით მიღებულ კანონს გააჩნია როგორც იურიდიული, ისე მეთოდოლოგიური ბაზა. გარემოს დაცვის სფეროში ძირითადად არსებობს ორი ტიპის ნორმატივი - მიზნობრივი და მიმდინარე. მიზნობრივი ნორმატივები ზღვრული მაჩვენებლების ანალოგიურია, მიმდინარე ნორმატივები კი მიიღება განსაზღვრული დროით და ითვალისწინებს დაბინძურების თანდათანობით შემცირებას.

ზემოხსენებული ქვეყნები გლობალური სამყაროს მხოლოდ მცირე ნაწილია. ამ სამყაროში, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის მიუხედავად, დამაბინძურებელი, მომწამვლელი ნივთიერებებისაგან თავის დაცვა ერთნაირად სჭირდება ყველას - როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მოსახლეობას, მათ შორის საქართველოსაც.

საქართველო, ისევე, როგორც მთლიანად თანამედროვე სამყარო, განვითარებისა და ტექნოლოგიური წინსვლის ფონზე უამრავი გარემოსდაცვითი პრობლემისა თუ გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. ბოლო ათწლეულში კლიმატის ცვლილებამ, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ის ეკოლოგიური გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ.

საქართველოში ჰაერის ხარისხი ევროკავშირის მიერ დაწესებულ ნორმებთან შეუსაბამოა. ჩვენს ქვეყანაში ჰაერის დაბინძურება საკმაოდ მაღალია, ხოლო კანონმდებლობა ევროკავშირის სტანდარტებსაც კი ვერ უახლოვდება.

ევროკავშირი საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმება ავალდებულებს საქართველოს, „გაააქტიუროს დაახლოვება ევროკავშირის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან გარემოს დაცვის მართვის საქმეში“ და ასევე „მოახდინოს გარემოს დაცვის საკითხების ინტეგრირება პოლიტიკის სხვა სფეროებში“. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირმა გარემოს დაცვის პოლიტიკაში ქვეყნის მასშტაბით უფრო მეტი კრეატიულობა და სიცხადე შეიტანა.

მნიშვნელოვანია, რომ ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოსთან (EEA) მუშაობის შედეგად, საქართველოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონაცემების ნახვა უკვე ევროპულ პორტალზეც უწყვეტ რეჟიმშია შესაძლებელი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, უმნიშვნელოვანესი ინოვაციაა სამრეწველო ემისიების შესაბამისად და მათი რეგულირების ევროპულ პრინციპებსა და სტანდარტებზე გადასასვლელად 2010/75/EC დირექტივის საფუძველზე შემუშავებული „სამრეწველო გაფრქვევების კონტროლის შესახებ“ კანონის პროექტი. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული კანონის მიღების ვადა, ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, 2018 წელი იყო. თუმცა მისი რიგი უმნიშვნელოვანესი დებულებების ამოქმედების ვადად გათვალისწინებულია 2020-2026 წლები.

ევროკავშირისკენ სწრაფვა გავალდებულებს, მიუხედავად ევროპულ სტანდარტებს. საჭიროა კანონმდებლობაში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომელიც ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი კონცეფციის განხორციელებას, უფრო კონკრეტულად, ჰაერის დაბინძურების შემცირებას. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა მსხვილ ქალაქებში, სადაც სამრეწველო ობიექტების და ტრანსპორტის გამონაბოლქვი აბინძურებს ჰაერს. საჭიროა შეიქმნას ატმოსფერული ჰაერის დაცვის ეფექტიანი პროგრამები მსხვილი ქალაქებისთვის. ქვეყანაში უკვე არსებული თანამედროვე ავტომატური მონიტორინგის ქსელი საშუალებას იძლევა სწორედ ევროპული სტანდარტით მოხდეს ჰაერის ხარისხის შეფასება. კარგი იქნებოდა ევროპული ქვეყნების გამოცდილების – ჰაერის დაცვისადმი განსხვავებული – ინტეგრირებული მიდგომის გამოყენების გაზიარებაც. ეს მიდგომა ემყარება კონკრეტულ რეგიონში ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ შესაბამისი ღონისძიებების იმგვარად გატარებას, რომ ის არ იწვევდეს ჰაერის დაბინძურების ზრდას სხვა რეგიონში.

ბოლო წლებში მსოფლიო დღის წესრიგში მოქცეულმა პრობლემამ -გარემოს მიკრო ბიოლოგიურმა დაბინძურებამ- კორონავირუსის გამოჩენამ, მსოფლიო ახალი გლობალური გამოწვევის წინაშე დააყენა. კორონავირუსის პანდემიამ კვლავ სასწორზე დადო ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების განვითარება. ეს ის შემთხვევაა, როცა კანონმდებლობა უძლურია პრობლემის მართვაში. როგორც გამოიკვეთა, გამოსავალი აქ მხოლოდ და მხოლოდ სამეცნიერო კვლევებზე იყო მიმართული, რომელიც მსოფლიო მასშტაბზე და ფართო პროფილის სამეცნიერო გუნდზე გადიოდა. უხილავ მტერთან ბრძოლაში იმ ქვეყნებმა მიაღწიეს წარმატებას, სადაც აქცენტი გაკეთდა მეცნიერებაზე, სხვა დანარჩენ ღონისძიებებთან ერთად.

უნდა აღინიშნოს, რომ კორონავირუსის პანდემიამ მსოფლიო მასშტაბით გამოიწვია ჰაერის ხარისხის ზრდა, რაც საგანგებო მდგომარეობის შემოღებით აიხსნება. მიმოსვლის საშუალებების მკაცრმა შეზღუდვებმა გავლენა მოახდინა ემისიების მოცულობაზე, შესაბამისად გამონაბოლქვზე, შედეგად ჰაერის ხარისხზე. ორმაგად შესამჩნევი გახდა ჰაერის გაჯანსაღება მსოფლიო მასშტაბით, დაბინძურებული ჰაერი ქვეყნიდან თითქმის გაქრა, რამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ სატრანსპორტო სექტორი არის გარემოს პირველი დამაბინძურებელი წყარო.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღინიშნოს მეცნიერული კვლევის შედეგების თაობაზე, რომლის თანახმად უკანასკნელი 100 წლის მანძილზე ატმოსფეროში მოვედრილი CO<sub>2</sub> -ის შემცველობა გაზრდილია 10 %-ით. ამასთან ძირითადი ნაწილი (360მლრდ ტ) მოხვდა ატმოსფეროში საწვავის წვის შედეგად.

მეცნიერთა ვარაუდით, თუ საწვავის მოხმარების ტემპები შენარჩუნებული იქნება მაშინ უახლოეს 50-60 წელიწადში ატმოსფეროში CO<sub>2</sub> -ის რაოდენობა გაორმაგდება და გამოიწვევს კლიმატის გლობალურ შეცვლას.

ძალზე მნიშვნელოვანია ერთი სახელმწიფო გადაწყვეტილების შესახებ ეკ-ის წევრი ქვეყნებისთვის. ეს არის იმ სატრანსპორტო სახეების შეზღუდვა, რომლებიც ყველაზე მეტად აბინძურებენ გარემოს. ამ წესიდან გადახვევა იწვევს დაჯარიმებას, კერძოდ: გერმანიაში - 40 €, შვეცია - 113 €, ინგლისი - 1205 €.(10)

კლიმატის ცვლილება აღიარებულია, როგორც კაცობრიობის წინაშე მდგარი უმწვავესი გამოწვევა. თანამედროვე საზოგადოების, მეცნიერების შეშფოთებას იწვევს ის, რომ გლობალური კლიმატი იცვლება სწრაფად. რადგან ქვეყნების ბუნებრივ რესურსებს და ეკონომიკის დარგებს განსაზღვრავს მათ ტერიტორიაზე არსებული კლიმატური პარამეტრები, კლიმატის ცვლილება აუცილებლად დააყენებს ქვეყნებს მათი ეკონომიკური მიმართულებების შეცვლის საჭიროების წინაშე.

სპეციალისტთა აზრით, არსებობს კვლევები, რომლებიც წინასწარ განჭვრეტენ, რომ კლიმატური ცვლილებები სხვადასხვა ფორმით და სხვადასხვა გზით, ხელს უწყობს მათ შორის ეპიდემიების გავრცელებას.

დღესდღეობით ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული და „გამოგონებული“ აქტუალური გლობალური პრობლემების გადაწყვეტის საშუალებები, თუმცა კაცობრიობის ნორმალური განვითარების გზა უკვე განსაზღვრულია და ამ „მაგისტრალურ გზას“ მდგრადი განვითარება ჰქვია.

მდგრადი განვითარების საკითხი თანდათან მოიცავს მსოფლიო საზოგადოებას. მაგ., რამდენიმე ევროპული ქვეყანა ცდილობს, 2030 წლისთვის გახდეს CO<sub>2</sub>-ის ნულოვანი გამონაბოლქვის სამრეწველო ქვეყანა. სწორედ დაბინძურების დონის შემცირების ხელშეწყობი ტექნოლოგიების შექმნასა და ნახშირბადის გამონაბოლქვის შემცირებას მოიაზრებს მდგრადი განვითარების ინსტრუმენტი - მწვანე ეკონომიკის კონცეფცია.

გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის მწვანე ეკონომიკური ინიციატივის შესაბამისად, მწვანე ეკონომიკა არის ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც ამცირებს გარემოსდაცვით რისკებს და ეკონომიკურ პრობლემებს, მიზნად ისახავს მდგრად განვითარებას და გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას. ამ პროცესში თითქმის ყველა ქვეყანაა ჩართული, მათ შორის საქართველოც.

შესწავლილია, როგორც მონეტარული პოლიტიკის გადაცემის არხი. აქედან გამომდინარე, შედეგები ხშირად არც სტანდარტულ და არც არასტანდარტულ პოლიტიკასთან არ ასოცირდება, მაშინ როდესაც თეორიაში ამ შედეგების გავრცობა ორივეზე შესაძლებელია. ამის მიუხედავად, საინვესტიციო პორტფელის კომპოზიციის არხი ჩვეულებრივ არასტანდარტულ მონეტარულ პოლიტიკას მიეწერება, რასაც ზოგიერთი მკვლევრის მტკიცებით სტანდარტულ ზომებზე უფრო ძლიერი ეფექტის მოხდენა შეუძლია შინამეურნეობებისა და ფინანსური ინსტიტუტების საინვესტიციო პორტფელის გადაბალანსების გამო.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩიქობავა მ., კაკულია ნ., ლაზარაშვილი თ. (2022), თანამედროვე მონეტარული თეორიის შესახებ. ჟურნ.: ეკონომიკა და ბიზნესი, თსუ, ტომი XIV (3).
2. პაპავა ვ., ჭარაია ვ. (2021). “საქართველოს სახელმწიფო ვალის ზრდის პრობლემა COVID-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის პირობებში”. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.
3. ხადური ნ. (2012). ქართული ეკონომიკური მოდელი და გლობალური ეკონომიკა. IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაცია და ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები“, კრებული. თბილისი.
4. Kakulia N., (2017) Analysis of the reasons for the institutional backwardness of Georgia., 2nd Geneva International Conference on Advanced Research, Geneva, Switzerland, GICAR.
5. Chikobava, M. & Kakulia, N. (2023) Monetary Policy Challenges of The Post-Pandemic Period. Journal Of Economic and Business Issues,3(2), 40-48. Received: 22/01/2023 Accepted: 17/07/2023 Published: 31/07/2023
6. Papava V., (2022). On the Main Challenges of the Architecture Transformation of the World Economy.
7. Kremer, Michael and Edward Miguel., (200). The Illusion of Sustainability. Quarterly Journal of Economics 122(3): 10071065.
8. Alan Blinder, Michael Ehrmann, Jakob de Haan, David-Jan Jansen(2017) - Necessity as the mother of invention: monetary policy after the crisis , Economic Policy, Volume 32, Issue 92, Pages 707–755,
9. Olivier Coibion, Yuriy Gorodnichenko, Lorenz Kueng, and John Silvia (2012) Innocent Bystanders? Monetary Policy and Inequality in the U.S., NBER Working Paper No. 18170
10. Mumtaz Haroon & Theophilopoulou Angeliki, 2017. "The impact of monetary policy on inequality in the UK. An empirical analysis," European Economic Review, Elsevier, vol. 98(C).
11. Davide Furceri, Prakash Loungani, and Aleksandra Zdzienicka (2018). The Effects of Monetary Policy Shocks on Inequality By, IMF Working Papers, WP/16/245.
12. Rory O’Farrell, Łukasz Rawdanowicz, Kei-Ichiro Inaba (2016) Monetary Policy and Inequality OECD Economics Department, Working Papers No. 1281
13. Dietrich Domanski, Michela Scatigna and Anna Zabai Adam and Tzamourani, (2016); Wealth inequality and monetary policy, BIS Quarterly Review.
14. Marco Casiraghi, Eugenio Gaiotti, Lisa Rodano and Alessandro Secchi (2016) A “reverse Robin Hood”? The distributional implications of non-standard monetary policy for Italian households.

*Nazira Kakulia*

## THE IMPACT OF MONETARY POLICY ON INCOME INEQUALITY THEORETICAL ASPECTS

### Abstract

The article talks about the essence of income inequality and the politics of its reduction in the conditions of confrontational globalization. Also discussed are a number of problems related to income inequality during financial crises. Неравенство договор deepens the level of poverty and exacerbates social problems that have a clear impact on the prosperity, development and future of the country. Modern society is involved in globalization, which, in turn, affects countries both positively and negatively. Research shows that the policy aimed at leveling inequality is often inadequate to the current situation and requires revision. In the conditions of confrontational globalization, when the economies of countries are considered as one big world economy, this requires a complex approach.

**Key Words:** *Monetary policy, inequality, confrontational globalization*

საქართველოს საგადასახადო სისტემის ზოგიერთი პრობლემა  
პოსტპანდემიურ პერიოდში

**ანოტაცია.** საყოველთაოდ ცნობილია, რომ საგადასახადო სისტემის პრობლემების კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და ყველა დროის აქტუალურ საკითხს წარმოადგენს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირების საქმეში.

საგადასახადო სისტემაში არსებული პრობლემების შესწავლა-გამოკვლევა და შემდგომ ამ პრობლემების გადაჭრის გზების ძიება მნიშვნელოვანი იყო პოსტსაბჭოურ პერიოდში, შემდეგ უფრო აქტუალური გახდა კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის პირობებში და მისი გადაჭრის აუცილებლობა კიდევ უფრო აქტუალური და მნიშვნელოვანი გახდა პოსტპანდემიურ პერიოდში. რამდენადაც პანდემიამ, რომელიც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, დიდი ზარალი მიაყენა არა მარტო საქართველოს, არამედ მთლიანად მსოფლიო ეკონომიკას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პოსტპანდემიურ პერიოდში განსაკუთრებით აქტუალურია საგადასახადო სისტემის პერსპექტიული ხედვისა და ამ სისტემის სრულყოფის გზების შემუშავება, რისთვისაც უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ერთი მხრივ, საგადასახადო სისტემის სრულყოფის გზების შემუშავებას ეკონომიკური ეფექტიანობის პრობლემის გადაჭრის მიმართულებით და, მეორე მხრივ, საგადასახადო სისტემის სრულყოფის გზების შემუშავებას საბაზრო ეკონომიკის სოციალური ეფექტიანობის პრობლემის გადაჭრის მიმართულებით. რადგან დღეისათვის არსებული საგადასახადო სისტემა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს მეწარმეობის განვითარებისთვის სათანადო პირობების შექმნას, არ შეესაბამება ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების მოთხოვნებს და იგი შემდგომ სრულყოფას საჭიროებს.

**საკვანძო სიტყვები:** საგადასახადო სისტემა, პოსტპანდემიური პერიოდი, საგადასახადო კოდექსი.

ცნობილია, რომ კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის პერიოდში ბევრ ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოშიც, გამოცხადებული იყო საგანგებო მდგომარეობა, რის გამოც ბევრი საწარმო საერთოდ დაიხურა, ბევრმა შეამცირა საქმიანობის მასშტაბები. მთლიანობაში თითქმის ყველა საწარმო დაზარალდა.

საწარმოთა მხარდაჭერის მიზნით საქართველოს მთავრობამ კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის პერიოდში გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებით სხვადასხვა სფეროებში. საკანონმდებლო ცვლილებები საგადასახადო სფეროსაც შეეხო. საქართველოს საგადასახადო კოდექსში სათანადო ცვლილებების შეტანამ გადამხდელებს მეტ-ნაკლებად შეუმსუბუქა საგადასახადო ტვირთი, თუმცა ეს შეღავათები საწარმოებს ფუნქციონირებადობის პრობლემის წარმატებით გადაჭრის საკითხში ვერ დაეხმარებოდა [1;2].

აღსანიშნავია, რომ კორონავირუსის (COVID-19) პანდემიას ბევრ უარყოფით მხარესთან ერთად დადებითი მხრეებიც ჰქონდა, რომელთაგან ერთ-ერთი არის ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის ტემპის დაჩქარება ყველა სფეროში. ხოლო, რაც შეეხება საქართველოს საგადასახადო სისტემას, კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის პერიოდში მაქსიმალურად გაციფრულდა მანამდე არაციფრული ფორმით არსებული სერვისები და თითქმის მთლიანად ელექტრონულ ფორმატზე გადავიდა, რამაც მნიშვნელოვნად გაამარტივა გადამხდელის ურთიერთობა შემოსავლების სამსახურთან.

ციფრული ტექნოლოგიების დანერგვამ და მისი ტემპის დაჩქარებამ ყველა სფეროში, გამოიწვია ეკონომიკის ახალი დარგებისა და შესაბამისად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ახალი პროფესიების შექმნას და მათზე მოთხოვნის ზრდას პროგრამისტების, IT სპეციალისტებისა და სხვადასხვა სახის ექსპერტების სახით.

საქართველოში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა დაახლოებით ორ ათეულ წელს ითვლის. საფინანსო სექტორის, სახელმწიფო სერვისებისა და ეკონომიკის სხვადასხვა დარგების გაციფრულებასთან ერთად, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა-განვითარებამ საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკის ციფრული სეგმენტის — კრიპტობიზნესის ფორმირებასაც, რომელმაც საქართველოში კრიპტობიზნესის განვითარებისათვის შექმნილი ხელსაყრელი გარემოს გამო სწრაფი ტემპით და დიდი წარმატებით დაიწყო განვითარება.

როგორც ცნობილია, საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს საქართველოში საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, გადასახადის გადამხდელისა და უფლებამოსილი ორგანოს სამართლებრივ მდგომარეობას, საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებს და, ზოგადად, არეგულირებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს (საქართველოს საგადასახადო კოდექსი მ.1).

საქართველოს საგადასახადო კოდექსში, სხვა ცვლილებებთან ერთად, ეკონომიკის ციფრული სეგმენტის — კრიპტობიზნესის ფორმირებასთან დაკავშირებითაც იქნა შეტანილი სათანადო ცვლილებები, თუმცა სრულად არ არის დარეგულირებული ეს საკითხი, რადგან საქართველოში მოქმედი საგადასახადო პოლიტიკიდან გამომდინარე, კრიპტოსექტორი მიმზიდველია ინვესტიციების განთავსებისთვის, რასაც კიდევ უფრო ხელს უწყობს საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონების საგადასახადო პოლიტიკა და მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობის მიერ ენერგორესურსებით სარგებლობის მიმართ არსებული შეღავათების პრაქტიკა. კრიპტოსექტორის განვითარებისთვის პირობების შექმნისა და მისი სამართლებრივი რეგულირებისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა, რომელთა შორისაც აღსანიშნავია კრიპტოვალუტის ეკოლოგიური მახასიათებლები, კერძოდ, კრიპტოგრაფიული ვალუტის მოპოვების თანმდევი ეკოლოგიური ფაქტორის — ბუნებაში ჭარბი CO<sup>2</sup>-ის გამოყოფის ნორმალიზაცია, რაც სერიოზული ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა ჯერჯერობით ვერ იძლევა კრიპტოაქტივის სამართლებრივ დეფინიციას, რადგან არ არსებობს ცალკე კანონი კრიპტოაქტივების რეგულირების შესახებ. ამჟამად, რეგულირებას ექვემდებარება მხოლოდ კრიპტოაქტივებთან დაკავშირებული საგადასახადო საკითხები, რომელიც თავის მხრივ რეგულირდება ფინანსთა სამინისტროს საჯარო გადაწყვეტილებით „კრიპტოაქტივის და მის მოსაპოვებლად გამოთვლითი სიჩქარის (სიმძლავრის) მიწოდების ოპერაციების გადასახადებით დაბეგვრის თაობაზე“ და რომელშიც საჯარო გადაწყვეტილების მიზნებისთვის, განმარტებულია, რომ „კრიპტოაქტივი არის ციფრული აქტივი, რომლის შენახვა და გავრცელება ხორციელდება ელექტრონულად ერთრანგიანი (დეცენტრალიზებული, Peer-to-peer) ქსელით, არ საჭიროებს სანდო შუამავალს და ფუნქციონირებს კომპიუტერების ქსელში მომუშავე განაწილებული რეესტრის ტექნოლოგიის (Distributed ledger technology), პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, რომელიც იყენებს კრიპტოგრაფიულ მეთოდებს“ (საჯარო გადაწყვეტილება # 201,მ. 2). შესაბამისად, ციფრულ სფეროშიც სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი სამართლებრივი რეგულირებისა და ბიზნესის კორპორატიული მდგრადობის მიზნებისთვის [3].

გასათვალისწინებელია, რომ საზოგადოდ „განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემები ყალიბდებოდა სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პირობების გავლენით“, — როგორც აღნიშნავს ოლგა მეშჩერიაკოვა თავის წიგნში: “მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემები (ცნობარი)” და თვლის, რომ საფუძველიანი კვლევისას „შეიძლება გამოიყოს საერთო ნიშნები, რომლებიც ახასიათებს საგადასახადო სისტემებს:

სახელმწიფოს საგადასახადო შემოსავლების ზრდის გზების ძიება;



საგადასახადო სისტემების აგება თანასწორობის, სამართლიანობისა და საგადასახადო დაბეგვრის ეფექტიანობის შესახებ ეკონომიკური თეორიის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების ბაზაზე.

მთლიანობაში საგადასახადო სისტემების აგების პრინციპები არაერთმნიშვნელოვანია და ბევრად არის დამოკიდებული ამა თუ იმ ეკონომიკური თეორიის მიმართ მთავრობის მხარდაჭერაზე“ [7].

ამრიგად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელისუფლების მიერ ამა თუ იმ საგადასახადო პოლიტიკის გატარებას, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ზოგადად ცივილიზებული საზაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პირობებში და მით უმეტეს პოსტპანდემიურ პერიოდში. რადგან, საზოგადოდ, ნებისმიერ სახელმწიფოში ბიუჯეტის შევსება ხდება სხვადასხვა სახის შემოსავლებით, რომელთა მაქსიმალური მობილიზება ბიუჯეტში დიდადაა დამოკიდებული იმაზე, რამდენად გამართულად მუშაობს ქვეყნის საგადასახადო სისტემა და რამდენად სრულყოფილი და სამართლიანობის პრინციპზეა დაფუძნებული შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა.

რაც შეეხება უშუალოდ საგადასახადო სისტემაში არსებულ პრობლემებს პოსტპანდემიურ პერიოდში, რომელთა გადაჭრასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის, ასევე საზოგადოების სოციალური პრობლემების მოგვარებისა და ზოგადად კეთილდღეობის დონის ამაღლების საქმეში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრია ამ მხრივ გასაკეთებელი. მით უმეტეს, რომ ჯერჯერობით კიდევ არის ისეთი პრობლემები, რომელთა მოგვარებაც ათწლეულების განმავლობაში ვერ მოხერხდა და რომელთა არასრული ჩამონათვალიც არის:

- დღეისათვის მოქმედ საგადასახადო კოდექსში, მისი სრულყოფის მიზნით, 2010 წლიდან დღემდე პერიოდში უამრავი ცვლილების შეტანის მიუხედავად, კოდექსი და საგადასახადო სისტემა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტას სათანადო დონეზე;

- ფიზიკური პირების შემოსავლების საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისას, ქვეყანაში არსებული კონკრეტული პირობების გათვალისწინებით, არათუ მიზანშეწონილი, არამედ აუცილებელია საარსებო მინიმუმის დადგენა და მისი დაუბეგრავ მინიმუმად დაწესება, რადგან კრიზისისა თუ ეკონომიკის აღმავლობის პირობებში, მოქალაქეთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფის მიზნიდან გამომდინარე, არ უნდა იბეგრებოდეს ფიზიკური პირის შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც არ აღემატება შესაბამისი პერიოდისათვის ქვეყანაში დადგენილ საარსებო მინიმუმს;

- ქვეყნის საერთო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ნაწილის ინტერესების გათვალისწინებით, აღნიშნული სიტუაციიდან გამოსვლამდე პირველადი, აუცილებელი მოხმარების საგნებზე, დამატებული ღირებულების გადასახადის მოხსნა ან უკიდურეს შემთხვევაში მისი მინიმუმამდე დაყვანა, ამასთანავე, განაკვეთების სწორად შერჩევა-დაწესება საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს მეწარმეობისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას;

და ისევ, ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტი - საგადასახადო კოდექსი, სახელმწიფოს საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის განმსაზღვრელი ძირითადი კანონი, შედგენილი უნდა იყოს ისე, რომ განაპირობებდეს სტაბილურ სამეწარმეო გარემოს, რაც თავისთავად პროგნოზირებადს გახდის სიტუაციას, არ უნდა სჭირდებოდეს ხშირი ცვლილებების შეტანა, რაც, არასტაბილური სამეწარმეო გარემოს შექმნიდან გამომდინარე, უარყოფითად აისახება ბიზნესის განვითარებაზე. კერძოდ, იგულისხმება ისეთი საგადასახადო კოდექსის შექმნა, რომელიც იქნება მარტივი და ადვილად აღსაქმელი, რათა იგი ხელმისაწვდომი და გასაგები იყოს როგორც საგადასახადო სფეროს მუშაკისთვის, ასევე მეწარმისა და რიგითი მოქალაქისთვის. მის გასაგებად არ უნდა იყოს საჭირო მეწარმისათვის უამრავი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გაცნობა-შესწავლა და მას არ უნდა სჭირდებოდეს, აგრეთვე, სისტემატური ცვლილებების შეტანა. ცნობისათვის, ამჟამად მოქმედ

საქართველოს საგადასახადო კოდექსში, მისი მიღების თარიღიდან (2010 წლის 17 სექტემბრიდან 2023 წლის 28 ივნისამდე) 204-ჯერ არის შეტანილი ცვლილება ცალ-ცალკე კანონებით. აქვე უნდა აღინიშნოს იმის აუცილებლობა, რომ ნებისმიერი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება ან მათში განხორციელებული ყოველი ცვლილება უნდა ეფუძნებოდეს დასაბუთებულ არგუმენტაციას იმის შესახებ, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია აღნიშნული დოკუმენტის სამოქმედოდ შემოღებას ეკონომიკური ან სოციალური ეფექტიანობის ამაღლების თვალსაზრისით [8].

საბოლოო ჯამში, აუცილებელია მთლიანობაში ისეთი საგადასახადო სისტემის შექმნა, რომელიც დაფუძნებული იქნება, როგორც ყველა განვითარებული ქვეყნის საგადასახადო სისტემა, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებზე, რაშიც თავისთავად იგულისხმება ის, რომ გადასახადის გადამხდელის შემოწმებელი და იმავე შემოწმების შედეგად სამართლიანობის პრინციპის დარღვევის შემთხვევაში დავების განმხილველი ორგანო ერთი და იგივე პირი არ უნდა იყოს. შესაბამისად, საგადასახადო დავის წარმოშობის შემთხვევაში სახელმწიფო თავიდანვე აშკარად მომგებიან პოზიციაში არ უნდა იყოს.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, გადამხდელისადმი დამოკიდებულება უნდა იყოს პარტნიორობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპზე დაფუძნებული და სახელმწიფო საგადასახადო სტრუქტურის წარმომადგენელი და გადასახადის გადამხდელი უნდა იყვნენ თანაბარ პირობებში. სხვაგვარი დამოკიდებულება გადამხდელთა მიმართ ცივილიზებული საზოგადოებისა და ცივილიზებული ურთიერთობებისათვის მიუღებელი უნდა იყოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელი იქნება სახელმწიფოს მიერ დამატებითი კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება, რომელშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება საგადასახადო სისტემის სრულყოფის გზების შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ქვეყანაში ეკონომიკური ეფექტიანობის პრობლემის და, მეორე მხრივ, ეკონომიკის სოციალური ეფექტიანობის პრობლემის გადაჭრას, რაც სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. კოზმანაშვილი ლ., ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის გავრცელებასთან დაკავშირებით საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ზოგიერთი ცვლილების შესახებ. სახელმწიფოს ეფექტიანი მართვის პრობლემები. XXXIV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (09.11.2020). თბილისი, საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2020. გვ. 80-81.

2. საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსი (კონსოლიდირებული ვერსია) №3591 17.09.2010. <https://matsne.gov.ge/document/view/1043717?publication=204>

3. სრესელი ნ., კოზმანაშვილი ლ., კრიპტოგრაფიული აქტივების სამართლებრივი რეგულირებისა და საგადასახადო დაბეგვრის საკითხები. თსუ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. 4-5 ნოემბერი, 2022.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2019 წლის 28 ივნისის საჯარო გადაწყვეტილება №201 „კრიპტოაქტივის და მის მოსაპოვებლად გამოთვლითი სიჩქარის (სიმძლავრის) მიწოდების ოპერაციების გადასახადებით დაბეგვრის თაობაზე“. <https://matsne.gov.ge>

5. Development of Digital Economy and Tax System of Georgia. ISPC2023. 3rd INTERNATIONAL SCIENTIFIC PRACTICAL CONFERENCE “Digital Management to Shape the Future.” Proceedings of the conference.

6. კოზმანაშვილი ლ., საქართველოს საგადასახადო სისტემის პრობლემები კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის პირობებში. «Central Ukrainian Scientific Bulletin. Economic Sciences», Thesis VIIIth International Scientific and Practical Conference November 25, 2020 ISSN 2663-1636 (Print) 2020.

7. Мещерякова О.В. Налоговые системы развитых стран мира (справочник) – М.: Фонд «Правовая культура», 1995.

8. საგადასახადო სისტემა და საბაზრო ეკონომიკის სოციალური ეფექტიანობის პრობლემა. მართვის აქტუალური პრობლემები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (25.06.2014). თბილისი, საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2014. - გვ. 83-86.

*Lia Kozmanashvili*

## **SOME PROBLEMS OF THE GEORGIAN TAX SYSTEM IN THE POST-PANDEMIC PERIOD**

### **Abstract**

It is widely known that the study of the problems of the tax system is of special importance and is a topical issue of all time in the effective functioning of the society and the state.

Studying and investigating the problems in the tax system and then looking for ways to solve these problems was important in the post-Soviet period, then it became more relevant in the conditions of the coronavirus (COVID-19) pandemic, and the need to solve it became even more relevant and important in the post-pandemic period. Since the pandemic, which lasted for quite a long time, caused great damage not only to Georgia, but also to the world economy as a whole.

Based on the above, in the post-pandemic period, it is especially relevant to develop a perspective view of the tax system and ways to improve this system, for which undoubtedly great importance is attached, on the one hand, to the development of ways to improve the tax system in the direction of solving the problem of economic efficiency, and on the other hand, to the development of ways to improve the tax system in terms of the social effectiveness of the market economy in the direction of solving the problem. Because the existing tax system still cannot ensure the creation of proper conditions for the development of entrepreneurship, it does not meet the requirements of establishing civilized market relations, and it requires further improvement.

**Key words:** *tax system, post-pandemic period, tax code.*

*ანა კურტანიძე  
ნილო დარსაგელიძე*

### **ნადლი ფულით ანგარიშსწორების პრობლემები პანდემიის პირობებში და ფინტექის პოტენციალი**

**ანოტაცია.** ბანკები ევროპაში XV საუკუნეში გამოჩნდა. დიდი ხნის განმავლობაში ეს ინდუსტრია თითქმის არ შეცვლილა. ნოუ-ჰაუმ არა მარტო შეცვალა მომხმარებელთან ურთიერთობა, არამედ ბანკირებიც აიძულა სხვა სახე მიეცათ თავიანთი ბიზნესის მოდელებისთვის. 1958 წელს Visa-მ შექმნა პირველი გადახდის სისტემა. ცხრა წლის შემდეგ ბარკლასის ბანკმა ლონდონში პირველი ბანკომატი დაამონტაჟა. XX საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო ინტერნეტ და მობილური ბანკინგის ტრიუმფალური მსვლელობა, რის შედეგადაც 2008 წელს გამოჩნდა პირველი ონლაინბანკი დეტროიტში. მომდევნო წელს, ბლოკჩეინის წყალობით, ამბიციური „ბავში“ ბიტკოინი დაიბადა, რომელიც გამოწვევას უქმნის ფულის სამყაროს.

XXI საუკუნეში სამეცნიერო და ტექნოლოგიურმა პროგრესმა დააჩქარა ტემპი ბიომეტრიული ავტორიზაციის მასშტაბური ინვესტიციებით. Apple Pay და Samsung Pay სერვისების გაჩენისთანავე გაქრა პლასტიკური საბანკო ბარათების მოთხოვნილება. გადახდა შეიძლება განხორციელდეს ტელეფონიდან.

სმარტფონებმა ძირულად შეცვალა ტრანსფერებისა და დასახლებების ინფრასტრუქტურა.

**საკვანძო სიტყვები:** ბანკები, ფინანსური ტექნოლოგიები, ფინტექი, საკრედიტო ბარათები, Neobanks-ი.

### **შესავალი**

პანდემიის დროს სახელმწიფოებმა ქვეყნის საფინანსო სექტორზე უარყოფითი ზეგავლენის შერბილებისა და ეკონომიკის წახალისების მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელეს. გადაიდგა საგანგებო ნაბიჯები სხვადასხვა მიმართულებით – ეკონომიკის სხვადასხვა სფეროსათვის ლიკვიდური ფულადი რესურსების შეუფერხებელი მიწოდება,

დროებითი სახედამხედველო გეგმის შემუშავება, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ-ის) პროგრამის გაფართოება და სავალუტო ინტერვენციის ახალი მექანიზმების ამოქმედება.

## ძირითადი ნაწილი

პატარა neobanks-ს შეუძლია ისეთი პროდუქტების შეთავაზება, როგორც გიგანტურ ბანკებს: დაზღვეული შემნახველი ანაბრები, საანგარიშო ანგარიშები სადებეტო ბარათებით, ბანკომატები, საკრედიტო ბარათები, სავალუტო ოპერაციები და ქაღალდის ჩეკებიც.

Neobanks-ი ამიტომაც გახდა საფრთხე ტრადიციული ბანკებისათვის. ცხადია ერის მოლოდინი, რომ ეკონომიკა მკვეთრად შეიცვალოს. ნეობანკები და ფინანსური ტექნოლოგიების განვითარება შეცვლიან თამაშის წესებს.

ადრე ტრადიციული საცალო ბანკები კონკურენტებად მხოლოდ ერთმანეთს მიიჩნევდნენ, დღეს უკვე ვლინდება სხვა სურათი. ადრე Fintech-ი განიხილებოდა, როგორც პოტენციური საფრთხე ბანკებისთვის და, ზოგადად, საბანკო ინდუსტრიისთვის. თამაშში ფინტექის გამოჩენამ და დრომ მოიტანა თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმის საჭიროება კლასიკურ ბანკებსა და Fintech-ს შორის. მართალია, ახლა უკვე საუბარია თანამშრომლობაზე და ურთიერთსარგებელზე, ვინაიდან Fintech კომპანიებს შეუძლიათ დაეხმარონ ბანკებს კონკრეტული მომსახურებით, გადაწყვეტილებებით და კლასიკურ ბანკ Fintech-თან პარტნიორობით. ორგანიზაციების რისკების შეფასება ფინანსური დანაშაულების პრევენციასთან, მმართველობასთან, სანქციებთან, კორუფციასთან და რეპუტაციასთან. ამ ყველაფრის გაკეთება შესაძლებელია ინტერნეტით, ინდუსტრიის საუკეთესო პრაქტიკისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით.

ტერმინი – Insight Driven Organization (IDO) ცოდნაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში იყენებს ანალიტიკას, მონაცემებს.

Fintech კომპანიები მოქნილი და ადაპტირებადია, მაგრამ ტრადიციული ბანკები ასევე ინვესტირებას ახდენენ ტექნოლოგიებში და აფართოებენ ციფრული საბანკო მომსახურებებსა და შეთავაზებებს. ზოგადად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფინანსური ტექნოლოგიები ვითარდება და უფრო ეფექტური ხდება. ამას განაპირობებს კონკურენცია Fintech კომპანიებსა და ტრადიციულ საბანკო სექტორს შორის. Fintech-ი ტრადიციულ ბანკებს ზრდისა და გაუმჯობესებისკენ უბიძგებს, რაც მომხმარებლებისთვის ძალზე მოსახერხებელია, რადგან ახალი გადაწყვეტილებები და იდეები ხელს უწყობს მომხმარებლის საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილებას. Fintech (ფინანსური ტექნოლოგია) ტექნოლოგიები, რომლებიც ფინანსურ მომსახურებებსა და კომპანიებს ეხმარება ბიზნესის ფინანსური ასპექტების მართვაში, მოიცავს: პროგრამულ უზრუნველყოფას, პროგრამებს, პროცესებსა და ბიზნესმოდელებს.

ფინანსური მომსახურებით Fintech-ი მაქსიმალურად ახლოს არის მომხმარებელთან, რადგან ის საფუძვლად უდევს ყველა ონლაინ ოპერაციას – ფულადი გზავნილებიდან კომუნალური გადასახადების ჩათვლით. ეს იდეა ფრენკ მაკნამარას ეკუთვნის, მაგრამ 1950 წელს მან იგი დაუკავშირა მხოლოდ გართობისა და მოგზაურობის საფასურის გადახდას.

2008 წლის მსოფლიო კრიზისი ერთგვარი კატალიზატორი გახდა, რადგან დააჩქარა ცვლილებები საბანკო სექტორშიც. ხალხმა დაკარგა ტრადიციული ბანკების ნდობა. კორპორაციებმა ნდობა გამოუცხადეს fintech-ს და აღმოჩნდა რომ სმარტფონები, მობილური ინტერნეტი და ფინანსური ტრანზაქციები პროგრესული მიდგომებია, რომელთა საშუალებით ფინანსური ოპერაციები და სესხის გაცემა შესაძლებელია ბანკების მონაწილეობის გარეშე. თანხების გადარიცხვაც კი შესაძლებელია ბანკების გვერდის ავლით მარტივი ავტორიზაციის მობილური პლატფორმების გამოყენებით: unicorns: neobank Revolut, TransferWise Klarna, Wealthtech. ამის გარდა, B2B fintech მიზნად ისახავს ბიზნესში მონაცემთა გაცვლას. ფინანსური ტექნოლოგიები საქართველოშიც უნდა განვითარდეს და ეკონომიკურ ბაზარზე ქვეყანამ უნდა ისარგებლოს ფინანსური ტექნოლოგიებით. ინოვაციური და ეკონომიკურად და ტექნოლოგიურად განვითარებული ქვეყანის იმიჯი ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე დამოკიდებული.

ფინანსური ტექნოლოგიები ფინანსურ ტრანზაქციებს მარტივს და ხელმისაწვდომს ხდიან. მათი მეშვეობით აღარ იქმნება ბანკებთან თანამშრომლობის საჭიროება და ბიზნესი თანამშრომლებს რა ასეთ სტარტებთან, შუამავლის ანუ ბანკის აუცილებლობა მოიხსნება. ადრე, როდესაც ბანკებს არ ჰყავდათ კონკურენტები, ისინი სარგებლობდნენ ამ უპირატესობით და მომხმარებელს ხშირად მისთვის წამგებიან პირობებს უყენებდნენ. მომხმარებელი, რომელსაც სხვა ალტერნატიული არჩევანი არ გააჩნდა, იძულებული იყო, მიეღო მისთვის არახელსაყრელი შემოთავაზებები, მაღალი ტარიფები, უამრავი დროის დამკარგავი პროცედურა.

მოსახლეობა იყენებს მობაილ ბანკინგის სერვისებს და იგი სტანდარტულ მომსახურებად არის ქცეული, მაგრამ ამისთვის აუცილებელია ანგარიში ბანკში, რაც მისი მთავარი ნაკლია, ხოლო ფინტექები მომხმარებლებს უკეთეს პირობებს სთავაზობენ – სესხების ონლაინ აღებაც კი არცერთ ეტაპზე არ საჭიროებს ბანკის ჩართულობას. შედეგად იზოგება დრო, პროცესი ავტომატიზებულია და არ სჭირდება ბიუროკრატიული დონეების გავლა, მარტივია სხვა ქვეყანაში თანხის გადარიცხვის პროცედურაც.

პანდემიის დროს ფულის ფიზიკური გამოყენება დაბალ მაჩვენებელზე იყო.

ნაღდი ფული ვირუსის გადამტანად მიიჩნეოდა. ადამიანები ფულის ფიზიკურ გამოყენებას ერიდებოდნენ და მისი ალტერნატივა გახდა უკონტაქტო ბარათები.

ბიზნესიც ერიდებოდა მხოლოდ ნაღდი ფულით ანგარიშსწორებას.

უნაღლო ანგარიშსწორება აუცილებლად ნიშნავს ტექნოლოგიებზე დამოკიდებულებას. მაგრამ პრობლემაა დაბალი ხარისხის wi-fi კავშირი.

ელექტრონული გადახდები სწრაფია და ამცირებს სხვა პირთან მჭიდრო კონტაქტის საჭიროებას, რაც განსაკუთრებით ეფექტური იყო კორონავირუსის პანდემიის დროს.

სწრაფი ტრანზაქციები ნიშნავს ნაკლებ დროში მეტ მომხმარებელს და აადვილებს ფულის მოძრაობის მართვას.

ვირტუალური ბანკები თვლიან, რომ ტრადიციული ბანკები და ფინტექ კომპანიები პარტნიორებად იქცვიან და ფინტექს არა საფრთხედ, არამედ ახალ შესაძლებლობად განიხილავენ.<sup>39</sup>

დღეს როგორც ტრადიციულ, ისე ციფრულ ბანკებზე მომხმარებელთა ზეწოლა კომფორტისა და უსაფრთხოების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად უფრო მაღალია, ვიდრე ოდესმე.<sup>40</sup>

## დასკვნა

რეცესიები ინოვაციებს იწვევს. ფინტექმა 2008 წლის კრიზისის დროს სიახლე შემოიტანა და მისი მომავალი და საჭიროება, დღეს უკვე კარგად გამოჩნდა, მაგრამ კორონავირუსის ეპიდემიამ სურათი რამდენადმე შეცვალა და, CB Insights-ის კვლევის მიხედვით, ფინტექ კომპანიებთან გარიგებების რაოდენობა მკვეთრად შეამცირა.

ვირტუალური ბანკები, თავის მხრივ, ემზობიან ტრადიციული ბანკებისა და ფინტექ-კომპანიების თანამშრომლობის იდეას. ფინტექი, როგორც ბანკის კონკურენტი, გვთავაზობს ახალ ტექნოლოგიებს უფრო ჭკვიანი ფინანსური სერვისების შექმნის მიზნით. ეს სერვისი უფრო გაამარტივებს მომხმარებლებისთვის ახალი და მიმზიდველი ინოვაციების მიწოდების პროცესს. ეს სტრატეგია არის პლატფორმებზე გონივრული და უსაფრთხო გადახდის გადაწყვეტილებების შეთავაზება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://forbes.ge/blog/366/uqmnis-Tu-ara-finteqi-safrTxes-finansuri-bazrebis-monawileebis>
2. [www.next.on.ge](http://www.next.on.ge)
3. <https://www.fintech.ge/news/details?id=71>

<sup>39</sup> <https://www.finextra.com/newsarticle/37130/uk-govt-programme-looks-to-connect-global-banks-with-british-fintechs>

<sup>40</sup> <https://www.finextra.com/newsarticle/37125/brits-still-wary-of-trusting-neobanks>

4. <https://www.finextra.com/newsarticle/37130/uk-govt-programme-looks-to-connect-global-banks-with-british-fintechs>
5. <https://www.finextra.com/newsarticle/37125/brits-still-wary-of-trusting-neobanks>
6. <https://www.crunchbase.com/organization/finextra>
7. <https://www.aof.org.hk/docs/default-source/hkimr/applied-research-report/fintechrep.pdf>

*Ana Kurtanidze  
Nino Darsavelidze*

## **THE PROBLEMS OF CASH PAYMENTS DURING THE PANDEMIC AND THE POTENTIAL OF FINTECH**

### **Abstract**

Banks appeared in Europe in the 15th century. For a long time, this industry has hardly changed. Know-how has not only changed customer relationships, but also forced bankers to change their business models. In 1958, Visa created the first payment system. Nine years later, Barclays Bank installed the first ATM in London. In the 1990s, the triumphant march of Internet and mobile banking began, resulting in the first online bank in Detroit in 2008. The following year, thanks to the blockchain, the ambitious "baby" Bitcoin was born, challenging the world of money.

In the 21st century, scientific and technological progress has accelerated. With large-scale investments in biometric authentication.

Smartphones have fundamentally changed the infrastructure of transfers and settlements.

*ანა ლაფაჩი*

### **ახალგაზრდების დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემები და პრიორიტეტები**

*ანოტაცია.* ახალგაზრდების დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემები აქტუალურობას არ კარგავს, რადგან მიმდინარე პერიოდის სირთულეები ყველაზე მეტად სწორედ მოსახლეობის ამ კატეგორიას ეხება. ახალგაზრდების დასაქმება და მათი უზრუნველყოფა შესაბამისი, ადეკვატური ანაზღაურებით და შრომის პირობებით ყველა ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური გამოწვევაა. სამუშაო ადგილების შეზღუდული რაოდენობა, დაბალი ანაზღაურება, მძიმე და ზოგჯერ არანორმირებული სამუშაო ახალგაზრდების ნაწილს სტიმულს უკარგავს და ეროვნული ეკონომიკის გაძლიერების მაგივრად საზღვარგარეთ დასაქმებისკენ უბიძგებს. საერთაშორისო ორგანიზაციები და მთავრობები ცდილობენ ახალგაზრდების დასაქმების მხარდამჭერი პოლიტიკის შემუშავებას. წარმატებული პრაქტიკული შედეგების გაზიარება წაადგება საქართველოს. ნაშრომში განხილულია საქართველოში არსებული მდგომარეობა ახალგაზრდების დასაქმებასთან და უმუშევრობასთან დაკავშირებით. ყურადღება გამახვილებულია პრობლემების ნაწილის გადაჭრაზე, რაც გააუმჯობესებს რეალობას და სამომავლო პერსპექტივებს ოპტიმისტურს გახდის.

*საკვანძო სიტყვები:* ახალგაზრდობა, დასაქმება, უმუშევრობა, შრომის ბაზარი.

**შესავალი.** მოსახლეობის, მათ შორის, ახალგაზრდების დასაქმებას, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს. იგი კომპლექსური ხასიათის პრობლემაა და დამახასიათებელია როგორც განვითარებული, ასევე, მითუმეტეს, განვითარებადი ქვეყნებისთვის. ერთი მხრივ, დასაქმებული ახალგაზრდა ზრდის მატერიალური და სულიერი დოვლათის წარმოებას, მეორე მხრივ, კი ხელს უწყობს სოციალური პრობლემების მოგვარებას, სამუშაო ძალის მწარმოებლურობის ზრდას და დემოგრაფიული პრობლემების შერბილებას მცირე ზომის დემოგრაფიულად არასტაბილური ქვეყნებისთვის. საქართველოსთვის შრომით საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვა საკმაოდ დიდი გამოწვევაა. სწორედ ეს სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფი ხასიათდება მაღალი მოტივაციით, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების განვითარების რეზერვებით, სიახლისადმი კეთილგანწყობით, საკმაოდ მობილობით და ა.შ.

ცხადია, ახალგაზრდების რაც მეტი ნაწილი იქნება დასაქმებული, მით მეტი პერსპექტივა ექნება როგორც ცალკეულ სოციალურ ჯგუფს, ასევე მთლიანად ქვეყანას.

საკმაოდ მნიშვნელოვანია ევროპული გამოცდილების გაზიარება ახალგაზრდების დასაქმების კუთხით. 2020 წელს ევროპულმა კომისიამ, ახალგაზრდების დასაქმებასთან დაკავშირებულ არსებულ სიტუაციასთან გასამკლავებლად, მიიღო ახალგაზრდების დასაქმების მხარდამჭერი დოკუმენტი, რომელიც 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდას საშუალებას აძლევს შესაბამისი პროგრამის ფარგლებში ოთხ თვეში დასაქმდეს, მიიღოს განათლება, აიმაღლოს ან შეიცვალოს კვალიფიკაცია, რათა შესაბამისობაში იყოს დამსაქმებლების ინტერესებთან. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალგაზრდების იმ კატეგორიას, რომელიც პირველად შედის შრომის ბაზარზე. თანამშრომლობის პროცესში აქტიურად მონაწილეობენ დამსაქმებლების და პროფკავშირების წარმომადგენლები. ასევე გასათვალისწინებელია სტაჟირების ისეთი სისტემა, რომლის დროსაც ახალგაზრდა დროს ანაწილებს სწავლასა და მუშაობას შორის, ბოლოს კი იღებს შესაბამის დოკუმენტს. ევროკავშირი ახალგაზრდების დასაქმებას ხელს უწყობს მეწარმეობის წახალისებით, შექმნილია ახალგაზრდა მეწარმეების კავშირები და სხვა დამხმარე ორგანიზაციები. საქართველოშიც არის ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები „Start up“ სისტემის სახით, რომელსაც ნამდვილად შეუძლია მოტივირებული, გონიერი და მიზანდასახული ახალგაზრდების ოცნებების რეალობად ქცევა.

**ახალგაზრდების ასაკობრივი კატეგორიები და მათი თავისებურებები.** ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფში, როგორც წესი, მოიაზრება შრომითი რესურსები 15-დან 34 წლის ჩათვლით. 15 წლიდან ადამიანს შეუძლია მიიღოს შეგნებული გადაწყვეტილება და დაიწყოს შრომითი ურთიერთობები. 20 წლამდე დასაქმებული ახალგაზრდები არიან ან სკოლის მოსწავლეები, ან საშუალო თუ პროფესიული განათლების მქონენი, ან უმაღლესი სასწავლებლების უმცროსკურსელები. მათ უმრავლესობას დამოუკიდებელი საცხოვრებელი და შესაბამისად, საოჯახო მეურნეობა არა აქვს და ძირითადად უფროსების კმაყოფაზე არიან. ამიტომაც მათ აკმაყოფილებთ არასტაბილური, პერიოდული, შემთხვევითი სამუშაო. თანამედროვე ტექნოლოგიების და ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ზრდის კვალობაზე, ამ ასაკობრივი კატეგორიისთვისაც იზრდება დისტანციურად შემოსავლის მიღების შესაძლებლობები, რასაც, გარკვეული ნაწილი წარმატებით იყენებს, თუმცა მათი პრიორიტეტი მაინც უნდა იყოს ისეთი პროფესიული საძირკვლის ჩაყრა, რომელიც ათეულობით წლების განმავლობაში უზრუნველყოფს მათ სტაბილურ და ადეკვატურ შემოსავალს.

20-დან 24 წლამდე ახალგაზრდები უკვე ფლობენ პროფესიული უნარ-ჩვევების ნაწილს მაინც და ამდენად ეძებენ სპეციალობის მიხედვით სამუშაო ადგილებს. პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულები უერთდებიან კვალიფიციური მუშახელის ბაზარს, ხოლო უმაღლესი სასწავლებლების მაღალკურსელები პროფესიულ მომზადებას ამთავრებენ და მათაც სპეციალობის მიხედვით სურთ გზის გაკაფვა. აღნიშნული ასაკობრივი კატეგორიის ახალგაზრდებს უკვე სურთ მატერიალური დამოუკიდებლობა, საკუთარი შინამეურნეობის ჩამოყალიბება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ რეალობაში ვერ მოხდა მოლოდინის ნაწილობრივი რეალიზება მაინც, თავს იჩენს აპათია, დეპრესია, სოციალური გარიყულობა და სხვა უარყოფითი ფსიქოლოგიური მომენტები. მსგავსი არასასურველი გამოვლინებების თავიდან ასაცილებლად, სასურველია ინდივიდს გააჩნდეს უნარი ადეკვატურად დააკავშიროს ერთმანეთთან სურვილები და შესაძლებლობები, ასევე, განიმარტოს, რომ ყოველი წინააღმდეგობა ახალ პერსპექტივად გარდაიქმნება, თუ ენერგიული და მიზანმიმართული ქმედება მხარდაჭერილი იქნება ოჯახისა და საზოგადოების მიერ. ამიტომაცაა საშური სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის პროგრამების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, აქტიური თანამშრომლობა სხვადასხვა პროფილურ უწყებებთან და ორგანიზაციებთან.

რაც შეეხება ახალგაზრდების ასაკობრივ საშუალოზე მეტ ზღვარს, 25-29 წლის ასაკს, ამ შემთხვევაში ადამიანს საბაზო თუ პროფესიული განათლება უკვე მიღებული აქვს, ამასთან, დაგროვილია შრომითი გამოცდილების მინიმუმი მაინც, ადაპტირებულია სამუშაო გარემოსთან. შესაბამისად, პირს შეუძლია სრულფასოვნად ჩაერთოს საზოგადოებრივ,

ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სხვა ტიპის საქმიანობაში, მოხდეს მისი სოციალიზაცია და გახდეს ფინანსურად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი.

ზედა ასაკობრივი ჯგუფი, რომელშიც 30-34 წლის ადამიანები მოიაზრებიან, ფაქტობრივად, ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური თვალსაზრისით რეალიზებული პიროვნებები უნდა იყვნენ, თუ გასული წლები მიზანმიმართულად მოახმარეს განათლებისა და გამოცდილების მიღებას. ამ ასაკში კარიერული ზრდა აღმასვლის ფაზაშია, უმრავლესობას ოჯახი შექმნილი და მატერიალური პასუხისმგებლობაც გათავისებული აქვს. ქვედა ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით პრინციპული სხვაობაა როგორც ფინანსური, ასევე მორალური კუთხით.


ახალგაზრდების დაყოფა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, გარკვეულწილად, პირობითია, რადგან ადამიანი ინდივიდია და მისი განვითარება როგორც ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, ასევე პროფესიული კუთხით არ შემოიფარგლება. ამიტომაც ასაკობრივი გამოიყვანა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. უმეტესად, ეს ფაქტორებია: სოციალური, ეკონომიკური, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური. მათი ერთიანობაში განხილვით დგინდება, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ინდივიდი, თუმცა საშუალოსტატისტიკური თვალსაზრისით ახალგაზრდების ოთხი: ქვედა (15-19 წელი), საშუალო (20-24 წელი), საშუალოზე მეტი (25-29 წელი) და ზედა (30-34 წელი) ასაკობრივი ჯგუფი განიხილება.

**უმუშევრობა ახალგაზრდებში.** უმუშევრობა ერთ-ერთ მწვავე სოციალურ პრობლემად არის მიჩნეული. იგი არასასურველია ნებისმიერ ასაკში, მაგრამ ახალგაზრდებთან მიმართებით ზოგჯერ მეტი სიმძაფრით იჩენს თავს. ახალგაზრდებს, განსაკუთრებით ქვედა და საშუალო ასაკობრივ ჯგუფში მყოფებს, შრომითი გამოცდილება ან არა აქვთ, ან მცირე დროით აქვთ ნამუშევარი, რაც ბარიერია მათი შრომით მოწყობის საქმეში. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ დამსაქმებლებს სამუშაოსადმი წაყენებული აქვთ მაღალი მოთხოვნები, ასევე შეუსაბამობაა შრომის მოთხოვნასა და შრომის მიწოდებას შორის სხვადასხვა პროფესიის მიხედვით და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ბაზარზე მეტ-ნაკლებად დადებითი ძვრები შეიმჩნევა პირველად სამუშაოს მაძიებლებისთვის, თუმცა უმეტესობისთვის შრომის ბაზარზე დამკვიდრება დიდი წინააღმდეგობის გადალახვას უკავშირდება, რაც ახალგაზრდებში უმუშევრობის ზრდას უწყობს ხელს. ფრიქციული უმუშევრობა არცთუ იშვიათად გადაიზრდება ხანგრძლივ უმუშევრობაში, რაც იწვევს სტრესს, მომავლის რწმენის დაკარგვას, მიღებული პროფესიული უნარ-ჩვევების გაუფასურებას, მიგრაციული პროცესების წახალისებას და სხვა უარყოფით გამოვლინებებს. ახალგაზრდები ნებისმიერი ქვეყნისთვის ისეთი კაპიტალია, რომელიც აწმყოსა და მომავალში მოგების მომტანი უნდა იყოს. ამიტომ საწყის ეტაპზე მისი განიავება ძვირად უჯდება საზოგადოებას და სახელმწიფოს. თანამედროვე განვითარებული ეკონომიკის ქვეყნები (მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნები) სხვადასხვა გზით ახალისებს ახალგაზრდა სამუშაო ძალის ჩაბმას ეკონომიკურ საქმიანობაში. ახალგაზრდების შესაძლებლობების გამოყენება ორმაგად და სამმაგად სჭირდება განვითარებადი ეკონომიკის ისეთ მცირე ქვეყნებს, როგორც საქართველოა. თითოეული დაუსაქმებელი ადამიანი ეკონომიკური და სოციალური ტვირთია მაშინ, როცა დასაქმების შემთხვევაში იგი ეკონომიკური ზრდის და განვითარების თანამონაწილე ხდება. ეკონომიკური თეორიიდან ცნობილია, რომ ეკონომიკური მდგრადობა და განვითარება ქმნის და ზრდის ქვეყანაში სამუშაო ადგილებს და დასაქმებას.

უმუშევრობის დონე, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 2022 წელს შემცირებულია 2021 წელთან შედარებით. პოსტპანდემიური პერიოდი გამოირჩევა ეკონომიკური აქტივობის ზრდით, რამაც გავლენა მოახდინა შრომის ბაზარზეც, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდებს შორის არის ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე, როგორც 2021, ასევე 2022 წლებში და უმუშევრობის საშუალო დონეზე მაღალია ახალგაზრდების ყველა ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით.




**დიაგრამა 1. უმუშევრობის დონე (%) საქართველოში ასაკობრივ ჯგუფში 2021-2022 წლების მიხედვით**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური  
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevropa>

აღნიშნული ტენდენცია უფრო აშკარად ჩანს, თუ მხოლოდ ახალგაზრდების ოთხი ასაკობრივი ჯგუფისა და უმუშევრობის საშუალო დონის მაჩვენებლების შედარება მოხდება. როგორც წესი, ქვედა ასაკობრივ ჯგუფში არის უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე იმ ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, რაც უკვე აღინიშნა. საქართველოს შემთხვევაში 2021 წელს 15-19 წლის ჯგუფისთვის იგი იყო 52,2%, ხოლო 2022 წელს – 47,4%. შესაბამისად, 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში – 41% და 37,3%, 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში – 27,8% და 22,2%, ხოლო 30-34 წლის ჯგუფში – 24,5% და 19,9%. იოლი შესამჩნევია, რომ უმუშევრობის დონე ყველა ასაკობრივ ჯგუფში უმუშევრობის საშუალო დონეზე (2021 წელს – 20,6%, 2022 წელს – 17,3%) მეტია.

**დიაგრამა 2. უმუშევრობის დონე (%) საქართველოში ახალგაზრდების ასაკობრივ ჯგუფში 2021-2022 წლების მიხედვით**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevropa>


როგორც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიდან ჩანს, უმუშევრებს შორის მრავალი ახალგაზრდაა, რაც ზრდის სოციალურ და პოლიტიკურ რისკებს, აუფასურებს ადამიანისეულ კაპიტალს, რომლის განვითარებისთვის წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი კაპიტალია ინვესტირებული როგორც საჯარო, ასევე, კერძო სექტორიდან. საზოგადოება კარგავს ეკონომიკურ დოვლათს, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა ახალგაზრდების ინტელექტუალური პოტენციალის ეფექტიანი გამოყენებით.

**ახალგაზრდების დასაქმება.** ახალგაზრდების დასაქმებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორცაა: განათლების დონე, გამოცდილება, მწარმოებლობა,

კონკურენტული გარემო, ეკონომიკური ზრდის და ეკონომიკური განვითარების ტემპები, ინვესტიციების მოცულობა, სტაბილურობა და ა.შ. ახალგაზრდების დასაქმება შესაბამისი ანაზღაურებითა და შრომის პირობებით ეკონომიკური გამოწვევაა არაერთი ქვეყნისთვის. სამუშაო ადგილების შეზღუდული რაოდენობა, შედარებით დაბალი ანაზღაურება და ხშირ შემთხვევაში შრომის მიძიმე პირობები ახალგაზრდებს რთულ პირობებში აყენებს. მრავალჯერადი მცდელობის წარუმატებლად დასრულების შემდეგ კი გარკვეული ნაწილი ცდილობს საზღვარგარეთ ეძებოს საარსებო წყარო.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, დასაქმება ახალგაზრდების ასაკობრივ ჯგუფში მკვეთრად იზრდება 15-19 წლიდან 20-24 წლის ჯგუფში, იგივე შეიძლება ითქვას 25-29 წლის ასაკობრივ კატეგორიაზეც. შემდგომში თანდათან ზრდა ხდება, თუმცა დასაქმების დონის ზრდა, ფაქტობრივად, ვერ ამცირებს იმავე ასაკობრივ ჯგუფში უმუშევრობის მაღალ დონეს (იხ. დიაგრამა 1 და დიაგრამა 2).


**დიაგრამა 3.** დასაქმების დონე (%) საქართველოში ასაკობრივ ჯგუფში 2021-2022 წლების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური  
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevropa>

მხოლოდ ახალგაზრდების ოთხი ასაკობრივი ჯგუფისა და დასაქმების საშუალო დონის მაჩვენებლები მოცემულია დიაგრამა 4-ის მიხედვით. ახალგაზრდების ქვედა ჯგუფში დასაქმების დონე ყველაზე დაბალია, 2021 წელს – 5,2%, ხოლო 2022 წელს – 6,7%, შემდგომში აღნიშნული მაჩვენებლები შესაბამისად იზრდება. 20-24 წლიანებში დასაქმების დონე უკვე 31,6% (2021 წელი) და 32,1%-ია. ასევე მნიშვნელოვანი ზრდაა შემდეგ, 25-29 წლიანების ჯგუფში: 48,4% (2021 წელი) და 52,8% (2022 წელი), ბოლო ჯგუფში წინასთან შედარებით ზრდა არის, მაგრამ მცირე: 50,6% – 2021 წელს და 56,4% – 2022 წელს.

**დიაგრამა 4.** დასაქმების დონე (%) საქართველოში ახალგაზრდების ასაკობრივ ჯგუფში 2021-2022 წლების მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური  
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevropa>

ახალგაზრდების დასაქმების გამოწვევები უკავშირდება იმ დაბრკოლებებს, რაც ჩნდება სამუშაოს ძიების პროცესში. უპირატესად, ეს არის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების უქონლობა. პროფესიული ორიენტაცია და შესაძლებლობების შესაბამისი სპეციალიზაცია იყო, არის და სამომავლოდ კვლავ დარჩება იმ პრობლემად, რომელიც პიროვნებამ, ოჯახმა, საზოგადოებამ და ახალგაზრდებთან მომუშავე შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა შეარბილონ. შრომის ბაზრის განვითარებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას აფერხებს მატერიალური და ინოვაციური წარმოების სფეროს შეზღუდული განვითარება. არადა ეს ის სფეროებია, რომელშიც ყველაზე მეტად არის შესაძლებელი დამატებული ღირებულების შექმნა და შემოსავლების ზრდა. საქართველოს ახალგაზრდების დიდი ნაწილი დასაქმებულია მომსახურების სფეროში, რომელიც შედარებით დაბალი ანაზღაურებითა და შრომის საკმაოდ მძიმე პირობებით ხასიათდება.

საქართველოს ხელისუფლებამ შრომის ბაზარზე სახელმწიფო პოლიტიკის გეგმაზომიერი გატარება და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების შემუშავება ბოლო ათწლეულში განსაკუთრებით აქტიურად დაიწყო. სამუშაოს მაძიებლების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად გაძლიერდა პროფესიული მომზადების სექტორი, პროფესიული გადამზადების ცენტრები ამოქმედდა მუნიციპალიტეტების და რეგიონების მიხედვით, მოხდა საკვანძო კომპეტენციების განვითარება, უპირატესად, კომპიუტერული უნარ-ჩვევებისა და უცხო ენების შესწავლის კუთხით ყველა ასაკობრივი კატეგორიისთვის, სტაჟირების პროგრამების გაფართოება და ა.შ. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა განსაკუთრებულ აქცენტს მოსახლეობის მოწვევლად ჯგუფებზე, მათ შორის, ახალგაზრდების ხელშეწყობაზე, შრომით ინტეგრაციასა და მწარმოებლურობაზე აკეთებდა. საქართველოს კანონმა „პროფესიული განათლების შესახებ“ დააჩქარა პროფესიული განათლების სისტემის განვითარება. საქართველოში პროფესიულ განათლებას 120-მდე დაწესებულება უზრუნველყოფს ყველა რეგიონში. პროფესიული განათლების მსურველთა დაფინანსება ისე ხდება, რომ დაინტერესებული პირებისთვის პროგრამით სარგებლობა ხელმისაწვდომია. მსგავსი ქმედებები დადებითად მოქმედებს შრომის ბაზარზე, გარკვეულწილად, ამცირებს შრომის მოთხოვნასა და შრომის მიწოდებას შორის არსებულ დისბალანსს, მაგრამ თანამედროვე გამოწვევებთან შესარკინებლად ძირითადი აქცენტი მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი მუშახელის მომზადებაზე უნდა გაკეთდეს. ინტელექტუალურ, ინოვაციურ სფეროებში დასაქმება თანდათან მეტ პოპულარობას იძენს, მით უმეტეს, თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში გეოგრაფიული ბარიერები მოხსნილია და დისტანციურად შესაძლებელია მაღალი ანაზღაურების მიღება შესაბამისი უნარ-ჩვევების მეშვეობით.

შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია მოიცავს: პროფესიული ორიენტაციისა და კონსულტაციის მომსახურების შეთავაზებას, დასაქმებულთა და უმუშევართა აღრიცხვას, სამუშაო ძალის სტრუქტურის კვლევას და ა.შ. 2020 წელს შეიქმნა სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო. იგი ცდილობს მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას, შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის გატარებას, საზღვარგარეთ ლეგალური დასაქმების ორგანიზებას და ა.შ. აღნიშნულ შესაძლებლობებს აქტიურად იყენებს ახალგაზრდების, განსაკუთრებით, სტუდენტების, ნაწილი.

განხილული სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, საქართველოს უნდა ჰქონდეს უშუალოდ ახალგაზრდების უმუშევრობასთან ბრძოლის სტრატეგია, ახალგაზრდების დასაქმებაზე მორგებული სამოქმედო გეგმა, რომელიც პრობლემების სიმწვავეს შეარბილებს ან გაანეიტრალებს.

**დასკვნა.** საჭიროა კვალიფიკაციის მიღებისა და ამაღლების პროცესის მუდმივი სრულყოფა და თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი სტრუქტურების ჩამოყალიბება, რათა სწრაფად ცვალებად მსოფლიოს არ ჩამორჩეს ქვეყნის ახალგაზრდობა. თანაც დამსაქმებელი ემებს გამოცდილ კადრს, რაც გამართული სტაჟირების სისტემის საშუალებით გაცილებით იოლად მიიღწევა.

საქართველოში უმუშევართა უმრავლესობას ახალგაზრდები წარმოადგენენ. მათი დიდი ნაწილი სტუდენტია. ისინი პარალელურად სწავლობენ და მუშაობენ კიდევ. სწორედ ამიტომ, სასურველია ისეთი სამუშაო ადგილების შექმნის წახალისება, რომლებიც საშუალებას მისცემენ სტუდენტებს შრომითი საქმიანობა შეუთავსონ სწავლის პროცესს, რათა შემდგომში უფრო კვალიფიციური უნარ-ჩვევებით მოახდინონ სამუშაო ძალის მიწოდება შრომის ბაზარზე.

ახალგაზრდების შესაძლებლობებსა და ინტერესებზე მორგებული სამუშაო ადგილების ზრდა შეამცირებს ყველაზე პერსპექტიული სამუშაო ძალის გადინებას ქვეყნიდან, რასაც ექნება როგორც ეკონომიკური, ასევე დადებითი დემოგრაფიული ეფექტი.

ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში უმუშევართა წილი გაიზარდა ახალგაზრდების ქვედა ასაკობრივ ჯგუფებში, რაც მიანიშნებს შრომის ბაზარზე კვალიფიციურ შრომაზე მოთხოვნის ზრდას. ამიტომაც ერთ-ერთი მიზეზი ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის დონის მატებისა, არის კვალიფიკაციისა და გამოცდილების ნაკლებობა, თუმცა არ შეიძლება სხვა უარყოფითი ბარიერების უარყოფა. მით უმეტეს, უმაღლესი განათლების მიღება არ არის გარანტია მაღალანაზღაურებადი სამუშაოს მოძიების მიმართულებით. განათლებისა და წარმოების სექტორის მეტი თანამშრომლობით შესაძლებელი იქნება შრომის ბაზარზე წონასწორული მდგომარეობის მიღწევა.

ახალგაზრდების დასაქმების სფეროში გარდატეხის შეტანა მასშტაბურ და გონივრულ რეგულირებას საჭიროებს სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომელიც დაფუძნებული იქნება ანალიზისა და პროგნოზირების მეცნიერულად დასაბუთებულ მეთოდებზე.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლება, ახალგაზრდების სტიმულირება, ჩაერთონ სამეცნიერო კვლევებში იქნება იმის გარანტია, რომ საშუალო და ზედა ასაკობრივ ჯგუფებში მაინც მნიშვნელოვნად შემცირდეს უმუშევრობა და გაიზარდოს დასაქმების დონე.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=102>
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <https://geostat.ge>
3. პაიკიძე, მ. (2021). ახალგაზრდების დასაქმება და მათი გამოწვევები საქართველოში. <https://geoeconomics.ge/?p=13123>
4. ცარციძე მ. (2017). დასაქმება და შრომის ბაზრის რეგულირება. თბილისი. თსუ-ის გამომცემლობა
5. Albæk, K., Asplund, R., Barth, E., Lindahl, L., Simson, K & Pekka Vanhala. (2015). Youth unemployment and inactivity A comparison of school-to-work transitions and labour market outcomes in four Nordic countries. Denmark. [www.norden.org/nordpub](http://www.norden.org/nordpub)
6. Gontkovičová, B., Bohuslava, M. & Pružinský, M. (2015). Youth unemployment - current trend in the labour market? *Procedia Economics and Finance* 23 (2015) 1680 – 1685
7. European Union. COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS Youth Employment Support: a Bridge to Jobs for the Next Generation. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1594047420340&uri=CELEX%3A52020DC0276>

*Ana Lapachi*

## **PROBLEMS AND PRIORITIES RELATED TO YOUTH EMPLOYMENT**

### **Abstract**

Problems related to the employment of young people do not lose their relevance. The difficulties of the current period concern this category of the population the most. Employment of young people and providing them with adequate wages and working conditions is an important economic challenge of all countries. Limited number of jobs, low pay, hard and sometimes non-normative work discourage part of young people. Instead of strengthening the national economy, they care about employment abroad. International organizations and governments are trying to develop policies that support youth employment.

Sharing of successful practical results will benefit Georgia. The article discusses the current situation in Georgia regarding youth employment and unemployment.

Employed young people increase material and spiritual production, also contribute to solving social problems, increasing the productivity of the labor force and mitigating demographic problems for demographically unstable countries. For Georgia, the involvement of young people in work is a big challenge. This socio-demographic group is characterized by high motivation, reserves for the development of physical and mental abilities, willingness to new things, sufficient mobility, etc. Obviously, the more part of young people will be employed, the more prospects both the individual social group and the country as a whole will have.

The majority of the unemployed in Georgia are young people. Most of them are students. They study and work at the same time. That is why it is desirable to encourage the creation of jobs that allow students to combine work activities with the learning process, in order to subsequently supply the labor force with more qualified skills to the labor market.

The growth of jobs tailored to the abilities and interests of young people will reduce the outflow of the most promising labor force from the country, which will have both economic and demographic positive effects.

The share of the unemployed among the economically active population has increased in the lower age groups of young people (15-24 years), which indicates an increase in the demand for skilled labor in the labor market. One of the reasons for the increase in unemployment among young people is the lack of qualifications and experience. However, other negative barriers cannot be ruled out. Moreover, receiving a higher education is not a guarantee of finding a high-paying job. With more cooperation between the education and production sectors, it will be possible to achieve an equilibrium state in the labor market.

Making a breakthrough in the field of youth employment requires large-scale and reasonable regulation by state bodies, which will be based on scientifically based methods of analysis and forecasting.

Quality and accessible education, stimulating young people to engage in scientific research will guarantee that unemployment in the middle and upper age groups will be significantly reduced and the level of employment will increase.

**Key words:** Youth, Employment, Unemployment, Labor Market

*გელა ლობჯანიძე*

### **მსოფლიო და საქართველოს ეკონომიკის ტენდენციები და განვითარების პერსპექტივები გლობალური პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის პერიოდსა და პირობებში**

**ანოტაცია.** ნაშრომში განხილულია მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკის განვითარების თანამედროვე პრობლემები, მათი რაციონალური გადაწყვეტის ძირითადი მიმართულებები და სტრატეგიული მართვის ასპექტები გლობალური პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის პერიოდსა და პირობებში; წარმოჩენილი და გაანალიზებულია გლობალური ეკონომიკური ზრდის 2023-2024-2025 წლების პროგნოზი და მაკროეკონომიკური მაჩვენებლები (მშპ, ინფლაცია, დასაქმება, უმუშევრობა...) მსოფლიოს ძირითადი რეგიონებისა და საქართველოს მიხედვით; ასევე შემოთავაზებულია მსოფლიო და საქართველოს ეკონომიკის ტენდენციები და განვითარების პერსპექტივები, რომლებიც ქმნიან ახალი გლობალური ეკონომიკური რეალობის კონტურებს.

**საკვანძო სიტყვები:** მსოფლიო ეკონომიკა, გლობალური პანდემია, რუსეთ-უკრაინის ომი, გლობალური ტენდენციები, განვითარების პერსპექტივები.

### **შესავალი**

გლობალურ ეკონომიკაში თითოეული ქვეყანა ცალკე ერთეულია, თავისი სამრეწველო წარმოებით, შრომის და ფინანსური ბაზრით, რესურსებით და გარემოთი. გლობალიზაციამ საშუალება მისცა და გააძლიერა საერთაშორისო ვაჭრობის, ფინანსებისა და შრომის მიგრაციის განვითარება, სადაც ქვეყნებმა უნდა იპოვონ საერთო გადაწყვეტილებები და ითანამშრომლონ ერთმანეთთან. გლობალიზაციის ერთ-ერთი ეფექტი არის ის, რომ ერთ ქვეყანაში მომხდარი მკვეთრი ცვლილებები გავლენას ახდენს სხვა ქვეყნებზე.

გლობალური ტრანსფორმაციის პირობებში, მსოფლიო ეკონომიკა გადის კრიტიკულ პერიოდს და დღესდღეობით სხვადასხვა ქვეყნისათვის მრავალი მიმართულება, მათ შორის სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობა და განვითარება ბევრად უფრო აქტუალურია, ვიდრე არასდროს. 2020 წლიდან მსოფლიომ დაინახა ორი მთავარი კრიზისი, რომლებმაც მასიური გავლენა მოახდინა გლობალურ ეკონომიკაზე. პირველი, მას შემდეგ, რაც აღნიშნულ წელს დაიწყო კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება, რის გამოც მსოფლიოში მთელი რიგი კომპანიები იძულებული გახდნენ შეემცირებინათ აქტივობა და/ან დახურულიყვნენ, რამაც განაპირობა გლობალური ეკონომიკური ვარდნა. შემდეგ, როდესაც ეკონომიკა ნელ-ნელა იწყებდა გამოჯანმრთელებას COVID-19-ის გავლენისგან, 2022 წლის თებერვალში რუსეთი შეიჭრა უკრაინაში, რამაც გამოიწვია მიწოდების მუდმივი შეფერხება, ინფლაციის ზრდა, ჰუმანიტარული კატასტროფა, გლობალური და რეგიონების ეკონომიკის მკვეთრი შენელება და მნიშვნელოვანი ნეგატიური გლობალური ზემოქმედება, რამაც გაამწვავა პრობლემები, რომლებიც შექმნილი იყო გლობალური პანდემიის გამო.

ამდენად, მსოფლიო ეკონომიკას სერიოზული წინააღმდეგობები ემუქრება სუსტი ზრდის პერსპექტივის, მაღალი ინფლაციისა და ჯერ კიდევ გაურკვეველობის ფონზე. თავის მხრივ, მაღალმა ინფლაციამ გამოიწვია საპროცენტო განაკვეთების ზრდის ყველაზე აგრესიული ციკლი ათწლეულების განმავლობაში, რამაც განაპირობა ფინანსური პირობების გამკაცრება და ვალების მოწყვლადობის გამწვავება. ფაქტორების ერთობლიობა, მათ შორის COVID-19 პანდემიის მემკვიდრეობითი შედეგები, რუსეთ-უკრაინის გაჭიანურებული ომი, კლიმატის ცვლილების მუდმივი გაუარესება და სწრაფად ცვალებადი მაკროეკონომიკური პირობები გავლენას ახდენს გლობალურ მსოფლმხედველობაზე.

## ძირითადი ტექსტი

ათასწლეულის მიჯნაზე სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობები მსოფლიო საზოგადოებაში გახდა უფრო ღია, მაგრამ ასევე, უფრო რთული და სარისკო. ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებთან ერთად გაჩნდა გამოწვევები, რათა დაკმაყოფილდეს ადამიანთა მდგრადი და უსაფრთხო ცხოვრების ძირითადი საჭიროება. რაც უფრო რთული ხდება მსოფლიო წესრიგი, მით უფრო ძლიერდება სურვილი, რათა მართებულად იქნეს გაგებული მიმდინარე ცვლილებების შედეგები, გაკეთდეს მომავალი მოვლენების სცენარები, დადგინდეს მიზნები და მათი მიღწევის რაციონალური მექანიზმები, რომლებიც სასურველი და შესაძლებელია.

2020–2022 წლებში მსოფლიო ეკონომიკას დაატყდა ურთიერთდამამძიმებელი შოკების სერია – COVID-19 პანდემია, რუსეთ-უკრაინის ომი და შედეგად გამოწვეული კვებისა და ენერგეტიკული კრიზისები, მზარდი ინფლაცია, ვალების გამკაცრება და ასევე კლიმატის საგანგებო მდგომარეობა. რუსეთის შეჭრამ უკრაინაში გამოიწვია არა მხოლოდ ჰუმანიტარული კატასტროფა, არამედ გლობალური და რეგიონული ეკონომიკების ზრდის მკვეთრი ვარდნა და მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები მსოფლიო მასშტაბით. ასევე გაიზარდა მსოფლიო ეკონომიკის გრძელვადიანი დაყოფის რისკი გეოპოლიტიკურ ბლოკებად სხვადასხვა ტექნოლოგიური სტანდარტებით, ტრანსსასაზღვრო გადახდის სისტემებით, სარეზერვო ვალუტებით, რასაც მოჰყვა მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ფინანსური შოკები, განსაკუთრებით სასაქონლო ბაზრებზე, ნავთობის, გაზისა და ხორბლის ფასების მატებასთან ერთად. აქედან გამომდინარე, მრავალი კრიზისის შერწყმამ გამოიწვია გლობალური ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ტემპი ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ცხადია, ასეთ პირობებში, საჭიროა უფრო ძლიერი ფისკალური ზომები გლობალური ეკონომიკის აღორძინებისა და განვითარების დღის წესრიგის მხარდასაჭერად.

ამასთან, არსებობს გლობალური პერსპექტივის მნიშვნელოვანი უარყოფითი რისკები, მათ შორის გაზრდილი გეოპოლიტიკური დამაბულობა, სტაგფლაციის გახანგრძლივებული პერიოდები, რომლებიც მოგვაგონებს XX საუკუნის 70-იან წლებს და ფართო ფინანსურ სტრესს, რაც გამოწვეული იყო სესხის აღების ხარჯების და სასურსათო დაუცველობის ზრდით. ასეთ

პირობებში, მსოფლიომ სასწრაფოდ უნდა მიიღოს ზომები რუსეთ-უკრაინის ომისა და საკვების გლობალური დეფიციტის შედეგად გამოწვეული მზარდი მიმდინარე სოციალური სიდუხჭირის შესამსუბუქებლად. ამასთან საჭიროა საერთაშორისო თანამშრომლობა გლობალური ენერგეტიკული უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად დაბალი ნახშირბადის ენერჯის წყაროებზე გადასვლის დაჩქარებით.

აღსანიშნავია, რომ ენერჯისა და სურსათის ფასების ზრდა და საკრედიტო პირობების გამკაცრება ნაწილობრივ შეიძლება მოგვარდეს ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების მიზნობრივი დახმარების უზრუნველყოფით, რადგან სურსათისა და ენერჯის ფასების კონტროლი, სავარაუდოდ, არაეფექტური და ძვირადღირებული იქნება. თუმცა გლობალური ეკონომიკური აღდგენის პერსპექტივები კვლავ ბუნდოვანია ფინანსური სექტორის არასტაბილურობის, მაღალი ინფლაციის, უკრაინაში რუსეთის შეჭრის მიმდინარე შედეგებისა და სამი წლის COVID-19-ის ფონზე, მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ (ჯანმო) 2023 წლის მაისის თვის დასაწყისში COVID-19-ის პანდემიის სტატუსი გააუქმა და გლობალური საგანგებო მდგომარეობა დასრულებულად გამოაცხადა, თუმცა ვირუსი არსად მიდის, არამედ იგი მცირდება და მუტაციას განიცდის და ჯერ კიდევ არსებობს ახალი ვარიანტების გაჩენის რისკი. ჯანმოს მონაცემებით, ბოლო სამი წლისა და რამდენიმე თვის განმავლობაში დაახლოებით 20 მლნ ადამიანი გახდა ამ დაავადების მსხვერპლი. საუბარია ყველა გარდაცვალების შეფასებაზე, ამა თუ იმ გზით, რომელიც დაკავშირებული იყო ინფექციასთან [1, 2].

ჯერ კიდევ წინააღმდეგობრივ ინფლაციასთან ერთად მზარდი საპროცენტო განაკვეთები და გაზრდილი გაურკვევლობა ქმნის დაბრკოლებებს მდგრადი ზრდისთვის. COVID-19 პანდემიის შედეგები, ომი უკრაინაში, კლიმატური კრიზისი და სწრაფად ცვალებადი მაკროეკონომიკური პირობები აფერხებს ეკონომიკურ პერსპექტივას და ართულებს ძალისხმევას მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მისაღწევად. აქედან გამომდინარე, მსოფლიო ეკონომიკას ემუქრება დაბალი დონის ზრდის ხანგრძლივი პერიოდის რისკი, რადგან გლობალური ზრდის საშუალოვადიანი პერსპექტივები დაფარულია პანდემიის შედეგებით, კლიმატის ცვლილების მუდმივი გავლენით და სტრუქტურული მაკროეკონომიკური გამოწვევებით, როგორცაა სუსტი ინვესტიციები და მზარდი ვალის მოწყვლადობა. შემოსავლების ნელი ზრდა საფრთხეს უქმნის პროგრესს სიღარიბის (SDG 1) და შიმშილის აღმოფხვრას (SDG 2), ღირსეული სამუშაოსა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას (SDG 8) და მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნას და ინოვაციების მხარდაჭერას (SDG 9).

მიუხედავად იმისა, რომ მოსალოდნელია ფასების ზრდის ზეწოლის ნელ-ნელა შემცირება, ბევრ ქვეყანაში ინფლაცია საკმაოდ მაღალია და ის დარჩება ცენტრალური ბანკების კომფორტის ზონაზე მაღლა. ადგილობრივი მიწოდების შეფერხების, იმპორტის გაზრდილი ხარჯებისა და ბაზრის არასრულყოფილების ფონზე, სურსათის ინფლაცია კვლავ მაღალია განვითარებად ქვეყნებში, რაც არაპროპორციულად აძლიერებს სასურსათო დაუცველობას.

საგულისხმოა, რომ ბევრ განვითარებულ ეკონომიკაში შრომის ბაზარი აგრძელებს მდგრადობას, უმუშევრობის დაბალი და დასაქმების მაღალი მაჩვენებლებით, გენდერული უთანასწორობის შემცირებით, ნაწილობრივ დისტანციური მუშაობის გაზრდილი გამოყენებისა და მოქნილი სამუშაოს პირობების გამო.

აღსანიშნავია, რომ გლობალურმა მონეტარულმა გამკაცრებამ გააძლიერა ფისკალური და ვალის მოწყვლადობა განვითარებად ქვეყნებში. ამასთან, სესხის აღების ხარჯების ზრდამ და ძლიერმა დოლარმა გაზარდა ვალის მომსახურების ტვირთი და დეფოლტის რისკები, ხოლო დაფინანსების ლიმიტებმა შეზღუდა მთავრობების შესაძლებლობები, განახორციელონ ინვესტიციები განათლებაში, ჯანდაცვაში, მდგრად ინფრასტრუქტურაში და ენერგეტიკულ ტრანსფორმაციაში, რათა დააჩქარონ პროგრესი მდგრადი განვითარებისკენ [3, 4].

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) კვლევის მიხედვით პროგნოზირებულია, რომ გლობალური ეკონომიკური ზრდა 2022 წლის 3.5 %-დან სავარაუდოდ 3.0 %-მდე შემცირდება 2023-2024 წლებში. (იხ. ცხრილი 1). ხოლო, ცენტრალური ბანკის პოლიტიკის განაკვეთების

ზრდა ინფლაციასთან მიმართებით წინააღმდეგობრივად განაგრძობს ეკონომიკურ აქტივობას და მოსალოდნელია, რომ გლობალური მთლიანი ინფლაცია 2022 წელს 8.7 %-დან 2023 წელს 6.8 %-მდე და 2024 წელს 5.2 %-მდე შემცირდება [3, 5]. ამასთან, მსოფლიო ვაჭრობა სავარაუდოდ გაიზრდება ბევრად უფრო ნელი ტემპით, ვიდრე რეალური მშპ წელს, რადგან გლობალური მოთხოვნა ნაკლებად ინტენსიური გახდა. პროგნოზირებულია, რომ მსოფლიო იმპორტი გაიზრდება 1.3 %-ით 2023 წელს – ძალიან ნელი ტემპით მის გრძელვადიან საშუალო (4.8 %) და ასევე გლობალურ ზრდასთან შედარებით. მომავალში, 2024 და 2025 წლებში, პროგნოზირებულია, რომ მსოფლიო ვაჭრობა გაიზრდება 3.4 %-ით. იგულისხმება ვაჭრობის ელასტიკურობა ანუ გლობალური რეალური იმპორტის ზრდის თანაფარდობა გლობალურ მშპ-ის ზრდასთან და ემთხვევა ვაჭრობის ელასტიკურობას, რომელიც დაფიქსირდა პანდემიამდე ათწლეულის განმავლობაში, მაგრამ გაცილებით დაბალია, ვიდრე პანდემიის პერიოდში [5], ხოლო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ანგარიშის თანახმად, გლობალური დასაქმების ზრდა 2023 წელს იქნება მხოლოდ 1.0 %, რაც 2022 წლის დონის ნახევარზე ნაკლები იქნება. პროგნოზირებულია, რომ გლობალური უმუშევრობა 2022 წელთან შედარებით ოდნავ გაიზრდება 2023 და 2024 წლებში და მიაღწევს 211 მლნ-ს, თუმცა ეს მაჩვენებელი 5.8 %-ზე დარჩება. აქ ნიშანდობლივია, რომ გარდა უმუშევრობისა, გადამწყვეტია სამუშაოს ხარისხი, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც იზრდება სიღარიბე, რომელიც დაკავშირებულია ცხოვრების ხარჯებთან და ფასების ზრდასთან, რაც იწვევს უკეთესი სამუშაო შესაძლებლობების ნაკლებობას [6].

ამასთან, გლობალური პანდემიითა და რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად მიყენებული ზიანის აღსადგენად, საჭირო იქნება ისეთი ზომების მიღება, რომლებიც მიმართულია სავაჭრო ქსელების ფრაგმენტაციის პრევენციაზე, განათლებასა და ციფრულ ტექნოლოგიებში ინვესტირებისა და მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის დონის ამაღლებაზე დასაქმების ხელშეწყობის პოლიტიკის განხორციელებით. ხოლო ფისკალური სივრცის ეტაპობრივი აღდგენა შესაძლებელია სახელმწიფო ხარჯების ეფექტურობის გაუმჯობესებით და შიგა შემოსავლების წყაროების მობილიზებით. პოტენციური ზრდის შენელება კი საჭიროებს რეფორმებს ფიზიკური და ადამიანური კაპიტალის, შრომის მიწოდების, მომსახურების პროდუქტიულობისა და ვაჭრობის გასაძლიერებლად.

ცხრილი 1

მსოფლიო და საქართველოს ეკონომიკური ზრდის დინამიკა და პროგნოზი, 2021-2024 წწ. [7]

რეალური მშპ, წლიური ცვლილება %-ში	2021	2022	პროგნოზი	
			2023	2024
1	2	3	4	5
<b>წარმოების მსოფლიო მოცულობა</b>	<b>6.3</b>	<b>3.5</b>	<b>3.0</b>	<b>3.0</b>
<b>განვითარებული ეკონომიკის ქვეყნები</b>	<b>5.4</b>	<b>2.7</b>	<b>1.5</b>	<b>1.4</b>
აშშ	5.9	2.1	1.8	1.0
ევროზონა	5.3	3.5	0.9	1.5
გერმანია	2.6	1.8	-0.3	1.1
საფრანგეთი	6.4	2.5	0.8	1.3
იტალია	7.0	3.7	1.1	0.9
ესპანეთი	5.5	5.5	2.5	2.0
იაპონია	2.2	1.0	1.4	1.0
გაერთიანებული სამეფო	7.6	4.1	0.4	1.0
კანადა	5.0	3.4	1.7	1.4
<b>განვითარებული ეკონომიკის სხვა ქვეყნები</b>	<b>5.5</b>	<b>2.7</b>	<b>2.0</b>	<b>2.3</b>
<b>საბაზრო ეკონომიკის ფორმირებადი და განვითარებადი ქვეყნები</b>	<b>6.8</b>	<b>4,0</b>	<b>4.0</b>	<b>4.1</b>
<b>საბაზრო ეკონომიკის ფორმირებადი და განვითარებადი აზიის ქვეყნები</b>	<b>7.5</b>	<b>4.5</b>	<b>5.3</b>	<b>5.0</b>
ჩინეთი	8.4	3.0	5.2	4.5
ინდოეთი	9.1	7.2	6.1	6.3



სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის 5 სახელმწიფო – ტაილანდი, მალაიზია, ინდონეზია, ფილიპინები და სინგაპური, (ACEAN -5)	4.0	5.5	4.6	4.5
საბაზრო ეკონომიკის ფორმირებადი და განვითარებადი ევროპის ქვეყნები	7.3	0.8	1.8	2.2
რუსეთი	5.6	-2.1	1.5	1.3
ლათინური ამერიკა და კარიბის აუზი	7.0	3.9	1.9	2.2
ბრაზილია	5.0	2.9	0.9	1.5
მექსიკა	4.7	3.1	1.8	1.6
ახლო აღმოსავლეთი და ცენტრალური აზია	4.4	5.3	2.9	3.5
საქართველო	10.5	10.1	4.0	5.0
საულის არაბეთი	3.9	0.3	-6.8	3.1
აფრიკის ქვეყნები საჰარიდან აღმოსავლეთამდე	4.7	3.9	3.6	4.2
ნიგერია	3.6	3.3	3.2	3.0
სამხრეთ აფრიკა	4.7	1.9	0.3	1.7
განვითარებადი ბაზარი და საშუალო შემოსავლის მქონე ეკონომიკები	7.1	3.9	3.9	3.9
განვითარებადი ქვეყნები დაბალი შემოსავლებით	4.1	5.0	4.5	5.2

ასევე ნიშანდობლივია მსოფლიო ბანკის (WB) ანგარიში, რომლის მიხედვით, მოსალოდნელია გლობალური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვნად შენელება მაღალი ინფლაციის, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკისა და საკრედიტო პირობების ფონზე. აქედან გამომდინარე, 2023 წელს გლობალური ეკონომიკური ზრდა სავარაუდოდ 2,1 %-მდე შემცირდება წინა წლის 3.1 %-თან შედარებით; მკაცრი გლობალური ფინანსური გარემო და შემცირებული გარე მოთხოვნა, საბანკო სექტორის ზრდის პოტენციური ცვალებადობა და მონეტარული პოლიტიკის შემდგომი გამკაცრება ნეგატიურ გავლენას მოახდენს და კიდევ უფრო შეანელებს გლობალურ ზრდას, შეაფერხებს ფინანსურ სისტემებს ყველაზე დაუცველ ფორმირებად ბაზრებსა და განვითარებად ეკონომიკებში. ამ თვალსაზრისით, მაკრო-ეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის გასაუმჯობესებლად საჭიროა სახელმწიფო პოლიტიკის მთელი რიგი ეფექტიანი ღონისძიებები როგორც ფორმირებად ბაზრებსა და განვითარებად ეკონომიკებში, ასევე განსაკუთრებით დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში. აქ ფისკალური მდგრადობა მოითხოვს მთავრობის შემოსავლების ზრდას, სახელმწიფო ხარჯების ეფექტურობას, სახელმწიფო ვალის მენეჯმენტის გაუმჯობესებას, ცენტრალური ბანკებისადმი სანდოობის ამაღლებას, გლობალურ თანამშრომლობას ფინანსური მარეგულირებელი რეფორმების, კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ვალების შემცირების უზრუნველ-საყოფად. [8]

ამავე მსოფლიო ბანკის ანგარიშის პროგნოზის თანახმად, რეგიონების მიხედვით გაკეთებული პროგნოზები შეფასდა შემდეგნაირად:

ცხრილი 2

მსოფლიო და საქართველოს რეალური მთლიანი შიგა პროდუქტი, 2020-2025 წწ. [8]

მაჩვენებლები	წლები					
	2020	2021	2022	2023	2024	2025
მსოფლიო, სულ	-3.1	6.0	3.1	2.1	2.4	3.0
განვითარებული ეკონომიკის ქვეყნები	-4.3	5.4	2.6	0.7	1.2	2.2
ფორმირებადი ბაზრის და განვითარებადი ქვეყნები	-1.5	6.9	3.7	4.0	3.9	4.0
აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანე	1.2	7.5	3.5	5.5	4.6	4.5
ევროპა და ცენტრალური აზია	-1.7	7.1	1.2	1.4	2.7	2.7
საქართველო	-6.8	10.5	10.1	4.4	5.0	5.0
ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზი	-6.2	6.9	3.7	1.5	2.0	2.6

ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა	-3.8	3.8	5.9	2.2	3.3	3.0
სამხრეთ აზია	-4.1	8.3	6.0	5.9	5.1	6.4
საჰარას სამხრეთით აფრიკა	-2.0	4.4	3.7	3.2	3.9	4.0

✚ **განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში** მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური ზრდა 2022 წლის 2.6 %-დან 2023 წლის 0.7 %-მდე შემცირდება, ხოლო 2024-2025 წლებში მოსალოდნელი ზრდა 1.2 % და 2.2 % იქნება. აქ აღსანიშნავია, რომ მათთვის გადამწყვეტი იქნება მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება და ენერგორესურსებზე ფასების ზრდა.

✚ **ფორმირებად ბაზრებსა და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებში** პროგნოზირებულია ეკონომიკური ზრდა – 2022 წლის 3.7 %-დან 2023 წელს 4.0 %-მდე, ხოლო 2024-2025 წლებში მოსალოდნელი ზრდა შემცირდება და 1.2 % და 2.2 % იქნება.

ამასთან მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური ზრდა 2023 წელს დაჩქარდება აღმოსავლეთ აზიასა და წყნარ ოკეანეში, ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, რადგან ჩინეთში კორონავირუსული შეზღუდვების მოხსნა ასტიმულირებს აქტივობის აღდგენას და ზრდის პერსპექტივების გაუმჯობესებას რიგ ძირითად ეკონომიკებში. ამის საპირისპიროდ, ეკონომიკური ზრდის პროგნოზი შენელებულია ყველა სხვა რეგიონში, რადგან სუსტი საგარეო მოთხოვნა, მკაცრი გლობალური ფინანსური გარემო და მაღალი ინფლაცია ამცირებს ეკონომიკურ აქტივობას. ხოლო მომავალ წელს უმეტეს რეგიონებში პროგნოზირებულია ეკონომიკური აღდგენა, რადგან ნეგატიური ფაქტორების გავლენა სუსტდება. ყველა რეგიონისთვის მოსალოდნელზე დაბალი ზრდის რისკები დაკავშირებულია გლობალურ ბაზარზე ფინანსური დამაბულობის შესაძლო გაგრძელებასთან და უფრო მძლავრ შიგა ინფლაციასთან. გარდა ამისა, უარყოფითი რისკები განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორცაა გეოპოლიტიკური დამაბულობა, კონფლიქტები, არასტაბილურობა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ბუნებრივი კატასტროფები.

✚ **აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში** მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური ზრდა 2023 წელს 5,5 %, ხოლო 2024-2025 წლებში შემცირდება და 4.6 % და 4.5 % იქნება.

✚ **ევროპასა და ცენტრალური აზიაში** 2023 წელს ეკონომიკური ზრდა მოსალოდნელია უმნიშვნელოდ 1.4 %-მდე, ხოლო 2024 – 2025 წლებში შემდგომი ზრდა 2.7 % იქნება.

✚ **ლათინური ამერიკასა და კარიბის ზღვის აუზში** პროგნოზირებულია, რომ ეკონომიკური ზრდა 2023 წელს შემცირდება და 1.5 % იქნება, ხოლო 2024 – 2025 წლებში გაიზრდება და 2 % და 2.6 % იქნება.

✚ **ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში** მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური ზრდა 2023 წელს შემცირდება და 2.2 % იქნება, ხოლო 2024 – 2025 წლებში გაიზრდება და 3.3 % და 3 % იქნება.

✚ **სამხრეთ აზიაში** 2023 წელს პროგნოზირებულია ეკონომიკური ზრდის შენელება 5.9 %-მდე და 2024 წელს შემდგომი კლება იქნება 5.1 %-მდე, ხოლო 2025 წელს გაიზრდება 6.4 %-მდე.

✚ **საჰარას სამხრეთით აფრიკის ქვეყნებში** მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური ზრდა 2023 წელს 3.2 %-მდე შემცირდება, ხოლო 2024-2025 წლებში გაიზრდება და 3.9 % და 4 % მიაღწევს [8].

ცხადია, მსოფლიო ეკონომიკაში არსებული ტენდენციები გარკვეული დოზით აისახება ეროვნულ ეკონომიკებზე, მათ შორის, ლოგიკურია, საქართველოს ეკონომიკაზე მთელი რიგი ეკონომიკური მაჩვენებლებით (მშპ, ინფლაცია, სავალუტო რყევები, ლოგისტიკური პრობლემები და სხვ). გარდა ამისა, რუსეთი და უკრაინა საქართველოს საკმაოდ მსხვილი პარტნიორები არიან, რომელთა ეკონომიკური საქმიანობის შეფერხება ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე ნეგატიურად აისახება.

ამასთან საგულისხმოა, რომ მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებულ უახლოეს ანგარიშში „გლობალური ეკონომიკის პერსპექტივები“ რეგიონული და გლობალური ეკონომიკის მიმოხილვისას, სავაჭრო პარტნიორებს შორის ეკონომიკური ზრდის ტემპის მოსალოდნელი კლების გამო, 2023 წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპი 4,4 %-მდე შემცირდება.

თუმცა, მიუხედავად ამისა, მოსალოდნელია, რომ ქვეყნის ეკონომიკა საშუალოვადიან პერსპექტივაში 5 %-ზე დასტაბილურდება.

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც საქართველოში ხელსაყრელ ეკონომიკურ სიტუაციას უწყობს ხელს, არის ინფლაციის შემცირება, რაც განაპირობა მსოფლიო სასაქონლო ფასების დაწევამ და ეროვნული ვალუტის კურსის გამყარებამ. ამავე ანგარიშის თანახმად, მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გამო ინფლაცია, მოთხოვნის მხრიდან პოტენციური ზეწოლის მიუხედავად, სავარაუდოდ, დაბალ ნიშნულზე შენარჩუნდება.

ანგარიში ასევე განიხილავს საქართველოს ეკონომიკური პერსპექტივების მიმართ არსებულ რისკებს. მიუხედავად იმისა, რომ გაურკვეველობა შენარჩუნებულია, რისკები დაბალანსებულად მიიჩნევა. სხვა მხრივ, ფულადი გზავნილების შემოდინების ცვლილებამ და მსოფლიო ფინანსური პირობების გამკაცრებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ლარის ღირებულებაზე, რაც პოტენციურად, დოლარიზაციის მაღალი დონის გამო, მიკროფინანსურ სტაბილურობაზე აისახება. მეორე მხრივ, არსებობს იმის ალბათობა, რომ ფულის შემოდინება მოსალოდნელზე დიდხანს გაგრძელდეს და სატრანსპორტო დერეფნების ხელახალი კონფიგურაციის შედეგად, საქართველომ ვაჭრობის მიმართულების ლავირებით მიიღოს სარგებელი [9].

2023 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) პროგნოზით საქართველოს ეკონომიკის ზრდა 4 % იქნება, ხოლო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) პროგნოზით, წელს საქართველოს ეკონომიკა გაიზრდება და შეადგენს 5 %-ს.

საქართველოს მთავრობის პროგნოზით, 2023 წელს საქართველოს ეკონომიკის ზრდა 5 % იქნება. მთავრობის მიერ მომზადებული ალტერნატიული, ე. წ. ოპტიმისტური სცენარით, ეკონომიკის ზრდამ შესაძლოა 6.3 % შეადგინოს, ხოლო პესიმისტური სცენარი თუ განვითარდება, ეკონომიკის ზრდა 2.5 % იქნება.

ამჟამად არსებული ეკონომიკის ზრდის 5%-იანი პროგნოზი რეალური და მიღწევადია, მაგრამ ისევე როგორც მსოფლიო ეკონომიკაში, რომელზეც მნიშვნელოვნად არის საქართველო დამოკიდებული, საქართველოს ეკონომიკაშიც მაღალია მომავლის გაურკვეველობის დონე რუსეთ-უკრაინის ომის გამო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2022 წელს საქართველოს რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა და რუსეთის ეკონომიკის სულ უფრო ღრმა კრიზისში შესვლის გამო, საქართველოს ეკონომიკაც დაზარალდება. ეკონომიკის ზრდის ხელშემწყობ ფაქტორებს შორის გამოსარჩევია ინფლაციის შემცირებადი დონე, რაც საქართველოს ეროვნულ ბანკს მონეტარული პოლიტიკის შერბილების და ამ გზით ეკონომიკის ზრდაზე ხელშეწყობის საშუალებას მისცემს. ასევე ომი როგორც არ უნდა დასრულდეს, საქართველოს სატრანზიტო როლი გაზრდილი დარჩება, რამაც ტრანსპორტში, ლოჯისტიკაში, ენერჯეტიკასა და კომუნიკაციებში მსხვილი ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების დაწყება უნდა განაპირობოს. [10]

აზიის განვითარების ბანკის (ADB) 2023 წლის მთავარი ეკონომიკური პუბლიკაციის პროგნოზის თანახმად, საქართველოში მშპ-ის ზრდა 4.5 % იქნება, ხოლო მშპ 5 %-მდე გაიზრდება 2024 წელს მომსახურების სფეროში მზარდი მოგების კვალდაკვალ. აქ მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის უფრო მდგრადი განვითარების თვალსაზრისით, პოზიციის გასამყარებლად ტურიზმის, მომსახურების სფეროსა და მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებში პროგრესის შესანარჩუნებლად, საქართველოსთვის მომგებიანი იქნება განახლებადი ენერჯის წარმოების გაზრდა, ინოვაციების ხელშეწყობა და გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის განხორციელების დაჩქარება.

2023 წელს მოსალოდნელია ინფლაციის 6 %-მდე (2022 წელს ფიქსირებული იყო 12 %-იანი ინფლაცია), ხოლო მომდევნო წელს 4 %-მდე შემცირება, რითაც ინფლაცია საქართველოს ეროვნული ბანკის 3 %-იან მიზანს მიუახლოვდება. აღნიშნულის მიზეზი მკაცრი მონეტარული პოლიტიკა, შედარებით სუსტი საშინაო მოთხოვნა და გაუმჯობესებული მიწოდების ჯაჭვია. 2023 წელს ინვესტიციების ზრდა 5.5 %-ით და 2024 წელს 3.5 %-ით არის მოსალოდნელი.

ბიუჯეტის დეფიციტი კი 2023 წელს მშპ-ის 2.7 %-ის და 2024 წელს 2.5 %-ის ეკვივალენტით შემცირდება.

აზიის განვითარების ბანკის (ADB) ანგარიშის პროგნოზის მიხედვით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი სავაჭრო დეფიციტის გაღრმავების ფონზე 2023 წელს მშპ-ის 5 %-ით, ხოლო 2024 წელს მშპ-ის 6 %-ით გაიზრდება. 2023 წელს მოსალოდნელია ექსპორტის ზრდის 10.7 %-მდე შენელება, ხოლო 2024 წელს 11.2 %-ის მიღწევა. ამასთან, ფულადი გადარიცხვები წელიწადში 2.5 მლრდ აშშ \$-მდე შემცირდება, რადგან მცირდება მიგრანტების შემოღობვა, რაც, სავარაუდოდ, სავალუტო კურსის წნეხს გამოიწვევს [11].

მართალია, კლიმატის ცვლილების გლობალური სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველომ მნიშვნელოვანი სამუშაოები გასწია ემისიების შესამცირებლად რეციკლაციისა და ნარჩენების გაუმჯობესებული მართვის კუთხით, გააძლიერა ტყის მართვა სუფთა ეკოსისტემის ხელშესაწყობად და ბიძგი მისცა მწვანე ტურიზმის განვითარებას, თუმცა ქვეყანას ასევე, შეუძლია სარგებელი მიიღოს დეკარბონიზაციისგან გლობალურ ბაზრებზე ემისიების ვაჭრობით, რათა წაახალისოს ენერჯეტიკის ეფექტიანი მოხმარება და გაზარდოს დაბალი ემისიის მქონე კომპანიების შემოსავალი.

მდგრადი ეკო- და აგროტურიზმისთვის ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად აზიის განვითარების ბანკის (ADB) ანგარიშის პროგნოზი საქართველოს მოუწოდებს კიდევ უფრო გააძლიეროს გარემოსდაცვითი პოლიტიკა. ამასთან საგულისხმოა, რომ საგადასახადო წახალისება ხელს შეუწყობს მწვანე ეკონომიკურ ზრდას სოფლის მეურნეობაში კლიმატგონივრული ტექნოლოგიების დანერგვით, ხოლო შესაბამისი პოლიტიკა ტრანსპორტის უფრო სუფთა ალტერნატივებზე გადასვლის მოტივაციას შექმნის. ცხადია, აღნიშნულ აქტივობაში კერძო სექტორის ჩართულობაც დაეხმარება ქვეყნის მწვანე და უფრო მდგრადი კერძო სექტორის განვითარებას [11, 12].

ამრიგად, COVID-19 პანდემია და რუსეთ-უკრაინის ომი არის ორი გარე დიდი შოკი, რომლებიც საკმაოდ ნეგატიურად მოქმედებს და ღრმა კვალს ტოვებს გლობალურ ეკონომიკაზე, ადამიანებზე, კომპანიებზე, საჯარო ხელისუფლებაზე, სახელმწიფოებზე, რეგიონებზე, ქალაქებზე და აჩქარებს ფრაგმენტაციას სოციალურ ჯგუფებსა და ადგილებს შორის, სადაც მათი ზემოქმედება ხაზს უსვამს უთანასწორობის ზრდის რისკებს. რუსეთ-უკრაინის ომმა განსაკუთრებით შეუწყო ხელი საქონლისა და ენერჯის არასტაბილურ და მაღალ ფასებს, რამაც გააძლიერა სურსათის დეფიციტი და გაზარდა ინფლაცია მსოფლიოს ბევრ რეგიონში.

ასეთ პირობებში და ამ რთული პერსპექტივის გათვალისწინებით, როგორც საერთოდ მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებს, ასევე განსაკუთრებით დაუცველ ქვეყნებსა და საზოგადოებებს, მოეთხოვებათ მობილიზება გაუკეთონ თავიანთ რესურსებს და განახორციელონ შესაბამისი გადაწყვეტილებები, რათა შეზღუდონ და შემცირდეს სოციალურ-პოლიტიკური რყევების ეფექტი რეგიონებსა და მთელ მსოფლიოში. ამ თვალსაზრისით, ღონისძიებების განხორციელების უპირველესი მიზანია ეკონომიკის აღდგენა და ზრდა სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობისა და განვითარებისათვის. ამავდროულად, საყურადღებოა ქვეყნები მოემზადონ Covid-19-ის ეპიდემიის ახალი შტამის ტალღის გავრცელების რისკის ან კიდევ, ასევე ახალი პანდემიის გავრცელების შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად, ექსტრემალური კლიმატური პირობების ზემოქმედების, ბუნებრივი კატასტროფებისა და სტიქიური უბედურებების ზიანის მინიმიზაციისთვის, დაიცვან მდგრადი განვითარების სტრატეგია და შეძლონ კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაცია. ამასთან, პოტენციურ გამოწვევებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით ქვეყნებისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტებისათვის მნიშვნელოვანია გააძლიერონ რეგიონული და გლობალური თანამშრომლობა, რათა უფრო მეტი აქტიური მხარდაჭერით და ეფექტური როლის შესარულებით თავიანთი ძალისხმევა მიმართონ არსებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად გლობალური კრიზისების გონივრულ მართვასა და ოპტიმალურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

## დასკვნა

ამრიგად, COVID-19-ის პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის კრიზისის გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე რეალურია და შეიძლება ითქვას გარე შოკებია მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობისთვის, რაც გავლენას ახდენს მათ სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე და ცვლის გლობალურ გეოპოლიტიკურ პერსპექტივას. მსოფლიო ეკონომიკის განვითარება დღევანდელ ეტაპზე დაკავშირებულია გარკვეული ტენდენციების გამოვლენასთან და სხვადასხვა სუბიექტს შორის მთელი რიგი წინააღმდეგობის გაჩენასთან, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამომავლოდ მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებაზე და დამოკიდებულია გონივრული და წარმატებული მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის განხორციელებაზე, რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობაზე, გლობალური ეკონომიკის, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირებადი და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის პერსპექტივაზე.

COVID-19-ის პანდემიის უპრეცედენტო ზემოქმედება, რომელსაც დაემატა რუსეთ-უკრაინის ომი, სავარაუდოდ, გააგრძელებს გლობალური დისკურსის ფორმირებას და თანამშრომლობას, მის მიმართულებას გარკვეული ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნებისთვის, განსაკუთრებით მდგრადობის, გარემოსდაცვითი სამართლიანობის, მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის, ენერჯეტიკის, სასურსათო უსაფრთხოების, სუფთა ენერჯის გარდამავალი პროცესის დასაჩქარებლად კლიმატის ცვლილების შესამსუბუქებლად და ვალის შემცირების უზრუნველსაყოფად იმ ქვეყნების მზარდი რაოდენობისთვის, რომლებიც განიცდიან ვალის პრობლემას. ამასთან ეროვნულ დონეზე აუცილებელია გონივრული პოლიტიკის გატარება და ეფექტიანი რეფორმების განხორციელება, რათა შეიქმნას საფუძველი ძლიერი, მდგრადი და ინკლუზიური განვითარების გზაზე ინფლაციის შეკავების, მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და სხვა მნიშვნელოვან რეფორმათა პროექტების საიმედოობის გათვალისწინებით, რომელთა გონივრული განხორციელებით სერიოზული შედეგები მოჰყვება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას 2030 წლისათვის.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://thedocs.worldbank.org/en/doc/18ad707266f7740bcd755498ae0307a-0350012022/related/Global-Economic-Prospects-June-2022-Chapter-1-Highlights-RU.pdf>
2. <https://www.interpressnews.ge/ka/article/754751-janmom-kovid-19-it-gamocveuli-globalurisagangebo-mdgomareoba-dasrulebulad-gamoacxada>
3. <https://www.un.org/en/desa/5-things-you-need-know-about-global-economy-2023>
4. [https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---dcomm/---publ/documents/briefingnote/wcms\\_883341.pdf](https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---dcomm/---publ/documents/briefingnote/wcms_883341.pdf)
5. Economic Bulletin, Issue 4/2023 – Economic, financial and monetary developments External environment. European Central Bank, Eurosystem, Frankfurt, 144 p.
6. <https://ilostat.ilo.org/assessing-the-current-state-of-the-global-labour-market-implications-for-achieving-the-global-goals/>
7. WORLD ECONOMIC OUTLOOK UPDATE, Near-Term Resilience, Persistent Challenges. UPDATE. International Monetary Fund, July 2023, 11 p.
8. <https://www.vseirnyjbank.org/ru/publication/global-economic-prospects>
9. <https://civil.ge/ka/archives/548513>
10. <https://forbes.ge/ras-unda-velodeth-2023-tsels-msophlio-ekonomikasa-da-saqarthveloshi/>
11. <https://www.adb.org/ka/news/georgia-economic-growth-moderate-2023-and-2024-adb>
12. მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზი. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, თბილისი, 2023, 20 გვ.

**WORLD AND GEORGIAN ECONOMY TRENDS AND  
DEVELOPMENT PROSPECTS IN THE PERIOD AND CONDITIONS OF  
THE GLOBAL PANDEMIC AND THE RUSSIA-UKRAINE WAR  
Abstract**

Thus, the impact of the COVID-19 pandemic and the Russia-Ukraine crisis on the global economy are real and can be said to be external shocks for most countries in the world, which affect their socio-economic indicators, socio-political situation and change the global geopolitical perspective. The development of the world economy at the current stage is connected with the manifestation of certain trends and the emergence of a number of contradictions between various subjects, which have a significant impact on the formation of the world order in the future and depends on the implementation of a reasonable and successful monetary and fiscal policy, the course of the Russia-Ukraine war, the global economy, developed market economy on the perspective of economic growth of emerging and developing countries.

The unprecedented impact of the COVID-19 pandemic, compounded by the Russia-Ukraine war, is likely to continue to shape global discourse and cooperation, directing it toward certain economic and political goals, particularly in sustainability, environmental justice, supply chain management, energy, food security, and the clean energy transition. To speed up the process, mitigate climate change and provide debt relief for the growing number of countries experiencing debt problems. With that, at the national level, it is necessary to carry out reasonable policies and implement effective reforms in order to create a basis for strong, sustainable and inclusive development in order to contain inflation, ensure macroeconomic and financial stability and take into account the reliability of other important reform projects, the wise implementation of which will have serious consequences for the achievement of sustainable development goals by 2030.

**Key words:** *World economy, Global pandemic, Russia-Ukraine war, Global trends, Development prospects.*

**დალი მაგრაქველიძე**

**ინვესტიციური რისკების შეფასების მეთოდების ნაკლოვანებები და  
ახალი მიდგომის შემუშავების აუცილებლობა**

**ანოტაცია.** მხოლოდ საინვესტიციო პროექტებთან დაკავშირებული რისკის სახეების შესწავლა არ იძლევა შედეგს, საჭიროა მათი შეფასება და მართვა. რისკის მართვის სისტემა უნდა იყოს გამჭვირვალე, პრაქტიკული და შეესაბამებოდეს ინვესტორის სტრატეგიულ მიზნებს, რაც განაპირობებს მოგების მაქსიმალურ მიღებას. პრაქტიკაში გამოიყენება რისკების შეფასების მრავალი მოდელი, რომლებიც სხვადასხვა მეთოდს ეფუძნება. არსებულ მეთოდებს გააჩნიათ ნაკლოვანება, რომელიც დაკავშირებულია მათი რეალიზაციისათვის საჭირო დიდი ოდენობის სტატისტიკური მასალის არსებობასთან.

**საკვანძო სიტყვები:** *რისკის შეფასების მეთოდები, VaR, ფაზი სიმრავლეები.*

**შესავალი**

ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას ჩვენ გვიწევს ერთ საერთო პრობლემასთან გამკლავება – ეს არის ხვალინდელი დღის განუსაზღვრელობა, რომელიც ინვესტორისთვის ბუნდოვან პირობებს ქმნის. ყველა მიისწრაფის იმისკენ, რომ ეს სამყარო უფრო გამომცნობადი გახდეს, რაც იწვევს დაგეგმვის, პროგნოზირების, საბაზრო რისკების შეფასების მოთხოვნას. ხდება პერსპექტიული განვითარების იმ სცენარების გენერირება, რომლებიც დაკავშირებულია ფასების დონესთან, პროდუქციის გამოშვებასა და გაყიდვების მოცულობასთან, გარემოს მაკროპარამეტრების ცვლილებასთან (დაბეგვრის დონე, მოკლევადიანი კრედიტების განაკვეთები, ინფლაციის ტიპები და ა.შ.), შემდეგ ხდება კორპორატიული ფინანსების რეალიზებულ ჰიპოტეტურ სცენარებზე რეაქციის ანალიზი. ოპტიმისტური სცენარები აუმჯობესებენ კორპორაციების ფინანსურ და საბაზრო მდგომარეობას, ხოლო პესიმისტური – აუარესებენ, მათ შორის მიჰყავთ ისინი გაკოტრებამდე.

მხოლოდ საინვესტიციო პროექტებთან დაკავშირებული რისკის სახეების შესწავლა არ იძლევა შედეგს, საჭიროა მათი შეფასება და მართვა. რისკის მართვის სისტემა უნდა იყოს გამჭვირვალე, პრაქტიკული და შეესაბამებოდეს ინვესტორის სტრატეგიულ მიზნებს, რაც განაპირობებს მოგების მაქსიმალურ მიღებას. პრაქტიკაში გამოიყენება რისკების შეფასების მრავალი მოდელი, რომლებიც სხვადასხვა მეთოდს ეფუძნებიან.

პრაქტიკაში დანერგილია სტატისტიკურ მონაცემებზე, ალბათობაზე და ბუღალტრული მონაცემების გამოყენებაზე აგებულ მოდელები. მათ გააჩნიათ გარკვეული ნაკლოვანებები და აუცილებელია შემოვიტანოთ რისკის შეფასების ახალი მიდგომა.

VaR წარმოადგენს რისკის მეტრიკას, რისკის მაჩვენებელს, რისი მეშვეობითაც შესაძლებელია განსაზღვროს სიდიდის დადგენა. რისკის ეს მეტრიკა დღეისათვის საქართველოში ნაკლებადაა შესწავლილი. რისკის ზომის მაჩვენებელი (VaR) არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ფართოდ გამოყენებული სტატისტიკა, რომელიც ზომავს ეკონომიკური ზარალის პოტენციალს. იგი პრაქტიკულად ყველა ძირითადი ფინანსური ინსტიტუტის და რეგულირების მენეჯმენტის მიერ მიღებულია, როგორც რისკის ქვაკუთხედი და საერთო ენა. VaR ზომავს პორტფელის მაქსიმალური დანაკარგის მნიშვნელობის ალბათობის განსაზღვრულ დონეს გარკვეული პერიოდის განმავლობაში. განხილულია VaR-ის შეფასების მიმართ მიდგომების ორი ძირითადი ჯგუფი. პირველი ჯგუფი ეფუძნება ეგრეთ წოდებულ „ლოკალურ შეფასებებს“ (*local valuation*), ე.ი. ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ფუნქციის წრფივ ან უფრო რთულ ფუნქციაზე აპროქსიმაციას, რომლის მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს პარამეტრული დელტა-ნორმალური მეთოდი. მეორე ჯგუფი იყენებს „სრულ შეფასებებს“ (*full valuation*), რომელიც გულისხმობს ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების სრულ გადაანგარიშებას აპროქსიმაციული ვარაუდების გარეშე. ამ ჯგუფს მიეკუთვნება ისტორიული სიმულირების და მონტე კარლოს მეთოდები.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, რისკების შეფასებაში გამოიყენება ბაიესის ქსელი. ბაიესის მეთოდოლოგია განსხვავდება სხვა მიდგომებისგან იმით, რომ მკვლევარი მონაცემების მოპოვებამდეც კი ადგენს მათი ნდობის დონეს შესაძლო მოდელებში და შემდგომში წარმოაჩენს მათ გარკვეული ალბათობების სახით. ბაიესური მიდგომის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობაა ნებისმიერი საწყისი (აპრიორი) ინფორმაციის გამოყენება მოდელის პარამეტრების მიმართ. ასეთი ინფორმაცია გამოხატულია აპრიორული ალბათობის ან ალბათობის სიმკვრივის ფუნქციის სახით. შემდეგ თავდაპირველი ალბათობა „გადაისინჯება“ მონაცემთა შერჩევის გამოყენებით, რომლებიც აისახება პარამეტრების ან მოდელის ცვლადების შეფასების აპოსტერიული განაწილების სახით. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ გულუბრყვილო ბაიესის ქსელები კარგად პროგნოზირებენ გაკოტრების ალბათობას. გულუბრყვილო ბაიესის ქსელი არის ქსელი ერთი ფესვით, ყველა დანარჩენი კვანძი წარმოადგენს ფესვის შვილობილ ელემენტებს და სხვა კვანძებს შორის არ არის წიბოები.

საბუღალტრო ბალანსის მონაცემებს ეყრდნობა კომპანიის გაკოტრების რისკის შეფასებისას ალტმანის, ჩესერისა და ლისის მიერ შემოთავაზებული მოდელები. ალტმანის Z-მოდელი (*Altman's Z-score*) წარმოადგენს სტატისტიკურ მოდელს, რომელიც კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და გადახდისუნარიანობაზე დაყრდნობით საშუალებას იძლევა შეფასდეს გაკოტრების რისკის დონე.

**ლისის მოდელში გაკოტრების ალბათობის შესაფასებელ ფაქტორებად გათვალისწინებულია ორგანიზაციის საქმიანობის ისეთი შედეგები, როგორცაა: ლიკვიდურობა, რენტაბელობა და ფინანსური დამოუკიდებლობა.**

ჩესერის მოდელი საშუალებას იძლევა განისაზღვროს პოტენციური მსესხებლის გადახდისუნარიანობა. ამასთან მოდელი პროგნოზირებს არა მარტო კრედიტის დაუბრუნებლობის რისკს, არამედ საწყისი პირობიდან ნებისმიერ გადახრას, რომელიც სესხს ნაკლებად მიმზიდველს ხდის კრედიტორისათვის.

ზემოთ მოყვანილი მოდელები სრულყოფილად ვერ ასახავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის საჭირო ინოვაციურ პროექტებში ინვესტიციების მოზიდვისას რისკების

შეფასების ყველა ასპექტს, რადგან ჩვენს ეკონომიკას გარკვეულწილად რთული გზა აქვს გასავლელი იმისათვის, რომ დაარწმუნოს ინვესტორი ჩვენს ეკონომიკაში ინვესტიციების ჩადების საიმედოობაში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ის კვლევა, რომლის ჩატარებაც უზრუნველყოფს ასეთი რისკების შესაფასებლად ახალი მიდგომის შემუშავებას, სადაც შეძლებისდაგვარად აისახება ყველა ის რისკი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ინოვაციური პროექტების განხორციელებისას.

პროგნოზირების არსებული მოდელები შეიძლება კლასიფიცირდეს ორ მთავარ ჯგუფად: სტატისტიკური და თეორიული. რიგ შემთხვევებში ეს მოდელები დაუშვებელია. ძირითადად ისინი არ არიან შესაფერისი განვითარებად ქვეყნებში კორპორაციების საინვესტიციო პროექტების რისკების შესაფასებლად.

მოკლედ ვისაუბროთ განვითარებად ქვეყნებში კორპორაციებისთვის ამ მოდელების უფარვისობის მიზეზებზე. სტატისტიკური მოდელებისთვის:

- არასაკმარისი დეფოლტის ისტორია არ იძლევა სათანადო საფუძველს საკრედიტო რისკის შესაფასებლად;

- ასევე პრობლემები წარმოიქმნება კლასიფიკაციის პროცესთან – მსესხებელს შეიძლება ჰქონდეს ე.წ. ნაწილობრივი ნაგულისხმევი სტატუსი.

თეორიული მოდელებისთვის:

- პოტენციური პრობლემა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ამ მოდელის გამოყენებისას, არის ის, რომ კომპანიების აქციების უმეტესი ნაწილი არ არის გატანილი საფონდო ბირჟაზე. ამ შემთხვევაში აქტივების საბაზრო ღირებულების სწრაფი შეფასება რთულია.

უფრო დეტალურად განვიხილოთ რისკები ინვესტიციური პროექტების დაფინანსებისას. ცნობილია, რომ საინვესტიციო პროექტი გულისხმობს სამი ძირითადი ფულადი ნაკადის დაგეგმარებას: ინვესტიცია, მიმდინარე (ოპერაციული) ხარჯები და შემოსავალი.

ინვესტიციის პროექტის განხორციელებისას ინვესტორს არასოდეს აქვს რისკის ყოვლისმომცველი შეფასება, რადგან დინამიკურად განვითარებად სამყაროში ხშირი ცვლილებები არ არის გათვალისწინებული. ამრიგად, არსებობს გაუთვალისწინებელი გარემოება, რომელიც პროექტით არ არის გათვალისწინებული (მაგალითად, კატასტროფა), და მისი მოხდენა აფერხებს საინვესტიციო პროცესს. ამავე დროს, ინვესტორი მაქსიმალურად უნდა იყოს ინფორმირებული, რომ შეაფასოს თავისი ინვესტიციის შესახებ გადაწყვეტილებების რისკი როგორც პროექტის განვითარების ეტაპზე, ისე ინვესტიციის პროცესში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მომავალში გაყიდული პროდუქციის ფასები და მოცულობა, ისევე როგორც ნედლეულისა და მომსახურების ფულადი ღირებულებები, შეიძლება რადიკალურად განსხვავდებოდეს მათი მოსალოდნელი ღირებულებებისგან ინვესტიციის დაგეგმვის დროს.

ზემოაღნიშნული და მსოფლიო პრაქტიკის საფუძველზე სწავლების ნებისმიერი ობიექტის შეფასების მოდელები, მათ შორის რისკების ჩათვლით, შესაფერისია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისად დიდი სტატისტიკური ბაზა (ზოგადი პოპულაცია). რა უნდა გავაკეთოთ ასეთი სტატისტიკის არარსებობის შემთხვევაში? დაგროვილი გამოცდილება აჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალია ექსპერტული შეფასებების გამოყენება. ამ შემთხვევაში ექსპერტთა ინდივიდუალური მოსაზრებები გარდაქმნება კონკრეტულ რიცხვით შედეგად.

ინტუიციურად, რისკი არსებობს როდესაც ზარალი შესაძლებელია და მისი ფინანსური გავლენა არსებითია. ეს ლინგვისტური განმარტება ასახავს რისკის თვისებას, რომლის განმარტებაც მათემატიკური ფორმულების თვალსაზრისით შეუძლებელია. ზოგადად, რისკები ფასდება ხარისხობრივად და არა რაოდენობრივად. ფაქტობრივად, დანაკარგის შესაძლებლობის და ფინანსური მნიშვნელობის განსაზღვრა შეუძლებელია მაღალი სიზუსტით.

სინამდვილეში, ალბათური მეთოდი ძალიან ეფექტური ინსტრუმენტია რისკის შესასწავლად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დიდი რაოდენობით მონაცემების შეგროვებაა შესაძლებელი. რაიმე მოვლენის მოხდენის შესაძლებლობის ანალიზისათვის



საჭიროა დიდი რაოდენობის მონაცემთა შეგროვება. რაც უფრო დიდია დაკვირვებათა რაოდენობა და რაც უფრო დიდი მოცულობიდან არის შერჩევის გაკეთება შესაძლებელი, მით უფრო ზუსტია რაიმე ხდომილობის მოხდენის შესაძლებლობის ალბათობა, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ამ რაოდენობის მონაცემთა შეგროვება ვერ ხერხდება.

ტრადიციულად, რისკის ანალიზის მთავარ გამოწვევად ითვლება სამეცნიერო მიდგომა ალბათობების განაწილების შესაფასებლად. ეს სამართლიანია მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სისტემაში არსებული რისკები სტატისტიკურია. როდესაც რისკის სისტემას ვსწავლობთ ალბათური მეთოდის გამოყენებით, ჩვეულებრივ, ძნელია იმის განსჯა, შესაფერისია თუ არა ალბათობის განაწილების ჰიპოთეზა, ზოგჯერ შეიძლება შეგვხვდეს მცირე შერჩევის პრობლემა, სადაც მოცემული მონაცემები ძალიან მწირია ნებისმიერი კლასიკური მიდგომის გადაწყვეტილების მისაღებად. ეს ნიშნავს, რომ რთულია ზუსტი კავშირის მოძებნა მოვლენებსა და მათი წარმოქმნის ალბათობებს შორის.

რისკის კონცეფცია შეიძლება დავიყვანოთ ალბათობის რისკამდე, რაც ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ ალბათობათა განაწილება, რომელიც ემორჩილება სტატისტიკურ კანონს, რისკის ფენომენის სწორად ჩვენებისთვის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალბათობის ზუსტი შეფასების მიღება ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია.

ზადეს მიერ ფაზი სიმრავლეების პირველი ნაშრომის გამოცემის შემდეგ, მრავალმა მკვლევარმა სცადა ფაზი მეთოდების გამოყენება პრობლემების გადასაწყვეტად.

ფაზი-რისკის ანალიზის ადრინდელი მიდგომა ემყარება იმ წინაპირობას, რომ რისკის შეფასება შესაძლებელია ბუნებრივი ენის ტერმინების გამოყენებით, როგორცაა წარუმატებლობის ალბათობა, ზარალის სიმძიმე და შეფასების საიმედოობა. შმუკერის მიერ შემოთავაზებულია ტიპური ტექნიკა, რომელიც აერთიანებს ქვესისტემის ფაზი-რისკს, რათა მოხდეს მთელი სისტემის ფაზი-რისკის გამოანგარიშება.

გადაწყვეტილების მიღების პრობლემების მოსაგვარებლად, რომელშიც გადაწყვეტილების მიმღებს აქვს ფაზი და არასრული ინფორმაცია შედეგებისა და გარე ფაქტორების შესახებ, Delgado, Verdegay და Vila-ს მიერ შემუშავებულია ფაზი-რისკის ინტერვალზე დაფუძნებული გადაწყვეტილების ძირითადი წესები, სადაც სემანტიკური თვალსაზრისით მიკუთვნების ტრაპეციული ფუნქცია განიხილება, როგორც ფაზი-რისკის ინტერვალი.

ყველა ეს მოდელი შეიძლება ჩაითვალოს რისკის სივრცეში ფაზი-კლასიფიკატორად. ეს ფაზი-მოდელები გზას უხსნიან რისკის მართვის პროცესის კომპიუტერიზაციის, სხვადასხვა კლასიკური ფაზი-ტექნიკის გამოყენებით ანალიზის შესაძლებლობას.

ფაზი-სიმრავლეთა თეორია იდეალური მეთოდია რისკის ანალიზში წარმოშობილი უზუსტობის აღმოსაფხვრელად, რადგან ჩვენი რისკის ინტუიცია კარგად არ გარდაიქმნება ზუსტ მათემატიკურ ფორმულებად. მოდელი ემყარება ინფორმაციის გავრცელების პრინციპს, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია შევვალთ მოცემული ნიმუშის მკაფიო დაკვირვებები ფაზი-ნაკრებში ისე, რომ არასრულფასოვნებით გამოწვეული ინფორმაციის ხარვეზები გარკვეულწილად შეიძლება შეივსოს. შემდეგ შესაძლებელია რისკის ანალიზისათვის უფრო ზუსტი ალბათობის შეფასების მიღება. პირველ რიგში, თქვენ უნდა შეასრულოთ პარამეტრიზაციის პროცესი, ანუ იმ პარამეტრების იდენტიფიცირება, რომლებიც ექსპერტებმა უნდა შეაფასონ. აღვნიშნოთ არჩეული პარამეტრების სიმრავლე  $P = \{p_i\}, i = \overline{1, n}$ . შემდეგ უნდა დაადგინდეს, რა ფორმით და რა მასშტაბით შეაფასებენ ექსპერტები შერჩეული პარამეტრების მნიშვნელობებს. შემდეგ უნდა ჩამოყალიბდეს რისკის კრიტერიუმები და საერთო ექსპერტიზის შეფასებები, რომ მივიღოთ გადაწყვეტილება დანიშნული კრიტერიუმების შესაბამისად. ექსპერტიზის შესაფასებლად მნიშვნელოვანი პუნქტია ფორმის განსაზღვრა. აქ უნდა განიხილებოდეს ექსპერტიზის შეფასებები ფაზური ნაკრებით.

### დასკვნა

ინვესტიციის პროექტის განხორციელებისას ინვესტორს არასოდეს აქვს რისკის ყოვლისმომცველი შეფასება, რადგან დინამიკურად განვითარებად სამყაროში ხშირი

ცვლილებები არ არის გათვალისწინებული. ამრიგად, არსებობს გაუთვალისწინებელი გარემოება (მაგალითად, კატასტროფა), რომელიც ახდენს გავლენას საინვესტიციო პროცესზე. ამავე დროს, ინვესტორი მაქსიმალურად უნდა იყოს ინფორმირებული, რომ შეაფასოს ინვესტიციის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას არსებული რისკი როგორც პროექტის განვითარების ეტაპზე, ასევე ინვესტირების პროცესში.

ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას, ჩვენ გვიწევს ერთ საერთო პრობლემასთან გამკლავება – ეს არის ხვალისდელი დღის განუსაზღვრელობა, რომელიც ინვესტორისთვის ფაზი-პირობებს ქმნის.

მეცნიერებაში დიდი ძალისხმევა იყო საჭირო იმისათვის, რომ გარიდებოდნენ ალბათობის კლასიკურ გაგებას. კლასიკური ალბათობიდან სუბიექტურზე გადასვლის კვალდაკვალ გაიზარდა ექსპერტების როლი, გაიზარდა შეფასებაზე ექსპერტების სუბიექტური უპურატესობების გავლენა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მაგრაქველიძე დ., ფინანსური რისკები და მათი ხარისხის დაწვევის მათემატიკური მეთოდები, 2015.
2. ცაბაძე თ., ფაზი ლოგიკის საფუძვლები, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2018 .
3. Tsabadze T., A method for fuzzy aggregation based on group expert evaluations. Fuzzy Sets and Systems, 157 (2006), 1346-1361.

*Dali Magrakvelidze*

### DEFICIENCIES OF INVESTMENT RISK ASSESSMENT METHODS AND THE NEED TO DEVELOP A NEW APPROACH

#### Abstract

Only studying the types of risk related to investment projects does not give results, it is necessary to evaluate and manage them. The risk management system must be rigorous, practical and consistent with the strategic goals of the investor, which leads to maximum profit. Many risk assessment models based on different methods are used in practice. Existing methods have a drawback related to the existence of a large amount of statistical material required for their implementation.

*მედეა მელაშვილი  
ნუნუ ქისტაური  
ქეთევან ქველაძე*

#### მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკის სოციალური უსაფრთხოების საკითხები (აშშ-სა და საქართველოს მაგალითზე)

*ანოტაცია. ნაშრომი ეძღვნება დღევანდელი მსოფლიოსათვის ისეთ მწვავე პრობლემას, როგორცაა სოციალური უსაფრთხოება, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. მითითებულია, რომ ეროვნული უსაფრთხოება, როგორც უმნიშვნელოვანესი ამოცანა, პირველად ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში — 1904 წელს ახსენა თ. რუზველტმა პანამის არხთან დაკავშირებით. ნაშრომში მოყვანილია სოციალური უსაფრთხოების განმარტება, მისი როგორც პრობლემის მიზეზები; ინდიკატორთა სისტემა.*

*ნაშრომი შესრულებულია აშშ-სა და საქართველოს მაგალითზე. განხილულია სოციალური პოლიტიკის ეკონომიკური, სამართლებრივი აქტები, რომლებიც ამ ქვეყნებში არეგულირებს სოციალურ პოლიტიკას; განხილულია ორივე ქვეყნის სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა პუნქტების მიხედვით და ჩატარებულია მათი ანალიზი ბოლო წლების ციფრობრივი მონაცემების საფუძველზე.*

**საკვანძო სიტყვები:** სოციალური პოლიტიკა, სოციალური უსაფრთხოება, ინდიკატორთა სისტემა, ეროვნული უსაფრთხოება, სამართლებრივი აქტები.

დღევანდელი მსოფლიოსათვის პირველხარისხოვან პრობლემას ეროვნული უსაფრთხოება წარმოადგენს.

ტერმინი „ეროვნული უსაფრთხოება“ პირველად აშშ-ის პრეზიდენტმა თ. რუზველტმა გამოიყენა 1904 წელს (პანამის არხთან დაკავშირებით). მის მიერ წარმოდგენილ კონცეფციაში განხილული იყო პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური სფეროები.

სოციალური უსაფრთხოება წარმოადგენს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს ელემენტს. მიღებული განმარტების თანახმად, სოციალური უსაფრთხოება არის პიროვნებისა და საზოგადოების (სოციალური ჯგუფების) ინტერესებისა და სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაცულობის მდგომარეობა სხვადასხვა ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული ღონისძიებების დახმარებით.

სოციალური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ინდიკატორებია: მოსახლეობის კმაყოფილება თავისი ცხოვრების დონით, სოციალური კონფლიქტების არარსებობა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა, ღირსეული საპენსიო და სამედიცინო მომსახურების გარანტიები, განათლების ხელმისაწვდომობა და სხვ. ამის საწინააღმდეგოდ პიროვნებასა და საზოგადოებაზე სოციალური საფრთხეების ხანგრძლივი გავლენის შედეგად ყალიბდება: ცხოვრების ხანგრძლივობის დაბალი დონე; სიღარიბის მაღალი დონე; მოსახლეობის გაუმართლებლად მაღალი დიფერენციაციის დონე; ცხოვრების ხარისხის რეგიონული დისპროპორცია, მოსახლეობის განათლების, ჯანდაცვის, სულიერი და კულტურული დონის შემცირება; დემოგრაფიული პრობლემები და სხვ.

მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ქვეყნად აშშ ითვლება. სწორედ ამიტომ აქ არსებული სოციალური სისტემის ანალიზი ჩვენთვის მეტად საინტერესოა. შეერთებული შტატები ატარებს მდგრადი ეკონომიკური ზრდის სტრატეგიას, სოციალური უსაფრთხოების განვითარებისა და შრომისუნარიანი მოქალაქეების კონკურენტუნარიანობის გაძლიერების გზით. შეერთებულ შტატებში სამთავრობო უწყებების სოციალური პოლიტიკის განხორციელების სახელმწიფო ეკონომიკურ და სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს 1935 წლის სოციალური უზრუნველყოფის აქტი, რომლის თავდაპირველ ვარიანტს ხელი მოაწერა ფრანკლინ დ. რუზველტმა. ამ აქტის მიღებით დაზღვევისა და დახმარების სხვადასხვა ფორმა შეიქმნა ქვეყნის მასშტაბით და აშშ-ის მოქალაქეებმა მიიღეს სახელმწიფო გარანტირებული დაცვის უფლებები მოხუცებულობის, ინვალიდობის, მარჩენალის გარდაცვალების, სამუშაოს დაკარგვის შემთხვევებში, რაც მანამდე ადგილობრივი საზოგადოების, მოხალისეობრივი ორგანიზაციების, შეძლებული ოჯახების მიერ ხდებოდა.

საკმაოდ მოგვიანებით, 1996 წელს, გაფორმდა პირადი პასუხისმგებლობის აქტი, რომლის მიხედვით კერძო სექტორის სახსრების დაბეგვისაგან გათავისუფლებამ ხელი შეუწყო მათ გადაქცევას მოსახლეობის მატერიალური მხარდაჭერის მნიშვნელოვან წყაროდ.

სოციალური უზრუნველყოფის სისტემა აშშ-ში რთულია და მრავალფეროვანი. ერთიანი ეროვნული ცენტრალიზებული სისტემა არ არსებობს. იგი შედგება სხვადასხვა პროგრამისგან, რომელიც რეგლამენტირებულია ან ფედერალური, ან ცალკეული შტატის კანონმდებლობით.

აშშ-ის სოციალური უსაფრთხოების სისტემის მდგომარეობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 1.

**ცხრილი 1**

**აშშ-ის სოციალური უსაფრთხოების სისტემის ზოგიერთი მაჩვენებელი**

მაჩვენებელი	2022	2021	2020	2019	2018	2017	2016
უმუშევრობის დონე (%)		5.46	8.05	3.67	3.90	4.36	4.87
65 და მეტი ასაკის მოსახლეობა		16.68	16.22	15.79	15.40	15.07	14.67

(% მთლიანი მოსახლეობის)							
დანახარჯები ჯანდაცვაზე მოსახლეობის ერთ სულზე (დოლარი)	12318	12318	11859	10921	10515	10103	9775
დანახარჯები ჯანდაცვაზე (% მშპ-დან)	19.7	20,0	17.1	16.77	16.69	16.81	16.84
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (წელი)	78.6		77.28	80	78.64	79.5	79.1
ბედნიერების ინდექსი (0-10)	6.89	6.98	6.95	6.89	6.89	6.99	7.10
საშუალო პენსია (აშშ დოლარი)	1500	1500	1150	1150	1150	1150	1164
პენსიაზე გასვლის ასაკი (წელი) (კაცი/ქალი)	67/67	67/67	67/67	67/67	67/67	67/67	67/67
სახელმწიფო სოციალური დანახარჯები (% მშპ-თან)	-	15.3	15.3	18.7	18.7	-	19.3
უსაფრთხოების ინდექსი	51.8	52.3	52.8	52.9	50.4	51.2	51.1

როგორც ცნობილია, ნებისმიერ ქვეყანაში სოციალური კეთილდღეობის და უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის არსებული მდგომარეობა წარმოადგენს. ბოლო წლებში, კერძოდ 2019 წელს სახელმწიფო დანახარჯები ჯანდაცვაზე მოსახლეობის ერთ სულზე 11ათას აშშ დოლარს უდრიდა, რაც მშპ-თან შედარებით 17%-ს უტოლდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ მსოფლიოში. სწორედ აქედან გამომდინარეა ის, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ქვეყანაში უკვე რამდენიმე წელია 78 წელი და მეტია, ხოლო 65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის წილი მთელი მოსახლეობის 17%-ს აჭარბებს.

სოციალური უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებაა სოციალური დაზღვევა. სოციალური დაზღვევის პირველი სამოქალაქო კანონი აშშ-ში 1935 წელს იქნა მიღებული. შემდგომში კანონს მრავალი დამატება და დეზულება შეემატა.

პირველი სადაზღვევო კომპანია აქ ჯერ კიდევ 1735 წელს გაჩნდა სამხრეთ კაროლინის შტატში. დღეისათვის კომპანიები ამერიკის სადაზღვევო ბაზარზე წარმოდგენილია როგორც უშუალო სადაზღვევო ორგანიზაციების, ასევე უამრავი საშუამავლო ორგანიზაციის სახით. სადაზღვევო ხელშეკრულებები — პოლისები — ფორმდება ბროკერების, სადაზღვევო აგენტების მიერ. მათი რიცხვი ქვეყანაში რამდენიმე ასეულობით ათასია. სადაზღვევო სისტემა ქვეყანაში რეგულირდება როგორც ცენტრალურ (ფედერალურ), ასევე რეგიონულ დონეზე. საინტერესოა, რომ ფედერალურ დონეზე სისტემა თითქმის არ კონტროლდება, რადგანაც თითოეულ შტატში კარგად გამართული კონტროლის სისტემა მოქმედებს. ქვეყნის მასშტაბით დაზღვევის პროცესს კოორდინირებას უწევს სადაზღვევო კომისრების ეროვნული ასოციაცია (NAIC).

აშშ-ში არსებულ დაზღვევის სხვადასხვა სახეობებს (სამედიცინო, სოციალური, საპენსიო, უძრავი ქონების, სიცოცხლის, საბანკო შენატანების, ავტოდაზღვევა) შორის ყველაზე პოპულარულია სამედიცინო დაზღვევა.

სამედიცინო დაზღვევის პოლისის შექმნა ამერიკაში თითოეული მოქალაქის ვალდებულებაა. არსებობს შედარებით იაფი, საშუალო და ძვირი სამედიცინო პოლისები.

ნებისმიერ ადამიანს აქვს არჩევანი. შეძენილი პოლისის შესაბამისად ადამიანი ყოველთვის უნდა იხდის სადაზღვევო შენატანს, რასაც ამერიკაში „premium“ (პრემია) ეწოდება და რაც 200-500 დოლარის ფარგლებში მერყეობს. ერთ-ერთი წარმატებული უფასო სამედიცინო დაზღვევა Medicare, რომელიც 1965 წლიდან ფუნქციონირებს და განკუთვნილია ღარიბი ფენებისათვის, მძიმე ავადმყოფობით დაავადებულთათვის, უსინათლოთათვის, ფეხმძიმეთათვის, მათი ახლდაბადებული ბავშვებისათვის 1 წლამდე და სხვ.

საპენსიო ასაკის მიღწევას (65 წელი) ამერიკის ყველა მოქალაქეს შეუძლია მოითხოვოს პენსიის ჩარიცხვა. საპენსიო საკითხებს აშშ-ში არეგულირებს სოციალური უზრუნველყოფის სამმართველო. სწორედ ის გასცემს მოქალაქეებზე სოციალური დაცვის ნომერს (SSN). მომუშავე მოქალაქეები იხდიან ე.წ. საპენსიო გადასახადს, რომელიც შეადგენს საერთო შემოსავლის 7.65%-ს, თუ მისი წლიური შემოსავალი არ აღემატება 65 ათას დოლარს: 6.2% — მისი უშუალოდ მომავალი პენსიის ფორმირებაზე, 1.45% — სამედიცინო უზრუნველყოფაზე. საინტერესოა, რომ თუ წლიური შემოსავალი აჭარბებს 65 ათას დოლარს, ადამიანს ჩამოეჭრება მხოლოდ 1.45%. ეს არის ის რაოდენობა, რასაც უშუალოდ ადამიანი იხდის. ამასთან, დამქირავებელი მას უხდის ზუსტად იმდენივე თანხას და საბოლოოდ საპენსიო დანაზოგი ადამიანის შემოსავლის 15%-ს უტოლდება.

პენსიის საშუალო ოდენობა აშშ-ში 1300-1400 დოლარია, რაც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ამას ემატება შენატანები ე.წ. დაგროვებით ფონდში, რისი შესაძლებლობაც თითოეულ ამერიკელს გააჩნია. ეს არის სადაზღვევო საპენსიო შენატანების ნაწილის გადარიცხვა დაგროვებით ფონდში, რისი გამოყენება თვითონ მოქალაქეს მხოლოდ 5-7 წლის შემდეგ შეუძლია. ამ ფონდში საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხები გროვდება, რაც პენსიასთან ერთად ამერიკელ ასაკოვან ადამიანებს საკმაოდ უზრუნველყოფილი ცხოვრების საშუალებას აძლევს.

სოციალური დანახარჯების უმეტესი ნაწილი (ამერიკული ტერმინოლოგიით, „ადამიანურ რესურსებზე“ გაწეული ხარჯები) შეერთებულ შტატებში იხარჯება ფედერალური რეგულირების პროგრამებზე სოციალური უზრუნველყოფის, მატერიალური დახმარების, ვეტერანთა დახმარების, განათლების მიღებასა ან გაუმჯობესების, ან პროფესიული მომზადებისა და ჯანდაცვის გაუმჯობესების მიზნით. სოციალური დაცვის სისტემის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს მეწარმეების (დამსაქმებლების), დაზღვეული მუშაკების სოციალური შენატანები და საბიუჯეტო დაფინანსება.

დასაქმებულთა 96% მოცულია სახელმწიფო საპენსიო დაზღვევის სისტემით, რაც დამოკიდებულია მუშაობის სტაჟსა და ხელფასის ოდენობაზე, აგრეთვე უმუშევრობის დაზღვევის სისტემით (საწარმოო ტრამვის ან სხვა შემთხვევაში). შეერთებულ შტატებში ფუნქციონირებს ფედერალური ხანდაზმულობის, სიცოცხლისა და ინვალიდობის დაზღვევის (OASDI) პროგრამა, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს სოციალური დაცვის ადმინისტრაცია, აგრეთვე DI — ინვალიდობის დაზღვევის პროგრამა.

შეერთებულმა შტატებმა დააწესა უმუშევრობის შემთხვევების ზღვარი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ხელფასის 80%-ს, ყველა პრემიის გამოკლებით. ასევე არსებობს უმუშევრობის შეღავათების მიღების მაქსიმალური ხანგრძლივობა: ეს ძირითადად დამოკიდებულია ქვეყანაში ან შტატში უმუშევრობის საერთო მაჩვენებელზე, თუმცა, როგორც წესი, უმუშევრობის შეღავათების მიღების მაქსიმალური ვადა არის 26 კვირა,

უმუშევრობის შემწეობის გადახდის ვადის გასვლის შემდეგ პირს უფლება აქვს სახელმწიფო სახსრებიდან მიიღოს სპეციალური „სოციალური დახმარება“, რომელიც მცირეა და, პრინციპში, ოდნავ აღემატება ოფიციალურად მიღებული „სიღარიბის ზღვარს“. მაგრამ სოციალური შეღავათების მიღების ხანგრძლივობა, როგორც წესი, შეუზღუდავია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აშშ-ში არსებობს ე.წ. სოციალური უზრუნველყოფა, რომელიც არ უკავშირდება დაზღვევას. ეს არის დახმარებები ნაკლები შესაძლებლობების მქონე მოსახლეობისათვის, ობლებისათვის და სხვ. ამ პროგრამით, მაგალითად, ამ კატეგორიის

ბავშვები სკოლაში უფასოდ იკვებებიან; ზოგიერთი ადამიანი სარგებლობს უფასო საცხოვრებლით და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აშშ-ის სოციალური უსაფრთხოების სისტემა ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია მსოფლიოში და ნამდვილად სამაგალითოა სხვა ქვეყნებისათვის, მ.შ. საქართველოსათვის.

ბოლო ათწლეულში საქართველოს ეკონომიკამ საკმაოდ მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა, რაც განპირობებული იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებით, მიგრანტების გზავნილების დიდი მოცულობით. ამ ყველაფერს ემატებოდა საბანკო დაკრედიტების მნიშვნელოვანი ზრდა, თუმცა ბევრი პრობლემა ისევ რჩება. მაგალითად, ჯერ კიდევ არ შექმნილა საკმარისი რაოდენობის ახალი სამუშაო ადგილი. ასევე არ განხორციელებულა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თანმდევი ახალი, მაღალტექნოლოგიური დარგების სათანადო რაოდენობისა და ხარისხის შექმნა და განვითარება, ამას დაემატა პანდემიის მიერ გამოწვეული ეკონომიკური უკუსვლა, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება. საქართველოს სოციალური უსაფრთხოების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 2.

**ცხრილი 2**

**საქართველოს სოციალური უსაფრთხოების სისტემის ზოგიერთი მაჩვენებელი**

მაჩვენებელი	2022	2021	2020	2019	2018	2017	2016
უმუშევრობის დონე (%)	17.3	20.6	18.50	17.6	19.2	21.6	21.7
უმუშევართა რაოდენობა (ათასი კაცი)	267.9	316.2	281.9	276.9	309.0	354.5	359.2
პენსიაზე გასვლის ასაკი (წელი) (კაცი/ქალი)	65/60	65/60	65/60	65/60	65/60	65/60	65/60
საშუალო პენსია (აშშ დოლარი)	100	80	40	40	40	40	40
65 და მეტი ასაკის მოსახლეობა (% მთლიანი მოსახლეობის)	-	14.56	14.50	14.39	14.28	14.18	14.06
დანახარჯები ჯანდაცვაზე მოსახლეობის ერთ სულზე (დოლარი)				291.1	312.8	286.0	301.6
დანახარჯები ჯანდაცვაზე (% მშპ-დან)			8,0	6.66	7.11	7.06	8.00
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (წელი)	69.2	69.2	77	74	78.64	73.4	74.9
ბედნიერების ინდექსი (0-10)	5.11	4.97	4.89	4.52	4.34	4.29	4.25
უსაფრთხოების ინდექსი	75.7	77.4	79.8	80.1	79.7	79.2	77.8
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების	436.9	1465.3	1152.9	1147.3	1052.8	975.1	895.2

საქმიანობები ბრუნვა (მლნ ლა- რი)							
--	--	--	--	--	--	--	--

სოციალური პოლიტიკის გატარებისთვის მთავარ მამოძრავებელ ფაქტორად უმუშევრობა მიგვაჩნია. საქართველოში უმუშევრობა ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა და აქტუალური გამოწვევაა. იგი გვევლინება ქვეყანაში სიღარიბის განმაპირობებელ მთავარ ფაქტორად. შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმუშევრობის დონეს საქართველოში ახასიათებს კლების ტენდენცია. როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, 2016 წლის 21.75%-დან 2022 წელს ეს მაჩვენებელი 17.3%-მდე შემცირდა. ეს ბევრი არ არის, მაგრამ ამ პერიოდში გავიარეთ ცნობილი პანდემიის პერიოდი, რამაც 2020-21 წლებში კლების პროცესი არათუ შეანელა, არამედ გაზარდა (2020 წელს 20,2%-მდე). ეს, რათქმა უნდა, უარყოფითად აისახა საერთო მდგომარეობაზე.

ცხრილის მიხედვით ისეთი მაჩვენებელი, როგორცაა პენსიაზე გასვლის ასაკი, ბოლო წლების მიხედვით უცვლელია: მამაკაცებისათვის 65, ხოლო ქალებისათვის 60 წელი. რაც შეეხება თვითონ საშუალო პენსიის ოდენობას, როგორც ცხრილიდან ჩანს, იგი 2021 წელს წინა რამდენიმე წლის მონაცემთან შედარებით გაორმაგდა და 40 დოლარის მაგივრად 80 აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2022 წელს 100 დოლარს გაუთანაბრდა. ეს, რა თქმა უნდა, დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს.

საინტერესო ტენდენციას აჩვენებს ისეთი მაჩვენებელი, როგორცაა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. როგორც ცხრილში ვხედავთ, იგი 2016 წელს 74.9 წლიდან 2020 წელს 77 წლამდე გაიზარდა, მაგრამ შემდეგ მკვეთრად დაეცა და 2021 და 2022 წლებში 69.2 წელი შეადგინა. ეს, რა თქმა უნდა, წინა წლების მწვავე კოვიდ პანდემიის უშუალო შედეგია.

აღსანიშნავია ე.წ. ბედნიერების ინდექსი, რომელიც მოსახლეობის უშუალო გამოკითხვის შედეგად მიღებული ქულებით დგინდება, მან 2016 წლის 4.25 ქულიდან (მაქსიმუმი 10 ქულა) 2022 წელს 5.11 ქულა შეადგინა, ანუ ნახევარს გადააჭარბა.

ჩვენს ქვეყანაში დღეისათვის ფუნქციონირებს ე.წ. სადაზღვევო სისტემა. საქართველოში კერძო სადაზღვევო ინდუსტრიის ჩამოყალიბებას საფუძველი 90-იან წლებში ჩაეყარა. ჯანდაცვის სფეროში ახალი პროდუქტის – კერძო სამედიცინო დაზღვევის გამოჩენისას, ბაზრის წილზე ორიენტირებული, ფინანსური ხელმისაწვდომობის სტრატეგია იქნა გამოყენებული. მოსახლეობას ძალზე იაფად ჯანმრთელობის დაზღვევის პროდუქტის შეძენის შესაძლებლობა გაუჩნდა. ჯანმრთელობის დაზღვევის თავდაპირველი ფასები თვითონ 7, 5, 3 ლარსაც კი შეადგენდა, ბუნებრივია, ეს ყოველივე მოსახლეობისათვის ძალზე მომგებიანი და მიმზიდველი იყო. თუმცა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჯანმრთელობის დაზღვევაზე ფასების მკვეთრი მატება აღინიშნა, რამაც, ბუნებრივია, დაზღვეული მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია, ბევრი ამ ფაქტს უსამართლობად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ფასები კვლავაც იმ დაბალ ნიშნულზე უნდა დარჩენილიყო, რომელსაც ინდუსტრია აქამდე ინარჩუნებდა. მოსახლეობის ასეთი დამოკიდებულება იმ სტრატეგიის ლოგიკური შედეგია, რომლის მეშვეობითაც საქართველოში ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის ბიზნესმა განვითარება დაიწყო. დღეისათვის საქართველოში 20-მდე სადაზღვევო კომპანიაა რეგისტრირებული. მათ შორის ლიდრობენ იმედი, ჯიპიაი, ალდაგი და სხვ. აღსანიშნავია, რომ სადაზღვევო სექტორის მთავარი მამოძრავებელი კვლავ ჯანმრთელობის დაზღვევაა, რაზეც 240 მილიონი, ანუ პრემიების თითქმის ნახევარი მოდის.

საქართველოში 2013 წლიდან ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა რომლის მონიტორინგს ახორციელებდა არასამთავრობო ორგანიზაცია “ფრიდრიხ ებერტის ფონდი”. ამ ფონდის მონაცემებით, 2012 წელს სამედიცინო მომსახურებაზე ე.წ. “ჯიბიდან გადახდების” წილი დაახლოებით 79%-ს შეადგენდა.

დღეისათვის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება გეგმური და გადაუდებელი ამბულატორიული, სტაციონარული, ქირურგიული, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა და მშობიარობის მაქსიმალური დაფარვა. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა (CRRC), ღია საზოგადოების ფონდისა და საერთაშორისო ორგანიზაცია International

IDEA-ის (ინთერნემუნალ აიდია) ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩაატარა კვლევა, რომლის მიხედვითაც გამოკითხულ ბენეფიციართა 80.3% კმაყოფილი იყო აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული ამბულატორიული, ხოლო 96.4% – ჰოსპიტალური სერვისით. მართალია, საქართველოში მცხოვრები მოქალაქეების 100% უზრუნველყოფილია სამედიცინო დაზღვევით, მაგრამ, რა თქმა უნდა, არის პრობლემები: ბენეფიციართა დაბალი ინფორმირებულობა, პროფილაქტიკური სერვისის გაუთვალისწინებლობა, მედიკამენტების მაღალი ფასი – ეს არის სამი ძირითადი ხარვეზი, რომლებიც საქართველოში ჯანდაცვის პროგრამების კიდევ უფრო წარმატებით განხორციელებას უშლის ხელს. ბოლო პერიოდის მდგომარეობით, ჯანდაცვის დანახარჯებიდან ძალიან მაღალია მედიკამენტებზე დახარჯული თანხა. ზოგი კვლევის მიხედვით, ეს არის 40%, ზოგი კვლევით კი – 60%, რაც წარმოუდგენლად მაღალია. სასურველია, რომ იგი მკურნალობის ხარჯების 1/3-ზე მეტი არ იყოს.

2017 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, ქვეყანაში პრიორიტეტულად რჩება ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის პროგრამის დაფინანსება. ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსება შეადგენდა 3 მლრდ 330 მლნ ლარს. აღნიშნული თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია: სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფისათვის – 2 413.0 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისათვის – 831.0 მლნ ლარი.

არსებული გამოწვევების მიუხედავად, საქართველოს სადაზღვევო ბაზარი, წლებთან ერთად იზრდება და ვითარდება. 2007 წლიდან 2021 წლამდე სადაზღვევო ბაზრის მიერ მოზიდული პრემიების ოდენობა გაიზარდა 119 მლნ ლარიდან 773 მლნ ლარამდე (მოხდა პენსიონერების და 5 წლამდე ასაკის ბავშვების პროგრამაში ჩართვა), თუმცა მაღალი სოციალური მნიშვნელობის გათვალისწინებით, აღნიშნული პროგრამების მართვა გადაეცა სპეციალიზებულ სახელმწიფო სტრუქტურას (სოციალური მომსახურების სააგენტოს, შემდგომ კი – „ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს“). 2014 წლიდან ბაზარი უფრო განვითარდა და მეტად პოპულარული გახდა ჯანმრთელობის დაზღვევის კორპორაციული პროგრამები. 2014-2021 წლებში ამ კატეგორიაში მოზიდული პრემიების ოდენობა გაიზარდა 131 მლნ ლარიდან 306 მლნ ლარამდე.

2021 წლის მდგომარეობით, სამედიცინო დაზღვევის მიმართულება საქართველოს სადაზღვევო ბაზრის უდიდეს წილს (40%) იკავებს. ამ პერიოდში სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევის სახეობაში მოზიდულმა პრემიამ პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან შეადგინა 305.5 მლნ. ლარი.

სამედიცინო დაზღვევა სწრაფად მზარდი სახეობაა საქართველოს სადაზღვევო სექტორში. 2014-2021 წლებში ამ კატეგორიაში მოზიდული პრემიების ოდენობა გაიზარდა 131 მლნ ლარიდან 306 მლნ ლარამდე. თუმცა ეს საკმარისი არ არის. აუცილებლად უნდა მოიძებნოს გზები ამ დარგში კიდევ უფრო ფართო პროგრამების ამოქმედებისათვის და ამ მიზნით დაფინანსების მნიშვნელოვნად გაზრდისათვის. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემა არ არის დამახასიათებელი მხოლოდ საქართველოსათვის. ჩვენზე ეკონომიკურად შედარებით უკეთ განვითარებულ ქვეყნებშიც კი იგი ერთ-ერთ ძნელად გადასაჭრელ პრობლემად რჩება. ჩვენ მიერ ჯანდაცვის სფეროს ორგანიზებაში ზემოთ აღწერილი არც ერთი მეთოდი არ არის უნაკლო.

საქართველოს მთავრობის პოლიტიკა, კერძოდ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია („საქართველო 2020“), ეკონომიკურ ეფექტიანობასთან ერთად, ყურადღებას ამახვილებს სოციალური უსაფრთხოებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრების მნიშვნელობაზე. მთავრობის სტრატეგიის ამ პრინციპების განმახორციელებელ ინსტრუმენტებად კი განიხილება უმუშევრობის შემცირება და მოსახლეობის უზრუნველყოფა ღირსეული მშრომის პირობებით, ასევე ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების, ჯანდაცვისა და საბაზისო სოციალური უზრუნველყოფის სისტემების გაძლიერებაზე ორიენტაცია. აქედან გამომდინარე, გრძელვადიან პერსპექტივაში, ქვეყნის მთავრობის მიზანია, ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ სამართლიანობას შორის ბალანსის მიღწევა და გზების გამოკვეთა, რომლებიც მიმართული იქნება არა მხოლოდ



სიღრიბესთან ბრძოლისკენ, არამედ ქვეყანაში სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობისაკენ, სოციალური კეთილდღეობისაკენ, რაც მხოლოდ სახელმწიფოს ხელეწიფება.

სწორედ სახელმწიფოს ეფექტიან და მიზანმიმართულ ქმედებებზეა დამოკიდებული სოციალური პოლიტიკის შედეგი.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. რა არის სოციალური კეთილდღეობა [tsu.gehttps://digitallibrary.tsu.ge > book > dec > books](https://digitallibrary.tsu.ge/book/dec/books)
- PDF
2. <https://osgf.ge/socialuri-usaftrkhoeba-da-shromis-pirobebi-ras-shecvlis-evrokavshiris-kandidatis-statusi>
3. <http://geoeconomics.ge/?p=12955> სოციალური პოლიტიკა და მისი გამოწვევები საქართველოში.
4. <https://mfa.gov.ge/national-security-concept> საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია.
5. [https://www.numbeo.com/crime/rankings\\_by\\_country.jsp?title=2022&displayColumn=1](https://www.numbeo.com/crime/rankings_by_country.jsp?title=2022&displayColumn=1)
6. USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა THE USAID ECONOMIC GOVERNANCE PROGRAM SEPTEMBER 30, 2022
7. <https://www.theglobaleconomy.com/>

*Medea Melashvili  
Nunu Kistauri  
Ketevan Kveladze*

### **SOCIAL SECURITY ISSUES OF THE WORLD AND NATIONAL ECONOMY (ON THE EXAMPLE OF THE USA AND GEORGIA)**

#### **Abstract**

The work is dedicated to such an acute problem for today as social security, which is the most important component of the national security of any country. It is indicated that national security as the most important task was mentioned for the first time at the beginning of XX century - in 1904 by T. Roosevelt regarding the Panama Canal. The paper provides a definition of social security; its causes as of the problem; System of indicators.

The work is done on the example of USA and Georgia. The economic and legal acts of social policy, which regulate social policy in these countries, are discussed. Provision of social security of both countries is discussed according to points and their analysis is carried out on the basis of numerical data of recent years.

*ნინო მიქიაშვილი*

### **სიღარიბის მოდელირების ძირითადი მიმართულებები**

*ანოტაცია.* სიღარიბე, როგორც პრობლემა, რთული და მრავალწახნაგაა. იგი რამდენიმე კრიტერიუმით ფასდება და მნიშვნელოვანია, რომ შეფასების სისტემა შესაბამისად ასახავდეს შესასწავლი კონკრეტული ქვეყნისა თუ რეგიონის რეალურ მდგომარეობას და თავისებურებებს. ამიტომაც სიღარიბის ანალიზისა და პროგნოზირების დროს მნიშვნელოვანია მოდელირების მეთოდის გამოყენება. ნაშრომში დახასიათებულია სიღარიბის რამდენიმე ძირითადი მოდელი, მეთოდი და ინდექსი. სიღარიბის შეფასების მოდელების და მეთოდების მრავალფეროვნება გამოწვეულია იმ გარემოებებით, რომლებიც თავს იჩენს კონკრეტულ დროსა და სივრცეში.

*საკვანძო სიტყვები:* სიღარიბე, სიღარიბის მოდელირება, სიღარიბის ინდექსი, სიღარიბის შემცირება

*შესავალი.* მოდელირების პროცესში სიღარიბისა და უთანასწორობის გათვალისწინება აქტუალობას არ კარგავს. სხვადასხვა ეკონომიკური პრობლემის გადაჭრისთვის აგებული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი არსებული რეალობის შესწავლას და შემდგომში მის

მართვას აუმჯობესებს. ფორსმაჟორულ თუ სრულიად უწყინარ სიტუაციებში სოციალურად დაუცველ მოსახლეობას მეტი უარყოფითი რისკი ემუქრება, ვიდრე მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს. მმართველი და მარეგულირებელი ორგანოები უნდა ცდილობდნენ მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერიოდებისთვის განსაზღვრონ არსებული საფრთხეები და შეიმუშაონ რეალობის შემარბილებელი პოლიტიკა. მოდელირების დროს სასურველია ისეთი მახასიათებლების ჩართვა, რომლებიც მოიცავს სოციალურ ჰეტეროგენობას. ასევე მნიშვნელოვანია ეკონომისტებისა და სხვა სოციალური მეცნიერების წარმომადგენელთა თანამშრომლობა მოდელირების პროცესის სრულყოფის საქმეში.

სიღარიბე ასოცირდება უუნარობა-უსახსრობის გამო ცხოვრების იმ წესიდან ჩამოშორებაში, რომელსაც სასურველად მიიჩნევს კონკრეტული საზოგადოება დროის გარკვეულ პერიოდში. სიღარიბის ცალსახად განმარტება რთულია, რადგან ის, უპირატესად, შედარებითი ხასიათისაა. ღარიბი ადამიანი ან ოჯახი მოკლებულია საბაზო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას [Mankiw G, 2016]. სიღარიბის მაჩვენებელი ადგენს მოსახლეობის პროპორციას მოხმარების (შემოსავლის) გარკვეულ ზღვარს ქვემოთ და ზემოთ. სიღარიბის მაჩვენებლები დამოკიდებულია საკლასიფიკაციო ნიშნებზე. განასხვავებენ აბსოლუტურ, ზომიერ, შეფარდებით, რეგისტრირებულ, სიტუაციურ, მემკვიდრეობით, ურბანულ და არაურბანულ, სოციალურ და ა.შ. სიღარიბეს [კაკულია მ, და სხვ., 2017].

სხვადასხვა სახის უარყოფითი რხევა სიღარიბეზე მრავალი არხით მოქმედებს, იქნება ეს საარსებო წყაროს დაკარგვა, მოხმარების შემცირება, არსებული აქტივების დაზიანება ან განულება, ჯანმრთელობის ან/და მწარმოებლურობის დაქვეითებასთან და ა.შ. ლოკალური თუ გლობალური შოკი იწვევს შემოსავლების და ფასების მკვეთრ ცვლილებას, რაზეც ყველაზე მეტად მგრძობიარე რეაქცია სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობას აქვს.

ბოლო პერიოდის დაკვირვებით, სავარაუდოდ, თითქმის მილიარდმა ადამიანმა დააღწია თავი უკიდურეს სიღარიბეს (1,90 აშშ დოლარის ეკვივალენტის მოხმარება დღეში). შესაბამისად, ადამიანის საბაზისო განვითარება და პროგრესი უფრო ღრმად არის გამოსაკვლევია. ტრადიციულ ინდიკატორებთან ერთად სულ უფრო ფართოდ გამოიყენება შედარებით ახალი, მრავალგანზომილებიანი ინდიკატორები, რომლებიც აღიარებენ ადამიანის მრავალმხრივ ბუნებას. სოციალური გარიყულობის, დაუცველობის, ანუ დეპრივაციის ხარისხი [Smith H, et al, 2020] სიღარიბის გაზომვის შედარებით ახალი სტანდარტია. იგი მოითხოვს არა მარტო მატერიალური, არამედ სოციალური ინდიკატორების გათვალისწინებას. დეპრივაციის რთული მახასიათებელი საზღვრავს ხარისხობრივ „ზღვარს“, რომლის ქვემოთ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის შემცირება მკვეთრად ზრდის ცხოვრების დონის კლების სიჩქარეს. მსგავსი ანალიზი საკმაოდ შრომატევადია, მაგრამ გაცილებით მეტ ინფორმაციას შეიცავს.

ქვეყნების ან რეგიონების ემპირიულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ ღარიბი ქვეყნები და ნებისმიერი ქვეყნის ღარიბი მოსახლეობა უფრო დაუცველია და დაბალი ადაპტაციის უნარის გამო თითქმის არ ძალუბთ მიმდინარე გამოწვევებზე დროული და ადეკვატური რეაგირება. არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის შემქმნელებმა და გამტარებლებმა უნდა იცოდნენ მოქმედების სავარაუდო ვარიანტები შესაბამისი რესურსული უზრუნველყოფით და სამომავლო შედეგების სრული სპექტრი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ადაპტაციის ხარჯები, ბარიერები და შესაძლებლობები სხვადასხვა ქვეყანასა თუ მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენებისთვის. გასავითარებელია სხვადასხვა ვარიანტის შედარების ტექნიკა, რათა მოხდეს უარყოფითი რხევების ზემოქმედების ეფექტის განსაზღვრა.

**სიღარიბის მოდელირება.** მოსახლეობის სიღარიბის შეფასების და ანალიზის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს საოჯახო მეურნეობების კვლევის მასალები. ქვეყნის მოსახლეობის სიღარიბის შეფასების სანდოობის გასაზრდელად შემუშავებულია სპეციალური მეთოდები შერჩევითი ერთობლიობის კვლევის შედეგებიდან მიღებული მაჩვენებლების გადახრების მინიმუმამდე დასაყვანად [გელაშვილი ს, 2019]. აღსანიშნავია, კვლევის მონაცემების ექსტრაპოლაცია გენერალურ ერთობლიობაზე სტატისტიკური შეწონის მეთოდის

საშუალებით, ასევე, სიმულაციური მოდელირების მეთოდი. სტატისტიკური შეწონა შეიძლება ადგილმდებარეობის, საოჯახო მეურნეობის, სქესის, ასაკის და ა.შ. მიხედვით. იმავდროულად, გაითვალისწინება დემოგრაფიული სტატისტიკის (სქესობრივი და ასაკობრივი სტრუქტურა) და სოციალური სტატისტიკის (ინსტიტუციური მოსახლეობის რაოდენობა, ადგილმდებარეობა) მონაცემები. სიმულაციური მეთოდის არსი მდგომარეობს შერჩევითი ერთობლიობის ემპირიული განაწილების გენერალური ერთობლიობის შესაბამის განაწილებად გარდაქმნაში.

სიღარიბის დონის ზუსტად შეფასებისთვის განიხილება როგორც საოჯახო მეურნეობები, ასევე მათი შემადგენლობა, რადგან შემოსავლების და დანახარჯების სტრუქტურის ანალიზის გარეშე ადეკვატური დასკვნა ვერ ჩამოყალიბდება. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ შემოთავაზებულია კორექტირებული (ეკვივალენტური) მასშტაბი (სკალა) [OECD (2011)], სადაც: ოჯახის მოზრდილ პირველ წევრს (ოჯახის უფროსს) ენიჭება კოეფიციენტი 1.0, მეორე და შემდგომ უფროს წევრს — 0.5, 14 წლამდე ბავშვს — 0.3. მსგავსი მიდგომა შეფასების სიზუსტეს ზრდის, თუმცა ეკონომიკის განვითარების დონის, ოჯახის მოწყობის ტრადიციისა და ა.შ. გათვალისწინება კიდევ უფრო გაზრდიდა მის ეფექტიანობას.

სიღარიბის პრობლემის სირთულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი მოდელირების მეთოდით შესწავლა. სიღარიბის მოდელირება არის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების პროცესი, რომელიც სხვადასხვა ჯგუფსა თუ რეგიონში აღწერს და ვარაუდობს სიღარიბის დონეს. სიღარიბის მოდელირების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია განსაზღვროს სიღარიბის დონეზე ყველაზე მეტად მოქმედი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ აღნიშნული დონის გაზრდა-შემცირებას. მოდელირებისას გამოიყენება სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდი: რეგრესიული ანალიზი (მათ შორის, არამკაფიო რეგრესია), დროითი მწკრივები, მანქანური სწავლება და ა.შ. თითოეული მეთოდი ეფუძნება იმ მაჩვენებელთა სისტემას, რომელიც განსაზღვრავს სიღარიბის ამა თუ იმ სახეს.

სიღარიბის მოდელირება როგორც სამთავრობო, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებს ეხმარება, მოიძიონ ეფექტიანი სტრატეგიები სიღარიბესთან ბრძოლის დროს, გააუმჯობესონ სოციალური დაცვა და ყველაზე მოწყვლადი მოსახლეობის მხარდაჭერა. თუმცა, სიღარიბის მოდელირება საკმაოდ რთულად განსახორციელებელია. იგი, როგორც სხვა სფეროების მოდელირება, საჭიროებს სანდო მონაცემებს და კვალიფიციურ ანალიზს. ცხადია, მხოლოდ ამ შემთხვევაში მოხდება მოდელირების შედეგების ადეკვატური ინტერპრეტაცია და მოსალოდნელი შედეგის, სიღარიბის დონის შემცირების, წინაპირობა იქნება.

სიღარიბის შემსწავლელი რამდენიმე ფართოდ აპრობირებული მოდელი შეიძლება მოიცავდეს: შემოსავლებზე; გასავლებზე; ადამიანისეულ კაპიტალსა და შრომის ბაზრის სტრუქტურაზე დაფუძნებულ სიღარიბის მოდელს. მოდელირების პროცესის სიღრმისეულად გააზრებისთვის მიზანშეწონილია თითოეული მათგანის ზოგადი დახასიათება, რადგან მათ აქვთ როგორც უპირატესობები, ასევე შეზღუდვები და ნაკლოვანებები. მოდელის კონკრეტული ტიპის (ტიპების) არჩევა დამოკიდებულია მისაღწევ მიზნებსა და გადასაჭრელ ამოცანებზე.

*შემოსავლებზე დაფუძნებული სიღარიბის მოდელში* სიღარიბე განიმარტება, როგორც შემოსავლის არარსებობა ან შემოსავალი გარკვეულ ზღვარს ქვემოთ. მოდელი ვარგისია სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებსა და რეგიონებს შორის არსებული შემოსავლების შესადარებლად. შემოსავლის ზღვრული მნიშვნელობის დასადგენად გამოიყენება ცნება „სიღარიბის ზღვარი“, ანუ შემოსავლის დონე, რომელიც ძირითადი საარსებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელ აუცილებელ მინიმუმს მოიცავს. სიღარიბის ზღვარი განისაზღვრება სხვადასხვა პროდუქტის, საცხოვრებლის, სამედიცინო მომსახურების და ა.შ. ფასების მიხედვით. ხსენებული და სხვა სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით განისაზღვრება ის ფაქტორები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს შემოსავლებსა და სიღარიბის დონეზე სხვადასხვა სოციალურ ჯგუფსა და რეგიონში. აღნიშნული მოდელი ეფუძნება ვარაუდს იმის შესახებ, რომ, თუ ადამიანს საარსებო მინიმუმს ქვემოთ აქვს შემოსავალი, ვერ შეძლებს აუცილებელი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

შემოსავლებზე დაფუძნებულ სიღარიბის მოდელს აქვს მთელი რიგი შეზღუდვები. ის არ ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა განათლება, ჯანდაცვა და საცხოვრებელი ფართი. არადა მათაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ სიღარიბის მაჩვენებლებზე, გარდა ამისა, სიღარიბის ზღვარი შეიძლება იყოს ძალიან მაღალი ან დაბალი, რაც დამოკიდებულია კონკრეტულ რეგიონში საბაზო და ცხოვრების პირობებზე.

*დანახარჯებზე დაფუძნებული სიღარიბის მოდელში* სიღარიბე განისაზღვრება არასაკმარის დანახარჯად ძირითად საჭიროებებზე, როგორცაა საკვები, საცხოვრებელი, ჯანდაცვა და განათლება. ეს მოდელი გამოიყენება იმის დასადგენად, თუ რა თანხა სჭირდება საოჯახო მეურნეობას აღნიშნული საბაზო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამ შემთხვევაში, სიღარიბის მაჩვენებელი განისაზღვრება საოჯახო მეურნეობის დანახარჯების დონის მიხედვით. შემოსავალზე დაფუძნებული მოდელისგან განსხვავებით, სადაც სიღარიბე განისაზღვრება, როგორც შემოსავლის უქონლობა ან შემოსავალი საარსებო ზღვარს ქვემოთ, დანახარჯებზე დაფუძნებული მოდელი სიღარიბეს განსაზღვრავს, როგორც ძირითადი საჭიროებების დაუკმაყოფილებლობას არსებული დანახარჯების მიხედვით. ამ მოდელის ძირითადი ცნებაა „მოხმარებაზე გაწეული მინიმალური დანახარჯი“, ანუ დანახარჯების ის აუცილებელი დონე, რომელიც საბაზო მოთხოვნილებების მოთხოვნად ქცევას სჭირდება. სიღარიბის ზღვარი კი განისაზღვრება სამომხმარებლო კალათის ღირებულების საფუძველზე. საოჯახო მეურნეობების დანახარჯები შეისწავლება მოხმარების კატეგორიების მიხედვით და აქცენტი კეთდება იმ ფაქტორებზე, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ სიღარიბის დონეზე, განისაზღვრება ასევე მოხმარების რომელ კატეგორიას (კატეგორიების) აქვს ყველაზე მეტი გავლენა საშედეგო მაჩვენებელზე და სხვ.

დანახარჯებზე დაფუძნებული სიღარიბის მოდელის ერთ-ერთი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ საბაზო მოთხოვნილებებზე საოჯახო მეურნეობების რეალურ დანახარჯებს ითვალისწინებს და მხოლოდ შემოსავალზე არ ფოკუსირდება. ამასთანავე, მოდელის ფარგლებში ვლინდება, რამდენად ხელმისაწვდომია ესა თუ ის პროდუქცია, დგინდება ცხოვრების ხარისხი და სხვა სოციალური ფაქტორები.

დანახარჯებზე დაფუძნებული მოდელის ნაკლად მიიჩნევა ის, რომ არ ხდება საოჯახო მეურნეობის შემოსავლების ისეთი ნაწილის გათვალისწინება, როგორცაა ინვესტიციებიდან შემოსავალი ან სხვადასხვა სახის დანახარჯი. ამასთან, სიღარიბის ზღვარი შეიძლება დაწეული ან აწეული იყოს იმისდა მიხედვით, თუ რა სახის და ხარისხის პროდუქციისგან შედგება სამომხმარებლო კალათა. ე.ი. სამომხმარებლო კალათა არის ძირითადი განმსაზღვრელი და მისი ცვლილება პირდაპირ აისახება სიღარიბის დონის მაჩვენებელში.

*სიღარიბის მოდელში ადამიანისეული კაპიტალის* სიღარიბე განისაზღვრება, როგორც განათლების, ჯანმრთელობისა და ადამიანისეული კაპიტალის სხვა გამოვლინებების ნაკლებობა. ეს მოდელი გამოიყენება იმის შესაფასებლად, თუ როგორ შეუძლია ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტირებას გააუმჯობესოს ცხოვრების დონე და შეამციროს სიღარიბე. ამ შემთხვევაში ცოდნა, უნარი, კვალიფიკაცია და მსგავსი ადამიანისეული კაპიტალის მახასიათებლები განიხილება ეგზოგენურ ფაქტორებად.

მოცემული მოდელი ეყრდნობა ვარაუდს იმის შესახებ, რომ განათლება, ჯანმრთელობა და ადამიანისეულ კაპიტალთან დაკავშირებული სხვა ფაქტორები ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის შემცირებისთვის. სიღარიბის ერთ-ერთ მიზეზად განათლების და კვალიფიკაციის დაბალი დონე ან მიუწვდომლობა სახელდება. ადამიანისეულ კაპიტალზე დაფუძნებული სიღარიბის მოდელი ითვალისწინებს აღნიშნულ ფაქტორს და ვარაუდობს, რომ ადამიანისეულ კაპიტალში მისი გადალახვა ინვესტირებით არის შესაძლებელი. შესაბამისად, ღარიბ საოჯახო მეურნეობებში შეისწავლება განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დონე, ასევე ადამიანისეულ კაპიტალთან დაკავშირებული სხვა ფაქტორები. მოდელირების საშუალებით დგინდება, რომელი ფაქტორი (ფაქტორები) არის მეტად მნიშვნელოვანი სიღარიბესთან მიმართებით კონკრეტულ ქვეყანასა თუ რეგიონში ან/და რა ღონისძიებებია გასატარებელი სიღარიბის შესამცირებლად.

ადამიანისეულ კაპიტალზე დაფუძნებული მოდელის უპირატესობად უნდა ჩაითვალოს გარემოება, რომელიც ითვალისწინებს სამუშაო ძალასთან დაკავშირებულ რამდენიმე ფაქტორს. გარდა ამისა, განისაზღვრება ადამიანისეულ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების რა სახეობები უწყობს ხელს სიღარიბესთან ეფექტიან ბრძოლას. ცხადია, მოცემულ მოდელსაც გააჩნია შეზღუდვები. ის არ ითვალისწინებს სიღარიბის ისეთ ფაქტორებს, როგორცაა: საცხოვრებლის ხარისხი და ხელმისაწვდომობა, დასაქმება და ა.შ. ამასთან, ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტირება, უმეტეს შემთხვევაში, გრძელვადიანი და ძვირადღირებულია, რაც სოციალურად დაუცველი ფენებისთვის უმეტეს შემთხვევაში გადაუღებავ წინააღმდეგობად იქცევა.

*შრომის ბაზრის სტრუქტურაზე დაფუძნებულ სიღარიბის მოდელში* სიღარიბე განისაზღვრება, როგორც შრომის ბაზარზე არსებული უთანასწორობის შედეგი, რაც ვლინდება დაბალ ხელფასში, უმუშევრობის დონეში, დასაქმების სტრუქტურაში, არასტაბილურ სამუშაოებსა და სხვა ფაქტორებში. მოდელი აფასებს იმ ცვლილებებს, რომლებსაც შეუძლია გააუმჯობესოს ცხოვრების დონე და შეამციროს სიღარიბე.

აღნიშნული მოდელი განიხილავს ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ შრომის ბაზრის სტრუქტურას აქვს დიდი მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარებასა და სიღარიბესთან ბრძოლის საქმეში. მოცემული მოდელის ფარგლებში, სიღარიბის ძირითად მიზეზად უმუშევრობის მაღალი დონე სახელდება. ივარაუდება, რომ სიღარიბის დამლევა მოხდება უმუშევრობის დონის შემცირებით და დასაქმების სტრუქტურის გაუმჯობესებით. ასევე ყურადღება გამახვილებულია დასაქმების სტრუქტურასა და ხელფასზე.

შრომის სტრუქტურაზე დაფუძნებული მოდელის უპირატესობა არის დასაქმებასთან და ხელფასთან დაკავშირებული ფაქტორების გათვალისწინება. მათი საშუალებით კი განისაზღვრება ის ღონისძიებები, რომლებიც, ერთი მხრივ, ამცირებს უმუშევრობის დონეს და, მეორე მხრივ, აუმჯობესებს დასაქმების სტრუქტურას, საბოლოოდ კი უფრო ეფექტიანს ხდის სიღარიბესთან ბრძოლას. რა თქმა უნდა, შრომის ბაზრის სტრუქტურის მოდელსაც გააჩნია შეზღუდვები და ნაკლოვანებები. ის მიზეზობრივ ცვლადებად ვერ განიხილავს საცხოვრებლის ხელმისაწვდომობას და ხარისხს, განათლებას, ჯანმრთელობას და სხვა სოციალურ ფაქტორებს. ასევე ფრიად ყურადსაღებია ის გარემოება, რომ შრომის ბაზრის სტრუქტურის ცვლილება მოითხოვს მნიშვნელოვან ცვლილებებს ეკონომიკაში და დიდ შრომით და დროით დანახარჯებს.

სიღარიბის მოდელირების პროცესში გასათვალისწინებელია ისეთი სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები (ინდიკატორები) როგორცაა: დასახლების ტიპი (ქალაქი, სოფელი), საოჯახო მეურნეობის ტიპი (მარტოხელა, უშვილო, ბავშვებთან ერთად), ბავშვებისა და მოზრდილების, დასაქმებულთა და უმუშევართა რაოდენობა, ოჯახის უფროსის სოციალური მდგომარეობა და განათლება, დაკავებული საცხოვრებლის ტიპი და ფართობი, ქონებრივი მდგომარეობა, გრძელვადიანი მოხმარების საქონლისადმი ხელმისაწვდომობა, შემოსავლის სტრუქტურა შემოსავლის ძირითადი წყაროს მითითებით, დანახარჯები, საკვები პროდუქტების მოხმარება (მათ შორის, კერძო ნაკვეთებში წარმოებულის), საკვების კალორიულობა, ჯანმრთელობის მდგომარეობის სუბიექტური შეფასება და ა.შ.

სიღარიბის პრობლემის შესწავლისას, ცხადია, გასათვალისწინებელია განუსაზღვრელობა, რომელიც სტატისტიკური მონაცემის ცდომილების, სხვადასხვა გაუთვალისწინებელი ფაქტორების და ა.შ. მიზეზით გავლენას ახდენს სიღარიბის რაოდენობრივ მაჩვენებლებზე. სიღარიბის დონის შესაფასებლად გამოიყენება რეგრესიული ანალიზის, მათ შორის, არამკაფიო (Fuzzy) რეგრესიის შესაძლებლობები [ანანიაშვილი, 2012; ვულდრიჯი, 2016]. ეგზოგენურ ფაქტორებად მიიჩნევა: მოსახლეობის შემოსავლები, საარსებო მინიმუმი, საოჯახო მეურნეობის ზომა, უმუშევრობის დონე, ინფლაციის დონე და მსგავსი მაჩვენებლები. არამკაფიო რეგრესია საშუალებას იძლევა ეკონომიკურ პარამეტრებთან მიმართებით განისაზღვროს უფრო ზუსტი პროგნოზი. არამკაფიო წრფივი რეგრესია ჰ. ტანაკამ დაამუშავა ს. უეჯიმთან, კ. ასაიმთან და ი. ვატადამთან ერთად [Tanaka et. 1982]. ამ რეგრესიით აღიწერება ცვლადებს შორის ნაკლებად

ზუსტი და ბუნდოვანი კავშირები არამკაფიო პარამეტრებით, ყალიბდება წრფივი პროგრამირების ამოცანა ცხადად განსაზღვრული დამოკიდებული ცვლადისთვის და არაცხადი (არამკაფიო) დამოუკიდებელი ცვლადისთვის. აღნიშნული მოდელისთვის გადაიჭრება წრფივი პროგრამირების ამოცანა და განისაზღვრება კავშირი სიღარიბის დონესა და მასზე მოქმედ ძირითად ფაქტორებს შორის.

**სიღარიბის ინდექსი.** სიღარიბის დადგენილი დონის ქვემოთ მყოფი ადამიანების რაოდენობის, ისევე როგორც მოსახლეობაში მათი წილის დადგენა, ვერ განსაზღვრავს, თუ რამდენად ღარიბია ესა თუ ის პიროვნება (ცარციძე, 2022). სიღარიბის გავრცობის ხარისხის შესაფასებლად უპირატესად გამოიყენება სხვადასხვა ინდექსი. ამჯერად სამ მათგანზე გამახვილდება ყურადღება. ესენია: მრავალგანზომილებიანი სიღარიბის ინდექსი, სიღარიბის სიმწვავის (სიმძიმის) ინდექსი და ფოსტერ-გრიერ-ტორბეკის სიღარიბის სიღრმის ინდექსი.

*მრავალგანზომილებიანი სიღარიბის ინდექსი* (Multidimensional Poverty Index - MPI). [Alkire S. et al, 2014] ადამიანის კეთილდღეობის ინდიკატორების მრავალფეროვან კომპლექტს მოიცავს. იგი შექმნილია იმისთვის, რომ უზრუნველყოს სიღარიბის უფრო სრულყოფილი და ღრმა გაგება, რაც ითვალისწინებს არა მხოლოდ შემოსავლის ასპექტს, არამედ ცხოვრების სხვა ძირითად ასპექტებსაც. მრავალგანზომილებიანი სიღარიბის ინდექსი შეიმუშავა და დანერგა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 2010 წელს ამავე ორგანიზაციის ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის, აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ეკონომიკურ კომისიებთან თანამშრომლობით. მოცემული ინდექსი მხარდაჭერილია რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მიერ.

მრავალგანზომილებიანი სიღარიბის ინდექსი ითვალისწინებს სიღარიბის რამდენიმე განზომილებას (განათლების დონე, საგანმანათლებლო მიღწევები, ჯანმრთელობა, ცხოვრების დონე და სხვა სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები) და ქვეგანზომილებას (განათლებაზე ხელმისაწვდომობა, სახელმძღვანელოები, პედაგოგების კვალიფიკაცია, ინფრასტრუქტურა და ა.შ.). ინდექსით განისაზღვრება ცალკეული საოჯახო მეურნეობების სიღარიბის ან დაუცველობის ქულა თითოეულ განზომილებაში მათი სტატუსის მიხედვით. შემდეგ ეს ქულები ჯამდება სიღარიბის საერთო ინდექსის მისაღებად. რაც უფრო მაღალია მრავალგანზომილებიანი სიღარიბის ინდექსი, მით საგანგაშოა სიღარიბის დონე.

თითოეული ინდიკატორისთვის განსაზღვრულია ზღვრული მნიშვნელობა, რაც მიუთითებს მოცემულ განზომილებაში პროდუქციის ხელმიუწვდომლობის არსებობა-არარსებობაზე. გაანგარიშების პროცესი რამდენიმე ეტაპად იყოფა [Alkire S. et al, 2014]:

1. განისაზღვრება ინდიკატორები და მათი ზღვრული მნიშვნელობები;
2. ინდიკატორებისა და ზღვრული მნიშვნელობების საფუძველზე დგინდება ყოველი საოჯახო მეურნეობის სიღარიბის ან ხელმიუწვდომლობის (დეპრივაციის) სტატუსი;
3. გამოითვლება H (Headcount ratio) კოეფიციენტი ღარიბი ან დაუცველი საოჯახო მეურნეობების გაყოფით საოჯახო მეურნეობების საერთო რიცხვზე;
4. გამოითვლება A (Intensity of deprivation) კოეფიციენტი ყველა ღარიბი და დაუცველი სტატუსის მქონე საოჯახო მეურნეობის გასაშუალოებით, მათი შეწონვით სიღარიბის და დაუცველობის დონის მიხედვით;
5. საბოლოო ინდექსი გამოითვლება როგორც ორი, H და A, კოეფიციენტის ნამრავლი.

ამდენად, მრავალგანზომილებიანი სიღარიბის ინდექსი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:  $MPI = H \times A$ , სადაც: H (Headcount ratio) არის ღარიბი ან დაუცველი საოჯახო მეურნეობების რაოდენობის თანაფარდობა, ანუ მრავალგანზომილებიან სიღარიბეში მყოფი მოსახლეობის პროპორცია; A (Intensity of deprivation) — ხელმიუწვდომლობის (დეპრივაციის) ინტენსივობა, რომელიც ასახავს სიღარიბის დონეს ან სასურველი პროდუქციის ვერმიღების ხარისხს, რომლითაც ხასიათდება სოციალურად დაუცველი საოჯახო მეურნეობები.

მოცემული ინდექსი საშუალებას აძლევს მთავრობებს და პოლიტიკის შემქმნელებს, რომ უფრო ზუსტად შეაფასონ და გააანალიზონ სიღარიბის დონე თავიანთ ქვეყნებსა და

რეგიონებში, განახორციელონ მიზანმიმართული ქმედებები ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად და სიღარიბის შესამცირებლად სხვადასხვა განზომილებაში.

მრავალგანზომილებიანი სიღარიბის ინდიკატორით სიღარიბის დონის გამოთვლა ან არსებული ცვლილების სხვაობის შეფასება საჭიროებს მონაცემთა სათანადო მომზადებას სიღარიბის თითოეული განზომილებისა და ინდიკატორისთვის [UNDP, 2019]. ის ინფორმაციული თვალსაზრისით გაცილებით სრულყოფილად ასახავს რეალობას. გაზომვის გაფართოებულ სქემას დამატებითი სარგებელი მოაქვს, რაც მდგრადი განვითარების მიზნების და მათი მიღწევის საშუალებების შედარების საშუალებას იძლევა. რისკების ზემოქმედების შემსწავლელი ინტეგრირებული კვლევები სიღარიბის ეროვნულ განმასხვავებლებზე აკეთებს აქცენტს და განიხილავს ე.წ. „საფრთხის მულტიპლიკატორს“, რომელიც აერთიანებს სიღარიბის ძირითად რისკებს. ამასთან, ინდექსის გამოთვლის მეთოდოლოგია ზუსტდება კონკრეტული კვლევის მიზნებიდან გამომდინარე. მრავალგანზომილებიანი, ჩაღრმავებული კვლევა საოჯახო მეურნეობების უფრო დეტალიზებულ განხილვას მოითხოვს, რაც მონაცემების ზრდის აუცილებლობას ეფუძნება. საოჯახო მეურნეობების ტიპების გაფართოების პარალელურად მუშავდება მიკროსიმულაციური მოდელები ან/და შემოსავლის და მოხმარების სამომავლო სცენარები.

*სიღარიბის სიმძიმის ინდექსი* (Poverty Severity Index – PSI) არის ინდიკატორი, რომელიც გამოიყენება სიღარიბის დონის გასაზომად კონკრეტულ ქვეყანაში ან რეგიონში. როგორც წესი, ის ითვალისწინებს არა მხოლოდ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროცენტს, არამედ სიღარიბის სიღრმესაც, ანუ რამდენად დაშორებულები არიან ადამიანები საარსებო მინიმუმისგან. მოცემული ინდექსი გამოითვლება სხვადასხვა გზით შესაბამისი ფაქტორებით და ცვლადებით. ზოგიერთი მათგანი მოიცავს შემოსავლის დონეს, ძირითად მომსახურებაზე წვდომას (განათლება, ჯანდაცვა, საცხოვრებელი ფართი), უმუშევრობის დონეს და სხვა სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლებს [Nardo M et al, 2005].

სიღარიბის სიმძიმის ინდექსის მნიშვნელობა მერყეობს 0-დან 100-მდე, სადაც მაღალი მნიშვნელობა მიუთითებს მოსახლეობის სიღარიბის მაღალ დონეს (სიმძიმეს). ეს მაჩვენებელი ეხმარება მთავრობას და ორგანიზაციებს გაიგონ, რამდენად მწვავეა სიღარიბის პრობლემა და რა ზომების მიღება შეიძლება მის შესამცირებლად. სიღარიბის სიმძიმის ინდექსის გამოთვლის ფორმულა განსხვავებულია მეთოდოლოგიის მიხედვით, თუმცა ზოგადი მიდგომის მიხედვით,

სიღარიბის სიმძიმის ინდექსი შემდეგნაირად გამოითვლება: 
$$PSI = \frac{\sum W_{plph} I_{ph}}{\sum W_p I}$$
, სადაც PSI

არის სიღარიბის სიმძიმის ინდექსი,  $W_{plph}$  — ღარიბშემოსავლიანი ოჯახების წილი,  $I_{ph}$  — ღარიბი ოჯახების შემოსავლების დონე,  $W_p$  — ღარიბი მოსახლეობის მთლიანი წილი,  $I$  — ყველა ოჯახის შემოსავლის დონე.

ღარიბი ოჯახების შემოსავლის დონე ( $I_{ph}$ ) განისაზღვრება როგორც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების საშუალო შემოსავალი ან ამ კატეგორიის ოჯახების შემოსავლების განაწილება; ღარიბშემოსავლიანი ოჯახების წილი ( $W_{plph}$ ) მოსახლეობის იმ პროცენტს გულისხმობს, რომელიც სიღარიბის ზღვარს მიღმა არის და მოცემული კატეგორიის შესაბამისი შემოსავალი გააჩნია; ღარიბი მოსახლეობის მთლიანი წილი ( $W_p$ ) განისაზღვრება როგორც მოსახლეობის ღარიბი ნაწილის პროცენტი; ყველა ოჯახის შემოსავლის დონე ( $I$ ) კი არის ქვეყანასა თუ რეგიონში ყველა ოჯახის საშუალო შემოსავალი ან ამ შემოსავლის განაწილება.

*ფოსტერ-გრეერ-ტორბეკის სიღარიბის სიღრმის ინდექსით* (Foster-Greer-Thorbecke Poverty Index) (Foster J, et al, 2010) გაიანგარიშება შემოსავლების (გასავლების) გადახრა საარსებო მინიმუმიდან და ითვალისწინებს როგორც ღარიბი ადამიანების წილს, ასევე სიღარიბის ინტენსივობას, ანუ ღარიბი მოსახლეობის შემოსავლებში უთანასწორობას. იგი გამოისახება მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობის შემოსავლის დეფიციტით.

ფორესტ-გრეიერ-ტორბეკის ინდექსი გაიანგარიშება ფორმულით:  $H_{\alpha} = (\sum(z-y)^{\alpha})/n$ , სადაც  $H_{\alpha}$  არის სიღარიბის სიღრმის ინდექსი;  $n$  — დაკვირვების ერთობლიობაში ადამიანების ან საოჯახო მეურნეობების რაოდენობა;  $z$  — სიღარიბის ზღვარი;  $y$  — შერჩეული ინდივიდის ან საოჯახო მეურნეობის შემოსავლის დონე;  $\alpha$  — პარამეტრი, რომელიც განსაზღვრავს ინდექსის მგრძობელობის ხარისხს სიღარიბის ინტენსივობის ცვლილებისადმი. როგორც წესი, ის იღებს მნიშვნელობას 0-დან 2-მდე, სადაც 0 შეესაბამება ფოსტერ-გრეიერის კლასიკურ ინდექსს, ხოლო 1 და 2 მიაწინებს მეტ მგრძობელობას ღარიბ მოსახლეობაში შემოსავლების უთანაბრო განაწილებაზე. ცხადია, რაც მეტია აღნიშნული ინდექსი, მით მეტად ღრმა არის სიღარიბე და ღარიბ ფენებს შორის შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობა [Foster J. et al, 1984]. ამდენად, ფორესტ-გრეიერ-ტორბეკის ინდექსი საშუალებას იძლევა გათვალისწინებული იყოს როგორც ღარიბ ადამიანთა რიცხოვნობა, ასევე მათი შეფარდებითი სიღარიბეც. ამიტომაც ეს ინდექსი ფართოდ გამოიყენება სიღარიბის ანალიზისა და სიღარიბესთან ბრძოლის პროგრამების ეფექტიანობის განსაზღვრის მიზნით.

სიღარიბის სიმწვავის და სიღრმის ერთ ინდექსში გაერთიანებაც ხდება, თუ იგი გაიანგარიშება როგორც: 
$$In_{sp} = \frac{1}{N} * \sum_{j=1}^n \left( \frac{L_{mj} - I_j}{L_{minj}} \right)^p * 100$$
, სადაც  $N$  აღნიშნავს საოჯახო მეურნეობების რაოდენობას;  $n$  — საარსებო მინიმუმზე მცირეშემოსავლიანი გამოკითხული საოჯახო მეურნეობების რაოდენობას;  $L_{minj}$  — საარსებო მინიმუმს  $j$ -ური საოჯახო მეურნეობისთვის;  $I_j$  — მცირეშემოსავლიანი (საარსებო მინიმუმამდე)  $j$ -ური საოჯახო მეურნეობის ფაქტობრივ შემოსავალს.  $p=1$ , თუ გამოსათვლელია სიღარიბის სიღრმე,  $p=2$ , თუ გამოსათვლელია სიღარიბის სიმწვავე.

მოცემული და სხვა ინდექსებით იქმნება ის თეორიული გაანგარიშების მეთოდიკა, რომელიც სიღარიბის გამოკვლევის და შეფასების დამატებით შესაძლებლობებს ქმნის.

**დასკვნები.** სიღარიბესა და უთანასწორობაზე მოქმედი ფაქტორების (შემოსავალი, მოხმარება და აქტივები) მაკროეკონომიკურ მოდელში ჩართვა მოითხოვს დამატებით ძალისხმევას. უპრიანია ურბანული და არაურბანული ეკონომიკური მოდელების განხილვა, რომლებიც მოიცავს როგორც მოხმარების, ასევე შემოსავლის გვერდით ეფექტებს. შემოსავლის ეფექტის მოდელებში ჩართვა მოითხოვს შრომის მწარმოებლურობის მოდელირებას, რაც უშუალოდ გავლენას ახდენს ფიზიკური პირის (ოჯახის) შემოსავალზე შრომის ანაზღაურების საშუალებით, ხოლო ირიბად ზემოქმედებს შრომის მთლიან, მაკროეკონომიკურ მწარმოებლურობაზე. ასევე მნიშვნელოვანია კაპიტალის აქტივების ცვლილებების გათვალისწინება, რომლებიც გავლენას ახდენს მომავალ შემოსავალსა და მოხმარების ნაკადებზე. თუმცა მსგავსი მიდგომა შეიძლება არ ეხებოდეს წარმოების ფუნქციებით აღწერილ კაპიტალის/შრომის ფიქსირებული წილების მაკროეკონომიკური ზრდის გარკვეულ ტიპებს.

სიღარიბის მოდელირებისთვის გამოიყენება სხვადასხვა კრიტერიუმი. ზოგიერთ ქვეყანაში ეს არის სამომხმარებლო დანახარჯი ან გაანგარიშების მეთოდოლოგიით მასთან ახლოს მდგომი ინდიკატორი, ზოგან კი ფულადი ხარჯების საფუძველზე გამოთვლილი მაჩვენებლები. მის გამოსათვლელად, ოჯახში ცხოვრების ეფექტის შესაფასებლად გამოყენებულია ეკვივალენტურობის სხვადასხვა მასშტაბი. სიღარიბის და ცხოვრების ღირებულებით შეფასებისას მნიშვნელოვანია სამომხმარებლო კალათის შემადგენლობა, მასში ასახული ეროვნული, კლიმატური და სხვა თავისებურებებით. სიღარიბის დონის მოდელირებით დგინდება სიღარიბის მატერიალური წყაროები და დახმარების ეფექტიანობა, მზადდება ანალიტიკური ანგარიშები, სტატისტიკური ბიულეტენები და ა.შ.

სიღარიბის შეფასების სრულყოფილი მეთოდი არ არსებობს, რადგან ფარდობითი სიღარიბის შეფასებისას არსებული პროპორციის შემცირების მიზეზი შეიძლება იყოს



კეთილდღეობის რეალური ზრდა ან მედიანური დონის შემცირება. აბსოლუტური სიღარიბის მანიპულირება კი მარტივია სასურსათო კალათის კალორიული შემცველობით ან სხვა კრიტერიუმით.

სიღარიბის შეფასებასთან დაკავშირებული პრობლემები სუსტდება, თუ მეტადაა გათვალისწინებული ეროვნული და რეგიონული თავისებურებები; მაჩვენებლების სანდოობის გასაუმჯობესებლად მუშავდება და იხვეწება სიღარიბის შემფასებელი სტატისტიკური და ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები და სხვ. ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდებისა და მოდელების სრულყოფის კვალობაზე სიღარიბის შეფასების მექანიზმიც დაიხვეწება, რაც სიღარიბის პრობლემის უფრო ღრმა შესწავლის და ანალიზის საფუძველი გახდება.

მთავრობის როლი როგორც უთანასწორობის ჩამოყალიბებაში, ასევე მის აღმოფხვრაში იმდენად დომინანტურია, რომ ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელებში ჩართული უნდა იყოს ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმები.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ანანიაშვილი ი., 2012. ეკონომეტრიკა. თბილისი. მერიდიანი.
2. გელაშვილი ს., 2019. შესავალი სტატისტიკურ პროგნოზირებაში. თბილისი. უნივერსალი.
3. ვულდრიჯი ჯ., 2016. შესავალი ეკონომეტრიკაში. თბილისი. თსუ-ის გამომცემლობა.
4. კაკულია მ., კაპანაძე ნ., ქურხული ლ., 2017. ქრონიკული სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრობა საქართველოში. ეკონომიკურ-სტატისტიკური გამოკვლევა. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. თბილისი.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოძიებულია <https://geostat.ge> -დან.
6. ცარციძე მ., 2022. უმუშევრობა და სიღარიბე საქართველოში. თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა.
7. Alkire S. & Santos M. E. 2014. Measuring Acute Poverty in the Developing World: Robustness and Scope of the Multidimensional Poverty Index. *World Dev.* 59, 251–274
8. Alkire S., & Roche J. M. 2017. Multidimensional poverty measurement. In *The Oxford Handbook of Economic Inequality* (pp. 259-280). Oxford University Press.
9. Foster J., Greer J., & Thorbecke E. 2010. *The Foster–Greer–Thorbecke (FGT) poverty measures: 25 years later*. *The Journal of Economic Inequality*. 8 (4)
10. Foster J. E., Greer J., & Thorbecke E. 1984. A class of decomposable poverty measures. *Econometrica: Journal of the Econometric Society*, 52(3), 761-766.
11. Mankiw, G. 2016. *Principles of Economics*. Boston. Cengage.
12. Nardo M., Saisana M., Saltelli A., Tarantola S., Hoffman, A., & Giovannini, E. 2005. *Handbook on constructing composite indicators: Methodology and user guide*. Paris, France: OECD Publishing.
13. Smith H., Pettgrew T., & Huo I. 2020. *Relative Deprivation Theory: Advances and Applications*. In book: *Social Comparison, Judgment, and Behavior*.
14. Shapiro A. F. 2005. *Fuzzy regression models*. ACM, Penn State University.
15. Tanaka H., Uejima S., & Asai K. 1982. *Linear regression analysis with fuzzy model*. IEEE Transactions on Systems, Man, and Cybernetics, Vol. 12.
16. World Bank. 2022. *Poverty*. Retrieved from <https://www.worldbank.org/en/topic/poverty>

*Nino Mikiashvili*

## MAIN AREAS OF POVERTY MODELING

### Abstract

Poverty as a problem is complex and multifaceted. It is evaluated according to several criteria. It is essential that the assessment system adequately reflects the actual situation of the particular country or region. This is why it is so important to use modeling method for analysis and prediction of poverty. There are several basic poverty models, methods and indices.

A variety of models and methods for assessing poverty are due to circumstances that arise in a particular time and space.

In force majeure or completely harmless situations, the socially unprotected population faces greater negative risks than the rest of the population. Policymakers and regulators should try to identify existing threats in the short and long term and develop policies to mitigate the reality. When modeling, it is desirable to include features that include social heterogeneity. In addition, the cooperation of economists and other sociologists in improving the modeling process is essential.

The information base for assessing and analyzing the poverty of the population is the materials of studies of households. Also, their composition, because without analyzing the structure of income and expenses it is impossible to form an adequate conclusion.

Due to the complexity of the problem of poverty, it is advisable to study it by modeling. Poverty modeling is a process of economic and mathematical modeling that describes and predicts the level of poverty in different groups or regions. One of the main goals of poverty modeling is to determine the factors that have the most significant impact on the poverty level and contribute to the increase or decrease of the specified level. Various statistical methods are used in modeling: regression analysis (including fuzzy regression), time series, machine learning, etc. Each method is based on a system of indicators that define a particular type of poverty.

Some widely tested patterns of poverty models may include models based on incomes, at the exits, human capital, and labor market structure. They have both advantages and limitations and disadvantages. The choice of a specific type(s) of the model depends on the goals pursued and the tasks to be solved.

When studying the problem of poverty, should be taken into account that the uncertainty caused by the error in statistical data, various unforeseen factors, etc., affects the quantitative indicators of poverty. To assess the level of poverty, the possibilities of regression analysis, including fuzzy regression, are used.

Determining the number of people below the established poverty line, as well as their proportion in the population, cannot determine how poor a person is. To assess the prevalence of poverty, mainly various indices are used. Relatively popular among them are: MPI-Multidimensional Poverty Index, Poverty Severity Index - PSI, Foster-Greer-Thorbecke Poverty Index. With the help of these and other indicators, a theoretical calculation methodology is created, which creates additional opportunities for the study and assessment of poverty.

Different criteria are used in modeling poverty. In some countries, this is consumer spending or an indicator close to it according to the calculation methodology, while in other countries it is indicators calculated on the basis of cash expenditures. When assessing poverty and the cost of living, the composition of the consumer basket, reflecting national, climatic, and other characteristics, is of great importance.

By modeling the level of poverty, the material sources of poverty and the effectiveness of aid are determined, and analytical reports, statistical bulletins, etc. are prepared.

The problems associated with measuring poverty are alleviated if: more national and regional specificities are taken into account; in order to increase the reliability of indicators, are being developed and improved statistical and economic-mathematical models for assessing poverty, etc. Following the improvement of economic and statistical methods and models, the mechanism for assessing poverty will be improved, which will become the basis for a deeper study and analysis of the problem of poverty.

The role of the government both in the formation of inequality and in its elimination is so dominant that the mechanisms of economic policy must be included in economic and mathematical models.

**Keywords:** *Poverty, poverty modelling, poverty index, poverty reduction*

*მარინა მუჩიაშვილი  
ქრისტინე კუპატაძე*

### **კოვიდ-19 პანდემიის გავლენა საქართველოს მთავრობის ვალის მდგრადობაზე: სტატისტიკური შეფასება**

**ანოტაცია.** საქართველოს სახელმწიფო ვალზე პანდემიის ზეგავლენის შეფასების მიზნით სტატიაში წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების სტრუქტურის ცვლილებები 2020-2023 წწ-ში. მოცემულია საქართველოს მთავრობის ვალის მოცულობების დინამიკა და სტრუქტურა, გამოთვლილია ფისკალური მდგრადობის ინდიკატორების მნიშვნელობების ცვლილება პანდემიის შემდგომ პერიოდში. კერძოდ, გამოთვლილია კრედიტუნარიანობის ინდიკატორების საგარეო ვალი მშპ-ში, ექსპორტში და ბიუჯეტის შემოსავლებში; ასევე ლიკვიდურობის ინდიკატორების ვალის

მომსახურება ექსპორტში, მაჩვენებლები ბიუჯეტის შემოსავლებში და შეფასებულია, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ეს ინდიკატორები ვალის მდგრადობისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით გამოთვლილია პანდემიის გავლენა ფისკალურ მდგრადობაზე საქართველოში, შეფასებულია სხვადასხვა რისკ-ფაქტორის, კერძოდ, რეალური მშპ-ის ზრდის შოკის, საპროცენტო განაკვეთის შოკის, სახელმწიფო ბიუჯეტის პირველადი ბალანსის შოკისა და ნომინალური გაცვლითი კურსის შოკის ზეგავლენა მთავრობის ვალის მშპ-თან შეფარდების მაჩვენებელზე. ჩატარებული შოკ-ტესტების საფუძველზე შეფასებულია მთავრობის ვალის მდგრადობა საშუალოვადიან პერიოდში.

**საკვანძო სიტყვები:** ფისკალური მდგრადობა, მთავრობის ვალის მდგრადობა.

### შესავალი

COVID-19-ის პანდემიამ მსოფლიო მასშტაბით არაერთი ქვეყანა დააყენა პრობლემების წინაშე. პანდემიამ დააზარალა გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნები, რასაც შედეგად მოჰყვა ამ ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტების მნიშვნელოვანი პარამეტრების მოდიფიცირება. ერთ-ერთი მწვავე პრობლემა იყო ამ ქვეყნების სახელმწიფო ვალის მნიშვნელოვანი ზრდა. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია საქართველოს მთავრობის საგარეო ვალზე, რომელიც მთავრობის მთლიანი ვალის მთავარი შემადგენელი ნაწილია. მის წილად 2019-2022 წლებში მოდიოდა მთავრობის ვალის დაახლოებით 80%.

პანდემიამდე საქართველო შედიოდა საშუალო დავალიანების მქონე ქვეყნების რიგებში. ქვეყანა აკმაყოფილებდა ვალის მდგრადობისათვის დაწესებულ თითქმის ყველა კრიტერიუმს, გარდა საგარეო ვალის მშპ-თან თანაფარდობის 75%-იანი კრიტერიუმისა, ამის გამო საქართველომ 2020 წელს შეძლო საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან დიდი მოცულობის საგარეო სესხების აღება. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსა და გადასახდელებს შორის წარმოქმნილი დიდი დისბალანსის გამო გაიზარდა შემოსულობებში ვალდებულებების ზრდის წილი და ამ მაჩვენებელმა 44 %-ს მიაღწია. აღნიშნულის გამო ბიუჯეტის დეფიციტმა 9,3%-ს გადააჭარბა, რაც კრიტიკულ ზღვარს 3-ჯერ აღემატება. 2021 წლიდან ამ მაჩვენებელმა დაიწყო გაუმჯობესება და იგი 2022 წელს 4,4-მდე შემცირდა, თუმცა ის პანდემიამდელ დონეზე ჯერ კიდევ მაღალი დარჩა.

### კოვიდ-19 პანდემიის საქართველოს მთავრობის ვალის მდგრადობაზე ზეგავლენის სტატისტიკური შეფასება


2020 წელს პანდემიის გამო საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი დაახლოებით 6,8 %-ით შემცირდა. აღნიშნულის გამო სახელმწიფომ აიღო მნიშვნელოვანი ზომის სესხები. შედეგად გაიზარდა მთავრობის ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდების მაჩვენებელი ისტორიულ მაქსიმუმამდე და ამ კრიტერიუმის მიხედვით ქვეყნისათვის დადგენილ 60%-იან ზღვარს გადააჭარბა, თუმცა ამ თანხების მობილიზების გარეშე ქვეყნის ეკონომიკა უფრო ღრმა რეცესიის წინაშე დადგებოდა. სახელმწიფო ვალის ზრდის გამო კიდევ უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა მთავრობაში ვალის მდგრადობის შეფასების, მასზე მოქმედი რისკფაქტორების გამოვლენისა და მართვის საკითხმა.

აღსანიშნავია, რომ 2020-2022 წლებში საქართველოში პანდემიით გამოწვეული საჭიროებების დასაფინანსებლად მნიშვნელოვნად გაიზარდა მიმდინარე ხარჯების მოცულობა და მისი მშპ-თან შეფარდების მაჩვენებლებიც. კერძოდ, ამ ხარჯების წილმა 2020 წელს მშპ-ში – 26,2%, 2021 წელს – 24,7%, ხოლო 2022 წელს 21,6% შეადგინა. 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით დაგეგმილია მისი 21,3%-მდე შემცირება.

პანდემიის ზეგავლენის შესაფასებლად განვიხილოთ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურის ცვლილებები 2019-2022 წლებში.


ქვემოთ მოტანილი გრაფიკი მოწმობს, რომ პანდემიის ზეგავლენით არსებითად შეიცვალა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა.

გრაფიკი 1. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2019-2022 წლებში.




პანდემიის ზეგავლენით ასევე, მნიშვნელოვნად შეიცვალა სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურაც.

გრაფიკი 2. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურა 2019-2022 წლებში.




შემოსულობების სტრუქტურაში მათი მკვეთრი შემცირების გამო სახელმწიფო ბიუჯეტში გაიზარდა ვალდებულებების ზრდის მოცულობა, რაც შესაბამისად აისახა ბიუჯეტის დეფიციტის ზრდაზეც.

გრაფიკი 3. ბიუჯეტის დეფიციტი 2012-2022 წლებში (%-ულად მშპ-თან)




უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წელს მთავრობის მთლიანი ვალი 2019 წელთან შედარებით გაიზარდა 48,8%-ით. ამ მაჩვენებლის დინამიკას პანდემიის შემდგომ პერიოდში გვიხასიათებს შემდეგი გრაფიკი.

გრაფიკი 4. მთავრობის ვალის დინამიკა 2017-2023 წწ-ში



გრაფიკი 5. ნაშთი სესხების დანიშნულების მიხედვით 2019-2022 წლებში (მლნ ლარი)




გრაფიკიდან, ჩანს რომ პანდემიის ზრეგავლენით, სესხების მთლიან მოცულობაში მკვეთრად გაიზარდა ბიუჯეტის მხარდამჭერი სესხების წილი.

**მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი**

ვალის მდგრადობის შესაფასებლად სხვადასხვა სახის ინდიკატორები გამოიყენება.


გამოთვლებმა გვიჩვენა, რომ პანდემიის გამო მკვეთრად გაუარესდა მთავრობის ვალის მდგრადობის როგორც კრედიტუნარიანობის, ასევე ლიკვიდობის ყველა ინდიკატორი.

გრაფიკი 6. კრედიტუნარიანობისა და ლიკვიდურობის ინდიკატორების ცვლილებები (%) 2019-2022 წლებში




ქვემოთ მოტანილ გრაფიკებზე წარმოდგენილია სხვადასხვა სახის შოკების ზემოქმედება მთავრობის ვალის მდგრადობაზე.


**გრაფიკი 7. მთავრობის ვალი მშპ-თან, რეალური მშპ-ის ზრდის შოკი**




**გრაფიკი 8. მთავრობის ვალი/მშპ-თან, პირველადი დეფიციტის ზრდის შოკი**



გრაფიკი 9. გაცვლითი კურსის შოკი



გრაფიკი 10. რეალური საპროცენტო განაკვეთის შოკი



მთავრობის ვალის მდგრადობის შეფასების სტატისტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ვალის მდგრადობაზე სხვადასხვა სახის შოკი განსხვავებული ზომით ზემოქმედებს. სხვადასხვა სახის შოკებიდან ვალის მდგრადობაზე საქართველოში ყველაზე ძლიერია გაცვლითი კურსის შოკის ზემოქმედება.

### დასკვნა

1. კოვიდ-19-ის პანდემიამდე საქართველო შედიოდა საშუალო დავალიანების მქონე ქვეყნების რიგში. ქვეყანა აკმაყოფილებდა ვალის მდგრადობისათვის დაწესებულ თითქმის ყველა კრიტერიუმს, გარდა საგარეო ვალის მშპ-თან თანაფარდობის 75%-იანი კრიტერიუმისა.



ამის გამო საქართველომ 2020 წელს შეძლო საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან დიდი მოცულობის საგარეო სესხების აღება. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსა და გადასახდებებს შორის წარმოქმნილი დიდი დისბალანსის გამო გაიზარდა შემოსულობებში ვალდებულებების ზრდის წილი და ამ მაჩვენებელმა 44 %-ს მიაღწია. აღნიშნულის გამო ბიუჯეტის დეფიციტმა 9,3%-ს გადააჭარბა, რაც კრიტიკულ ზღვარს 3-ჯერ აღემატება. 2021 წლიდან ამ მაჩვენებელმა დაიწყო გაუმჯობესება და იგი 2022 წელს 4,4-მდე შემცირდა, თუმცა ის პანდემიამდელ დონეზე ჯერ კიდევ მაღალი დარჩა.

2. ანალიზმა გვიჩვენა, რომ პანდემიის გამო მკვეთრად გაუარესდა მთავრობის ვალის მდგრადობის კრდიტუნარიანობისა და ლიკვიდობის ყველა ინდიკატორი.

მთავრობის ვალის მდგრადობის შეფასების სტატისტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ვალის მდგრადობაზე სხვადასხვა სახის შოკები განსხვავებული ზომით ზემოქმედებენ. ვალის მდგრადობაზე განსაკუთრებით ძლიერია ლარის გაცვლითი კურსისა და ეკონომიკური ზრდის შოკების ზემოქმედების ზომა.

3. ბიუჯეტის სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ პანდემიის დროს მკვეთრად გაიზარდა მიმდინარე ხარჯების მოცულობა. იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე ხარჯების წილის ზრდა ბიუჯეტის მთლიან ხარჯებში არ ითვლება ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებულ ფისკალურ პოლიტიკად, საშუალოვადიან პერიოდში კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს მთავრობის მიერ ეფექტური საშემოსავლო, ხარჯვითი და ვალის მართვის პოლიტიკის გატარება.

4. ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული ეფექტური ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურის ოპტიმიზაციას, რაც ბიუჯეტის დაგეგმვის პროგრამული მიდგომის სრულყოფილად დანერგვას, ბიუჯეტის ხარჯებში გაუმართლებლად მზარდი სუბსიდიების წილის შემცირებას და საბიუჯეტო სახსრების პრიორიტეტულად ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი სფეროების – განათლების, ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურის დაფინანსებისაკენ წარმართვას გულისხმობს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი“, თბილისი, 2020 წ, 2021 წ, 2022 წ, MOF.ge
2. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ შესრულების შესახებ“ 2020, 2021, 2022 წწ, ანგარიშები, თბილისი. www. MOF.ge
3. საქართველოს მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, თბილისი, 2022 წელი.
4. მარინა მუჩიაშვილი, ზამირა შონია, კოვიდ-19-ის ზეგავლენის სტატისტიკური შეფასება საქართველოს მთავრობის ვალის მდგრადობაზე ჟურნალი ეკონომისტი, თბილისი, 2022, #1, გვ. 53-61.
5. Blanchard, O.,& Chouraqui R.P. (1990) “The Sustainability of fiscal policy: New answers to an old question, OECD economic studies” No 15. pp.7-36.
6. “Assessing Sustainability. (IMF(2002)Washington DC.
7. “Information Note on Modifications to the fund’s Debt Sustainability Assessment framework for Market Access Countries. IMF, Prepares by the Policy development and review Department. 2005.
8. Staff Guidance Note for PDS Analysis in MAC. IMF,2013.უ
9. M. Muchiashvili, Z. Shonia. Statistical Analysis of the public debt sustainability of Georgia. International scientific- practical conference. Ukraine, 2018. pp.438-444.
10. www.mof.ge

**STATISTICAL ASSESSMENT OF THE IMPACT OF COVID-19  
ON SUSTAINABILITY OF GOVERNMENT DEBT OF GEORGIA  
Abstract**

In order to assess debt sustainability of Georgia, the paper examines in detail the structure of the state budget's revenues, the state budget's payments..

The paper assesses the values of different fiscal sustainability indicators. In particular, the values of creditworthiness indicators- external debt/GDP, external debt/exports and external debt/budget revenues, as well as liquidity indicators- debt service/exports, debt service/budget revenues, are calculated and the extent to which these indicators satisfy the debt requirements for sustainability.

Using statistical methods, the impact of the pandemic on debt is studied in the paper. The paper assesses the impact of real GDP growth rate shock, interest rate shock, primary balance shock and nominal exchange rate shock on the debt sustainability.

**Key words:** *Fiscal sustainability, Government debt sustainability*

**ზურაბ ნოზაძე**

**წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის გაუმჯობესების საკითხები**

**ანოტაცია.** სტატიაში განხილულია წყლის რესურსების არსებული მდგომარეობა და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში; გაანალიზებულია წყლის რესურსების გამოყენებისა და ხარჯვის პრობლემები და მისი გამოყენების ღონისძიებები.

მოცემულია წყალმომხმარებელთა უფლება-მოვალეობანი და სახელმწიფოს როლი მათ მიერ განხორციელებული კონტროლის თვალსაზრისით.

განხილულია კონკრეტული წინადადებები წყლის რესურსების გამოყენების, დაცვის, წყლის ხარისხის, წყალმომარაგების, ჰიგიენური და სანიტარიული ნორმების დაცვის შესახებ.

მოცემულია საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლის შესახებ წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების, დაცვის გაუმჯობესებისა და არსებული პრობლემების გადაჭრისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** წყლის რესურსები, დაბინძურებული ჩამდინარე წყლები, წყლის გამოყენება, წყალმომარაგების სისტემა, ჩამდინარე წყლების გაწმენდა, წყლის რესურსების მონიტორინგი, სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი და მართვა, ბუნებრივი გარემოს დაცვა.

წყალი უნიკალური და უპირველესი სასიცოცხლო მნიშვნელობის აუცილებელი ბუნებრივი რესურსია ადამიანის, ცხოველთა სამყაროსა და მცენარეული საფარის არსებობისათვის. იგი წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლის უპირველეს მოთხოვნილებას ჰაერის შემდეგ და სწორედ ამიტომაც ითვლება უნიკალურ რესურსად. დიდი მნიშვნელობა ენიჭება წყლის რაციონალურ მოხმარებას და დაბინძურებისაგან მის განუხრელ დაცვას. საქართველო წყლის რესურსებით მდიდარ ქვეყნად ითვლება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ წყლის რესურსები არათანაბრად არის გადანაწილებული და უმეტესად ქვეყნის დასავლეთ ნაწილშია თავმოყრილი. ამდენად, წყლის რესურსების მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად წყლის რესურსების სწორი გადანაწილება და რესურსით ღარიბი აღმოსავლეთ ნაწილის წყლით მომარაგება რჩება. გარდა ამისა, საქართველოში კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება ზედაპირული წყლების დაბინძურება, მათ შორის ტრანსსასაზღვრო დაბინძურებაც.

დღესდღეობით საქართველოში წყლის მართვისა და დაცვის საკითხები გარემოსდაცვით სფეროში ერთ-ერთი პრიორიტეტულია. ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის საკითხები საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია.

მდინარის ეკოსისტემაზე მოქმედ ფაქტორთაგან დიდი მნიშვნელობა ენიჭება წყლის ხარჯვის პრობლემას, რამდენადაც წყლის რესურსების სამეურნეო გამოყენების,

განსაკუთრებით კი დაუბრუნებელი წყალმომარაგების (მორწყვითი მელიორაციის) შედეგად ხდება წყლის ღონის დაწევა, ანუ წყლის რესურსების შემცირება.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და პრობლემატურია ჰიდროსფეროსა და მისი გარემოს (ატმოსფერო, ლითოსფერო) მზარდი დაბინძურება. წყლის რესურსების ხარისხობრივი გაუარესების მთავარი წყალსამეურნეო მიზეზებია: ირიგაცია, მლაშე ნიადაგების მელიორაცია, ჩამდინარე წყლები, წყალსაცავების ინფრასტრუქტურის ორგანიზაცია, ხეტყის დაცურება. ის ჩამდინარე წყლებიც კი, რომლებიც გაწმენდის შემდეგ უბრუნდებიან პირველწყაროს, საჭიროებენ სუფთა წყლით 15-ჯერად გაზავებას, რათა აღდგენილ იქნეს წყლის ბუნებრივი ხარისხი. ყველა სახის ჩამდინარე წყლის წლიური მოცულობა, როგორც წესი, აბინძურებს 12-ჯერ მეტ ბუნებრივ წყალს, რაც უკვე მდინარული ჩამონადების მნიშვნელოვანი ნაწილია.

საქართველოს სახმელეთო ტერიტორიაზე, მის წიაღში, კონტინენტურ შელფში, ტერიტორიულ წყლებსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში არსებული წყლის რესურსები საქართველოს ეროვნული სიმდიდრეა და მას სახელმწიფო იცავს.

ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული წყლები სახელმწიფო საკუთრებაა და გაიცემა სარგებლობისათვის მხოლოდ უფლებამოსილი ორგანიზაციების ლიცენზიების საფუძველზე. მიწაზე არსებული საკუთრება არ იძლევა მასზე არსებული წყლებით სარგებლობის უფლებას. აკრძალულია წყლის ობიექტებში საწარმოო, საყოფაცხოვრებო და სხვაგვარი ნაყარის ან ნარჩენების ჩაყრა; ტოქსიკური, რადიაქტიური, სხვა სახიფათო ნარჩენების ყოველგვარი განთავსება და დამარხვა; წყლის ობიექტებში ან მათი დაცვის ზოლებში საწარმოო, საყოფაცხოვრებო და სხვაგვარი ჩამდინარე წყლების ჩაშვება სათანადო ლიცენზიების გარეშე და სხვა.

ადმინისტრაციულ-საკანონმდებლო მნიშვნელოვანი ღონისძიებების მიუხედავად, გადამწყვეტი როლი მაინც გარემოს დაცვის ეკონომიკურად დასაბუთებულ სამეცნიერო-ტექნიკურ ღონისძიებებს ენიჭება. ასეთი ღონისძიებებია: საწარმოო ძალების რაციონალური ტერიტორიული განთავსება წყლის რესურსებისა და ხარისხის გათვალისწინებით, ტექნოლოგიების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ საჭირო პროდუქციის მიღებას ბუნებრივი რესურსების მინიმალური დანახარჯებით და სახიფათო ნარჩენების მინიმიზაციით.

სახელმწიფო აღრიცხვა წყლის რესურსებით სარგებლობის ობიექტებზე, ანთროპოგენური ზემოქმედების წყაროების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებლებზე რეგულარული დაკვირვების სისტემის შექმნას გულისხმობს. წყლის რესურსების სახელმწიფო აღრიცხვის მონაცემები შემდეგ უნდა გამოიყენებოდეს წყლით სარგებლობის, დაცვის დაგეგმვის, წყალმომარებისა და წყალჩაშვების ნორმირებისათვის, წყლის ხარისხის განსაზღვრისათვის და სხვ. წყლის მომხმარებელი ორგანიზაციები ვალდებული არიან განახორციელონ წყალაღებისა და წყალჩაშვების აღრიცხვა წყალმზომი მოწყობილობებით და ჩამდინარე წყლის ხარისხის განმსაზღვრელი აპარატურით. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კონტროლი წყალმოსარგებლებების მიერ წყალსატევებიდან აღებული და მასში ჩაშვებული წყლის რაოდენობის პირველადი აღრიცხვის სისწორეზე და ჩაშვებული წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრაზე, ასევე წყალმომარაგებლების ანგარიშების საფუძველზე უნდა ახორციელებდეს წყლის სახელმწიფო აღრიცხვას, მონაცემების ანალიზს და გამოქვეყნებას.

წყლის რესურსების დაცვის ღონისძიებების დაგეგმვა უნდა ხორციელდებოდეს ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგიის, გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის, რეგიონული, უწყებრივი და ადგილობრივი გარემოს დაცვის პროგრამებისა და გარემოს დაცვის სამენეჯმენტო გეგმების საფუძველზე.

წყლის რესურსების დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს წყლის ობიექტების დაცვა დაბინძურების, დანაგვიანების, დაშრეტისა და სხვა ისეთი უარყოფითი ზემოქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მოსახლეობის ჯანმრთელობას, შეამციროს თევზის მარაგი, გააუარესოს წყალმომარაგების პირობები და გამოიწვიოს წყლის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური თვისების გაუარესება, ბუნებრივი თვითგაწმენდის უნარის დაქვეითება, წყლის

ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური რეჟიმის დარღვევა და სხვა. ბუნებრივ გარემოში ეკოლოგიური წინასწორობის შენარჩუნებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია დადგინდეს გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები, გარემოში მავნე ნივთიერებათა ემისიისა და მიკროორგანიზმებით გარემოს დაბინძურების ზღვრულად დასაშვები ნორმები, ქიმიურ საშუალებათა გამოყენების ნორმები და სხვა.

გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები უნდა შემუშავდეს ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ შესაბამისი კანონმდებლობით.

წყლის ობიექტებში სამრეწველო, საყოფაცხოვრებო-კომუნალური და სხვა ჩამდინარე წყლების ჩაშვების ნორმები დგინდება დაბინძურების ყოველი კონკრეტული წყაროსათვის მისი ტექნოლოგიური თავისებურებებისა და ადგილმდებარეობის ფონური დაბინძურების გათვალისწინებით იმდაგვარად, რომ ემისიური ნივთიერებებისა და მიკროორგანიზმების კონცენტრაციამ ადგილზე არ გადააჭარბოს ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის დონეს.

ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების აღრიცხვა, ანგარიშგება და შეფასება გულისხმობს გარემოს მდგომარეობისა და ბუნებრივი რესურსების კადასტრების შედგენას, სტატისტიკის წარმოებას, ინვენტარიზაციას, პასპორტიზაციას და კარტოგრაფირებას.

სამეწარმეო საქმიანობის სხვადასხვა სახეებს, რომლებსაც შეუძლიათ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინონ წყლის მდგომარეობაზე და წერტილოვანი და დიფუზიური წყაროებიდან ზედაპირული წყლის ობიექტების დაბინძურებას შეუწყონ ხელი.

ზედაპირული წყლების დაბინძურების თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის მნიშვნელოვანი საშუალებებია წყლის ობიექტებში წყლის ხარისხის ნორმირება; სამეურნეო საქმიანობისა და ზედაპირულ წყლებში დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩაშვების რეგლამენტირება, რომელიც ზეგავლენას ახდენს წყლის მდგომარეობაზე; წყალდაცვითი ღონისძიებების დაგეგმვა; ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, მასალებისა და ნივთიერებების, აგრეთვე საწარმოების მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პროექტების ეკოლოგიური ექსპერტიზა; კონტროლი წერტილოვანი და დიფუზიური წყაროებიდან დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩაშვების დადგენილი პირობების შესრულებაზე; ზედაპირული წყლების მონიტორინგი, წყლის დაბინძურების შესამცირებლად ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება; პასუხისმგებლობა წყალდაცვითი მოთხოვნებისა და წესების დარღვევისათვის; დგინდება წყალსატევების წყლის ხარისხის ნორმები წყალსარგებლობის ცალკეული კატეგორიების მიხედვით (სასმელ-სამეურნეო, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და თევზსამეურნეო წყალსარგებლობა). დოკუმენტებში მოცემულია ზედაპირული წყლების შემადგენლობისა და თვისებების დადგენილი ნორმატივები, რომლებიც უნდა შემუშავდეს შესაბამის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში. გარდა ამისა, ჩამდინარე წყლების თითოეული წერტილისათვის დგინდება დამაბინძურებელ ნივთიერებათა ჩაშვების ზღვრულად დასაშვები ნორმატივები; მტკიცდება წყალსატევებში ჩამდინარე წყლებთან ერთად დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმატივების გაანგარიშების მეთოდოლოგია, გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმები, ცენტრალიზებული, არაცენტრალიზებული და ზედაპირული წყალმომარაგების სისტემის წყლის ხარისხობრივი ნორმები, ზედაპირული წყლების, წყაროების სანიტარიული დაცვის წესები და ნორმები, აგრეთვე ზღვის სანაპირო წყლის დაცვისა და გამოყენების ჰიგიენური ნორმები, სანიტარიული წესები და სხვა.

წყლის რესურსების დაცვის რეჟიმის დარღვევა, წყლის სხვადასხვა სახის დაბინძურება ისჯება შესაბამისი ჯარიმებით და სანქციებით.

წყლის რესურსების მართვა ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირმა უნდა უზრუნველყოს ზედაპირული წყლების ინვენტარიზაცია, ყველა სახის წყალმოსარგებლეთა ინვენტარიზაცია; ზედაპირული წყლების ობიექტების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონიტორინგის ქსელის შექმნა და მონიტორინგის წარმოება; წყალაღებისა და წყალჩაშვების ნებართვების რეგისტრაცია; გაცემული ნებართვების მონიტორინგი; ნებართვის პირობების შესრულების კონტროლი;

მდინარეთა აუზის დაცვა არალეგალური საქმიანობისაგან; წყალდიდობებისა და გვალვებისაგან დაცვის გეგმების შემუშავება და განხორციელება; ნაპირდაცვითი სამუშაოების წარმოება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. თავის მხრივ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებენ მათ საკუთრებაში არსებული წყლის რესურსების მართვას.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მათ საკუთრებაში არსებული წყლის რესურსების მართვის სფეროში უზრუნვეყოფენ წყლის რესურსების მართვის წესების განსაზღვრას; წყლის რაციონალურად გამოყენების და დაცვის ღონისძიებების ზედამხედველობას; წყლით უნებართვო სარგებლობის და წყლის ობიექტებზე თვითნებური სამეურნეო საქმიანობის აღკვეთას; ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე წყლის დაცვისა და გამოყენების კონტროლს, სახელმწიფო აღრიცხვას, მისი გამოყენების რეგისტრირებას და სხვა.

წყლის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის მნიშვნელოვან ღონისძიებებად შეიძლება მივიჩნიოთ:

საქართველოს წყლების ეკოლოგიური ფასეულობებისა და ფუნქციების შენარჩუნება; წყლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნება და გაუმჯობესება; უსაფრთხო სუფთა წყლის ხელმისაწვდომება; წყალდიდობისა და გვალვებისაგან დაცვა და პრევენცია; ჰიდროლოგიური რეჟიმის შენარჩუნება; წყალმოსარგებლეთა ინტერესებისა და ეკოსისტემების შენარჩუნებისა და დაცვის გათვალისწინება. ქვეყნის ეკოლოგიური პოლიტიკის განუხრელად, რაციონალურად განხორციელება არის მდგრადი ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Селезнева А.В., „От мониторинга к нормированию антропогенной нагрузки на водные объекты”.
2. Щюра Д.В. Ямиева Э.У., „Методы и технические средства контроля качества воды ”.
3. Никитенков Б. ф. Лагутина Н.В., „Мониторинг водных объектов и геоинформационные системы”.
4. Беличенко Ю.П. Швецов М.Н., „Рациональное использование и охрана водных ресурсов”.
5. Кочановский А. М., „Очистка и использование сточных вод”.

*Zurab Nozadze*

### **ISSUES OF IMPROVING THE USE AND PROTECTION OF WATER RESOURCES**

#### **Abstract**

The article discusses the current situation and importance of water resources in the development of the country's economy; The problems of using and spending water resources and measures of its use are analyzed.

The rights and duties of water users and the role of the state in terms of their control are given.

Specific proposals on the use of water resources, protection, water quality, water supply, hygienic and sanitary norms are discussed.

It is given about the role of public law legal entities and local self-government bodies for the rational use of water resources, improvement of protection and solving existing problems.


## CHALLENGES OF PROVIDING PENSION COVERAGE TO ALL: PUBLIC EXPOSURE TO DEMOGRAPHIC FISCAL RISKS IN GEORGIA

**Abstract.** The article reviews analytical literature on the demographic challenges worldwide. It is aimed at contributing to the debate over the increasing necessity to improve social security of elderly workers both in developed and developing countries. The ways to make government-led pension systems sustainable should be discussed further. The challenges related to the fiscal risks associated with the public pension system in Georgia are also discussed.

**Key words:** population aging, demographic challenges, pensions, social protection, fiscal risks


Population ageing as a global demographic trend has already influenced social processes, patterns and structures such as labor, family, work and employment, etc. The relevant literature concludes that population ageing is due to increasing longevity; low and below-replacement rate fertility and, also emigration trends that significantly impacts in particular smaller countries, for instance in Eastern Europe (OECD, 2013). Nowadays most countries are seeing significant population aging; Figure 1 and Figure 2 show the trends in life expectancy and fertility rates.

**Figure 1. Life expectancy at birth by sex, 1950 – 2100.**



Data source: United Nations


**Figure 2. Total fertility, 1950 – 2100.**



Data source: United Nations

Population aging trends look rather critical in the context of most effected regions and countries. According to the recent reports published by the United Nations the global population aged 60 years or over numbered 962 million in 2017 is expected to double by 2050, when it is projected to reach nearly 2.1 billion (see Figure 3).

**Figure 3. Population aged 60-79 years and aged 80 years or over by development group, 2000-2050**



Data source: United Nations

What is also very important, the number of oldest-old (persons aged 80 years or over) around the world is growing at the fastest rate and is projected to increase more than threefold between 2017 and 2050, rising from 137 million to 425 million. In 2050, older persons (60+) are expected to account for 35 percent of the population in Europe, 28 percent in Northern America, 25 percent in Latin America and the Caribbean, 24 percent in Asia, 23 percent in Oceania and 9 per cent in Africa (UN, 2017 and UN, 2022).

At the same time life expectancy at age 60 is increasing in all country groups and regions and the old-age dependency ratios will almost double by 2050 in a vast number of developed and emerging countries. If there is a higher life expectancy in the future it would definitely mean that life for most populations throughout the world will become more expensive because of increase in health and care costs at older ages. This means that ageing trend worldwide may come along with more severe and persistent poverty, as many can easily fall into poverty after they stop working.

The International Actuarial Association (2016) highlights that worldwide longevity, and particularly healthier longer lives, are greater for people in higher socioeconomic groups. This evidence suggests that poor and vulnerable elderly in developing, emerging, and developed countries will demand more financial support than today (WB, 2011; UN, 2010).

While there is a clear need to improve the position of both current and future vulnerable old-age populations through social protection contributory and non-contributory tax financed schemes, fiscal consolidation or austerity pressures in most developed, emerging and developing countries continue to jeopardize the long-term adequacy of pensions (ILO, 2017).

The ILO Social Protection Report (2017) highlights that the vast number of countries including the most developed are proposing parametric and systemic reforms aiming to achieve fiscal sustainability of their pension systems, though they lack the potential to maintain pension adequacy in the future, and if nothing is done the future beneficiaries will be less better off or simply will get poor. The report highlights that in most developed countries with comprehensive and mature systems of social protection, the main challenge with ageing populations is to maintain a good balance between financial sustainability and pension adequacy.

A number of research studies suggest that in most OECD countries future retirees will face greater financial risks. Most people are already not saving enough, and ageing makes managing their finances harder for them. For instance, in the US, while the majority of current retirees can weather shocks such as high medical bills, future retirees would be much more vulnerable to such shocks (CRR, 2018).

Not surprisingly, the situation is harder in less developed economies that are facing structural barriers linked to development, insufficient fiscal space, high levels of informality, poverty, low contributory capaci-

ty, and are still struggling to develop and finance their pension systems. It is worth mentioning that the trend related to the decline in intergenerational system of family support is becoming more and more obvious even in younger developing and emerging economies.

Most governments don't directly influence demographics. But they implement changes to welfare programs, social insurance programs, social security programs, disability insurance programs, healthcare programs, long-term and end-of-life care programs, labor and employment programs, and what is of crucial importance, they undertake measures to improve access to financial inclusion. Consequently, the main challenge for both developed and developing world is to make policy efforts to implement either effective public or private services to provide financial security in old ages for the most vulnerable workers.

Research is needed around the Eastern European and Central Asian, i.e., including post-Soviet states, to assess the effects of population aging on social protections and fiscal risks amid a context of heightened regional and global economic uncertainty and to identify ways to adapt policies to those changes. Transition economies with traditional payroll-based pension systems and sizable informal and non-standard employment need special attention.

Fiscal policy response to the causes, consequences, and social policy implications of an increase in population aging trends, migration, informal and non-standard employment in Georgia should be analyzed amid a context of heightened public exposure to fiscal risks in the Caucasus.

The Asian Development Bank (ADB) report "Fiscal Resilience and Social Protection Support Program" (2022) summarizes that while Georgia has significantly expanded its social protection provision, particularly since 2010, challenges remained. Among the most obvious challenges are those related to poverty and employment issues. High rates of poverty represented a significant challenge for Georgia in the years after independence in 1991. The country's development has been hampered by periods of political instability and conflict. Furthermore, economic growth occurred mostly in urban areas, and particularly in the capital and nearly half of Georgia's population lives in rural areas, and with limited education and training (49% of the workforce remains in sectors with low productivity such as subsistence agriculture, including substantial informal work).

Multiple analytical reports suggest that basic pension - universal old age pension has had a strong impact on reducing poverty rates since its inception and is likely to remain a powerful mechanism for old age poverty prevention. However, while playing an important role in poverty reduction, the old age social pension is not sufficient to be adequate to cover the expenditures of retirees.

According to the Georgian Statistical Agency social protection data (GeoStat, 2022) and the ADB analytical reports (ADB, 2021; 2022) there were about 800,000 receivers of the universal basic pension in 2022. Within the context of the demographic trends and the share of old age population growing, the number of recipients has been steadily increased over the years. Such a trend, along with high rates of informal labor, will put the government under the strain if it does not undergo major changes in the financing mechanism scheme to make it more viable and sustainable. The ADB reports (ADB, 2021; 2022) suggest that shrinking contribution revenues and swelling pension expenditures require that the government explores alternative measures for old age income provision, or the lives of retirees will be jeopardized, and those that are vulnerable and, hence, more prone to income shocks, will fall into extreme poverty. Multiple studies suggest that universal basic pension significantly reduces poverty rates among the elderly. Furthermore, it is obvious that the pension redistributive effect is substantial in multigenerational families and reduces child poverty significantly in Georgia.

The tax-financed basic pension - old-age pension program is the largest component of social protection expenditure, with 65% of the cumulative budgetary expenses for social welfare. Changing demographics pose significant threats to long-term fiscal sustainability in Georgia. Studies suggest that Georgia's old-age dependency ratio is expected to increase from 25.9 in 2015 (one older adult supported by four working-age adults) to 55.9 (one older adult supported by just two working-age adults). At the same time, the share of the population eligible for universal pensions under the current policy arrangements with women retiring at age 60 and men at 65 is set to increase from 21.2% in 2021 to 27.6% in 2040.

Despite the fact that the universal pension plays a significant poverty reduction role, maintaining the adequacy of the social pension system would increase the primary budget deficit by between 1.9% and 3.3% of gross domestic product (GDP) by 2069. As a result, government debt could increase up to between 88% to 122% of GDP in the same period on account of increased pension benefits. With the demographic composition steadily changing and the share of old-age population growing, financing old-age pensions solely through the government general revenues would be fiscally unsustainable. Exclusive reliance on the universal pension scheme would result in a doubling of pension expenditure by 2060, to about 10% of GDP and would amount to about a third of budget expenditure (ADB, 2022).



Increased public exposure to fiscal risks forced the government to implement measures in order to reform the pension system in Georgia. Policy options including adopting an indexation of the tax-financed basic social pension and the implementation of the pillar II mandatory contributory pension scheme was launched within the period of 2016-2018 (in combination with the existing universal old-age pension system) can provide significant support for the elderly and can potentially mitigate public exposure to high fiscal risks (Government of Georgia, 2016).

Currently, the Georgian retirement income landscape includes income from the basic noncontributory old-age pension, state compensation (pensions for civil service), the pillar II mandatory contributory pension scheme, private, voluntary defined-contribution pension schemes, and other forms of retirement income support, such as formal health care, traditional family support, home and land ownership, etc. However, the old-age pension is the largest system of public support for the elderly and is fundamental in terms of its coverage, spending, and its contribution to elderly consumption.

The basic pension, in terms of coverage, spending, and poverty reduction, is the pillar of the Georgian pension system and the largest source of public support for the elderly. It provides universal coverage for the elderly and is virtually complete. The old-age pension is a pay-as-you-go, universal, flat-rate pension financed by general budget revenues. Currently, the old-age pension is provided to all those reaching retirement age (age 65 for men and 60 for women). The pillar II mandatory contributory pension scheme is a promising one. The other components of the Georgian pension system, such as state compensation and existing voluntary pensions, have low coverage. State compensation was first introduced in 2006. It may be classified as a specific type of non-contributory public pension for civil service. State compensation is provided due to the importance of the work and services that specific workers perform for the state and civil society. State compensation aims to secure constitutional social protection for state and civil workers. State compensation provides a relatively generous retirement income.

Additionally, the voluntary pensions in Georgia are not yet developed. The Georgian voluntary private pension schemes – the third pillar – were implemented in 2007. These pension schemes in Georgia were founded by insurance companies. They were voluntary defined-contribution schemes offered by employers. The Georgian voluntary pension schemes provide unfettered access to pension savings, which are withdrawn for any purpose by their participants. The new law on “Voluntary Private Pensions” has been enacted in May 2023 and would provide more opportunities and incentives for workers to save.

Other forms of retirement income support include traditional ones. The most common source of retirement income support comes in the form of the generous access to informal traditional family support, as Georgians have a very strong sense of family and elderly care obligations. Among other sources of retirement income support are formal health care, access to individual financial assets (earnings from leasing, dividends, etc.), financial support from family members (such as remittances and gifts), and non-financial assets such as homeownership and land (Nutsubidze et al., 2017).

In order to address institutional fragilities in fiscal management and social protection in Georgia strengthening the adequacy and fiscal sustainability of social protection programs to protect the livelihoods of Georgia's aging population is of crucial importance.

The current fundamental pension policy framework that encompasses the combination of the public basic old-age social pension and the pillar II mandatory contributory pension scheme can potentially replace about 30-40 percent of working life average income for those working about forty years in their productive lives. However, not surprisingly, such a privilege is not available for those involved in informal and non-standard work, including self-employed (Nutsubidze, 2019). The statistical data available through the Georgian Pension Agency and the assumptions made, suggest that informal and non-standard workers particularly including women who currently represent about 70 percent of all retirees are the most vulnerable.

The pension reform process of the Georgian pension system should be enhanced by the measures undertaken in order to promote:

- Regular contribution payments among pension participants that include stimulating women and informal and non-standard workers, self-employed to contribute, as well as;

- The development of the III-pillar voluntary pension schemes and incentivize additional savings. Incentivizing voluntary savings, including occupational and individual savings based on defined contribution principles, stimulating participation in the labor force and enhancing participation and contribution enforcement mechanisms are becoming priority policy objectives;

- Implementing and enhancing a life-cycle approach to social protection system is a key to the betterment of the society in Georgia. The life-cycle social protection system should provide workers with adequate work-life and retirement earnings. A particular emphasis should be made on providing universal social pro-

tection for children. Additionally, skills development and job creation programs should be supported to contribute to the human capital and workforce development.

### References

1. ADB 2022. "Fiscal Resilience and Social Protection Support Program." Report documents. Available at: [www.adb.org](http://www.adb.org)
2. ADB 2021. Report and Recommendation of the President. "Fiscal Resilience and Social Protection Support Program." Available at: [www.adb.org](http://www.adb.org)
3. Geostat 2022. Social Protection indicators. National Statistical Office of Georgia. Available at: Social Protection - National Statistics Office of Georgia ([geostat.ge](http://geostat.ge))
4. Government of Georgia 2016. "Report on the Pension System Reform," prepared by the Ministry of Economy and Sustainable Development and the Ministry of Finance of Georgia.
5. IAA 2016. Pensions, Benefits, and Social Security. Available at: Home ([actuaries.org](http://actuaries.org))
6. CRR 2018. "Will the Financial Fragility of Retirees Increase?" By Steven A. Sass. Available at: Will the Financial Fragility of Retirees Increase? | Center for Retirement Research ([bc.edu](http://bc.edu))
7. ILO 2017. World Social Protection Report. Universal Social Protection to Achieve Sustainable Development Goals 2017-2019." Geneva.
8. Nutsubidze 2017. "The Challenge of Pension Reform in Georgia: Non-contributory Pensions and Elderly Poverty." International Social Security Review. Volume 70, Issue 1, pages 79-108.
9. Nutsubidze 2019. "Informal and Non-standard Employment: A Look at the Impact on Social Protection Policy," online issue. Available at: <https://crr.bc.edu/working-papers/informal-and-non-standard-employment-a-look-at-the-impact-on-social-protection-policy/>
10. OECD 2013. Coping with emigration in Baltic and East European countries. Available at: Coping with Emigration in Baltic and East European Countries | OECD iLibrary ([oecd-ilibrary.org](http://oecd-ilibrary.org))
11. OECD 2018. "Pensions at a Glance. Asia and Pacific." Publishing OECD, Paris, France. Available at: [www.oecd.org](http://www.oecd.org)
12. UN 2017. "World Population Aging Report". Available at: [http://www.un.org/en/development/desa/population/publications/pdf/ageing/WPA2017\\_Highlights.pdf](http://www.un.org/en/development/desa/population/publications/pdf/ageing/WPA2017_Highlights.pdf)
13. UN 2010. "World Population Ageing", Department of Economic and Social Affairs, Population Division. Available at: World Population Ageing 2009 | Latest Major Publications - United Nations Department of Economic and Social Affairs
14. UN 2022. World Population Prospects 2022. Available at: World Population Prospects - Population Division - United Nations
15. WB 2009. "Is Latin America: Ready for an Aging Revolution?" Available at: Latin America: Ready for an Aging Revolution? ([worldbank.org](http://worldbank.org)).

*ნინო ჟორჟიკაშვილი*

### მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტრუმენტის - სტრეს-ტესტის გამოყენება საბანკო-საფინანსო სექტორში

*ანოტაცია.* ფინანსური სტაბილურობის მიღწევა ნებისმიერი ქვეყნის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს განსაკუთრებით კი, 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის შემდგომ. ჯანსაღი ფინანსური სისტემა ქმნის პირობას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური მიზნების მისაღწევად, აქედან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფინანსური კრიზისის გამომწვევი სისტემური რისკების იდენტიფიცირებას, მათ მიტიგაციას და აღმოფხვრას. 2008 წლის გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ წამოჭრა საკითხი მაკროპრუდენციული პოლიტიკის უფრო აქტიურად გამოყენების თაობაზე, კერძოდ კი აღნიშნული გულისხმობს საბანკო-საფინანსო სექტორის სტრეს-ტესტის ეფექტურ გამოყენებას, რომელიც წარმოადგენს სიმულაციურ მოდელს და რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მომავალში შოკის წყაროს იდენტიფიცირება და მისი თავიდან აცილება, შეძლებისდაგვარად.

*საკვანძო სიტყვები:* მაკროპრუდენციული პოლიტიკა, სისტემური რისკები, სტრეს-ტესტი.

## სტრეს-ტესტის გამოყენება საბანკო-საფინანსო სფეროში

საბანკო სექტორის სტრეს-ტესტი არის სიმულაციური მოდელი, რომელიც ეყრდნობა საბანკო ინსტიტუტების ბალანსის საფუძველზე მათი მდგომარეობის შეფასებას. დიდი ზომის ბანკებმა აღნიშნული პრაქტიკის გამოყენება ჯერ კიდევ XX საუკუნის 90-იან წლებში დაიწყეს. ამ პერიოდისათვის სტრეს-ტესტირება ტარდებოდა ცალკეული ფირმის შიგნით, თავიანთ საკუთარ მოდელებზე დაყრდნობით და პრაქტიკაში არ იყო დამკვიდრებული მთელი საფინანსო სექტორის დონეზე ფინანსური სტაბილურობის შეფასება. სტრეს-ტესტირება ეფუძნებოდა ისტორიულ დამოკიდებულებებს ცვლადებს შორის, იგულისხმება რომ რისკის წყარო ცნობილია და წარსულში არსებული ტენდენციები შენარჩუნდება მომავალშიც, თუმცა ბოლო წლებში მაკროპრუდენციული პოლიტიკის სრულყოფასა და განვითარებასთან ერთად, გამოვლინდა აღნიშნული მიდგომის სისუსტე. დროის მსვლელობასთან ერთად იცვლება შოკის მახასიათებლები და შესაბამისად იცვლება ეკონომიკური მაჩვენებლების ქცევა, ამიტომ საჭიროა წინმსწრები ინდიკატორების აქტიური გამოყენება, რათა შესაძლებელი გახდეს მომავალში შოკის წყაროს იდენტიფიცირება და შეძლებისდაგვარად მისი თავიდან აცილება.

1999 წელს სსფ-სა და მსოფლიო ბანკის თაოსნობით განხორციელდა ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამა (FSAP)<sup>41</sup>, სადაც ხაზგასმული იყო ფინანსური ფრიქციების უარყოფითი გავლენა რეალურ სექტორზე.

2004 წელს (BIS, 2005:3) ბაზელის კომიტეტმა გამოსცა რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებდა საკრედიტო რისკის სტრეს-ტესტირების ჩატარებას ყველა ბანკის დონეზე. რეგულაცია ავალდებულებდა ბანკებს, აეგოთ საკუთარი სიმულაციური მოდელები კაპიტალის ადეკვატურობის, პორტფელის მდგრადობისა და საკრედიტო რისკის შესაფასებლად.

2007-2009 წლების გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა გამოკვეთა სტრეს-ტესტირების მწირი და არაადამაკმაყოფილებელი პრაქტიკა და სიძნელები ბანკის რისკ-მენეჯმენტში. საჭირო გახდა მიდგომის შეცვლა, რაც გულისხმობდა სტრეს-ტესტირების პრაქტიკის დახვეწას და მის სავალდებულო განხორციელებას თითოეული ბანკის დონეზე.

აშშ-ის საბანკო სისტემა იყენებს CLASS (Capital and Loss Assessment under Stress Scenarios) მოდელს, რომელიც განეკუთვნება “top-down” ტიპის სტრეს-ტესტს<sup>42</sup>. აღნიშნული მოდელი ეყრდნობა რეგრესიულ განტოლებათა სისტემის შეფასებას და მაკროეკონომიკური და ფინანსური გარემოს შესახებ არსებულ ინფორმაციას, რომელიც მხედველობაში იღებს ბანკის შემოსავლებს, დანახარჯებს, სასესხო პორტფელს, დივიდენდებსა და სხვა მაჩვენებლებს. მისი დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ საკმაოდ სწრაფად ხდება ფინანსური სექტორის შესახებ ალტერნატიული მოდელების აგება, თუმცა მის ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ახდენს ფირმებს შორის განსხვავების იგნორირებას. აქედან გამომდინარე, აგრეგირებული მონაცემების შემთხვევაში მიიღება საკმაოდ ზუსტი პროგნოზი, თუმცა ცალკეული ფინანსური ინსტიტუტის დონეზე შედეგები შეიძლება არაადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდეს. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად ფედერალური სარეზერვო სისტემა ავალდებულებს თითოეულ ფინანსურ ინსტიტუტს, განახორციელონ იდიოსინკრატული (დამახასიათებელი) სტრეს-ტესტირება. რადგანაც აღნიშნული ინსტიტუტები განსხვავდებიან ბევრი მახასიათებლით, ამიტომაც საჭირო ხდება თითოეული ფირმის დონეზე ფინანსური მდგრადობის შეფასებისადმი სპეციფიკური მიდგომა. იდიოსინკრატულ სცენარებში თითოეულმა ფინანსურმა ინსტიტუტმა უნდა გაითვალისწინოს საკუთარი შოკის წყარო და განსაზღვროს შოკის მოხდენის პირობებში ლიკვიდობისა და კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებლები. CCAR ანგარიშის წარდგენა ხდება წელიწადში 2-ჯერ: იანვარსა და ივლისში.

<sup>41</sup>ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამა (FSAP) ითვალისწინებს ფინანსური სექტორის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას სისტემურ რისკებთან მიმართებით.

<sup>42</sup>“top-down” ტიპის სტრეს-ტესტი-ეროვნული ბანკის მიდგომა, რომელიც გამოიყენება ბანკების საბალანსო უწყისის მოდელირებისა და კაპიტალის ადეკვატურობაზე მოქმედი რისკ-სცენარების შესაფასებლად.



**გრაფ. 1. სტრეს-ტესტირების პრაქტიკის ევოლუცია**

წყარო: Bank of England, “stress-testing of banks”, 2016:133

მაკროპრუდენციულ პოლიტიკაში სტრეს-ტესტირება გულისხმობს მთლიანად ფინანსური სექტორის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას და მისი მდგომარეობის წინასწარ განსაზღვრას სიმულაციური მოდელის საფუძველზე ენდოგენური და ეგზოგენური შოკების გათვალისწინებით (International Monetary Fund, 2015:8).

ეს რთული ამოცანაა, რადგან ფინანსური სექტორი უამრავი ფირმისა და ორგანიზაციისგან შედგება, რომლებიც განსხვავდებიან მახასიათებლებით. ამიტომ სიტუაციის სწორად გაანალიზებისათვის საჭიროა ზუსტ მონაცემთა ბაზა და მძლავრი საზედამხედველო პოლიტიკა. სტრეს-სტესტირება ძალზე ღირებულია პოლიტიკის გამტარებელთათვის, რადგანაც აქვს პოტენციალი შესთავაზოს მათ რაოდენობრივი, ხარისხობრივი, მომავალზე ორიენტირებული მიდგომა როგორც ცალკეული, ისე მთლიანად საფინანსო სექტორის შეფასების მხრივ და დახმარება გაუწიოს პოლიტიკის გამტარებელს სწორი მაკროპრუდენციული ინსტრუმენტის შერჩევასა და დაკალიბრებაში.

ამ ინსტრუმენტის გამოყენებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროით ჰორიზონტს. ერთი მხრივ, ტესტმა, რომელიც გათვლილია დროის მოკლე პერიოდზე, შეიძლება ვერ შეძლოს იმ შოკების გამოვლენა, რომლებიც დროში თანდათან და შეუმჩნეველად ვითარდება. მეორე მხრივ, დროში გაწელვა ამ ინსტრუმენტის გამოყენებისას, ამცირებს აღნიშნული პოლიტიკისადმი ნდობას საზოგადოების მხრიდან. მრავალ ქვეყანაზე დაკვირვების შედეგად, ბაზელის კომიტეტი აღნიშნავს, რომ უმრავლესობა სტრეს-ტესტის ჩატარებისას იყენებს ძირითადად 3-წლიან პერიოდს და მხოლოდ ქვეყნების მცირე რაოდენობა მიმართავს 4-5-წლიან პერიოდს შეფასებისათვის (BIS, 2017:7)

მნიშვნელოვანია შოკების განსაზღვრა და მათი შეფასება, რომელიც რამდენიმე სუბ-ეტაპისაგან შედგება. თავდაპირველად ხდება შოკის განსაზღვრა, იდენტიფიკაცია, შემდეგ მისი დაკალიბრება (ზომისა და სხვა რიცხობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით), ბოლო ეტაპზე კი – უშუალოდ მისი განხორციელება და შედეგების შეფასება. შოკის ზომის განხილვისას გამოიყენება ისტორიული მეთოდი, რადგან წარსული გამოცდილების საფუძველზე განიხილება უკვე მომხდარი შოკების გამოვლენის ფორმები და შედეგები. ფინანსური რისკების „ზომის“ განსაზღვრისათვის მიმართავენ კერძო სექტორის, ფინანსური ინსტიტუტებისა და ერთობლივი მოთხოვნის მონაცემებს.

შოკის შედეგების შეფასება. ამ ეტაპზე ხდება თითოეული შოკის გავლენის შეფასება ფინანსური სისტემის მდომარეობაზე და დანაკარგების გამოსახვა რიცხვით მაჩვენებლებში. აქ განიხილება ეკონომიკის რეალური სექტორის მაჩვენებლების კორელაცია ფინანსური სექტორის მაჩვენებლებთან და მათი ურთიერთგავლენის ხარისხი. შოკის შედეგის შეფასების 2 გზა

არსებობს: 1) განიხილება კონკრეტული შოკი სხვა შოკებისაგან იზოლირებულად და ხდება მისი გავლენის შეფასება ფინანსურ სტაბილურობაზე, 2) განიხილება ერთდროულად შოკის სხვადასხვა წყარო და მათი ერთობლივი გავლენა ფინანსურ მდგომარეობაზე, ე. ი. შოკები აიღება აგრეგირებულად.

პოლიტიკის შემუშავება და რეგულაციები. ამ ეტაპზე პოლიტიკის გამტარებლები აანალიზებენ სიმულაციური მოდელის შედეგებს და მათზე დაყრდნობით იღებენ საჭირო ზომებს, რათა ხელი შეუწყონ ფინანსური სტაბილურობის ზრდას და შოკების შედეგების მინიმიზაციას. ბაზელის კომიტეტის შეფასების თანახმად, ქვეყნების უმრავლესობა ყოველწლიურად ახდენს სტრეს-ტესტის ჩარჩოს გადახედვას, გარდა ამისა დიდი მნიშვნელობა ენიჭება შიდა აუდიტს, რომელიც მოიცავს სტრეს-ტესტირების პროგრამის მთავარ ელემენტებს. რაც შეეხება სტრეს-ტესტის მეთოდოლოგიას, ყველა საბანკო დაწესებულება ითვალისწინებს უარყოფით შოკებს სცენარის აგებისას, ხოლო ბანკების 2/3 მხედველობაში იღებს ასევე სექტორებისა და ინდუსტრიების სპეციფიკით გამოწვეულ შოკებს (BIS, 2017:8).

წარმატებული სტრეს-ტესტირების პროგრამა ითვალისწინებს მრავალგვარი სცენარების აგებას, მათ შორის სცენარების, რომელიც მომავლის ტენდენციებს შეაფასებს და გაითვალისწინებს გლობალურ მაკროფინანსურ კავშირებს, მომავალი შოკის შესაძლო წყაროების შეფასება კი ემყარება ექსპერტთა განსჯას და მოითხოვს მათი კომპეტენციის ძალიან მაღალ დონეს საკვლევ სფეროში.

## დასკვნა

ეკონომიკური გარემოს სიჯანსაღე დიდწილად არის დამოკიდებული საბანკო-საფინანსო სფეროში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე. გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საბანკო-საფინანსო სფეროში შოკების შესაძლო წყაროების განსაზღვრას და მათ იდენტიფიცირებას, რაც გლობალურ დონეზე ახდენს გავლენას. აღნიშნული მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საბანკო-საფინანსო სექტორის სტრეს-ტესტირებას. წარმატებული სტრეს-ტესტირების პროგრამა ითვალისწინებს მრავალგვარი სცენარების აგებას, მათ შორის ისეთის, რომელიც მომავლის ტენდენციებს შეაფასებს და გაითვალისწინებს გლობალურ მაკროფინანსურ კავშირებს. მომავალი შოკის შესაძლო წყაროების შეფასება კი ემყარება ექსპერტთა განსჯას და მოითხოვს მათი კომპეტენციის ძალიან მაღალ დონეს საკვლევ სფეროში, რაც საბოლოო ჯამში ეკონომიკური და ფინანსური სექტორების სტაბილურობის გარანტიას იძლევა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეროვნული ბანკი (2017). კაპიტალის დამატებითი ბუფერის მოთხოვნა სისტემური ბანკებისათვის, 23.
2. Bank of England,(2016). stress-testing of banks,133.
3. Basel Committee on Banking Supervision, (2005). Supervisory and bank stress testing: range of practices, 3.
4. Basel Committee on Banking Supervision, (2017). Supervisory and bank stress testing: range of practices, 7.
5. International Monetary Fund, (2015). Stress Testing the Banking Sector-Technical Note Report No. 15/7, 8.

*Nino Zhorzhikashvili*

## USING A MACROPRUDENTIAL POLICY INSTRUMENT - STRESS-TESTING IN THE BANKING-FINANCIAL SECTOR

### Abstract

Achieving financial stability is a major challenge for any country, especially in the wake of the 2008 global financial crisis. A sound financial system creates the conditions for the economic development and

economic goals of the country, therefore it is very important to identify the systemic risks causing the financial crisis and eliminate them. The 2008 global financial crisis once again raised the issue of more active use of macroprudential policies, in particular, this involves the effective use of the stress-test of the banking and financial sector, which is a simulation model and on the basis of which the future shock source can be identified and prevented, as far as possible.

**Keywords:** *Macroprudential policy, systemic risks, stress-testing.*

დალი სოლოლაშვილი  
თეა უდესიანი  
თათია უდესიანი

### აღრიცხვა-ანგარიშების გამოწვევები ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის

**ანოტაცია.** სტატიაში განხილულია აღრიცხვა-ანგარიშების წინაშე არსებული გამოწვევა, რომელიც კორპორაციული მდგრადობის ანგარიშების დირექტივის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს. კორპორაციული მდგრადობის ანგარიშება მიზნად ისახავს მწვანე ეკონომიკის გაძლიერებას, რომლის თანახმად ევროკავშირის წევრი ქვეყნების საწარმოები ვალდებული არიან კორპორაციული მდგრადობის ანგარიშება მოამზადონ შესაბამისი სტანდარტის გამოყენებით. საქართველოს ინტერესი ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ დღის წესრიგში აყენებს აღნიშნული დირექტივის მოთხოვნების გათვალისწინებას შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელ დოკუმენტებში.

**საკვანძო სიტყვები:** გლობალური მდგრადობა, მდგრადობასთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები, კლიმატთან დაკავშირებით გასამყლავებელი ინფორმაცია.

### შესავალი

მე-20 საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან კაცობრიობა ახალი გამოწვევის წინაშე დადგა, რაც დაკავშირებული იყო ბუნებრივი რესურსების ამოწურვისა და ბუნების კვლავწარმოების პროცესების დარღვევის პრობლემებთან. ამკარა გახდა, რომ ეკონომიკური ზრდის არსებული ტემპებისა და ტექნოლოგიების შენარჩუნების შემთხვევაში კაცობრიობას კატასტროფა დაემუქრებოდა. სწორედ ამ მიზნით, გაეროს წევრი ქვეყნების ერთობლივი შეთანხმებით, შემუშავდა კონცეფცია, რომლის თანახმად ეკონომიკის შემდგომი განვითარება უნდა გაგრძელდეს საზოგადოებასა და ბუნებას შორის ნივთიერებათა და ენერჯის რაციონალური გაცვლის გზით.

ამის საფუძველზე ჩამოყალიბება დაიწყო მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური

განვითარების თეორიამ, რომელიც 21-ე საუკუნეში უფრო აქტუალური გახდა და მიზნად ისახავს საზოგადოების განვითარების ჰარმონიული, ეკონომიკურ-ეკოლოგიური პროცესების მართვის მოგვარებას. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებით დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება და ამ მიმართულებებით ახალი გზებისა და შესაძლებლობების ძიება. ერთ-ერთ ასეთ მიმართულებას წარმოადგენს აღრიცხვა-ანგარიშების შესაძლებლობების პოზიტიური ზეგავლენის გააქტიურება-გაძლიერება ქვეყნის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მისაღწევად. დღის წესრიგში დადგა ეკონომიკური სუბიექტების მიერ გლობალური მდგრადობის ანგარიშების საკითხი.

გლობალური მდგრადობის სტანდარტების საბჭოს (GSSB) მიერ შემუშავებულია 2023-2025 წლების სამუშაო პროგრამა, ევროკავშირის მიერ კი — კორპორაციული მდგრადობის ანგარიშების დირექტივა (CSRD).

ეკონომიკური მდგრადი განვითარების თანამედროვე ტენდენციები სულ უფრო და უფრო გლობალურ ხასიათს ღებულობს, ამ პროცესში რეალურად ერთვება მეტი და მეტი სახელმწიფო. მსოფლიო ორგანიზაციების გადაწყვეტილებები ამ მიმართულებით ნებაყოფილებით სავალდებულო ხდება ყველა ქვეყნისათვის.

მდგრადი განვითარების თანამედროვე ტენდენციებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ეკონომიკური სუბიექტების მიერ მდგრადი განვითარების პრობლემათა აღიარება, რაც განპირობებულია პირადი ინტერესებით და სახელმწიფოს ეკოლოგიური პოლიტიკით.

გლობალური მდგრადობის სტანდარტების საბჭოს (GSSB) მიერ შემუშავდა 2023-2025 წლების სამუშაო პროგრამა, ევროკავშირის მიერ კი — კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივა (CSRD), რომელიც 2023 წლის 5 იანვრიდან შევიდა ძალაში ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის. აღნიშნულმა დირექტივამ აქამდე არსებული არაფინანსური ანგარიშგების დირექტივა ჩაანაცვლა განახლებული რედაქციითა და მოთხოვნებით. საწარმოებისთვის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების მომზადება შესაბამისი სტანდარტის გამოყენებით სავალდებულო გახდება 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელსაც ადგილობრივ უწყებებს წარუდგენენ 2025 წლიდან.

როგორც ცნობილია, ახალი მოთხოვნები შეეხება ევროკავშირის მასშტაბით არსებულ 50 000-მდე საწარმოს. კერძოდ კი, CSRD-ის თანახმად, იმ კომპანიებმა, თუ ისინი:

1. წარმოადგენენ ევროკავშირის „დიდ“ საწარმოებს და სდპ-ებს (მათ შორის, ბანკებს, სადაზღვეო კომპანიებს, ანგარიშვალდებულ საწარმოებს, რომელთა ფასიანი ქაღალდები საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებულია, და ადგილობრივი უწყებების მიერ სდპ-ად განსაზღვრულ საწარმოებს);

2. არიან ევროკავშირის რეგულირებად ბაზარზე კოტირებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოები (SMEs) (გარდა მიკროსაწარმოებისა);

3. ან არიან ევროკავშირის არაწევრი საწარმოები, თუმცა ევროკავშირის ფარგლებში ფლობენ ფილიალს ან შვილობილ კომპანიას.

კომპანიებს, რომლებზეც დირექტივა ვრცელდება, მოეთხოვებათ ინფორმაციის გამჟღავნება იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს მათ წინაშე არსებულ რისკებსა და გამოწვევებზე გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები. გარდა ამისა, მათ ასევე უნდა გაამჟღავნონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ზეგავლენას ახდენს ბიზნესმოდელი ადამიანებსა და გარემოზე.

ახალი დირექტივის მიხედვით, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების მომზადება სავალდებულო გახდება შესაბამისი სტანდარტის გამოყენებით. სწორედ ამიტომ, მდგრადი განვითარების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ISSB) კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების ორი საერთაშორისო სტანდარტი შეიმუშავა და განსახილველად გამოსცა 2022 წელს, ხოლო განხილვის შემდგომ 2023 წლის ივნისში გამოსცა თავისი პირველი ორი IFRS® მდგრადობის გამჟღავნების სტანდარტი:

- ფასს მ1 (IFRS S1 ), კორპორაციული მდგრადი განვითარების შესახებ ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების საერთო მოთხოვნები;

- ფასს მ2 (IFRS S2), კლიმატთან დაკავშირებით გასამჟღავნებელი ინფორმაცია.

ფასს მ1-ის მიზანია მოეთხოვოს კომპანიებს გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ, რომელიც სასარგებლოა ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის საწარმოსთვის რესურსების მიწოდებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას.

ფასს მ1 მოითხოვს კომპანიებისაგან, გაამჟღავნოს ინფორმაცია მდგრადობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც გონივრულად მოსალოდნელია, რომ გავლენას მოახდენს ერთეულის ფულადი სახსრების ნაკადებზე, მის

ხელმისაწვდომობაზე, დაფინანსებაზე ან კაპიტალის ღირებულებაზე მოკლე, საშუალო ან გრძელვადიან პერსპექტივაში.

ფასს მ1 განსაზღვრავს, თუ როგორ ამზადებს და აცნობებს ეკონომიკური სუბიექტი მდგრადობასთან დაკავშირებულ ფინანსურ ინფორმაციას. იგი აყალიბებს ზოგად მოთხოვნებს ამ ინფორმაციის შინაარსისა და პრეზენტაციისთვის, რათა გამჟღავნებული ინფორმაცია სასარგებლო იყოს მომხმარებლებისთვის ერთეულისთვის რესურსების მიწოდებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას.

ფასს მ1 ადგენს მოთხოვნებს საწარმოს მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების, შესაძლებლობებისა და ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ. კერძოდ, კომპანიებს მოეთხოვება წარმოადგინოს ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშების მომხმარებელს საშუალებას აძლევს გაიგოს:

- მმართველობითი პროცესები, კონტროლი და პროცედურები, რომლებსაც კომპანია იყენებს მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების მონიტორინგის, მართვისა და ზედამხედველობის მიზნით;

- კომპანიის სტრატეგია მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების მართვისთვის;

- პროცესებს, რომლებსაც კომპანია იყენებს მდგრადობასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებისთვის, შესაფასებლად, პრიორიტეტიზაციისა და მონიტორინგისთვის;

- კომპანიის საქმიანობა მდგრადობასთან დაკავშირებულ რისკებთან და შესაძლებლობებთან დაკავშირებით, მათ შორის პროგრესი ნებისმიერი მიზნისკენ, რომელიც სუბიექტმა დააწესა ან უნდა დაიცვას კანონით ან რეგულაციებით.

აღნიშნული სტანდარტების მეშვეობით, ინვესტორებს კომპანიის ღირებულების შეფასებისთვის საჭირო, უფრო სრულყოფილი, სანდო და შესაძარისი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა ექნებათ, ხოლო ბიზნეს მოდელის შეფასებისა და განვითარებისთვის ისინი უფრო ყოვლისმომცველ სურათს მიიღებენ.

ფასს მ2-ის მიზანია მოსთხოვოს კომპანიებს, გაამჟღავნონ ინფორმაცია კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ, რომელიც სასარგებლოა ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის საწარმოზე რესურსების მიწოდებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას.

ფასს მ2 — კლიმატთან დაკავშირებით გასამჟღავნებელი ინფორმაცია, მოითხოვს ეკონომიკური სუბიექტისგან, გაამჟღავნოს ინფორმაცია კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც გონივრულად მოსალოდნელია, რომ გავლენას მოახდენს ერთეულის ფულადი სახსრების ნაკადებზე, მის ხელმისაწვდომობას ფინანსებზე ან კაპიტალის ღირებულებაზე მოკლე, საშუალო ან გრძელვადიან პერსპექტივაში.

ამრიგად, იგი კომპანიას ავალდებულებს, ინფორმაციის გამჟღავნებისას ყურადღება გაამახვილოს საწარმოს მართვაზე, მის სტრატეგიასა და რისკების მართვაზე, ასევე იმ მაჩვენებლებსა და მიზნებზე, რომლებსაც იგი იყენებს კლიმატთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკებისა და შესაძლებლობების შესაფასებლად, მონიტორინგის განსახორციელებლად და სამართავად. შემოთავაზებული სტანდარტი მოიცავს მოთხოვნას, რომლის მიხედვით კომპანიებმა უნდა გაამჟღავნონ ინფორმაცია კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული ფიზიკური და გადასვლის რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ.

**ფიზიკური რისკები** — მწვავე ფიზიკური რისკები შეიძლება მოიცავდეს ისეთ ბუნებრივ კატაკლიზმებს, როგორცაა, მაგალითად, ციკლონები და წყალდიდობები, რომლებიც კომპანიის აქტივებს რისკის ქვეშ აყენებს ან არღვევს მისი მიწოდების ჯაჭვს (მაგალითად

„ზუსტ ვადაში“ მიწოდების პროცესის დარღვევა). ქრონიკულ ფიზიკურ რისკებს განეკუთვნება ზღვის დონის ან საშუალო ტემპერატურის მატება. კლიმატის ამგვარმა ცვლილებებმა შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის სტრატეგიაზე, მაგალითად, კომპანიას



შეიძლება დასჭირდეს საწარმოო ობიექტების ადგილმდებარეობის შეცვლის საკითხის განხილვა.

**გადასვლის რისკები** — რისკები, რომლებიც დაკავშირებულია დაბალნახშირბადიან ეკონომიკაზე კომპანიის გადასვლასთან. გადასვლის რისკებს განეკუთვნება პოლიტიკური ან სამართლებრივი, საბაზრო, ტექნოლოგიური და რეპუტაციის რისკები. საბაზრო რისკის მაგალითია შემცირებული მოთხოვნა ნახშირბადის მაღალი შემცველობის მქონე პროდუქტებზე. სამართლებრივი რისკი არის მარეგულირებელი ქმედება, რომელიც კომპანიის პროდუქტების გაყიდვას კრძალავს, მაგალითად, გაზის წყლის გამაცხელებლების ან დიზელის საწვავზე მომუშავე ავტომობილების. ტექნოლოგიური რისკი ან შესაძლებლობა შეიძლება იყოს დიზელის საწვავზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებების შემცვლელი, უფრო დაბალი დონის გამონახობის მქონე ტრანსპორტით.

ფასს მ2-ის თანახმად კომპანიებს მოეთხოვება წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშების მომხმარებლებს საშუალებას აძლევს გაიგონ:

ა. მმართველობითი პროცესები, კონტროლი და პროცედურები, რომლებსაც ეკონომიკური სუბიექტი იყენებს კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების მონიტორინგის, მართვისა და ზედამხედველობის მიზნით;

ბ. ეკონომიკური სუბიექტის სტრატეგია კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების მართვისთვის;

გ. პროცესებს, რომლებსაც ეკონომიკური სუბიექტი იყენებს კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირებისთვის, შეფასებისთვის, პრიორიტეტიზაციისა და მონიტორინგისთვის, მათ შორის არის თუ არა და როგორ არის ეს პროცესები ინტეგრირებული და აცნობებს ორგანიზაციის რისკების მართვის მთლიან პროცესს;

დ. სუბიექტის შესრულება კლიმატთან დაკავშირებულ რისკებთან და შესაძლებლობებთან მიმართებით, მათ შორის პროგრესი კლიმატთან დაკავშირებული ნებისმიერი დასახული მიზნისკენ და ნებისმიერი მიზანი, რომელთა შესრულებაც კანონით ან რეგულაციებით არის მოთხოვნილი.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს საქართველოს ჩართულობის ზრდას ევროკავშირის სტრატეგიებში, პროგრამებსა და ორგანიზაციებში; ასოცირების შეთანხმების თანახმად, მხარეები თავიანთ ურთიერთობებს ააგებენ და გააძლიერებენ მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით.

ამდენად, გლობალური ბიზნესის გამოწვევები პირდაპირ უკავშირდება ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების წარმოებისა და წარდგენის წინაშე არსებულ გლობალურ გამოწვევებს, რაც ამ ეტაპზე ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივის მიღებით არის გამოწვეული.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რამაზ. მდგრადი განვითარების თანამედროვე გლობალური ტენდენციები და პრობლემები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ-კონფერენციის მასალების კრებული. 2017 წ.

2. ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს, ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. 27.06.2014 წ. იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>

3. კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტი. იხ. <https://saras.gov.ge/ka/News/GetNewsImage/2576>

4. მდგრადი განვითარება, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. იხ. <https://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=43>

5. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“; იხ. [https://www.gov.ge/files/382\\_42949\\_233871\\_400-1.pdf](https://www.gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf)

6. IFRS S1 General Requirements for Disclosure of Sustainability-related Financial Information. <https://www.ifrs.org/issued-standards/ifrs-sustainability-standards-navigator/ifrs-s1-general-requirements/>

7. Corporate sustainability reporting- ob. [https://finance.ec.europa.eu/capital-markets-union-and-financial-markets/company-reporting-and-auditing/company-reporting/corporate-sustainability-reporting\\_en](https://finance.ec.europa.eu/capital-markets-union-and-financial-markets/company-reporting-and-auditing/company-reporting/corporate-sustainability-reporting_en)

*Dali Sologhashvili  
Tea Udesiani  
Tatia Udesiani*

## **THE CHALLENGES OF ACCOUNTING-REPORTING FOR THE SUSTAINABLE DEVELOPMENT OF AN ECONOMY**

### **Abstract**

The article discusses the challenge of accounting-reporting arising from the requirements of the Corporate Sustainability Reporting Directive. Corporate sustainability reporting aims to strengthen the green economy, according to which the enterprises of the EU member states are obliged to prepare corporate sustainability reporting using the relevant standard. Georgia's interest in joining the European Union puts the requirements of the mentioned directive in the relevant legislative and regulatory documents.

**Keywords:** *global sustainability, sustainability risks and opportunities, climate disclosure.*

*Beka Patsatsia  
Nino Kharebava*

## **INSTITUTIONAL AND ORGANIZATIONAL ASPECTS OF PUBLIC PROCUREMENT IN GEORGIA**

**Abstract.** *This article provides a thorough analysis of Georgia's public procurement legal and institutional framework, focusing on its historical development and the need for reform. The primary goal is to analyze the legal and institutional framework of public procurement in Georgia and its evolution over time, and to identify its gaps and weaknesses. The author highlights the pivotal role of public procurement in shaping Georgia's economy by allocating public funds, stimulating industrial growth, and fostering entrepreneurship. The article delves into the essential components of the public procurement system, including legal foundations, oversight mechanisms, procurement methods. It emphasizes the significance of a robust institutional environment for effective resource allocation and regulation in the public procurement sphere.*

*The research identifies a continuous reform process aimed at aligning Georgia's public procurement regulations with global standards. The author underscores the vital role played by the State Audit Service (SAS) in promoting good governance and combatting corruption through objective assessments and recommendations. The article concludes by emphasizing the ongoing need for reforms, focusing on simplifying regulations, fostering competition, and enhancing transparency in public procurement. These reforms are vital for bolstering economic growth and stability in Georgia.*

**Key Words:** *Public Procurement, Institutional Framework, Electronic Procurement System, Tendering Process*

The public procurement system influences the real economy by allocating public funds. This has an impact on the industrial sector's development, which in turn fosters entrepreneurship and economic growth in the nation. The institutional environment consists of the social and legal norms that underpin the state's roles in allocating and regulating resources. It also imposes legislative constraints on the economic agents who participate in the exchange process.

The public procurement system consists of several essential components that define the rules and framework for the procurement process. These components comprise the legal and normative foundation, oversight bodies and mechanisms, procurement modes and steps, anti-corruption strategies, and conflict of interest policies. The legal and normative foundation sets the legal basis and standards for procurement operations, while oversight bodies monitor adherence to regulations and deter malpractice. Procurement modes and steps specify the procedures involved in the procurement process. Anti-corruption strategies and conflict of interest policies aim to ensure honesty and objectivity in procurement choices. These components collectively enhance openness, responsibility, and equity in public procurement, protecting against corruption and conflicts of interest.

The development of the institutional framework of public procurement in Georgia has been a crucial aspect of the country's public financial management reforms. Over the past decade, Georgia has made significant strides in establishing and enhancing the rules, systems, and capacities governing public procurement. Notably, the adoption of comprehensive legislation, the implementation of an electronic procurement system, and the establishment of an independent State Procurement Agency have been key achievements. These efforts have garnered international recognition for Georgia's public procurement system. Based on actuality of the issue, the main goal of the research is to describe and analyze the legal and institutional framework of public procurement in Georgia and its evolution over time. To identify gaps and weaknesses in the legal framework, legal analysis was used, examining the laws, regulations, and policies that govern public procurement in a given context and assessing their coherence, consistency, and compliance with international standards and best practices. An institutional analysis was also conducted to study the institutions and participants involved in the public procurement process.

*Legislative and Normative Foundations of Public Procurement in Georgia.* The public procurement system in Georgia has experienced a rapid and continuous reform process, as demonstrated by the annual enhancement of the legal framework that is still ongoing. The current public procurement system is an advanced instrument that seeks to achieve transparency, efficiency and competitiveness in the procurement operations.

Public procurement regulated by the Constitution of Georgia, the Criminal Code of Georgia, the Administrative Offences Code of Georgia, the Law of Georgia on Public Procurement, the Law on Public Partnerships, the Law on State Secrets, Resolutions of the Government of Georgia on Public Procurement and various normative acts.

The Georgian Parliament enacted the Law on Public Procurement in 1998, but the legal framework has undergone several amendments over the years with the assistance of international organizations, such as the World Bank, the United Nations, and the European Union.

The first law on public procurement, enacted in 1998, defined the coordination, rights, duties, and methods of procurement activities under the Ministry of Economy. The law was amended in 2001 to align with international legislation, creating the State Procurement Agency (SPA) as the coordinator and regulator of procurement. The law was further revised in 1998-2005 to include the requirement of an annual procurement plan and the concept of conflict of interest and its avoidance rules. However, some researchers noted that the law could not be properly implemented due to the high level of corruption in the public sector that undermined public trust (Gaprindashvili, 2015). A new law on public procurement was adopted in 2005, replacing the 1998 version. The new law abolished the 15% preferential benefits for Georgian applicants (Article 13) and equalized Georgian and foreign citizens, creating a more competitive environment. It also established a separate procedure for handling procurement disputes, although the creation of the dispute resolution council as an independent body occurred only in 2009.

Until 2009, the SPA was the main body responsible for monitoring public procurement under the Ministry of Economic Development of Georgia. Monitoring was organized through a reporting system that included procurement reports. The 2009 amendment of the procurement law enabled the Control Chamber of Georgia to audit procurements through the organization audit (Article 22<sup>1</sup>), and this right was transferred to the State Audit Service in 2012.

The 2010 reforms of state procurement, supported by the World Bank, established the foundation for the modern stage of state procurement in Georgia. The Georgian Procurement Agency created and implemented a mandatory 100% electronic procurement system within one year, which facilitated the adoption of international procurement principles in Georgia. The process involved relevant legislative changes, such as the approval of the temporary rule "On the implementation of public procurement by electronic means" and the amendment of the law "On public procurement" to register electronic tender procedures in the unified electronic system. As a result, after one year, the government had 10,000 registered users and saved 160 million Lari (Gaprindashvili, 2015).

In 2021, Georgia amended the "Law on Public Procurement" on the basis of the 2014 Association Agreement with the European Union and the European Atomic Energy Community, thereby confirming its readiness to implement EU standards and practices in public procurement. These changes aimed to introduce some elements of the European Parliament's directives on the procedures for handling disputes related to public contracts into the legislation of Georgia. As a result of the reforms, the goals and functions of the State Procurement Dispute Resolution Council were enshrined in the legislation on public procurement.

The new law on public procurement in Georgia, which was adopted in 2023, introduces several novelties and changes to the previous legal framework. The new law aims to harmonize Georgia's public procurement legislation with the EU directives and standards. Among the changes made, it is worth highlighting

the enhancement of the role of the State Procurement Agency, the clear definition of the functions and independence of the body, which was not done in the previous laws. The law strengthened the mechanism for preventing and resolving conflicts, prescribed a code of ethics for procurement officials. The criteria for selecting the most economically advantageous contract have been changed, which, unlike the previous law, in addition to price and quality, also consider other factors, such as social, environmental, life cycle, innovation.

The inclusion of the subcontractor concept within the framework of the Law constitutes a notable development that warrants separate attention. This provision serves as an essential measure to mitigate the potential risks associated with conflicts of interest and corruption. Under the new legislation, the service provider is obligated to furnish comprehensive details regarding the qualifications and experience of the subcontractor involved. Additionally, the buyer reserves the right to demand specific assurances pertaining to the subcontractor's ability to fulfill contractual obligations reliably and effectively. This requirement serves as a safeguard that contributes to ensuring the integrity and transparency of the procurement process.

*Institutional Framework of Public Procurement of Georgia.* The State Procurement Agency (SPA) performs a vital function of ensuring effective, transparent, and rational use of state resources. It develops and issues normative acts and documents, processes reports, produces information and lists of participants, and enhances procurement performance through various actions based on modern technologies. The SPA was subordinated to the Ministry of Economy until 2007, and to the Prime Minister since then. It operates within four structural units, each headed by a deputy chairperson and comprising different functional departments in fields such as information technology, procurement services, monitoring, legal affairs, financial management, training center, international relations, etc.

Currently, there are 16 types of procurement procedures documented on the electronic procurement website. In Georgia, the most common ones are e-tenders with reverse auctions (SPA), e-tenders without auctions (NAT), consolidated tenders, two-stage e-tenders, simplified tenders with reverse auctions, and simplified two-stage tenders. Despite the successful implementation of these tender procedures, certain issues have been identified through the analysis of conducted tenders.

For instance, in the field of oil, coal, and petroleum products (code: 09200000), in 24% of all SPA tenders conducted on the e-portal throughout its history, each tender had only one participant. Furthermore, only 13% of the total number of reversed auctions resulted in a price reduction of 15% or more, while 49% of announced auctions did not take place due to a lack of participants. Likewise, in the agricultural sector (code: 03100000), a comparable trend was identified in 40% of SPA type. In the oil sector, in the NAT type tenders, 38% tenders conducted with one participant, and only 16% of the total number of conducted tenders resulted in a price reduction of 15% or more. In agricultural procurement, 332 of 722 NAT tenders proceeded with one participant, and 19% of the trades did not take place due to a lack of bidders.<sup>43</sup> This trend can be observed in other industry categories as well, highlighting the need for comprehensive reforms aimed at streamlining regulations, fostering competition, and enhancing transparency. By addressing these multifaceted challenges, governments can create a more inviting environment for potential participants, resulting in a broader pool of bidders and ultimately yielding more favorable outcomes for public tenders across various sectors.

The goal of the State Procurement Dispute Resolution Council is to quickly and effectively review disputes in accordance with the principle of justice. The Board consists of five members appointed by the Prime Minister for five years. The main principles of the Board are: legalization; objectivity and impartiality; professionalism; protection of secrecy and confidentiality. The current analysis shows that the number of complaints received in the sphere of agricultural procurement amounted to 1% of the total number of conducted tenders, while in the sphere of oil and petroleum products, it reached 2,3% (with only 1 complaint being satisfied). The majority of these complaints primarily relate to decisions made by the tender commission.

The State Audit Service of Georgia (SAS) serves as a government agency tasked with the critical role of overseeing and inspecting public entities throughout Georgia. Its primary mandate revolves around ensuring transparency, accountability, and efficiency in the management of public finances and resources. Operating independently, the SAS reports directly to the Parliament of Georgia. SAS plays an important role in promoting good governance practices and combating corruption by providing objective assessments and actionable recommendations to enhance financial management practices. The Organic Law of Georgia "On the State Audit Service" regulates the receipt of identifiable information about the procuring organization, which must provide this information upon request. It should be noted, according to the report of the State Audit Service (SAS), that out of all the recommendations issued by the SAS, 20% pertain to recommendations in

---

<sup>43</sup>The calculations were made by the authors based on the data from the website [www.tenders.procurement.gov.ge](http://www.tenders.procurement.gov.ge)

the field of public procurement, ranking first among the audit areas. However, the problems have a systemic nature and are recurring in various budget organizations. Budget organizations are most prompt in implementing financial recommendations, while recommendations regarding efficiency are implemented at a slower pace. During the period of 2018-2023, less than half (45%) of all recommendations in the field of public procurement were taken into account.

In conclusion, Georgia has made notable progress in its public procurement reforms, with significant achievements such as comprehensive legislation, an electronic procurement system, and the establishment of an independent State Procurement Agency. These efforts have gained international recognition and demonstrate Georgia's commitment to improving its public procurement system. However, challenges remain, including corruption, conflicts of interest, and limited competition in certain sectors.

The State Procurement Dispute Resolution Council and the State Audit Service play critical roles in ensuring justice, objectivity, and accountability in public procurement. These institutions provide oversight, address disputes, and make recommendations to improve financial management practices. However, implementation of recommendations in the field of public procurement needs improvement, indicating the systemic nature of the challenges faced.

To create a more inviting environment for participants and achieve favorable outcomes in public tenders, comprehensive reforms are necessary. These reforms should focus on streamlining regulations, fostering competition, enhancing transparency, and addressing recurring issues in the procurement process. By addressing these challenges, Georgia can continue to strengthen its public procurement system and contribute to sustainable economic growth and development.

### Literature

1. Gaprindashvili G. Public Procurement Development Stages in Georgia  
<https://publications.waset.org/10000958/public-procurement-development-stages-in-georgia>
2. 2023 აუდიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების წლიური ანგარიში. [https://www.sao.ge/ka/reports\\_/Recommendation-Implementation-System](https://www.sao.ge/ka/reports_/Recommendation-Implementation-System)
3. Low on Public Procurement  
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/14758?publication=2>
4. [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)
5. <https://tenders.procurement.gov.ge/dispute/>

*ქეთევან ქველამძე  
მედეა მელაშვილი  
ნუნუ ქისტაური*

### გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გავლენა ტურიზმის უსაფრთხოებაზე

*ანოტაცია. ნაშრომი ეძღვნება კაცობრიობის არსებობისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, როგორცაა გლობალური ეკოლოგიური პრობლემები და მისი გავლენა ტურიზმის უსაფრთხოებაზე. სტატიაში განხილულია ის ძირითადი ეკოლოგიური პრობლემები, რომლებიც გავლენას ახდენ ტურიზმის დარგზე და მის უსაფრთხოებაზე; მოყვანილია ეკოლოგიური უსაფრთხოების ის მაჩვენებლები, რომელთა შესაბამისად ყველაზე მწვავე ეკოლოგიურ პრობლემებში იკვეთება ჰაერის, წყლის, ნიადაგის დაბინძურება, ბიომრავალფეროვნების შემცირება და გაქრობა, ეკოლოგიური კატასტროფების რისკების ზრდა და სხვ.; ნაჩვენებია კლიმატის ცვლილების, პოსტპანდემიური და ომის პერიოდის და ა.შ. გავლენა ტურიზმზე. ნაშრომში აგრეთვე განხილულია ის გლობალური ეკოლოგიური პრობლემების ძირითადი მიზეზები და რისკები, რომლებიც უარყოფითად აისახება ტურიზმის უსაფრთხოების ზოგად მაჩვენებლებზე, მითითებულია მათი აღმოფხვრის ზოგადი გზები და ტენდენციები („რეგენერაციული ტურიზმის“ კონცეფციის მაგალითი).*

*საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, უსაფრთხოება, პანდემია, გლობალური ეკოლოგია, ომი, რისკები, ტენდენცია.*

თანამედროვე პირობებში გარე სამყაროს დაბინძურებასთან ბრძოლასა და ქვეყნის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში მსოფლიო სერიოზული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, ვინაიდან შეიმჩნევა ეკოლოგიური პრობლემების გაუარესების ტენდენცია. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დაბინძურებული და დეგრადირებული გარემო (გლობალური დათბობა, ატმოსფეროს დაბინძურება, ოზონის შრის რღვევა, კლიმატის ცვლილება, მიწების გაუდაბნობა, ოკეანეში მოდრეიფე პლასტიკის უზარმაზარი კუნძულები, ეკოსისტემის რღვევა, ბიომრავალფეროვნების მკვეთრი შემცირება, დემოგრაფიული აფეთქება, ენერგორესურსების დასუსტება, გარემოს დაბინძურება, სასმელი წყლის დეფიციტი, პანდემიები, ომები და ა.შ.) ნეგატიურად ზემოქმედებს ნებისმიერი ქვეყნის მდგრად ეკონომიკაზე და ეკონომიკურ დარგებზე, მათ შორის ტურიზმზე და მის უსაფრთხოებაზე. კაცობრიობის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში ადამიანები ზემოქმედებენ ბუნებასა და ეკოლოგიაზე. ეს ზემოქმედება მეტად საშიში გახდა ბოლო 100-200 წლის განმავლობაში, როდესაც სამრეწველო რევოლუცია დაიწყო და ამან თანდათანობით ეკოლოგიური პრობლემების სერიოზული გამწვავება გამოიწვია. ეკოლოგიური უსაფრთხოების მაჩვენებლებია: ბუნებრივი ეკოსისტემების დაზღვევის დონე; ბუნებრივი გარემოს ცალკეული კომპონენტების მდგომარეობა (წყალი, ჰაერი, ნიადაგი); დამაბინძურებელი ნივთიერებების ატმოსფეროში გატყორცნის მოცულობა; დეგრადირებული მიწების ფართობი; რეგიონში დაავადებათა დინამიკა; დაბინძურების შედეგად მიღებული ეკონომიკური ზარალი და სხვ., რომელთა შესაბამისად ყველაზე მწვავე ეკოლოგიურ პრობლემებში იკვეთება:

- ჰაერის დაბინძურება, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, ავტოტრანსპორტის დიდი გამონაბოლქვების, გამათბობელი სისტემების, ენერგეტიკისა და სამრეწველო საწარმოების მუშაობის შედეგად;

- სასმელი წყლის დაბალი, სულ უფრო გაუარესებული ხარისხი და მთლიანად წყლის რესურსების დაბინძურება, მომწამლავი ჩამდინარე წყლების რაოდენობრივი ზრდა და ა.შ.;

- ბიომრავალფეროვნების შემცირება და გაქრობა, მიწისა და წყლის ეკოსისტემების დეგრადაცია, ტყის მასივების შემცირება ხანძრების, მავნებლების შესევის, უკანონო ჭრის და სხვათა შედეგად;

- ეკოლოგიური კატასტროფების რისკების ზრდა, ნაგავსაყრელების, ნარჩენების არადამაკმაყოფილებელი შენახვის პირობების შედეგად. ასევე სხვადასხვა პანდემიებით გამოწვეული ავადობის, შიმშილის მაჩვენებლების საგრძნობი ზრდა, ომები, რაც ეკოლოგიურ და ეკონომიკურ პრობლემებს კიდევ უფრო აუარესებს.

ტურიზმის დარგი, რომელიც მიუხედავად ბოლო ათწლეულში წარმატებული განვითარებისა და გლობალური მომსახურების ინდუსტრიის განვითარებაში უდიდესი წვლილის შეტანისა (მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 10%-იანი წილი უჭირავს), საკმაოდ მოწყვლადი აღმოჩნდა კატასტროფებისა და სხვადასხვა დაავადებების რისკების მიმართ, მაგ., როგორცაა მიწისძვრები, ცუნამი, ტროპიკული ქარიშხლები, ეროზიები, წყალდიდობები, ეპიდემიური და პანდემიური საფრთხეები, ომები და ა.შ.. პანდემიები შეიძლება შევადაროთ ისეთ დიდ ბუნებრივ სტიქიურ მოვლენებს, რომელიც ვრცელდება არა მარტო ლოკალური, არამედ გლობალური მასშტაბით. ყველა დიდი პანდემიის დროს კოლოსალური იყო როგორც ადამანთა მსხვერპლის ოდენობა, ისე ეკონომიკური და ეკოლოგიური ზარალი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით, კორონავირუსმა (COVID-19) დაწყების დღიდან მსოფლიოში სულ მცირე 20 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის ინდუსტრია აღიარებულია მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე დაზარალებულ, მოწყვლად სექტორად, რამაც ასევე უარყოფითი გავლენა იქონია მის უსაფრთხოებაზე. თუმცა პანდემიის დასრულებიდან, UNWTO-ს ექსპერტების აზრით, საერთაშორისო ტურიზმი ნელ-ნელა გააგრძელებს აღდგენას. 2023 წელს მოგზაურობის საერთო რაოდენობა მიაღწევს პანდემიამდე დონის 80-დან 95 პროცენტს. 2022 წელს მსოფლიოში დაფიქსირდა 900 მილიონზე მეტი საერთაშორისო ტურისტული მოგზაურობა, ორჯერ მეტი ვიდრე 2021 წელს, მაგრამ 37%-ით

ნაკლები ვიდრე პანდემიამდე. Euromonitor-ის ანალიტიკოსების პროგნოზის მიხედვით, რომელიც განახლებულია 2023 წლის პირველ კვარტალში, 2023 წელს გლობალური შემომავალი ტურიზმის ხარჯები, სავარაუდოდ, 2019 წლის პიკურ მაჩვენებელთან შედარებით მიაღწევს 83%-ს, 2024 წლისთვის და შემდგომ კი სრულად აღდგება.

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ტურიზმის პანდემიამდელ დონეზე დაბრუნების პროცესი დინამიკაში ასინქრონული იქნება. UNWTO-ს პროგნოზების მიხედვით, 2023 წელს საერთაშორისო ჩამოსვლების რაოდენობა შესაძლოა მხოლოდ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში დაუბრუნდეს 2019 წლის მაჩვენებელს. ტურიზმის სექტორზე დიდ გავლენას ახდენს გეოპოლიტიკური კონფლიქტებით გამოწვეული მუდმივი გაურკვეველობა, ასევე COVID-19-ით გამოწვეული მდგომარეობა, რაც ხელს უწყობს უსაფრთხოების გარანტიის დაბალ დონეს.

მსოფლიოს რეგიონების მიხედვით საერთაშორისო ტურიზმის 2019 წლის პანდემიამდე აღდგენის დინამიკა UNWTO-ს ექსპერტების გამოკითხვის შედეგების მიხედვით ასე გამოიყურება (იხ. სურათი 1):



სურ. 1. მსოფლიოს რეგიონების მიხედვით საერთაშორისო ტურიზმის 2019 წლის მაჩვენებელამდე აღდგენის დინამიკა (UNWTO-ის ჯგუფის გამოკითხვის შედეგები) [5]

გლობალური და ლოკალური პრობლემებიდან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ 2023 წელს მოგზაურობის მთავარი ტენდენციები იქნება ისეთი უსაფრთხო მიმართულებების არჩევა, რომლებიც გთავაზობს ფასისა და ხარისხის ოპტიმალურ თანაფარდობას. ექსპერტების აზრით, 2023 წელს ტურისტები მოგზაურობაზე ნაკლებს დახარჯავენ მოგზაურობის ხარჯებისა და ხანგრძლივობის შემცირებით, ამასთან უპირატესობას მიანიჭებენ ისეთ მიმართულებებს, რომლებიც საშუალებას მისცემს იმოგზაურონ სახლთან უფრო ახლოს (მაგ. ეკოტურიზმი, აგროტურიზმი, სამკურნალო და სათავგადასვლო ტურიზმი და სხვ). 2023 წელს მოსალოდნელია ეკოტურიზმის პოპულარობის შემდგომი ზრდა. კვლევებმა ცხადყო, რომ მხოლოდ 2023 წელს მთელ მსოფლიოში ამ ტიპის სამოგზაურო პაკეტის წილი 57% იქნება. ეს პაკეტები მოიცავს სოფლის, პლაჟის, აგრო, სამკურნალო და სათავგადასავლო-ექსტრემალურ მიმართულებებსა და აქტივობებს. პანდემიის შემდგომ პერიოდშიც კი მიმზიდველობა განსაკუთრებით განაგრძობს ზრდას. ეს ტენდენცია განპირობებული იქნება ტურიზმის უსაფრთხოების, გარემოსდაცვითი საკითხების, განსაკუთრებით კლიმატის ცვლილების შესახებ ცნობიერების ამაღლებით და მავნე სასათბურე აირების შემცირების სურვილით. მოგზაურები ისეთი მიმართულებების ძიებაში არიან, რომლებიც ნაკლებად ზემოქმედებს დედაბუნებაზე და გარემოზე, როგორცაა განახლებადი ენერჯის გამოყენება, ნარჩენების მინიმუმამდე შემცირება და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება. მკვლევართა აზრით, 2023 წელს უფრო მნიშვნელოვანი გახდება „რეგენერაციული ტურიზმის“ კონცეფცია. ეკოტურიზმის ერთ-ერთი ასპექტი, რომელიც ახლებური მიდგომაა მოგზაურობისადმი, მიზნად ისახავს არა მხოლოდ ტურიზმის ზემოქმედების უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე შემცირებას, არამედ

პოზიტიური ზემოქმედების მოხდენას გარემოზე და ადგილობრივ თემებზე. იგი შეიძლება მოიცავდეს მწვანე სივრცეებში ცხოვრებას, გარემოს დასაცავად ადგილობრივი მოსახლეობის ძალისხმევის მხარდაჭერას და გარემოსთვის სასარგებლო აქტივობებში მონაწილეობას.

კიდევ ერთი ტენდენცია, რომელიც განსაზღვრავს ეკოტურიზმის განვითარებას 2023 წელს, არის ტექნოლოგიების გამოყენება. მაგალითად, ვირტუალურ რეალობას შეუძლია მოგზაურებს საშუალება მისცეს, აღიქვან პროცესი რეალური მოგზაურობის გარეშე, რაც შეამცირებს შორ მანძილზე ფრენების აუცილებლობას და შესაბამისად — ნახშირბადის ემისიას.

სხვა ტექნოლოგიური მიღწევები, როგორცაა ელექტრომანქანები და მდგრადი თვითმფრინავის საწვავი, ასევე ითამაშებს როლს მოგზაურობის გარემოზე ზემოქმედების შემცირებაში.

COVID-19-ის პანდემიის გამო, ერთი მხრივ, დაფიქსირდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ცვლილებები. კორონავირუსის პანდემიამ მსოფლიო მასშტაბით გამოიწვია ატმოსფეროს ჰაერის ხარისხის ამაღლება, რაც საგანგებო მდგომარეობის შემოღებით აიხსნება, თუმცა ექსპერტები თანხმდებიან, რომ გარემოზე შესამჩნევი დადებითი ზემოქმედება, იქნება ეს ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება თუ სასათბურე გაზების ემისიების შემცირება, დროებითი მოვლენა იყო. ადრეულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ მთელი ისტორიის განმავლობაში, დაავადების გავრცელება დაკავშირებულია დაბალ ემისიებთან — ინდუსტრიულ ხანამდევ კი, ხოლო მისი დასრულების შემდეგ ყოველ ჯერზე ემისიები იზრდებოდა. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ისეთმა ეპიდემიებმა კი, როგორცაა შავი ჭირი (ევროპა, მე-14 საუკუნე) და ჩუტყვავილა (ამერიკის სამხრეთი, მე-16 საუკუნე), დატოვეს თავიანთი კვალი ატმოსფეროში გამოთავისუფლებული ნახშირორჟანგის რაოდენობაში. იმ დროს მზარდი გაქვავებული ხეების შესწავლამ აჩვენა, რომ ეპიდემიის დასრულების შემდეგ, გამონახობის დონე სწრაფად აღდგა. დიდი ალბათობით, ეს შეიძლება ითქვას COVID-19 პანდემიის შედეგებზეც.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ეკოლოგიური პრობლემა, რომელიც პანდემიის პერიოდში მეტად გამწვავდა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, პლანეტა ყოველწლიურად 2 მლრდ ტონა ნაგავს გამოყოფს, აქედან გადამუშავდება მხოლოდ 13.5%., მთელი მსოფლიოს ნაგვის უზარმაზარი რაოდენობის 40% არანაირ უტილიზაციას არ ექვემდებარება და პირდაპირ ზემოქმედებს ეკოლოგიაზე, რა თქმა უნდა, უარყოფითად. განვითარებად ქვეყნებში ეს მაჩვენებელი ზოგჯერ 95%-მდეც ფიქსირდება. ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა ასევე უკავშირდება პლასტიკურ მასებს. იგი მთელი მსოფლიო ნაგვის 12%-ს შეადგენს, მაგრამ მსოფლიო ოკეანის დამანაგვიანებელთა შორის 90%-ს იკავებს.

პანდემიის დროს გაუარესდა მდგომარეობა დამაბინძურებელი მყარი და პლასტიკური ნარჩენების მატების მხრივ, რადგან მოთხოვნა გაიზარდა პლასტიკურ ჭურჭელზე. ადამიანები ხშირად საკვებს უკვეთავენ და ყიდულობენ ინტერნეტით, მისი დიდი ნაწილი შეფუთულია ერთჯერად პლასტიკურ ჭურჭელში. ამასთან ერთად მრავალი ტურისტული კომპანია ცდილობდა და ცდილობს თავის თანამშრომლებსა და მომხმარებლებს უსაფრთხო მომსახურება სწორედ ერთჯერადი პლასტიკის ნივთებით გაუწიოს, რამაც კიდევ უფრო გაზარდა მათზე მოთხოვნა. ტაილანდის გარემოს დაცვის ინსტიტუტის მონაცემებით, პლასტიკის ნარჩენების რაოდენობა მსოფლიოში პანდემიის დროს გაიზარდა 6300 ტონამდე დღეში, ხოლო ეპიდემიამდე საშუალოდ იყო 1500 ტონა დღეში. გაიზარდა ერთჯერადი პირბადეების, ხელთათმანების, ხელსაწმენდების გამოყენება. მათი მრავალჯერადი გამოყენება ზრდის დაავადების გავრცელების რისკს. ამის გამო გროვდება მათი უზარმაზარი მასა. თანაც ცნობილია, რომ სამედიცინო ნარჩენების გადამუშავება აკრძალულია. ისინი სპეციალური წესით ნადგურდება. ამ პერიოდში მთელ მსოფლიოში სწორედ სამედიცინო ნარჩენები გაიზარდა უამრავჯერ. მაგალითად, „პოპულარულ“ იუჰანში ზოგჯერ დღეში ნარჩენების რაოდენობა 200 ტონას აღწევდა.

პლასტიკის ნარჩენების სწრაფმა ზრდამ, რომელიც თითქმის ყველა მომხმარებლისთვის გახდა აუცილებელი, დააფიქრა საზოგადოება და უფრო ინფორმირებული გახდა ამ საკითხთან მიმართებით. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, დღეს ტურისტების დაახლოებით 82%-ს კარგად



აქვს გაცნობიერებული პლასტიკური ნარჩენების პრობლემა და ატარებს ინდივიდუალურ ზომებს გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მთელ მსოფლიოში დაბინძურების მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ასევე დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზეც. აშშ-ის ეროვნულ პარკებში ყოველწლიურად 45 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი წარმოიქმნება. ბრიტანელმა მეცნიერებმა დააფიქსირეს დაბინძურების "უპრეცედენტო ზრდა" fly-კემპინგის ირგვლივ, როდესაც დასვენების შემდეგ ტურისტთა ჯგუფები ტყეში ტოვებენ კარვებს, აღჭურვილობას და ნაგავს, თავად კი მსუბუქად ბრუნდებიან სახლებში.

გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) და საერთაშორისო სატრანსპორტო ფორუმის (ITF) მონაცემებით, ტურისტული საქმიანობის ნარჩენები 2030 წლისათვის მინიმუმ 25%-ით გაიზრდება. გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) მოხსენებაში „მწვანე ეკონომიკაზე“ ნათქვამია, რომ 2050 წლისათვის ენერჯის მოხმარება ტურიზმში გაიზრდება 154%-ით, სასათბურე გაზების გაფანტვა — 131%-ით, წყლის მოხმარება — 152%-ით, მყარი ნარჩენების უტილიზაცია — 251%-ით. ამგვარად, ტურიზმი თავისი წვლილს შეიტანს კლიმატის ცვლილებაში.

ამ პრობლემის გადაჭრას მრავალი ქვეყანა ცდილობს. მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებში აკრძალეს ერთჯერადი პლასტიკის ნივთების წარმოება. შესაბამისი კანონი 2021 წლის 3 ივლისს იქნა მიღებული. აკრძალულ ნივთებს შორის მოხვდა ერთჯერადი ჭურჭელი, სამაგიდო ნივთები, კონტეინერები, ბუშტების დამჭერი ჯოხები. შვეიცარიაში უტილიზაციას ექვემდებარება 50%. ეს მსოფლიოში საუკეთესო მაჩვენებელია. საფრანგეთში სუპერმარკეტებს აუკრძალეს ვადაგასული, მაგრამ ხარისხიანი პროდუქციის უტილიზება. 2016 წლიდან საკვები პროდუქტები, რომლებსაც ამ დღეს გაუვიდა ვადა, გადაეცემა საქველმოქმედო ორგანიზაციებს, მეცხოველეობის ფერმებს. 2021 წლის 1 იანვრიდან საფრანგეთში აღარ იყიდება პლასტიკურ მასალებში დაფასოებული ხილი და ბოსტნეული და ა. შ..

2021 წლის თებერვლის ბოლოს გამოქვეყნდა კლიმატის ცვლილების სამთავრობათა-შორისო პანელის (კლიმატის ცვლილების სამთავრობათშორისო ექსპერტთა ჯგუფი IPCC) ანგარიშის მესამე ნაწილი, რომელშიც მეცნიერები პროგნოზირებენ გლობალური დათბობის პრობლემების მატებას მომდევნო 20-30 წლის განმავლობაში. დღემდე მსოფლიო ვერ უზრუნველყოფს კლიმატის ექსტრემალური ცვლილების პრევენციას. 21-ე საუკუნის ბოლო ათწლეულში თუ მნიშვნელოვნად არ შემცირდება ნახშირორჟანგი და სხვა სასათბურე აირები, გლობალური დათბობის ტემპერატურა გაიზრდება 1,5°C და 2°C-ით. გარდა ამისა, 2021 წელი ზედიზედ მეშვიდე ყველაზე ცხელი წელია, რომელიც რეკორდულად საშუალო გლობალური ტემპერატურით წინა ინდუსტრიულ დონეს დაახლოებით 1,11 (± 0,13) °C-ით აღემატება.

ამასთან მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (WMO) მონაცემებით, ბოლო 20 წლის განმავლობაში მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი — დაახლოებით 4,5 მილიარდი ადამიანი — უკვე დაზარალდა ამინდთან დაკავშირებული ძირითადი ბუნებრივი კატასტროფებით, რამაც საგრძნობლად გაზარდა სიკვდილიანობა, საცხოვრებელი სახლების ნგრევა, საარსებო საშუალებების განადგურება, რაც ძირს უთხრის ქვეყნების ეკონომიკას.

2019 წელს, ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური სერვისების სამთავრობათა-შორისო სამეცნიერო-პოლიტიკის პლატფორმის (IPBES) ინფორმაციით, კლიმატის ცვლილებისა და ადამიანის აქტივობის გამო მცენარეთა და ცხოველთა დაახლოებით 1 მილიონი სახეობა ამჟამად გადაშენების საფრთხის წინაშეა, რაც ბიომრავალფეროვნების შემცირების საწინდარია. ექსპერტების აზრით, უმოქმედობა გამოიწვევს კლიმატის სისტემაში მნიშვნელოვან ცვლილებებს, მათ შორის უფრო და უფრო მეტ სიცხეს, კლიმატურ მიგრაციას, ტყის ხანძრებს (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანახმად, დაზიანდა ან განადგურდა 530,000 ჰექტარამდე დაცული ტერიტორია (McCarthy, 2022), შტორმებს, ტროპიკულ ციკლონებს, გვალვებს, ოკიანეების გამჟავებას, ცხოველთა სახეობების გადაშენებას, მყინვარებზე თოვლის ინტენსიურ დნობას და ზღვის დონის აწევას, შიმშილს და სხვ.

ასევე საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს უწყებით, გლობალური გამონახობის დროებითი შემცირების მიუხედავად, კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეულმა ეკონომიკურმა არეულობამ შეიძლება შეაფერხოს ან საერთოდ შეაჩეროს კომპანიების ინვესტიციები მწვანე ენერჯიაში.

თუ გასული წლის აგვისტოში კლიმატის ცვლილების სამთავრობათშორისო ექსპერტთა ჯგუფი IPCC პანელის იმავე ანგარიშის წინა ნაწილმა სახელმწიფოების დიდი დაინტერესება, ხმაური და შეშფოთება გამოიწვია, ამჯერად თებერვლის ანგარიში თითქმის შეუმჩნეველი დარჩა. გარემოსდაცვითი დღის წესრიგი გადაფარა რუსეთ-უკრაინის ომის თემამ.

ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, რომ ომების დროს გარემოს დაზიანება მხოლოდ ლოკალურია და არ გააჩნია გლობალური შედეგები. ტურიზმი ერთ-ერთი იმ დარგთაგანია, რომელიც ყველაზე მეტად ზარალდება ომის დროს. უფრო მეტიც, ზარალს განიცდის არა მხოლოდ უშუალოდ კონფლიქტში ჩართული ქვეყნები, ასევე მეზობელი ქვეყნებიც, რომლებიც ყველაფერთან ერთად ავტომატურად ხვდებიან სამოგზაუროდ საშიში ქვეყნების სიაში და ეს კი უარყოფითად აისახება შემდგომ ამ ქვეყნების ეკონომიკაზე. ბუნებრივია ასეთ ქვეყნებში ცოტა ადამიანს თუ აქვს მოგზაურობის სურვილი. მრავალწლიანმა ომებმა და სამხედრო კონფლიქტებმა კატასტროფულ შედეგებამდე მიიყვანა გარემო და ეკოსისტემები. რაც უფრო ხანგრძლივია ომი მით მეტია ეკონომიკურ-ეკოლოგიური ზარალი. ბუნებრივი რესურსების განადგურება, წარმოების შემცირება ან შეწყვეტა და ეკონომიკური კრიზისის განვითარება იწვევს ეკონომიკური აქტივობის სერიოზულ შემცირებას. გარდა ამისა, უსაფრთხო გარემოს უქონლობის გამო ტურისტების რაოდენობისა და უცხოური ინვესტიციების შემცირებამ ასევე შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ქვეყნის ეკონომიკაზე.

ლოკალურ და გლობალურ პრობლემებთან ერთად ხანგრძლივი ომის შედეგად გარემოს დაზიანება პირდაპირპროპორციულად აისახება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, იწვევს დაავადებების (მაგ. სიმსივნე, ფილტვის დაავადება, ასთმა და სხვ.) ზრდას და შიშხილს. გარდა ამისა, ბირთვული და ქიმიური იარაღის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს რადიაციასთან დაკავშირებული დაავადებების შემთხვევების ზრდა. მაგ., ვიეტნამის ხანგრძლივმა ომმა (1955-1975) და მასში ისეთი ქიმიური აგენტების გამოყენებამ, როგორცაა, მაგ., აგენტი ნარინჯისფერი, გაანადგურა ტყის უზარმაზარი მასივები, ფლორა და ფაუნა, დააზიანა წყალი, ჰაერი და დააზიანა ნიადაგი. შეერთებულმა შტატებმა შექმნა აგენტი ნარინჯისფერი Agent Orange, როგორც მასობრივი განადგურების იარაღი. „ოპერაცია Ranch Hand“-ის (1962-1971) დროს ვიეტნამსა და ლაოსში აშშ-მა 20 მილიონი გალონი ჰერბიციდი გადაყარა 5,5 მილიონ ჰექტარ ტყეზე და კულტურებზე. თითქმის 4.9 მილიონი დაავადებული ვიეტნამელი და 400,000 ადამიანი გარდაიცვალა სიმსივნით გამოწვეული დაავადებებით, აუტოიმუნური დაავადებებით, კანის დარღვევებით და ნევროლოგიური პრობლემებით. დღეს ერთი მილიონი ვიეტნამელი ებრძვის შხამის მემკვიდრეობით გამოწვეულ შედეგებს, მათგან 100,000 ბავშვია. ვიეტნამის წითელი ჯვრის ინფორმაციით, ამ ქვეყანაში ბავშვები კვლავ თანდაყოლილი დეფექტებით იბადებიან. ეს საკითხი დღემდე აქტუალურია. ერაყის ომში (2003-2011) სხვა მრავალი პრობლემასთან ერთად მრავალი დაავადების წყარო გახდა მტკნარი წყლის დეფიციტი, რაც განაპირობა წყლის ქიმიურმა დაზიანებამ.

ინფრასტრუქტურის, საცხოვრებლების, ენერგობიექტების და წყალმომარაგების სისტემების განადგურება გარემოს ფართომასშტაბიანი, პირდაპირი დაზიანების (რადიაქტიული) სერიოზული წყაროა. პირდაპირი გლობალური ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხის მატარებელია რუსეთ-უკრაინის ომში ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაზიანების საფრთხე. ეს არის რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ატომურ ელექტროსადგურებთან და ჰიდროელექტროსადგურების განადგურებასთან. უკრაინის ტერიტორიაზე ოთხ ელექტროსადგურზე 15 ატომური რეაქტორია. საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო (IAEA) იძლეოდა გაფრთხილებას, რომ საომარი მოქმედებები საფრთხეს უქმნის უკრაინის ტერიტორიაზე ბირთვული რეაქტორების მუშაობას. მარტის დასაწყისში ზაპოროჟიის ატომურ ელექტროსადგურზე

ხანძარის გაჩენამ კინაღამ შექმნა ამის რეალური საფრთხე, რის გამოც გაიმართა სახელმწიფოთა ერთობლივი სასწრაფო კონსულტაციები ბირთვული უსაფრთხოების ექსპერტებთან. ამასთან ერთად არსებობს უკრაინის ტერიტორიაზე მდებარე რადიოაქტიური და ტოქსიკური ნარჩენების შესახებ 465 ობიექტთან დაკავშირებული დიდი რისკები — წერს VoxEurop. გარე ფაქტორებით მათი დაზიანების ან არასწორი მენეჯმენტის შემთხვევაში (განსაკუთრებით საომარი მოქმედებების პერიოდში) შეიძლება მოხდეს გაჟონვა, რომელიც გამოიწვევს მდინარეების დნეპრისა და დნესტრის რადიოაქტიულ დაბინძურებას. თუ ჩვენ ვსაუბრობთ საფრთხეებზე, მაშინ ატომური ელექტროსადგური არის ნომერ პირველი საფრთხე, ჰიდროელექტროსადგური კი მეორეა, თუმცა შესაძლოა ის იკავებდეს პირველ ადგილსაც პირდაპირი ზიანის მიყენების შესაძლებლობის თვალსაზრისით: წყლის უზარმაზარი მოცულობების დაღვრა, პირდაპირი ადამიანური (ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა), ტექნოლოგიური და გარემოზე გრძელვადიანი ზიანი. უკრაინის ტერიტორია სავსეა ქიმიური ქარხნებითა და საწყობებით, ნავთობის საცავებით, ქვანახშირის მალაროებით, გაზსადენებით და სხვა სამრეწველო ობიექტებით, რომელთა დაზიანების შემთხვევაში დიდი რაოდენობით დამაბინძურებლები გამოიყოფა. ზოგიერთმა მათგანმა, როგორცაა აზოვსტალის რკინისა და ფოლადის ქარხანა, ავდიივკას კოქსის ქიმიური ქარხანა, კრემენჩუგის უმსხვილესი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა და სხვები, უკვე გამოუშვეს ათასობით კუბური მეტრი გაზი და სხვა საშიში ნივთიერებები ჰაერში, — წერს New York Times.

ომში გამოყენებული სამხედრო აღჭურვილობა და იარაღი აბინძურებს გარემოს საშიში ქიმიკატებით, რადიოაქტიური მასალებით, მძიმე მეტალებით. The Wall Street Journal წერს, რომ უკრაინისა და მეზობელი ქვეყნების ატმოსფეროს, ნიადაგისა და მდინარეების დამაბინძურებლებისგან გაწმენდას შეიძლება მრავალი ათწლეული დასჭირდეს. ამავდროულად, მავნე გამონახობლქვი ზრდის კიბოს და რესპირატორული დაავადებების განვითარების რისკს რეგიონების მცხოვრებთათვის, ასევე ბავშვებში ზრდა-განვითარების შეფერხებას. აქედან გასაგებია, თუ რა დრო დასჭირდება უკრაინისა და მეზობელი ქვეყნების ტერიტორიის დასუფთავებას? გარდა ამისა, ომების დროს შეიძლება მოხდეს დაუმუშავებელი ნარჩენების და ტოქსიკური ნივთიერებების არასანქცირებული გადაყრა, რომლებიც ასევე აბინძურებენ გარემოს, ჰაერს. ომის პერიოდში ბუნებრივი რესურსების ათვისებაც შესაძლებელია ყოველგვარი კონტროლის გარეშე, რაც იწვევს ეკოსისტემების დეგრადაციას და უარყოფითად აისახება გარემოზე.

ომის პერიოდში ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება პირდაპირ დამლუპველად აისახება ფლორასა და ფაუნაზე (ტყეები, ეროვნული პარკები, დაცული ტერიტორიები და სხვ.). ცხოველთა მრავალი სახეობა ტოვებს ბუნებრივ ჰაბიტატს ან იღუპება, რაც იწვევს მათი რაოდენობის შემცირებას ან გადაშენებას, რასაც შესაბამისად მოსდევს ბიომრავალფეროვნების დაკარგვა. ომის დროს ნადგურდება ეროვნული პარკები, რომლებიც შეტანილია მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში და ტურისტებისათვის მეტად საინტერესო ადგილებია. ამის საუკეთესო მაგალითია ვირუნგას ეროვნული პარკი, რომელიც მდებარეობს კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. Virunga არის უძველესი და ყველაზე ღირებული ეროვნული პარკი აფრიკაში, თუმცა ის მდებარეობს ზონაში, სადაც რეგულარულად ხდება სამხედრო კონფლიქტები. შედეგად აქ რეგულარულად იღუპება იშვიათი ცხოველები, რომელთაგან ბევრი მხოლოდ ამ ტერიტორიაზე ბინადრობს. გარდა ამისა ნადგურდება მრავალი მცენარე.

სამხედრო კონფლიქტები ასევე უარყოფით გავლენას ახდენს კლიმატის ცვლილებაზე. მაგალითად, მასიური იარაღის გამოყენება, საჰაერო და საარტილერიო თავდასხმები ანადგურებს ტყეებს და მცენარეულ საფარს, რითაც მცირდება ეკოსისტემის უნარი, შთანთქმავს დიდი რაოდენობით გამოფრქვეული CO<sub>2</sub> და წარმოქმნას ჟანგბადი, ამით შეამციროს მავნე აირების ემისია გარემოში, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კაცობრიობის არსებობისათვის. გარდა ამისა, ნავთობის, გაზისა და სხვა ენერგორესურსების წვამ სამხედრო აღჭურვილობის მოქმედებაში მოსაყვანად (მაგალითად, ერთი T-72 ტანკი, რომელიც აქტიურად გამოიყენება რუსეთ-უკრაინის ომში, ყოველ 100 კილომეტრზე მოიხმარს 250 ლიტრ დიზელის საწვავს,

ხოლო საბრძოლო გამანადგურებელი 1 საათით ფრენისას საჭიროებს დაახლოებით 5000 ლიტრ ნავთობს) შეიძლება გაზარდოს სასაბურთო გაზების ემისიები და გამოიწვიოს კლიმატის ცვლილება.

ეს ყოველივე ნათლად აჩვენებს, რომ ხანგრძლივმა სამხედრო კონფლიქტებმა შეიძლება სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს ეკონომიკასა და გარემოზე, რაც ხაზს უსვამს კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიანი გზების პოვნის აუცილებლობას.

## დასკვნა

საბოლოოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეკოლოგიური პრობლემების სრული უზრუნველყოფა მსოფლიო მასშტაბის პრობლემაა და მარტო ეროვნული ინტერესების ფარგლებში მისი მოგვარება შეუძლებელია, ამიტომ თითოეული ქვეყანა, პირველ რიგში, ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნები ვალდებული არიან გაითვალისწინონ ეკოლოგიური პრობლემების აღმოფხვრის ყველა მათ ხელში არსებული საშუალებების გამოყენება, ვინაიდან შეიძინება ეკოლოგიური პრობლემების გაუარესების ტენდენცია. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დაბინძურებული და დეგრადირებული გარემო ნეგატიურად ზემოქმედებს ნებისმიერი ქვეყნის მდგრად ეკონომიკაზე და ეკონომიკურ დარგებზე, მათ შორის ტურიზმზე და მის უსაფრთხოებაზე, რომელიც, მიუხედავად ბოლო ათწლეულში წარმატებული განვითარებისა, საკმაოდ მოწყვლადი აღმოჩნდა კატასტროფებისა და სხვადასხვა დაავადებების რისკების მიმართ. კვლევებმა აჩვენა, რომ ტურიზმის სექტორზე დიდ გავლენას ახდენს გლობალური ეკოლოგიური პრობლემები, COVID-19-ით გამოწვეული მდგომარეობა (განსაკუთრებით გარემოს დაბინძურების მაღალი დონე), გეოპოლიტიკური კონფლიქტებით (ომები) გამოწვეული მუდმივი გაურკვევლობა ხელს უშლის დარგის მდგრად განვითარებას და მოგზაურებისთვის წინა პლანზე წამოწია ტურიზმის დარგის უსაფრთხოების მაღალი გარანტიის აუცილებლობა.

გლობალურმა დათბობამ უკვე იმოქმედა **ტურიზმზე**, კლიმატის ცვლილების შედეგად რისკები გაიზარდა კონკრეტულ გეოგრაფიულ რეგიონებში და სეზონური ტურიზმისთვის, მაგალითად, ზამთრის ტურიზმი — კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ნაკლები თოვლი ან მყინვარების ინტენსიური დნობა. რისკები უფრო დაბალი იქნება ტურისტული ბაზრებისთვის, რომლებიც ნაკლებად მგრძობიარეა კლიმატის ცვლილების მიმართ. თუმცა ხაზგასმელია, რომ გარემოს დაბინძურების, კლიმატის ცვლილების შემარბილებელი (ემისიების შემამცირებელი) ღონისძიებები არის **გადაუდებელი და აუცილებელი**, რათა შემდგომადგვარად შეჩერდეს ან შემცირდეს ადამიანის ეკონომიკური საქმიანობით გამოწვეული კლიმატის ცვლილების პროცესი და მინიმუმამდე დავიდეს არსებული რისკები როგორც გარემოზე, ისე საზოგადოებაზე. ამასთან ერთად ხანგრძლივი საომარი მოქმედებები სერიოზულ საფრთხეს უქმნის გარემოს, ფლორასა და ფაუნას, ადამიანის ჯანმრთელობას და ქვეყნის ეკონომიკას. აქედან გამომდინარე, უნდა მოვძებნოთ კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიანი გზები, ყურადღება უნდა მიექცეს გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრას და ბუნებრივი რესურსების დაცვას, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ომების გავლენა მსოფლიოში ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.

გლობალური და ლოკალური პრობლემებიდან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ 2023 წელს მოგზაურობის მთავარი ტენდენციები იქნება ისეთი უსაფრთხო მიმართულებების არჩევა, როგორცაა ბუნებრივ ღირშესანიშნაობებსა და სილამაზეზე დაფუძნებული ტურიზმი (ეკოტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი, ასევე პლაჟის ტურიზმი). რამდენადაც მსოფლიო ხდება უფრო ეკოლოგიურად ცნობიერი, ეკოტურიზმი მზად არის გახდეს მთავარი ძალა ტურიზმის ინდუსტრიაში.

„რეგენერაციული ტურიზმისკენ“ მიმართული ტენდენცია და ტექნოლოგიის გამოყენება გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად განსაზღვრავს ეკოტურიზმის მომავალს, რომელიც უზრუნველყოფს ტურისტებისთვის ავთენტური გამოცდილების გაზიარებას, სარგებელი მოაქვს ადგილობრივი თემებისთვის და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ

კეთილდღეობას; ასევე უზრუნველყოფს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას ტურისტებსა და ადგილობრივ მოსახლეობაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Всемирная туристская организация сделала прогноз на...  
ria.ru>Новости>Всемирная туристская организация сделала прогноз на 2023 год.
2. პანდემიის გავლენა ეკოლოგიურ პრობლემებზე მსოფლიოში. Available from: [https://www.researchgate.net/publication/348884987\\_pandemiis\\_gavlena\\_ekologiur\\_problemebze\\_msoplioshi](https://www.researchgate.net/publication/348884987_pandemiis_gavlena_ekologiur_problemebze_msoplioshi) [accessed May 10 2023].
3. Global tourism to recover from pandemic by 2023, post... reuters.com>world/the-great-reboot...pandemic...2023...
4. Названы главные тренды мирового туризма в 2023 году atorus.ru>node/51583.
5. Влияние пандемии COVID-19 на мировой туризм... 1economic.ru>lib/114208.
6. Экотуризм в 2023 году: Будущее экологичных путешествий 9111.ru>Публикации>Экология.
7. Война в Украине приведет к экологической катастрофе  
dw.com>ru/vojna-v-ukraine-privedet...ekologiceskoj...
8. Забытая экология: как события на Украине отразятся на... forbes.ru>Бизнес.
9. Экотуризм в 2023 году: Будущее экологичных путешествий 9111.ru>Публикации>Экология.
10. Здесь можно будет жить? Как война влияет на экологию...  
dw.com>ru/mozno-li-budet-zdes-dalse-zit-kak-vojna...
11. აგენტი ნარინჯისფერი ამერიკაზე... worldbeyondwar.org. <https://worldbeyondwar.org> > the-people-versus-agent...
12. კლიმატის ცვლილების უარყოფითი... climatebasics.info. <https://www.climatebasics.info> > post > კლიმატის-ცვლ...

*Ketevan Kveladze  
Medea Melashvili  
Nunu Kistauri*

## IMPACT OF GLOBAL ENVIRONMENTAL PROBLEMS ON TOURISM SAFETY

### Abstract

The work is dedicated to one of the important problems for the existence of humanity, such as global environmental problems and its impact on the safety of tourism. The article discusses the main environmental problems that affect the tourism industry and its safety. The indicators of ecological safety are given, according to which the most acute ecological problems are identified: pollution of air, water, soil, reduction and disappearance of biodiversity, increase of risks of ecological disasters, etc.. The influence of climate change, post-pandemic and war period on tourism is shown. The paper also discusses the main causes of global ecological problems, risks that have a negative impact on the general indicators of tourism safety, general ways and trends of their elimination are indicated (an example of the concept of "regenerative tourism").

*ნუნუ ქისტაური  
ქეთევან ქველაძე  
მედეა მელაშვილი*

**მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკის ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხები  
(ჩინეთისა და საქართველოს მაგალითზე)**

*ანოტაცია. ნაშრომი ეძღვნება მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის პირველხარისხოვან პრობლემას, როგორცაა ეკოლოგიური უსაფრთხოება და აღნიშნულია, რომ იგი ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია. აქ მოყვანილია ამ პრობლემის განმარტება, მისი შემადგენელი კომპონენტები, მაჩვენებელთა (ინდიკატორთა) სისტემები. ნაშრომში განხილულია მიზეზები, რაც უარყოფითად მოქმედებს ეკოლოგიური უსაფრთხოების ზოგად მაჩვენებლებზე, მითითებულია მათი აღმოფხვრის გზები.*

ნაშრომში ჩინეთისა და საქართველოს მაგალითზე განხილულია ამ ქვეყნებში ეკოლოგიური უსაფრთხოების არსებული მდგომარეობა, მოყვანილია თითოეული მათგანის მთავრობათა მიერ დასახული მომავლის გეგმები. ეს ანალიზი გაკეთებულია საკმაოდ ფართო სტატისტიკური ციფრული მასალის საფუძველზე და მოიცავს როგორც საქართველოში, ისე ჩინეთში აღნიშნული პრობლემების ანალიზის საფუძველზე განზოგადებულ შესაბამის დასკვნებს.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკა, ეროვნული უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება, სოციალური უსაფრთხოება, ეკოლოგიური უსაფრთხოება.

მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის პირველხარისხიან პრობლემას ეროვნული უსაფრთხოება წარმოადგენს.

ეროვნული უსაფრთხოება ეს არის სახელმწიფო სტრატეგიისა და მიზნების ოფიციალურად მიღებული შეხედულებების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს დაცვას პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო, ინფორმაციული, ტექნოგენური, ეკოლოგიური ან სხვა ხასიათის გარე და შიდა საფრთხეებისგან, არსებული რესურსებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ტერმინი „ეროვნული უსაფრთხოება“ პირველად გამოიყენა აშშ-ის პრეზიდენტმა თ. რუზველტმა 1904 წელს (პანამის არხთან დაკავშირებით). მის მიერ წარმოდგენილი კონცეფცია მოიცავდა პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ სფეროებს.

ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ეკოლოგიური უსაფრთხოება. მიღებული განმარტებით, ეკოლოგიური უსაფრთხოება ეს არის გარემოსა და ადამიანზე ეკოლოგიური საფრთხეების ბუნებრივი და ანტროპოგენური ფაქტორების ნეგატიური გავლენის დასაშვები დონე.

ეკოლოგიური უსაფრთხოების მაჩვენებლებია: ბუნებრივი ეკოსისტემების დაზღვევის დონე; ბუნებრივი გარემოს ცალკეული კომპონენტების მდგომარეობა (წყალი, ჰაერი, ნიადაგი); დამაბინძურებელი ნივთიერებების ატმოსფეროში გატყორცნის მოცულობა; დეგრადირებული მიწების ფართობი; რეგიონში დაავადებათა დინამიკა; დაბინძურების შედეგად მიღებული ეკონომიკური ზარალი და სხვ.

ამის შესაბამისად ყველაზე მწვავე ეკოლოგიურ პრობლემებს წარმოადგენს:

- ჰაერის დაბინძურება, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, ავტოტრანსპორტის დიდი გამონაბოლქვის, გამათბობელი სისტემის, ენერგეტიკისა და სამრეწველო საწარმოების მუშაობის შედეგად;

- სასმელი წყლის დაბალი, სულ უფრო გაუარესებული ხარისხი და მთლიანად წყლის რესურსების დაბინძურება;

- ბიომრავალფეროვნების შემცირება და გაქრობა, მიწისა და წყლის ეკოსისტემების დეგრადაცია, ტყის მასივების შემცირება ხანძრების, მავნებლების შესევის, უკანონო ჭრის შედეგად და სხვ.;

- ეკოლოგიური კატასტროფების რისკების ზრდა, ნაგავსაყრელების, ნარჩენების არადამაკმაყოფილებელი შენახვის პრობემის შედეგად.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკოლოგიური უსაფრთხოების საფუძველში დევს: ადამიანსა და ბუნებას შორის მდგრადი ურთიერთკავშირის შენახვა; რესურსების რაციონალური გამოყენება; იმ პროცესების რეგულირება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს გარემოს დაბინძურება და ეკოლოგიურად საშიში სიტუაციების შექმნა, მაგალითად, ეკოლოგიურად საშიშ წარმოებათა ნარჩენების დამარხვა (მ.შ. ატომური და ქიმიური მრეწველობის) ყველა საერთაშორისო წესების დაცვით; აგრეთვე მასიური განადგურების იარაღის გამოცდის შედეგების აუცილებელი გათვალისწინება და სხვ.

ეკოლოგიური უსაფრთხოების სრული უზრუნველყოფა შეუძლებელია ერთი ეროვნული ინტერესების ფარგლებში. ეს არის მსოფლიო მასშტაბის პრობლემა, ამიტომ თითოეული ქვეყანა, პირველ რიგში ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნები, ვალდებული არიან

გაითვალისწინონ ეკოლოგიური პრობლემების აღმოფხვრის ყველა მათ ხელში არსებული საშუალებების გამოყენება. ჩინეთი ერთ-ერთი მათგანია.

ჩინეთის ეკოლოგიური პრობლემების აღწერა საკმაოდ რთულია. ძალიან დიდხანს ეკონომიკა ქაოსური იყო, ბუნებრივი რესურსები ნადგურდებოდა წუთიერი მოგების მიზნით. XX საუკუნის მეორე ნახევარში, აქტიური ინდუსტრიალიზაციის პერიოდში, ჩინეთის მთავრობა პრაქტიკულად არ აქცევდა ყურადღებას გარემოს დაბინძურების პრობლემას. 1978 წლის რეფორმების დაწყებიდან ამ საკითხის მიმართ მიდგომები შეიცვალა, თუმცა რეალურ მოქმედებებზე მთავრობა 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან გადავიდა. ახლა გარემოს დაცვის სახელმწიფო მართვის ეგიდით მოქმედებს ათზე მეტი მსხვილმასშტაბიანი გარემოსდაცვითი პროექტი, რომლის დიდმა ნაწილმა სტარტი 1995-98 წლებში აიღო. მათ შორისაა ეკოლოგიური მდგომარეობის მონიტორინგი ჩინეთის 7 ძირითადი მდინარის აუზში; ძლიერად დაბინძურებული წყლის ობიექტების (ტბების) გასუფთავების ღონისძიებათა დანერგვა.

ბოლო 20 წლის განმავლობაში ეკოლოგიური მდგომარეობა ჩინეთში იმდენად გაუარესდა, რომ პროგრესისა და ტექნიკური რევოლუციის უდიდესი მიღწევები ნულამდე დაჰყავს. მოსახლეობის უდიდეს ნაწილს სასმელი წყლის და საკვები პროდუქტების უზარისხოვბის გამო ჯანმრთელობის და დაბალი იმუნიტეტის პრობლემები გააჩნია. მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვის გამო სეზონური ვირუსები ძალიან მალე ვრცელდება, მუტაციას განიცდის და ახალი შტამები ჩნდება.

ჩინეთის ეკოლოგიის მდგომარეობაზე წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 1.

**ცხრილი 1**

**ჩინეთის ეკოლოგიური მდგომარეობის ზოგიერთი მაჩვენებელი**

მაჩვენებელი	2022	2021	2020	2019	2018	2017	2016
ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსი	28.4	-	37.3	-	50.74	-	65.1
ჰაერის დაბინძურების ინდექსი	30.6	32.6	34.7	39.1	41.2	-	57.2
გარემოს დაბინძურების ინდექსი	80.6	81.5	80.8	81.9	85.9	89.0	85.5
CO <sub>2</sub> -ის გამონაბოლქვი ერთ სულ მოსახლეზე (ტ)	-	8.73	8.39	7.6	7.49	7.7	7.12
აირების გამონაბოლქვი (მლნ. ტ)	-	12466.32	11948.12	10707.22	10502.93	10877.218	9123.0

მეცნიერების აზრით, ჩინეთის ეკოლოგიის ძირითადი პრობლემა შხამიანი სმოგია. ატმოსფეროში ნახშირორჟანგის გაფანტვა ხდება უამრავი სამრეწველო საწარმოს, ჰესების, ტრანსპორტისა და ა.შ. ფაქტორების მიერ. თუკი ევროპელები პირბადეების ტარების პრობლემას პირველად კოვიდის დროს შეეჯახნენ, ჩინეთში მათი მასიური ტარება შედარებით ადრე დაიწყო. გაეროს მიერ შემუშავებული ჰაერის დაბინძურების ინდექსის მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებელი ჩინეთში სწრაფად უარესდება და 2019 წლიდან (39.12 ქულა) 2021 წელს (20.6 ქულა) 19.6 ქულით შემცირდა. მსოფლიოს ყველაზე დაბინძურებული ქალაქების ტოპ-ოცულში 16 ჩინური ქალაქი შედის.

ეკოლოგიური კატასტროფის მნიშვნელოვანი წილი იმ საწარმოებზე მოდის, რომლებიც აბინძურებს წყლის რესურსებს. შედარებისათვის ევროპაში იმ საწარმოების წილი, სადაც ხდება ჩამდინარე წყლების გაწმენდა, 80-85%-ს, ჩინეთში კი მხოლოდ 20%-ს შეადგენს. ჰიდროსფეროს დაბინძურება იწვევს სასმელი წყლის დეფიციტს. ბუნებრივი წყლის წყაროების (მდინარეების, ტბების) ნაპირზე მცხოვრები სოფლის მოსახლეობა ვერ ახერხებს ამ წყლების სარწყავად გამოყენებას თავიანთ მეურნეობებში.

გაეროს ეკოლოგიური ინდექსის მიხედვით ჩინეთში სულ რაღაც 4 წლის წინ, 2018 წელს, ეს მაჩვენებელი 50.74 ქულას შეადგენდა, ხოლო 2022 წელს იგი 28.4 ქულამდე შემცირდა. ეს პროცესი ბოლო პერიოდში მუდმივად გრძელდება.

2014 წელს ჩინეთმა ბუნებრივი რესურსების დაცვა კონსტიტუციაში შეიტანა. შემუშავებულია სახელმწიფო პროგრამა სასათბურე გაზების გაფანტვის შემცირების მიზნით. 2025-30 წლებში ქვეყანაში იგეგმება ქვანახშირის მოხმარების შემცირება 75%-ით. იგი ქარისა და მზის ელექტროსადგურებმა უნდა ჩაანაცვლოს. უკვე აკრძალულია პლასტიკის იმპორტი. 2019 წლიდან შემოტანილია ერთჯერადი პაკეტებისა და სამაგიდო საგნების მოხმარების თანდათანობითი აკრძალვა. აქტიურად ირგვება ხეები და იქმნება „მწვანე სარტყლი“ მაქსიმალურად დიდ ტერიტორიებზე.

სრულიად ნათელია, რომ ეკოლოგიასა და ეკონომიკას შორის მჭიდრო კავშირია. ეკოლოგიურ პრობლემებს უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია ეკონომიკის ზრდასა და განვითარებაზე, თავის მხრივ, ეკონომიკის წარმართვას ბუნებისდაცვითი მოთხოვნების არგათვალისწინებით მნიშვნელოვნად შეუძლია არსებული გარემოს შეცვლა. ერთი მხრივ თუ ვფიქრობთ, რომ გარემოს დაცვითი საკითხების გათვალისწინება დამატებითი ხარჯია და ეკონომიკის განვითარებას ანელებს, მეორე მხრივ მისი საერთოდ არ გათვალისწინება დროთა განმავლობაში მთლიანად მოშლის ეკონომიკას. გარემოს მიმართ ცუდი მოპყრობა საბოლოოდ შეამცირებს იმ რესურსებს, რომელიც საჭიროა წარმოებისა და ეკონომიკისათვის, საფრთხეს შეუქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას და ა.შ., რაც ნამდვილად უარესია, ვიდრე უბრალოდ ეკონომიკის განვითარების შენელება ზოგ შემთხვევაში. ეკონომიკის შენელება, როგორც წესი, ეკოლოგიის ღონისძიებათა საწყისი ეტაპის თანმდევი ეფექტია, შემდგომში კი ბუნებისდაცვითი მოთხოვნების გათვალისწინება და გარემოსადმი მიყენებული ზიანის შემცირება იწვევს ეკონომიკის ზრდისა და განვითარების დაჩქარებას და, რა თქმა უნდა, გარემოპირობებისა და შესაბამისად ადამიანთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებას. უდავოა, რომ აღნიშნული გზით ბევრად უფრო კარგი შედეგების მიღწევაა შესაძლებელი, ვიდრე გარემოსადმი ზიანის მიყენების უგულვებელყოფით, თუმცა ამისდა მიუხედავად არცერთი ინვესტორის ინტერესებში არ შედის ის, რომ გაითვალისწინოს ბუნებისდაცვითი მოთხოვნები და გაიღოს ამისთვის დამატებითი ხარჯები. ამის ახსნა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ ეკოლოგიური ფაქტორის გათვალისწინება საწყის ეტაპზე იწვევს დანახარჯების ზრდას და რიგ შემთხვევებში ეკონომიკური ზრდის შენელებასაც.

მრავალ ქვეყანაში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, ხშირად ეკონომიკის განვითარებისათვის საჭირო ხდება გარკვეულ ეკოლოგიურ დათმობებზე წასვლა, გარემოსადმი ზიანის მიყენების უგულვებელყოფა. საქართველოს მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მიღწევა ეკოლოგიური პრობლემების გარეშე საკმაოდ რთული ამოცანაა. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ასეთი პატარა ქვეყნისათვის რთულია იმ დამატებითი ხარჯებისა და რესურსების გაღება, რაც საჭიროა ბუნებისდაცვითი მოთხოვნების შესასრულებლად.

როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყანა, საქართველოც სხვადასხვა გარემოსდაცვითი პრობლემის წინაშე დგას. უდავოა, რომ ამ პრობლემების გადაჭრა წარმოადგენს ერთ-ერთ სტრატეგიულ ამოცანას, რომლის გადაწყვეტა მოითხოვს სახელმწიფო ეკოლოგიური უსაფრთხოების გამართული პოლიტიკის ჩამოყალიბებას. რა თქმა უნდა, ის, რომ საქართველოში ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკა ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი და შემდგომ დახვეწას მოითხოვს, განპირობებულია იმით, რომ საბჭოთა პერიოდში ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნება პრიორიტეტული არ იყო. ასევე, დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში ჩვენი რესპუბლიკის წინაშე არსებული პრობლემები არ იძლეოდა საშუალებას, განსაკუთრებული ყურადღება დათმობოდა ეკოლოგიურ პრობლემებს. ეკოლოგიური პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და მისი მიზანია მოსახლეობისა და გარემოს უსაფრთხოების დაცვა ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვანი შემცირების, გარემოს დაზინძურების, ბუნებრივი მოვლენებისა და ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი კრიზისების პრევენციის გზით. აქ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთ ბუნებრივ მოვლენებს, როგორებიცაა წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, მიწისძვრა, ასევე სამრეწველო ავარიების, შავი ზღვის დაზინძურების პრევენცია და სხვა.



შესაბამისად, საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტებია: გარემოს დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება; ჰაერის დაბინძურების წყაროებზე კონტროლის დაწესება; ნიადაგის დაბინძურების პრევენცია; საქართველოს ტერიტორიის გაწმენდა რადიოაქტიური ნარჩენებისა და სარაკეტო საწვავისაგან; საკვების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ევროპისა და გაეროს გარემოს დაცვის სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება.

ყველა განვითარებად ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში ეკონომიკურმა განვითარებამ ბოლო წლებში შესაძლებელი გახადა გარემოსდაცვითი პრობლემების თანდათანობით გადაჭრა და გარემოს დაცვა გადააქცია სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად: ბოლო 7-8 წლის განმავლობაში საქართველოში განხორციელდა მასშტაბური სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ეკოლოგიური კვლევის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ყოველწლიურად გაიანგარიშება ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსი (Environmental Performance Index, EPI), რომელიც სხვადასხვა მონაცემებზე დაყრდნობით აჩვენებს, თუ რა მდგომარეობაა ამა თუ იმ ქვეყანაში მდგრადი განვითარების მიმართულებით. იგი ეფუძნება 11 კატეგორიაში გაერთიანებულ 32 ეფექტიანობის ინდიკატორს.

2020 წელს ამ ინდექსის მიხედვით კვლევის მონაწილე 180 ქვეყანას შორის საქართველო 102-ე ადგილს იკავებდა 41.3 ქულით.

2019 წელს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა საზოგადოებრივი მომსახურებებით საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების დონის კვლევა. კვლევის მიხედვით, რესპონდენტები ქალაქში უფრო მეტად მიუთითებენ ეკოლოგიურ პრობლემებზე, ვიდრე სოფელში. კერძოდ, ჰაერის (63% – ქალაქში, ხოლო 18% – სოფელში), მიწის (47% – ქალაქში, 14% – სოფელში) და ბუნებრივი რეზერვუარების (44% – ქალაქში, 21% – სოფელში) დაბინძურებაზე. აღნიშნულ პრობლემებზე მაღალმთიან რეგიონებში კიდევ უფრო ნაკლები რესპონდენტი მიუთითებს (ჰაერი – 10%, მიწა – 10%, ბუნებრივი წყლის რეზერვუარი – 10%). მონაცემებიდან ჩანს, რომ ეკოლოგიური პრობლემები ყველაზე მეტად თბილისში შეინიშნება. მნიშვნელოვანია ასევე ის ფაქტი, რომ წინა წლებთან შედარებით ახლა უფრო მეტი რესპონდენტი (28%) მიუთითებს სახელმწიფოს მხრიდან გარემოსადმი მიყენებული ზიანის შესამცირებლად გატარებულ ღონისძიებებსა და დახმარებებზე.

2019 წლის დეკემბერში GAHP-ის (გლობალური ალიანსი ჯანდაცვისა და დაბინძურების შესახებ) გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, ევროპის რეგიონში გარემო ფაქტორებიდან ადამიანთა ჯანმრთელობას სწორედ ჰაერის დაბინძურება უქმნის საფრთხეს. 100 000 მოსახლეზე დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობის მიხედვით კი ევროპის რეგიონში საქართველო მეორე ადგილს იკავებს. აქ ყოველ 100 000 მოსახლეზე დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობა წელიწადში 140-ს უდრის.

საქართველოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ზოგად წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 2.

**ცხრილი 2**

**საქართველოს ეკოლოგიური მდგომარეობის ზოგიერთი მაჩვენებელი**

მაჩვენებელი	2022	2021	2020	2019	2018	2017	2016
ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსი	39.1	-	41.3	-	55.69	-	64.96
ჰაერის დაბინძურების ინდექსი	17	21	20.4	20.1	-	-	19.7
გარემოს დაბინძურების ინდექსი	69.3	69.7	71.1	72.5	73.4	72.7	69.9
CO <sub>2</sub> -ის გამონაბოლქვი ერთ სულ მოსახლეზე (ტ)	-	3.00	2.88	2.7	4.54	3.0	2.59

აირების გამონახობა (მლნ. ტ)	-	11.65	11.24	10.11	9.57	11,558	9.65
-----------------------------	---	-------	-------	-------	------	--------	------

საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან გონივრული საკანონმდებლო რეგულაციების გატარება გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების კუთხით ინვესტორების, მეწარმეების წასახალისებლად.

პირველი კანონი გარემოს დაცვის სფეროში, კერძოდ, საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, მხოლოდ 1996 წელს იქნა მიღებული. ამ კანონით განისაზღვრა ბუნებრივი რესურსების მართვისა და გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპები და რეგულაციები ჩვენს ქვეყანაში, შემდეგ წლებში გაგრძელდა ეკოლოგიის სფეროში სამართლებრივი ბაზის მოწესრიგება.

2000 წელს მიღებულ იქნა მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით მომზადებული გარემოს დაცვის მოქმედებათა პირველი ეროვნული პროგრამა, რომელიც მოიცავდა 2000-2004 წლებს.

2005 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს უსაფრთხოების კონცეფცია, სადაც შეფასდა საქართველოს წინაშე არსებული ეკოლოგიური გამოწვევები, განისაზღვრა ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკა და მისი პრიორიტეტები.

საქართველოს კანონის „გარემოს დაცვის შესახებ“ შესაბამისად, ჰოლანდიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, 2012 წელს მიღებულ იქნა გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა, რომელიც მოიცავს 2012-2016 წლებს.

საქართველოს ხელისუფლება აგრძელებს საერთაშორისო თანამშრომლობის აქტივიზაციის პროცესს გარემოს დაცვის სფეროში. ხელი მოეწერა სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებას. წყლის რესურსების, ატმოსფერული ჰაერის, ნარჩენების, შავი ზღვის, ბიომრავალფეროვნებისა და დაცული ტერიტორიების, ტყისა და სატყეო მეურნეობის, მინერალური რესურსების, კატასტროფების, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების, კლიმატის ცვლილებისა და სხვა მნიშვნელოვან ეკოლოგიურ მიმართულებათა კუთხით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ სახელმწიფოს ხელეწიფება გამოიჩინოს დიდი ყურადღება და შესაბამისი პოლიტიკითა და ღონისძიებებით ნელ-ნელა გამოასწოროს არსებული სიტუაცია ქვეყანაში, შეცვალოს ის უკეთესობისაკენ, რისთვისაც აუცილებელია ეკონომიკური საქმიანობისა და ბუნებისდაცვითი მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა. ეს კი, რა თქმა უნდა, სწორედ სახელმწიფოს პრეროგატივაა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/43156?publication=0> ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკა.
2. <https://mfa.gov.ge/national-security-concept> ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკა.
3. <https://obrazovanie-gid.ru/pereskazy1/ekologicheskie-problemy-gruzii-kratko.html> ЭКОЛОГИЧЕСКИЕ ПРОБЛЕМЫ ГРУЗИИ КРАТКО
4. <http://mastsavlebeli.ge/?p=17782>
5. <https://sustainability.ge/epi-2020/>
6. <http://geoeconomics.ge/?p=13288>
7. <https://www.renovablesverdes.com/ka/huella-ecologica-2/>
8. <https://nonews.co/directory/lists/countries/ecology>
9. <https://nonews.co/directory/lists/countries/pollution-rating>
10. <https://www.iqair.com/ru/world-most-polluted-countries> Самые загрязненные страны и регионы мира (история данных за 2018-2022 гг.)
11. [https://www.numbeo.com/pollution/rankings\\_by\\_country.jsp?title=2022](https://www.numbeo.com/pollution/rankings_by_country.jsp?title=2022)[https://www.numbeo.com/pollution/rankings\\_by\\_country.jsp?title=2022](https://www.numbeo.com/pollution/rankings_by_country.jsp?title=2022) Pollution Index by Country
12. <https://www.theglobaleconomy.com/>

**ENVIRONMENTAL SECURITY ISSUES OF THE WORLD AND NATIONAL ECONOMY  
(ON THE EXAMPLE OF CHINA AND GEORGIA)**

**Abstract**

The work is dedicated to a first-class problem for any country in the world, such as: environmental security, and it is noted that it is one of the main components of national security. Here is an exhaustive definition of this problem, its components, systems of indicators. The paper discusses the causes that have a negative effect on the general indicators of ecological safety, and the ways of their elimination are indicated.

The work is done on the example of China and Georgia. The current situation of environmental security in these countries is discussed, and the future plans set by the governments of each of them are given. This analysis is made on the basis of a fairly extensive statistical digital material. Based on the analysis of the mentioned problems both in Georgia and China, relevant generalized conclusions are made in the paper.

*ქეთევან შენგელია*

**გლობალური პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე**

**ანოტაცია.** პანდემიის შოკმა მნიშვნელოვნად გააუარესა ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა მთელი მსოფლიოს ქვეყნებისთვის. ეს განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებზე აისახა. სტატიაში გაანალიზებულია, თუ როგორ გააუარესდა ადამიანთა ცხოვრების დონე პანდემიის შედეგად. განხილულია უმუშევრობის და ინფლაციის მაჩვენებლების ზრდა, რაც აღრმავებს სიღარიბეს, ქონებრივ დიფერენციაციას.

კრიზისის პერიოდში მთავრობებს ევალებათ არა მხოლოდ მოქალაქეების უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა, არამედ მათ უნდა გადაარჩინონ ბიზნესი და საარსებო წყაროთი უზრუნველყონ მოსახლეობა.

საზოგადოებრივი სისტემის ფასეულობები და ნორმები რადიკალურად შეიცვალა, ძირითადი სტრუქტურების მიმართ სერიოზული საფრთხე ღვივდება და კარდინალური გადაწყვეტილებების მიღება აუცილებელი ხდება. გაურკვეველობა და მოულოდნელობა ის უარყოფითი შოკებია, რომელიც თავს დაატყდა მთელ კაცობრიობას. მსოფლიო შეეჯახა გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს, რამაც კაპიტალის დეფიციტი გამოიწვია.

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის აუცილებელია მეტი დივერსიფიკაცია. მხოლოდ ტურიზმის იმედად ვერ ვიქნებით. უნდა განვითარდეს სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მომსახურების სფეროები. საქართველოს ეკონომიკის ზრდა დიდად არის დამოკიდებული ინვესტიციებზე, წარმოებაზე, თავისუფალ ვაჭრობაზე.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვით სამამულო მრეწველები შეისწავლიან თანამედროვე სამმართველო უნარ-ჩვევებს, უფრო მეტად დააფასებენ საკუთარი ქვეყნის ადამიანურ კაპიტალს, აითვისებენ მაღალ ტექნოლოგიებს, დაქირავებულ მუშაკებს მისცემენ კვალიფიკაციის ამაღლების საშუალებას. შედეგად ამაღლდება პროდუქციის ხარისხი, შრომის ნაყოფიერება, შემცირდება პროდუქციის თვითღირებულება და ფასებიც დასტაბილურდება. საბოლოოდ მთელი ქვეყნის ეკონომიკა ძალას მოიკრებს, გაიზრდება მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა და ცხოვრების დონე.

**საკვანძო სიტყვები:** ბიზნესის გამოწვევები, საქართველოს ეკონომიკა, მიწოდების უარყოფითი შოკი, პანდემია, ცხოვრების დონე.

**შესავალი**

მსოფლიო რადიკალურად შეცვალა 2020 წლის პანდემიამ და, სავარაუდოდ, არასოდეს გახდება ისეთი, როგორც იყო. შეიცვალა ურთიერთობები, ბიზნესი, სრულიად ციფრული გახდა ეკონომიკა და ამით საინფორმაციო ტექნოლოგიებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი

მნიშვნელობა — გლობალური კაპიტალისტური სამყაროს მართვა ერთი პატარა კლავიატურის მეშვეობით გახდა შესაძლებელი. ახალმა კორონავირუსმა მსოფლიოს წამყვანი აქტორები ერთ ოთახში გამოკეტა და დაუმტკიცა, რომ მთავარი ფული კი არა, ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლეა.

2020 წლის 12 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კოვიდ-19-ის გავრცელებას პანდემიის სტატუსი მიანიჭა და მას შემდეგ უკვე ორი წელზე მეტია შეზღუდვები ხან მკაცრდება, ხანაც ოდნავ მსუბუქდება. საქართველოში 2022 წლის თებერვლის მონაცემებით კორონავირუსის პირველი შემთხვევის გამოვლენიდან დღემდე ვირუსით ინფიცირებული 1 304 603 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა გამოვლინდა. აქედან 15 212 ადამიანი გარდაიცვალა<sup>44</sup>. აშშ-ში გარდაცვლილთა რაოდენობა ერთ მილიონზე არის 2771; რუსეთში — 2297; თურქეთში — 1032; ისრაელში — 980; ჩინეთში — 3<sup>45</sup>. საქართველოში ყველაზე რთული სიტუაცია ფიქსირდებოდა, თუმცა, საბედნიეროდ, მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა.

არც ერთი თეორია არ იძლევა პასუხს კითხვაზე, რა ტიპის საზოგადოებაში ვცხოვრობთ ამჟამად და რა გველოდება მომავალში. საზოგადოებრივი სისტემის ფასეულობები და ნორმები რადიკალურად შეიცვალა, ძირითადი სტრუქტურების მიმართ სერიოზული საფრთხე ღვივდება და კარდინალური გადაწყვეტილებების მიღება აუცილებელი ხდება. გაურკვეველობა და მოულოდნელობა ის უარყოფითი შოკებია, რომელიც თავს დაატყდა მთელ კაცობრიობას. სიტუაცია უფრო მეტად გააღრმავა რუსეთ-უკრაინის ომმა. მსოფლიო შეეჯახა გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს, რამაც კაპიტალის დეფიციტი გამოიწვია. თუმცა როგორც ეკონომიკური კრიზისების ზოგადი თეორიიდან არის ცნობილი, ეკონომიკური კონიუნქტურის დინამიკას რიტმულობა ახასიათებს, დაქვეითებას მოყვება აღმასვლა და სწორედ ასეთი აღმასვლის მოლოდინში ვართ დღეისთვის. ნელ-ნელა მსოფლიო გამოდის ამ კრიზისიდან, თუმცა დარჩა მრავალი პრობლემა, რომელიც მოითხოვს დასკვნების გაკეთებას. გაურკვეველია, როგორი ეკონომიკური პოლიტიკა განხორციელდება მსოფლიოში — პრიორიტეტები ჩამოყალიბების ეტაპზეა.

## ძირითადი ნაწილი

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევების მიხედვით, მსოფლიო პანდემიის შედეგად მოწინავე ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა, სადაც გლობალიზაციისა და მომსახურების წილი მაღალია, უფრო მეტი ეკონომიკური კლება გამოიწვია, ვიდრე განვითარებადმა ქვეყნებმა. 2020 წლისთვის მსოფლიო ეკონომიკა შემცირდა<sup>46</sup> 4,4%-ით, აშშ-ის ეკონომიკა — 4,3%-ით, ევროპის — 8,3%-ით, ლათინური ამერიკის — 8,3%-ით, აფრიკის — 3,0%-ით, განვითარებადი აზიის — 1,7%-ით, შუა აღმოსავლეთის — 4,1%-ით, საქართველოსი კი — 6,8%-ით<sup>47</sup>.

საქართველო მცირე ზომის ქვეყანაა დოლარიზაციის მაღალი დონით, ამიტომ დიდად არის დამოკიდებული მისი ეკონომიკა საგარეო ფაქტორებზე. **პანდემიის შოკმა** მნიშვნელოვნად გააუარესა ეკონომიკური ზრდის ტემპი. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, ყველაზე მეტად დაზარალდა ისეთი სფეროები, როგორცაა გართობა, დასვენება, სასტუმროები, ტურიზმი. აშშ-ში ამ სექტორებში უმუშევრობის მაჩვენებელმა 14,7 % შეადგინა, შესაბამისად დაიკარგა 20 მილიონი სამუშაო ადგილი. იაპონიაში იმავე პერიოდის მონაცემებით უმუშევრობის მაჩვენებელმა 2,5 % შეადგინა, გერმანიაში — 5,8% და შესაბამისად 373 ათასმა ადამიანმა დაკარგა სამუშაო. კანადაში უმუშევრობამ 13%-ს გადააჭარბა, რაც 7 მილიონამდე უმუშევარს გულისხმობს<sup>48</sup>. საქართველოში უმუშევრობამ 2021 წლის მეორე კვარტლისთვის

<sup>44</sup> <https://stopcov.ge/>

<sup>45</sup> <https://www.trt.net.tr/georgian/covid19>

<sup>46</sup> მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, მსოფლიო ეკონომიკის მიმოხილვა, ოქტომბერი, 2021წ. <https://nbg.gov.ge>

<sup>47</sup> <https://www.geostat.ge/ka>

<sup>48</sup> <https://forbes.ge/blogs/covid-19-e1-83-98-e1-83>

პიკს მიაღწია და 22,1% გაუტოლდა, რაც 344,6 ათას კაცს შეადგენდა. სამუშაო ძალა აღნიშნული პერიოდისთვის იყო 1 მლნ 559 ათასი კაცი.<sup>49</sup>

პანდემიის ტვირთი ორმაგად უარყოფითად აისახა ბიუჯეტის მდგომარეობაზე. ერთი მხრივ, შემცირდა საგადასახადო შემოსავლები, მეორე მხრივ — პანდემიის დასაძლევად განხორციელებული ღონისძიებები კიდევ უფრო მეტად აღრმავებდნენ სახელმწიფო დანახარჯების წილს. ჯანმრთელობის დაცვისა და ვირუსით ინფიცირებულთა მკურნალობის ხარჯების გარდა, აუცილებელი გახდა ღონისძიებების გატარება მოსახლეობის სოციალური დაცვისა და ბიზნესის ხელშეწყობის მიმართულებით. შემუშავდა ანტიკრიზისული გეგმა, მოხდა ახალი ფისკალური ჩარჩოს შეთანხმება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი განისაზღვრა 8,5 %.

საჭირო გახდა ეკონომიკის მეტი დივერსიფიკაცია. მარტო ტურიზმის იმედად ვერ დავრჩებით. უნდა განვითარდეს სხვა დარგებიც, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მომსახურების სფეროები. პოლიტიკოსებმა უნდა ირწმუნონ ის ფაქტი, რომ მხოლოდ ერთად ვართ ძლიერები, მხოლოდ ერთად გადავრჩებით და დავძლევთ მდგრადი განვითარების გამოწვევებს.

კრიზისის პერიოდში მთავრობებს ევალებათ არა მხოლოდ მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვა, არამედ მათ უნდა გადაარჩინონ ბიზნესი და საარსებო წყაროთი უზრუნველყონ მოსახლეობა.

ამ გლობალურ საფრთხეს სხვადასხვა ქვეყანამ სხვადასხვანაირად უპასუხა. საქართველომ 3,5 მილიარდი ლარი გამოყო პირველადი ანტიკრიზისული გეგმის მიხედვით. დონორი ქვეყნებიდან შემოვიდა 3,8 მილიარდი დოლარი, თუმცა მისი განაწილება გამჭვირვალე არ ყოფილა. საქართველოში თვითდასაქმებულების მესამედმა მიიღო 300-ლარიანი დახმარება. საერთო ჯამში 2020 წლის ნოემბრისთვის 249 ათას ადამიანს 74,5 მილიონი ლარი ჩაერიცხა. ხოლო პანდემიის გამო უმუშევრად დარჩენილებისთვის გამოიყო 450 მლნ ლარი, თუმცა მისი მესამედიც არ იქნა ათვისებული. დახმარება 162 220-მა ბენეფიციარმა მიიღო, რაზეც ჯამში 129 მილიონი ლარი დაიხარჯა. პროგრამა 2021 წელსაც გაგრძელდა. კომუნალური დახმარების პროგრამაზე 173 მილიონი ლარი დაიხარჯა, რომელიც ზამთრის პერიოდში გრძელდებოდა. 18 წლამდე ბავშვების კომპენსაციაზე დახმარება 225 000 ბავშვზე გაიცა და აღნიშნულ პროგრამაზე 185 მილიონი ლარი დაიხარჯა. დახმარება იყო 200 ლარი თითოეულ ბავშვზე სოციალური მდგომარეობის მიუხედავად. სამშენებლო სექტორმა და ტურიზმის სექტორმა ყველაზე მსხვილი მოცულობის დახმარების პაკეტი მიიღო. სამშენებლო სექტორს 434 მილიონი ლარი გამოეყო, ტურიზმის სექტორს კი 200 მილიონი ლარი. 2021 წლისთვის მთავრობამ გააგრძელა ეკონომიკის სუბსიდირება განახლებული ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში. 1,1 მილიარდი ლარი განაწილდა მოსახლეობაზე და ბიზნესზე თითქმის თანაბარი მოცულობით — 545 მილიონი და 515 მილიონი შესაბამისად.<sup>50</sup>

ანტიკრიზისულმა გეგმამ მართალია შეამსუბუქა მოსახლეობის პრობლემები პანდემიის პერიოდში, მაგრამ საკმაოდ მცირე მოცულობის იყო. სამუშაოს გარეშე დარჩენილთა 200 ლარიანი დახმარება არასაკმარისი იყო, მით უფრო რომ გამოყოფილი ბიუჯეტის მესამედის ათვისებაც ვერ მოხერხდა. ფაქტობრივად მათ მიიღეს საარსებო მინიმუმის ტოლი თანხა.

ანტიკრიზისული გეგმის მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ასევე საკრედიტო ვალდებულებების გადავადება და საშემოსავლო გადასახადის გაუქმება პირველ 750 ლარზე დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის.

მიუხედავად მთავრობის მრავალმხრივი მცდელობისა, მოსახლეობა უკმაყოფილოა სამომხმარებლო საქონელზე მაღალი ფასების გამო. ფასების ზრდა განსაკუთრებით სურსათზე, მედიკამენტებზე და კომუნალურ გადასახადებზე აისახა. მაღალი ინფლაცია განპირობებულია

<sup>49</sup> <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba>

<sup>50</sup> ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, ანტიკრიზისული გეგმის მიმოხილვა, [idfi.ge/ge/overview\\_of\\_the anticrisis\\_plan](https://www.idfi.ge/ge/overview_of_the_anticrisis_plan)

საერთაშორისო ბაზრებზე არსებული პროცესებით და კიდევ უფრო გააღრმავა რუსეთ-უკრაინის ომმა. ძვირდება იმპორტირებული პროდუქცია. ასევე შარშანდელმა სუბსიდიამ მნიშვნელოვნად გააძვირა სამომხმარებლო საქონელი. ფასების ზრდის პროცენტულმა ცვლილებამ წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 14%-ს მიაღწია.<sup>51</sup> სწორედ მაღალი ინფლაციის გამო ეროვნულმა ბანკმა არ შეამცირა რეფინანსირების განაკვეთი და კვლავ 10,5% დატოვა, რაც 2008 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ლარი ყველაზე ძვირი ღირდა ბოლო 15 წლის განმავლობაში – 3,35 აშშ \$, თუმცა 2023 წლისთვის ეს პრობლემა გარკვეულწილად დაძლეულ იქნა და ლარის კურსი 2,5 აშშ დოლარამდე ჩამოვიდა.

ინფლაციაზე არაერთი წნეხი, რისკი არსებობს. დამაბუღია გეოპოლიტიკური ვითარება. რუსეთ-უკრაინის ომი ამდაფრებს მდგომარეობას. ამ ყველაფერმა მრავალ გაურკვევლობას დაუდო სათავე, რამაც ყველა ქვეყნის ეკონომიკა გამოწვევების წინაშე დააყენა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მაღალი ინფლაცია, რაც საქართველოს მოსახლეობისთვის დამანგრეველად მოქმედებს. ამცირებს რეალურ შემოსავლებს და ცხოვრების დონე მკვეთრად ეცემა არა მხოლოდ ლარში, არამედ საშუალო ფენებისთვისაც.

ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა ფისკალურ კონსოლიდაციასთან ერთად სხვა თანაბარ პირობებში გამოიწვევს ინფლაციის მიზნობრივ დონემდე ჩამოსვლას გაზაფხულის პერიოდისთვის და ინფლაციური მოლოდინები უმჯობესდება. თუმცა აღსანიშნავია ნავთობზე ფასების ზრდა 90 \$-დან 100 \$-მდე. შესაბამისად მიწოდების უარყოფითი შოკები კვლავ საფრთხეს უქმნის ისედაც მაღალ ფასებს. თუ მთავრობამ ნავთობზე აქციზის გადასახადი არ შეამცირა, ყოველი მეხუთე ადამიანი შიმშილის ზღვარზე აღმოჩნდება, რადგანაც ბენზინის გაძვირება ავტომატურად ყველა საქონლის ფასს აძვირებს. ერთი ლიტრი ბენზინიდან სააქციზო გადასახადი ერთ ლარს შეადგენს, რაც მიდის ბიუჯეტში და, სამწუხაროდ, არამიზნობრივად იხარჯება. ყველას მოუწევს ქამრების შემოჭრა: ბიზნესსაც, საზოგადოებას და მთავრობასაც.

რაც შეეხება ლარის გაცვლითი კურსის გაუმჯობესებას, ეროვნული ბანკი ამას გამკაცრებულ მონეტარულ პოლიტიკას, რეფინანსირების მაღალ განაკვეთს უკავშირებს. ამასთან ერთად საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ გაიზარდა გზავნილები უცხოურ ვალუტაში, დაიდრა ტურისტული სექტორიც, დონორმა ქვეყნებმა 3,8 მილიარდი დოლარი გადმოგვირიცხეს. აღნიშნული სუბსიდია ეროვნულმა ბანკმა დააკონვერტირა და მოუწია ლარის ემისია. ამანაც წვლილი შეიტანა ინფლაციაში. ეს ყველაფერი, ცხადია, აისახა ლარის გაცვლით კურსზე.

მეორე მხრივ, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა ამცირებს ეკონომიკურ აქტივობას. ამ ეტაპზე გვჭირდება ეკონომიკის აღდგენის მაღალი ტემპი, ინვესტიციების ზრდა. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შევძლებთ გლობალური პროექტების განხორციელებას. განვითარებადი ქვეყნების პრობლემა, მათ შორის საქართველოსი, არის საკუთარი სახსრების სიმცირე. მიზეზი მრავალია: შრომის ანზღაურების დაბალი დონე, დაბალი შემოსავლები, დანაზოგები ძალიან მცირეა ან საერთოდ არ აქვს მოსახლეობას. უცხოური ინვესტიციების მოზიდვა შეარბილებს კაპიტალის მობილიზების პრობლემას. გაიზრდება დასაქმება, მოვიზიდავთ ინოვაციურ ტექნოლოგიებს, ამაღდება გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა. ამით შევამცირებთ იმპორტის მოცულობას და ექსპორტსაც შევუწყობთ ხელს, გაიზრდება ხარისხიანი უსაფრთხო პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა.

ცნობილია უცხოური ინვესტიციების დადებითი და უარყოფითი ეფექტები. დადებითია ის, რომ სამამულო მრეწველები შეისწავლიან თანამედროვე სამმართველო უნარ-ჩვევებს, აითვისებენ მაღალ ტექნოლოგიებს, დაქირავებული მუშაკები აიმაღლებენ კვალიფიკაციას, ამაღლება პროდუქციის ხარისხი, შრომის ნაყოფიერება, პროდუქციის თვითღირებულება შემცირდება და ფასებიც დასტაბილურდება. საბოლოოდ მთელი ეკონომიკა ძალას მოიკრებს, გაიზრდება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი.

<sup>51</sup> <https://www.geostat.ge/media/42968/ინფლაცია-საქართველოში-იანვარი-2022.pdf>

უარყოფითი ეფექტებიდან ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ შესაძლებელია კიდევ უფრო გაღრმავდეს ქონებრივი განსხვავება მდიდრებსა და ღარიბებს შორის. მაგალითად, ირლანდიური კომპანიის მიერ „აჭარაბეთის“ შესყიდვას ღარიბი ფენების მდგომარეობა არ გაუუმჯობესებია. ამიტომ უარყოფითი ეფექტები დამლეულ უნდა იქნეს კარგად გააზრებული ეკონომიკური პოლიტიკით, პრიორიტეტების სწორად განსაზღვრით, ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატის შემცირებით, საინვესტიციო პროექტების შემუშავებით, პოტენციური ინვესტორებისთვის რეალური ვითარების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებით. მხოლოდ ასე შევძლებთ ამ სიტუაციაში ეკონომიკის გაჯანსაღებას და ცხოვრების დონის ამაღლებას.

ამგვარად, საქართველოს ეკონომიკის ზრდა დიდად არის დამოკიდებული ინვესტიციებსა და წარმოებაზე, თავისუფალ ვაჭრობაზე, ამიტომ მან უნდა გააფართოოს ბაზარი ისეთ ქვეყნებში, როგორცაა აშშ, ჩინეთი და ინდოეთი. ასევე მნიშვნელოვანია მონეტარული და ფისკალური მდგრადობა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Barton A.H., Communities in Disaster: A sociological Analysis of Collective stress Situations-New York:Doubleday, 2020.
2. Kondratieff N.D. The World Economy and IIIIt's Conjectures During and after the War. 2004Y.
3. <http://www.mfa.gov.ge/print.php.gg=10sec-id=768info>
4. <http://www.apn.ru/publications/print23547.htm>
5. <http://www.economy.ge>

*Ketevan Shengelia*

## **BUSINESS CHALLENGES AND IMPACT OF THE GLOBAL PANDEMIC ON THE GEORGIAN ECONOMY**

### **Abstract**

The shock of the pandemic has considerably impacted the outlook for economic growth in countries all around the world. This is particularly true in developing countries. The article analyzes how the living standards have deteriorated as a result of the pandemic. The rise in unemployment and inflation rates, which exacerbated poverty and property differentiation, is examined.

The values and norms of the social system have changed radically, posing major threats to fundamental structures and necessitating critical decisions. Uncertainty and surprise are the two negative shocks that have befallen mankind as a whole. The world was hit by a global economic crisis, which resulted in a capital shortage.

The paper substantiates the need for more diversification for the recovery of the Georgian economy. Tourism cannot be our sole source of income. Agriculture, industry, and service sectors should all be developed. Georgia's economic growth is heavily reliant on investment, manufacturing, and free trade.

Domestic entrepreneurs will gain contemporary management skills, value their own human capital more, acquire high-tech equipment, and engage qualified people to upgrade their skills as a result of attracting foreign investment. As a consequence, product quality will improve, labor productivity will increase, product costs will drop, and prices will stabilize. Eventually the economy of the whole country will gain strength, the volume of GDP and the standard of living will increase.

**Keywords:** *Business Challenges, Georgian economy, negative supply shock, pandemic, standard of living.*

*ლეილა ლუღუშაური*

თვითმომსახურების ბანკები საქართველოში:  
რეალობა და პერსპექტივები

**ანოტაცია** თანამედროვე საბანკო საქმიანობა, წარმოდგენილია ინფორმაციული და ტექნოლოგიური ინოვაციების გარეშე, მათი კონკურენტუნარიანობა და მომგებიანობა სრულად არის დაკავშირებული თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასთან. დისტანციური საბანკო პროდუქტების განვითარება და დანერგვა განსაკუთრებით დაჩქარდა Covid-19-ის პანდემიის პირობებში, როდესაც მსოფლიომ ონლაინ სივრცეში განაგრძო საქმიანობა. ბანკების ძირითად პრიორიტეტად იქცა მრავალფეროვანი დისტანციური მომსახურების შეთავაზება მომხმარებლისთვის და ტრადიციული საბანკო ფილიალების თვითმომსახურების მოდელზე გადასვლა.

საქართველოს ბაზარზე ერთ-ერთი პირველი ბანკი, რომელმაც ფეხი აუწყო დიჯიტალიზაციის პროცესს და ამავე დროს გამოიჩინა ევროპული გამოცდილების გაზიარებით, არის სს პროკრედიტ ბანკი.

ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია ტრადიციული საბანკო ფილიალების თვითმომსახურების მოდელზე ტრანსფორმაციის პროცესი პროკრედიტ ბანკის მაგალითზე, სახელდობრ: Direct Bank-ის კონცეფციის დანერგვა; თვითმომსახურების ზონის – 24/7 ფორმირება; ვიდეოიდენტიფიკაციის სერვისის ამოქმედება. გარდა ამისა, ყურადღება გამახვილებულია საკრედიტო პროდუქტების ხელშემწყობი ინოვაციური პროექტების განხორციელების თავისებურებებზე, შედეგებზე და გამოთქმულია მოსაზრება მათი შემდგომი დახვეწის მიმართულებით.

**საკვანძო სიტყვები.** პროკრედიტ ბანკი; ტექნოლოგიური ინოვაციები და დისტანციური საბანკო მომსახურება; Direct Bank-ის კონცეფცია; თვითმომსახურების ზონა 24/7; ვიდეო იდენტიფიკაცია.

## შესავალი

ქართული საბანკო სექტორი ერთ-ერთი მოწინავეა ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ათვისების პროცესში, რაც გამოიხატება დისტანციური საბანკო მომსახურების არხების განვითარებით, საბანკო ტექნოლოგიების განვითარებაში ინვესტირებით, მრავალფეროვანო საბანკო პროდუქტის წარდგენით, უსაფრთხოებითა და მოქნილობით.

ციფრული პროცესების ფონზე, საქართველოს საბანკო სისტემა შეიძლება წარმოდგენილ იქნეს: ციფრული არხებით (ონლაინ და მობილური არხები), ახალი პროდუქტებითა და მომსახურებით, სამომხმარებლო სერვისებით, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სისტემებითა და პროცესებით.

*ტრადიციული საბანკო ფილიალების თვითმომსახურების მოდელზე ტრანსფორმაციის პროცესი განვიხილოთ პროკრედიტ ბანკის მაგალითზე.*

## Direct Bank-ის კონცეფცია პროკრედიტ ბანკში

Direct Bank-ის კონცეფცია საბანკო სისტემის მომავალს წარმოადგენს. პირველი Direct Bank-ი 1989 წელს გაერთიანებულ სამეფოში გამოჩნდა, როდესაც მან შესაძლებელი გახადა საბანკო ოპერაციების განხორციელება სატელეფონო ზარის მეშვეობით. XXI საუკუნის დასაწყისში ტექნოლოგიური ინდუსტრიის ზრდამ და განვითარებამ უდიდესი ბიძგი მისცა საბანკო სფეროს გაციფრულების მიმართულებას. დღეს კი უამრავი კომპანია ფუნქციონირებს Direct Bank-ის პრინციპებით. აღსანიშნავია, რომ Direct Bank-ის ბიზნესმოდელის დანერგვა შეუძლია როგორც ტრადიციულ ბანკებს, ასევე ონლაინ ფილიალებსაც.

IT ინდუსტრიის მიღწევები და ინტერნეტის გავრცელების ზრდა მნიშვნელოვან სტიმულს აძლევდა დისტანციური ბანკინგის განვითარებას 2000-იან წლებში. დღეს კი ამ ბიზნესმოდელით ასეულობით ბანკი ფუნქციონირებს.

რაც შეეხება საბანკო საქმიანობის ორგანიზაციის უახლეს ტენდენციებს საქართველოში, მოქმედმა კომერციულმა ბანკებმა საკმაოდ სწრაფად აუღეს ალლო თანამედროვე საბანკო ტექნოლოგიებსა და ტენდენციებს, მათ შორის არის Direct Bank-ის სტრატეგიაც. საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებიდან შეგვიძლია დავასახელოთ არაერთი ბანკი, რომელიც



სრულად ან ნაწილობრივ იზიარებს Direct Bank-ის პრინციპებს, ხოლო ერთ-ერთი პირველი ბანკი, რომელმაც აღნიშნული სტრატეგიით მუშაობა ადრეულ პერიოდში დაიწყო საქართველოში, სს პროკრედიტ ბანკია.

განვიხილოთ Direct Bank-ის კონცეფციის განვითარების ძირითადი ეტაპები სს პროკრედიტ ბანკში:

**დისტანციური საბანკო მომსახურების დანერგვა.** პროკრედიტ ბანკის სამიზნე სეგმენტია მცირე და საშუალო კომპანიები, რომელთაც განვითარების პერსპექტივა აქვთ და ქვეყნის ეკონომიკის წინსვლაში შეუძლიათ წვლილის შეტანა. ის ერთადერთი ევროპული ბანკია საქართველოში, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი გერმანული კომპანიაა. შესაბამისად, სტანდარტებიც ძირითადად ევროპული ბანკების შესაბამისია. მიუხედავად სს პროკრედიტ ბანკის მცირე ზომისა, მას აქვს ყველაზე მაღალი Fitch Ratings-ის მიერ მინიჭებული საერთაშორისო რეიტინგი BB+. ასევე პროკრედიტ ბანკი პირველი და ერთადერთი ბანკია, რომელმაც გააუქმა სალაროები და ნაღდ ფულთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია სრულდება მხოლოდ აპარატების მეშვეობით.

2015 წლის 24 აგვისტოს სს პროკრედიტ ბანკმა გადადგა პირველი ნაბიჯები ახალი, დიდი პროექტის განსახორციელებლად, რომელიც იმ დროისთვის უცხო იყო საქართველოს ბაზრისთვის. პროექტი გულისხმობდა ბანკის მომხმარებლებისთვის თანამედროვე, უახლესი სტანდარტებით მოწყობილი თვითმომსახურების ზონის შექმნას, რაც გახდა Direct Bankig-ის კონცეფციის საწყისი. სს პროკრედიტ ბანკმა წარმოადგინა ახალი ინოვაციური ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბანკომატები და აპარატები, რომლებიც მომხმარებელს თანხის შეტანა-გატანის, ასევე ადგილზე, ზონაში ინტერნეტ ბანკინგის გამოყენებისა და ნებისმიერი ოპერაციის შესრულების საშუალებას აძლევდა. ახალი ინოვაციური ტექნოლოგიები უკავშირდებოდა ისეთ ტრანზაქციებს, რომლებიც შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ ელექტრონული სისტემების საშუალებით.

2016 წლის 9 მარტიდან ბანკმა შეზღუდა ფილიალში ნაღდი ფულით განხორციელებული ოპერაციები, კერძოდ: 5000 ერთეული თანხის შეტანა (ლარი/დოლარი/ევრო), ფიზიკური პირებისთვის 3000 ლარის და იურიდიული პირებისთვის 5000 ლარის თანხის გატანა. აღნიშნული ცვლილება საკმაოდ სარისკო და სადავო გადაწყვეტილება იყო, რადგან ერთი შეხედვით, საქართველოს საბანკო სექტორის ბაზარზე იმ დროისთვის არსებული ტენდენციების ფონზე, ნაღდი ფულისა და საბანკო ფილიალების ჩანაცვლება ელექტრონული ფულითა და ფილიალებით ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. თუმცა პროკრედიტ ბანკისთვის ეს ნაბიჯი წარმოადგენდა გრძელვადიანი გეგმის ნაწილს, რომელიც სამომავლოდ ფილიალში არსებული ტრანზაქციების სრულად გაუქმებას ისახავდა მიზნად. ამ მომენტისთვის ბანკს ჰქონდა ყველა ის საშუალება, რაც მის მიერ დაწესებული შეზღუდვების მიუხედავად მოსახლეობას აძლევდა საშუალებას, მიეღო საბანკო მომსახურება რიგებისა და შეფერხებების გარეშე.

2016 წლის 24 აპრილს კომპანიამ დააანონსა ინოვაციის შესახებ: „ფილიალი ნაღდი ფულის გარეშე“, რომელიც საწყის ეტაპზე საპილოტე პროექტი იქნებოდა. პროექტი განხორციელდა რამდენიმე ფილიალში, სადაც საკასო ოპერაციები სრულად აიკრძალა. აღსანიშნავია, რომ პროექტი თავიდანვე გულისხმობდა ბანკის მოდელის მთლიან ტრანსფორმაციას თვითმომსახურე ბანკების მოდელზე. ამავე წლის სექტემბრისთვის სს პროკრედიტ ბანკის ფილიალებში ნაღდი ფულის შეტანა/გატანის ლიმიტები გაიზარდა 50000/30000 ლარი (ეკვივალენტი უცხოურ ვალუტაში). ამ შეზღუდვის პარალელურად ბანკმა დანერგა ახალი აპარატები. ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული აპარატი იყო HVD ბანკომატი, რომელსაც შეეძლო 300 კუპიურის მიღება, რომელსაც გადაამუშავებდა და ასევე შეეძლო დაებრუნებინა თითო ტრანზაქციაზე 150 კუპიურა. თითქოს ყველაფერი ხელს უწყობდა ამ პროექტის განვითარებას, თუმცა სწორედ ამ შეზღუდვის დროს იჩინა პრობლემებმა თავი.

პროკრედიტ ბანკის ორ მთავარ პროექტზე — „ფილიალები ნაღდი ფულის გარეშე“ და Direct Banking-ი — მუშაობა 2018 წლის განმავლობაში გრძელდებოდა და წლის ბოლოს

დასრულდა. 2018 წლის ბოლოსთვის სს პროკრედიტ ბანკში არსებული ახალი ხედვის მიხედვით, ფილიალში მომხმარებელთათვის დაუშვებელი იყო იმ ტიპის ოპერაციის განხორციელება (მაგ.: საერთაშორისო და სალარე გადარიცხვები, კონვერტაცია, კომუნალური გადახდები და სხვ.), რისი შესრულებაც შესაძლებელი იყო სხვადასხვა ციფრული არხების საშუალებით. ასევე პროკრედიტ ბანკი გახდა პირველი ფილიალი ნაღდი ფულისა და სალაროს გარეშე: როგორც თანხის შეტანა, ასევე თანხის გატანა ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის დასაშვები გახდა მხოლოდ ბანკომატების მეშვეობით. გარდა ამისა, ცვლილებები შევიდა ფიზიკური და იურიდიული პირების მომსახურების პირობებში, სახელდობრ: კლიენტები სარგებლობდნენ პაკეტური შეთავაზებით, რომელშიც ყველა საბანკო პროდუქტი გაერთიანებული იყო ერთი საკომისიოს ქვეშ. აღნიშნული მომსახურების მოდელიც იმ დროისთვის განსხვავებული იყო საქართველოს საბანკო სექტორისთვის.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად, 2018 წლის ბოლოს დაიწყო კლიენტების მასობრივი გადინება. ბანკმა შესძლო შეენარჩუნებინა კლიენტების მხოლოდ დაახლოებით 1/3, თუმცა დახურული ანგარიშების მფლობელთა უმეტესობა ბანკისთვის არაპროფილურ კლიენტებს წარმოადგენდნენ, რომლებიც ვერ ერგებოდნენ ბანკის ახალ ხედვებსა და მიმართულებებს. ბანკისთვის მიზნობრივი სექტორი გახდა კლიენტი, რომელსაც ფაქტობრივად არ სჭირდებოდა სხვადასხვა საბანკო ოპერაციების შესასრულებლად ფილიალში ვიზიტი და ყველა ოპერაციას თავად, სხვადასხვა ციფრული, დისტანციური არხების მეშვეობით ახორციელებდა.

შემდგომ წლებში სს პროკრედიტ ბანკმა კიდევ უფრო განავითარა დისტანციური მომსახურება, სახელდობრ: ფიზიკური პირებისთვის შესაძლებელი გახდა დისტანციურად ანგარიშის გახსნა ვიდეო იდენტიფიკაციის საფუძველზე, ბარათის შეკვეთა, ინტერნეტ და მობაილ ბანკინგის რეგისტრაცია, ასევე ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის მრავალფეროვანი მომსახურების შეთავაზება ფილიალში ვიზიტის გარეშე.

ეს პროექტები სს პროკრედიტ ბანკისთვის Direct ბანკის სტრატეგიის დანერგვის მხოლოდ საწყისი იყო, ხოლო დღეისათვის ბანკი როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს სრულად დისტანციურ მომსახურებას სთავაზობს.

**თვითმომსახურების ზონა 24/7.** პროკრედიტ ბანკში 2016 წელს სექტემბრის ბოლოს დაინერგა პროექტი – „ფილიალი ნაღდი ფულის გარეშე“. აღნიშნული პროექტი გულისხმობს ფილიალში პლასტიკური ბარათის და „სივრცე 24/7-ში“ განთავსებული აპარატების ლიმიტების ფარგლებში ნაღდი ფულის ოპერაციების შეზღუდვას და მათ განხორციელებას მხოლოდ თვითმომსახურების „სივრცე 24/7-ში“, საკმაოდ მაღალი ლიმიტების შესაბამისად.

ბანკის ყველა ფილიალში მოწყობილია თანამედროვე ინოვაციური და მრავალფუნქციური აპარატებით აღჭურვილი „სივრცე 24/7“, სადაც მომხმარებელს ნებისმიერ დროს შეუძლია სასურველი საბანკო მომსახურების მიღება.

პროექტის ფარგლებში ბანკმა კიდევ უფრო მეტი აქცენტი გააკეთა პლასტიკური ბარათების დახვეწასა და ფუნქციურ დატვირთვაზე. ბარათებზე გაზრდილი ლიმიტების ფარგლებში მომხმარებელი თავადვე განხორციელებს თანხის შეტანა/გატანის ოპერაციებს თანამედროვე აპარატებით მათთვის სასურველ ნებისმიერ დროს. კომპლექსური, სრულფასოვანი და სწრაფი საბანკო მომსახურების მისაღებად 24/7 თვითმომსახურების სივრცეში ყველა პირობაა შექმნილი ბანკის ბიზნესკლიენტებისთვის და ფიზიკური პირებისთვის<sup>52</sup>.

თვითმომსახურების 24/7 ზონა აღჭურვილია:

- სწრაფი ჩარიცხვის აპარატით.
- ინფოტერმინალით, საიდანაც შესაძლებელია ანგარიშებისა და გადარიცხვების შესახებ სხვადასხვა დოკუმენტების (ამონაწერების, საგადახდო დავალებების და სხვ.) გაცემა; ინტერნეტბანკინგით სარგებლობა; კონტაქტცენტრთან დაკავშირება.
- საკომუნიკაციო ოთახებით, სადაც შესაძლებელია არსებულ და პოტენციურ კლიენტთა საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურება, აგრეთვე გარკვეული მომსახურების მიღება.

<sup>52</sup> [https://www.procreditbank.ge/ge/news]

ოთახები აღჭურვილია ვიდეოტელეფონითა და პერსონალური კომპიუტერით ვიდეოიდენტიფიკაციისთვის.

- სადეპოზიტო სეიფით — DROP BOX აპარატით, საიდანაც თანხის შეტანა ხორციელდება სპეციალური პარკის მეშვეობით, რომელშიც კლიენტი ათავსებს თანხას, შეტანილი თანხა კი მომენტალურად აისახება ანგარიშზე.

- მაღალი ლიმიტების მქონე ბანკომატებით, რომელთა მეშვეობით ხორციელდება თანხის როგორც შეტანა, ასევე გამოტანა შემდეგნაირად:

უნივერსალური ბანკომატით - თანხის შეტანა/განაღდება GEL, USD, EUR მაქსიმუმ 50 კუპიურა; და უნივერსალური + ბანკომატით - თანხის შეტანა/განაღდება GEL, USD, EUR მაქსიმუმ 300 კუპიურა;

აღსანიშნავია, რომ პლასტიკური ბარათის მეშვეობით თანხის შეტანის ლიმიტი ასეთ ბანკომატში 100 000 ლარს და მის ეკვივალენტს შეადგენს, ხოლო განაღდება — 50 000 ლარს და მის ეკვივალენტს. ასეთი ლიმიტები განსაკუთრებით ხელსაყრელი გახდა იურიდიული პირებისთვის. გარდა იმისა, რომ მოხმარებლისთვის „24/7-ზე“ ხელმისაწვდომია სერვისი, მსგავსი თვითმომსახურების ზონებით კლიენტი ასევე ამცირებს საოპერაციო ხარჯებს, რადგან ამ შემთხვევაში ნაკლებია ან არ არის მომსახურების საკომისიო. თუმცა ამავე დროს ფილიალში ოპერაციების შეზღუდვის გადაწყვეტილება და მათი გადამისამართება თვითმომსახურების სივრცეში საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენდა ბანკის მომხმარებლების უფროსი თაობის სეგმენტისთვის, დეპოზიტარებისთვის. გარდა ამისა, იყო და დღემდე არის არსებითი ფსიქოლოგიური ფაქტორები, როგორც არის, უპირველეს ყოვლისა, კლიენტების, შეიძლება ითქვას, „შიში“ ან საკმაოდ ფრთხილი დამოკიდებულება ახალი ტექნოლოგიების მიმართ. ასეთ დროს უმნიშვნელოვანესია კონსულტანტის როლი კლიენტებისთვის ბანკის თვითმომსახურების სისტემების გაცნობის საკითხში.

**ვიდეოიდენტიფიკაციის სერვისი.** სს პროკრედიტ ბანკში დისტანციური მომსახურების მთავარ რგოლს ვიდეოიდენტიფიკაციის სერვისი წარმოადგენს. ვიდეოზარის განხორციელება შესაძლებელია ბანკის ვებგვერდის გამოყენებით, პერსონალური კომპიუტერის, ნოუთბუქის, ასევე MyDirect-ის აპლიკაციის მეშვეობით, პლანშეტისა და სმარტფონის გამოყენებით, რომელიც ხელმისაწვდომია IOS და Android-ის სისტემებისთვის. აპლიკაცია შექმნილია გერმანული კომპანიის IDnow-ს დახმარებით, რომელიც მომხმარებელს ვიდეოზარის დროს გამოყენებული კონფიდენციალური ინფორმაციის შენახვას გერმანულ სერვერებზე უსაფრთხოების სტანდარტების მაღალი დონის დაცვით სთავაზობს. ასეთი ტიპის მომსახურება კი საქართველოს ბაზრისთვის უპრეცედენტო შემთხვევაა.

**IDnow-ს პროგრამა ევროკავშირში პირველი იყო, რომელიც ბანკებსა და სხვადასხვა სატელეკომუნიკაციო ორგანიზაციებს მსგავსი ტიპის მომსახურებას სთავაზობდა. 2016 წლის მაისში პროგრამა დაპატენდა ევროკავშირის მიერ. აღნიშნული პროგრამით ვიდეოიდენტიფიკაციის პროცესი ხორციელდება არა მარტო პროკრედიტ ბანკ საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც [https://www.idnow.io/about-us/].**

სს პროკრედიტ ბანკში ვიდეოიდენტიფიკაციის პროექტზე მუშაობა 2018 წლიდან დაიწყო. ამ დროს უკვე შესაძლებელი იყო გარკვეული მომსახურების გაწევა ვიდეოზარების მეშვეობით, თუმცა აღნიშნული პროექტი საწყის ეტაპზე მომხმარებელს სერვისების შეზღუდულ ასორტიმენტს სთავაზობდა. გარდა ამისა, მას არ ჰქონდა მუდმივი ხასიათი. 2019 წლიდან პროკრედიტ ბანკის მომხმარებელთათვის დაინერგა MyDirect-ის აპლიკაცია, რომლის მეშვეობით შესაძლებელი გახდა ფიზიკური პირებისთვის დისტანციურად, ვიდეოიდენტიფიკაციის საფუძველზე ინტერნეტბანკინგის რეგისტრაცია, ხოლო შემდგომ სხვა სერვისების მიღებაც.

მნიშვნელოვანია, რომ პროკრედიტ ბანკმა სრული გადისტანციურების პროცესში ინოვაციური ვიდეოიდენტიფიკაციის პროცესი ეტაპობრივად განავითარა. პირველი ეტაპი ფიზიკური პირებისთვის ანგარიშის ონლაინ გახსნასა და სასურველი სერვისების რეგისტრაციას მოიცავდა. 2021 წლიდან კი სრულყოფილი ანგარიშით სარგებლობა უკვე იურიდიულ

პირებსაც შეუძლიათ, რაც მათ დამატებით კომფორტსა და დროს ეფექტურ გამოყენებას უზრუნველყოფს.

მიუხედავად იმისა, რომ დაახლოებით 2 წელზე მეტია, რაც პროკრედიტ ბანკი ვიდეო-იდენტიფიკაციის პროდუქტს თავის მომხმარებელს სთავაზობს, პროექტის დახვეწას ხელი შეუწყო Covid-19-ის პანდემიის დაწყებამაც. ბანკმა კლიენტებისთვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად და პირისპირ შეხვედრების მინიმუმამდე დასაყვანად, შესაძლებელი გახადა ფაქტობრივად ყველა ტიპის საბანკო სერვისის დისტანციურად მიღება, გარდა იმ სერვისებისა, რომელსაც ზღუდავს კანონმდებლობა.

აღსანიშნავია, რომ ვიდეოიდენტიფიკაციის დროს ხელოვნური ინტელექტის დახმარებით შესაძლებელია როგორც ქართული, ასევე უცხოური პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების წაკითხვა, შემოწმება, ჰოლოგრამების დაფიქსირება. შესაბამისად, აღნიშნული სერვისი დიდი მოთხოვნით სარგებლობს ემიგრანტებშიც. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ვიდეოიდენტიფიკაციის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება უსაფრთხოებას, პროგრამაში ავტომატურად გააქტიურებულია ფროდის შემთხვევების მინიმუმის მექანიზმები, რომელიც ეხმარება ბანკის თანამშრომელს მარტივად ამოიციოს თაღლითი. ოთხი თვალის პრინციპის მეშვეობით კი კლიენტის მოთხოვნის შეცდომით შესრულების ალბათობა მინიმუმამდეა დაყვანილი.

2022 წლის 1 იანვრიდან ფილიალს შეეზღუდა მომხმარებლების მომსახურება, გარდა იმ ოპერაციებისა, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით აუცილებელია შესრულდეს ფილიალში ვიზიტით. ასეთი ტიპის ოპერაციების ჩამონათვალი კი საკმაოდ მცირეა, მაგ.: რთული სადამფუძნებლო სტრუქტურის იურიდიული პირების რეგისტრაცია, საბავშვო ანაბრის გახსნა და დაზღვევა, მინდობილობის რეგისტრაცია, სამკვიდროს პროცესის მართვა და სხვა, ხოლო ყველა სხვა ტიპის საბანკო სერვისებმა ონლაინ სივრცეში გადაინაცვლა. რასაკვირველია, მსგავსმა ცვლილებმა გამოიწვია მიმართვიანობის გაზრდა ვიდეოხარით მომსახურებაზე.

### საკრედიტო პროდუქტების ხელშემწყობი ინოვაციური პროექტები

საქართველო, ეკონომიკური და რისკ ფაქტორებიდან გამომდინარე, საკრედიტო კუთხით საკმაოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთებით გამოირჩევა. 2020 წლის მონაცემებით ქვეყანა საბანკო სესხის სიძვირით 30-ე ადგილზეა, რეიტინგით კი ისეთი განვითარებული ქვეყნების გვერდით დგას, როგორცაა კენია, იამაიკა და სეიშელის კუნძულები [[https://www.theglobaleconomy.com/rankings/lending\\_interest\\_rate/#Georgia](https://www.theglobaleconomy.com/rankings/lending_interest_rate/#Georgia)]. შესაბამისად, როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს ინვესტიციების განხორციელება, ბიზნესის განვითარება საკმაოდ ძვირადღირებული პროდუქტების ხარჯზე უწევს, რაც ძირითადად გრძელვადიან სესხებს ეხება.

შეიძლება ითქვას, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება დიდი წნეხის ქვეშ იყო, ვინაიდან ისედაც მწირი შემოსავლების ფონზე დიდ სირთულეს წარმოადგენდა საბანკო სესხის აღება. დაფინანსებისა და ინვესტიციების გარეშე კი ისინი კონკურენტუნარიანობას კარგავდნენ როგორც იმპორტიორების მიმართ, ასევე წარმოების შემთხვევაშიც. მსგავსი ბიზნესების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში დაინერგა საგარანტიო და თანადაფინანსების ინოვაციური პროგრამები, რომლებიც პირდაპირ იყო მიმართული ბიზნესის მხარდასაჭერად.

*განვიხილოთ პროკრედიტ ბანკის მიერ განხორციელებული საკრედიტო პროდუქტების ხელშემწყობი მნიშვნელოვანი ინოვაციური პროექტები:*

**სს პროკრედიტ ბანკი და EIB.** 2011 წლიდან სს პროკრედიტ ბანკსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის მოქმედებს შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც ბიზნესსაქმიანობისთვის საქართველოში მუდმივად ხორციელდება სხვადასხვა ხელშემწყობი პროექტები. დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული სახრებით კლიენტები სარგებლობენ შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთებით სასესხო პროდუქტებზე, რომელთა მიზნობრიობა მოიცავს როგორც საბრუნავ, ასევე ძირითად საშუალებებს.

03.03.2017 წელს სს პროკრედიტ ბანკმა და ევროპის საინვესტიციო ბანკმა ლუქსემბურგში ხელი მოაწერეს **InnovFin**-ის ხელშეკრულებას: საქართველოს სს პროკრედიტ ბანკისთვის გამოიყო 50 მილიონი ევრო, რომელის მიზანს წარმოადგენდა მცირე და საშუალო ბიზნესების ინოვაციური პროექტების დაფინანსება.

**„InnovFin“-ის პროგრამა** წარმოადგენს ევროპის საინვესტიციო ფონდის (EIF) და ევროკავშირის ერთობლივი ინიციატივის ნაწილს, რომელიც დაინერგა ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის პროგრამის „ჰორიზონტი 2020-ის“ ფინანსური მხარდაჭერით. „InnovFin“-ის მიზანია ისეთი კომპანიების დაფინანსების ხელშეწყობა, რომლებიც ახორციელებენ ინოვაციურ პროექტებს, ასევე ქვეყნის, რეგიონის ან საკუთარი კომპანიის მასშტაბით ნერგავენ სიახლეებს. აღნიშნული პროექტის დაფინანსების შესაძლებლობა აქვთ კომპანიებს, რომლებიც ევროკავშირის დეფინიციის მიხედვით SME ან Small Mid-Cap სეგმენტის წარმომადგენლები არიან და სადაც დასაქმებულია არაუმეტეს 499 თანამშრომელი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული კომპანიები სარგებლობენ შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთებით. აღნიშნული პროექტი ამ ეტაპზე საქართველოში აქტიურია პროკრედიტ და თიბისი ბანკებში.

პროექტის ფარგლებში ბიზნესკლიენტებისთვის, სებ-ის მიერ დადგენილი რეგულაციით, სესხისთვის საჭირო გირაოს შემცირება 50%-ით გახდა შესაძლებელი. ამ პროექტმა პროკრედიტ ბანკს გაცემული სესხების ოდენობის გაზრდის საშუალება მისცა, რაც საქართველოში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, საკმაოდ ეფექტური იყო ბაზრისთვის. პროექტის ფარგლებში გაცემულმა სესხებმა ბანკს საშუალება მისცა დაეგნერირებინა მინიმუმ 100 მილიონის ოდენობის პორტფელი.

**სს პროკრედიტ ბანკი და EU4Business.** „EU4Business“ არის EBRD-ის საკრედიტო პროგრამა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად [EBRD-European Bank for Reconstruction and Development]. „EU4Business“ ინიციატივის საშუალებით ევროკავშირი აღმოსავლეთ პატნიორობის ქვეყნებში ხელს უწყობს კერძო სექტორის განვითარებას მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდით, ბიზნესის გარემოს გაუმჯობესებითა და ადგილობრივი ბიზნესისთვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევით [<https://eu4business.eu/reports/sme-policy-trends-november-2021-bulletin-georgia/>]

ინიციატივის ფარგლებში სს პროკრედიტ ბანკსა და ევროპის საინვესტიციო ფონდს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ფონდი ბიზნესსესხებზე გირაოს უზრუნველყოფის 70%-ს უდგებოდა თავდებში. ეს პროექტი საქართველოს ბაზარზე იყო როგორც უდიდესი ინოვაცია, ასევე ძალიან კარგი შესაძლებლობა იმ მეწარმეებისთვის, რომლებსაც არ ჰქონდათ საკამარისი გირაო უზრუნველსაყოფად.

**„EU4Business-EBRD credit line“** არის ასევე საქართველოს საბანკო სივრცეში დანერგილი ინიციატივის ერთ-ერთი პროდუქტი და გულისხმობს პროექტების დაფინანსებას ისეთი ბიზნესისთვის, რომელსაც არ ჰყავს 249-ზე მეტი თანამშრომელი. პროექტის წარმატებით დამთავრების შემდეგ კლიენტს უზრუნდება პროექტის ფარგლებში აღებული სესხის სალდოს 15% [<https://www.procreditbank.ge/en/eu4business-ebrd-credit-line>].

### დასკვნა

კომერციული ბანკებისთვის ინოვაციური ტექნოლოგიებისა და პროექტების დანერგვა სამუშაო პროცესის განუყოფელი ნაწილია. როგორც სს პროკრედიტ ბანკზე განხილულმა მაგალითმა აჩვენა, მიუხედავად იმისა, რომ ბანკში აქტიურად იყენებენ ინოვაციებს საბანკო მომსახურების პროცესში, ამ ეტაპზე თვითმომსახურების მოდელზე გადასვლა კონკურენტუნარიანობის ინსტრუმენტი არ არის, რადგან საზოგადოება ჯერჯერობით ჩამორჩება ტექნოლოგიური განვითარების ტემპებს, რაც დროთა განმავლობაში დაძლევადია. 2018 წელს პროკრედიტ ბანკის მომხმარებლების უდიდესი ნაწილი არ იყო მზად იმ ცვლილებებისთვის, რომელიც ბანკმა გაატარა. ფაქტია, რომ დღესაც ბანკის ბევრი მომხმარებელი მაინც ფილიალში ვიზიტს ანიჭებს უპირატესობას.

გარდა ამისა, Direct Bank-ის კონცეფციამ სს პროკრედიტ ბანკში დროთა განმავლობაში გამოიწვია კადრების შემცირება, ასევე კლიენტების ნაწილისთვის მიუღებელია ფიზიკური

კავშირის სიმცირე და განსხვავებული მიდგომები, თუმცა ინოვაციური ტენდენციები, ტექნოლოგიების განვითარება საქართველოს საბანკო სფეროში საკმაოდ სწრაფი და მზარდი ტემპით მიმდინარეობს და შესაძლოა თაობების ცვლის შედეგად, დროთა განმავლობაში, ფილიალებზე და ტრადიციულ საბანკო მომსახურებებზე მოთხოვნა აქტუალური აღარც იყოს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საბანკო სესხის სიძვირით საქართველო 49-ე ადგილზეა, [www.forbes.ge](http://www.forbes.ge)
2. საბანკო სექტორი საქართველოში, <https://geoeconomics.ge/?p=13779>
3. სს პროკრედიტ ბანკი მომხმარებლებს განსხვავებულ საბანკო მომსახურებას სთავაზობს [www.marketer.ge](http://www.marketer.ge)
4. სს პროკრედიტ ბანკმა ციფრული ბანკინგის განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო! [www.marketer.ge/procredit-bank-digital-banking/](http://www.marketer.ge/procredit-bank-digital-banking/)
5. ლ. ლუდუშაური. ინოვაციური საბანკო ტექნოლოგიები და პროდუქტები, გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები. თბ., თსუ, VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 4-5 ნოემბერი, 2022. E-mail: [cgebconference@tsu.ge](mailto:cgebconference@tsu.ge)
6. ლ. ლუდუშაური. საბანკო და საკრედიტო ორგანიზაციების რეინჟინერინგი: თეორია და პრაქტიკა (ელ. ვერსია). თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“, 2020.
7. Global Rating of Direct Banks, Frost & Sullivan, 2016.
8. The disruptive trends & companies transforming digital banking services in 2022. [www.insiderintelligence.com/insights/digital-banking-trends/](http://www.insiderintelligence.com/insights/digital-banking-trends/)
9. [www.eu4business.eu](http://www.eu4business.eu)
10. [www.idnow.com](http://www.idnow.com)
11. [www.procreditbank.ge](http://www.procreditbank.ge)
12. [www.worldbank.org](http://www.worldbank.org)

*Leila Ghudushauri*

### SELF-SERVICE BANKING IN GEORGIA: REALITY AND PERSPECTIVE

#### Abstract

For commercial banks, the introduction of innovative technologies and projects is an integral part of the work process. As the discussed example of JSC Procredit Bank showed, despite the fact that the bank actively uses innovations in the process of banking services, at this stage, the transition to a self-service model is not a tool for competitiveness, because society is still lagging behind the pace of technological development, which can be overcome over time. In 2018, the majority of Procredit Bank customers were not ready for the changes that the bank introduced. It is a fact that even today many bank customers prefer to visit a branch. Especially in the case of older people, it is difficult to change their behavior and switch to remote channels.

In addition, the concept of Direct Bank in Procredit Bank JSC led to a reduction in staff over time. Also, for some clients, the lack of a physical connection and different approaches are unacceptable. However, innovation trends and technology development in the Georgian banking sector are taking place at a fairly fast and growing pace, and perhaps in the future, as a result of a generational change, the demand for branches and traditional banking services will no longer be relevant in the modern world.

Modern banking activity is unthinkable without information and technological innovations, their competitiveness and profitability are fully associated with the use of modern technologies. The development and implementation of remote banking products has accelerated especially in regards of the Covid-19 pandemic, when the world has moved to the online space and the main priority of banks has become the provision of a variety of remote banking services to customers and the transition to the self-service model of traditional banking branches.

Procredit Bank JSC is one of the first banks in the Georgian market to start the digitalization process and at the same time distinguish itself by sharing European experience.

The paper considers and analyzes: the process of transformation of traditional bank branches to a self-service model on the example of Procredit Bank, namely: the introduction of the concept of Direct Bank; Formation of a self-service zone - 24/7; Implementation of video identification service. In addition, attention

is focused on the features and results of the implementation of innovative projects to promote credit products, and an opinion is expressed in the direction of their further improvement.

**Keywords:** Pro Credit Bank; Technological innovation and remote banking; Concept of Direct Bank; Self-service area 24/7; Video identification.

*მაღბაზ ჩიქობავა*

## თანამედროვე საბანკო კრიზისი, როგორც კომერციული ბანკების ეპოქის დასრულების მაუწყებელი

**ანოტაცია.** სტატიაში განხილულია 2023 წლის მარტში აშშ-ის რამდენიმე კომერციული ბანკის (Silicon Valley Bank, Signature Bank, Silvergate Bank) გაკოტრების მიზეზები და საყოველთაო საბანკო კრიზისის მოსალოდნელი ტალღის შესაძლებლობები.

ფინანსური კრიზისის მოსალოდნელ საშიშროებაზე დაიწყო საუბრები მას შემდეგ, როდესაც ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ გასული წლის მარტიდან დაიწყო მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება, რომელსაც ასაბუთებდა რეკორდული მაღალი ინფლაციის ტემპების დათრგუნვის აუცილებლობით.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი პოლიტიკა მწვავე კრიტიკის ქვეშ მოექცა ჯერ ერთი იმიტომ, რომ კრედიტები მიუწვდომელი და ძვირი გახდება ეკონომიკის არასაფინანსო სექტორის კომპანიებისათვის. მეორე იმიტომ, რომ მრავალ ბანკში დაიწყება მათივე აქტივების გაუფასურება. ბანკების აქტივები ბოლო წლების განმავლობაში ყალიბდებოდა სახაზინო და იპოთეკური ფასიანი ქაღალდების ხარჯზე ძალიან დაბალი საპროცენტო განაკვეთით (დაბალი ის იყო იმიტომ, რომ აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის საკვანძო განაკვეთი ახლოს იყო ნულოვან მაჩვენებელთან). როდესაც შარშან ფედ-მა საკვანძო განაკვეთის მკვეთრად ამაღლება დაიწყო (რომელიც დღეისათვის 5,25%-ია), ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, საინვესტიციო ფონდების აქტივებში არსებული გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების (განსაკუთრებით სახაზინო ობლიგაციების) გაუფასურება დაიწყო. ყოველივე ამან მიმდინარე წლის მარტში გამოიწვია შემდეგი ამერიკული ბანკების: Silicon Valley Bank, Signature Bank, Silvergate Bank-ის გაკოტრება, რამაც საფუძვლიანი ეჭვი გააჩინა ზოგადად კომერციული ბანკების უსაფრთხო მომავალთან დაკავშირებით.

ყველაფერს, რაც აშშ-ის მონეტარულმა ხელისუფლებამ გააკეთა ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში, არ შეიძლება ეწოდოს პრობლემების გადაწყვეტა. მონეტარული და ფინანსური პოლიტიკა დაყვანილ იქნა კრიზისის გაჭიანურებამდე, მის მომავალში გადატანაზე. და აი, მომავალიც დადგა. ის შეიძლება ზუსტად დათარიღდეს 2023 წლის 10 მარტით, როდესაც SVB გაკოტრდა.

**საკვანძო სიტყვები:** ინფლაცია, საკვანძო განაკვეთი, სახაზინო ვალდებულებები, დეპოზიტების დაზღვევა, საბანკო კრიზისი, კომერციული ბანკები, ოქროს სტანდარტი, ვალდებულებების ნაწილობრივი დაფარვა.

საუბრები იმის შესახებ, რომ აშშ-ს უახლოეს მომავალში მოელის კრიზისი, ჯერ კიდევ გასული წლის შუა პერიოდში დაიწყო, როდესაც ნათელი გახდა, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემა დაადგა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრების კურსს. ამერიკის ცენტრალურმა ბანკმა დაიწყო საკვანძო განაკვეთის ამაღლება და მას ასაბუთებდა ინფლაციის დათრგუნვის აუცილებლობით, რომელმაც რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია.

ამგვარი პოლიტიკა მწვავე კრიტიკის ქვეშ მოექცა: ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრება ინფლაციას ვერ დაამარცხებს, კრიზისის პროვოცირებას კი მოახდენს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ კრედიტები მიუწვდომელი და ძვირი გახდება ეკონომიკის არასაფინანსო სექტორის კომპანიებისათვის. მეორე, იმიტომ, რომ მრავალ ბანკში დაიწყება მათივე აქტივების გაუფასურება. აკი ბანკების აქტივები ბოლო წლების განმავლობაში ყალიბდებოდა სახაზინო და იპოთეკური ფასიანი ქაღალდების ხარჯზე ძალიან დაბალი საპროცენტო განაკვეთით (დაბალი

ის იყო იმიტომ, რომ აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის საკვანძო განაკვეთი ახლოს იყო ნულოვან მაჩვენებელთან). როდესაც შარშან ფედ-მა საკვანძო განაკვეთის მკვეთრად ამაღლება დაიწყო (რომელიც დღეისათვის 5,25%-ია), ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, საინვესტიციო ფონდების აქტივებში არსებული გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების (განსაკუთრებით სახაზინო ობლიგაციების) გაუფასურება დაიწყო. ვინ გადაიხდის მომავალში ფასიანი ქაღალდის ნომინალსაც კი, რომელსაც 1, მაქსიმუმ, 2-პროცენტის, სრულიად სასაცილო შემოსავლიანობა გააჩნია?

ფედ-ის თავმჯდომარემ ჯერომი პაუელმა გასული წლის გაზაფხულზე აღელვებულმა განაცხადა, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ნაწილი გახდება ფედ-ის აქტივების შემცირება „გრძელი“ პოზიციის ფასიანი ქაღალდების პორტფელის გაყიდვის მეშვეობით. ამგვარად, ამერიკული ცენტრალური ბანკი აპირებდა ქვეყანაში ფულადი მასის შემცირებას და ფასების ინფლაციური ზრდის აღმოფხვრას. უკვე „გრძელი“ პოზიციის ფასიანი ქაღალდების პირველმა გაყიდვებმა გამოიწვია დანაკარგები ამერიკის ცენტრალური ბანკისათვის ყოველთვიურ საფუძველზე, ამიტომ ფედრეზერვი ამჟამად წყვეტს თავისი პორტფელის გაყიდვას. 2022 წლის მარტის მდგომარეობით ფულადი მასა შეადგენდა 21,8 ტრლნ დოლარს, ამჟამად ის შეადგენს 21,2 ტრლნ დოლარს. ამგვარი სიმბოლური შემცირების შემთხვევაში ნაკლებად სავარაუდოა მოხდეს ინფლაციის აღმოფხვრა.

პირველი მსხვილი ამერიკული საკრედიტო ორგანიზაცია, რომელიც იძულებული გახდა გამოემხეურებინა თავისი ფარული დანაკარგები, Silicon Valley Bank – SVB (სილიკონი ველი ბანკი) აღმოჩნდა, რომელიც ამერიკული ბანკების რეიტინგში მე-16 ადგილს იკავებდა აქტივების მაჩვენებლით (2022 წლის ბოლოსათვის მისმა აქტივებმა 212 მლრდ დოლარი შეადგინა). ამჟამად SVB-ს ადარებენ ამერიკულ საინვესტიციო ბანკ Lehman Brothers-ს, რომელიც 2008 წელს გაკოტრდა და რამაც ბიძგი მისცა 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის მომდევნო ფაზის დაწყებას.

დავაზუსტოთ, რომ SVB 10 მარტს გაკოტრდა. აღნიშნული ბანკი დაფუძნდა 1983 წელს და სპეციალიზებული იყო ჰაიტექის (მაღალტექნოლოგიური) კომპანიების მომსახურებაზე (სწორედ აქედან მომდინარეობს სახელწოდება „სილიკონი ველის ბანკი“). მან შეძლო დაეძლია ისეთი ფინანსური შტორმები, როგორც იყო NASDAQ-ის საფონდო ბაზრის ჩამოშლა XX–XXI საუკუნეების მიჯნაზე და 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისი. ბანკის სწრაფი ზრდა დაფიქსირდა XXI საუკუნის მეორე და მესამე ათწლეულების მიჯნაზე: დეპოზიტები თითქმის სამჯერ გაიზარდა – 2019 წლის ბოლოსათვის არსებული 62 მლრდ დოლარიდან 189 მლრდ დოლარამდე 2021 წლის ბოლოსათვის.

და სწორედ ამ დროს ბანკმა დაუშვა სასიკვდილო შეცდომა: თავსდატეხილი „პანდემის“ გამო მაღალტექნოლოგიური სტარტაპებით დაკავებული ბიზნესის მხრიდან კრედიტებზე მოთხოვნა მკვეთრად შემცირდა. SVB-მა დაიწყო კრედიტების ჩანაცვლება სახაზინო და იპოთეკური ფასიანი ქაღალდების სახით. 2022 წლის დასაწყისში ბანკის 212 მლრდ დოლარის ოდენობის აქტივებიდან 55% დაბანდებულ იქნა აშშ-ის სახელმწიფო ობლიგაციებში. ეს იყო ნელი მოქმედების ნაღმი, რომელიც აფეთქდა კიდევ.

2022 წლის ბოლოსათვის ბანკს გააჩნდა 157 მლრდ დოლარის დეპოზიტი სულ რაღაც 37000 ანგარიშზე. დეპოზიტებიდან საშუალებების გამოტანა შეიმჩნეოდა 10 მარტამდე, მაგრამ ის მცოცავი ხასიათისა იყო. SVB ყიდდა საკუთარი პორტფელიდან სახაზინო ფასიანი ქაღალდებს დანაკარგებით იმისათვის, რათა დაეკმაყოფილებინა დეპოზიტების მფლობელი კლიენტების მოთხოვნები. 21 მლრდ დოლარის ოდენობის ფასიანი ქაღალდების გაყიდვის შემდეგ ბანკმა განაცხადა წარმოქმნილ დანაკარგზე, რომელიც 1,8 მლრდ დოლარს შეადგენდა. დანაკარგებმა კი ბანკი აიძულა გამოეცხადებინა აქციების დამატებითი ემისია 1,75 მლრდ დოლარის ოდენობით კაპიტალის გასამყარებლად, მაგრამ დანაკარგებზე განცხადებამ და დამატებითმა ემისიამ ბანკის საწინააღმდეგოდ იმუშავა, დაეცა ბანკის აქციების კურსი და დაიწყო ბანკის მეანაბრების პანიკის პროვოცირება. 9 მარტისათვის SVB-ის აქციები 60%-ით დაეცა. მთლიანობაში



კლიენტებმა მოხსნეს დეპოზიტები 42 მლრდ დოლარის ოდენობით, რომლის შემდეგ დადგა კლასიკური საბანკო კრახი.

ექსპერტებმა, რომლებმაც გააანალიზეს კრახის მიზეზები, დათვალეს, რომ რეალურად SVB-ის დეპოზიტები დაახლოებით ერთნახევარჯერ აჭარბებდა ბანკის აქტივებს, რომელიც მათი მიმდინარე საბაზრო ღირებულებით იყო გამოთვლილი.

SVB-სთან თითქმის სინქრონულად მიდიოდა კრახისკენ მეორე კალიფორნიული ბანკი – Silvergate Bank, თუმცა ბევრად უფრო ნაკლები აქტივებით (11 მლრდ დოლარი). მისი კლიენტები იყვნენ უპირატესად კრიპტოვალუტებით დაკავებული ფირმები. ბანკს პრობლემები გასულ წელს შეექმნა, როცა მისი კლიენტები გადააწყდნენ FTX კრიპტობირჟის კრახს და დაიწყეს ბანკიდან ფულის გამოტანა. ბანკი ზარალიანი გახდა ფასიანი ქაღალდების იძულებითი სწრაფი გაყიდვის გამო. 8 მარტს მან გამოაცხადა ოპერაციების შეწყვეტისა და ლიკვიდაციის გეგმების შესახებ.

„Silicon Valley Bank – ეს მხოლოდ აისბერგის სიმაღლეა“ – განაცხადა 10 მარტს ფინანსური კონსალტინგური ფირმის Whalen Global Advisors-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ ქრისტოფერ უელენმა (Christopher Whalen). მისი პროგნოზით, მსხვილი მოთამაშეები, სავარაუდოდ, გადაიტანენ მოსალოდნელ არასტაბილურობას, „მაგრამ მრავალი მცირე ფირმა მიიღებს კარგ გაკვეთილს“. „მრავალ ფირმას მოუწევს სააქციო კაპიტალის მოზიდვა“ – განაცხადა უელენმა (Newswire, 2023).

10 მარტს ექსპერტები სხვამდნენ კითხვას: ვინ იქნება შემდეგი (SVB-ის შემდეგ)? პასუხმაც არ დააყოვნა. 12 მარტს მარეგულირებელმა ორგანოებმა დახურეს ნიუ-იორკის ბანკი Signature Bank (აქტივები – 110,4 მლრდ დოლარი).

შეირყა სხვა მრავალი ბანკიც, რაზეც მეტყველებს საბირჟო კოტირებები. ბანკმა First Republic (იკავებს მე-14 ადგილს ამერიკული ბანკების რეიტინგში აქტივების მაჩვენებლით) გადაწყვიტა თავისი კლიენტების დაიმედება: მან განაცხადა, რომ შეავსო ხელმისაწვდომი დაფინანსება ფედ-ისა და JP Morgan-ის მეშვეობით. მაგრამ ყველაფერი პირიქით განვითარდა. 13 მარტს First Republic Bank-ის აქციები 75%-ით შემცირდა და ვაჭრობაც ამით შეჩერდა.

იმავე დღეს 54%-ით დაეცა PacWest Bancorp-ის აქციებიც და ვაჭრობაც შეჩერდა, ასევე 38%-ით დაეცა KeyCorp-ის აქციები და ვაჭრობაც ამით შეწყდა, ხოლო Comerica Inc.-ის აქციები 44%-ით დაეცა. კოტირების მკვეთრი ვარდნის გამო ვაჭრობა დროებით შეწყდა შემდეგი ბანკების ფასიანი ქაღალდებით: Charles Schwab, Western Alliance, PacWest, ZIONS Bancorp, Regions Financial, Customers Bancorp. დაეცა უოლ-სტრიტის წამყვანი ბანკების აქციებიც კი: JPMorgan Chase & Co-ს აქციები 1,3%-ით დაეცა, ხოლო Bank of America Corp-ის აქციები – 4,5%-ით.

პანიკის ტალღა გაცდა აშშ-ის ფარგლებს და მან სხვა ქვეყნებიც მოიცვა. 13 მარტს ევროპული და აზიური საკრედიტო ორგანიზაციების აქციებიც გაუფასურდა, რამაც ჩაიყოლია საფონდო ინდექსებიც. საერთო ევროპული Stoxx 600 2,5%-ით შემცირდა, ევროპული ბანკების აქციები, საშუალოდ, 6%-ით დაეცა, Commerzbank-ის ფასიანი ქაღალდები 12%-ით გაიფდა, Credit Suisse-ი აქციები – 9,5%-ით, ხოლო HSBC-ს აქციები – 3,5%-ით.

მამასადამე, ერთ კვირაზე ნაკლებ დროში აშშ-ში მუშაობა შეწყვიტა სამმა ბანკმა, რომელთა აქტივები 333 მლრდ დოლარს შეადგენდა. გავლენიანმა ინვესტორმა, მილიარდერმა ბილ აკმანმა უკვე 10 მარტს განაცხადა, რომ მთავრობამ უნდა იმოქმედოს ოპერატიულად, სხვაგვარად დაიწყება ბანკებიდან ანაბრების პანიკური გატანა, როგორც ეს XX საუკუნის 30-იან წლებში მოხდა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა 13 მარტს განაცხადა, რომ ხელისუფლება თავიანთ დეპოზიტებზე წვდომის შენარჩუნების გარანტიას აძლევს SVB-ის მეანაბრებს, მაგრამ ბანკის ხელმძღვანელობა პასუხისმგებლობა მიეცა, ხოლო საკრედიტო ორგანიზაციების წესები გამკაცრდა. თეთრი სახლის ამჟამინდელმა მეთაურმა დაადანაშაულა თავისი წინამორბედი ტრამპი იმაში, რომ მან შეასუსტა მოთხოვნები საკრედიტო ორგანიზაციებისადმი, რამაც მიგვიყვანა SVB-ის კრახთან.

დონალდ ტრამპი ახდენს მომხდარის უმძიმესი შედეგების პროგნოზირებას: „გამომდინარე იქედან, თუ რა ხდება ჩვენს ეკონომიკაში, ჯო ბაიდენი გახდება თანამედროვე ეპოქის ჰერბერტ ჰუვერი (ამერიკის პრეზიდენტი 1929-1933 წლებში). ჩვენთან იქნება დიდი დეპრესია, გაცილებით უფრო ძლიერი, ვიდრე იყო 1929 წელს. ჩემს სიტყვებს ადასტურებს ის, რომ ბანკები კოტრდებიან“.

12 მარტს ოპერატიულად იქნა გამოქვეყნებული აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს, ფედ-ისა და FDIC-ის (დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაციის) ერთობლივი განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ 13 მარტიდან SVB-ისა და Signature Bank-ის მენაბრეები მიიღებენ სრულ წვდომას თავიანთ დეპოზიტებზე. გავიხსენოთ, რომ დაზღვევის სისტემა აშშ-ში ვრცელდება 250 000 დოლარის ოდენობის დეპოზიტებზე. SVB-ის დეპოზიტების დაახლოებით 95% აჭარბებდა სადაზღვევო თანხას. განცხადებაში ნათქვამია, თუმცა არც ისე ნათლად, რომ კომპენსაცია გაცივმა იმ დეპოზიტებზეც, რომლებიც არ ხვდება დაზღვევის ფარგლებში; ასევე გამოცხადდა, რომ დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია მიიღებდა დამატებით ლიკვიდურობას მენაბრეების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ეჭვგარეშეა, რომ მთელი ამერიკა (და შესაძლოა მთელი მსოფლიოც) გაფაციცებით დააკვირდება იმას, თუ როგორ განხორციელდება ორი ამერიკული ბანკის მენაბრეების საშუალებების გადარჩენის ოპერაცია. ვფიქრობთ, რომ ხაზინას, ფედერალურ რეზერვსა და FDIC-ს მოუწევთ რაც შეიძლება სწრაფად გახსნან საფულე, რათა დააკმაყოფილონ მოთხოვნები არა მხოლოდ დეპოზიტების დაზღვეული ნაწილისთვის, არამედ მათი დანარჩენი (დაუფარავი) ნაწილისთვისაც.

SVB-ის კრაზის შედეგები ძალიან ბევრია. ამერიკულ ბიზნესს განსაკუთრებით აინტერესებს ის, თუ როგორ იმოქმედებს 10 მარტის მოვლენები ფედ-ის საკვანძო განაკვეთზე. ჯერომი პაუელი იმუქრებოდა, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე გააგრძელებდა საკვანძო განაკვეთების ზრდას, ახლა კი ამის ალბათობა ნულია. კამათი მიმდინარეობს მხოლოდ იმ საკითხზე, განაკვეთი მიმდინარე დონეზე გაიყინება თუ მოხდება მისი შემცირება.

და ჩვენ უკვე ვხედავთ 10 მარტის მოვლენის შედეგებს როგორც ევროპაში, ასევე სხვა ქვეყნებში, სადაც მრავალი ბანკის საბირჟო კვოტირება დაეცა და ის კვლავ აგრძელებს ვარდნას. როგორც ჩანს, ინვესტორებს შორის ჩამოყალიბდა გარკვეული აზრი, იმის გაგება, რომ ბანკების აქტივებმა დაკარგეს თავდაპირველი ღირებულების ნაწილი და ისინი შეიძლება არ იყოს საკმარისი დეპოზიტების ვალდებულებების დასაფარად. ჯერჯერობით, სხვა ქვეყნების საბედნიეროდ, იქ ბანკებზე მენაბრეების მასობრივი მიდინება არ ყოფილა. SVB წარმოადგენს საერთაშორისო სტრუქტურას, რომელსაც განყოფილებები და ფილიალები გააჩნია ევროპაში, ინდოეთში, ისრაელსა და ჩინეთში. ბანკის დახურვა ნიშნავს მისი საზღვარგარეთული ფილიალების დახურვას და ჰაიტექის ადგილობრივი კომპანიების მომსახურების ავტომატურად შეწყვეტას. იმისათვის, რომ გადარჩეს ასობით ინგლისური კომპანია, რომელთა მომსახურება ხდებოდა SVB-ის ბრიტანულ ფილიალებში, ქვეყნის მონეტარულმა ხელისუფლებამ მოილაპარაკა მსოფლიოში ცნობილ ბანკთან – HSBC-თან, ამ ფილიალის სიმბოლურ 1 ფუნტ სტერლიგად ყიდვის თაობაზე.

გავიხსენოთ აშშ-ში 15 წლის წინათ წარმოქმნილი სიტუაცია, რომელიც ზემოაღწერილის მსგავსია. Lehman Brothers-ის კრაზის შემდეგ მრავალმა იწინასწარმეტყველა, რომ ამერიკაში მოხდებოდა ის, რაც მოხდა XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში. 20-იან წლებში აშშ-ში 20 ათასამდე ბანკი არსებობდა. 1929 წლის ოქტომბრის შემდეგ 1993 წლის ბოლომდე 9 ათასზე მეტი საკრედიტო ორგანიზაცია გაკოტრდა.

2000 წლის ბოლოსათვის აშშ-ის ხელისუფლებამ მიმართა ყველა შესაძლო საშუალებას იმისათვის, რათა კატასტროფა არ განმეორებულიყო – ბანკების გადასარჩენად გადაისროლა ფედერალური სარეზერვო სისტემის კრედიტები, რომლებიც ტრილიონობით დოლარს შეადგენდა. გარდა ამისა, ფედერალურმა მთავრობამ ბიუჯეტიდან თითქმის 2 ტრილიონი დოლარის დახმარება გამოყო (აღსანიშნავია, რომ მაშინ საბანკო სისტემაში სახელმწიფო ფული შევიდა აქციების შესყიდვით, ანუ მოხდა უოლ სტრიტის ბანკების დროებითი, ანუ ტექნიკური ნაციონალიზაცია). მაშინ ხელისუფლებამ გადაარჩინა აწმყო, პრობლემების მომავლისთვის

გადადებით, რაც გამოიხატა ფედ-ის აქტივების უზომო გაბერვით, ფულის მიწოდების გააფთრებული ზრდით, საფონდო ბუშტების გაბერვით, სახელმწიფო ვალის პირამიდის აგებით, ბანკებისთვის ინვესტირების ნებართვით (1933 წელს მიღებული Glass-Steagall Act-ის გაუქმება), ბანკებისათვის ნორმატივების შერბილებით და ა.შ.

ყველაფერს, რაც აშშ-ის მონეტარულმა ხელისუფლებამ გააკეთა ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში, არ შეიძლება ეწოდოს პრობლემების გადაწყვეტა. მონეტარული და ფინანსური პოლიტიკა დაყვანილ იქნა კრიზისის გაჭიანურებამდე, მის მომავალში გადატანაზე და აი, მომავალიც დადგა. ის შეიძლება ზუსტად დათარიღდეს – 2023 წლის 10 მარტი, როდესაც SVB გაკოტრდა.

სამი ამერიკული ბანკის (Silicon Valley Bank, Signature Bank და Silvergate Bank) წარუმატებლობამ და შვეიცარიული ბანკის Credit Suisse-ის თითქმის გაკოტრებამ ყველა საბანკო სისტემის მომავალზე დააფიქრა. ექსპერტების უმეტესობა პროგნოზირებს საბანკო კრიზისს და საკრედიტო ინსტიტუტების მნიშვნელოვანი ნაწილის კოლაფსს. გასული ეკონომიკური კრიზისების გაანალიზებისას ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ეს იყო ამავე დროს საბანკო კრიზისი. უფრო მეტიც, საკრედიტო დაწესებულებების შედარებითი სიკვდილიანობის მაჩვენებელი, როგორც წესი, უფრო მაღალი იყო, ვიდრე ეკონომიკის სხვა სექტორების უმეტესი ორგანიზაციების სიკვდილიანობა.

ყველაზე ხშირად, ბანკების წარუმატებლობა აიხსნება იმით, რომ საკრედიტო დაწესებულებების კლიენტებს შორის არის პანიკა, რაც იწვევს ბანკების რეიდებს. ახლა დასავლეთში არაერთი სერიოზული პუბლიკაცია გამოჩნდა თანამედროვე ბანკების თანდაყოლილი არასტაბილურობის ახსნა-განმარტებით.

თუ არასტაბილურობის მიზეზს ერთი ფრაზით დავასახელებთ, მაშინ ეს ბანკების ვალდებულებების არასრული დაფარვაა.

ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ძალზე საინტერესო სტატიაზე: Unsound Banking: Why Most of World's Banks are Headed for Collapse (არასანდო საბანკო საქმე: რატომ არის მსოფლიოს ბანკების უმეტესი ნაწილი კოლაფსის წინაშე) (Casey, 2023). მასში ძალიან მარტივადაა ახსნილი, თუ რა არის საკრედიტო ინსტიტუტების „არგადახდა“ და რატომ ხდის მათ დაშლას თითქმის გარდაუვალს.

სტატიის ავტორია დუგ კეისი (Doug Casey), ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი, Casey Research-ის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, რომელიც ეხება ანალიტიკას ფინანსების, ენერჯეტიკის, სამთო ინდუსტრიის, ლითონების ბაზრებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში.

დაგ კეისი დასავლური ეკონომიკური მენისტრიმის კრიტიკოსია. ის იცავს ავსტრიული ეკონომიკის სკოლის შეხედულებებს, არის ოქროს ვალუტის მომხრე და რამდენიმე ფინანსური ბესტსელერის ავტორი. ის ცნობილი გახდა 1980 წელს გამოცემული წიგნით „სტრატეგიული ინვესტირება“ (Strategic Investing), რომელიც აშშ-ში გახდა წლის ფინანსური ბესტსელერი. მისი ზოგიერთი განცხადება საკმაოდ პარადოქსულია და გვაიძულებს დავფიქრდეთ, თუ რა სამყაროში ვცხოვრობთ და რა სამყაროში უნდა ვიცხოვროთ. მაგალითად, 2009 წელს თავის გამოსვლაში სახელწოდებით „ჩემი განსაცდელი მესამე სამყაროში“, ის გვთავაზობს პატარა ქვეყნის პრივატიზებას და მის საჯარო კომპანიად გადაქცევას ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე.

დავუბრუნდეთ კეისის სტატიას, სადაც აღნიშნულია, რომ თანამედროვე საბანკო სისტემა მრავალსაუკუნოვანი ევოლუციის შედეგია. მისი ყურადღების ცენტრში არიან იუველირები, რომლებსაც ძვირფას ლითონებთან, უპირველეს ყოვლისა, ოქროსთან ჰქონდათ შეხება. მათ ჰქონდათ კარგად გამაგრებული სათავსოები ძვირფასი ლითონების შესანახად. თავდაპირველად ისინი ამ საცავებში ლითონების მხოლოდ საკუთარ მარაგს ათავსებდნენ, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ მათ დაუმატეს ერთგვარი „შემნახველი საკნის“ ფუნქცია, რომლის გამოყენება სხვა მოქალაქეებმაც დაიწყეს. მათ თავიანთი ლითონი (ოქრო, ვერცხლი) დააბანდეს იუველირთან და მიიღეს სასაწყობო ხელწერილი (ქვითარი). დროთა განმავლობაში ამ ხელწერილებმა მონეტებთან ერთად ფულის ფუნქციების შესრულება დაიწყო. ეს იყო

პირველი ქალაქის ფულის ნიშნები, თანაც 100%-ანი ლითონის უზრუნველყოფით, რომელიც ინახებოდა იუველირთან. სინამდვილეში, შეუმჩნევლად იუველირმა ხელწერილი-ფულადი ნიშნების (ბანკნოტების) ემიტენტად გადაქცევა დაიწყო. დროის გარკვეულ მომენტში ამგვარ იუველირ-ემიტენტს უჩნდება დამატებითი რაოდენობის ხელწერილების გამოშვების ცდუნება, რაც აღემატება შესაძლებელ მიზარებულ ლითონით უზრუნველყოფილ რაოდენობას. ასე ჩნდება ფულის არაუზრუნველყოფილი გაცემა, ვალდებულებების არასრული დაფარვა და ის, რასაც დღეს „ჰაერიდან ფულის კეთება“ ჰქვია.

ფულის არაუზრუნველყოფილი ემისიის პრაქტიკა თანამედროვე დროში მიიღეს ბანკებმა, რომლებმაც შეცვალეს იუველირ-მევახშეები. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში მრავალი აპროტესტებდა ბანკირების ამ თაღლითობას და მოითხოვა კანონით აეკრძალათ ბანკებისთვის ფულადი ნიშნების გამოშვება, რომლებიც არ იყო გამყარებული ლითონებით და სხვა მაღალი ლიკვიდური საქონლის მარაგებით. საბანკო თაღლითობა ნაწილობრივ დაითრგუნა იმით, რომ ევროპაში დაიწყო ოქროს სტანდარტის შემოღება, რომელიც ცენტრალურ ბანკებს ავალდებულებდა ფულის გამოშვებას ძვირფასი ლითონების მარაგებზე დაყრდნობით. დუგლას კეისი ოქროს სტანდარტის ეპოქაზე წერს: „ოქროზე სასაწყობო ხელწერილები იწოდებოდა ბანკნოტებად. როცა მათ უშვებდა მთავრობა, მათ ეწოდებოდა ვალუტა. ოქროს ზოდები, მონეტები, ბანკნოტები და ვალუტა შეადგენდა ტრანზაქციების განხორციელების საშუალებების საზოგადოებრივ მარაგს, მაგრამ მათი რაოდენობა მკაცრად იყო შეზღუდული ოქროს ხელმისაწვდომი რაოდენობით“.

ოქროს სტანდარტის ეპოქა არ უნდა იქნეს იდეალიზებული. ჯერ ერთი, არცერთ ქვეყანაში ოქროს სტანდარტი არ ითვალისწინებდა ემისიების 100%-იან მხარდაჭერას ცენტრალური ბანკის ოქროს მარაგებით. მეორეც, ფულის ემისიას ახორციელებდნენ კომერციული ბანკები, რომლებიც ძალიან ხშირად უგულვებელყოფდნენ ოქროს სტანდარტებს.

მე-20 საუკუნეში დაიწყო ოქროს სტანდარტის დაშლა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ოქრო-დოლარის სტანდარტმა დაიწყო მოქმედება, მაგრამ ამ შეკვეცილმა ოქროს სტანდარტმა ასევე შეწყვიტა მოქმედება 1971 წელს, როდესაც აშშ-ის ხაზინამ უარი თქვა „ყვითელი ლითონის“ „მწვანე ქალაქზე“ გაცვლაზე. 1976 წელს იამაიკაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებულ იქნა ოფიციალური გადაწყვეტილება ოქროს დოლარის სტანდარტის ქალაქის დოლარის სტანდარტით ჩანაცვლების შესახებ.

ახლა კი, უკვე ნახევარი საუკუნეა, რაც საბანკო სამყაროში გრძელდება ყოველმხრივ შეუზღუდავი ვაკუანალია, რასაც ემახიან ვალდებულებების არასრულ დაფარვასა და ჰაერიდან ფულის გამომუშავებას. როგორც დუგ კეისი აღნიშნავს, ბევრს გულუბრყვილოდ სჯერა, რომ ბანკები ჩვეულებრივი „ფინანსური შუამავლებია: ისინი იღებენ ფულს კლიენტებისგან დეპოზიტებისთვის და სხვა ანგარიშებისთვის, შემდეგ კი ამ ფულს აძლევენ სხვა კლიენტებს სესხის სახით. მაგრამ ეს ასე არ არის. პირობითად რომ ვთქვათ, კლიენტის მიერ დეპოზიტზე განთავსებულ 1 დოლარზე ბანკს შეუძლია გასცეს კრედიტი 3,5 ან თუნდაც 10 დოლარი სხვა კლიენტზე. და ეს საწყისი 1 დოლარი მიდის რეზერვების ფორმირებაზე ცენტრალური ბანკის მოთხოვნების შესაბამისად (რეზერვები ჩვეულებრივ ინახება ცენტრალურ ბანკში). ხოლო გაცემული ახალი ფული (ჩვენს პირობით მაგალითში, ვთქვათ, ეს იყოს 5 დოლარი) განთავსდება იქვე, იმავე ბანკის ანგარიშზე. ამგვარად, საბანკო ანგარიშებზე წარმოიქმნა 6 დოლარი, თანაც, 1 დოლარის თანხა უზრუნველყოფილია, დარჩენილი 5 დოლარი კი – არაუზრუნველყოფილი. ასეთ საბანკო „ქიმიას“ ლიტერატურაში ასევე უწოდებენ „ნაწილობრივ საბანკო დარეზერვებას“ ან „განსაკუთრებით დიდი მასშტაბით ყალბი ფულის შექმნას“ (Катасонова, 2020).

ზემოთ მოვიყვანე დუგ კეისის მოსაზრებები ბანკების „ვალდებულებების არასრული დაფარვის“ პრაქტიკის შესახებ. სპეციალისტებისთვის ეს ცნობილია, მაგრამ არის ერთი მომენტი, რომელიც აქამდე არ მსმენია მათგან, ვინც წერდა „ვალდებულებების არასრული დაფარვის“ შესახებ. დუგ კეისი ბანკების ამგვარი „ყალბი ფულის შექმნის“ მთავარ დამნაშავედ ცენტრალურ ბანკებს მიიჩნევს.

შუასაუკუნეების იუველირები, რომლებიც გასცემდნენ ჭარბი რაოდენობით „სასაწყობო ხელწერილებს“, რა თქმა უნდა, განიცდიდნენ შიშს, ხვდებოდნენ რა, რომ ისინი სიცრუით იყვნენ დაკავებული და რომ ეს სიცრუე შეიძლება გამოაშკარავებულიყო. მართლაც, სიცრუე აშკარავდებოდა, ხელწერილების მფლობელები ერთბაშად აწყდებოდნენ იუველირებს და როცა ვერ ლეზულობდნენ სანაცვლოდ თავიანთ ოქროს, თაღლითებს ხშირად კლავდნენ. კომერციულ ბანკებს არ უწევთ ამდენი ნერვიულობა „ვალდებულებების არასრულ დაფარვაზე“, რადგანაც არსებობს ცენტრალური ბანკი, რომელსაც უწოდებენ „ბოლო ინსტანციის კრედიტორს“. მან უნდა დაფაროს ის ვალდებულება, რომლის დაფარვის უნარი კომერციულ ბანკს არ ექნება. დაგ კეისი წერს: „ცენტრალური ბანკების გაჩენამ ეს შიში გაანელა, ვინაიდან გაჩნდა ბოლო ინსტანციის კრედიტორი. რადგანაც ცენტრალური ბანკები ყოველთვის მზად არიან გასცენ კრედიტები, ბანკირებს შეუძლიათ თავისუფლად გასცენ დაპირებები მაშინაც კი, როცა მათ არ შეუძლიათ ამ დაპირებების შესრულება დამოუკიდებლად“.

ადრეულ პერიოდში, როდესაც ოქროს სტანდარტი ჯერ კიდევ მოქმედებდა, ცენტრალურ ბანკებს ხშირად არ უწევდათ ბოლო ინსტანციის კრედიტორების როლის შესრულება და ბანკების გადარჩენა, მაგრამ როდესაც ოქროს სტანდარტმა დაიწყო ეროზია, შემდეგ კი საბოლოოდ გაქრა, ცენტრალური ბანკები ვეღარ უმკლავდებოდნენ „მაშველის“ მოვალეობებს. ყალბი ფულის შექმნაზე მკაცრი შეზღუდვების დაწესების მცდელობები წარუმატებლად დასრულდა. პირიქით, შემცირდა სავალდებულო რეზერვის ნორმები (აქა-იქ გაუქმდა კიდევ). ყოველივე ამის შემდეგ, ნორმების შესუსტება არის ჰაერიდან ფულის გამომუშავების დამატებითი შესაძლებლობა: „ნაწილობრივი დარეზერვების სისტემა მიზეზია იმისა, თუ რატომაც საბანკო საქმე უფრო მომგებიანი, ვიდრე ჩვეულებრივი ბიზნესი“. სხვათა შორის, მე აღვნიშნავ ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებას, რომ ნაწილობრივი დარეზერვება საბანკო საქმეს უფრო მომგებიანს ხდის, ვიდრე ნარკობიზნესი.

სავალუტო ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ იაფი იქნებოდა არა ბანკების გადარჩენა, არამედ ბანკის კლიენტებისთვის დეპოზიტების უსაფრთხოების გარანტიების მიცემა. დაიწყო საბანკო დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შექმნა. დაგ კეისი წერს, რომ „აშშ-ში (ასევე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში) ბანკების ბანკროტობისგან დაცვა უზრუნველყოფილია არა გონივრული პრაქტიკით, არამედ კანონებით. 1934 წელს კომერციული ბანკების მიმართ ნდობის აღსადგენად აშშ-ის მთავრობამ დააარსა დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია (FDIC), რომელიც აზღვევდა დეპოზიტებს 2500 აშშ დოლარის ოდენობით თითოეულ მეანაბრეზე ყოველ ბანკში, საბოლოოდ კი სადაზღვევო დაფარვა 250 000 დოლარამდე გაიზარდა. ევროპაში სახელმწიფოს მიერ გარანტირებული თანხა 100 ათასი ევროს ტოლია“.

დუგ კეისი გვაწვდის საინტერესო ციფრებს: FDIC სადაზღვევო სისტემა მოიცავს 9,8 ტრილიონი დოლარის დეპოზიტებს, თუმცა ამ ინსტიტუტის აქტივები შეადგენს მხოლოდ 126 მლრდ დოლარს (დაზღვეული დეპოზიტების 1%-ზე ოდნავ მეტი). დუგ კეისი კომენტარს აკეთებს ამ მაჩვენებლებზე: „მე გამიკვირდება, თუ FDIC არ დაიშლება და არ მოითხოვს რეკაპიტალიზაციას მთავრობისგან. ეს ფული – დიდი რაოდენობით მილიარდები – სავარაუდოდ, ჰაერიდან შეიქმნება ფედერალური სახაზინო ვალების ფედერალური სარეზერვო სისტემისადმი მიყიდვით“.

დუგ კეისი ამთავრებს სტატიას სიტყვებით: „ნაწილობრივი დარეზერვების საბანკო სისტემა მისი ამჟამინდელი ფორმით (მთელი მისი სამწუხარო ნიშნებით) კრიტიკულად მნიშვნელოვანია გლობალური ფინანსური სისტემისთვის...“ და მის გადასარჩენად „მსოფლიო მთავრობები და ცენტრალური ბანკები... დაბეჭდავენ სულ უფრო მეტ დოლარს, ფუნტს, ევროს, იენს და ა.შ.“ – აქ კეისი ასრულებს. მე შემძლია გავაგრძელო მის ნაცვლად: შემდეგ კი დაიწყება ინფლაცია და ჰიპერინფლაცია, რომელიც თუ არ გაანადგურებს ნაწილობრივი დარეზერვების მქონე ბანკებს, მათ არსებობას უაზროს გახდის. სხვა სტატიებში კეისი ამბობს, რომ კაცობრიობა იძულებული იქნება დაუბრუნდეს ტრადიციულ ფულს – ოქროს, რისთვისაც ბანკები საერთოდ არ არის საჭირო.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Casey Doug, (2023). Unsound Banking: Why Most of the World's Banks Are Headed for Collapse, 2023.
2. <https://internationalman.com/articles/unsound-banking-why-most-of-the-worlds-banks-are-headed-for-collapse/>
3. <https://www.fondsk.ru/news/2023/03/14/krah-svb-pokazal-korol-golyj-58748.html>
4. <https://www.fondsk.ru/news/2023/04/14/dag-kejsi-ljuboj-sovremennyj-kommercheskij-bank-rano-ili-pozdno-obankrotitsja-59018.html>
5. Newswire, (2023). Whalen Global Advisors Comments on Silicon Valley Bank, MAR 13, 2023. <https://www.newswire.com/news/whalen-global-advisors-comments-on-silicon-valley-bank-21980778>
6. Катасонова В. Ю., (2020). Алхимия денег. Как банки делают деньги... из воздуха" // Серия: «Финансовые хроники профессора Катасонова». (М.: «Книжный мир», 2020).

*Malkhaz Chikobava*

## THE MODERN BANKING CRISIS AS A HARBINGER OF THE END OF THE ERA OF COMMERCIAL BANKS

### Abstract

The article examines the reasons for the bankruptcy of a number of US commercial banks (Silicon Valley Bank, Signature Bank, Silvergate Bank) in March 2023 and the possibility of an expected wave of a general banking crisis.

Talk about the impending danger of a financial crisis began after the Federal Reserve began to tighten monetary policy in March last year, citing the need to contain record high inflation rates.

It should be noted that such a policy has been severely criticized. First, because loans will become inaccessible and expensive for companies in the non-financial sector of the economy. Secondly, because many banks will begin to depreciate their own assets. The assets of aki-banks have been formed in recent years at the expense of treasury and mortgage-backed securities at very low interest rates (low, because the key rate of the US Federal Reserve was close to zero). When the Fed began to sharply raise its key rate last year (now it is 5.25%), long-term securities (especially Treasury bonds) in the assets of banks, insurance companies and mutual funds began to depreciate. All this in March of this year led to the bankruptcy of the following American banks: Silicon Valley Bank, Signature Bank, Silvergate Bank, which raises serious doubts about the prosperous future of commercial banks in general.

Everything that the US monetary authorities have done over the past fifteen years cannot be called a solution to the problems. Monetary and financial policy has been reduced to protracting the crisis, pushing it into the future. And here is the future. It can be accurately dated - March 10, 2023, when the SVB went bankrupt.

**Key words:** *inflation, key rate, treasury bonds, deposit insurance, banking crisis, commercial banks, gold standard, partial coverage of obligations.*

*ზურაბ წერეთელი*

### პანდემიითა და უკრაინაში მიმდინარე ომით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემები და შემდგომი პერსპექტივები

**ანოტაცია.** ნაშრომში წარმოდგენილია როგორც პანდემიის დროს, ასევე მის შემდგომ პერიოდში და უკრაინაში მიმდინარე ომით გამოწვეული უმრავლესი ქვეყნების საერთო ეკონომიკური პრობლემები, გამოწვევები და სირთულეები. აქცენტი ძირითადად გადატანილია კორონავირუსის (COVID 19) პანდემიაზე. წარმოჩენილია ის უარყოფითი ასპექტები, რომელიც მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნისთვის საერთოა. დასკვნით ნაწილში გადმოცემულია კორონავირუსის და ომის ფონზე თუ როგორი იქნება შემდგომი პერიოდის მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივები და აგრეთვე ზოგიერთი განხორციელებული (ან განსახორციელებელი) ღონისძიების პერსპექტივა.

*საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური პრობლემები, პანდემიის და ომის გავლენა მსოფლიოს ეკონომიკაზე, ეკონომიკური გამოწვევები, გლობალური პრობლემები, ეკონომიკური კრიზისი, რეცესია, შემდგომი პესპექტივა.*

## შესავალი

კორონავირუსის პანდემია და რუსეთ-უკრაინის ომი მსოფლიოს ყველა ქვეყნის და მათ შორის საქართველოს ეკონომიკისთვისაც მოულოდნელ გამოწვევად მოგვევლინა, მისი მასშტაბიც უახლესი ისტორიის განმავლობაში უპრეცედენტოა. საქართველო, ეკონომიკური გამოწვევების გამო, რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. მოვლენების განვითარების პერსპექტივის, მოსალოდნელი ჰუმანიტარული და ეკონომიკური ზიანის მოცულობის სრულად პროგნოზირება თითქმის შეუძლებელი გახდა.

დღეისათვის კაცობრიობა უდიდესი გამოწვევის წინაშე დგას. გამოწვევები ყოველთვის ახალი დღის წესრიგისა და გადაჭრის მექანიზმების შემუშავებას მოითხოვს. ამ დროს სახელმწიფოები და საზოგადოება გარკვეულ პროგრამებს აყალიბებს. დიდი და ძლიერი (ეკონომიკურად და პოლიტიკურად) სახელმწიფოები თავიანთ თავზე იღებენ არა მხოლოდ პრობლემების გადაჭრის გეგმების შემუშავების, არამედ ქმედითი ღონისძიებების განხორციელების მეთაურობას. ამ დროს პატარა სახელმწიფოები თითქოს ძლიერთა გადაწყვეტილებას უნდა ემორჩილებოდნენ და ძლიერთაგან იმათ რჩევებს უნდა გაჰყვნენ, რომელთა „პარტნიორებად“ თავიანთ თავს გადაწყვეტენ.

დღეს ჩვენ, კაცობრიობამ, არ ვიცით როდის დასრულდება პანდემიისგან და რუსეთ-უკრაინის ომისგან გამოწვეული კრიზისი. არც ის ვიცით, როგორ დასრულდება ის გრძელვადიან პერსპექტივაში და როგორი პოლიტიკური და სამრეწველო-ეკონომიკური შედეგებით დამთავრდება იგი.

ყველა კრიზისული პერიოდი გაურკვეველობითა და არამდგრადობით ხასიათდება.

ამის წინააღმდეგობრიობა ასიათასობით ადამიანის ამ ვირუსით ინფიცირება, ადამიანური მსხვერპლი ომში, ამასთან მსოფლიო საზოგადოების გაურკვეველობა და არამყარი განცდა, რაც თავად ამ ვირუსზე მეტი უარყოფითი შედეგის მომტანია. ყველა კრიზისის დროს, და არა მხოლოდ კრიზისის გავლის შემდეგ, უნდა გამოითქვას მოსაზრება, რათა, ერთი მხრივ, გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან და შემდგომ ადეკვატურად გავაანალიზოთ იგი, რათა სამომავლოდ უკეთ გავითვალისწინოთ მისი გაკვეთილები. ეს, სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში, არ ხდება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სახელმწიფო და საზოგადოება თვითკმაყოფილების სიტკბოებაში იძირება და ყოველ გადალახულ კრიზისს თავისი სიძლიერის დასამტკიცებლად და სხვებზე გავლენის განსამტკიცებლად იყენებს. ახლა კი ეს მოცემულობა არაფერს ნიშნავს.

არასტაბილურობისა და არათანმიმდევრულობის პირობებში მეცნიერებისა და პრაქტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის შემუშავება და დანერგვა. საწარმოები (ორგანიზაციები) იძულებული არიან მოერგონ პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებს და მოძებნონ ადეკვატური გადაწყვეტილებები ყველაზე რთული პრობლემებისა და მათი ფუნქციონირების საფრთხეებისთვის. საწარმოს (ორგანიზაციის) ეკონომიკური უსაფრთხოება არის კორპორატიული რესურსების ყველაზე ეფექტური გამოყენების მდგომარეობა, რათა თავიდან აიცილოს საფრთხეები და შექმნას პირობები მისი ძირითადი განყოფილებების სტაბილური ფუნქციონირებისთვის.

\* \* \*

მიუხედავად ბოლო ათწლეულის განმავლობაში მიღწეული დიდი პროგრესისა სამედიცინო, ბიოტექნოლოგიურ და გენეტიკის სფეროებში, მსოფლიო მაინც ძალზე მოუძნადებელი შეხვდა კორონავირუსის პანდემიას. შესაბამისად, დღეს მთავრობებისა და

საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღება სრულად გადატანილია ჯანდაცვისა და ადამიანების სიცოცხლის გადარჩენის პრობლემებზე, რაც, რა თქმა უნდა, ასეც უნდა იყოს. თუმცა პარალელურად ალბათ უკვე გასაანალიზებელია ამ პანდემიის ეკონომიკური შედეგები; გასათვლელია, თუ რა გავლენას მოახდენს ეს პროცესი მსოფლიო ეკონომიკაზე.

მიმდინარე კრიზისი სხვებისგან განსხვავებულია, თუმცა მაინც გვაქვს შესაძლებლობა მისი წინასწარი ანალიზისათვის. ამ შემთხვევაში, შეიძლება განსაკუთრებით გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი საკითხი:

1) სახელმწიფოს როლი და დანიშნულება. სხვადასხვა წლების ეკონომიკური კრიზისების პერიოდში სახელმწიფოსადმი მოქალაქეებისა და სამოქალაქო საზოგადოების დამოკიდებულება სხვადასხვანაირია. თავად ტოტალიტარული, ავტორიტარული სახელმწიფოებისთვის და მემარჯვენე პოპულისტური მთავრობისთვისაც, რომლებიც დემოკრატიულ სივრცეში არსებობენ ხოლმე, ეს გამოწვევა მათი ფუნდამენტის რღვევის მიზეზი შეიძლება გახდეს იქიდან გამომდინარე, რომ რწმენა ავტორიტეტში, ტოტალურობაში ირღვევა, როდესაც მას მასებისთვის პრობლემების გადაჭრა აღარ ძალუძს. სწორედ ახლა, ამ კრიზისის დაძლევისას, ძალმომრეობითი მთავრობა ისეთივე უსუსური ჩანს, როგორც, დიდწილად, ლიბერალურ-დემოკრატიული საზოგადოებები.

აღნიშნული განსაკუთრებით იმით არის მნიშვნელოვანი გააზრების საგანი, რომ უახლოეს მომავალში, ამ კრიზისის განმავლობაში, ყველა მთავრობა და მმართველობა შეიძლება დადგეს საშინელი დილემის წინაშე ან მოახდინოს ეპიდემიის შეძლებისდაგვარად სწრაფი და მაქსიმალური ლოკალიზაცია, რამაც შეიძლება ეკონომიკის ჩამოშლა გამოიწვიოს, ანდა გადახდებულ იქნეს დიდი ფასი და ადამიანთა სიცოცხლე შეეწიროს ეკონომიკის განვითარებას, თუმცა ეპიდემიის შედეგებზე ჯერ ალბათ შეუძლებელია საუბარი.

სახელმწიფოების მიერ ნებისმიერ შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილება სრულ თანხმობაში უნდა მოდიოდეს სამოქალაქო საზოგადოებისა და ცალკეული ინდივიდის ინტერესთან, ამ კრიზისულ სიტუაციას კიდევ უფრო დაამძიმებს საზოგადოებრივი ჯგუფების თვითნებური გადაწყვეტილებები.

მართლაც ამ ვითარებაში დღევანდელი გადასახედიდან ერთი შეხედვით თითქოს აშკარაა, რომ თითოეული სახელმწიფო მხოლოდ თავის მოქალაქეებზეა კონცენტრირებული და სოლიდარობის ერთაშორისი პრინციპი თუ მთლიანად არ დაიკარგა, უკანა პლანზე მაინც გადაიწია. ნაციონალური სახელმწიფოების როლის წინ წამოწევამ არ უნდა გამოიწვიოს მსოფლიოს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და აკადემიური დეზინტეგრაცია, რასაც, თავის მხრივ, მომავალში კიდევ უფრო მეტი და მძიმე კრიზისების გამოწვევა შეუძლია, რამდენადაც ნაციონალური სახელმწიფოებიდან ნაციონალისტურამდე და შოვინისტურამდე მცირე ნაბიჯი რჩება, თუ ნაციონალურობის, ინტერნაციონალურობისა და სოლიდარობის ბალანსი არ შენარჩუნდა.

საგულისხმოა, რომ შედარებით უკეთეს მდგომარეობაში მყოფმა ევროპულმა სახელმწიფოებმა დროულად შეამჩნიეს ზემოაღნიშნული რისკები და პანდემიით გამოწვეული პირველი შოკის შემდეგ კვლავ აქტიურად ჩაირთო უფრო მძიმე მდგომარეობაში მყოფთა მიმართ სოლიდარობის გამოხატვის ეფექტური მექანიზმები (მაგალითად, იტალიელი და ფრანგი/ელზასელი პაციენტების მკურნალობა გერმანიისა და შვეიცარიის კლინიკებში, ექიმებით, სამედიცინო ეკიპირებით მხარდაჭერა, ევროკავშირის მიერ დაანონსებულ, პოსტკრიზისულ პერიოდში ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად გამზადებული უზარმაზარი ფინანსური რესურსები და ა.შ.)

საგულისხმოა ის, რომ მსოფლიო „გლობალიზაციის“ დაპირისპირებული ბანაკების მთავარი იდეოლოგიები თავად გამოეთიშნენ კორონა-კრიზისის დროს ამ პროცესს და თავის თავში ჩაიკეტნენ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ იდეოლოგიური დაპირისპირების მიუხედავად, თავიანთი ეკონომიკური მოგების მიზნით ეს ბანაკები არა თუ თანამშრომლობენ, არამედ რეალურად აძლიერებენ კიდევ ერთმანეთს გავლენის სფეროების განმტკიცება-გაფართოებისთვის ბრძოლაში. გამოდის, რომ ეს პრობლემაც სრულიად ახლებურადაა



გასაზრებელი (მით უმეტეს, პატარა სახელმწიფოებისათვის, რომელთაც, ძირითადად, თავიანთი შეზღუდული ძალებით უწევთ ამ და სხვა კრიზისებთან ბრძოლა). რადგან ყველა ერთ სამყაროში, დედამიწაზე ვცხოვრობთ, ერთმანეთისგან განცალკევება, ერთმანეთისთვის საზღვრების გრძელვადიანი ჩაკეტვა, ვირუსის გავრცელებას ვეღარ გააჩერებს, რადგან ვირუსიც ერთიანი ეკოსისტემის ნაწილია [1, გვ.22].

მნიშვნელოვანია არა რომელი, არამედ როგორი სახელმწიფოები აღმოჩნდნენ გაუცხოებული ვირუსის მიმართ. დღევანდელი გადასახედიდან აშკარაა, რომ ეს ისეთი სახელმწიფოებია, რომელთა საფუძველიც სოციალური თანასწორობაა და ინდუსტრია და სოფლის მეურნეობა სათანადოდ აქვთ განვითარებული; რომელთაც სოციალური დაცვის სისტემები მეტ-ნაკლებად მაღალ დონეზე აქვთ წარმოდგენილი, რასაც, ასევე ჯანმრთელობის დაზღვევის სამედიცინო სისტემა განეკუთვნება. ამიტომაც ყურადსაღებია, რომ ყველა ქვეყანამ მომავლისთვის სწორად განსაზღვროს თავისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები.

კორონავირუსმა კიდევ ერთი საკითხი დააყენა დღის წესრიგში: მეცნიერ-სწავლულებისადმი იმედი, რწმენა და მოთხოვნა გაიზარდა არა მხოლოდ რომელიმე ერთ ქვეყანაში, არამედ მსოფლიო საზოგადოებაში. თუ წინა ეკონომიკური და ლტოლვილთა კრიზისების დროს მეცნიერ-ექსპერტთა მოსაზრებები მოსახლეობის დიდ ან გარკვეულ ნაწილში უკმაყოფილებას იწვევდა მემარჯვენე პოპულისტების პროპაგანდის საფუძველზე, ახლა მდგომარეობა სხვაგვარადაა, რადგანაც კაცობრიობა შველას სწორედ მეცნიერ-ექსპერტებისგან ელის. ეს კი უშუალო კავშირშია სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პრიორიტეტების განსაზღვრასთან, რაც, პირველ რიგში, აკადემიურ სივრცეში ხორციელდება.

აკადემიური სივრცე, ისე როგორც არასდროს, მოთხოვნადი გახდა. აქ საქმე არ ეხება მხოლოდ სამედიცინო სფეროს, არამედ ისეთ სფეროებსაც, რომლებიც უშუალოდ ან ირიბად გადამწყვეტ როლს თამაშობენ კრიზისის დაძლევაში. ესენია: აგრარული, საინჟინრო-ტექნოლოგიური, ფუნდამენტური საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მაგრამ, ამავე დროს, რადგან კორონა ვირუსის ეპიდემია საერთო საკაცობრიო პრობლემაა, ხოლო კაცობრიობა ერთმანეთთან მორალური კომუნიკაციის ორგანიზმია, მოთხოვნადი უნდა იყოს სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები, რომლებიც სამართლიანობის, ზნეობრიობის და მორალურობის კვლევითაა დაკავებული [1, გვ.25].

უფრო მნიშვნელოვანია, რომ როგორც მთავრობამ, ისე საზოგადოებამ დაიწყოს სერიოზული ფიქრი და მეტიც, შემუშავება პოსტ-კრიზისულ პერიოდში ქვეყნის განვითარებისათვის, რა შემთხვევაშიც მინიმუმამდე უნდა შემცირდეს იმ შეცდომათა რიცხვი, რომლებმაც შეიძლება კრიზისის განგრძობის შემთხვევაში და მისი დასრულების შემდგომ, შეაფერხოს ქვეყნის შეძლებისდაგვარად სწრაფი წინსვლა.

პირველი და უმთავრესია, სტრატეგიული გეგმის შემუშავება ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, რითაც ქვეყანამ თვითკმარი არსებობა არა მხოლოდ გლობალური და ლოკალური კრიზისების დროს უნდა შეძლოს, არამედ ჩვეულებრივი, ნორმალური მდგომარეობის დროსაც. ამ თვალსაზრისით ძალზე საყურადღებო და იმედის მომცემია, რომ მთავრობის წარმომადგენლებმა უკვე გააკეთეს შესაბამისი განაცხადი [3].

გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი სტრატეგიული გეგმები საჭიროებენ ღრმა სამეცნიერო კვლევით გაანალიზებას და შესაბამისად, მის შემუშავებაში ჩართულები უნდა იყვნენ მაღალი რანგის სწავლულ-ექსპერტები აკადემიური სივრციდან, რამდენადაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თავად კრიზისმა გამოიწვია მათზე მოთხოვნა მსოფლიო მასშტაბით.

იმ მიმართულებების ნაცვლად, რომლებიც დროის მოთხოვნის შესაბამისად პოპულისტური პროპაგანდის შედეგად იყო წინა პლანზე წამოწეული, როგორებიცაა, მაგალითად, ტურიზმის დარგობრივი მიმართულება ან ბიზნესადმინისტრირება, სწრაფად უნდა შემოტრიალდეს აკადემიური სპექტრი იმ დარგების განვითარებისაკენ, რომლებიც არა მხოლოდ კრიზისული პერიოდისთვის არის გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი, არამედ

ზოგადად, ქვეყნის გრძელვადიანი და მდგრადი განვითარებისთვის. ასეთებია საინჟინრო ტექნოლოგიური მიმართულებები, აგრარული მეცნიერებები, სამედიცინო მიმართულება და ყველა ის განხრა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური სამყაროს შექმნის საფუძველია.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ რიგი აკადემიური დარგები ამით დაზარალდეს. უნდა განისაზღვროს მკაფიოდ დასახული და ზუსტად დადგენილი პრიორიტეტული მიმართულებები და არა მხოლოდ დროებითი საჭიროების მიხედვით, არამედ ფუნდამენტური თვალსაზრისით. აგრეთვე განსაზღვრია სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლების სტრუქტურა და იურიდიული სტატუსი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ სივრცის გამართულად მუშაობას [4].

2022 წლის 17 მარტს რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრით გამოწვეული ადამიანური ტანჯვისა და ჰუმანიტარული კრიზისის გარდა, გლობალურმა ეკონომიკამ იგრძნო ზრდის შენელებისა და ინფლაციის აჩქარების შედეგები, რომლებიც სამი ძირითადი არხით გავრცელდა. პირველ რიგში, უფრო მაღალმა ფასებმა საქონელზე, როგორცაა საკვები და ენერჯია, გამოიწვია კიდევ უფრო მაღალი ინფლაცია, რამაც შესაბამისად იმოქმედა შემოსავალსა და მოთხოვნაზე. მეორე, განსაკუთრებით მეზობელ ქვეყნებს შეექმნათ ვაჭრობის, მიწოდების ჯაჭვისა და ფულადი გზავნილების შეფერხება, ისევე როგორც ლტოლვილთა ნაკადის ისტორიული ზრდა და მესამე დაბალმა ბიზნესნდობამ და ინვენსტორების გაზრდილმა გაურკვეველობამ გავლენა იქონია აქტივების ფასებზე. კერძოდ, გაამკაცრა ფინანსური პირობები და პოტენციურად დააჩქარა კაპიტალის გადინება განვითარებადი ბაზრებიდან. რუსეთი და უკრაინა საქონლის მთავარი მწარმოებლები არიან და დესტაბილიზაციამ უკვე გამოიწვია მსოფლიო ფასების ზრდა, განსაკუთრებით ნავთობსა და ბუნებრივ აირზე. საგრძნობია ფასების ზრდა სურსათზე, ხორბალზე (რომელიც უკრაინასა და რუსეთში მსოფლიო ექსპორტის 30 პროცენტს შეადგენს) კი რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია.

ომს შეუძლია ძირეულად შეცვალოს მსოფლიო ეკონომიკური და გეოპოლიტიკური წესრიგი, თუ მოხდება ენერგოვაჭრობის ცვლილება, მიწოდების ჯაჭვების გადასწორება, გადახდის სისტემების ფრაგმენტაცია და ქვეყნების მიერ სავალუტო რეზერვების სტრუქტურის გადახედვა. მზარდი გეოპოლიტიკური დაძაბულობა კიდევ უფრო ზრდის ეკონომიკური ფრაგმენტაციის რისკებს, განსაკუთრებით ვაჭრობასა და ტექნოლოგიაში.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ეფექტი შესაძლოა მრავალი წლის განმავლობაში ბოლომდე არ იყოს ხილული, უკვე არსებობს აშკარა ნიშნები, რომ ეს ომი და შედეგად მიღებული ფასების მატება ძირითად საქონელზე გართულებს ზოგიერთ ქვეყანაში პოლიტიკოსებისთვის დელიკატური ბალანსის დამყარებას ინფლაციის შეკავებასა და პანდემიისგან ეკონომიკური აღდგენის მხარდაჭერის პროცესს [6].

2023 წელს გლობალური ეკონომიკური ზრდის 1,7 პროცენტამდე შემცირებაა მოსალოდნელი. მსოფლიო ბანკის ბოლო ანგარიშის მიხედვით, ეს ტენდენცია გამოწვეულია მაღალი ინფლაციის, მაღალი საპროცენტო განაკვეთების, ინვესტიციების შემცირებით და უკრაინაში რუსეთის შეჭრით გამოწვეული შეფერხებებით.

ეკონომიკური ზრდის მკვეთრი ვარდნა ფართოდ იქნება გავრცელებული, გადაიხედება 2023 წლის პროგნოზები შემცირების კუთხით მოწინავე ეკონომიკების 95 პროცენტისა და განვითარებადი ქვეყნების 70 პროცენტისთვის.

მსოფლიო ბანკის World Economic Outlook ანგარიშის ავტორები აღნიშნავენ, რომ ნებისმიერმა ახალმა არასასურველმა განვითარებამ (როგორცაა მოსალოდნელზე მაღალი ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდა, პანდემიის აღორძინება ან გეოპოლიტიკური ესკალაცია) შესაძლოა მსოფლიო ეკონომიკაში რეცესია გამოიწვიოს. ეს იქნება პირველი შემთხვევა ბოლო 80 წლის განმავლობაში, როდესაც ერთ ათწლეულში ერთდროულად ორი გლობალური რეცესია მოხდება.

მოწინავე ეკონომიკებში ზრდა, სავარაუდოდ, შენელება 2022 წლის 2.5 პროცენტიდან 0.5 პროცენტამდე 2023 წელს. როგორც გასული ორი ათწლეულის გამოცდილება გვიჩვენებს, ამ მასშტაბის შენელება გლობალურ რეცესიას მიანიშნებს.

შეერთებულ შტატებში პროგნოზირებულია, რომ 2023 წელს ზრდა შენელება 0,5 პროცენტამდე,

2023 წელს ევროზონის ეკონომიკური ზრდა ნულოვანი იქნება. ჩინეთში ზრდა პროგნოზირებულია 4,3 პროცენტით, რაც წინა პროგნოზებთან შედარებით 0,9 პროცენტული პუნქტით ნაკლებია.

ამ კრიზისმა კიდევ ერთხელ მკაფიოდ დაანახა მსოფლიოს, რომ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარება მხოლოდ ცოდნის საფუძველზეა შესაძლებელი. ამიტომ, ინდუსტრია, სოფლის მეურნეობა თუ სხვა მიმართულებები, რომლებიც აუცილებელია ქვეყნის განვითარებისა და გრძელვადიან პერსპექტივაში გამართულად არსებობისათვის, მუდმივ ბაზაში უნდა იყოს განხილული განათლებისა და კვლევის აკადემიურ სივრცესთან.

### დასკვნა

პანდემიისა და ომის ფონზე თუ როგორი იქნება შემდგომი პერიოდის მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივები შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

ეს კრიზისი გამოიწვევს მთელი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის რესტრუქტურირებას;

განვითარებადი ქვეყნების დავალიანება მნიშვნელოვნად გაიზრდება, მაგრამ ამის კიდევ უფრო ნეგატიური მხარე ის არის, რომ ვალი, ინვესტიციების ნაცვლად, სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და კომპანიების გაკოტრების თავიდან ასაცილებლად ერთჯერადად დაიხარჯება;

უფრო მეტი ინვესტიცია ჩაიდება IT-ტექნოლოგიებსა და ხელოვნურ ინტელექტში (განსაკუთრებით, უსაფრთხოების გამო), სამედიცინო აპარატურაში, ჯანდაცვაში, ბიოტექნოლოგიაში და სოფლის მეურნეობაში.

შეზღუდვები ადრე თუ გვიან მოიხსნება, მაგრამ მეწარმეებს კვლავ მოუწევთ სტრატეგიის შეცვლა. მდგრადობა – ეს იქნება უნარი გაუძლოს შოკს და განკურნოს იგი, რაც კონკურენციაზე უკეთესი გახდება გადარჩენისა და გრძელვადიანი კეთილდღეობის გასაღების მოსაძებნად;

ბევრ კომპანიას არა მხოლოდ ბიზნესის მოდელის შეცვლა მოუწევს, არამედ მისი სრულად გადახედვაც გახდება აუცილებელი;

უნდა მოხდეს ციფრული კომერციის, ტელემედიცინისა და ავტომატიზაციის მნიშვნელოვანი ხელშეწყობა;

ყველა სახის სამუშაო არ შეიძლება ავტომატიზებული იყოს, მაგრამ ზოგადი ტენდენციები აშკარაა და, სავარაუდოდ, შეუქცევადი გახდება;

პანდემიის შედეგებიდან გამომდინარე მთავრობების მხრიდან კიდევ უფრო მეტი ჩარევებია მოსალოდნელი ეკონომიკაში;

მას შემდეგ, რაც ბიზნესის ნაწილი, სავარაუდოდ, მთავრობის შეღავათებით მუშაობს, ეს მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მთავრობასა და ბიზნესს შორის, ასევე ბიზნესსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობებზე. შეიძლება უფრო მეტი რეგულაცია იყოს შრომითი რესურსების მომარაგებასა და უსაფრთხოებაზე, რაშიც ბიზნესიც უნდა ჩაერთოს;

მომხმარებელიც გააცნობიერებს საკუთარი ჯანმრთელობისა და პირადი ცხოვრების დაცვის საჭიროებებს, შესაძლებელია ბევრმა დისტანცირების პრაქტიკაც დანერგოს თავის ცხოვრებაში, ზოგიც კიდევ კვების ჩვევებსაც შეიცვლის და სხვა;

ადამიანური მსხვერპლის ანაზღაურება შეუძლებელია, ასევე ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვს ეკონომიკური ზარალის აღმოფხვრაც. მაგრამ შემდგომში აუცილებელია:

ა) მუშაობის სტრატეგიების შეცვლა;

ბ) რაც შეიძლება მალე ომის შეწყვეტა, რისთვისაც საჭიროა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების პოლიტიკური შეთანხმების მიღწევა;

- გ) მუშაობა ეფექტურად და ბევრად უფრო მაღალი სიჩქარით, მოქნილად;
- დ) სამუშაო ადგილების ინოვაციების ტემპისა და მასშტაბების დაჩქარება;
- ე) ბიოტექნოლოგიისა და ვაკცინაციის სფეროში ინოვაციების წარმოქმნა;
- ვ) გამარტივებული მარეგულირებელი რეჟიმების შექმნა;
- ზ) მკურნალობის ახალი მეთოდების დანერგვა;
- თ) უფრო მდგრადი და ეფექტური ჯანმრთელობის სისტემების შექმნა.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. აბესაძე რ., 2020. გლობალიზაცია და პანდემიის ეკონომიკური შედეგები. ჟ.: „ეკონომისტი“. № 2;
2. კოვიდ 19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში. 2020. <https://stopcov.ge/Content/files/government--report.pdf>;
3. მექვაბიშვილი ე., 2020. ინტერვიუ გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“ <http://newspaper.tsu.ge/ge/news/view/KSIWclIG?fbclid=IwAR0I0aLHMRwe>;
4. პაპავა ვ., ჭარაია ვ., 2020. ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა <https://www.gfsis.org/ge/publications/opinion-papers>;
5. Марина Стадник, Влияние COVID-19 на мировую экономику, вестник МСФО №3, 03.2020.
6. Альфред Каммер, Джихад Азур, Абебе Аэмро Селასიე, Илан Голдфайн и Чан Ён Ри, Как война в Украине отражается на разных регионах мира, вестник МСФО №2, 02.2022 .

*Zurab Tsereteli*

**ECONOMIC PROBLEMS CAUSED  
BY THE PANDEMIC AND THE ONGOING WAR IN UKRAINE AND  
THE FURTHER PROSPECTS**

**Abstract**

In the paper is represented the common economic problems, challenges and difficulties of the most countries during the pandemic and aftermath as well as those once that are based on the ongoing war in Ukraine. The focus is mainly made on the coronavirus (COVID 19) pandemic. The negative aspects that are common to most of the world's people are also reflected in the work. In inclusion are represented the prospects of development the world economy during the next period that are based on Corona virus and the war effects as well as some other implemented (or which will be implemented) measures.

**Key words:** *economic problems, impact of pandemic and war reflection on the world economy, economic challenges, global problems, economic crisis, recession, further perspective.*

**დავით ჭელიძე**

**საქართველოს მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური (მათ შორის საბიუჯეტო) პარამეტრების დინამიკა, არსებული პრობლემები და მათი დაძლევის ზოგიერთი მიმართულება**

**ანოტაცია:** სახელმწიფო (საშინაო და საგარეო) ვალის ზრდასთან დაკავშირებული რისკების მინიმიზების მიზნით ნაშრომში მოძიებული და გაანალიზებულია სახელმწიფო ვალის შესახებ მონაცემები, მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონებში ფიქსირებული „საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის“ და ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიით გაანგარიშებული „საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის“ ზრდისა და ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობის დინამიკა. აღნიშნული მიმართულებებისა და მოქმედი კანონმდებლობის ანალიზზე დაყრდნობით შემუშავებულია რეკომენდაციები საგარეო ვალისა და მისი მომსახურების ყოველწლიური საფასურის ექსპორტთან თანაფარდობის ზღვრული მაჩვენებლის შემოღების შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** სახელმწიფო ვალი; ბიუჯეტის ხარჯები; ექსპორტი შესავალი

საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის (1991 წლის 9 აპრილი)

შემდგომი პერიოდის სირთულეები განსაკუთრებული სიმწვავეით ქვეყნის ეკონომიკაში გამოვლინდა. მრავალრიცხოვან ექსპერტთა შეფასებებით აღნიშნული სრულიად ლოგიკურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, რადგან იმ ისტორიულ ეპოქაში საქართველოს საბჭოთა იმპერიის ე.წ. ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის დატოვების პარალელურად, წარმოების სოციალისტური წესისთვის დამახასიათებელი ცენტრალიზებული საგეგმო ეკონომიკიდან, კერძო საკუთრებასა და სამეწარმეო ინიციატივაზე დაფუძნებულ თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა უხდებოდა.

არსებული პრობლემების სიმძიმეს განსაკუთრებული დატვირთვა შესძინა ამავე პერიოდში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოში ორგანიზებულმა სახელმწიფო გადატრიალებამ, სამოქალაქო ომმა და ქვეყნის ისტორიულ ტერიტორიებზე ინსპირირებულმა საომარმა მოქმედებებმა.

ზემოაღნიშნული მიზეზების პარალელურად საქართველოს ეკონომიკისათვის მიყენებული უმძიმესი ზიანის გამომწვევებს შორის განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე არსებული სახელისუფლებო წრეების არაკომპეტენტურობა, ეკონომიკური პროცესებისადმი დანაშაულებრივად გულგრილი დამოკიდებულება და, რაც მეტად მტკივნეულია, კორუფციული ინტერესებით მოტივირებული გადაწყვეტილებების სიმრავლე.

აღნიშნული მოსაზრების მართებულობას ცხადყოფს ეკონომიკის ცივილიზებული ფორმებით მართვა-ფუნქციონირებისათვის აუცილებელი თუნდაც საკანონმდებლო ბაზის მიღება-ამოქმედების გაუმართლებლად გაჭიანურებული პროცესი. კერძოდ, ქვეყნის საფინანსო სისტემის ფუნქციონირებისათვის უმნიშვნელოვანესი:

- „საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან თითქმის ორი წლის შემდგომ (1993 წლის 30 მარტს) მიღება;

- ფიზიკურ პირთა საშემოსავლო, საწარმოთა მოგების, დამატებული ღირებულებისა და აქციზური გადასახადის შესახებ კანონების კიდევ უფრო დიდი დაგვიანებით, დამოუკიდებლობის აღდგენიდან ორი წლისა და შვიდი თვის შემდგომ (1993 წლის 21 და 24 დეკემბერს) მიღება;

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უკამათო წინაპირობის, ქვეყანაში სამართლებრივი, კონკურენტული და დაცული სამეწარმეო გარემოს არსებობისათვის აუცილებელი:

- „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის დამოუკიდებლობის აღდგენიდან სამი წელის შემდგომ (1994 წლის 28 ოქტომბერს), ხოლო „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“, აგრეთვე „საბაჟო გადასახადის შესახებ“ კანონების დამოუკიდებლობის აღდგენიდან ხუთ წელზე მეტი დაგვიანებით (კერძოდ, 1996 წლის 25 ივნისსა და 27 დეკემბერს) მიღება.

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების მართვა-რეგულირების ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებებს, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად ამძიმებს ქვეყნის ეკონომიკის გამართული ფუნქციონირებისათვის მეტად არასასურველი სახელმწიფო ვალის პერმანენტული ზრდის გამოკვეთილი პროცესი და აღნიშნულისადმი „ტრადიციად ქცეული“ ზერელე დამოკიდებულება.

საქმე ისაა, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონი ქვეყნის პარლამენტის მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან თითქმის შვიდი წლის დაგვიანებით (1998 წლის 5 მარტს) იქნა მიღებული. აღნიშნული ფაქტის თვისთავად უარყოფითი შეფასების მიუხედავად, სიტუაციის სიმძიმეს, ჩვენი აზრით, იმ გარემოების არსებობა განაპირობებს, რომ კანონის მიღებამდე საქართველოს პარლამენტს უკვე მიღებული ჰქონდა 1996, 1997 და 1998 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ის კანონები, რომლთა ტექსტში ფიქსირებული სახელმწიფო ვალის ზღვრული ოდენობა (1998 წლისათვის) იმ პირობებში უტოლებოდა 177,0 მლნ. ლარს, ანუ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 3,5%-ს, რომ ჯერ კიდევ არ არსებობდა სახელმწიფო ვალის განსაზღვრისა და გაანგარიშება-კალკულაციის მარეგულირებელი სპეციალური

საკანონმდებლო აქტი.

საჯარო ფინანსების მართვა-რეგულირების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების უხეში დარღვევის ზემოაღნიშნული პრაქტიკის გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ ქვეყნის ძირითადი ფინანსური დოკუმენტის, კერძოდ, ეროვნულ ვალუტაში შედგენილი საქართველოს პირველი წლიური ბიუჯეტის კანონის ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენიდან თითქმის ექვსი წელის შემდგომ (კერძოდ, 1996 წლის 9 თებერვალს) მიღება.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 9 თებერვალს მიღებული კანონი სრულად ვერ ფარავს კალენდარულ წელს, ეკონომისტთა გარკვეული ნაწილის მოსაზრების თანახმად გაუმართლებელია მისი სახელმწიფო ბიუჯეტის სრულფასოვან წლიურ კანონად მიჩნევა. აღნიშნული მოსაზრების ლოგიკურობის მიუხედავად, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ „საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონი წარმოადგენს ეროვნული ვალუტის ამოქმედების (1995 წლის 2 ოქტომბერი) შემდგომ მიღებულ სახელმწიფო ბიუჯეტის პირველ წლიურ კანონს, ჩვენი აზრით, გარკვეული დათქმების გათვალისწინებით სავსებით შესაძლებელია ამ დოკუმენტის დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ახალი საბიუჯეტო ერის დაწყების დატვირთვის მატარებელ აქტად მიჩნევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დანართი #1-ით წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკის, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის 1996-2023 წლების მონაცემები და მათი დინამიკა დამოუკიდებელი საქართველოს საფინანსო-საბიუჯეტო ისტორიის ამსახველ უმნიშვნელოვანეს პარამეტრებად, ხოლო მათი ანალიზი მეტად აქტუალურ საკითხად უნდა იქნეს მიჩნეული.

### **ძირითადი ტექსტი**

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში განვითარებულ და დანართი #1-ით წარმოდგენილ ეკონომიკურ ტენდენციებზე მსჯელობის დაწყებამდე შეუძლებელია ყურადღების გარეშე დარჩეს ის ფაქტი, რომლის არსებობაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის ეროვნულ ვალუტაში შედგენილი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი წლიური კანონის მიღებიდან (1996 წელი) დღემდე, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკისა და მის ყოველწლიურ ოდენობასთან უმნიშვნელოვანესი საბიუჯეტო პარამეტრების თანაფარდობის დადგენას.

საქმე ისაა, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2019 წელს ამოქმედებულმა ეროვნულ ანგარიშთა 2008 წლის სისტემის (SNA 2008) მეთოდოლოგიამ და მასზე დაყრდნობით ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობის მხოლოდ 2010 წლის ჩათვლით გადაანგარიშებამ<sup>53</sup> შეუძლებელი გახადა ძველი, ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის სისტემის (SNA 1993) მეთოდოლოგიით გაანგარიშებული 1996-2009 წლების მონაცემების, ახალი მეთოდოლოგიით გაანგარიშებულ 2010-წლისა და შემდგომი პერიოდის მონაცემებთან შედარება.

შედეგად შექმნილმა სიტუაციამ, როგორც აღვნიშნეთ, შეუძლებელი გახადა 1996 წლიდან დღემდე ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის სრულფასოვანი დინამიკისა და მის ყოველწლიურ ოდენობასთან უმნიშვნელოვანესი საბიუჯეტო პარამეტრების თანაფარდობის დადგენა, რაც სრულიად მიუღებელ რეალობას წარმოადგენს და აქედან გამომდინარე მისი დამლევა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის გადაუდებელ ამოცანად უნდა იქნეს მიჩნეული.

შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, დანართი #1-ით წარმოდგენილი მონაცემები, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან წარმოდგენას გვიქმნის ქვეყანაში განვითარებულ და მიმდინარე მნიშვნელოვან ეკონომიკურ ტენდენციებზე.

როგორც დანართი #1-დან ვრწმუნდებით, მიმდინარე ფასებში ფიქსირებული და ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის სისტემის (SNA 1993) მეთოდოლოგიით გაანგარიშებული

<sup>53</sup> აღნიშნული გადაანგარიშების შედეგად სულ მცირე 3,7%-ით (2012 წელი) გაიზარდა 2010-2018 წლების ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ყოველწლიური მაჩვენებლები (იხ. დანართი #1).

ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 2018 წლისათვის, 1996 წელთან შედარებით, 37 231,5 მლნ. ლარით (3 868,5 მლნ. ლარიდან 41 100,0 მლნ. ლარამდე), ანუ 962,4 პროცენტული ერთეულით არის გაზრდილი.

შედარებით დაბალი, თუმცა ასევე ზრდის ტენდენციით ხასიათდება ანგარიშთა 2008 წლის სისტემის (SNA 2008) მეთოდოლოგიით გაანგარიშებული, 2010-2023 წლების ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის პარამეტრები, კერძოდ, აღნიშნულ პერიოდში ზრდის მაჩვენებელი 57 817,4 მლნ. ლარის (21 800,0 მლნ. ლარიდან, 79 617,4 მლნ. ლარამდე) ანუ 265,2 პროცენტული ერთეულის დონეზე ფიქსირდება.

ზრდის ასევე გამოკვეთილი ტენდენციით ხასიათდება:

-საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების დინამიკა. კერძოდ, 2023 წლისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების დაგეგმილი მაჩვენებელი, 1996 წლის მონაცემებთან შედარებით, 17 064,8 მლნ. ლარით, (555,1 მლნ. ლარიდან, 17 619,9 ლარამდე), ანუ 3 074,2 პროცენტული ერთეულით ზრდას ითვალისწინებს.

ინფლაციური პროცესებისა და რიგი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით აღნიშნული ტენდენციის განსაკუთრებული ხაზგასმა, ერთი შეხედვით ნაკლებად არგუმენტირებულ მიდგომად შეიძლება იქნეს მიჩნეული, თუმცა თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ 1996-2023 წლების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის ზემოაღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება ამავე პერიოდის საბიუჯეტო ხარჯების ბევრად დაბალი, მხოლოდ 15 550,6 მლნ. ლარით (784,6 მლნ. ლარიდან 16 335,2 მლნ. ლარამდე), ანუ 1 982,0 პროცენტული ერთეულით ზრდის მაჩვენებელს და ცალსახად ანტიინფლაციური ხასიათის მატარებელია, შექმნილი სიტუაცია უდავოდ იმსახურებს დადებით შეფასებას.

როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი თვალსაზრისით ასევე პოზიტიურ შეფასებას მოითხოვს 2023 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული საგადასახადო შემოსავლების, 1997 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედებით 15 534,1 მლნ. ლარით (419,4 მლნ. ლარიდან, 15 953,5 მლნ. ლარამდე), ანუ 3 703,9 პროცენტული ერთეულით ზრდისა და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამავე პერიოდის მთლიანი საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების ზრდის საბიუჯეტო მაჩვენებლებზე (შესაბამისად 3 703,9% და 1 982,0%) მნიშვნელოვნად მაღალი ტემპით არსებობა.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ზემოაღნიშნული დადებითი ტენდენციების პარალელურად განვლილი პერიოდი რიგი იმ არასასურველი ტენდენციებით ხასიათდება, რომელთა შორის განსაკუთრებულ აღნიშვნას საქართველოს სახელმწიფო ვალისა და მისი მომსახურებისათვის განკუთვნილი საბიუჯეტო ასიგნებების პერმანენტული ზრდა წარმოადგენს.

როგორც დანართი #1-ში ფიქსირებული მონაცემებიდან ირკვევა, 1996-2023 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონების მიღების დღისათვის ამ კანონებში ფიქსირებული სახელმწიფო ვალის ზღვრული მაჩვენებლები 31 448,9 მლნ. ლარით (116,6 მლნ. ლარიდან – 31 565,5 მლნ. ლარამდე), ანუ 26 971,6% პროცენტული ერთეულით არის გაზრდილი.

სიტუაციას მნიშვნელოვნად ართულებს 1997-2023 წლებში საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის ზღვრული ოდენობის 8 321,2 მლნ. ლარით (97,6 მლნ ლარიდან 8 418,8 მლნ. ლარამდე), 8 525,9 პროცენტული ერთეულით ზრდის ფონზე, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის, ქვეყნის ეკონომიკისათვის მეტად მაღალი რისკების შემცველ დონესთან მიახლოების, კერძოდ, 23 044,3 მლნ. ლარით (102,4 მლნ ლარიდან 23 146,7 მლნ. ლარამდე), ანუ 22 504,2 პროცენტული ერთეულით ზრდის ფაქტის არსებობა.

**სახელმწიფო ვალის, განსაკუთრებით მისი საგარეო ნაწილის ზრდის ზემოაღნიშნულ ტენდენციას მნიშვნელოვნად ამიძიმებს 2008-2023 წლებში<sup>54</sup> საქართველოს სახელმწიფო**

<sup>54</sup> იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონებში ვალდებულებების (საშინაო და საგარეო) ცვლილების (როგორც ზრდის ისე კლების) შესახებ მონაცემები მხოლოდ 2008 წლიდან ფიქსირდება, დანართი #1-ით წარმოდგენილი ინფორმაცია უკანასკნელი 16 წლის მონაცემებს ასახავს.

ბიუჯეტის ვალდებულების ცვლილების, ანუ ყოველწლიურად აღებული ვალის, ადრე აღებული ყოველწლიური მომსახურების (ძირითადი თანხის ან/და პროცენტის გადახდა) მაჩვენებელზე პერმანენტული გადამეტებისა და ზრდის არასასურველი რეალობა. საქმე ისაა, რომ 2023 წლისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულების ცვლილების მაჩვენებელი, 2008 წლის ანალოგიურ პარამეტრთან შედარებით 2 382,6 მლნ. ლარით (43,2 მლნ. ლარიდან, 2 425,8 მლნ.ლარამდე), ანუ 5 515,3 პროცენტული ერთეულით არის გაზრდილი.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულების ყოველწლიური ზრდის ზემოაღნიშნული ტენდენციის ფონზე, ერთი შეხედვით დადებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულების კლების, ანუ ადრე აღებული ვალდებულების მომსახურებისათვის განკუთვნილი ასიგნებების, 2008 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 929,7 მლნ. ლარით (288,8 მლნ. ლარიდან, 1 218,5 მლნ ლარამდე), ანუ 321,9 პროცენტული ერთეულით ზრდის ფაქტის არსებობა. თუმცა ქვეყანის ეკონომიკაში შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, მსგავსი შეფასება გარკვეულ კორექტირებას მოითხოვს.

საქმე ისაა, რომ მეტად დაბალი საექსპორტო პოტენციალის და დეფიციტური საგადასახდელო ბალანსის პირობებში საქართველოს სახელმწიფო ვალის, განსაკუთრებით მისი საგარეო ნაწილის მომსახურებისათვის განკუთვნილი ასიგნებების ზრდა, ქვეყნიდან უცხოური ვალუტის გადინებას და აქედან გამომდინარე ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების სათანადო დონეზე შენარჩუნების პრობლემას უკავშირდება. აღნიშნული, თავის მხრივ, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის გაუარესების, ხოლო ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრზე იმპორტირებული პროდუქციის (მათ შორის პირველადი სასიცოცხლო მოთხოვნილების) მაღალი ხვედრითი წილის პირობებში, სამომხმარებლო ფასების ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორად ტრანსფორმირდება და არ გვაძლევს აღნიშნული მაჩვენებლის ზრდის ტენდენციის ცალსახად დადებითი შეფასების შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულს განსაკუთრებულ დატვირთვას მატებს 2008 წლიდან 2023 წლის ჩათვლით ისტორიულ პერიოდში, საქართველოს სახელმწიფო სამინაო ვალის მომსახურებისათვის განკუთვნილი თანხების მხოლოდ 12,9 მლნ. ლარით (30,0 მლნ. ლარიდან, 42,9 მლნ. ლარამდე), ანუ 43,0 პროცენტული ერთეულით ზრდის პირობებში, სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურებისათვის განკუთვნილი საბიუჯეტო ასიგნებების ბევრად მაღალი ტემპით, კერძოდ, 1 061,2 მლნ. ლარით (114,4 მლნ. ლარიდან 1 175,6 მლნ. ლარამდე), ანუ 921,0 პროცენტული ერთეულით ზრდის ფაქტის არსებობა.

სახელმწიფო ვალის, განსაკუთრებით მისი საგარეო ნაწილის ზრდასთან დაკავშირებულ ზემოაღნიშნულ პრობლემებს კიდევ უფრო აღრმავებს „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2018 წლის 14 დეკემბერს შეტანილი შესწორებები, რომელთა შესაბამისად კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის სიტყვები: „სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან“ შეცვლილი იქნა ფრაზით: „მთავრობის ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან“, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის ახალი (შემოთავაზებებული) რედაქციით „მთავრობის ვალის“ ოდენობიდან ამოღებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ვალდებულებები. აქედან გამომდინარე, საკმაოდ შეფარული ფორმით შეცვლილია საქართველოს სახელმწიფო ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობის (1992 წლის მასტრიხტის ხელშეკრულების ანალოგიურად დადგენილი) 60%-იანი ზღვრული მაჩვენებელი [ხუციშვილი ა., 2019: 3-32].

საქართველოს სახელმწიფო ვალის, მათ შორის მისი საგარეო ნაწილის განსაზღვრისა და აქედან გამომდინარე გაანგარიშება-კალკულაციის წესის ზემოაღნიშნული ცვლილება, ჩვენი აზრით, სიღრმისეულ ანალიზს საჭიროებს, რადგან ქვეყნის საგარეო ვალის ხელოვნურ შემცირებას უკავშირდება და სავსებით შესაძლებელია მეტად არასასურველი სამომავლო პრობლემების გამოძწვევ მიზეზად მოგვევლინოს.

სახელმწიფო ვალის განსაკუთრებით მისი საგარეო ნაწილის სრულყოფილი აღრიცხვის აქტუალობას ასევე ზრდის უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, კერძოდ, საქართველოს 2019-2023 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის კანონების მე-13 მუხლებში ფიქსირებული იმ



იდენტური ფრაზების არსებობა, საიდანაც ირკვევა, რომ აღნიშნული წლების სახელმწიფო ბიუჯეტის კანონების ტექსტით წარმოდგენილ საქართველოს სახელმწიფო ვალის ოდენობებში, დაუზუსტებლობის გამო არ შეიტანება, აღირიცხება „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლით გათვალისწინებული ისეთი მნიშვნელოვანი ვალდებულებები როგორებიცაა: მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაზღაურების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანება; ყოფილი სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკისა და რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის მიერ ბლოკირებულ, საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების კუთვნილ სახსრებთან დაკავშირებული დავალიანება; თურქმენეთიდან მოწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის სანაცვლოდ საქართველოს საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გადატვირთული პროდუქციის ანაზღაურების საქმეში არსებული დავალიანება; ყოფილი სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო უპროცენტო მიზნობრივი ობლიგაციისა და საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის შინაგანი მომგებიანი სესხის დაფარვის ვალდებულებები; კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებები და სხვა.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებებს, რომ ზემოაღნიშნული ვალდებულებების აბსოლუტური უმრავლესობა ჯერ კიდევ საბჭოთა იმპერიის, ანუ სულ მცირე 32 წლის წინ არის წარმოქმნილი, ძნელი წარმოსადგენია როგორ უნდა მოხდეს მათი დაზუსტება ისევე, როგორც გაუგებარია 2019 წლამდე როგორ ხდებოდა მათი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონებში ასახვა და აღნიშნული საკითხის მოგვარებისთვის რა საჭიროა ხუთი წელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, სრულიად არგუმენტირებულად შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სახელმწიფო (საგარეო და საშინაო) ვალის როგორც განმარტების, ისე აღრიცხვა-კალულაციის სადღეისო მდგომარეობა მნიშვნელოვან სრულყოფას საჭიროებს.

საქართველოს სახელმწიფო, მათ შორის საგარეო, ვალის განსაზღვრისა და გაანგარიშება-კალკულაციის მეთოდოლოგიური პრინციპების სრულყოფის აუცილებლობას განსაკუთრებულ დატვირთვას მატებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებზე („External Debt Statistics, Guide for Compilers and Users”. International Monetary Fund. Washington, 2003) დაყრდნობით გაანგარიშებული საქართველოს „მთლიანი საგარეო ვალის“ ცხრილი #1-ით წარმოდგენილი მონაცემები.

**ცხრილი #1**

**მთლიანი საგარეო ვალისა და მთავრობის ვალის თანაფარდობა ქვეყნის მშპს-სთან<sup>55</sup>**

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
მთლიანი საგარეო ვალი/მშპ	79,3%	102,4%	105,3%	106,6%	101,3%	106,7%	130,2%	116,7%
მთავრობის საგარეო ვალი/მშპ	24,1%	29,4%	30,9%	32,6%	30,6%	32,8%	46,9%	42,5%

კერძოდ, „...საქართველოს საგარეო ვალის ორი განსხვავებული მონაცემის: „მთავრობის საგარეო ვალისა“ და „მთლიანი საგარეო ვალის“ სახით აღრიცხვის დამკვიდრებული პრაქტიკა და მათი კალკულაციის განსხვავებული მეთოდოლოგიური თავისებურებები“ [ხუციშვილი ა., 2019: 29].

როგორც ცხრილ #1-ით წარმოდგენილი მონაცემებიდან ვრწმუნდებით, 2014-2021 წლების საქართველოს „მთლიანი საგარეო ვალის“ ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობის მაჩვენებელი, 79,3-130,2 პროცენტული ერთეულის დიაპაზონში მერყეობს და მნიშვნელოვნად აღემატებოდა „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ ზღვრულ პარამეტრს.

<sup>55</sup> ცხრილი და ცხრილში ფიქსირებული მონაცემები სრულად არის აღებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე „ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და საერთაშორისო რეიტინგების“ სახელწოდებით გამოქვეყნებული მასალიდან. <https://nbg.gov.ge/statistics/international-rating>

ამავე პერიოდის „მთავრობის საგარეო ვალის“ ასევე ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობის მაჩვენებელი 24,1%-42,5% პროცენტული ერთეულის ფარგლებში ფიქსირდება და „მთლიანი საგარეო ვალის“ მაჩვენებლებისაგან განსხვავებით, სრულად შეესაბამებოდა საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ ზღვრულ პარამეტრს.

შექმნილ სიტუაციაში სრულიად ლოგიკურად იბადება შეკითხვა იმის თაობაზე, თუ რომელი ზემოაღნიშნული მაჩვენებელი შეესაბამება მასტრიხტის ხელშეკრულების მოთხოვნებს და რომელი უნდა გამოიყენებოდეს „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი სახელმწიფო ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობის გაანგარიშებისას.

## **დასკვნა**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გადაუდებელ ამოცანად უნდა მივიჩნიოთ:

-საქართველოს სახელმწიფო ვალის, განსაკუთრებით მისი საგარეო ნაწილის განსაზღვრისა და გაანგარიშება-კალკულაციის მეთოდოლოგიური საფუძვლების სრულყოფა. კერძოდ, საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ მუშაობა საქართველოს სახელმწიფო ვალის, მათ შორის მისი შემადგენელი საშინაო და საგარეო ელემენტების განსაზღვრისა და გაანგარიშება-კალკულაციის როგორც საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების რეკომენდაციებთან, ისე ქვეყნის ეკონომიკურ რეალობასთან მაქსიმალურად მისადაგებული მეთოდოლოგიური პრინციპების შემოღება-ამოქმედების საკითხზე;

- საქართველოს სახელმწიფო ვალის მდგრადობის უზრუნველყოფისა და ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითი ზეგავლენისაგან დამცავი მექანიზმის ამოქმედებისათვის, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სახელმწიფო (საშინაო და საგარეო) ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობის ზღვრული მაჩვენებლის შენარჩუნების პარალელურად, შემოღებული და ამოქმედებული უნდა იქნეს საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის ოდენობისა და მისი მომსახურებისათვის განკუთვნილი ყოველწლიური საბიუჯეტო ასიგნებების ქვეყნის ექსპორტთან თანაფარდობის ზღვრული ინდიკატორული მაჩვენებლები;

- საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის სრულფასოვანი დინამიკისა და ამავე პერიოდის მნიშვნელოვან ეკონომიკურ პარამეტრებთან თანაფარდობის დადგენის უზრუნველსაყოფად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა მაქსიმალურად მოკლე დროში უზრუნველყოს, ეროვნულ ანგარიშთა ძველი 1993 წლის სისტემის (SNA 1993) მეთოდოლოგიით გაანგარიშებული საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის, 2009 წლისა და წინა პერიოდის მონაცემების, ეროვნულ ანგარიშთა 2008 წლის სისტემის (SNA 2008) მეთოდოლოგიით გადაანგარიშება.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ა. ხუციშვილი, ლ. ჭელიძე, დ. ჭელიძე, „საქართველოს სახელმწიფო ვალის დინამიკა და მართვის თავისებურებები“, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი სამეცნიერო შრომების კრებული #1, 2019 წელი. გვ 29; 31-32.
2. „ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და საერთაშორისო რეიტინგები“, საქართველოს ეროვნული ბანკი <https://nbg.gov.ge/statistics/international-rating>
3. „External Debt Statistics, Guide for Compilers and Users“. International Monetary Fund. Washington, 2003გვ.6 <https://www.imf.org/external/pubs/ft/eds/eng/guide/file1.pdf>
4. საქართველოს 1996-2023 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების შესახებ საქართველოს კანონები.

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების დინამიკა, (მლნ. ლარი) (1)

სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრები (2) (3)	1996 IV	1997 IV(3)	1998 IV	1999 V	2004 VI	2008 VII	2010 VII (3)	2012 VIII	2016 IX	2018 IX	2020 X	2023 X
<b>ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი - მშპ მიმდინარე ფასებში *</b>	<b>3 868,5</b>	<b>4 554,9</b>	<b>5 022,1</b>	<b>5 668,7</b>	<b>9 824,3</b>	<b>19 074,9</b>	<b>20 743,4</b>	<b>26 167,3</b>	<b>34 028,5</b>	<b>41 100,0</b>	-	-
ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის (მშ 1993) სისტემით გაანგარიშებული	100,0	117,7	129,8	146,5	253,9	493,1	536,2	676,4	879,7	1 062,4	-	-
ზრდა/კლება, 1996=100	-	100,0	110,3	124,5	215,7	418,8	455,4	574,5	747,1	902,3	-	-
ზრდა/კლება, 1997=100	-	-	-	-	-	-	21 800,0	27 200,0	35 836,0	44 599,3	49 266,7	79 617,4
ეროვნულ ანგარიშთა 2008 წლის (მშ 2008) სისტემით გაანგარიშებული	-	-	-	-	-	-	100,0	124,8	164,4	204,6	226,0	(პროგ)**
ზრდა/კლება, 2010=100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	226,0	365,2
<b>სხვაობა 1993 და 2008 წლების მეთოდოლოგიით გაანგარიშებულ მშპ-ის მატყუნებლებს შორის</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>5,1</b>	<b>3,7</b>	<b>5,3</b>	<b>8,5</b>	<b>-</b>	<b>-</b>
<b>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები</b>	<b>555,1</b>	<b>686,1</b>	<b>761,8</b>	<b>922,5</b>	<b>1 424,4</b>	<b>5 155,4</b>	<b>5 188,2</b>	<b>6 839,4</b>	<b>8 555,0</b>	<b>10 314,2</b>	<b>11 226,9</b>	<b>17 619,9</b>
ზრდა/კლება, 1996=100	100,0	123,6	137,2	166,2	256,6	928,3	934,6	1 232,1	1 541,2	1 858,1	2 022,5	3 174,2
ზრდა/კლება, 1997=100	-	100,0	111,0	134,5	207,6	751,4	756,2	996,8	1 246,9	1 503,3	1 636,3	2 568,1
ზრდა/კლება, 2010=100	-	-	-	-	-	-	100,0	131,8	164,9	198,8	216,4	339,6
<b>ხგ. წილი ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან</b>	<b>14,3</b>	<b>15,1</b>	<b>15,2</b>	<b>16,3</b>	<b>14,5</b>	<b>27,0</b>	<b>25,0</b>	<b>26,1</b>	<b>25,1</b>	<b>25,1</b>	-	-
<b>ხგ. წილი ეროვნულ ანგარიშთა 2008 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>23,8</b>	<b>25,1</b>	<b>23,9</b>	<b>23,1</b>	<b>22,8</b>	<b>22,1</b>
<b>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ზედბირთვი შემოსავლები</b>	<b>-</b>	<b>419,4</b>	<b>476,8</b>	<b>561,7</b>	<b>1 112,5</b>	<b>4 506,0</b>	<b>4 382,0</b>	<b>6 300,0</b>	<b>7 980,0</b>	<b>9 490,0</b>	<b>10 465,0</b>	<b>15 953,5</b>
ზრდა/კლება, 1997=100	-	100,0	113,7	133,9	265,2	1074,4	1 044,3	1 502,1	1 902,7	2 492,7	2 495,2	3 803,9
ზრდა/კლება, 2010=100	-	-	-	100,0	-	-	100,0	143,8	182,1	216,6	238,8	364,1
<b>ხგ. წილი ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან</b>	<b>-</b>	<b>9,2</b>	<b>9,5</b>	<b>9,9</b>	<b>11,3</b>	<b>23,6</b>	<b>21,1</b>	<b>24,1</b>	<b>23,4</b>	<b>23,1</b>	-	-
<b>ხგ. წილი ეროვნულ ანგარიშთა 2008 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>20,1</b>	<b>23,2</b>	<b>22,3</b>	<b>21,3</b>	<b>21,2</b>	<b>20,0</b>
<b>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები</b>	<b>784,6</b>	<b>886,1</b>	<b>938,8</b>	<b>1 231,9</b>	<b>1 731,6</b>	<b>4 563,4</b>	<b>5 476,3</b>	<b>6 554,3</b>	<b>8 543,6</b>	<b>9 720,9</b>	<b>10 846,5</b>	<b>16 335,2</b>
ზრდა/კლება, 1996=100	100,0	112,9	119,7	157,0	220,7	581,6	698,0	835,4	1 088,9	1 239,0	1 382,4	2 082,0
ზრდა/კლება, 1997=100	-	100,0	105,9	139,0	195,4	515,0	618,0	94,2	964,2	1 097,0	1 224,1	1 843,5
ზრდა/კლება, 2010=100	-	-	-	-	-	-	100,0	119,7	156,0	177,5	198,1	298,3
<b>ხგ. წილი ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან</b>	<b>20,3</b>	<b>19,5</b>	<b>18,7</b>	<b>21,7</b>	<b>17,6</b>	<b>23,9</b>	<b>26,4</b>	<b>25,0</b>	<b>25,1</b>	<b>23,6</b>	-	-
<b>ხგ. წილი ეროვნულ ანგარიშთა 2008 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>25,1</b>	<b>24,1</b>	<b>23,8</b>	<b>21,8</b>	<b>22,0</b>	<b>20,5</b>
<b>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტი (+) / დეფიციტი (-)</b>	<b>-299,5</b>	<b>-199,997</b>	<b>-177,0</b>	<b>-309,4</b>	<b>-307,1</b>	<b>-275,0</b>	<b>-1 075,2</b>	<b>-457,1</b>	<b>-513,6</b>	<b>-975,2</b>	<b>-1 711,0</b>	<b>-2 019,6</b>
<b>ხგ. წილი ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან</b>	<b>7,7</b>	<b>4,4</b>	<b>3,5</b>	<b>5,4</b>	<b>3,1</b>	<b>1,4</b>	<b>5,18</b>	<b>1,75</b>	<b>1,51</b>	<b>2,37</b>	-	-
<b>ხგ. წილი ეროვნულ ანგარიშთა 2008 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>4,93</b>	<b>1,68</b>	<b>1,43</b>	<b>2,19</b>	<b>3,47</b>	<b>2,54</b>
<b>საქართველოს სახელმწიფო ვალის ზღვრული ოდენობა</b>	<b>116,6</b>	<b>200,0</b>	<b>177,0</b>	<b>4 983,0</b>	<b>5 755,5</b>	<b>4 493,1</b>	<b>8 809,1</b>	<b>10 039,5</b>	<b>14 575,5</b>	<b>17 931,4</b>	<b>23 434,9</b>	<b>31 565,5</b>
ზრდა/კლება, 1996=100	100,0	171,5	151,8	4 273,6	4 936,1	3 853,4	7 555,0	8 610,2	12 500,4	15 378,6	20 098,5	27 071,6
ზრდა/კლება, 1997=100	-	100,0	88,5	2 491,5	2 877,8	2 246,5	4 404,5	5 019,7	7 287,7	8 965,7	11 717,4	15 782,8
ზრდა/კლება, 2010=100	-	-	-	-	-	-	100,0	114,0	165,5	203,6	266,0	358,3
<b>ხგ. წილი ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან</b>	<b>3,0</b>	<b>4,4</b>	<b>3,5</b>	<b>87,9</b>	<b>58,6</b>	<b>23,6</b>	<b>42,5</b>	<b>38,4</b>	<b>42,8</b>	<b>43,6</b>	-	-
<b>ხგ. წილი ეროვნულ ანგარიშთა 2008 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>40,4</b>	<b>36,9</b>	<b>40,7</b>	<b>40,2</b>	<b>47,6</b>	<b>39,6</b>
<b>საშინაო ვალის ოდენობა</b>	<b>-</b>	<b>97,6</b>	<b>90,0</b>	<b>1 173,0</b>	<b>1 600,0</b>	<b>1 458,9</b>	<b>1 747,9</b>	<b>1 922,5</b>	<b>2 997,7</b>	<b>3 905,0</b>	<b>5 466,8</b>	<b>8 418,8</b>
ზრდა/კლება, 1997=100	-	100,0	92,2	1 201,8	1 639,3	1 494,8	1 790,0	1 969,8	3 071,4	4 101,0	5 601,2	8 625,8
ზრდა/კლება, 2010=100	-	-	-	-	-	-	100,0	110,0	171,5	223,4	312,8	481,7

ხე. წილი ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან	-	2,1	1,8	20,7	16,3	7,6	8,4	7,3	8,8	9,5	-	-
ხე. წილი ეროვნულ ანგარიშთა 2008 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან	-	-	-	-	-	-	8,0	7,1	8,4	8,8	11,1	10,6
საგარეო ვალის ოდენობა	-	102,4	87,0	3 810,0	4 155,5	3 034,2	7 061,2	8 117,0	11 577,7	14 026,4	17 968,1	23 146,7
ზრდა/კლება, 1997=100	-	100,0	85,0	3 720,7	4 058,1	2 963,0	6 895,7	7 926,8	11 306,3	13 697,7	17 547,0	22 604,2
ზრდა/კლება, 2010=100	-	-	-	-	-	-	100,0	115,0	164,0	198,6	254,5	327,8
ხე. წილი ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან	-	2,2	1,7	67,2	42,3	15,9	34,0	31,0	34,0	34,1	-	-
ხე. წილი ეროვნულ ანგარიშთა 2008 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან	-	-	-	-	-	-	32,4	29,8	32,3	31,4	36,5	29,1
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება	-	-	-	-	-	43,2	-1 114,1	-826,6	-830,6	-1 226,7	-2 044,6	-2 425,8
ზრდა/კლება, 2008=100	-	-	-	-	-	100,0	2 579,0	1 913,4	1 922,7	2 839,1	4 732,9	5 602,3
ზრდა/კლება, 2010=100	-	-	-	-	-	-	100,0	74,2	74,6	110,1	183,5	217,7
ხე. წილი ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან	-	-	-	-	-	0,23	5,37	3,16	2,44	3,0	-	-
ხე. წილი ეროვნულ ანგარიშთა 2008 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან	-	-	-	-	-	-	5,1	3,04	2,3	2,8	4,2	3,0
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-	187,6	1 313,5	1 046,0	1 275,0	1 986,8	3 067,3	3 644,2
ზრდა/კლება, 2008=100	-	-	-	-	-	100,0	700,1	557,6	679,6	526,0	1 635,0	1 942,5
ზრდა/კლება, 2010=100	-	-	-	-	-	-	100,0	79,6	97,1	151,3	233,5	277,4
ხე. წილი ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან	-	-	-	-	-	0,98	6,3	4,0	3,7	4,8	-	-
ხე. წილი ეროვნულ ანგარიშთა 2008 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან	-	-	-	-	-	3,64	6,0	3,85	3,56	4,45	6,23	4,6
სა შინაო	-	-	-	-	-	-	100,0	100,0	200,0	400,0	1 200,0	1 400,0
ზრდა/კლება, 2008=100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ზრდა/კლება, 2010=100	-	-	-	-	-	-	100,0	100,0	200,0	400,0	1 200,0	1 400,0
ხე. წილი ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან	-	-	-	-	-	-	0,48	0,38	0,59	0,97	-	-
ხე. წილი ეროვნულ ანგარიშთა 2008 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან	-	-	-	-	-	-	0,46	0,37	0,56	0,9	2,44	1,76
საგარეო	-	-	-	-	-	187,6	1 213,5	946,0	1 075,0	1 586,8	1 867,3	2 228,7
ზრდა/კლება, 2008=100	-	-	-	-	-	100,0	646,9	504,3	573,0	845,8	995,4	1 188,0
ზრდა/კლება, 2010=100	-	-	-	-	-	-	100,0	78,0	88,6	130,8	153,9	183,6
ხე. წილი ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან	-	-	-	-	-	0,98	5,85	3,6	3,16	3,86	-	-
ხე. წილი ეროვნულ ანგარიშთა 2008 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან	-	-	-	-	-	3,64	5,57	3,48	3,0	3,56	3,79	2,8
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება	-	-	-	-	288,8	144,4	199,4	219,4	444,4	760,1	1 022,7	1 218,5
ზრდა/კლება, 2008=100	-	-	-	-	122,1	100,0	138,1	151,9	307,8	526,4	708,2	843,8
ზრდა/კლება, 2010=100	-	-	-	-	-	-	100,0	110,0	222,9	381,2	512,9	611,1
ხე. წილი ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან	-	-	-	-	2,94	0,76	0,96	0,84	1,31	1,85	-	-
ხე. წილი ეროვნულ ანგარიშთა 2008 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან	-	-	-	-	-	-	0,91	0,81	1,24	1,7	2,07	1,53
სა შინაო	-	-	-	-	99,5	30,0	64,0	98,5	84,4	35,1	44,0	42,9
ზრდა/კლება, 2008=100	-	-	-	-	100,0	100,0	213,3	328,3	281,3	117,0	146,7	143,0
ზრდა/კლება, 2010=100	-	-	-	-	-	-	100,0	153,9	131,9	54,8	68,8	67,0
ხე. წილი ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან	-	-	-	-	1,01	0,16	0,31	0,38	0,25	0,09	-	-
ხე. წილი ეროვნულ ანგარიშთა 2008 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან	-	-	-	-	-	-	0,29	0,36	0,24	0,08	0,09	0,05
საგარეო	-	-	55,1	184,8	189,3	114,4	135,4	120,9	360,0	725,0	978,7	1 175,6

	ზრდა/კლება, 2008=100	-	-	-	274,6	281,3	100,0	118,4	105,7	314,7	633,7	855,5	1 027,6
	ზრდა/კლება, 2010=100	-	-	-	-	-	-	100,0	89,3	265,9	535,5	722,8	868,2
<b>ხე. წილი ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან</b>		-	-	<b>81,87</b>	<b>3,26</b>	<b>1,93</b>	<b>0,6</b>	<b>0,65</b>	<b>0,46</b>	<b>1,06</b>	<b>1,76</b>	-	-
<b>ხე. წილი ეროვნულ ანგარიშთა 2008 წლის სისტემით გაანგარიშებულ მშპ-თან</b>		-	-	<b>1,1</b>	-	-	-	<b>0,62</b>	<b>0,44</b>	<b>1,0</b>	<b>1,63</b>	<b>1,99</b>	<b>1,48</b>

1) ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკისა ([http://www. Statistics.ge](http://www.Statistics.ge), [http://www.nbg.gov.ge/NBG New Geo/Pablications/Buletin/](http://www.nbg.gov.ge/NBG>New Geo/Pablications/Buletin/)) და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ შესაბამისი წლების კანონებში მათი მიღების დღისათვის ფიქსირებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

2) ცხრილის პირველ სტრიქონში არსებული რომელიც ციფრები აღნიშნავენ შესაბამისი წლის ბიუჯეტის შესახებ კანონის მიმღები პარლამენტის მოწვევის რიგით ნომერს.

3) იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ცხრილში მოყვანილი რიგი საბიუჯეტო პარამეტრები პირველად ფიქსირებული იყო საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში, ხოლო 2010 წლიდან დაიწყო მთლიანი შიდა პროდუქტის ახალი 2008 წლის მეთოდოლოგიით გაანგარიშება და ამავე წელს შემთხვევა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონებში ვალდებულებების (საშინაო და საგარე) როგორც ცვლილების, ისე ზრდისა და კლების შესახებ მონაცემების სრულფასოვანი ასახვა ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები სრულიად გასაგები მიზეზების გამო დიფერენცირებულია ოთხი განსხვავებული, კერძოდ: 1996-2023 წწ.; 1997-2023წწ.; 2008-2023წწ. და 2010-2023 წწ. დროითი მწკრივების სახით.

\* იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში, კერძოდ, “საქართველოს ეროვნული ანგარიშების” სახელწოდების ეოველწლიურ სტატისტიკურ კრებულებში, ([https://www.geostat.ge/media/42938/erovnuli-angarisebi\\_krebuli\\_2020.pdf](https://www.geostat.ge/media/42938/erovnuli-angarisebi_krebuli_2020.pdf)) მიმდინარე ფასებში აღრიცხული ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის შესახებ მონაცემები წარმოდგენილია ანგარიშთა ეროვნული სისტემების ორი განსხვავებული: 1993 (SNA-1993) და 2008 (SNA-2008) მეთოდოლოგიის გამოყენებით და აქედან გამომდინარე არ ხერხდება 1996 წლიდან დღემდე მონაცემების ურთიერთშედარება (რადგან მიმდინარე ფასებში გამოხატული მშპ-ის 1993 წლის მეთოდოლოგიით გაანგარიშებული მონაცემები მხოლოდ 2010 წლამდე არსებობს, ხოლო 2010 წლიდან დღემდე ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი გაანგარიშებული 2008 წლის მეთოდოლოგიით), ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა წარმოდგენილია ორი დროითი მწკრივის, კერძოდ 1996-დან 2018 წლის ჩათვლით და 2010-წლიდან დღემდე პერიოდის მიხედვით.

\*\* 2023 წლის მიმდინარე ფასებში გამოხატული ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის საპროგნოზო პარამეტრის მანველებელი აღებულია “საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის თანმდევ დოკუმენტაციაში არსებული: “ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების (საბაზო სცენარი)” სახელწოდების მქონე დოკუმენტიდან.

**DYNAMICS OF IMPORTANT MACROECONOMIC AND  
BUDGETARY PARAMETERS OF GEORGIA, EXISTING PROBLEMS, AND  
SOME DIRECTIONS FOR OVERCOMING THEM**

**Abstract**

One of the prerequisites for the stability of a country's financial system is to minimize financial risks caused by the uncontrolled growth of the state's (domestic and foreign) debt. In the first part of the study, the state of Georgia's (foreign and domestic) debt was examined, studied, and analyzed after the restoration of its independence from 1996 to 2023 using official statistical data.

The dynamics of the growth of the "State External Debt of Georgia," as recorded in the laws of Georgia on the state budget, and the "Total External Debt of Georgia," calculated by the National Bank of Georgia based on the methodology of the International Monetary Fund, have been determined and analyzed in relation to the main macroeconomic parameters of the country.

Based on the search and systematization of the annual budget allocations presented in the article of the reduction of liabilities (i.e., the amount intended for servicing previously taken debt(s)) in the laws of Georgia on the state budget, and an analysis in comparison with the important macroeconomic parameters of the country, an opinion is presented regarding the consideration of the aforementioned process as a significant risk to the country's financial system.

Based on the research results, recommendations are presented in the final part of the paper:

- Based on the research findings, it is recommended to prioritize the improvement of the methodological framework for determining and calculating the state debt of Georgia, with a particular emphasis on its external component. It is advisable to consider the suggestions of international financial institutions and draw on the experiences of other countries to enhance the methodological principles that align with the country's economic reality. This should encompass the determination and calculation of both domestic and foreign elements that constitute the state debt of Georgia.

- To ensure the sustainability of Georgia's state debt and implement protective mechanisms against negative impacts on the country's economy, it is recommended to consider introducing new indicators in the process of forming the state budget. This includes maintaining the established threshold parameter of the state (domestic and foreign) debt to the gross domestic product, as well as introducing new indicators such as the state foreign debt of Georgia and the budgetary allocations for its annual services, and marginal indicators of the ratio to the country's exports.

- Since the restoration of Georgia's independence on April 9, 1991, there has been an urgent need to accurately determine the dynamics of the country's gross domestic product and compare it with other important economic parameters. It is also important to recalculate the data for the current year and previous periods using the new 2008 methodology (SNA 2008) to ensure accuracy and consistency in the data.

**Keywords:** public debt; budget expenses; export

ლალი ხარბედია  
მზისადარ ბუაღავა

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის რესურსული პოტენციალის  
გამოყენების პრობლემები რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით

**ანოტაცია.** გლობალური ეკონომიკური პროცესების განვითარებაში გეოპოლიტიკური ფაქტორის როლი ისე დიდი არასოდეს ყოფილა, როგორც დღეს, ამიტომ იგი უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ ეკონომიკური პროცესების უბრალო განყენებულ დადასტურებად, არამედ აქტიურ სტრატეგიად, რომელსაც სახელმწიფოები იყენებენ გლობალური მასშტაბით მოქმედების სახელმძღვანელოდაც.

რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში, რაც გეოპოლიტიკური ამბიციების მქონე რუსეთისა და დასავლეთის რადიკალური დაპირისპირებით გამოიხატა, ჩვენი ქვეყნისთვის კვლავ აქტუალური გახადა საკითხი გლობალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში საკუთარი როლისა და ფუნქციის შესახებ, რასაც არსებითად მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა განაპირობებს.

ნაშრომის მიზანია ეკონომიკურ განვითარებაზე გეოპოლიტიკური ფაქტორის ზემოქმედების ასპექტების ანალიზი შექმნილი რეალობის გათვალისწინებით, როდესაც საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის რესურსული პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობები კიდევ უფრო მეტად იზრდება.

**საკვანძო სიტყვები:** გეოპოლიტიკა, გეოსტრატეგია, გლობალური ეკონომიკა, გეოპოლიტიკური მდებარეობა.

## შესავალი

2022 წლის 24 თებერვალი არის თარიღი, რომელმაც შეცვალა არ მხოლოდ უკრაინის აწმყო და განვითარების მომავალი, არამედ საფუძვლად დაედო ძირეულ ცვლილებებს გლობალურ პოლიტიკასა და ეკონომიკაში. ცივილიზაციათა შეპირისპირება დღეს გეოპოლიტიკური ამბიციების მქონე რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობათა რადიკალურად შეცვლით გამოიხატა. “თავშეკავების” პოლიტიკამ, რომელიც დასავლეთმა აირჩია 2008 წელს რუსეთ-საქართველოს და 2014 წელს რუსეთ-უკრაინის ომის დროს (რის შედეგადაც ორივე ქვეყანამ დაკარგა ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი), რუსეთს გარკვეულწილად გაუმძაფრა გეოპოლიტიკური ამბიციები და “დაკარგული” გავლენის სფეროების აღდგენის სურვილი. როგორც დარგის მკვლევრები აღნიშნავენ, “რუსეთ-უკრაინის” ომის მნიშვნელობა სამყაროსათვის სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთი ღირებულებებზე დაფუძნებული საერთაშორისო ურთიერთობების სისტემას უარყოფს, თამაშის გადაწერას და ისეთი სამყაროს აღდგენას ცდილობს, სადაც მცირე სახელმწიფოები პირდაპირ მოსკოვის ზეგავლენას დაექვემდებარებიან.

შესაბამისად, ჩვენი ქვეყნისთვის კვლავ აქტუალური გახადა საკითხი გლობალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში საკუთარი როლისა და ფუნქციის შესახებ, რასაც არსებითად მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა განაპირობებს.

გეოპოლიტიკური მდებარეობა გულისხმობს არა მხოლოდ გეოგრაფიულ გარემოს, ლანდშაფტს და ბუნებრივ რესურსებს, არამედ კომპონენტთა ოთხ ძირითად ჯგუფს, რომლებიც ქმნიან გეოპოლიტიკურ მთლიანობას, კერძოდ, საკუთრივ გეოგრაფიულ მდებარეობას, პოლიტიკური წყობასა და ორიენტაციას, სოციალურ-ეკონომიკურ პარამეტრებს და ეროვნულ კულტურას, მენტალიტეტს. ამ ფაქტორებიდან განმსაზღვრელ როლს ასრულებს გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც ისტორიულად ერგო ამა თუ იმ ქვეყანას და დანარჩენი სხვა პარამეტრებისაგან განსხვავებით, შედარებით უცვლელი ეკონომიკური და პოლიტიკური მემკვიდრეობის საფუძველია. გეოგრაფიული ფაქტორი იმ არეალის მომხაზველია, სადაც ერის ისტორიამ უნდა ჩაიაროს. ერის ისტორიის მსვლელობაში ეს არეალი ხშირად იცვლება, მაგრამ ერის განსახლების თუ სახელმწიფოს საზღვრები ასე თუ ისე მოხაზულია ბუნებრივი სამანებით. სწორედ ეს ბუნებრივი სამანები განსაზღვრავდა საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას საუკუნეთა განმავლობაში. ივ. ჯავახიშვილი ნაშრომში “საქართველოს საზღვრები” ყურადღებას ამახვილებს მათ მნიშვნელობაზე და წერს: “თითქოს თვით ბუნებას შეუქმნია ქართველი ერისათვის ბუმბერაზი დარაჯი კავკასიონის მთავარი უღელტეხილი ჩრდილოეთით და მაღალი მთების ზღუდე სამხრეთით, დასავლეთით კი მის ტერიტორიას – შავი ზღვის, ხოლო აღმოსავლეთით მდინარეების ზოლი აქვს შემოვლებული. ამ მხრივ საქართველო ერთს საუცხოვოდ გარემოზღუდულს ქვეყანას წარმოადგენს. სხვათა შორის ამ პირობების წყალობითაც შესძლო ქართველმა ერმა თავის ხანგრძლივი ისტორიული არსებობის დროს მრავალი, ხშირად თავისზე გაცილებით უფრო ძლიერი მტრების მოგერიება და თავის ეროვნების დაცვა” [ჯავახიშვილი ივ., 1919, გვ. 5]. სხვა პირობებს შორის მნიშვნელოვანი იყო ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან და იმ ქვეყნებთან, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის თუ მთლიანად კავკასიის მიმართ სხვადასხვა ზრახვა ამოძრავებდა. ისტორიულად კი, როგორც ქართველი ისტორიკოსი პ. სურგულაძე აღნიშნავს: “ჩვენ ბედზე ჩვენ გარშემო ისეთი ხალხები ბინადრობდნენ ან ჩვენკენ გზა ისეთ ხალხებს ჰქონდათ, რომლებსაც სწორედ ომიანობისა და რბევის ხელობა ძალზედ იზიდავდა” [სურგულაძე პ., 1989, გვ.125].

აქედან გამომდინარე, პოლიტიკური არასტაბილურობის პერიოდები ყველაზე ხშირი იყო საქართველოს ისტორიაში, მათი მიზეზი კი გეოპოლიტიკური მდებარეობით განპირობებული ბედისწერა იყო. ეს ეხება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთლიანად კავკასიის რეგიონს, რომელიც გამოირჩევა მძიმე ისტორიული მემკვიდრეობით, რაც, პოლიტიკოსთა აზრით, ისტორიული თავისებურება, კავკასიური სპეციფიკაა. ეს რეგიონი, როგორც პლანეტის ერთ-ერთი “გემრიელი ლუკმა”, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის მძველად იქცა. “აღმოსავლეთ-დასავლეთ-ჩრდილოეთ-სამხრეთის გზების გასაყარი, სავაჭრო და, რაც მთავარია, ძალისმიერი ინტერესების გზაჯვარედინი, სტრატეგიული დასაყრდენი გარემომცველ ძლიერ სახელმწიფოთა დაუსრულებელ და არცთუ მშვიდობიან ქიშპში; აი, სად არის ჩადებული დათრგუნვისა და შესაბამისად წინააღმდეგობის ზამბარა ყველა თანამდევი ისტორიული შედეგით” [კაციტაძე კ., 2001, გვ 163] – ასე ხსნიან პოლიტიკოსები კავკასიურ სპეციფიკას.

მართლაც, მრავალსაუკოვანი ისტორიის განმავლობაში ამ რეგიონში შემავალი ქვეყნები, და მათ შორის საქართველო, თავიანთ გეოპოლიტიკურ ორიენტაციას ნებაყოფლობით იშვიათად განსაზღვრავდნენ. ეს ხშირად გარემოებათა კარნახით ხდებოდა, რადგანაც ისტორიულ და გეოგრაფიულ ხვედრს დიდ სახელმწიფოებთან მეზობლობა ქმნიდა. როგორც ცნობილია, მძლავრი სახელმწიფო ყველაფერს ჩრდილავს თავის გარშემო, ყველაზე ნაცნობი ფორმა ამ ჩრდილისა არის გავლენის სფერო. გავლენის სფეროს კი რეგიონში ხშირად ეცილებოდნენ მეზობელი დიდი სახელმწიფოები, რაც არსებითად ზღუდავდა პატარა სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას და პოზიციებს საერთაშორისო არენაზე. XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე არჩევანი მაინც გაკეთდა... საქართველოს რუსეთის გეოპოლიტიკურ სივრცეში ყოფნის პერიოდი ორ საუკუნეზე მეტს მოიცავს. მართალია, დროის ამ მონაკვეთში საქართველომ შეინარჩუნა ენა, კულტურა, სარწმუნოება, მაგრამ დაკარგა სახელმწიფოებრიობა. ამ სივრცეში ყოფნისას ის, როგორც სახელმწიფო და პოლიტიკური ერთეული, იზოლირებული იყო დანარჩენი მსოფლიოსაგან.

გასული საუკუნის 90-იან წლებში მსოფლიოში დაიწყო ღრმა გეოპოლიტიკური ცვლილებები, რომლის მთავარი შედეგი საერთაშორისო ურთიერთობათა ბიპოლარული სტრუქტურის დასასრული იყო. იგი გახდა საფუძველი ახალი სუვერენული სახელმწიფოების აღმოცენებისა აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტსაბჭოურ სივრცეში. სწორედ ეს გეოპოლიტიკური ცვლილებები დაედო საფუძვლად როგორც საქართველოს, ისე უკრაინის ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებას 1991 წელს. მაგრამ კვლავ სხვა სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური თუ გეოსტრატეგიული ინტერესების შეჯახება გახდა პოლიტიკური არასტაბილურობის მიზეზი რეგიონში. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც საქართველო აღმოჩნდა: ტერიტორიული კონფლიქტები სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, 2014 წლის რუსეთ-უკრაინის ომი და ყირიმის ანექსია, დაბოლოს ამჟამად მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის, ამის დადასტურებას წარმოადგენს.

მიუხედავად ამისა, XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა წარმოგვიდგა მნიშვნელოვან რესურსულ პოტენციალად, რაც გამოიხატა ევროპისა და აზიის ქვეყნების დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის როლით. დასავლეთმა დაინახა, რომ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფი, ლანდშაფტი არის ტრანსმოდალური საკომუნიკაციო ქსელის განვითარების საფუძველი [ხარბედია ლ., 2002., გვ. 45].

მიწისზედა, საზღვაო და საჰაერო მაგისტრალები საქართველოზე გავლით საკმაოდ მოსახერხებელი მარშრუტებია ევროპისა და აზიის ურთიერთკავშირისათვის. ტრანზიტის მხრივ, სტაბილურობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილება საკმაოდ კარგი ურთიერთობა ახლო მეზობლებთან, განსაკუთრებით აზერბაიჯანთან და თურქეთთან, ასევე აქტიური თანამშრომლობა შავი ზღვის თანამეგობრობისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან ევრაზიული სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციონირებით.

აქედან გამომდინარე, საქართველოს დამოუკიდებლობა და სტრატეგიული ფუნქციის მოპოვება უკავშირდება მის გეოპოლიტიკურ მდებარეობას, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში



იყო დამაკავშირებელი რგოლი ევროპასა და აზიას შორის. აქ საუბარი ეხება არა მხოლოდ სავაჭრო გზებს, არამედ ევროპულ და აზიურ კულტურათა დაახლოებას, რასაც დიდი აზრემუმის გზის ფუნქციონირება უწყობდა ხელს.

ცნობილია, რომ კატაკლიზმებისა და გარემოებათა უკუღმართობის გამო დიდმა აზრემუმის გზამ ასწლეულობით შეწყვიტა არსებობა, რაც პოლიტიკური არასტაბილურობის საფუძველი გახდა არა მხოლოდ საქართველოსათვის, არამედ მთელი კავკასიის რეგიონისათვის. აზრემუმის გზის საერთაშორისო ეკონომიკური ფუნქციის თანდათანობით დაკნინება განპირობებული იყო ოსმალეთის, რუსეთის იმპერიისა და ირანის განუწყვეტელი დაპირისპირებებით ერთმანეთთან და ევროპის სახელმწიფოებთან. XV-XVII საუკუნეების დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად ევროპელებს სხვა ინტერესები და საზრუნავი გაუჩნდათ, აზრემუმის დიდი გზა კი საბოლოოდ დავიწყებას მიეცა. ასეთ პირობებში საქართველო სრულიად მოსწყდა ევროპულ სამყაროს და სამ დიდ იმპერიას შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების ასპარეზად იქცა, რამაც განსაზღვრა მისი ბედი და ის XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე რუსეთისათვის დაქვემდებარებულ პოლიტიკურ ერთეულად იქცა.

რადგანაც დიდი იყო რუსეთის ინტერესი კასპიის (ბაქოს) ნავთობისა და შავ ზღვაზე გასასვლელის მოსაპოვებლად, საქართველოში დაიწყო მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება ამ მიმართულებით. XIX საუკუნის 50-იან წლებში პირველად დადგა საკითხი მდინარე რიონის დელტაში ნავსადგურის მშენებლობის აუცილებლობის თაობაზე – 1858 წელს ფოთი სანავსადგურო ქალაქად გამოცხადდა და დაიწყო ნავსადგურის მშენებლობა. 1901 წელს ნ. ნიკოლაძის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით დაიწყო ნავსადგურის გარე შემომზღვევადი ნაგებობის ძირეული რეკონსტრუქცია, მოეწყო ახალი ჩრდილოეთის შესასვლელი, რომელიც გაიხსნა 1905 წელს. ფოთის ნავსადგურმა სავაჭრო მნიშვნელობა შეიძინა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. 1918-1921 წლებში ამიერკავკასიის სახელმწიფოებმა და მათ შორის საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების შედეგად დაიწყეს ზრუნვა საერთაშორისო ფუნქციის აღდგენაზე. ამისათვის გარკვეული პირობები შეიქმნა მას შემდეგ, რაც დიდმა ბრიტანეთმა თავის პროტექტორატში დროებით მოაქცია ბაქოს ნავთობი, ხოლო გერმანიამ – ბათუმის პორტი და საქართველოს სატრანზიტო მაგისტრალი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დასავლეთის დაინტერესება ამ რეგიონით საკმაოდ დიდი იყო. მაგრამ საერთაშორისო ფუნქციის მოპოვება ამ ქვეყნებმა ვერ შეძლეს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ისინი კვლავ ოკუპირებული აღმოჩნდნენ დიდი სახელმწიფოს მიერ – გახდნენ სსრკ-ის შემადგენელი ნაწილი და 70 წლის განმავლობაში მოწყვეტილი იყვნენ მსოფლიო მეურნეობის განვითარების მაგისტრალური ხაზს.

როგორც ვხედავთ, ისტორიულად აღნიშნული რეგიონი ყოველთვის წარმოადგენდა სატრანზიტო ხიდს ევროპასა და აზიას შორის. გარკვეული ისტორიული რეალობები, განუწყვეტელი ომები, დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაპირისპირება იწვევდა მისი ეკონომიკური ფუნქციის დაკნინებას, მაგრამ კავკასია მუდამ ინარჩუნებდა თავის პოლიტიკურ-ეკონომიკურ პოტენციალს მთვლემარე ენერჯის სახით. ამ ქვეყნის რეგიონები მუდამ მოელოდნენ თავიანთ საერთაშორისო, სტრატეგიული ფუნქციის დაბრუნებას და ეს დროც დადგა. თითქმის სამი საუკუნის შემდეგ, XX საუკუნის მიწურულს, როგორც დასავლეთს, ისე აღმოსავლეთს კვლავ მოაგონდა დიდი აზრემუმის გზა, რომელიც ორ ცივილიზაციას, მათ ფასეულობებსა და ეკონომიკურ ინტერესებს საუკუნეთა განმავლობაში აკავშირებდა. აზრემუმის დიდი გზის აღდგენის იდეა აისახა საუკუნის პროექტებში.

მსოფლიო მეურნეობაში პოსტსაბჭოური ქვეყნების ინტეგრირების ერთ-ერთ მიმართულებად ევროგაერთიანებამ სწორედ ევრაზიული კონტინენტური სატრანსპორტო დერეფნის ფორმირება მოიაზრა. ჯერ კიდევ 1991 წელს ევროგაერთიანების ინიციატივით შემუშავდა TACIS-ის (Technical Assistance to the Commonwealth of Independent States) პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ტექნიკურ დახმარებას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სატრანსპორტო მაგისტრალების რეკონსტრუქციისა და ახალი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით, ხოლო 1993 წლის მაისში ბრიუსელის კონფერენციაზე საფუძველი ჩაეყარა TRACECA-ს (Transport Corridor Europe Caucasus Asia), რომლის შესახებაც

დეკლარაციას ხელი მოაწერეს ევროგაერთიანების წევრ-ქვეყნების, აზერბაიჯანის, თურქმენეთის, სომხეთის, საქართველოს, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და უზბეკეთის წარმომადგენლებმა. მოგვიანებით მას შეუერთდა უკრაინა, მოლდოვა და მონღოლეთი. პროექტის უმთავრესი მიზანია სავაჭრო-ეკონომიკური და სატრანსპორტო თანამშრომლობის განვითარება ხმელთაშუა ზღვა-შავი ზღვა-კასპიის ზღვის რეგიონებს შორის და ერთიან გეოეკონომიკურ სივრცედ მათი ფორმირება.

TRACECA-ს უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია კავკასიის სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც მოცემული დერეფნის საკვანძო მონაკვეთია. იგი უდიდესი ეკონომიკური ფუნქციის მატარებელი რეგიონია და წარმოადგენს სატრანზიტო ხიდს ევროპასა და აზიას შორის როგორც დასავლეთ-აღმოსავლეთის, ისე ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებით, ხოლო კავკასიის სატრანზიტო ხიდის კარიბჭე სწორედ საქართველოა, რომელსაც უშუალო გასასვლელი აქვს შავ ზღვაზე. ასეთ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფოთისა და ბათუმის პორტები, რომელთა გამტარუნარიანობასა და საქონელბრუნვის სიდიდეზეა დამოკიდებული ევროპასა და ცენტრალურ აზიას შორის ვაჭრობის მოცულობის ზრდა და შემდგომი გაფართოება-განვითარება.

მთავარი შედეგი პროექტისა ის არის, რომ კავკასიის ქვეყნები უფრო მიმზიდველი გახდა უცხოელი ინვესტორებისათვის და ამ სფეროში დღემდე განხორციელებულმა ინვესტიციებმა თავის მხრივ ხელი შეუწყო ეკონომიკის უმთავრეს სფეროთა საქმიანი აქტივობის ამაღლებას, რაც ქვეყნის საერთო ეკონომიკური განვითარების დონეზე აისახა.

მიმდინარე საუკუნის დასაწყისში შესაძლებელი გახდა გეოპოლიტიკური მდებარეობის შემობრუნება ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ. საქართველო გლობალურ სტრატეგიულ ინტერესთა სფეროში მოექცა, რამაც მას საერთაშორისო ეკონომიკური ფუნქცია შესძინა. ეს ფუნქცია „საუკუნის პროექტებში“ მონაწილეობას უკავშირდება, რაც რეალურს ხდის საქართველოს სატრანზიტო ფუნქციას და მონაწილეობას ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელ კონტინენტურ სატრანსპორტო დერეფნის პროექტში. პრინციპული მნიშვნელობა აქვს ამიერკავკასიის სამი სახელმწიფოს დაახლოებას და რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის კომპლექსურად ამოქმედებას, რაც ჯერჯერობით მხოლოდ პოლიტიკური მიზეზების გამო ვერ ხერხდება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კავკასიის ერთიანი საკომუნიკაციო სისტემის ამოქმედებასაც. დღეს, როდესაც ტრანსპორტი და კომუნიკაციები აღიარებულია პრიორიტეტულ დარგებად, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ფორმირებისას უნდა გავითვალისწინოთ ის პერსპექტივები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას გააჩნია რამდენიმე მიმართულების სატრანსპორტო დერეფნთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, კი ევროპასა და აზიას შორის სატრანსპორტო დერეფანის აქტიურ სუბიექტად საქართველოს ჩამოყალიბება.

## დასკვნა

თავისი უნიკალური გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო ყოველთვის იყო ორი კულტურის, ორი ცივილიზაციის – ევროპულისა და აზიურის – შეხვედრის ადგილი და სწორედ ეს განსაზღვრავდა და განსაზღვრავს ამჟამად მისი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების ხასიათსა და თავისებურებებს. აღსანიშნავია, რომ საუკუნეთა განმავლობაში საქართველოსა და სრულიად კავკასიის რეგიონის პოლიტიკური არასტაბილურობა მათი გეოპოლიტიკური მდებარეობით იყო განპირობებული. მხოლოდ XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე გახდა შესაძლებელი გეოპოლიტიკური მდებარეობის შემობრუნება ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ. საქართველო გლობალურ სტრატეგიულ ინტერესთა სფეროში მოექცა, რამაც მას საერთაშორისო ეკონომიკური ფუნქცია შესძინა. ეს ფუნქცია „საუკუნის პროექტებში“ მონაწილეობას უკავშირდება. „TRACECA“-სა და „INOGATE“-ის პროექტებში მონაწილეობა მისი მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრირების საფუძველი და ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება გახდა. თანამედროვე მოვლენების ფონზე, კიდევ უფრო მეტად იზრდება კასპიის ენერგორესურსების მნიშვნელობა დასავლეთის ქვეყნებისთვის, შესაბამისად საქართველო ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი კონტინენტური სატრანსპორტო დერეფნის

ძირითადი რგოლი და მნიშვნელოვანი მოთამაშე ხდება, საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის რესურსული პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობები იზრდება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბჟეზინსკი ზ., დიდი საჭადრაკო დაფა, გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი, 2014, 334 გვ.
2. კაციტაძე კ., გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაცია ევროპაში, თბ., მერიდიანი, 2001, 163 გვ.
3. მაცაბერიძე მ., საქართველოს პოლიტიკური სისტემა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019. 468 გვ.
4. სურგულაძე პ., დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა, ისტორიული რარიტატები, კრებული, რედაქტორი ა. ბაქრაძე, თბილისი, 1989, “ზზნ”, 160 გვ.
5. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს საზღვრები (ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული), სახელმწიფო სტამბა, ტფ., 1919, 54 გვ.  
[https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/277929/1/Saqartvelos\\_Sazgvrebi\\_1919.pdf](https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/277929/1/Saqartvelos_Sazgvrebi_1919.pdf)
6. ხარბედია ლ., საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა მსოფლიო მეურნეობაში მისი ინტეგრირების საფუძველია, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, #1, 2002., გვ. 42-51.
7. ხარბედია ლ., გლობალური ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის გეოპოლიტიკური მიდგომები. <http://ejournals.at su.ge/BLSS2017/eJournal/Alphabet/4334.html>
8. ჯიბუტი მ., მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრირების უახლესი ისტორია და პერსპექტივები, ეკონომიკის აქტუალური საკითხები (სამეცნიერო ნაშრომთა კრებული), სარედ. კოლეგია: ლ. ყორღანაშვილი და სხვ., თსუ-ის გამომცემლობა, თბ., 2001;
9. <https://www.geocase.ge/ka/publications/764/makroni-da-geopolitika>

*Lali Kharbedia  
Mzisadar Bzhalava*

### USING PROBLEMS OF RESOURCE POTENTIAL OF GEORGIA'S GEOPOLITICAL LOCATION, CONSIDERING THE RUSSIA - UKRAINE WAR Abstract

In the development of global economic processes, the role of geopolitical factors never was as great as today. That's why we must consider it. not only as a simple confirmation of economic processes but as an active strategy, which are used by states on a global scale and use it as a textbook for act.

In the condition of Russia - Ukraine war, which is expressed in radical confrontation between Russia and the west. As Russia has geopolitical ambitions, it still becomes actual for our role and function in global and economic space, which is essential due to its geopolitical location.

The Aim of the paper is the analysis of impact on economic development of geopolitical factors, considering the created reality, while opportunities to use resource potential of Georgia's geopolitical location is growing more and more.

**Key words:** *geopolitics, geostrategy, global economy, geopolitical location.*

*გიორგი ხარბედია*

**რუსეთ-უკრაინის ომი და საქართველოს ეკონომიკა:  
არსებული ვითარება, გამოწვევები, დამოკიდებულების ხარისხი და პერსპექტივა**

**ანოტაცია.** უკრაინა-რუსეთის ომის დაწყების შემდგომი პერიოდი მსოფლიო და, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკისთვის, მთელი რიგი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ეს პრობლემები მეტ-ნაკლები გავლენით აისახება მოსახლეობაზე. ჩნდება ეკონომიკის მდგრადი განვითარების შესაძლებლობა, რომელიც მიიღწევა სწორი და პრაგმატული პოლიტიკის გატარებით. ომის პერიოდში რუსეთისადმი დაწესებული სანქციების კვალდაკვალ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა „შუა დერეფნის“ კონცეფციამ, ენერგეტიკულმა და

ლოგისტიკურმა პროცესებმა და მასში საქართველოს როლის ზრდამ. შედეგად, ვიღებთ უფრო გაუმჯობესებულ ინფრასტრუქტურას და გაზრდილ სავაჭრო შესაძლებლობებს. სწორედ აღნიშნული გამოწვევები, საფრთხეები და პერსპექტივები არის განხილული აღნიშნულ სტატიაში.

**საკვანძო სიტყვები:** საერთაშორისო ვაჭრობა, ექსპორტი, იმპორტი, ფულადი გზავნილები, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა.

## შესავალი

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომი დაიწყო. მალევე წარმოიშვა მთელი რიგი ეკონომიკური პრობლემები, რომლებსაც მსოფლიოს წამყვანმა ეკონომისტებმა „სასურსათო ომი“ და „ნავთობის ომი“ უწოდეს. აღნიშნული პროცესები დღემდე გრძელდება, რაც გარკვეული სიძლიერით აისახება საქართველოს ეკონომიკაზეც.

ომის დაწყებიდან პირველსავე დღეებში მნიშვნელოვნად გაუფასურდა რუსული რუბლი, ასევე მკვეთრად გაუფასურდა რუსული კომპანიების აქციები. ამას მოჰყვა დასავლეთის მხრიდან ეკონომიკური სანქციების დაწესება, კერძოდ, რუსული ფინანსური ინსტიტუტების SWIFT-დან გათიშვა, რუსეთის ცენტრალური ბანკისთვის უცხოური ვალუტის რეზერვებზე წვდომის შეზღუდვა და ანგარიშების გაყინვა, Nord Stream 2-ის სერტიფიცირების შეჩერება, სტრატეგიული საექსპორტო საქონლის აკრძალვები, ენერგეტიკის სექტორის სანქციები, საჰაერო სივრცის დახურვა და ინდივიდუალური სანქციები.

გარდა დაწესებული სანქციებისა, არსებობს მთელი რიგი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც გარკვეული დოზით ზეგავლენას ახდენენ ეკონომიკის შემდგომ განვითარებაზე. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნავთობის ფასები და გაურკვეველობა ფინანსურ ბაზრებზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სასურსათო უსაფრთხოების საკითხებს. როგორც ცნობილია, უკრაინა და რუსეთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთ-ერთ მთავარ ექსპორტიორ ქვეყნებად ითვლებიან. 2020 წლის მონაცემებით ამ ორ ქვეყანაზე მოდიოდა ხორბლის მსოფლიო ექსპორტის თითქმის მეოთხედი, ხოლო თავის მხრივ უკრაინის წილი ამ მონაცემში 8% შეადგენდა. საომარი სიტუაციის დაწყებისთანავე, ხორბლის საერთაშორისო ფასი გაიზარდა. აღნიშნულ ქვეყნებს მნიშვნელოვანი წილი უკავიათ ქერის, მზესუმზირის, თესლის, ზამბახისა და ბამბის ზეთის მსოფლიო ექსპორტშიც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უკრაინაში წარმოებული ხორბლის დიდი ნაწილი აზიასა და აფრიკაში რეალიზდება. ომმა ამ რეგიონების სასურსათო უსაფრთხოებაც რისკის ქვეშ დააყენა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ როგორც რუსეთი, ისე უკრაინა საქართველოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორები არიან ისეთი მიმართულებით, როგორცაა ვაჭრობა, ტურიზმი და ფულადი გზავნილები. შესაბამისად, გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველო აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვან შემოსავლებს დაკარგავს. საგულისხმო ფაქტორი შეიძლება გახდეს უკრაინელი ლტოლვილების ნაკადის ზრდაც. ომის დაწყებიდან მალევე უკრაინის მრავალ მოქალაქეს მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი, რომლებმაც თავშესაფარი მეზობელ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მიიღეს.

თუ რა გავლენა ექნება ომს ეკონომიკურ განვითარებაზე როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ დონეზე, დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, თუმცა, უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს საომარი ოპერაციების დამთავრების დრო. გარდა ზემოთ აღნიშნულისა არსებობს მთელი რიგი საფრთხეები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ეკონომიკაზე, მათ შორის საქართველოს ეკონომიკაზე, რომელიც შეიძლება ტერიტორიულად მცირე, მაგრამ სტრატეგიული თვალსაზრისით რეგიონში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოთამაშედ შეგვიძლია განვიხილოთ.

## საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და დამოკიდებულების ხარისხი რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში

საზოგადოდ, ნებისმიერი ტიპის საომარი ესკალაცია ნეგატიურად აისახება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაზე, რაც ძირითადად მაღალი ინფლაციით, სავალუტო თუ ლოგისტიკური

პრობლემებით გამოიხატება. გარდა ზემოთ აღნიშნული პრობლემებისა, არსებობს სხვა მთელი რიგი ეკონომიკური პრობლემები, რომლებსაც სახელმწიფოები აწყდებიან. გრძელვადიანი პერიოდის თვალსაზრისით, რუსეთის აგრესიას უკრაინაში საქართველოს ეკონომიკაზე ზეგავლენა სამი ძირითადი მიმართულებით ექნება. უპირველეს ყოვლისა გამოსაყოფია ის ფაქტი, რომ როგორც უკრაინა, ისე რუსეთი საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორები არიან, განსაკუთრებით ვაჭრობის, ტურიზმისა და ფულადი გზავნილების მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რუსეთთან მიმართებით 2022 წელი ამ სამი მიმართულებით მზარდი ტენდენციით გამოირჩევა, ეს მაინც მოკლევადიან ეფექტად უნდა ჩავთვალოთ, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში მათი კლება უნდა ვივარაუდოთ. მეორე ძირითადი მიმართულება იმით გამოიხატება, რომ რეგიონში მიმდინარეობს დაპირისპირება, რაც ინვესტორებისთვის არ არის მიმზიდველი. ყოველივე ამას ემატება რუსეთის მხრიდან დასავლეთისადმი წაყენებული ბრალდებები, გარკვეულწილად შანტაჟის ფორმები, რომელიც ეხება ერთი მხრივ ომში ჩართულ უკრაინას, ხოლო მეორე მხრივ საქართველოს. დაბოლოს, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი, რუსეთისადმი დაწესებული სანქციები, რომელიც როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში მთლიანად მსოფლიო ეკონომიკაზე მოახდენს გავლენას, მათ შორის, დაახარალებს საქართველოს ეკონომიკასაც. ამ ეტაპზე, შეუძლებელია იმის ზუსტი პროგნოზირება თუ რა დოზით დაახარალებს გრძელვადიან პერიოდში საომარი სიტუაცია ქვეყნის ეკონომიკას, თუმცა დღეს შეგვიძლია ზუსტი ასახვა იმისა, თუ რა მდგომარეობაა ერთი მხრივ საქართველოს ეკონომიკაში, ხოლო მეორე მხრივ, რა ეკონომიკური კავშირები გააჩნია ქვეყანას როგორც უკრაინასთან, ისე რუსეთთან ფულადი გზავნილების, ვაჭრობისა თუ ტურიზმის მიმართულებით.

მსოფლიოში არსებული ეკონომიკური სირთულეებისა და მწვავე გამოწვევების ფონზე, საქართველო აღმოჩნდა გარკვეულწილად მდგრადი და გაგრძელდა ის ეკონომიკური პროგრესი, რაც ორნიშნა ეკონომიკური ზრდით აისახა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით, 2022 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა მიმდინარე ფასებში 71754,2 მლნ. ლარს გაუტოლდა, რაც 19,6%-ით აღემატება წინა წლის შესაბამის მონაცემს, ხოლო რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ წინა, 2021 წელთან შედარებით 10.1% შეადგინა. იმავე მონაცემებით, 2022 წელს წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ტრანსპორტმა და დასაწყობებამ (28,4%), ინფორმაციამ და კომუნიკაციამ (49,9%), ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდებამ (38,9%), მშენებლობამ (14,8%), საბითუმო და საცალო ვაჭრობამ; ავტომობილებისა და მოტოციკლეტების რემონტმა (6,1%), დამამუშავებელმა მრეწველობამ (7,8%), ხელოვნებამ, გართობამ და დასვენებამ (17,3%), განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობებმა (16,7%), სამთომომპოვებელმა მრეწველობამ (22,8%), ხოლო კლება აღინიშნა შემდეგ დარგებში: უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (-4,8%), ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება (-5,7%), სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები (-2,4%).

მაღალი ეკონომიკური ზრდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით იყო განპირობებული. მათ შორის უნდა გამოვყოთ საქონლის 31,8%-ით გაზრდილი ექსპორტის მაჩვენებელი, 61%-ით გაზრდილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მნიშვნელოვნად გაზრდილი როგორც რეგისტრირებულ საწარმოთა, ისე დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვები. ეკონომიკური ზრდის ფონზე სტაბილურობას ინარჩუნებს ეროვნული ვალუტა, რამაც უმოკლეს ვადაში ასახვა უნდა პოვოს ფასებზე.

თუმცა ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად მაინც მაღალი ინფლაცია რჩება არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში, რომელიც ჯერ კიდევ პანდემიის პერიოდში დაიწყო, როდესაც ეკონომიკა ჩაკეტილი იყო. უპირველეს მიზეზად კი უნდა დავასახელოთ მიწოდების გლობალური ჯაჭვის დარღვევა, რამაც მიწოდების შემცირება გამოიწვია, ამ უკანასკნელმა კი – ფასების ზრდა. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლისთვის ეკონომიკა გაიხსნა და აღდგა ეკონომიკური კავშირები, მაღალი ინფლაციის კუთხით მაინც დარჩა გარკვეული ტიპის პრობლემები, რასაც 2022 წლისთვის დაერთო რუსეთ-უკრაინის ომი და რუსეთისთვის

დაწესებული სანქციები, რამაც გლობალური მიწოდების ჯაჭვს კიდევ უფრო დიდი პრობლემები შეუქმნა. ამ ეტაპზე რთულია იმის პროგნოზირება თუ რა ელის საქართველოს გრძელვადიან პერიოდში და რა ეკონომიკური ზიანის მომტანი იქნება რუსეთ-უკრაინის ომი როგორც მსოფლიოსთვის, ისე საქართველოსთვის. ანალიზის გასაკეთებლად შეგვიძლია დავეყრდნოთ იმ არსებულ მონაცემებს, თუ რა ეკონომიკური ურთიერთობები აქვს საქართველოს ერთი მხრივ უკრაინასთან, ხოლო მეორე მხრივ რუსეთთან, როგორია ამ ორი ქვეყნის წილი საქართველოს ეკონომიკაში და მაქსიმუმ რა ეკონომიკური ზიანის ან სარგებლის მოტანა შეუძლიათ მათ გრძელვადიან პესპექტივაში. არსებული დამოკიდებულების ხარისხი სამი ძირითადი პარამეტრით უნდა განვსაზღვროთ, კერძოდ, საქონლით საგარეო ვაჭრობით, ტურიზმით და ფულადი გზავნილებით.

ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველო რუსეთზე გაცილებით მეტად არის დამოკიდებული, ვიდრე უკრაინაზე. ეს დამოკიდებულება გარკვეული საფრთხის შემცველად შეიძლება შეფასდეს, ვინაიდან ბოლო 30 წელიწადია რუსეთმა არაერთხელ გამოიყენა ეკონომიკური ბერკეტები როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების წინააღმდეგ. გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ 2006 წელს რუსეთმა საქართველოს ჯერ ელექტროენერჯის მიწოდება შეუწყვიტა, ხოლო შემდეგ აკრძალა ქართული პროდუქციის ექსპორტი რუსეთში. იმავე წელსვე განხორციელდა ქართველების დეპორტაცია, ხოლო 2019 წლის 20 ივნისის შემდეგ საქართველოს მიმართულებით ფრენები აკრძალა. ყოველივე ამას დაემატა კოვიდ-19 პანდემია, რამაც ქვეყნებს შორის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები მნიშვნელოვნად შეამცირა, განსაკუთრებით კი ტურიზმის მიმართულებით. 2020 წლისთვის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა და მომსახურების ექსპორტიდან (მათ შორის ტურიზმიდან) შემოსავლები თითქმის 5 მლრდ. დოლარით შემცირდა. ამ მიზეზით შემცირდა რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების ხარისხიც.

2022 წლის თებერვლის ბოლოს უკრაინაში დაწყებულმა ომმა საქართველოს რუსეთზე ეკონომიკურ დამოკიდებულების საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახადა. რუსეთზე დაწესებული მკაცრი სანქციები მისი ეკონომიკის შემცირებას იწვევს, რაც ასახვას პოულობს იმ ქვეყნებზე, რომლებთანაც მას მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები გააჩნია. საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულების შესაფასებლად სამი ძირითადი მიმართულება უნდა გამოვყოთ: საგარეო ვაჭრობა, ტურიზმი და რუსეთში დასაქმებულთა ფულადი გზავნილები.

2022 წელს ქართული პროდუქციის ექსპორტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 6,8%-ით გაიზარდა და 651,6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი ექსპორტის 11,65%-ია. ეს უკანასკნელი კი 2,73%-ით ნაკლებია 2021 წლის მაჩვენებელზე. ექსპორტის წილის შემცირება განპირობებულია იმით, რომ საქართველოს ექსპორტი უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე თვითონ რუსეთში ექსპორტი. რაც შეეხება იმპორტს, 2022 წელს რუსეთიდან განხორციელებული იმპორტმა 1,835.4 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 79 %-ით მეტია წინა 2021 წლის მაჩვენებელზე. რუსეთის წილმა მთლიან იმპორტში კი 13,51% შეადგინა, რაც 3,38%-ით მეტია 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. სავაჭრო ბრუნვის მიმართულებით 2022 წლისთვის საქართველოს მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 13% რუსეთზე მოდიოდა, ეს მაჩვენებელი ბოლო 16 წლის მაქსიმუმს წარმოადგენს.

2022 წლისთვის ტრადიციულ საექსპორტო პროდუქტებს მიეკუთვნება ღვინო (161 მლნ. აშშ დოლარი), მეორე ადგილზეა ფეროშენადნობები (109 მლნ. აშშ დოლარი), შემდეგ მოდის უალკოჰოლო სასმელების ექსპორტი (90 მლნ. აშშ დოლარი) და მსუბუქი ავტომობილები (76 მლნ. აშშ დოლარი). ცალკე უნდა ვისაუბროთ ქართულ ღვინოზე, რომელზე მოთხოვნაც რუსულ ბაზარზე საკმაოდ მაღალია. როგორც აღინიშნა, 2022 წელს რუსეთში ექსპორტირებულია 161 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების ქართული ღვინო, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 23%-ით აღემატება. გაიზარდა საქართველოს ჯამური ღვინის ექსპორტში რუსეთის წილი და 64%-ს მიაღწია. ეს მაჩვენებელი ბოლო 10 წლის მაქსიმუმს წარმოადგენს.

რაც შეეხება იმპორტს, ამ მიმართულებით რამდენიმე მიმართულება უნდა გამოვყოთ, კერძოდ, ნავთობპროდუქტები (623 მლნ. აშშ დოლარი), ხორბალი და ხორბლის ფქვილი (128 მლნ. აშშ დოლარი), ბუნებრივი აირი (ძირითადად გაზი; 112 მლნ. აშშ დოლარი), ქვანახშირი და

კოქსი (78 მლნ. აშშ დოლარი) და ზეთი და მარგარინი (76 მლნ. დოლარი). იმპორტში ყურადღება უნდა გავამახვილოთ რამდენიმე მნიშვნელოვან დარგზე, რომელთა წილი ბოლო წლებში ტრადიციულად მაღალია.

საქართველო ძირითადად რუსულ ხორბალსა და ფქვილზეა დამოკიდებული. 2021 წლისთვის შემოვიდა 87 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების 319 ათასი ტონა ხორბალი, რაც საქართველოში იმპორტირებული ხორბლის 94% იყო. თუმცა არსებითი ცვლილება მოხდა 2022 წელს, რაც გამოიხატა იმით, რომ ხორბლის მაგივრად უკვე ხორბლის ფქვილის იმპორტის განხორციელება დაიწყო. აღნიშნული ცვლილების მთავარი მიზეზი იყო რუსეთის ფედერაციის მიერ დაწესებული მაღალი გადასახადები ხორბლის ექსპორტზე. შედეგად მივიღეთ ის, რომ 2022 წელს საქართველოში 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 6-ჯერ გაიზარდა ხორბლის ფქვილის იმპორტი, ხოლო 30%-ით შემცირდა თვითონ ხორბლის იმპორტი. ჯამში რუსული ხორბლისა და ხორბლის ფქვილის იმპორტმა ამავე კატეგორიის საქონლის 97% შეადგინა. თავის მხრივ, უნდა აღინიშნოს ის, რომ რუსულ ხორბალს და ხორბლის ფქვილს საქართველოში ხორბლის სასურსათო მოხმარების 78 % უჭირავს [PMCG, 2021: გვ. 7].

ბოლო რამდენიმე წელია რუსეთის ელექტროენერჯის წილი დიდი აღარ არის, 2021 წელს აღნიშნული წილი მხოლოდ 1,8% იყო [ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორი, 2021 წლის ენერჯეტიკული ბალანსი], მთლიან იმპორტში რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერჯის წილი 1,8%-ია, ხოლო მთლიან იმპორტში კი – 25%. 2022 წლისთვის საქართველოში მოხმარებული ელექტროენერჯიდან რუსეთიდან იმპორტირებულია 2,6%, ხოლო ელექტროენერჯის მთლიან იმპორტში კი – 24% [ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორი, 2022 წლის ენერჯეტიკული ბალანსი].

რომ შევაჯამოთ საგარეო ვაჭრობის კუთხით, განსაკუთრებით კი ექსპორტის თვალსაზრისით, რუსულ ბაზარზე დამოკიდებულების ხარისხი შემცირების ტენდენციისკენ მიემართება, რადგან გაიზარდა სხვა ქვეყნებში ექსპორტირებული საქონლის რაოდენობა, თუმცა ეს არ ეხება ღვინის ბაზარს, მისი დამოკიდებულების ხარისხი მკვეთრად არის გაზრდილი, რაც გარკვეული თვალსაზრისით, რისკის მატარებელია. რაც შეეხება იმპორტს, აქ სურათი სრულიად საპირისპიროა, რადგან საქონლის იმპორტზე დამოკიდებულება მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, ძირითადად, საავტომობილო საწვავისა და კვების პროდუქტების ზრდის გამო.

კოვიდ-19-ის პანდემიამდე შემოსავლების მხრივ, საქართველო ყველაზე მეტად რუსეთზე იყო დამოკიდებული. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით 2019 წლისთვის 1,471 მლნ. რუსი ტურისტი შემოვიდა, ხოლო შემოსავლის სახით 776 მლნ. აშშ დოლარი მიიღო. პანდემიის გამო, რუსი ტურისტების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა და 2021 წლისთვის მათმა რაოდენობამ 212,9 ათასი ვიზიტორი შეადგინა, ხოლო მიღებულმა შემოსავლებმა – 151,7 მლნ. აშშ დოლარი.

2022 წლიდან პანდემიასთან დაკავშირებული თითქმის ყველა შეზღუდვა მოიხსნა, შესაბამისად, მკვეთრად იმატა როგორც რუსეთიდან შემოსულმა ვიზიტორებმა, ასევე რუსეთიდან შემოსული ვიზიტორების მიერ საქართველოში დახარჯულმა თანხებმა, თუმცა ეს მაჩვენებელი მკვეთრად ჩამოუვარდება 2019 წლის მაჩვენებელს. იმისთვის, რომ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას ტურიზმის ზრდის ობიექტურ შეფასებაზე, შედარება უნდა გაკეთდეს სწორედ რომ 2019 წელზე. 2022 წელს საქართველოში 1,087.2 მლნ. რუსი ტურისტი შემოვიდა, რაც 2019 წელთან შედარებით 26,1%-ით ნაკლებია, თუმცა 2022 წელს რუსეთში გამოცხადებული მობილიზაციის შემდეგ, სექტემბერ-ოქტომბერში ვიზიტორების რიცხვმა 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 14%-ით გადააჭარბა. 2022 წელს შემოსული რუსი ვიზიტორების რაოდენობა საქართველოს ვიზიტორების ჯამური მაჩვენებლის 20%-ია, რაც 2021 წლის მაჩვენებელს თითქმის 2-ჯერ, ხოლო 2019 წლის მაჩვენებელს 4,3%-ით აღემატება. 2022 წლის ეს მაჩვენებელი საქართველოს ჯამური ვიზიტორების რაოდენობაში ბოლო ათწლეულის მაქსიმალური რაოდენობაა. ასევე მაღალი მაჩვენებელი აქვს რუსი ვიზიტორებისგან მიღებულ შემოსავლებს. 2022 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 891 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც ჯამურად საერთაშორისო ვიზიტორებისგან მიღებული შემოსავლების 25,34%-ია. აღნიშნული

891 მლნ. აშშ დოლარი 5,8-ჯერ აღემატება 2021 წლის, ხოლო დაახლოებით 14%-ით 2019 წლის მაჩვენებელს.

საქართველოს შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ის ფულადი გადმორიცხვები, რომლებიც რუსეთის ფედერაციიდან ხორციელდება, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2012 წლიდან 2021 წლამდე შეინიშნება მათი მნიშვნელოვანი კლება. თუ 2012 წელს რუსეთის წილი მთლიან ფულად გზავნილებში 56,01% იყო, 2021 წელს 17,51%-მდე დაეცა. აღნიშნული ტენდენციების ორი ძირითადი მიზეზია რუსეთიდან საქართველოში გადმორიცხული თანხების წლიდან წლამდე შემცირება, ხოლო სხვა ქვეყნებიდან გადმორიცხული თანხების ზრდა.

რუსეთის ფედერაციიდან ფულადი გადმორიცხვების მოცულობამ 2022 წლისთვის 2067,8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი ფულადი გადმორიცხვების 47,3%-ია, ხოლო 2021 წელთან შედარებით იგი თითქმის 5-ჯერ გაზრდილია. ამ მოვლენის ძირითად მიზეზად რუსეთ-უკრაინის ომი უნდა დავასახელოთ. ამავდროულად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საქართველოში საცხოვრებლად გადმოსული რუსეთის მოქალაქეების გაზრდილი ნაკადები, რომლებსაც ან თვითონ გადმოაქვთ თავიანთი დანაზოგი, ან რუსეთიდან უგზავნიან სწრაფი გზავნილების სახით. ერთი შეხედვით, რუსეთის მოქალაქეებმა უკრაინაში ომის დაწყებიდან მალევე დატოვეს ქვეყანა და მეზობელ ქვეყნებს მიაშურეს, რადგან ისინი რუსეთში დაწესებულ სანქციებს და მობილიზაციას გაურბიან. მათმა ნაწილმა კი საქართველოში ხანგრძლივი დროით დარჩენა გადაწყვიტა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ფულადი გზავნილების ასეთი მკვეთრი ნახტომი წარმოადგენს ერთჯერად ფაქტორს და სამომავლოდ მიახლოებით ან იგივე ნიშნულზე დარჩება, ან შემცირდება.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთისგან განსხვავებით საქართველო უკრაინაზე შედარებით ნაკლებადაა დამოკიდებული, უკრაინა (ისევე როგორც რუსეთი) საქართველოს ერთ-ერთი მთავარ სავაჭრო პარტნიორად ითვლება და შესაბამისად სავაჭრო ურთიერთობებიც მასთან მზარდი იყო. საქართველოს სავაჭრო პარტნიორებს შორის 2022 წელს ომში ჩართული უკრაინა მე-9 ადგილზე იყო 2,7%-იანი წილით, 2021 წლისთვის კი ის ამ რეიტინგში მე-6 ადგილზე იყო.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული საგარეო ვაჭრობის 2022 წლის მონაცემებით, უკრაინასთან სავაჭრო ბრუნვამ 2022 წელს 518 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 31,7%-ით ნაკლებია 2021 წლის მაჩვენებელზე. ოფიციალური სტატისტიკით უკრაინა მოწინავე ათეულშია საქონლის ექსპორტის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელთან შედარებით საქონლით ექსპორტი 25%-ით შემცირდა, 2022 წელს მან 232 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი ექსპორტის 4,15%-ს შეადგენს. აღნიშნულ პერიოდში მთავარი საექსპორტო საქონელი მსუბუქი ავტომობილები იყო, რაც მთლიანად რეექსპორტს წარმოადგენს. ამ უკანასკნელის წილი 51,6%-ს შეადგენს. სხვა ექსპორტირებულ საქონლიდან აღსანიშნავია მსუბუქი ავტომობილები (119,8 მლნ. აშშ დოლარი), ეთილის სპირტი არადენატურირებული (24 მლნ. აშშ დოლარი), ნავთობი და ნავთობპროდუქტები (14 მლნ. აშშ დოლარი), ყურძნის ნატურალური ღვინოები (13 მლნ. აშშ დოლარი), აზოტოვანი სასუქები (13 მლნ. აშშ დოლარი), მინერალური და მტკნარი წყლები (9,5 მლნ. აშშ დოლარი), ფეროშენადნობები (7,8 მლნ. აშშ დოლარი), პოლიმერები ეთილენისა (3,9 მლნ. აშშ დოლარი), სამარჯვები ორთოპედიული და სხეულის სხვა ხელოვნური ნაწილები (2,9 მლნ. აშშ დოლარი) პირადი მოხმარების ნივთები (2,1 მლნ. აშშ დოლარი). გარდა ზემოთ აღნიშნული საქონლისა, უკრაინაში ექსპორტირებულია სხვადასხვა ტიპის პროდუქცია, თუმცა მიღებული შემოსავლები თითოეულის შემთხვევაში არ აღემატებოდა 1 მლნ. აშშ დოლარს.

ექსპორტისგან განსხვავებით, უკრაინას ვერ ვხვდებით უმსხვილეს საიმპორტო ქვეყნების ათეულში, მაშინ როდესაც 2021 წელს აღნიშნული ქვეყანა მე-7 ადგილს იკავებდა და ერთ-ერთ მთავარ პარტნიორ ქვეყნად ითვლებოდა. ოფიციალური სტატისტიკით, 2022 წელს უკრაინიდან იმპორტირებულია 285 მლნ. აშშ დოლარზე ოდნავ მეტი პროდუქცია, რაც წინა 2021 წელთან შედარებით 37%-ით არის შემცირებული. ეს მაჩვენებელი ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალია. რაც შეეხება კონკრეტულ სასაქონლო პოზიციებს, უნდა გამოვყოთ მსუბუქი ავტომობილები (20.1 მლნ. აშშ დოლარი), დაფასოებული სამკურნალო საშუალებები (15,7 მლნ.



აშშ დოლარი), სიგარები, სიგარილები (12 მლნ. აშშ დოლარი), კოპტონი და სხვა მყარი ნარჩენები (10,5 მლნ. აშშ დოლარი), შოკოლადი და კაკაოს შემცველი კვების სხვა მზა პროდუქტები (10,2 მლნ. აშშ დოლარი), პური, ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი (7,5 მლნ. აშშ დოლარი), შინაური ფრინველი ხორცი და კვების სხვა სუბპროდუქტები (7 მლნ. აშშ დოლარი) საცობები, ხუფები და სახურავები (6 მლნ. აშშ დოლარი), ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადის ფოლადისგან (5,6 მლნ. აშშ დოლარი).

2012 წლიდან უკრაინიდან განხორციელებული ფულადი გზავნილების მოცულობა იზრდებოდა. შესაბამისად იზრდებოდა მათი პროცენტული წილი მთლიან გზავნილებში, თუმცა რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან დღემდე იგი მკვეთრად შემცირდა და 10,994.2 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2021 წელთან შედარებით თითქმის 90%-იან კლებას ნიშნავს, ხოლო მისი წილი მთლიანი გზავნილების მოცულობაში 2021 წლის თითქმის 4%-იან წილიდან 2022 წელს 0,29%-მდე შემცირდა.

ფულადი გზავნილებიდან სრულიად განსხვავებული სიტუაცია არის ტურიზმთან მიმართებით. 2022 წელს საქართველოში შემოსული ვიზიტორების მხრივ უკრაინა მე-5 ადგილს იკავებს 168915 ვიზიტორით, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 16,5%-იან ზრდას ნიშნავს. მისმა წილმა მთლიან ვიზიტორებში კი 3,11% შეადგინა. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2021 წელს უკრაინა ვიზიტორების მხრივ მე-4 ადგილზე იყო. უკრაინული საერთაშორისო მოგზაურობიდან 2022 წლისთვის შემოსულია 282,3 მლნ. აშშ დოლარი, რაც მთლიანი შემოსავლების 8,03%-ს შეადგენს.

### **საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა და მთავარი გამოწვევები რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში**

რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს საქართველოს არსებული გამოწვევების ფონზე? ამ კითხვაზე პასუხი რამდენიმე შეიძლება იყოს, მაგრამ უნდა გამოვყოთ რამდენიმე მიმართულება. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი რამდენიმე სატრანსპორტო-ლოგისტიკური მარშრუტი, მათგან ერთ-ერთი კი ე.წ. „შუა დერეფანია“, რომელიც ადრიდანვე მიჩნეულ იქნა ძველი აბრეშუმის გზის ნაწილად, მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში კავკასიაზე გამავალი მარშრუტები ბევრად ნაკლებ ტვირთს ატარებდა, ვიდრე ჩრდილოეთის მარშრუტი, რომელიც ჩინეთს ევროპასთან რუსეთის გავლით აკავშირებდა. რუსეთ-უკრაინის საომარმა ესკალაციამ განაპირობა ის, რომ მსოფლიო თანამეგობრობამ დაიწყო ფიქრი საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემაში ძირეული ცვლილებების შეტანაზე. შედეგად კიდევ უფრო მეტი პერსპექტივა შეიძინა შუა დერეფნის (middle corridor) იდეამ, რომელიც მოიცავს ცენტრალური აზია-კავკასიის სატრანსპორტო დერეფნებს და წარმოადგენს ევროპა-აზიის სატრანსპორტო მარშრუტის ნაწილს.

2017 წლის მონაცემებით, ევროპასა და აზიას შორის გადაზიდული კონტეინერების (TEU) მოცულობა დაახლოებით 22 მილიონია, საიდანაც 15 მილიონი ჩინეთიდან ევროპის მიმართულებით გადაიზიდება, ხოლო 7 მილიონი უკუმიმართულებით. სარკინიგზო გადაზიდვების მოცულობა აღნიშნულში ძალიან მცირეა. ეს უკანასკნელი კი ხორციელდება მხოლოდ ევრაზიული ეკონომიკური კორიდორის (EAEC) გავლით, საიდანაც დაახლოებით 70% პირდაპირ ჩინეთი-რუსეთის გავლით, ხოლო დანარჩენი 30% ჩინეთი-ყაზახეთი-რუსეთის გავლით გადაიზიდება. შუა დერეფნის გავლით გადაზიდული ტვირთების რაოდენობა ძალზე უმნიშვნელოა. აზია-ევროპის სარკინიგზო გადაზიდვებს თავისი კონკურენტული უპირატესობა გააჩნია, რაც მის სისწრაფეში გამოიხატება, ანუ თუ საზღვაო გადაზიდვებს ჩინეთიდან ევროპამდე 35 დღე სჭირდება, სარკინიგზო გადაზიდვების შემთხვევაში დროის ეს ინტერვალი ნახევრდება, სამაგიეროდ, სარკინიგზო გადაზიდვების ფასი დაახლოებით 3-ჯერ მეტია, ვიდრე საზღვაო გადაზიდვებისა. აღნიშნულმა ფაქტორმა შესაძლოა გავლენა იქონიოს სატრანსპორტო სახეობებისა თუ მარშრუტების შერჩევაზე, რაც იმას მიანიშნებს, რომ მაღალი ღირებულების საქონლისთვის სწრაფი და სანდო მარშრუტების წილი გაიზრდება.

გრძელვადიან პერსპექტივაში შუა დერეფანი განხილულ უნდა იქნეს ევროპა-ჩინეთის გადაზიდვების ალტერნატივად. საქართველოს ამ პროექტში ეფექტიანობის ზრდის თვალ-

საზრისით გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია, რადგან ერთი მხრივ საქართველო წარმოადგენს უმოკლეს დამაკავშირებელ ქვეყანას ევროპა-აზიის საზღვაო კავშირში, ხოლო მეორე მხრივ მას შეუძლია გახდეს სატრანსპორტო ჰაზად და გადაიქცეს ჩინეთი-ევროპის დამაკავშირებელ ალტერნატიულ სატრანსპორტო დერეფნად.

საქართველოს სატრანსპორტო და ლოგისტიკურ ფუნქციას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და საერთაშორისო ბაზრებზე სრული ინტეგრაციისთვის. მასვე შეუძლია ეკონომიკური სარგებელი მოუტანოს საქართველოს და შექმნას დამატებითი ღირებულება იმ სატრანსპორტო ტვირთებზე, რომლებიც საქართველოს გავლით იმობრავებენ. ამ ძირითადი მიზნის მისაღწევად კი საჭიროა სატრანსპორტო-ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის სისტემური განვითარება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ტრანსპორტსა და ლოგისტიკაში საერთაშორისო მართვის პრაქტიკაში გამოყენება. ამავდროულად, იმისთვის, რომ შუა დერეფანი ჩამოყალიბდეს როგორც ერთიანი ქსელი, საჭიროა მასში ჩართული ქვეყნების მიზანმიმართული რეგიონალური ძალისხმევა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-უკრაინის ომის პერიოდში შუა დერეფანში გარკვეული აქტიურობა შეინიშნება, აღნიშნული კორიდორის წილი ამ ეტაპზე უმნიშვნელოდ გამოიყურება, რაც მის სიძვირესა და არასანდოობაში უნდა ვეძიოთ. შუა დერეფნის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ასევე უნდა დავასახელოთ, კასპიის ზღვაზე საბორნე მომსახურების სიძვირე, შავი ზღვის პორტების დაბალეფექტიანობა და არასანდოობა. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ ბოლო სამ წელიწადში უამინდობის გამო საქართველოს პორტები საშუალოდ 70 დღის განმავლობაში დაკეტილი იყო, რამაც ნეგატიური გავლენა იქონია და ხელი შეუწყო ტვირთნაკადის სხვადასხვა სატრანსპორტო დერეფნებში გადანაწილებას. შუა დერეფნის სიძვირე გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით, კერძოდ, ინფრასტრუქტურული და საზღვრის კვეთის ბარიერებით, ასევე დერეფნის ოპერირების დაბალეფექტიანობით, რაც ზრდის როგორც გადაზიდვის ფასს, ასევე არაპროგნოზირებადს ხდის თვითონ გადაზიდვის პროცესს.

ბოლო წლებში კორიდორის ოპერირების გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ღონისძიებები განხორციელდა. ნავარაუდევია, რომ 2030 წლისთვის ტვირთის გამტარუნარიანობამ 33 მილიონ ტონას უნდა მიაღწიოს. საქართველოს რკინიგზის მოდერნიზაციის შემდეგ აღნიშნული ტვირთბრუნვა დაახლოებით 50 მილიონ ტონამდე გაიზრდება, ხოლო ანაკლიის პორტის მშენებლობა მნიშვნელოვნად გაზრდის ტვირთბრუნვას და შეამცირებს ტარიფებს. ფასის შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვან წინაპირობად რჩება ახალი საზღვაო საკონტეინერო ტერმინალის მშენებლობა, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც გაზრდის პორტის გამტარუნარიანობას და ეფექტიანობას.

მნიშვნელოვან გამოწვევად უნდა ჩაითვალოს ინტერმოდალური გადაზიდვების განვითარება, რაც, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია კასპიისა და შავი ზღვის დამაკავშირებელ საკონტეინერო გადაზიდვების ეფექტიანობაზე. ინტერმოდალური ტრანსპორტის განვითარება მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა ჩაითვალოს პორტების ეფექტიანობის ზრდისა და სატრანსპორტო დერეფნის, როგორც ერთიანი ლოგისტიკური ქსელის, განვითარებისთვის.

გარდა შუა დერეფნის მარშრუტისა, მნიშვნელოვან ასპექტად უნდა ჩაითვალოს ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის მიმართულება. ამ მხრივ კი მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტს. საქართველო-რუმინეთის დამაკავშირებელი შავი ზღვის წყალქვეშა პროექტი მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის მოწყობას ითვალისწინებს. ინიციატივა მიზნად ისახავს სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასთან დაკავშირებას შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი კაბელის მეშვეობით, რომლის სიგრძე 1195 კმ. იქნება (საიდანაც 95 კმ. სახმელეთოა, ხოლო 1100 კმ. წყალქვეშა ნაწილი), ხოლო სიმძლავრე – 1000 მგვტ. წყალქვეშა ნაწილი ასევე აღჭურვილი იქნება ციფრული კავშირით, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის კომუნიკაციას რუმინეთსა და საქართველოს შორის. ამ პროექტის განხორციელებით უზრუნველყოფილ იქნება ევროპისა და კავკასიის რეგიონის ენერგეტიკული უსაფრთხოება,

განახლებადი ენერჯის განვითარება, რაც გაზრდის სატრანზიტო შესაძლებლებს ევროპასა და კავკასიის რეგიონებს შორის.

### **დასკვნა და შესაძლო რეკომენდაციები**

ამ ომის ყველაზე ცუდი შედეგი იმის მოლოდინი შეიძლება იყოს, თუ რა მოხდება მომავალში. საეჭვოა, რომ ამ იმპერიალისტურ „თამაშში“ რომელიმე სახელმწიფომ დაინდოს საქართველო, ამიტომ ქვეყანა უნდა გაჰყვეს ნეიტრალური თუ სამშვიდობო პოლიტიკის გზას, რაც იმით შეიძლება გამოიხატებოდეს, რომ არ შეუერთდეს რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს, თავი აარიდოს გამაღიზიანებელ რიტორიკას და ა.შ. მსოფლიო თანამეგობრობა აცნობიერებს, რომ საქართველო მეტად რთულ მდგომარეობაშია და თუ უარესი სცენარის პროგნოზს გავაკეთებთ, საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები გაქრება, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლა შემცირებას დაიწყებს.

რაც შეეხება რუსეთთან ეკონომიკური დამოკიდებულების ხარისხს, დღესდღეობით საქართველო რუსეთზე უფრო მეტად არის დამოკიდებული, რადგან საომარი სიტუაციის დაწყებისთანავე მკვეთრად გაიზარდა რუსეთში ექსპორტი; მკვეთრი ზრდა არის როგორც რუსი ტურისტული ნაკადების, ისე მათგან მიღებული შემოსავლების მხრიდან – 5-ჯერ გაიზარდა ფულადი გადმორიცხვები რუსეთის ფედერაციიდან. ყოველივე ეს საფრთხის შემცველად უნდა განვიხილოთ, რადგან ისევე როგორც წინა წლებში, რუსეთმა შეიძლება გარკვეული ტიპის შეზღუდვები დაგვიწესოს, რითაც ეკონომიკური ზიანი მიადგება საქართველოს. აღნიშნული ზიანის თავიდან ასაცილებლად კი მოგვიწიოს პოლიტიკური ფასის გადახდა.

რა არის აქედან გამოსავალი? არსებობს რამდენიმე გზა, თუ როგორ უნდა გააგრძელოს საქართველომ ის წინსვლა, რაც პოსტპანდემიის პირობებში ეკონომიკის გახსნის შედეგად მიაღწია. უნდა გამოვყოთ სამი მთავარი ფაქტორი, რომელთა განხორციელებით გარკვეულწილად შემცირდება რუსეთზე დამოკიდებულების ხარისხი და თავიდან იქნება აცილებული ის პოტენციური ნეგატიური მოკვები, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად არის გამოწვეული მსოფლიოში. კერძოდ, პოსტპანდემიურ პერიოდში, რომელსაც რუსეთ-უკრაინის ომი დაემატა, უნდა განხორციელდეს ექსპორტის დივერსიფიკაცია, რათა ათვისებულ იქნეს მაღალგანვითარებული ქვეყნები. აღნიშნული ღონისძიებები განსაკუთრებული აქტიურობით ღვინის ექსპორტის მიმართულებით უნდა განხორციელდეს, რათა შემცირდეს რუსეთის წილი ღვინის ექსპორტზე; ხელი უნდა შეეწყოს ადგილობრივი სოფლის მეურნეობისა თუ წარმოების განვითარებას. განსაკუთრებული აქცენტი კი ხორბლის წარმოებაზე უნდა გაკეთდეს, ხოლო თუ ადგილობრივი წარმოება ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, იმპორტის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მისი სრული დივერსიფიცირება; ტურიზმის მიმართულებით მთავარი სამიზნე ჯგუფები უნდა გახდეს მაღალბიუჯეტის ქვეყნები, შესაბამისად მარკეტინგული ღონისძიებებისთვის გამოყოფილი რესურსები სწორედ ამგვარი ქვეყნებისკენ უნდა მიემართოს.

განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე, კერძოდ, როგორც საგზაო ინფრასტრუქტურაზე და ახალი პორტების მშენებლობაზე, ისე არსებულის მოდერნიზაციაზე, რადგან უკრაინაში რუსეთის შეჭრამ საერთაშორისო გადაზიდვის სისტემაშიც დაიწყო ძირეული ცვლილებების განხორციელების საჭიროება. ამ მხრივ შუა დერეფანს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია, ანაკლიის პორტის პროექტს კი შეუძლია საქართველო გახადოს ლოგისტიკურ ჰაბად რეგიონში. მთავრობის განაცხადი, რომ იგი იქნება მთავარი მეწილე აღნიშნულ პროექტში, ქვეყანას დიდ სარგებელს მოუტანს რამდენიმე მიმართულებით. ერთი მხრივ დარეგულირდება სატერმინალო მომსახურების საფასური, ხოლო მეორე მხრივ დააკმაყოფილებს გლობალური ბაზრების მხრიდან გადაზიდვის სერვისზე არსებული მოთხოვნის ნახევარს.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი): საქონლით საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები, 2023 წლის იანვარ-თებერვალი (ექსპრეს მონაცემები);

2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი): პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2022 წელს (წინასწარი);
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი): მთლიანი შიდა პროდუქტი საქართველოში 2022 წელს (წინასწარი მონაცემები);
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია: წლიური ანგარიში 2019, 2020 და 2021 წელს;
5. საქართველოს ეროვნული ბანკი: სტატისტიკური მონაცემები ბანკი <https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data>
6. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი, 2021 და 2022 წლის ენერგეტიკული ბალანსი;
7. PMCG - Wheat and flour sector in Georgia, 2021;
8. <https://www.bbc.com/news/business-60509453>
9. <https://www.vox.com/future-perfect/2022/2/27/22950805/russia-ukraine-food-prices-hunger-invasion-war>
10. <https://www.reuters.com/world/europe/eu-says-expects-more-than-7-million-displaced-ukrainians-2022-02-27/>

*Giorgi Kharshiladze*

## **UKRAINE-RUSSIA WAR AND ECONOMY OF GEORGIA: RECENT SITUATION, CHALLENGES, DEGREE OF DEPENDENCE AND PERSPECTIVES**

### **Abstract**

On February 2022, began war between Russia and Ukraine. From that period, the main economic trends for the world, as well as in Georgia, was determined by war situation. What kind of impact should war have on economic development both on internationally and on local levels depends on several factors. One of the most important is the duration of war. There also exists several other threats that affect should the world economy, including the economy of Georgia, which is territory small, but from strategic point of view can be considered as one of the most strategic players in the region.

Due to some negative effect that war should have on economics, the economy of Georgia continued to increase, which was expressed in several ways. GDP increased by 10.1% compared to previous years. High economic growth was due to several important factors, in which we should highlight the increased exports of goods by 31.8%, increased foreign direct investment by 61%. A significant contribution was made by highly increased registered enterprises and turnovers of VAT-paying enterprises. Despite these favorable macroeconomic indicators, several main problems raised during that period. One of the main problems during 2022, was high inflation.

Russia and Ukraine are Georgia's strategic partner. By the beginning of the war several problems raised for Georgia. One of the main threats that should become in long-term period is the high dependence on Russia. As data showed, more the 3 billion US dollar income was received from Russia in 2022 which is 3 times more than the income received from Russia in 2021. In 2022, the income from remittances, tourism and exports of goods from Russia reached nearly 15%, which exceeds two times more than in 2021. In turn the dependence of Ukraine for the same time decreased. In long-term period, this should become a risk to the country in terms of security and resilience. In addition, the drastic rise in prices caused by the considerable increase in demand induced by the massive influx of immigrants from Russia has led to the undermining of a certain segment of Georgia's middle class, further impeding the country's economic stability and democratic development.

The role of Georgia, as one of the critical states of Caucasus, has increased since the beginning of the Russia-Ukraine war. The sanctions imposed on Russia reduced the energy trade between Europe and Russia to one of the lowest levels in its history. Europeans states began identifying new alternatives for overcoming the energy crisis created by their dependence to Russia. In this context, Caucasus and especially Georgia, despite its high economic dependency of Russia, occupies a key position in this process, as one of the alternative ways for transferring energy resources between these regions. So, Georgia has a perspective for playing a huge role in this process. Georgia is one of the main players in region for energy transferring to Europe in terms of both its parts and its routes in the projects like Baku-Tbilisi-Ceyhan and Southern Gas Corridor including TANAP and TAP. In recent period, the location of Georgia in terms of middle corridor and Belt-Road project gains more importance. Because Georgia plays an important role in removing

geographical barrier between central Asia and Europe, acts as an important bridge. This process is a high chance for Georgia for regional integration processes.

ლალი ხიხაძე

**რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე**

**ანოტაცია.** პოსტპანდემიურ ეტაპზე 2022-2023 წლებში მსოფლიო ეკონომიკა ახალი მძიმე გამოწვევების წინაშე დადგა, რადგანაც COVID-19-ის პანდემიით განპირობებულ ეკონომიკურ სტაგნაციასა და დეპრესიას 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყება დაემატა. მსოფლიო ცივილიზებულმა თანამეგობრობამ რუსეთის წინააღმდეგ აგრესიის შეკავების მიზნით მკაცრი სანქციები დააწესა, რამაც, იმავდროულად, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკისთვის სირთულეები კიდევ მეტად გაამწვავა და კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია. ამასთან ერთად პოსტპანდემიურ გამოწვევებს გლობალური რეცესიის მახასიათებელი პრობლემებიც დაემატა – ფასებისა და ინფლაციის დონის ზრდა, ინვესტიციების შემცირება, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ვარდნა, უმუშევრობა, ენერგეტიკული კრიზისი, უძრავი ქონების გაძვირება, მოსახლეობის მოწყვლადობის ზრდა და სხვა პრობლემები.

**საკვანძო სიტყვები:** რუსეთ-უკრაინის ომი; გლობალური რეცესია; პოსტპანდემიური გამოწვევები; ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა; საერთაშორისო სავალუტო ფონდი; მსოფლიო ბანკის ჯგუფი, საქართველოს ეკონომიკა.

**შესავალი**

COVID-19-ის პანდემიის შედეგად მიღებულ ეკონომიკურ ზარალთან ერთად, რუსეთის უკრაინაში შეჭრამ გლობალური ბიზნესისა და მსოფლიო ეკონომიკის ზრდის პერსპექტივები მნიშვნელოვნად გააუარესა. ამას თან ერთვის მაღალი ინფლაციური გარემო, რომლის საპასუხოდაც მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების ცენტრალურმა ბანკებმა მონეტარული პოლიტიკა გაამკაცრეს და ეს შეზღუდვები კიდევ მეტადაა მოსალოდნელი. გაზრდილი საპროცენტო განაკვეთების ფონზე სტაგფლაციური რისკებიც გაიზარდა. გლობალურად ფინანსური პირობების გამკაცრება განვითარებული და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის ეკონომიკური ზრდის შეზღუდვებისა და დამატებითი ინფლაციური წნეხის რისკებს აჩენს.

2022 წლის გაზაფხულიდან პანდემია თითქმის დასრულდა და მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობამ ბიუჯეტიდან კოვიდ 19-ის წინააღმდეგ მიმართული ხარჯები მნიშვნელოვნად შეამცირა. 2022 წლის თებერვლის თვეში მთავარი მოულოდნელობა რუსეთ-უკრაინის ომის დაწყება იყო. ომმა მსოფლიო ეკონომიკაში მრავალი გაურკვეველობა და განუსაზღვრელი რისკები წარმოშვა. პოლიტიკურ კრიზისთან ერთად რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრამ გლობალურად გამოიწვია ენერგორესურსებისა და საერთაშორისო ბაზრებზე სასურსათო პროდუქტების მკვეთრი გაძვირება, რადგანაც ომამდე რუსეთი და უკრაინა ძირითადი ნედლეულის (ბუნებრივი აირის, სანავთობო რესურსების, მარცვლეულისა და ა.შ.) ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყნები იყვნენ. ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ დაწესებულმა სანქციებმა და უკრაინაში მიმდინარე ომმა ამ ქვეყნებიდან სასაქონლო პროდუქტების მიწოდება შეზღუდა და საერთაშორისო ბაზრებზე ენერგორესურსებისა და სასურსათო პროდუქტების ფასების ზრდა გამოიწვია, თუმცა 2022 წლის მეორე ნახევრიდან საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე მიწოდების ჯაჭვების აღდგენის კვალდაკვალ ფასების შემცირების ტენდენცია გამოიკვეთა. აღნიშნული პოზიტიური დინამიკა ამერიკასა და რუსეთში წარმოების პერსპექტივების გაუმჯობესებამ და უკრაინიდან შავი ზღვის პორტებში ექსპორტის აღდგენამ განაპირობა.

საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე ტენდენციები ფრთხილი ოპტიმიზმის საფუძველია, თუმცა საყოფადღებო ინფლაციური რისკებიც და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციების მაღალი გაურკვევლობაც.

რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომს სხვადასხვა ქვეყნებზე განსხვავებული გავლენა აქვს. საქართველოში, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, საგარეო მოთხოვნა მოსალოდნელზე მეტად გაიზარდა. რუსეთის, ბელარუსისა და უკრაინის მოქალაქეების დიდი რაოდენობით შემოდინება და ტურიზმის ეტაპობრივი აღდგენა ეკონომიკურ აქტივობაზე პოზიტიურად აისახა. ასევე მოსალოდნელზე უფრო სწრაფი აღდგენის ნიშნებს ავლენს ეკონომიკის პოტენციალი, რასაც მზარდი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც ასტიმულირებს. შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2022 წელს 10.0%-მდე გაიზარდა. ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა მის პოტენციურ დონეს აჭარბებს, თუმცა საკრედიტო აქტივობის ზრდა გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკისა და ბოლო პერიოდში ამოქმედებული მაკროპრუდენციული ინსტრუმენტების შედეგად შენედა. ასევე აღსანიშნავია, რომ ევროპის ცენტრალური ბანკისა და ფედერალური სარეზერვო სისტემის გამკაცრებულ მონეტარულ პოლიტიკას უცხოური ვალუტის დაკრედიტებაზე პოლიტიკის გამკაცრების ეფექტი აქვს. მცირდება ფისკალური სტიმულიც. ამ ტენდენციების გათვალისწინებით, მიწოდების მძლავრი შოკების პირობებში, ინფლაციური მოლოდინების დაბალ დონეზე შენარჩუნება კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, რადგან ერთმანეთის მიმყოლი შოკების შედეგად ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს დიდი ხანია აღემატება, ეს კი ე.წ. „მეორე რაუნდის“ ეფექტის და საშუალოვადიანი ინფლაციური მოლოდინების ზრდის რისკებს წარმოქმნის.

### **რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე**

2022 წლის მესამე კვარტალში მაღალი ინფლაციური გარემო შენარჩუნდა როგორც განვითარებულ, ასევე მზარდ განვითარებად ქვეყნებში. აღნიშნული, ძირითადად განპირობებულია უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე არსებული გამოწვევებით და საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე პროდუქციის მაღალი ფასებით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში ნავთობის ფასებს, ისევე როგორც საკვები პროდუქტების ფასებს, შემცირების ტენდენცია გააჩნია.

2022 წლის მესამე კვარტალში ეკონომიკური აქტივობის ტემპი შენედა აშშ-ში. აღნიშნულის მიზეზი მკვეთრად გაზრდილი სამომხმარებლო ფასები და გამკაცრებული ფინანსური გარემოა. ამასთან, ექსპორტის მოცულობა მცირედ გაუარესდა, ხოლო სასაქონლო მარაგები შემცირდა. რუსეთ-უკრაინის ომის პარალელურად, აშშ-ის მთავრობა აგრძელებს სანქციების დაწესებას რუსეთის წინააღმდეგ, რაც ქვეყნისთვის დამატებითი გამოწვევაა. საკმაოდ მაღალი რჩება ინფლაციის წლიური დონე, რომელმაც 2022 წლის სექტემბერში 8.2% შეადგინა. ინფლაციის გაზრდილი მოლოდინების პასუხად, ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ფედერალური ფონდების საპროცენტო განაკვეთი 3–3.25%-იან შუალედამდე გაზარდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2022 წლის ოქტომბრის თვის შეფასებით, რეალური ეკონომიკური ზრდა აშშ-ში 1.6%-ით განისაზღვრა, რაც წინა პროგნოზთან შედარებით 0.7 პპ-ით ნაკლები მაჩვენებელია, 2023 წელს კი 1%-ია პროგნოზირებული. რაც შეეხება ინფლაციას, მისმა საპროგნოზო მაჩვენებელმა 2022 წელს 8.1% შეადგინა, ხოლო 2023 წელს – 3.5%.

2022 წლის ბოლოს ეკონომიკური აქტივობის გაუმჯობესების ტემპი შენედა ევროკავშირის ზონაშიც. აღნიშნული განპირობებულია რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე არსებული გამოწვევებით. ეკონომიკური სანქციების გამო ევროკავშირის უმრავლეს ქვეყნებში არსებობს ენერგეტიკული კრიზისის მოლოდინიც, რის შედეგად, სამომხმარებლო და ბიზნესგანწყობები გაუარესდა. ასევე ბოლო პერიოდში გაუფასურდა ევრო, რის ფონზეც კვლავ მაღალია ინფლაციის წლიური მაჩვენებელი, რომელმაც სექტემბერში 10% შეადგინა – ეს რეკორდულად მაღალი მაჩვენებელია ევროკავშირის არსებობის ისტორიაში. ამასთან აღსანიშნავია, რომ ევროპის ქვეყნებმა დააწესეს ეკონომიკური სანქციების რამდენიმე პაკეტი რუსეთის წინააღმდეგ მასზე დამოკიდებულების შემცირების მიზნით, რაც დამატებითი წნეხია ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკურ აქტივობაზე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, 2022 წელს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი ევროკავშირისათვის 3.1%-ია, რაც წინა პროგნოზთან შედარებით 0.5 პპ-ით გაუმჯობესებული მაჩვენებელია და ძირითადად წლის პირველ ნახევარში მოსალოდნელზე მაღალი ზრდის მაჩვენებლებით აიხსნება. 2023 წელს კი ზრდა 0.5% იქნება. პროგნოზირებული ინფლაციის მაჩვენებელი 2022 წელს 8.3%-ია, ხოლო 2023 წელს კი 5.7%-ს შეადგენს.

2022 წლის მესამე კვარტალში, თურქეთში ეკონომიკური აქტივობის გაუმჯობესება ნელი ტემპით გაგრძელდა. სამომხმარებლო განწყობები და მოხმარება სუსტი რჩება, რაც, ძირითადად, განპირობებულია ბოლო პერიოდში თურქული ლირის რეკორდული გაუფასურებით. გაუფასურების ფონზე ინფლაციური წნეხი კიდევ უფრო გაიზარდა და წლიურმა ინფლაციამ 2022 წლის სექტემბერში 8.5% შეადგინა, თუმცა, იმავდროულად, ექსპორტიც გაიზარდა.

სსფ-ის ოქტომბრის შეფასებით, 2022 წელს თურქეთის რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 5% შეადგინა, რაც წინა პროგნოზთან შედარებით 2.3 პპ-ით გაუმჯობესებული მაჩვენებელია, 2023 წელს კი მისი 3%-იანი ზრდაა პროგნოზირებული. რაც შეეხება ინფლაციას, მისი მაჩვენებელი 2022 წლისთვის 73.1%-ია, ხოლო 2023 წელს 51.2%-ია ნავარაუდები.

საერთაშორისო თანამეგობრობის (აშშ, ევროკავშირი) მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციების გამო 2022 წლის მესამე კვარტალში ეკონომიკური აქტივობა რუსეთში გაუარესდა. შემცირდა ინვესტიციები, სამომხმარებლო დანახარჯები და საცალო გაყიდვები. დაწესებული სანქციების ფონზე რუსეთის ფედერაციაში გაუარესდა ბიზნესგარემოც. ომის დაწყებიდან მალევე, რუსული რუბლის რეკორდულად გაუფასურების ფონზე, მიუხედავად მისი შემდგომი გამყარებისა, საგრძნობლად გაიზარდა წლიური ინფლაციის მაჩვენებელი, რომელმაც სექტემბერში 13.7% შეადგინა. პარალელურად, გაზრდილ მოლოდინებზე საპასუხოდ, თებერვალში რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის 20%-მდე გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც ეტაპობრივად სექტემბერში 7.5%-მდე ისევ შემცირდა. ასევე აღსანიშნავია, რომ მარტის ბოლოდან კაპიტალის კონტროლის აქტიური გამოყენების შედეგად რუბლის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ-ის დოლართან დასტაბილურდა.

სსფ-ის საპროგნოზო შეფასებით, რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური ზრდა 2022 წელს 3.4%-ით განისაზღვრა, რაც 2021 წლის პროგნოზთან შედარებით 2.6 პპ-ით გაუმჯობესებული მაჩვენებელია, 2023 წელს კი 2.3%-იანი ვარდნაა მოსალოდნელი. პროგნოზირებული ინფლაციის დონე საშუალოდ 2022 წელს 13.8%-ს, ხოლო 2023 წელს კი 5%-ს გაუტოლდება.

რუსეთის მიერ წარმოებული ომის პირობებში, უკრაინაში პოსტპანდემიურ გამოწვევები საომარი მოქმედებებით განპირობებული შოკებით კიდევ მეტად გაუარესდა. ყოველდღიურად იზრდება გარდაცვლილთა რაოდენობა, ხოლო დაახლოებით 8 მილიონზე მეტმა უკრაინელმა კი ქვეყანა უკვე დატოვა. ომის შედეგად განადგურებულია ისეთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ობიექტები, როგორცაა გზები, ხიდები, პორტები, აეროპორტები და საწვავის შემნახველი საწყობები. ასევე საცხოვრებელი სახლები, სავადმყოფოები, რაც ბიზნესგარემოსა და ეკონომიკის პოტენციალს ანადგურებს.

სსფ-ის შეფასებით, უკრაინის რეალური ეკონომიკა 2022 წელს 35%-ით შემცირდა, ხოლო ინფლაციის მოსალოდნელი დონე კი 20.6%-ია. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დამანგრეველი ომის საწინააღმდეგოდ მსოფლიოს ცივილიზებული ნაწილი, მათ შორის საქართველო, მხარს უჭერს უკრაინას და ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს.

2022 წლის ბოლოს მაღალი ეკონომიკური აქტივობა იყო სომხეთში. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია რუსეთის მოქალაქეების მაღალი შემოდინებით ქვეყანაში, რის ფონზეც გაჯანსაღდა ბიზნესგარემო და მომსახურების სექტორი. თუმცა დაძაბული გეოპოლიტიკური ვითარება და სამხედრო დაპირისპირება აზერბაიჯანთან უარყოფით გავლენას ახდენს სომხეთის ეკონომიკურ აქტივობაზე. ასევე მაღალია ინფლაციის წლიური მაჩვენებელიც, რომელმაც 2022 წლის სექტემბერში 9.9% შეადგინა.

სომხეთის ეკონომიკური ზრდა 2022 წელს 7%-ია, რაც წინა პროგნოზთან შედარებით 5.5 პპ-ით გაუმჯობესებული მაჩვენებელია, 2023 წელს კი 3.5%-ია პროგნოზირებული. რაც შეეხება

პროგნოზირებულ ინფლაციას, 2022 წელს ის საშუალოდ 8.5%-ს, ხოლო 2023 წელს 7%-ს გაუტოლდება.

2022 წელს აზერბაიჯანის, როგორც სანავთობო, ასევე არასანავთობო სექტორში ზრდის ტემპების გაუმჯობესება გაგრძელდა. აღნიშნულს დიდწილად ხელი შეუწყო ნავთობის მაღალმა ფასებმა საერთაშორისო ბაზარზე და სამრეწველო სექტორის გაუმჯობესებამ, ასევე გაიზარდა ინვესტიციების მოცულობაც. ამის ფონზე საგარეო სექტორიც გაჯანსაღდა, თუმცა, იმავდროულად, ინფლაციის წლიური მაჩვენებელი მაღალი შენარჩუნდა და სექტემბერში 15.6% შეადგინა, დასტაბილურდა აზერბაიჯანული მანათის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით.

2022 წელს აზერბაიჯანში ეკონომიკურმა ზრდამ 3.7% შეადგინა, რაც წინა პროგნოზთან შედარებით 0.9 პპ-ით გაუმჯობესებული მაჩვენებელია, 2023 წელს კი პროგნოზირებული მაჩვენებელი 2.5% იქნება. რაც შეეხება ინფლაციას, 2022 წლის პროგნოზით 12.2% შეადგინა, ხოლო 2023 წელს ნავარაუდევია 10.8%.

ზემოთ განხილული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ტენდენციების შეფასების საფუძველზე საყურადღებოა აღვნიშნოთ მსოფლიო ეკონომიკური ზრდისა და გლობალური ინფლაციური მაჩვენებლების დონე და საპროგნოზო ვარაუდები. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) 2022 წლის ოქტომბრის ანგარიშების მიხედვით 2022 წლის გლობალური ეკონომიკური ზრდა წინა პროგნოზის მსგავსად 3.2% შეადგენს, ხოლო 2023 წელს კი 2.7%-ია მოსალოდნელი, რაც 0.2 პროცენტულპუნქტიანი (პპ) გაუარესებაა. ამასთან, გაზრდილი ინფლაციური წნეხის ფონზე გლობალური ინფლაციის მოსალოდნელი დონე 2022 წელს 8.8%, 2023 წელს კი 6.5%-ია [International Monetary Fund. (2022). World Economic Outlook: Countering the Cost-of-Living Crisis. Washington, (WEO, October 2022)].

რაც შეეხება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს, მათი რეალური ზრდის პროგნოზი 2022 წელს, ისევე როგორც 2023-ში, 3.7%-ს უტოლდება, რაც წინა პროგნოზთან შედარებით 0.1 პუნქტით გაუმჯობესებული მაჩვენებელია. რაც შეეხება ინფლაციას, 2022 წლის პროგნოზი 9.9%-ია, ხოლო 2023 წელს კი 8.1%-ია მოსალოდნელი.

### **რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა და**

#### **საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციები**

საქართველო, როგორც მცირე ზომის ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა, გლობალურად მიმდინარე მოვლენების მიმართ საკმარისად მგრძობიარეა. შესაბამისად არსებული მაღალი ინფლაციური გარემოს პირობებში, ეროვნული ბანკი ინფლაციის შემცირებაზე ფოკუსირებული რჩება და გამკაცრებულ მონეტარულ პოლიტიკას ინარჩუნებს.

საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობის სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ცენტრალური ბანკების ნაწილს 2022 წლის მესამე კვარტალში, კიდევ უფრო გაზრდილი ინფლაციური წნეხისა და მოლოდინების საპასუხოდ, მონეტარული პოლიტიკის დამატებითი გამკაცრება მოუწია. კერძოდ, აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ფედერალური ფონდების განაკვეთი სექტემბერში 3-3.25%-იან შუალედამდე გაზარდა, ხოლო ევროპის ცენტრალურმა ბანკმა სექტემბერში რეფინანსირების განაკვეთი კიდევ ერთხელ გაზარდა 1.25%-მდე.

საქართველოში პოსტპანდემიური პერიოდის მთავარ გამოწვევად მაღალი ინფლაციის ტემპი ითვლება, რაც, სამწუხაროდ, ახდა და ფასების სწრაფად ზრდა 2022 წელსაც გაგრძელდა. ფასების 10-15%-ზე მეტად ზრდამ არ მისცა ეროვნულ ბანკს საშუალება, მკაცრი მონეტარული პოლიტიკა შეემცირებინა და რეფინანსირების განაკვეთი პირიქით – 9 %-დან 11%-მდე გაზარდა.


2022 წელი მოსალოდნელზე პოზიტიური აღმოჩნდა პანდემიის დასრულების მხრივ. გაზაფხულიდან პანდემია თითქმის დასრულდა, რამაც ტურიზმის სექტორს სრულად მოუხსნა მკაცრი რეგულაციები და შეზღუდვები, ქვეყნის ბიუჯეტიდან კოვიდ 19-ის წინააღმდეგ მიმართული ხარჯები კი მნიშვნელოვნად შეამცირა.



2022 წლის მთავარი მოულოდნელობა რუსეთ-უკრაინის ომი იყო. ომმა ეკონომიკაში ბევრი გაურკვეველობა წარმოშვა. მოლოდინი იყო, რომ ეკონომიკურად საქართველოც საგრძნობლად დაზარალდებოდა, თუმცა პირიქით მოხდა. რუსეთის მოქალაქეების საქართველოში მიგრაციამ საქართველოს ეკონომიკის ზრდა დააჩქარა და ლარის კურსი გაამყარა. ლარის გამყარებამ და მაღალმა ეკონომიკურმა ზრდამ სახელმწიფო ვალის ტვირთი შეამსუბუქა, რაც 2020 წლის ბოლოს კრიტიკულ ზღვარს, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 60%-ს გადასცდა.

2022 წლისთვის საქართველოს მთავრობა ეკონომიკის 6%-ით ზრდას პროგნოზირებდა. ომის დაწყებასთან დაკავშირებით საქართველოს ეკონომიკის განვითარების მომავალი ბუნდოვანი გახდა. მარტ-აპრილში საერთაშორისო ორგანიზაციებმა საქართველოს ეკონომიკის ზრდის პროგნოზი 3%-მდე შეამცირეს. ამ პერიოდში საქართველოს მთავრობას პროგნოზი არ შეუცვლია და შემოდგომამდე 6% დატოვა. ნოემბერში კი 2022 წლის მოსალოდნელი ზრდის პროგნოზი 10%-მდე გაზარდა.

ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები (2014-2022 წწ)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

რუსეთ-უკრაინის საომარმა მოქმედებებმა საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპი კი არ შეანელა, პირიქით, დააჩქარა. ამის მთავარი მიზეზი რუსეთიდან, უკრაინიდან და ბელარუსიდან საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსული 200 ათასამდე მიგრანტია. მიგრაცია, პირველ რიგში, უძრავი ქონების სექტორს დაეტყო, გაიზარდა საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და ქირავნობაზე მოთხოვნა. იანვარ-ნოემბერში საქართველომ რუსი ვიზიტორებისგან (მათ შორის, მიგრანტებისგან) და რუსეთიდან ფულადი გზავნილებით 2.5 მილიარდი აშშ დოლარი მიიღო. ამას თუ დაემატებოდა ხელზე შემოტანილ ფულს, ეს თანხა, სავარაუდოდ, 3,5 მილიარდ დოლარამდე აღწევს. მაღალ ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 2022 წელს 32%-ით გაზრდილმა ექსპორტმა. 2022 წლის 11 თვეში ექსპორტით საქართველომ 1.2 მილიარდი დოლარით მეტი შემოსავალი მიიღო, ვიდრე 2021 წლის 11 თვეში.

2022 წლის იანვარ-სექტემბერში ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა შემდეგ დარგებში დაფიქსირდა: ელექტროენერჯის მიწოდება – 52%, ინფორმაცია და კომუნიკაცია – 45%, ტრანსპორტი – 29%, სამთომომპოვებითი მრეწველობა – 22%, სასტუმროები და რესტორნები – 21%. ჯანდაცვის სექტორი 4.7%-ით შემცირდა. საქართველოში წლიური ინფლაციის დონემ 2022 წლის იანვარ-ნოემბერში 10.4% შეადგინა. ის კიდევ უფრო მაღალი იყო წლის დასაწყისში – 13.9%, რაც ბოლო 10 წლის რეკორდული მაჩვენებელია. მაღალი ინფლაცია მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ იყო, მან მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა მოიცვა. გლობალურ დონეზე ინფლაციის მთავარი მიზეზი პანდემიის გამო გაზრდილი სახელმწიფო ბიუჯეტების დეფიციტი და შემსუბუქებული მონეტარული პოლიტიკა იყო. გარკვეულწილად სიტუაცია გლობალურმა ლოგისტიკურმა სირთულეებმაც გაამძაფრა, თუმცა მაღალი ინფლაცია 2021 წელს დაიწყო და

2022 წელს მსოფლიო ინფლაციის ტემპის შემცირებას ელოდებოდა. ეს ასე არ მოხდა, რადგან უკრაინაში ომის დაწყებამ ნავთობის, გაზისა და სხვა პროდუქტების ფასიც მნიშვნელოვნად გაზარდა.

### დასკვნა

პოსტპანდემიურ ეტაპზე 2022-2023 წლებში მსოფლიო ეკონომიკა ახალი მძიმე გამოწვევების წინაშე დადგა, რადგანაც COVID-19-ის პანდემიით განპირობებულ ეკონომიკურ სტაგნაციასა და დეპრესიას 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყება დაემატა. მსოფლიო ცივილიზებულმა თანამეგობრობამ რუსეთის წინააღმდეგ აგრესიის შეკავების მიზნით მკაცრი სანქციები დააწესა, რამაც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკისთვის სირთულეები კიდევ მეტად გაამწვავა და კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია. ამასთან ერთად პოსტპანდემიურ გამოწვევებს გლობალური რეცესიის მახასიათებელი პრობლემებიც დაემატა – ფასებისა და ინფლაციის დონის ზრდა, ინვესტიციების შემცირება, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ვარდნა და არასტაბილურობა, უმუშევრობა, ენერგეტიკული კრიზისი, უძრავი ქონების გაძვირება, მოსახლეობის მოწყვლადობის ზრდა და სხვა პრობლემები.

მიუხედავად იმისა, რომ გლობალურმა მშპ-მა 2022 წელს ისტორიაში პირველად 100 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა, ამ თანხის 57% განვითარებულ ქვეყნებს ეკუთვნის, მათ შორის აშშ-ს (მსოფლიო ეკონომიკის 25%) და ევროკავშირს (17%). განვითარებად ქვეყნებს შორის ჩინეთის წილი 18%-ს, რუსეთის კი მხოლოდ 2%-ს შეადგენს.

სწორედ დასავლეთი მიიღებს კრიზისის ძირითად დარტყმას 2023 წელს. ეკონომიკური კლება მას შემდეგ იწყებოდა, როდესაც 2021 წელს ელექტროენერჯიაზე, საწვავსა და სითბოზე დანახარჯები მშპ-ის 13%-ს აღწევდა. გასულ 2022 წელს ამ მონაცემებმა 17%-ს გადააჭარბა. ენერგორესურსების ფასების ზრდა რუსეთის აგრესიის პირდაპირი შედეგი იყო, რადგან დასავლეთმა რუსეთის ნავთობისა და ბუნებრივი აირის წინააღმდეგ სანქციები დააწესა, ხოლო კრემლმა ევროკავშირში გაზის მიწოდება შეწყვიტა. ევროპას რეცესია სხვაზე მეტად ემუქრება (რეცესია არა მარტო ორი კვარტალის, არამედ მთელი 2023 წლის განმავლობაში).

აშშ, როგორც მსოფლიოში წამყვანი ნავთობისა და გაზის მწარმოებელი, ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ევროკავშირი, რომელიც 60%-ით იმპორტზე არის დამოკიდებული. ექსპერტები აშშ-ში რეცესიის ალბათობას 70%-ად აფასებენ. ამაზე მეტყველებს Bloomberg-ის მიერ დეკემბერში ჩატარებული კვლევა.

ასევე გლობალური რეცესია მნიშვნელოვნად შეამცირებს ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლებს, იმოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე და სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. პოსტპანდემიის შედეგები განსაკუთრებით მძიმედ აისახება იმ ქვეყნებზე, რომლებსაც სუსტი ჯანდაცვის სისტემა აქვთ და უპირატესად საქონლითა და მომსახურებით იმპორტზე, ტურიზმზე და უცხოურ ფულად გზავნილებზე არიან დამოკიდებული.

ზემოთ აღნიშნულ პოსტპანდემიურ გამოწვევებს მნიშვნელოვნად აღრმავებს რუსეთ-უკრაინის საომარი მოქმედებები, რაც განსაკუთრებით მწვავედ აისახება როგორც განვითარებულ, ასევე მოწყვლად განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე.

პოსტპანდემიური გამოწვევები და რუსეთ-უკრაინის ომი ხანგრძლივად გაგრძელდება, მის დამარცხებას დიდი დრო და მილიარდობით ფინანსების მობილიზება დასჭირდება, რაც შესაბამისად მეტად გაამწვავებს გლობალური რეცესიის პროცესს, ამასთან მსოფლიო ფინანსური კრიზისი და დეპრესია ეჭვის ქვეშ დააყენებს ქვეყნების გადახდისუნარიანობასა და შედეგად მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნები ფინანსური კრიზისა და დეფოლტის საფრთხის წინაშეც კი შესაძლებელია დადგნენ.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. ხიხაძე (2022), გლობალური ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და საქართველოს შესაძლებლობები Covid-19-ის პანდემიის კრიზისის შესამცირებლად, VII

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, სამეცნიერო შრომების კრებული, გვ.464-472, 4-5 ნომბერი;

2. ლ. ხიხაძე (2023), პოსტპანდემიური პერიოდის გამოწვევები და თანმდევი გლობალური რეცესიის ფონზე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციები, თსუ-ის 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, 6 თებერვალი;

3. International Monetary Fund. (2022). World Economic Outlook: Countering the Cost-of-Living Crisis. Washington, (WEO, October 2022)].

4. საქართველოს ეროვნული ბანკი, „მონეტარული პოლიტიკის ანგარიში“, ოქტომბერი, 2022;

5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები, 2019-2023 წწ.

6. ინტერნეტ რესურსები:

7. [www.WB.org](http://www.WB.org)

8. [www.IMF.org](http://www.IMF.org)

9. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

10. <https://nbg.gov.ge>

*Lali Khikhadze*

## **THE IMPACT OF THE RUSSIA-UKRAINE WAR ON THE ECONOMIC DEVELOPMENT OF THE WORLD AND GEORGIA**

### **Abstract**

In the post-pandemic stage of 2022-2023, the world economy faced severe new challenges, as the economic stagnation and depression caused by the COVID-19 pandemic was compounded by the start of hostilities in Ukraine by the Russian Federation on February 24, 2022. The world civilized community imposed strict sanctions against Russia in order to deter aggression. At the same time, the difficulties for the economy of many countries of the world have worsened and reached a critical point. At the same time, the post-pandemic challenges were also accompanied by the problems characteristic of the global recession - the increase in prices and inflation levels, the decrease in investments, the fall in the exchange rate of the national currency, unemployment, the energy crisis, the increase in the price of real estate, the increase in the vulnerability of the population and other problems.

At the modern stage, the post-pandemic challenges are significantly aggravated by the Russia-Ukraine hostilities, which has a particularly acute impact on the economies of both developed and vulnerable developing countries.

Post-pandemic challenges are predicted, and the Russia-Ukraine war will last a long time, its defeat will require a long time and billions of funds to be mobilized, which will therefore greatly aggravate the global recession process, while the world financial crisis and depression will doubt the solvency of countries, and as a result, most of the world's countries will be at risk of financial crisis and default. It is even possible to stand in front of it.

The Russian-Ukraine war did not slow down the growth rate of the Georgian economy, on the contrary, it accelerated it. The main reason for this is about 200,000 migrants from Russia, Ukraine and Belarus who came to live in Georgia. First of all, migration to the real estate sector, The demand for buying and renting residential houses has increased. In January-November, Georgia received 2.5 billion US dollars from Russian visitors (including migrants) and remittances from Russia. If we add to this the money brought in, In terms of money, this amount probably reaches 3.5 billion dollars. Exports, which increased by 32% in 2022, made a significant contribution to the high economic growth.

**Key words:** *Russia-Ukraine war; global recession; post-pandemic challenges; monetary policy of the National Bank; International Monetary Fund; World Bank Group. Economy of Georgia.*

**დასაქმების თავისებურებები საბანკო სფეროში**

**ანოტაცია.** ნაშრომში გადმოცემულია საქართველოს კომერციული საბანკო სექტორის ზოგადი მიმოხილვა, განხილულია თუ რას წარმოადგენს საბანკო სფერო ქვეყნის ეკონომიკისთვის და რა მნიშვნელობა ენიჭება მას საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის. აგრეთვე გამოკვეთილია ბანკში მუშაობის უპირატესობები და ნაკლოვანებები; თვისებები, რომელიც ბანკში მუშაობაზე ადამიანებს სჭირდებათ. ნაშრომზე მუშაობის პროცესში ჩატარდა კვლევა კომპიუტერული პროგრამის „Microsoft Forms“-ის საშუალებით ელექტრონულად. მოხდა ემპირიული კვლევის შედეგების გაანალიზება და ანალიზის საფუძველზე დასკვნების გამოტანა.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველოს კომერციული საბანკო სექტორი, საბანკო სფერო, დასაქმება ბანკში, ემპირიული კვლევა, შრომის ბაზარი.

**შესავალი**

საბანკო სექტორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისთვის, მისი სტაბილურობა კი ეკონომიკური და საზოგადოებრივი კეთილდღეობის საწინდარია. საქართველოში საფინანსო ურთიერთობები უძველეს დროში ჩამოყალიბდა და განვითარების მრავალი წინააღმდეგობებით სავსე ეტაპი დაძლია. მიკრო- თუ მაკროგარემო მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენდა მასზე, ეს იყო ომები, კორუფცია, მარეგულირებელი სისტემის არქონა და კიდევ სხვა უამრავი რამ, თუმცა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო ამ სექტორის განვითარება.

საბანკო და საკრედიტო სისტემა რთული და საინტერესო სფეროა, რომელსაც გარკვეული თავისებურებები ახასიათებს, მის სრულყოფილ მუშაობაზე დამოკიდებულია ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება. საბაზრო სისტემის განვითარება წარმოდგენილია კომერციული საბანკო სისტემის სწორად მუშაობის გარეშე, რადგან იგი გავლენას ახდენს საბაზრო ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროზე. ფულადსაკრედიტო სისტემის მთავარ რგოლს სწორედ კომერციული ბანკები წარმოადგენს. ბანკები ახდენენ სავაჭრო, სამრეწველო, სატრანსპორტო სფეროების, საოჯახო მეურნეობის, კერძო მეწარმეებისა და ფირმების დაკრედიტებას და ფულადი სახსრების მათთვის მიწოდებას.

კომერციული ბანკები ერთმანეთთან კონკურენციაში იმყოფებიან, ისინი ცდილობენ მაქსიმალურად მორგებული, მობილური და ხელსაყრელი პირობები შექმნან, როგორც თანამშრომლებისთვის, ასევე მომხმარებელთათვის. მეტად საინტერესოა თუ რატომ სურს საზოგადოების ნაწილს საბანკო სფეროში მუშაობა, რა ასაკისა და გამოცდილების საზოგადოება მოღვაწეობს კონკრეტულ სექტორში და რა არის მათი მთავარი მოტივაცია და მიზანი.

კვლევის მიზანი და ამოცანებია გაირკვეს, თუ რატომ არის დასაქმებული მოსახლეობა საბანკო სფეროში, რა თავისებურებებითა და თვისებებით ხასიათდება კონკრეტული სექტორი, რატომ ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას საბანკო სექტორში მუშაობას და რამდენად მიმზიდველია საბანკო სფერო მოსახლეობისთვის.

კვლევის საგანს წარმოადგენს საბანკო სექტორი, საბანკო სფეროში მომუშავე ადამიანები, კომერციული ბანკები და საზოგადოების ნაწილი, რომლებიც მუშაობდნენ, მუშაობენ ან სურთ მუშაობის დაწყება საბანკო სექტორში.

**კვლევის მეთოდოლოგია**

ჩატარებული კვლევა ეფუძნება პირველადი და მეორეული მონაცემების შეგროვებასა და გაანალიზებას.

**კვლევის პირველ ეტაპზე** განხორციელდა საბანკო სექტორის შესწავლა და მათი ზოგადი დახასიათება. გაირკვა თუ რა როლს თამაშობენ ბანკები ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმების კუთხით და რა ფუნქციები გააჩნიათ მათ.

კვლევის მეორე ეტაპი მოიცავს პირველადი მონაცემების შეგროვებას და გაანალიზებას. პირველადი მონაცემების შეგროვება განხორციელდა რაოდენობრივი გამოკითხვის მეთოდით. საბანკო სფეროში დასაქმების თავისებურებების დადგენის მიზნით 2023 წლის 12 იანვარს ჩატარდა ემპირიული კვლევა კომპიუტერული პროგრამის „Microsoft Forms“-ის საშუალებით ელექტრონულად. კითხვარი, რომელიც 9 კითხვისგან შედგებოდა, გაიგზავნა კორპორაციულ მაილებზე. გამოკითხვა საბანკო სფეროში დასაქმებული 39 რესპონდენტი. გამოკითხვის პროცესში სრულად დაცული იყო ანონიმურობა, რესპონდენტებმა თავისუფლად შეძლეს საკუთარი აზრის დაფიქსირება. გამოკითხულთა შორის 69%-ს შეადგენდა ქალი, ხოლო 31%-ს მამაკაცი. რესპონდენტებიდან ყველაზე უმცროსი ასაკის ბანკის თანამშრომელი 19 წლის, ხოლო ყველაზე უფროსი 49 წლის გახლდათ.

## 1. საქართველოს კომერციული საბანკო სექტორის ზოგადი მიმოხილვა

კომერციული ბანკი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირია, რომელიც სხვა საქმიანობასთან ერთად იღებს დეპოზიტებს და თავისი სახელით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას.

1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელთა კრებამ მიიღო კანონი „საქართველოს ბანკის დაარსების“ შესახებ, 1920 წლიდან კი ამოქმედდა სახელმწიფო ეროვნული ბანკი.

2018 წლის 20 აგვისტოს შეიქმნა საქართველოს საბანკო ასოციაცია, რომელიც წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, აერთიანებს საქართველოში მოქმედ საბანკო და საფინანსო-საკრედიტო საქმიანობით დაკავებულ იურიდიულ პირებს, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია საქართველოს საბანკო სფეროსთან და გამოხატავს საქართველოს საბანკო საზოგადოების ინტერესებს.

კომერციული ბანკები მულტიფუნქციურ საქმიანობას ეწევიან როგორც საოპერაციო, ისე საკრედიტო კუთხით. ბანკებს შეუძლიათ ერთდროულად შემოგვთავაზონ შემდეგი მომსახურება: ანგარიშის გახსნა, ტრანზაქციების განხორციელება სადებეტო/საკრედიტო ბარათებით სარგებლობა, სესხის აღება და სხვა, თუმცა ბანკების საქმიანობა კანონითაა განსაზღვრული (ლიმიტირებული). ის მხოლოდ კანონმდებლობის შესაბამისად საქმიანობს. მათ ჩამონათვალში შედის:

- დეპოზიტების მოზიდვა;
- სესხების გაცემა, საერთაშორისო ტრანზაქციები, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გრანტების გაცემა;
- საკუთარი და კლიენტთა სახსრებით ფულადი საბუთების, ფასიანი ქაღალდების, სავალუტო ინსტრუმენტების, სავალო დოკუმენტების, უცხოური ვალუტის, ძვირფასი ლითონებისა და ქვების გაყიდვა;
- ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების განხორციელება;
- გადახდის საშუალებების გამოშვება;
- სატრასტო ოპერაციები;
- საკრედიტო მომსახურება;
- ქონების იჯარით გაცემა;
- საგადასახადო მომსახურების განხორციელება;
- სახსრების მოზიდვა და განთავსება;
- ქონების ლიზინგით გაცემა და ა.შ.

საბანკო სფერო მოწინავე სექტორია, რომელიც მომსახურების კუთხით ძალიან მიმზიდველი ჩანს როგორც მომხმარებლისთვის, ისე მომსახურე პერსონალისთვის. მისი მრავალფუნქციურობა მაღალ სტანდარტებთანაა დაკავშირებული.

დღეს საქართველოში სულ 14 ლიცენზირებული კომერციული ბანკია. მათ შორისაა:

- სს "პეისერა ბანკი საქართველო";
- სს "კრედიტ ბანკი";
- სს "იმ ბანკი საქართველო";

- სს "პაშა ბანკი საქართველო";
- სს "ხალიკ ბანკი საქართველო";
- სს "ტერა ბანკი";
- სს "სილქ ბანკი";
- სს "პროკრედიტ ბანკი";
- სს "ზირაათ ბანკი საქართველო";
- სს "ბანკი ქართუ";
- სს "საქართველოს ბანკი";
- სს "ბაზისბანკი";
- სს "ლიბერთი ბანკი";
- სს "თიბისი ბანკი".

საქართველოში კომერციულმა ბანკებმა 2022 წელს 12 თვის განმავლობაში 1.97 მილიარდი ლარის წმინდა მოგება გამოიმუშავეს. მოგების დიდი წილი “თიბისისა” და “საქართველოზე” მოდის. კომერციული ბანკები ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. ისინი არა მხოლოდ აწვდიან მომხმარებელს აუცილებელ სერვისს, არამედ ხელს უწყობენ ბაზარზე კაპიტალისა და ლიკვიდურობის შექმნას. კომერციული ბანკები დიდ როლს თამაშობენ წარმოების, დასაქმებისა და სამომხმარებლო ხარჯების ზრდაში, რითაც ასტიმულირებენ ეკონომიკას. კომერციული ბანკების მაკონტროლებელი ორგანო ცენტრალური ბანკია. შესაბამისად, კომერციული ბანკები რეგულირდებიან ეროვნული ბანკის მიერ.

## 2. ბანკში მუშაობის უპირატესობები და ნაკლოვანებები

საზოგადოებისთვის ბანკში მუშაობა მომხიბვლელად გამოიყურება, რადგან საბანკო სფერო დაკავშირებულია კარიერულ წინსვლასთან, დასაქმების სიმარტივესთან, დარგის მიმზიდველობასთან, გამოცდილების შექმნასთან, მაღალ ანაზღაურებასთან. საბანკო სექტორს გააჩნია როგორც უპირატესობები, ასევე ნაკლოვანებები.

ბანკში მუშაობის უპირატესობებია:

**შესაძლებლობების ფართო არჩევანი** — ბანკი შედგება სხვადასხვა სახისა და დონის დეპარტამენტებისა და განყოფილებებისგან. საბანკო სექტორი გამოირჩევა სამუშაოს მრავალფეროვნებით. ბანკში დასაქმება შეიძლება ნიშნავდეს მუშაობას სათავო ოფისში, მარკეტინგის სფეროში, ეკონომიკურ განყოფილებაში, HR განყოფილებაში, საკრედიტო თუ საოპერაციო განყოფილებაში და ა.შ.

**პროგრესი, კარიერა** — საბანკო სექტორი გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და შესაძლებლობებით, ყოველთვის არის შანსი კარიერული წინსვლისა და განვითარების. რამდენიმეწლიანი გამოცდილების შემდეგ დაწინაურების შესაძლებლობა დიდია, რადგან ორგანიზაციები და კომპანიები გამოცდილ კადრებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

**სარგებელი** — ბანკის თანამშრომლები შეღავათებითა და უპირატესობებით სარგებლობენ. მათ შორისაა ისეთი მომსახურება, როგორცაა კერძო ჯანდაცვა, ფასდაკლებები იპოთეკურ სესხებსა და სამომხმარებლო სესხებზე, საკრედიტო ბარათებზე, დეპოზიტებზე ა.შ.

**პრესტიჟი** — საბანკო საქმიანობა საზოგადოებაში აღიქმება სასურველად პრესტიჟულად, უსაფრთხოდ და სტაბილურად.

ბანკში მუშაობის ნაკლოვანებები:

**დაუცველობა** — საბანკო სექტორი ხასიათდება თანამშრომელთა დენადობით, რაც საფრთხეს უქმნის კარიერულ წინსვლას. შემოდგომა მოვიყვანო რამდენიმე მაგალითი ამ ფაქტთან დაკავშირებით, 2022 წელს ვითიბი ბანკი ბაზის ბანკის მფლობელობაში გადავიდა, ნაწილი თანამშრომლებისა სამუშაოს გარეშე დარჩნენ, რადგან ახალი სამუშაო პირობები და გარემო მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მსგავსი სიტუაცია შეიქმნა 2021 წელს, როდესაც ფინკა ბანკი შეისყიდა კრედო ბანკმა.

**სტრესული გარემო** — მომსახურების სფერო დაკავშირებულია სტრესთან. ფულთან დაკავშირებული საკითხები ადამიანთა უმრავლესობისთვის მგრძობიარე თემაა. სტაბილურობისთვის აუცილებელია ძლიერი მოთმინების უნარი და ნებისყოფა.

**შრომის დაბალი ანაზღაურება და ბუნდოვანება** — შრომის ანაზღაურება საბანკო სფეროში მცირე და არა სახარბიელოა. ხელფასის შესახებ ინფორმაცია ბუნდოვანია ვაკანსიებშიც, ხშირად მითითებულიც არ არის. მაგალითისთვის შეიძლება განვიხილოთ ლიბერთი ბანკის ვაკანსია Digital კონსულტანტი. ვაკანსია ვებგვერდზე განთავსდა 03.01.2023 წელს (იხ. ვაკანსია N1).

**ვაკანსია N1 - ლიბერთი ბანკის ვაკანსია**

<b>ადგილმდებარეობა</b>	ქუთაისი, წყალტუბო, ხონი, ვანი, სამტრედია, საჩხერე, ჭიათურა, ტყიბული, ლენტეხი, ცაგერი
<b>სამუშაო გრაფიკი</b>	სტუდენტებზე მორგებული 4-საათიანი სამუშაო გრაფიკი. ჩვენ ვიწვევთ სამუშაოდ წარმატებულ სტუდენტებსა და ახალ კურსდამთავრებულებს; ასევე კარიერის საწყის ეტაპზე მყოფ უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდებს. Digital კონსულტანტის პოზიცია ბანკში დასაქმების პირველი და მნიშვნელოვანი ეტაპია. ეტაპია, რაც "ლიბერთიში" რეალური კარიერული წინსვლის პირობაა.
<b>ძირითადი მოთხოვნები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული/დამამთავრებელი კურსის, მაგისტრატურის სტუდენტები;</li> <li>• ქართული ენის სრულყოფილად ცოდნა და გამართული მეტყველება;</li> <li>• მნიშვნელოვანია უცხო ენების: ინგლისური და რუსული ენების ცოდნა;</li> <li>• კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) ცოდნა.</li> </ul>
<b>ძირითადი ფუნქციები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მომხმარებელთა სწრაფი, ეფექტური და თავაზიანი მომსახურება;</li> <li>• მომხმარებელთა დახმარება ავტომატიზებულ სისტემებთან მუშაობისას: რიგის მართვის სისტემა, სწრაფი გადახდის აპარატები და ბანკომატები;</li> <li>• თითოეულ შემოსულ მომხმარებელთან კომუნიკაცია; მოთხოვნების განსაზღვრა და მათთვის საორიენტაციო სამსახურის გაწევა: გადამისამართება, მარშრუტის განსაზღვრა;</li> <li>• მომხმარებელთათვის პირველადი კონსულტაციის გაწევა, შესთავაზოს კლიენტებს საბანკო პროდუქტები და განახორციელოს კლიენტთა შეუფერხებელი და დროული მომსახურება;</li> <li>• დაიცვას ბანკთან და კლიენტთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.</li> </ul>
<b>პროფესიული უნარ-ჩვევები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კომუნიკაბელურობა;</li> <li>• მომხმარებელთა ეფექტურად და თავაზიანად მომსახურების უნარ-ჩვევები;</li> <li>• ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის უნარი;</li> <li>• გამართული მეტყველება;</li> <li>• გუნდურობა;</li> <li>• სიახლეების სწრაფად ათვისების უნარი.</li> </ul>

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ ლიბერთი ბანკის ვებგვერდის მონაცემების მიხედვით <https://www.jobs.ge/ge/?view=jobs&id=426049>

განაცხადში ნათლად ჩანს, რომ ძირითად აქცენტი გაკეთებულია შემდეგ უნარ-ჩვევებზე: კომუნიკაბელურობა, გამართული მეტყველება, გუნდურობა, თავაზიანი მომსახურება, ქართული ენის სრულყოფილად ცოდნა. ვფიქრობ, ერთ-ერთ ნაკლოვანებად უნდა გამოვყო

**პროფესიული განათლების** ნაკლებად მოთხოვნა. პრაქტიკამ აჩვენა რომ, ბანკში მომუშავე ადამიანების ნაწილი სულაც არ არის საბანკო-საფინანსო სექტორში გათვითცნობიერებული. ისინი პროფესიით სულაც არ არიან ეკონომისტები, ფინანსისტები, ბიზნესადმინისტრირების სპეციალისტები. ეს კი კარგად ჩანს კვლევაში, რომელსაც დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ. დამატებით მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ კრედო ბანკის ვაკანსია, რომელიც ვებგვერდზე განთავსდა 05.01.2023 წელს, სადაც უმაღლესი განათლება ეკონომიკასა და ფინანსებში არა სავალდებულო, არამედ სასურველია, ყურადღება კი გამახვილებულია ზოგად უნარებზე. ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია აქაც უცნობია (იხ. ვაკანსია N2):

**ვაკანსია N2 - კრედო ბანკის ვაკანსია**  
**სამუშაო ადგილი: სამტრედია**

<p><b>ბანკის შემოთავაზება:</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>•სასიამოვნო, დინამიკურ და გუნდურ სამუშაო გარემოს;</li> <li>•პროფესიული ტრენინგებსა და მასტერკლასებს;</li> <li>•კორპორატიულ ღონისძიებებს;</li> <li>•ჯანმრთელობის დაზღვევას;</li> </ul> <p>გუნდში ვეძებთ მოტივირებულ, განვითარებაზე ორიენტირებულ, პოზიტიურ კანდიდატს. გვაჩვენე მოტივაცია, გაიარე შერჩევის ეტაპები, იყავი წარმატებული შენს საქმეში და გახდი პროფესიონალი საბანკო ინდუსტრიაში.</p> <p>ძირითადი ფუნქცია-მოვალეობები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>•კრედოში არსებული საკრედიტო და არასაკრედიტო პროდუქტებისა და საბანკო სერვისების შეთავაზება და გაყიდვა;</li> <li>•კლიენტების კონსულტაცია და დახმარება საბანკო დოკუმენტაციის შევსებაში;</li> <li>•კლიენტებისთვის ვადიანი ანაზღაურებისა და ანგარიშების გახსნა და მათთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა;</li> <li>•კლიენტებთან პირველადი გასაუბრების ჩატარება და სასესხო განაცხადის დარეგისტრირება;</li> <li>•სესხის გაცემასთან და დაფარვასთან დაკავშირებული პროცედურების შესრულება;</li> <li>•ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ნაღდი ფულის შემოტანის/გატანის, კონვერტაციის მომსახურების გაწევა, ნებადართულ ვალუტებში ლიმიტების შესაბამისად;</li> <li>•სალარო და სავალუტო საგადახდო დავალებების მიღება და შესრულება;</li> <li>•უნაღდო კონვერტაციების შესრულება კლიენტისგან მიღებული განაცხადის საფუძველზე;</li> <li>•სამუშაო ადგილისთვის აუცილებელი მატერიალურ/ტექნიკური ბაზის გამართულად მუშაობის კონტროლი;</li> <li>•კლიენტის პერსონალური მონაცემებისა და ორგანიზაციის კომერციული საქმიანობის კონფიდენციალურობის დაცვა.</li> </ul>
<p>მოთხოვნები <b>ცოდნა, კვალიფიკაცია და უნარი</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>•<b>სასურველია</b> უმაღლესი განათლება (ეკონომიკა, ფინანსები, საბანკო საქმე);</li> <li>•საოფისე პროგრამების ცოდნა (MS Word, Excel);</li> <li>•ქართულ ენაზე ეფექტური წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;</li> <li>•სასურველია რუსული და ინგლისური ენების ცოდნა;</li> <li>•ანალიტიკური აზროვნება და დეტალებზე ორიენტირებულობა;</li> <li>•ძლიერი ორგანიზაციული უნარი;</li> <li>•გუნდში მუშაობის უნარი;</li> <li>•სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი;</li> <li>•განვითარების მაღალი მოტივაცია.</li> </ul>

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ კრედო ბანკის ვებგვერდის მონაცემების საფუძველზე <https://www.jobs.ge/ge/?view=jobs&id=427931>



**3. ემპირიული კვლევის შედეგები და ანალიზი**

გამოკითხვის მიზანი იყო დაგვედგინა, თუ რა პროფესიის ადამიანები მუშაობენ საბანკო სფეროში, როგორია ასაკობრივი სტრუქტურა და რამდენად სასურველი და მიმზიდველია საბანკო სექტორი. სულ გამოკითხა ბანკში დასაქმებული 39 ადამიანი. კითხვარი სრულად ანონიმურია, რესპოდენტებმა შეძლეს თავისუფლად დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრება.

გამოკითხულთაგან 27 ქალია, 12 კი მამაკაცი. ასაკობრივი სტრუქტურით თუ განვიხილავთ, ჭარბობენ 22 წლის თანამშრომლები, რომლებიც გამოკითხულთა 23% შეადგენენ. მათ უმრავლესობას ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრიატი აქვთ დამთავრებული და მთავარ მიზანს გამოცდილების მიღება წარმოადგენს. გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ უფროსი ასაკი 49 წელია (5%), ისინი 10 წელზე მეტია ბანკში მუშაობენ.

**დიაგრამა N1 - სქესობრივი დიაგრამა**


**1. სქესი**



წყარო: კითხვარი „დასაქმების თავისებურებები საბანკო სფეროში“ [2].

განათლების კუთხით თუ განვიხილავთ, დასაქმებულთა 43% ბაკალავრია 25% კი — მაგისტრი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არცერთი დასაქმებული არ სწავლობს დოქტორანტურის მიმართულებით და შესაბამისად არც დოქტორის სტატუსი აქვს. გამოკითხულთა უმრავლესობას ეკონომიკა, ფინანსები და ბიზნესადმინისტრირება აქვს დასრულებული ან სწავლის პროცესში არიან. კითხვარმა აჩვენა ისიც, რომ საბანკო სფეროში დასაქმებულთა ნაწილი პროფესიით ფილოლოგი, ინგლისური ენის სპეციალისტი და არქიტექტორია, ანუ საერთოდ არ აქვთ მიღებული განთლება საბანკო-საფინანსო კუთხით.

**დიაგრამა N2 - განათლება**



წყარო: კითხვარი „დასაქმების თავისებურებები საბანკო სფეროში“ [2].

ბანკში დასაქმებულთა 61%-ის მიზანი არის გამოცდილება და სამუშაო გარემო, კოლექტივი კი გამოკითხულთა 74% მოსწონს. გამოკითხულთა მხოლოდ 5%-ის, რომლებიც 10 წელზე მეტია მუშაობენ საბანკო სფეროში, მთავარი მოტივი მაღალი ანაზღაურებაა.

### დიაგრამა N3

რატომ მუშაობთ საბანკო სისტემაში/სფეროში ?

● მალე ანაზღაურება	4
● პრეტენზი	2
● გამოცდილება	24
● დასაქმების სიმარტივე	6
● სხვა შემთავაზებები გერკ...	3



რა მოგწონთ თქვენს სამსახურში (0 point)

● სამუშაო გარემო	12
● შრომის ანაზღაურება	2
● ხალხთან ურთიერთობა	17
● კოლექტივი	8



წყარო: კითხვარი „დასაქმების თავისებურებები საბანკო სფეროში“ [2].

დასაქმებულთა 41% მუშაობს ბანკში 1 თვიდან 1 წლამდე, რომელთა უმრავლესობა სტუდენტია ან ახალი დამთავრებული აქვს ბაკალავრიატი. გამოკითხულთა მხოლოდ 15%-მა კითხვაზე, თუ რამდენი წელია მუშაობენ ბანკში, დააფიქსირა პასუხად „10 და მეტი“.

### დიაგრამა N4

რამდენი წელია მუშაობთ ბანკში ?

● 1 თვიდან 1 წლამდე	16
● 1-4 წელი	13
● 4-7 წელი	2
● 7-10 წელი	2
● 10 და მეტი	6



წყარო: კითხვარი „დასაქმების თავისებურებები საბანკო სფეროში“ [2].

რაც შეეხება ბანკში მუშაობით კმაყოფილებას, მონაცემები მოცემულია დიაგრამა N5-ში.

### დიაგრამა N5

რამდენად მოგწონთ საბანკო სფეროში მუშაობა ?

● მომწონს	17
● ნეიტრალური	11
● არ მომწონს	11



წყარო: კითხვარი „დასაქმების თავისებურებები საბანკო სფეროში“ [2].

როგორც კვლევამ აჩვენა, რესპონდენტთა 43% მოსწონს საბანკო სფეროში მუშაობა, 28,5% კი არ მოსწონს, დანარჩენი ნაწილი ნეიტრალურად აფასებს ბანკში მუშაობას.

## დასკვნა

საბანკო სფერო მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. მოსახლეობას ბანკში მუშაობა არა მხოლოდ ანაზღაურებისთვის, არამედ გამოცდილებისა და კარიერული წინსვლისთვის სურს, მოსწონთ ხალხთან ურთიერთობა, კოლექტივი და პრესტიჟულობა.

კვლევამ აჩვენა საზოგადოების გარკვეული ნაწილის ძირითადი მიზანი და ამოცანები, თუ რატომ სურთ მათ ბანკში მუშაობა, რა ასაკობრივი კატეგორიაა დაინტერესებული კონკრეტულ სექტორში კარიერული განვითარების გზის გავლით და რა არის მათი მთავარი მოტივი.

როგორც ზემოთ დავინახეთ, საბანკო სფეროს მრავალმხრივი და მრავალფუნქციური მოთხოვნები აქვს წაყენებული დასაქმებულთა და სამსახურის მამიებელთათვის. მათ შორისაა პროფესიული განათლება საბანკო მიმართულებით, გუნდური მუშაობის უნარი, ინდივიდუალურობა, სტრესულ გარემოში მუშაობა, კომუნიკაბელურობა, ლიდერობა.

საბანკო სექტორი ერთ-ერთი სწრაფად მზარდი კონკურენტუნარიანი მომსახურების სფეროა, სადაც ერთმანეთის გვერდით მუშაობენ როგორც გამოცდილი, ისე გამოუცდელი კადრები. საბანკო სფეროში დაცულია გენდერული თანასწორობა, თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით სარგებლობენ როგორც ქალები, ისე მამაკაცები.

კომერციული ბანკები ერთგვარად მასტიმულირებელ როლს თამაშობს ქვეყნისთვის, ქმნიან სამუშაო ადგილებს, ხელს უწყობენ ფულის მიმოქცევას და მომსახურებას უწყვეტ საერთაშორისო დონის ოპერაციებს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბანკის ისტორია. საქართველოს ეროვნული ბანკი - <https://nbg.gov.ge/about-us/bank-history>
2. კითხვარი — დასაქმების თავისებურებები საბანკო სფეროში - [https://forms.office.com/Pages/AnalysisPage.aspx?AnalyzerToken=BCPBpk2WZJgtQQOVaa2fLu2nuL8k95Bk&id=8YeZnJ0ve0aW\\_6jCYRmcpkYqeOtGpp9BsY-2Ye1M4ZIUNFA0R1FCNU1ZWUZTSzFCRIJZRVSzNmzOS4u](https://forms.office.com/Pages/AnalysisPage.aspx?AnalyzerToken=BCPBpk2WZJgtQQOVaa2fLu2nuL8k95Bk&id=8YeZnJ0ve0aW_6jCYRmcpkYqeOtGpp9BsY-2Ye1M4ZIUNFA0R1FCNU1ZWUZTSzFCRIJZRVSzNmzOS4u)
3. ლიბერთი ბანკის ვაკანსია -<https://www.jobs.ge/ge/?view=jobs&id=427931>
4. კრედო ბანკის ვაკანსია - <https://www.jobs.ge/ge/?view=jobs&id=426049>
5. მარიამ საჩქელაშვილი. 2021 წელი, ივანე ჯავახიშვილის სახელწიფო უნივერსიტეტი. საბანკო სექტორი საქართველოში <https://geoeconomics.ge/?p=13779>
6. საქართველოს საბანკო ასოციაცია. <http://www.association.ge/>
7. კომერციული ბანკები <https://www.finedu.gov.ge/ge/komertsiuli-banki-1>
8. What attracts people to work in bank [https://www.google.com/search?sxsrf=AJOqlzWcqkweILNt6\\_b6cvZuPi\\_F71n5MQ:1673204766801&q=what+attracts+people+to+work+in+bank&spell=1&sa=X&ved=2ahUKEwix14u-1bj8AhVM6qQKHe4aDOgQBSgAegQICBAB&biw=1366&bih=657&dpr=1](https://www.google.com/search?sxsrf=AJOqlzWcqkweILNt6_b6cvZuPi_F71n5MQ:1673204766801&q=what+attracts+people+to+work+in+bank&spell=1&sa=X&ved=2ahUKEwix14u-1bj8AhVM6qQKHe4aDOgQBSgAegQICBAB&biw=1366&bih=657&dpr=1)
9. Why work in a banking? “ <https://www.insidecareers.co.uk/career-advice/why-go-into-banking/#:~:text=Working%20in%20banking%20offers%20a,public%20faith%20in%20the%20industry.>
10. Advantages and disadvantages of working in a bank- <https://clearcheck.co.uk/advantages-and-disadvantages-of-working-in-a-bank/>
11. 8 Pros and Cons of Being a Bank Teller, By Indeed Editorial Team Published November 10, 2021 <https://www.indeed.com/career-advice/finding-a-job/pros-and-cons-of-being-bank-teller>
12. Why a Career in Banking? <https://www.banktalenthq.com/job-seeker/why-a-career-in-banking/>
13. Top 10 Banking Industry Challenges — And How You Can Overcome Them, by Landy Wingard <https://global.hitachi-solutions.com/blog/top-10-challenges-banking-financial-organizations-can-overcome/>
14. Georgian Banking Sector Overview 2022 chrome-extension://efaidnbmnmbpcjpcglclefindmkaj/<https://assets.kpmg/content/dam/kpmg/ge/pdf/2022/georgian-banking-sector-overview-Q1-2022.pdf>

**PECULIARITIES OF EMPLOYMENT IN THE BANKING SECTOR**

**Abstract**

The paper presents a general overview of the commercial banking sector of Georgia, discusses what the banking sector is for the country's economy and what importance it has for society and the state. Also, there are highlighted advantages and disadvantages of working in the bank. In the process of working on the topic, research was conducted electronically through the computer program "Microsoft Forms". The results of the empirical research were analyzed and conclusions were drawn based on the analysis.

**Keywords:** *Commercial banking sector of Georgia, Banking sector, Employment in the bank, Empirical research, Labor market.*

# სექტორული და რეგიონული ეკონომიკის სექტორი SECTOR OF SECTORAL AND REGIONAL ECONOMIES

Вахтанг Бурдули

## МЕХАНИЗМЫ ГРАБЕЖА ПРОИЗВОДСТВЕННОЙ СОБСТВЕННОСТИ В ПОСТКОММУНИСТИЧЕСКИХ СТРАНАХ

**Аннотация.** Данная статья является логическим продолжением статьи [Бурдули В., 2023], в которой, в частности, исследуются процессы замещения (в разные глобализационные периоды в некоторых странах) национальных «элит» финикийскими, то есть еврейскими, причем, в определенной степени пун-вампирами, «элитами». В статье рассмотрены предшествующие события, способствовавшие в конечном итоге замещению властных структур пун-вампирами, а также процессы захвата ими (и, немного, прислуживающими им поджидовками) за бесценок производственной собственности и сельскохозяйственных угодий в странах постсоветского пространства (в основном в РФ), разграбления ими ресурсов и размещения полученных от их продажи за рубежом валютных доходов в основном в зарубежных депозитариях, приобретения там недвижимости, акций и т. д.

**Ключевые слова:** пун-вампиры (упыри); good-пуны; жидо-масоны; перехват управления; жидизация управленческих структур; жидо-олигархи; насаждение мракобесия; девальвация образования; «приватизация»; свёртывание конкурирующих производств; кабальные условия заключения сделок с жидо-«инвесторами» по правилам уже завершившейся гиперглобализации

### Введение

- მეოთხე პერიოდში (1930–1990 წწ.) ვითარდება მასობრივი წარმოება (ე.წ. ფორდიზმი);
- მეხუთე პერიოდში (1990 წლებიდან დღემდე) ვითარდება ინფორმაცია და კომუნიკაცია.

შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენებით ტექნიკურ-ეკონომიკური პარადიგმების შესწავლამ ისტორიულ კონტექსტში შესაძლებლობა მოგვცა შემოგთავაზოთ შემდეგი დასკვნები:

ტექნიკურ-ეკონომიკური პარადიგმები მოიცავს განვითარების ხუთ პერიოდს. ტექნიკურ-ეკონომიკური პარადიგმის ძირითადი ფაქტორი არის ადამიანისეული კაპიტალი და ინკლუზიური ხასიათის ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებიც ეფუძნებიან

ეკონომიკის ევოლუციურ განვითარებას. აღნიშნულ კონტექსტში დომინანტური მნიშვნელობის გახლავთ ენდოგენური ხასიათის ფაქტორები.

რეალური ეკონომიკის ეფექტიან მუშაობაზე, მისი ზრდის პერსპექტივებსა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოთა ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობა. რეალური ეკონომიკის ეფექტიანი მუშაობა ლოგიკურად განაპირობებს ღირებულების შექმნის გლობალურ ჯაჭვებში ჩართვას [May, Улюкаев, 2014, сс. 4-24]. აღნიშნულ კონტექსტში მნიშვნელოვანი არის განვიხილოთ ტრანსაქციური ხარჯები. რაც უფრო ნაკლებია მისი დონე, მით უფრო მიმზიდველია ქვეყანა ტრანსნაციონალური კომპანიებისთვის. ტრანსაქციური ხარჯების დონე რომ დაბალი იყოს, ქვეყანა ჩართული უნდა იყოს დამატებული ღირებულების შექმნის გლობალურ ჯაჭვში, რასაც ძირითადად განსაზღვრავს ეკონომიკის რეალური სექტორი [Онищенко, 2015, сс. 9-10].

კაცობრიობა იმყოფება განვითარების პოსტინდუსტრიულ ფაზაში, სადაც გონება არის მთავარი საწარმოო ძალა. შესაბამისად ცოდნის ეკონომიკაში იქმნება მზარდი და მაღალლიკვიდური დამატებული ღირებულება. აღნიშნულ კონტექსტში შეიძლება ითქვას, რომ რეალისტური გახლავთ ვერნადსკის მოსაზრება – კაცობრიობა სულ მალე გადავა ნოოსფერულ განზომილებაში [Яцюк, 2015, с. 4].

პოსტინდუსტრიული კომპანიები აღიჭურვება ნანოტექნოლოგიებით, მძლავრი ალგორითმული პროგრამით უზრუნველმყოფი რობოტებით, ციფრული ტექნოლოგიებით. აღნიშნულმა ფაქტორებმა შესაძლოა გააიფოს წარმოებული პროდუქცია და ამავდროულად გამოიწვიოს დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება.

### დასკვნა

რეალური ეკონომიკის ზოგადი კრიტერიუმი არის მწარმოებლურობა. ეკონომიკის რეალურ სექტორში გაერთიანებული არის მწარმოებლური ბუნებისა და ფუნქციის მქონე ეკონომიკის დარგები და იქმნება მზარდი ხასიათის დამატებული ღირებულება.

რეალური ეკონომიკის განვითარების კანონზომიერებებს ძირითადად განსაზღვრავს ადამიანისეული კაპიტალი, კერძოდ კი – ცოდნის კაპიტალი.

თანამედროვე კომპანიები აღიჭურვება მაღალი ტექნოლოგიებით, რაც დროთა განმავლობაში გამოიწვევს წარმოებულ პროდუქციაზე ფასების კლებას და ამავდროულად დასაქმებულთა რაოდენობის მკვეთრ შემცირებას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აჯემოღლუ დ., რობინსონი ჯ., 2018. რატომ ვერ აღწევენ წარმატებას სახელმწიფოები. თბილისი, „ბაჩო ახალაიას სამხედრო-პოლიტიკური სკოლა“, 696 გვ.
2. EUROSTAT, 2008. *Statistical Classification of Economic Activities in the European Community*. NACE REV. 2. Luxembourg, European Communities, 369 p.
3. UN, 2008. *International Standard Industrial Classification of All Economic Activities*. Statistical Papers, Series M, No. 4/Re v.4. New York, United Nations, 306 p.
4. May B., Улюкаев А., 2014. Глобальный кризис и тенденции экономического развития. *Вопросы Экономики*, № 11, сс. 47-61.
5. Онищенко В. Ф., 2015. Реалии и возможности экономической стабилизации и развития Украины. *Экономика Украины*, № 7, сс. 4-18.
6. Яцюк А. В., 2015. Гражданское общество и формирование новой парадигмы социально-экономического развития в условиях глобализации. *Экономика Украины*, № 12. сс. 4-9.

*Tamar Dolidze*

### BASIC CRITERIA AND STAGES OF DEVELOPMENT OF THE REAL SECTOR OF THE ECONOMY

#### Abstract

As a result of analyzing the sectoral structure of the real economy developed by the United Nations and the European Union, we developed the structure of the fundamental sectors of the real economy. We

have determined the criteria of both the sectoral and economic nature of each industry. Based on the research, we determined the main stages and features of the development of the real economy, the definition of which is of fundamental importance, because the problems arising in the fields of the real economy can be solved rationally and consistently. Which will lead to the continuous and dynamic development of the real economy.

**Key words:** sectoral structure of the real economy, productivity, added value, techno-economic paradigm.

მარინა ენდელაძე  
ნათია წიკლაური

### COVID-19-ის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე და სახელმწიფო ინვესტიციები ჯანდაცვის სისტემაში

**ანოტაცია.** მსოფლიო პანდემიის კრიზისის დასაძლევად პრიორიტეტებად მოიაზებოდა ის ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფდა სწრაფ გადასვლას ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სისტემების გაძლიერებაზე, კერძო სექტორის ხელშეწყობაზე, ფინანსური სტაბილურობისა და ნდობის შენარჩუნებაზე, რაც უკიდურესად მნიშვნელოვანი იყო ადამიანთა სიცოცხლისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** დარგობრივი პოლიტიკა, ჯანდაცვა და სოციალური დაცვა.

მსოფლიოში კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა როგორც ქვეყნის ეკონომიკას, ასევე ჯანდაცვის სისტემასაც. ეკონომიკური კრიზისის საწინააღმდეგოდ ერთადერთი საბრძოლო ბერკეტი საბიუჯეტო სახსრები აღმოჩნდა. ეკონომიკური კრიზისის პირობებში თითქმის ყველა ქვეყანამ მიმართა გადასახადების შედარებით ლიბერალიზაციას.

კოვიდ-19-ის პანდემიის ზემოქმედების შესამცირებლად მნიშვნელოვანი იყო ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ჯანდაცვის სისტემაში ინვესტიციების პრიორიტეტულობას განსაზღვრავდა და მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი ყველაზე მოწყვლადი პირებისთვის სოციალურ დახმარებას უზრუნველყოფდა. განსაკუთრებულად რთულ დროს, აუცილებელ გადაწყვეტ პრიორიტეტებად მოიაზებოდა ის ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფდა სწრაფ გადასვლას ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სისტემების გაძლიერებაზე, კერძო სექტორის ხელშეწყობაზე, ფინანსური სტაბილურობისა და ნდობის შენარჩუნებაზე, რაც უკიდურესად მნიშვნელოვანია ადამიანთა სიცოცხლისთვის [3].

პროგნოზები COVID-19-ით გამოწვეულ ეკონომიკურ სირთულეებთან დაკავშირებით გაურკვეველი აღმოჩნდა. ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში 2020 წელს ეკონომიკური ვარდნისა და ზრდის მაჩვენებელი მოექცა -4.4 და -2.8 პროცენტს შორის. 2021 წელს დარგობრივი პოლიტიკის ღონისძიებების გატარების, სასაქონლო ფასების თანდათანობითი აღდგენისა და ვაჭრობის გაძლიერების შედეგად მოხდა მათი თანდათანობით გაზრდა. საჭირო გახდა „სოციალური დისტანცირება. არაარსებითი მნიშვნელობის მქონე კომპანიებისა და სკოლების დახურვა საჭირო ღონისძიებებია პანდემიის გავრცელების შესაჩერებლად და ადამიანთა სიცოცხლის გადასარჩენად [4]. ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორცაა ფულადი ტრანსფერები, ჯანდაცვის სუბსიდიები, მოსახლეობისა და ოჯახების დახმარება, ასევე მოკლევადიანი ბიზნესსესხები და კომპანიებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესება მნიშვნელოვანია ეკონომიკური ვარდნის შესამსუბუქებლად და სამუშაო ადგილების შესანარჩუნებლად. ასევე საჭიროებს მცირე და საშუალო საწარმოები სარგებლის მიღებას მიზნობრივი სახელმწიფო სუბსიდიებიდან.

საქართველოში მშპ-ის რეალური ზრდა, პროგნოზის თანახმად, მკვეთრად შემცირდა და 2020 წელს ნულოვან პროცენტს მიუახლოვდა, რამდენადაც COVID-19-ის ზემოქმედება დაემატა გამოწვევებით ისედაც აღსავსე საგარეო მდგომარეობას. იგი ნაწილობრივ შერბილდა ფისკალური სტიმულირებით, მშპ-ის დაახლოებით 2%-ით კაპიტალური ხარჯვის სიჩქარის

შეკავებით, საგადასახადო დავალიანების დაფარვის გადავადებით, დღგ-ის დაბრუნების დაჩქარებით, დარგობრივი მხარდაჭერის აღმოჩენით ზემოქმედების ქვეშ მყოფი საწარმოებისთვის და სოციალური ხარჯების ზრდით. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად ფისკალურმა დეფიციტმა 2020 წელს მშპ-ის 5.2 პროცენტი შეადგინა. ეკონომიკაზე მწვავე ზემოქმედება იქონია რამდენიმე ფაქტორმაც – სატრანსპორტო შეზღუდვების გავლენამ მოგზაურობაზე და ტურიზმზე, შემაკავებელმა ღონისძიებებმა კი შეამცირა ადგილობრივი მოთხოვნები [2].

მსოფლიო ბანკმა განახორციელა სწრაფი რეაგირება განვითარებადი ქვეყნების დასახმარებლად პანდემიაზე რეაგირების გამძლიერების მიზნით დაავადებებზე დაკვირვების გასაზრდელად, ჯანდაცვის ინტერვენციების გასაუმჯობესებლად და კერძო სექტორის ხელშესაწყობად ოპერირებაში და სამუშაო ადგილების შენარჩუნებაში. მსოფლიო ბანკმა ფინანსური დახმარების სახით დაახლოებით 160 მლრდ. აშშ დოლარი გამოიყენა მომდევნო 15 თვის განმავლობაში ქვეყნების ხელშესაწყობად, ღარიბი და სოციალურად დაუცველი ოჯახების დასაცავად, კომპანიების მხარდასაჭერად და ეკონომიკის აღდგენის გასამძლიერებლად.

მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდა გახდა ნეგატიური (5%). მიმდინარე კრიზისის გაღრმავების ფონზე, ასევე სამუშაო ადგილების შენარჩუნების წახალისების მიზნით, საგადასახადო შეღავათების გათვალისწინებით ბიუჯეტის მხოლოდ საგადასახადო შემოსავლები შემცირდა 1.3 მლრდ ლარით. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში დამატებითმა საჭიროებებმა 1.6 მლრდ ლარს მიაღწია. საერთო ჯამში, 2020 წლის ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის 9.1%-მდე გაიზარდა. კრიზისის საპასუხოდ განხორციელდა საერთაშორისო დახმარების სწრაფი მობილიზება და 1.7 მლრდ აშშ დოლარის დამატებითი სახსრების მოზიდვა. აღნიშნული რესურსები მიმართული იყო, შემცირებული საბიუჯეტო შემოსავლებისა და ანტიკრიზისული ღონისძიებებით გათვალისწინებული ხარჯების დასაფინანსებლად [5]. სახელმწიფო ვალმა მშპ-სთან მიმართებით მიაღწია 59.9 [3].

კრიზისის გლობალური ხასიათიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად გაუარესდა მდგომარეობა საქსპორტო ბაზრებზე, რის შედეგადაც შემცირდა საქართველოდან ექსპორტი. კრიზისმა გავლენა მოახდინა შემოსავლების სხვა წყაროებზეც, განსაკუთრებით ტურიზმის სექტორზე. შედეგად, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-სთან მიმართებით გაიზარდა 9.7%-მდე. 2021-2024 კრიზისის ფონზე, მნიშვნელოვნად შემცირდა ეკონომიკური აქტივობა. შოკი იყო ორმხრივი როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების მხრიდან. ბიზნესების ნაწილს შეექმნა მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, დაიკარგა სამუშაო ადგილები. აგრეგირებული მოთხოვნის კლება, უმუშევრობის ზრდა (როგორც დროებითი, ასევე გრძელვადიანი), სიღარიბის ხარისხისა და სიმწვავის გაუარესება, წნეხი ეროვნულ ვალუტაზე, ტურისტული შემოსავლებისა და ფულადი გზავნილების კლება – ეს ყველაზე ხილული ეკონომიკური ეფექტებია, რომლებსაც საქართველოს მოსახლეობა უკვე გრძნობდა.

კოვიდ-19-ის ეკონომიკური ეფექტი სერიოზულ გავლენას ახდენდა საგარეო ვაჭრობის ტენდენციებზე. საერთაშორისო ვაჭრობაზე მაღალი რისკის მქონე ქვეყნების ეკონომიკური პრობლემები, დიდი ალბათობით, გავლენას ახდენდა მათ მთავარ პარტნიორებზე აგრეგირებული მოთხოვნის შემცირების გზით.

საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობას პანდემიის ეფექტის ნიშნები თებერვლიდან დაეტყო და ეს ივნისშიც გაგრძელდა. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი შედარებით სტაბილურია, ვიდრე სხვა სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში. 2020 წლის იანვარ-ივლისში ექსპორტი ბულგარეთში, შვეიცარიასა და ესპანეთში გაიზარდა, შესაბამისად, 13.7%, 33.3% და 25.1%-ით. ექსპორტის ყველაზე მკვეთრი კლება აღინიშნა შემდეგ ქვეყნებში: სომხეთი (-44.7%), უკრაინა (-36.9%), აშშ (-46/6%), რუსეთი (-24.5%) და აზერბაიჯანი (-15.3%).

ეკონომიკაში, სადაც არაფორმალური დასაქმების როლი მნიშვნელოვანია, ხოლო დამოკიდებულება ყოველდღიურ ფულად შემოსავალზე მაღალი, სოციალური სიტუაციის გაუარესება საკმაოდ მძიმე ზეწოლას ახდენს. ფულადი გზავნილები მნიშვნელოვანი ინდიკატორია გარე სამყაროზე დამოკიდებულების შესაფასებლად. საქართველო მოწყვლადია

ეკონომიკური კრიზისების მიმართ, როდესაც ხდება: Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული ნეგატიური ეფექტების შემცირება, ეკონომიკური დანაკარგების მინიმიზაცია; პანდემიამდე არსებული პოზიტიური ტენდენციების აღდგენა და სწრაფი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა.

აღნიშნული მიიღწევა ფისკალური დისციპლინის, სახელმწიფოს მიერ დაზარალებული ეკონომიკური სექტორების ხელშეწყობის, ქვეყნის მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის მხარდაჭერისა და სოციალური დაცვის სისტემის ეფექტიანობის გაუმჯობესების ეტაპობრივი ღონისძიებებით, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში მთავარ პრიორიტეტად დარჩება ქვეყნის რეგიონული და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება; კონკურენტუნარიანი ადგილობრივი წარმოებისა და ექსპორტის ხელშეწყობა; შიდა და უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა. ზემოაღნიშნულის მისაღწევად უზრუნველყოფილი იქნება სტაბილური მაკროეკონომიკური ჩარჩო, გაუმჯობესებული ფისკალური დისციპლინა, სახელმწიფო ვალის ეტაპობრივი შემცირება, ფასების სტაბილურობა, მონეტარული პოლიტიკის დამოუკიდებლობა, ბიუჯეტის დეფიციტის ეტაპობრივი შემცირება [6]. ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობი მაკროეკონომიკური გარემოს შექმნისათვის აუცილებელი იქნება კოორდინირებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის განხორციელება, განსაკუთრებით, პოსტპანდემიურ პერიოდში. ამ მხრივ, აუცილებელია, ფისკალურ სტიმულებთან ერთად ამოქმედდეს მონეტარული პოლიტიკის მასტიმულირებელი ინსტრუმენტები, რათა მოხდეს შიდა ინვესტიციების ხელშეწყობა და სტიმულირების მასშტაბის ზრდა. ფისკალური პოლიტიკის განხორციელებასთან ერთად, მნიშვნელოვანი იქნება უცხოელი ინვესტორების მონაწილეობის ხელშეწყობა ადგილობრივ ბაზარზე, რაც გარკვეულწილად შეამცირებს საპროცენტო განაკვეთს და შექმნის დამატებით მონეტარულ სტიმულებს. მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნეს უმუშევრობის დაბალი დონე, რომელსაც შედეგად მოჰყვება უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა და სიღარიბის დაბალი დონის მიღწევა, დეფიციტის შემცირებული დონე და ეკონომიკური ზრდისა და შემოსავლების ზრდის მაღალი მაჩვენებელი, ეკონომიკის სტრუქტურული რეფორმების განხორციელება ეკონომიკური სტაბილურობის გასამდიერებლად, საქართველოს, როგორც ფართო რეგიონში წამყვანი რეფორმატორის, იმიჯის განმტკიცება. ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საგადასახადო მექანიზმის ოპტიმიზაციას, გადასახადების ფისკალურ და მასტიმულირებელ ფუნქციებს შორის რაციონალური თანაფარდობის დამყარებას, რაც დაგვეხმარება ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის დაძლევაში.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. მსოფლიო ბანკის მონაცემები [www.data.worldbank.org](http://www.data.worldbank.org) 7.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
3. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი CSR DG
4. International Monetary Fund Guidelines-for-Public-Expenditure-Management-Section-3-BudgetPreparation-2%20(3).html
5. დეველოპერული სექტორის მხარდაჭერის ანტიკრიზისული გეგმა. 2020. [http://gov.ge/print.php?gg=1&sec\\_id=288&info\\_id=76283&lang\\_id=GEO](http://gov.ge/print.php?gg=1&sec_id=288&info_id=76283&lang_id=GEO) 4.
6. კორონავირუსის შესაძლო გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე ქვეყნებისა და ეკონომიკის დარგების მიხედვით. 2020.

**THE IMPACT OF COVID-19 ON THE GLOBAL ECONOMY AND  
STATE INVESTMENTS IN THE HEALTHCARE SYSTEM**

**Abstract**

The global crisis caused by the Covid-19 pandemic has caused significant damage to both the country's economy and the healthcare system. Budgetary funds turned out to be a lever for fighting against the economic crisis.

To mitigate the impact of the Covid-19 pandemic, it was important to implement measures that prioritized investments in the health sector and provided social assistance to the population, especially the most vulnerable. Rapid transition to strengthening health and social protection systems, promoting the private sector, maintaining financial stability, which is extremely important for human life.

In overcoming the economic crisis, special importance is attached to the optimization of the tax mechanism, the establishment of a rational ratio between the fiscal and stimulating functions of taxes. In overcoming the economic crisis, optimization of the tax mechanism, establishment of a rational ratio between the fiscal and incentive functions of taxes is of particular importance. Which helped us to overcome the country's economic crisis.

გიორგი რიყვაძე

**ციფრული ტრანსფორმაციის როლი  
განახლებადი ენერჯის წყაროების ათვისებაში**

*ანოტაცია.* თანამედროვე სამყაროში დღითიდღე უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს განახლებადი ენერჯის წყაროების ათვისება, აღნიშნული ტრანსფორმაცია კი მნიშვნელოვანი გავლენის მატარებელია როგორც განვითარებადი, ასევე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, მათ შორის გამონაკლისს არ წარმოადგენს საქართველო, რომელიც აქტიურად გადის მსოფლიოში მიმდინარე, ტრანსფორმაციის, გარდაქმნებისა და სიახლეების ათვისების ყველა ეტაპს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენთვის აქტუალურ საკითხს წარმოადგენს საქართველოს განახლებადი (ქარისა და მზის) ენერჯის წყაროების ათვისებაში ციფრული ტრანსფორმაციის როლის გაანალიზება და შესაბამისი პოტენციალის წარმოჩენა.

*საკვანძო სიტყვები:* განახლებადი ენერჯია, ფოტოელექტროსადგურები, ციფრული ტრანსფორმაცია, დიგიტალიზაცია, ენერჯი ექსპორტი.

**შესავალი**

საქართველოს თავისი მდებარეობიდან გამომდინარე დიდი პოტენციალი გააჩნია ენერჯი ექსპორტის გარდაქმნის გზაზე განახლებადი ენერჯის წყაროების ათვისების თავალსაზრისით, თუმცა რეალობა დღეს სულ სხვაგვარია და საქართველოს ჰიდროელექტროსადგურების ჯერ კიდევ მცირე ნაწილი აქვს ათვისებული. ახლახან დაიწყო ასევე ისეთი არატრადიციული განახლებადი ენერჯის წყაროების ათვისება, როგორცაა ქარისა და მზის ენერჯიები. განახლებადი ენერჯის წყაროების ათვისება და გენერაციის ზრდა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყნის ენერჯეტიკული რესურსების სწორად გადანაწილებისა და ბაზრის დივერსიფიკაციის გზაზე, ამასთან მნიშვნელოვანია ამ პოტენციალის ათვისების პროცესში დიგიტალიზაციის პროცესის სწორად გამოყენება, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გზაზე.

თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ენერჯი ექსპორტი და განახლებადი ენერჯის წყაროების ათვისება. მეტი არატრადიციული განახლებადი ენერჯის დანერგვა გამოიწვევს კონკრეტული კომპანიების კონკურენტუნარიანობის ზრდას.

ამ თვალსაზრისით, დიგიტალიზაცია მოქმედებს მენეჯმენტის პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, რომელიც ახდენს პროცესების ოპტიმიზებას.

ეკონომიკური გარდაქმნის სრულ დამკვიდრებას დრო სჭირდება და ბევრი საწარმო კვლავაც მუშაობს მოძველებული მოწყობილობებით და ტექნოლოგიებით (მათ არ გააჩნიათ ინვესტირების რესურსები ახალ მოწყობილობებისთვის). ენერგოფასების ზრდასთან დაკავშირებით, ინვესტიციები ენერგოეფექტურობაში იძლევა საწარმოების მოდერნიზების და დანახარჯების კლების საშუალებას, ინვესტიციები ენერგოეფექტურობაში ამ ზეგავლენის შემცირების ვალდებულებების დემონსტრირებას ახდენს.

ინვესტიციების განხორციელება ენერგოეფექტური პროექტების დასაფინანსებლად სხვადასხვა საწარმოებში, შესაძლებელია იყოს შემდეგი გავლენის მატარებელი:

საწარმოებს შეუმცირდებათ ენერგოდანახარჯები, რაც პირდაპირი გავლენის მატარებელია ფინანსურ შემოსავლებზე. შემცირდება მგრძობელობა ენერგოფასების ცვლილებასთან დაკავშირებით, გაიზრდება კონკურენტუნარიანობის დონე, გაუმჯობესდება ხარისხი, რასაც თან მოყვება წარმოებისა და შემოსავლების ზრდა, ამასთან შემცირდება CO<sub>2</sub>-ის გამოყოფა, რაც მნიშვნელოვანია თანამედროვე გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით.

ენერგოეფექტურობის ინვესტიციების ძირითადი სარგებელი ემყარება მათ მიერ ელექტროენერჯიასა და ბუნებრივ აირზე მიღწეული დანახარჯების შემცირებას. ენერგოეფექტურობის ინვესტიციების უკუგების პერიოდი საკმაოდ ცვალებადია პროექტის ტიპიდან გამომდინარე და ძირითადად 1,5-დან 6 წლამდე პერიოდს მოიცავს, რაც შედარებით მცირე დროა სხვა კაპიტალურ ინვესტიციებთან შედარებით — ინვესტიციის უკუგების პერიოდი მცირდება რაც უფრო მაღალია ენერჯის ფასი და ენერგოდანახარჯი თითოეულ ინვესტირებულ დოლარზე.

განახლებადი ენერჯის პროექტში ჩადებული ინვესტიციის სარგებელია ის, რომ ინვესტიცია აგრძელებს იაფი, სუფთა და საიმედო ენერჯის მიღებას დაფინანსების ანაზღაურებიდან მრავალი წლის შემდეგაც.

ენერგეტიკის სექტორში მსოფლიო მასშტაბით განვითარებული მოვლენებისა და რყევების ფონზე განახლებადი ენერჯის წყაროების მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება. განახლებადი ენერჯის წყაროებიდან მიღებული ენერჯია, არა მხოლოდ ეხმარება ქვეყნებს, შეავსონ წარმოქმნილი ენერჯის დეფიციტი, არამედ წარმოადგენს კლიმატის ცვლილებების საპასუხოდ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც ემსახურება კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგობისა და სათბურის გაზების დაბალემისიანი განვითარების უზრუნველყოფის შესახებ პარიზის შეთანხმების გლობალური მიზნების მიღწევას. ამ ამბიციური მიზნების მისაღწევად და ემისიების მნიშვნელოვნად შესამცირებლად საჭიროა ფართომასშტაბიანი ინვესტიციების განხორციელება. შესაბამისად, დღის წესრიგში დგას მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების მოზიდვა, ახალი ტექნოლოგიური ჩარჩოების შექმნა და სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო აქტორებს შორის შესაძლებლობების გაძლიერება.

განახლებადი ენერჯის წყაროებში ინვესტიციების განხორციელებისა და დიგიტალიზაციის პროცესის ბენეფიტების მიუხედავად, არსებობს რიგი მიზეზები, რის გამოც ბევრი ბიზნესი თავს იკავებს ინვესტიციების განხორციელებაზე, მათ შორის შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მიზეზი: საწყის ეტაპზე ისინი ძირითადად წარმოების პროცესის ოპტიმიზაციით არიან დაკავებული და ნაკლებ დროს უთმობენ ენერგოეფექტურობის პროექტს.

ევროკავშირის გარემოსდაცვითი მიზნები მოითხოვს დიგიტალიზაციის მხარდაჭერას როგორც ელექტროენერჯის წარმოებაში, ასევე ერთმანეთთან დაკავშირებული ელექტროსისტემების მართვაში. თუმცა ცვალებადობა, რომელიც ახასიათებს განახლებადი ენერჯის წარმოების ტექნოლოგიებს, როგორცაა ქარი და ფოტოელექტროსადგურები, აუცილებელს ხდის ინფორმაციის მიღებას, დამუშავებას და გადაცემას დიდი მოცულობითა და მაღალი სიჩქარით. სწორედ აქ ჩნდება გამოწვევები.

Bloomberg Media-ის მიერ გაკეთებული შეფასებიდან ვხედავთ პოზიტიურ გზავნილებს საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა ნიშნავს, რომ საქართველო ითამაშებს მზარდ როლს საერთაშორისო ენერგომომარაგებაში. შავი ზღვის ახალი ელექტროსაკაბელო პროექტი კავკასიის ელექტროსისტემებს ევროპის კონტინენტთან დააკავშირებს. 1195-კილომეტრიანი



წყალქვეშა კაბელი, რომელიც 2029 წელს ამოქმედდება, საქართველოს ელექტროენერჯის ჰაბად გადააქცევს და ევროკავშირის შიდა ელექტროენერჯის ბაზარზე გააერთიანებს.

ასევე აქ ნათქვამია, რომ ინვესტორები აშკარად წახალისებული არიან — პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოში 2022 წელს გადააჭარბა ყველა დროის მაქსიმუმს და 2 მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც ნიშნავს 61%-იან ზრდას 2021 წელთან შედარებით. 2022 წელს ესპანურმა Aqualia-მა, რომელიც არის მესამე უმსხვილესი კერძო წყალმომარაგების კომპანია ევროპაში, 180 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა, რაც მოზიდული იყო ქვეყნის ძლიერი საინვესტიციო პოლიტიკისა და გატარებული ღონისძიებების შედეგად.

Bloomberg Media-ის 2022 წელს ჩატარებულმა საკუთარმა კვლევამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მთავარმა საერთაშორისო ინვესტორებმა, საქართველო მე-13 ყველაზე პოპულარულ საინვესტიციო ადგილად დაასახელა მსოფლიოს მთავარ ეკონომიკებს შორის, მათ შორისაა აშშ და ჩინეთი. გამოიკვეთა, რომ საქართველოში ინვესტორებს იზიდავთ წვდომა ევროპასა და აზიას შორის უსაფრთხო მიწოდების ჯაჭვებზე და მათ მიერ ახალ ტერიტორიებზე გაფართოების შესაძლებლობებზე. ინვესტორებისთვის პრიორიტეტული სფეროები მოიცავს ადგილობრივი მიწოდების ქსელებს, კომერციულ ობიექტებს, ბიზნესსერვისებს და გრძელვადიან ინფრასტრუქტურას.

იევ-ის და ისევ Bloomberg-ის კვლევამ აჩვენა, რომ IT იყო წამყვანი სექტორი ინვესტიციებში. 2016-2021 წლებში საქართველოს IT და კომუნიკაციების სექტორი მთლიანი დამატებული ღირებულებით გაიზარდა 102%-ით. ამ სექტორის საექსპორტო სერვისები 2021 წლამდე გაიზარდა 61%-ით, ტენდენცია კვლავ გაიზრდება უცხოეთში IT და ბიზნესპროცესების აუტსორსინგის მრავალი კომპანიის ჩამოსვლის შემდეგ, როგორცაა Combined Radio Solutions, ამერიკული IT კომპანია, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა.

ევროპის აღდგენის გეგმის მიზნები, რომლებიც მოიცავს სათბურის გაზების ემისიების შემცირებას, განახლებადი ენერჯის შეღწევას და ენერგოეფექტურობას, განაპირობებს განახლებადი ენერჯის გაძლიერების აუცილებლობას და დეფოსილიზაციის ციკლის დაკმაყოფილებას.

მოცემულიდან გამომდინარე ყურადღებას გავამახვილებთ ენერგეტიკის სექტორის ციფრულ ტრანსფორმაციაზე და იმაზე, თუ როგორ გახდა დიგიტალიზაცია განახლებადი ენერჯის სექტორის ევოლუციის ხელშემწყობი.

ენერგეტიკული სექტორი ახლა განიცდის ტრანსფორმაციას და დიგიტალიზაცია ერთ-ერთი მთავარი ფასილიტატორია მისი შესრულების უზრუნველსაყოფად.

წლების წინ კომპანიებმა ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით დაიწყეს ისეთი ახალი ტიპის მრიცხველების გამოყენება, როგორცაა ციფრული მრიცხველები, სმარტ მრიცხველები და ა.შ.

ციფრული ტექნოლოგიები აქამდე გამოიყენებოდა ენერჯის მართვის პროცესის გასაუმჯობესებლად, მაგრამ სწორედ მაშინ დაიწყო მათი გამოყენება ენერჯის გამომუშავებისა და განაწილების გზების შესაცვლელად.

დიგიტალიზაცია მოქმედებს, როგორც ბერკეტი სექტორში კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად და ელექტროენერჯის წარმოების პროცესების ოპტიმიზაციისთვის, რათა შემცირდეს ემისიები და დააკმაყოფილოს ენერგეტიკული მოდელის დეკარბონიზაციის მიზანი.

მიუხედავად იმისა, რომ გასული ათწლეულის განმავლობაში განახლებადი ენერჯის წყაროების ათვისება დაჩქარდა, ენერჯის საერთო მოხმარებაში კვლავ დომინირებს წიაღისეული საწვავი. ზოგიერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დაბრკოლება, რომელსაც სექტორის კომპანიები აწყდებიან, არის შემდეგი პრობლემები:

გეოგრაფიულად დისპერსიული ენერგეტიკული მონაცემები;

ინტეგრირებული პლატფორმის ნაკლებობა, რომელიც ხელს უშლის ინდუსტრიის მოთამაშეებს მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები და მონაცემებს ტოვებს იზოლირებულ და გადაუმოწმებელ ბაზარზე;

აქტივების თვალყურის დევნების შეუძლებლობა — ისტორიული შაბლონიდან მიწოდებისა და მოთხოვნის ტენდენციებამდე თვალყურის დევნება აუცილებელია სუფთა ენერჯის მიწოდების ოპტიმიზაციისთვის;

მკაფიო და თვალსაჩინო მიზნების არარსებობა — ახალი ტექნოლოგიების დანერგვისკენ მიმართული საგზაო რუკის არარსებობა და სამოქმედო გეგმა ხელს უშლის წინსვლას ენერგოეფექტურობისკენ.

მნიშვნელოვანი ფაქტორია, გავანალიზოთ ციფრული ტრანსფორმაციის სარგებელი განახლებადი ენერჯის სექტორში. ამ მხრივ დიგიტალიზაცია, თუ განხორციელდება შესწავლილი გეგმის ფარგლებში და ხელმძღვანელობს ინტეგრირებული ოპერაციების პლატფორმით, ხელს უწყობს განახლებადი ენერჯის, ენერგეტიკული პოლიტიკის ინტეგრაციას და მათ მართვაში გამჭვირვალობას. გარდა ამისა, ის მომხმარებელს უფრო მეტად უკავშირდება და სთავაზობს შემდეგ სარგებელს:

ციფრული ინსტრუმენტები და პლატფორმები ხელს უწყობს განახლებადი ენერჯის სადგურების აშენებას ავტომატური პროცესებით ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად. გარდა ამისა, მათ მიერ შემოთავაზებული ურთიერთკავშირები უფრო დეცენტრალიზებული თაობის საფუძველია, რაც თავიდან აიცილებს იზოლირებულ „ენერგეტიკულ კუნძულებს“.

ეს პლატფორმები ამცირებს შეფერხების დროს გაფრთხილების შეთავაზებით, რომელიც დაფუძნებულია პროგნოზირებად მოვლაზე, აქტივების მოვლის მოლოდინში. საწარმოო ქარხნების მოდერნიზაცია აუცილებელია, რათა ისინი უფრო კონკურენტუნარიანი და ეფექტური გახდეს.

ამინდისა და ბაზრის პირობების უფრო ზუსტი პროგნოზი ხელს უწყობს განახლებადი ენერჯის წარმოების მაქსიმიზაციას რეალურ დროში მიღებული ყველა ინფორმაციის ღრმა ანალიზის შეთავაზებით, რათა შეძლონ გადაწყვეტილებების მიღება და მოთხოვნის სტაბილურობის შეთავაზება.

ხელოვნური ინტელექტისა და მანქანათმცოდნეობის გამოყენება ახალი განახლებადი წყაროების, ქარხნების ინჟინერიის და მშენებლობის ოპტიმიზაციის მიზნით ამცირებს ბაზარზე გასვლის დროს, წინასწარ ითვალისწინებს უფასო CO<sub>2</sub> გენერაციის სარგებელს და ზრდის წარმოებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ელექტროსადგურები, რომლებიც ახლა ინერგება, შეიძლება ითქვას, რომ ციფრულად იბადებიან თავიანთი დიზაინით, რაც უზრუნველყოფს მათი მომსახურების ეფექტურობასა და ხელმისაწვდომობას. გარდა ამისა, მათ მხარს უჭერენ ციფრული ტყუპები, რომლებიც ხელს უწყობენ მოდელირებას, პროგნოზირებას და ტესტირებას ოპტიმალური მუშაობისთვის, ელექტროენერჯის გამომუშავებიდან მომხმარებლებთან მის კავშირამდე.

არსებული ქარხნების უმეტესობისთვის, ძირითადი საჭიროება არის სენსორების და მრიცხველების დაყენება მთელ სისტემაში, რათა შეიქმნას ჭკვიანი ქსელები. ყველა ეს ახალი სისტემა უნდა იყოს დაკავშირებული არსებულებთან, რათა მივაღწიოთ დიგიტალიზაციას სექტორში.

ხაზგასმით უნდა გამოვყოთ დიგიტალიზაცია და მისი ძირითადი არსი წარმოების პროცესის გაფართოების პროცესში. ციფრული ტრანსფორმაცია არის გადამწყვეტი ინგრედიენტი ენერგეტიკულ ტრანსფორმაციაში, რომელიც უფრო და უფრო მეტი განახლებადი ენერჯის ინტეგრირების საშუალებას იძლევა ელექტროსისტემაში, ზრდის ქსელის საიმედოობას და ეხმარება ენერჯის მოთხოვნის უკეთ მართვაში.

ამის მისაღწევად ენერგეტიკული კომპანიები უნდა დაეყრდნონ მართვის პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელსაც შეუძლია დააკავშიროს ყველა აქტივი და მოახდინოს მათი მენეჯმენტის ცენტრალიზება, რათა გადავიდნენ განახლებადი ენერჯის გამომუშავებაზე და შეამცირონ ნახშირბადის კვალი მათ ოპერაციებში.

უკვე არსებული და კარგად დატესტილი Nexus Integra-ის პროგრამით კომპანიებს შესაძლებლობა აქვთ მართონ თავიანთი ელექტროსადგურები, დაეყრდნონ უახლესი ტექნოლოგიების მოწინავე ანალიზებს. თქვენი პროცესების ოპტიმიზაციისთვის შეიტყვეთ მეტი, თუ როგორ მუშაობს ის და დაგვიკავშირდით, რათა შემოგთავაზოთ მორგებული ციფრული გეგმა.

აღნიშვნის ღირსია იაპონიის სამომავლო ხედვა, რომლის შესაბამისადაც მათ საკმაოდ ამბიციური მიზნები ამოძრავებთ. 2025 წლის აპრილის შემდეგ ტოკიოში ყველა მსხვილმასშტაბიან სახლზე სავალდებულო ხდება მზის პანელების დამონტაჟება. ეს იქნება ნახშირბადის ემისიის შემცირებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი.

იაპონია მსოფლიოში სათბური აირების ემისიით მეხუთე ადგილზეა და მიზნად ისახავს ნახშირბადის ნეიტრალიტეტის მიღწევას 2050 წლისთვის, თუმცა პროცესს ქვანახშირზე და თერმულ ელექტროსადგურებზე დამოკიდებულება აფერხებს.

### დასკვნა

შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული განახლებადი ენერჯის არატრადიციული წყაროების ათვისებისა და გამოყენების თვალსაზრისით. ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე მნიშვნელოვანია მზისა და ქარის ენერჯის პოტენციალის ათვისება სეზონურობის გათვალისწინებით, რაც უარყოფითი ბალანსის აღმოფხვრის გზაზე გარდამტეხ როლს შეასრულებს.

შეჯამებისათვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელი ძალისხმევა, რომელსაც მთავრობა მიმართავს და პოტენციურ ინვესტორებს სთავაზობს ხელშემწყობი ღონისძიების ერთობლიობას ახალი ენერგოეფექტური და ინოვაციური ციფრული ტექნოლოგიებით განმტკიცებული ენერგოეფექტური პროექტების განხორციელების თვალსაზრისით, მაინც დამოკიდებულია კერძო სექტორზე. სამომავლოდ გრძელვადიან ჭრილში უნდა შეფასდეს ყველა ის ნიუანსი, რომელიც არა დღეს, არამედ რამდენიმე წლის შემდეგ იქონიებს გავლენას საწარმოო სიმძლავრის ეფექტიანობაზე. სწორი ანალიზი იძლევა სწორი და სამართლიანი სამომავლო შედეგების დანახვის საშუალებას, რის გათვალისწინებითაც კომპანიებს დღეს მოუწევთ იმ ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა, რომელიც რეალურად ცვლის მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგს. და თუ ისინი იქნებიან პირველები დარგში, არ გაუჭირდებათ ყველა ახალ გამოწვევაზე ადეკვატური პასუხების გაცემა.

კომპანიებში ავტომატიზებული მონიტორინგის და კონტროლის სისტემების შემოღება ხშირად ხდება არასერიოზული განხილვის საგანი, მაგრამ შესაძლებელია ენერჯის მოხმარების გაუმჯობესების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა სწორედ რომ წარმოების პროცესის დიგიტალიზაცია გახდეს.

უნდა ითქვას, რომ სწორი გეგმარების და ფინანსირების პირობებში ნებისმიერი საწარმო გახდება კონკურენტუნარიანი.

განახლებადი ენერჯის წყაროზე გადასვლა, ანუ ქარისა და მზის ენერჯების სიმძლავრეების ათვისება, იქნება ხმამაღალი სიტყვა სუფთა და მწვანე წარმოების დანერგვის პროცესში.

შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ IT სექტორში განხორციელებული ინვესტიციები თავის მხრივ გავლენას იქონიებს საქართველოში მიმდინარე საინვესტიციო ენერგოეფექტური პროექტების დიგიტალიზაციაზე, რაც დადებით ეფექტს მოგვცემს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში.

ყველა ეს აქტივობა აძლიერებს საქართველოს ეკონომიკას. ტურიზმის, ექსპორტისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მძლავრი მაჩვენებლების დახმარებით, მან დააფიქსირა მშპ-ის ორნიშნა ზრდა ბოლო ორი წლის განმავლობაში (2022 წელს 10.1%-იანი ზრდა 2021 წლის 10.4%-იანი ზრდის შემდეგ). 2023 წელს მსოფლიო ბანკი 4%-იან ზრდას პროგნოზირებს, 2024 წელს კი — 5%-იანს, რაც ნიშნავს, რომ ევრაზიის რეგიონში საქართველოს ეკონომიკა ყველაზე წარმატებული იქნება. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი საქართველოს

მტკიცე მხარდამჭერია და 2022 წელს ქვეყანაში 218 მილიონი ევროს (232,8 მილიონი აშშ დოლარი) ინვესტიცია მოახდინა. კატარინა ბიორლინ ჰანსენი, ბანკის რეგიონალური დირექტორი კავკასიაში, აღნიშნავს, რომ EBRD დაეხმარა საქართველოს „ინკლუზიური, მწვანე და უფრო ციფრული ეკონომიკის“ აშენებაში.

მზარდი ინფლაცია, მაღალი საპროცენტო განაკვეთები და კონფლიქტი ზეწოლას ახდენს მთელი მსოფლიოს ეკონომიკაზე, მაგრამ ძლიერი ეკონომიკური მაჩვენებლებით და ინვესტორების მხარდაჭერით საქართველო ზუსტად სწორი მიმართულებით მიდის, რათა გაიზარდოს და გახდეს გლობალური ბიზნესის ცენტრი.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი კომისია.
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
4. ჩაკვეტაძე კ., სტატია: 2025 წლიდან ტოკიოში სახლების მზის პანელებით აღჭურვა სავალდებულო ხდება, 12.01.2023.
5. კეშელავა დ. (2017), განახლებადი ენერჯის გამოყენების პოტენციალი საქართველოში და მისი მაკროეკონომიკური შინაარსი.
6. ჩხაიძე ბ. (2014), "ენერჯეტიკა და ენერგოუსაფრთხოება (განახლებადი ენერჯის გამოყენების არსებული დონისა და მისი გაუმჯობესების სტრატეგია)", გამოწვევები საქართველოს ენერგოსექტორში და მდგრადი განვითარება.
7. მინდიაშვილი შ., რევიშვილი ვ., ინვესტირების შესაძლებლობები და ეტაპები ენერგოეფექტურობის პროექტებში.
8. Amri, F. (2017) „Intercourse across economic growth, trade and renewable energy consumption in developing and developed countries“. *Renewable and Sustainable Energy Reviews* 69: 527–534. <https://doi.org/10.1016/j.rser>
9. <http://www.eecgeo.org/ge/activities.htm>
10. <http://geoeconomics.ge/?p=10742>
11. [http://www.energocredit.ge/sites/default/files/best\\_practice\\_guide\\_ge.pdf](http://www.energocredit.ge/sites/default/files/best_practice_guide_ge.pdf)
12. <https://nexusintegra.io/digital-transformation-renewable-energy/>
13. <https://sponsored.bloomberg.com/article/how-georgia-s-economy-is-defying-the-global-downturn>

*Giorgi Rizhvadze*

## THE ROLE OF DIGITAL TRANSFORMATION IN THE ADOPTION OF RENEWABLE ENERGY SOURCES

### Abstract

In the modern world, the use of renewable energy sources is becoming more important day by day, and this transformation has a significant impact on both developing and transition economies, Georgia is not an exception, which is actively going through all the stages of transformation, transformations and innovation in the world.

Due to its location, Georgia has a great potential in the way of transformation of energy efficiency with the principle of utilization of renewable energy sources. However, today's reality is completely different and Georgia still has only a small part of hydroelectric power plants and has recently begun to use non-traditional renewable energy sources such as wind and solar energy. Utilization of renewable energy sources and increase in generation will be an important step forward in the path of proper distribution of the country's energy resources and market diversification, therefore it is important to use the digitization process correctly in the process of utilizing this potential, which is critically important in the path of economic development of the country.

An important challenge of the modern world is energy efficiency and utilization of renewable energy sources. The introduction of more non-conventional renewable energy will lead to an increase in the competitiveness of specific companies.

In this sense, digitalization works through management software that optimizes processes.

Despite the benefits of investing in renewable energy sources and the digitization process, there are a number of reasons why many businesses refrain from investing, among which we can highlight several rea-

sons: at the initial stage, they are mainly engaged in the optimization of the production process and devote less time to the energy efficiency project.

The EU's environmental objectives require support for digitization, both in electricity production and in the management of interconnected electrical systems.

However, the variability that characterizes renewable energy generation technologies such as wind and photovoltaics makes it necessary to receive, process and transmit information in large volumes and at high speeds. This is where the challenges arise.

We can say that important steps have been taken in Georgia to utilize non-traditional sources of renewable energy in terms of use, and therefore it is important in the way of obtaining energy independence of the country, and taking into account seasonality, the utilization of the potential of solar and wind energy will play a turning role in the way of eliminating the negative balance.

*მაია სოსელია  
მარიამ ებრაელიძე  
თამარ როსტიაშვილი*

### **ინოვაციური მიდგომა სამედიცინო ლოჯისტიკისადმი**

*ანოტაცია.* სტატიის მიზანია სამედიცინო ლოჯისტიკის ასპექტების კვლევა და ქვეყნის განვითარებაში მისი მნიშვნელობის წარმოჩენა. სტატიაში გაანალიზებულია ინოვაციური საქმიანობის როლი და დადგენილია ინოვაციების გამოყენების ეფექტიანობა სამედიცინო ლოჯისტიკაში. შეფასებულია ძირითადი კომპეტენციები, რომლებიც უნდა გააჩნდეს სამედიცინო ლოჯისტიკაში მომუშავე სპეციალისტს. განხილულია მოთხოვნები, რომელთა თანახმადაც უნდა განხორციელდეს სამედიცინო მოწყობილობების და სამკურნალო საშუალებების დისტრიბუცია.

*საკვანძო სიტყვები:* სამედიცინო ლოჯისტიკა, ინოვაციები, მიწოდების ჯაჭვის მართვა, ინოვაციური მიდგომა, ეფექტიანობა.

### **შესავალი**

ჯანდაცვის დარგი რეგიონის განვითარების დონის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია. ჯანდაცვა წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელშიც, ისევე როგორც მრავალ სხვა მრავალდონიან სისტემაში, ლოჯისტიკური მიდგომა ძალზე მოთხოვნადია. თანამედროვე ჯანდაცვის სფეროში ლოჯისტიკის გამოყენების აქტუალობას განაპირობებს მიწოდების ჯაჭვში განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებული დიდი რაოდენობით ბარიერების გაჩენა, რაც ნეგატიურად აისახება ფუნქციონირების ეფექტიანობის მაჩვენებლებზე.

### **სამედიცინო ლოჯისტიკის მნიშვნელობა**

სხვადასხვა სახის სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო მოწყობილობების მიწოდებები მოითხოვს მაღალ პასუხისმგებლობას. ასეთ საქმიანობას, ჩვეულებრივ, თან ახლავს რისკები, რომლებიც მნიშვნელოვნად აღემატება სტანდარტული მიწოდების ჯაჭვში არსებულ რისკებს. დღეისათვის სამედიცინო, ფარმაცევტულ და ბიოტექნოლოგიურ მრეწველობაში მომუშავე საწარმოთა დიდი ნაწილი საჭიროებს ლოჯისტიკური პროცესის მუდმივ სრულყოფას მსგავსი რისკების თავიდან ასაცილებლად.

სამედიცინო პროდუქციის წარმოებისთვის ნედლეულის უწყვეტი მიწოდების უზრუნველყოფა ამცირებს წარმოების მოცდენას. განვითარებული სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სისტემა გარანტირებულად უზრუნველყოფს შეკვეთების დროულ შესრულებას როგორც რეგიონულ, ასევე მუნიციპალურ დონეებზე. ინოვაციების გამოყენება ასეთ შემთხვევაში წარმოადგენს მთლიანად სისტემის გაუმჯობესების აუცილებელ პირობას. აქედან გამომდინარე, იქმნება ინოვაციური ლოჯისტიკური მოდელების დანერგვისა და ლოჯისტიკური კავშირების ინოვაციური განვითარების უკვე არსებული სხვადასხვა უცხოური კონცეფციების ადაპტაციის გადაუდებელი აუცილებლობა.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე ქვეყნებისა და მათი რეგიონების დიდი ნაწილი მნიშვნელოვნად ჩამორჩება სამედიცინო ლოჯისტიკის განვითარების სფეროში. სამედიცინო სფეროში ლოჯისტიკის საწარმოთა მომსახურებების ხარისხი ხშირად არაა დამაკმაყოფილებელი. ამასთან, შეინიშნება მუშაობის დაბალი ეფექტიანობა ოპერაციული მოდელის მასშტაბის გამო, რომელიც განსაზღვრავს კორპორაციული სტრატეგიის რეალიზაციის საშუალებებსა და წესს სამედიცინო დაწესებულების ყოველდღიურ საქმიანობაში.

უცხოელი მეცნიერის მიერ გამოკვლეულია მიდგომები სამედიცინო ლოჯისტიკის მართვისადმი. ზოგიერთი მიუთითებს, რომ ჯანდაცვასთან დაკავშირებული ლოჯისტიკის ქსელის განკერძოების მიზანშეწონილობას ადასტურებს ლოჯისტიკური პრინციპების შეღწევა დარგის მართვაში. გარდა ამისა, იგი ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ლოჯისტიკის ქვედანაყოფის შექმნას სამედიცინო ორგანიზაციებში თან ახლავს პასუხისმგებლობის ზონების, უფლებამოსილებებისა და სამედიცინო-საწარმოო ორგანიზაციების სხვა ქვედანაყოფებთან, სამკურნალო და სამეურნეო სამსახურებთან ურთიერთქმედების მექანიზმების განსაზღვრა.<sup>59</sup>

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, ტერმინით „სამედიცინო ლოჯისტიკა“ აღინიშნება სამედიცინო დაწესებულებებში, ასევე სანატორიუმებსა და ავთიაქებში პერსონალის მუშაობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ნაკადის დაგეგმვა, მართვა, ეფექტიანობის კონტროლი, ფარმაცევტული პრეპარატების, სამედიცინო და ქირურგიული ნივთების, სამედიცინო ხელსაწყოებისა და მოწყობილობების ტრანსპორტირება და შენახვა. საბოლოო მომხმარებლები პასუხს აგებენ თავიანთი პაციენტების სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, ამიტომაც სამედიცინო ლოჯისტიკა უნიკალურია იმით, რომ მის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს მკურნალობის ეფექტიანობის, მისი ხარისხის ოპტიმიზაცია მხოლოდ დანახარჯების შემცირების გზით.

იმისათვის, რომ ამაღლდეს სერვისის დონე და, ამასთანავე, შემცირდეს დანახარჯები ჯანდაცვის სექტორში, საწარმოებმა უნდა გამოიყენონ მიწოდებათა ჯაჭვის მართვისადმი ინოვაციურ-ლოჯისტიკური მიდგომა. სამედიცინო ლოჯისტიკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ლოჯისტიკური საწარმოებისა და ლოჯისტიკური ინფორმაციის ინტეგრაცია (სატრანსპორტო საშუალებების, გზებზე არსებული სიტუაციების, სამედიცინო მოწყობილობების, მედიკამენტების, სამედიცინო ტექნიკის ტრანსპორტირების, დასაწყობებისა და შენახვის შესახებ) ერთ პლატფორმაზე, ხოლო შემდგომ — კომპლექსური ცენტრალიზებული ანალიზი სატრანსპორტო საშუალებების, გზების, საწყობების, მედიკამენტების, სამედიცინო მოწყობილობებისა და პერსონალის დისპეტჩერიზაციის დანერგვით, რაც შეამცირებს შენახვის დანახარჯებს, ლოჯისტიკის ღირებულებას და აამაღლებს მის ეფექტიანობას.<sup>60</sup>

**გამოყოფენ სამედიცინო ლოჯისტიკის შემდეგ ძირითად საკვანძო სფეროებს:**

- ბიოსამედიცინო ინჟინერია (სამედიცინო ელექტრონიკა და მონიტორინგი, სამედიცინო გამოსახულებები, ბიომასალები, ბიომექანიკა);
- კლინიკური ინჟინერია (ჰიგიენა, ლაბორატორიული და ანალიზური ტექნიკა, სამედიცინო ტექნოლოგიების უსაფრთხოება და ხარისხი);
- ფარმაცია (სამკურნალო საშუალებები და მათი გამოყენება);
- სამედიცინო მომსახურებები;
- სამედიცინო დაწესებულების პერსონალი.<sup>61</sup>

ცალკეულ რეგიონებში ეკონომიკური, სოციალური და ბუნებრივი ფაქტორების განსაკუთრებული კომბინაცია განსაზღვრავს პროდუქციაზე, ფასისმიერ პოლიტიკაზე,

<sup>59</sup> Жаворонков Е. П. Развитие логистики в здравоохранении [Электронный ресурс] / Е. П. Жаворонков // Медицина и образование в Сибири. – 2010. – №4: URL: <http://ngmu.ru/cozo/mos/article/pdf.php?id=433>

<sup>60</sup> Фармацевтическая логистика. [Электронный ресурс]. – <http://zte.ru/enterprise/solutions/health-protection/pharmaceutical-logistics>.

<sup>61</sup> Izabela Dembińska-Cyran. Internal and external supply chain of hospital// [Электронный ресурс] / Izabela Dembińska-Cyran // Elektroniczne czasopismonaukowe z dziedziny logistyki. – 2005. – №5. – Режим доступа: [http://www.logforum.net/vol1/issue1/no5/5\\_1\\_1\\_05.html](http://www.logforum.net/vol1/issue1/no5/5_1_1_05.html)

ლოჯისტიკური შუამავლების საქმიანობის სპეციფიკასა და სხვა რეგიონულ თავისებურებებზე მოთხოვნისა და მისი შეთავაზების განსაკუთრებულ თანაფარდობას. ლოჯისტიკური ქვედანაყოფების სინთეზზე დიდ გავლენას ახდენს რეგიონული სატრანსპორტო კომუნიკაციები, ტრანსპორტის ექსპლუატაციის საწარმოები, ასევე ლოჯისტიკური შუამავლების არსებობა, ინფრასტრუქტურის მდგომარეობა და განაწილების რეგიონული სისტემების საწარმო-ტექნიკური ბაზები.<sup>62</sup>

მედიცინის ცალკეული ელემენტებიდა ასევე მთლიანად სისტემა საჭიროებს მუდმივ სრულყოფას. ლოჯისტიკა მედიცინაში მოითხოვს ყველა პროცესის სწორ ორგანიზებას და პროფესიონალურად შესრულებულ ლოჯისტიკურ ოპერაციებს. შესაბამისად, მათი განხორციელებისას, მუდმივი გაუმჯობესებისაკენ სწრაფვა სავალდებულო პირობაა სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო მოწყობილობების შეუფერხებელი მიწოდების, დანახარჯების ეფექტიანობის მიღწევის, საბოლოოდ კი — კონკურენტული უპირატესობების მიღწევისთვის. სამედიცინო დაწესებულებებში ლოჯისტიკური კონცეფციის გამოყენების პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვასა და გამოყენებასთან.

ინოვაციები ლოჯისტიკაში ლოჯისტიკური საქმიანობის ყველაზე აქტუალური მდგენელია. იგი მიზნად ისახავს ნაკადების მიმდინარე და სტრატეგიული მართვის ორგანიზაციაში პროგრესული ინოვაციების დანერგვის აუცილებლობისა და შესაძლებლობის შესწავლას აღნიშნული მართვის რაციონალიზაციის (ოპტიმიზაციის) გზით დამატებითი რეზერვების გამოვლენისა და გამოყენების მიზნით.<sup>63</sup>

რეგიონების განვითარების მოცემულ ეტაპზე ლოჯისტიკაში ინოვაციური სისტემების საქმიანობის მნიშვნელოვანი ელემენტი ხდება ინოვაციების მართვა და ინვესტიციების შეფასება, ასევე ლოჯისტიკური კოორდინაცია პროდუქტულ ან საპროცესო ინოვაციებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შემუშავების პროცესში. ლოჯისტიკური ინოვაციები გამოიყენება როგორც მატერიალური წარმოების, ასევე არამატერიალური სფეროების ორგანიზაციასა და მართვაში, რომელსაც მიეკუთვნება ჯანდაცვა. ამასთან, ის მუდმივად საჭიროებს ტექნიკური საშუალებების რეგულარულ რენოვაციას და აქტიურ გავლენას ახდენს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარებაზე.<sup>64</sup>

პროცესების თვალსაზრისით, თანამედროვე ლოჯისტიკა 90 %-ით შედგება საინფორმაციო ტექნოლოგიებისგან. მხოლოდ დანარჩენი 10 % მოდის უშუალოდ ტვირთის გადაზიდვაზე. ლოჯისტიკაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების ან მუდმივი რენოვაციის გარეშე თანამედროვე მედიცინა გაუარესდება, ვინაიდან საინფორმაციო ტექნოლოგიები გამოიყენება ლოჯისტიკური პროცესის ყველა სფეროსა და ეტაპზე.<sup>65</sup>

ფარმაცევტული და სხვა სამედიცინო საწარმოების მიერ შემოთავაზებული საქონლის არასაკმარისობამ შეიძლება მიგვიყვანოს იქამდე, რომ მომხმარებლები აქტიურად დაიწყებენ ალტერნატივის ძებნას. შეფერხებები მიწოდებაში შესაძლოა აისახოს პაციენტის ჯანმრთელობაზე, ასევე მოგებაზე (თუ საუბარია კერძო კლინიკაზე ან აფთიაქზე). საწარმოებს ექმნებათ საიმედო შეუფერხებელი მიწოდების ჯაჭვის უზრუნველსაყოფად კარგი ლოჯისტიკური ცენტრის არჩევის საჭიროება, რომლის წყალობითაც შესაძლებელი იქნება მოთხოვნილი ხარისხისა და რაოდენობის პროდუქციის დროული მიწოდება საჭირო ადგილას და განსაზღვრულ დროს.

<sup>62</sup> Ельдештейн Ю. М. Логистика [Электронный ресурс] / Ю. М. Ельдештейн. – Режим доступа: [http://www.kgau.ru/distance/fub\\_03/eldeshtein/logistika/02\\_08.html](http://www.kgau.ru/distance/fub_03/eldeshtein/logistika/02_08.html).

<sup>63</sup> . А. Инновации как ключевой вектор развития логистических процессов / А. А. Кизим, О. А. Сивушкина // Теория и практика общественного развития. – 2013. – № 1. – გვ. 317.

<sup>64</sup> Инновационные технологии в логистике и управлении цепями поставок: сб. научн. ст. – М.: Эс-Си-Эм Консалтинг, 2015. – გვ. 122.

<sup>65</sup> Информационные технологии составляют 90 % логистики. [Электронный ресурс]. – Режим доступа: <http://www.cnews.ru/reviews/free/transport2006/articles/inftechnology>.

ლოჯისტიკური პროცესის მაკონტროლებელი კომპანიის არჩევას უნდა იქნეს გათვალისწინებული განსახილველი სფეროს — მედიცინის სპეციფიკა. კლინიკური ნიმუშების, სამკურნალო საშუალებების, სამედიცინო მოწყობილობების ტრანსპორტირების აუცილებლობისას, ლოჯისტიკურ საწარმოს უნდა წაუყენონ მოთხოვნები, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება ტრანსპორტირება, დასაწყობება, დისტრიბუცია:

1. ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს წამლებისა და სამედიცინო ტექნიკისათვის განკუთვნილი სპეციალური ტრანსპორტის მეშვეობით.

2. გარკვეული ტემპერატურული რეჟიმის დაცვის აუცილებლობის შემთხვევაში აუცილებელია სპეციალიზებული შეფუთვა, მასთან ერთად რეფრეჟერატორები, კონტეინერები ავიატვირთისთვის და მუდმივი მონიტორინგი გარანტირებულად უზრუნველყოფს ტვირთის სათანადო ტემპერატურაზე გადატანას ტრანსპორტირების მთელი პერიოდის განმავლობაში.

3. უნდა მოხდეს მონიტორინგი, შეკვეთის სტატუსის განახლება გადაზიდვის ყოველ ეტაპზე.

4. ტვირთის უწყვეტი მონიტორინგი — საქონლის საიმედო მიწოდების პროცესის უმნიშვნელოვანესი მდგენელია. პერსონალურ მიწოდებებს დიდი ყურადღება ექცევა, ინფორმაცია მათი გატარების შესახებ კონტროლდება რეალური დროის რეჟიმში ტვირთის ტრეკინგის ონლაინ სისტემის მეშვეობით.

5. საჭიროა ნორმატიული აქტების განუხრელი დაცვა.

სამედიცინო სფეროში ლოჯისტიკური კომპანიების ინოვაციური საქმიანობის თავისებურებას წარმოადგენს სამედიცინო მოწყობილობის მიწოდების ორგანიზაციის ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული მეთოდის დანერგვა, რაც დაკავშირებულია ტექნოლოგიურ ინოვაციებთან. მათ მიეკუთვნება: მნიშვნელოვანი ცვლილებები გადაზიდვის პროცესის ტექნოლოგიაში, სატრანსპორტო საშუალებებში, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტებში, საინფორმაციო ტექნოლოგიებში, კერძოდ, დამატებით პროგრამულ უზრუნველყოფაში.

საჭიროების შემთხვევაში, ტვირთის შემოტანისა და გატანის ყველა საჭირო ლიცენზიის მიღებასთან, დოკუმენტების თარგმანსა და რეგიონულ საკანონმდებლო მოთხოვნებთან დაკავშირებით კონსულტაციების მიღების საკითხებზე უნდა მიმართოთ არა უბრალოდ კვალიფიციურ სპეციალისტებს, არამედ გამოცდილ პრაქტიკოსებს, ექსპერტებს, რომლებიც კარგად იცნობენ ფარმაციის ლოჯისტიკას, კლინიკურ კვლევებს და ზოგადად მედიცინას. მათი მეშვეობით შესაძლებელია ყველა ადმინისტრაციული ბარიერის დაძლევა, საბაჟო პროცედურებისა და მიწოდებების მთლიანი ლოჯისტიკური ჯაჭვის გავლა.

**ჯანდაცვის ლოჯისტიკის სფეროში ექსპერტების კომპეტენციებს მიეკუთვნება:**

- ნაკლებფექტიანი ადგილებისა და რისკების განსაზღვრა მიწოდებათა ჯაჭვში; მათი აღმოფხვრის გეგმების შემუშავება;

- ტრანსპორტირების საშუალებების ოპტიმიზაცია ფულადი საშუალებებისა და დროის ეკონომიის, ასევე მიწოდებაზე კლიენტთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის;

- მთელი მსოფლიოს მასშტაბით ნორმატიული აქტების დაცვის უზრუნველყოფა;

- სპეციალური შეფუთვის შემუშავება გადაზიდვისას მგრძნობიარე სამედიცინო პროდუქციის დასაცავად;

- საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება რესურსების ეფექტიანი მართვის, შეცდომების რაოდენობის შემცირებისა და კლიენტთა მომსახურების გაუმჯობესებისთვის;

- ბაზრის ცვალებადი პირობების შესაბამისი ხელსაყრელი გადაწყვეტილებების რეალიზაცია ტრანსპორტირებისა და დისტრიბუციისთვის, მოთხოვნის პიკისა და პროდუქციის დაბრუნების ჩათვლით.<sup>66</sup>

<sup>66</sup> Планирование. Фармацевтика и биотехнологии. [Электронный ресурс]. – Режим доступа: <https://www.ups.com/content/ru/ru/bussol/browse/industries/pharma-biotech-plan.html>



მედიცინაში ლოჯისტიკური სტრატეგიის რეალიზაციისთვის საჭიროა დაგეგმვის კვალიფიციური სისტემა, მოქნილობა და, რაც მთავარია, ინფორმაცია. გარდა ამისა, უცხოური გამოცდილება მიუთითებს იმაზე, რომ ლოჯისტიკის ეფექტიანი მართვა შეუძლებელია ოპერატიული ინფორმაციული მომსახურების გარეშე, რომელიც უზრუნველყოფს სწრაფ დოკუმენტბრუნვას და ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნას. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს სამედიცინო დაწესებულებათა საიმედო და შეუფერხებელ მუშაობას, რეგიონებში სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო მოწყობილობების გადაზიდვის ნაკადის ოპტიმიზებას.

თავის მხრივ, სამედიცინო პერსონალს ლოჯისტიკა ეხმარება მკურნალობასა და პაციენტებზე ზრუნვაზე სრულად კონცენტრირებაში. სამედიცინო სფეროში ლოჯისტიკის პრიორიტეტს წარმოადგენს ისეთი ოპტიმიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო პერსონალის უფრო ეფექტიან მუშაობას, მიწოდებათა ჯაჭვში ნარჩენების შემცირებას, ხარისხიანი მომსახურებების გაწევას და დამკვეთის მიერ დასახული ამოცანების დროულად გადაჭრას.

### დასკვნა

ამრიგად, ინოვაციების განვითარებისა და სამედიცინო ლოჯისტიკაში ინოვაციური მიდგომის გამოყენების წყალობით, შესაძლებელი ხდება კონტროლირებადი და რეგულირებადი გარემოს შექმნა სხვადასხვა ლოჯისტიკური პროცესების ეფექტიანად შესრულებისთვის ჯანდაცვის სფეროში და ამის შედეგად რეგიონების განვითარების დონის ცალკეული მაჩვენებლების გაუმჯობესება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. შ. ვეშაპიძე ლ. ოსაძე დ. სეხნიაშვილი, ლოჯისტიკა, თბილისი, 2012. 148 გვ.
2. ე. შევერდაშვილი, შ.ტოტიკაშვილი, ლოჯისტიკის როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. „ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები“. თბ.2017.
3. Izabela Dembińska-Cyran. Internal and external supply chain of hospital// [Электронный ресурс] / Izabela Dembińska-Cyran // Elektroniczne czasopismo naukowe z dziedziny logistyki.–2005.–№5.
4. Жаворонков Е. П. Развитие логистики в здравоохранении [Электронный ресурс] / Е. П. Жаворонков // Медицина и образование в Сибири. – 2010. – №4: URL: <http://ngmu.ru/cozo/mos/article/pdf.php?id=433>
5. Ельдештейн Ю. М. Логистика [Электронный ресурс] / Ю. М. Ельдештейн. – Режим доступа: [http://www.kgau.ru/distance/fub\\_03/eldeshtein/logistika/02\\_08.html](http://www.kgau.ru/distance/fub_03/eldeshtein/logistika/02_08.html).
6. А. А. Кизим, О. А. Сивушкина Инновации как ключевой вектор развития логистических процессов / Теория и практика общественного развития. – 2013. – № 1. – გვ. 317.
7. Инновационные технологии в логистике и управлении цепями поставок: сб. научн. ст. – М.: Эс-Си-Эм Консалтинг, 2015. – გვ. 122.

*Maia Soseia  
Mariam Ebraldze  
Tamar Rostishvili*

### AN INNOVATIVE APPROACH TO MEDICAL LOGISTICS

#### Abstract

The purpose of the article is to research the aspects of medical logistics and to present its importance in the development of the country. The article analyzes the role of innovative activities and determines the effectiveness of using innovations in medical logistics. The basic competencies that a specialist working in medical logistics should have are evaluated. The requirements for the distribution of medical devices and medicines are discussed.

**Keywords:** *medical logistics, innovations, supply chain management, innovative approach, efficiency.*

## საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობები

**ანოტაცია.** სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, მისი ღია ზღვაში გასასვლელის არსებობის უპოირატესობა და მსოფლიოს ეკონომიკის გლობალიზაციის გავლენით არნახულად გაზრდილი ტვირთბრუნვის მოთხოვნილებები, რომლებიც საქართველოს ანიჭებს ერთ-ერთ მთავარ სატრანზიტო ფუნქციას არამარტო მოსაზღვრე სახელმწიფოებისათვის, არამედ შუა აზიის ქვეყნებისათვის, ჩინეთის, ირანისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისთვისაც.

**საკვანძო სიტყვები.** ეკონომიკა, მენეჯმენტი, ტრანზიტი, ტრანსპორტი.

### შესავალი

საქართველოს გააჩნია ძალზედ ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა, ის უმოკლესი გზით აკავშირებს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს მეზობელ აზერბეიჯანთან და სომხეთთან, ასევე შუა აზიის სახელმწიფოებთან, ნაწილობრივად ჩინეთის დასავლეთთან და სპარსეთის სამხრეთთან. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და სახელმწიფოთა აქამდე არნახულმა ეკონომიკის სპეციალიზაციამ, ასევე კასპიის ზღვის რეგიონში ნახშირბადოვანი საწვავის მნიშვნელოვანმა წილისეულმა სიმდიდრეებმა ნავთობისა და გაზის სახით, ჩინეთის ეკონომიკის ზრდის მაღალმა ტემპმა და ამ ქვეყანაში მანქანა-დანადგარების, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და მსუბუქი მრეწველობის წარმოების მოცულობებმა გამოიწვია მათი ტრანსპორტირების აუცილებლობა, ამასთან ევროპიდან ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფოებში არის მოთხოვნილება უამრავი სახეობის სამრეწველო პროდუქციაზე, რაც, რასაკვირველია, განაპირობებს ტვირთბრუნვის არნახულ ზრდას. დღემდე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ტვირთბრუნვის ძირითადი კორიდორი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გადის, მაგრამ უკრაინასთან ომის გამო დასავლეთი სულ უფრო და უფრო ყოვლისმომცველ ეკონომიკურ სანქციებს უწყესებს რუსეთის ფედერაციას, რაც მისი სატრანსპორტო სისტემების მოხმარების შეზღუდვისკენაცაა მიმართული, შესაბამისად იზრდება საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი კავკასიის შუა სატრანზიტო კორიდორზე მოთხოვნილება, რაც რაციონალურად გამოყენების შემთხვევაში, საქართველოს მნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოთამაშედ გადაქცევის შანსს იძლევა. აღნიშნულით დაინტერესებულია ევროკავშირი და აზიის სხვა სახელმწიფოები. ევროკავშირმა ასოცირების შესახებ ყოვლისმომცველ ხელშეკრულებაში განგვისაზღვრა სატრანსპორტო სისტემების სტანდარტების დაახლოების აუცილებლობა.

### ძირითადი ნაწილი

საქართველო განვითარებადი პატარა ქვეყანაა, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობა მხოლოდ 5000 \$-ის ფარგლებშია და სხვადასხვა მსოფლიო საფინანსო ორგანიზაციების შეფასებით მსოფლიოს ქვეყნების პირველ ასეულში თუ შედის.

მიუხედავად ამ არამიმზიდველი ეკონომიკური მდგომარეობისა, საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს რამდენიმე მასშტაბური მილსადენი:

- ✓ ბაქო–თბილისი–ერზერუმის/შაჰ–დენიზის;
- ✓ ბაქო–სუფსის (დასავლეთის საექსპორტო მილსადენი/დასავლეთის ადრეული ნავთობის);
- ✓ ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის;
- ✓ TAP (ტრანს–ადრიატიკის);
- ✓ ჩრდილოეთ–სამხრეთის გაზის.

აღნიშნული მილსადენები საქართველოს ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი წყაროა და მისი უსაფრთხოების გარანტიაცაა.

სატრანზიტო გადაზიდვებს აწარმოებს საქართველოს რკინიგზა, ავტომაგისტრალი, საზღვაო პორტები და ნაწილობრივ საჰაერო ტრანსპორტიც.

საქართველოში სატრანსპორტო სექტორის განვითარება მაღალი ტემპით გასული საუკუნეში დაიწყო, მასიურად გაჩნდა მოთხოვნილება სარკინიგზო, საავტომობილო, საჰაერო, საზღვაო ტრანსპორტის გამოყენებაზე, რასაც თან დაერთო ეკონომიკური აღმავლობაც, ტრანსპორტი ემსახურებოდა რესპუბლიკის ეკონომიკასაც და ასრულებდა სატრანზიტო ფუნქციასაც. რასაც ხელს უწყობდა საზღვაო გასასვლელები, საზღვაო ხომალდების ქონა და შავ ზღვაზე ფოთისა და ბათუმის პორტების ინტესიური განვითარება.

1987 წლის სტატისტიკური წელიწდეულის მონაცემები ტრანსპორტის ძირითადი სექტორების შესახებ წარმოდგენილია პირველ და მეორე ცხილებში.

*ცხრილი 1*

**გადაზიდული ტვირთების მოცულობა (ათასი ტონა) [Народное...,1988, 154]**

წლები	ტრანსპორტის ყველა სახე	მათ შორის			
		რკინიგზა	საზღვაო	საავტომობილო	ავიაცია
1940	25059,3	5240	5518	14300	1,3
1960	124529,5	18152	7695	98674	8,5
1970	229753,0	25829	7381	195533	10,0
1980	410766,0	38906	6091	367759	10,0
1985	449992,2	40438	4258	405270	16,2
1986	463987,9	39649	4950	409323	15,9
1987	487178,3	37309	5803	444040	16,3

მონაცემების თანახმად 1987 წელს საზღვაო ტვირთბრუნვის მოცულობა სარკინიგზო ტრანსპორტისას 5-ჯერ აღემატებოდა, ხოლო საავტომობილოსას – 10-ჯერ. ეს მაშინ, როცა 2012 წლის შემდგომ საქართველოს რეზიდენტი პირების საკუთრებაში აღარ დარჩა საზღვაო გადაზიდვების განმახორციელებელი არცერთი მნიშვნელოვანი მცურავი საშუალება, შესაბამისად, სტატისტიკურად არ ფიქსირდება საზღვაო გადაზიდვების მოცულობაც [საქართველოს ..., 2022, 197]

*ცხრილი 2*

**საქართველოს რესპუბლიკის სატრანსპორტო ტვირთბრუნვა (მლნ. ტ. კმ.) [საქართველოს..., 2022, 155]**

წლები	ტრანსპორტი სულ	მათ შორის			
		რკინიგზა	საზღვაო	საავტომობილო	ავიაცია
1970	31758,3	10632,3	18232,0	2879,6	14,4
1975	47389,5	12255,4	30853,1	4262,6	16,1
1980	72933,1	14655,8	52261,8	3990,4	25,1
1985	74522,2	134487,3	54040,4	6966,2	27,3
1986	80516,7	13032,4	60645,2	6708,9	30,2
1987	79697,2	12499,5	60423,4	6744,2	30,1

საქართველოს პორტებში დამუშავებული ტვირთების მოცულობები ბოლო ათწლეულში განუწყვეტლივ მცირდებოდა, თუმცა უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარე ომისა და რუსეთისათვის გამოცხადებული სანქციების გამო ტვირთების კავკასიის შუა სატრანზიტო დერეფნით გადაზიდვაზე მოთხოვნა მკვეთრად ამაღლდა.

2021 წ-ის Forbes-საქართველოს კვლევის მიხედვით, ტვირთების გადამუშავება შემცირებულია 3%-ით და შეადგინა 11,1 მლნ. ტონა (იხ. დიაგრამა 1).




დიაგრამა 1. საქართველოს პორტებში გადაზიდული ტვირთები [Forbes-საქართველო., 2022]

ტვირთბრუნვის მიხედვით საქართველოსთვის უდიდესია ფოთის პორტი, მისი მონაცემები შემდეგი სახისაა (დიაგრამა 2).



დიაგრამა 2. ფოთის პორტის მონაცემები. [Forbes-საქართველო., 2022]

2021 წლის ბათუმის პორტის მონაცემები დიაგრამა 3-ზეა წარმოდგენილი.



დიაგრამა 3. ტვირთების მოცულობა ბათუმის პორტში [Forbes-საქართველო., 2022]

უფრო დაწვრილებით ბათუმის პორტის მონაცემები მოცემულია ცხრილ 3-ში.

ტვირთბრუნვის მოცულობების ზრდით არც ყუღევისა და სუფსის ტერმინალები არიან გამორჩეული და იქაც ანალოგიური დინამიკაა.

გასული წლიდან გამოჩნდა პუბლიკაციები, რომლებიც ამტკიცებენ მსხვილი ლოგისტიკური ოპერატორების მიერ ტვირთების სატრანზიტო დერეფნად საქართველოს გამოყენების მზადყოფნას. ეს ტვირთნაკადები მიეკუთვნება არა მარტო მეზობელ სომხეთსა და აზერბეიჯანს, ან თუნდაც შუა აზიის ქვეყნებს, არამედ ჩინეთსა და სამხრეთ კორეასაც.

**ცხრილი 3**

**ბათუმის პორტის ტვირთბრუნვის მაჩვენებლები [ბათუმის ..., 2022]**

საწარმოო მაჩვენებლები

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
მშრალი ტვირთების ტვირთბრუნვა, ათ. ტონა	1 203	1 046	862	795	1189	694.5	913	1 211
ნავთობის და ნავთობპროდუქტების ტვირთბრუნვა, მლნ. ტონა	4.5	3.9	3.4	2.1	1.0	0.9	1.2	1.5
გადატვირთული კონტეინერები, TEU	61980	54695	55781	76025	90002	116081	103302	99187
გემთბრუნვა, ერთეული	585	570	663	527	584	578	589	567

ჩინეთი ტვირთბრუნვის მოცულობით მსოფლიოში პირველ ადგილზეა, დიდია ტვირთბრუნვა ევროპის სამხრეთ ქვეყნების მიმართულებიდაც, მათთვის შუა კავკასიის კორიდორი შეიძლება გახდეს ყველაზე მიმზიდველი მარშრუტი.

ჩინეთმა რუსეთის ალტერნატივად ახალი ევროპული სარკინიგზო გზა უკვე გამოცადა, იგი ქსიანის პორტს საქართველოს გავლით გერმანიასთან დააკავშირებს. ინფორმაციას Railfreight ავრცელებს.

აღნიშნული გზა ახალი მულტიმოდალური სერვისია. ევროპიდან გაივლის შავ და კასპიის ზღვებს, გადის ყაზახეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, რუმინეთის, უნგრეთის, სლოვაკეთისა და ჩეხეთის ტერიტორიაზე. ამ გზით ტრანსპორტირდა 42 კონტეინერიანი პირველი მატარებელი.

„ეს მულტიმოდალური საზღვაო-სარკინიგზო გადაწყვეტა ქსიანის მშრალი პორტის ახალი მცდელობაა, რომ ბაზრის მოთხოვნილება მოგვარდეს,“ – წერს პორტალი [ჩინეთიდან..., 2022]

Railfreight-ის ცნობით, ამ გადაწყვეტას ბევრი კომპანია იკვლევს. პორტალს ჩინეთის პროვინცია განსუს ქალაქ უვეისა და ფოთის პორტის თანამშრომლობა მოჰყავს, რომელიც მიზნად ისახავს რეგულარული სატვირთო მატარებლების მოძრაობას იმავე მულტიმოდალურ მარშრუტზე პერსპექტივაში შემდგომი გაფართოებით უნგრეთის დედაქალაქამდე სარკინიგზო ან საავტომობილო გადაზიდვების გამოყენებით.

მოყვანილი მსჯელობა ასაბუთებს საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის განვითარების აუცილებლობას, რაც ვერ მიიღწევა მხოლოდ ინდივიდუალური სურვილებით და საჭიროა შეიქმნას მიმზიდველი მაკროეკონომიკური გარემო.

რუსეთისა და ირანისთვის გაცხადებული სანქციების ფონზე მოსალოდნელია რუსეთზე გამავალი სატრანზიტო ტვირთების გადმომისამართება აღმოსავლეთ-დასავლეთის შუა დერეფნის კორიდორზე, ანუ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. გადმომისამართებული ტვირთების მოცულობამ დღეისათვის შესაძლებელია 400 მლნ. ტ. მიაღწიოს. ამ რაოდენობის ტვირთის გატარებას საქართველოს ტრანსპორტი უახლოეს წლებში ვერ შეძლებს, თუმცა მოსალოდნელია უცხოელი ინვესტორების დაინტერესება და შედეგად:

❖ „ნაბუკოს“ მილსადენის პროექტის განხორციელება.

„ნაბუკოს“ რუსეთის გაზსადენებისათვის უნდა გაეწია კონკურენცია. ევროპის რუსულ გაზზე დამოკიდებულების გამო პროექტს გარკვეული პოლიტიკური მხარდაჭერა ჰქონდა,


თუმცა მის წინააღმდეგ აქტიურობდა რუსეთი. პროექტის სუსტი მხარე იყო მისი მაღალი ღირებულება. აზრთა სხვადასხვაობა იყო თავად ევროპის ქვეყნებშიც.

პროექტს კასპიური გაზის ევროპაში ტრანსპორტირება უნდა შეძლებოდა, მომავალში კი ირანისა და ერაყის ენერგორესურსების ტრანსპორტირებაც მოხდებოდა. მილსადენის სიგრძე 3 300 კმ იყო, წარმადობა – 31 მლრდ კუბური მეტრი წელიწადში. პროექტი ითვალისწინებდა:



ნახ. 1. “ნაბუკო”

❖ საქართველოს რკინიგზის ინფრასტრუქტურული განვითარებისათვის ინვესტიციების მოზიდვას და რკინიგზის ტვირთბრუნვის დაახლოებით 40 მლნ. ტონამდე გაზრდას წელიწადში.



ნახ. 2. საქართველოს სარკინიგზო რუკა

❖ ინვესტიციათა მოზიდვას ავტომაგისტრალების მშენებლობისათვის წითელი ხიდიდან სარფამდე, ავტომაგისტრალების გამტარუნარიანობის გაზრდას 40-50 მლნ. ტონამდე წელიწადში.



ნახ. 3. საქართველოს საავტომობილო გზები

❖ ინვესტიციების მოზიდვას ბათუმისა და ფოთის პორტების განვითარებისა და ახალი ღრმაწყლოვანი პორტის აშენებისათვის.



ნახ 4. საქართველოს საზღვაო აკვატორია

❖ ინვესტიციების მოზიდვას ლოგისტიკური ჯაჭვის სხვა ისეთ შემადგენლებში, როგორცაა სხვადასხვა ტიპის ტერმინალები და ლოგისტიკური ჰაბები.

### დასკვნა

სატრანზიტო პოტენციალის გაზრდა გამოიწვევს სატრანზიტო საგზაო მაგისტრალების გასწვრივ უმეტესად ავტომაგისტრალების, რკინიგზისა და პორტების განთავსების არეალში სწრაფ აგლომერაციულ განვითარებას. მათი სპონტანურად გაშლის თავიდან აცილებისათვის საჭიროა მთავრობამ დაამუშაოს საქართველოს აგლომერაციული განვითარების გეგმა, რომელშიც აისახება სატრანზიტო გზების მიმართულებებზე არქიტექტორული და განსახლების ზონალობა, საწარმოო სიმძლავრეების განთავსების ადგილები, ლოგისტიკური ობიექტები, რეკრეაციული ფართობები და სხვ. მთავარია, ეს მიმართულება დამუშავდეს კომპლექსურად, შეირჩეს ის ოპტიმალური თანაფარდობა, რაც უზრუნველყოფს ქვეყნისათვის საუკეთესო შედეგების მოტანას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბათუმის პორტის ოფიციალური საიტი:  
[https://www.batumiport.com/ge/generaluri\\_direqtoris\\_mimartva/statistika/?2020574186ж](https://www.batumiport.com/ge/generaluri_direqtoris_mimartva/statistika/?2020574186ж)
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სტატისტიკური წელიწადული 2021. თბ., 2022 წ., 197 გვ.
3. ჩინეთიდან გერმანიაში ტვირთები საქართველოს გავლით უკვე გაიგზავნა – მოსკოვი ახალი მარშრუტით უკმაყოფილოა. Bpn-ის პუბლიკაცია. საიტი: <https://www.bpn.ge/article/94420-chinetidan-germaniashi-tvirtebi-sakartvelos-gavlit-ukve-gaigzavna-moskovi-axali-marshrutit-ukmaqopiloa>.
4. Народное хозяйство Грузинской ССР в 1987 году. Тб. 1988 г. 154 г.
5. Forbes-საქართველოს კვლევა. საიტი:  
<https://mail.google.com/mail/u/0/#sent/KtbxLzfhcfJgnqvTvFRjLPhPxsNTtsfwvq?compose=DmwnWrRIQzLnxMshrFWRXFIMrlzxQLMCIHWpQpvxBbwcHPSfJWKLfmxxkzbgpHzDwZPphdWTQnLb&projector=1>

*Goderdzi Tkeshelashvili  
Tamar Kiladze*

## POSSIBILITIES OF USING GEORGIA'S TRANSIT POTENTIAL

### Abstract

The article analyzes the geopolitical location of Georgia, the lack of access to the open sea, and the unprecedentedly increased traffic needs under the influence of the globalization of the world economy, which give Georgia one of the main transit functions not only for the bordering states, but also for the countries of Central Asia, China, Iran and Western Europe.

**Keywords:** *Economy, management, transit, transport.*

*თენგიზ ქავთარაძე*

## ბუნებრივი საკვებწარმოების გადიდების გზები შიდა კახეთის ზონის მეცხოველეობის მაგალითზე

**ანოტაცია.** *ნაშრომში შესწავლილია შიდა კახეთში მდებარე საკვებწარმოებისა და ნაყოფის მომცემი ფოთლოვანი ტყის გამოყენების საკითხები, მომთაბარე მელორეობის განვითარებისათვის.*

**საკვანძო სიტყვები:** *მდებარე საკვებწარმოება, საკვებწარმოება, მემცენარეობა, მეცხოველეობა, მელორეობა.*

### შესავალი

მეცხოველეობის განვითარება, მისი პროდუქტიულობის გადიდება და გაძლიერების კულტურის ამღობვა ორგანულად არის დაკავშირებული მთელ რიგ ურთიერთდაკავშირებულ პრობლემებთან, რომელთა შორის მთავარი, გადამწყვეტი როლი მტკიცე საკვებწარმოებას ენიჭება. მეცხოველეობის განვითარებაში საკვების უაღრესად დიდ მნიშვნელობას ისიც ადასტურებს, რომ ამ დარგის მთლიან დანახარჯებში საკვებისა და საფენის ხვედრითი წონა 30-80%-ს, ცალკეულ შემთხვევებში ამ მონაცემებსაც აღემატება, ე.ი საკვები ბაზა წარმოადგენს მეცხოველეობის განვითარების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოები თანმიმდევრულად უნდა ცდილობდნენ ნათესი ფართობების სტრუქტურის გაუმჯობესებას, უპირატესად უნდა თესავდნენ იმ კულტურებს, რომლებიც ყველაზე უხვ მოსავალს და საკვებ ერთეულს იძლევა.

\*\*\*

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ 1983 წელს, 1969 წელთან შედარებით, მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების ნათესი ფართობები კოლმეურნეობებში გადიდდა 0,9%-ით, საბჭოთა მეურნეობებში კი - 59,9%-ით, მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობების



ზრდა ძირითადად მიმდინარეობდა კოლმეურნეობებში შვრიისა და სიმინდის, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში შვრიის, საშემოდგომო ქერისა და სიმინდის ნათესების გადიდებით. 1983 წელს, 1969 წელთან შედარებით, ზონის კოლმეურნეობებში შვრიის ნათესი ფართობები 111 ჰა-დან 179-მდე ანუ 61,3%-ით გაიზარდა, სამარცვლე სიმინდის – 526 ჰა-მდე ანუ 8,7%-ით. ამავე პერიოდში ზონის საბჭოთა მეურნეობებში შვრიის ნათესი ფართობი 70 ჰა-დან 566 ჰა-მდე ანუ 7,4-ჯერ და მეტად გაიზარდა, სიმინდის – 1649 ჰა-მდე ანუ 168%-ით, ხოლო საშემოდგომო ქერის 2652 ჰა-მდე ანუ 128,4%-ით.

კახეთის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში საშემოდგომო ქერისა და შვრიის ნათესი ფართობების ზრდა მარცვლეულის მეურნეობის განვითარების სწორ მიმართულებად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან ქერი საუკეთესო კონცენტრირებულ საკვებ კულტურას წარმოადგენს. ამასთან ერთად, პირუტყვის საკუთარი წარმოების იაფი კონცენტრირებული საკვებით უზრუნველყოფა, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებრივი თვითღირებულების შემცირების ერთი-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. მაღალხარისხიანი კვებითი ღირებულებით ხასათდება აგრეთვე საშემოდგომო ქერი, ნამჯა და ნახორი.

რაც მთავარია, ეს კულტურა (ქერი) თავისი ბიოლოგიური თვისებების გამო ნაკლები შრომითი და ფულადმატერიალური დანახარჯების პირობებში სხვა მარცვლეულ თავთავიან კულტურებთან შედარებით უხვ მოსავალს იძლევა, ადრე მწიფდება და იმ პერიოდში შემოდის, როდესაც მუშახელი სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისაგან შედარებით თავისუფალია. მისი აღების შემდეგ, იმავე ფართობებზე შესაძლებელია სანაწკერალო კულტურების თესვა (მით უმეტეს თუ სარწყავია) და მეორე მოსავალის მიღება როგორც სამარცვლედ, ისე სასილოსედ - მწვანე მასის სახით ან გამოსადოვებლად. ამასთან ერთად თავთავიანი კულტურების წარმოებაში, სამუშაოთა A 90-96% სრულდება მექანიზებულიად და იძლევა მაღალ და იაფ მოსავალს.

აღნიშნულიდან გამომდინარე იმ საწარმოებში, რომელთაც საშემოდგომო ქერი და სიმინდი მოჰყავთ, პერსპექტივაში უნდა ეცადონ, შესაძლებლობის ფარგლებში, გაადიდონ ნათესი ფართობები და აამაღლონ მოსავლიანობა.

ასევე გამართლებულად მიგვაჩნია სამარცვლე სიმინდის ნათესი ფართობების ზრდა, რადგან ამ კულტურის მოსავლიანობის ამაღლება წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას არა მარტო მოსახლეობის სასურსათო მარცვლით მომარაგებისათვის, არამედ მეცხოველეობის საფურაჟე მარცვლით და ჩალით უზრუნველსაყოფად. სიმინდის ნათესის თითოეულ ჰექტარზე შეიძლება მიღებულ იქნეს 300-400 ცენტნერი ტარო და ჩალა, ანუ 6 და 8 ათასი კგ საკვები ერთეული. ერთი ჰექტარი ფართობიდან ასეთი დიდი რაოდენობით საკვები ერთეულის მიღება სხვა რომელიმე კულტურის შემთხვევაში შედარებით ძნელია.

გარდა ამისა, სიმინდის კულტურას დიდი მნიშვნელობა აქვს აგროეკონომიკური და აგროტექნიკური თვალსაზრისითაც, იგი სათოხნი კულტურაა და ხელს უწყობს ნიადაგის გაწმენდას სარეველებისაგან, აუმჯობესებს ნიადაგის ფიზიკურ შემადგენლობას. სიმინდი აღნიშნულ ზონაში საუცხოო სანაწკერალო კულტურად ითვლება და, რაც ყველაზე მთავარია, სასოფლო-სამეურნეო მარცვლეულ კულტურებთან შედარებით უხვმოსავლიანია.

რაც შეეხება მინდვრის საკვებ კულტურებს, მათი ფართობი 1983 წელს, 1969 წელთან შედარებით, კოლმეურნეობებში შემცირდა 31,3%-ით, საბჭოთა მეურნეობებში კი გაიზარდა 37,85%-ით. ასეთ პირობებში მეცხოველეობისათვის მყარი საკვები ბაზის შესაქმნელად პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს მოსავლიანობის გადიდებას ინტენსიფიკაციის გზით, ამასთან – ნათესების ფართობების გადიდებასაც შესაძლებლობის ფარგლებში. მცირემიწიანობის პირობებში საკვების ინტენსიური წარმოება ეკონომიკურად ყველაზე მიზანშეწონილად და გამართლებულად უნდა ჩაითვალოს.

საქართველოს მეცხოველეობის განვითარებისათვის ბუნებრივ საკვებ სავარგულებს ძველთანგანვე საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი ხვედრითი წონა მეცხოველეობის საკვებ ბალანსში 60-70%-ს აღწევდა. ზოგიერთი რაიონში მეცხოველეობის განვითარება ძირითადად ბუნებრივ საკვებზე იყო დაფუძნებული: მაგალითად, დუშეთის რაიონის ხორხის ხეობაში, სადაც ტრადიციულად განვითარებულია მომთაბარე მელორეობა, როგორც

კი ბალახი ამოვა, მოსახლეობა ღორს საკვებს აღარ აძლევს და ისინი თვითონ მოიპოვებენ საზრდოს.

ბუნებრივი სავარგულებიდან მეღორეობაში, განსაკუთრებით კი მომთაბარულში, წამყვანი ადგილი ყოველთვის ნაყოფის მომცემ ფოთლოვან ტყეებს უკავია. მომავალშიც ამ ტყეებს უთუოდ ასეთივე დანიშნულება ექნება.

შიდა კახეთის ტყეებში, უმთავრესად გავრცელებულია წიფლის, მუხის, წაბლის, თხილის, კაკლისა და სხვა ნაყოფის მომცემი ჯიშები “მათი საერთო ხვედრითი წილი შიდა კახეთის ტყის ჯიშებიდან მთლიანად შეადგენს 69.14%-ს (ნაყოფმომცემი ჯიშების მთლიანი ფართობი - 227234 ჰა, ხოლო წიფლის, მუხისა და წაბლის ერთად - 157100 ჰა)”.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის რაოდენობის სპეციფიკურ თავისებურებათა გამო, განსხვავებული უნდა იქნეს მეღორეობის გაძღოლის სისტემები, კერძოდ, იმ ადგილებში, სადაც ნაყოფის მომცემი ფოთლოვანი ტყეების დიდი მასივებია და მდიდარია ბუნებრივი საკვებით (პანტა, მაჟალო, რკო, წიწიბო, წაბლი და სხვა). შესაბამისად შენარჩუნებული და განვითარებული უნდა იქნეს მომთაბარე მეღორეობა (კახურისა და მანგალიცის ჯიშის ღორები), რადგან ასეთი პირობებისათვის ღორი ითვლება ტყის საკვების საუკეთესო ამთვისებლად. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ტყის ნაყოფის მოსავლიანობა ყოველ წელს ერთნაირი არ არის, ამიტომ მომთაბარე მეღორეობაში მეტად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ბუნებრივი საკვები ბაზისა და ბაგური კვების რაციონალური შეთანაწყობა.

ტყის საკვებზე გადასვლამდე ღორი სოფლისპირა ბუნებრივ საძოვრებს იყენებს. ეს საძოვრები პატარა-პატარა წვრილი ნაკვეთებია, რომელთა ფართობი 3-5 ჰა-ს არ აღემატება და წარმოადგენს ხირხატთან, მცირე სიღრმის ნიადაგებს, ისინი გამოუსადეგარი არიან მემინდვრეობისა და მრავალწლიანი ნარგავებისათვის.

ერთ ჰა კარგ საძოვარზე 25-30 ღორის შენახვაა შესაძლებელი, იონჯის საბალახოზე - 50-მდე. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმოებრივი სპეციალიზაციის ალაზნის ვეჯის მევენახეობის ზონის მიწათსარგებლობის მთლიანი ფართობების სტრუქტურაში სამეურნეო დანიშნულების სავარგულთა შორის ყველაზე დიდი ხვედრითი წონა აქვს ბუნებრივ სათიბ საძოვრებს. მათი საერთო ფართობი 127.5 ათას ჰა-ს ანუ 55.8%-ს შეადგენს. აქედან ბუნებრივი სათიბებისა და ზაფხულის საძოვრების ფართობების ნახევარზე მეტი სუბალპურ და ალპურ სარტყელშია მოქცეული. სწორედ ამიტაა განპირობებული ის გარემოება, რომ ბუნებრივი საკვები სავარგულებისა და მათ შორის საძოვრების ხვედრითი წონა მთელ რიგ მაღალმთიან რაიონებში შედარებით მაღალ ზონაშიც, ზამთრის საძოვრების ძირითადი მასივები კი განთავსებულია მთის ქვედა სარტყელსა და დაბლობებში.

ბუნებრივი სავარგულების სათიბ-საძოვართა ფართობების დიდი ნაწილის პროდუქტიულობა დაბალია. ერთ ჰა სათიბზე თივის მოსავლიანობა ზონის კოლმეურნეობებში საშუალოდ 1969-1973 წწ. იყო 17.6 ც., ხოლო საბჭოთა მეურნეობებში - უფრო მცირე და 13.5 ც არ აღემატებოდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივი სათიბ-საძოვრების მოსავლიანობა სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი. მიუხედავად იმისა, რომ მათ სოფლის მთელი სამეურნეო მიწების ნახევარზე მეტი ფართობი უკავია, მაინც აშკარად იგრძნობა საკვების დიდი ნაკლებობა.

ზონის საზოგადოებრივ მეურნეობებში სათიბ-საძოვრების მცირე პროდუქტიულობას განაპირობებდა ის გარემოება, რომ მოუწერიგებელია როგორც ორგანიზაციული, ისე აგროტექნიკური მხარე. ბუნებრივი სათიბ-საძოვრები არ რეგულარულად არ იწმინდება შხამიანი სარეველა და პირუტყვისათვის სხვა უვარგისი ბალახ-მცენარებისაგან; არ იხვნება მწირი, ხავსმოდებული, გაშიშვლებული, მეჩხერი საძოვრები და კულტურული და ველური ბალახების შეთესვის გზით არ უმჯობესდება ბალახნარი. სისტემატურად არ შეაქვთ (ან თუ შეაქვთ - მცირე დოზით) ორგანული და მინერალური სასუქები. აღნიშნულ გარემოებებთან ერთად ბუნებრივი საძოვრების დაბალ წარმადობას ისიც განაპირობებს, რომ საძოვარი პირუტყვის სულადობით არარაციონალურ იტვირთება. როგორც პროფ. დ. აგლაძე

შენიშნავს: “სადოვრის დატვირთვის სწორად განსაზღვრას მნიშვნელობა აქვს როგორც ძოვების გონივული ორგანიზაციისათვის, ისე თვითონ სადოვრის მოვლა-პატრონობის თვალსაზრისით”.

მართალია, აღნიშნული ნაკლოვანი მხარების აღმოფხვრა დიდ შრომით და ფულად-მატერიალურ დანახარჯებს მოითხოვს, მაგრამ საკვებწარმოების გადიდებით და ხარისხის ამაღლებით ეს დანახარჯები მოკლე პერიოდში ანაზღაურდება. “ცდებით დადგენილია, რომ დაჭაობებული სადოვრების დაშრობა და ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელება 180-200%-ით ადიდება ბალახნარის მოსავალს, მორწყვა – 100-150%, ბუჩქნარისაგან გაწმენდა - 30-60%, შერეკვითი გამოვების სისტემის დანერგვა – 20-30%-ით, ქვების აკრეფა და კოლბოხების მოსპობა –10-20%. საკვები ბალახის შეთესვა დაფარცხვითა და სასუქების შეტანით ბალახნარის ხარისხობრივ გაუმჯობესებასთან ერთად მოსავალს ზრდის 60-87%-ით, ხოლო სარეველების გაწმენდა – 15-20%-ით” [6].

ბუნებრივი საკვები სავარგულების ფართობის გადიდება და გაუმჯობესებაში მთავრი სიტყვა მდებლს მელიორაციისა და მეცხოველეობის სახელმწიფო სადგურებმა უნდა თქვან, რისთვისაც საჭირო იქნება მათი ქსელის შემდგომი გაფართოება და საზოგადოებრივი მეურნეობებისადმი მომსახურების გაუმჯობესება.

მეცხოველეობის მყარი საკვები ბაზის შექმნის მიზნით, მომავალში ზონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ყურადღება უნდა მიექცეს ვაზის ნარჩენებისაგან ვიტამინიზებული ფხვნილებისა და საკვები საფუარის წამოებას, ეთერზეთოვანი კულტურების ნარჩენებისა და ჭაჭის საფუარად, ასევე ცხოველური წარმოშობის საკვების, განსაკუთრებით კი მოხდილი რძისა და შრატის მაქსიმალურად და რაციონალურად გამოყენებას.

### დასკვნა

ამრიგად, საქართველოს რესპუბლიკის წარმოებრივი სპეციალიზაციის ალაზნის ვაკის მევენახეობის ზონაში, საზოგადოებრივ მეურნეობებში ბუნებრივი საკვებწარმოების წყაროების მარაგი და მათგან მოსალოდნელი სარგებლობა საკმაოდ მაღალია. ამ მარაგის თუნდაც ნახევარი რომ იქნეს გამოყენებული მეცხოველეობაში და, კერძოდ, მეღორეობაში, დაიზოგება კონცენტრირებული და სხვა სახის საკვების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ეკონომიკური განვითარების ენერგოეკოლოგიური ფაქტორები და ენერგეტიკული ბაზრის ფორმირების მაკროეკონომიკური მიდგომები საქართველოში. თბილისი, "მეცნიერება", 2004.
2. ბელელაური გ., მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივა დავით გარეჯში. რეცენზ. ელექტრ. სამეცნ. ჟურნალი, 2010, # 25.
3. ბურდული ვ., სოციალური და ეკონომიკური განვითარების კოორდინაცია რეგიონალურ და ლოკალურ დონეზე. "მერიდიანი", თბილისი, 2006.
4. ვაჟა-ფშაველა, ხევსურები, თხზ. სრული კრებული, ტ. IX, თბილისი, 1964.
5. გამყრელიძე ბ., ცენტრალური კავკასიის მთიელთა ალპური მესაქონლეობა. "მეცნიერება", 1982.
6. კუნჭულია თ., საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები. "მეცნიერება", თბილისი, 2003.
7. საქართველოს კანონი (საქართველოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ), საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, # 42, 2005.
8. ქავთარაძე თ., აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო. "მეცნიერება", თბილისი, 2003.
9. ლადანი, კოზლოვსკი, სტეფანოვი. მეღორეობა, გამომცემლობა "განათლება", თბილისი, 1983.

WAYS OF EXPANDING THE PRODUCTION OF ORGANIC FOOD ON THE EXAMPLE OF SHIDA KAKHETI ANIMAL HUSBANDRY

Abstract

The paper shows that the development of animal husbandry is organically connected with the existence of a solid food base. Agricultural enterprises should be continuously increased to improve the structure of cultivated areas. The crops that give the most abundant harvest and food unit should be sown preferentially.

As a result of the research, it is clear that in 1983, compared to 1969, the increase in the area of grain-leguminous crops was mainly carried out by the increase of oat and corn crops, which should be considered the right direction of the increase in grain production.

For the development of livestock farmers of Georgia, natural fodder pastures have been of great importance since ancient times, for example, in the valley of Khorkhi district of Dusheti district, where nomadic herding is well developed, in the spring, as soon as the grass grows, the population does not give food to pigs anymore, they chew the food they get with their mouths.

Natural food from pastures in pig farming, especially in nomadic ones, the leading place is always occupied by deciduous forests. In the future, these forests will undoubtedly have the same purpose, because for such conditions, the pig is considered the best assimilator of forest food. Here we would like to note that the yield of forest fruits is not the same every year, therefore, in nomadic herdsmanhip, the rational combination of natural food base and baguri nutrition is a very important task.

შოთა შაბურიშვილი  
ნათია ტერტერაშვილი

აგრობიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის  
შესაძლებლობები და გამოწვევები საქართველოში

**ანოტაცია.** გლობალიზაციის პირობებში ტექნოლოგიური განვითარება ყოველმომცველი გახდა და შეცვალა ისეთი ტრადიციული სფერო როგორც აგრობიზნესია. ციფრული ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლებლობები აჩქარებს საქმიან კომუნიკაციებს, აძლიერებს მომხმარებლების გამოცდილებას, ხელს უწყობს სამეცნიერო პოტენციალის რეალიზებას და ახალი ბიზნესმოდელების შექმნას, რაც საბოლოო ანგარიშით ამაღლებს აგრობიზნესის ოპერაციულ ეფექტიანობას. ნაშრომში განხილულია ახალი ტექნოლოგიების შემოქმედება აგრობიზნესზე, გამოკვეთილია აგრარული სექტორის ციფრული ფრული ტრანსფორმაციის ძირითადი შესაძლებლობები და გამოწვევები.

**საკვანძო სიტყვები:** ციფრული ტექნოლოგიები; ციფრული ტრანსფორმაცია; აგრობიზნესი; სოფლის მეურნეობა; ინოვაცია.

**შესავალი.** გლობალიზაციის პირობებში ტექნოლოგიური განვითარება სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. თანამედროვე ტექნოლოგიებმა მთელი მსოფლიო შეცვალა, ხელი შეუწყო საქმიანი კავშირების განვითარებას, სამეცნიერო პოტენციალის რეალიზებას და ერებს შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას [Shaburishvili S... 2022: 162]. ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა, მათ შორის ინტერნეტმა, ერთი მხრივ აამაღლა აგრობიზნესის მწარმოებლურობა და მეორე მხრივ, ბაზარზე გაჩინა ახალი ტიპის მომხმარებელი - ციფრული მომხმარებელი, რომლის მოთხოვნები განსხვავებულია სტანდარტული მომხმარებლისგან. Research&Markets-ის პროგნოზირებით, 2020-დან 2025 წლამდე, გლობალური ციფრული ტრანსფორმაციის ბაზარი \$469.8 მილიარდიდან - \$1,009.8 მილიარდამდე გაიზრდება, წლიური ზრდის ტემპი 16.5% მიაღწევს ამ პერიოდში [Research and Markets... 2020]. ინტერნეტთან და ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომით აგრობიზნესში ჩართული ფირმები და ფერმერები ტექნოლოგიურად მზად იქნებიან და შეძლებენ გააფართოონ თავიანთი ბაზარი.

ციფრული ტექნოლოგიების განვითარება და მომხმარებელთა ქცევის შეცვლა ბევრ შესაძლებლობას ქმნის აგრობიზნესის მოდელებისა და დამატებული ღირებულებების ჯაჭვების ტრანსფორმაციისთვის, თუმცა მკვლევრები ასევე მიუთითებენ ციფრულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული სარგებლიანობის გამოკვეთის სირთულეებზე, რასაც სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. როგორც წესი, მომხმარებელი აგრობიზნესის ძირითადი საბოლოო პროდუქტის (სურსათის) სარგებლიანობას მხოლოდ მისი საბაზო ფუნქციების შესრულების ასპექტით არ აღიქვამს. ხშირ შემთხვევაში ასევე გადაწყვეტია ის ტექნოლოგიური პროცესები და გზები, რომელიც ამ პროდუქტმა საბოლოო მომხმარებელამდე გაიარა [შაბურიშვილი შ. 2017: 83]. შესაბამისად, ნაშრომის მთავარი მიზანია აგრობიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის გლობალური ტენდენციების გამოკვეთა, ასევე იმ ძირითადი შესაძლებლობებისა და გამოწვევების ანალიზი, რაც საქართველოს აგრარულ სექტორში ციფრული ტექნოლოგიების აქტიურ დანერგვას ახლავს.

\*\*\*

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემებით, 2050 წლისთვის მსოფლიოს მოსახლეობა 9,1 მილიარდს მიაღწევს და ამ რაოდენობის ხალხის გამოსაკვებად სურსათის გლობალური წარმოება 70%-ით უნდა გაიზარდოს. მაგალითად, აფრიკისთვის, სადაც, სავარაუდოდ, იმ დროისთვის დაახლოებით 2 მილიარდი ადამიანი იცხოვრებს, სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობა გლობალურ საშუალოზე უფრო სწრაფი ტემპით უნდა გაიზარდოს, რათა თავიდან იქნეს აცილებული მასობრივი შიმშილი [Ndubuisi E. 2017].

მსოფლიოში პირველი მთლიანად მანქანით მოწეული კულტურა — ადამიანის შესვლის გარეშე მინდორში დათესილი და მოვლილი მოსავალი — 2017 წელს მიიღეს, რაც მნიშვნელოვანი ეტაპია ციფრულ სოფლის მეურნეობაში, რომელიც ზოგჯერ ცნობილია, როგორც „ჭკვიანი მეურნეობა“ ან „ელექტრონული სოფლის მეურნეობა“ [OECD... 2018]. ციფრული სოფლის მეურნეობა გულისხმობს ციფრული ტექნოლოგიის ინტეგრირებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამატებული ღირებულების ჯაჭვში. აგრობიზნესის ციფრული ტექნოლოგიები მოიცავს სენსორების, ავტომატიზაციისა და რობოტების გამოყენებას საწარმოო სისტემებში [Banhazi T. ... 2012: 7]. შიდა ვერტიკალური მეურნეობა, ავტომატიზაცია და რობოტიკა, მეცხოველეობის ტექნოლოგია, თანამედროვე სათბურის პრაქტიკა, ხელოვნური ინტელექტი და ბლოკჩეინი არის ის ძირითადი ტექნოლოგიური მიღწევები, რომელიც სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობის ზრდას უზრუნველყოფს [Chitrasena P. ... 2022]. ფერმის აღჭურვილობა უკავშირდება პროგრამულ პლატფორმებს, რომლებიც აგროვებენ მონაცემებს და აკვირდებიან ნიადაგისა და კლიმატის თავისებურებებს კონკრეტულ ადგილას, რათა ფერმერებს მიაწოდონ ინფორმაცია თესლის შერჩევის, პესტიციდებისა და სასუქების უფრო სწორი გამოყენების შესახებ. დისტანციური ზონდირების მონაცემები ნიადაგის პირობების შესახებ, ფერმერებს ეხმარება მოსავლის მართვაში [Brown, M. ... 2015]. მობილური ტელეფონები ამცირებს ინფორმაციის ღირებულებას და აუმჯობესებს ფერმერების წვდომას ბაზრებსა და ფინანსურ დახმარებაზე [Kaske D. ... 2018]. გაციფრულება ხელს უწყობს ფერმერებისა და მომხმარებლების დაახლოებას, რაც ზრდის აგრარული სექტორის მომხმარებელზე ორიენტაციის ხარისხს და ამცირებს არასაჭირო პროდუქტების წარმოებას. ახალ ბაზრებთან დაკავშირებით, კონტროლისა და სასაზღვრო პროცედურების გამარტივებით, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ასევე ხელს უწყობს აგრობიზნესის პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობის ზრდას. გაციფრულებას ასევე შეუძლია დაეხმაროს მთავრობებს არსებული პოლიტიკისა და პროგრამების ეფექტიანობის გაუმჯობესებასა და უკეთესი შემუშავებაში. მაგალითად, თავისუფლად ხელმისაწვდომი და მაღალი ხარისხის სატელიტური გამოსახულება მკვეთრად ამცირებს მრავალი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მონიტორინგის ხარჯებს. ეს მთავრობებს საშუალებას მისცემს, გადავიდნენ უფრო მიზანმიმართული პოლიტიკისკენ, რომელიც ფერმერებს უხდის (ან აჯარიმებს) გარემოსდაცვითი შედეგების მიხედვით. გარემოსდაცვით პოლიტიკასთან შესაბამისობის მონიტორინგის გაუმჯობესება, ციფრული

ტექნოლოგიების ინტეგრირება იძლევა სოფლის მეურნეობის ადმინისტრირების პროცესების ავტომატიზაციისა და გაფართოებული სამთავრობო სერვისების მიწოდების საშუალებას [OECD... 2018].

მცირდება აგრობიზნესის ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების ბარიერები, რადგან ღრუბლოვანი გამოთვლები, გამოთვლითი სისტემები, ღია კოდის პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა ციფრული ინსტრუმენტები უფრო ხელმისაწვდომი გახდა. მაგალითად, ფერმერებს, ინვესტორებს და მეწარმეებს შეუძლიათ გამოიყენონ ციფრული ტექნოლოგია აფრიკაში საკვების წარმოებისა და მოხმარების ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად [Ndubuisi E. 2017].

აგრობიზნესის წარმატებული მართვა საჭიროებს ზუსტ და მუდმივად განახლებულ ინფორმაციას, რომლის მოპოვება გარკვეულ გამოწვევებს უქმნის აგრობიზნესის მენეჯერებს. ადამიანის ტვინს შეუძლია გაუმკლავდეს შეზღუდული რაოდენობის ინფორმაციის დამუშავებას. ასევე შეზღუდულია ინფორმაციის მოპოვებისა და გადამუშავების შესაძლებლობები. საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემები საშუალებას აძლევს მენეჯერებს გადალახონ ამ დაბრკოლებების უდიდესი ნაწილი [Shaburishvili S. ... 2017: 97]. მათი დახმარებით შეიძლება მეტი ინფორმაციის შეგროვება ნაკლები ძალისხმევით და მისი ინტერპრეტაცია სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ერთობლივი ცოდნით. ინფორმაციის ინტერპრეტაცია შეიძლება წამებში განხორციელდეს, ეს ყოველივე კი წარმოადგენს მძლავრ მექანიზმს მენეჯერებისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ციფრული ტრანსფორმაციის გზით, დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ ისარგებლონ უფრო გამარტივებული დამატებული ღირებულების ჯაჭვით, უფრო მჭიდრო თანამშრომლობით და გაუმჯობესებული კომუნიკაციით მწარმოებლებს, გადამამუშავებლებს, დისტრიბუტორებსა და საცალო მოვაჭრეებს შორის. იმავედროულად, ვითარდება ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც დარგს აძლიერებენ ახალი იდეებითა და პერსპექტივებით [European Commissions... 2023].

აგრობიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის განხილული უპირატესობებიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ ეს პროცესი გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელია კაცობრიობის შემდგომი პროგრესისათვის. განვითარებადი ქვეყნებში, სადაც მოსახლეობა დიდწილად სოფლის მეურნეობაზეა დამოკიდებული, ციფრულ ტექნოლოგიებს შეუძლია დაეხმაროს სიღარიბისა და შიმშილის უფრო სწრაფად დაძლევაში [Kremer M. ... 2020].

ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით არსებითი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს მთავრობის მხრიდანაც, რაც, ბუნებრივია, თავის ასახვას აგარარულ სექტორზეც პოვებს. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის ვალდებულება და ტელეკომუნიკაციის ინფრასტრუქტურის განვითარება ეროვნულ პრიორიტეტად ჯერ კიდევ 2014 წელს დამტკიცებულ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში — „საქართველო 2020“, იყო აღიარებული [საქართველოს მთავრობა... 2014]. ევროკავშირის ასოცირების განხორციელების ანგარიშის მიხედვით, საქართველომ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია ციფრული ეკონომიკის შესაძლებლობების მხარდაჭერის, ციფრული კომპეტენციების გაუმჯობესებისა და ელექტრონული ვაჭრობის განვითარების კუთხით [ევროკავშირი საქართველოსთვის... 2020]. 2022 წელს საქართველოში ჩამოყალიბდა ციფრული ტრანსფორმაციის საბჭო. საბჭოს ფარგლებში სახელმწიფო და კერძო სექტორი ერთად იმუშავებენ, რათა მთლიანად მოხდეს ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაცია, მათ შორის განვითარდეს ინტერნეტტექნოლოგიების მიმართულებებიც, რაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, დასაქმებასა და დამატებითი შემოსავლების მოზილიზებას შეუწყობს ხელს [ბიზნესპარტნიორი... 2022].

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს, რომელიც საფუძველს ჩაუყრის საქართველოს სოფლების გამოცოცხლებისა და ციფრული ტრანსფორმაციის პროცესს. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია [საქართველოს ფერმერთა ასოციაცია... 2021]:

- სოფლის მეურნეობაში არსებული ციფრული ტექნოლოგიების იდენტიფიცირება;

- ფერმერების შესაძლებლობებისა და საჭიროებების გამოვლენა;
- სერვისის მიმწოდებლების პროფილის ციფრულ რუკაზე განთავსება და მათი მონაცემთა ბაზის შექმნა;
- ფერმერისა და მომსახურების მიმწოდებლებისთვის ტრენინგის ჩატარება;
- ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების კუთხით სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული საუკეთესო პრაქტიკების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას საზოგადოებაში და ამით გამოწვეულ ცვლილებებს, ბუნებრივია, თან ახლავს გამოწვევები. სოფლის მეურნეობის სექტორი არ არის გამონაკლისი და მრავალი კითხვა ჩნდება იმის შესახებ, შეუძლია თუ არა ციფრულ ტექნოლოგიებს სოფლის მეურნეობის მოლოდინების დაკმაყოფილება, რა სირთულეები შეიძლება შეგვხვდეს და რის დაუცველობაზე შეიძლება იყოს საუბარი [Veronique B. ... 2022: 23].

რეალური ციფრული ტრანსფორმაცია მდგომარეობს არა იმდენად ინოვაციურ ტექნოლოგიასა და სერვისებში, რომლებსაც ფერმერებს სთავაზობენ, არამედ ამ ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობაში. საქართველოს სოფლის მეურნეობაში მოქმედი სუბიექტები, მართალია, სარგებლობენ ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად მიღებული მექანიზაციითა და მცენარეთა დაცვის საშუალებებით, მაგრამ ეკონომიკის სხვა სფეროებისგან განსხვავებით მათ ჯერ არ მიუღიათ სარგებელი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით ინიცირებული ციფრული ტრანსფორმაციისგან. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები უკვე გამოიყენება საქართველოს აგრარულ სექტორში: ინტერნეტში ხელმისაწვდომი ამინდის პროგნოზი, მოსავალის გაყიდვა ელექტრონული კომერციისა და სოციალური მედიის საშუალებით, კომპიუტერებით აღჭურვილი მექანიზაცია და საწყობები, პირუტყვის ჯანმრთელობის მონიტორინგი ელექტრონული ჩიპებისა და სკანირების გამოყენებით.

აგრობიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის მრავალი უპირატესობის მიუხედავად, მას ასევე შეუძლია შექმნას ციფრული უფსკრული მათ შორის, ვისაც აქვს უახლეს ტექნოლოგიებთან წვდომა და ვისაც არ აქვს. იმისთვის, რომ ტექნოლოგიური პროგრესი ინკლუზიური და ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს, მნიშვნელოვანია მთავრობამ, დარგის ლიდერებმა და ტექნოლოგიების მიმწოდებლებმა ერთად იმუშაონ გაციფრულების უპირატესობების ხელშეწყობაზე და ფერმერებს დაეხმარონ ტრენინგებით, რესურსებითა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის სტიმულირებით. სწორედ ასეთი მიდგომით შეძლებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი, მაქსიმალურად გამოიყენოს ციფრული ეპოქის მიღწევები, გააუმჯობესოს აგრობიზნესის ოპერაციული ეფექტიანობა და აამაღლოს რენტეбельობა, ასევე შემსუბუქდება ისეთი მწვავე პრობლემები, როგორცაა სასურსათო უსაფრთხოება და კლიმატის ცვლილება.

**დასკვნა.** ციფრული ტექნოლოგიების მომავალი სოფლის მეურნეობაში ბევრს გვპირდება. ტექნოლოგია მუდმივად იხვეწება ადამიანური პრობლემების უფრო მარტივად გადაჭრისთვის. სოფლის მეურნეობაში ინტერნეტტექნოლოგიების ათვისება იზრდება, რადგან აგრობიზნესის მენეჯერები სულ უფრო მეტად აღმოაჩენენ ამის საჭიროებას და ხედავენ მის ფასეულობას. ამ ტექნოლოგიურ მიღწევებს შეუძლია ხელი შეუწყოს უფრო გამჭვირვალე, პროდუქტიული, მდგრადი სოფლის მეურნეობისა და კვების სისტემების ჩამოყალიბებას, რომელიც უკეთ დააკმაყოფილებს მომხმარებელთა საჭიროებებს.

აგრობიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის უპირატესობების რეალიზაცია დაკავშირებულია როგორც უშუალოდ დარგის ლიდერებისა და მომსახურების მიმწოდებლების მიერ ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან, ასევე მთავრობის მიერ გატარებულ პოლიტიკასთან. მთავრობა ფერმერებს უნდა დაეხმაროს რესურსებით, ტრენინგებით და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის სტიმულირებით. მათ ასევე უნდა განავითარონ ციფრული საკომუნიკაციო პლატფორმები და გააუმჯობესონ ინტერნეტზე წვდომა, რაც აგრობიზნესს საშუალებას მისცემს გააფართოოს ბაზრები. ქართული სინამდვილისთვის აუცილებელია დაიხვეწოს და განახლდეს საგანმანათლებლო რესურსები ინტერნეტტექნოლოგიების დანერგვისა და გამოყენებისთვის, სასურველია მარკეტინგული კამპანიების ჩატარება

ციფრული ინოვაციების შესახებ და სოფლის მეურნეობის სექტორისათვის შესაბამისი ციფრული პლატფორმების შეთავაზება. საჭიროა ციფრული უნარების, ნიჭისა და სამეწარმეო კულტურის მხარდაჭერა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Shaburishvili S., Terterashvili N., 2022, Impact of the COVID-19 pandemic on the digital transformation of business, Collection of materials II International Scientific-Practical Conference "Using Information Technologies for Optimizing Processes of Production of Agricultural Products and Management of Enterprises", Dnipro, p. 161-165
2. შაბურიშვილი შ., 2017, დამატებული ღირებულების გლობალური ჯაჭვის ფენომენი თანამედროვე საერთაშორისო ბიზნესში, ჟურნ., ეკონომიკა და ბიზნესი, N1, გვ. 70-84.
3. Research and Markets, 2020, The World's Digital Transformation Industry 2020-2025: Trends, Opportunities and Competitive Landscape, Dublin, 2020. <https://www.globenewswire.com/news-release/2020/08/14/2078517/0/en/The-World-s-Digital-Transformation-Industry-2020-2025-Trends-Opportunities-and-Competitive-Landscape.html#:~:text=The%20World%27s%20Digital%20Transformation%20Industry%202020%2D2025%3A%20Trends%2C%20Opportunities%20and%20Competitive%20Landscape>
4. Ndubuisi E., 2017, How Digital Technology Is Changing Farming in Africa. <https://hbr.org/2017/05/how-digital-technology-is-changing-farming-in-africa#:~:text=Entrepreneurship%20%20C2%A0%20C2%A0%7C-,How%20Digital%20Technology%20Is%20Changing%20Farming%20in%20Africa,-Subscribe>
5. OECD, 2018, Technology and digital in agriculture. <https://www.oecd.org/agriculture/topics/technology-and-digital-agriculture>
6. Banhazi T.M., Lehr J.L., Black H., Crabtree P., Schofield M., 2012, Precision livestock farming: An international review of scientific and commercial aspects. International Journal of Agricultural and Biological Engineering, N5 (3), p.1–9
7. Chitrasena P., Devender M., Rabindra Kumar R., 2022, Role of Digital Technology in Agriculture“. [https://www.researchgate.net/publication/360156670\\_Role\\_of\\_Digital\\_Technology\\_in\\_Agriculture](https://www.researchgate.net/publication/360156670_Role_of_Digital_Technology_in_Agriculture)
8. Brown M.E., 2015, Satellite remote sensing in agriculture and food security assessment. Procedia Environ. <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1878029615005551#:~:text=Satellite%20Remote%20Sensing%20in,%E2%98%86>
9. Kaske D., Mvena Z., Sife A., 2018, Mobile phone usage for accessing agricultural information in Southern Ethiopia. <https://www.semanticscholar.org/paper/Mobile-Phone-Usage-for-Accessing-Agricultural-in-Kaske-Mvena/df86f556bfe2678bbaa42a9aac7fee4b02b1aaaa#:~:text=Mobile%20Phone%20Usage%20for%20Accessing%20Agricultural%20Information%20in%20Southern%20Ethiopia>
10. Shaburishvili S., Chania M., 2017, Global Innovation Trends and Georgia, European Journal of Economics and Business Studies, May-Aug Vol. 8 Nr. 1. pp. 94-99.
11. European Commissions, 2023 The Digitalization of the European Agricultural Sector, <https://digital-strategy.ec.europa.eu/en/policies/digitalisation-agriculture>
12. Kremer M., Hougbo G. F., 2020, Grow back better? Here’s how digital agriculture could revolutionise rural communities affected by COVID-19. <https://www.weforum.org/agenda/2020/07/digital-agriculture-technology/>
13. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე, სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ (matsne.gov.ge)
14. ევროკავშირი საქართველოსათვის, 2020 <https://eufordigital.eu/geo/countries/georgia>
15. ბიზნესპარტნიორი, 2022. [https://business-partner.ge/ekonomika/sakartveloshi-tsifruli-transformatsiis-sabcho-chamoqalibdeba?fbclid=IwAR0CVQLPaPoW7ulpHvuxLJYQ5mbI\\_rg-M\\_9MI4wtjrZags2k4YiITx63GY](https://business-partner.ge/ekonomika/sakartveloshi-tsifruli-transformatsiis-sabcho-chamoqalibdeba?fbclid=IwAR0CVQLPaPoW7ulpHvuxLJYQ5mbI_rg-M_9MI4wtjrZags2k4YiITx63GY)
16. საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, 2021. <https://gfa.org.ge/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1->



%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-  
%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%A0-2/?fbclid=IwAR2j1tDMMkf-  
\_3DcHICImBQ4KFWVXBmuaXxZ1ofT-0bSaRyU0\_YIW0YDQ2Q

17. Veronique B., Ludovic B., Frederick G., Nathalie M., Alexandre T., 2022, Agriculture and Digital Technology: Getting the most out of digital technology to contribute to the transition to sustainable agriculture and food systems. pp.1-185, ff10.17180/wmkb-ty56-enff. fihal-03604970f.

*Shota Shaburishvili*

*Natia Terterashvili*

## **OPPORTUNITIES AND CHALLENGES OF AGRIBUSINESS DIGITAL TRANSFORMATION IN GEORGIA**

### **Abstract**

In the conditions of globalization, technological development has become comprehensive and has changed such a traditional field as agribusiness. Digital technologies and artificial intelligence capabilities accelerate business communications, enhance customer experience, help realize scientific potential and create new business models, which ultimately increases the operational efficiency of agribusiness. The paper discusses the impact of new technologies on agribusiness, highlights the main opportunities and challenges of the digital transformation of the agricultural sector.

According to the Food and Agriculture Organization of the United Nations, the world population will reach 9.1 billion by 2050, and to feed that number of people, global food production will need to grow by 70%. For example, for Africa, which is projected to be home for about 2 billion people by then, farm productivity must accelerate at a faster rate than the global average to avoid continued mass hunger. The world's first entirely machine-operated crop – a crop sown and tended without a human ever entering the field – was harvested in 2017, a milestone in digital agriculture, sometimes known as “smart farming”, or “e-agriculture”.

Successful managing of agribusiness requires information. To acquire this information poses certain challenges to the agribusiness manager. The human brain can only cope with processing a relatively limited amount of information. We are also limited by our ability to acquire information as well as the knowledge to interpret this information. Information technology systems enable managers to overcome these obstacles to a large extent. With the help of these systems more information can be gathered with less effort and it can be interpreted with the combined knowledge of specialists in different fields. The interpretation of the information can be done in seconds. This puts a very powerful tool in the hands of the agribusiness manager to use in decision making.

The development of digital technologies in society and the changes it brings are naturally accompanied by inherent risks. The agricultural sector is no exception, and many questions arise about whether digital agriculture can meet expectations, what difficulties we may face, and what vulnerabilities we may be talking about.

The real digital transformation lies not so much in the innovative technology and services offered to farmers, but in the availability of these technologies. Although Georgia's agricultural entities are benefiting from the mechanization and plant protection tools resulting from the industrial revolution, unlike other areas of the economy, they have not yet benefited from the digital transformation initiated by information and communication technologies. At the same time, it should be noted that modern means of communication are already used in the agricultural sector of Georgia: weather forecasts available on the Internet, crop sales through the Internet and social media, mechanization and warehouses equipped with computers, livestock health monitoring using electronic chips and scans.

Despite the many benefits of agribusiness digital transformation, it can also create a digital divide between those who have access to the latest technology and those who do not. To make technological progress inclusive and accessible to all, it is important that policymakers, industry leaders and technology providers work together to take advantage of digitization and support farmers with training, resources and incentives to adopt new technologies. It is with such an approach that Georgia's agricultural sector will be able to make the most of the digital age, improve the sustainability and profitability of agribusiness operations, and mitigate issues such as food security and climate change.

**საქართველოზე გამავალი შუა კორიდორის,  
სატრანზიტო დერეფნის განვითარების პერსპექტივები**

*ანოტაცია. სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა. ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის შესაბამისად, საქართველოს აქვს შესაძლებლობა ნახსენებ სატრანზიტო დერეფანში შეასრულოს საკვანძო ფუნქცია, მოახდინოს საკუთარი სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სისტემის სიღრმისეული ინტეგრაცია საერთაშორისო ლოჯისტიკურ სისტემებში და ამით ხელი შეუწყოს ქვეყნის საერთო ეკონომიკურ განვითარებას. საკვანძო სიტყვები. ეკონომიკა, მენეჯმენტი, ტრანზიტი, ტრანსპორტი.*

**შესავალი**

საქართველო მდებარეობს მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და რთულ გეოპოლიტიკურ რეგიონში, დიდი აზრეშუმის გზის საკვანძო ადგილზე, რომელიც ისტორიულად დიდ როლს თამაშობდა ევროპისა და აზიის განვითარებასა და ურთიერთობებში. მას შემდეგ რაც საქართველომ თავი დააღწია საბჭოთა კავშირს, ქვეყანა საკუთარი გეოგრაფიული სივრცის, ისტორიული წარსულის, პოლიტიკური მნიშვნელობისა და ეკონომიკური შესაძლებლობიდან გამომდინარე, ახალი გეოეკონომიკური ცენტრია ევროპასა და აზიას, რუსეთსა და ახლო აღმოსავლეთს შორის. შესაბამისად საქართველოს, როგორც ახალ გეოეკონომიკური მიზიდულობის ცენტრის მიმართ, გაჩნდა მზარდი ინტერესი როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. ქვეყნის უმთავრეს გეოპოლიტიკურ ამოცანას ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია წარმოადგენს. ამრიგად, გეოპოლიტიკური სტრატეგია მკაფიოდ არის დეკლარირებული, ხოლო მსოფლიო ეკონომიკაში საკუთარი ნიშის დამკვიდრებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია სწორად ჩამოყალიბებული გეოეკონომიკური სტრატეგიის ფორმირება და მისი იმპლემენტაცია რეგიონის ლოკალურ და საერთაშორისო მოკავშირეებთან შესაბამისი თანამშრომლობით. ამჟამად საქართველოს გეოეკონომიკურ პოზიციონირებაზე გავლენას ახდენენ შიდა რეგიონული დონის მოთამაშეები (სომხეთი, აზერბაიჯანი); გარე რეგიონული დონის შემთხვევაში – რუსეთი, თურქეთი, ირანი, შუა აზიის ქვეყნები და ისეთი საერთაშორისო დონის მოთამაშეები, როგორებიც არიან ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთი.

**ძირითადი ნაწილი**

საქართველო ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყანაა. მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 6671.9 \$-ია. საქართველოს, მისი მასშტაბებიდან გამომდინარე, გააჩნია ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა, რაც განისაზღვრება ევროპა-აზიის დამაკავშირებელ გზაზე მდებარეობით.

საქართველოს ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის რამდენიმე მილსადენი:

- ბაქო–თბილისი–ერზერუმის მილსადენი/შაჰ–დენიზის მილსადენი;
- ბაქო–სუფსის მილსადენი (დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენი/დასავლეთის ადრეული ნავთობის მილსადენი);
- ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის მილსადენი;
- TAP (ტრანს–ადრეატიკის მილსადენი);
- ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზის მილსადენი.

აღნიშნული მილსადენები გარდა იმისა, რომ საქართველოს ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი წყაროა, ამავე დროს მისი უსაფრთხოების გარანტიის ერთ-ერთი შემადგენელიცაა.

საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო გადაზიდვებს ემსახურება საქართველოს რკინიგზა, ავტომანქანის გზები, საზღვაო პორტები და ტერმინალები, ნაწილობრივ საჰაერო ტრანსპორტიც.

საქართველოში არსებული სატრანსპორტო დარგების განვითარება მაღალი ტემპით მას შემდეგ მიმდინარეობს, როდესაც მასიურად გახდა სარკინიგზო, საავტომობილო, საჰაერო, საზღვაო ტრანსპორტის სახეობების გამოყენების მოთხოვნილება, რასაც თან ერთვის ეკონომიკური აღმავლობაც. ტრანსპორტი ემსახურება საკუთარ ეკონომიკასაც და ასრულებს სატრანზიტო ფუნქციასაც. მას ხელს უწყობს საზღვაო რესპუბლიკის სტატუსი და ღია ზღვაში გასასვლელად ფოთისა და ბათუმის პორტების ინტენსიური განვითარება.

საქართველოს პორტებითა და ტერმინალებით გადაზიდული ტვირთების მოცულობები ბოლო ათწლეულის განმავლობაში მცირდებოდა, თუმცა ახლა უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარე სამომარი მოქმედებებისა და რუსეთის საწინააღმდეგოდ გამოცხადებული სანქციების გამო ტვირთების საქართველოს სატრანზიტო გზით გადაზიდვაზე მოთხოვნა მკვეთრად იზრდება.

გასულ წელს საქართველოს სატრანზიტო დერეფანში ყოველდღიურად 1300-ზე მეტი ტრაილერის გატარება ხდებოდა, მათ შორის მხოლოდ დეკემბერში საავტომობილო გზებით 45 560 ტრაილერმა ისარგებლა.


სახელმწიფო ხაზინის მონაცემებით, დეკემბერში სატვირთო ავტომობილების მფლობელებმა გზით სარგებლობისთვის ბიუჯეტში 15.9 მლნ ლარი შეიტანეს.

ერთი მხრივ, შუა დერეფანში გაზრდილი ნაკადისა და მეორე მხრივ ივნისიდან გადასახადის 200-დან 350 ლარამდე გაზრდამ გზათსარგებლობის შემოსავლები 128 მლნ ლარამდე გაზარდა. 2021 წელს ეს მაჩვენებელი თითქმის 2-ჯერ ნაკლები იყო და მხოლოდ 66,4 მლნ ლარს შეადგენდა.

ცხრილი 1

თვე	გზითსარგებლობის საფასური (ლარი)	ტრაილერის რაოდენობა	მიღებული შემოსავალი (ლარი)
იანვარი	200	26 742	5 348 454
თებერვალი	200	30 493	6 098 631
მარტი	200	24 780	4 956 096
აპრილი	200	34 021	6 804 200
მაისი	200	41 307	8 261 368
ივნისი	(20 ივნისიდან გადასახადი 350 ლარი გახდა) 200-350	45 095	10 522 373
ივლისი	350	39 177	13 712 014
აგვისტო	350	43 858	15 350 493
სექტემბერი	350	39 208	13 722 963
ოქტომბერი	350	39 301	13 755 578
ნოემბერი	350	38 791	13 577 160
დეკემბერი	350	45 560	15 946 016

ჯამში 2022 წელს საქართველოს სატრანზიტო დერეფანში დაახლოებით 448 335-მა სატვირთომ გაიარა, 2021 წელს ეს მაჩვენებელი 332 070 იყო.



ნახაზი 1. კასპიის ტრანზიტის რუკა

**რამდენად კონკურენტულია საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო დერეფანი (შუა დერეფანი) რუსეთზე გამავალ სატრანსპორტო დერეფანთან მიმართებით?**

2023 წლის 1 იანვრიდან რუსეთმა, ყაზახეთმა, თურქმენეთმა და ირანმა „ჩრდილოეთ – სამხრეთ“ დერეფანზე ერთობლივად შეიმუშავეს 20 %-იანი ფასდაკლება სარკინიგზო გადაზიდვებზე.

შედეგად გამჭოლი ტარიფი ერთი 20-ფუთიანი კონტეინერის ერთ კილომეტრზე გადაზიდვისას განისაზღვრა 0.16 დოლარით, 40-ფუთიანი გადაზიდვისას – 24 დოლარით.

**რამდენს წარმოადგენს შუა დერეფნის ტარიფი?**

შუა დერეფნის მოქმედი კომპლექსური გამჭოლი ტარიფი (დამტკიცებულია 09.05.2022 წელს) ყაზახეთი–აზერბაიჯანი–საქართველოს გავლით ბათუმი/ფოთის ნავსადგურებამდე 20-ფუთიანი კონტეინერისთვის ერთ კილომეტრზე შეადგენს 0.36 დოლარს, ხოლო 40-ფუთიანი კონტეინერისთვის – 0.59 დოლარს.

ფაქტობრივად რუსეთი–ყაზახეთი–თურქმენეთი–ირანის ტარიფი 20-ფუთიანი კონტეინერებისთვის 2-ჯერ, ხოლო 40-ფუთიანი კონტეინერისათვის – 2,5-ჯერ ნაკლებია შუა დერეფანთან შედარებით.

შედეგად თვალსაჩინოა მიმდინარე წელს როგორც საქართველოს ნავსადგურებში, ასევე რკინიგზაზე ტვირთების საშუალოდ 7–10 % მატება. რეალურად შუა დერეფანს გააჩნია ტვირთების მოზიდვის, ანუ მნიშვნელოვნად მეტი ტვირთნაკადების მოზიდვის შესაძლებლობა.

### **EBRD-ის ალტერნატივა „ახალი აბრეშუმის გზის“ ჩრდილოეთის მარშრუტისთვის**

რუსეთის ფედერაციის გავლით ჩრდილოეთის სარკინიგზო მარშრუტის ოპტიმალური ალტერნატივების დადგენის მიზნით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) ცენტრალური აზიის ქვეყნებსა და ევროპის TEN-T ქსელს (ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელი) შორის შესაძლო საუკეთესო კავშირებს იკვლევს. EBRD-ის კვლევა 2023 წლის ზაფხულამდე გაგრძელდება.

შუალედურ დასკვნაში ხაზგასმულია უზარმაზარი განსხვავება რუსულ მარშრუტსა და შუა დერეფანს შორის. ეს უკანასკნელი ჯერჯერობით საუკეთესო ალტერნატივად მიიჩნევა იმ კომპანიებისთვის, რომლებიც თავს არიდებენ რუსულ ტრანზიტს.

უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია რუსეთის ალტერნატიული სატრანსპორტო მარშრუტების განვითარება. პროფესიონალ რკინიგზელთა კლუბის პრეზიდენტი დავით გოჩავა Eurepetime-თან ინტერვიუში აღნიშნავს: „ომში

ჩართულობის მიუხედავად რუსეთი პოზიციებს არ თმობს და ცდილობს ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო დერეფნის გააქტიურებას. რუსეთის მიზანია ამ სივრცეში მთელი ლოჯისტიკური სისტემის შეცვლა და ინვესტიციების მოზიდვა. მოსკოვისთვის მნიშვნელოვანია სანქტ-პეტერბურგის პორტი პირდაპირ დაუკავშირდეს მუშაბაის პორტს. რამდენიმე საცდელი გადაზიდვა რუსეთმა უკვე გააკეთა, თუმცა ადგილზე არ აქვს მაკავშირებელი რგოლი და ცდილობს მათ შევსებასა და გააქტიურებას<sup>67</sup>. მისივე თქმით, ევროპა ხედავს, რომ რუსეთი აძლიერებს ამ სივრცეში ყოფნას. ცდილობს შეისწავლოს რომელი განშტოება და მიმართულება იქნება მისთვის ეკონომიკურად უფრო მიზანშეწონილი. აქ მთავარი ღონისძიება კასპიის ზღვა და მისი დასავლეთის განშტოება-აზერბაიჯანის მარშრუტი. ასევე საინტერესოა კასპიის ზღვით კავშირი მახაჩყალის პორტთან და შემდეგ ტვირთების პირდაპირი ტრანზიტი ირანთან. აქ ყველაზე მეტად პერსპექტიულია კავკასიის შუა დერეფანი, რომელიც გადის საქართველოზე.



ნახაზი 2

2021 წელს რუსეთის მარშრუტზე 1,5 მილიონი TEU (კონტეინერი) ტრანსპორტირდა. 2022 წელს შუა დერეფანში სატვირთო ბრუნვა 30%-ით გაიზარდა. 6-ჯერ გაიზარდა სარკინიგზო ტვირთაკადები ყაზახეთიდან საქართველოში. ტრანსკასპიურ საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტზე 2022 წლის 8 თვეში 1,3 მილიონი ტვირთი გადაიზიდა, რაც 2,5-ჯერ მეტია ანალოგიური პერიოდის მონაცემებზე.<sup>67</sup>

ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო(TITR) მარშრუტი „შუა დერეფანი“ გადის ჩინეთზე, ყაზახეთზე, კასპის ზღვაზე, აზერბაიჯანზე, საქართველოსა და თურქეთზე. ამ მარშრუტით შესაძლებელია ტვირთების გადატანა შავი ზღვის გავლით ევროპის ქვეყნებისკენ. ეს მარშრუტი ყველაზე მოკლეა ევროპასა და მწარმოებლებს შორის. როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დავოსში გამართულ ეკონომიკურ ფორუმის პანელურ დისკუსიაზე განაცხადა, ჩინეთიდან მომავალი მატარებელი მაქსიმუმ 10-15 დღეში შემოვა საქართველოში. ამიტომ ეს მნიშვნელოვანი დერეფანია. მისივე თქმით, ამ ეტაპზე რკინიგზის წარმადობა არის 25 მილიონი ტონა წელიწადში. ამ ეტაპზე ხორციელდება რკინიგზის მოდერნიზაცია, რომელიც დასრულდება 2024 წლისთვის და იმ ეტაპზე წარმატობა 48 მილიონი ტონა გახდება.

TMTM-ის ასოციაციის წევრია 8 ქვეყნის 20 კომპანია. მათ შორისაა რკინიგზის ადმინისტრაციები, პორტები, გადაზიდვები და ლოჯისტიკური კომპანიები.

<sup>67</sup> Casp-geo.ru/; Europetime.eu/ka/article/38324

## დასკვნა

საქართველოზე გამავალი შუა კორიდორის გასავითარებლად საჭიროა ამ სფეროში ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიის და ერთიანი საკანონმდებლო რეგულირების შემუშავება, რომლის ფარგლებში შესაძლებელი იქნება მთლიანი სატრანსპორტო ლოგისტიკური სისტემის უფრო ქმედითად წარმოჩენა. ამასთან, საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკური პოტენციალის სრულფასოვანი ათვისება უკავშირდება შემდეგი საკითხების ერთიან ფორმატში გაანალიზებას, ესენია: სახელმწიფო ხელისუფლების ცალკეულ უწყებათა შორის კოორდინაციის ამაღლება; გადამზიდავ ბიზნესოპერატორებს შორის კონკურენტული გარემოს განვითარების ხელშეწყობა; ტვირთზიდვაზე საერთო სატარიფო პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა; საქართველოს საგადასახადო და თავისუფალი ინდუსტრიული ზონების მარეგულირებელ კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილებები; ეკონომიკური დიპლომატიის გააქტიურება; სატრანსპორტო-ლოგისტიკური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ადმინისტრაციული, ტექნოლოგიური და საინფორმაციო სივრცის გაუმჯობესება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=20>

2. ბათუმის პორტის ოფიციალური საიტი.

[https://www.batumiport.com/ge/generaluri\\_direqtoris\\_mimartva/statistika/?2020574186](https://www.batumiport.com/ge/generaluri_direqtoris_mimartva/statistika/?2020574186)

3. <https://bm.ge/ka/article/-ra-shemosavals-igebs-saqartvelo-trailerebis-gatarebit---machveneblebi-rekordulia/124097>

4. [https://www.bp.com/ka\\_ge/georgia/home/who-we-are/\\_-\\_-\\_.html](https://www.bp.com/ka_ge/georgia/home/who-we-are/_-_-_.html)

5. [https://pdf.usaid.gov/pdf\\_docs/PA00TH43.pdf](https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00TH43.pdf)

*Giga Kharazi*

## **PERSPECTIVES OF THE DEVELOPMENT OF THE MIDDLE TRANSIT CORRIDOR PASSING THROUGH GEORGIA**

### **Abstract**

The geopolitical location of Georgia is analyzed in the article, according to the favorable geopolitical location, Georgia has the opportunity to perform a key function in the mentioned transit corridor, to deeply integrate its own transport logistics system into the international logistics system and thereby contribute to the overall economic development of the country.

**Keywords:** *Economy, management, transit, transport.*

**საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და  
გლობალიზაციის სექტორი**  
**SECTOR OF INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS AND  
GLOBALIZATION**

*ხათუნა ბერიშვილი*

**საქართველო-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების  
ტენდენციები და საფრთხეები რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში**

*ანოტაცია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთმა არაერთხელ გამოიყენა ეკონომიკური ბერკეტები პოსტსაბჭოთა ქვეყნების, მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შევისწავლოთ და გავაანალიზოთ საქართველოს ეკონომიკის რუსეთზე დამოკიდებულების დონე და ვაჭრობის, ტურიზმის, ფულადი გზავნილების, საქართველოში ოპერირებადი რუსეთის მოქალაქეების მიერ დაფუძნებული კომპანიების განვითარების ტენდენციები.*

*ომმა საქართველოს რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახადა. რუსეთზე დაწესებული ეკონომიკური სანქციები მისი ეკონომიკის შემცირებას იწვევს, რაც იმ ქვეყნებზეც აისახება, რომლებსაც მასთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები გააჩნია. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ომის დადგენა, თუ რა გავლენას ახდენს რუსეთ-უკრაინის ომი საქართველოს დამოკიდებულებაზე რუსეთის ეკონომიკასთან.*

*საკვანძო სიტყვები: რუსეთ-უკრაინის ომი, ეკონომიკური განვითარება, საქართველო, საფრთხეები, ეკონომიკური დამოკიდებულება.*

რუსეთ-უკრაინის ომამდე რუსეთის ეკონომიკა არ გამოირჩეოდა სტაბილური განვითარების ტენდენციით. ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ თავისებურებებს სამი ძირითადი ტენდენცია ახლდა:

პირველი – ეკონომიკის სტაგნაცია. სტაგნაცია გამოიხატება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის ნულოვან ნიშნულთან მიახლოებით. 2020 წელს რუსეთში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ შეადგინა 1,3%, ინდუსტრია პრაქტიკულად არ გაიზარდა, ინვესტიციები შემცირდა 0,3%-ით, მშენებლობა – 1,5%-ით, ხოლო მანქანებისა და აღჭურვილობის წარმოება – 3,4%-ით; შეჩერდა ექსპორტის ზრდა, სატვირთო მიმოსვლა; შემცირდა საწარმოების საქმიანობის ფინანსური შედეგი 14,3%-ით, ასევე შემცირდა საფონდო ბირჟებზე მსხვილი რუსული კომპანიების კაპიტალიზაცია. ამიტომ მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილების დინამიკის მიხედვით, ამ პროცესს სამართლიანად შეიძლება ეწოდოს ეკონომიკის სტაგნაცია [1].

მეორე არის რეცესია. რეცესიაში ვგულისხმობთ ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესებას. რუსეთი გადავიდა რეცესიაში 2020 წლის პირველ კვარტალში, როდესაც აშშ-სა და ევროპული საზოგადოების მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა სანქციებმა მის ეკონომიკას მნიშვნელოვნად დაარტყა. ამ სანქციებიდან მთავარია ფინანსური ურთიერთქმედების შემცირება საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან, საიდანაც რუსეთი ყოველწლიურად 100 მილიარდ დოლარზე მეტს იღებდა სესხის სახით [2].

მესამე არის სტაგფლაცია, რომელიც განსაკუთრებული უარყოფითი პროცესია ეკონომიკაში, როდესაც სტაგნაციას და რეცესიას თან ახლავს ინფლაციის დაჩქარება. ტერმინი „სტაგფლაცია“ პირველად გასული საუკუნის 60-იან წლებში გაჩნდა, ხოლო შეერთებული შტატები 70-იან წლებში პირველად ჩავარდა დიდ სტაგფლაციაში. 70-იანი წლებში აშშ-ის ეკონომიკა, გატარებული ეკონომიკური რეფორმების შედეგად მაინც ვერ გამოვიდა ამ მდგომარეობიდან. მხოლოდ რ. რეიგანმა მიაღწია წარმატებას. მან გამოაცხადა ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც ეწოდა "რეიგანომიკა". რ. რეიგანმა მკვეთრად შეამცირა გადასახადები, დაიწყო ეკონომიკის, ტექნოლოგიური სტრუქტურის სწრაფი განახლება,

პრიორიტეტი მიანიჭა ინოვაციურ განვითარებას, გადავიდა დაჩქარებულ ინვესტიციებზე, რითაც უზრუნველყო აშშ-ის 25-წლიანი კეთილდღეობა.

რუსეთში 2020 წელს წლიური ინფლაცია 5,1% იყო, 2013 წელს – 6,8%, 2021 წელს – 7,8%, ხოლო 2022 წელს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მონაცემებით – 22%-ზე მეტი. ინფლაცია განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც რუსეთს დასავლეთის მოწინავე ქვეყნებმა სანქციები დაუწესეს, რის შედეგადაც მხოლოდ სურსათზე ფასები 20%-ზე მეტით გაიზარდა. „შეზღუდული ღია ეკონომიკის მოქმედებამ“ სახელმწიფო და ოლიგარქიული მონოპოლიების დომინირებით, მოთხოვნის შემცირების მიუხედავად გაზარდა სამომხმარებლო ფასები [3].

დღევანდელ რუსეთში, ეკონომიკური მდგომარეობა გაცილებით უარესია, ვიდრე 2018-2019 წლების კრიზისის დროს, როდესაც მშპ შემცირდა 8%-ით, ინვესტიციები 17%-ით, საგარეო ვაჭრობა კი 40%-ით. საფონდო ბირჟაზე აქციების კურსი 4-ჯერ დაეცა, უმუშევრობა თითქმის გაორმაგდა.

რუსეთში სტაგნაცია დაკავშირებულია შინაგან მიზეზებთან და ამიტომ აუცილებელია ამ მიზეზების გააზრება, იმის გაგება, თუ რა ძალები უბიძგებენ ეკონომიკას?

2019 წლის კრიზისის დროს, უპირველეს ყოვლისა, დაფიქსირდა ინვესტიციების უზარმაზარი ვარდნა – 17%-ით. შემდეგ ინვესტიციები ოდნავ გაიზარდა, ხოლო 2020 წლის შედეგები 2021 წელთან შედარებით 11%-ით დაბალი იყო. ეკონომიკაში ინვესტიცია არის მთავარი ძალა, რომელიც უბიძგებს მის განვითარებას, ამიტომ ინვესტიციების ზრდის გარეშე ქვეყანას მომავალი არ აქვს. ზოგადად ინვესტორები ქმნიან ახალ შესაძლებლობებს, იზრდება საქონლისა და მომსახურების წარმოება და მშპ. არსებობს ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობა ახალი ინვესტიციების გარეშე, ინოვაციური ეკონომიკის ხარჯზე. მაგალითად, რუსეთის ეკონომიკური ზრდა მოხდა XX საუკუნის 90-იან წლებში უმოქმედო შესაძლებლობების გამოყენების საფუძველზე, რომელიც შეიქმნა ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში, მაგრამ ეს ზრდის რესურსი ამოიწურა. დღეისათვის რუსეთში ამორტიზებული ტექნიკის დონე აღწევს 50%-ს, მანქანებისა და აღჭურვილობის საშუალო მომსახურების ვადა 14 წელია. ძველი აღჭურვილობის ეფექტიანად გამოყენება შეუძლებელია, მას მუდმივად ესაჭიროება კაპიტალური რემონტი, რაც შრომის დიდ ხარჯებს იწვევს. ძველი ტექნოლოგიები მოითხოვენ მეტ ელექტროენერგიას, მასალებს, შრომის დანახარჯებს და უფრო დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდებიან. ანუ ინვესტიციებზე დაზოგვის მცდელობა იწვევს დიდ ზარალს, ამიტომ სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, რუსეთს აქვს ნაკლები შესაძლებლობა განვითარდეს ექსტენსიური გზით, რადგან ის ტექნოლოგიურად ჩამორჩენილია [4].

მეორე ფაქტორი არის კაპიტალის გადინება. 2019 წლის კრიზისამდე იყო კაპიტალის შემოდინება. 2018 წელს ამ შემოდინებამ 43 მილიარდი დოლარი შეადგინა, 2021 წლის კრიზისის დროს ქვეყნიდან მოხდა 133 მილიარდი დოლარის ინვესტიციების გადინება. სულ რაღაც 6 წელიწადში ქვეყნიდან 575 მილიარდი დოლარით მეტი კაპიტალი გავიდა, ვიდრე შემოვიდა [2]. რამ გამოიწვია კაპიტალის ასეთი დიდი გადინება? უპირველეს ყოვლისა ინვესტიციური აქტივობის ნეგატიურმა გარემომ: ბიუროკრატამ, კორუფციამ, არასაიმედო სამართლებრივმა სისტემამ. მეწარმეები ზეწოლას განიცდიან, განსაკუთრებით ძალოვანი უწყებების მხრიდან – რუსეთში ყოველი მეექვსე მეწარმე არის დაპატიმრებული ან გამოძიების ქვეშ, ნორმები და კანონები არ არის დაცული, ამიტომ მრავალმა ბიზნესმენმა დაიწყო თავისი კაპიტალის ქვეყნიდან გატანა [5].

მესამე ფაქტორი, რამაც გამოიწვია სტაგნაცია, იყო ეკონომიკური ზრდის შენელება და ნავთობის ფასების ვარდნა. 2015 წლიდან 2018 წლამდე ბარელი ნავთობის ფასი რვაჯერ გაიზარდა. 1998 წელს ბარელი ნავთობი 12 დოლარი ღირდა, 2008 წელს კი – 95 დოლარი. აქედან გამომდინარე რუსეთის ექსპორტი ნახტომისებურად გაიზარდა, 2010 წლიდან 2018 წლამდე ქვეყანამ ექსპორტით მიიღო 2 ტრილიონი დოლარის შემოსავალი, საიდანაც 1,5 ტრილიონი დოლარი არის შემოსავალი არა შრომის, არამედ ფასის გამო. რადგანაც ნავთობი რუსეთის ექსპორტის 56%-ს შეადგენს, ფედერალური ბიუჯეტის შემოსავლების ნახევარი მოდის ნავთობისა და გაზის ექსპორტიდან. 2018 წლის კრიზისის შემდეგ კი ნავთობის ფასმა თითქმის



არ მოიმატა და მაქსიმუმ 114 დოლარს მიაღწია, ე.ი. ის მხოლოდ 1,5%-ით გაიზარდა 5 წლის განმავლობაში. რუსეთმა დაკარგა ზრდის წყარო და როდესაც ნავთობის ფასმა 2018 წლის მეორე ნახევარში დაიწყო ვარდნა, შემცირებული ექსპორტი ეკონომიკური განვითარების მუხრუჭად გადაიქცა. როდესაც 2020 წელს ნავთობის ფასი 65 დოლარამდე დაეცა, რუსეთის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად შემცირდა. 2020 წელს ბიუჯეტმა დაკარგა მთელი ექსპორტის შემოსავლის 25-30% ძირითადად ნავთობის ფასის განახევრებით და ნაწილობრივ – გაზის ექსპორტის ფასისა და მოცულობის შემცირებით [6].

ამ სამი ფაქტორის გარდა, ეკონომიკა იკლებს მისი არაეფექტიანი სტრუქტურის გამო. რუსეთის ეკონომიკაში დიდი წილი უკავია ნედლეულის, ნახევარფაბრიკატებისა და მასალების წარმოებას. ეს ის სექტორია, რომელიც მსოფლიოში თითქმის არ იზრდება. მსოფლიოში მეტალურგიული პროდუქციის ზრდის ნაცვლად სინთეტიკური მასალების წარმოება იზრდება. ეროვნულ ეკონომიკაში უნდა იყოს მრეწველობის იმ დარგების დიდი ნაწილი, რომელიც სწრაფად იზრდება და რომლის პროდუქტებზეც მზარდი მოთხოვნაა. მაგალითად, „ცოდნის ეკონომიკა“ ორჯერ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მთლიანი შიდა პროდუქტის დონე. ევროპაში ის იკავებს 35%-ს, ამერიკაში – 40%-ზე მეტს. მეორე სფერო, რომელიც მსოფლიოში სწრაფად იზრდება, არის მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიები, რომლებიც ასევე მცირე წილს იკავებს რუსეთის ეკონომიკაში. იმისათვის რომ ეკონომიკა გაიზარდოს, აუცილებელია პროგრესული ინდუსტრიების წილის ზრდა იმ დარგების, რომლებიც განვითარების ლოკომოტივები არიან. თუ ბოლო წლების ეკონომიკურ პოლიტიკას გავანალიზებთ, შეიძლება მივიღეთ დასკვნამდე, რომ სანქციებმა გააუარესა და გააღრმავა რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობა.

ცხადია ისიც, რომ რუსეთის ეკონომიკური არასტაბილურობისა და რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე საქართველოს რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება საფრთხის შემცველია. რუსეთმა არაერთხელ გამოიყენა ეკონომიკური ზეწოლის ბერკეტები საქართველოს, უკრაინის, მოლდოვას და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ. მაგალითად, 2006 წელს რუსეთმა საქართველოს ჯერ ბუნებრივი აირის და ელექტროენერჯის მოწოდება შეუწყვიტა, შემდეგ კი ქართული პროდუქციის ექსპორტი აიკრძალა, იმავე წლის ბოლოს საქართველოს მოქალაქეების დეპორტაცია დაიწყო. 2019 წლის 20 ივნისს რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით შეწყდა ფრენები.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გავანალიზოთ, საქართველოს ეკონომიკის რუსეთზე დამოკიდებულების დონე და ტენდენცია.

2022 წლის თებერვლის ბოლოს უკრაინაში დაწყებულმა ომმა საქართველოს რუსეთზე ეკონომიკურ დამოკიდებულებაზე დაკვირვება კიდევ უფრო აქტუალური გახადა. რუსეთზე დაწესებული მკაცრი სანქციები მისი ეკონომიკის შემცირებას იწვევს, რაც იმ ქვეყნებზეც აისახება, რომლებსაც მასთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები აქვთ.

საქართველოს ეკონომიკის რუსეთზე დამოკიდებულების ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი არის საგარეო ვაჭრობა. 2022 წლის იანვარ-ივნისში, ქართული პროდუქციის რუსეთში ექსპორტი 2.8%-ით შემცირდა და 256 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, იმპორტი კი – 51%-ით გაიზარდა და 706 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. ასეთი ზრდის მიუხედავად, რუსეთთან ვაჭრობის წილი საქართველოს მთლიან სავაჭრო ბრუნვაში 11.8%-დან 11.4%-მდე შემცირდა. ამის მიზეზი საქართველოს საგარეო ვაჭრობის სხვა ქვეყნების მიმართულებით უფრო მეტად ზრდაა, თუმცა ცალკე აღებული რუსეთიდან იმპორტის წილი ჯამური იმპორტის 11.9% იყო, რაც ბოლო 15 წლის მაქსიმუმია. 2022 წლის იანვარ-ივნისში რუსულ ბაზარზე ექსპორტში პირველ ადგილზე ფეროშენადნობები იყო 86 მლნ აშშ დოლარით. შემდეგ მოდიოდა ღვინო 58 მლნ აშშ დოლარით. რაც შეეხება რუსეთიდან იმპორტს, პირველ ადგილზე ნავთობპროდუქტები იყო 184 მლნ აშშ დოლარით. შემდეგ მოდიოდა ბუნებრივი აირი 40 მლნ აშშ დოლარით, ქვანახშირი და კოქსი 30 მლნ აშშ დოლარით, ხორბლის ფქვილი 29 მლნ აშშ დოლარით. ტრადიციულად, რუსულ ბაზარზე მაღალი დამოკიდებულებით ქართული ღვინის ექსპორტი გამოირჩევა. 2021 წელს საქართველოდან ექსპორტირებული ღვინის 55% (131 მლნ აშშ დოლარის) რუსეთში გავიდა. 2022 წლის იანვარ-ივნისში რუსეთში ექსპორტირებული 58 მლნ

აშშ დოლარის ღვინო საქართველოს ჯამური ღვინის ექსპორტის 58% იყო. მიუხედავად იმისა, რომ იანვარ-ივნისში რუსეთში ღვინის ექსპორტი 3%-ით შემცირდა, ჯამური ექსპორტის მეტად შემცირების გამო (4.2%-ით) საბოლოოდ რუსეთის წილი ღვინის ექსპორტში გაიზარდა. ჯამური ღვინის ექსპორტის შემცირება დიდწილად მარტიდან უკრაინის ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტის შეწყვეტამ განაპირობა. რუსულ ხორბალზე და ფქვილზე საქართველოს დამოკიდებულება ასევე მაღალია. 2021 წელს რუსეთიდან 87 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 319 ათასი ტონა ხორბალი შემოვიდა, რაც საქართველოში იმპორტირებული ხორბლის 94% იყო. 2022 წლიდან ხორბლის იმპორტი ხორბლის ფქვილის იმპორტმა ჩაანაცვლა. რუსეთის მიერ ხორბლის ექსპორტზე გაზრდილი გადასახადის გამო, იმპორტიორებმა ხორბლის ფქვილის შემოტანა არჩიეს, რომელიც საბოლოოდ უფრო იაფი გამოდის. ჯამში რუსული ხორბლისა და ხორბლის ფქვილის წილმა საქართველოს ამავე საქონლის მთლიან იმპორტში 95% შეადგინა [9].

2021 წელს საქართველოში მოხმარებულ ელექტროენერჯიაში იმპორტირებული ელექტროენერჯის წილი რუსეთიდან მხოლოდ 1.8% იყო, ელექტროენერჯის მთლიან იმპორტში კი მისი წილი 25%-ს შეადგენდა. 2022 წლის იანვარ-ივნისში საქართველოში მოხმარებულ ელექტროენერჯიაში რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერჯის წილი 3.5% იყო,<sup>1</sup> ელექტროენერჯის მთლიან იმპორტში კი – 49%.

განსხვავებული სიტუაციაა ბუნებრივი აირის<sup>1</sup> იმპორტში. მაგალითად, 2018 წელს რუსეთიდან იმპორტირებულ ბუნებრივ აირს საქართველოს ბუნებრივი აირის მთლიან იმპორტში 2.8% წილი ეკავა (ღირებულების მიხედვით). 2020 წელს ეს მაჩვენებელი 12.2%-მდე გაიზარდა, 2021 წელს კი 23.1%-ს მიაღწია. ამასთან, საქართველოსთვის ბუნებრივი აირის მთავარ მომწოდებლად აზერბაიჯანი რჩება, საიდანაც 2022 წლის იანვარ-ივნისში 192 მლნ აშშ დოლარის ბუნებრივი აირი შემოვიდა, რაც საქართველოს ბუნებრივი აირის ჯამური იმპორტის 83% იყო [7].

უშუალოდ რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, 2022 წლის მარტ-ივნისში საქართველოს ექსპორტი რუსეთში 16%-ით შემცირდა და 163 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მარტ-ივნისში რუსეთში ექსპორტის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 9.1% შეადგინა, როცა 2021 წლის იმავე თვეების მაჩვენებელი 14% იყო. ამავე პერიოდში რუსეთიდან იმპორტი 57%-ით გაიზარდა. რუსეთიდან იმპორტის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 12.8% შეადგინა [9].

ომის დაწყების შემდეგ რუსეთში ქართული ექსპორტის შემცირება ძირითადად ღვინისა და უალკოჰოლო სასმელების გაყიდვების კლებამ განაპირობა. კერძოდ, ღვინის ექსპორტი 17%-ით (7.6 მლნ აშშ დოლარით) შემცირდა, ხოლო მინერალური და სხვა უალკოჰოლო სასმელების ექსპორტი – 46%-ით (15 მლნ აშშ დოლარით). მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა მსუბუქი ავტომობილების ექსპორტში, რომელიც გაორმაგდა და 12 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

რომ შევაჯამოთ, რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ საქართველოს ექსპორტის რუსულ ბაზარზე დამოკიდებულება შემცირდა, ხოლო რუსული საქონლის იმპორტზე დამოკიდებულება გაიზარდა. რუსულ ბაზარზე დამოკიდებულების შემცირება რუსეთში მიმდინარე ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია [9].

„კოვიდ 19-ის“ პანდემიამდე, შემოსავლების მხრივ საქართველო რუსეთზე ყველაზე მეტად ტურიზმით იყო დამოკიდებული. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, 2019 წელს საქართველოში რუსეთიდან 1.5 მლნ-მდე რუსი ვიზიტორი შემოვიდა, რის შედეგადაც საქართველომ დაახლოებით 776 მლნ აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო. პანდემიის გამო 2020-2021 წლებში რუსეთიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობა 85%-ით შემცირდა. 2021 წელს რუსეთიდან 213 ათასი ვიზიტორი შემოვიდა, რომლებმაც ქვეყანაში დაახლოებით 152 მლნ აშშ დოლარი დახარჯეს. 2022 წელს დაიწყო რუსეთიდან ვიზიტორების ინტენსიური ზრდა. მიმდინარე წლის მარტიდან საქართველოში პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების სრულად მოხსნისა და რუსეთ-უკრაინის ომის გამო, რუსეთიდან ვიზიტორების შემოსვლის ზრდის ტემპი გაიზარდა. იანვარ-ივნისში რუსეთიდან 247 ათასი ვიზიტორი შემოვიდა, თუმცა 2019 წლის იანვარ-ივნისთან შედარებით, 2022 წლის ანალოგიურ თვეებში რუსეთიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობა 2.8-ჯერ ნაკლები იყო. ვინაიდან 2020-2021 წლებში პანდემიის გამო ტურიზმი ძალიან შემცირებული

იყო, მიმდინარე წელს ტურიზმის ზრდის ტემპის შეფასებისთვის უფრო ადეკვატური 2019 წელთან შედარებაა. 2022 წლის იანვარ-ივნისში რუსი ვიზიტორების წილი საქართველოს ვიზიტორების ჯამურ რაოდენობაში 15.2% იყო, რაც 2020-2021 წლების მაჩვენებელს აღემატება, მაგრამ 2018-2019 წლების მაჩვენებელზე ნაკლებია. საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში რუსი ვიზიტორებისგან საქართველომ 219 მლნ აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო, რაც 2019 წლის ანალოგიური მაჩვენებელზე 2-ჯერ ნაკლებია. საქართველოში შემოსული ვიზიტორებისგან მიღებულ მთლიან შემოსავალში რუსი ვიზიტორებისგან მიღებული შემოსავლის წილი 2022 წლის 6 თვეში 19.1% იყო, 2019 წლის ანალოგიური მაჩვენებელი კი 30% იყო [10].

საქართველოსთვის შემოსავლების მიღების მნიშვნელოვანი წყაროა რუსეთში დასაქმებული ქართველების მიერ გადმორიცხული თანხები. ბოლო წლებში რუსეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების წილს მთლიან გზავნილებში შემცირების ტენდენციით აღინიშნა. მაგალითად, 2012 წელს რუსეთის წილი საქართველოს მთლიან უცხოურ გზავნილებში 56% იყო, ხოლო 2021 წელს – 17.5%. 2022 წელს ფულად გზავნილებში სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა, რაც რუსეთ-უკრაინის ომის შედეგია. იანვარ-მარტში რუსეთიდან საქართველოში ირიცხებოდა თვეში საშუალოდ 24 მლნ აშშ დოლარი. გზავნილებმა სწრაფი ზრდა აპრილიდან დაიწყო, როცა 133 მლნ აშშ დოლარი გადმორიცხა, მაისში ამ მაჩვენებელმა 314 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ივნისში კი – 231 მლნ დოლარი. ჯამში 6 თვეში რუსეთიდან საქართველოში 750 მლნ აშშ დოლარი გამოიგზავნა, რაც წინა წლების წლიურ მაჩვენებელზეც კი მეტია. ამის შედეგად, რუსეთიდან გადმორიცხული თანხის წილი საქართველოს მთლიან ფულად გზავნილებში 42%-მდე გაიზარდა. ასეთი მაჩვენებელი ბოლოს 2015 წელს იყო. მაღალი ზრდის მთავარი მიზეზი საქართველოში საცხოვრებლად გადმოსული რუსეთის მოქალაქეების გაზრდილი ნაკადებია, რომლებსაც თავიანთი ქვეყნიდან უგზავნიან ფულს ან/და თავად გადმოაქვთ საკუთარი დანაზოგი. როგორც ჩანს, რუსეთის მოქალაქეები უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ მათ ქვეყანაში შექმნილ მძიმე სიტუაციას და დაწესებულ სანქციებს გაურბიან, მათი ნაწილი საქართველოში ხანგრძლივად დარჩა [11].

ბოლო წლებში რუსეთიდან საქართველოში შემოსული პირდაპირი ინვესტიციები მასშტაბური არ იყო. მაგალითად, 2017-2021 წლებში რუსული ინვესტიციების წილი საქართველოს ჯამურ უცხოურ ინვესტიციებში 4.4% იყო. აღნიშნულ პერიოდში რუსეთიდან საქართველოში სულ 307 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია შემოვიდა, თუმცა საქართველოში უცხოური ინვესტიციების დაახლოებით 38% ოფშორებიდან<sup>lviii</sup> შემოდის და გარკვეულ შემთხვევებში იგი რუსული წარმომავლობის ფულთანაც არის დაკავშირებული. 2022 წლის პირველ კვარტალში რუსეთიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მატების ნაცვლად, 11.2 მლნ აშშ დოლარით შემცირდა [11].

საქართველოში რუსული კომპანიები ძირითადად შვილობილი კომპანიების მეშვეობით საქმიანობენ. საშუალო და მცირე ზომის რუსულ კომპანიებს კი საქართველოში ძირითადად რუსეთის მოქალაქეები აფუძნებენ. საქართველოში რუსეთის მოქალაქეების მიერ რეგისტრირებული კომპანიების ნაწილი ქართული გვარის მქონე პირების მიერ არის რეგისტრირებული, რომლებსაც მხოლოდ რუსეთის ან საქართველო-რუსეთის ორმაგი მოქალაქეობა აქვთ. 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით საქართველოში 13,500-მდე კომპანიაა რეგისტრირებული, რომელთა მფლობელები რუსეთის ფედერაციის იურიდიული პირები ან/და მოქალაქეები არიან. აღნიშნული კომპანიების 74% 2018-2022<sup>1</sup> წლებშია რეგისტრირებული. 2022 წლამდე ერთ წელიწადში კომპანიების მაქსიმალური რაოდენობა (1,180 კომპანია) 2018 წელს დარეგისტრირდა. 2020-2021 წლებში პანდემიის გამო რუსული კომპანიების რეგისტრაცია შემცირდა, 2021 წელს კი სულ 920 რუსული კომპანია დარეგისტრირდა. 2022 წლიდან რუსული კომპანიების საქართველოში რეგისტრირებამ მნიშვნელოვნად მოიმატა, რაც ცალსახად რუსეთ-უკრაინის ომთან არის დაკავშირებული. რუსეთის მოქალაქეების ნაწილი საქართველოში გადმოვიდა საცხოვრებლად და ბიზნესის საკეთებლად. მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში 190 რუსული კომპანია დარეგისტრირდა, მარტში – 2,140, აპრილში – 1,563, მაისში – 1,351 და ივნისში – 1,175. ჯამში 2022 წლის მარტ-ივნისში საქართველოში 6,419 რუსული კომპანია

დარეგისტრირდა. ამგვარად, 2022 წლის მხოლოდ მარტ-ივნისში დარეგისტრირდა იმაზე 7-ჯერ მეტი კომპანია, ვიდრე მთელი 2021 წლის განმავლობაში [11].

საქართველოს მიზანი რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების მინიმუმამდე შემცირება და ბაზრების დივერსიფიკაციაა. ამ მიზნით აუცილებელია რუსეთთან ვაჭრობის შესამცირებლად საქართველომ უფრო აქტიურად და დაჩქარებულად უნდა დაიწყოს მუშაობა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გაფორმებაზე ყველა სტრატეგიულ პარტნიორთან, რომელთანაც ჯერ არ გვაქვს ასეთი შეთანხმება; სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდიები (გრანტი, შეღავათიანი კრედიტი და სხვა) არ უნდა გაიცეს ისეთ ბიზნესზე, რომელიც რუსეთზე ეკონომიკურ დამოკიდებულებას ზრდის; საქართველომ უნდა შეიმუშაოს რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შემცირების სტრატეგია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში რუსეთიდან იმპორტირებულ ელექტროენერგიას და ბუნებრივ აირს საქართველოს შიდა მოხმარებაში მაღალი წილი არ უჭირავს, მნიშვნელოვანია, რომ რუსეთზე დამოკიდებულება კიდევ უფრო შემცირდეს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Аганбегян А. Г. Инвестиционный кредит – главное звено преодоления спада в социально-экономическом развитии России // Деньги и кредит. 2022. №4. С. 3–11.
2. Аганбегян А. Г. Стратегическая задача России – ускорение социально-экономическом развитии России // Экономические стратегии. 2022. Т. 15. №7. С. 14–19.
3. Хаксли О. О. дивный новый мир. М.: АСТ, 2014.
4. Галелюка М. Направления развития малого и среднего бизнеса. R : <https://nv.ua/biz/experts/napravleniya-razvitiya-malogo-i-srednego-biznesa->
5. Соколова М. Доля малого и среднего бизнеса в ВВП России недостаточна. URL: <https://www.pnp.ru/economics/dolya-malogo-i-srednego-biznesa-v-vvp-rossii-nedostatochna-zayavili-v-schyotnoy-palate.html>
6. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი, 2021 წლის ელექტროენერგიის ბალანსი, <https://cutt.ly/WT7ZTXe>
7. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი, 2021 წლის ელექტროენერგიის ბალანსი, <https://cutt.ly/TKFHtro>
8. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი, 2021 წლის ელექტროენერგიის ბალანსი, <https://cutt.ly/TKFHtro>
9. „საქსტატი“, საგარეო ვაჭრობის პორტალი, <http://ex-trade.geostat.ge/ka>
10. საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების სტატისტიკა. საქართველოს ეროვნული ბანკი 2023.
11. „საქსტატი“ წლიური ანგარიში. თბილისი, 2022.

*Khatuna Berishvili*

## DEVELOPMENT TRENDS AND THREATS OF GEORGIA-RUSSIA ECONOMIC RELATIONS IN THE CONDITIONS OF RUSSIA-UKRAINE WAR

### Abstract

The Russia-Ukraine war has made the issue of economic cooperation between Russia and Georgia more urgent. Historical experience shows that the dependence of Georgia's economy on Russia has repeatedly become an instrument of political pressure from this country. Based on this context, it is important for Georgia to diversify its markets, to focus more on western markets, which are distinguished by their dynamism and stability. A special threat is the expansion of the opportunities of the Russian oil market in Georgia, the increase of the share of Russian companies in the economy of Georgia.

The state's economic policy and the declared course of integration with Europe should be reflected in the reduction of Russia's economic influence and the increase in the specific share of the European economy in Georgia, which is related to the political stability and economic growth of our country.

შრომის საერთაშორისო დანაწილება –  
მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკის განვითარების საფუძველი

**ანოტაცია.** შრომის საერთაშორისო დანაწილებამ განვითარების მრავალი ეტაპი გაიარა და მთელი მსოფლიო მოიცვა, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან კი იგი რადიკალურად შეიცვალა. ეკონომიკური ლიბერალიზმის ზრდამ არსებული პროცესები მნიშვნელოვნად დააჩქარა და ფართოდ შეუწყო ხელი ქვეყნებს შორის თანამშრომლობას, მიუხედავად იმისა, განვითარების რა დონეზე იმყოფებიან ისინი. ამასთან ერთად იგი ხელს უწყობს მთელი რიგი გლობალური პროცესებისა და პრობლემების გადაჭრას, მოგვარებას. იცვლება მსოფლიო მეურნეობის განვითარების სტრუქტურა, სრულიად ახლებურად ხორციელდება ეკონომიკური ურთიერთობები, ჩამოყალიბების პროცესშია მსოფლიო თანაცხოვრების ახალი წესრიგი. ცხადია, ამ პროცესებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ბოლო წლების კოვიდ-19-ის პანდემიამ და რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარე პროცესმა. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციების ფონზე ახალი გამოწვევების წინაშე დგას ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელოვანი ასპექტები. საქართველოს უმთავრესი მიზანი და ამოცანა მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციაა. საინტერესოდ მიგვაჩნია თუ როგორი მაჩვენებლებით ხასიათდება ეკონომიკური ურთიერთობები მსოფლიო სისტემასთან და როგორია მისი ექსპორტის კვოტის და გასწრების კოეფიციენტები.

**საკვანძო სიტყვები:** შრომის საერთაშორისო დანაწილება, მსოფლიო ეკონომიკის რეიტინგი, ექსპორტის კვოტისა და გასწრების კოეფიციენტები, ეროვნული ეკონომიკის „გადატვირთვა“.

თანამედროვე მსოფლიო მეურნეობა თავისი მასშტაბებით გლობალურია. იგი შრომის საერთაშორისო დანაწილების ობიექტურ კანონზომიერებასა და წარმოების ინტერნაციონალიზაციის პრინციპებს ეფუძნება.

შრომის დანაწილებამ დროთა განმავლობაში საზოგადოებრივი ხასიათი მიიღო და, შესაბამისად, საზოგადოების განვითარებასთან ერთად მრავალი ცვლილებები განიცადა. იგი უკავშირდება სახელმწიფოს წარმოშობას და ისეთივე ისტორიულია, როგორც საერთაშორისო ვაჭრობა, რომლის საფუძველსაც სწორედ შრომის დანაწილება წარმოადგენს. თავისი სპეციფიკით და შინაარსით შრომის საზოგადოებრივი დანაწილება იმ ეპოქის ნიშნების მატარებელია, რომელ ეპოქაშიც ის მიმდინარეობდა. ერთი ქვეყანა ყიდულობდა მეორისაგან იმ საქონელს, რომელიც მას არ გააჩნდა ან არ ჰქონდა საკმარისი რაოდენობით, ან პირიქით, ყიდდა მას, რომლის წარმოებაშიც დახელოვნებული იყო და გააჩნდა ჭარბი რაოდენობით, ანდა საქონელს სულაც გასაყიდად ამზადებდა. ასე შემორჩა დღემდე ვიკინგების საქონელ-წარმოების, საბერძნეთში – ზეთისხილის, ეგვიპტეში – ხორბლის, თუ ჩინეთში აბრეშუმის წარმოების ხელოვნების ისტორია.

შრომის საერთაშორისო დანაწილება წარმოიშვა უძველეს ეპოქაში, თავდაპირველად ის ევროპაში დაიწყო. XVI–XVII საუკუნეებში მისი გაღრმავება და გაფართოება დაკავშირებულია კაპიტალიზმის განვითარებასთან. კოლონიური სისტემის არსებობის პირობებში კოლონიური ქვეყნები წარმოადგენდნენ მეტროპოლიისათვის ნედლეულის მიმწოდებლებს ან მეტროპოლიის სასარგებლოდ ვალდებულნი იყვნენ განევიტარებინათ სოფლის მეურნეობის რაიმე ერთ-ერთი კულტურა. XIX–XX საუკუნეებში შრომის საზოგადოებრივმა დანაწილებამ მოიცვა მთელი მსოფლიო<sup>68</sup>. ამასთან, მეორე მსოფლიო ომის შედეგად, წარმოიშვა თვისებრივად

<sup>68</sup> მართალია შრომის საზოგადოებრივი დანაწილება წარმოიშვა უძველეს ეპოქაში, მაგრამ ზოგიერთი შეფასებით თვით მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, საერთაშორისო გაცვლაში მონაწილეობდა მსოფლიო მშპ-ის დაახლოებით 1 პროცენტი, მეოცე საუკუნის დასასრულს აღნიშნულმა მაჩვენებელმა მიაღწია მსოფლიო მშპ-ის 25 პროცენტს.

სრულად ახალი შრომის საერთაშორისო დანაწილება, რომელმაც რადიკალური ცვლილებები გამოიწვია. როგორც ფრანგი ეკონომისტი მიშელ პედრო აღნიშნავს, დღეისათვის კითხვის ნიშანი აქვს დასმული არა მარტო აშშ-ს, არამედ ძველ, მრეწველურად განვითარებული ქვეყნების პირველობას. აღნიშნულ პროცესს დააჩქარებს ეკონომიკური ლიბერალიზმის ზრდა როგორც სამხრეთში, ისე აღმოსავლეთში<sup>69</sup>. მოტანილი ამონარიდი, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწერა, დღეს უკვე თამამად შეიძლება ჩაითვალოს რეალურ პროგნოზად.

ზოგადად, შრომის საერთაშორისო დანაწილება წარმოადგენს ქვეყნების სპეციალიზაციას საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე, რომელსაც მთელი რიგი ფაქტორები განაპირობებს:

- ქვეყნის შიდა ბაზრის მოცულობა: განვითარებული საბაზრო ეკონომიკით გამორჩეულ დიდ ქვეყნებს გააჩნიათ თვითუზრუნველყოფის მაღალი დონე სამამულო წარმოების საქონლით და მომსახურებით. შესაბამისად, ბაზრის მაღალი მოთხოვნილება განაპირობებს ასევე მოთხოვნილების ზრდას იმპორტზეც;

- ქვეყნის ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების დონე: შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მონაწილეობის აუცილებლობა მით უფრო ნაკლებია, რაც უფრო მაღალია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს შრომის საერთო დანაწილებაში მონაწილეობაზე უარის თქმას.

- ქვეყნის უზრუნველყოფა ბუნებრივი რესურსებით: ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფის მაღალი დონე იწვევს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში აქტიურ მონაწილეობას ქვეყნიდან ნედლეულის ექსპორტით, აღნიშნულის ნათელი მაგალითია რუსეთიდან ნავთობის, გაზის, ხეტყის და ა. შ. ექსპორტი. ბუნებრივი რესურსებით ნაკლებად უზრუნველყოფილი ქვეყნები კი ინტენსიურად (მაგ. იაპონია) აწარმოებენ ბუნებრივი რესურსების იმპორტს.

თანამედროვე საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ფუნქციონირებაში, შრომის საერთაშორისო დანაწილება ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს:

- წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის საფუძველს, ხელს უწყობს მისი ეფექტიანობის განვითარებას;

- ხელს უწყობს ქვეყნების თანამშრომლობას, განვითარების დონის მიუხედავად, წარმოადგენს საქონლის, მომსახურების, ცოდნის, საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური გამოცდილების გაცვლის საფუძველს;

- შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მონაწილეობა იძლევა საშუალებას გადაწყდეს კაცობრიობის წინაშე არსებული გლობალური ეკოლოგიური, სასურსათო, პოლიტიკური და ა. შ. პრობლემები;

- შრომის საერთაშორისო დანაწილებას მივყავართ მსოფლიო ეკონომიკური კავშირების კომპლექსამდე; მისი გავლენით ქვეყნების სპეციალიზაცია და ეკონომიკური კოოპერაცია იძენს მსოფლიო ხასიათს.

შრომის საერთაშორისო დანაწილება მსოფლიო მეურნეობის განვითარების საფუძველია. ამ უკანასკნელის ზემოქმედებით შრომითი ურთიერთობები ქვეყნებს შორის ფართოვდება და ღრმავდება [15 გვ. გ. ჯოლია]. თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის საგარეო ეკონომიკის სფერო რთული სტრუქტურით ხასიათდება. ის მოიცავს საერთაშორისო ვაჭრობას, საერთაშორისო წარმოების სპეციალიზაციას და კოოპერაციას, სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობას, წარმოების ერთობლივად აწყობას, მის შემდგომ ექსპლოატაციას საერთაშორისო დონეზე, საერთაშორისო სამეურნეო ორგანიზაციებს, სხვადასხვა სახის მომსახურებას და სხვა [Ричард Л. Дафт. Менеджмент. Перевод. Санкт-Петербург. Питер. 2002]. აქტიურდება და შესამჩნევად იზრდება წარმოების ფაქტორების გადაადგილებაც, რაც წარმოების ინტერნაციონალიზაციას კიდევ უფრო აჩქარებს და აძლიერებს.

<sup>69</sup> Мишель Педрою, Международные экономические валютные и финансовые отношения. М., 1994, с . 55. თარგმანი ფრანგულიდან.

გასაოცარი სისწრაფით მიმდინარეობს სტრუქტურული ცვლილებები მსოფლიო მეურნეობაში. ხორციელდება თვისებრივად ახალი ეკონომიკური ურთიერთობები და რეალურად მკვიდრდება თანაცხოვრების სრულიად ახალი წესები. თანამედროვე მსოფლიო მეურნეობა სულ უფრო აშკარად იძენს ერთიანი სისტემის, მთლიანი ორგანიზმის ნიშან-თვისებებს და თავისი მასშტაბით გლობალურია [გ. ჯოლია. გვ 15]. აღნიშნულს ადასტურებს მსოფლიოში წარმოების მოცულობის ყოველწლიური ზრდა (2006 წლის 50,1 ტრილიონი აშშ დოლარიდან 2013 წელს 73,4 ტრილიონ აშშ დოლარამდე), ანუ 1,46-ჯერ გადიდება. თუმცა 2008-2009 წლების მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისმა მისი ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად შეამცირა [Перспективы развития мировой экономики. МВФ, Апрель, 2014. Ggv. 190.]. ბოლო წლებში მსოფლიო წარმოების მოცულობაზე ნეგატიური გავლენა მოახდინა კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეულმა პრობლემებმა. აღნიშნული შეეხო ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა მასშტაბებისა და დონის მქონე ქვეყნებს, ძლიერებსაც და სუსტებსაც. ცხადია, გავლენის ზემოქმედება თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე თითოეულმა მათგანმა თავისებურად „მოირგო“ და უპასუხა კიდევ, მაგრამ პანდემიამ პრობლემებთან ერთად კიდევ ერთხელ დაანახა მსოფლიოს, რომ იზოლირებულად, მსოფლიო ეკონომიკის ერთიანი სისტემიდან მოწყვეტილად და განცალკევებულად არსებობა რეალურად წარმოუდგენელია. სწორედ ეს არის დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკის „მთლიანი ორგანიზმის“ უმთავრესი ნიშანი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით 2022 წელს გლობალური ეკონომიკა 101,6 ტრილიონს გაუტოლდა, მისი ნახევარი კი ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთის, იაპონიის, გერმანიისა და ინდოეთის ეკონომიკაზე მოდის. მსოფლიო ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკაა. მისი ნომინალური მშპ 25,035 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენს, რაც 2021 წლის მაჩვენებელს 1,6%-ით სჭარბობს. მეორე ადგილზეა ჩინეთი და ა.შ (იხ. ცხრილი #1). მსოფლიო ეკონომიკის 35 % საქონლის წარმოებაზე, ხოლო 65% მომსახურების სექტორზე მოდის.

**ცხრილი #1**

**ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე 10 ქვეყანა მსოფლიო ეკონომიკაში (2022 წელი)**

ადგილი	ქვეყნები	ნომინალური მშპ (ტრილიონი აშშ დოლარი )	ნომინალური მშპ ერთ მოსახლეზე	ზრდის ტემპი 2021-2022 წწ.
1	ამერიკის შეერთებული შტატები	25,035	75,180	1.6%
2	ჩინეთი	18,321	12,970	3.2%
3	იაპონია	4,300	34,358	1.7%
4	გერმანია	4,031	48,398	1.5%
5	ინდოეთი	3,468	2,466	6.8%
6	გაერთიანებული სამეფო	3,198	47,318	3.6%
7	საფრანგეთი	2,778	42,330	2.5%
8	კანადა	2,200	56,794	3.3%
9	რუსეთი	2,133	14,665	-3.4%
10	იტალია	1,997	33,740	3.2%
	მსოფლიო ეკონომიკა	101.6	-	-

წყარო:საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემები, <https://bm.ge/ka/article/msoflios-umsxvilesi-ekonomikebi---romel-adgilzea-saqartvelo/124745>

მსოფლიოს მაღალი რეიტინგის მქონე ქვეყნების ფონზე ალბათ, საკმაოდ ბევრ პრობლემას და გამოწვევას „აღმოვაჩინო“ საქართველოს ეკონომიკის ძირითადი მაჩვენებლების სტატისტიკური მახასიათებლების განხილვით, მაგრამ დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყნის უმთავრესი ამოცანა მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის პროცესია, კიდევ ერთხელ გვინდა გადავხედოთ, თუ როგორია საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები მსოფლიო

სისტემასთან და როგორი მაჩვენებლებით ხასიათდება ქვეყნის განვითარების დონე შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. საქართველოს გლობალურ ეკონომიკაში \$ 25.2 მილიარდიანი მშპ-ის მაჩვენებლით 112-ე პოზიცია უჭირავს. საქართველოს მეზობელი სახელმწიფოებიდან ოცეულში \$ 853.5 მილიარდით მოხვდა თურქეთი, \$ 70.0 მილიარდით აზერბაიჯანი მე-80 პოზიციაზეა, ხოლო \$17.7 მილიარდიანი მშპ-ის მაჩვენებლით სომხეთი 125-ე ადგილს იკავებს.

შრომის საერთაშორისო დანაწილებაში საქართველოს ჩართულობა ასეთი მაჩვენებლებით ხასიათდება (იხ.ცხრილი#2).

**ცხრილი #2**

**შრომის საერთაშორისო დანაწილების მახასიათებელი მაჩვენებლების გასაანგარიშებლად საჭირო მონაცემები (მლნ. დოლარი)**

#	მაჩვენებლები	2018	2019	2020	2021	2022
1	მთლიანი შუდა პროდუქტი (მლნ.დოლ.)	17 600	17 500	15 800	18 600	24 600
2	ექსპორტი (მლნ.დოლარი)	3 379.7	3 798.4	3 344.5	4 242.7	5 992.8
3	იმპორტი	9 361.4	9 519.9	8 053.8	10 099.8	13 591.1
4	საგარეო სავაჭრო სალდო	-5 981.7	-5 721.1	-4 709.4	-5 857,1	-7 998.3
5	საგარეო სავაჭრო ბრუნვა	12 741.1	13 317.9	11 398.3	14 342.4	19 183.9
6	საგარეო ვაჭრობაზე დამოკიდებულების კოეფიციენტი <sup>70</sup>	36.2%	38.1%	36.1%	38.6 %	39.8%
7	ექსპორტის კვოტა (%)	19.2	21.7	21.2	22.8	24.4
8	იმპორტის კვოტა (%)	53.2	54.4	50.9	54.3	55.2

წყარო: ცხრილი შედგენილია ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba>

ოფიციალური ინფორმაციით საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2020 წელს 11 398.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის მაჩვენებელზე 14.4 პროცენტით ნაკლებია, 1 466.1 მლნ აშშ დოლარით (15.5%) შემცირდა იმპორტის მოცულობა, ხოლო ექსპორტის – 453.9 მლნ აშშ დოლარით. უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2020 წელს 4 709,4 მლნ. აშშ დოლარი (საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41.3 პროცენტი) შეადგინა. იმავე პერიოდში ექსპორტის კვოტა (შრომის საერთაშორისო დანაწილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ხვედრით წილს ქვეყნის მშპ-ში) 0.5 % პუნქტით შემცირდა და 21.2 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2022 წლისათვის – 24.4 პროცენტი. მომსახურების ექსპორტში საქართველოსათვის ყველაზე მნიშვნელოვანია ტურიზმი. 2019 წელს ქვეყანამ ტურიზმით 3.3 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო, ხოლო 2020 წელს – 542 მლნ დოლარის. მაჩვენებლის ასეთი მკვეთრი ვარდნა გამოიწვია კოვიდ-19-ის პანდემიამ.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით 2021 წელს მსოფლიოში ყველაზე მეტად ექსპორტზე დამოკიდებული ქვეყნების ტოპ-ათეულში მოხვდა ლუქსენბურგი, ჰონგ-კონგი, სინგაპური, მალტა, ირლანდია, ვიეტნამი, სამიროები, სლოვაკეთი, სლოვენია, ნიდერლანდები. ლუქსენბურგი (როგორც ფართობის, ისე მოსახლეობით საქართველოზე ნაკლებია) ექსპორტის კვოტის მიხედვით (209 %) მსოფლიოში პირველ ადგილზეა (ექსპორტი შეადგენს 150 მილიარდ დოლარს). ქვეყანა ძირითადად ორიენტირებულია საფინანსო მომსახურების ექსპორტზე. მეორე ადგილზეა ჰონგ-კონგი, რომელიც ასევე მომსახურების ექსპორტის გავლენით იკავებს ასეთ მაღალ პოზიციას. მსოფლიო ექსპორტზე ყველაზე ნაკლებად სუდანს იყო დამოკიდებული 7.7%-ით, შემდეგ მოდის ნეპალი და ეთიოპია. ექსპორტზე დამოკიდებულება დაბალია აშშ-შიც – 11,7 %, თუმცა ექსპორტის ნომინალური ღირებულებით ის მსოფლიოში მეორე ადგილზეა და წლიურად 2,5 ტრილიონ დოლარზე მეტი ღირებულების ექსპორტს ახორციელებს [<https://forbes.ge/blogs/saqarthvelo-eqsportze-damokidebulebith-msophlioshi-38-e-adgilze/>].

<sup>70</sup> Мишель Пейро, Международные экономические валютные и финансовые отношения. М., 1994, с . 37. თარგმანი ფრანგულიდან.



ქვეყნების მიხედვით ექსპორტის კვოტის კოეფიციენტი მერყეობს 10,0%-იდან (აფრიკის ყველაზე დაბალგანვითარებულ ქვეყნებში) 125–180%-მდე (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთ ქვეყანაში)<sup>71</sup>. ამ კოეფიციენტის მიხედვით საქართველო დაბალგანვითარებული ქვეყნების სიაშია, მნიშვნელოვნად დაბალია საქონელისა და მომსახურების ექსპორტის წილი ქვეყნის ეკონომიკაში. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ექსპორტზე მაღალი დამოკიდებულება ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს, თუმცა გლობალური ან რეგიონული კრიზისების დროს, ექსპორტზე მაღალი დამოკიდებულების ქვეყნები უფრო ზარალდებიან, როგორც ეს მოხდა 2020-2021 წლებში კოვიდ-19-ის პანდემიის დროს.

**ცხრილი #3**

**საქონლისა და მომსახურების ექსპორტის კვოტა ცალკეული ქვეყნების მიხედვით (2021 წ.)**

#	ქვეყანა	მშპ-ის მიმართ, %	#	ქვეყანა	მშპ-ის მიმართ, %
1	ლუქსენბურგი	209	11	აზერბაიჯანი	49
2	ჰონგ-კონგი	177	12	სომხეთი	41
3	სინგაპური	174	13	თურქეთი	33
4	მალტა	144	14	რუსეთი	28.3
5	ირლანდია	127	38	საქართველო	24.4
6	ვიეტნამი	107	16	ეთიოპია	17.9
7	საამიროები	92	17	აშშ	11,7
8	სლოვაკეთი	92	18	ნეპალი	8.8
9	სლოვენია	84	19	სუდანი	7.7
10	ნიდერლანდები	83	-	-	-

წყარო: <https://forbes.ge/blogs/saqarthvelo-eqsportze-damokidebulebith-msophlioshi-38-e-adgilzea/>

შრომის საერთაშორისო დანაწილების დონის ასევე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია იმპორტის კვოტა, ანუ იმპორტის ხვედრითი წილი ქვეყნის მშპ-ში (იხ. ცხრილი #2). სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით 2018–2022 წლებში იმპორტის ხვედრითი წილი ქვეყნის მშპ-ში 53.2 პროცენტიდან 55,3 პროცენტამდე არის გაზრდილი. საქონლისა და მომსახურების იმპორტზე დამოკიდებულების რეიტინგში საქართველო მსოფლიოში 44-ე ადგილზეა. 2022 წელს საქართველოში იმპორტირებულმა საქონლისა და მომსახურების ღირებულებამ 13 591,1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან საქონლის იმპორტზე მოდის 83,3%, ხოლო მომსახურების იმპორტზე – 16.7%. მომსახურების იმპორტში საქართველო ყველაზე მეტს სატრანსპორტო მომსახურებაში იხდის – დაახლოებით 1.1 მილიარდ დოლარს. საქონლის იმპორტში ყველაზე დიდი წილი, ანუ 12% მსუბუქ ავტომობილებს უჭირავს, 10% მოდის ნავთობპროდუქტებზე.

მსოფლიო ბანკის მონაცემებიდან გამომდინარე 2021 წელს ყველაზე მეტად იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნების ტოპ-ათეულში შედიან: ლუქსენბურგი, სინგაპური, მალტა, ნაურუ, კარიბატი, ირლანდია, სლოვაკეთი, ვიეტნამი, ლესოტო, ბელგია (იხ. ცხრილი #4).

2021 წელს მსოფლიოში იმპორტზე ყველაზე ნაკლებად დამოკიდებული იყო სუდანი (2%-ით), ნიგერია (12%-ით) და აშშ (15%-ით). იმპორტის ნომინალური ღირებულებით (3.2 ტრილიონი დოლარი) აშშ მსოფლიოში პირველ ადგილზეა, მაგრამ რადგან მისი ეკონომიკა 23 ტრილიონი დოლარია, იმპორტის წილი ეკონომიკის მიმართ დაბალი გამოდის. რაც შეეხება საქართველოს მეზობელ ქვეყნებს, სომხეთის იმპორტის კვოტა შეადგენს 44%-ს, თურქეთის – 35,5%-ს, აზერბაიჯანის – 30%-ს, რუსეთის – 21,3%-ს.

<sup>71</sup> Экономическая статистика, под ред. Проф. Ю. Н. Иванова М. 2012 с. 542.

საქონლისა და მომსახურების იმპორტზე ყველაზე მეტად დამოკიდებული ქვეყნები (2021 წ.)

#	ქვეყანა	მშპ-ის მიმართ,%	#	ქვეყანა	მშპ-ის მიმართ %
1	ლუქსენბურგი	177	6	ირლანდია	95
2	სინგაპური	153	7	სლოვაკეთი	94
3	მალტა	137	8	ვიეტნამი	93
4	ნაურუ	106	9	ლესოტო	89
5	კარიბატი	96	10	ბელგია	86

წყარო: <https://forbes.ge/blogs/importze-damokidebulebith-saqarthvelo-msophlioshi-44-e-adgilzea>

მნიშვნელოვანი მაჩვენებელია შრომის საერთაშორისო დანაწილების ტემპების ანუ გასწრების კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს რამდენჯერ სწრაფად იზრდება ექსპორტი მშპ-სთან შედარებით. ზემოთ წარმოდგენილ #2 ცხრილზე (შრომის საერთაშორისო დანაწილების მახასიათებელი მაჩვენებლები) დაყრდნობით გავიანგარიშეთ შესაბამისი კოეფიციენტები:

წლები	2018-2019	2019-2020	2020-2021	2021-2022	2018-2022
$K_{ექსპ.}$	1.12	0.88	1.26	1.41	1.77
$K_{მშპ.}$	0.99	0.90	1.17	1.33	1.39
$K_{გასწ.}$	1.13	0.98	1.08	1.07	1.27

როგორც ვხედავთ, 2018-2022 წლების საანალიზო პერიოდში აშკარად ჩანს საქართველოს შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში მონაწილეობის დაბალი დონე, თუმცა შეინიშნება მასში ინტეგრაციის ზრდის ტენდენცია, რამეთუ განხილულ პერიოდში ექსპორტის ზრდის ტემპი მშპ-ის ზრდის ტემპს 1.27-ჯერ უსწრებს.

ამრიგად, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ფუნქციონირებაში შრომის საერთაშორისო დანაწილება ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს. იგი წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის საფუძველს და ხელს უწყობს მის ეფექტიანობას, ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარებას, წარმოადგენს საქონლის, მომსახურების, ცოდნის, საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური გამოცდილების გაცვლის საფუძველს. შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მონაწილეობა საშუალებას იძლევა გადაწყდეს კაცობრიობის წინაშე არსებული გლობალური ეკოლოგიური, სასურსათო, პოლიტიკური და ა. შ. პრობლემები.

შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში მონაწილეობით ყველა სახელმწიფო იღებს ეკონომიკურ სარგებელს. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის ექსპორტიც და იმპორტიც მნიშვნელოვანია, მაგრამ მხოლოდ ექსპორტზე ორიენტაცია პრაქტიკულად შეუძლებელია და ამ ორ კომპონენტს შორის სასურველია გარკვეული წონასწორობის დაცვა. აქცენტი უფრო მეტად უნდა გაკეთდეს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდაზე, ვიდრე იმპორტზე. ვინაიდან იმპორტზე ზედმეტად დამოკიდებული ქვეყანა ყოველთვის აძლევს სხვა ქვეყნებს დამატებით ბერკეტებს როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ზეწოლისთვის. მეორეც, განვითარებადი ქვეყანის სტატუსის მქონე ქვეყნისათვის იმპორტზე მაღალი დამოკიდებულება განსაკუთრებით საფრთხის შემცველია იმ შემთხვევაში, როდესაც იმპორტირებული საქონლისა და მომსახურების შექმნა საგარეო ვალების აღებით ფინანსდება.

საექსპორტო პოტენციალის გაზრდისა და უმსხვილეს ბაზრებზე მოსახვედრად უპირველესად საჭიროა საექსპორტო პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის გაზრდა და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. საექსპორტო პროდუქციის სტრუქტურაში აქცენტი უნდა გაკეთდეს (მათი ხვედრითი წილის მიხედვით) დიდი პოტენციალის მქონე პროდუქტებზე, რომლებსაც ამავედროულად ეროვნული ხასიათიც აქვთ (მაგალითად, მინერალური წყლები, ქართული ღვინო და ა. შ.), რადგან მათ ყველაზე მეტად შეუძლიათ მისცენ ბიძგი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას და იმიჯის ამაღლებას მსოფლიო მასშტაბით.

ქვეყნის ეკონომიკური და საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, როგორც ეს აღნიშნა 2022 წლის 6 დეკემბრის მსოფლიო ბანკის მემორანდუმში სახელწოდებით „მომავლის კონკურენტანი, ინტეგრირებული და ძლიერი საქართველოსათვის“, ერთ-ერთი რეკომენდაციაა, რომ საქართველომ მაქსიმალურად გაზარდოს თავისი პოტენციალი კავშირებისა და საგარეო ვაჭრობის გაფართოებით, ადამიანური და ბუნებრივი რესურსების უკეთ გამოყენებით.

დაბოლოს, ეკონომიკური საქმიანობის გაუმჯობესებისათვის საჭიროა ეკონომიკის ჯანსაღი მართვა, ხელსაყრელი სამეწარმეო გარემოს შექმნა და სტრუქტურული გარდაქმნები მთელ რიგ დარგებსა და სექტორებში.

რუსეთ-უკრაინის ომმა სრულიად ახალი რეალობის წინაშე დააყენა მსოფლიო და მით უფრო საქართველო, რადგან საომარი მოქმედებები ახლო რეგიონში ხდება. სერიოზული ცვლილებები და სიახლეები მიმდინარეობს დღეს მსოფლიო ეკონომიკის, შრომის საერთაშორისო განაწილებისა და გადანაწილების თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ ამ ომმა სრულიად ახალი „ასპარეზი“ შეუქმნა მთელ მსოფლიოს.

ყოველივე ამ სიახლეებისა და გამოწვევების ფონზე საქართველოს ეკონომიკის „გადატვირთვა“ და სრულიად ახალ მასშტაბებზე გადასვლა უნდა მოხდეს სოფლის მეურნეობის სექტორებში, განათლებასა და მეცნიერებაში, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების, ადგილობრივი სამრეწველო სანედლეულო ბაზების მაქსიმალურად დატვირთვასა და გამოყენებაში. მნიშვნელოვნად ახალი შესაძლებლობა მიეცა ქვეყანას საერთაშორისო სატრანზიტო გადაზიდვებსა და მაგისტრალებში გონივრულად და აქტიურად ჩართვისათვის.

შესაბამისად, სწორი სახელმწიფოებრივი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შედეგად საქართველოს შრომის საერთაშორისო დანაწილების ტემპების ანუ გასწრების კოეფიციენტი (ექსპორტის ზრდა მშპ-ის ზრდასთან შედარებით...) რამდენიმე წელიწადში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

## დასკვნა

შრომის საერთაშორისო დანაწილებამ საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საფუძველი ჩაუყარა საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა ფორმებსა და სახეებს: საერთაშორისო ვაჭრობას, საერთაშორისო წარმოების სპეციალიზაციას და კოოპერაციას, სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობას, საერთაშორისო სამეურნეო ორგანიზაციებს, სხვადასხვა სახის მომსახურებას და სხვა. აღნიშნული ურთიერთობები ქვეყნებს შორის არა მარტო დამაკავშირებელ საშუალებად იქცა, უფრო მეტიც, ხელი შეუწყო მსოფლიო ეკონომიკის, როგორც ერთიანი და მთლიანი სისტემის, ერთიანი ორგანიზმის, მსოფლიო მეურნეობის ჩამოყალიბებას. მრავალ დადებით ფაქტორთან ერთად, პერიოდულად ის გარკვეულ გამოწვევებს სთავაზობს ამ ერთიან სისტემაში მონაწილე ქვეყნებს. ნებისმიერი მნიშვნელოვანი ფინანსური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სოციალური, ეკოლოგიური თუ სხვა ფორმით გამოხატული ცვლილებები ვირუსით ვრცელდება ყველა ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, როგორია მისი წილი მსოფლიო ეკონომიკის ერთიან სისტემაში. სხვაობა ისაა, რომ ამ ცვლილებებს და გამოწვევებს სხვადასხვაგვარი გავლენა აქვს თითოეული ქვეყნის შესაბამის სფეროზე იმის მიხედვით, თუ რამდენად ძლიერი და სტაბილურია ქვეყნის ეკონომიკა, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ბერკეტები, საერთაშორისო ურთიერთობებსა და მსოფლიო ეკონომიკაში მისი წილი და გავლენები.

დროთა განმავლობაში რამდენადაც უფრო მეტად ინტენსიური და აქტიური გახდა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში შემავალი ქვეყნების საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, იმდენად უფრო გაიზარდა მათ შორის დამოკიდებულების ხარისხიც. კრიზისების გამომახილი ცალსახად ახდენს გავლენას გეოგრაფიულად მეზობელ, ახლო თუ შორს მდებარე რეგიონების ეკონომიკაზე. ამ დამოკიდებულებამ გარკვეულწილად ფრთხილი და ანგარიშგასაწევი გახადა ურთიერთდამოკიდებულება და პასუხისმგებლობა. ბოლო წლებში მიმდინარე მოვლენებმა (კოვიდ-19, რუსეთ-უკრაინის ომი) ეს თვალნათლივ დაგვანახა.

ისეთი მცირე მოცულობის ეკონომიკის მქონე ქვეყანა, როგორც საქართველოა, თავისი გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის და ფუნქციების გამო მსოფლიო ეკონომიკის ერთიან სისტემაში საკმაოდ მნიშვნელოვანი როლის შესრულების „მოლოდინშია“. ერთობ მნიშვნელოვანია ეროვნული ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ვექტორები, თუ რამდენად გასცემს პასუხს ამჟამად არსებულ გამოწვევებს. უპირველესად ეს დამოკიდებულია სწორ სახელმწიფო ეკონომიკურ პოლიტიკაზე და დასავლეთთან ინტეგრაციისათვის გონივრული მიმართულებების ჩამოყალიბებაზე.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯოლოა გ., საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, სახელმძღვანელო, ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2015.
2. ხმაღაძე მ., სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, სახელმძღვანელო, თსუ., 2011.
3. Экономическая статистика, под ред. Проф. Ю. Н. Иванова М. 2012 с. 542.
4. Мишель Пейро, Международные экономические валютные и финансовые отношения. М., 1994, თარგმანი ფრანგულიდან.
5. <https://bm.ge/ka/article/msoflios-umsxvilesi-ekonomikebi---romel-adgilzea-saqartvelo/124745>
6. <https://imedinews.ge/ge/ekonomika/273320/msofliu-banki-saqartvelostvis-ekonomikur-memorandums-aqveknebs>
7. <https://forbes.ge/blogs/saqarthvelo-eqsportze-damokidebulebith-msophlioshi-38-e-adgilzea/>
8. <https://forbes.ge/blogs/importze-damokidebulebith-saqarthvelo-msophlioshi-44-e-adgilzea/>
9. [www. Statistik.ge](http://www.Statistik.ge)
10. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba>

*Naira Virsaladze  
Malvina Kifiani*

### INTERNATIONAL DIVISION OF LABOR – THE BASIS OF WORLD AND NATIONAL ECONOMIC DEVELOPMENT Abstract

The international division of labor went through many stages of development and covered the whole world, and since the 90s of the 20th century, it has changed radically. The growth of economic liberalism has significantly accelerated existing processes and widely promoted cooperation between countries, regardless of the level of development they are at. Along with this, it helps to solve a number of global processes and problems. The structure of the development of the world economy is changing, economic relations are implemented in a completely new way, a new order of world coexistence is in the process of being formed. Obviously, these processes were significantly influenced by the recent Covid-19 pandemic and the current process of the Russia-Ukraine war. Against the background of modern trends in the development of the world economy, important aspects of the national economy are facing new challenges. The main goal and task of Georgia is integration into the world economy. We consider it interesting what indicators characterize the economic relations with the world system and what are its export quota and overtaking coefficients.

*ვაჟა ზეიკიძე  
თამარ კილაძე  
გიორგი მასიურაძე*

### სახელმწიფო შესყიდვების ევროპული გამოცდილების განვითარება საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე

*ანოტაცია. ნაშრომში შესწავლილია სახელმწიფო შესყიდვების არსებითი როლი ქვეყნის ფინანსების წარმატებულ მართვაში. კვლევა გვიჩვენებს, რომ საქართველოშიც სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ფორმირება თანდათან იხვეწება და მრავალი ცვლილება შედის ქვეყნის განვითარების კვალდაკვალ. 2010 წლიდან ქვეყანაში სახელმწიფო შესყიდვების სისტემა მთლიანად ელექტრონული შესყიდვების სისტემაზე გადავიდა და ყველა დაინტერესებულ პირს*

საშუალება მიეცა ონლაინ რეჟიმში დააკვირდეს შესყიდვების მიმდინარე პროცესს. სახელმწიფო შესყიდვის სისტემის მიზანია ხელი შეუწყოს და წახალისოს ინოვაციები, კონკურენციის განვითარება, გამჭვირვალობა და უზრუნველყოს სახელმწიფო ბიუჯეტის რაციონალური ხარჯვა.

*საკვანძო სიტყვები: შესყიდვები, კონკურენცია, ინოვაცია, რეგულირება.*

### შესავალი

სახელმწიფო შესყიდვები, სახელმწიფოს ადმინისტრირების პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და დიდ დახმარებას უწევს განვითარებად ქვეყნებს საჯარო სექტორის ფინანსების მართვაში. სახელმწიფო შესყიდვების სფეროში გამოყენებული თანხები ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს და მეტად მნიშვნელოვანია თუ რამდენად სწორად და ეფექტურად გამოიყენება აღნიშნული რესურსები.

თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფო შესყიდვების სისტემები ერთმანეთისაგან განსხვავებულია, თუმცა მათ გააჩნიათ საერთო ნიშნები, რომელიც ასახვას პოვნებს პრინციპებსა და მეთოდებში. ყველა ქვეყანას გააჩნია ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო უწყება, რომელიც არეგულირებს და კოორდინაციას უწევს სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის განხორციელებას.

### ძირითადი ტექსტი

საქართველოში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შემადგენლობაში ფუნქციონირებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რომელიც ქვეყანაში სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის გამტარებელია. დღეისათვის სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის რეგულაციას საფუძვლად უდევს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, რომელიც მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის აპრილში და პერიოდულად მასში შედის ცვლილებები, რათა ქვეყნის სახელმწიფო შესყიდვების სისტემამ უპასუხოს თანამედროვე მოთხოვნებს.

ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში აქცენტი გაკეთებულია 4 ცენტრალურ პრინციპზე:

- ა) **თანაბარი პირობების პრინციპი** – კრძალავს კომპანიების დისკრიმინაციას;
- ბ) **გამჭვირვალობის პრინციპი** – მისი ამოქმედება ამცირებს კორუფციის, თაღლითობის, წინასწარი შეთანხმებების, პოლიტიკურად მოტივირებული ხარჯების გაწევის რისკების შემცირებას;
- გ) **ბაზარზე დაშვების შეზღუდვების მოხსნა** – წარმოადგენს ტექნიკურ დეტალს, რომელიც ამცირებს შესყიდვების გამჭვირვალობას და დროის ლიმიტს;
- დ) **ფულის ღირებულების შეფასება** – იგი განეკუთვნება შესყიდვების სისტემის მთავარ მიზანს, ყველაზე ძნელად მისაღწევია და ძირითადად მიმართულია დახარჯული თანხების საუკეთესო ღირებულების მისაღწევად.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, საჯარო შესყიდვების სფეროში, ევროკავშირთან ეტაპობრივი დაახლოების სამოქმედო გეგმის პირველი ფაზა 2017 წლის სექტემბერში დაასრულა და ევროკავშირის საჯარო შესყიდვების ბაზარი საქართველოსთვის ნაწილობრივ გაიხსნა. საქართველო შეუერთდა ევროკავშირის სახელმწიფო ტენდერების პლატფორმასაც (<https://opentender.eu>), რომელიც დაინტერესებულ კომპანიებს საშუალებას აძლევს, მოძებნონ და გაანალიზონ შესყიდვების მონაცემები 35 იურისდიქციაში. ევროკავშირის 28 ქვეყნის გარდა პლატფორმას მიერთებულია ევროკავშირის ინსტიტუტები, ნორვეგია, ისლანდია, შვეიცარია, სერბეთი, საქართველო და სომხეთი.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების ეფექტიანი განხორციელებისთვის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ევროკავშირთან საჯარო შესყიდვების სფეროში ეტაპობრივი დაახლოების მიზნით შემუშავდა სამოქმედო გეგმა, რომელიც 2015–2022 წლების პერიოდს მოიცავდა და შედგებოდა ხუთი ფაზისაგან.

ევროკავშირთან გაფორმებული ხელშეკრულებით ასოცირების შესახებ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონში შევიდა ცვლილებები, რომლებიც საერთაშორისო ვალდებულებების კუთხით შემდეგ ძირითად მიმართულებებს შეეხება: ა) პრინციპები; ბ) სპეციფიკაციები; გ) ვადები.

კანონში აისახა თანასწორი მოპყრობისა და პროპორციულობის პრინციპები და განისაზღვრა, რომ სატენდერო მოთხოვნების დადგენისას უპირატესობა შესრულებისა და ფუნქციური სპეციფიკაციების აღწერას უნდა მიენიჭოს. დადგინდა ტენდერის გამოცხადებისა და სატენდერო პირობების გაცნობის გონივრული ვადები. აღსანიშნავია, რომ 2019 წლიდან შეიცვალა გასაჩივრების წესი, კერძოდ, გამოცხადებული ტენდერის პირობებს ნებისმიერი დაინტერესებული პირი ასაჩივრებს უფასოდ, ხოლო შერჩევა-შეფასების ეტაპს – მხოლოდ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი, რომლის უფლებაც შეილახა. ამისთვის ის იხდის საჩივრის წარდგენის საფასურს, რომელიც მას დავის განხილვის დასრულების შემდეგ დაუბრუნდება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მისი საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ცვლილებების ადაპტაციისთვის და კანონის მოთხოვნათა აღსასრულებლად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ 19 კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი გამოსცა, რომელთა შორის ძირითადი ადგილი უჭირავს ორ მათგანს – ელექტრონული ტენდერის ჩატარების ახალ წესსა და ცვლილებებს დავების განხილვის საბჭოს საქმიანობაში, რომლითაც განისაზღვრა დავების საბჭოში საჩივრის წარდგენის წესი.

შემუშავდა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის ორგანოს ახალი ინსტიტუციური მოწყობა, მისი დაკომპლექტებისა და მართვის პრინციპები, ასევე შესაბამის მიდგომები ამ ორგანოს სრული დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

საჯარო შესყიდვების სფეროს კომპლექსური რეფორმის ფარგლებში „საჯარო შესყიდვების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ 2022 წლის პირველ კვარტალში მომზადა ახალი კანონპროექტი. კანონპროექტში აისახა საქართველოს სამთავრობო უწყებების მიერ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები. ახალი კანონპროექტი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ასახავს AA/DCFTA-ით გათვალისწინებულ საკანონმდებლო დაახლოების II და IV ფაზის ვალდებულებებს და ამ ვალდებულებების ეტაპობრივად ამოქმედებას. 2022 წლის დეკემბრის თვეში პარლამენტმა, პლენარულ სხდომაზე, პირველი და მეორე მოსმენით განიხილა და მცირეოდენი შენიშვნებით მიიღო „საჯარო შესყიდვების შესახებ“ კანონი. კანონპროექტში აისახა პარლამენტარების მიერ გამოთქმული შენიშვნები და მომზადდა იგი მესამე მოსმენისთვის.

პარალელურად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამასთან, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია საქართველოს პარლამენტში თემატური შეხვედრების ორგანიზება ახალ კანონპროექტთან დაკავშირებით. მასში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის წევრები, კერძოდ და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. აღნიშნული შეხვედრები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კანონპროექტის საპარლამენტო განხილვის პროცედურებს.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ „საჯარო შესყიდვების შესახებ“ ახალი კანონპროექტიდან გამომდინარე მოამზადა იმ კანონქვემდებარე აქტების ჩამონათვალი, რომლებიც აუცილებელია გამოიცეს ახალი კანონის სრულფასოვანი ამოქმედებისათვის. სწორედ ამ მიზნით 2022 წლიდან USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა უცხოელი ექსპერტის დაქირავება; მომზადდა მეორეული კანონმდებლობის პრიორიტეტული მიმართულებები; საერთაშორისო ექსპერტის მიერ შემუშავდა ორი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულების თანახმად, გათვალისწინებულია ევროკავშირის 2014/24/EC დირექტივასთან საკანონმდებლო დაახლოება, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს ამაჟამად მოქმედ სახელმწიფო შესყიდვების

ერთიან ელექტრონულ სისტემაში ახალი ელექტრონული სერვისების, ინსტრუმენტებისა და პროცედურების დანერგვას.

ელექტრონული სისტემის კარდინალური მოდერნიზება და შესაბამისად სრულიად ახალი ელექტრონული სერვისების დანერგვა დაკავშირებულია „საჯარო შესყიდვების შესახებ“ ახალი კანონის მიღებასა და მისი ამოქმედების ვადებზე.

ახალი კანონპროექტის ამოქმედება გათვალისწინებულია 2025 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული კანონპროექტი დღეს უკვე არსებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის ერთგვარი გაგრძელებაა, რომელმაც მთელი რიგი რეგულაციები ახლებურად და განსხვავებულად უნდა დაარეგულიროს. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის მხოლოდ ერთ მეთოდი გამოიყენება. ეს არის დაბალი ფასი. ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ ტენდერში მონაწილე შესაძლებელია შეფასდეს სხვა კრიტერიუმებითაც, როგორცაა: ფასის და ხარისხის კომბინაცია და შესყიდვის ობიექტის სასიცოცხლო ციკლის დანახარჯების ჯამური ოდენობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ შეიძლება დღეს გადავიხადოთ ოდნავ მეტი თანხა, მაგრამ ამ შესყიდვის ობიექტის სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში გაცილებით ნაკლები დანახარჯი გავწიოთ და საბოლოო ჯამში ბიუჯეტისთვის ეკონომიკურად გამართლებული შედეგი მივიღოთ. ახალი კანონპროექტი სრულ შესაბამისობაშია იმ ევროდირექტივების ბოლო მოთხოვნებთან, რომლებიც საჯარო შესყიდვებს ეხება.

2021 წელს მსოფლიოში არსებული პანდემიის ფონზე ეკონომიკაში შექმნილი ვითარება სერიოზული გამოწვევებითა და სირთულეებით გამოირჩეოდა. ამ ვითარებაში სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ წარმატებით გაართვა თავი დასახულ მიზნებს და ამოცანებს. ქვეყნის მასშტაბით 2021 წელს ელექტრონული და კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით დადებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების მთლიანმა ღირებულებამ 4 701 769 413 ლარი შეადგინა, რაც სახელმწიფო შესყიდვების საერთო მოცულობის 82%-ია, ხოლო გამარტივებული შესყიდვების საფუძველზე გაფორმებულმა ხელშეკრულებების მთლიანმა მოცულობამ 1 052 419 113 ლარი ანუ 18% შეადგინა. აღნიშნული გამარტივებული შესყიდვების ძირითადი ნაწილი (62%) განეკუთვნება პანდემიის მართვის პროცესში საჭირო სამედიცინო მომსახურების სფეროს შესყიდვებს [2, 3].

2021 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოცხადდა 31 773 ელექტრონული ტენდერი, მათ შორის 82% განეკუთვნებოდა NAT ტიპის ტენდერებს, 12% – SPA ტენდერებს და 6% – ყველა დანარჩენი ელექტრონული შესყიდვის პროცედურას.

ევროკავშირი ცდილობს შექმნას ეფექტური სივრცე მთელი ევროპის მასშტაბით მოქმედი ბიზნესსუბიექტებისათვის სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით. ევროკავშირის დირექტივებში 2004/17 და 18 მოცემულია სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების აღწერა, რომელის დანერგვაც სავალდებულოა ყველა წევრი სახელმწიფოსათვის საკუთარი ეროვნული კანონმდებლობის მეშვეობით. გამარტივებულ პირდაპირ შესყიდვებთან მიმართებით ევროკავშირის დირექტივა 2004/18 მოითხოვს, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა დაასაბუთოს, თუ რა კრიტერიუმები დააკმაყოფილა შერჩეულმა ბიზნესსუბიექტმა. ამავ დირექტივაში ჩამოყალიბებულია გარემოებები, რომლის პირობებში დაშვებულია გამარტივებული შესყიდვების გამოყენება. გამარტივებულ შესყიდვებს ევროკავშირის წევრი ქვეყნები განსხვავებული პერიოდულობით იყენებენ. ხშირად ცალკეულ ქვეყნებში გამარტივებული შესყიდვების წილი 50%-საც კი აღემატება. ევროკავშირის იმ ქვეყნებში, სადაც კორუფციის პრევენციის და გამოვლენის მექანიზმი დაბალია, სახელმწიფო შესყიდვებში გამარტივებულ შესყიდვებს შედარებით ნაკლები წილი უკავია.

მეტად საინტერესოა გამარტივებული შესყიდვების საკანონმდებლო რეგულირება ევროკავშირის წევრ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში. ლიტვაში გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“. 2015 წლის მონაცემებით [3] საერთაშორისო შესყიდვებამ საერთო სახელმწიფო შესყიდვების 63% შეადგინა. აქედან 5,6% ჩატარდა კონკურენტული მოლაპარაკებების გზით, ხოლო 3,9% კი – პირდაპირი

შესყიდვის გზით. ეროვნული შესყიდვების 34,4% შესყიდულია გამარტივებული წესით. ლიტვაში გამარტივებული შესყიდვების წესის გამოყენება დაშვებულია კანონით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

1. შესყიდვების ღირებულება ნაკლებია კანონით დადგენილ საერთაშორისო ზღვარზე და კანონში მითითებულია ამგვარი ზღვრების რაოდენობრივი მაჩვენებლები. ამჟამად ლიტვაში მოქმედებს ევროკავშირის დირექტივით - 2014/24/EU დადგენილი საერთაშორისო ზღვრები.

2. კანონით განსაზღვრულია გამარტივებული შესყიდვის შემდეგი ძირითადი ფორმები:

ა) გამარტივებული შესყიდვა ინტერესთა გამოხატვის შესახებ განცხადების გამოქვეყნებით;

ბ) გამარტივებული შესყიდვა ინტერესთა გამოხატვის შესახებ განცხადების გამოქვეყნების გარეშე.

3. კონტრაქტის ღირებულების მიუხედავად, როცა საქმე ეხება შემდეგი ტიპის მომსახურების შესყიდვას:

- სასტუმრო და სარესტორნო მომსახურება;
- სატრანსპორტო მომსახურება სარკინიგზო ხაზებზე;
- სატრანსპორტო მომსახურება საწყლოსნო ტრანსპორტით;
- დამხმარე და შემავსებელი სატრანსპორტო მომსახურება;
- იურიდიული მომსახურება;
- გამოძიების ან უსაფრთხოების მომსახურება;
- საგანმანათლებლო და პროფესიული სწავლების მომსახურება;
- ჯანდაცვისა და სოციალური სერვისები;
- რეკრეაციული, კულტურული და სპორტული აქტივობები.

ლიტვაში სახელმწიფო შესყიდვებში კორუფციის აღმოსაფხვრელად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პარალელურად ფუნქციონირებს სპეციალური საგამოძიებო სამსახური, რომელიც 2000 წლიდან წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანოს და მისი ძირითადი ფუნქციაა კორუფციის შემთხვევების კონტროლი სახელმწიფო შესყიდვებში. სამსახური პირდაპირ ანგარიშვალდებულია პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე [4].

საქართველოსთვის ასევე მეტად მნიშვნელოვანია ლატვიის გამოცდილება სახელმწიფო შესყიდვების საქმეში. ლატვიაში 2006 წლიდან ამოქმედდა კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ [5], რომელიც ეყრდნობა ევროკავშირის დირექტივას – 2004/18/EU. ლატვიის კანონში პირდაპირაა ასახული ევროკავშირის დირექტივები შემდეგი სამიზნე პრინციპების დაცვით:

1. შესყიდვების პროცესის ღიაობა;
2. მომწოდებლებს შორის თავისუფალი კონკურენცია;
3. სახელმწიფო და ადგილობრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

ევროკავშირის ზღვრებს ქვემოთ შესყიდვების შემთხვევაში ლატვიაში მოქმედებს ორდონიანი ზღვრები. პირველი, პირდაპირი შესყიდვა დასაშვებია 4000 ევროზე ნაკლები ღირებულების პროდუქტის და მომსახურების შესყიდვისათვის, 14 000 ევროზე ნაკლები ღირებულების სამუშაოების შემთხვევაში. მეორე დონე, რომელიც განისაზღვრება 4000-დან 42 000 ევრომდე, პროდუქტებისა და მომსახურების და 14 000-დან 170 000-მდე ღირებულების სამუშაოების შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის პროცედურების მეშვეობით.

ნახსენები ზღვრის ზემოთ სახელმწიფო შესყიდვების კანონით დაშვებულია გამარტივებული შესყიდვის შემდეგი ფორმები:

1. შესყიდვა შეზღუდული მონაწილეებით – ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს უფლება, მოითხოვოს მონაწილეობა, მაგრამ უშუალოდ წინადადების წარმოდგენა შეუძლიათ მხოლოდ იმ მომწოდებლებს, რომლებიც მოწვეული იქნებიან შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ;

2. შესყიდვა მოლაპარაკების გზით – შემსყიდველის მიერ არჩეულ ერთ ან რამდენიმე მომწოდებელთან მოლაპარაკება შესყიდვის თაობაზე.

ლატვიაში სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგს ახორციელებს შესყიდვების მონიტორინგის ბიურო [6], რომელიც ექვემდებარება ფინანსთა სამინისტროს. ბიუროს



ფუნქციებია: აწარმოოს სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკის კანონთან შესაბამისობის მონიტორინგი, გამოითხოვოს ინფორმაცია სახელმწიფო ორგანიზაციებიდან შესყიდვების ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელოს შეფასებები და გასცეს რეკომენდაციები. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მას უფლება აქვს, დააჯარიმოს შემსყიდველი ორგანიზაციები, მიიღოს სტატისტიკური და ანალიტიკური ინფორმაცია, განახორციელოს კანონით დაკისრებული სხვა ფუნქციები.

საქართველოსთვის ასევე საყურადღებოა ჩეხეთის რესპუბლიკის გამოცდილება სახელმწიფო შესყიდვებში. ჩეხეთში სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ [7]. კანონი შესყიდვის ღირებულების მიხედვით სამი ტიპის შესყიდვის პროცედურას განასხვავებს: ზღვარს ზემოთ, ზღვარს ქვემოთ და მცირე მოცულობის. დაწესებულ ზღვარს ზემოთ შესყიდვები პირდაპირ ექვემდებარება ევროკავშირის დირექტივებს. ამ უკანასკნელზე ნაკლები, მაგრამ ეროვნული ზღვრების მიხედვით დასაშვები (პროდუქტები და მომსახურება, შესაბამისად, 70, 000 და 210,000 ევრო) ექვემდებარება შესყიდვების სახელმწიფო კანონის მოთხოვნებს. ნახსენებ ზღვრებს ქვემოთ შესყიდვები შესაძლებელია განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით მინიმუმ ხუთი კანდიდატის მოწვევით, მოწვევის საჯაროდ გამოქვეყნების გზით.

კანონით დაშვებულია გამარტივებული შესყიდვის შემდეგი საშუალებები: შეზღუდული პროცედურა; მოლაპარაკება შესყიდვის შესახებ განცხადების საჯარო გამოქვეყნების გზით; მოლაპარაკება შესყიდვის შესახებ განცხადების გამოქვეყნების გარეშე; გამარტივებული შესყიდვა მონეტარულ ზღვარს ქვემოთ.

შესყიდვების შესახებ კანონის აღსრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენს ჩეხეთის რეგიონული განვითარების სამინისტრო, ხოლო კონკურენციის სააგენტო და სახელმწიფო აუდიტის ოფისი ასრულებს გარე მაკონტროლებლის როლს.

ჩეხეთის აუდიტის სამსახური [8] აკონტროლებს სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიანობისა და ეკონომიურობის საკითხებს. აუდიტის სამსახურის უშუალო მოვალეობაში არ შედის მომწოდებლებთან კონტრაქტის მინიჭების პროცესების კანონთან შესაბამისობის დადგენა. როგორც პოლიტიკურად დამოუკიდებელი ორგანიზაცია, იგი ოთხი დეპარტამენტისგან შედგება, რომელთაგან ერთ-ერთია სახელმწიფო შესყიდვებზე ზედამხედველობის დეპარტამენტი.

სატენდერო პროცედურების კანონთან შესაბამისობის კონტროლს ახორციელებს კონკურენციის დაცვის სამსახური [9]. სამსახურს ასევე კანონით აქვს უფლებამოსილება, შეაჩეროს რომელიმე რისკის შემცველი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კონტრაქტის დადება. სამსახურის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტია ჩეხეთის ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით და მისი გადახედვა მხოლოდ სასამართლოს გზითაა შესაძლებელი.

## დასკვნა

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში აქტიურად ვითარდება ევროსტანდარტების მიმართულებით, რაც საკმაოდ წინ გადადგმული ნაბიჯია ევროინტეგრაციის კუთხით. გამჭვირვალობის მხრივ საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა ერთ-ერთი მოწინავეა მსოფლიოში, მაგრამ მნიშვნელოვნად დასახვეწია შესყიდვების მონიტორინგის სისტემა, რადგან ხშირად სააგენტოს მიერ გამოვლენილი საექვო ტიპის ხელშეკრულებები გარკვეულწილი რისკის ქვეშ აყენებს გამჭვირვალობასა და ანტიკორუფციულ ქმედებებს.

შემსყიდველის პოზიციიდან საკითხის მიდგომისას, მას ურჩევნია გამარტივებული ტენდერებისა და ხელშეკრულებების გაფორმება პროცედურული სიმარტივის გამო, მაგრამ აუცილებელია საქართველოშიც ევროკავშირის ქვეყნების ანალოგიურად შემოღებულ იქნეს გამარტივებულ შესყიდვებზე ევროდირექტივებში მითითებული სტანდარტები, როგორც ამას ახორციელებს ლიტვა, ლატვია და ჩეხეთი. ამ მიმართულებით მიზანშეწონილად გვესახება

გარკვეული ცვლილებების შეტანა უკვე მომზადებულ ახალ კანონპროექტში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, რომელიც უნდა ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

ქვეყნის შესყიდვების სისტემის ერთ-ერთი პრობლემატური მხარეა შესყიდვების დაგეგმვის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო შესყიდვების ვებგვერდს ჩაშენებული აქვს ePlan მოდული, სააგენტოს მხრიდან შემსყიდველი ორგანიზაციების წლიური გეგმების მონიტორინგი სათანადო დონეზე მაინც ვერ ხორციელდება. ePlan მოდულში შესაძლებელია ფიქსირებული მონაცემების კორექტირება, რაც შემსყიდველ ორგანიზაციას საშუალებას აძლევს წლის განმავლობაში კორექტირება გაუკეთონ სააგენტოსთვის წარდგენილ წლიურ გეგმებს საკუთარი შეხედულებისამებრ. აღნიშნულის დროული გამოსწორება მნიშვნელოვანი საკითხია შესყიდვების სისტემაში ამოქმედებული ახალი ელექტრონული სისტემისა, რათა სააგენტოს ვებგვერდზე დაფიქსირდეს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შესყიდვების გეგმებში შეტანილი კორექტირების შემთხვევები.

მთლიანობაში საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა ევროინტეგრაციის კუთხით წარმატებით ვითარდება, პერიოდულად ხდება ახალი სტანდარტებისა და ნორმატივების დანერგვა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, თბ. 2005.
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2021 წლის ანგარიში. თბ. 2022, [www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)
3. ლიტვის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2015 წლის ანგარიში: <https://vpt.lrv.lt/uploads/vpt/documents/files/Informacija%20apie%202015%20m%20%20vie%C5%A1uosius%20pirkimus.pdf>.
4. <http://www.stt.lt/en>
5. [http://ec.europa.eu/public\\_opinion/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/public_opinion/index_en.htm)
6. <https://www.iub.gov.lv/lv>
7. [http://www.portal-vz.cz/getmedia/50657500-3743-426a-8463-e3b46830ae04/ZVZ\\_english](http://www.portal-vz.cz/getmedia/50657500-3743-426a-8463-e3b46830ae04/ZVZ_english)
8. <https://www.nku.cz/>
9. <https://www.uohs.cz/en/homepage.html>
10. გ. ყუფარაძე, გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების წესი ევროკავშირის ქვეყნებში. თბ.2021
11. ნ.ჯავახაძე, რეკომენდაციები ადგილობრივ დონეზე საჯარო-კერძო თანამშრომლობის მხარდასაჭერად. თბ. 2021

*Vazha Zeikidze  
Tamar Kiladze  
Giorgi Maisuradze*

### **DEVELOPMENT OF THE EUROPEAN EXPERIENCE OF STATE PROCUREMENT ON THE WAY OF GEORGIA'S INTEGRATION INTO THE EUROPEAN UNION**

#### **Abstract**

During the last period, the state procurement system of Georgia is actively developing in the direction of European standards that is quite a step forward in terms of European integration. In terms of transparency, the state procurement system of Georgia is one of the most advanced worldwide, but the procurement monitoring system needs to be significantly improved, because often suspicious contracts identified by the agency call into question the transparency and anti-corruption actions.

Approaching the issue from the buyer's point of view, preferring is to the signing of simplified tenders and contracts due to procedural simplicity, but it is necessary to introduce the standards specified in the European Directives on simplified procurement in Georgia, similarly to the countries of the European Union, as implemented by Lithuania, Latvia and the Czech Republic. In this direction, we consider it expedient to make some changes in the already prepared new draft law "On State Procurement" that should come into effect on January 1, 2025.

One of the problematic aspects of the country's procurement system is the issue of procurement planning. Despite the ePlan module has been built into the state procurement website, monitoring of annual

plans of procuring organizations by the agency is still not carried out at an appropriate level. In the ePlan module, it is possible to adjust the recorded data that gives the possibility to procuring organization to make adjustments during the year to the annual plans submitted to the agency at their own discretion. Timely correction of the aforementioned is an important issue of the new electronic system implemented in the procurement system, in order to record cases of corrections made by the purchasing organizations in the procurement plans on the website of the Agency. As a whole, the state procurement system of Georgia is developing successfully in terms of European integration, new standards and norms are being introduced periodically.

*ელენე ზურაბაშვილი*

**გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები  
საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში**

*ანოტაცია. დასაწყისში გლობალიზაცია წმინდა ეკონომიკური შინაარსის ტერმინი იყო. ძალიან სწრაფად ფართო, გლობალური მნიშვნელობა შეიძინა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. გლობალიზაცია ეხმარება ქვეყნების, საერთოდ კაცობრიობის განვითარებას, მსოფლიო მასშტაბით თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას. საქართველო ძალაუვნებურად ჩართულია გლობალიზაციის პროცესში.*

*გლობალიზაცია გულისხმობს ახალი ტიპის თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს მსოფლიოში. ის ცივილიზაციის კანონზომიერი განვითარების ბუნებრივი, თანმხლები პროცესია. თუმცა გარკვეულწილად მაინც მართვადია, ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ გლობალიზაციის უპირატესობები გამოვიყენოთ ჩვენდა სასიკეთოდ და ამასთან ერთად მაქსიმალურად დავიცვათ თავი მისი უარყოფითი ზემოქმედებისაგან. ის არ ცნობს ეროვნულობას და მისთვის პრიორიტეტულია მხოლოდ უნივერსალური, აბსოლუტური ღირებულებები. არ უნდა დავუშვათ ადამიანთა გათანაბრება. უნდა დარჩეს ადგილი აზრთა სხვადასხვაობისთვის, ამიტომ აუცილებელია, ახალ ეპოქაში გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციებს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, ჩვენი ცხოვრების წესს მთლიანად გადავხედოთ და ბევრი რამ ახლებურად გავიაზროთ. მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ გამოიწვია გლობალიზაციის განვითარება, რომელიც არის ცოცხალი, დინამიკური და მიმდინარე პროცესი.*

*საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ეკონომიკა, კულტურა, დამწერლობა, ეროვნულობა.*

XXI საუკუნეს თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ გლობალიზაციის საუკუნე, თუმცა გლობალიზაციის საფუძვლები, ალბათ, იქ უნდა ვეძებოთ, სადაც კაცობრიობა იწყება. გლობალიზაცია მსოფლიო მოვლენად იქცა. სწორედ XX-XXI საუკუნეების გასაყარზე მიიღო ამ მოვლენამ საკაცობრიო მნიშვნელობა. გლობალიზაცია აღარ წარმოადგენს მხოლოდ ეკონომიკურ ფენომენს. პოლიტიკა, კულტურა, ეკოლოგია – ეს ის სფეროებია, სადაც გლობალიზაციამ ყველაზე უფრო მეტად გამოხატული ფორმები მიიღო, ხოლო ტექნიკის განვითარებამ კიდევ უფრო დააჩქარა, გააღრმავა ეს პროცესი და ამავედროულად შეუქცევადი გახადა.

თუ დასაწყისში გლობალიზაცია წმინდა ეკონომიკური შინაარსის ტერმინი იყო, ძალიან სწრაფად ფართო, გლობალური მნიშვნელობა შეიძინა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა (პოლიტიკა, სოციალური მხარე, კულტურა, მენტალიტეტი). იგი გაერთიანების, შერწყმის სინონიმად იქცა. გლობალური მსოფლიო გულისხმობს ზეტერიტორიულ და ზენაციონალურ სამყაროს, სადაც სახელმწიფოებრივი საზღვრები არავითარ როლს არ უნდა თამაშობდეს. მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობები და გლობალური ურთიერთობები შესაძლებელია თანაარსებობდეს და დღევანდელი მსოფლიოც ერთდროულად არის ინტერნაციონალიზებულიც და გლობალიზებულიც [1].

თ. საბედაშვილი აღნიშნავს, რომ შეუძლებელია გლობალიზაციის შეჩერება ან შეწყვეტა, შესაძლებელია მხოლოდ მისი შეცვლა ისე, რომ იგი სოციალურად ორიენტირებული და მაქსიმალურად ჰუმანური ანუ ადამიანებისთვის სარგებლის მომტანი იყოს [2].

გლობალიზაცია ეხმარება ქვეყნების, საერთოდ კაცობრიობის განვითარებას, მსოფლიო მასშტაბით თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას, თანამედროვე ტენდენციების საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობას. რა თქმა უნდა, ის დიდ სიკეთეს მოუტანს საქართველოსაც, ხელს შეუწყობს იმ დახურული სივრციდან გასვლაში, რომელიც ასწლეულების განმავლობაში ამორებად პროგრესულ პროცესებს, უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებას და დემოკრატიული გზით განვითარებას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ვალიარებთ გლობალიზაციის სიკეთეს, რისკის ფაქტორიც არსებობს. არ უნდა დავუშვათ, რომ გლობალიზაცია გასასამართლებელი საბუთი გახდეს პროცესებისა, რომელსაც თან ახლავს კულტურების ნიველირება. უნდა დარჩეს ადგილი აზრთა სხვადასხვაობისთვის. გათვალისწინებული უნდა იქნეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: ადამიანის უფლებისადმი პატივისცემა ის ქმედითი ნორმაა, რომელიც საჭიროა პოლიტიკური, დიპლომატიური, ეკონომიკური და საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვისათვის. გლობალიზაცია ზეეროვნული საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესია.

საქართველო ძალაუვნებურად ჩართულია გლობალიზაციის პროცესში, რომელიც უნდა იყოს ჰუმანური და არა დამანგრეველი ძალა. გლობალიზაცია გულისხმობს ახალი ტიპის მსოფლიოს. ის თანამედროვე ცივილიზაციის კანონზომიერი განვითარების ბუნებრივი, თანმხლები პროცესია და მომავალში კიდევ უფრო მძლავრად განვითარდება, რადგანაც ყოვლისმომცველი მოვლენაა, თუმცა გარკვეულ ფარგლებში მაინც მართვადია. ამიტომ გლობალიზაციის უპირატესობები გამოვიყენოთ ჩვენდა სასიკეთოდ და ამასთან ერთად მაქსიმალურად დავიცვათ თავი მისი უარყოფითი ზემოქმედებისაგან – ის არ ცნობს ეროვნულობას და მისთვის პრიორიტეტულია მხოლოდ და მხოლოდ უნივერსალური, აბსოლუტური ღირებულებები. ყოველგვარი სხვა ფასეულობა – კულტურული და ცივილიზაციური განსხვავებები, ლოკალური, ეროვნული თავისებურებები, მისთვის მეორეხარისხოვანია. გლობალიზაცია მსოფლიოს ერთფეროვნებას, ხალხთა ტრადიციების წაშლას მოასწავებს, ზრდის კულტურათა და ეროვნებათა ნიველირებისა და საბოლოო ჯამში, მათი გადაშენების ალბათობას. სწორედ ამიტომ ჩვენთვის წინა პლანზე უნდა იდგეს ეროვნულობა; ჩვენ სწორედ ჩვენი ტრადიციებით ვფასობთ. მსოფლიოს აღფრთოვანებს ჩვენი სიმღერაც და ცეკვაც, სწორედ იმიტომ, რომ ქართულია. საქართველომ საუკუნეების ქართველობა გაუძლო და არ გვაქვს იმის უფლება, რომ “სისხლით დაცული” ერი დღეს, უკვე XXI საუკუნეში, განადგურდეს. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ მამული, ენა, სარწმუნოება, ტრადიციები, ფოლკლორი, საერთოდ ჩვენი კულტურა. ე.ი. ეროვნულობა და ამ თავისებურებებითა და კოლორიტით შევიდეთ მსოფლიო თანამეგობრობაში.

გლობალიზაცია ხელს უწყობს გლობალური ფენომენის დამკვიდრებას, კერძოდ, თანამედროვე ტენდენციების საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლისთვისაც საზღვრები არ არსებობს; კულტურას, რომლის უნიფიკაციაც ხდება; პოლიტიკას, რომელიც საერთო სტანდარტებს ექვემდებარება და, რაც მთავარია, ადამიანს, რომელიც მრავალ ენაზე მეტყველებს და ამ გლობალური პროდუქტის ნაწილს წარმოადგენს. პატარა ქვეყნები ამ დიდი თამაშის ის მონაწილენი არიან, რომელთაც ყველაზე ნაკლებად ხელეწიფებათ ამ მოვლენებზე ზემოქმედება. გლობალიზაციის ყველაზე აქტიური ხელშემწყობი, გარდა მსოფლიო იდეოლოგიისა, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციაა. აუცილებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ამავე დროს ეროვნული სახის შენარჩუნება.

ქართველებს არ დაუკარგავთ ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებები, ხელოვნება, სიტყვიერება, მეცნიერება, მუსიკა. ქართველთა ეროვნული ცნობიერება ჩამოყალიბდა მტრულ გარემოცვაში, ამიტომაც წინაპრები თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ ეროვნულ კუთვნილებას, ანუ ქართველობას, თავიანთ წარმომავლობას, ენას, ეროვნულ ცნობიერებას და ნიშან-თვისებებს, ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებს, მართლმადიდებლობას; ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ

ნაციონალური სიწმინდე. მათ კარგად იცოდნენ, რომ ენის, ტერიტორიისა თუ სარწმუნოების დათმობა ერის სიკვდილს ნიშნავდა.

პატარა, განვითარებადი ქვეყნები, სადაც საბაზრო ეკონომიკა გამართულად ვერც კი ფუნქციონირებს, განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან ამ მოვლენის წინაშე. ხშირ შემთხვევაში ეს ქვეყნები არსებობის საუკუნოვანი ტრადიციებით ამაყოფენ.

ქართულმა კულტურამ, ქართულმა ხელოვნებამ დიდებულად გამოხატა სამშობლოს სიყვარულის თემა, რწმენისა და მამულისადმი ერთგულება, ანუ პატრიოტიზმი. ქართველი კაცის ისტორია მიწის დაცვისთვის ბრძოლის ისტორიაა, რჯულის დაცვა კი ქართველთა თვისებაა.

რაც უფრო კულტურულია ერი, მით უფრო დახვეწილია ზნე-ჩვეულებანი. ქართველები, უძველესი კულტურის ერია. ადათ-წესებისა და ზნე-ჩვეულებათა განსაკუთრებულობა განაპირობა ქართველი ერის ცხოვრების წესმა და გეოგრაფიულმა პირობებმა. საქართველოს ისტორია მშობლიური მიწის დაცვასთან არის დაკავშირებული.

XXI საუკუნეში, ეკონომიკური სარგებლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, აუცილებელი შეიქნა მრავალი ქვეყნის ეკონომიკური ინტეგრაცია, ერთგვაროვანი პოლიტიკური მმართველობის დემოკრატიული ღირებულებით. ამ პროექტის რეალიზაციამ შესაძლებელი გახდა ნაციონალური კორპორაციების გარდაქმნა ტრანსნაციონალურ კორპორაციებად, რამაც თავის მხრივ მოითხოვა ერთიანი საინფორმაციო ველის შექმნა. ამას მოჰყვა მასობრივი კომუნიკაციების არნახული აღმავლობა, რაც ინტერნეტის თითქმის ყოვლისშემძლეობით დაგვირგვინდა. ამ პროცესებს დიდ წინააღმდეგობას უწევდა კომუნისტური საბჭოთა იმპერია, რომელიც თავად გახდა გლობალიზაციის პირველი მსხვერპლი.

ბიოპოლარული სამყაროს რღვევის შემდეგ მსოფლიო თანდათანობით პოლიტიკურად ჰომოგენური გახდა. ამ მოვლენების ფონზე კულტურათა შორის განსხვავება მოიაზრება თანამედროვე მსოფლიოს მთავარ წინააღმდეგობად. მსოფლიოში მიმდინარე პროცესები მრავალი ინტელექტუალის განსჯის საგანია, მათგან გამოვყოთ ორი თვალსაზრისი, რომელიც არსებითად წარმოადგენს განსხვავებულ მიდგომათა ძირითად პრინციპს.

თანამედროვე ამერიკელი მოაზროვნის, ფ. ფუკოიამას მიხედვით პოსტკომუნისტური ეპოქის დადგომით აშკარა ხდება ისტორიის დასასრული. ფუკოიამა მიიჩნევს, რომ მსოფლიო ისტორია თვისებრივად ახალ ეტაპზე გადავიდა და თანამედროვე მსოფლიო წარმოიდგინა ერთიან საზოგადოებად. ხდება სხვადასხვა საზოგადოების გაერთვაროვნება. ნაციონალურის ნიველირება და ერთიანი მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბება მოასწავებს ისტორიის დასასრულს, სადაც ძირეული ცვლილებები აღარ განხორციელდება [3].

ასევე განსხვავებულ თვალსაზრის ავითარებს ამერიკელი მოაზროვნე ს. ჰანტინგტონი. მისი აზრით, თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიურ წინააღმდეგობას ჩაენაცვლება კულტურათა დაპირისპირება. წარმოიქმნება კონფლიქტები ცივილიზაციათა შორის. დღეს საუბარია არა ქვეყნებს შორის ომებზე, არამედ კულტურათა შორის ომებზე [4].

გლობალიზაციას მივყავართ იქამდე, რომ ჩნდება მსოფლიოს როგორც ერთიანი მთელის გაგება. გლობალიზაციის ძირითადი მახასიათებელია ლიბერალურ დემოკრატიული ღირებულებების ექსტრაპოლაცია დედამიწის უკლებლივ ყველა რეგიონზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და ა.შ. სისტემები იდენტური ხდებიან. ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულება არნახულ მაშტაბებს იძენს, ხალხები და კულტურა აქამდე არასოდეს ყოფილან ასე ერთმანეთზე დამოკიდებული. ამას ხშირად უარყოფითი შედეგებიც მოჰყვება. მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში შექმნილი პრობლემები, მყისვე აისახება დანარჩენ ქვეყნებზე. ეს კარგად გამოჩნდა ბოლო წლების ეკონომიკური კრიზისის დროს. ამერიკის ბირჟებზე დაწყებულმა კრიზისმა უცებ მთელი მსოფლიო მოიცვა, იზარალა უამრავმა ბანკმა თუ საწარმომ, ასი ათასობით ადამიანმა დაკარგა სამსახური.

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური ტენდენციები საერთაშორისო ურთიერთობის გლობალურ ხასიათს ატარებს, ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების სტუდენტები გვიწინასწარმეტყველებენ, რომ შესაძლოა მომავალში საერთოდ აღარ იარსებონ ქვეყნებმა, როგორც

ნაციონალურმა სახელმწიფოებმა, რაც ჩვენთვის ძალიან ძნელი წარმოსადგენია. დღეს პიროვნების, ინდივიდის უმნიშვნელოვანესი საიდენტიფიკაციო ნიშანი სწორედ ისაა, თუ რომელ ქვეყანას, რომელ ნაციას მიეკუთვნები. პროგნოზების მიხედვით კი მომავალში გადამწყვეტი იქნება მხოლოდ ის, თუ რომელ კორპორაციაში ვიმუშავებთ. ადამიანი თავის თავს გაგაცნობს არა ასე – “მე გერმანელი ვარ”, “მე ამერიკელი ვარ”, არამედ “მე გუგლის” თანამშრომელი ან “მე მაიკროსოფტის” თანამშრომელი ვარ.

ალბათ, ნაციონალიზმი დაყვანილი იქნება მინიმალურ ზღვარზე, რომელიც თითქმის არ იარსებებს. ეროვნულ თვითცნობიერებაზე უარის თქმა მოასწავებს მეხსიერების წყვეტას, ისტორიის დავიწყებას და ამდენად საკუთარი მეობის გაუქმებას. ეს არის ერთ-ერთი ვერსია, საითაც მივყავართ ტოტალურ გლობალიზაციას, რაც ცოტა უტოპიურად, მაგრამ ამასთანვე თეორიულად შესაძლებლად მიმაჩნია. განსაკუთრებით იმ ფაქტორს თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე მომხმარებლური ტიპის საზოგადოების სრული უმრავლესობა ორიენტირებულია მხოლოდ მატერიალურ ღირებულებებზე. “ყოფნაზე” მნიშვნელოვანი გახდა “ქონა”. ჩვენ იმისათვის კი აღარ ვცხოვრობთ, რომ “ვიყოთ”, არამედ იმისათვის რომ “გვექონდეს”. ეს ყველა სფერო ცივილიზაციამ და ტექნიკურმა განვითარებამ მოიტანა. თვალსაჩინოა ჩვენი საზოგადოების სულიერი და სოციალური კულტურის კრიზისი. თანამედროვე ადამიანისთვის მთავარი ნივთი და კომფორტია. ასეთი ადამიანი უკვე სხვა ადამიანსაც ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად საჭირო საშუალებად მიიჩნევს და უყურებს როგორც ნივთს. ი. კანტის ფილოსოფიაში, ადამიანი ყოველთვის უნდა იყოს “მიზანი” და არა “საშუალება”.

ნაციონალური კულტურების დაკნინება იწვევს მშობლიური ენის ფუნქციის დაკნინებასაც. წარმატებული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება მოითხოვს ინფორმაციული გაცვლის დროულ განხორციელებას ერთ ენაზე. ასეთი ენა გლობალიზაციის პროცესებისათვის ინგლისურია. ეს მაშინ, როცა კონკრეტული ინდივიდი, საზოგადოება, ეთნოსი ენასთან, როგორც ნაციონალური კულტურის ღერძთან, ახდენს თვითიდენტიფიკაციას. მისი უგულებელყოფა, მისი არეალის შემცირებაც კი მტკივნეულად აღიქმება.

ცნობილია, რომ ენის განვითარების შესაბამის ეტაპზე ახალი შინაარსის გამოსახატავად აუცილებელია ახალი სიტყვის შექმნა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება მაშინ, როცა ენა რომელიმე ახალი დარგის ტერმინოლოგიას ამკვიდრებს. მაგალითად, დენი, ძაბვა, სინჯი, ნათურა და სხვა. ამგვარად, ნეოლოგიზმების მნიშვნელოვანი ნაწილი იქმნება მშობლიური ენის სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობების გამოყენებით. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში განსაკუთრებით ინტენსიურად იჭრება საერთაშორისო და სამართლებრივ ურთიერთობებთან, ინფორმატიკასა და უახლეს კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ნეოლოგიზმები. მაგალითად, გასული საუკუნის ბოლოს ქართულ ენაში შემოვიდა ისეთი უცხოური სიტყვები, როგორიცაა: დისკი, რეიტინგი, იმიჯი, კურსორი, პლეიერი, ფაილი, თინეიჯერი და სხვა.

ნეოლოგიზმების გააქტიურება ენაში უშუალოდ უკავშირდება ბარბარიზმების პრობლემას. ბარბარიზმი აღნიშნავს ამა თუ იმ ენაში გაუმართლებლად, “ბარბაროსულად” შემოჭრილ სიტყვას. გასულ საუკუნეში რუსულის გავლენით ვრცელდებოდა სიტყვები: პოლი, სტოლი, ბოჩკა, სპიჩკა და ა. შ., მაგრამ ის ერთი ენის ლექსიკას არ განეკუთვნება. ბარბარიზმი ყოველი უცხო სიტყვა, რომლის საჭიროებაც ენაში არ არსებობს, ანუ შესაბამისი შინაარსის სიტყვა მას უკვე მოეპოვება, მაგ., მეგობარს “ლაითად” შეურაცხყოფა მიაყენა; გუმინ “შოპინგზე” ვიყავი. . .

ნათელია, რომ ამგვარი ტენდენციები არა მხოლოდ აღარიბებს სალიტერატურო ენას, არამედ საფუძვლიანად არღვევს უკვე განმტკიცებულ ენობრივ სისტემებს და უქმნის სერიოზულ საფრთხეს საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებულ ერთ-ერთ მთავარ კულტურულ მემკვიდრეობას. ქართული ენა, როგორც მრავალი სხვა, განიცდის ამერიკანიზაციას. ამის მიზეზი სოციალურ-პოლიტიკური სფეროა. თუ ენის ხერხემალი მტკიცეა, ლექსიკური ნასესხობები მისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს (საჭირო ნასესხობანი და არა უსარგებლო ან ზიანის მომტანი ბარბარიზმები). ამიტომაც არის აუცილებელი

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევს თანამედროვე სალიტერატურო ენის განვითარების პროცესს. ენა უნდა დავიცვათ უცხოენოვანი სიტყვების მოძალევისაგან.

## დასკვნა

სამყაროში შეუძლებელია გლობალიზაციის შეჩერება, რადგან ეს პროგრესული პროცესია და ხელს უწყობს მსოფლიოში თანამედროვე ტენდენციების საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას; ეხმარება დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას და უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებას. ამავე დროს გლობალიზაცია განიხილება, როგორც ნეგატიური პროცესი, რომელიც ემუქრება ეროვნულ პრიორიტეტს. არ უნდა დავუშვათ ადამიანთა გათანაბრება, უნდა დარჩეს ადგილი აზრთა სხვადასხვაობისთვის. წარმოუდგენელა მსოფლიო პატარა ერების გარეშე.

თანამედროვე სამყაროში მოვლენები სინათლის სისწრაფით ვითარდება. ყოველ ათწლეულში იმ მასშტაბის ცვლილებებია, რაც ძველად შეიძლება საუკუნის განმავლობაში არ მომხდარიყო. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ახალი ტექნოლოგიების გამოგონება ჩვენს ცხოვრებაში იწვევს გარდაუვალ ცვლილებებს. ამიტომ აუცილებელია, ახალ ეპოქაში, ჩვენი ცხოვრების წესს მთლიანად გადავხედოთ და ბევრი რამ ახლებურად გავიაზროთ. მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ გამოიწვია გლობალიზაციის განვითარება, რომელიც არის ცოცხალი, დინამიკური და მიმდინარე პროცესი. მისი უპირატესობები გამოვიყენოთ ჩვენდა სასიკეთოდ და მასთან ერთად მაქსიმალურად დავიცვათ თავი უარყოფითი ზემოქმედებისაგან.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. კულტურათაშორისი კომუნიკაციები, № 3, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2008, გვ. 7.
2. Source: საბედაშვილი თამარ. ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები: სალექციო კურსი სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის, თბ.: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006, 112 გვ.
3. ფუკოიამა ფ., ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი, თბ. 1992, გვ. 18.
4. ჰანტინგტონი ს., ცივილიზაციათა შეჯახება, თბ., 1993, გვ. 55.

*Elene Zurabashvili*

## MODERN TRENDS OF GLOBALIZATION IN INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS Abstract

In the beginning, globalization was a term of purely economic content, very quickly it acquired a wide, global meaning and covered all spheres of public life. Globalization helps the development of countries, humanity in general, the formation of a free, democratic society worldwide. Georgia is mentally involved in the process of globalization.

Globalization implies a new type of modern international economic relations in the world. It is a natural, accompanying process of the regular development of civilization. However, it is still manageable within certain limits. Therefore, we should use the advantages of globalization to our advantage and at the same time protect ourselves from its negative effects as much as possible. He does not recognize nationalism and only universal, absolute values are his priority. We should not allow equalization of people. There should be room for differences of opinion. Therefore, in the new era, modern trends of globalization in international economic relations, it is necessary to completely review our way of life and understand many things in a new way. The scientific and technological revolution has led to the development of globalization, which is a living, dynamic and ongoing process.

პანდემიისა და ომის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე,  
საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების სტრუქტურა და სტრატეგია

**ანოტაცია.** ნაშრომში განხილულია პანდემიის ნეგატიური გავლენა მსოფლიო და ეროვნულ ეკონომიკაზე; გაანალიზებულია სასურსათო უსაფრთხოების მნიშვნელობა მსოფლიოში არსებული გლობალური გამოწვევების პირობებში; გაშუქებულია საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების როლი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში; დახასიათებულია დედოღაროზაციის პროცესი.

**საკვანძო სიტყვები:** პანდემია, გაერო, ევროკავშირი, ატომური ომი, სასურსათო უსაფრთხოება, დედოღაროზაცია.

**შესავალი**

ბოლო პერიოდში მსოფლიო დადგა უდიდესი გლობალური გამოწვევების წინაშე, როგორც არის პანდემია და რუსეთ-უკრაინის ომი. Pდიდი რისკის ფასად პანდემიას ქვეყნები მეტ-ნაკლებად გაუმკლავდნენ, დაიღუპა მილიონობით ადამიანი, მსოფლიო ეკონომიკამ განიცადა რეცესია, ომის ბედი კი ჯერჯერობით უცნობია. ძნელია პროგნოზი, თუ რა ბედი მოელის მესამე მსოფლიო ომის ზღვარზე მყოფ ცივილიზაციას.

\*\*\*

პანდემიამ მთელი მსოფლიო უდიდესი გამოწვევებისა და განსაცდელის წინაშე დააყენა. Dდაავადდნენ და დაიღუპნენ ადამიანები. ერთმა პატარა უჩინარმა ვირუსმა შეაყოვნა მთელი მსოფლიო, გააჩერა ეკონომიკა. ადამიანებმა დაკარგეს სამუშაო ადგილები. მსოფლიო ეკონომიკამ უდიდესი ზარალი განიცადა. "შავ ოქროდ" მიჩნეული ნავთობის ფასი დაეცა, შეიზღუდა წარმოება, ჩამოიშალა მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრია, სარესტორნო ბიზნესი, სასტუმრო ბიზნესი, სამოდელი და შოუბიზნესი, მცირე და საშუალო ბიზნესი. დაზარალდა ხელოვნების სფერო, დაიხურა თეატრი, კინო, ოპერა, გამოფენები. დაიხურა სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები, სწავლება გადავიდა დისტანციურ რეჟიმში და ა.შ. პანდემიასთან ბრძოლას უზარმაზარი ფინანსები მოხმარდა. მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებს სამედიცინო პირბადეების საჭირო მარაგიც კი არ აღმოაჩნდა, არასაკმარისი იყო სასუნთქი აპარატებიც ერთ-ერთმა საავტომობილო ქარხანამ ავტომობილების ნაცვლად სასუნთქი აპარატების გამოშვება დაიწყო, სამოდელი ბიზნესმა კი - პირბადეების შეკერვა. ვირუსმა მოახდინა ეკონომიკური დარგების მოდერნიზაცია. ტრადიციული ეკონომიკის ნაცვლად მივიღეთ ახალი კორონა-ეკონომიკა. გაერო აანონსებდა მოსალოდნელ შიმშილობას მსოფლიოს მასშტაბით. დაიწყო ეკონომიკური რეცესია. ევროპარლამენტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე ევროპის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელმა კ. ლაგარდმა სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა ეკონომიკური აქტიურობის მოულოდნელ გაჩერებაზე და რომ ევროკავშირის ქვეყნებს წინ მასშტაბური ეკონომიკური კრიზისი ელოდათ, რომელიც თავისი შედეგებით ყველაზე მძიმე იქნებოდა მშვიდობიან პერიოდში. ეკონომიკაზე პანდემიის ნეგატიური გავლენის გამო, ევროზონის ქვეყნების მშპ 8-12%-ით შემცირდა. ვირუსის გავრცელების შესაკავებლად ადამიანები მოექცნენ იზოლაციაში. სავალდებულო გახდა პირბადის ტარება ღია და დახურულ სივრცეში, სოციალური დისტანციის დაცვა, სამედიცინო ხელთათმანების ტარება, ხელების დამუშავება ანტიბაქტერიული საშუალებებით. გავიარეთ ბევრი ლოდაუნი (ჩაკეტვა), კომენდანტის საათი, შეიზღუდა ადამიანთა გადაადგილება, გაჩერდა ტრანსპორტი. მუშაობდა მხოლოდ სასიცოცხლოდ აუცილებელი ობიექტები: აფთიაქები, საავადმყოფოები, სასურსათო ობიექტები.

ეპიდემია დაიწყო 2019 წლის ბოლოს ჩინეთში ქ. უხანში. იგი ელვისებური სისწრაფით გავრცელდა მთელ მსოფლიოში და გადაიზარდა პანდემიაში. კორონა ვირუსი ზოონოზური წარმოშობისაა. ოფიციალური ინფორმაციით იგი ღამურადან "გადახტა"



ადამიანში, განიცადა მუტაცია და შემდეგ დაიწყო უკვე ადამიანიდან ადამიანზე გადაცემა. სხვა ვერსიით ვირუსი "გაიპარა" უხანის ლაბორატორიიდან, სადაც ცდებს ატარებდნენ ღამურებზე. ვირუსით დაინფიცირდა უხანის ლაბორატორიის თანამშრომელი, რომელიც შემდეგ ე.წ. სველ ბაზარში მივიდა, იქიდან კი ვირუსი გავრცელდა. "შეთქმულების თეორიის" მომხრეთა ვერსიით, ვირუსი ხელოვნურად იყო შექმნილი მოსახლეობის მასობრივი განადგურების მიზნით. ამერიკა ჩინეთს ადანაშაულებდა ვირუსის გავრცელებაში, ჩინეთი კი – ამერიკას. აშშ-ის იმდროინდელი პრეზიდენტი დ. ტრამპი მოითხოვდა კორონა ვირუსთან დაკავშირებით დეტალური გამოძიების ჩატარებას. მან აგრეთვე დაადანაშაულა მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია იმაში, რომ დროულად არ აცნობა მსოფლიოს პანდემიის შესახებ და ჩინეთს ხელი დააფარა. პრეზიდენტმა დ. ტრამპმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას დაფინანსება შეუწყვიტა და მასთან ურთიერთობა გაწყვიტა. პანდემიამ მსოფლიო შოკში ჩააგდო, იგი შეფასებულია როგორც მესამე მსოფლიო ომი. დაიღუპა 10 მილიონზე მეტი ადამიანი.

პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა ნათლად წარმოაჩინა ქვეყნების სუსტი და ძლიერი მხარეები, მათი ეკონომიკური პოტენციალი, დააფიქრა იზოლაციაში მოქცეული ადამიანები. ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის გამოჩენამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მოსახლეობაში. შემოსული ვაქცინებით (ფაიზერი, ასტრაზენეკა, სინოვაკი, სინოფარმი) ადამიანთა გარკვეული ნაწილი აიცრა, ნაწილი კი – არა. ვინც არ აიცრტ, მათ მიაკერეს იარლიყი "ანტივაქსერები" და ლამის მტრად შერაცხეს. ასევე დაიწყეს ე.წ. "მწვანე პასპორტების" ბეჭდვა. გლობალიზაცია "ახალი მსოფლიო წესრიგი" ადამიანებს დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს. არის პრობლემები, რომელთა მოგვარებაც ცალკე აღებულ არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია – დიდი და ძლიერი იქნება ეს ქვეყანა თუ პატარა. ეს გლობალური პრობლემები ყველასათვის არის ცნობილი, მათი სია საკმაოდ გრძელია: გლობალური დათბობა, ოზონის ხვრელი, გაუდაბნობა, მიწის ეროზია, ჰაერისა და წყლის დაბინძურება, ბიომრავალფეროვნების შემცირება, ნარჩენების მართვა, სასურსათო უსაფრთხოება, პანდემია და ა.შ. ეს პრობლემები ძირითადად ეკოლოგიური ხასიათისაა. ეკოლოგიამ კი საზღვრები არ იცის. არც დედამიწის ბუნებრივი რესურსებია უღვევი და ამოუწურავი. მოსახლეობა იზრდება, ბუნებრივი რესურსები კი მცირდება. წიაღისეული მარაგები თითქმის "გამოცარიელებულია". ადამიანები ხომ საუკუნეების განმავლობაში იყენებენ ბუნებრივ რესურსებს, ექსპლუატაციას უწევენ დედამიწას, სტაცებენ და იღებენ ყველაფერს რისი მიღებაც კი შეუძლიათ, ანადგურებენ ბუნებას უდიერად. ადამიანი თავის თავს აღარ მიიჩნევს ბუნების ნაწილად, როგორც ჩვენი წინაპარი მომთაბარეები და მონადირე-შემგროვებლები მიიჩნევდნენ. ისინი ბუნების მიერ ბოძებული ნობათით კმაყოფილდებოდნენ და ჰარმონიაში ცხოვრობდნენ ბუნებასთან. თანამედროვე ტექნოკრატიული მსოფლიო კი ბუნებას თავის დანამატად, თავის სახმარ ობიექტად მიიჩნევს და სვაავით ნთქავს ყველაფერს. ადამიანთა გაუმადლობაზე მეტყველებს იმ ნარჩენების უზარმაზარი ნაკადი, რასაც კაცობრიობა მოიხმარს. ნაგავს "ოქროს ხანა" უდგას. ნარჩენების მართვის დიდი კორპორაციები მილიარდებს შოულობენ და მას ოქროდ აქცევენ — "მოიხმარე აქ, დაყარე იქ". მესამე მსოფლიოს ქვეყნები განვითარებული ქვეყნების ნაგავსაყრელს წარმოადგენენ. წინა საუკუნეებში საყოფაცხოვრებო ნარჩენებს კომპოსტად იყენებდნენ. გატეხილ ან მწყობრიდან გამოსულ ნივთებს ერთი ხელის მოსმით არ ყრიდნენ. "მწვანეების" კონცეფცია "ნულოვანი ნაგავი", "უნარჩენო საზოგადოება" ფანტაზიაა, უტოპიაა, რომელსაც არ უწერია განხორციელება. თანამედროვე მსოფლიო ერთ დიდ ქარვასლას დაემსგავსა, ადამიანი კი — ტექნოკრატიულ ცხოველს. მიუხედავად პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომისა, მსოფლიო მოსახლეობამ უკვე 8 მილიარდს გადააჭარბა, მსოფლიოს მამები და „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ კი წუხან ამაზე. "ოქროს მილიარდის" კონცეფცია, რომ მოსახლეობა ერთ მილიარდამდე უნდა შემცირდეს, ყველასათვის არის ცნობილი და სკოლის გეოგრაფიის სახელმძღვანელოშიც არის შეტანილი. რაც მეტია ადამიანი, მეტია მჭამელი და შესაბამისად იხარჯება მეტი რესურსი. მეცნიერთა აზრით, დედამიწის გამტარუნარიანობა 10 მილიარდზე მეტს ვერ გაუძლებს. ბოგიერთის აზრით კი დედამიწამ უკვე გადააჭარბა თავის გამტარუნარიანობას. ამიტომ ეჭვობდნენ ადამიანები ვაქცინებთან

დაკავშირებით. ანტიგლობალისტები თხევად ჩიპიზაციაზეც ლაპარაკობდნენ. ტექნოლოგიები ისეა განვითარებული, რომ თუ ის მოხვდა არა კაცთმოყვარე მიზანტროპთა ხელში, დიდი ზიანის მოტანა შეუძლია მასებისთვის. ნანოტექნოლოგიებს პირველ რიგში სამხედრო სფერო ითვისებს. საერთაშორისო სამართალში არის მუხლი, რომელიც ითვალისწინებს დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ. ბაქტერიოლოგიური, ქიმიური, ბირთვული, ატომური იარაღის გამოყენება არის დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, თუმცა ამ იარაღის გაუვნებელყოფაზე არ ზრუნავს მსოფლიო. დღესდღეობით კაცობრიობა უკვე მესამე მსოფლიო ომის ზღვარზეა, ორი მოძმე ქრისტიანული ქვეყანა ხოცავს ერთმანეთს, ილუპებიან ადამიანები, ბავშვები, ქალები, მოხუცები, ჯარისკაცები. წმინდა ომი არ არსებობს, ომი ყველაზე დიდი ბოროტებაა დედამიწაზე. კაცობრიობის ისტორიას თუ გადავხედავთ, სხვა არაფერია თუ არა ომების ისტორია. ომს არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე გამართლება, განსაკუთრებით XXI საუკუნეში, რომელსაც ათასწიერი ეპითეტებით მოვიხსენიებთ "ცოდნის საუკუნე", "კეთილდღეობის საუკუნე", "ტექნოლოგიების საუკუნე" და ა.შ. ახლა უკვე თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ "ომის საუკუნე". ადამიანი არ არის ანგელოზი, არც დედამიწაა სამოთხე, მაგრამ თუ წინა საუკუნეების ომებს შეიძლება რაღაც მინიმალური გამართლება ჰქონდა, ეს იყო დედამიწის გადანაწილების, ახალი მიწების აღმოჩენებისა და დაპყრობის პროცესი. ადამიანები იმკვიდრებდნენ თავს, იხვეჭდნენ ქონებას, ცხოვრობდნენ "ჯუნგლის კანონით" და იმარჯვებდა ძალა, ანუ "ძალა აღმართს ხნავდა". აახლა, როცა დედამიწა უკვე გადანაწილებულია, რუკაზე აღარ არის თეთრი ლაქები, აღმოჩნდა ყველა კონტინენტი, შედგენილი და დასრულებულია მსოფლიო რუკა. კაცობრიობამ გაიარა მონათმფლობელობა, ფეოდალიზმი, კოლონიალიზმი, რასიზმი, ფაშიზმი, კოსმოსიც კი დაიპყრო (თითქოს დედამიწაზე ყველაფერი მოაგვარა) და ამ ვითარებაში წარმოუდგენელია, რომ ადამიანები ერთმანეთს იარაღის ენით ელაპარაკებოდნენ.

საქართველო იმპორტდამოკიდებული ქვეყანაა, რაც დიდ რისკებთანაა დაკავშირებული. ქვეყანა ისტორიულად ხორბლისა და ღვინის სამშობლოა, გვაქვს მსოფლიოში უნიკალური ათამდე ხორბლის ჯიში. მიუხედავად ამისა ქვეყანა თითქმის მთლიანად არის დამოკიდებული ხორბლის იმპორტზე, რომლის თითქმის 90%-ზე მეტი რუსეთიდან შემოდის. პანდემიის პერიოდში რუსეთმა რაღაც პერიოდით ხორბლისა და სხვა მარცვლეულის ექსპორტი შეაჩერა. მთავრობას მოუწია ხორბლისა და ფქვილის სუბსიდირება. შეიძლება ჩვენ სრულად ვერ დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნა ხორბალზე, მაგრამ მოსავლის რაოდენობა მაქსიმალურად უნდა გავზარდოთ. ამ ომის დროს სულ ცოტა ხნის წინ დაირღვა შეთანხმება მარცვლეულზე. რუსეთი და უკრაინა მსოფლიოსთვის მარცვლეულის ბელეს წარმოადგენს. მათგან მარაგდება მსოფლიოს ქვეყნების დიდი ნაწილი. შეიძლება მესამე მსოფლიოს ქვეყნები შიმშილობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ, რადგან გლობალური მსოფლიო უკვე ძალიან არასტაბილური გახდა. სურსათის უსაფრთხოება არის ჩვენი ქვეყნისთვის ეკონომიკის მთავარი ამოცანა. აგრარული სფეროს განვითარებას, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობას ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. პანდემიის პირობებში მთავრობამ ეკონომიკური რეაბილიტაციისთვის დაახლოებით 3,5 მილიარდის მოზიდვა შეძლო. დაგვეხმარნენ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, მთავრობამ შეიმუშავა ანტიკრიზისული გეგმა, რომელიც მოიცავდა როგორც სოციალურ დახმარებას, ასევე დახმარებას ბიზნესსექტორისთვის. პანდემიის მიუხედავად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები არ შეჩერებულა: მოხდა ფერმერთა სუბსიდირება, ჩამოიწერა მელიორაციის ძველი დავალიანებები, დარიგდა აგრობარათები და ა.შ. მართალია პანდემია თითქოს დამთავრდა, მაგრამ არ ვიცით ხვალ კიდევ რა სხვა ახალი ვირუსი შემოგვიტევს, როგორ წარიმართება რუსეთ-უკრაინის ომი. მსოფლიო მიწოდების ჯაჭვი დარღვეულია. მსოფლიო აღარ არის ერთპოლუსიანი. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ რუსეთ-ამერიკის ცივი ომი დამთავრდა, მსოფლიო გაერთიანდა, მაგრამ ეს 30-წლიანი ერთიანობა ძალიან მყიფე აღმოჩნდა. ისტორიისთვის 30 წელი ძალიან ცოტაა. გეოპოლიტიკური არქიტექტურა

დანგრეულია. მსოფლიოში მიმდინარეობს გავლენის სფეროების ხელახალი გადანაწილება, ომის გამო სანქცირებული რუსეთი ცდილობს, რომ საერთაშორისო ვაჭრობაში აღარ გამოიყენოს ამერიკული დოლარი. პრობლემები შეექმნა რუსეთის გაზზე და ენერგორესურსებზე დამოკიდებულ ევროპას. მაგალითად, გერმანია, რომელიც საკმაოდ განვითარებული და ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანაა, წარმატებით ავითარებდა თავის ეკონომიკას იაფი რუსული ენერგორესურსებით. იგი ყოველთვის პირველი ხმა იყო ევროკავშირში და მას "ევროპის ძრავასაც" უწოდებდნენ. შექმნილი კრიზისის გამო გერმანიის ეკონომიკა ძლიერად აღარ გამოიყურება. რუსეთი ვაჭრობს თავისი ეროვნული ვალუტით – რუბლით, ინდოეთი 30-ზე მეტ ქვეყანასთან ვაჭრობს თავისი რუპიით, ასევე ჩინეთი, რომელიც ამერიკის მერე მსოფლიოში მეორე ადგილზეა ეკონომიკური განვითარებით, სავაჭრო ურთიერთობებში იყენებს თავის ეროვნულ ვალუტას — იუანს. რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია და აფრიკა საერთოდ ერთიანი ვალუტის გამოშვებას აპირებენ, საგარეო ვაჭრობაში გამოსაყენებლად წმქსკჟ ანონსებს ბრაზილია და არგენტინა. აქედან გამომდინარე იკვეთება ის, რომ მსოფლიოში დედოლარიზაციის პროცესი დაწყებულია, რაც აშშ-ის შემფოთებას იწვევს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში მსოფლიო სავაჭრო ოპერაციებიდან დოლარი გამოიდევენება, რადგან მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის სავალუტო რეზერვებში მას საკმაოდ დიდი ხვედრითი წილი აქვს. დოლარის კრაზი არც ერთი ქვეყნისთვის არ იქნება მომგებიანი, რადგან მათ მნიშვნელოვნად დააზარალებს. დოლარი მსოფლიო ფულის სტატუსს დიდი ხანია ინარჩუნებს, თუმცა ბოლო პერიოდში მსოფლიოში შექმნილი დესტაბილიზაციისა და კრიზისების გამო, დოლარზე მოთხოვნის შემცირების კონტურები მსოფლიოში უკვე იკვეთება. ამის დასტურია ის, რომ 2021 წელს დოლარის წილი გლობალურ რეზერვებში 55% იყო, 2023 წლისთვის კი 47%-მდე შემცირდა. ასეთი პროცესები პირდაპირ არის დამოკიდებული, იმაზე თუ რამდენად სწრაფად დასრულდება რუსეთ-უკრაინის ომი. თუ ომი დიდხანს გაგრძელდა და მოხდა უკრაინის "ავღანეთიზაცია", როგორ შეიცვლება მსოფლიო ეკონომიკა, ამის პროგნოზი შეუძლებელია. დიდი ალბათობით მსოფლიო შეიძლება მულტიპოლარული გახდეს. ერთპოლუსიანობის დასასრული თვალსაჩინოა, მაგრამ ყველაზე მთავარი არის ის, რომ მსოფლიო არ აღმოჩნდეს ატომური იარაღის გამოყენების წინაშე, რაც ჩვენი ცივილიზაციისა და მთელი პლანეტისთვის კატასტროფა იქნება. მსოფლიოში მიმდინარე დედოლარიზაციის პროცესი კი ამერიკისთვის ძალიან მძიმე და არასასურველი იქნება. ზოგიერთი ექსპერტი ფიქრობს, რომ ამერიკული დოლარი, შეიძლება ჩინურმა იუანმა ჩაანაცვლოს და გლობალურ ვალუტად იქცეს. გამორიცხული არაფერია, თუმცა იუანი ფიატური ფულია (ფიატური ეწოდება ფულს, რომელიც დაფუძნებულია ნდობაზე და მის უკან არ დგას რაიმე საქონელი, მაგალითად, ოქრო) და საეჭვოა, რომ მან დოლარი ჩაანაცვლოს. მართალია, დღესდღეობით დედოლარიზაციის პროცესი დაწყებულია, მაგრამ მსოფლიო მასშტაბით საყოველთაო დედოლარიზაცია იოლად ვერ მოხდება. სანქცირებული რუსეთი ევროპის გვერდის ავლით მესამე მსოფლიოს ქვეყნებიდან მაინც ახერხებს საჭირო საქონლის ვაჭრობას. ასევე იქცევა ევროპა, რუსეთის გვერდის ავლით მესამე მსოფლიოს ქვეყნებიდან ყიდულობს რუსულ ენერგორესურსებს და საჭირო საქონელს. ეკონომიკა ის სასიცოცხლო და მნიშვნელოვანი სფეროა, რომელზეც უარის თქმა ძალიან ძნელია, მით უმეტეს გლობალიზაციის პირობებში. ერთმანეთზე გადაჯაჭვული მსოფლიო ეკონომიკა, ამ ჯაჭვს იოლად ვერ გაწყვეტს. ევროპა ვერ ამბობს უარს რუსულ იაფ გაზზე, ვერც რუსულ აღმასსც და ოქროზე. ევროპისა და ამერიკის მრავალმა ფირმამ და ბრენდმა, რომლებმაც რუსეთს სანქციები დაუწესეს, შეიცვალეს სახელი და ისევ აგრძელებენ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობებს.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, რომელმაც უდიდესი ზარალი მიაყენა მსოფლიოს (დაიღუპა 50 მილიონზე მეტი ადამიანი, დაინგრა და განადგურდა ქვეყნები), ქვეყნებმა გადაწყვიტეს შეკავშირება და გაერთიანება. შეიქმნა ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს შეუწყობდა მშვიდობის განმტკიცებას მსოფლიოში, აღადგენდა და გააძლიერებდა დანგრეულ ეკონომიკას, განავითარებდა ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობებს. სწორედ ამის გამოძახილი იყო 1945 წლის ოქტომბერში გაერთიანებული

ერების ორგანიზაციის (გაერო) ჩამოყალიბება. ამჟამად მასში 191 ქვეყანაა გაერთიანებული. 1949 წლის აპრილში შეიქმნა ჩრდილო-ატლანტიკური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი, ნატო. 1957 წელს მოხდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანება, რომელიც წარმოიქმნა პარიზის (1951 წ.) და ორი რომის ხელშეკრულების (1957 წ.) შესაბამისად. ევროპის გაერთიანებას საფუძველი ჩაუყარა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერ შუმანმა, რომელმაც ფრანგ პოლიტიკოს ჟან მონესთან ერთად 1950 წლის 9 მაისს წამოაყენა ევროპის ნახშირის მოპოვებისა და ფოლადსადნობი წარმოების სფეროების გაერთიანების იდეა. მისი სიტყვებით ეს ისტორიული იდეა საფუძველს ჩაუყრიდა მომავალ ორგანიზებულ ევროპას, რომელიც აუცილებელია ცივილიზაციის შემდგომი განვითარებისა და მშვიდობიანობისთვის მთელ მსოფლიოში. ევროკავშირის დამფუძნებელი იყო 6 ქვეყანა: საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ნიდერლანდები, ბელგია, ლუქსემბურგი. ამჟამად ევროკავშირში 27 ქვეყანაა გაერთიანებული (დიდმა ბრიტანეთმა დატოვა ევროკავშირი). მან ძალიან დიდი და რთული გზა გაიარა დღემდე. ევროკავშირს აქვს ძალიან ძლიერი ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, რეგულაციები, კარგად აწყობილი აგრარული პოლიტიკა, დასაქმების პროგრამები აღიარებს ადამიანის უფლების, დემოკრატიის უზენაესობას, იცავს ქალთა უფლებებს, ქალების მიერ შესრულებულ სამუშაოში მამაკაცებთან მიმართებით თანაბარი ანაზღაურების პრინციპს. ევროკავშირი ეკონომიკური გაერთიანებიდან თანდათან ეკონომიკურ-პოლიტიკურ გაერთიანებად ჩამოყალიბდა. საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსზე უარის თქმა პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. მოლდოვას, რომელიც დსთ-ის წევრია, მიანიჭეს კანდიდატის სტატუსი, საქართველოს კი, რომელიც პატარა ბეჯითი მოსწავლესავით წლებია ასრულებს ამ ალიანსის მოთხოვნებს, დირექტივებს, უარი ეთქვა. თურქეთი 30 წელია ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანაა. ჩვენ ევროპისა და აზიის გასაყარზე ვიმყოფებით, კავკასიის ნაწილი ვართ და არცერთი ევროკავშირის წევრი ქვეყანა არ გვესაზღვრება. ჩვენს გეოგრაფიულ მდებარეობაზე საფრანგეთის პრეზიდენტმა ე. მაკრონმა განაცხადა: რა ვქნათ, სამეზობლოს არ ირჩევენ, ვერც გეოგრაფიას შევცვლით. საბოლოოდ თუ მიგვიღებენ ევროკავშირში ეს მათი პოლიტიკური ნება იქნება, თუ არა და ამასაც უნდა შევეგუოთ. ქვეყანამ ეს იდეაფიქსად არ უნდა გადააქციოს და საკუთარი ქვეყნის განვითარებაზე იფიქროს. რა სახეს მიიღებს გეოპოლიტიკური არქიტექტურა არავინ იცის. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, უნდა დავაკვირდეთ მოვლენებს და სწორი სტრატეგიული, ეროვნული ინტერესებით გაჯერებული გადაწყვეტილებები მივიღოთ.

გაეროს უამრავი ფუნქცია აკისრია — მშვიდობიანობისა და კონფლიქტების მოგვარებით დაწყებული, ეკონომიკური და ჯანდაცვის პრობლემებით დამთავრებული. გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო (ეკოსოსი) წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ორგანოს, რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის ხელმძღვანელობით მისი სპეციალიზებული დაწესებულებებისა, აგრეთვე მრავალრიცხოვანი ორგანოს ეკონომიკური და სოციალური საქმიანობის კოორდინაციას ახდენს. ეკოსოსზე დაკისრებულია სახელმწიფო გზის თანამშრომლობის კოორდინირებისა და განვითარების ფართო მრავალფეროვანი ფუნქცია. მათი ურთიერთობების ისეთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში, როგორცაა ეკონომიკური განვითარება, მსოფლიო ვაჭრობა, ინდუსტრიალიზაცია, ბუნებრივი რესურსების ათვისება, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების საერთაშორისო დაცვა, ქალთა მდგომარეობა, ქვეყნის მოსახლეობა, სოცუზრუნველყოფა, მეცნიერება და ტექნიკა და სხვა. ეკოსოსი შედგება გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ შედგენილი 54 წევრისაგან. გაეროს დამხმარე ორგანოებია: 1) გაეროს განვითარების პროგრამა (პროონი) - დაფუძნებულია გენერალური ასამბლეის მიერ 1965 წელს და ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროექტების დაფინანსების საქმეში, გაეროს სისტემაში ცენტრალურ პროგრამას წარმოადგენს; 2) ვაჭრობისა და განვითარების გაეროს კონფერენცია (იუნქტადი) - დაფუძნდა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1964 წელს მუდმივი ორგანოს სახით, განვითარების მიზნით საერთაშორისო ვაჭრობის წასახალისებლად; 3) საერთაშორისო ვაჭრობის უფლების გაეროს კომისია (იუნსიტრალი) - დაფუძნდნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წ.

საერთაშორისო ვაჭრობის პროგრესული განვითარებისა და წესების უნიფიკაციისთვის დახმარების მიზნით.

ამჟამად არსებობს გეროს 16 სპეციალიზებული დაწესებულება. თავისი მოღვაწეობის სფეროს მიხედვით ისინი იყოფა 3 ძირითად ჯგუფად. პირველი ჯგუფი არის ეკონომიკური ხასიათის სპეციალიზებული დაწესებულება, რომელშიც შედის 12 ორგანიზაცია, ესენია: 1) რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი; 2) საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია; 3) საერთაშორისო სავალუტო ფონდი; 4) განვითარების საერთაშორისო ასოციაცია; 5) გაეროს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია; 6) სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; 7) საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია; 8) მსოფლიო საფოსტო კავშირი; 9) საერთაშორისო ელექტროკავშირი; 10) მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია; 11) სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი; 12) მრეწველობის განვითარების გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

მეორე ჯგუფს განეკუთვნება სოციალური ხასიათის სპეციალიზებული დაწესებულებები, ესენია: 1) შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია; 2) ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია.

მესამე ჯგუფს განეკუთვნება ჰუმანიტარული ხასიათის დაწესებულებები: 1) გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებში (იუნესკო); 2) ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია. საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების რაოდენობამ დღეისათვის 4000-ს მიაღწია.

საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები განსხვავდებიან: 1) წევრობის ხასიათით - სახელმწიფოთაშორისი (სამთავრობოთაშორისი), რომელთა წევრები არიან ესა თუ ის შიდასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები ან ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ან კერძო პირები; საქმიანობის ხასიათით - მუდმივად მოქმედი (ასეთი ორგანიზაციები იქმნება ეკონომიკური ხელშეკრულების საფუძველზე) და დროებითი (მოწვეული კონფერენციის სხდომის პროცესში მოქმედი); 3) კომპეტენციის დონით - საერთაშორისო ვაჭრობის ზოგად საკითხებზე კომპეტენტური ორგანიზაციები, საქონლის ცალკეული სახეობების კომპეტენტური ორგანიზაციები.

გლობალურ მსოფლიოში უნივერსალური საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების სათავეში დგას გაერო, რომლის წესდების თანახმად უნდა განხორციელდეს საერთაშორისო თანამშრომლობა გლობალური ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად (მუხ. 1) "კეთილდღეობისა და სტაბილიზაციის პირობების შექმნის მიზნით", ასევე "მსოფლიოში ცხოვრების დონის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრესის ზრდის ხელშეწყობის" მიზნით.. ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებით დაკავებულია გაეროს უმაღლესი ორგანო - გენერალური ანსამბლეა და მისი ხელმძღვანელობით - ეკონომიკური და სოციალური საბჭო.

ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ხელმძღვანელობით მუშაობს შემდეგი რეგიონული ეკონომიკური კომისიები: 1) ევროპის ეკონომიკური კომისია (ეკონომიკური კომისია ევროპისთვის), რომელიც შეიქმნა 1947 წელს 5 წლის ვადით მეორე მსოფლიო ომში გაკოტრებული ევროპული ქვეყნების ეფექტიანი დახმარების გაწევის მიზნით. შემდეგ მისი საქმიანობა გაგრძელდა განუსაზღვრელი დროით. კომისიის უმაღლესი ორგანოა პლენარული სესიზ, რომელსაც იწვევენ წელიწადში ერთხელ. კომისიის მუდმივმოქმედი ორგანოა სამდივნო. მისი განყოფილებებია: გეგმებისა და გამოკვლევების, მრეწველობის, ტრანსპორტის, სავაჭრო-საშუამავლო და კომისიის ჩარჩოებში მოქმედების 10 კომიტეტი. ესენია: შავი მეტალურგიის, ქვანახშირის, ელექტროენერჯის, მრეწველობის შიდა ტრანსპორტის, მუშახელის, საცხოვრებლის საკითხების, საგარეო ვაჭრობის განვითარების და სხვა; 2) ეკონომიკური კომისია - შეიქმნა 1947 წელს აზიისა და წყნარი ოკეანისათვის დროებითი ორგანიზაციის სახით. 1952 წელს კომისია გადაკეთდა მუდმივმოქმედად. მისი უმაღლესი ორგანოა სამდივნო, რომელიც შედგება სამრეწველო და სავაჭრო ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, სოციალური საკითხების გამოკვლევებისა და გეგმების განყოფილებებისგან. მასში არის მრეწველობისა და ბუნებრივი რესურსების, შიდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, ვაჭრობის კომიტეტები. მისი მონაწილეობით შემუშავდა

ტრანსაზიური რკინიგზის მშენებლობის პროექტი. ტრანსაზიური გზატკეცილის მშენებლობა 15 ქვეყნის გავლით; 3) ეკონომიკური კომისია ლათინური ამერიკისთვის (ეკლა), რომელიც შეიქმნა 1948 წელს, 1951 წელს კი გარდაიქმნა მუდმივმოქმედ კომისიად. მისი წევრები არიან ლათინური ამერიკის 20 სახელმწიფო. ეკლას მონაწილეობით შეიქმნა ლათინოამერიკული ეკონომიკური სისტემა; 4) ეკონომიკური კომისია აფრიკისათვის (ეკა), რომელიც ჩამოყალიბდა საბჭოს XXV სესიაზე 1958 წელს. ფუნქციური უმაღლესი და მუდმივმოქმედი ორგანოები სხვა ეკონომიკური კომისიების ანალოგიურია, ეკა-მ შეიმუშავა ტრანსაფრიკული ტრანსსაჰარისა და აღმოსავლეთ აფრიკული ავტომაგისტრალის მშენებლობის პროექტი. 5) ეკონომიკური და სოციალური კომისია დასავლეთ აზიისათვის, რომელიც შეიქმნა 1973 წელს. მან ყურადღება გაამახვილა საქმიანობის კვლევით ფორმაზე. რეგიონის ცალკეული ქვეყნების განვითარების ფუნქციები და პერსპექტივები განაზოგადა და მათი პროგნოზირება მოახდინა, კერძოდ, მუშავდება ტრანსნაციონალური კორპორაციის პრაქტიკა რეგიონის ნავთობის მრეწველობაში. გაეროს გენერალური ასამბლეის მნიშვნელოვანი დამხმარე ორგანოა საერთაშორისო ვაჭრობის კომისია. მის მიერ შემუშავებულია კონვენცია საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების შესახებ, რომელიც მიღებული იყო 1980 წელს გაეროს კონფერენციაზე.

გაეროს სავალუტო-საკრედიტო დაწესებულებებს შორის გამოიყოფა: 1) საერთაშორისო სავალუტო ფონდი, 2) რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, 3) საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, 4) განვითარების საერთაშორისო ასოციაცია. ყველა ეს ორგანიზაცია ატარებს სამთავრობათაშორისო ხასიათს და აქვს გაეროს სპეციალიზებული დაწესებულების სტატუსი, ე.ი. გაეროს არ შეუძლია რეკომენდაცია გაუწიოს პოლიტიკასა და მათი საქმიანობის ძირითად მიმართულებებში: 1) ფონდი და ბანკი უმსხვილესი საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ორგანიზაციაა. იგი შეიქმნა 1944 წელს ბარეტონ-ბუდსის კონფერენციის (აშშ) მიერ მიღებული შეთანხმების საფუძველზე. თითოეული ორგანიზაციის წევრი არის 184 სახელმწიფო, რომლებიც ასევე კორპორაციის წევრებიც არიან. კორპორაციის მიზანია სახელმწიფო-წევრების სავალუტო-საფინანსო პოლიტიკის კოორდინირება, მათთვის სესხის მიღება გადახდების ბალანსის დასარეგულირებლად და სავალუტო კურსის მხარდასაჭერად.

ბანკის მთავარი მიზანია სახელმწიფო წევრების ტერიტორიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ხელშეწყობა საწარმოო მიზნებისათვის კაპიტალდაბანდების წახალისების მიზნით; 2) კორპორაციის (შექმნილია 1956 წ.) ბანკი ფილიალის სახით ითვლის 176 სახელმწიფო-წევრს. ისინი დაკავებული არიან ფინანსებით, უმთავრესად - მრავალგვარი პროექტებით, რომელშიც მონაწილეობს ადგილობრივი და უცხოეთის კაპიტალი. ბანკი იძლევა კრედიტებს შეღავათიან პირობებში მთავრობის გარანტიის გარეშე; 3) ასოციაცია შექმნილია 1960 წელს, როგორც ბანკის ფილიალი. ამჟამად მასში შედის 160 სახელმწიფოზე მეტი. განვითარებად ქვეყნებს ეძლევა უპროცენტო კრედიტები, უფრო მეტად შეღავათიანი პირობებით. კრედიტების ვადა უფრო დაბალი განვითარების (გაეროს სიის მიხედვით) ქვეყნებისათვის შეადგენს 40 წელს, ხოლო სხვებისთვის - 35 წელს; 4) გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე - ეს არის უმსხვილესი სამთავრობათაშორისო სავაჭრო ხელშეკრულება, იგი მიიღეს 1948-1994 წლებში და მისი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია იყო სავაჭრო მოლაპარაკებების მრავალმხრივი რაუნდის წარმართვა (სულ შედგა 8). ბოლო ურუგვაის რაუნდი დამთავრდა 1994 წელს.

თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ შეთანხმებებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის უნივერსალურ გაერთიანებებს, რომლებიც ფორმალურად არ არიან საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ რიცხვს მიეკუთვნება პირველ რიგში პარიზისა და ლონდონის კრედიტორების კლუბი, პარიზის კლუბი სახელმწიფოთაშორისი მექანიზმია, რომელიც შეიქმნა სახელმწიფო-კრედიტორების მრავალმხრივი შეთანხმებების შემუშავებისათვის, სახელმწიფო-მოვალის მიმართ დავალიანების დაფარვის პირობების გადახედვის მიზნით. ოფიციალურად არა აქვს წესდება, მიღების წესები და განმტკიცებული სტრუქტურები.

ლონდონის კლუბი შეიქმნა სახელმწიფო-მოვალეებთან შეთანხმებების შემუშავების მიზნით, საგარეო ვალის გადახდისა და ბანკთაშორისი დავალიანებების დაფარვის თაობაზე. იგი აერთიანებს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების 600 კომერციულ ბანკ-კრედიტორებს. მათ მეთაურობენ "დოიჩე ბანკის" (გერმანია) წარმომადგენლები. ევროპის საინვესტიციო ბანკი შეიქმნა 1958 წ. მისი წევრი არის ევროპის კავშირის ყველა სახელმწიფო. მიზანი – ტრანსპორტის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვის, საშუალო და წვრილი საწარმოების საქმიანობის დარგში მსხვილი ინფრასტრუქტურის პროექტების შეღავათიანი, საშუალო და გრძელვადიანი დაფინანსება. შტაბ-ბინა მდებარეობს ლუქსენბურგში. რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი დაარსდა 1990 წელს, შტაბ-ბინა მდებარეობს ლონდონში. მისი საქმიანობის მიზანია ყოფილი სოციალისტური ქვეყნების მხარდაჭერა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას. ბანკის წევრია 60 ქვეყანა, მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკა.

ტრანსნაციონალური კორპორაციები, სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების მნიშვნელოვანი მონაწილენი არიან, რომლებიც მზარდ გავლენას ახდენენ როგორც ეროვნულ, ისე მსოფლიო ეკონომიკაზე.

### დასკვნა

მსოფლიოს გეოპოლიტიკური არქიტექტურა ჩამოშლილია. თავდაპირველად პანდემიამ შემდეგ კი რუსეთ-უკრაინის ომმა დიდი დარტყმა მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას. თუ ომი დიდხანს გაგრძელდა და მოხდა უკრაინის "ავღანეთიზაცია", მსოფლიო აღმოჩნდება ისეთი დიდი განსაცდელის წინაშე, როგორცაა მასობრივი შიმშილი, ინფლაცია, ენერგორესურსების დეფიციტი და ა.შ. არც ვირუსებს სძინავთ. მსოფლიომ დაივიწყა პაფითიზმი, მისი ნაწილი ცეცხლშია გახვეული, იღუპებიან ადამიანები, ნაწილი კი არხენად განაგრძობს ცხოვრებას. გლობალიზაციის სლოგანი "ახალი მსოფლიო წესრიგი" შეცვალა "ახალმა მსოფლიო უწესრიგობამ", მსოფლიო იმართება "ოვერტონის ფანჯრის" პრინციპით. ულტრალიბერალურმა იდეოლოგიამ საზოგადოება ორ ნაწილად გაყო: ლიბერალებად და კონსერვატორებად. ლიბერალების იდეოლოგიით შემოვიდა ახალი ტერმინები: მშობელი #1, მშობელი #2, მოზარდებისათვის სქესის შეცვლის უფლება, ეკუმენიზმი "რელიგიათა გაერთიანება". სამი რელიგიის ტაძარი გახსნეს 2023 წლის 1 მარტს აბუდაბიში. ეკუმენისტური კომპლექსის ერთ სივრცეში შედის მეჩეთი, სინაგოგა და ქრისტიანული ტაძარი. საფრთხე ექმნება ქვეყნის ეროვნულ იდენტობას, ტრადიციებს, სარწმუნოებას. "ცოდნის საუკუნე", "კეთილდღეობის საუკუნე", "ინოვაციების საუკუნე" ის ეპითეტებია, რომლითაც ამ საუკუნეს მოიხსენიებენ, ამას ემატება "პანდემიის საუკუნე", "ომის საუკუნე", "ღმერთმებრძოლეობის" საუკუნე. ღმერთმა ნუ ქნას და თუ ატომური ბომბი იქნა გამოყენებული, ამ ყველაფერს მიემატება ცივილიზაციის განადგურების საუკუნე. მსოფლიო კუნთებს ათამაშებს და არ ჩანს კითხვაზე პასუხი ვინ აგებს პასუხს დედამიწის უსაფრთხოებაზე?! ვის აქვს უფლება გაანადგუროს ჩვენი ლურჯმწვანე პლანეტა?!

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., "მწვანე ეკონომიკის არსი და გამოწვევები". ინსტიტუტის 75-ე და ჟურნალ "ეკონომისტის" 10 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. "მწვანე ეკონომიკის" ფორმირების თანამედროვე პრობლემები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბ., 2019.

2. თეთრაული ც. "პანდემია და იქედან გამოწვეული ეკონომიკური პრობლემები". აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 115-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული: თანამედროვე ეკონომიკა ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები: გამოწვევები,

გადაჭრის გზები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბ., 2020.

3. ი. ხარშილაძე, ნიკოლა ტესლა, გამომცემლობა პალიტრა, თბ., 2018.

4. ქვაკუთხედი, ეროვნულ სარწმუნოებრივი ჟურნალი. გამომცემლობა "აცხოვნე სული შენი", 2023 წ.

*Tsitsino Tetrauli*

## **IMPACT OF PANDEMIC AND WAR ON WORLD ECONOMY, STRUCTURE AND STRATEGY OF INTERNATIONAL ECONOMIC ORGANIZATIONS**

### **Abstract**

The world is facing a great trial. First, the corona virus hit hard, and then the Russia-Ukraine war. The situation is very unstable in the world, the spheres of influence are being redistributed. Economic recession and the de-dollarization process have begun. The world is no longer unipolar. If the planet survives a nuclear war, the world could very likely become multipolar.

*რუსუდან კვარაცხელია  
ლევან კიკილაშვილი  
მაია ბენია*

### **მცირე და საშუალო მეწარმეთა მხარდაჭერა**

#### **საერთაშორისო ფონდებისა და ადგილობრივი საბანკო სექტორის მიერ**

*ანოტაცია.* სტატია მოიცავს მცირე და საშუალო მეწარმეთა მხარდაჭერის მექანიზმებს საქართველოში საერთაშორისო ფონდებისა და ადგილობრივი საბანკო სექტორის მიერ. ინვესტიციების სასარგებლო მხარეებს, რეგიონების თანმიმდევრულ განვითარებას და ამ ჭრილში გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯებს, ასევე ეკონომიკური გაძლიერებისთვისა და გარემოს დაცვისთვის ბიზნესის მხრიდან განხორციელებულ ცვლილებებს, მათ შეფასებას და როლს ქვეყნის განვითარებაში.

*საკვანძო სიტყვები:* მცირე და საშუალო მეწარმეთა განვითარება, ქართული სტარტაპი, ქართული ბიზნესი, საერთაშორისო ფონდები, ადგილობრივი საბანკო სექტორი.

### **შესავალი**

საქართველო, როგორც ხიდი ევროპასა და აზიას შორის, ოდითგანვე იპყრობდა უცხოელთა ყურადღებას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ საერთაშორისო ინვესტიციების დაინტერესება გაიზარდა, ევროკავშირთან სამეზობლო პოლიტიკისა და შემდგომ უკვე აღმოსავლეთ პარტნიორობის გაღრმავების პროპორციულად გაიზარდა ინვესტიციების შემოდინება. ახალი ბაზრების ათვისების შესაძლებლობები ბიზნესმენებს უზიბებთ მეტი ინოვაციური პროექტის განხორციელებისაკენ. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველო გლობალურად მე-7 ადგილზეა ბიზნესის კეთების სიმარტივით, რაც ხელსაყრელ საინვესტიციო კლიმატს სთავაზობს როგორც უცხოელ, ასევე ადგილობრივ ინვესტორებს. ამან ხელი შეუწყო საერთაშორისო ფონდების შემოსვლას ქვეყანაში, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მცირე და საშუალო საწარმოების (SMEs) და სტარტაპების მხარდაჭერაზე.

ერთ-ერთი ასეთი ფონდია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), რომელმაც 1992 წლიდან 3,4 მილიარდ ევროზე მეტი ინვესტიცია (პირდაპირი დაკრედიტება, კაპიტალის ინვესტიციები და ტექნიკური დახმარება) განახორციელა საქართველოში. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (EBRD) არის საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც მხარს უჭერს მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და სიღარიბის შემცირებას მის წევრ ქვეყნებში. EBRD-ის მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა, მაგალითად, უზრუნველყოფს მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებას და საკონსულტაციო მომსახურებას, რათა დაეხმაროს მათ ბიზნესის განვითარებასა და გაფართოებაში. ერთ-ერთი



სფერო, რომელშიც EBRD იყო განსაკუთრებით აქტიური, არის ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობა. ბოლო წლებში EBRD-მა წამოიწყო რამდენიმე მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ქალთა მონაწილეობის გაზრდას მეწარმეობაში და მათთვის საჭირო რესურსებითა და მხარდაჭერით უზრუნველყოფას.

EBRD-ის მხარდაჭერის პროგრამები მეწარმე ქალებისთვის წარმოადგენს რამდენიმე შესაძლებლობისკენ გზის გახსნას. უპირველეს ყოვლისა, ისინი უზრუნველყოფს ქალების ხელმისაწვდომობას დაფინანსებაზე და ბიზნესის მხარდაჭერაზე, რაც განსაკუთრებით მომგებიანი იქნება მათთვის, ვისაც შეიძლება ჰქონდეს ბარიერები დაფინანსების ტრადიციულ წყაროებზე, როგორცაა ბანკები. მაგალითად, EBRD-ის „ქალები ბიზნესში“ პროგრამა უზრუნველყოფს საკრედიტო ხაზებს, ადგილობრივ ბანკებს სპეციალურად ქალების მიერ მართული მცირე და საშუალო საწარმოების (SMEs) დაკრედიტებისთვის, ასევე ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურებას მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდისა და გაფართოებისთვის.

პროგრამები უზრუნველყოფს ქსელისა და ცოდნის გაზიარების შესაძლებლობებს, რაც შეიძლება განსაკუთრებით ღირებული იყოს მეწარმე ქალებისთვის, რომლებსაც შესაძლოა არ ჰქონდეთ წვდომა დამკვიდრებულ ბიზნესქსელებზე. მაგალითად, EBRD-ის Women in Business პროგრამა აწყობს ქსელურ ღონისძიებებს, ვორკშოუებსა და მენტორულ პროგრამებს, რათა დააკავშიროს მეწარმე ქალები ერთმანეთთან, პოტენციურ ინვესტორებთან და ბიზნესპარტნიორებთან.

პროგრამები ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას და ქალთა გაძლიერებას, რასაც შეიძლება ჰქონდეს დადებითი სოციალური და ეკონომიკური სარგებელი. კვლევამ აჩვენა, რომ როდესაც ქალებს აქვთ თანაბარი წვდომა განათლებაზე, რესურსებსა და შესაძლებლობებზე, ისინი უფრო მეტად მიიღებენ მონაწილეობას ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, მეტ წვლილს შეიტანენ ეკონომიკურ ზრდაში და გააუმჯობესებენ ოჯახისა და ადგილობრივი თემის კეთილდღეობას.

არსებობს რიგი გამოწვევებიც, რომლებიც წარმოიქმნება მეწარმე ქალთა მხარდაჭერისას. პირველ რიგში, საჭიროა კულტურული და სოციალური ნორმების გათვალისწინება, რამაც შეიძლება შეზღუდოს ქალთა მონაწილეობა მეწარმეობაში. ზოგიერთ საზოგადოებაში ქალებისაგან მოელიან, რომ მათთვის ცალსახა პრიორიტეტი ოჯახური პასუხისმგებლობა უნდა იყოს, რამაც შეიძლება გაართულოს მათთვის საჭირო დროისა და რესურსების დახარჯვა ბიზნესში. გარდა ამისა, შეიძლება არსებობდეს მიკერძოება და სტერეოტიპები, მათი არასერიოზულად აღქმა მეწარმეებად, რომლებიც ართულებს ქალების დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას. საჭიროა გადაიჭრას სტრუქტურული ბარიერები, რამაც შეიძლება გააუმჯობესოს ქალთა მონაწილეობა ეკონომიკაში, განათლებაში, სამართლებრივ და მარეგულირებელ. ასევე სხვა დამხმარე სერვისებში.

EBRD-ის მხარდაჭერის პროგრამები წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობას მეწარმეობაში ქალების მონაწილეობის გაზრდისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის. თუმცა ასევე არსებობს ახალი გამოწვევები, რომლებიც წარმოიქმნება მეწარმე ქალთა მხარდაჭერისას, მათ შორის კულტურული და სოციალური ნორმები, სტრუქტურული ბარიერები და მდგრადი, გრძელვადიანი ზემოქმედების საჭიროება. ამ გამოწვევებთან გამკლავება საკვანძო საკითხია, რათა მხარდაჭერის პროგრამები ეფექტიანი იყოს და ხელი შეუწყოს გენდერულ თანასწორობასა და ქალთა გაძლიერებას.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრმა, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC) 1995 წლიდან არაერთი პროექტი დააფინანსა საქართველოში, ჯამში განხორციელდა 1 მილიარდ დოლარზე მეტი ინვესტიცია. IFC ორიენტირებულია კერძო სექტორის, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერაზე. ინვესტიციები განხორციელდა ფინანსურ სექტორში, ენერჯეტიკაში, ინფრასტრუქტურასა და აგრობიზნესში, ასევე საკონსულტაციო მომსახურების სფეროში, მცირე და საშუალო ბიზნესში, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მათი ფინანსური მდგომარეობა.

გარდა ამ საერთაშორისო ფონდებისა, საქართველოში ასევე გაჩნდა ადგილობრივი სარისკო კაპიტალის (VC) ფირმები, რომლებიც ფოკუსირებულია ადრეული ეტაპის სტარტაპებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერაზე. ერთ-ერთი ასეთი ფირმაა საქართველოს ვენჩურული კაპიტალის ასოციაცია (GVCA), მან ინვესტიცია მოახდინა რამდენიმე ქართულ სტარტაპში, მათ შორის მობილური გადახდების პლატფორმაში – PayBox.

საერთაშორისო ფონდების შემოსვლამ და ადგილობრივი VC ფირმების გაჩენამ საქართველოში დადებითი გავლენა იქონია ქვეყნის მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორზე. აღმოჩენილი ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა გადამწყვეტი გახდა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რადგან მათთვის ნაკლებად ხელმისაწვდომი ადგილობრივი საბანკო სექტორიდან შეღავათიანი სესხის მიღება გახდა პოზიტიური ცვლილების მატარებელი. გარდა ამისა, ამ ფონდების არსებობამ ხელი შეუწყო საქართველოში უფრო ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნას, შემდგომ – ინვესტიციების მოზიდვის, ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნისთვის. თუმცა ასევე არის გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო ფონდების შემოსვლასთან მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორში. ერთ-ერთი გამოწვევაა საქართველოს ბიზნესგარემოს ზოგიერთ სფეროში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესება. ამან შეიძლება გაართულოს საერთაშორისო ფონდებისთვის საინვესტიციო შესაძლებლობების იდენტიფიცირება. შეიძლება გაზარდოს კორუფციისა და თაღლითობის რისკიც. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ინვესტიციების ასიმეტრიული კონცენტრაცია გარკვეულ სექტორებში, როგორცაა უძრავი ქონება და ტურიზმი, ეს სფეროები არაა პრიორიტეტული მდგრადი ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, არ უზრუნველყოფს ისეთ გრძელვადიან ეკონომიკურ სარგებელს, როგორცაა წარმოება და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა.

საერთაშორისო ფონდების შემოსვლამ და ადგილობრივი VC ფირმების გაჩენამ საქართველოში დადებითი გავლენა მოახდინა ქვეყნის მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორზე, რაც უზრუნველყოფს საჭირო დაფინანსების მოძიებას და ბიზნესის მხარდაჭერას მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდისა და გაფართოებისთვის. არსებობს ამ ინვესტიციებთან დაკავშირებული გამოწვევებიც, მათ შორის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საკითხები. ამ გამოწვევების მოგვარება საკვანძო საკითხი იქნება საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისთვის, მისი მულტიპლიკაციური ზრდისა და წარმატების უზრუნველყოფისთვის.

მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები (MSME) განიხილება, როგორც საქართველოს ეკონომიკის ხერხემალი, რომლებიც შეადგენენ დასაქმებისა და მშპ-ის ე.წ. სამამულო პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს. მიუხედავად მათი მნიშვნელობისა, MSME-ები საქართველოში ხშირად აწყდებიან მნიშვნელოვან გამოწვევებს ფინანსებზე წვდომის კუთხით, რადგან ისინი აღიქმებიან უფრო სარისკოებად, ვიდრე მსხვილი და ჩამოყალიბებული ბიზნესი.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში საბანკო სექტორმა გაატარა რამდენიმე ღონისძიება მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად. ერთ-ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო საკრედიტო ხაზების შექმნა სპეციალურად MSME-ებისთვის. ეს საკრედიტო ხაზები ხელმისაწვდომი გახდა ადგილობრივი ბანკებისა და ისეთი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით, როგორებიცაა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC).

საკრედიტო ხაზების გარდა, საქართველოში ადგილობრივმა ბანკებმა ასევე დააარსეს მიკროსაფინანსო ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ შეზღუდული გირაოს ან საკრედიტო ისტორიის მქონე MSME-ებისთვის სესხებს. ამ მიკროსაფინანსო ინსტიტუტებს მხარს უჭერენ საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (GIZ).

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობამ განახორციელა რამდენიმე ინიციატივა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად, მათ შორის საკრედიტო გარანტიის სქემის შესაქმნელად,

რომელიც უზრუნველყოფდა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის სესხებს გირაოს გარეშე. მთავრობამ ასევე შემოიღო საგადასახადო შეღავათები და სხვა პოლიტიკა ამ სექტორის ბიზნესის ზრდისა და განვითარების წახალისების მიზნით.

MSME-ები საქართველოში კვლავაც აწყდებიან მთელ რიგ გამოწვევებს ფინანსური რესურსების მიღების კუთხით. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა ბანკების მიერ დაწესებული მაღალი საპროცენტო განაკვეთები. საქართველოში საპროცენტო განაკვეთები ერთ-ერთი ყველაზე მაღალია რეგიონში, რაც ასახავს MSME-ების დაკრედიტების მიმართ არსებულ რისკს. სესხის აღების ეს მაღალი ღირებულება მნიშვნელოვანი ბარიერია MSME-ებისთვის, განსაკუთრებით მათთვის, რომლებიც საფუძველს უყრიან მცირე ან საშუალო ბიზნესს და აქვთ შეზღუდული ფულადი სახსრები.

კიდევ ერთი გამოწვევაა სესხის უზრუნველყოფის მოთხოვნა. ბანკები საქართველოში, როგორც წესი, სესხების უზრუნველსაყოფად ითხოვენ გირაოს, როგორცაა ქონება ან სხვა აქტივები. ეს შეიძლება რთული იყოს MSME-ებისთვის, რომლებსაც შესაძლოა არ ჰქონდეთ საკმარისი აქტივები უზრუნველყოფის სახით. რისკის დაზღვევა კიდევ ერთი გამოწვევაა MSME-ებისთვის. ბანკები ხშირად ითხოვენ დაზღვევას დეფოლტის რისკის ან სხვა ფაქტების დასაფარად, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სესხის დაფარვაზე. თუმცა MSME-ებს შეიძლება გაუჭირდეთ ამ დაზღვევის მოპოვება, რადგან ეს შეიძლება იყოს ძვირი და შეიძლება მოითხოვდეს საკრედიტო ისტორიას ან სხვა დოკუმენტაციას, რომელიც შეიძლება არ გააჩნდეს MSME-ებს.

მიუხედავად ამ გამოწვევებისა, საბანკო სექტორისა და მთავრობის მიერ საქართველოში გატარებულმა ზომებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა MSME-ების ზრდასა და განვითარებაზე ბოლო 20 წლის განმავლობაში. საკრედიტო ხაზებისა და მიკროსაფინანსო ინსტიტუტების ჩამოყალიბებამ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა გაუზარდა და საკუთარი პროექტების განხორციელების შესაძლებლობა მისცა.

მთავრობის ინიციატივები, როგორცაა საგადასახადო შეღავათები, წარმატებული იყო MSME-ების მხარდაჭერისთვის. საგადასახადო შეღავათებმა, ევროკავშირთან აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში გათვალისწინებულმა ესტონურმა საგადასახადო მოდელმა, ორმაგი დაბეგვრის მოხსნამ, საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციის სხვა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო MSME-ების ზრდას და განვითარებას, რაც დადებითად აისახა ქვეყანაზე.

მეწარმე ქალთა მხარდაჭერის პროგრამები უნდა იყოს მდგრადი და ჰქონდეს გრძელვადიანი გავლენა. მიუხედავად იმისა, რომ დაფინანსებისა და ბიზნესის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია, არანაკლებია მეწარმეობაში გენდერული უთანასწორობის ძირეული მიზეზების აღმოფხვრა და ქალების წარმატებული სტარტაპგარემოს წახალისება.

მეწარმე ქალებისთვის EBRD-ის მხარდაჭერის პროგრამები წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობებს მეწარმეობაში ქალების მონაწილეობით ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ხელშეწყობისთვის. თუმცა არსებობს ახალი გამოწვევები, რომლებიც წარმოიქმნება მეწარმე ქალთა მხარდაჭერისას, მათ შორის კულტურული და სოციალური ნორმები, სტრუქტურული ბარიერები და მდგრადი, გრძელვადიანი ზემოქმედების საჭიროებები. ამ გამოწვევების მოგვარება საკვანძო იქნება იმისთვის, რომ მათი მხარდაჭერის პროგრამები ეფექტიანი იყოს და ხელი შეუწყოს გენდერულ თანასწორობასა და ქალთა გაძლიერებას.

სოფლის განვითარება ახალგაზრდული მეწარმეობის მეშვეობით სულ უფრო მნიშვნელოვანი თემა გახდა ბოლო წლებში, რადგან მთავრობები და განვითარების ორგანიზაციები აღიარებენ ახალგაზრდების პოტენციალს, ხელი შეუწყონ ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას სოფლად. საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაცია Mercy Corps-ი იყო რეგიონებში ახალგაზრდული მეწარმეობის მხარდამჭერი, რაც გამოიხატა ლიბერტი ბანკის მეშვეობით ახალგაზრდა მეწარმეების ფინანსური თანადგომით. საქართველოს რეგიონებში ახალგაზრდული მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ფინანსებზე

ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, რაც გადამწყვეტია ბიზნესის განვითარებისთვის. ახალგაზრდა მეწარმეებს სოფლად შეიძლება არ ჰქონდეთ წვდომა იმ ფინანსურ რესურსებზე, რომლებიც მათ სჭირდებათ ბიზნესის დასაწყებად. კიდევ ერთი გამოწვევა არის ინფრასტრუქტურისა და დამხმარე სერვისების ნაკლებობა სოფლად, როგორცაა ტრანსპორტი, ელექტროენერჯია და ინტერნეტი, მარკეტინგის მხარდაჭერა, ბიზნესდაგეგმვა და მენტორობის შესაძლებლობები, რამაც შეიძლება შეზღუდოს სოფლის ბიზნესის ზრდის პოტენციალი და გაართულოს ოპერირება.

Mercy Corps-ის ერთ-ერთი მთავარი ინიციატივა ამ სფეროში იყო ახალგაზრდული მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამა, ეს პროგრამა ახალგაზრდა მეწარმეებს აძლევს ხელმისაწვდომობას დაფინანსებაზე, მენტორობასა და ბიზნესის განვითარების სერვისებზე, რათა დაეხმაროს მათ ბიზნესის წამოწყებასა და განვითარებაში. პროგრამის მეშვეობით Mercy Corps-მა შეძლო დახმარებოდა ასობით ახალგაზრდა მეწარმეს სოფლად ბიზნესის დასაწყებად ან გასაფართოებლად, მათ მიაწოდა წარმატებისთვის საჭირო ინსტრუმენტები და ახალ რესურსებზე გაუხსნა წვდომა.

გარდა Mercy Corps-ის მიერ გაწეული მხარდაჭერისა, ლიბერტი ბანკმა ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოში სოფლად ახალგაზრდული მეწარმეობის ხელშეწყობაში. სასესხო სპეციალური პროგრამების მეშვეობით მან შეძლო ასობით ახალგაზრდა მეწარმის დახმარება და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის პარალელურად ბიზნესის გასავითარებლად თანადაფინანსების თანხის გაცემა ბენეფიციარებზე.

ფონდების მიერ ინვესტიციების განხორციელება ბენეფიციარებთან ურთიერთობისას არ არის მარტივი პროცესი. ხშირ შემთხვევაში, სახსრები ეყრდნობა ბანკებს, როგორც ბენეფიციარებზე თანხის გადარიცხვისთვის არსებულ შუამავალს, თუმცა მაღალი საპროცენტო განაკვეთების გამო, ეს მიდგომა შეიძლება ყოველთვის არ იყოს მისაღები, განსაკუთრებით მიკრო და საშუალო ზომის მეწარმეებისთვის, რომლებიც ეძებენ დაფინანსებას თავიანთი საინვესტიციო გეგმების განსახორციელებლად. შედეგად იზრდება პოტენციური მეწარმეების პროაქტიული ჩართულობის საჭიროება საინვესტიციო პროექტებში მათი დამოკიდებულების შემცირების მიზნით სესხის მიმწოდებელ ცალკეულ ინსტიტუტზე ან ორგანიზაციაზე, როგორცაა მიკროსაფინანსო კომპანიები.

ფონდების მიერ ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ბანკების მიერ დაწესებული მაღალი საპროცენტო განაკვეთებია, რამაც შეიძლება გაუართულოს ბენეფიციარებს საინვესტიციო გეგმების განსახორციელებლად საჭირო დაფინანსებაზე წვდომა. საინვესტიციო პროექტებში პოტენციური მეწარმეების პროაქტიული ჩართულობის ნაკლებობა კიდევ ერთი გამოწვევაა. ამ მიდგომამ შეიძლება შეზღუდოს ინვესტიციების პოტენციური გავლენა, რადგან ის შეიძლება არ ასახავდეს ადგილობრივი საზოგადოების საჭიროებებს ან პრიორიტეტებს. მიუხედავად ამ გამოწვევებისა, საინვესტიციო პროექტებში პოტენციური მეწარმეების პროაქტიული ჩართვის რამდენიმე შესაძლებლობა არსებობს. ბენეფიციარებთან უშუალო ჩართვით ფონდებს შეუძლიათ უკეთ გაიგონ მათი საჭიროებები და პრიორიტეტები და მოამზადონ საინვესტიციო გეგმები ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამ მიდგომამ ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს ბენეფიციარებსა და ინვესტორებს შორის ნდობის ჩამოყალიბებას უფრო თანამშრომლობითი და მდგრადი ურთიერთობის შექმნით. ასეთი ინიციატივის ერთ-ერთი მაგალითია ევროპის განვითარების ფონდი (EDF) საქართველოში, რომელიც შეიქმნა ქვეყანაში მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდასაჭერად. EDF უზრუნველყოფს მეწარმეებს დაფინანსების და ბიზნესის განვითარების სერვისებს, რათა დაეხმაროს მათ წარმატებული ბიზნესის წამოწყებასა და განვითარებაში.

მიუხედავად იმისა, რომ პოტენციური მეწარმეების პროაქტიული ჩართვა საინვესტიციო პროექტებში მნიშვნელოვანია, მიკროსაფინანსო კომპანიები კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მიკრო და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსებაში. ეს კომპანიები ხშირად სპეციალიზებული არიან სესხების გაცემაში მეწარმეებისთვის, რომლებსაც შესაძლოა არ ჰქონდეთ წვდომა ტრადიციულ საბანკო სერვისებზე და შეუძლიათ უზრუნველყონ სოფლის განვითარებისა და მეწარმეობის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყარო. თუმცა ამ მიდგომასთან

დაკავშირებული გამოწვევებიც ფართოა – მიკროსაფინანსო კომპანიები ხშირად ახდენენ მაღალ საპროცენტო განაკვეთში მეწარმეებისთვის გირაოს ან საკრედიტო ისტორიის გარეშე დაკრედიტებასთან დაკავშირებული რისკის კომპენსირებას.

ფონდების მიერ ინვესტიციების განხორციელება ბენეფიციარებთან ურთიერთობისას შეიძლება იყოს რთული პროცესი, მთელი რიგი გამოწვევებითა და შესაძლებლობებით. მიუხედავად იმისა, რომ ბანკები და მიკროსაფინანსო კომპანიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მიკრო და საშუალო მეწარმეების დაფინანსებაში, ასევე იზრდება პოტენციური მეწარმეების პროაქტიული ჩართულობის საჭიროება საინვესტიციო პროექტებში. ბენეფიციარებთან უშუალო ჩართვით და მათ მოთხოვნილებებზე მორგებით საინვესტიციო გეგმების განხორციელება ხელს შეუწყობს უფრო თანამშრომლობითი და მდგრადი მიდგომის შექმნას სოფლის განვითარებისა და მეწარმეობის მხარდაჭერით.

საქართველოს ბანკი (BOG) და თიბისი ბანკი (TBC) აქტიურად არიან ჩართული მიკრო და საშუალო მეწარმეების დაფინანსებაში. ორივე ბანკი გვთავაზობს სხვადასხვა სასესხო პროდუქტს სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთით, დაფარვის მორგებული პირობით, რათა დააკმაყოფილოს მეწარმეების მოთხოვნილებები, თუმცა ბანკების მიერ დაწესებულმა მაღალმა საპროცენტო განაკვეთებმა შეიძლება მაინც გაურთულოს ზოგიერთ მეწარმეს დაფინანსებაზე წვდომა. ამიტომ პოტენციური მეწარმეების პროაქტიული ჩართვა საინვესტიციო პროექტებში შეიძლება იყოს ეფექტიანი გზა მათი დამოკიდებულების შესამცირებლად ერთ ინსტიტუტზე ან ორგანიზაციაზე, რომელიც უზრუნველყოფს სესხის გაცემას [ინტერნეტ წყარო 1.].

ბოლო დროს სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რომ მიკროსაფინანსო კომპანიების მიერ დაწესებული საპროცენტო განაკვეთები რაციონალური და რელევანტური იყოს მეწარმეებისთვის, რათა მათ აქტიურად შეძლონ მსგავს ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობა.

თიბისი ბანკი არის ერთ-ერთი უმსხვილესი კომერციული ბანკი საქართველოში, რომელიც თავის მომხმარებელს სთავაზობს ფინანსური მომსახურების ფართო სპექტრს. ნებისმიერი სხვა კომერციული ბანკის მსგავსად, თიბისი ბანკის მომგებიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს ეკონომიკის ეფექტურობასთან, საბანკო ინდუსტრიის საერთო ეფექტიანობასთან და ბანკის ფინანსური მართვის სტრატეგიებთან.

საბანკო ინდუსტრია საქართველოში ზოგადად მომგებიანია ბოლო წლებში, ბევრი კომერციული ბანკი აფიქსირებს მაღალ ფინანსურ მაჩვენებელს, თუმცა ინდუსტრიის წინაშე დგას რამდენიმე გამოწვევა, როგორცაა მაღალი საპროცენტო განაკვეთები, პოლიტიკური არასტაბილურობა და შედარებით მცირე ბაზრის ზომა. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გადადგა ნაბიჯები ამ საკითხების გადასაჭრელად, კერძოდ, შეამცირა საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთი საკრედიტო საქმიანობის სტიმულირებისთვის და გააუმჯობესა მარეგულირებელი ჩარჩო მეტი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად.

საქართველოს ბანკი არის უმსხვილესი კომერციული ბანკი საქართველოში, რომელიც უზრუნველყოფს თავის კლიენტებს ფინანსური მომსახურების ფართო სპექტრით.

ბევრი მსხვილი დონორი ორგანიზაცია დღესდღეობით აქტიურად უჭერს მხარს მეწარმეობის განვითარებას ქვეყანაში ქართულ ბიზნესკომპანიებთან თანამშრომლობით. ამის თვალსაჩინო მაგალითია USAID YES-Georgia პროგრამა, რომელსაც USAID ახორციელებს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია “კრისტალთან” თანამშრომლობით. პროგრამა 2015 წლიდან ხორციელდება და მოიცავს 5000-მდე ახალგაზრდა და ქალი მეწარმე, დააფინანსა 100-ზე მეტი ახალგაზრდა, მეწარმის ახალი ბიზნესწამოწყება თუ არსებული ბიზნესსაქმიანობები; ტრენინგისა და მენტორობის სრული კურსი ჩაუტარდა ასობით მეწარმეს და მიღებული ცოდნის საფუძველზე გაუმჯობესდა ფინანსებზე წვდომა.

შეუძლებელია არ აღვნიშნოთ ა(ა)იპ CENN – კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის მიერ მხარდაჭერილი პროექტები კავკასიაში, განსაკუთრებით კი ევროკავშირის მხარდაჭერილი პროექტი EU4Youth „საზღვრისპირა რეგიონებში სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარება (SEED) მწვანე ზრდისთვის“, რომელსაც ახორციელებდა CENN,

პარტნიორ ორგანიზაციებთან – კახეთის რეგიონური განვითარების ფონდთან KRDF (საქართველო) და არასამთავრობო ორგანიზაცია Green Lane (სომხეთი) ერთად.

კავკასიის სოციალური ინოვაციების კონკურსი პირველი საგრანტო კონკურსი გახლდათ, რომელიც სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ კი, საქართველოსა და სომხეთში, სოციალური და მწვანე მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარების მიზნით განხორციელდა.

კონკურსი 2020 წელს დაიწყო და 2021 წლის მდგომარეობით საქართველოსა და სომხეთში 27 ახალი სოციალური და მწვანე საწარმო დაფინანსდა (საქართველოში – 13, სომხეთში – 14).

მოცემული 27 სოციალური საწარმო საქართველოში გორის, ნინოწმინდისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში, ხოლო სომხეთში – ლორის, შირაქისა და ტავუშის რეგიონებში დაფუძნდა და ისინი, თავიანთი სოციალური მისიის განხორციელებით, ადგილობრივი ახალგაზრდების განვითარების, დასაქმებისა და გარემოში სასიკეთო ცვლილებების კუთხით მუშაობენ. არაჩვეულებრივი პროგრამები და აქტივობები, რომლებიც განხორციელდა ამ პროგრამის ფარგლებში, საფუძველი აღმოჩნდა პოტენციური მეწარმეებისთვის, რომ ემუშავათ საუკეთესო პროექტებზე, რამაც პოზიტიური ცვლილებების ახალი ტალღა შექმნა რეგიონებში [ინტერნეტ წყარო 2.].

საქართველოში ბევრი საგრანტო კონკურსი ცხადდება მცირე და საშუალო ბიზნესის განსავითარებლად სხვადასხვა საერთაშორისო ფონდის მხრიდან. ერთი სტატია ყველა ამ ინფორმაციას ფაქტობრივად ვერ მოიცავდა, თუმცა ჩვენი მიზანი გახლდათ საერთო სურათის წარმოჩენა საქართველოში, დანარჩენს კი თავად მკითხველს მივანდობთ.

## დასკვნა

საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის გასავითარებლად მნიშვნელოვანი პროგრამები ხორციელდება. პოტენციური ბენეფიციარებისთვის, რომლებიც სარგებლობენ იმ სიკეთებით, რასაც მეწარმეობის ხელშეწყობა ჰქვია, გარდამქმნელი მექანიზმის როლი ითამაშა, დადებითმა ცვლილებებმა კი ქვეყანაზე პოზიტიური გავლენა იქონია, რადგან შექმნილმა პროდუქტებმა და სერვისებმა საკუთარი სიტყვა თქვა როგორც ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე, ისე ექსპორტის მიმართულებით. ქვეყნის სწორი პოლიტიკა და ევროინტეგრაცია კიდევ უფრო დააჩქარებს გრანტების გაცემას სხვადასხვა მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის თანმიმდევრულ და სწორ განვითარებას. ამ ყველაფრის პარალელურად ბანკების პოლიტიკა, ხელი შეუწყონ მეწარმეებს თანადაფინანსების დაბალპროცენტიანი თანხების უზრუნველყოფით, დაეხმარება თითოეული იურიდიულ პირს კიდევ უფრო უკეთ მართონ თავიანთი კაპიტალი და მოახდინონ სწორი ინვესტირება საქმიანობის გასავითარებლად, რაც ძლიერი ეკონომიკის შექმნის ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://publika.ge/article/bankebis-rekorduli-mogeba-sayvelpurod/>
2. <https://ideabank.cenn.org/>

*Rusudan Kvaratskhelia  
Levan Kikilashvili  
Maya Benia*

## **SUPPORT OF SMALL AND MEDIUM ENTREPRENEURS BY INTERNATIONAL FUNDS AND LOCAL BANKING SECTOR**

### **Abstract**

This article explores the mechanisms and initiatives aimed at supporting small and medium-sized entrepreneurs in Georgia. It investigates the role of international funds and the local banking sector in facilitating investments for the consistent development of regions, fostering economic strengthening, promoting environmental protection, and analyzing the transformative impact of businesses in the country's overall development.

The article begins by highlighting the significance of investments made by international funds in Georgia's small and medium-sized businesses. It examines the various support programs and opportunities

provided by institutions such as the International Bank for Reconstruction and Development (IBRD) and the European Bank for Reconstruction and Development (EBRD). The text delves into the challenges and benefits associated with these initiatives and emphasizes the positive outcomes achieved over the last two decades.

Next, the article explores the measures undertaken by the local banking sector, particularly focusing on the support provided to micro and medium entrepreneurs by leading banks such as BOG and TBC. It sheds light on the challenges faced by entrepreneurs in accessing financing due to high-interest rates, loan security requirements, and risk insurance. Furthermore, the article examines the efforts made by banks to offer low-interest rates and financing options to entrepreneurs, ensuring their financial stability and growth.

Moreover, the article examines the impact of rural development through youth entrepreneurship, with a specific emphasis on the role of Mercy Corps and opportunities available in Georgia. It discusses the significant budget allocated to support rural entrepreneurship, particularly through financial support and financing initiatives by Liberty Bank. The article analyzes the advantages of low-interest rates for entrepreneurs and highlights the potential for transforming rural communities through youth-driven entrepreneurship.

Lastly, the article emphasizes the importance of proactive involvement of potential entrepreneurs in investment projects. It underlines the need for a collaborative approach between funds, banks, and entrepreneurs, and explores the transformative role of businesses in Georgia's development, including economic growth, job creation, and environmental sustainability.

Overall, this article provides a comprehensive analysis of the mechanisms of support for small and medium entrepreneurs in Georgia. It highlights the positive impact of investments by international funds and the initiatives undertaken by the local banking sector. The article underscores the importance of proactive involvement of potential entrepreneurs, rural development through youth entrepreneurship, and the transformative role of businesses in Georgia's overall development.

**Keywords:** *development of small and medium entrepreneurs, Georgian startup, Georgian business, international funds, local banking sector.*

რამაზ ფუტკარაძე

## საქართველოსა და აზერბაიჯანის სავაჭრო ურთიერთობები გლობალიზაციის პირობებში

**ანოტაცია.** საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მჭიდრო სავაჭრო (და არა მარტო სავაჭრო) ურთიერთობაა. აზერბაიჯანი საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო და საიმპორტო ქვეყანაა, რასაც ძირითადად გეოგრაფიული ფაქტორი განაპირობებს. ასევე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია საქართველო აზერბაიჯანისთვისაც, მაგრამ ამ უკანასკნელის საგარეო ვაჭრობაში საქართველოს როლი შედარებით დაბალია. საქართველოში აზერბაიჯანის ძირითადი საექსპორტო საქონელი არის ნავთობპროდუქტები და ბუნებრივი აირი.

ნაშრომში განხილულია მხარეთა შორის სავაჭრო საკითხები და გაკეთებულია დასკვნა, რომ მათ შორის ამ კავშირების გაღრმავება კიდევ უფრო მეტადაა შესაძლებელი.

საქსტატის მონაცემების მიხედვით საქართველოს უმსხვილეს საექსპორტო ქვეყნებში აზერბაიჯანი ყოველთვის იყო წარმოდგენილი. 2022 წლის მონაცემებით მეორე ადგილზეა ჩინეთის შემდეგ. აზერბაიჯანი სავაჭრო ბრუნვის მიხედვით წარმოადგენს მეოთხე ქვეყანას თურქეთის, რუსეთისა და ჩინეთის შემდეგ, იმპორტის მიხედვით კი – მეექვსე ქვეყანას თურქეთის, რუსეთის, ჩინეთის, აშშ-ის და გერმანიის შემდეგ.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, აზერბაიჯანი, ექსპორტი, იმპორტი, საგარეო ვაჭრობა.

აზერბაიჯანი საქართველოს მეზობელი, მსხვილი სავაჭრო და სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანაა და ყოველთვის ინარჩუნებდა საქართველოს საექსპორტო და საიმპორტო ქვეყნებს შორის ლიდერობას. საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია აზერბაიჯანთან მჭიდრო და სტაბილური თანამშრომლობის შენარჩუნება: ვაჭრობის, ეკონომიკის, ენერჯეტიკის, ტრანსპორტისა და სხვა სფეროებში.

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელია სხვა ღონისძიებებთან ერთად ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება, რაც გულისხმობს მისი საექსპორტო პოტენციალის ზრდას. საქართველოს აზერბაიჯანთან ურთიერთობა გამოირჩევა ექსპორტის

ნაკლებობით იმპორტთან შედარებით. N1 ცხრილში წარმოდგენილია მხარეთა შორის ძირითადი სავაჭრო მაჩვენებლები.

ცხრილი 1

საქართველო-აზერბაიჯანის სავაჭრო ურთიერთობა 2012-2022 წლებში

წელი	ექსპორტი საქართველოდან აზერბაიჯანში		იმპორტი აზერბაიჯანიდან საქართველოში		საქართველო-აზერბაიჯანის სავაჭრო ბრუნვა		სალდო
	მილიონი დოლარი	წილი, %	მილიონი დოლარი	წილი, %	მილიონი დოლარი	წილი, %	
2010	256,2	15,3	484,8	9,3	741,0	22,8	-228,6
2011	425,9	19,5	636,3	9,0	1062,2	25,6	-210,4
2012	626,9	26,4	703,8	8,7	1330,7	12,8	-76,9
2013	709,9	24,4	655,9	8,1	1365,8	12,5	54,0
2014	544,4	19,0	640,3	7,4	1184,5	10,3	-95,9
2015	241,0	10,9	538,6	7,0	779,6	7,9	-297,6
2016	152,4	7,2	492,6	6,8	645,0	6,9	-340,1
2017	272,1	9,9	567,1	7,1	839,2	7,9	-295,0
2018	507,6	15	592,8	6,3	1100,4	8,6	-85,2
2019	508,7	13,14	559,0	5,9	1067,5	8,0	-50,3
2020	441,3	13,2	513,2	6,4	954,5	8,4	-71,9
2021	531,7	12,5	598,4	5,9	1130,1	7,9	-66,7
2022	672,6	12,0	640,2	4,7	1312,8	5,9	32,4


წყარო: <https://www.geostat.ge/ka>

საქსტატის მონაცემების მიხედვით საქართველოს უმსხვილეს საექსპორტო ქვეყნებში აზერბაიჯანის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში 12%-ს უტოლდება, რაც ჩინეთის შესაბამის მაჩვენებელს 1.2% პუნქტით ჩამორჩება [საქსტატი, <https://www.geostat.ge>].

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სავაჭრო ბრუნვა საკმაოდ მაღალია და ასევე წლების მიხედვით მზარდი. მიუხედავად 2019 და 2020 წელს მსოფლიოში გავრცელებული COVID-19 პანდემიისა, აზერბაიჯანი საქართველოს ექსპორტში ჩინეთის შემდეგ მეორე ადგილზეა 13,2% პუნქტით. ეს მონაცემი ჩინეთის მაჩვენებელს, რომელიც პირველ ადგილზე იყო, ჩამორჩებოდა 1,1%-ით.

საქართველოს უმსხვილეს საიმპორტო ქვეყნებშიც არ თმობს აზერბაიჯანი მოწინავე პოზიციებს. 2019 და 2020 წლებში ის მეხუთე ადგილს იკავებდა თურქეთის, რუსეთის, ჩინეთისა და აშშ-ის შემდეგ. 2022 წლის მონაცემებით იმპორტმა აზერბაიჯანიდან 640.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 4.7 %-ია. ეს მაჩვენებელი 12.8%-ით ჩამორჩება პირველ ადგილზე მყოფი თურქეთის მონაცემებს (17.5 %-ს). შედარებისათვის თურქეთის იმპორტმა 2374 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 3.7-ჯერ აღმატება აზერბაიჯანის მაჩვენებელს.





წყარო: <https://www.geostat.ge/ka>

ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 2010-2022 წლებში ყველაზე მაღალი ექსპორტის რაოდენობა 2013 წელს დაფიქსირდა (709 მილიონი დოლარი), რაც საქართველოს მთლიანი ექსპორტის 24.4%-ს შეადგენდა. საქართველოს ექსპორტმა მინიმალურ მნიშვნელობას 2016 წელს მიაღწია (152,4 მილიონი აშშ დოლარი), ეს კი 2013 წლის მაჩვენებელთან შედარებით 558 მილიონი აშშ დოლარით შემცირდა. 2019 წლიდან კი მსოფლიოში გააქტიურდა კოვიდ-19-ის პანდემია, რომელმაც მთელ მსოფლიოში კრიზისი გამოიწვია.

2022 წელს საქართველოს ექსპორტმა აზერბაიჯანში 672.7 მლნ. აშშ დოლარი და საქართველოს მთლიან ექსპორტში აზერბაიჯანის პროცენტულმა წილი 12% შეადგინა. ამ მონაცემით ის მეორე ადგილზეა ჩინეთის შემდეგ და უსწრებს რუსეთს.

აღსანიშნავია, რომ 2010 წლის მონაცემების მიხედვით საექსპორტო საქონელს შორის პირველ ადგილს იკავებდა მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებები და მათი ნაწილები, რომლებიც მთლიანი ექსპორტის 53%-ს შეადგენდა. შემდეგ მოდიოდა არამძირფასი ლითონები დაახლოებით 10%-ს ოდენობით. მესამე ადგილს კი იკავებდა კვების მზა პროდუქტები, სასმელები, თამბაქო 9%-ით, ამ საქონლის ჯგუფში განსაკუთრებით ჭარბობს ალკოჰოლური სასმელები. საქართველოს ექსპორტში ასევე ჭარბობს ცოცხალი ცხოველები (8%) და ქიმიური და ფარმაცევტული პროდუქტები (6%). ასევე 2011-2012 წლებში საქართველოდან ექსპორტირებული საქონლის ჯგუფები დაახლოებით წინა წლის მსგავსი იყო, თუმცა ამ ორი წლის განმავლობაში დაწინაურდა ცოცხალი ცხოველების ექსპორტი, რომელიც შესაბამისად 2011 წელს მესამე, ხოლო 2012 წელს მეორე ადგილს იკავებდა.

2013 წელს ექსპორტის მოცულობამ ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია. საქონლის სტრუქტურა წინა წლების მსგავსი დარჩა, ხოლო მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების ექსპორტი 62%-მდე გაიზარდა და 43,8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შემდგომ წლებში ექსპორტის მოცულობამ შემცირება დაიწყო. ეს ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ 2014 წელს აზერბაიჯანმა აკრძალა 2006 წლამდე წარმოებული მანქანების იმპორტი, თუმცა 2015 წლის საექსპორტო საქონელს შორის სატრანსპორტო საშუალებები კვლავ პირველ ადგილს იკავებდა 88 მლნ. აშშ დოლარით, რაც ექსპორტის 37%-ს შეადგენდა. სასაქონლო ჯგუფის მოცულობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 202 მლნ აშშ დოლარით, საერთო ჯამში კი 70%-ით შემცირდა.

ასევე 2015 წლიდან ახლად წარმოებულ მანქანებზე გაიზარდა აქციზის გადასახადი, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ექსპორტი აზერბაიჯანში. შედეგად საქართველოს საექსპორტო

ქვეყნებს შორის აზერბაიჯანმა მე-7 ადგილზე გადაინაცვლა. 2016 წელს კი აზერბაიჯანში საქართველოს ექსპორტმა მიაღწია თავის მინიმალურ მნიშვნელობას. საექსპორტო საქონლიდან პირველ ადგილზე სატრანსპორტო საშუალებები და მათი ნაწილები იყო, რომელთა რაოდენობა 53 მლნ. აშშ დოლარამდე შემცირდა, მეორე ადგილს იკავებდა ქიმიური და ფარმაცევტული პროდუქცია 31 მლნ. აშშ დოლარით, რაც 20%-ს წარმოადგენდა. მესამე ადგილზე იყო საკვები მზა პროდუქტები, სასმელები, თამბაქო, რომელთა აზერბაიჯანთან ექსპორტის პროცენტული შემადგენლობა 12%-ს შეადგენდა. საქართველოდან უალკოჰოლო გაზიანი სასმელების 41% სწორედ აზერბაიჯანის ბაზარზე გადის და სხვ.

საქართველოს ექსპორტი აზერბაიჯანში ზრდას უკვე 2017 წლიდან იწყებს, თუმცა საექსპორტო საქონლის სტრუქტურა ისევ წინა წლების მსგავსია. დაახლოებით 98 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა სატრანსპორტო საშუალებები და მათი ნაწილები, ასევე მაღალია ფარმაცევტული პროდუქციის ექსპორტი. 2018 წელს ექსპორტი 87%-ით გაიზარდა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით და 507.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ზრდის ტემპი ძირითადად ისევ სატრანსპორტო საშუალებებზე და მათ ნაწილებზე მოდიოდა, რაც 212 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა, რაც აზერბაიჯანთან ექსპორტში 42% იყო. 2019 წელს საქართველოს ექსპორტის ზრდა აზერბაიჯანში უმნიშვნელო იყო.

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის ბოლოს მსოფლიოში კოვიდ 19-ის პანდემიამ შეამცირა ვაჭრობის მოცულობა. აზერბაიჯანთან ექსპორტის მოცულობა ამ პერიოდში 13% პუნქტით შემცირდა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით და 441.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის შემცირება აზერბაიჯანთან არ ყოფილა მამუტაბური, ამის ძირითადი მიზეზი შეიძლება მასთან ტერიტორიული სიახლოვე იყო. 2021 წლიდან საერთაშორისო თანამეგობრობა კოვიდ 19-ის პანდემიასთან ერთად იწყებს განვითარებას. საქართველოში კოვიდ შეზღუდვები უკვე მცირდება, შედეგად აზერბაიჯანთან ექსპორტის მოცულობა გაიზარდა 20%-ით.

2022 წელს საქართველოს ექსპორტი აზერბაიჯანში 672.3 მლნ. აშშ დოლარი იყო, რაც წინა წლის ექსპორტს 26%-ით აღემატება. ძირითადი საექსპორტო საქონლი კვლავ სატრანსპორტო საშუალებები და მათი ნაწილებია, რომლებიც მთლიანი ექსპორტის დაახლოებით ნახევარს შეადგენს; კვების მზა პროდუქტები, სასმელი და თამბაქო – 11 %; ცოცხალი ცხოველები – 8%. წინა წელთან შედარებით ექსპორტში 62 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების წილი, ცოცხალი ცხოველების ექსპორტი კი – 18 მლნ აშშ დოლარით.

საქართველომ პრიორიტეტულად ექსპორტის წარმოება უნდა განავითაროს, მაგრამ იმავდროულად, იმპორტის შემცველი წარმოების გაძლიერებაც უნდა მოახერხოს [Basilia T., Silagadze A., Chikvaidze T. (2001) გვ. 429]. საქართველოს ძირითადი გამოწვევა უარყოფითი სავაჭრო სალდო, რაც 2022 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა 36%-ით და 7.96 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს უარყოფითი სავაჭრო სალდო აზერბაიჯანთან კი 32 მლნ აშშ დოლარია. საქსტატის 2022 წლის მონაცემების მიხედვით საქართველოს მთლიანი ექსპორტიდან 5583.4 მლნ. აშშ დოლარიდან დაახლოებით 66% ადგილობრივ ექსპორტზე მოდის. ადგილობრივი ექსპორტი აზერბაიჯანში კი იყო 153,9 მლნ აშშ დოლარი. ეს მაჩვენებელი 2021 წელთან შედარებით 41%-ით გაიზარდა.

ამრიგად, საქართველოს ექსპორტი აზერბაიჯანში ბოლო წლების განმავლობაში სატრანსპორტო საშუალებებსა და მათ ნაწილებზე, კვების მზა პროდუქტებზე, ცოცხალ ცხოველებზე, ქიმიურ და ფარმაცევტულ პროდუქტებზე მოდის. აღნიშნული საექსპორტო საქონლის სტრუქტურა არ იცვლება ბოლო წლების განმავლობაში.

აზერბაიჯანი ასევე საქართველოსათვის მნიშვნელოვანი იმპორტიორი ქვეყანაა ( შედის ათეულში). საქსტატის 2022 წლის მონაცემების მიხედვით, 640.4 მლნ. აშშ დოლარით მეექვსე ადგილი დაიკავა (2021 წელს – მე-5 ადგილი). მისმა წილმა მთლიანად საქართველოს იმპორტში კი 4.7% შეადგინა.

აზერბაიჯანის იმპორტმა საქართველოში 2010 წელს 485 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, მათგან 85% 414 მლნ. აშშ დოლარით მინერალური პროდუქტები, ნავთობი და

ნავთობპროდუქტებია. მეორე ადგილზე იყო კვების მზა პროდუქტები; სასმელები; თამბაქო 4%-ით, ხოლო მესამე ადგილს ცხიმები და ზეთები იკავებდა 2%-ით. 2011 წელს აზერბაიჯანის იმპორტი წინა წელთან შედარებით 31%-ით გაიზარდა. აქედან საიმპორტო საქონელს შორის წინა წლის მსგავსად პირველ ადგილს მინერალური პროდუქტები გაზრდილი რაოდენობით იკავებდა, თუმცა იმპორტში მეორე ადგილზე გადაინაცვლა ელექტროტექნიკურმა მანქანა-მოწყობილობებმა და მათმა ნაწილებმა 24 მლნ აშშ დოლარით, ხოლო მესამე ადგილი დაიკავა მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების იმპორტმა 21 მლნ აშშ დოლარით.



წყარო: <https://www.geostat.ge/ka>

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ყველაზე მაღალი იმპორტი დაფიქსირდა 2012 წელს. იგი 704 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა, რომლის 87% ისევ მინერალურ პროდუქტებს და ნავთობს ეკავა. 2013 წელს წინა წელთან შედარებით იმპორტი 7%-ით შემცირდა. ამ წელს ექსპორტის მოცულობამ მაქსიმალურ დონეს მიაღწია გასული თორმეტი წლის განმავლობაში და იმპორტს გადაუსწრო.

2014 წელს აზერბაიჯანიდან იმპორტი შემცირებას აგრძელებს 640 მლნ. აშშ დოლარამდე, თუმცა საქონლის ძირითადი სტრუქტურა ისევ ისეთია. იმპორტიდან 12 მილიონი დოლარი მოდის ელექტროროვნერგიაზე. იმპორტის შემცირების პროცესი გაგრძელდა 2016 წლამდე და მინიმალურ მნიშვნელობას, 492.6 მლნ აშშ დოლარს გუატოლდა, საიდანაც მინერალური პროდუქტებისა და ნავთობის წილმა 427.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (87%).

2017 წელს აზერბაიჯანიდან იმპორტი 15%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით, საიდანაც მეორე ადგილს იკავებდა არამკვირფასი ლითონები 15 მლნ აშშ დოლარით. 2018 წელს იმპორტირებული საქონლის სტრუქტურა 2017 წლის ანალოგიური იყო და პირველ ადგილზე ისევ მინერალური პროდუქტები და ნავთობი რჩებოდა 488 მლნ. აშშ დოლარით, მეორე ადგილს არამკვირფასი ლითონები და მათი ნაწარმი იკავებდა 20 მლნ. დოლარით, ხოლო მესამე ადგილს – ელექტროტექნიკური მანქანა-მოწყობილობები და მათი ნაწილები 18 მლნ. აშშ დოლარით.

2019 წელს იმპორტმა შეადგინა 559 მლნ აშშ დოლარი, საიმპორტო საქონლის სტრუქტურაში კი გაიზარდა კვების მზა პროდუქტების, სასმელებისა და თამბაქოს წილი 16 მლნ აშშ დოლარამდე, ხოლო ელექტროტექნიკური მანქანა-მოწყობილობები და მათი ნაწილები შემცირდა 5 მლნ აშშ დოლარამდე.

2020 წელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოსა და აზერბაიჯანში კოვიდ 19-ის ვირუსი ვრცელდება, ქვეყნები ერთმანეთთან ამცირებენ ვაჭრობას. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორისაც შემცირდა იმპორტი 513 მლნ. აშშ დოლარამდე, რაც წინა წლის

მაჩვენებელთან შედარებით 8% პუნქტით შემცირდა. 2021 წელს შედარებით შემსუბუქდა მთავრობების მიერ დაწესებული რეგულაციები და განახლდა ვაჭრობა აზერბაიჯანთან იმპორტი გაიზარდა 598.4 მილიონი აშშ დოლარამდე, რაც 85 მილიონით მეტია წინა წელთან შედარებით. აქედან 82% მინერალურ რესურსებს წარმოადგენდა, 38 მლნ აშშ დოლარის 6%-ს – არაპირფასი ლითონები და მათი ნაწარმი, ხოლო პლასტმასები, რეზინი და მათი ნაწარმის იმპორტი დაახლოებით 13 მლნ აშშ დოლარი იყო, რაც იმპორტის 2%-ს შეადგენდა.

2022 წელს აზერბაიჯანიდან საქონლის იმპორტი 640 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო საიმპორტო სასაქონლო სტრუქტურა დაახლოებით თანაბარია [საქსტატი, 2022]. 2021 წელთან შედარებით აზერბაიჯანიდან განხორციელებულ იმპორტში იკლო მინერალურმა პროდუქტმა, საწვავმა და ნავთობმა 17 მლნ აშშ დოლარით. ამგვარად აზერბაიჯანიდან საქონლის იმპორტი საკმაოდ მაღალია. ძირითად სავაჭრო საქონელს წარმოადგენს მინერალური პროდუქტები, ნავთობი და ნავთობპროდუქცია, რომელიც დაახლოებით 80%-ს აჭარბებდა ყოველი წლის იმპორტში.

საქსტატის მონაცემების მიხედვით, ცნობილია, რომ 2022 წელს საქართველოში საქონლით სავაჭრო ბრუნვამ მთლიანად 19.1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, საიდანაც აზერბაიჯანთან საქონლით სავაჭრო ბრუნვაზე მოდის 1313.1 მლნ აშშ დოლარი. 2022 წელს ექსპორტის მოცულობა 672.2 მილიონი აშშ დოლარი იყო, რაც სავაჭრო ბრუნვის 51.2%-ს შეადგენს. ხოლო იმპორტი 640.4 მილიონი აშშ დოლარი იყო და 48.8%-ს უტოლდებოდა. შესაბამისად საქართველოს ექსპორტი აზერბაიჯანში აჭარბებს იმპორტს 32.2 მლნ აშშ დოლარით. 2013 წლის შემდეგ მეორედ დაფიქსირდა დადებითი სავაჭრო სალდო. ძირითადად ყოველთვის იმპორტი გაცილებით აღემატება და აჭარბებს ექსპორტს. საქართველოსა და აზერბაიჯანის სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 16.2%-ით მეტია.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში საქართველოს და აზერბაიჯანს შორის სავაჭრო ბრუნვა ყველაზე მაღალი იყო 2012, 2013 და 2022 წლებში. 2013 წელი იმითაც არის, გამორჩეული, რომ 2010-2021 წლებში პირველად აღინიშნა დადებითი სალდო და საქართველოს ექსპორტმა აზერბაიჯანში გადააჭარბა იმპორტს 57 მლნ აშშ დოლარით.

საქართველოსა და აზერბაიჯანის სავაჭრო ბრუნვა 2016 წელს შემცირდა 644.8 მლნ აშშ დოლარამდე. ამ დროს ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობამ თავის მაქსიმალურ მნიშვნელობას მიაღწია. ექსპორტის წილი სავაჭრო ბრუნვაში 24% იყო, იმპორტის კი – 76%. იმპორტის ასეთი მაღალი წილი შემდგომში აღარ დაფიქსირებულა. პანდემიის პერიოდში სავაჭრო ბრუნვაში დაახლოებით 53%-ს წარმოადგენდა იმპორტი, ხოლო ექსპორტი დაახლოებით 47% იყო.

საბოლოოდ რომ შევაჯამოთ ზემოთ განხილული ანალიზი, საქართველოს აზერბაიჯანთან სავაჭრო ბრუნვა ძირითადად უარყოფითად განიხილება, იმპორტი უმეტესად აჭარბებს ექსპორტს, თუმცა მათი პროცენტული წილი დაახლოებით თანაბარია.

## დასკვნა

საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან (თურქეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი) აზერბაიჯანი ერთადერთი ქვეყანაა, რომელთანაც ჩვენს ქვეყანას 2022 წელს აქვს დადებითი სავაჭრო ბალანსი.

საქართველოს საექსპორტო საქონელს შორის აზერბაიჯანში პირველ ადგილს იკავებს სატრანსპორტო საშუალებები და მათი ნაწილები.

ცნობილია, რომ აზერბაიჯანი არაა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი. მიგვაჩნია მისი ვმო-ის წევრობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მხარეებს შორის სავაჭრო ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას. ასევე სავაჭრო ურთიერთობებში იმ განსხვავებული დაბეგვრის რეჟიმის დისბალანსის გასწორებას, რაც რიგ საქონელზე არსებობს.

ორივე ქვეყანა მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში საკმაოდ დიდი გამოწვევების წინაშე დგას. სამხრეთ კავკასიის ეს ქვეყნები აქტიურად ცდილობენ ადგილის დამკვიდრებას მსოფლიოს წარმატებულ ქვეყნებს შორის, ატარებენ ამ მხრივ სხვადასხვა ღონისძიებებს და ცდილობენ მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვას.

საქართველოს და აზერბაიჯანის ისტორია მჭიდროდ არის ერთანეთთან დაკავშირებული. მათ საბაზრო ეკონომიკის განვითარება ბოლო 30 წელია რაც დაიწყო. ისინი აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო ორგანიზაციებში, ასევე თანამშრომლობენ სხვადასხვა პროექტებში. ცხადია, ურთიერთობები მხოლოდ ეკონომიკურ და სავაჭრო სფეროს არ აერთიანებს. არის საკითხები, რომელთაგან ზოგიერთი დღესაც გადასაჭრელია. ყველაზე პრობლემატური კი ოფიციალური საზღვრის დაწესებაა აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე საზღვრის მონაკვეთზე. არსებული უთანხმოება დღემდე გრძელდება, რასაც ყოველთვის შეუძლია უარყოფითი გავლენა იქონიოს მხარეთა შორის სავაჭრო (და არა მარტო სავაჭრო) ურთიერთობებზე.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში მართებულადაა აღნიშნული, რომ საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობას და თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ნაბიჯებით ხელს უწყობს სამხრეთ კავკასიის ეკონომიკურად მიმზიდველ, მშვიდობიან და უსაფრთხო რეგიონად გადაქცევას. საქართველო ისწრაფვის აზერბაიჯანთან და სომხეთთან მჭიდრო, პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებისა და ვაჭრობის გაფართოებისკენ. ქვეყნებს შორის ურთიერთობებს მყარი ისტორიული, კულტურული და ეკონომიკური საფუძველი გააჩნია. წლებია ისინი წარმოადგენენ სტრატეგიულ სავაჭრო პარტნიორებს. ტრადიციული კეთილმეზობლური ურთიერთობების ფონზე აზერბაიჯანთან მჭიდრო სავაჭრო კავშირები პერსპექტივაში კიდევ უფრო გაიზრდება.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. Basilia T., Silagadze A., Chikvaidze T. (2001) Post-Socialistic Transformation: Georgian Economy at the Threshold of the XXI Century. Tbilisi (in Georgian).
2. Eurostat. (2021). European Neighbourhood Policy countries - statistical overview. online Eurostat publication.
3. Papava V., Silagadze A., (2019). "How the Term the "Gross Domestic Product" should be Translated into Georgian." Globalization and Business, No. 7:203-204. (In Georgian.)
4. Putkaradze R. ACTUAL ISSUES OF THE FOREIGN TRADE OF GEORGIA. Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane JAVakhishvili Tbilisi State University. Proceedings of Materials of International Scientific-Practical Conference Dedicated to the 60th Birth Anniversary of Professor George Tsereteli NATIONAL ECONOMIES AND GLOBALIZATION. 28-29 June 2012. pp. 51-58
5. Putkaradze R. Historical Aspects of Trade and Economic Relations between Georgia and the European Union. Zeszyty Naukowe UNIWERSYTETU PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNEGO w SIEDLCACH Seria: Administracja i Zarządzanie. Scientific Journal Nr 107. Poland. 2015.
6. Putkaradze R. Perspectives of Georgia-European Union trade relations. Istanbul international annual conference on the economic cooperation and development within the black sea basin Countries. Donetsk National University. Collection of Scientific Works. Part I. Istambul-Donetck. 2010.
7. Putkaradze, R. (2010). Trade and Economic Relations between Georgia and the European Union: Problems and Perspectives. Universali, Tbilisi. (In Georgian).
8. Putkaradze, R. (2012). ACTUAL ISSUES OF THE FOREIGN TRADE OF GEORGIA. PaataGugushvili Institute of Economics of IvaneJAVakhishvili Tbilisi State University. Proceedings of Materials of International Scientific-Practical Conference Dedicated to the 60th Birth Anniversary of Professor George Tsereteli NATIONAL ECONOMIES AND GLOBALIZATION. p. 51-58. (In Georgian).
9. Putkaradze, R. (2015). Historical Aspects of Trade and Economic Relations between Georgia and the European Union. ZeszytyNaukowe UNIWERSYTETU PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNEGO w SIEDLCACH Seria: AdministracjaiZarządzanie. Scientific Journal, Nr 107, 2015. ZeszytyNaukowe UNIWERSYTETU PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNEGO w SIEDLCACH Seria: AdministracjaiZarządzanie, Poland.
10. Putkaradze, R. (2019). Georgia in the European Union's Eastern Partnership Countries: Historical Aspects and Challenges. Journal, Ecoforum Journal. Volume 8, Issue 1(18).
11. Putkaradze, R., Chania, M. (2018) The Priorities of Georgian Economic Development in Conditions of Globalization. European Journal of Marketing and Economics, v. 1, n. 1, p. 63-66.
12. World Trade Organization (2022). World Trade Statistical Review.
13. აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო <https://mfa.gov.az/>

14. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკის კომიტეტი  
<https://www.stat.gov.az/menu/2/?lang=en>
15. მამედოვა ნ. 2004. საქართველოსა და აზერბაიჯანის სავაჭრო ურთიერთობები. თსუ შრომები „ეკონომიკა“, N3-4.
16. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია  
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1555410?publication=0>
17. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - <https://www.mfa.gov.ge/>
18. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)  
<https://www.geostat.ge/ka>
19. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.  
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1211460?publication=0>

*Ramaz Putkaradze*

## **TRADE RELATIONS BETWEEN GEORGIA AND AZERBAIJAN IN TERMS OF GLOBALIZATION**

### **Abstract**

Georgia and Azerbaijan have close trade (and not only trade) relations. Azerbaijan is the largest export and import country for Georgia. Georgia is also an important trade partner for Azerbaijan, but the role of Georgia in Azerbaijan's foreign trade is relatively low.

The paper discusses the dynamics and trends of trade relations between the two countries and provides the conclusion that it is possible to further deepen the existing close trade ties. According to the National Statistics Office of Georgia, Azerbaijan has always been represented in the largest exporting countries of Georgia. According to the data of 2022, it is at the second position following China and accounts to 12% of the total export of Georgia, which is 1.2% percentage points lower compared to the corresponding indicator of China. Azerbaijan is the fourth-ranked country in terms of trade turnover following Turkey, Russia and China, and the sixth-ranked country in terms of imports following Turkey, Russia, China, the US and Germany.

Azerbaijan is also an important import country for Georgia. It is among the top ten import countries of Georgia. According to the 2022 data of Geostat, import from Georgia to Azerbaijan amounted to USD 640.4 million, thus taking the sixth position (5th position in 2021), while its share in the total import of Georgia was 4.7%.

It should be noted that in recent years the highest trade turnover between Georgia and Azerbaijan was observed in 2013, 2022 and 2012. The year 2013 is also notable for the fact that in a positive trade balance was observed for the first time during 2010-2021 - Georgia's exports to Azerbaijan exceeded imports by USD 57 million.

Azerbaijan is the only country among the neighboring countries of Georgia (Turkey, Russia, Azerbaijan and Armenia), with which Georgia had a positive trade balance in 2022. Transport vehicles and their parts occupy the first place among Georgia's export goods in Azerbaijan.

Azerbaijan is not a member of the World Trade Organization. We believe that its membership in WTO will significantly contribute to further deepening of the trade relations between the countries and correct the imbalance in trade relations, as there are different taxation regimes for a number of goods.

Both countries are facing quite important challenges in terms of globalization. These countries of South Caucasus are actively trying to establish their places among the successful countries of the world. They organize various activities in this regard and try to engage in global integration processes.

The history of Georgia and Azerbaijan is closely interrelated. They started developing market economy about 30 years ago. They are actively engaged in the activities of international organizations and cooperate in various projects. Obviously, the relations do not include only the economic and trade areas. Although there are some issues which still need to be resolved, the most problematic in this regard is the determination of the official border, which has not been resolved as yet. The disagreement between Azerbaijan and Georgia on the section of the border where the Davit Gareji Monastery complex is located continues to this day, which can always have a negative impact on trade (and not only trade) relations between the parties.

Thus, Georgia has traditionally good neighborly relations with Azerbaijan. There are close trade relations between the parties, which will further deepen in the future.

იაპონიის ომისშემდგომი ტრანსფორმაცია ოკუპაციის პირობებში

**ანოტაცია.** იაპონიის ომისშემდგომი ტრანსფორმაცია განხორციელდა სრული ოკუპაციის პირობებში. აღნიშნული გარდაქმნის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო სამი ეკონომიკური რეფორმა (მიწის რეფორმა, ზაიბაცუს დაშლა და შრომითი რეფორმა). ამერიკული “ბირთვული ქოლგის” (“nuclear umbrella”) ქვეშ ყოფნით, იაპონიამ შეძლო საკუთარი რესურსების გონივრულად გამოყენება და დანარჩენი მსოფლიოსთვის გასაოცარი შედეგების ჩვენება.

**საკვანძო სიტყვები:** ომისშემდგომი ტრანსფორმაცია, ოკუპაცია, სამი ეკონომიკური რეფორმა, მიწის რეფორმა, ზაიბაცუს (zaibatsu) დაშლა, შრომის რეფორმა.

**შესავალი ნაწილი**

იაპონია მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ იყო ოკუპირებული და მართული ომში გამარჯვებული მოკავშირეების მიერ 1945 წლის 2 სექტემბრიდან (იაპონიის იმპერიის დანებებიდან) 1952 წლის 28 აპრილამდე – სან-ფრანცისკოს ხელშეკრულების ამოქმედებამდე. ოკუპაცია, რომელსაც შეერთებული შტატები ხელმძღვანელობდა ბრიტანეთის თანამეგობრობის მხარდაჭერითა და შორეული აღმოსავლეთის კომისიის მეთვალყურეობით, წარმოდგენილი იყო თითქმის 1 მილიონი მოკავშირე ჯარისკაცით[1](წყარო: *Dower, John W. [1999], Embracing Defeat: Japan in the Wake of World War II, Norton, p. 206*). ომისშემდგომი ეკონომიკის ტრანსფორმაცია იაპონიაში განხორციელდა დემოკრატიზაციის რეფორმის პროგრამის ფონზე, რასაც ხელს უწყობდა ამერიკული საოკუპაციო ძალები. ეს რეფორმები, რა თქმა უნდა, იყო არა მხოლოდ ამერიკელთა, არამედ იაპონელთა ძალისხმევით შედეგიც, რომლებიც გარკვეულ შემთხვევებში თანამშრომლობდნენ ამერიკელებთან, ზოგჯერ კი ებრძოდნენ მათ საკუთარი იდეალებისა და დღის წესრიგის მისაღწევად. განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო სამი ეკონომიკური რეფორმა: მიწის რეფორმა (იაპონ. 土地改革 Tochi kaikaku, ინგლ. land reform ), ზაიბაცუს დაშლა (იაპონ. 財閥解体 Zaibatsu kaitai, ინგლ. dissolution of the zaibatsu ) და შრომითი რეფორმა (იაპონ. 労働改革 rōdō kaikaku, ინგლ. labor reform ).

**ძირითადი ნაწილი**

**მიწის რეფორმა.** მიწის რეფორმამდე, იაპონიის სასოფლო-სამეურნეო მიწის 45,9 პროცენტი იჯარით იყო გაცემული. ომამდე, მოიჯარეების რენტა შეადგენდა ეროვნული შემოსავლის 5 %-ს, ხოლო ქირავნობის შესახებ დავებმა პიკს (6 ათასს) მიაღწია 1935 წელს. ეს იყო ომამდელი სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკა, საოჯახო მეურნეობების (მესაკუთრე-კულტივატორთა/ფერმერთა) წახალისება-ხელშეწყობა იჯარასთან დაკავშირებული (ქირავნობის/ქირის) პრობლემების მოგვარების მიზნით. 1945 წლის შემოდგომაზე, ამ პოლიტიკის გაფართოების კონტექსტში, გადაიხედა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კორექტირების კანონი/აქტი (იაპონ. 農地調整法 Nōchichōseiho, ინგლ. the Agricultural Land Adjustment Law, ან Farmland Adjustment Act), რომელიც ზღუდავდა მიწათმფლობელობას ხუთ chōbu-მდე (町歩 / ჰექტარი; hectare [2.471 acres]) და მოითხოვდა (საიჯარო) ქირის (გადასახადის) გადახდას ნაღდი ანგარიშსწორებით.

ამერიკულმა საოკუპაციო ძალებმა, იგრძნო რა რომ ამ კანონმდებლობამ საკმარისად ვერ წაიწია წინ, 1945 წლის 9 დეკემბერს იაპონიის მთავრობას გაუგზავნა მემორანდუმი მიწის რეფორმის შესახებ, რომელიც უფრო მასშტაბური ცვლილებებისკენ მოუწოდებდა. ეგრეთწოდებული მიწის მეორე რეფორმა განხორციელდა 1946 წლის 21 ოქტომბერს “დამოუკიდებელ მემამულეთა/მიწათმოქმედთა შექმნის შესახებ საგანგებო აქტის/კანონის” (იაპონ. 独立した耕作者の設立に関する法律 Dokuritsu shi ta kōsaku sha no setsuritsu ni kansuru hōritsu, ინგლ. the Law for the Special Establishment of Independent Cultivators Special Act, ან Law on the Establishment of Independent Cultivators/Farmers) გამოქვეყნებით. კანონი ითვალისწინებდა დაუსწრებელი მემამულეების (იაპონ. 不在の地主 Fuzai no jinushi, ინგლ. absentee landlords)

საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების სახელმწიფოს მიერ შექმნას; არდამმუშავებელი რეზიდენტი მემამულეებისთვის (იაპონ. 非耕作地主 Hi kōsaku jinushi, ინგლ. noncultivating resident landlords ) მიწის ფლობის შეზღუდვას ერთზე ნაკლებ chōbu -მდე; მიწის მესაკუთრე-კულტივატორთა/დამმუშავებელთა მიწის ოდენობის განსაზღვრას სამი chōbu-თი; ხოლო სახელმწიფოს/მთავრობის მიერ შექმნილი მიწების (ხელახლა) მიყიდვას მოიჯარე ფერმერებზე (იაპონ. 小作人 kosaku jin, 小作農 kosakunō. ინგლ. tenant farmers). იმის გამო, რომ ინფლაციის შედეგად მიწის რეალური ფასი მკვეთრად დაეცა, მიწის რეფორმა თითქმის კონფისკაციის ტოლფასი იყო.

მიწის რეფორმის დროს 1,916 მილიონი ჰექტარი, ანუ სასოფლო-სამეურნეო ფართობის 37,5 % (მფლობელთა შეცვლით) ხელიდან ხელში გადავიდა. 3,7 მილიონზე მეტი მემამულის მიწა შეისყიდა მთავრობამ [2] (*მიწის რეფორმის ძირითადი მასალები შეგიძლიათ იხილოთ Nōsei chōsakai nōchi kaikaku kiroku iinkai -ში, ed., Nōchi kaikaku tenmatsu gaiyō. Tokyo, 1951. სტანდარტული ნაშრომი ინგლისურად არის R. P. Dore, Land Reform in Japan [London: Oxford University Press. , 1959]). რეფორმის შედეგად იჯარით აღებული მიწა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მხოლოდ 10 %-მდე შემცირდა; მოიჯარეების ქირა (იაპონ. 借家人の家賃た shakuya jin no yachin da. ინგლ. the tenants' rent ) გახდა შეთანხმებითი; მოიჯარეთა დავები გაქრა. ფერმერებს გაუჩნდათ შრომის სურვილი. ფერმერული სოფლები პოლიტიკურად უფრო სტაბილური გახდა; სოფლის მეურნეობა განვითარდა სახელმწიფოს მიერ ფასებზე მხარდაჭერითა და ინფრასტრუქტურაში ინვესტიციებით. ურბანული (ქალაქად) დასაქმების შესაძლებლობები იზრდებოდა სწრაფ ზრდასთან ერთად, შემცირდა მიწის ნაკვეთების ფრაგმენტაცია (დანაწევრება) და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა, რომელიც წარმოიშვა ომის შემდეგ მყისიერად, სოფლიდან მოსახლეობის გადინებით.*

მიწის რეფორმის შედეგად იაპონიის სოფლის მეურნეობა ომის შემდეგ გახდა დამოუკიდებელი ფერმერების პროვინცია (მხარე). მეორე მხრივ, მას შემდეგაც კი, რაც ეკონომიკა სწრაფი ზრდის ფაზაში გადავიდა, არასრული სამუშაო დღით მომუშავე ფერმერთა რიცხვი გაიზარდა და მიწის ნაკვეთები ფრაგმენტული (დანაწევრებული) დარჩა. ეს ხელს უშლიდა სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის(ნაყოფიერების) გაუმჯობესებას. ამ პრობლემის გადასაჭრელად ბევრი დაჟინებით მოითხოვდა კულტივაციის (დამუშავების) მასშტაბის გაზრდას და მიწის გაქირავების (საიჯარო მიწის / the rental of land) წახალისებას. გაჩნდა მზარდი მოთხოვნა პოლიტიკაში ცვლილების, კერძოდ, სოფლის მეურნეობის ცენტრში მიწის მესაკუთრე ფერმერების ყოფნის თაობაზე, — პოლიტიკა, დაფუძნებული იყო როგორც საოკუპაციო ძალების, ისე იაპონიის ომამდელი აგრარული რეფორმატორების მიზნებზე.

**ზაიბაცუს (zaibatsu, კონგლომერატი/ფირმების გაერთიანება) დაშლა.** ამერიკულმა ოკუპაციამ (the American Occupation) თავიდანვე განიზრახა ზაიბაცუს დაშლა, რომელიც, ზოგიერთი ამერიკელი ჩინოვნიკის აზრით, იყო იაპონიის მიერ ტერიტორიული დაპყრობითი ომის თანამონაწილე. 1945 წლის ოქტომბერში ოკუპაციამ (the Occupation) მიიღო გადაწყვეტილება ზაიბაცუს ჰოლდინგური კომპანიების სათავე ოფისების (honsha / ჰონშას) დაშლის შესახებ და 1946 წლის აპრილში დააარსა კომიტეტი ჰოლდინგური კომპანიების რეორგანიზაციისთვის (a committee to reorganize the holding companies). 1947 წლის ივნისისთვის, ჰოლდინგურ კომპანიათა რიცხვი განისაზღვრებოდა ოთხმოცდასამით. მათგან ოცდარვის რეორგანიზაცია განხორციელდა საოჯახო ჰოლდინგურ კომპანიად (a family holding companies), ხოლო დანარჩენებს საშუალება მიეცათ, როგორც მაწარმოებელ კომპანიებს, გაეგრძელებინათ ფუნქციონირება მათი აქციების/ფონდების (stockholdings/საკუთრებაში არსებული აქციების ან აქციების კონკრეტული რაოდენობის) გადაცემის/დათმობის შემდეგ. ამასობაში, 1947 წლის 3 ივლისს, საოკუპაციო ხელისუფლებამ ბრძანა დაშლილიყო Mitsui Trading Company და Mitsubishi Trading Company [3] (*ძირითადი მასალა ზაიბაცუს [zaibatsu] დაშლის შესახებ გვხვდება Tokushu kaisha seiri iinkai -ში, ed., Nihon zaibatsu to tonō kaitai [Tokyo 1951]. ინგლისურ ენაზე სტანდარტული ნაშრომი არის ელეონორ მ. ჰედლის [Eleanor M. Hadley], Antitrust in Japan (Princeton, N.J.: Princeton University Press, 1959).*



1947 წლის აპრილში, ამერიკულ ანტიმონოპოლიურ კანონთა (American antitrust laws) საფუძველზე, ანტიმონოპოლიური კანონის (the Anti-Monopoly Law) მიღებით შეიქმნა იაპონიის სამართლიანი ვაჭრობის კომისია (ინგლ. Japan's Fair Trade Commission / The Japan Fair Trade Commission; იაპონ. 公正取引委員会, Kōsei Torihiki Iinkai, JFTC). მომდევნო წლის დეკემბერში იაპონიის პარლამენტმა (იაპონ. 国会 Kokkai, ინგლ. The Diet) მიიღო კანონი გადაჭარბებული ეკონომიკური კონცენტრაციის ელიმინაციის/აღმოფხვრის (იაპონ. 過大な経済集中の解消に関する法律 Kadaina keizai shūchū no kaishō ni kansuru hōritsu, ინგლ. The Law for the Elimination of Excessive Economic Concentration, ან Act on Elimination of Excessive Economic Concentration) შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა მონოპოლისტად მიჩნეული ნებისმიერი კომპანიის დაშლას. ამ კანონების თანახმად, თვრამეტი დიდი ფირმა დაიშალა და მათი ქარხნები გადანაწილდა. იაპონური ფოლადის კორპორაცია (The Japan Steel Corporation) გაიყო ორ ფირმად (Yawata Steel და Fuji Steel); Mitsui Mining-ი — ორ ფირმად (Mitsui Mining და Kamioka Industries); Mitsubishi Industries-ი — ორ ფირმად (Mitsubishi Mining და Taihei Mining); Mitsubishi Heavy Industries-ი კი — სამ ფირმად (Eastern Japan Heavy Industries, Central Japan Heavy Industries და Western Japan Heavy Industries); Tokyo Shibaura Electric-ი ორმოცდასამი ქარხნიდან ოცდაშვიდი ქარხნისგან გათავისუფლდა და Hitachi Manufacturing-მა ოცდათხუთმეტი ქარხნიდან ცხრამეტზე თქვა უარი. ამ და სხვა დაშლის შედეგად არსებითად შემცირდა კონცენტრაციის ხარისხი რკინისა და ფოლადის, გემთმშენებლობის, ლუდსახარშის, ქაღალდისა და სხვა ინდუსტრიებში (მრეწველობის დარგებში).

ზოგიერთი მსხვილი საწარმო, რომელიც დაიშალა ან გაიყო ეკონომიკური დეკონცენტრაციის პირობებში, კვლავ გაჩნდა ოკუპაციის დასრულების შემდეგ. Mitsubishi Trading Company-ი აღორძინდა 1954 წელს, Mitsui Trading Company – 1959 წელს, Mitsubishi Heavy Industries – 1964 წელს და New Japan Steel Corporation – 1970 წელს. შესაძლოა ზაიბაცუს სათავო ოფისები (The zaibatsu's head offices) გაქრა, მაგრამ საწარმოები რეკონცენტრირდა (რეორგანიზირდა) “სამეწარმეო/საწარმოო ჯგუფებად” (იაპონ. 系列 株式会社, keiretsu; მრ. keiretsus ან/თუ keiretsu – იაპონური კომპანიების ქსელი, ურთიერთდაკავშირებული საქმიანი ურთიერთობებით და აქციებით), რომლებიც ორიენტირებული იყვნენ ბანკებზე, ორმხრივი ფონდების/აქციებისა (იაპონ. 相互の株式保有 sōgo no kabushiki hoyū, ინგლ. mutual stockholding) და დაფინანსების გზით. კრიტიკოსები ამას ხშირად “ზაიბაცუს გამოცოცხლება/აღორძინებად” (“revival of the zaibatsu”) მოიხსენიებდნენ.

ზაიბაცუს (zaibatsu) დაშლამ და კონცენტრაციის (concentration) გაუქმებამ სამუდამოდ იმოქმედა ეკონომიკაზე. წარმოების კონცენტრაცია, რომელიც შემცირდა ზაიბაცუს საწინააღმდეგო კანონმდებლობით (the antizaibatsu legislation), კიდევ უფრო შესუსტდა ზრდის მაღალი ტემპების შედეგად. კონკურენცია საწარმოებს შორის გახდა უფრო ცოცხალი. სამრეწველო ფირმები, რომლებიც არ იყვნენ აფილირებული (დაკავშირებული) ომამდელ ზაიბაცუსთან, ახალი შესვლისა და მასშტაბის გაფართოების შესაძლებლობათა გამო გახდნენ უფრო დიდი საწარმოები. ომისშემდგომ დიდ ფირმებს შორის ბევრია ასეთი. მაგალითად, Toyota, Hitachi და New Japan Steel, რომელთაც არანაირი კავშირი არ ჰქონდათ ომამდელ ზაიბაცუსთან. Kawasaki Steel-ისა და Sumitomo Metals-ის, როგორც ფოლადის მწარმოებელის გამოჩენა, Honda-ს შესვლა მსუბუქი ავტომობილების/სამგზავრო მანქანების ინდუსტრიაში და Sony-სა და Matsushita-ს სწრაფი ზრდა აჩვენებდა იმას, რომ იაპონიის ინდუსტრიული ორგანიზაცია მთლიანობაში განაგრძობდა კონკურენტუნარიანად ყოფნას. შეიძლება ითქვას, რომ ეს კონკურენტუნარიანი სამრეწველო სტრუქტურა განვითარდა ომისშემდგომი ზაიბაცუს დაშლისა და კონცენტრაციის გაუქმების შედეგად.

**შრომის რეფორმა.** შრომის რეფორმის საფუძველი იყო სამი შრომის კანონის მიღება (იაპონ. 3つの労働法 3Tsu no rōdō-hō, ინგლ. three labor laws): კანონით პროფკავშირის შესახებ (იაპონ. 労働組合法 Rōdō kumiai-hō, ინგლ. the Labor Union Law), რომელიც შეიქმნა ამერიკული ვაგნერის აქტის (the American Wagner Act) მიხედვით და გამოქვეყნდა 1945 წლის დეკემბერში,

დადგინდა მუშაკთა უფლება ორგანიზებისა და კოლექტიური მოლაპარაკებების წარმართვის თაობაზე; პროფკავშირული აქტივობა/საქმიანობა გათავისუფლდა სამოქალაქო სამართლისგან და განისაზღვრა არასამართლიანი შრომითი პრაქტიკა. 1946 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული შრომითი ურთიერთობების რეგულირების კანონით (იაპონ. 労働関係調整法 Rōdō kankei chōsei-hō, ინგლ. Labour Relations Adjustment Law; კანონი No. 25) განისაზღვრა გაფიცვის ქცევის საზღვრები და დადგინდა პროცედურები შრომითი დავების გადაწყვეტისთვის. 1947 წლის აპრილის შრომის სტანდარტების/ნორმების კანონი (იაპონ. 労働標準法 Rōdō hyōjun-hō, ინგლ. the Labor Standards Law/Act) აწესებდა გაუმჯობესებულ სამუშაო პირობებს, როგორცაა იძულებითი შრომის აკრძალვა, რეასაათიანი სამუშაო დღის შემოღება, ქალთა და მცირეწლოვანთა დასაქმების ლიმიტაცია/შეზღუდვა და სამუშაოსთან დაკავშირებული დაზიანებების კომპენსაციის (ფულადი ანაზღაურების) უზრუნველყოფა. ამ სამმა კანონმა, განსაკუთრებით კი შრომითმა კანონმა, წახალისა პროფკავშირული საქმიანობა.

პროფკავშირული მოძრაობა სწრაფად იზრდებოდა ომისშემდგომ ადრეულ წლებში. მძლავრი ინფლაციისა (the runaway inflation) და მოსახლეობის საერთო გადატაკების გამო გახშირდა შრომითი დავები. 1948 წელს სამრეწველო მუშახელის (ტრანსპორტის, მშენებლობების, სამთო და წარმოების მუშაკთა ჩათვლით) პროფესიულ კავშირებში გაწევრიანების მაჩვენებელი შეადგენდა 50 %-ზე მეტს, ხოლო ჩარიცხულთა ოდენობა (იაპონ. 登録者 tōroku sha ან 入会者 nyūkai sha, ინგლ. enrollees, იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც ოფიციალურად შეუერთდნენ ორგანიზაციას, დაიწვეს სასწავლო პროგრამა და ა.შ.; ვინც ითვლებოდა ჯგუფის, კურსის ან კოლეჯის წევრად ოფიციალურ სიაში; ინსტრუქციის/მითითების მიმღები პირები, მოსაწველეები, სტუდენტები) იყო 6,677 მილიონი. ზოგიერთ სამრეწველო დავაში პროფკავშირებმა მიმართეს აგრესიულ ტაქტიკას, როგორცაა „წარმოების კონტროლი“, რომლის დროსაც მუშები ეფექტურად აკონტროლებდნენ და მართავდნენ წარმოებას.

1947 წლის 1 თებერვალს დაიგეგმა საყოველთაო გაფიცვა, რომელიც ორგანიზებული იყო სახელმწიფო პროფკავშირების (იაპონ. 公的労働組合 Kōteki rōdō kumiai, ინგლ. the public labor unions) მიერ, მაგრამ საოკუპაციო ხელისუფლებამ (the Occupation authorities) გაფიცვა მის დაწყებამდე აკრძალა. საოკუპაციო პოლიტიკასა (Occupation Policy) და შრომით მოძრაობას (the labor movement) შორის დაპირისპირება უფრო თვალსაჩინო გახდა 1948 წლის ივლისში, როდესაც მთავრობამ გენერალ დუგლას მაკარტურის (General Douglas MacArthur) წერილის საპასუხოდ გამოაქვეყნა განკარგულება (იაპონ. 政令 #201 Seirei # 201, ინგლ. Government Ordinance #201), რითაც გააუქმა საჯარო მოხელეების გაფიცვის უფლება. ამის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში პროფკავშირული მოძრაობის კონტროლისთვის ბრძოლა მიმდინარეობდა მათ შორის, ვინც პოლიტიკურ საკითხებს უმთავრესად მიიჩნევდა და მათ შორის, ვინც უმთავრესად თვლიდა ეკონომიკურ საკითხებს. როდესაც პროფკავშირული მოძრაობა კონსოლიდირებული იყო „კორპორატიული გაერთიანებების“ ( იაპონ. 企業組合 Kigyō kumiai, ინგლ. „enterprise unions“) საფუძველზე, რომელიც ინკორპორირებდა (რიცხავდა/იღებდა/აერთიანებდა) ფირმის ყველა თანამშრომელს ერთიან კავშირში (a single union), დომინირებდა „იაპონური სტილის პროფკავშირული პრინციპები“ (the principles of Japanese-style unionism), რაც ხაზს უსვამდა ეკონომიკური საკითხების პირველობას. 1955 წელს დაიწყო ეგრეთწოდებული საგაზაფხულო შეტევითი ოპერაციები (იაპონ. 春闘 Shuntō, ინგლ. spring wage offensive, ან Spring Offensives, ვრცლად Japanese Labor's Spring Wage Offensive), რამაც ხელი შეუწყო ხელფასების გაზრდაზე დამყარებული პრაქტიკის უპირობო დაცვისკენ მიდრეკილ მოლაპარაკებებს.

## დასკვნითი ნაწილი

ოკუპაციამ (the Occupation) და მისმა პოლიტიკამ ირიბი გავლენა მოახდინა ეკონომიკაზეც. პირველი, ომში დამარცხებამ დაასრულა იაპონიის მცდელობები, გაეზარდა თავისი ეკონომიკური უპირატესობა ომისა და სამხედრო საშუალებებით. პირიქით, ამერიკული „ბირთვული ქოლგის“ („nuclear umbrella“) მფარველობით იაპონიას არ სჭირდებოდა ბევრი

ხარჯის გაღება თავდაცვაზე და, ასე რომ, კაპიტალი, ადამიანური რესურსები და ადამიანური ენერჯია შეიძლებოდა უფრო ეფექტურ საქმიანობაში გადადენილიყო. მეორე, ამერიკული ოკუპაციის დროს იაპონელებმა პირველად დაამყარეს კონტაქტი უცხო ქვეყანასთან და ბევრად უფრო მეტმა იაპონელმა, ვიდრე ოდესმე, შეძლო უშუალოდ ეხილა ამერიკული ცხოვრების მაღალი დონე (the high American standard of living) და ეფექტური ორგანიზაციული მეთოდები (the efficient organizational methods), რომლებიც მხარს უჭერდა მას. საბოლოოდ, ოკუპაციამ (the Occupation) ცვლილება მოიტანა იაპონიის ელიტაშიც. ომისშემდგომი დაბნეულობის ფონზე, ახალმა ლიდერებმა პოლიტიკაში, ბიზნესსა და ბიუროკრატიაში საკუთარი ძალისხმევა მიმართეს ძლიერი ეკონომიკის აღდგენისკენ.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. Dower, John W. [1999], *Embracing Defeat: Japan in the Wake of World War II*, Norton, p. 206.
2. Dore, R. P. [1959], *Land Reform in Japan*. London: Oxford University Press.
3. Eleanor M. Hadley. [1959], *Antitrust in Japan*. Princeton, N.J.: Princeton University Press.

*Vasil Khizanishvili*

### POST-WAR TRANSFORMATION OF JAPAN UNDER THE CONDITIONS OF OCCUPATION

#### Abstract

The transformation of Japan's postwar economy took place against the background of a democratization reform program promoted (along with the Allies) by the American Occupation forces. Three economic reforms were of particular importance in this phase of transformation: land reform, dissolution of the zaibatsu, and labor reform.

After the first *land reform* carried out in the fall of 1945, which required certain changes, at the request and support of the American Occupation forces (which was expressed in a memorandum on *land reform* sent to the Japanese government on December 9, 1945, and which called for more extensive changes) was realized the so-called the second *land reform* on October 21, 1946. “The Law for the Special Establishment of Independent Cultivators” provided to purchase for all the land plots owned by absentee landlords by the government; to limit for the land of non-cultivating resident landlords to less than one chōbu; to determine the land area of land owners-cultivators to three chōbu; and the (re)sale of land purchased by the government on tenant farmers. Because the real price of land fell sharply as a result of inflation, land reform was almost equivalent to confiscation. As a result of the reform, tenanted land was reduced to only 10 percent of agricultural land; the tenants' rent became negotiable; and tenant disputes disappeared. The farmers became more willing to work; the farming villages became more politically stable; and agriculture developed with the help of government price supports and investment in infrastructure.

In October 1945 the Occupying Forces decided to dissolve the head offices (honsha) of the zaibatsu holding companies and in April 1946 established a committee to reorganize the holding companies. The zaibatsu's head offices may have disappeared, but the enterprises were reconcentrated into “enterprise groups” (keiretsu), centering on banks, through mutual stockholding and financing. Critics often referred to this as the “revival of the zaibatsu.” The dissolution of the zaibatsu and the abolition of concentration permanently affected the economy. The concentration of production, which had been reduced by the antizaibatsu legislation, was further diluted as a result of high growth. The competition among enterprises became livelier. Industrial firms not affiliated with the prewar zaibatsu expanded into large enterprises because of opportunities for new entry and enlargement of scale. It can be said that this competitive industrial structure developed as a result of the postwar dissolution of the zaibatsu and the abolition of concentration.

In December 1945, according to the American Wagner Act, the Labor Union Law was published, thereby had been recognized the right of workers to organize and bargain collectively; Trade union activity was exempted from civil law and defined as unfair labor practices. The Labor Relations Adjustment Law of September 1946 was defined the limits of strike behavior and established procedures for the settlement of labor disputes, and the Labor Standards Act of April 1947 ensured improved working conditions. These three laws, but especially the Labor Union Law, stimulated labor union activity.

The indirect effects of the Occupation and its policy on the Japanese economy were impressive, as the defeated country achieved an incredibly large economic advantage around the world.

## ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში აშშ-ის გამოცდილება

**ანოტაცია.** ნაშრომში გაანალიზებულია ქვეყნის გარე სამყაროს დაბინძურების ფაქტორები, მათი ადგილი და როლი ეკოსისტემის გაუარესებაში. მასში დეტალურადაა გაშუქებული აშშ-ში ეკოლოგიური მოძრაობის ძირითადი ეტაპები და მიმართულებები, მათი დამახასიათებელი ნიშნები და თავისებურებები. ნაშრომში კვლევის შედეგად გამოვლენილია გარე სამყაროს დაბინძურებასთან ბრძოლაში მიღწეული წარმატებები და ამ მიმართულებით ჯერ-კიდევ არსებული პრობლემები და გამოწვევები, მათი გადაჭრის გზები და საშუალებები. ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ ქვეყნის ეკოლოგიური პრობლემების დაძლევაში, ეკონომიკურ-სამართლებრივი პრობლემების გადაჭრასთან ერთად, საჭიროა მისი ეკონომიკის ისეთ დონეზე გადაყვანა, სადაც უფრო ფართოდ იქნება გამოყენებული უახლესი ინოვაციური ტექნოლოგიები, რაც სათანადო პირობებს შექმნის გარემოს დაბინძურების შემცირებისა და მისი გაჯანსაღებისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** გარემოს დაბინძურება, ეკოლოგიური პრობლემები, სამრეწველო და სამომხმარებლო ნარჩენები, სითბური ეფექტი, სატრანსპორტო და სამრეწველო გამონაბოლქვი.

ამერიკის შეერთებულ შტატებს, სხვა ქვეყნებთან შედარებით, უკავია ჩრდილოეთ ამერიკის მატერიკის დიდი ნაწილი, აქვს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივ-კლიმატური პირობები და მდიდარი ბუნებრივი რესურსები.

ქვეყნის წიაღისეული სიმდიდრის სიუხვე, ერთი მხრივ, ხელსაყრელ პირობებს ქმნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, მათი მაღალი ტემპებით ზრდას შედეგად მოსდევს ბუნებრივი გარემოს დაბინძურება, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება. თანამედროვე ეტაპზე აშშ-ის ძირითადი ეკოლოგიური პრობლემებია:

1. ჰაერის დაბინძურება;
2. წყლის ხარისხის გაუარესება;
3. მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოცულობის ზრდა;
4. სითბური ეფექტის გაძლიერება;

გარემოს დაბინძურების აქ ჩამოთვლილი ასპექტები, პირდაპირი შედეგია დედამიწის ეკოსისტემაში ადამიანის უშუალო ჩარევისა. ყველა ისინი, ერთად აღებული, მნიშვნელოვნად აუარესებენ თითოეული ადამიანისა და მთელი საზოგადოების ცხოვრების ხარისხს, იწვევენ უარყოფით გლობალურ შედეგებს პლანეტის მასშტაბით.

**ატმოსფეროს გაჭუჭყიანება (ჰაერის დაბინძურება)** აშშ-ის ერთ-ერთი მთავარი ეკოლოგიური პრობლემაა, რომლის ძირითადი წყაროა სატრანსპორტო საშუალებებისა და მრეწველობის ინტენსიური განვითარება. აშშ-ს ლიდერი ქვეყნის პოზიცია უკავია მსოფლიოში საავტომობილო, გემებისა და მანქანათმშენებლობის, სამთო, ქიმიური, ელექტრონული, ფარმაცევტული, კვებისა და მრეწველობის სხვა დარგებში, რაც დიდ გავლენას ახდენს გარემო პირობების გაუარესებაზე. დიდი ოდენობით სამრეწველო ნარჩენები და სატრანსპორტო გამონაბოლქვი შეიცავს მომწამვლელ ნივთიერებებს, რომლთაგან გაწმენდა ყოველთვის არ ხერხდება დასაშვები კონცენტრაციის დონემდე, რის გამოც ადამიანი იძულებული ხდება ისუნთქოს გოგირდით, ტყვიით, თუთიითა და სხვა ტოქსიკური ნივთიერებებით გაჯერებული ჰაერი, რაც იწვევს სხვადასხვა სახის დაავადებების გავრცელებას.

ქვეყანაში კვლავ მწვავე პრობლემად რჩება **წყლის სისტემის დაბინძურება**. აშშ-ში სასმელი წყლის დანახარჯი ყოველწლიურად შეადგენს 0,5 ტონლ კუბომეტრს, წყლის უმსხვილესი მომხმარებელია, აგრეთვე, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და კომუნალური მეურნეობა, რომელთა საქმიანობის შედეგად ჩრდილოეთ ამერიკის წყალსადენების 120 ათას კმ-ზე მეტი დაბინძურებულია [7].

ისე როგორც მთელ მსოფლიოში, აშშ-იც სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოები განლაგებულია მდინარეებისა და წყლის აუზების მახლობლად, რის გამოც ისინი გვევლინებიან წყლის რესურსების დაბინძურების ძირითად წყაროდ. მაგალითისთვის, ნავთობგადამამუშავებელი ან მეტალურგიული ქარხანა გამოყენებულ წყალს გაფილტვრის შემდეგ უკანვე აბრუნებს წყალსატევში, მაგრამ იმის გამო, რომ ჩამდინარე წყლის გაფილტვრის ხარისხი ყოველთვის არ შეესაბამება დასაშვებ ნორმებსა და სტანდარტებს, ეკოლოგიურ ნორმებსა და მოთხოვნებს, ხდება დიდი ზომით წყალსატევებისა და მდინარეების დაბინძურება. ამის თვალსაჩინო მაგალითია ჩრდილოეთ ამერიკის ხუთი დიდი ტბის რეგიონი, რომელიც ითვლება ქვეყნის ყველაზე დაბინძურებულ წყალსატევადა [7]. შეიმჩნევა საზღვაო გარემო პირობების გაუარესება შლეიფის ზონაში ნავთობისა და გაზის მოპოვების გამო. ასეთ ადგილებსა და დიდი ქარხნების გარშემო წყალსატევებში იღუპება ცოცხალი ორგანიზმები, რის გამოც ამ ადგილებში თევზის ბევრი სახეობა გაქრა და შეწყვიტა არსებობა.

აშშ-ში ძალზე მწვავედ დგას **მყარი ნარჩენების** გადაყრის პრობლემა. ამერიკის უმსხვილეს მეგაპოლისებს ნაგავსაყრელებზე გააქვთ ათასობით ტონა მყარი ნარჩენი – პლასტმასის, მინის, მეტალის, ქსოვილების, ქაღალდის, ცელოფანის პარკების, სამშენებლო და სარემონტო ნაგვის, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და სხვათა სახით. ქვეყანაში მყარი ნარჩენებისა და ნაგვის რაოდენობა მოსახლეობის ერთ სულზე წელიწადში შეადგენს 760 კგ-ს, რაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში [6]. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ისიც, რომ მათი მხოლოდ მცირე ნაწილი ექვემდებარება სამრეწველო გადამამუშავებას და ისიც მაშინ, თუ ნაგავსაყრელი ძალზე დიდი მანძილითაა დაშორებული საქალაქო ცენტრებიდან. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მყარი ნარჩენების გარკვეული ნაწილი გადაიყრება მათთვის არაგანკუთვნილ ადგილებში, ეს კიდევ უფრო ამწვავებს ქვეყნის ეკოლოგიური დაბინძურების პრობლემებს.

გარემო პირობებზე დიდ უარყოფით გავლენას ახდენს **სითბური ეფექტიც**, რომელიც წარმოიქმნება ენერგეტიკული საწარმოების საქმიანობითა და სათბური გაზების გამოყენებით. სადღეისოდ აშშ-ის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს დაახლოებით 2500 თბოელექტროსადგური, 250-ზე მეტი სანავთობო და 150 ფოლადჩამომსხმელი ქარხანა, ასობით ცელულოზის კომბინატი, რომელთაც აქვთ მასიური თბური გაჟონვები [8]. ამას ემატება ისიც, რომ აშშ არის ატომური ელექტროსადგურების რაოდენობის მიხედვით მსოფლიოში ლიდერი ქვეყანა. ასეთ სადგურებზე, იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება ავარიები, რომელთაგან აღსანიშნავია 1979 წელს ტრი-მაილ-აილენდის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ინციდენტი, რომელსაც, მართალია არ ჰქონდა ჩერნობილისა და ფუკუსიმის მასშტაბები, მაგრამ მან ქვეყანას ნათლად დაანახა, რომ საჭიროა მომავალში ყურადღების გამახვილება არა ატომურ ელექტროსადგურებზე, არამედ უფრო მეტად ქარის, მზისა და ენერჯის მიღების სხვა ეკოლოგიურ მეთოდებზე.

სითბური ეფექტის შედეგად მნიშვნელოვნად ირღვევა ჩვენს პლანეტაზე წყლისა და ჰაერის ენერგეტიკული ბალანსი. ეს კი საბოლოო ჯამში იწვევს გლობალურ დათბობასა და კლიმატური პირობების არსებით ცვლილებებს, რასაც ხშირად თან სდევს დამანგრეველი ეკოლოგიური და ეკონომიკური შედეგები.

ბუნებრივი გარემო პირობების დაცვის სფეროში ამერიკამ განვლო საკმად ვრცელი და დიდი გზა – ცალკეული სამართლებრივი ნორმატიული აქტებიდან, ურთიერთდამოკიდებულ მრავალდონიან კანონთა სისტემის შექმნამდე. გარემო პირობების დაცვის სფეროში ეროვნული პოლიტიკის შესახებ პირველი სამართლებრივი აქტი გამოიცა პრეზიდენტ რ. ნიქსონის მიერ 1969 წელს, რომლითაც გარემოს დაცვის ფედერალური სამსახურის უწყებას დაეკისრა ეკოლოგიური სტანდარტებისა და ეკოპოლიტიკის შემუშავება და მის რეალიზაციაზე კონტროლი, ბუნებრივ გარემოზე სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედების წინასწარი შეფასება და ბუნებისდაცვითი საქმიანობის გრძელვადიანი პროგრამირება. ამ აქტის გაგრძელება და დაზუსტება იყო 1970 წელს გამოცემული მომდევნო აქტი გარემოს ხარისხის გაუმჯობესების შესახებ. საკანონმდებლო აქტებს შორის ძალზე მნიშვნელოვანია: აქტი სუფთა წყლის შესახებ; აქტი სუფთა ჰაერის შესახებ; აქტი რესურსების დაცვისა და აღდგენის შესახებ; აქტი მომწამვლელ ნივთიერებათა შესახებ და სხვ. [9].

აშშ-ში სახელმწიფო ეკოლოგიური რეგულირება ხორციელდება ფედერალურ და რეგიონულ დონეზე. აშშ-ის კონსტიტუცია არის ქვეყნის ეკოლოგიური კანონმდებლობის საფუძველი, რომელიც მოიცავს ფედერალურ და საშტატო კანონებს, რომლებიც წარმოდგენილია სამ ძირითად ჯგუფად:

1. ბუნებრივი გარემოს ცალკეული ელემენტების დაბინძურების გამაფრთხილებელი კანონები;

2. ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის კანონები;

3. განსაკუთრებით ფასეული ბუნებრივი ობიექტების დაცვის კანონები.

აშშ-ის კონგრესი იხილავს და ამტკიცებს ბუნებისდაცვითი საქმიანობის სფეროში კანონპროექტებს, ისმენს და აკონტროლებს ეკოლოგიური კანონმდებლობის ცალკეული ასპექტების შესრულების მიმდინარეობას, ამტკიცებს ეკოლოგიის სფეროში დაფინანსების პროგრამებს. 1970 წლიდან აშშ-ის აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში მოქმედებს გარემოს დაცვის ხარისხისა და ეროვნული პროგრამების კოორდინაციის საბჭო და გარემოს დაცვის სააგენტო, რომლის ძირითადი ფუნქციებია გარემოს დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელება, ფედერალური სახელმწიფო პროგრამების, ატმოსფერული ჰაერისა და წყლის სამეცნიერო-პრაქტიკული დაცვის ორგანიზაციის ღონისძიებათა შეფასება; ხმაურთან, რადიაციასა და პესტიციდებთან ბრძოლის ღონისძიებათა კონტროლი. მის შემადგენლობაში შედის, ცენტრალურ ფედერალურ აპარატთან ერთად ქვეყნის 10 უმსხვილეს ქალაქში არსებული რეგიონული განყოფილება ცალკეულ შტატებში არსებული სააგენტოებით.

ამასთან ერთად, **შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში** მოქმედებს მიწების მართვის ბიურო, ეროვნული პარკების, მიწების, თევზებისა და გარეული ცხოველების დაცვისა და მართვის ბიუროები; **სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურაში** – ნიადაგის დაცვისა და ტყის სამსახურები; **ვაჭრობის სამინისტროში** – ეროვნული საოკეანო და ატმოსფერული ადმინისტრაცია, რომელშიც შედის ზღვის თევზების რესურსების სამსახური და სანაპირო ზონის მართვის განყოფილება; **იუსტიციის სამინისტროს სისტემაში** – ატომური მარეგულირებელი კომისია, მიწებისა და აშშ-ის ბუნებრივი რესურსების სამმართველო. ამასთან ერთად საჭიროების შემთხვევაში გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად შეიძლება ჩართულ იქნეს ქვეყნის შეიარაღებული ძალები. ადგილობრივ დონეზე ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეკისრება ჯანდაცვის, კომუნალური მეურნეობის, სატრანსპორტო და საპოლიციო ორგანოებს [20].

აშშ სამართლიანად ითვლება მსოფლიოში ეკოლოგიური მოძრაობის პიონერ ქვეყნად, სადაც შეიძლება გამოიყოს მისი რამდენიმე ძირითადი ეტაპი:

1. **ეკოლოგიური მოძრაობის დაწყებისა და აღმავლობის პერიოდი (1960-70 წწ.)** ორი ძირითადი დამახასიათებელი კონცეფციით: **პირველი**, გულისხმობდა გარემოს მართვაში სახელმწიფოს როლის მინიმუმამდე დაყვანას და, შესაბამისად, საბაზრო მექანიზმების გაძლიერებას, გარემოს დაცვის სფეროში მეწარმეების პასუხისმგებლობისა და ფინანსური დაინტერესების ზრდას. **მეორე**, პირიქით, სახელმწიფოს თვლიდა ბუნებრივი გარემოს დაცვის მთავარ ინსტრუმენტად, რომელსაც უნდა უზრუნველყო ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ეკოლოგიურ დაცვას შორის წინააღმდეგობის აღმოფხვრა.

2. **80-90-იანი წლების დასაწყისის პერიოდი**, რომელიც ხასიათდება ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების საქმეში, ადგილობრივი და ცენტრალური ორგანოების ბალანსირებული მონაწილეობის პირობებში, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების როლის გაფართოებით. ამ ეტაპზე გარემოს დაცვის სფეროში განხორციელდა 3 ძირითადი პროგრამა:

- **მოხალისეთა პროგრამა**, რომელიც ეფუძნებოდა გარემოს დაბინძურებაზე საზოგადოებრივი აზრის მორალური გავლენის გამოყენებას, რომელიც აღმოჩნდა ძალზე ეფექტიანი დაბინძურებული ჩამდინარე წყლების შემცირებასა და მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების ორგანიზაციაში;

- ეკონომიკური რეგულირების ადმინისტრაციული პროგრამა გულისხმობდა დაბინძურებელი ნივთიერების გადანაყარის (გამონაბოლქვის) ზღვრული ნორმების დაწესებას სამრეწველო საწარმოებისა და ავტოტრანსპორტისთვის;

- ეკონომიკური მექანიზმები მოიცავდა საფასო და ფისკალური პოლიტიკის (დაბინძურებაზე უფლების გაყიდვა) ინსტრუმენტებს და ეკოლოგიური პროგრამების სახელმწიფო სუბსიდირებას.

3. **გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება მესამე ეტაპი**, რომლის განმსაზღვრელია გარემოს დაბინძურების კონტროლიდან, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, მისი თავიდან აცილების პოლიტიკაზე გადასვლა. აქამდე თუ ამ პროცესში მთავარი როლი საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ეკუთვნოდა, ახლა იგი ძირითადად სახელმწიფოს დაეკისრა. ამასთან, ამ საქმეში ჩართულ იქნა კერძო მეწარმეობაც.

სავსებით სწორად გავრცელდა აზრი ამერიკელთა შორის იმის შესახებ, რომ ამერიკა არის მსოფლიოში ლიდერი ქვეყანა გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლაში. ცხადია, მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონიდან გამომდინარე, აშშ გვევლინება სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ყველაზე მსხვილ მწარმოებელ, მომხმარებელ და, შესაბამისად, ყველაზე დიდი ნარჩენების მქონე ქვეყნად მთელ მსოფლიოში. სამწუხაროდ, მათი გადამუშავების დონე ქვეყანაში ჯერ კიდევ დაბალია და საგრძნობლად ჩამორჩება გერმანიისა და იაპონიის ანალოგიურ მაჩვენებლებს [9].

აშშ-ში გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლაში, დაბეგვრის სისტემასთან ერთად, დიდ როლს ასრულებს დასაშვები დაბინძურების ნებართვების (კვოტების) გაცემის სისტემა, რომელთა დაუცველობის შემთხვევაში კომპანიები მკაცრად ჯარიმდებიან გადაჭარბების პროპორციულად. ამასთან ერთად არსებობს კომპანიებს შორის ამ კვოტებით ვაჭრობის სისტემა, ანუ ვისი ემისიებიც უფრო დაბალია დასაშვებთან შედარებით ან ვინც მზად არის შეამციროს ეს ნარჩენები. გარემოს დაბინძურების შემცირების შესაძლებელი პოტენციალის გამოყენების კვოტირების უფლების შემუშავების მექანიზმმა შესაძლებლობა მისცა ამ სფეროს მკვლევრებსა და ექსპერტებს გაეკეთებინათ დასკვნა, რომ ეს ამერიკული მოდელი შეიძლება გავრცელდეს სხვა ქვეყნებშიც, საერთაშორისო მასშტაბით.

აშშ-ის საერთაშორისო ეკოლოგიური უსაფრთხოების მდგომარეობაში შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი მიმართულება: **პირველი** მათგანის არსი მდგომარეობს გამწვავებული ეკოლოგიური კრიზისისა და პლანეტის სიცოცხლის შემანარჩუნებელი სისტემის ნგრევის ბლოკირებაში. ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწეების ყურადღების ცენტრში დგას წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნებისა და განვითარებადი ქვეყნების ურთიერთობები;

**მეორე მიმართულება** ორიენტირებულია პლანეტის არასახმელეთო რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე, სადაც ყურადღების ცენტრში დგას მსოფლიოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფა, განახლებადი რესურსების შექმნის სისტემებისა და მექანიზმების დამუშავება და მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება, აგრეთვე, ბუნებრივ სისტემებზე ანტროპოგენური დატვირთვის შემცირება;

**მესამე მიმართულება** გამიზნულია გარემოს დაცვის სფეროში მსოფლიო საზოგადოების ძალისხმევით ეფექტიანობის ამაღლებაზე, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ორი ასპექტი: საერთაშორისო ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მექანიზმების სრულყოფა და ეკოლოგიური პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციებში წარმომადგენლობის ცვლილებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს მუშაობაში არასამთავრობო გაერთიანებების, ადგილობრივი თემებისა და ცალკეული მოქალაქეების აქტიური მონაწილეობის ხარჯზე. ნავარაუდევია, რომ ამ გზით უფრო ადვილად მიიღწევა ეკოლოგიური უსაფრთხოება, ვიდრე ტრადიციული სახელშეკრულებო-სამართლებრივი პროცედურებით.

ამერიკელები საჭიროდ მიიჩნევენ განვითარებული ქვეყნების მონაწილეობის გააქტიურებას ბუნების დაცვის საერთაშორისო პროექტებში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეროვნულ ბალანსებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულეებზე, დაბლობებსა და ტყეებში სამრეწველო ნარჩენებისა და სხვა მომწამვლელი ნივთიერებების აღრიცხვასა და მათ შემცირებას, რამდენადაც ყველაზე მეტად ისინი ითვლებიან ნახშირბადისა და სხვა მავნე

ნივთიერებების შთანთქმელებად. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ თანამედროვე სიტუაციაში, აშშ-ში ენერჯის დეფიციტის შევსებას ცდილობენ არა ტექნიკური სიახლეების, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიის გამოყენებით, არამედ უფრო მეტად – ენერგომატარებლების მოპოვების ზრდის ხარჯზე.

აშშ-ში ერთ-ერთ მწვავე პრობლემად ითვლება კლიმატის მკვეთრი ცვლილება, რომელიც ბოლო დროს ფართო დებატების საგნად იქცა. საქმე იმაშია, რომ ქვეყანაში არსებობს მძლავრი ჯგუფი, რომელიც ეწინააღმდეგება ქვეყნის მიერ სამრეწველო ნარჩენებისა და ნახშირბადის შემცველი გამონახოლქვის შემცირების ვალდებულებების აღებას და, რომელიც სარგებლობს დიდი გავლენით ფედერალურ დონეზე. იმავდროულად, ქვეყანაში არის მცდელობა ალტერნატიული რეგულირების საერთაშორისო მექანიზმის შექმნისა, სადაც სათანადოდ ისახება ქვეყნის ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემები, დაბალანსებული ეროვნული ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესები.

**დასკვნა.** აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პირობებში აშშ-ს აქვს სერიოზული მიღწევები გარე სამყაროს დაბინძურებასთან ბრძოლისა და ქვეყნის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში. ამასთან, სადღეისოდ ამ მხრივ ქვეყნის წინაშე დგას მრავალი მწვავე პრობლემა, რომელთა გადასაჭრელად, მათი დაძლევის ეკონომიკურ-სამართლებრივი მექანიზმების სრულყოფასთან ერთად, აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ისეთ დონეზე გადაყვანა, სადაც უფრო ფართოდ იქნება გამოყენებული ინოვაციური ტექნოლოგიები, რაც სათანადო პირობებს შექმნის სამრეწველო ნარჩენების გადამუშავების გაფართოებისა და ამ გზით მათი გადანაყარებისა და სატრანსპორტო გამონახოლქვის შემცირების, ბიოსფეროს დაბინძურებისგან დაცვისა და გაჯანსაღებისთვის.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ВВП стран мира: доля стран в мировом ВВП <https://fingeni.com/vvp-stran-mira-dolya-stran-v-mirovom-vvp/>
2. Международная торговля США [https://studme.org/54510/ekonomika/mezhdunarodnaya\\_torgovlya\\_ssha](https://studme.org/54510/ekonomika/mezhdunarodnaya_torgovlya_ssha)
7. От каких экологических проблем страдает США <https://musorniy.ru/ot-kakih-ekologicheskikh-problem-stradaet-ssha>
8. Промышленность США [https://ru.wikipedia.org/wiki/Промышленность\\_США](https://ru.wikipedia.org/wiki/Промышленность_США)
9. Сельское хозяйство США <https://geographyofrussia.com/selskoe-xozyajstvo-ssha/>
10. Экологические проблемы США <https://ecoportal.info/ekologicheskie-problemy-ssha>
11. Экологические проблемы США и пути их решения <https://ecologanna.ru/ekologicheskie-problemy/ekologicheskie-problemy-ssha>
12. Экологическая политика США <https://works.doklad.ru/view/pp-RrWIHUKI.html>
13. Экологическая политика США и Канады [txb.ru/23/18.html](http://txb.ru/23/18.html)

*Revaz Javakhishvili*

*Lina Datunashvili*

#### THE US EXPERIENCE IN ENVIRONMENTAL SECURITY

##### Abstract

Today, the main environmental problems of the USA are: air pollution, deterioration of water quality, increase in the volume of solid industrial and consumer waste and strengthening of the heat effect. The paper analyzes the factors of deterioration of the country's ecological condition, their place and role in environmental pollution and deterioration of the ecosystem. It covers in detail the main stages and directions of the environmental movement in the USA.

As a result of research in the work, the conclusion is made that at the modern stage, the USA has made serious achievements in the field of fighting environmental pollution and ensuring the ecological security of the country. However, in this regard, it has many challenges and problems, to overcome which it is necessary to move the country's economy to a level where the latest innovative technologies will be more widely used, which will create appropriate conditions for expanding the processing of industrial and consumer waste, reducing industrial and transport emissions, protecting the biosphere. and for healing.



# დემოგრაფიის, სოციოლოგიისა და შრომის ეკონომიკის სექტორი SECTOR OF DEMOGRAPHY, SOCIOLOGY AND LABOUR ECONOMICS

ლელო მენაბდიშვილი

დემოგრაფიული კრიზისი საქართველოში და მოსახლეობის თვალსაზრისი  
მისი დაძლევის გზების შესახებ

**ანოტაცია.** წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია გაგვაცნოს ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული ვითარების ზოგადი სურათი; სოციოლოგიურ გამოკვლევებზე დაყრდნობით დაგვანახოს, რამდენადაა ქვეყნის მოსახლეობა გაცნობიერებული ამ საკითხში, როგორ აფასებს დემოგრაფიული ცვლილებების ისეთ კომპონენტებს, როგორცაა შობადობა და მიგრაცია; რაში ხედავს ქვეყნის დემოგრაფიული კრიზისის დაძლევის გზას. რესპონდენტებად შერჩეული იყო ფერტილური ასაკის, უმაღლესი განათლების მქონე დასაქმებული და დაოჯახებული პირები. გამოკვლევის შედეგების მიხედვით რესპონდენტებმა გამოავლინეს ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის კარგი ცოდნა და ინტერესი. ნაშრომში უხვადაა მოტანილი ის რეკომენდაციები და მოსაზრებები, რომელთა განხორციელებაც დაეხმარება ქვეყანას დემოგრაფიული კრიზისის დაძლევაში.

**საკვანძო სიტყვები:** დემოგრაფიული კრიზისი, შობადობა, მიგრაცია.

**შესავალი.** დღეს მსოფლიოს წინაშე მრავალი გლობალური პრობლემა დგას, რომელთა შორის ერთ-ერთია დემოგრაფიული პრობლემა. საქართველოც იმ ქვეყნების რიცხვშია, რომელთაც მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობა აქვს. ქვეყანაში დემოგრაფიული ვითარების გაუარესება XX საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება, 90-იანი წლებიდან კი შედეგად ვიღებთ დემოგრაფიულ კრიზისს.

დემოგრაფიული კრიზისი უამრავ შეკითხვას ბადებს როგორც მეცნიერ-დემოგრაფთა, ისე ფართო საზოგადოების წინაშე. რა თქმა უნდა, თუ ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს როგორი იქნება ჩვენი ქვეყანა ასი, ორასი ან, თუნდაც, საუკუნეების შემდეგ, კიდევ იქნება თუ არა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობაში მისი მკვიდრი ერი, ქართველები? თუ საქართველო იქნება ქართველების გარეშე, უცხო ტომებით დასახლებული ქვეყანა?

ნებისმიერი ქვეყნისთვის დემოგრაფიული საკითხები ყოველთვის გადამწყვეტი იყო და იქნება. საქართველოს მომავლისთვის უმნიშვნელოვანესი და ტრაგიკულია ის ფაქტი, რომ ჩვენი მოსახლეობა თანდათან მცირდება და ქართველი ერი გაქრობის წინაშე დგას. ამ ფონზე მნიშვნელობას კარგავს ის, რომ უძველესი და მდიდარი კულტურის მქონე ერი ვართ, რომ კონკურენტუნარიანია ჩვენი უნარებისა და ცოდნის დონე. საქართველოს მძიმე დემოგრაფიულ ვითარებაზე მხოლოდ ქართველი მეცნიერ-დემოგრაფები არ ამახვილებენ ყურადღებას. გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდის მიერ გაკეთებული პროგნოზით საქართველოს 2050 წლისათვის დემოგრაფიული კატასტროფა ემუქრება. გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემათა განყოფილების მიერ ჩატარებული კვლევით 2025 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა 3 917 000-მდე, ხოლო 2050 წლისათვის 2 985 000-მდე შემცირდება. საქსტატის მონაცემების მიხედვით საქართველოს მოსახლეობა 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 3 688 600, რაც, დამეთანხმებით, იმაზე ნაკლებია, რასაც გაერო 2025 წლისათვის პროგნოზირებდა. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერამ აჩვენა, რომ ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა (3 713 800) მაშინაც ჩამორჩებოდა გაეროს მიერ 2025 წლისთვის გაკეთებულ პროგნოზს. ქვეყანაში მოსახლეობის კლება თუ ამ ტემპით გაგარძელებდა, 2050 წლისთვის საქართველოში მოსახლეობა იმაზე ბევრად ნაკლები იქნება, ვიდრე გამოთვლილი იყო და ქვეყნის დემოგრაფიული კატასტროფაც გარდაუვალი იქნება.

დემოგრაფიული ვითარების გაუარესების თვალსაზრისით განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა რეგიონებში. რიგ რეგიონში უკვე წლებია დეპოპულაცია მიმდინარეობს. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით გაუკაცრიელებულია 223 სოფელი. მათ

გაუკაცრიელებას დიდი დრო არ დასჭირვებია, ეს პროცესი 2002 -2014 წლების მონაკვეთში მოხდა.

ყველასთვის ცნობილია, რომ „დემოს“ ხალხს ნიშნავს, დემოგრაფია კი ა. გიარის განმარტებით არის „ადამიანთა მოდემის ბუნებრივი და სოციალური ისტორია“ [სულაბერიძე ა., 2007. 7], ამიტომ მართებულია, დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარი ქვეყნისათვის მისი მკვიდრი მოსახლეობის აზრის შესწავლა – გააზრებული აქვს თუ არა ჩვენს საზოგადოებას საქართველოს მძიმე დემოგრაფიული ვითარება, რას ფიქრობენ ამის შესახებ და რა არის, მათი აზრით, გამოსავალი ამ რთული სიტუაციიდან? სწორედ ამ მიზნით 2022 წლის ივნის-ივლისის თვეში ჩავატარეთ თვისებრივი კვლევა ფერტილური ასაკის, უმაღლესი განათლების მქონე დაოჯახებულ, დასაქმებულ რესპონდენტებში. ნაშრომში წარმოდგენილია ამ კვლევის ზოგიერთი შედეგი.

**ძირითადი ნაწილი.** დემოგრაფიულ ცვლილებებს სამი კომპონენტი განსაზღვრავს: შობადობის დონე, სიკვდილიანობის დონე და მიგრაცია. სამივე ერთად მოსახლეობის სტრუქტურას ქმნის და მის განვითარებას განაპირობებს. საქართველოში შობადობის დონე ყოველწლიურად იკლებს. თუ 2014 წელს შობადობის კოეფიციენტი 1 000 კაცზე შეადგენდა 16,3-ს, 2021 წლისთვის ეს მაჩვენებელი 12,4 გახდა. რუსმა დემოგრაფმა ვ. ბორისოვმა გამოიანგარიშა მოსახლეობის მხოლოდ მარტივი აღწარმოებისათვის საჭირო ბავშვთა რაოდენობა და დაადგინა, რომ ერთ ეფექტურ ქორწინებაზე<sup>72</sup> საშუალოდ უნდა მოდიოდეს 2,6 ბავშვი, ხოლო გათხოვილმა ქალმა უნდა გააჩინოს საშუალოდ 2,15 ბავშვი. ეს არის საიმედო მაჩვენებელი ბავშვთა იმ რიცხვისათვის, რომელიც აუცილებელია დეპოპულაციის თავიდან ასაცილებლად. სინამდვილეში კი დაქორწინებულთა რაღაც ნაწილი მთელი ცხოვრება უნაყოფო რჩება. ამის საკომპენსაციოდ საჭიროა სამ და მეტბავშვიან ოჯახთა მეტი ხვედრითი წილი. მისი გაანგარიშებით, მოსახლეობის მხოლოდ მარტივი აღწარმოების შენარჩუნებისთვის აუცილებელია, რომ სამი და მეტბავშვიანი ოჯახები შეადგენდნენ საერთო რიცხვის ნახევარზე მეტს [ბორისოვი ვ., 1999, 257].

სოციოლოგიური გამოკვლევები ადასტურებენ, რომ მოსახლეობის დამოკიდებულება ოჯახში შვილთა ოპტიმალური რაოდენობის შესახებ განსხვავებულია. ეს ცვლილება დამოკიდებულია ცხოვრების პირობებზე, მეუღლეთა ჯანმრთელობაზე, მათ ასაკზე, დაქორწინების დროზე და ა.შ. გასათვალისწინებელია მეუღლეთა მორწმუნეობის ხარისხი, მათი აღმსარებლობა. მაგალითად, სოციოლოგიურმა გამოკვლევამ (2016 წელი) მართლმადიდებელ მორწმუნეებში აჩვენა, რომ მათთვის შვილთა ოპტიმალური რაოდენობა სამი და მეტი ბავშვია (3,32 ბავშვი). ამასთან, მათთვის შვილთა რიცხვი ოჯახში ითვლება უზენაესის ნების გამოვლინებად, რის გამოც ოჯახში შვილთა შობის დაგეგმვა არ ხდება. დაოჯახებული და დასაქმებული რესპონდენტების აზრით კი, ოჯახში შვილთა ოპტიმალური რაოდენობა შეადგენს 2,88 ბავშვს. ამ რესპონდენტებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც თვლიან, რომ ოჯახში შვილთა რაოდენობა დამოკიდებულია მეუღლეთა შესაძლებლობებზე. შვილთა მოსალოდნელი რაოდენობა მართლმადიდებელი მორწმუნეების ოჯახში შეადგენს 4,05 ბავშვს. მათ გამოავლინეს მრავალშვილიანობისაკენ გამოკვეთილი ტენდენცია, რასაც ვერ ვიტყვით დაოჯახებულ-დასაქმებულ რესპონდენტებზე, მათთან შვილთა მოსალოდნელი რაოდენობა 2,72 ბავშვია, თუმცა რესპონდენტთა გარკვეულ ნაწილს გაუჭირდა კიდევ მოსალოდნელ შვილთა რაოდენობის დასახელება. აღნიშნავდნენ, რომ შვილები კიდევ უნდოდათ, მაგრამ მათი რაოდენობა ბევრ რამეზე იყო დამოკიდებული. იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებსაც უკვე ჰყავთ სამი და მეტი შვილი, ან სურთ, რომ მომავალში იყოლიონ, 2,7-ჯერ ჩამორჩება იმათ, ვინც მცირეშვილიანობისკენაა (1-2 შვილი) მიდრეკილი.

ექსპერტ დემოგრაფთა (ა. სულაბერიძე, ა. თოთაძე...) აზრით, ქვეყნის დემოგრაფიული კრიზისის დაძლევის ერთ-ერთი გზა მინიმუმ სამი შვილის ყოლა და ოჯახის ტრადიციული მოდელის დაცვაა, თუმცა შვილების რაოდენობა მხოლოდ ოჯახის გადაწყვეტილებაზეა

<sup>72</sup> . ეფექტური ქორწინება გულისხმობს მთელი რეპროდუქციული პერიოდის განმავლობაში არსებულ და მთელი ამ ხნის განმავლობაში ნაყოფიერების უნარის მქონე ქორწინებას.

დამოკიდებული. ოჯახის სოციოლოგიის ერთ-ერთი წარმომადგენელი ა. ანტონოვი მიიჩნევს, რომ ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება წარმოადგენს ინდივიდის სოციალურ-ფსიქოლოგიურ თვისებას, რაც იმაში ვლინდება, რომ ბავშვის გარეშე და მათი სასურველი რაოდენობის გარეშე, ინდივიდი როგორც პიროვნება განიცდის დაბრკოლებას. ამის ნათელ დადასტურებად ჩაითვლება საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის 2007 წელს გაკეთებული მოწოდება, რომელსაც დღემდე აქვს გამოხმაურება და შედეგი. უკვე 66 ნათლობის შემდეგ მონათლა 45 381 ბავშვი, ოჯახების მესამე და მომდევნო შვილი. პატრიარქის მოწოდება ოჯახების გარკვეული ნაწილისთვის არის მოტივაცია ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. 2008 წლიდან მოყოლებული იზრდება მესამე და მომდევნო ბავშვის დაბადება და 2021 წელს მათი რაოდენობა 1,8-ჯერ მეტი გახდა, თუმცა ეს არ არის საკმარისი, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამ და მეტშვილიანი ოჯახები უნდა შეადგენდნენ ნახევარზე მეტს, რათა მოხდეს მოსახლეობის მხოლოდ მარტივი აღწარმოება.

რესპონდენტებს უნდა ეპასუხათ კითხვაზე: „თუ თქვენ გყავთ ან აპირებთ იმაზე ნაკლები ბავშვის ყოლას, ვიდრე გსურთ, მიუთითეთ რატომ?“ იმ რესპონდენტებმა, ვისაც არ ჰყავს სასურველი რაოდენობის შვილები, დაასახელა შემდეგი მიზეზები: „ბავშვების აღზრდის სიძნელე,“ „მატერიალური მდგომარეობა,“ „საკუთარი საცხოვრებელი ფართის არ ქონა,“ „უნაყოფობა“. რესპონდენტების მხრიდან ასევე დასახელდა ფინანსური პრობლემა, საბინაო პრობლემა, ბავშვების აღზრდის სიძნელე, ოჯახში ყოფნის დროის დეფიციტი, ზეგანაკვეთური სამუშაო გრაფიკი. ფაქტობრივად, აქაც გამოვლინდა ყველა ის პრობლემა, რომელიც, მათივე თქმით, ხელს უშლის სასურველი შვილების ყოლის შესაძლებლობას. თუ დავეყრდნობით ა. ანტონოვის ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას, ეს რესპონდენტები, იმის გამო რომ არ ჰყავთ შვილთა სასურველი რაოდენობა, განიცდიან დაბრკოლებას. იმ შემთხვევაში თუ მათთან მოხდება ამ დაბრკოლების აღმოფხვრა, ისინი შეძლებენ შვილთა სასურველი რაოდენობის რეალიზებას.

სოციოლოგიური გამოკვლევები მოწმობენ, რომ ქართველმა მოსახლეობამ იცის ქვეყნის დემოგრაფიული ვითარების შესახებ და ფიქრობენ ამ პრობლემის გადაჭრის გზებზე. მათი აზრით, გამოსავალია ახალგაზრდა ქართველების ოჯახის შექმნაზე დახმარება; ახალგაზრდა ოჯახების ხელშეწყობა, თუნდაც მათთვის იპოთეკური სესხების დაბალი პროცენტით გაცემა; ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების ვადის ორ წლამდე გაზრდა; დასაქმებული ორსულებისა და მცირეწლოვან ბავშვთა დედების ხელშეწყობა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის მხრიდან: სამუშაო საათების ერთი საათით შემცირება, დიდ ორგანიზაციებთან საბავშვო ოთხების მოწყობა, სადაც ბავშვების უსაფრთხოებასთან ერთად მშობლისთვისაც ადვილი იქნება მათი მიყვანა და წყვანა; მრავალშვილიანი ოჯახების არა მხოლოდ ფულადი დახმარება, არამედ სხვადასხვა სახის დახმარებები კეთილდღეობისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის; სრულწლოვანი შვილების დასაქმებაში ხელშეწყობა; ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება, გაიაფება და ა. შ.

რეპროდუქციული ჯანმრთელობა მნიშვნელოვანია შობადობის დონის ასამაღლებლად. რესპონდენტები თვლიან, რომ ამ კუთხითაც მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი, რადგან XXI საუკუნეში, მედიცინის განვითარების თანამედროვე პირობებში, კიდევ არის ორსულობის, მშობიარობისა და ლოგინობის ხანაში გარდაცვალების შემთხვევები. მათი აზრით, აუცილებელია რეპროდუქციული ჯანმრთელობა საყოველთაოდ ხელმისაწვდომი იყოს, აუცილებელია ყველა ორსულისათვის უსაფრთხო ორსულობისა და მშობიარობის უზრუნველყოფა სახელმწიფო დაფინანსებით.

დღეს მწვავედ დგას უშვილობის საკითხი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, თანამედროვე პირობებში დაქორწინებულთა 10-15% უნაყოფოა. ამასთან, ქალების უშვილობა 50-70%-ია, ხოლო მამაკაცების 30-50%. თითქმის იგივე მონაცემებია საქართველოშიც. აქ რეპროდუქციული ასაკის 35 000 უნაყოფო წყვილია [ვერულავა თ., 2015]. რესპონდენტები კარგად არიან ამ საკითხში ჩახედული. ზოგიერთი მათგანი ამ პრობლემის წინაშეც დგას. ისინი მიიჩნევენ, რომ აუცილებელია მედიცინის იმ დარგების განვითარება და დაფინანსება, რომლებიც რეპროდუქციული კუთხით მუშაობენ; უშვილო წყვილების დახმარება თანადაფინანსების დონეზე საჭირო მომსახურების მისაღებად.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მიგრაცია. საქართველოს მოსახლეობა არა მხოლოდ კლებით, არამედ დაბერების ტენდენციითაც ხასიათდება. აღწარმოების დონეზე მუდმივად დაბალი შობადობის მაჩვენებელი და მიგრაციის უარყოფითი სალდო მოსახლეობის დაბერებას და მის შემცირებას განაპირობებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის (UNPD) პროგნოზით 2030 წლისთვის 65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის წილი საქართველოში 19 პროცენტამდე გაიზრდება. ამასთან, მომდევნო ათწლეულებში მოსალოდნელია მოსახლეობის კლება და დაბერება. „საქსტატის“ მონაცემებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ 65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის წილი იზრდება. 2001 წელს მათი რაოდენობა მოსახლეობის 13,1 პროცენტი იყო, 2015 წელს მთელი მოსახლეობის 14,27 პროცენტი გახდა, ხოლო 2022 წელს — 15,46 პროცენტი. 21 წლის განმავლობაში 65+ ასაკის მოსახლეობის წილი გაიზარდა 7,5 პროცენტით. ამკარადაა გამოკვეთილი მოსახლეობის კლებისა და დაბერების ტენდენცია, რაც ჩვენნაირი მცირერიცხოვანი ერისთვის მეტად საშიში და საგანგაშო ფაქტია.

ქვეყნიდან გაედინებიან ძირითადად ფერტილური ასაკის (15-49 წელი) ადამიანები. ამან კი მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ახალგაზრდების სქესობრივ-ასაკობრივი გადანაწილების რაოდენობრივ ცვლილებაზე. გაჩნდა სქესობრივ-ასაკობრივი დისბალანსი, რაც გამოწვეულია ემიგრანტებს შორის მამაკაცების სიჭარბით. ეს კი თავის მხრივ პრობლემებს ქმნის საქორწილო ბაზარზე.

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით შინამეურნეობათა 11%-ში ოჯახის წევრი საზღვარგარეთ განათლების მიღების მიზნითაა წასული, მათგან 73,4% 20-39 წლის ასაკობრივი ინტერვალის ორივე სქესის წარმომადგენელია. მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საქართველოდან გასული ადამიანების რაოდენობა ყოველთვის აღემატებოდა იმიგრანტებს, გამონაკლისია მხოლოდ 2020 წელი, როცა პროცესი პირიქით წარიმართა, რაზეც გავლენა მოახდინა პანდემიამ, იმ უჩვეულო ცხოვრების წესმა და გაურკვეველმა მდგომარეობამ, რომელშიც სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა მსოფლიო. მომდევნო 2021 წელს საქართველოს მოქალაქე ემიგრანტების რაოდენობა ორჯერ აღემატება საქართველოს მოქალაქე იმიგრანტების რაოდენობას. ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე პანდემიამდელი 2019 წლის მაჩვენებელი, როცა ემიგრანტები 1,5-ჯერ აღემატებოდნენ იმიგრანტებს [<https://www.geostat.ge/>]. „საქსტატის“ მონაცემებზე დაყრდნობით ემიგრაციაში წამსვლელი ქალების წილი ძალიან მაღალია. ყოველწლიურად სამშობლოს ტოვებს შვიდი ათასამდე ფერტილური ასაკის ქალი. ანუ შვილების გაჩენის უნარის მქონე ქალთა საკმაოდ დიდი რაოდენობა. მათგან ნაწილს საერთოდ არ ჰყავს შვილი, რადგან ჯერ არ დაოჯახებულა, ნაწილს არ დაუსრულებია სასურველ შვილთა რაოდენობის ყოლა, მაგრამ გადაწყვიტა ემიგრაციაში წასვლა ოჯახის ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით. ეს პროცესი გავლენას ახდენს რეპროდუქციული პოტენციალის გაუარესებაზე.

ვინ სად მიიღებს განათლებას ან სად დასაქმდება და ამის გამო რამდენი ხნით წავა საზღვარგარეთ, ეს ადამიანის თავისუფალი ნებაა და თავისუფალი არჩევანი. თუმცა სტუდენტებში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა კვლევამ მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით აჩვენა, რომ ახალგაზრდები უცხოეთში სწავლას უპირატესობას ანიჭებენ სამშობლოში დასაქმების მეტი შანსის გამო და რომ უცხოეთში მიღებული განათლება ჩვენს ქვეყანაში „მეტად ფასობს“. თავისთვად ეს ბადებს კითხვას: „საქართველოში მიღებული განათლება ხომ არ არის უფრო დაბალი ხარისხის, ვიდრე უცხოეთის?“ ამის შესახებ გარკვეული მოსაზრება გაგვიზიარეს ჩვენმა რესპონდენტებმა. 2022 წელს გამოკითხული უმაღლესი განათლების მქონე დასაქმებული რესპონდენტები თვლიან, რომ ქვეყნიდან ახალგაზრდების გადინების შესამცირებლად აუცილებელია განათლებაში მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება. ეს რეფორმები უნდა შეეხოს როგორც საშუალო, ისე უმაღლეს განათლებას. სამშობლოში სასურველი განათლების მიღების შესაძლებლობა კი შეამცირებს სასწავლებლად ემიგრაციაში წამსვლელთა რაოდენობას.

რესპონდენტთა აზრით, აუცილებელია ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რათა ადამიანებმა აღარ იფიქრონ ემიგრაციაზე, ასევე მნიშვნელოვანია ემიგრანტების სამშობლოში დასაბრუნებელი პოლიტიკის გატარება. მასში რესპონდენტები მოიაზრებენ სამუშაო ანაზღაურების გაზრდას, ჯანმრთელობის დაზღვევას ყველასთვის, სოციალურ უზრუნველყოფას და სხვ.

**დასკვნა.** ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს მოქალაქეები ნათლად აღიქვამენ დემოგრაფიულ გამოწვევებს. მათთვის ეს არ არის ბაზრის პრობლემები, რომელიც შეიძლება გადაწყდეს ქვეყანაში მასობრივი გარე რესურსების შემოტანით, არამედ ეს არის პრობლემა, რომელიც ერის გადასაწყვეტია. ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული პრობლემების გასამკლავებლად აუცილებელია ეროვნული, ეფექტური, პროგნოზირებადი, მდგრადი და თანმიმდევრული საოჯახო და დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, რომელიც ორიენტირებული იქნება ქართული ოჯახის გაძლიერებაზე, ქართველების სამშობლოში იმიგრაციაზე. გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოში არსებული დემოგრაფიული კრიზისი ასუსტებს ეროვნულ ღირებულებებს, კულტურასა და ტრადიციებს. მხოლოდ უფრო ძლიერი ეკონომიკა, რომელსაც მხარს დაუჭერს წარმატებული პოლიტიკა, შეძლებს შექმნას ფინანსური პირობები, რომელიც აუცილებელია ოჯახზე ორიენტირებული მმართველობისთვის. გამოკვლევამ დაგვანახა, რომ ოჯახები რიგი მიზეზების გამო (რომლის მოგვარებაც შესაძლებელია ნების არსებობის შემთხვევაში) ვერ ახდენენ სასურველი რაოდენობის შვილების ყოლას, ეს ეხება არა მესამე და მომდევნო შვილს, არამედ მეორესაც. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ ერის მიზანი არის არა მხოლოდ ქვეყნის დემოგრაფიული კრიზისიდან გამოყვანა, არამედ ოჯახების მორალურად გაძლიერება, ოჯახური აზროვნების მხარდაჭერა და ოჯახზე ორიენტირებული ქართული თემების დაცვა, რადგან ჩვენ გვიხდება ცხოვრება სამყაროში, რომელიც სულ უფრო მეტად უარყოფს ან ამცირებს ტრადიციულ ღირებულებებს.

#### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ბორისოვი ვ., 1999. დემოგრაფია. მოსკოვი NOTA BENE. 257.
2. ვერულავა თ., ხაბეიშვილი მ., 2015. უშვილობის მკურნალობა საქართველოში. სამეცნიერო ჟურნალი „ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა“. [www.hepoin.com](http://www.hepoin.com)
3. მენაბდიშვილი ლ., გომელაური ნ., 2016. დამოკიდებულება რეპროდუქციული ქცევისადმი. თავი წიგნში: საქართველოში მართლმადიდებელ მორწმუნეთა დამოკიდებულება სოციალურ-დემოგრაფიული ქცევისა და ოჯახის პრობლემებისადმი. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სასულიერო სემინარიის გამოცემა. 74-80.
4. სულაბერიძე ა., წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., 2007. დემოგრაფია. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა.7.
5. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia>
6. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba>

*Lela Menabdishvili*

#### **DEMOGRAPHIC CRISIS IN GEORGIA AND THE POPULATION'S POINT OF VIEW ABOUT THE WAY TO OVERCOME IT Abstract**

The severe demographic situation of Georgia is manifested in the decline of the birth rate, the aging population, and the high level of migration. The country's population is characterized by a constant downward trend. If the population decline continues at this pace, by 2050 the population of Georgia will be much smaller than what was calculated by the United Nations. The clearly defined trend of population decline and aging is very dangerous and alarming for a small nation like us. This process heralds the inevitability of the country's demographic catastrophe. Demographers encourage Georgian families to have at least three children in order to balance childless families and married people. In order to maintain only a simple reproduction of the population, it is necessary that families with three or more children make up more than half of the total number. Our sociological research showed that the number of respondents who already

have three or more children or want to have them in the future is 2.7 times less than those who want to have 1-2 children. Those respondents who do not have the desired number of children named the following reasons: "difficulty raising children," "material situation," "not having their own living space," "infertility."

Sociological studies confirm that the population of Georgia has knowledge about the country's demographic situation and thinks about ways to solve this problem. According to them, the solution is: helping Georgian youth to create a family; Supporting young families by providing them with a low-interest mortgage loan; increasing the period of paid maternity leave up to two years; Promotion of employed pregnant women and young mothers, both from the state and private sector: reduction of working hours by one hour, arrangement of kindergartens in large organizations; Various types of support for the well-being and social security of large families together with financial assistance; promotion of employment of adult children of multi-parent families; improvement of the healthcare system, etc.

The high rate of emigration plays an important role in the country's demographic situation. Respondents believe that in order to reduce the outflow of young people from the country, it is necessary to carry out important reforms in education. These reforms should affect both secondary and higher education. The opportunity to get the desired education in the homeland will reduce the number of emigrating to study. Also, it is necessary to improve the socio-economic situation in the country so that people don't think about emigrating anymore, it is important to implement a policy of returning immigrants to their homeland. In it, the respondents consider an increase in wages, health insurance for all, social security, etc.

According to the population, the country's demographic crisis is a problem for the nation to solve. In order to deal with the demographic problems of our country, it is necessary to have a national, effective, predictable, sustainable and consistent family and demographic policy, which will be focused on strengthening the Georgian family.

**Key words:** demographic crisis, birth rate, migration.

*ნანა მენაბდიშვილი*

### **ოჯახის შემოსავლების ანალიზი პოსტპანდემიურ პერიოდში**

*ანოტაცია. წარმოდგენილი ნაშრომი ეყრდნობა 2022 წლის სოციოლოგიური კვლევის მასალებს. მასში გაანალიზებულია რეპროდუქციული ასაკის დაოჯახებული, დასაქმებული რესპონდენტების ოჯახების შემოსავლები. გამოყენებულია ასევე, 2013 წლის კვლევის შედეგები და შედარებითი ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ კვლევებს შორის შუალედში გაუმჯობესებულია ოჯახების შემოსავლების მაჩვენებელი, გაზრდილია მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების თვითშეფასება. ოჯახები დახასიათებულია ოჯახის წევრთა რაოდენობის, დასაქმებული პირების რაოდენობის, საშუალო თვიური შემოსავლების მიხედვით. ნაჩვენებია პანდემიის გავლენა ოჯახების შემოსავალზე.*

*საკვანძო სიტყვები: ოჯახის შემოსავლები, შემოსავლების წყაროები, მოთხოვნილებები.*

**შესავალი.** თითოეულ ჩვენგანს ცხოვრება გვიწევს სამყაროში, რომელიც მუდმივად იცვლება და სულ ახალ-ახალი გამოწვევების წინაშე გვაყენებს. ამ მუდმივ ცვლილებებს დიდწილად ჩვენ ვუწყობთ ხელს, ჩვენი უნებლიე თუ გამიზნული ქცევით. შემდეგ კი გამოსავალს ვეძებთ. ასე ნებით თუ უნებლიეთ საქართველო ჩავაყენეთ მძიმე დემოგრაფიულ ვითარებაში. პროგნოზები საგანგაშოა – ქართველი ერი მომაკვდავ ერთა სიაშია. გამოსავალი უნდა ვეძიოთ ოჯახში, რადგან მისი როლი მოსახლეობის აღწარმოების პროცესში შეუცვლელია. ექსპერტ-დემოგრაფთა მოსაზრებით ოჯახს მინიმუმ სამი შვილი მაინც უნდა ჰყავდეს. ა. თოთაძე მოსახლეობას მოუწოდებს: „სამი შვილის ყოლა თითოეული ქართველისთვის ნორმად უნდა იქცეს, რადგან მხოლოდ სამი და მეტი ბავშვის დაბადება განაპირობებს მოსახლეობის რაოდენობის ზრდას“ [თოთაძე ა. 2023].

მოსახლეობის დაბალანსებული სტრუქტურა გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინაპირობაა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოსახლეობის სტრუქტურა და დინამიკა განსაზღვრავს ადამიანურ რესურსებს გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. თავის მხრივ, ქვეყნისა და ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

გავლენას ახდენს ოჯახში ბავშვთა რაოდენობაზე, ემიგრაციულ პროცესებზე. ეს ორი კომპონენტი სიკვდილიანობასთან ერთად ქმნის ქვეყნის დემოგრაფიულ სურათს.

ოჯახის მრავალ ფუნქციას შორის გამორჩეულია თაობათა ფიზიკური და კულტურული აღწარმოება, მაგრამ როგორც ამ, ისე სხვა დანარჩენი ფუნქციების შესრულება შეუძლებელია, თუ ოჯახს არ ექნება შემოსავალი და ოჯახის ბიუჯეტი ვერ შეძლებს სამეურნეო-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია ოჯახის შემოსავლების ანალიზი სოციოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე.

ოჯახის შემოსავლების შესწავლის აქტუალობა განაპირობა სამმა ძირითადმა ფაქტორმა:

1. ოჯახში ხდება მთელი სამუშაო ძალის აღწარმოება;
2. ოჯახში ხორციელდება წარმოებული საზოგადოებრივი პროდუქტის საბოლოო მოხმარება;
3. ოჯახში ხორციელდება მთელი საზოგადოების ბიოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების სიცოცხლისუნარიანობა.

ოჯახის შემოსავლებისა და რესურსების ოჯახის შიგნით განაწილებაზე დამოკიდებული ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობის ჰარმონიულობა. ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობა საერთო კეთილდღეობის ფუნქციაზე უნდა იყოს დაფუძნებული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანებს კეთილდღეობა საჩუქრად არ ეძლევათ. ამისთვის აუცილებელია შემოსავალი. ოჯახის კეთილდღეობის სტანდარტების თავისებურებას წარმოადგენს მათი შეფასება საზოგადოებრივი აზრის მხრიდან. რეალობაში სტანდარტები დაკავშირებულია ადამიანის წარმოდგენებთან „ნორმალურ“ ცხოვრებაზე. ცხოვრებისეული სტანდარტები მოიცავს: კვების სტრუქტურას, საბინაო და განათლების უზრუნველყოფას, ჯანმრთელობის დაცვის და სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფას და ყველა სხვა მახასიათებელს, რომელიც ცალკეული ოჯახისთვის არის პრიორიტეტული. შემოსავლები, მოთხოვნილებები და ხარჯები თითოეული ოჯახისთვის განსხვავებულია. ოჯახმა უნდა მოახერხოს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და უზრუნველყოს ცხოვრების მისაღები პირობები.

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება ერთი სოციალური ჯგუფის ოჯახების, რომელიც მოიცავს უმაღლესი განათლების მქონე დაოჯახებულ და დასაქმებულ პირებს, შემოსავლების ანალიზს. ნაშრომი ეყრდნობა სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგებს. გამოკვლევა ჩატარდა უშუალოდ ჩვენი მონაწილეობით 2022 წლის ზაფხულში.



ოჯახის შემოსავლების სიდიდე მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული: ოჯახის წევრთა რაოდენობაზე, მათ შორის დასაქმებულთა რაოდენობაზე, შრომისუნარიან და შრომისუუნარო წევრთა თანაფარდობაზე, დასაქმებულთა ხელფასის სიდიდეზე, შემოსავლების სხვა წყაროების არსებობაზე, ინფლაციაზე და სხვა.

შესწავლილ ოჯახებში არის როგორც ნუკლეარული, ისე გაფართოებული ოჯახები. მათგან უმრავლესობა აღმოჩნდა გაფართოებული ოჯახები (58%). შესწავლილთა შორის ნუკლეარული ოჯახების ორივე ტიპი გვხვდება: მეუღლეები შვილების გარეშე (11%) და შვილებით. დასაქმებულ რესპონდენტებს შორის უმეტესობა (59%) სახელმწიფო სექტორშია დასაქმებული, დანარჩენი კი – კერძოში. ოჯახების 67%-ში დასაქმებულია ოჯახის ორი წევრი, ხოლო იმ ოჯახების რაოდენობა, სადაც დასაქმებულია ოჯახიდან ერთი და ოჯახიდან სამი წევრი, თანაბარია.

ოჯახების აბსოლუტური რაოდენობის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ხელფასი. შემოსავლების მიხედვით რესპონდენტთა ოჯახები ორ ნაწილად უნდა დავყოთ: ერთში შედის ოჯახები, რომელთაც ხელფასის გარდა სხვა შემოსავალი არა აქვთ, და მეორეში კი – ოჯახები, რომელთაც ხელფასის გარდა სხვა შემოსავლებიც აქვთ. შემოსავლების წყაროები მრავალგვარია, როგორცაა: უძრავ-მოდრავი ქონების გაქირავება (ბინა, მანქანა) (15%); ბიზნესიდან მიღებული შემოსავალი (16%); ფულადი გზავნილები საზღვარგარეთიდან (12%); ფულადი დახმარება ახლობლებისაგან ქვეყნის შიგნით (4%); სოფლის მეურნეობის პროდუქტი ნატურის სახით (2%); პენსია (2%); სახელმწიფოს ყოველთვიური სოციალური დახმარება (4%). მათგან

უმეტესობას წარმოადგენს მხოლოდ სამი მათგანი: ბიზნესიდან მიღებული შემოსავლები, უძრავ-მოძრავი ქონების გაქირავება და ფულადი გზავნილები საზღვარგარეთიდან.

რესპონდენტებს უნდა დაესახელებინათ თავიანთი ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი ლარებში. ზოგადად ადამიანებს არ უყვართ თავიანთ შემოსავლებზე სხვასთან საუბარი, კონკრეტული რიცხვების დასახელება, თუმცა ჩვენი რესპონდენტებიდან არცერთმა არ აარიდა თავი შემოსავლების საკითხზე საუბარს. მაგრამ რამდენად ზუსტია ის რიცხვები, რომლებიც მათ დაგვისახელეს, ამის გაკონტროლება ჩვენ არ შეგვიძლია. ვფიქრობთ, თუ ზუსტი არაა, მიახლოებითი მაინც არის და გარკვეულ წარმოდგენასაც იძლევა.

2013 წელს დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ ჩატარდა სოციოლოგიური გამოკვლევა, რომლის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა ოჯახის შემოსავლების შესწავლა. 2022 წელსა და 2013 წელს ჩატარებულ კვლევებს შორის ცხრა წელია გასული. დამეთანხმებით, ჩვენი ქვეყნის მაშინდელი ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება დღევანდელისგან, მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის მძიმე პერიოდი გადავიტანეთ. ეს განსხვავება ოჯახის შემოსავლებსაც ეტყობა. გაიზრდა როგორც ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი, ისე მედიანა. განვლილი წლების განმავლობაში საშუალო თვიური შემოსავლების ზრდა მოხდა ორჯერ და მეტად.

**ცხრილი 1**

**ოჯახის შემოსავლები ოჯახის ტიპების მიხედვით**

ოჯახის ტიპები	საშუალო თვიური შემოსავალი		შემოსავლების მედიანა	
	2013 წ	2022 წ	2013 წ	2022 წ
ორსულიანი ოჯახი	772,8	1 737	500	2 600
სამსულიანი ოჯახი	810,8	2 150	500	3 100
ოთხსულიანი ოჯახი	877,7	3 531	600	8 000
ხუთსულიანი ოჯახი	973,3	2 818	700	2 100
ექვსი და მეტსულიანი ოჯახი	1 003	4 377	800	6 400

წყარო: 2013 და 2022 წლების დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის სოციოლოგიური გამოკვლევა.

ცხოვრებისეულ სტანდარტთა შექმნის პრინციპები რიგ კანონზომიერებას ემყარება. ოჯახის მიერ შეძენილი საქონელისა და მომსახურების რაოდენობას ოჯახის შემოსავლები განსაზღვრავს. ერნსტ ენგელმა (Ernst Engel) ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში აღმოაჩინა ბუნებრივი კანონზომიერება, რომ ოჯახის შემოსავლების ზრდასთან ერთად დანახარჯების ხვედრითი წილი კვებაზე მცირდება, გასავალი ტანსაცმელზე, საცხოვრებელზე, კომუნალურ მომსახურებაზე მცირედ იცვლება, ხოლო დანახარჯები კულტურულ და სხვა არამატერიალურ საქირებებზე შესამჩნევად იზრდება [მენაბდიშვილი ლ. 2018., 168-169].

თანამედროვე პირობებში ადამიანთა მოთხოვნილებები სულ უფრო მეტად იზრდება. თუ ოჯახის შემოსავალი ახდენს ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მაშინ ოჯახის წევრები კმაყოფილნი არიან. ოჯახის შემოსავალი უნდა აკმაყოფილებდეს ისეთ მოთხოვნებს, როგორცაა: სასურსათო ნაკრების, წამლების, სანეტარულ-ჰიგიენური საშუალებების შეძენა; ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გამოცვლა; ხანგრძლივი მოხმარების საქონლის შეძენა; ოჯახის წევრების დასვენება და გართობა და ა.შ. ეკონომიკური სარგებლობა და ემოციური ურთიერთობები – ეს არის ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს ოჯახების სტაბილურობაში. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ მოთხოვნილებები და ხარჯები შემოსავლების პარალელურად იზრდება.

შევეცადეთ გაგვერკვია რამდენად აკმაყოფილებს რესპონდენტთა ოჯახების შემოსავლები მათსავე ოჯახის მოთხოვნილებებს. მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა გვიპასუხა, რომ მათი ოჯახის მოთხოვნილებებს შემოსავლები თავისუფლად აკმაყოფილებს. ოჯახის შემოსავლებით კმაყოფილების აღქმა სუბიექტურია. შემოსავლების ის რაოდენობა, რაც ერთის სრულ კმაყოფილებას იწვევს, მეორისთვის შესაძლოა არასაკმარისი აღმოჩნდეს და უკმაყოფილებას იწვევდეს. ასე მაგალითად, გამოკითხულთა შორის აღმოჩნდა ოთხსულიანი ოჯახი, სადაც



ოჯახის მხოლოდ ერთი წევრია დასაქმებული, თუმცა მისი შემოსავალი აღემატებოდა ყველა გამოკითხული ოჯახის შემოსავლებს, მაგრამ თავად რესპონდენტს მიაჩნდა, რომ მისი შემოსავლები მხოლოდ მეტ-ნაკლებად ახდენს ოჯახის მოთხოვნილებების უზრუნველყოფას მაშინ, როცა მასზე ორჯერ ნაკლები შემოსავლების მქონე ასევე ოთხსულიანი ოჯახი, სადაც ორი წევრია დასაქმებული, მიუთითებს, რომ შემოსავლები ოჯახს თავისუფლად ყოფნის შემოსავლების ზრდა პირდაპირპროპორციულია მოთხოვნილებების ზრდასთან.

**ცხრილი 2**

**ოჯახის მოთხოვნილებების უზრუნველყოფა**

ოჯახის მთლიანი შემოსავალი როგორ უზრუნველყოფს თქვენი ოჯახის მოთხოვნილებებს	მონაცემები პროცენტებში	
	2013 წ	2022 წ
თავისუფლად	3,6	0,5
საკმარისად	9,3	21,7
მეტ-ნაკლებად	44,8	57,5
ვერ უზრუნველყოფს	42,3	20,3

წყარო: 2013 და 2022 წლების დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის სოციოლოგიური გამოკვლევა.

მოყვანილი ციფრების მიხედვით ჩანს, რომ კვლევათა შუალედში გაიზარდა შემოსავლებით კმაყოფილი ოჯახების რაოდენობა და შემცირდა უკმაყოფილოთა რიცხვი. 2022 წლის გამოკვლევის დროს, ოჯახის შემოსავლებით კმაყოფილების უკეთ დასადგენად, რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ საკუთარი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა 10-ბალიანი სკალის მიხედვით, სადაც ნული აღნიშნავს ყველაზე დაბალს, ხოლო 10 – ყველაზე მაღალს. საკუთარი ოჯახების მატერიალური მდგომარეობა ყველაზე ხშირად ხუთი ბალით შეფასდა, შემდეგ მოდის ექვსი, შვიდი და რვაბალიანი შეფასებები, უმაღლესი ათი ბალით კი მხოლოდ 4%-მა შეაფასა. ექვსი და მეტი ქულით შეფასებული ოჯახების (56,5%) რაოდენობამ გადააჭარბა ნულიდან ხუთი ქულით შეფასებულებს. ის რესპონდენტებიც კი, რომლებმაც მიუთითეს, რომ ოჯახის შემოსავლები საკმარისად უზრუნველყოფს ოჯახის მოთხოვნილებებს, შეფასებას რვა ბალით ახდენენ, ანუ სრულ კმაყოფილებას მაინც არ გამოხატავენ.

მსოფლიო ორი წლის განმავლობაში აქტიურად იბრძოდა პანდემიის წინააღმდეგ. ჯანმო იმდენად მოუმზადებელი აღმოჩნდა პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ ადამიანთა დანაკარგის შესამცირებლად ხშირი იყო ჩაკეტვები – საყოველთო კარანტინი. ამან დიდი ზარალი მიაყენა ეკონომიკას. პანდემიამ 2020 წელს გლობალური ეკონომიკის ზრდა 3.2%-ით შეამცირა, ხოლო ვაჭრობა – 5.3%-ით. მხოლოდ 2020 წელს 9% შეადგინა საერთო სამუშაო საათების დანაკარგმა, რაც სრულ განაკვეთზე მუშაობის 225 მილიონი ადგილია, ხოლო ჯამში 88-დან 115-მდე მილიონი ადამიანი უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებლის ქვემოთაა [World Bank Blog. 2020 ]. OECD ქვეყნებში ბოლო 25 წლის განმავლობაში უპრეცედენტო, 5.8%-იანი ინფლაცია დაფიქსირდა [<https://www.oecd.org/newsroom/>]. არც საქართველო ყოფილა გამონაკლისი, იმავე 2020 წლის მონაცემებით საქართველოში ეკონომიკურმა ზრდამ 6,8% შეადგინა. მომდევნო 2021 წელი საქართველოსთვის ძალიან მძიმედ დაიწყო. ვირუსის მაღალი გავრცელებითა და ადამიანთა დიდი დანაკარგით ქვეყანა ფაქტობრივად იყო ლოქდაუნის რეჟიმში. წლის დასაწყისში ქვეყანის ეკონომიკას 11,5%-იანი კლება ჰქონდა [ <https://www.mof.ge › images › File › Folder13> ], თუმცა მაინც მოხერხდა ამ მძიმე სიტუაციიდან გამოსვლა. ბუნებრივია, ის მძიმე ვითრება, რომელიც მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოში იყო, მეტ-ნაკლებად აისახა თითოეული ჩვენგანის ოჯახზეც.

რესპონდენტებს უნდა ეპასუხათ კითხვაზე: „პანდემიამ როგორი გავლენა მოახდინა თქვენი ოჯახის შემოსავლებზე?“ ოჯახების უმეტესობაში (62,3%) პანდემიის გამო მათი შემოსავლები შემცირდა. ეს ფაქტი უნდა ავხსნათ იმით, რომ ოჯახების 60,8%-ს ხელფასის გარდა შემოსავლის სხვა წყაროებიც ჰქონდათ. 42%-სთვის დამატებითი შემოსავლის წყარო იყო ბიზნესი, უძრავ-მომრავი ქონების გაქირავება და ფულადი გზავნილები უცხოეთიდან.

კონკრეტულად რა ბიზნესს გულისხმობენ რესპონდენტები, ამის თქმა არ შეგვიძლია, რადგან არ ასახელებენ, თუმცა საყოველთო კარანტინებმა, რომელიც პანდემიით გამოწვეული ტალღების გამო ხდებოდა, სამივე მათგანზე იქონია გავლენა.

რესპონდენტთა 37,7%-მა აღნიშნა, რომ პანდემიას მათი ოჯახის შემოსავლებზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია, რადგან მათი გარკვეული ნაწილი სახელმწიფო სექტორში იყო დასაქმებული. პანდემიის პერიოდში სახელმწიფო სექტორმა შეძლო თანამშრომელთა გადაყვანა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე და ხელფასებიც შეუნარჩუნა. სავარაუდოდ, ამის დამსახურებაა ის, რომ ოჯახების გარკვეული ნაწილის შემოსავლებზე პანდემიამ გავლენა ვერ მოახდინა.

დემოგრაფებს ოჯახის შემოსავლები გვანტერესებს ოჯახის რეპროდუქციული ფუნქციის შესრულების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ ორ კვლევას შორის შუალედში ოჯახების შემოსავლები გაიზარდა, მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება უფრო მეტად გახდა შესაძლებელი, რესპონდენტები მაინც აღნიშნავენ, რომ მათი რეპროდუქციული მოთხოვნილების რეალიზებას ხელს უშლის ფინანსური მდგომარეობა. სახელდება ასევე, საკუთარი საცხოვრებელი ფართის უქონლობა, ძვირი სამედიცინო მომსახურება და სხვ. ქართველ ერს კი აუცილებლად სჭირდება გაფართოებული აღწარმოება რათა გადაურჩეს გადაშენებას.

**დასკვნა.** არსებობს ოჯახის კეთილდღეობის განსაზღვრის სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის ერთ-ერთია ეკონომიკური. ეკონომიკური სარგებლობა და ემოციური ურთიერთობები – ეს არის ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც უდიდესი როლი აკისრია ოჯახის ფუნქციონირებაში. ოჯახის ფუნქციონირების დემოგრაფიული ასპექტი თაობათა განახლებაა. დღეს ეს პრობლემა მწვავედ დგას ქართველი ერის წინაშე. რეპროდუქციული ქცევის ხელისშემშლელ პრობლემებს შორის სახელდება ეკონომიკური საკითხი. ოჯახის ეკონომიკა დიდადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეზე. დღეს საქართველოში ეკონომიკური ზრდის პროცესი მიმდინარეობს, თუმცა მთავარი ისაა, რომ ეკონომიკის ზრდა შეეხოს მის მოსახლეობას. ამაში მოიაზრება მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, მათი სოციალური თანასწორობა, ანუ ეკონომიკის ზრდამ შედეგად უნდა მოგვცეს საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობა, ოჯახების კეთილდღეობა. ეკონომიკური ფაქტორი აღარ უნდა წარმოადგენდეს მოსახლეობის აღწარმოების ბერკეტს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. თოთბე ა., 2023, ქუთაისმა დათმო „მეორე ქალაქის“ ტიტული და ამჟამად მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, თბილისის შემდეგ, ბათუმი ლიდერობს. გაზეთი „სავალი-დასავალი“. 23-29. 01 №5 (1469).
2. მენაბდიშვილი ლ., 2018. ოჯახის მენეჯმენტი. თბ . „ბარტონი“, გვ.168-169.
3. მენაბდიშვილი ნ., 2017. საკუთარი ოჯახის ეკონომიკური შესაძლებლობების თვითშეფასება. <http://conferenceconomics.tsu.ge/>
4. World Bank Blog. 2020 Year in Review: The impact of COVID-19 in 12 charts, <https://blogs.worldbank.org/voices/2020-year-review-impact-COVID-19-12-charts>
5. [https://www.oecd.org/newsroom/consumer-prices-oecd-updated-11-january-2022.htm?utm\\_medium=email&utm\\_source=CampaignMonitor\\_Editorial&utm\\_campaign=LNCH%20%2020220111%20%20House%20Ads%20%20SM+CID\\_83f978aac799f5a3f6cd575ad8c89902](https://www.oecd.org/newsroom/consumer-prices-oecd-updated-11-january-2022.htm?utm_medium=email&utm_source=CampaignMonitor_Editorial&utm_campaign=LNCH%20%2020220111%20%20House%20Ads%20%20SM+CID_83f978aac799f5a3f6cd575ad8c89902)
6. [https://www.geostat.ge/media/51669/QuarterlyBull\\_2022\\_IV\\_Geo.pdf](https://www.geostat.ge/media/51669/QuarterlyBull_2022_IV_Geo.pdf)
7. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/791/saarsebo-minimumi>

## ANALYSIS OF FAMILY INCOME IN THE POST-PANDEMIC PERIOD

## Abstract

Among the many functions of the family, the physical and cultural reproduction of generations stands out. But both these and other functions cannot be performed if the family does not have income, the family budget will not be able to meet the household needs. That is, family income plays an important role in its functioning.

The presented paper refers to the analysis of family incomes of one social group, which includes married and employed persons with higher education. The work is based on the results of sociological research. The survey was conducted directly with our participation in the summer of 2022.

The studied families include both nuclear and extended families. The majority was made up of extended families (58%). Both types of nuclear families are found among the studied: spouses without children (11%) and with children. Most of the employed respondents (59%) are employed in the public sector, and the rest in the private sector. 67% of families have two family members employed. And the number of families where one family member and three family members are employed is equal.

Salary is the source of income for the absolute number of families. According to the incomes, the families of the respondents should be divided into two parts, one, the number of families with no income other than salary and, second, families with other incomes added to the salary. Other sources of income are diverse, such as: rental of real estate (apartment, car) (15%); income from business (16%); remittances from abroad (12%); monetary assistance from relatives within the country (4%); Agricultural product in kind (2%); pension (2%); State monthly social assistance (4%). However, only three of them represent the majority: income from business, rental of real estate and remittances from abroad.

In the paper, a comparative analysis of family incomes of studies conducted in 2013 and 2022 is made. The interval between studies is nine years. The economic situation of our country at that time is significantly different from today, despite the fact that we went through a difficult period of the pandemic. This difference is also seen in family incomes. Both the average monthly income of the family and the median have increased. Over the past years, the average monthly income has increased twice or more. The number of families satisfied with their incomes has also increased and the number of dissatisfied ones has decreased. This new research shows that rising incomes increase demand in direct proportion. Therefore, when the question was about assessing the satisfaction of family incomes with a ten-point system, even those respondents who indicated that the family income is sufficient to meet their needs, made only eight-point evaluations.

The pandemic has affected household incomes. In most families (62.3%) family incomes have decreased due to the pandemic. This fact should be explained by the fact that 60.8% of families had other sources of income besides salary. For 42%, the source of additional income was business, real estate rental and remittances from abroad. All three of them were affected by the general quarantines caused by the waves caused by the pandemic.

37.7% of the respondents stated that the pandemic had no impact on their family's income. Some of the respondents were employed in the state sector. During the pandemic, the state sector was able to transfer employees to remote work mode and maintain salaries. It is probably thanks to this that the incomes of some families were not affected by the pandemic.

**Key words:** family income, sources of income, needs.

თამილა ნუცუბიძე

ხათუნა ნუცუბიძე

შრომის ბაზრის გამოწვევები და ბიზნესგანათლებისა და სამეწარმეო სწავლების განვითარების შესაძლებლობები საქართველოში

**ანოტაცია.** ნაშრომში განხილულია შრომის ბაზრის გამოწვევები, დასაქმების და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში. ამასთან ერთად, შესწავლილია უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებები: ინტერნაციონალიზაციის პროცესის, ბიზნესგანათლების, სამეწარმეო სწავლების მნიშვნელობა და მათთან დაკავშირებული გამოწვევები. ბიზნესგანათლების და სამეწარმეო სწავლების

განვითარება და ინტერნაციონალიზაცია მიზნად უნდა ისახავდეს სტუდენტთა გლობალური კომპეტენციების ფორმირებას და სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის გაზრდას როგორც ადგილობრივად, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

**საკვანძო სიტყვები:** შრომის ბაზარი, უმუშევრობა, ბიზნესგანათლება, სამეწარმეო სწავლება

### **შესავალი**

**შრომის ბაზრის გამოწვევები და განათლების სისტემის განვითარების ტენდენციები.** XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული საქართველოში თანმიმდევრულად ვითარდება მეწარმეობა და ბიზნესორგანიზაციები, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის დინამიკური ფორმირების პროცესს. მიუხედავად მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესისა, ჯერ კიდევ დასაძლევია ისეთი პრობლემატური საკითხები, როგორებიც არის ეკონომიკური პროდუქტიულობის ზრდის დაბალი დონე, მცირე, საშუალო, მსხვილი ბიზნესის და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარების ნელი ტემპები. აღნიშნული პრობლემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ უმუშევრობის დონეზე ქვეყანაში, რომელიც ინარჩუნებს მაღალ მაჩვენებლებს და ბოლო ათი წლის განმავლობაში დაახლოებით 20 პროცენტს შეადგენს. ამასთან ერთად უკანასკნელი რამდენიმე წლის დინამიკა გვიჩვენებს, რომ არასრულად გამოყენებული სამუშაო ძალის მაჩვენებლები 40 პროცენტს უახლოვდება. მაღალია უმუშევრობის დონე რეგიონებში; უმუშევრობის დონე განსხვავდება რეგიონებისა და მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. განსაკუთრებით მაღალია უმუშევრობა 30 წლამდე ახალგაზრდებში, ის საშუალოდ 30 პროცენტს შეადგენს. არანაკლებად მწვავეა ფორმალური სექტორის ფორმირების საკითხები საქართველოში; 2022 წლის მდგომარეობით, არაფორმალურად დასაქმებულთა რიცხოვნობა მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი, ის არასასოფლო-სამეურნეო სფეროში 30 პროცენტს აღწევს. ძალიან მაღალია დამოუკიდებელ მუშაკთა პროცენტული მაჩვენებელი და აღემატება სულ დასაქმებული მოსახლეობის მეოთხედს. 30 წლამდე დაუსაქმებელი ახალგაზრდობის რიცხოვნობასთან ერთად ასევე საგანგაშოა სტატისტიკური მაჩვენებლები იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც არც სწავლობენ და არც ტრენინგებს გადიან. ასეთი ახალგაზრდების პროცენტული წილი ბოლო წლების განმავლობაში (GeoStat, 2023) ასევე საშუალოდ 30 პროცენტს შეადგენს.

დასაქმების კრიზისის მიუხედავად, მაღალია მოთხოვნა კვალიფიციურ მუშაკებზე. კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობას განიცდის არა მხოლოდ კერძო ბიზნესი და სახელმწიფო ორგანიზაციები, არამედ სხვა ეკონომიკური სუბიექტები ყოველდღიური პროცესების მოთხოვნებიდან გამომდინარე. შესაბამისად, მოთხოვნა მაღალია როგორც უმაღლესი განათლების მქონე მაღალკვალიფიციურ მუშაკებზე, ასევე პროფესიული განათლების სპეციალური და ტექნიკური უნარების მქონე მუშაკებზე.

სახელმწიფო სტრატეგიის შესაბამისად საქართველოში უმაღლესი და პროფესიული განათლების ფარგლებში უნდა დაინერგოს ისეთი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც შესაბამისობაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, ასახულია სახელმწიფო პოლიტიკის არაერთ დოკუმენტში და შესაბამის სამოქმედო გეგმებში. ამასთან ერთად აღსანიშნავია რომ ხელისუფლება აღიარებს თვით სამეწარმეო სწავლების დანერგვა-განვითარების სტრატეგიულ საჭიროებას განათლების სისტემის ყველა დონეზე. არსებული ეკონომიკური ვითარება და გატარებული სახელმწიფო პოლიტიკის ზომები უბიძგებს და ხელს უწყობს უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, განავითარონ ბიზნესგანათლების და სამეწარმეო სწავლების პროგრამები და შესაბამისი კურიკულუმები. აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო და სხვა ანალიტიკური კვლევები ხაზს უსვამენ პროფესიული განათლების ფარგლებში სამეწარმეო სწავლების დანერგვისა და გადრმავეების აუცილებლობას. არაერთი საერთაშორისო კვლევა, რომლებიც განხორციელდა პროფესიული განათლების გამოწვევების შესწავლის მიზნით, ადასტურებს, რომ მცირე და საშუალო შემოსავლების მქონე განვითარებად ქვეყნებში მუშაკთა პროდუქტიულობისა და ანაზღაურების ზრდა პირდაპირ კავშირშია მათ მიერ სამეწარმეო უნარების დაუფლების დონესთან (J-PAL, 2023). ამავდროულად, მეცნიერები

ადიარებენ სტუდენტების გლობალური კომპეტენციის ფორმირების საჭიროებას უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ფარგლებში და ადასტურებენ იმას, რომ გლობალური კომპეტენციის ნაკლოვანება შედეგად იწვევს ეკონომიკის პროდუქტიულობის შემცირებას (Brustein, 2007). საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბიზნესგანათლებისა და სამეწარმეო სწავლების განვითარება დღეს არის გარდაუვალი მოსწავლეებსა და სტუდენტებში. გლობალური კომპეტენციის განვითარება ნაკარნახევია არსებული გლობალიზაციის ტენდენციებით.

საქართველო გამონაკლისი არ არის. ბოლო ათწლეულების განმავლობაში განსაკუთრებით ექცევა ყურადღება უმაღლესი განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელობას ჩვენს ქვეყანაში. უმაღლესი განათლების დაწესებულებებს უკვე მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ დაგროვილი ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით; იზრდება არა მხოლოდ აკადემიური გაცვლითი პროგრამების რაოდენობა, არამედ საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა, რომლებსაც იზიდავენ და მასპინძლობენ ქართული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები. დიდი ყურადღება ექცევა პროფესიული განათლების სისტემის ფარგლებში ინტერნაციონალიზაციის განვითარების საკითხებს, რათა მოხდეს პროფესიული განათლების სისტემის სტანდარტების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება და ქართული პროფესიული განათლების სისტემის ინტეგრირება ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მიმართულებით საქართველოში უკვე მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი, ხაზი უნდა გაესვას საგანმანათლებლო სისტემაში არსებულ ნაკლოვანობებს. როგორც უმაღლესი სასწავლებლების, ასევე პროფესიული განათლების დაწესებულებების ფარგლებში, ინტერნაციონალიზაცია, როგორც ასეთი, უნდა აისახებოდეს უშუალოდ სასწავლო და კვლევით პროცესებში და შესაბამისი სასწავლო პროგრამებისა და კურიკულუმების განვითარების დონეზე.

ნაშრომში განხილულია განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციის არსი და მისი გავლენა ბიზნესგანათლების და სამეწარმეო სწავლების განვითარებაზე; ახსნილია უმაღლესი და პროფესიული განათლების დაწესებულების ფარგლებში ინტერნაციონალიზაციის პროცესის, ბიზნესკურიკულუმის და მეწარმეობის სასწავლო მოდულის განვითარების ურთიერთკავშირი; აღწერილია ის მიდგომები, რომლებიც საქართველოში ბიზნესგანათლების და სამეწარმეო სწავლების განვითარების პოტენციურ შესაძლებლობებს შექმნის. დასკვნით ნაწილში აღნიშნულია კულტურათაშორისი პედაგოგიკის დანერგვის მნიშვნელობა ინტერნაციონალიზაციის პროცესის ეფექტური განხორციელებისთვის უმაღლესი სასწავლო დაწესებულების კონტექსტში. ნაშრომის ფარგლებში მიღებული თეორიული და პრაქტიკული მონაპოვრები შესაძლებელია დაინერგოს საქართველოში სხვადასხვა უმაღლესი და პროფესიული განათლების დაწესებულებებში.

**ინტერნაციონალიზაციის პროცესი და მისი არსი.** ინტერნაციონალიზაცია განიხილება როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტენდენცია თანამედროვე განათლების სისტემაში. მსოფლიოში გლობალიზაციის ისტორიულმა განვითარებამ გააძლიერა განათლების სისტემის ადაპტირების აუცილებლობა, რასაც მოჰყვება განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესის ინტენსიური დანერგვა.

ინტერნაციონალიზაცია კომპლექსური ტერმინია. თავდაპირველად იგი ძირითადად აღნიშნავდა პროცესებს, რომლებიც უკავშირდებოდა განათლების სისტემის ფარგლებში მიმდინარე აკადემიურ მობილობას: სწავლას, აკადემიურ გაცვლას და სტაჟირებას საზღვარგარეთ (ე.ი. ცოდნის და გამოცდილების ურთიერთგაცვლას საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში), თუმცა თანამედროვე კონტექსტში, ტერმინი ინტერნაციონალიზაცია მოიცავს მრავალ სხვადასხვა ასპექტს, რომელთა ერთობლიობა ხელს უწყობს ისეთი აკადემიური წრეებისა და რესურსების შექმნას და ჩამოყალიბებას, რომლებიც მოამზადებენ სტუდენტებს გლობალიზირებული ეკონომიკური ცხოვრების გათვალისწინებით სამუშაო ძალაში პროდუქტიული ჩართულობისთვის.

გლობალურ კონტექსტში განათლების ინტერნაციონალიზაციის წინეშე ყოველთვის იდგა სხვადასხვა გამოწვევები, რომლებიც უკავშირდებოდა შემდეგ პროცესებს: ინტერნაციონა-

ლიზაციის ინსტიტუციური სტრატეგიული დაგეგმვა; განათლების სისტემების ურთიერთ-გავლენა; ცოდნის და გამოცდილების საერთაშორისო გაზიარება-ტრანსფერი; თანამშრომლობა და კონკურენცია საერთაშორისო დონეზე და ქვეყნის შიგნით; განათლების სისტემის მარეგულირებელი ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო პოლიტიკა. ამ ყველაფერთან ერთად განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი საკითხი. ეს არის უშუალოდ საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის პროცესის წარმოება (Kehm and Teichler, 2007).

სწავლების და კვლევის ინტერნაციონალიზაციის პროცესის წარმოება წარმოუდგენელია შესაბამისად დამუშავებული და დახვეწილი კურიკულუმის გარეშე. ერთის მხრივ, კურიკულუმის განვითარება და მისი ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას. სწორედ კურიკულუმის განვითარება, მისი ინტერნაციონალიზაცია არის ერთ-ერთი ურთულესი და კომპლექსური პროცესი. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ამ პროცესთან დაკავშირებული გამოწვევების წინაშე დგანან უშუალოდ პროფესორ-მასწავლებლები, სასწავლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი (Nutsuvidze, 2023).

**ბიზნესგანათლების ინტერნაციონალიზაციის გამოწვევები.** ბიზნესგანათლების ინტერნაციონალიზაციის განვითარება დაიწყო გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამერიკელი სპეციალისტები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ბიზნესგანათლების და გლობალიზაციის ტენდენციების ურთიერთკავშირს. გლობალიზაციაში ამ შემთხვევაში იგულისხმება არა მხოლოდ განათლების სფეროში მიმდინარე გლობალიზაციის ტენდენციები, არამედ მსოფლიოში საერთაშორისო გლობალური ეკონომიკური ურთიერთობების და ბიზნესპროცესების ინტენსიურობის გაძლიერება, რომელიც განსაკუთრებით გამოვლინდა 80-იანი, შემდგომ კი უფრო გაძლიერდა 90-იანი წლებიდან დაწყებული (Edwards, 2023; Xie and Zhang, 2021). ეკონომიკის გლობალიზაციას, სპეციალისტები განიხილავენ როგორც ბიზნესგანათლების ინტერნაციონალიზაციის ძირითად მამოძრავებელ ძალას. ხოლო, ბიზნესგანათლების ინტერნაციონალიზაციის ძირითად მიზნად სპეციალისტები აღიარებენ სტუდენტების გლობალური კომპეტენციის ფორმირებას (Brustein, 2007).

თანამედროვე ეტაპზე, ბიზნესგანათლების ინტერნაციონალიზაცია არა მხოლოდ ინსტიტუციონალურ დონეზე ვითარდება, არამედ დისციპლინათა, სასწავლო კურსების და შესაბამისი კურიკულუმის განვითარების დონეზე. დისციპლინების განვითარება, მათი კონტექსტის ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს კრიტიკულ აუცილებლობას (Xie and Zhang, 2021). ბიზნესგანათლების და ბიზნესკურიკულუმის ინტერნაციონალიზაციის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სტუდენტების საერთაშორისო, გლობალური ტექნიკური და კულტურათაშორისი კომპეტენციების ფორმირება (Mughan, 2009).

ამასთან ერთად, საყურადღებოა ბიზნესგანათლების სფეროში მიმდინარე ტენდენციები და არსებული გამოწვევები. სპეციალისტები აღნიშნავენ რომ პროფესორ-მასწავლებლები ძალიან ხშირად არ ფლობენ საერთაშორისო ბიზნესის (მენეჯმენტის) დარგისთვის დამახასიათებელ სათანადო პრაქტიკულ გამოცდილებას (Mughan, 2009). ამასთან ერთად აკადემიურ წრეებში დებატები მიმდინარეობს ბიზნესის (მენეჯმენტის) დისციპლინების თეორიული საფუძვლების დაბალანსებული სწავლების პრობლემების შესახებ. დღემდე პრობლემატური რჩება საკითხები, რომლებიც უკავშირდება სტუდენტების თეორიული და პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილების ეფექტურ სწავლებას, გამოყენებას და სტუდენტების თანამედროვე ბიზნესაზროვნების გაწოვნას. მიუხედავად აღნიშნული გამოწვევებისა, სტუდენტების გლობალური კომპეტენცია უნდა იყოს მიღწეული. პრაქტიკა ადასტურებს რომ საერთაშორისო ბიზნესის სფეროში ოპერირებენ ფირმები, რომელთა ლიდერები და მენეჯერები ფლობენ განსაკუთრებულ კულტურათაშორის და გლობალურ ტექნიკურ კომპეტენციებს (Mughan, 2009; Xie and Zhang, 2021).

**ბიზნესკურიკულუმის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია.** ბიზნესგანათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, უპირველეს ყოვლისა, ბიზნესკურიკულუმის განვითარება. იგი მიზნად ისახავს სწავლების ისეთი შედეგების მიღწევას, რომლებიც გამოვლინდება სტუდენტების გლობალური, საერთაშორისო

კომპეტენციების ფორმირებაში. საერთაშორისო ლიტერატურაზე დაყრდნობით შესაძლებელია გამოვყოთ ბიზნესკურიკულუმის ინტერნაციონალიზაციის შემდეგი სხვადასხვა პრაქტიკული და კომპლექსური ხელის შემწყობი ფაქტორები, მიდგომები და შესაძლებლობები:

- ბიზნესკურიკულუმის განვითარება და ინტერნაციონალიზაციის განხორციელება პროფესორ-მასწავლებელთა საერთაშორისო კომპეტენციებისა და გამოცდილების გაზრდის და მათ მიერ კულტურათაშორისი პედაგოგიკის უნარების დაუფლების მეშვეობით, რაც ხშირად პროფესორ-მასწავლებელთა საერთაშორისო და გაცვლით პედაგოგიურ პროგრამებში ჩართულობით მიიღწევა (Nutsubidze, 2018);

- ბიზნესკურიკულუმის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია სასწავლო კურსებში გლობალური კონტექსტის ინტეგრირების მეშვეობით (Zilch, 2018);

- ბიზნესკურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია და მისი ადაპტირება, უპირველეს ყოვლისა, კოგნიტიური თვალსაზრისით სწავლების დონის გაუმჯობესების მიზნით. მაგალითად, სტუდენტების პრაქტიკული უნარების გაძლიერება, ძირითადად, ქეისებსა და ბიზნესსიტუაციების სიმულაციებზე დაფუძნებული სწავლების გზით (Mughan, 2009);

- დაბოლოს, პროფესორ-მასწავლებელთა მიერ საკლასო ოთახში (აუდიტორიაში) საერთაშორისო სტუდენტების ქცევისას სხვადასხვა კულტურული ასპექტების გააზრება-გათვითცნობიერება და მათი გათვალისწინება სწავლის მეთოდების, მიდგომების და სასწავლო კურსების განვითარებისა და დანერგვისას (Umaschi, 2018).

ბიზნესგანათლების ინტერნაციონალიზაცია საქართველოში განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას, რადგან ამ პროცესის გამართული წარმართვა განაპირობებს ბიზნესგანათლების განვითარებას მისი მრავალმხრივი ასპექტების განვითარების თვალსაზრისით. ამაში შედის არა მხოლოდ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და დახვეწა, არამედ სტუდენტთა გლობალური კომპეტენციის აღიარება, სასწავლო რესურსების, ტექნოლოგიების, საბიბლიოთეკო ბაზის გაძლიერება და, რა თქმა უნდა, პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის განვითარება-ამაღლება. ამასთან ერთად, ბიზნესგანათლების ინტერნაციონალიზაცია ხელს უწყობს უცხოელ სტუდენტთა მოზიდვის შესაძლებლობების ზრდას საქართველოს უმაღლესი განათლების სასწავლო დაწესებულებებში (Nutsubidze, 2023).

**სამეწარმეო სწავლების და ინტერნაციონალიზაციის განვითარება პროფესიულ სასწავლებლებში.** პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში, საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისეთი პოლიტიკის ზომების განხორციელებას, რომლებიც შრომის ბაზრის მოთხოვნების საპასუხოა და უზრუნველყოფს ადამიანური კაპიტალის ფორმირებას. სამეწარმეო კომპეტენციების განვითარებამ, როგორც საკვანძო და პრიორიტეტულმა კომპეტენციებმა, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ბოლო ათწლეულის განმავლობაში. 2015 წლიდან დაწყებული სამეწარმეო სწავლების ინტეგრირება ხდება პროფესიულ პროგრამებში. სამეწარმეო სწავლების განვითარების მიზნების მისაღწევად უკვე განხორციელდა მრავალი საერთაშორისო პროექტი, რაც პროფესიული განათლების ფარგლებში მიმდინარე ინტერნაციონალიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი და სამაგალითო ნაწილია. სამეწარმეო სწავლების მნიშვნელოვანი პროგრესი პროფესიული განათლების სისტემის ფარგლებში განპირობებულია “განათლების სისტემის ყველა დონეზე უწყვეტი სამეწარმეო სწავლების დანერგვის 2019–2020 წლების სამოქმედო გეგმით“, რომელიც ეყრდნობოდა ევროპის სამეწარმეო კომპეტენციების სწავლების ჩარჩოს (EntreComp) სხვადასხვა თანამედროვე მიდგომებს. საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს „2020 – 2021 წლების სტრატეგიული ანგარიშის“ (2022) მიხედვით, 2019 წელს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით, სამინისტროსა და კალიფორნიის უნივერსიტეტის დევისის, „D-Lab“-თან პარტნიორობით, განხორციელდა პროფესიული სასწავლებლების გაძლიერების პროექტი. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავდა მეწარმეობის სწავლების ხელშეწყობას ახალი სასწავლო მოდულის განვითარების გზით. პროექტის ფარგლებში შემუშავდა ახალი სასწავლო მოდული — „მეწარმეობა“. მისი დანერგვის მხარდაჭერაზე მუშაობს პროფესიული უნარების სააგენტო (Ministry of Education and Science, 2022). „მეწარმეობის“ სასწავლო მოდული უნდა წარმოადგენდეს პროფესიული პროგრამების

სავალდებულო კომპონენტს. მიუხედავად ამისა, რიგ პროფესიული განათლების დაწესებულებებში მოდული არ არის ჯერ კიდევ სრულად დანერგილი და მოითხოვს დამუშავებას და ადაპტირებას, რათა ეფექტურად წარიმართოს პროექტზე დაყრდნობით სწავლება და სტუდენტების მიერ საერთაშორისოდ აღიარებული უნარების დაუფლება.

თანამედროვე ეტაპზე პროფესიული განათლების სისტემის ფარგლებში ინტერნაციონალიზაციის მიმდინარე პროცესები მოიცავს როგორც პროფესიული სასწავლებლის პერსონალისა და სტუდენტების მობილობას, ისე საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დანერგვას, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებას პოლიტიკის შემუშავების, რეგულაციების დადგენისა თუ სხვადასხვა მიდგომებისა და მეთოდოლოგიების მიმართულებით. საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს „2020 – 2021 წლების სტრატეგიული ანგარიშის“ (2022) მიხედვით, ბოლო წლების განმავლობაში არაერთი ფუნდამენტური ცვლილება განხორციელდა სისტემურ დონეზე. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო დაეფუძნა ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებსა და პრინციპებს, რაც ხელს უწყობს საქართველოში გაცემული კვალიფიკაციების თავსებადობას და აღიარებას განათლების ევროპულ სივრცეში. დაინერგა პროფესიული განათლების კრედიტების სისტემა, რომელიც ეფუძნება ევროპულ მექანიზმს — ECVET; ევროპული სტანდარტის შესაბამისად შეიქმნა და დაინერგა პროფესიული დიპლომისა და სერტიფიკატის, ასევე მათი დანართების განახლებული ფორმები. პროფესიული განათლების შესახებ ახალმა კანონმა ასევე შექმნა სამართლებრივი საფუძველი პროფესიულ განათლებაში ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების განსახორციელებლად (Ministry of Education and Science, 2022, 2023).

**დასკვნა.** ბიზნესგანათლების ინტერნაციონალიზაცია უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ როგორც ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური და ინსტიტუციური მიზნების მიღწევის ეფექტური საშუალება, არამედ საქართველოში ადამიანური კაპიტალის, შრომის ბაზრისა და ეკონომიკური განვითარების საწინდარი. ბიზნესგანათლების განვითარების უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს ბიზნესკურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია, რომელიც ემსახურება სტუდენტებისთვის გლობალური, საერთაშორისო კომპეტენციის მინიჭებას. ამავე დროს, თანამედროვე საქართველოში უმაღლესი განათლების დაწესებულებების ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა ენიჭებოდეს კულტურათაშორისი პედაგოგიკის დანერგვის და განვითარების შესაძლებლობებს. არსებული ტენდენცია გვიჩვენებს რომ უმაღლესი განათლების დაწესებულებებს საქართველოში გააჩნიათ პოტენციალი, მოიზიდონ საერთაშორისო სტუდენტების მრავალფეროვანი კონტინგენტი. არსებული რეალობის ფონზე ხაზი უნდა გაესვას იმ საკითხს, რომ კულტურათაშორისი პედაგოგიკა დამატებით ხელს უწყობს კურიკულუმის ინტერნაციონალიზაციას, რადგან ეხმარება შესაბამისი კურიკულუმის მიწოდების განხორციელებაში. ამასთან ერთად კულტურათაშორისი პედაგოგიკა ხელს უწყობს სტუდენტებს, რათა, მიუხედავად მათი კულტურული და სოციალური განსხვავებულობებისა, შეძლონ თანასწორად გრძნობდნენ თავს, პროდუქტიულად ისწავლონ და ინტეგრირებული იყვნენ მულტიკულტურულ გარემოში (Lee at al., 2017). საქართველოში კულტურათაშორისი პედაგოგიკისა და კურიკულუმის ინტერნაციონალიზაციის პროცესებთან დაკავშირებული შესწავლა-ტრენინგის მიწოდება იშვიათია აკადემიურ სფეროში. პროფესორ-მასწავლებლები უმეტესწილად თეორიული ცოდნისა და უშუალოდ პირადი პრაქტიკის (მათ შორის წარმატებული და წარუმატებელის) მაგალითზე ავითარებენ თავიანთ კულტურათაშორის პედაგოგიურ უნარებს და გამოცდილებას. ამავეს თქმა გვიწევს კურიკულუმის ინტერნაციონალიზაციის შესახებ. ხშირად და უმეტესწილად უშუალოდ პროფესორ-მასწავლებლები ახორციელებენ სასწავლო კურსებისა და კურიკულუმის ინტერნაციონალიზაციას (გლობალური კონტექსტის ინტეგრირება, სტუდენტებისთვის საერთაშორისოდ აღიარებული უნარების სწავლა, გადაცემა და სხვა) საკლასო ოთახის მულტიკულტურული გარემოს გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს და აძლიერებს უმაღ-



ლესი სასწავლო დაწესებულებების ფარგლებში ინტერნაციონალიზაციის ტენდენციებს (ნუცუბიძე, 2023).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროფესიული განათლების რეფორმირების პროცესის სახელმწიფო პრიორიტეტებს წარმოადგენს პროფესიული განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაცია და სამეწარმეო კომპეტენციების ფორმირება. აღნიშნული პრიორიტეტები ემსახურება მიზანს, შეიქმნას ღირებული ადამიანური კაპიტალი და გაიზარდოს ადგილობრივი სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობა როგორც თვით ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარზე. სამეწარმეო განათლების განვითარება შესაბამისად მოითხოვს პროფესიული განათლების ფარგლებში სამეწარმეო მოდულის ისეთ ადაპტირებას, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტებისგან საერთაშორისოდ აღიარებული უნარების შესწავლას და დაუფლებას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Bruste W.I. 2007. "The Global Campus: Challenges and Opportunities for Higher Education in North America." *Journal of Studies in International Education*. Vol. 11. No. 3/4. pp. 382-391.
2. Edwards, Ron at al., 2003. "Internationalization of Business Education: Meaning and implementation," *Higher Education Research & Development*, 22:2, 183-192.
3. Geostat. 2023. Employment and Unemployment. National Statistics Office of Georgia, Tbilisi, Georgia.
4. J-PAL. 2023. Materials of Vocational Training Studies. MIT, Cambridge, MA, USA.
5. Kehm B.M., Teichler U. 2007. "Research on Internationalization in Higher Education." *Journal of Studies in International Education*. Vol. 11. No. 3/4. pp. 260-273.
6. Lee, Amy, at al. 2017. *Teaching Interculturally: A Framework for Integrating Disciplinary Knowledge and Intercultural Development*. Stylus Publishing; ISBN-13:978-1620363805
7. Lee, Amy, at al. 2018. "Intercultural Pedagogy: A Faculty Learning Cohort." *Education Sciences*, 8(4), p. 177.
8. Mughan, T., Oyvin Kyvik. 2009. "The Internationalization of Business: educational paradigms, research communities and challenges." *Academy of International Business*, San Diego, USA.
9. Nutsbidze, Tamila. 2018. "Internationalization of a Business Curriculum." Materials presented on the Region One New England Conference, Greater Boston Area, MA. The International Accreditation Commission of a Business Education, USA.
10. Nutsbidze, Tamila. 2023 „Internationalization of Higher Education. Intercultural Pedagogy and Development of a Business Curriculum,” Akaki Tsereteli State University, The Faculty of Pedagogy, Materials presented on the XI International Scientific Conference, Kutaisi, Georgia. (ქართულად)
11. Ministry of Education and Science of Georgia. 2022, „Vocational Education. 2020 – 2021 Strategic Report,” Department of the Development of Vocational Education, Tbilisi, Georgia. (ქართულად)
12. Ministry of Education and Science of Georgia. 2022, „Vocational Education. The 2022 Report of the National Strategic Action Plan,” Department of the Development of Vocational Education, Tbilisi, Georgia. (ქართულად)
13. Umaschi, Santiago. 2018. "Understanding the Role of Culture in International Students in-Class Behavior." Materials presented on the Region One New England Conference, Greater Boston Area, MA. The International Accreditation Commission of a Business Education, USA.
14. Xie, J. and Tianshuo Zhang. 2021. "Study on Internationalization Strategy of China's New Business Education in the Background of Digital Economy." *International Education Studies*; Vol. 14, No. 10; pp.92-102.
15. Zilch, Kathy. 2018. "Integrating Global Context into Business Courses." Materials presented on the Region One New England Conference, Greater Boston Area, MA. The International Accreditation Commission of a Business Education, USA.

**LABOR MARKET CHALLENGES AND OPPORTUNITIES FOR DEVELOPMENT OF  
BUSINESS EDUCATION AND ENTREPRENEURSHIP TRAINING IN GEORGIA**

**Abstract**

The article studies labor market challenges and unemployment trends in Georgia. Along with this, the main directions of the development of the higher and vocational education system in Georgia are discussed in the paper. The importance of the internationalization of business education and entrepreneurial training and the challenges related to them are discussed in great detail. Business education and entrepreneurship training should promote and support formation of international awareness, expertise and global competencies among students. Therefore, the development and internationalization of business education and entrepreneurship training in Georgia should be aimed at increasing the competitiveness of the workforce, both locally and in the international labor market.

**Key words:** labor market, unemployment, business education, entrepreneurship training

რუსუდან პაპასკირი  
ლუკა პაპასკირი

**საპენსიო სისტემის რეფორმები საქართველოში**

**ანოტაცია.** სტატიაში „საპენსიო სისტემის რეფორმები საქართველოში“ განხილულია საპენსიო სისტემის და პენსიის არსი, მისი არსებობის საჭიროება, განვითარების პერიოდები, მისი პირველი დამფუძნებელი მსოფლიოში, საპენსიო სისტემის სახეები, დაგროვებითი საპენსიო სისტემის პრობლემა საქართველოში.

საქართველოში 2018 წელს საპენსიო რეფორმის განხორციელება (რაც დაგროვებითი საპენსიო სისტემის შემოღებით გამოიხატა) სტატიაში ახსნილია ხანშიშესული მოსახლეობის მნიშვნელოვანი მატებით, რაც წლიდან წლამდე ზრდიდა ბიუჯეტიდან მათთვის გასაცემ საპენსიო ხარჯებს. აქედან გამომდინარე, დაგროვებითი საპენსიო სისტემის შემოღება სტატიაში ჩათვლილია ეფექტურ ღონისძიებად, მხოლოდ გამოთქმულია გარკვეული ეჭვი მისგან დადებითი მოლოდინის შესახებ. ამ ეჭვს საფუძვლად უდევს ავტორის მიერ ქ. თბილისის მოსახლეობაში ამ საკითხზე ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის შედეგად აღმოჩნდა, რომ გამოკითხული მოსახლეობის 57,5% არ ენდობა ახალ საპენსიო სისტემას, ნაწილობრივ ენდობა – 29,5%, ხოლო ენდობა – 20%.

ავტორი თვლის, რომ ნეგატიურად განწყობილი მოსახლეობის ასეთ დიდ ხვედრით წილს განაპირობებს როგორც ქვეყნის, ისე ინფლაციის არასტაბილურობა, რომელმაც შეიძლება მთლიანად გააუფასუროს დაგროვილი საპენსიო თანხები.

**საკვანძო სიტყვები:** პენსია, განაწილებითი საპენსიო სისტემა; დაგროვებითი საპენსიო სისტემა; მოსახლეობის დაბერება.

**შესავალი**

ქვეყნის ხანდაზმულ მოსახლეობაზე ზრუნვა, ყველა ქვეყანაში სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ამ მიზნით საჭირო რესურსი ძირითადად ბიუჯეტიდან იხარჯება. ამდენად, პენსიის სიდიდე ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობაზეა დამოკიდებული. ამას ემატება მოსახლეობის დაბერების პროცესის ინტენსივობა და ხანდაზმულთა რიცხვის მატება. 2016 წელს, როცა დაიწყო საქართველოში საპენსიო რეფორმის გატარების მოსამზადებელი სამუშაოები, ქვეყანა ორივე ამ გამოწვევის პირისპირ იდგა.

## ძირითადი ტექსტი

საპენსიო სისტემა ხანდაზმულობის ასაკში მოსახლეობის ჯანმრთელი, უსაფრთხო სიცოცხლისთვის არის შექმნილი. მისი ძირითადი კომპონენტი არის პენსია. პენსია, ეს არის სახელმწიფოს მიერ არაშრომისუნარიანი მოქალაქეებისთვის რეგულარული, უწყვეტი ფულადი გადახდა, რომელიც ინიშნება საპენსიო ასაკის მიღწევის, ინვალიდობის დადგენის, ოჯახის მარჩენალის გარდაცვალების, ხანგრძლივი პროფესიული საქმიანობის შემთხვევაში.

საპენსიო სისტემის ფორმირება ყოველთვის წარმოადგენდა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ მიმართულებას, რაც სიბერეში მყოფ მოსახლეობაზე ზრუნვით გამოიხატებოდა. სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს მთავრობამ თავის თავზე აიღო ეს ვალდებულება. პირველი ქვეყანა, სადაც საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა დაინერგა, იყო გერმანია. 1989 წელს, კანცლერ ოტო ფონ ბისმარკის ინიციატივით, გერმანიაში მიიღეს სიბერისა და შრომისუნარობის დაზღვევის კანონი და შეიქმნა სოციალური დაზღვევის სისტემა. იგი ფინანსდებოდა სახელმწიფოს, დამსაქმებლისა და დასაქმებულთა შენატანებით.

საქართველოში პენსიების შემოღება რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მის შესვლას უკავშირდება და იმ დღიდან დაწყებული, საქართველოს საპენსიო სისტემა იყო თავდაპირველად რუსეთის საპენსიო სისტემის, ხოლო შემდეგ – საბჭოთა კავშირის საპენსიო სისტემის ანალოგიური.

როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველო დამოუკიდებელი გახდა, მან მემკვიდრეობით საბჭოთა განაწილებითი საპენსიო სისტემა მიიღო. გადანაწილებითი საპენსიო სისტემა ცნობილია როგორც „Pay as you go“ და იგი გულისხმობს დღევანდელი დასაქმებულის მიერ გადახდილი გადასახადიდან დღევანდელი ხანდაზმულების პენსიის ფორმირებას [1, გვ. 160]. ასე მოვიდა საქართველო 2018 წლამდე, ანუ მანამდე, სანამ საქართველოში არ გატარდა საპენსიო რეფორმა და გადანაწილებითი საპენსიო სისტემა არ შეიცვალა დაგროვებითი საპენსიო სისტემით. ამის აუცილებლობის მრავალი მიზეზი არსებობდა, მაგრამ მათ შორის მთავარი იყო დემოგრაფიული პრობლემები და მოსახლეობის დაბერება.

მოსახლეობის დაბერება გლობალური, შეუქცევადი და გარდაუვალი დემოგრაფიული პროცესია. დღეს ეს მოვლენა ყველა ქვეყნისთვის დიდ გამოწვევად იქცა, რადგან დღეს დემოგრაფიულ განვითარებას ახასიათებს შობადობის შემცირება და სიცოცხლის გახანგრძლივება, რისი შედეგიც არის მოსახლეობის ინტენსიური დაბერება, ანუ შრომისუნარიანი მოსახლეობის შემცირება. არსებობს პროგნოზი, რომ 2015-2055 წლებისთვის ევროპაში შრომისუნარიანი მოსახლეობა 20%-ზე მეტით შემცირდება, რაც, რა თქმა უნდა, გამოიწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის შემცირებასაც [2, გვ. 7].

მსგავსი პროგნოზი აქვს საქართველოს დემოგრაფიულ ვითარებასაც. თუ დღეს საქართველოს მოსახლეობაში 65 წლის და უფროსი ასაკის პირთა წილი 7%-ია, 2050 წლისთვის იგი 23%-ს მიაღწევს [3]. ეს, რა თქმა უნდა, გამოიწვევს დასაქმებულთა დატვირთვის კოეფიციენტის გაზრდას და მოხდება მოსახლეობის დაბერების ზრდის ხარჯზე. დღევანდელი დასაქმებული ახალგაზრდა თავისი გადასახადით პენსიას „ამლევს“ დღევანდელ ხანდაზმულს. როცა დასაქმებულ ახალგაზრდებსა და ხანდაზმულ პენსიონერთა თანაფარდობა მკვეთრად ირღვევა, ანუ პენსიონერთა რიცხვი მკვეთრად იზრდება, მაშინ ახალგაზრდების ეკონომიკური ტვირთი მეტად მძიმდება [4, გვ. 118] და იგი ქვეყნის ბიუჯეტზეც ნეგატიურად აისახება [5, გვ. 118-120]. თუ 2015 წელს საქართველოში ასაკით პენსიონერების პენსიით უზრუნველყოფისთვის საჭირო იყო 1303 მლნ ლარი, 2018 წლისთვის ამ სახსრებმა შეადგინა 1605 მლნ ლარი, ე. ი. გაიზარდა 23%-ზე მეტად. ეს გამოიწვია იმან, რომ 2015 წელს, საქართველოში ირიცხებოდა 707709 პენსიის მიმღები, 2018 წელს კი – 745001. არსებობს ვარაუდი, რომ 2050 წლისთვის პენსიონერთა რაოდენობა, მოსახლეობის 25%-ს მიაღწევს [1, გვ. 94].

2023 წლის მდგომარეობით, საპენსიო აქტივებმა 3,14 მლრდ ლარი შეადგინა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მსოფლიო ბანკის აქტიური მონაწილეობით შეიმუშავა საპენსიო რეფორმის მოდელი, რომელიც გულისხმობდა გადანაწილებითი მოდელის ჩანაცვლებას დაგროვებითი საპენსიო მოდელით. ქვეყნის

მთავრობამ გაითვალისწინა ის მდგომარეობა, რომ 65 წელზე უხნესი მოსახლეობის ხვედრითი წილი ქვეყანაში საგრძნობლად მატულობს და თუ ასე გაგრძელდა, და ამის პროგნოზი თვალსაჩინოა, მომავალში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს მნიშვნელოვნად გაუჭირდება ხანდაზმულთა უზრუნველყოფა პენსიით. ეს გადაწყვეტილება უცებ არ მიღებულა. განიხილებოდა საკითხი იმის შესახებ, რომ თუ სახელმწიფო პენსიის ოდენობა მომავალში გაიზრდებოდა საშუალო ხელფასის ზრდის პროპორციულად, მაშინ საპენსიო ხარჯები 2060 წლისთვის მშპ-ის 10% გახდებოდა და ეს მდგომარეობა, მწირი საბიუჯეტო რესურსების გამო, საქართველოს საპენსიო სისტემის მდგრადობას საფრთხეს შეუქმნიდა. განიხილებოდა დამატებითი რესურსების მოძიების გაზრდის საკითხიც, კერძოდ, გადასახადების გაზრდით, მაგრამ საქართველოში ამ ღონისძიებას არავინ დაუჭერდა მხარს. ასე რომ, დაგროვებითი პენსიის შემოღება იყო სრულიად სწორი ნაბიჯი, თუმცა როგორ იმუშავებს იგი, ეს მომავალ წლებში გაირკვევა. ეს არა მხოლოდ პირადად ჩვენი, არამედ ფართო საზოგადოების აზრია, რომლის ერთ ნაწილთან ამ საკითხზე კვლევა ჩავატარეთ. ჩვენი მიზანი იყო გაგვეჩვენა, საზოგადოების განწყობა დაგროვებითი საპენსიო სისტემის შესახებ.

კვლევამ მოიცვა ქ. თბილისში მცხოვრები 18 წელზე მეტი ასაკის 100 ადამიანი (მ. შ. 57 ქალი, 43 მამაკაცი). კვლევა ჩატარდა პირისპირ. რესპონდენტებისთვის დასმული იყო 10 კითხვა, რომლებიც დაგროვებითი პენსიის შემოღებასთან მათ დამოკიდებულებას ეხებოდა (იხ. ცხრილი 1). მათი დიდი ნაწილის პასუხი ან იყო უარყოფითი, ან საკითხში გაუთვითცნობიერებლობის გამო კითხვას უპასუხოდ ტოვებდა. მაგალითად, კითხვაზე – „მოგწონთ თუ არა დაგროვებითი საპენსიო სისტემა?“ 45%-მა უარყოფითი პასუხი („არა“) გაგვცა, 24,2%-მა კი – „არ ვიცი“ გვიპასუხა. თითქმის ასეთივე შედეგები მივიღეთ ყველა საკვანძო კითხვებზე. ჩვენი აზრით, ასეთი შედეგი დადგა იმიტომ, რომ საპენსიო რეფორმის გატარებით მის შესახებ არ გავათვითცნობიერეთ საზოგადოება, არ გავმართეთ სჯა-ბაასი, გნებავთ, კამათი მედიასაშუალებებში, სხვადასხვა პროფესიულ ასოციაციებსა და კავშირებში და ა. შ.

**ცხრილი 1**

**ქ. თბილისში მცხოვრები 100-კაციანი ფოკუს-ჯგუფის დამოკიდებულება დაგროვებით პენსიის შემოღებაზე საქართველოში**

კითხვები	%-ში
1. ხართ თუ არა დასაქმებული? ⇒ დასაქმებული ⇒ უმუშევარი ⇒ სტუდენტი ⇒ თვითდასაქმებული	5,2 11,5 21,8 61,5
2. მოგწონთ თუ არა დაგროვებითი საპენსიო სისტემა? ⇒ დიახ ⇒ არა ⇒ არ ვიცი	0,8 45,0 24,2
3. საიდან მიიღეთ ინფორმაცია ახალი საპენსიო სისტემის შესახებ? ⇒ მედია-საშუალებიდან ⇒ დამსაქმებლებიდან ⇒ ახლობლებისგან ⇒ სხვა გზებით	61,2 13,1 9,3 16,4
4. როგორ შეაფასებთ ახალ საპენსიო სისტემას? ⇒ ნეგატიურად ⇒ პოზიტიურად ⇒ არ ვიცი	47 14,5 37,5
5. შეიტანდით თუ არა ცვლილებებს საპენსიო სისტემაში? ⇒ დიახ	23,7

⇒ არა	76,3
6. რამდენად ენდობით ახალ საპენსიო სისტემას? ⇒ ვენდობი ⇒ არ ვენდობი ⇒ ნაწილობრივ ვენდობი	21,3 57 21,7
7. რამდენად ენდობით საქართველოს საპენსიო სააგენტოს? ⇒ ვენდობი ⇒ არ ვენდობი ⇒ ნაწილობრივ ვენდობი	15,3 71 13,7
8. რა იქნებოდა თქვენი სიბერის უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალება? ⇒ სავალდებულო დაგროვებითი სისტემა ⇒ ნებაყოფლობითი დაგროვებითი სისტემა ⇒ სახელმწიფო გადანაწილების საპენსიო სისტემა ⇒ არ ვიცი	14,0 41,0 45,0 –
9. თვლით თუ არა, რომ ახალი საპენსიო სისტემით თქვენი დანაზოგები მართლაც მნიშვნელოვნად გაიზრდება? ⇒ დიახ ⇒ არა ⇒ არ ვიცი	10,4 32,5 57,5
10. ახალ საპენსიო სისტემაში თქვენს სავალდებულო ჩართვაზე რა აზრის ხართ? ⇒ არ მიმაჩნია სწორად ⇒ სწორად მიმაჩნია ⇒ არ ვიცი	41,6 21,4 37,0
11. იცნობთ თუ არა და ენდობით თუ არა იმ პიროვნებას, რომელიც მართავს საქართველოში საპენსიო ფონდს? ⇒ არ ვიცნობ და არ ვენდობი ⇒ ვენდობი ⇒ ნაწილობრივ ვენდობი	100 – –
12. რას ურჩევდით საქართველოს საპენსიო ფონდის ხელმძღვანელს სად დააბანდოს ფონდში დაგროვილი სახსრები, რომ თქვენი საპენსიო შემოსავლები მაქსიმალურად გაიზარდოს? ⇒ საქართველოს ბანკებში ⇒ უცხოეთის ბანკებში ⇒ საქართველოს ტოტალიზატორებსა და კაზინოებში ⇒ საქართველოს სარესტორნო ბიზნესში ⇒ საქართველოს სამშენებლო ბიზნესში	5,2 10,3 4,7 30,8 49,0

ამას ემატება ის რისკები, რაც საქართველოს მოსახლეობამ ნახა საბჭოური შემნახველი სალაროს ანაზრების დაკარგვით, შვეარდნადის პრეზიდენტობის დროს კერძო ბანკებში („ამიკო“, „ოქროს თევზი“ და სხვები) შენახული ფულის დაკარგვით, საქართველოდან ამ ბანკების გაქცევით და სხვა. ამ ყველაფერმა საქართველოს მოსახლეობას ნდობა დაუკარგა როგორც სახელმწიფო, ისე კომერციული (კერძო) ინსტიტუტების მიმართ, არადა დაგროვებითი საპენსიო პოლიტიკა სწორედ მოსახლეობის ნდობაზე დგას და, რადგან საქართველოში მოსახლეობა მას არ ენდობა, ამიტომ 40 წლამდე ასაკის დასაქმებული მოსახლეობისთვის იგი სავალდებულო გახადეს. მართალია, დასაქმებულებს უარის თქმის უფლებაც მისცეს, მაგრამ ამ უარის უკან „იმალეზოდა“ სამსახურის დაკარგვის დიდი შიში, რის გამოც, უარის თქმის მსურველთა 90% დათანხმდა.

კითხვაზე – „იცნობთ თუ არა და ენდობით თუ არა იმ პიროვნებას, რომელიც საპენსიო ფონდს მართავს საქართველოში?“ რესპონდენტთა 100%-მა გვიპასუხა, რომ არც იცნობენ და, რა თქმა უნდა, არც ენდობიან. ასეთ დროს, ეს არის პირი, რომელსაც უფლება აქვს დამოუკიდებლად განკარგოს ფონდის აქტივები [6, გვ. 148].

როგორც საპენსიო სააგენტოს დირექტორმა გიორგი დანელიამ „პალიტრანიუსის“ გადაცემაში (5 მაისი, 2023 წ.) განაცხადა, საქართველოში უკვე დაახლოებით 10 მლნ ლარია გაცემული დაგროვილი პენსიის სახით. დაახლოებით 3000-ზე მეტმა ადამიანმა ისარგებლა მათ მიერ დაგროვილი თანხით. ამ დროისთვის ფონდში უკვე 3.3 მლრდ ლარია დაგროვილი, ხოლო საინვესტიციო საქმიანობიდან ზედ დარიცხული სარგებელი შეადგენს 500 მლნ ლარს.

თუმცა, როგორც გამოკითხვებმა აჩვენა, ბევრ გამოკითხულ რესპონდენტს ეს უსარგებლო ბეგარად მიაჩნია (გვ. 7).

გამოკითხულ რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ შეგროვილი საპენსიო ფონდი ბანკში კი არ უნდა იყოს განთავსებული, როგორც ამჟამად არის, არამედ საქართველოს სამშენებლო ბიზნესში (49%) და სარესტორნო ბიზნესში (30,8%). რესპონდენტები უპირატესობას სამშენებლო ბიზნესს იმიტომ აძლევენ, რომ მათთან საინვესტიციო შეთანხმების პირობებში გარანტად სამშენებლო ფართობი შეიძლება ჩაიდოს, რომელსაც ფონდი მიიღებს მშენებლების მხრიდან შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში.

**დასკვნა.** სახელმწიფო გადანაწილებითმა საპენსიო სისტემამ დღემდე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ასაკოვანი მოსახლეობის სიღარიბის შემცირებაში. დღეს არა მხოლოდ საქართველო, არამედ მთელი მსოფლიოს მოსახლეობა დაბერების, ე. ი. ხანდაზმულთა მნიშვნელოვანი მატების დიდი გამოწვევის წინაშე დადგა. ისეთ მწირ საბიუჯეტო რესურსების პატრონს, როგორც საქართველოა, გაუჭირდებოდა გადანაწილებითი საპენსიო პოლიტიკით პენსიონრების პენსიით უზრუნველყოფა. ამიტომ გადაიღვა სრულიად სწორი ნაბიჯი და ქვეყანა დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადავიდა. ამ ღონისძიებების ნაკლი მხოლოდ ის იყო (და არის), რომ მას მოსახლეობა მოუმზადებელი შეხვდა. სათანადო სახელმწიფო ინსტიტუტებს არ ჩაუტარებიათ ამ საკითხზე გაშლილი, ფართო საინფორმაციო კამპანია. ეს ან ამ ღონისძიების გატარების დაჩქარების გამო მოხდა, ან იქ დასაქმებული კადრების უცოდინრობით. მათგან არცერთი საპატიო არ არის. სახელმწიფო ორგანოების ორიენტირი ყოველთვის უნდა იყოს საქართველოს მოსახლეობა, მით უფრო ისეთ საკითხებში, რომელიც მოსახლეობის საკუთარ ფულს ეხება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. უროტაძე ჯ., „საქართველოს საპენსიო პოლიტიკა და მსოფლიო გამოცდილება“. თბ., 2018.
2. Рональд Л. Эндрью М. (2017). Цена старения. Финансы и развитие".
3. UN (2017). World Population Prospects: The 2017 Revision. NY: United Nations, Department of Economic and Social Affairs
4. Bergtsson T. & Scott J. (2010). The Ageing Population, the Case of Sweden. Springer
5. წიკლაური შ., „მოსახლეობის დაბერება საქართველოში, როგორც ქვეყნის ეკონომიკის დემოგრაფიული ხაფანგი“, ჟურნ. „ეკონომისტი“, ტ. XIII, №3, 2017.
6. მაისურაძე მ., „საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამების აღრიცხვის საკითხები“, თსუ-ის საერთაშორისო კონფერენცია – „თანამედროვე ბიზნესი: სიახლეები, პრობლემები“. შრომების კრებული, თბ., 2014.
7. პალიტრა ნიუსი, 5 მაისი, 2023.

**PENSION SYSTEM REFORMS IN GEORGIA**  
**Abstract**

In the Article: " Pension system reforms in Georgia", there have been discussed the essence of the pension system and pension in general, necessity of its presence, periods of development, its first founder in the world, the types of the pension system and etc.

In the Article there have been explained the implementation of the pension reform in Georgia, in 2018 (that was expressed by the introduction of the accumulative pension system) by significant growth of the old-age population, which have increased the pension funds to be paid to them. Due to this, the introduction of the accumulative pension system is deemed in the Article as an effective measure. There is only expressed a doubt about the positive expectations. Such doubt is based on the results of the research conducted in Tbilisi population. As these results showed, the 57, 5% of the persons interviewed did not trust a new pension system, 29,5% - trust partially, and 20% of them - trust it.

The author deems that such great share of the people of negative attitude is caused by the instability and high inflation in the country, which may entail the devaluation of the pension funds.

**Key word:** pension, distributive pension system, ageing of the population

*რომან ყურაშვილი*

**აზარტული თამაშების როლი ეკონომიკაში და აზარტულ თამაშებზე  
დამოკიდებული ადამიანის ქცევის მოტივაცია**

**ანოტაცია.** აზარტი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, რომელიც შეგვიძლია დავინახოთ ნებისმიერ საყოფაცხოვრებო ასპექტში. აზარტული თამაშები იქცა გართობის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად, რომელსაც თავისი წვლილი ეკონომიკის ფორმირებასა და განვითარებაშიც შეაქვს. სათამაშო ბიზნესი საქართველოში განვითარების პიკზეა და დღითიდღე ვითარდება. ის არის ერთ-ერთი უმსხვილესი და მომგებიანი სფერო, რომელიც ასევე ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას და ქვეყნისთვის დამატებითი ფუნქციები მოაქვს.

მოცემული ნაშრომი წარმოადგენს აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანის ქცევის მოტივაციის გაანალიზების მცდელობას, – როგორ დაიწყოს მათი დამოკიდებულება, როგორ მოქმედებს აზარტული თამაშები მათ ფსიქოლოგიაზე, ბიუჯეტზე და აიძულებს მათ, რომ იმოქმედონ არარაციონალურად თავიანთი შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში.

მნიშვნელოვანია პრობლემის გაანალიზება როგორც ეკონომიკურ და ფინანსურ ჭრილში, ასევე ფსიქოლოგიურ ასპექტში. შესაბამისად ნაშრომში გაანალიზებულია სტატისტიკური მონაცემები აზარტული თამაშების როლზე ეკონომიკისთვის მსოფლიოსა და საქართველოს მაგალითზე და ფსიქოლოგიური ფაქტორები ემპირიული კვლევის ბაზაზე.

**საკვანძო სიტყვები:** აზარტული თამაშები, ქცევის მოტივაცია, ბიუჯეტი, ფსიქოლოგია, ეკონომიკა.

**შესავალი**

აზარტულ თამაშებს უდიდესი ისტორია აქვს როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში. მოსახლეობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ახალგაზრდები, რეგულარულად არიან დაკავებული აზარტული თამაშებით. ეს შეგვიძლია განვიხილოთ მორალურ ჭრილში, რამდენად გამართლებულია აზარტული თამაში, მისი რეკლამა, სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდვები და ა.შ., მაგრამ უდავოა, რომ ეს სფერო უდიდეს ინდუსტრიას წარმოადგენს და მისი წილი მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისა და საქართველოს ეკონომიკაში საკმაოდ დიდ როლს თამაშობს. სათამაშო ბიზნესი საქართველოში განვითარების პიკზეა და დღითიდღე ვითარდება. ეს ერთ-ერთი უმსხვილესი და მომგებიანი სფერო ავითარებს ტურიზმს და ქვეყნის დამატებით ფუნქციებს.

აზარტული თამაშების ასეთი გავრცელებისა და გავლენის გამო აუცილებელია რეალობის სიღრმისეულად გაანალიზება, ეკონომიკაზე და ადამიანის ფსიქოლოგიაზე ამ თამაშების გავლენის შესწავლა.

კვლევის მიზანია იმ ფაქტორების დადგენა და შესწავლა, რომლებიც ადამიანებს უბიძგებს არარაციონალური გადაწყვეტილების მიღებისკენ და მოგების დაბალი ალბათობის პირობებში აზარტულ თამაშებში ჩართვას.

თემაზე მუშაობის დროს გამოყენებულია აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით არსებული კვლევები, გაანალიზებულია სტატისტიკური მონაცემები მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში აზარტულ თამაშებში ჩართულ მომხმარებელთა რაოდენობისა და სტრუქტურის მიხედვით. პრობლემის უკეთ გაგებისათვის ჩატარდა აზარტული თამაშებით დაკავებულ ადამიანთა გამოკითხვა და გამოიკვეთა მიღებული შედეგების ანალიზი.

## **1. აზარტული თამაშების განვითარების ისტორია მსოფლიოში და საქართველოში**

თანამედროვე ეპოქა წარმოუდგენელია აზარტული თამაშებისა და ზოგადად აზარტის გარეშე. ერთი შეხედვით ეს უწყინარი სიტყვა ხშირად ძალიან ფართო შინაარსის მატარებელია და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საზოგადოების ნებისმიერ წრეში თავისი გავლენით საზოგადოებაზე, განსაკუთრებით კი – ახალგაზრდებზე. აზარტი შეგვიძლია დავინახოთ ისეთ მარტივ პროცესებში, როგორებიცაა: საჭმლის მომზადება, მანქანის მართვა და ა.შ.

აზარტი, ადრენალინი და მსგავსი გრძნობები ადამიანისთვის უცხო არ არის, რაზეც მეტყველებს ფაქტი, რომ აზარტულ თამაშებს, რომლებიც ჩვენ თავად შევქმენით იმისათვის რომ სიამოვნება მიგვეღო ამ პროცესისაგან, ათასწლოვანი ისტორია აქვს. ცხადია, რომ ნებისმიერი შეჯიბრი ან კონკურენცია არ შეიძლება ჩაითვალოს აზარტის ობიექტად, რაც ართულებს აზარტული თამაშების ცნების ზუსტი დეფინიციის მოძებნას.

აზარტული თამაშის პროცესი შეგვიძლია ჩამოვყავალიბოთ როგორც რაიმე ღირებული ფსონის დადება გაურკვეველი შედეგის მქონე მოვლენაზე სხვა ღირებულების (ძირითადად ფულის) მოგების განზრახვით. შესაბამისად აუცილებელია რომ არსებობდეს ღირებულება, რისკი და პრიზი. ფსონის შედეგი შესაძლოა მყისიერი იყოს, თუმცა ბოლო პერიოდში საკმაოდ ხშირია გრძელვადიანი ფსონები. ვარაუდობენ, რომ აზარტული თამაშები და ფსონის ჩამოსვლის ფაქტი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2300 წლით თარიღდება. ასევე აღმოჩენილია ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-7 საუკუნით დათარიღებული ე.წ კამათელი, რომელიც არქეოლოგიური გათხრების დროს იპოვეს.

წყაროებზე დაყრდნობით პირველი კაზინო იტალიაში გაიხსნა მე-17 საუკუნის დასაწყისში, ხოლო დანარჩენ ევროპაში მასიურად გავრცელდა მე-19 საუკუნეში. მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ონლაინ აზარტული თამაშების განვითარება, რაც მე-20 საუკუნის ბოლოს დაიწყო.

აზარტულ თამაშებს საქართველოშიც დიდი ხნის ისტორია აქვს. მე-19 საუკუნის არსებობდა აზარტული დაწესებულება, რომლის ხშირი სტუმრებიც იმდროინდელი ელიტა (ცნობილია აკაკი წერეთელის სიყვარული აზარტული თამაშების მიმართ) გახლდათ. 1920 წელს თბილისში გაიხსნა პირველი კაზინო. საბჭოთა კავშირის პერიოდში აზარტული თამაშები აიკრძალა, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აზარტულმა თამაშებმა დიდი პოპულარობა მოიპოვა ქვეყანაში, რასაც 1997 წელს მოჰყვა შესაბამისი გადასახადისა და დაბეგვრის მეთოდის შემოღება. ნებისმიერ აზარტულ თამაშს, რომელიც საქართველოში ხორციელდება, სჭირდება ლიცენზია და შესაბამისი კანონის დაცვა.

საქართველოში ყველაზე პოპულარული აზარტული თამაშების ფორმებია: ტოტალიზატორი, სათამაშო აპარატები, სამაგიდო თამაშები და ა.შ.

## **2. აზარტული თამაშების ბაზრის თანამედროვე ტენდენციები**

პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე აზარტული თამაშების ბაზარი მნიშვნელოვნად შეიზღუდა. აკრძალვების, პანდემიებისა და იზოლაციის პირობებში სამორინეებს მოუწიათ თავიანთი საქმიანობის შეჩერება და დახურვა, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი მოუტანა მათ,




თუმცა საწინააღმდეგო უნდა ითქვას ონლაინ გემბლინგზე, რომლის პროცენტული წილი გაიზარდა, ვინაიდან ის აზარტული ფსონების გაკეთების საშუალებას იძლევა სახლიდან გაუსვლელად.

აზარტული თამაშების გლობალური ბაზარი 2021 წელს გაიზარდა 287.43 მილიარდი დოლარიდან 456,61 მილიარდ დოლარამდე, 2022 წელს გამოიკვეთა 58.9 %-იანი ზრდა, რაც გამოწვეულია იმით, რომ კოვიდ პანდემია დასასრულს მიუახლოვდა, მოიხსნა შეზღუდვები, ისევ სრული ძალებით ამუშავდა სამორინეები და ა.შ. მოსალოდნელია, რომ 2026 წელს აზარტული თამაშების ბაზარი გაიზარდოს 876 მილიარდ დოლარამდე.

სიდიდის მიხედვით პირველ ადგილზე არის ევროპა, სადაც აზარტული თამაშების ბაზრის მთლიანი შემოსავალი არის 81.1 მილიარდი ევრო, ხოლო ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე არის დიდი ბრიტანეთი, რომელზეც მოდის 52.99 მილიარდი (ყველაზე პოპულარული აზარტული თამაში არის ლატარია). მოთამაშეების ძირითადი ასაკი არის 18-24 წლამდე, ხოლო აზარტულ თამაშებში ერთ ადამიანზე დახარჯული საშუალო წლიური თანხა – 308 ევრო.

აზარტული თამაშების მიხედვით განსხვავებული ვითარებაა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში. დიაგრამაზე ვხედავთ 10 ქვეყანას 1 სულზე ყველაზე დიდი რაოდენობით წაგებული ფულის მიხედვით.




**დიაგრამა N1. აზარტულ თამაშებში წაგებული ფულის რაოდენობა 1 ზრდასრულზე.**

წყარო: შედგენილია [9] საფუძველზე.

ონლაინ აზარტული თამაშების ბაზარი მოიცავს აზარტული თამაშების გაყიდვებს ინტერნეტში იმ სუბიექტების მიერ, რომლებიც მართავენ ონლაინ სათამაშო ობიექტებს (ონლაინ კაზინო, ონლაინ ლატარია, ონლაინ პოკერი, სპორტული ფსონები და ა.შ). ეს სერვისი მომხმარებელს საშუალებას აძლევს დისტანციურად დადოს ფსონები მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან. მოგების კოეფიციენტი საშუალოდ 2-10%-ში მერყეობს (მოგებული თანხა – დადებული თანხა).

ონლაინ თამაშების ბაზარმა 2020 წელს კოვიდ პანდემიის დროს თითქმის 59.79 მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც იყო 57.7%-იანი ზრდა (2015 წლიდან). მოსალოდნელია, რომ 2026 წელს ონლაინ ბაზარი 192 მილიარდ დოლარს მიაღწევს.



დიაგრამა N 2. ონლაინ თამაშების ბაზარი.

წყარო: შედგენილია [10] საფუძველზე.

### 3. აზარტული თამაშების გავლენა ეკონომიკაზე

აზარტული თამაშები აღარ არის აქტივობა, რომელსაც რეგულარულად გმოხენ მთავრობის წარმომადგენლები გაურკვეველი ეთიკური სტანდარტებითა და მოტივებით. მრავალმა ქვეყანამ სწორად გათვალა ის შესაძლებლობები, რომელიც ამ ინდუსტრიას მოაქვს ქვეყნისთვის. ლატარეებს, იპოდრომებს, კაზინოებს შეუძლიათ შეავსონ სამთავრობო ხაზინა, შეუძლიათ, რომ უზრუნველყონ სამუშაო ადგილები ადამიანებისთვის, მაგრამ იმისათვის რომ ეს ყოველივე განხორციელდეს, მნიშვნელოვანია ამ საკითხის ღრმა შესწავლა და გაანალიზება როგორც ქვეყნის მმართველი ძალის, ასევე რიგითი ადამიანების მხრიდან, რათა მოხდეს მისი გარდაქმნა სოციალური პრობლემიდან გართობის ეთიკურ და ნეიტრალურ ფორმად. მართლაც, ის არის გართობისა და ადრენალინის მიღების საშუალება მათთვის, ვისაც აქვს შესაძლებლობა, რომ მისცეს თავს მსგავსი საშუალებებით გართობის უფლება.

ცხადია, რომ აზარტული თამაშები ეკონომიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და მას საკმაოდ დიდი როლი აქვს ბიუჯეტის შევსებაზე, რაზეც მეტყველებს ბოლო წლების გამოცდილება საქართველოსა და ევროპის წამყვან ქვეყნებში.

მოცემული მსჯელობის მართებულობაში დავრწმუნებდით თუ გადავხედავთ სტატისტიკას. გასულ წელს შეერთებულ შტატებში აზარტული თამაშების ინდუსტრიიდან ბიუჯეტში 53 მილიარდი დოლარი შევიდა (რაც მნიშვნელოვნად მეტია 2020 წელთან შედარებით, სადაც იყო კლება კოვიდ პანდემური ვითარების გამო).

განვიხილოთ საქართველოს მაგალითიც. გასული წლის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით.

სათამაშო ბიზნესიდან ბიუჯეტში გადახდილი თანხა (2021 წ.)

გადასახადის დასახელება	თანხა
დღგ	20,989,465.86
მოგების გადასახადი	99,565,831.32
ქონების გადასახადი	1,175,853.04
საშემოსავლო გადასახადი	67,222,862.19
იმპორტის გადასახადი	69,142.47
სხვა	4,461,223.15
<b>სულ</b>	<b>193,484,378.03</b>

წყარო: [7]

როგორც ვხედავთ 2021 წელს ბიუჯეტში 193 მილიონ ლარზე მეტი შევიდა სათამაშო ბიზნესიდან, რაც მთლიანი ბიუჯეტის შემოსულობების (12.5 მილიარდი) 1.5 % შეადგენს.

**4. აზარტული თამაშების გავლენა ადამიანთა ფსიქოლოგიაზე და მათ რაციონალიზმზე**

ადამიანი ემოციური არსებაა, რომლისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სწრაფ, ხარისხიან და ერთიან ემოციას (განსაკუთრებით ჩვენს თანამედროვეობაში, როდესაც თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის დამსახურებით გაუფერულდა ემოციები, ცხოვრება აჩქარდა და საჭირო გახდა მოცემული ჩქარი ტემპისთვის ფეხის აწყობა). დღესდღეობით შეიძლება ითქვას, რომ აზარტული თამაშები იზიდავს განსხვავებული პროფილის, პროფესიის, ასაკის, სქესის, რელიგიის, ოჯახური მდგომარეობისა და შეხედულების ადამიანებს. ის არის გლობალური ფენომენი, რომელსაც არ გააჩნია ჩარჩოები.

მსოფლიოში აზარტული თამაშების სტატისტიკა აჩვენებს, რომ მოსახლეობის დაახლოებით 26% თამაშობს აზარტულ თამაშებს მეტ-ნაკლები რეგულარობით, ხოლო 4.2 მილიარდი ადამიანი თამაშობს წელიწადში ერთხელ მაინც. რა არის ის, რაც იზიდავს ადამიანს და აიძულებს, რომ გარისკოს მისი ქონების ნაწილი და იმოქმედოს არარაციონალურად?

ფინანსური და მატერიალური დაინტერესების გარდა (რომელსაც კიდევ მივუბრუნდებით), მთავარ როლს თამაშობს ემოცია, რომელსაც ადამიანი შედეგის მიუხედავად იღებს თამაშის პროცესში. მათთვის აზარტი ასოცირდება საშიშთან, რისკთან, სწრაფ და ხარისხიან ემოციასთან. ყველა ადამიანი მიდრეკილია აზარტისკენ და ადრენალინისკენ, რაც ქვეცნობიერში გვაქვს ადამიანებს ჩანერგილი, აზარტული თამაშები კი ამ ქვეცნობიერს ყველაზე სწრაფად, თითის ერთი დაჭერით აღვიძებს. დროთა განმავლობაში ტვინი იმდენად დამოკიდებული ხდება ამ გრძნობაზე, აზარტზე, ადრენალინზე, დოპამინზე, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება იმავე დონისა და ხარისხის განცდის მიღება სხვა საქმიანობიდან. თითქოს ყველაფერი უფერულდება და რუტინული ხდება, თამაში კი არის რეალობიდან გაქცევისა და განმარტოების საშუალება. შესაბამისად ტვინი კარგავს ვითარების რაციონალურად შეფასების უნარს, განსაკუთრებით თამაშის დროს, რასაც მოჰყვება მძიმე შედეგები როგორც ეკონომიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად.

თანამედროვე ადამიანი ისეთი იმპულსურია როგორც არასდროს. შრომამ სახე შეიცვალა და გაუფასურდა. თავის დამკვიდრება რთულია და დამოკიდებულია მაღალ სოციალურ სტატუსზე ან/და შემოსავალზე. აზარტული თამაშები ბევრისთვის რჩება უცაბედი სიმდიდრისა და პატივისცემის მოპოვების საშუალებად და იმედად. აზარტომანია აღიარებული

ფსიქიატრიული დიაგნოზია, რომელიც მოსახლეობის დაახლოებით 1%-ში გვხვდება და არსებობს თეორიები, რომ აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული კანონმდებლობის შემსუბუქების გამო გაიზრდება მსოფლიოში ამ თამაშების სიხშირე და დაავადებულთა რიცხვი.

### 5. ჩატარებული ემპირიული კვლევის ანალიზი და შედეგები

მოცემულ მსჯელობის შესამოწმებლად, საკითხის უფრო ღრმად შესასწავლად ჩატარდა კვლევა იმ ადამიანებში, რომლებიც დამოკიდებულნი არიან აზარტულ თამაშებზე. გამოიკითხა განსხვავებული სქესის, ასაკის, პროფესიისა და განათლების მქონე ადამიანები, მაგრამ შედეგი და დამოკიდებულება უმეტეს შემთხვევაში მსგავსი იყო.

ემპირიული კვლევის მიზანია იმ ეკონომიკურ-ფსიქოლოგიური ასპექტების გამოკვლევა, რომლებიც ადამიანებს უბიძგებს დაკავდნენ აზარტული თამაშებით. კვლევა ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს მეშვეობით, რათა უფრო ღრმად და დეტალურად გამოკვეთილიყო ის ფაქტორები, რამაც განაპირობა აზარტული თამაშების დაწყება, შემდეგ გაგრძელება და დღევანდელი მდგომარეობა.

- გამოიკითხა 18 ადამიანი, მ.შ. იყო 10 მამაკაცი და 8 ქალი.
- მაქსიმალური ასაკი მამრობით სქესში გახლდათ 30 წელი, მინიმალური – 22 .
- მაქსიმალური ასაკი მდედრობით სქესში გახლდათ 38 წელი, მინიმალური – 25.
- გამოკითხულ მამაკაცთა საშუალო ასაკი გახლდათ 29 წელი, ხოლო ქალბატონთა – 27

წელი.

- გამოკითხულ მამაკაცთა 70%-ს და ქალთა 50%-ს აქვს უმაღლესი განათლება.
- გამოკითხულ მამაკაცთა 60% და ქალთა 75% გახლავთ დაოჯახებული.
- გამოკითხულ მამაკაცთა საშუალო ყოველთვიური შემოსავალი გახლავთ 6000 ლარი, ხოლო გამოკითხულ ქალთა საშუალო ყოველთვიური შემოსავალი – 3500 ლარი.
- გამოკითხულ მამაკაცთა საშუალო ყოველთვიური სათამაშო ბიუჯეტი გახლავთ 2500 ლარი, ხოლო გამოკითხულ ქალთა საშუალო ბიუჯეტი – 1200 ლარი.
- მაქსიმალური მოგება 1 ჯერზე მამაკაცებს შორის გახლავთ 170 000 ლარი, ქალებს შორის კი – 115 000 ლარი;
- მაქსიმალური წაგება 1 ჯერზე მამაკაცებს შორის გახლავთ 50 000 ლარი, ქალებს შორის კი – 60 000 ლარი;
- საშუალო მაქსიმალური მოგება გამოკითხულ კაცთა შორის გახლავთ 43 750 ლარი, ხოლო ქალებს შორის – 29 000 ლარი;
- საშუალო მაქსიმალური წაგება გამოკითხულ კაცთა შორის გახლავთ 20 000 ლარი, ხოლო ქალებს შორის – 12 500 ლარი.

კვლევა ჩატარდა 1 თვის განმავლობაში 2022 წლის 20 ნოემბრიდან 20 დეკემბრამდე.

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა ამბობს, რომ პირველად აზარტული თამაშებით დაკავდნენ ინტერესის გამო, რაც განაპირობა იმ საზოგადოებამ, სადაც ხსენებული ადამიანები ცხოვრობდნენ და იზრდებოდნენ. აზარტული თამაშები საკმაოდ ხელმისაწვდომია. შესაბამისად, ადამიანს უჩნდება სურვილი, რომ თავადაც გამოცადოს ის გრძნობა, რაც მილიონობით ადამიანს იზიდავს. ეს შეიძლება იყოს ნათესავის, მეგობრის, მეზობლის, მშობლის რჩევა ან გამოცდილება და ა.შ

აღსანიშნავია ისიც, რომ პირველი გამოცდილების დროს სათამაშო ბიუჯეტი თითოეულ გამოკითხულთა შორის ძალიან მცირე იყო და მერყეობდა 10-30 ლარის ფარგლებში, მაგრამ დღეს ეს სიტუაცია შეცვლილია. მათთვის ეს ციფრი ათასობით ლარს აღწევს, რაც მათი შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილია. საინტერესო ფაქტია, რომ გამოკითხულთა 83% აღიარებს პირველი თამაშის დროს საკუთარი ფულის წაგებას, რაც მეტ-ნაკლებად აჩენს მეორეჯერ ამ პროცესის გამეორების სურვილს დანაკარგის ასანაზღაურებლად.

გამოკითხული დაოჯახებული რესპონდენტებიდან უმეტესობას უფრო ხშირი პრობლემები აქვს ოჯახთან, განსაკუთრებით მეუღლესთან, რაც 20%-ში განქორწინებითაც კი სრულდება. განსაკუთრებით აქტუალურია ეს მოთამაშე ქალების შემთხვევაში (მათთვის

დამატებითი მოტივაციას და როლს თამაშობს მატერიალური დაინტერესება, საკუთარი თავის უფრო უკეთ უზრუნველსაყოფად და მეტი დამოუკიდებლობისთვის).

რთულია სრულფასოვნად გაიაზრო, რომ დაავადებული და შეპყრობილი ხარ აზარტული თამაშებით. სწორედ ამის გამო გამოკითხულთა 100% გვეუბნება, რომ თამაშობს გასართობად და ის შემოსავალი, რომელსაც იღებს არის დამატებითი მოტივაცია, მაგრამ მთავარი მაინც ის ემოცია, აზარტი, ადრენალინი, დოპამინია, რასაც თამაშის პროცესში იღებენ. ეს არის მოსაწყენი რეალობისგან ერთგვარი გაქცევა მათი მხრიდან.

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება აზიანებს ადამიანის ფსიქიკას. გამოკითხულთა 60%-ზე მეტს ერთხელ მაინც ჰქონდა აზარტული თამაშების მეშვეობით გამოწვეული დეპრესია. რთულ პერიოდს თან ახლავს შფოთვა, ფინანსური არასტაბილურობა და ა.შ ლუდომანია ძალიან ჰგავს ნარკომანიას, რადგან როგორც ნარკოდაავადებულთათვის არის რთული მოთხოვნილებაზე უარის თქმა და შეწინააღმდეგება, ასევე რთულია გემბლერი ადამიანისთვის თამაშის წყურვილის მოკვლა და დაძლევა. თავად გამოკითხული რესპონდენტებიც ანალიზებენ, რომ აზარტულმა თამაშებმა მეტ-ნაკლებად დაამახინჯა მათი ცხოვრება, მაგრამ მათთვის ყველაზე რთული მისი რაიმე სხვა აქტივობით ჩანაცვლებაა, რადგან ძალიან რთულია მიიღო მსგავსი ემოცია, რასაც ადამიანი გემბლინგის დროს იღებს.

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება აზიანებს ადამიანის ფსიქიკას. გამოკითხულთა 60%-ს მინიმუმ ერთხელ მაინც ჰქონდა აზარტული თამაშების მეშვეობით გამოწვეული დეპრესია. რთულ პერიოდს თან ახლავს შფოთვა, ფინანსური არასტაბილურობა და ა.შ ლუდომანია ძალიან გვავს ნარკომანიას რადგან როგორც ნარკოდაავადებულთათვის არის რთული მოთხოვნილებაზე უარის თქმა და შეწინააღმდეგება, ასევე რთულია გემბლერი ადამიანისთვის თამაშის წყურვილის მოკვლა და დაძლევა (გამოკითხულ რესპონდენტთა 50 %-ს მინიმუმ ერთხელ მაინც წაუგია მნიშვნელოვანი თანხა, რასაც შემდგომში პრობლემები შეუქმნია მათთვის). თავად გამოკითხულ რესპონდენტებსაც გააზრებული აქვთ, რომ აზარტულმა თამაშებმა მეტ-ნაკლებად დაამახინჯა მათი ცხოვრება. ყველაზე რთული კი აზარტული თამაშების რაიმე სხვა აქტივობით ჩანაცვლება და იმ ემოციების მიღებაა, რასაც ადამიანი გემბლინგის დროს იღებს. ამ ყველაფერმა გამოიწვია აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულთა ინდიფერენტულობა ცხოვრებისეული მომენტების მიმართ.

## **6. ფსიქოლოგიური ეტაპები და მოტივები აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანის ცხოვრებაში**

ტვინის ვიზუალიზაციის ტექნოლოგიების ბოლოდროინდელი მიღწევები მეცნიერებს ეხმარებათ, უკეთ გააცნობიერონ ეს პროცესი. კემბრიჯის უნივერსიტეტის დოქტორები აქტიურად იყენებენ ტვინის მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიას ტვინის აქტივობის გასაზომად მანამ, სანამ მოხალისე დაკავებულია თამაშის პროცესით. ტვინი იღებს უდიდესი რაოდენობით ადრენალინს, განსაკუთრებით მოგების დროს. სწორედ ამ ემოციის უდიდესი ნაკადი თავის ტვინის ცენტრალურ უბანში გამომუშავდება, რომელიც არის გადამწყვეტი ამ პროცესში.

ალკოჰოლსა და ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულების სამკურნალო ცენტრის (Kingsway Recovery, LLC) მიერ ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, აზარტული თამაშების სურვილზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს:

- **კარგი განწყობა:** დადებით განწყობას შეუძლია გამოიწვიოს აზარტული თამაშების მოთხოვნილების რაოდენობის ზრდა (შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც მზიანი დღეების რაოდენობა, ასევე კონკრეტული სპორტული გუნდის წარმატება და ა.შ რადგან პოზიტიური განწყობა იწვევს უფრო მეტ რისკს).

- **აზარტული მოთამაშების ცდომილება:** თუ რულეტის მოთამაშე ხედავს, რომ ზედიზედ შვიდი შავი ციფრი დაფიქსირდა, ისინი აუცილებლად წითელზე დადებენ ფულს მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება საერთოდ არ ჰქონოდათ განსაზღვრული ეს ფსონი. ეს ძალიან ცნობილი ფსიქოლოგიური პროცესია, რომელსაც „აზარტული მოთამაშის ცდომილება“ ჰქვია. ეს არის მცდარი რწმენა, რომ თუ მოვლენა განმეორებით ხდება შემდეგ აუცილებლად სხვა მოვლენა

მოხდება. რეალობა ის არის, რომ რაიმე კონკრეტული მოვლენის მოხდენის ალბათობა აბსოლუტურად იგივეა.

- **მოლოდინის შეცვლა მოგებასთან დაკავშირებით:** იპოდრომზე ფსონების მონაწილეებს სთხოვეს შეეფასებინათ მათი სასურველი ცხენის მოგების შანსები როგორც ფსონის დადებამდე, ასევე ფსონის დადების შემდეგ. ფსონის დადების შემდეგ მოთამაშეები უფრო მეტად აფასებდნენ მოგების შანსს, ვიდრე დადებამდე. გაზრდილმა ვალდებულებამ და რისკმა გამოიწვია ის, რომ ისინი უფრო ოპტიმისტურად ყოფილიყვნენ განწყობილნი.

- **ბანდვაგონის ეფექტი:** როდესაც ლატარიის ჯეკპოტები რეკორდულ დონეს აღწევს და მედიის დიდ ყურადღებას იზიარებს, ბილეთების ყიდვა პიკს აღწევს. ხალხს არ სურს, რომ პროცესის მიღმა დარჩეს. ამიტომ ის ადამიანებიც კი, რომლებსაც არასდროს უთამაშიათ, ლატარიის ბილეთებს ყიდულობენ.

- **სათამაშო სისტემები და ცრურწმენები:** აზარტული თამაშები შემთხვევითი მოვლენების ერთობილობაა, მაგრამ მოთამაშეთა უმრავლესობას სჯერა, რომ მათ შეუძლიათ მიაგნონ აზარტული თამაშების მოგების სისტემას და „ხვრელებს“.

კემბრიჯის უნივერსიტეტის კვლევების შედეგად გამოავლინეს აზარტული თამაშების დამოკიდებულების 4 ეტაპი:

1) **მოგების ფაზა:** ხშირად იწყება დიდი მოგებით, რაც იწვევს აღელვებას და პოზიტიურ შეხედულებას აზარტულ თამაშებზე. ადამიანები თვლიან, რომ მათ აზარტული თამაშის განსაკუთრებული უნარი აქვთ და მოგება გაგრძელდება, რის შედეგადაც იწყებენ მეტი დროისა და ფულის ხარჯვას.

2) **წაგების ფაზა:** პრობლემური მოთამაშეები სულ უფრო მეტად ხდებიან შებყრობილი აზარტული თამაშებით, ხარჯავენ ხელფასს, ფულს სესხულობენ, ატყუებენ ოჯახს და ა.შ.

3) **სასოწარკვეთის ფაზა:** ადამიანები იწყებენ კონტროლის დაკრგვას. შეიძლება იგრძნონ სირცხვილი, დანაშაული, მაგრამ უბრალოდ ვეღარ ჩერდებიან. მათ შეიძლება მოიპარონ და თავიანთ პრინციპებს გადააბიჯონ თავიანთი ჩვევის დასაფინანსებლად.

4) **უიმედობის ფაზა:** ადამიანებს აღარ სჯერათ, რომ დახმარება შესაძლებელია ან ვინმე დაინტერესებულია მათი პიროვნებით. მათ აღარ აინტერესებთ ურთიერთობები, იცოცხლებენ თუ მოკვდებიან და შეიძლება ნარკოტიკის და ალკოჰოლის მომხმარებლებიც კი გახდნენ ტკივილის შესამსუბუქებლად. სამწუხაროდ, მოცემული ფაზა ხშირად თვითმკვლელობითაც სრულდება.

## დასკვნა

აზარტულ თამაშებს უდიდესი ისტორია და წარსული აქვთ. აზარტულ თამაშები საუკუნეების განმავლობაში ადამიანის ცხოვრების თანამგზავრი იყო მეტ-ნაკლებად განსხვავებული სახით. ეს არის უდიდესი ინდუსტრია, რომელიც უზარმაზარ ლიმიტებზე ადის და უდიდეს როლს თამაშობს როგორც მსოფლიო, ასევე ცალკეული ქვეყნების ეკონომიკაში.

თანამედროვეობაში ინტერნეტისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების დახმარებით აზარტული თამაშები არის ყველასთვის მარტივად ხელმისაწვდომი. სახლდიან გაუსვლელად ადამიანებს შეუძლიათ ითამაშონ აზარტული თამაშები, რამაც გამოიწვია ის, რომ 21-ე საუკუნეში აზარტული თამაშების, კონკრეტულად ონლაინ აზარტული თამაშების ბაზარი სწრაფი ზრდით ხასიათდება.

აზარტომანია არის 21-ე საუკუნის სენი, რომელიც ძალიან ჰგავს ნარკოდამოკიდებულებას. ადამიანები მიღებული უდიდესი სიამოვნებისა და გართობის საფასურად ეჩვევიან აზარტულ თამაშებს, რაც შემდეგ მათ ეკონომიურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც აისახება. რთულია იპოვო ადამიანი რომელსაც ერთხელ მაინც არ უთამაშია ცხოვრებაში და არ გაუკეთებია რაიმე ფსონი. გართობის მთავარი მოტივია დამატებითი ფინანსური სარგებელი გამარჯვების შემთხვევაში, მაგრამ, სამწუხაროა, რომ ცხოვრებაში ეს ყველაფერი ასეთი მარტივი და ნათელი არ არის და უმრავლეს შემთხვევაში ტრაგიკულად მთავრდება, რადგან ადამიანები ვეღარ აკონტროლებენ საკუთარ თავს. მათ შეიძლება იცოდნენ, რომ არ იქცვიან სწორად, რომ მოგების ძალიან მცირე შანსი აქვთ, რომ მნიშვნელოვან თანხას და ცხოვრებას რისკავენ, მაგრამ თამაშს

მინც აგრძელებენ. სწორედ ეს არის თანამედროვეობის უდიდესი პრობლემა, რომელიც პირველ რიგში ადამიანის ფსიქოლოგიიდან მოდის და საჭიროებს ისეთ მიდგომას და კვლევას, როგორსაც სხვა სამედიცინო დაავადებები.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. წიწავა ანო, ბეროძე ბელა, ნიკოლაიშვილი სოფიკო, აზარტული თამაშების განვითარების ისტორია საქართველოში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, <https://legalclinic.iliauni.edu.ge/azartuli-thamashebi>
2. აზარტული თამაშების პრევენცია მოზარდებში, გაეროს კვლევა, იუნისეფი.
3. პაიკიძე მარიამ, აზარტული თამაშების როლი საქართველოს ეკონომიკაში, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი <http://geoeconomics.ge/?p=14105%20->
4. ნატროშვილი ლევან, აზარტული თამაშების ბაზარი საქართველოში, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. [https://transparency.ge/sites/default/files/post\\_attachments/azartuli\\_tamashebis\\_bazari\\_sakartveloshi.pdf](https://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/azartuli_tamashebis_bazari_sakartveloshi.pdf)
5. აზარტული თამაშების მსოფლიო ბაზრის, the business research company სტატისტიკა <https://www.thebusinessresearchcompany.com/report/gambling-global-market-report>
6. სტატისტიკა მსოფლიო გემბლინგი წამყვანი ქვეყნების მიხედვით, statista.com <https://www.statista.com/markets/409/topic/438/gambling/> \l "overview"
7. ტოტოევი თემურ, *სათამაშო ბიზნესის როლი ქვეყნის ეკონომიკაში*, თბილისი, სამაგისტრო ნაშრომი <https://openscience.ge/bitstream/1/1902/1/Temur%20Totoevi%20samagistro.pdf>
8. გემბლინგის სტატისტიკა ამერიკაში [https://www.statista.com/topics/1368/gambling/#topicHeader\\_\\_wrapper](https://www.statista.com/topics/1368/gambling/#topicHeader__wrapper)
9. კაზინოების ონლაინ გაერთიანება, გლობალური გემბლინგის სტატისტიკა <https://www.casino.org/features/gambling-statistics/>
10. ონლაინ გემბლინგის ინდუსტრია, ჟურნალი Capital Finance International, <https://blog.cfi.co/technology/2020/04/online-gambling-industry-rising-as-a-consequence-of-the-covid-19-pandemic/>
11. აზარტული თამაშების ფსიქოლოგია, კემბრიჯის უნივერსიტეტი, კვლევა - <https://www.cam.ac.uk/research/news/the-psychology-of-gambling>
12. აზარტული თამაშების ფსიქოლოგია, Kingsway: ალკოჰოლისა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების ცენტრი. <https://kingswayrecovery.com/the-psychology-of-gambling/>

*Roman Kurashvili*

## THE ROLE OF GAMBLING IN THE ECONOMY AND THE BEHAVIORAL MOTIVATION OF GAMBLING ADDICTS

### Abstract

Excitement is an integral part of our lives, which can be seen in every household aspect. Gambling has become one of the main means of entertainment, which contributes to the formation and development of the economy. The gaming industry in Georgia is at the peak of development and is developing day by day. It is one of the largest and most profitable sectors, which also contributes to the development of tourism and brings additional functions to the country.

This study is an attempt to analyze the motivation of the behavior of people addicted to gambling, how their addiction started, how gambling affects their psychology, budget and makes them act irrationally in the conditions of their limited financial resources.

It is important to analyze the problem both from the economic and financial point of view, as well as from the psychological aspect. The research analyzes statistical data on the role of gambling for the economy on the example of the world and Georgia, and psychological factors on the basis of empirical research.

**Keywords:** *Gambling, Behavioral Motivation, Budget, Psychology, Economy.*

## კორპორატიული შრომითი ურთიერთობები საქართველოში

**ანოტაცია.** სტატია ფოკუსირებულია კორპორაციულ სექტორში მოქმედი შრომითი ურთიერთობების რეგულირების პრობლემებზე საქართველოში. აფასებს ქვეყნის კორპორატიული შრომითი ურთიერთობების რეგულირების სფეროში არსებულ მდგომარეობას. ახასიათებს კორპორატიული სექტორის შრომითი ურთიერთობების სფეროში არსებულ ნაკლოვანებებს და იძლევა წინადადებებს ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების დასაძლევად.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა შორის უმნიშვნელოვანეს პრობლემას შრომითი ურთიერთობების რეგულირება წარმოადგენს. იმაზე, თუ როგორ ართმევს თავს ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობა და ბიზნესადმინისტრაცია შრომითი ურთიერთობების რეგულირების სფეროში არსებული პრობლემების გადაწყვეტას, ბევრად არის დამოკიდებული ბიზნესის წარმატება და ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოში, სადაც, მიუხედავად ბოლო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებებისა, ჯერ კიდევ არ არის მიღწეული მნიშვნელოვანი შედეგები სამართლიანი და უსაფრთხო შრომითი ურთიერთობების ჩამოყალიბების მიმართულებით. მაღალია უმუშევრობის დონე. 2022 წლის მონაცემებით საქართველოში უმუშევრობის დონე 15.6 პროცენტს შეადგენს ხოლო დასაქმებული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შრომისათვის შეუსაბამო პირობებში დაბალ ანაზღაურებაზე ან თვითდასაქმებით მუშაობს (საქსტატი, 2022).

ექსპერტთა შეფასებით აღნიშნული სისტემა დღემდე ნაკლოვანებებით ხასიათდება და დაცილებულია შრომითი ურთიერთობების სფეროში საერთაშორისო დონეზე დამკვიდრებულ უფლებებსა და გარანტიებს (სმუზ-კულემა, 2021). შრომითი ურთიერთობების სრულყოფა დღემდე პრიორიტეტულ პრობლემას წარმოადგენს ევროკავშირისა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების გზაზე (ასოცირების შესახებ შეთანხმების გზამკვლევი, 2014). პრობლემის გადაწყვეტა ქვეყანაში შრომითი ურთიერთობების რეგულირების ეფექტიანი საბაზრო მექანიზმების ფორმირებასა და დამკვიდრებას მოითხოვს. საკითხი დღემდე არ კარგავს აქტუალობას, რის გამოც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის ახალგაზრდები და მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკები ხშირ შემთხვევებში ტოვებენ ქვეყნის ტერიტორიას და შრომით საქმიანობას საზღვარგარეთის ქვეყნებში არალეგალური მიგრაციის პირობებში, კვალიფიკაციისათვის შეუფერებელ შავ სამუშაოზე ამჯობინებენ, რადგანაც ასეთ სამუშაოს იქ უფრო დაცულ, მაღალანაზღაურებად სამუშაოდ მიიჩნევენ და პოულობენ შრომითი უფლებების დაცვის იმ მინიმალურ გარანტიებსაც, რასაც ვერ პოულობენ ჩვენს ქვეყანაში. საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს შრომის ბაზარზე ისეთი დაბალკონკურენტული პირების დასაქმების გარანტიების შემთხვევაში, როგორც ახალგაზრდების (მათ შორის სტუდენტების), ქალთა, ასაკოვანი მოსახლეობის, მძიმე და საფრთხის შემცველი საქმიანობის სფეროებში დასაქმებულებთან მიმართებით აქვს ადგილი. დაბალი შრომითი მოტივაცია და დისკრიმინაციული ხელფასი, არასათანადო/შეუფერებელი რიგ შემთხვევებში კი შრომითი ხელშეკრულების კაბალური პირობები, დასაქმებულთა შრომითი უფლებების დარღვევები, ანაზღაურებადი შვებულების, ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურების, უსაფრთხო შრომის, ღამის შრომის გარანტიების უქონლობა და დაუცველობა იძულებულს ხდის მომუშავეს დატოვოს სამუშაო, რაც კადრების მაღალ დენადობას განაპირობებს. კადრების განვითარებისა და კარიერული ზრდის ხელშემწყობი მექანიზმების არ არსებობა საფუძველს ქმნის ქვეყანაში დაბალი სამეწარმეო უნარის დამკვიდრებისა და სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის დასაქვეითებლად, რაც ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი პროექტების რეალზაციისათვის ადგილობრივი კადრების ჩართულობით. ზემოაღნიშნული ტენდენციები თვალსაჩინოდ იკვეთება



კორპორატიული სექტორის მთელი რიგი მიმართულებების მიხედვითაც და ბოლო დროს სულ უფრო და უფრო შესამჩნევი ხდება საშუაშალო საქმიანობის, ქსელური მარკეტინგის, მშენებლობისა და რიგი სხვა სფეროების სინამდვილეში, სადაც უმეტეს შემთხვევაში ახალგაზრდობის (მათ შორის სტუდენტთა) დასაქმების შესაძლებლობები ვერ იძლევა მათი უსაფრთხო შრომისა და კარიერული წინსვლის გარანტიებს.

შრომის სამართლის კუთხით, საქართველოში შემუშავებულია კანონმდებლობა, რომლითაც რეგულირდება შრომითი ურთიერთობები, მათ შორის კერძო სექტორსა და საჯარო უწყებებში (შრომის კოდექსი, 2013). კანონმდებლობა ადგენს დასაქმებულის დაცვის მინიმალურ სტანდარტებს, რაც შრომის სამართლის ზოგადი მიზანია. 2006 წელს ქვეყანაში განხორციელებული რეფორმების ფარგლებში, რაც შეეხო შრომით უფლებებსაც, სახელმწიფომ აღიარა ბიზნესის სრული თავისუფლების აუცილებლობა, თანამშრომელთა დასაქმებისა და გათავისუფლების გამარტივებული პრინციპი. ამ პროცესის მიზანს წარმოადგენდა ინვესტიციების წახალისება და ქვეყნის ეკონომიკის განვითარება, თუმცა დაუცველი აღმოჩნდა დასაქმებულთა შრომითი უფლებები. საქართველოს თანამიმდევრულმა განაცხადმა ევროპასთან დაახლოების შესახებ, ქვეყანა მიიყვანა ასოცირების შეთანხმებამდე. ქვეყანაში შრომის უფლებების დაცვის მიმართულებით 2013 წლის შემდეგ გატარებული რეფორმების მიუხედავად, მაინც აღინიშნება გარკვეული სახის დარღვევები, მათ შორის ეს არის: რისკის შეუფასებლობა, პერსონალის სწავლება/ტრენინგების სიმცირე, ინსტრუქტაჟების ნაკლებობა, დასაქმებულებში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოუყენებლობა, დასაქმებულებთან შრომითი ხელშეკრულების გაუფორმებლობა (არაფორმალური დასაქმების მაღალი მასშტაბები), ხელშეკრულების შეწყვეტის წესის შეუსაბამობა შრომის კოდექსთან, გაუცემელი ან დაგვიანებით გაცემული ხელფასები, წინასწარი შეტყობინების გარეშე სამსახურიდან გათავისუფლება, დასაქმებულებისთვის შინაგანაწესის არ გაცნობა, ხელშეკრულებაში ზეგანაკვეთური ანაზღაურების წესის გაუთვალისწინებლობა, ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების აუნაზღაურებლობა, დასაქმებულების მიერ ხელშეკრულების შინაარსისა და შრომის არსებითი პირობების არცოდნა და მათი ცვლილება თანამშრომლებთან შეთანხმების გარეშე, შვებულების აღების წესის დარღვევა, ანაზღაურებადი შვებულების არ ქონა (რაც ტიპურ შემთხვევას წარმოადგენს კერძო უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შემთხვევაში), საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის პერიოდის აუნაზღაურებლობა, ორსულობისა და მშობიარობის გამო დაწესებული შვებულების უგულვებელყოფა და სხვ. ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნულ პრობლემებზე რეაგირება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ფუნქციას წარმოადგენს. დეპარტამენტი თითოეულ შემოწმებულ ობიექტზე გასცემს შესაბამის სარეკომენდაციო ხასიათის მითითებას. დამსაქმებლების ნაწილი ითვალისწინებს გაცემულ რეკომენდაციებს და გამოხატავს მზადყოფნას, შეასრულოს მითითება, მათ შორის, სახელფასო დავალიანების, საწარმოო უბედური შემთხვევის შედეგად სამკურნალოდ გასაწევი ხარჯების დასაფარად. სხვა შემთხვევაში საკითხი განსახილველად გადაეცემა შესაბამის ინსტანციას, მათ შორის სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს. ხშირად ფიქსირდება საერთოდ გაუფორმებელი კონტრაქტებით დასაქმების პრობლემა. დამსაქმებელი ამ შემთხვევაში ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე უშვებს დასაქმებულს სამსახურიდან, მას არც სასამართლოზე უწევს თავის მართლება, თუმცა კანონდარღვევა თვალსაჩინოა (შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ანგარიშები, 2019, 2020; 2021; 2022).

პრობლემატურია და მასიურ სახეს იღებს ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შემთხვევები. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით საწარმოებში ფიქსირდება ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული თრობის არასათანადო კონტროლი, ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოებაზე არასაკმარისად განხორციელებული კონტროლი, პირველადი სამედიცინო დახმარების მიზნით გასაწევი ზომების უგულვებელყოფა, ისეთი მანქანა-დანადგარების, მათ შორის ამწე მექანიზმების არსებობა საწარმოში, რომელთაც მწარმოებლის მხრიდან ტექნიკური პასპორტის სახით ან/და

ტექნიკური გამართულობისთვის გაცემული დამადასტურებელი დოკუმენტი არ გააჩნიათ; ხშირია საწარმოო უბედური შემთხვევების აღურიცხაობა, არამოკვლევადობა, გაუნალიზებლობა, რის გამოც კვლავ ძალაში რჩება მსგავსი შემთხვევების განხორციელების საფრთხე; პრობლემაა მომეტებული საფრთხისშემცველი, მავნე, მძიმე, სამუშაოს შემთხვევაში დასაქმებულების დაუზღვევლობა უბედური შემთხვევის დროს (შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ანგარიშები, 2019, 2020; 2021; 2022).

ზემოაღნიშნულ პრობლემებზე ყურადღებას ამახვილებს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების დოკუმენტი, რომელიც კონკრეტულად შრომით უფლებებს ეხება. შეთანხმება ითვალისწინებს შრომის საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ კონვენციასთან დაახლოებას. აღნიშნული მიმართულებით ქვეყანას აქვს წინსვლა, თუმცა კვლავ რჩება ბევრი პრობლემა, განსაკუთრებით აღსრულების ნაწილში. იმისათვის, რომ ქვეყანამ დაწეროს მაღალი სტანდარტები, ასოცირების შეთანხმება დანართის სახით აწვდის შრომის სამართლის კუთხით ჩაშლილ სამ ძირითად მიმართულებას, ეს მიმართულებებია: უსაფრთხოება, დისკრიმინაციის აკრძალვა, შრომითი უფლებები (ასოცირების შესახებ შეთანხმების გზამკვლევი, 2014).

მოტივირებული თანამშრომელი ცალსახად განაპირობებს კომპანიის წარმატებას და ცნობადობის ამაღლებას. თანამშრომლების მოტივაცია, თავისთავად, მრავალ ფაქტორს უკავშირდება, რაც შეიძლება იყოს როგორც ადეკვატური ხელფასი, სასურველი სამუშაო გარემო პირობები, პატივისცემა, არადისკრიმინაციული მიდგომა და სხვ. სტაბილურობისა და მდგრადობის მისაღწევად, ორგანიზაციებს უწევთ სწორი სტრატეგიების შემუშავება, რაც უკავშირდება ორგანიზაციის მიმართ შესასრულებელი ვალდებულებებისა და მათ შესასრულებლად საჭირო სამოტივაციო ფაქტორების შეუსაბამობას. თანამშრომელთა სათანადო მოტივაცია კონკურენტულ ბიზნესგარემოში წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამის მიღწევა კი შესაძლებელია დასაქმებულთათვის საინტერესო სამუშაო გარემოს შექმნით, მათ საჭიროებებზე მორგებული მიდგომების დანერგვით.

გადაუდებელ აუცილებლობას წამოადგენს შრომის ბაზარზე დაბალკონკურენტუნარიანი პირების დასაქმების სფეროში ანაზღაურებადი შვებულების, ზეგანაკვეთური შრომის პირობების, ღამის შრომის, უსაფრთხო შრომის გარანტიების, მძიმე და საფრთხის შემცველი საქმიანობის სფეროებში დასაქმებულთა შრომის პირობების გამოვლენა; გენდერული დისბალანსის, შრომითი ხელშეკრულების კაბალური პირობების, დაბალი შრომითი მოტივაციისა და დისკრიმინაციის გამოვლენის ფორმების, დისკრიმინაციული ხელფასის არსებობის ძირითადი მიზეზების შესწავლა; არასათანადო (შეუფერებელი) შრომითი პირობების გამო კადრების ხშირი დენადობის მიზეზებისა და დასაქმებულთა შრომითი უფლებების დარღვევების ფაქტების გამოვლენა; საქართველოში ახალგაზრდების დასაქმების სფეროში არსებული გარემოს შესწავლა და დამსაქმებლებთან შრომითი ურთიერთობების მიმართულებით არსებული გამოწვევების გამოვლენა. ზემოაღნიშნული პრობლემების გამოვლენა ძირითად პირობას წარმოადგენს შრომითი ურთიერთობების რეგულირების სრულყოფის მიმართულებით რეკომენდაციების შემუშავების, საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისა და ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სპეციალური კვლევის საგანი უნდა გახდეს შრომითი და სახელფასო დისკრიმინაციის, მომუშავეთა დაბალი შრომითი მოტივაციის მიზეზების შესწავლა, რაც დეფორმირებული შრომის ბაზრისა და სოციალური შრომითი გარანტიების (მინიმალური ხელფასის არ არსებობა, უმუშევართა დასაქმებისა და სოციალური დაცვის მექანიზმების უქონლობა, შრომის ანაზღაურების მინიმალურ დონეზე სახელმწიფოს ზედამხედველობის სისტემის არ არსებობა), შრომის ანაზღაურების სისტემის რეგულირების მექანიზმების უმოქმედობისა და სოციალური დაცვის პროგრამების დაბალი მოტივაციის, ასევე სოციალური პარტნიორობის ინსტიტუტების უმოქმედობის პირობებში ნოყიერ ნიადაგს ქმნის დასაქმებულთა დაბალი შრომითი მოტივაციისა და კადრების დენადობის გაძლიერების მიმართულებით. ექსპერტთა აზრით, ამ მიმართულებით განსაკუთრებით ყურადსაღებია ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ პროფესიულ სეგრეგაციასა და გენდერულ სახელფასო სხვაობასთან ბრძოლა, მათ შორის, კერძო

სექტორის კომპანიებში არსებულ ანაზღაურებასთან შედარების გზით. ექსპერტთა მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების მოთხოვნა გაუქმდეს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის N351 ბრძანება, რომელიც მინიმალურ ხელფასს ადგენს 20 ლარის ოდენობით; ასევე შემუშავდეს საერთაშორისო სტანდარტებზე მორგებული ახალი დებულებები, რომლებითაც განისაზღვრება მინიმალური ხელფასი (სმუზ-კულემა, 2021, გვ. 49).

აუცილებელია ქვეყნის დასაქმების სამსახურებისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ სისტემატურად იქნეს ორგანიზებული სამუშაო ძალის დასაქმებისა და უმუშევრობის მიზეზების, შრომის პირობებს დეტალური კვლევები, რაც საშუალებას მისცემს ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებს შრომითი ურთიერთობების რეგულირების ეფექტური მექანიზმების დანერგვის მიმართულებით შეიმუშავოს და განახორციელოს სათანადო ღონისძიებები. შრომის ბაზრის სრულყოფილი კვლევის საჭიროება განპირობებულია იმ მიზნითაც, რომ პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამები შესაბამისობაში მოვიდეს შრომის ბაზრის საჭიროებებთან და აღმოიფხვრას შეუსაბამობა სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის.

კორპორატიული შრომითი ურთიერთობების სფეროში განსაკუთრებულ როლს ასრულებს დამსაქმებელი. სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფოს, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა მონაწილეობის ეფექტური მექანიზმების შექმნა და სახელმწიფოს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის სოციალური შენატანების ტვირთის გადანაწილების მიდგომების ჩამოყალიბება საფუძველს შექმნის საქართველოში სოციალური გარანტიების მსოფლიოში აპრობირებული საბაზრო მექანიზმების ამოქმედებისა და კორპორატიული შრომითი ურთიერთობების ეფექტური მექანიზმების ჩამოყალიბების მიმართულებით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. სმუზ-კულემა მონიკა, საქართველოში სოციალურ უფლებებთან დაკავშირებულ საჭიროებათა შეფასების ანგარიში, მომზადდა ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში:“ სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება საქართველოში“. 2021, 56 გვ;
2. არაფორმალური საშინაო შრომა საერთაშორისო სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკების შუქზე, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC, თბილისი, 2020;
3. ადამიანის უფლებები და მართლმსაჯულება საქართველოში საზოგადოების დამოკიდებულება და ინფორმირებულობა, საბოლოო ანგარიში. ევროკავშირი (EU), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), 2017;
4. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ანგარიშები, 2019, 2020, 2021, 2022;
5. დეკრეტული შვებულება, საინფორმაციო ბიულეტენი, მარტი, USAID, 2021 წ.;
6. საქართველოს შრომის კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია (20/09/2013 - 27/09/2013);
7. საქართველოს კანონი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ, 23/03/2020;
8. ევროკავშირისა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების გზამკვლევი, 2014 წ.;
9. საქართველოს 2019-2023 წლების შრომისა და დასაქმების პოლიტიკის ეროვნული სტრატეგია, დამტკიცებული 2019 წლის 30 დეკემბერს;
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები;
11. The International Labor Organization (ILO) [https://www.ilo.org/global/about-the-ilo/newsroom/news/WCMS\\_627189/lang--en/index.htm](https://www.ilo.org/global/about-the-ilo/newsroom/news/WCMS_627189/lang--en/index.htm)
12. ILO reports on Fundamental Principles and Rights at Work. [http://www2.ilo.org/global/about-the-ilo/newsroom/news/WCMS\\_181596/lang--en/index.htm](http://www2.ilo.org/global/about-the-ilo/newsroom/news/WCMS_181596/lang--en/index.htm)
13. Proposal for a COUNCIL DECISION on guidelines for the employment policies of the Member States. Brussels, 23.5.2022 COM (2022) 241 final 2022/0165 (NLE);
14. Employment, Social Affairs@ Inclusion. European Commission. 2022; <https://ec.europa.eu/social/main.jsp?langId=en&catId=862>.

**CORPORATE LABOR RELATIONS IN GEORGIA**

**Abstract**

Article focuses on the problems of regulation of the labor relations in corporate sector of Georgia. Evaluates existing problems in regulation of the corporate labor relations. Characterizes main gaps and deficiencies in corporate labor Relations of Georgia. Offers suggestions and proposals for the overcoming existing challenges in this direction.

## კონფერენციის მონაწილეები

1. **ABABII VICTOR** – PhD Student, Academy of Economic Studies of Moldova (Republic of Moldova)
2. **ახესაძე რამაზ** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
3. **არნანია-კეპულაძე თამილა** – ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
4. **არჩვაძე იოსებ** – ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი
5. **ასლანაშვილი დავით** – ეკონომიკის დოქტორი, ვეზსტერის უნივერსიტეტის პროფესორი
6. **ბარბაქაძე ხათუნა** – ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
7. **ბედიანაშვილი გივი** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი
8. **ბენია მაია** – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
9. **ბერიშვილი ხათუნა** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
10. **ბერულავა გიორგი** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
11. **ბიბილაშვილი ნანა** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე
12. **ბლიაძე მურმან** – ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
13. **ბლიაძე ნოდარ** – ეკონომიკის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
14. **ბოჭორიძე ლელა** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
15. **ბჟალავა მზისადად** – ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
16. **ბრეგვაძე გიორგი** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
17. **ბურდული ვახტანგ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
18. **გამსახურდია თამაზ** – ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
19. **გელაშვილი მადონა** – ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
20. **გოგობია თეიმურაზ** – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
21. **გონაშვილი მაია** – ეკონომიკის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი
22. **დავითაშვილი სოფიო** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მეოთხე კურსის სტუდენტი
23. **დავლაშერიძე ნატა** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

24. **დათუნაშვილი ლინა** – ეკონომიკის დოქტორი, დოცენტი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
25. **დარსაველიძე ნინო** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
26. **დვალაშვილი ლია** – თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
27. **დოლიძე თამარ** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
28. **ებრალიძე მარიამ** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრი
29. **ენდელაძე მარინა** – ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის კვლევის ცენტრი, ბოქსირებული განყოფილების გამგე
30. **VALI SAFTAR VALIZADA** – PhD student of the Institute of Economics of Azerbaijan National Academy of Sciences (Baku, Azerbaijan)
31. **VERYTELNYK SVITLANA** – PhD in Public Management and Administration, Mariupol State University (Ukraine)
32. **ვირსალაძე ნაირა** – ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული (აფილირებული) პროფესორი, ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
33. **ზეიკიძე ვაჟა** – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
34. **ზურაბაშვილი ელენე** – ფილოლოგიის დოქტორი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი ასოცირებული პროფესორი
35. **თაფლაძე თამარ** – თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
36. **თეთრაული ციციხო** – თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
37. **თვაური შოთა** – ეკონომიკის მაგისტრი
38. **თოდუა ნუგზარ** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
39. **თოთლაძე ლია** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
40. **თოქმაზიშვილი მიხეილ** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აღმოსავლეთი ევროპის უნივერსიტეტი
41. **კაკაშვილი ნატო** – ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
42. **კაკულია ეთერი** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ალტე უნივერსიტეტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
43. **კაკულია ნაზირა** – ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
44. **კახნიაშვილი ნათია** – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
45. **კეპულაძე გიორგი** – ეკონომიკის დოქტორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
46. **კვარაცხელია მურმან** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
47. **კვარაცხელია რუსუდან** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ალტე უნივერსიტეტი

48. **კიკილაშვილი ლევან** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, ასისტენტ პროფესორი
49. **კილაძე თამარ** – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
50. **კიწმარიშვილი ქეთევან** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
51. **კოზმანაშვილი ლია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
52. **კოდუაშვილი პაატა** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, აკადემიკოსი
53. **კუპატაძე ქრისტინე** – ეკონომიკის მაგისტრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
54. **კურატაშვილი ქრისტინე** – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
55. **QURBANOV TARIYEL MUSALLIM** – PhD, Associate Professor, The Ministry of Science and Education of the Republic of Azerbaijan, Leading researcher at the Institute of Economics (Baku, Azerbaijan)
56. **კურტანიძე ანა** – პროფესორი, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
57. **ლაზარაშვილი თეა** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
58. **ლაზარიაშვილი თამარ** – ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
59. **ლაფაჩი ანა** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ბაკალავრიატის სტუდენტი
60. **ლენგ ირმა** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
61. **ლიპარტია ზურაბ** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
62. **ლობჯანიძე გელა** – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
63. **მაგრაქველიძე დალი** – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
64. **MAYILYAN FIRUZA** – Doctor of Economics, Professor, Yerevan State University (Yerevan, Republic of Armenia)
65. **მაისურაძე გიორგი** – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
66. **მელაშვილი მედეა** – თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
67. **მენაბდიშვილი ლელა** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი
68. **მენაბდიშვილი ნანა** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი
69. **მიქელაშვილი მერაბ** – ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
70. **მიქიაშვილი ნინო** – ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
71. **MNATSAKANYAN HAYK** – Doctor of Economics, Professor, Yerevan State University (Yerevan, Republic of Armenia)

72. **MUSTAFAYEV ASIF MIRLAZIM** – PhD, Associate Professor, The Ministry of Science and Education of the Republic of Azerbaijan, Leading researcher at the Institute of Economics (Baku, Azerbaijan)
73. **მუჩიაშვილი მარინა** – ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
74. **ნოზაძე ზურაბ** – თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
75. **ნუცუბიძე თამილა** – ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი
76. **ნუცუბიძე ხათუნა** – ეკონომიკის მაგისტრი, კონსულტანტი სოციალური პოლიტიკის დარგში
77. **OVAKIMYAN SUREN** – PhD in Economics, Yerevan State University (Yerevan, Republic of Armenia)
78. **OVAKIMYAN TAMARA** – PhD in Economics, Associate Professor, Yerevan State University (Yerevan, Republic of Armenia)
79. **ომაძე ქრისტინე** – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ალტე უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
80. **პავლიაშვილი სოლომონ** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
81. **პაპავა ვლადიმერ** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
82. **პაპასკირი ლუკა** – ბაკალავრი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
83. **პაპასკირი რუსუდან** – ტექნიკის აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
84. **პაპასქუა იური** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
85. **ჟორჯიკაშვილი ნინო** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
86. **RESHETOVA HANNA** – PhD (Public Administration), Associated Professor, Mariupol State University (Ukraine)
87. **რიყვაძე გიორგი** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
88. **რობაქიძე გიორგი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
89. **როსტიაშვილი თამარ** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ასოცირებული პროფესორი
90. **სისვაძე აზიკო (ილია)** – ეკონომიკის დოქტორი
91. **სოლოლაშვილი დალი** – ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
92. **სოსელია მაია** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ასოცირებული პროფესორი
93. **სრესელი დალი** – თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
94. **სულაბერიძე ავთანდილ** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი
95. **სულაბერიძე ვლადიმერ** – ეკონომიკის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი
